სელმა ლაგერლეფი

ლიოვენშოლდების ბეჭედი

ტომი 1

ლიოვენშოლდების ბეჭედი

I

ყოფილან ძველად ადამიანები, შიში რა იყო, არ იცოდნენ. იმათი ამბავიც მსმენია, ახალპირშეკრულ სიფრიფანა ყინულზე გავლა კიდევაც რომ ეამებოდათ. უხედნი ცხენით ჯირითი ხომ მთელ ქვეყანას ერჩიათ. ისეთნიც გამოერეოდნენ, უდრტვინველად რომ გაჰყვებოდნენ ბანქოს თამაშში თვით იუნკერ ალეგორდს, თუმცა, თავიდანვე იცოდნენ, დანიშნული ბანქო ჰქონდა და მიტომაც იგებდა ყოველთვის. რამდენიმე ისეთ გულადსაც ვიცნობდი, პარასკეობით გზად დადგომას რომ არ უფრთხოდა, და არც ცამეტი კაცისთვის გაწყობილ სუფრასთან დაჯდომას ერიდებოდა. და მაინც ვეჭვობ, რომელიმეს გამბედაობა ჰყოფნოდა, თითზე წამოეცვა ის საშინელი ბეჭედი, რომელიც ჰედებიუელ მხცოვან გენერალს ეკუთვნოდა.

ეს სწორედ ის მოხუცი გენერალი გახლდათ, რომელმაც სახელი გაუთქვა ლიოვენშოლდებს, ადგილ-მამულიც შესძინა და თავადიშვილური ღირსებაც მიანიჭა. და მანამდე, ვიდრე ჰედებიუს მამული ლიოვენშოლდების ხელთ იყო, გენერლის სურათი მეორე სართულის სასტუმრო დარბაზში ფანჯრებს შორის ეკიდა. ვეებერთელა იყო ეს სურათი, იატაკიდან ჭერამდე მთელ კედელს ფარავდა. შორიდან გეგონებოდათ, თვით კარლოს XII ბრძანდება, სწორედ ის დგას აქ, ლურჯ მუნდირში გამოწყობილი, ნატის გრძელი ხელთათმნით, და უზარმაზარი ბოტფორტებით უტეხად გამოჭიმული კვადრატულად დაგებულ იატაკზე. მაგრამ თუ ახლოს მიხვიდოდით, მაშინვე დარწმუნდებოდით, რომ სურათზე სულ სხვა კაცი იყო გამოსახული.

მუნდირის საყელოდან მოჩანდა გლეხკაცის ზორბა, ტლანქი თავი; გეგონებოდათ, სურათზე გამოხატული ადამიანი იმიტომ გაჩნდა ქვეყანაზე, რომ მისი დღე და მოსწრება მიწა უნდა ხნასო და თუმცა უგვანი იყო იგი, მაინც გონიერი, პატიოსანი და ღირსეული კაცის შესახედაობა ჰქონდა. ახლანდელ დროში რომ მოვლენოდა ქვეყანას, ნაფიც მსაჯულად მაინც გამოდგებოდა მაზრის სასამართლოში, იქნებ მუნიციპალიტეტის თავმჯდომარეც გამხდარიყო ან ვინ იცის, რიქსდაგშიც აერჩიათ. მაგრამ ვინაიდან იგი სიმამაცით განთქმული მეფის დროს ცხოვრობდა, ომში გაეშურა; ერთ უბრალო, საცოდავ ჯარისკაცად წავიდა, შინ კი სახელგანთქმულ გენერალ ლიოვენშოლდად დაბრუნდა; თან კიდევ ერთგული სამსახურისთვის ხაზინიდან ჰედებიუს მამული უბოძეს ბრუს სამრევლოში.

ერთი სიტყვით, რაც უფრო დიდხანს უმზერდით პორტრეტს, მით მეტად ეჩვეოდით გენერლის იერს. თითქოს თანდათან ხვდებოდით, რომ მართლაც სწორედ ასეთნი იყვნენ ის მეომრები, ვინც მეფე კარლოს XII-ის მეთაურობით გზა გაიკაფეს პო-

ლონეთისა და რუსეთისკენ. მას თან ახლდნენ არა მარტო თავგადასავალთა მაძიებლები და სამეფო კარის კავალრები, არამედ ისეთი მდაბიო და ერთგული ადამიანებიც, როგორიც აი, ამ პორტრეტზე გამოსახული მამაკაცი გახლდათ. მათ უყვარდათ მეფე და სჯეროდათ, რომ ასეთი ხელმწიფის გულისთვის შეიძლებოდა თავგანწირვა.

როგორც კი მოხუცი გენერლის სურათის თვალიერებას დაიწყებდით, მაშინვე გვერდით ამოგიდგებოდათ რომელიმე ლიოვენშოლდთაგანი და ვითომცდა სხვათა შორის, თქვენს გასაგონად ჩაილაპარაკებდა: პატივმოყვარეობით როდი მოსვლია გენერალს, მარცხენა ხელზე ხელთათმანი რომ წაუძვრია, რათა მხატვარს პორტრეტზე ნათლად გამოესახა დიდი ტვიფრიანი ბეჭედი, რომელსაც საჩვენებელ თითზე ატარებდა. ეს ბეჭედი მეფემ უბოძა - მისმა სათაყვანებელმა მეფემ, და ამ სურათზე იმის დასტურად იყო დახატული, რომ ბენგტ ლიოვენშოლდი კარლოს XII-ის ერთგული დარჩა ბოლომდე. განა ცოტა სმენია ბოროტი ცილისწამება თავის მბრძანებელზე! იმის თქმასაც კი ბედავდნენ, თითქოს უჭკუობითა და თვითნებობით ლამის დაქცევამდე მიიყვანა ქვეყანა, მაგრამ გენერალი მაინც თავგამოდებული მომხრე დარჩა მეფისა. კარლოსი იყო მისთვის ადამიანი, ვისი ბადალიც ამქვეყნად არ ეგულებოდა! მართლაც, ვისაც წილად ხვდა ამ დიდებული მეფის გვერდით ყოფნა, იწამეს, რომ არსებობს ამქვეყნიურ დიდებასა და წარმატებაზე უმშვენიერესი და უმაღლესი რამ, და რომ ამის გულისთვის მართლაც ღირს ბრძოლაში თავის დადება.

ჯერ ხომ ის მოიწადინა ბენგტ ლიოვენშოლდმა, რომ პორტრეტზე მასთან ერთად ბეჭედიც დაეხატათ, მერე ამ ბეჭდის საფლავში ჩატანებაც მოისურვა. მაგრამ პატივმოყვარეობით როდი მოინდომა ეს. ფიქრადაც არ მოსვლია, მამაზეციერისა და მის

მთავარანგელოზთა დასის წინაშე დაეტრაბახა, დახეთ, დიდებული მეფის ბეჭედი მიკეთია თითზეო.

უფრო იმის იმედი ჰქონდა, იმ დარბაზში რომ შევა, სადაც მამაცი მეომრებით გარშემორტყმული კარლოს XII იქნება დაბრძანებული, ამ ბეჭდით შემიცნობენო. ასე რომ, სიკვდილის შემდგომაც ეღირსებოდა იმ ადამიანთან ახლოს ყოფნა, ვისაც მთელი ცხოვრება ემსახურებოდა და ეთაყვანებოდა.

ამიტომაც იყო, რომ, როცა გენერლის კუბო ჩაასვენეს აკლდამაში, რომელიც მან ბრუს სასაფლაოზე ააშენებინა თავისთვის, ბეჭედი ისევ უმშვენებდა მარცხენა ხელის საჩვენებელ თითს. უკანასკნელ გზაზე რომ მიაცილებდნენ გენერალს, ბევრმა სამდურავი გამოთქვა, ასეთი განძი თან რომ მიჰყვებოდა მიცვალებულს სამარეში, ვინაიდან გენერლის ბეჭედი ისევე სახელგანთქმული იყო და ისეთივე დიდებით მოსილი, როგორითაც მისი პატრონი. იმასაც ამბობდნენ, იმდენი ოქროა ამ ბეჭედში, მთელი ადგილ-მამულის ყიდვა შეიძლება მის საფასურად და ნაკლები არც ის მეწამული სარდიონი ეღირება, ზედ რომ მეფის ინიციალებია ამოტვიფრულიო. თუმცა, ყველანი მაინც იმ აზრს ადგნენ, დიდად საქებურად მოიქცნენ გენერლის ვაჟიშვილები, მამის ნებას რომ დაჰყვნენ და ეს ძვირფასი ნივთი თან ჩააყოლესო.

თუ გენერლის ბეჭედი მართლაც ისეთი იყო, როგორიც პორტრეტზე გამოეხატათ, ყოვლად უშნო და უხეში ნივთი ყოფილა, და დღეს არავინ ინდომებდა თითზე მის ტარებას, და მაინც ლიოვენშოლდების ბეჭედი გასაოცრად ფასობდა ამ ორასი წლის წინათ. არც ის დაგვავიწყდეს, რომ იმხანად კეთილშობილი ლითონისგან ნაკეთები ყოველგვარი სამკაული და ჭურჭლეულობა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ხაზინაში უნდა ჩაებარებინათ, თანაც სასტიკი ბრძოლა იყო გაჩაღებული გიორ-

ცის დალერებისა და სახელმწიფოებრივი ბანკროტობის წინააღ-მდეგ და რომ ბევრისთვის ოქრო მაშინ ისეთი რამ იყო, მხო-ლოდ ყურმოკრულად თუ გაეგონათ მისი არსებობა, თავად კი არც არასოდეს ენახათ. ამიტომაც მოხდა, რომ ხალხმა ვერა და ვერ დაივიწყა ეს ოქროს ბეჭედი, რომელიც კუბოს ჩააყოლეს და ადამიანთათვის უსარგებლოდ აქციეს. ბევრი უსამართლობადაც კი მიიჩნევდა მის სამარეში უმაქნისად დებას. ხომ შეიძლებოდა, კარგ ფასად გაყიდულიყო უცხოეთში და ამით ლუკმაპური გას-ჩენოდათ ისეთ გაჭირვებულთ, რომელთაც გარდა როშისა და ხის ქერქისა, სხვა რამ საზრდო არც გააჩნდათ.

მართალია, ბევრი ვინმე იყო ამ დიდებული ძვირფასეულის მოსურნე, არავინ გამოჩენილა ისეთი, მართლაც რომ მოეწადი-ნებინოს მისი მითვისება. ასე განისვენებდა ბეჭედი იგი სახურავ-მიხრახნილ კუბოში, დაგმანულ აკლდამაში, ქვის მძიმე ფილე-ბის ქვეშ, თავზე ხელაღებული ქურდისთვისაც კი ხელმიუწვდო-მელი; და ეგონათ, რომ ასევე დარჩებოდა იქ უკუნითი უკუნისამ-დე.

II

გენერალ-მაიორი ბენგტ ლიოვენშოლდი 1741 წლის მარტში აღესრულა. რამდენიმე თვის შემდეგ კი, იმავე წელს, გენერლის უფროსი ვაჟიშვილის, იმხანად ჰედებიუს მამულში მცხოვრები როტმისტრ იორან ლიოვენშოლდის პატარა გოგონა იმსხვერ-პლა სისხლიანმა ფაღარათმა. გოგონა კვირადღეს, წირვის დას-რულებისთანავე დაასაფლავეს, მლოცველები ეკლესიიდან თან

გაჰყვნენ სამგლოვიარო მსვლელობას და მიცვალებული ლიოვენშოლდების საგვარეულო აკლდამასთან მიაცილეს, სადაც საფლავის ორივე უზარმაზარი ფილა მთლად კიდემდე იყო გაწეული. აკლდამის თაღში ფილების ქვეშ ქვითხურომ მცირე ადგილი გამოანგრია, რათა შვილიშვილის კუბო პაპის გვერდით მოეთავსებინათ.

სანამ სამურავთან თავშეყრილი მრევლი წესის აგებას უსმენდა, იქნებ ზოგს კიდეც მოაგონდა მეფის ბეჭედი და სინანულიც გამოთქვა, რომ ეგრე უქმად იყო ჩაფლული საფლავში და არავის გულს არ ახარებდა.

ეგებ ვინმემ თავის მეზობელსაც გადაუჩურჩულა, ახლა რა იოლად მიუწვდება კაცს ხელი იმ ბეჭედთან, ხვალამდე, ალბათ, არც კი ამოლესავენ ამ აკლდამასო.

იმათ შორის, ვისაც ასეთი აზრი აეკვიატა, ერთი გლეხკაციც ერია, ოლსბიუს კარ-მიდამო მელომსტუგაში მცხოვრები ბორდ ბორდსონი; იგი ისეთი კაცი არ იყო, სიბერემდე სულ ამ ბეჭედზე ეფიქრა. პირიქით, როცა ვინმე სიტყვას ჩამოაგდებდა, ბორდი მუდამ იმას ამბობდა, ისედაც კარგი კარ-მიდამო მაქვს და გენერალს მთელი შეფელი ოქროც რომ წაეღო საფლავში, ისიც არ შემშურდებოდაო.

და აი, ახლა, სასაფლაოზე, ბორდ ბორდსონმა, ისევე როგორც ბევრმა სხვამაც, გაიფიქრა: „მიკვირს, რომ აკლდამა ამოუშენებელი რჩება“. მაგრამ სულაც არ გახარებია ეს, პირიქით, დიდადაც შეწუხდა, „აჯობებს როტმისტრმა დღესვე, ნაშუადღევს, ამოაშენებინოს აკლდამა, - გაიფიქრა მან, - ვინ იცის, ეგებ თვალი დაადგან ამ ბეჭედს“.

ეს სულაც არ ეხებოდა მას, მაგრამ მაინც მაგრად გაუჯდა ის აზრი, რომ აკლდამის ღიად დატოვება მთელი ღამით საშიში

იყო. აგვისტოა, უკუნი ღამეები იცის ამ დროს, თუ სამარე არ ამოაშენეს, ქურდს სულ ადვილად მიუწვდება ხელი განძთან.

ისეთი შიში დაეუფლა, როტმისტრთან წასვლაც კი ინდომა, მივალ და გავაფრთხილებო. მაგრამ ბორდმა კარგად იცოდა, რომ ბენტერა კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი ხალხში და არ უნდოდა სამასხროდ გაეხადა თავი. „ალალმართალი კი ვარ ამ საქმეში, - გაიფიქრა მან, - მაგრამ მეტისმეტი გულმოდგინება რომ გამოვიჩინო, სასაცილოდ ამიგდებენ. როტმისტრი ჭკვიანი კაცია და, ალბათ, უკვე უბრძანა საფლავის ამოშენება“.

ისე გაიტაცა ამ ფიქრმა, ვერც შეამჩნია, რომ წესის აგება დამთავრებულიყო, ის კი ისევ იდგა საფლავთან, კიდევ კარგა ხანს იქნებოდა, ალბათ, ასე, მაგრამ ცოლი ამოუდგა გვერდში და ხიფთანის სახელო ჩამოსწია.

- რა მოგივიდა? - შეეკითხა იგი, - გაშტერებული დარჭობილხარ ერთ ადგილას, თითქოს კატასავით უდარაჯებდე თაგვის სოროს.

გლეხი შეკრთა, თვალები ზევით ასწია და ახლაღა დაინახა, რომ მათ გარდა სასაფლაოზე აღარავინ დარჩენილიყო.

- არაფერია, - მიუგო მან, - აი, ვდგავარ აქ და ერთმა აზრმა გამიელვა ამ ტიალ თავში.

სიამოვნებით გაუმხელდა ცოლს, რა აზრიც დაებადა, მაგრამ კარგად იცოდა, რომ ქალი მასზე უფრო გამჭრიახი იყო და ეტყოდა, ტყუილუბრალოდ ნაღვლობ, სამარხი დაგმანულია თუ დაუგმანავი, როტმისტრ ლიოვენშოლდის გარდა არავის არაფერი ესაქმება ამ ამბავთანო.

შინისკენ გაეშურნენ. რაკი სასაფლაოს ზურგი შეაქცია და გზას დაადგა, ბორდ ბორდსონს თითქოს აღარც უნდა ეფიქრა გენერლის აკლდამაზე, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ. ცოლი კი სულ ამ დასაფლავების ამბებზე ელაპარაკებოდა: ეს კუბოო, ეს

მეცხედრენიო, ეს სამგლოვიარო პროცესიაო, ეს სამგლოვიარო სიტყვებიო. ბორდი დროდადრო თითო-ოროლა სიტყვას შეაჩევდა ხოლმე ცოლს, რათა ქალი არ მიხვედრილიყო, რომ ვერც ვერაფერს ხედავდა ახლა და არც არაფერი ესმოდა. ცოლის ხმა თითქოს შორიდან ჩაესმოდა, ისევ და ისევ ერთი აზრი უღრღნიდა გონებას. „დღეს კვირაა და იქნებ ქვითხურომ უქმე დღეს არც ინდომოს აკლდამის დაგმანვა. მაგრამ თუ ასეა, ხომ შეეძლო როტმისტრს ერთი დალერი მიეცა მესაფლავისთვის და ისიც უდარაჯებდა ამ ღამით საფლავს. ეჰ, ნეტავ მოისაზროს და ასე მოიქცეს“.

მოულოდნელად ბორდ ბორდსონი ხმამაღლა გამოელაპარაკა თავის თავს:

- რაც გინდა, ის თქვი და, მაინც უნდა წავსულიყავი! დამცინებდა ხალხი, სხვა ხომ არაფერი მოხდებოდა?!

სულაც დაავიწყდა, ცოლი რომ მოჰყვებოდა გვერდით, და მხოლოდ მაშინ მოეგო გონს, როცა ქალი ერთბაშად ადგილზე შედგა და გაშტერებული მიაჩერდა.

- არაფერია, - წარმოთქვა კაცმა, - ერთ ამბავზე ვიმტვრევ თავს...

შინისკენ გზა განაგრძეს და მალე თავიანთ მელომსტუგასაც მიაღწიეს.

ბორდს იმედი ჰქონდა, აქ მაინც მოიცილებდა აკვიატებულ ფიქრებს და, ალბათ, ასეც მოხდებოდა, რამე საქმეს რომ სწეოდა; მაგრამ იმ დღეს ხომ კვირა იყო.

მელომსტუგას მცხოვრებნი ნასადილევს აქეთ-იქით გაიფანტნენ. იგი მარტოდმარტო დარჩა თავის ოთახში და ისევ აეშალა ფიქრები.

მცირე ხნის შემდეგ სკამიდან წამოდგა, ეზოში გავიდა და ცხენი დააურვა; ჰედებიუში აპირებდა წასვლას და როტმისტრთან

მოთათბირებას. „თორემ, ვინ იცის, იქნებ ამაღამვე მოიპარონ ის ბეჭედი“, - კვლავ გაუელვა თავში.

მაგრამ განზრახვა ვერ შეისრულა, მფრთხალი კაცი იყო ბორდი. როტმისტრთან წასვლის ნაცვლად კარის მეზობელთან გაეშურა, რათა მისთვის მაინც გაეზიარებინა გულის დარდი, მაგრამ მეზობელი მარტო არ დაუხვდა, ბორდსონი კი მორიდებული კაცი იყო და სხვისი თანდასწრებით კრინტიც ვერ დაძრა. სიტყვის უთქმელადვე გამობრუნდა შინ.

მზე ჩავიდა თუ არა, მაშინვე ლოგინში ჩაწვა და დაძინება მოინდომა, მაგრამ თვალზე რული არ მიეკარა. ისევ აფორიაქდა, ბორგავდა, ვერ ისვენებდა.

ცოლს ხომ მით უმეტეს, არ ეძინებოდა, რა დაგემართაო, ჰკითხა ქმარს.

- არაფერი, - ჩვეულებისამებრ მიუგო კაცმა, - მაგრამ ერთი ფიქრი ვერა და ვერ ამოვიგდე თავიდან.

- რამდენჯერ მითხარი უკვე ეგ ამბავი, - წამოიძახა ქალმა, - აბა, ჩამოყაჭე, რა გიდევს გულში, ისეთი რა სახიფათო განზრახვა უნდა გქონდეს, რომ ვერ გამანდო!

ეს სიტყვები რომ გაიგონა, ბორდმა იფიქრა, ცოლის ნათქვამს თუ დავყვები და ჩემს წუხილს გავუზიარებ, მერე მყისვე დამეძინებაო.

- აი, ვწევარ და ვფიქრობ, - მიუგო მან, - დაგმანეს თუ არა გენერლის აკლდამა, თუ მთელი ღამე ისე თავახდილი იქნება?

ქალს გაეცინა.

- მეც მაგაზე ვფიქრობდი, - უთხრა ქმარს, - ასე მგონია, ვინც დღეს ეკლესიაში იყო, ყველანი ამაზე ფიქრობენ. მაგრამ შენ რატომ უნდა გაიტეხო ძილი ამის გამო?

ბორდს გაუხარდა, რომ მისი ნათქვამი ცოლმა გულთან ახლოს არ მიიტანა. თითქოს დამშვიდდა კიდეც და იფიქრა, ახლა კი ნამდვილად დავიძინებო.

მაგრამ როგორც კი მხარი იცვალა და უფრო მოხერხებულად დაწვა, ისევ დაეუფლა მოუსვენრობა. მოეჩვენა, თითქოს ყოველი მხრიდან, ყველა ქოხიდან ადამიანთა ლანდები ეპარებოდნენ. ყველას ის ფარული ზრახვა ჰქონდა გულში, ყველა სასაფლაოსკენ მიეშურებოდა, იმ ღია აკლდამისკენ მიილტვოდა.

სცადა, გაუნძრევლად წოლილიყო, რათა ცოლისთვის დაძინების საშუალება მიეცა, მაგრამ თავი ასტკივდა და ოფლმა დაასხა. უნებურად ისევ აფორიაქდა და აწრიალდა.

ცოლს მოთმინების ფიალა აევსო და თითქოს ხუმრობით უთხრა ქმარს:

- ღმერთმანი, მე რომ მკითხო, აჯობებდა, შენ თვითონ წასულიყავი სასაფლაოზე და გენახა, ყველაფერი რიგზეა თუ არა, ვიდრე ეგრე თვალდაჭყეტილი იწვე აქ და შამფურივით იტრიალო ლოგინში.

ქალს ჯერ დამთავრებულიც არ ჰქონდა სიტყვა, რომ ქმარი შურდულივით წამოვარდა ლოგინიდან და ხიფთანის ჩაცმა დაიწყო. მართალს მეუბნება ცოლიო, გადაწყვიტა. ოლსბიუდან ბრუს ეკლესიამდე ნახევარი საათის სავალია. ერთ საათში უკანვე დაბრუნდება და მშვიდად მიეცემა გულის ძილს დილამდე.

მაგრამ კარის ზღურბლს გადააბიჯა თუ არა, ცოლმა იფიქრა, მარტო რომ წავიდეს სასაფლაოზე, ვაითუ, ცუდად გახდეს ჩემი ქმარიო. თვითონაც მსწრაფლ წამოხტა და უცებ გადაიცვა კაბა.

ქმარს იგი ოლსბიუს მახლობლად გორაკზე წამოეწია. მისი ნაბიჯის ხმას რომ მოჰკრა ყური, ბორდი ახარხარდა.

- უკან იმიტომ გამომედევნე, შენი თვალით ნახო, ხომ არ მოვპარავ გენერალს ბეჭედს? - ჰკითხა ქალს.

- ოი, ეს რა მითხარი! ყველა-ყველა, მაგრამ მე კი ვიცი, რომ აზრადაც არა გაქვს ასეთი რამ. მხოლოდ იმიტომ წამოვედი, რომ გვერდით გყავდე, ვაითუ, მკვდრის სული ან ლეშცხენა გამოგეცხადოს.

ნაბიჯს უმატეს. ღამე ჩამოწვა და სიბნელე დაეუფლა არემარეს. მხოლოდ დასავლეთით, ცის კიდურზე მოჩანდა ნათელი ვიწრო არშია, მაგრამ ისინი გზას კარგად იცნობდნენ. მასლაათობდნენ, მხიარულ გუნებაზე იყვნენ. სასაფლაოზე ხომ მხოლოდ იმიტომ მიდიოდნენ, რომ ენახათ, ამოლესეს თუ არა აკლდამა, რათა ბორდს თავი აღარ გაეცხელებინა ამაზე ფიქრით და უძილობით არ გატანჯულიყო.

- არა, ვერაფრით დავიჯერებ, ისეთი ბოთეები იყვნენ ჰედებიუში, რომ ხელახლა არ დაეგმანათ ბეჭედი!

- სულ მალე შევიტყობთ ყველაფერს, - უთხრა ცოლმა, - აი, მგონი, მივადექით კიდეც სასაფლაოს გალავანს.

ცოლის მხიარული კილოთი გაკვირვებული გლეხი შედგა. არა, შეუძლებელია, იგი სხვა რამ განზრახვით წამოსულიყო სასაფლაოზე.

- ვიდრე შევალთ, მოდი, ჯერ შევთანხმდეთ, როგორ მოვიქცეთ, თუ საფლავი ღია დაგვხვდა, - უთხრა ბორდმა.

- არ ვიცი, დაგმანული იქნება თუ დაუგმანავი, ჩვენ კი შინ დავბრუნდებით და დავიძინებთ.

- სწორია, მართალს ამბობ! - უთხრა ბორდმა და გზა განაგრძო, - ნურც იმის იმედი გექნება, სასაფლაოს ჭიშკარი ღია დაგვხვდეს ამ დროს, - დასძინა მან.

- მართლაც დაკეტილი იქნება, - მხარი აუბა ცოლმა, - გალავანზე გადაძრომა მოგვიწევს, თუ გვინდა, რომ გენერალი მოვინახულოთ და შევიტყოთ, რა სჭირს.

ამ ნათქვამმაც გააკვირვა ქმარი. უცებ ყური მოჰკრა, კედლიდან ჩუმი შრიალით როგორ ჩამოშვავდა წვრილი კენჭები და დასავლეთის მხარეს ცას შერჩენილი ნათელი არშიის ფონზე ცოლი დაინახა, რომელიც უკვე აცოცებულიყო კედელზე. ეს სულაც არ გაჰკვირვებია. კედელი ხომ დაბალი იყო, სულ რაღაც რამდენიმე ფუტი თუ იქნებოდა. გლეხს უცნაურად მხოლოდ ის მოეჩვენა, ასე მარჯვედ რომ აასწრო ქალმა გალავანზე ასვლა.

- ესეც ასე, - ჩამოსძახა ცოლმა, - ხელი მომე, ამოსვლაში შეგეშველები!

გალავანი უკან მოიტოვეს, ახლა უჩუმრად და ფრთხილად მიიკვლევდნენ გზას საფლავების ტაგრუცებს შორის.

ერთხელ ბორდმა ფეხიც კი წამოჰკრა ერთ ტაგრუცს და ლამის წაიქცა. მოელანდა, თითქოს ვიღაცამ ფეხი დაუდო. ისე აიტანა შიშმა, აცახცახდა და განგებ ხმამაღლა დაიწყო ლაპარაკი, ესაოდა, მიცვალებულებმა გაიგონ, რა მიზნით ვარ მოსული სასაფლაოზეო.

- ალალ-მართალ საქმეს რომ არ მოვეყვანე, აქ რა მინდოდა!..

- ლაპარაკობ რაღა შენც, - შეეპასუხა ცოლი, - ამ საქმეში ალალი ხარ, აბა, რა. აი, საფლავიც გამოჩნდა!

ღამის წყვდიადში გლეხმა მაინც კარგად გაარჩია განზე გადალაგებული საფლავის ქვები.

უფრო ახლოს რომ მივიდნენ, დაინახეს, მართლაც ღიად დაეტოვებინათ სამარე - აკლდამის გამონგრეული ადგილი არ ამოეგმანათ.

- ეს რა დოყლაპია ხალხია, - გაწიწმატდა ბორდი, - თითქოს განგებ უნდათ შეაცდინონ კაცი, რომელმაც იცის, რომ აქ განძია დამალული.

- ალბათ, იმის იმედი აქვთ, ვერავინ გაბედავს მკვდრის ხელის ხლებასო, - მიუგო ცოლმა.

- მართლაც დიდად სასიამოვნო როდია ამ საფლავში ჩაძრომა, - ჩაილაპარაკა ქმარმა, - ჩახტომით კი ჩახტება კაცი, მაგრამ რა, მერე უნდა იჯდეს შიგ სოროში გამომწყვდეულ მელასავით.

- ამ დილით ჩემი თვალით დავინახე აკლდამაში, როგორ ჩააყუდეს კიბე, - უთხრა ცოლმა, - თუმცა, ალბათ, მერე ამოიღეს და წაიღეს კიდეც.

- მოდი, ვნახავ, რაც არის და არის, - თქვა ქმარმა და ხელები მოაფათურა აკლდამის გამონგრეულ ნაპრალში, - ერთი ამას დამიხედეთ! - ეგეთი ამბავი გაგონილა! კიბე შიგ ჩაუტოვებიათ!

- მართლაც ბედოვლათები ყოფილან! - დაასკვნა ცოლმა, - თუმცა, მე რომ მკითხო, გინდ ყოფილა ეგ კიბე და გინდ არა, სულერთია. ვინც მაგ საფლავში წევს, მგონი, თვითონაც კარგად მოუვლის თავის ქონებას.

- ეს რომ ნამდვილად ვიცოდეთ, - მხარი აუბა ქმარმა, - იქნებ კიბე მაინც ამომეღო?

- საფლავში ხელს არაფერსაც არ ვახლებთ, - უთხრა ცოლმა, - ხვალ დილით მესაფლავეს ისე უნდა დახვდეს, როგორც დატოვა.

შეცბუნებული და დაბნეულები მიშტერებოდნენ სამარის შავ ხახას. თითქოს უნდა გამოტრიალებულიყვნენ ახლა და შინ წასულიყვნენ, მაგრამ რაღაც იდუმალი რამ, რის გამხელასაც ვერც ერთი მათგანი ვერ ბედავდა, ხელ-ფეხს უბორკავდათ.

- დარწმუნებული რომ ვიყო, გენერალს ქურდების შეჩერების ძალა შესწევს, კიბეს იმავე ადგილზე დავტოვებდი, - თქვა ბოლოს ბორდმა.

- ხომ შეგიძლია შიგ ჩასვლა, - ურჩია ცოლმა, - ჩადი და თვითონვე ნახე, რა ძალაც შესწევს.

თითქოს სწორედ ამის თქმას უცდიდა ბორდი, მყის კიბესთან მიიჭრა და ჩასვლა დაიწყო.

მაგრამ როგორც კი ფეხი აკლდამის ქვის იატაკს დაადგა, კიბე ისევ აჭრიალდა და ბორდმა დაინახა, რომ ცოლიც ფეხდაფეხ მოჰყვებოდა.

- რაო, აქაც კუდში მომდევ? - უსაყვედურა ქალს.

- გული არ მიშვება, რომ მიცვალებულთან მარტო დაგტოვო.

- არც ისე საშიში ყოფილა, - შეეპასუხა ქმარი, - აბა, როდის მომწვდა ყელში დასახრჩობად მისი ცივი მკლავები.

- ეჰ, რისი შემძლე ან რისი გამკეთებელია, - მიუგო ცოლმა, - მან ხომ იცის, რომ აზრადაც არ გვქონია ბეჭდის მოპარვა. აი, ისე, თავშესაქცევად, მაინც რომ გვნდომებოდა კუბოს თავის ახდა, მაშინ სხვა საქმეა.

ქმარი ხელების ცეცებით მიუახლოვდა გენერლის კუბოს და სახურავის ხრახნი მოძებნა.

- თითქოს განზრახ ყველაფერი ქურდისთვისაა მოწყობილი, - ჩაილაპარაკა ბორდმა და ხრახნის მოშვებას შეუდგა.

- რამე ხმა თუ გესმის? - შეეკითხა ცოლი, - ხომ არ განძრეულა კუბოში?

- სამარისებური სიჩუმეა, - მიუგო ქმარმა.

- მგონი, აზრადაც არა აქვს, რომ ჩვენ მისთვის ყველაზე ძვირფასი ნივთის წართმევა გვინდოდეს, - უთხრა ცოლმა, - აი, კუბოს თავი რომ აგვეხადა, მაშინ სხვა საქმეა.

- ჰო, მაგრამ შენც უნდა მომეხმარო, - მიუგო ქმარმა.

კუბოს თავი ახადეს თუ არა, სიხარბე ვეღარ დაიოკეს. განძის ხელში ჩაგდების სურვილმა გადარია ორივე. სასწრაფოდ წააძვრეს გამხმარ ჩონჩხს თითიდან ბეჭედი, კუბოს თავი დაახურეს, და სიტყვაც არ დასცდენიათ, ჩუმად ამოძვრნენ სამარიდან. საფლავებს შორის რომ მიიკვლევდნენ უკან გზას, ხელიხელჩაკიდე-

ბულები მიდიოდნენ, და როცა სასაფლაოს გალავანსაც გამოსცილდნენ, მხოლოდ მაშინ გაბედეს ხმის ამოღება.

- მგონი, თვითონ მას უნდოდა ასე, - თქვა ცოლმა, - მიხვდა, რომ მიცვალებულისთვის უმაქნისი იყო ასეთი განძი. ჰოდა, თავისი ნებით მოგვცა.

ქმარმა გადაიხარხარა.

- კარგი ვინმეც ბრძანდები, - თქვა მან, - რამდენიც უნდა მიარაკო, ვერ დამაჯერებ, თითქოს თავისი ნებით მოეცეს ეს ბეჭედი; უბრალოდ, ძალა არ ეყო, ხელი შეეშალა ჩვენთვის.

- იცი, რა, - უთხრა ცოლმა, - ამ ღამით მართლაც დიდი სიმამაცე გამოიჩინე! ბევრი ვერც კი გაბედავდა სამარეში ჩასვლას.

- მე კი სულაც არ მგონია, რომ ურიგო საქმე ჩავიდინე. ცოცხალს ერთ დალერსაც არ გამოვართმევდი, მაგრამ განა დიდი ცოდვაა მკვდრისგან იმის აღება, რაც ყოვლად უმაქნისია მისთვის.

ორივენი ამაყად მიაბიჯებდნენ შინისკენ, დიდად კმაყოფილნი იყვნენ და მხოლოდ ის უკვირდათ, რომ სხვას არავის მოუვიდა აზრად ამ ბეჭდის ხელში ჩაგდება. ბორდმა ისიც კი თქვა, როგორც კი შემთხვევა მომეცემა, ნორვეგიაში წავალ და იქ გავყიდი ბეჭედსო. ასე ეგონათ, იმდენ ფულს აიღებდნენ, აღარასოდეს ექნებოდათ ხვალინდელი დღის შიში.

ცოლი უეცრად შეჩერდა და წამოიძახა:

- ეს რაა? ვითომ თენდება? აღმოსავლეთით ისეთი სინათლე მოჩანს, თითქოს ალიონი იწყებოდეს!

- არა, რა დროს მზის ამოსვლაა, - მიუგო გლეხმა, - მგონი, ხანძარია, ოლსბიუს მხარეს უნდა იყოს ცეცხლი. ნუთუ.....

ქალის ცივმა კივილმა სიტყვა შეაწყვეტინა.

- ჩვენთანაა ხანძარი! - ყვიროდა იგი, - მელომსტუგა იწვის! გენერალმა წაუკიდა ცეცხლი!

ორშაბათ დილით ჰედებიუში, თითქოს ზედ რომ ეკვროდა ეკ-ლესიას, მესაფლავე მოვარდა და აქოშინებულმა სხაპასხუპით მოჰყვა, რომ მას და ქვითხუროს, რომელიც აკლდამის ხელახ-ლა ამოლესვას აპირებდა, მოეჩვენათ, თითქოს გენერლის კუ-ბოს სახურავი ოდნავ გვერდზე გადაცურებულიყო, გერბიანი ფა-რებიც ადგილიდან დაძრულიყო.

მაშინვე ჩასულან აკლდამაში. იქ ყველაფერი არეულ--დარეული დახვედრიათ, კუბოს ხრახნებიც მომძვრალი ყოფი-ლა, როცა თავი აუხდიათ, მაშინვე დაუნახავთ, რომ გენერალს მარცხენა ხელის საჩვენებელ თითზე ბეჭედი აღარ ეკეთა.

III

ვფიქრობ მეფე კარლოს XII-ზე და ვცდილობ, წარმოვიდგინო, როგორ უყვარდათ იგი და როგორ ეშინოდათ მისი.

თურმე სიკვდილის წინ ცოტა ხნით ადრე მეფე ერთხელ წირ-ვის დროს კარლსტადის ეკლესიას სწვევია.

ცხენით ჩამოსულა ქალაქში, მარტოდმარტო, მოულოდნე-ლად; რაკი იცოდა, რომ ეკლესიაში წირვა იყო, ცხენი იქვე ჭიშ-კართან მიუბამს, მთავარ შესასვლელს არიდებია და მრევლის შესასვლელიდან შეუღწევია შიგ.

მაგრამ ფეხი შეუდგამს თუ არა ეკლესიაში, მეფეს დაუნახავს, რომ პასტორი კათედრაზე ავიდა. ხელი რომ არ შეეშალა მის-თვის, იქვე დამდგარა. დასაჯდომი ადგილი არც უძებნია, ზურ-

გით მიყრდნობია კარის წირთხლს და ყური მიუგდია ქადაგებისთვის.

შეუმჩნევლად კი შევიდა თურმე ეკლესიაში და ჩუმადაც იდგა სიბნელეში მეფე, მაგრამ ბოლო მერხზე მჯდომმა მაინც შეიცნო. იქნებ ძველი ჯარისკაცი იყო, რომელსაც ხელი ან ფეხი დაეკარგა ლაშქრობაში და ჯერ კიდევ პოლტავის ბრძოლამდე დაბრუნებულიყო შინ. ჯარისკაცს გუნებაში გაუელვა, მეფე ხომ არ არის ეს თმაგადავარცხნილი კაცი, არწივისებური ცხვირიც ხომ მას მიუგავსო. და რაკი მართლა იცნო, მყის ფეხზე წამოიჭრა. მის გვერდით მსხდომთ, ალბათ, გაუკვირდათ, ფეხზე რომ წამოდგა ჯარისკაცი, მანაც გადაუჩურჩულა, თვით მეფე მობრძანებულა, აქ არის, ეკლესიაშიო. მერხზე მსხდომნი ერთბაშად წამოიშალნენ, როგორც იქცეოდნენ ხოლმე, როცა საკურთხევლიდან ან კათედრიდან თვით უფალი ღმერთის სიტყვები აღაღადდებოდა.

- მეფე ეკლესიაშია! - ეს ამბავი მსწრაფლ მოედო მერხიდან მერხს და როგორც ერთი, ისე წამოიშალა ყველა - მოხუცი თუ ახალგაზრდა, მდიდარი თუ ღარიბი, ჯანსაღი თუ სნეული.

ეს ამბავი მოხდა, ადრევეც ხომ მოგახსენეთ, მეფე კარლოსის სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, როცა ბედი უკუღმა დაუტრიალდა. მაშინ მთელ ეკლესიაში, ალბათ, ერთი სულიერიც არ მოიძევებოდა, ვისაც გულით საყვარელი ნათესავი არ დაჰკარგოდა ან მთელი თავისი ავლადიდება არ დაღუპოდა სწორედ ამ მეფის წყალობით. თუ ვინმე მაინც ჯერ კიდევ არ წუწუნებდა ამ მწარე ხვედრის გამო, იმაზე ხომ უნდა ეფიქრა, როგორ გაჩანაგდა ქვეყანა, რამდენი დაპყრობილი მიწა-წყალი განიავდა და მთელი სამეფო მტრებით იყო გარშემორტყმული.

მიუხედავად ამისა, მიუხედავად ამისა-მეთქი, როგორც კი აჩურჩულდა ხალხი, ტაძარში მეფე მობრძანდაო, ესე იგი, კაცი,

რომელიც მრავალჯერ მოუხსენებიათ წყევლა-კრულვით, ყველანი ერთბაშად წამოიშალნენ მერხებიდან.

წამოიშალნენ და ფეხზეც დარჩნენ. ფიქრადაც არავის მოსვლია, ისევ დამჯდარიყო. ან კი როგორ გაბედავდნენ - თვით მეფე ფეხზე იდგა და სანამ არ დაჯდებოდა, ყველანი ფეხზე უნდა მდგარიყვნენ. თუ ვინმე გაბედავდა და ამას გადაუხვევდა, დიდად შეურაცხყოფდა მეფეს.

ქადაგება შეიძლება დიდხანსაც გაგრძელებულიყო, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდათ, უნდა გაეძლოთ. არავის უნდოდა შეურაცხყოფა მიეყენებინა ეკლესიის გვერდით კართან ფეხზე მდგომი მეფისთვის.

იგი ჯარისკაცების მეფე იყო, ჩვეული, რომ მეომარნი უდრტვინველად მიჰყვებოდნენ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში. აქ კი, ეკლესიაში, მის ირგვლივ იყვნენ მშვიდობიანი მოქალაქენი და ხელოსნები, მშვიდობიანი შვედი ქალები და მამაკაცები, რომელთაც არასოდეს სმენიათ სამხედრო ბრძანებები. მაგრამ საკმარისი იყო მისი ამ ხალხში გამოჩენა, მყის მისი ძალაუფლების მორჩილნი ხდებოდნენ ყველანი. ცეცხლსა და წყალში გაჰყვებოდნენ, ყოველივეს დასთმობდნენ მისი გულისთვის, მათ სწამდათ ამ კაცისა, აღმერთებდნენ მას. ეკლესიაში მთელი მრევლი გულმხურვალედ ლოცულობდა ამ არაჩვეულებრივი ადამიანისთვის, რომელიც მეფე იყო შვედეთისა.

ვცდილობ, გონების თვალით ჩავწვდე ყოველივე ამას, ვცდილობ, ამოვხსნა, რატომ მოხდა, რომ კარლოს მეფის სიყვარული ძალუმად დაეუფლა ადამიანთა სულებს და ისე ღრმად გაიდგა ფესვები ყოვლად უკარება ბებრულ გულებშიც კი, რომ ყველას სჯეროდა, სიკვდილიც ვერ წაშლის ამ სიყვარულსო.

ამიტომაც იყო, როცა ლიოვენშოლდების ბეჭდის მოპარვა შეიტყვეს, ბრუს სამრევლოში ყველაზე მეტად ის გაუკვირდათ, ნე-

ტავ როგორ ეყო გამბედაობა იმ ვიღაცას, ასეთი უკეთური საქმის ჩასადენადო. თუ ქალს ნიშნობის ბეჭედი აქვს ჩატანებული სამარეში, მისი გაძარცვა ქურდებს უშიშრად შეუძლიათო, ფიქრობდნენ მორწმუნენი; ან თუ რომელიმე გულსათუთმა დედამ თავისი პირმშოს დალალი თან გაიყოლა იმ ქვეყნად, ისიც უხიფათოდ შეეძლოთ ხელიდან გამოეგლიჯათ მისთვის; ანდა თუ ხუცესს კუბოში ჩასვენებისას სასთუმლად ბიბლია დაუდეს, არც იმ ბიბლიის მოტაცებით შეხვდებოდა ავის მქნელს ვნება. მაგრამ განსვენებულ ჰედებიუელ გენერალს რომ კარლოს XII-ის ბეჭედი წააძვრეს თითიდან, ეს კი მეტისმეტია! წარმოუდგენელია, რომ ქალის ნაშობ ადამიანს ასეთი მკრეხელობა გაებედოს!

რა თქმა უნდა, ბევრი ეძებეს, მაგრამ ამაოდ - ავის მქნელი ვერა და ვერ იპოვეს. ქურდი უკუნ ღამით მოსულა და ისე წასულა, არავითარი ნიშანი არ დაუტოვებია ისეთი, რომ მისი კვალისთვის მიეგნოთ.

ესეც დიდად უკვირდათ. აკი ხალხში ადრეც ერთი მითქმა--მოთქმა იყო, თურმე ღამღამობით აჩრდილები დაძრწიან, რათა ამხილონ სულ მცირე დანაშაულის ჩამდენიც კიო.

მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, როცა შეიტყვეს, რომ გენერალს ბედის ანაბარა კი არ მიეტოვებინა თავისი ბეჭედი, არამედ, პირიქით, იბრძოდა კიდეც მის უკან დასაბრუნებლად, და თანაც ისეთივე სასტიკი თავგამოდებით იბრძოდა, როგორც სიცოცხლეში, ეს ამბავი არავის გაჰკვირვებია. საეჭვოდაც არავის გაუხდია, რადგან გენერლისგან სხვაგვარ მოქმედებას არც მოელოდნენ.

IV

ეს ამბავი გენერლის ბეჭდის უკვალოდ გაქრობიდან მრავალი წლის შემდეგ მოხდა. ერთ მშვენიერ დღეს ბრუს სამრევლოს პასტორი იხმეს ოლსბიუს ტყეებში შორს მივარდნილ სეტერში ღატაკ გლეხ ბორდ ბორდსონთან. ბორდ ბორდსონი სასიკვდილო სარეცელზე იწვა და აღსასრულის წინ მოისურვა თვით პასტორთან ლაპარაკი. პასტორი ხანდაზმული იყო და როცა შეიტყო, ბრუდან გვარიანად შორს იყო ავადმყოფის სამყოფელი და გზად სულ უღრანი ტყეები უნდა გაევლო, გადაწყვიტა, ჩემ მაგივრად პასტორ-ადიუნქტი წავიდესო, მაგრამ სულთმობრძავის ქალიშვილმა, რომელიც პასტორის წასაყვანად მოსულიყო, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: ან თვითონ პასტორი წამოვიდეს, ანდა სულაც არავინ გვინდა. მამაჩემმა სალამი შემოგითვალათ, თანაც დამაბარა: ისეთი რამ მაქვს სათქმელი, რაც მხოლოდ პასტორმა შეიძლება შეიტყოს და სხვა არავის გავენდობიო.

ამის გაგონებაზე პასტორი ჩაფიქრდა. ბორდ ბორდსონს ცუდი კაცი არ ეთქმოდა. მართალია, ცოტა ბენტერა იყო, მაგრამ ამიტომ ხომ არ აფორიაქდებოდა სასიკვდილო სარეცელზე. ისე კი, თუ ადამიანურად განსჯიდა, პასტორს იგი ერთ იმათგანად მიაჩნდა, ვინც ღვთისგან იყო დაჩაგრული. ბოლო შვიდი წლის განმავლობაში რა რისხვა და მეხი არ დაატყდა საცოდავს თავზე. სახლ-კარი დაეწვა, პირუტყვი ზოგი მომსვრელმა სენმა ამოუჟუჟა, ზოგი ნადირმა გაუწყვიტა, ყინვისგან ნახნავი დაეზრა, ასე რომ, იობივით გაღატაკდა. ცოლმა ამდენ უბედურებას ვერ გაუძლო და ტბაში დაიხრჩო თავი. თვითონ ბორდმა მწყემსის

ქოხს შეაფარა თავი უღრან ტყეში; ეს ერთადერთი საკუთრებაღა შერჩენოდა ბეჩავს. იმ ხნიდან მოყოლებული არც თვითონ და არც მის შვილებს ფეხი არ შეუდგამთ ეკლესიაში. პასტორის სახლში ბევრჯერ ულაპარაკიათ ამაზე და ვერ გადაეწყვიტათ, ბორდსონები კვლავაც ითვლებოდნენ თუ არა მათ სამრევლოში.

- მამაშენს ვიცნობ და არა მგონია, რაიმე ისეთი დიდი ცოდვა ჩაედინოს, რომ ადიუნქტს ვერ გაანდოს აღსარებაში, - უთხრა პასტორმა ბორდ ბორდსონის ქალს და კეთილმოწყალედ გაუღიმა.

თოთხმეტი წლის იყო ბორდის ქალი, მაგრამ ტანსრული და ჯანმაგარი ჩანდა. მთვარესავით ბრტყელი პირისახე ჰქონდა და ტლანქი ნაკვთები. მდაბიო შესახედაობის იყო და ამით მამას ჰგავდა, მაგრამ ბავშვური უმწიკვლოება და გულწრფელობა გამოსჭვიოდა მის გამომეტყველებაში და ეს ულამაზებდა სახეს.

- ღირსპატივსაცემო ჰერ პასტორო, თქვენც ხომ ბენგტ-ფალავნისა არ გეშინიათ, რომ მისი გამოისობით ვერ გაგიბედავთ ჩვენთან წამოსვლა? - ჰკითხა გოგონამ.

- რაო, რას ამბობ, შვილო? - გაიკვირვა პასტორმა, - ეგ ბენგტ-ფალავანი ვინღაა?

- ეგ ისაა, ვინც ყოველთვის ისეთ რამეებს გვიკეთებს, ხელი ვერაფერში გავიმართეთ.

- ოჰ, ოჰ, ოჰ, - ჭიანურივით გააბა პასტორმა, - ეგ, ალბათ, სწორედ ისაა, ბენგტ-ფალავანს რომ ეძახიან?

- განა არ იცით, ღირსპატივსაცემო ჰერ პასტორო, რომ სწორედ მან წაუკიდა ცეცხლი მელომსტუგას?

- არა, ამის შესახებ არაფერი მსმენია, - მიუგო პასტორმა, მაგრამ მაშინვე წამოდგა და ხის მომცრო ბარძიმი აიღო, ყოველთვის თან რომ დაჰქონდა, როცა მრევლში მიდიოდა.

- დედაჩემიც სწორედ მან გადააგდო ტბაში, - განაგრძობდა გოგონა.

- ამაზე მეტი უბედურება რაღა იქნება! - წამოიძახა პასტორმა, - მერედა, კიდევ ცოცხალია ეგ ბენგტ-ფალავანი? შენ გინახავს?

- არა, ნახვით არ მინახავს, - მიუგო გოგონამ, - მაგრამ, ცხადია, რომ ცოცხალია. სწორედ მისი გამოისობით გადავსახლდით ტყეში და ყრუ კლდეებს შევაფარეთ თავი. იქ კი თითქოს დაგვეხსნა, მაგრამ აი, წინა კვირაში ისევ გაგვიხსენა და მამაჩემს ცული ახეთქინა საკუთარ ფეხში.

- შენი ფიქრით, მაგაშიც ბენგტ-ფალავანია დამნაშავე? - მშვიდად შეეკითხა პასტორი, მაგრამ მაშინვე კარი გამოაღო და მოჯამაგირეს გასძახა, ცხენი შემიკაზმეო.

- მამაჩემმა თქვა, რომ ბენგტ-ფალავანმა ჩაუთქვა ცულს, თორემ ჩემს დღეში ფეხს არ დავიშავებდიო. ჭრილობა სულაც არ ჰქონდა საშიში, მაგრამ დღეს ნახა, რომ ანტონის ცეცხლი გასჩენია ფეხში. ახლა კი ნამდვილად მოვკვდები, ბენგტ-ფალავანმა მომითავა ხელიო. ამიტომ გამომგზავნა და დამაბარა, რომ თქვენ თვითონ წამოხვიდეთ, თანაც, რაც შეიძლება მალე.

- ჰოდა, მოვდივარ, - მიუგო პასტორმა.

სანამ გოგონა ამ ამბავს ჰყვებოდა, პასტორმა სამგზავრო მოსასხამი მოიგდო მხრებზე და ქუდიც დაიხურა.

- ერთი რამ ვერ გამიგია, - უთხრა პასტორმა, - რას გადაეკიდა ეგ ბენგტ-ფალავანი მამაშენს? ოდესმე რამე ხომ არ აწყენინა?

- კი, მამაჩემი არც უარობს ამას, - დაუდასტურა გოგონამ, - მაგრამ რა აწყენინა, ეს არც ჩემთვის უთქვამს, არც ჩემი ძმისთვის. მგონი, სწორედ ეს უნდა, რომ გიამბოთ, ღირსპატივსაცემო ჰერ პასტორო.

- რაკი აგრეა, უნდა ვიჩქაროთ, - მიუგო პასტორმა. გრძელმაჯიანი ხელთათმანი ჩაიცვა, გოგონასთან ერთად გამოვიდა სახლიდან და ცხენზე შეჯდა.

მთელ გზაზე, სანამ მწყემსის ქოხისკენ მიდიოდნენ ტყე-ტყე, პასტორს სიტყვაც არ დასცდენია. ცხენზე მჯდომი სულ იმაზე ფიქრობდა, ეს რა უცნაური ამბავი მიამბო გოგონამო. მთელი ცხოვრება იგი მხოლოდ ერთ კაცს იცნობდა, რომელსაც ბენგტ--ფალავანს ეძახდა ხალხი. მაგრამ იქნებ გოგონა მასზე კი არა, სხვა ბენგტზე ლაპარაკობდა.

სეტერში რომ შევიდა, წინ გლეხის ბიჭი გამოეგება - ბორდ ბორდსონის შვილი, ინგილბერტი ერქვა. დაზე უფროსი იყო რამდენიმე წლით, მასავით ტანმოსული, სახითაც მიაგავდა, მაგრამ თვალები უფრო ღრმად ეჯდა ფოსოებში, და არც ისე გულღია და წრფელი ჩანდა, როგორიც მისი უმცროსი და.

- შორი გზა გამოიარეთ ხომ, ჰერ პასტორო, - უთხრა ინგილბერტმა მოსულს და ცხენიდან ჩამოსვლაში მიეხმარა.

- მართალია, - მიუგო მოხუცმა, - მაგრამ უფრო მალე გავლიე გზა, ვიდრე ვფიქრობდი.

- მე თვითონ უნდა მოვსულიყავი თქვენს წამოსაყვანად, ჰერ პასტორო, - უთხრა ინგილბერტმა, - მაგრამ წუხელ გვიანობამდე თევზს ვიჭერდი. შინ რომ დავბრუნდი, მხოლოდ მაშინ შევიტყვე, რომ მამაჩემს ანტონის ცეცხლი გასჩენია ფეხში და ჩემი და გამოუგზავნია თქვენს მოსაყვანად, ჰერ პასტორო.

- მერტა არც ერთ ყმაწვილკაცს არ ჩამოუვარდება, - მიუგო პასტორმა, - ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. როგორღაა ახლა ბორდი?

- სიმართლე მოგახსენოთ, ძალიან ცუდადაა, მაგრამ ჯერ კიდევ გონზეა, გაუხარდა, როცა ვუთხარი, ტყიდან უკვე გამოვიდნენ-მეთქი.

პასტორი ქოხში შევიდა, და-ძმა კი იქვე ჩამოჯდა ქვებზე და ლოდინი დაიწყეს. აღელვებულნი იყვნენ. საუბრობდნენ მამაზე, რომელიც სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს ითვლიდა. იგონებ-დნენ, როგორ კარგად ექცეოდა მათ ყოველთვის, მაგრამ ბედ-ნიერება კი არ ღირსებია იმ დღიდან მოყოლებული, რაც მელომ-სტუგა დაეწვათ, ამიტომ ასეთ ბედკრულ ცხოვრებას სიკვდილი ურჩევნიაო.

ანაზდად დამ წამოიძახა:

- მამას, ეტყობა, სინდისი ქენჯნის!

- როგორ? - გაიკვირვა ძმამ, - რა ცოდვა უნდა აწუხებდეს ეგეთ კაცს? ისიც კი არ მახსოვს, შოლტი მოეღერებინოს პირუტ-ყვისთვის ან ვინმეზე გაეწიოს საცემად.

- აღსარებაში კი ისეთი რამ აქვს სათქმელი, რომელსაც პას-ტორის გარდა ვერავის უმხელს.

- ეგრე გითხრა? - ჰკითხა ინგილბერტმა, - სიკვდილის წინ პასტორს აღსარება უნდა უთხრას? მე კი მეგონა, მხოლოდ ზიარების მისაღებად მოგაყვანინა.

- პასტორთან რომ მგზავნიდა, მითხრა, დაიყოლიე, თვითონ მოვიდეს. პასტორი ერთადერთი ადამიანია ამქვეყნად, რომლის წინაშეც უდიდესი და უმძიმესი ცოდვა უნდა მოვინანიოო.

ინგილბერტი მცირე ხნით ჩაფიქრდა, მერე ისევ განაგრძო:

- უცნაურია! მარტო რომ იყო აქ, მაშინ ხომ არ გამოიგონა ეგ ყველაფერი! ისევე, როგორც ის ზღაპრული ამბები, რომლებსაც გვიამბობდა ხოლმე ბენგტ-ფალავანზე. ყველაფერი ეგ სულე-ლური ბოდვაა და სხვა არაფერი.

- სწორედ რომ ბენგტ-ფალავანზე უნდოდა პასტორთან ლაპა-რაკი, - მიუგო გოგონამ.

- მაშინ სანაძლეოს დაგიდებ, რომ სულელური ნაბოდვარი იქნება სწორედ, - უთხრა ინგილბერტმა.

ეს რომ თქვა, წამოდგა და ქოხის სარკმელთან მივიდა, რომელიც ღია დაეტოვებინათ, რათა სინათლე და სუფთა ჰაერი შესულიყო ავადმყოფის სამყოფელში. ბორდის საწოლი ისე ახლოს იდგა სარკმელთან, რომ ინგილბერტს შეეძლო ყოველი სიტყვა გაეგონა. ვაჟმა ყური მიუგდო ლაპარაკს, სულაც არ შეუწუხებია სინდისის ქენჯნას. იქნებ არც არავისგან სმენია, რომ აღსარების მოსმენა ცოდვად ითვლება. ერთი კია, დარწმუნებული იყო, მამამისს არავითარი ისეთი საშინელი საიდუმლოება არ ჰქონდა, რომელიც ძნელი გასამხელი იქნებოდა.

ინგილბერტი მცირე ხანს იდგა სარკმელთან, მერე ისევ დასთან დაბრუნდა.

- აკი გეუბნებოდი, - დაიწყო მან, - მამაჩემი პასტორს უყვება, ვითომც დედაჩემთან ერთად მოხუც გენერალ ლიოვენშოლდს მეფის ნაჩუქარი ბეჭედი მოჰპარეს.

- ღმერთო, შეგვიწყალე! - წამოიძახა გოგონამ, - მოდი, ვუთხრათ პასტორს, რომ ყველაფერი ეს სისულელეა, რომ მამაჩემი განგებ იგონებს ამას და ცილს სწამებს თავის თავს.

- ახლა ვერაფერს ვიღონებთ, - შეეპასუხა ინგილბერტი, - რაც უნდა, ის ილაპარაკოს. პასტორს კი მერე ვუთხრათ.

ისევ მიიპარა სარკმელთან და ყური მიუგდო. ამჯერად უფრო მალე მობრუნდა დასთან.

- ახლა კიდევ იმას ამბობს, თითქოს დედაჩემთან ერთად რომ ჩასულან აკლდამაში და ბეჭედი წამოუღიათ, სწორედ იმ ღამეს დაიწვა მელომსტუგაო. ვითომცდა თვითონ გენერალს გაეჩინოს ცეცხლი ჩვენი სახლ-კარისთვის.

- ახლა მით უმეტეს ცხადია, რომ მთლად სისულელეა ეს, - მიუგო დამ, - ჩვენთვის ერთი ასჯერ მაინც უთქვამს, მელომსტუგა ბენგტ-ფალავანმა გადაგვიწვაო.

სიტყვა ჯერ არც კი დაემთავრებინა გოგონას, რომ ინგილ-ბერტმა ისევ სარკმელს მიაშურა. ამჯერად კარგა ხანს უგდებდა ყურს ლაპარაკს, და როცა ისევ მობრუნდა დასთან, სახეზე მი-წისფერი ედო.

- მამაჩემი ამბობს, სწორედ გენერალმა დაგვატეხა თავს ყვე-ლა ეს უბედურება, რათა იძულებული გავეხადეთ, ბეჭედი უკანვე დაგვებრუნებინაო. ასე ამბობს, თითქოს დედაჩემს შეშინებოდეს და მასთან ერთად მოენდომებინოს ჰედებიუში წასვლა როტმის-ტრთან ბეჭდის მისაცემად. მამაც თითქოს მაშინვე დათანხმებუ-ლა, მაგრამ წასვლა ვეღარ გაებედა, რადგან შეშინებოდა, ორი-ვეს ჩამოგვახრჩობენ, თუკი გამოვტყდებით, რომ მკვდარი გავ-ძარცვეთო. დედამ ვეღარ გაუძლო ამას, წავიდა და თავი დაიხ-რჩოო.

ახლა კი გოგონასაც მკვდრისფერი დაედო.

- ჰო, მაგრამ მამაჩემი ყოველთვის იმას გვეუბნებოდა, - დაიწ-ყო მან, - თითქოს ჩვენ გვმტრობს...

- ჰო! სწორედ ახლა უთხრა პასტორს, კაციშვილს ვერ გავან-დე, თუ ვინ დაგვატეხა თავს ამდენი უბედურებაო. და რომ მხო-ლოდ ჩვენ გვეუბნებოდა, ბენგტ-ფალავანია ჩვენი დაუძინებელი მტერიო. ისიც თქვა, გენერალს გლეხები სწორედ ბენგტ--ფალავანს ეძახდნენო.

მერტა ბორდსონი გაქვავდა.

- ალბათ, მართალია, - ისე ჩუმად წაიჩურჩულა, თითქოს სუ-ლის ამოსვლის წინ უკანასკნელი სიტყვებიაო.

ირგვლივ მიმოიხედა. ქოხი ტბის პირას იდგა, გარშემო ტყიანი, პირქუში მთები აღმართულიყვნენ და თხემით ცას სწვდებოდნენ. თვალსაწიერზე არც რამ სადგომი ჩანდა, არც სუ-ლიერი ვინმე ჭაჭანებდა, რომ მისთვის მიემართა. მარტოობის უძლურება მეფობდა ყველგან.

და მოელანდა გოგონას, თითქოს ხეების ჩრდილში, ბნელეთს შეფარებულიყო მიცვალებული და იქიდან უთვალთვალებდა, რათა ახალი რისხვა დაეტეხა მათ თავზე.

ჯერ კიდევ უმწიფარი და უასაკო იყო გოგონა, ამიტომ კარგად ვერც მიხვედრილიყო, რა სირცხვილში ჩაიგდეს თავი, რა თავსლაფი დაისხეს მისმა მშობლებმა. მაგრამ ის კი იცოდა, რომ რაღაც აჩრდილი, საიქიოდან მოვლენილი უძლეველი არსება გამუდმებით დევნიდა მათ. სულ იმის მოლოდინი ჰქონდა, სადაცაა გამომეცხადება და ჩემი თვალით დავინახავო; მერტას ისე შეეშინდა ამის გაფიქრებაზე, რომ კბილს კბილზე აცემინებდა. მიხვდა, რომ მამა მთელი შვიდი წელიწადი გულში ინახავდა ამ საშინელებას, გოგონა მეთხუთმეტეში იყო გადამდგარი და ახსოვდა, შვიდი წლის წინათ როგორ დაიწვა მელომსტუგა. მაშასადამე, მთელი ამ ხნის განმავლობაში მამამისს სცოდნია, რომ მიცვალებული დევნიდა. ასეთ სიცოცხლეს მართლაც სიკვდილი სჯობდა.

ინგილბერტი კვლავაც ქოხის სარკმელთან იყო მიყურადებული. მერე ისევ დასთან მიბრუნდა.

- შენ ხომ არ გჯერა ეს, ინგილბერტ? - ისე ჰკითხა მერტამ, თითქოს უკანასკნელად, ერთხელ კიდევ სცადა შიშისგან თავის დაღწევა. მაგრამ შეამჩნია, რომ ინგილბერტს ხელები უკანკალებდა, თვალებიც უაზროდ გაშტერებოდა ამ საშინელებისგან, თუმცა, მასაც დაუფლებოდა შიში, მერტაზე ნაკლებ როდი იყო დამფრთხალი და გაოგნებული.

- მაშ, რაღა უნდა მჯეროდეს? - ამოილუღლუღა ინგილბერტმა, - მამაჩემი ამბობს, მრავალჯერ ვცადე ნორვეგიაში გადასვლა, ბეჭდის გაყიდვა მინდოდა იქ, მაგრამ ვერაფრით მოვახერხე, ადგილიდანაც კი ვერ დავიძარი, ხან მე გავხდი ავად, ხან ცხენმა ფეხი მოიტეხა სწორედ ეზოდან გასვლისასო.

- პასტორმა რაღა უთხრა? - შეეკითხა გოგონა.

- პასტორმა ჰკითხა, ამდენი ხანი რაღად ინახავდი მაგ ბეჭედს, თუ ეგრე საშიში იყო მისი ქონაო. მამამ კი უპასუხა: ჩემი დანაშაული რომ გამემხილა როტმისტრისთვის, სახრჩობელას არ ამაცილებდა. არჩევანი არ მქონდა და ამიტომაც ვინახავდი, მაგრამ ახლა ვიცი, რომ ვკვდები და მინდა თქვენ მოგცეთ ბეჭედი, რათა უკანვე ჩაუდოთ სამარეში გენერალს, რის შემდეგაც ჩემი შვილები ცოდვისგან განწმენდილები იქნებიან და ისევ შეეძლებათ ხალხში გარევა, მრევლში დაბრუნებაო.

- რა კარგია, რომ პასტორი აქ არის, - თქვა გოგონამ, - მაგრამ როცა წავა, არ ვიცი, რა უნდა ვქნათ, ძალიან მეშინია, სულ მელანდება, რომ გენერალი აი, იქ, ნაძვებში დგას. ფიქრიც კი მზარავს, როცა წარმოვიდგენ, რომ ყოველდღიურად დაეხეტებოდა აქ და დადარაჯებული გვითვალთვალებდა! მამაჩემს იქნებ უნახავს კიდეც!

- მგონი, მართლაც ნანახი ეყოლება, - დაეთანხმა ინგილბერტი.

მერე ისევ ქოხთან მივიდა ყურის მისაგდებად და როცა ერთხელ კიდევ მობრუნდა უკან, თვალებში სულ სხვა გამომეტყველება ჰქონდა.

- ვნახე ბეჭედი, - წარმოთქვა მან, - მამაჩემმა პასტორს მისცა, მზესავით ანათებს. ოქროში წითლად ღვივის! სულ მთლად ბზინავს. პასტორმა ბეჭედს დახედა და მამაჩემს უთხრა, ვიცანი, მართლაც გენერლისააო. წამოდი სარკმელთან და შენც დაინახავ!

- მაგას ის მირჩევნია, უხსენებელი ავიყვანო ხელში, - მიუგო გოგონამ, - ნუთუ გჯერა, რომ მესიამოვნება მისი დანახვა?

ინგილბერტმა ზურგი შეაქცია დას.

- ვიცი, რომ ჩვენი დამღუპველია და მაინც მომწონს.

ეს თქვა თუ არა, პასტორის ხმამაღალი ლაპარაკი შემოესმათ. აქამდე ავადმყოფს აცალა ეთქვა სათქმელი, ახლა კი მისი ჯერი დადგა.

თავისთავად ცხადია, პასტორს არ შეეძლო დაეჯერებინა მოჩმახული ამბები, მკვდრის ოინებზე რომ უამბო ავადმყოფმა. იგი ცდილობდა, დაემტკიცებინა გლეხისთვის, რომ ღვთის რისხვამ უწია ისეთი საშინელი ბოროტმოქმედებისთვის, როგორიც იყო მიცვალებულის გაძარცვა. პასტორი არც იმას მიიჩნევდა სარწმუნოდ, თითქოს გენერალს შეეძლო ხანძრის გაჩენა ან კიდევ სენის შეყრა ადამიანებისა თუ პირუტყვისთვის. არა, ბორდის თავს დატეხილი უბედურება ღვთის რისხვა იყო, რათა იძულებული გაეხადა, სინანული ეგრძნო და სანამ პირში სული ედგა, უკანვე დაებრუნებინა ნაქურდალი, რის შემდეგაც ცოდვა მიეტევებოდა და მერე კი შეეძლო ნეტარებით დაელია სული.

მოხუცი ბორდ ბორდსონი უძრავად იწვა ლოგინში და პასტორს უსმენდა, სიტყვაც არ დასცდენია, ერთხელაც არ შეპასუხებია. მაგრამ, ეტყობოდა, პასტორმა მაინც ვერ დაარწმუნა იგი. მეტისმეტად ბევრი რამ გადაიტანა, და არ ძალუძდა დაეჯერებინა, რომ ყოველივე ეს ღვთისგან იყო მოვლენილი.

ამ საშინელი მოგონებებისა და მოჩვენებებისგან დამფრთხალი ინგილბერტი და მერტა აქამდე ცახცახებდნენ, ახლა კი შვებით ამოისუნთქეს.

- გესმის? - შეეკითხა დას ძმა და მკლავში ჩაეჭიდა, - პასტორი ამბობს, ყოველივე ეს გენერალს არ ჩაუდენიაო.

- ჰო, - მიუგო დამ.

მერტა გაუნძრევლად იჯდა. პასტორის ნათქვამი ყოველი სიტყვა ღრმად ებეჭდებოდა სულში.

ინგილბერტი წამოდგა, ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი, წელში გასწორდა, ეტყობოდა, დამთრგუნველი შიში გულიდან გადაეყარა.

იგი სულ მთლად გამოიცვალა, სწრაფი ნაბიჯით გაეშურა ქოხისკენ, კარი გამოაღო და შიგ შევიდა.

- რა იყო? - ჰკითხა პასტორმა.

- მამაჩემთან დალაპარაკება მინდა!

- გადი აქედან! მამაშენს ახლა მე ველაპარაკები! - მკაცრად უთხრა პასტორმა.

ისევ ბორდ ბორდსონს მიუბრუნდა და კვლავ საუბარი გაუბა, ხან ალერსიან-მბრძანებლური კილოთი ელაპარაკებოდა, ხანაც ალერსიანი თანაგრძნობით.

ინგილბერტმა სახეზე ხელები აიფარა, ქვაზე ჩამოჯდა. საშინელი მოუსვენრობა დაეუფლა. ისევ შევიდა ქოხში და კვლავ გამოაძევეს.

ყოველივე რომ დასრულდა, ახლა ინგილბერტს დაუდგა ჯერი, უკან გაეცილებინა პასტორი ტყე-ტყე. ერთხანს ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ მალე ჭაობისკენ გაუხვიეს და ახლა ფიჩხყრილზე უხდებოდათ სვლა. პასტორმა ვერ გაიხსენა, აქეთობას ჭაობზე გამოიარეს თუ არა და ინგილბერტს ჰკითხა, გზა ხომ არ აგერიაო. ინგილბერტმა უპასუხა, ამ ფიჩხყრილით უფრო მალე გავივლით ჭაობს და მოკლეზე გადავჭრითო ტყეს.

პასტორმა დაჟინებით შეხედა ინგილბერტს. იგი მიხვდა, რომ შვილიც მამასავით შეეშალა ოქროს. ინგილბერტი ხომ რამდენჯერმე შევიდა ქოხში, თითქოს უნდოდა კიდეც ეთქვა მამისთვის, ნუ მისცემ ბეჭედს პასტორსო.

- ეჰ, ინგილბერტ! ვიწრო და სახიფათოა ეს გზა, - უთხრა პასტორმა, - ვშიშობ, ვაითუ, ცხენს ფეხი აუსხლტეს ამ სრიალა მორებზე.

- ცხენს მე გავუძღვები წინ, ღირსპატივსაცემო ჰერ პასტორო, და შიშიც არაფრისა გექნებათ, - მიუგო ინგილბერტმა და მყის სადავეში სწვდა ცხენს.

შუაგულ ჭაობში შევიდნენ და ატორტმანებული ჭანჭრობის ალყაში აღმოჩნდნენ, ანაზდად ინგილბერტმა ისე მოულოდნელად დაახევინა პასტორის ცხენს უკან, თითქოს ამ ვიწრო ფიჩხყრილი ბილიკიდან ჭაობში გადაგდებას უპირებსო.

ცხენი ყალყზე შედგა, პასტორმა ძლივს შეიკავა თავი უნაგირზე და გამცილებელს შესძახა, ღვთის გულისათვის, ხელი გაუშვი სადავესო. მაგრამ ინგილბერტს თითქოს სმენა დაეხშო, პასტორმა დაინახა, სახეზე მიწისფერი ედო ბიჭს, პირიც მაგრად მოეკუმა და ისევ იმას ცდილობდა, ჭანჭრობში გადაეგდო ცხენი, ცხენსაც და მხედარსაც უეჭველი სიკვდილი ელოდა.

პასტორმა უცებ ჯიბიდან ტარსიკონის ქისა ამოიღო და პირდაპირ სახეში ესროლა ინგილბერტს.

ბიჭმა სადავეს ხელი უშვა, რათა ქისა დაეჭირა და ნებაზე მიუშვა პასტორის საშინლად დამფრთხალი ცხენი, რომელიც მაშინვე ადგილიდან მოწყდა და ჭენებით გაჰყვა ვიწრო ფიჩხყრილ ბილიკს. ინგილბერტი სარივით დაერჭო ერთ ადგილს, არც კი უცდია უკან გამოდევნებოდა პასტორს.

V

თავისთავადაც ცხადია, რომ ინგილბერტის ასეთი საქციელის შემდეგ პასტორს გონება აემღვრა. ბინდი ჩამოწოლილიყო, როცა სამშვიდობოს გამოაღწია. ტყიდან გამოსული ოლსბიუსკენ მიმავალ შარაზე კი არ მოხვდა, რომელიც სხვა გზებთან შედარებით უკეთესიც იყო და უმოკლესიც, არამედ სამხრეთის მხრიდან შემოუარა და სულ მალე ზედ მიადგა ჰედებიუს ჭიშკარს.

ულრან ტყეში გზას რომ მიიკვლევდა, სულ იმის ფიქრში იყო, თუ მშვიდობით დავბრუნდი შინ, იმწამსვე ლენსმანს შევატყობინებ ამ ამბავს, თანაც ვთხოვ, ახლავე წავიდეს ტყეში და ბეჭედი ჩამოართვას ინგილბერტსო. მაგრამ ჰედებიუს რომ მიუახლოვდა, ახლა ის გაიფიქრა, ეგებ სჯობდეს აქვე შევუხვიო და როტმისტრ ლიოვენშოლდს ვუამბო, ვინ გაბედა აკლდამაში ჩასვლა და მეფის ნაჩუქარი ბეჭდის მოპარვაო.

თითქოს დიდად თავსატეხი არ იყო ეს უბრალოდ გადასაწყვეტი საქმე, მაგრამ პასტორი მაინც ყოყმანობდა, რაკი იცოდა, რომ როტმისტრს სულაც გულზე არ ეხატა მამამისი. როტმისტრი მშვიდობისმოყვარე გახლდათ, მამამისი კი ომის ჟინით შეპყრობილი კაცი იყო. როგორც კი რუსებთან ზავი შეიკრა, როტმისტრი მაშინვე გადადგა სამხედრო სამსახურიდან და მას შემდეგ მთელ ძალ-ღონეს ომის დროს მთლად გაჩანაგებულ ქვეყანაში კეთილდღეობის აღდგენას ახმარდა. იგი ერთმმართველობის წინააღმდეგი იყო და არც მხედრული პატივი სწამდა. ხშირად აუგადაც იხსენიებდა თვით კარლოს XII-ს, მის მაღალ პერსონას, ისევე როგორც ბევრ სხვა ისეთ რამესაც, რასაც ესოდენ აფასებდა მისი მოხუცი მამა. ბოლომდე თუ ვიტყვით სიმართლეს, ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ შვილი თავგამოდებით მონაწილეობდა რიქსდაგში ატეხილ დავა-კამათში და მუდამ მშვიდობისმოყვარულთა პარტიის მხარე ეჭირა. დიახაც რომ ბევრი საბაბი და მიზეზი ჰქონდა შვილს მამასთან უთანხმოებისა.

როდესაც შვიდი წლის წინ გენერლის ბეჭედი მოიპარეს, პასტორი და ბევრი სხვაც იმას ფიქრობდა, მაინცდამაინც დიდად არ უნდა ცდილობდეს როტმისტრი მის პოვნასო. ამიტომაც ეჭვმა გაუელვა გულში პასტორს: „რისი მაქნისი იქნება ჰედებიუში ჩემი მისვლა. როტმისტრს, სულერთია, არ დააინტერესებს, ვის უკეთია ახლა თითზე მეფის ბეჭედი - ბორდ ბორდსონს თუ ინ-

გილბერტს. ყველაფერს აჯობებს, დაუყოვნებლივ ლენსმან კარელიუსს ვამცნო ქურდობის ამბავი“.

ასე ეთათბირებოდა საკუთარ თავს პასტორი, როცა უცებ დაინახა, რომ ჰედებიუს ჭიშკარი აჭრიალდა და ნელ-ნელა ყურთამდე გაიღო.

ეს მართლაც რომ სასწაული იყო, მაგრამ განა ამქვეყნად ცოტაა ისეთი ჭიშკარი, რომელიც, თუ კარგად არ არის ჩაკეტილი, თავისით იღება ხოლმე. პასტორს დიდად არ გაუცხელებია თავი ამაზე ფიქირით, ის კია, ღია ჭიშკარი იმის მინიშნებად ჩათვალა, რომ ჰედებიუში შეეხვია.

როტმისტრმა გულთბილად მიიღო პასტორი, სხვა დროს რომ დახვედრია, იმაზე მეტი თავაზით შეეგება.

- დიდი პატივია ჩვენთვის, ღირსპატივსაცემო ძმაო ჩემო, რომ გვეწვიეთ. სწორედ დიდად მწყუროდა თქვენთან შეხვედრა, დღეს ბევრჯერაც ვიფიქრე თქვენთან მოსვლა ერთ მეტისმეტად უჩვეულო ამბავზე მოსათათბირებლად!

- ტყუილად გაირჯებოდით, ძმაო ჩემო ლიოვენშოლდ, - უთხრა პასტორმა, - ადრიან დილითვე ცხენზე შევჯექი და სამრევლო საქმეებზე ერთ სეტერში გახლდით ოლსბიუში და აი, ეს-ეს არის დავბრუნდი იქიდან. ისეთი დილა გამითენდა დღეს ამ მოხუც კაცს, ნუღარ იტყვით! რამდენი რამ გადამხდა თავს!

- მეც ამგვარი რამ მჭირს, თუმცა, სავარძლიდან არც კი წამოვმდგარვარ. მერწმუნეთ, ღირსპატივსაცემო ძმაო ჩემო, რომ თუმცა საცაა ორმოცდაათს გადავაბიჯებ და ათასი დავიდარაბა შემხვედრია, როგორც ომის მკაცრ წლებში, ისე მერეც, ასეთ სასწაულს ჯერ არ მოვსწრებივარ.

- რაკი აგრეა, - უთხრა პასტორმა, - პირველად თქვენ ბრძანეთ სათქმელი, ძმაო ჩემო, ლიოვენშოლდ. მერე მეც გიამბობთ

დიდად საგულისხმო ამბავს, მაგრამ გამიჭირდება იმის თქმა, თითქოს ამაზე უარესი არაფერი შემხვედროდეს ცხოვრებაში.

- იქნებ ჩემი ამბავი სულაც არ მიიჩნიოთ ისე გასაკვირად, როგორც მგონია, ღირსპატივსაცემო ძმაო ჩემო, - შეეპასუხა როტმისტრი, - ამიტომ აქედანვე მინდა გკითხოთ: ხომ გსმენიათ რაებს ამბობენ გატენიელმზე?

- იმ ზარდამცემ მეკობრესა და თავზე ხელაღებულ კაპერზე თუ ბრძანებ, რომელსაც კარლოს მეფემ ადმირალობა უბოძა? ვის არ სმენია, რასაც მასზე ჰყვებიან!

- ჰოდა, დღეს სადილად რომ ვისხედით, - განაგრძო როტმისტრმა, - ლაპარაკი ჩამოვარდა გადახდილი ომის ამბებზე. ჩემი ვაჟიშვილები და მათი გუვერნიორი შემომიჩნდნენ, გინდა თუ არა, გვიამბე ძველი ამბებიო; ახალგაზრდებს, მოგეხსენებათ, უყვართ გარდასულ დროთა თავგადასავლების მოსმენა. საგულისხმო ის არის, რომ ისინი არასოდეს გვეკითხებიან იმ სიდუხჭირეზე, რომელიც გადავიტანეთ ჩვენ, შვედებმა, კარლოს მეფის სიკვდილის შემდეგ, როდესაც ომისა და უსახსრობის გამო ყოველ საქმეში ჩამოვრჩით. არა, მათ აინტერესებთ მხოლოდ გამაჩანაგებელი ომის წლები, ღმერთმანი, დაუჯერებელია: არად მიიჩნევენ იმას, რომ ხელახლა ავაშენეთ იავარქმნილი ქალაქები, ავამუშავეთ ქარხნები, შევქმენით მანუფაქტურები, ამოვძირკვეთ ძველი ტყეები და ახალი ხეები გავახარეთ. ასე მგონია, ძმაო ჩემო, ჩემი ვაჟები სასირცხვილოდ გვითვლიან მეც და ჩემს თანამედროვეთაც, ხელი რომ ავიღეთ საომარ ლაშქრობებზე, თავი ვანებეთ სხვისი მიწების გაჩანაგებას. ალბათ, ფიქრობენ, რომ ჩვენს მამებზე უარესნი ვართ და აღარ შეგვრჩა შვედების ადრინდელი ძლევამოსილება!

- სავსებით მართალი ბრძანდებით, ძმაო ჩემო ლიოვენ-შოლდ, - უთხრა პასტორმა, - დიდად დასანანია, ყმაწვილკაცებს ასე რომ უყვართ ომი.

- ჰოდა, მეც ავასრულე მათი წადილი, - განაგრძო როტმის-ტრმა, - და რადგან ომის რომელიმე სახელგანთქმული თავგა-დასავალი აინტერესებდათ, ავდექი და გატენიელმის ამბებს მოვყევი, ვუამბე, როგორ სასტიკად ექცეოდა ვაჭრებსა და მშვი-დობიან მოგზაურებს. მინდოდა ჩემი ნაამბობით აღშფოთება და ზიზღი გამომეწვია მათში და როცა ამას მივაღწიე, შვილებს ვთხოვე, დაფიქრებულიყვნენ იმაზე, რომ გატენიელმი ომიანო-ბის დროის ნამდვილი შვილი იყო, და მერე ეთქვათ ჩემთვის, სურდათ თუ არა, ჩვენი მიწა-წყალი ასეთი ჯოჯოხეთის მოციქუ-ლებით ავსებულიყო?

ჩემმა ვაჟებმა პასუხის გაცემა ვერც კი მოასწრეს, რომ ახლა გუვერნიორმა მთხოვა, ნება მიმეცა, თვითონაც ეამბა გატენი-ელმის ერთი ამბავი. და რაკი დამარწმუნა, კაპერის ეს თავგადა-სავალიც დაადასტურებს თქვენს აზრს გატენიელმის შემაძრწუ-ნებელ მხეცობასა და თავგასულობაზეო, მეც დავთანხმდი.

თხრობა იმით დაიწყო, რომ გატენიელმი ადრეულ ასაკში გარდაიცვალა, მისი ცხედარი ონსალის ეკლესიაში დაკრძალეს, მარმარილოს სარკოფაგში, რომელიც მან დანიის მეფეს მოსტა-ცა. ამის შემდეგ ტაძარს ისეთი საშინელი აჩრდილები მოევლი-ნენ, რომ მრევლისთვის აუტანელი შეიქნა ონსალის ეკლესიაში სიარული. სხვა საშველი რომ ვერაფერი ნახეს, გარდაცვლილის ნეშტი სარკოფაგიდან ამოიღეს და შორს ზღვაში, ერთ უკაცრი-ელ შხერზე მიაბარეს მიწას. ამის შემდეგ ეკლესიაში კვლავ სიმ-შვიდემ დაისადგურა. მაგრამ მებადურები, რომელთაც გატენი-ელმის ახალი საფლავის ახლომახლო უხდებოდათ ზღვაში ყოფ-ნა, ჰყვებოდნენ: იმ ადგილიდან მუდამ მოისმის საშინელი აურ-

ზაურის ხმა და რანაირი ამინდიც უნდა იყოს, ზღვის აქაფებული ტალღები ბრაზიანად ეხეთქებიან ავბედით შხერსო. მებადურთა აზრით, ყოველივე ამას იქმოდნენ მეხომალდენი და ვაჭარნი, რომელთაც გატენიელმის ბრძანებით პირდაპირ ზღვაში ყრიდნენ ხოლმე გატაცებული გემებიდან. ახლა ისინი ზღვის სამარეთაგან ამოდიან, რათა სანაცვლო სასჯელად ტანჯვა მიუზღონ მეკობრეებსო. მებადურები ერიდებოდნენ იმ მხარეს ზღვაში გასვლას. მაგრამ ერთხელ, უკუნეთ ღამეში, ერთი მათგანი შემთხვევით მაინც მოხვედრილა იმ წყეული ადგილის მახლობლად. უცებ იგრძნო, რომ მორევმა ჩაითრია, სახეში ზღვის ქაფი ეცა და ვიღაცამ მქუხარე ხმით შესძახა:

„წადი ონსალაში, მოძებნე გატის კარ-მიდამო და ჩემს ცოლს უთხარი: შვიდი იღლია კაკლის ხის წნელი და ორი ღვიის კომბალი გამომიგზავნოს!“

პასტორი, რომელიც უხმოდ და მონდომებით ისმენდა ამ ამბავს, ახლა კი დარწმუნდა, რომ ყოველივე ეს ჩვეულებრივი ზღაპარი იყო მოჩვენებებზე, და თითქმის გამოხატა კიდეც მოუთმენლობა, მაგრამ როტმისტრმა აინუნშიც არ ჩააგდო ეს.

- ხომ გესმით, ღირსპატივსაცემო ძმაო ჩემო, მებადურს სხვა რა გზა ჰქონდა, უნდა შეესრულებინა ეს ბრძანება. გატენიელმის ცოლმაც დაიჯერა მისი. მოაგროვეს კაკლის ხის ყველაზე მოქნილი წნელები, ყველაზე მსხვილი ღვიის კომბლები და მოჯამაგირეს გაატანეს ზღვაში.

ამ დროს პასტორმა ისე აშკარად გამოხატა თავისი მოუთმენლობა, რომ როტმისტრი, როგორც იქნა, მიხვდა, სიტყვა უნდა შემაწყვეტინოსო, და ასე განაგრძო თხრობა:

- ვიცი, რაზედაც ფიქრობთ, ძმაო ჩემო. მეც სწორედ ეგრე ვფიქრობდი, როცა სადილობისას ამ ამბავს ვისმენდი, მაგრამ მაინც გთხოვთ ბოლომდე მომისმინოთ. იმას მოგახსენებთ, რომ

ის მოჯამაგირე, როგორც ჩანს, უშიშარი კაცი იყო, თანაც ერთგული გარდაცვლილი პატრონისა, თორემ ისე ვერ გაბედავდა ასეთი დავალების შესრულებას. როდესაც გატენიელმის დაკრძალვის ადგილს მიუახლოვდა ზღვაში, მეკობრის შხერს ისეთი მაღალი ტალღები ეხეთქებოდა, თითქოს საშინელი ქარიშხალი ყოფილიყოს. შორს გაისმოდა იარაღის ჟღარუნისა და ბრძოლის ხმა, მაგრამ მოჯამაგირემ ღონივრად მოუსვა ნიჩბებს, მთლად ახლოს მივიდა შხერთან და ზედ მოისროლა ღვიის კომბლებიცა და წნელის კონებიც. მერე კიდევ უფრო ღონივრად მოუსვა ნიჩბებს და მალე განერიდა იმ საშინელ ადგილს.

- ღირსპატიოსანო ძმაო ჩემო, - წამოიწყო პასტორმა, მაგრამ როტმისტრმა არ დაუთმო.

- თუმცა, დიდ მანძილზე არ დაშორებია იქაურობას, ნიჩბებზე ხელი აიღო და ლოდინი დაიწყო. სურდა, გაეგო, რაიმე საინტერესო ამბავი ხომ არ მოხდებაო. ფუჭი როდი გამოდგა მისი ლოდინი. შხერის ნაპირებთან ერთბაშად იმოდენა ტალღები აზვირთდნენ, ცას სწვდებოდნენ. ხმაური საშინელმა გრგვინვამ შეცვალა და თითქოს ნამდვილი ბრძოლის ველი ყოფილიყოს, შემზარავი კვნესა-ვაების ხმები მოედო ზღვის სივრცეს. ასე გაგრძელდა ერთხანს, მაგრამ მერე და მერე იკლო ხმაურმა, ტალღები თანდათან დაცხრნენ, ბოლოს სულაც შეწყვიტეს გატენიელმის სამარეზე შეტევა. მალე იქაც ისეთივე სიჩუმე და მყუდროება ჩამოვარდა, როგორიც სხვა შხერებზეა. მოჯამაგირემ, ის იყო, ნიჩბები მოიმარჯვა და უკან დაბრუნება დააპირა, რომ ისევ მოესმა მქუხარე მოზეიმე ხმა:

„წადი ონსალაში, მიდი გატის კარ-მიდამოში, სალამი უთხარი ჩემს ცოლს და გადაეცი: ცოცხალი იყოს, გინდა მკვდარი, ლასე გატენიელმი თავის მტრებს მუდამ ამარცხებს-თქო!“

პასტორს თავი დაეხარა და ისე ისმენდა თხრობას. ახლა კი, როცა ამბავი დასასრულს მიუახლოვდა, თავი ასწია და გაკვირვებით შეხედა როტმისტრს.

- როდესაც გუვერნიორმა ეს ბოლო სიტყვები წარმოთქვა, - განაგრძო როტმისტრმა, - შევატყვე, ჩემი ვაჟები თანაგრძნობით განიმსჭვალნენ ამ ყოვლად არამზადა გატენიელმისადმი და დიდადაც მოეწონათ მისი ვაჟკაცობის ამბავი. ამიტომ მაშინვე დავძინე, ძალიან დალაგებულად კი არის ეს ამბავი შეთხზული, მაგრამ ჩვეულებრივ ზღაპარს არ ჩამოუვარდება-მეთქი. მერე ისიც ვუთხარი, რომ თუ ისეთ მეკობრეს, როგორიც გატენიელმი იყო, შეუძლია სიკვდილის შემდეგაც კი დაიცვას თავი, მაშინ როგორღა ავხსნათ, რომ მამაჩემმა, რომელიც ისეთივე თავზე ხელაღებული მეომარი იყო, როგორიც გატენიელმი (თუმცა, მისგან დიდად განსხვავებული თავისი სიკეთითა და პატიოსნებით), საშუალება მისცა ქურდს, აკლდამაში ჩასულიყო და მოეპარა მისი ყველაზე ძვირფასი საკუთრება? მას კი ძალა არ ეყო წინ აღდგომოდა ამას, ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, მერე მაინც გადაეხადა დამნაშავისთვის სამაგიერო.

ამ სიტყვების გაგონებაზე პასტორი მისთვის უჩვეულო სიმკვირცხლით წამოიჭრა ფეხზე.

- მეც მაგავე აზრის ვარ! - წამოიძახა მან.

- მაგრამ მომისმინეთ, რა მოხდა შემდეგ, - განაგრძო როტმისტრმა, - ვერც კი მოვასწარი ამ სიტყვების წარმოთქმა, ჩემი სავარძლის უკან გაისმა ხმამაღალი ოხვრა, რომელიც ისე ჰგავდა ტკივილისგან შეწუხებული მამაჩემის ამოოხვრას, რომ მომეჩვენა, თითქოს იგი ჩემ ზურგს უკან იდგა. მაშინვე ფეხზე წამოვიჭერი, რასაკვირველია, არც არაფერი და არც არავინ დამინახავს, მაგრამ დარწმუნებული კი ვიყავი, რომ სწორედ მამაჩემის ოხვრა გავიგონე. სუფრასთან ჯდომა აღარ მინდოდა, ამიტომ

მთელი დანარჩენი დრო აქ გავატარე მარტოობაში და სულ ამ ამბავზე ვფიქრობ. ძალიან მინდა, ვიცოდე, თქვენ რას იტყვით ამ საქმეზე, ღირსპატივსაცემო ძმაო ჩემო. რას ნიშნავდა ის გულსაკლავი ოხვრა დაკარგული საუნჯის გამო? ნუთუ განსვენებული მამაჩემი გამომეცხადა? ნეტავი ვიყო დარწმუნებული, რომ ისევ აწუხებს იმ ბეჭდის ბედი! კარდაკარ ვივლიდი, ყველგან მოვიკვლევდი ამ ამბავს და არ დავუშვებდი, თუნდ ერთი წამიც ეტანჯა ისე, როგორც იმ ოხვრამ მაგრძნობინა.

- დღეს მეორედ მიხდება პასუხის გაცემა მაგ კითხვაზე, - ენატრება თუ არა განსვენებულ გენერალს თავისი დაკარგული ბეჭედი და უნდა თუ არა მისი უკანვე დაბრუნება, - მიუგო პასტორმა, - მაგრამ სანამ გიპასუხებდეთ, თქვენის ნებართვით, ღირსპატივსაცემო ძმაო ჩემო, ახლა მე მოგიყვებით ჩემს ამბავს, მერე კი ერთად მოვითათბიროთ ამ საქმეზე.

როცა ყველაფერი უამბო, რაც თავს გადახდა, პასტორი მიხვდა, რომ ტყუილუბრალოდ შიშობდა, ვაითუ, მთელი გულმოდგინებით არ მოიწადინოს როტმისტრმა მამის ინტერესების დაცვაო. პასტორმა ის არ გაითვალისწინა, რომ ყველაზე მშვიდობიან ადამიანსაც კი რაღაც სცხია ლოდბროკის შვილებისა. განა იშვიათად ხდება ისეთი რამ: გოჭები ყურისწამღებ ჭყვიტინს მორთავენ ხოლმე, როცა გაიგებენ, რა საშინელი ტანჯვა გადაიტანა ბებერმა ქოსმენმა. პასტორმა დაინახა, როგორ დაებერა შუბლზე ძარღვები როტმისტრს, ხელები კი ისე მაგრად მომუჭა, რომ მაჯები გაუთეთრდა. საშინელი მძვინვარება დაეუფლა, ბუნებრივია, პასტორმა მთელი ეს ამბავი თავისებურად უამბო როტმისტრს. ღვთის რისხვით დაისაჯნენ ავისმქმნელნი, მაგრამ ის კი არამც და არამც არ უნდოდა ეღიარებინა, რომ ამ საქმეში მკვდრის ხელი ერია.

როტმისტრმა კი ყოველივე სხვაგვარად გაიგო და დაასკვნა, რომ მამამისს საუკუნო განსვენება არ ღირსებია სამარეში, ვინაიდან საჩვენებელი თითიდან ბეჭედი წააძვრეს. როტმისტრს სინდისის ქენჯნა ტანჯავდა, რადგან აქამდე მეტისმეტად გულცივად ეკიდებოდა ამ საქმეს. ახლა გულდაკოდილი წუხდა.

ასე აღელვებული რომ ნახა როტმისტრი, შეშინებულმა პასტორმა ძლივს გაუბედა თქმა, ხელახლა წამართვეს ბეჭედიო. მაგრამ ეს ამბავი პირქუში კმაყოფილებით მოისმინა ლიოვენშოლდმა.

- კიდევ კარგი, ეგ ერთი მაინც გადარჩა მაგ ქურდების ჯილაგიდან, ეგეც ისეთივე არამზადაა, როგორიც სხვები, - წარმოთქვა როტმისტრმა, - გენერალი გაუსწორდა ინგილბერტის მშობლებს, მკაცრად გაუსწორდა. ახლა კი ჩემი ჯერი დადგა!

პასტორმა როტმისტრის ხმაში დაუნდობელი მრისხანება გაიგონა. უფრო და უფრო დაეუფლა მღელვარება. ახლა უკვე იმასაც შიშობდა, ვაითუ, საკუთარი ხელით მოახრჩოს ინგილბერტი ანდა ცემით მოკლასო.

- ჩემი ვალი იყო, განსვენებული ბორდის მოციქულად მოვსულიყავი თქვენთან, ძმაო ჩემო, ლიოვენშოლდ, - უთხრა პასტორმა, - მაგრამ იმედი მაქვს, რომ არ აჩქარდებით და წინდაუხედავად არაფერს მოიმოქმედებთ. მე კი ახლა ლენსმანთან უნდა წავიდე და ჩემი გაძარცვის ამბავი ვამცნო.

- ნება თქვენია, ძმაო ჩემო, როგორც გენებოთ, ისე მოიქეცით, - მიუგო როტმისტრმა, - მხოლოდ ის მინდა მოგახსენოთ, რომ ამაო გარჯა იქნება ყოველივე. ეგ საქმე მე უნდა გავაკეთო.

პასტორი დარწმუნდა, რომ ჰედებიუში იგი ვერაფერს გახდებოდა და წასვლა იჩქარა, რათა დაღამებამდე მოესწრო ლენსმანისთვის ამ ამბის შეტყობინება.

როტმისტრმა ლიოვენშოლდმა კი შინამოსამსახურენი იხმო, უამბო, რაც მოხდა, და ჰკითხა, თანახმანი თუ ხართ ხვალ დილა-ადრიანვე ქურდის დასაჭერად გამომყვეთო. არც ერთს არ უთ-ქვამს უარი თავისი პატრონისა და განსვენებული გენერლის-თვის სამსახურის გაწევაზე. ის საღამო იარაღის გამოძებნას მო-ანდომეს, მოაგროვეს ძველებური მუშკეტები, მოკლე ოროლე-ბი, გრძელი მახვილები, კომბლები და ცელებიც კი.

VI

თხუთმეტი კაცი მაინც ახლდა როტმისტრს, როცა მეორე დღეს ოთხ საათზე ქურდის შესაპყრობად გაემართა. ყველანი ბრძოლის ჟინით იყვნენ შეპყრობილი. სიმართლე მათ მხარეზე იყო, თანაც გენერლის იმედი ჰქონდათ, რადგან მიცვალებული ჩაერია ამ საქმეში, უეჭველად ბოლომდე მიიყვანსო.

ქურდის ალყაში მოსაქცევად უკეთესი ადგილი უღრანი ტყე იყო, მაგრამ ჰედებიუდან იქამდე მთელი ერთი მილი იქნებოდა. სანამ ტყის ნაპირს მიაღწევდნენ, წინ ედოთ ერთი ვრცელი ტა-ფობი, რომელიც გზის დასაწყისშივე იწყებოდა. ამ დაცემულ ვა-კეზე ალაგ-ალაგ ნახნავ-ნათესები მოჩანდა. მთელი არემარე ქოხმახებით იყო მოფენილი. ირგვლივ გორაკებზე აქა-იქ საკმა-ოდ დიდი სოფლები შეფენილიყო. ერთი მათგანი სწორედ ის ოლსბიუ გახლდათ, სადაც ბორდ ბორდსონს ერთხანს თავისი სახლ-კარი ედგა, ვიდრე გენერალმა არ გადაუწვა იქაურობა.

ამის იქით იწყებოდა წიწვიანი ტყე. შორიდან იგი მიწაზე და-ფენილი ნადირის სქელ ტყავს ჰგავდა. ისეთი უდაბური ფიჭვნა-

რი იდგა, ხე ხესთან იყო მიტყუპებული. მაგრამ აქაც ჩანდა ადამიანის კვალი, ვიწრო ბილიკები ზოგი საზაფხულო სეტერებისკენ მიემართებოდა, ზოგიც სანახშირე ორმოებთან ბოლოვდებოდა.

როდესაც როტმისტრი და მისი მხლებლები უღრან ტყეში შევიდნენ, თითქოს ერთბაშად ყველა გამოიცვალა: მიხრა-მოხრა, მთელი იერი შეეცვალათ. ისინი სხვა დროსაც ბევრჯერ ყოფილან აქ სანადიროდ და ახლაც ნადირობის ჟინმა მოეძალათ. თვალგაფაციცებით აკვირდებოდნენ ყოველ ბუჩქს, ფეხაკრეფით მიიპარებოდნენ წინ.

- ხალხო, მოდი, აქედანვე შევთანხმდეთ, - მიმართა როტმისტრმა მსახურთ, - არც ერთმა თქვენგანმა ხიფათში არ ჩაიგდოს თავი იმ ქურდი ბიჭის გულისთვის, ამიტომ მე მიმიშვით. თქვენ მხოლოდ თვალი გეჭიროთ, რომ ხელიდან არ დაგვიძვრეს!

მაგრამ მხლებლებს აინუნშიც არ ჩაუგდიათ ეს ბრძანება. წინადღით ისინი მშვიდად აკეთებდნენ თავ-თავიანთ საქმეს: საშრობზე აფენდნენ თივას, ახლა კი ისე იყვნენ გაცეცხლებულნი, ერთი ხელში ჩაგვაგდებინა ის ქურდბაცაცა ინგილბერტი და ნახეთ, რა დღეს დავაყრითო.

ღრმად რომ შევიდნენ ტყეში, საუკუნოვანი ფიჭვები ისე მიჯრით მიეწყვნენ ერთმანეთს, წიწვების თაღი შეკრეს მათ თავზე; ტყე დასრულდა, ახლა მხოლოდ ხავსითღა იყო მოფენილი მიწა. სწორედ ამ დროს თვალი მოჰკრეს მათკენ მომავალ სამ კაცს, რომელთაც წნელების საკაცით ვიღაც მეოთხე მოჰყავდათ.

როტმისტრი და მისი მხლებლები სწრაფი ნაბიჯით გაეშურნენ მათკენ. ამდენი ხალხი რომ დაინახეს, ის სამნი მაშინვე შედგნენ, საკაცეზე მწოლს ვეებერთელა გვიმრის ფოთლები ეფარა სახეზე, მაგრამ ჰედებიუელებმა, ალბათ, მაინც შეიცნეს და ტანში ჟრუანტელმა დაუარათ.

განა გენერალი მოეჩვენათ საკაცის გვერდით, სულაც არა. მისი ლანდისთვის კი არ მოუკრავთ თვალი. და მაინც ირწმუნეს, რომ იგი აქ იყო. ამ მკვდარ კაცს გამოჰყვა ტყიდან. დიახ, იდგა ახლა აქ და თითით მიანიშნებდა მასზე.

იმ სამს კი, საკაცე რომ მოჰქონდათ, ყველა იცნობდა იმ მხარეში, ღირსეული კაცები იყვნენ. ერთი გახლდათ ერიკ ივარსონი, ოლსბიუს ერთი დიდი ხუტორის მეპატრონე, მეორე ძმა იყო მისი, ივარ ივარსონი, კაცი უცოლშვილოდ დარჩენილი, მამის ხუტორს შებერებული. ორთავენი ჭარმაგობაში შესული იყვნენ, მესამე კი მთლად პირტიტველა ყმაწვილი იყო. მასაც ყველა იცნობდა. პაულ ელიასონს ეძახდნენ. იგი ამ ორი ძმის ნაშვილები იყო.

როტმისტრი პირდაპირ ივარსონებთან მივიდა, ძმებმა საკაცე მიწაზე დადგეს და მოსულს ხელი გაუწოდეს ჩამოსართმევად, მაგრამ როტმისტრმა თითქოს ვერც შეამჩნია ეს. თვალგაშტერებით მისჩერებოდა გვიმრის ფოთლებს, სახეს რომ უფარავდნენ საკაცეზე მწოლს.

- ვინ არის ეს? ინგილბერტ ბორდსონი ხომ არა? - ისეთი საკვირველი ცივი ხმით იკითხა მან, თითქოს ძალას ატანენ, გინდა თუ არა, თქვი რამეო.

- სწორედ ის გახლავთ, - მიუგო ერიკ ივარსონმა, - მაგრამ თქვენ საიდან იცით, ჰერ როტმისტრო? ტანსაცმლით იცანით?

- არა, - უპასუხა როტმისტრმა, - ტანსაცმლით არ მიცნია, ხუთი წელიწადი იქნება, არ მინახავს.

თანმხლებნიც და შემხვედრნიც გაოცებით შესცქეროდნენ როტმისტრს. ამ დილით რაღაც დაემართა ამ კაცს, თავის თავს აღარა ჰგავს, გულგაბოროტებულიაო, - გაიფიქრეს მათ. მართლაც, ძველებური ზნეკეთილობისა თითქოს აღარაფერი შერჩენოდა.

როტმისტრმა გამოჰკითხა გლეხებს, ამ უთენია ტყეში რა საქმე გქონდათ, ან სად ნახეთ ინგილბერტიო. ივარსონები შეძლებული გლეხები იყვნენ და სულაც არ ეპიტნავათ ასეთი გამოკითხვა, მაგრამ როტმისტრმა მაინც მოახერხა ამბის შეტყობა.

თურმე წინადღით ფქვილი და სასმელ-საჭმელი წაეღოთ მოჯამაგირეებისთვის თავიანთ სეტერში, რომელიც აქედან რამდენიმე მილით იყო დაშორებული, მთლად შუაგულ ტყეში, და ღამე იქ გაეთიათ. ირიჟრაჟა თუ არა, უკან გამობრუნებულიყვნენ. გზაში ივარ ივარსონი დაწინაურებულა, იგი ძველი ჯარისკაცი იყო, მუხლი ერჩოდა და ის ორი ამიტომაც ვერ აჰყოლოდნენ ფეხმარდობაში.

საკმაოდ შორს ჰყავდა თანამგზავრნი ჩამოტოვებული, როდესაც ივარ ივარსონს უცებ დაენახა, რომ ბილიკზე მისკენ ვიღაც კაცი მოდიოდა. იმ ადგილას საკმაოდ მეჩხერი იყო ტყე, ბუჩქნარიც არ ეფარებოდა თვალს და ივარს შორიდანვე დაენახა ეს კაცი, მაგრამ ცნობით კი ვერ ეცნო. ხეებს შორის ნისლის ნაფლეთები ლივლივებდნენ და მზის სხივებისგან ალაპლაპებულნი ოქროსებრ ბზინავდნენ. ამიტომაც ძნელი იყო მკაფიოდ რამეს გარჩევა ამ ბურუს-ჯანღში.

ივარ ივარსონს შეემჩნია, როგორც კი იმ კაცს თვალი მოეკრა მისთვის თვალი, მყის გახევებულა და შიშისგან შეძრწუნებულს, თითქოს თავს იცავსო, ხელები გაუსავსავებია. როდესაც ივარს კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადაუდგამს მისკენ, იგი მუხლებზე დაცემულა და უყვირია, არ მომეკაროო. შეშლილივით იქცეოდა თურმე. ივარ ივარსონს ფეხი აუჩქარებია, უნდოდა მალე მისულიყო მასთან და დაემშვიდებინა, მაგრამ იგი მსწრაფლ წამოვარდნილა ფეხზე და ტყის სიღრმისკენ გაქცეულა. თუმცა, შორს არ წასულა, სულ რამდენიმე ნაბიჯი თუ გადაუდგამს. მერე ერთბაშად მოცელილივით დავარდნილა მიწაზე და აღარც გან-

ძრეულა. როცა ივარ ივარსონი მასთან მისულა, მკვდარი დახვედრია.

ახლა კი იცნო ივარ ივარსონმა ეს კაცი: ინგილბერტ ბორდსონი ყოფილა, სწორედ იმ ბორდის შვილი, რომელიც ადრე ოლსბიუში ცხოვრობდა, მაგრამ მერე, როცა სახლ-კარი გადაეწვა, ხოლო ცოლმა თავი დაიხრჩო, საზაფხულო სეტერში გადასახლდა. ვერა და ვერ მიხვდა ივარი, ან რატომ წაიქცა ინგილბერტი, ანდა რამ მოკლა: ხელიც ხომ არავის დაუკარებია მისთვის. ცდილობდა, მოესულიერებინა, მაგრამ ამაოდ. როცა ის ორნიც წამოეწივნენ, მათაც ნახეს, რომ ინგილბერტი მკვდარი იყო. ბორდსონები ადრე ივარსონების მეზობლები იყვნენ ოლსბიუში და ტყეში დასატოვებლად ვერ გაიმეტეს მკვდარი ინგილბერტი; საკაცე გააკეთეს, ზედ დაასვენეს და თან წამოასვენეს.

როტმისტრი პირქუში გამომეტყველებით ისმენდა ამ ამბავს. სავსებით სარწმუნოდ ეჩვენა მონაყოლი. ინგილბერტი საკაცეზე ესვენა, ჩაცმულობაზე ეტყობოდა, შორი მგზავრობისთვის გამზადებულიყო: ზურგზე გუდა ეკიდა, ფეხზე ხამლები ეცვა. დათვზე სანადირო ოროლიც, გვერდით რომ ედო საკაცეზე, ალბათ, მისი იყო. ინგილბერტი უთუოდ უცხო მხარეში აპირებდა წასვლას ბეჭდის გასაყიდად; მაგრამ ტყის ნისლში ივარ ივარსონს შეხვედრია, რომელიც გენერლის აჩრდილი თუ ეგონა. რაღა თქმა უნდა! სწორედ ასე იყო! ივარ ივარსონს ჯარისკაცის ძველი მუნდირი ეცვა და ქუდის ფარფლებიც კაროლინურ ყაიდაზე ჰქონდა შემოკეცილი. ინგილბერტმა შემხვედრი იმიტომ ვერ იცნო, რომ ტყეში ნისლი იდგა, თანაც ერთმანეთისგან შორს იყვნენ და, რაც მთავარია, ცოდვამ დაუბრმავა თვალები.

როტმისტრი კი მაინც არ იყო კმაყოფილი. გულზე ცეცხლი მოეკიდა, ბოღმით აივსო, საკუთარი ხელით უნდოდა ინგილბერ-

ტის მოხრჩობა, არადა, ხედავდა, რომ გულს ვეღარ მოიოხებდა შურისძიებით.

მერე და მერე გონს მოეგო როტმისტრი და მიხვდა, რომ უსამართლოდ ექცეოდა ივარსონებს. თანდათან დამშვიდდა და ისიც კი უამბო, რა ედო გულში, თავის მსახურებთან დილითვე რომ მიაშურა ტყეს. ბოლოს დასძინა, მინდა ვიცოდე, კიდევ თან აქვს თუ არა მკვდარს ის ბეჭედიო.

როტმისტრს გულის სიღრმეში ისიც კი ეწადა, რომ ოლსბიუელ გლეხებს დაეშალათ ეს მისთვის. მაშინ ხომ საბაბი მიეცემოდა, იარაღით გაეტანა თავისი ნათქვამი. მაგრამ ივარსონებმა სავსებით ბუნებრივად მიიჩნიეს მისი მოთხოვნა და განზე გადგნენ, სანამ მსახურნი მკვდრის ჯიბეებს, გუდას, ხამლებს ჩხრეკდნენ და ტანსაცმლის ნაკერებსაც კი გულმოდგინედ ათვალიერებდნენ.

პირველად როტმისტრი ყურადღებით ადევნებდა თვალს ჩხრეკას, მაგრამ ანაზდად გლეხებს შეხედა და ისე მოეჩვენა, ვითომცდა ივარსონებმა დაცინვით გაუღიმეს ერთმანეთს, თითქოს დარწმუნებული იყვნენ, მაინც ვერ იპოვიანო.

მართლაც ასე მოხდა. ბეჭედი ვერ იპოვეს და ჩხრეკა შეწყვიტეს. ახლა როტმისტრმა სავსებით სამართლიანად ეჭვი მიიტანა გლეხებზე. იგივე აზრი დაებადათ მსახურებსაც. რა იქნა ბეჭედი? რაკი ინგილბერტმა გაქცევა გადაწყვიტა, ბეჭედსაც ხომ თან წამოიღებდა. მაშ, სადაა?

თუმცა, არც ახლა დაუნახავს ვინმეს გენერალი, მაგრამ ყველა მის იქ ყოფნას გრძნობდა. იგი ამ ხალხში გარეულიყო და ოლსბიუელ სამეულზე მიუთითებდა, ბეჭედი მაგათ აქვთო!

ალბათ, ჩვენზე ადრე მაგათ გადმოუბრუნეს ინგილბერტს ჯიბეები და ბეჭედიც იპოვესო.

შეიძლება მთელი ეს ამბავი გლეხებმა ახლა შეთხზეს. სინამდვილეში კი ყოველივე სხვაგვარად მოხდა. ვინ იცის, ეგებ ივარსონებმა, რომლებიც ბორდსონების თანასოფლელები იყვნენ, შეიტყვეს, რომ მეფის ბეჭედი მან ჩაიგდო ხელში. ვინ იცის, ეგებ ისიც გაიგეს, რომ ბორდი მოკვდა, და როცა ტყეში მის შვილს გადაეყარნენ, მაშინვე იაზრეს, ბეჭდიანად გაქცევას აპირებსო; ჰოდა, ისინიც თავს დაესხნენ ინგილბერტს და მოკლეს, რათა ბეჭედი მიეთვისებინათ.

ინგილბერტს სხეულზე დაშავების კვალი არ ეტყობოდა, მხოლოდ შუბლზე აჩნდა სისხლჩაქცევა. ივარსონებმა კი თქვეს, წაქცევის დროს ქვაზე დაარტყა თავიო, მაგრამ ეს ჩაშავებული კოპი იმ მსხვილი, ნუჟრებიანი კომბლისგანაც შეიძლებოდა დასჩენოდა, რომელიც პაულ ელიასონს ეჭირა ხელში!

როტმისტრი თვალებდახრილი იდგა. მტანჯველ შინაგან ჭიდილს განიცდიდა. კარგის მეტი არასოდეს არაფერი სმენია ამ გლეხებზე და ვერ დაეჯერებინა, რომ ისინი მკვლელები და ქურდები იყვნენ.

მსახურნი გარს შემოერტყნენ როტმისტრს. ზოგიერთი იარაღსაც აჟღარუნებდა, ფიქრით კი ყველა იმას ფიქრობდა, უჩხუბრად არ ჩაივლის ეს ამბავიო.

ამ დროს ერიკ ივარსონი მივიდა როტმისტრთან.

- მეც, ჩემი ძმაც და ჩვენი შვილობილიც, რომელიც მალე ჩემი სიძე უნდა გახდეს, ვხვდებით, რასაც ახლა ჩვენზე ფიქრობთ, ჰერ როტმისტრო, თქვენც და თქვენი ხალხიც, - მიმართა მან ლიოვენშოლდს, - ამიტომ, სანამ ერთმანეთს დავშორდებოდეთ, უმჯობესი იქნება, უბრძანო, ჯიბეებიც გაგვიჩხრიკონ და ტანსაცმელიც.

უგუნებოდ მყოფ როტმისტრს ამის გაგონებაზე გულს მოეფონა. ერთხანს იუარა კიდეც. აქაოდა, ივარსონებიც და მათი შვილობილიც ისეთი ხალხი ხართ, ეჭვს ვერ მივიტანთ თქვენზეო.

მაგრამ გლეხებმა გადაწყვიტეს, ბოლომდე მიეყვანათ ეს საქმე. ამიტომ თვითონვე ამოიბრუნეს ჯიბეები და ხამლებიც წაიძვრეს ფეხიდან. როტმისტრმა ახლა კი ანიშნა მსახურებს, რადგან ეგრეა, აუსრულეთ ნათქვამი და გაჩხრიკეთო.

ბეჭედი მაინც ვერ ნახეს, თუმცა, არყის ხის ქერქის მომცრო კასრში, რომელსაც ივარ ივარსონი ზურგზე მოკიდებულს ატარებდა, ტარსიკონის ქისა იპოვეს.

- ეგ თქვენი ქისაა? - ჰკითხა როტმისტრმა მას შემდეგ, რაც ნახა, რომ შიგ არაფერი იყო.

ივარ ივარსონს რომ ეპასუხა, - ჩემიაო, ამით დასრულდებოდა ყველაფერი, მაგრამ ამის ნაცვლად მან მშვიდად აღიარა:

- არა, ჩვენი არ არის. ბილიკზე ეგდო, იმ ადგილის ახლოს, სადაც ინგილბერტი წაიქცა. მეც ავიღე და, რაკი ვნახე, რომ ახალი იყო, კასრში ჩავიგდე.

როტმისტრი კვლავ მოიღუშა.

- ჰო, მაგრამ სწორედ ასეთ ქისაში იდო ბეჭედი, როდესაც პასტორმა ინგილბერტს მიუგდო, - თქვა მან მწყრალად, - ახლა კი სხვა გზა აღარ გაქვთ, ივარსონებო, ან თქვენი ნებით უნდა დამიბრუნოთ ბეჭედი, ან კიდევ ლენსმანთან გამომყვეთ.

ოლსბიუელ გლეხებს მოთმინების ფიალა აევსოთ.

- თქვენ არა გაქვთ იმის უფლება, ჰერ როტმისტრო, რომ დილეგში ჩასამწყვდევად წაგვიყვანოთ, - წარმოთქვა ერიკ ივარსონმა და ხელი წამოავლო იარაღს, ინგილბერტის გვერდით რომ იდო, რათა ასე გაეკაფა გზა. ერიკს მაშინვე გვერდით ამოუდგნენ ძმა და სასიძო.

გაოგნებულმა ჰედებიუელებმა უცებ უკან დაიხიეს და თითქმის დაეჯახნენ როტმისტრს, რომელმაც გაიცინა სიხარულისგან, რაკი შესაძლებლობა მიეცა, ძალის გამოყენებით გაექარვებინა დაგროვილი ბოღმა. მყის ხმალი იძრო და ოროლს დაჰკრა.

მაგრამ ეს იყო ერთადერთი საბრძოლო გმირობა, რომელიც ამ ომში ჩაიდინა. მსახურებმა მაშინვე გააკავეს იგი და ხმალიც მაშინვე გამოსტაცეს ხელიდან.

ისე მოხდა, რომ ლენსმან კარელიუსსაც სწორედ იმ დილით მონდომებოდა ტყეში წასვლა. და აი, სწორედ ამწუთას გამოჩნდა იგი ბილიკზე ჩაფრის თანხლებით. ხელახლა დაიწყო ძებნა და დაკითხვა, მაგრამ ყოველივე ეს მაინც იმით დაბოლოვდა, რომ ერიკ ივარსონი, მისი ძმა ივარი და მათი შვილობილი პაულ ელიასონი დააპატიმრეს და დილეგში ჩაყარეს როგორც მკვლელობასა და ძარცვაში ეჭვმიტანილები.

VII

გულახდილად უნდა ვაღიაროთ, რომ ვერმლანდში იმხანად ვრცელი ტყეები გვქონდა, სახნავ-სათესი კი მცირე; ეზოები დიდი, სახლები კი პატარა; გზები ვიწრო, გორაკები კი ციცაბო; კარი დაბალი, ზღურბლი კი მაღალი; ეკლესიები უშნო, წირვა კი გრძელი; სიცოცხლე ხანმოკლე, დარდი კი აურაცხელი, მაგრამ ვერმლანდელები უიმედობას არ ეძლეოდნენ, არც ვიშვიშებდნენ.

ხან ყინვა ზრავდა ნათესებს, ხან ნადირი დაერეოდა ნახირს, ან კიდევ სისხლიანი ფაღარათი ბავშვებს: და მაინც, ვერმლანდელები თითქმის მუდამ ინარჩუნებდნენ სულის მხნეობას. თორემ ისე რა გააძლებინებდათ?

მაგრამ იქნებ ამის მიზეზი ნუგეში იყო, რომელიც ყოველ ოჯახში ბინადრობდა; ნუგეში, რომელიც ერთნაირად წყალობდა მდიდარსაც და ღარიბსაც; ნუგეში, რომელიც არასოდეს ღალატობდა ადამიანებს და არასოდეს იღლებოდა მათ სამსახურში.

მაგრამ ნუ იფიქრებთ, თითქოს ეს ნუგეში იყო რაღაც ზეამაღლებული ან რაღაც საზეიმო, მსგავსი ღვთიური სიტყვის, სუფთა სინდისის ან ბედნიერი სიყვარულისა. მით უმეტეს, ნუ იფიქრებთ, თითქოს ეს საძრახისი რამ ყოფილიყოს, ლოთიფოთობის ან ყომარბაზობის მსგავსი! არა, ყოვლად უმანკო და საყოველდღეო რამ გახლდათ: სრულიად ჩვეულებრივი ცეცხლის ალი იყო ეს, ზამთარში გამუდმებით რომ გიზგიზებდა კერიაში საღამოობით.

ღმერთო ჩემო, რა სილამაზესა და მყუდროებას ქმნიდა იგი ყოვლად უბადრუკ ქოხშიც კი! როგორ ელაზღანდარებოდა ოჯახის წევრებს საღამო ხანს! ტკაცატკუცი გაჰქონდა, ნაპერწკლებს ყრიდა, გეგონებოდათ, დედაწულიანად ყველას დასცინისო. ხან კიდევ დუჟმორეული შიშინებდა, თითქოს ვიღაც ბუზღუნასა და ბრაზიანს აჯავრებსო. ზოგჯერ ნუჟრიანი შეშა შეხვდებოდა და წვალობდა. მაშინ ოთახში შემხუთველ კვამლს დააყენებდა, თითქოს ადამიანებს საყვედურობდა, უხეიროდ მასაზრდოებთო. ხანდახან, სწორედ მაშინ, როცა სახლში გახურებული მუშაობა იყო, ღადარში გაინაბებოდა და ადამიანებს მეტი რა ჩარა ჰქონდათ, ხელები მუხლებზე უნდა დაეწყოთ და გულიანად ეცინათ, სანამ ნაკვერჩხლიდან ხელახლა არ აბრიალდებოდა ალი. მაგრამ ყველაზე მეტად ცეცხლი გიჟმაჟობდა მაშინ, როცა დიასახ-

ლისი სამფეხზე ქვაბს შედგამდა და კერძის მოხარშვას დაიწყებდა. ცეცხლი ხან თვინიერად იქცეოდა, დამჯერე იყო და სწრაფად და მარჯვედ აკეთებდა თავის საქმეს, ხან კი საათობით ელაქუცებოდა ქვაბს და ფაფის ადუღებას საშველს არ დააყენებდა ხოლმე.

სამაგიეროდ, როგორი სიხარულით უბრწყინდებოდა თვალები ოჯახის თავკაცს, როცა ავდარში თავით ფეხებამდე გალუმპული და გათოშილი შინ დაბრუნდებოდა და ცეცხლი სითბოს შეაგებებდა, მყუდროებას დაახვედრებდა! რა საამო იყო იმის გაფიქრება, რომ ცეცხლი ფხიზლობს, კაშკაშა შუქს გამოსცემს ზამთრის წყვდიად ღამეში, გზის მანათობელ ვარსკვლავად ევლინება მიუსაფარ მგზავრს და შიშის ზარს სცემს მგელსა და ფოცხვერს!

მაგრამ კერიაში გაჩაღებულ ცეცხლს განა მხოლოდ გათბობა, განათება და კერძის მოხარშვა ეხერხებოდა; განა მხოლოდ ელვარების, ტკაცუნის, ბოლვისა და ხრჩოლის უნარი ჰქონდა. მას იმის ძალაც შესწევდა, რომ ადამიანის სულში მოლხენის სურვილი აღეძრა, რამეთუ სხვა არა არის რა ადამიანის სული, თუ არა მოკისკასე ალი.

დიახ, სული ცეცხლია! იგი ინთება თვით ადამიანში, გარს ერტყმის მას, თავს დასტრიალებს, სწორედ ისე, როგორც ცეცხლი ედება ნედლ შეშას, გარს უვლის და ელაციცება. როდესაც ზამთარში საღამოობით ადამიანები შემოუსხდებოდნენ აბრიალებულ ცეცხლს და საათობით მდუმარედ მისჩერებოდნენ კერიას, ცეცხლი სათითაოდ გამოელაპარაკებოდა ხოლმე მათ თავის ენაზე.

- დობილო სულო, - იტყოდა ალი, - განა შენც ისეთივე ალი არა ხარ, როგორიც მე? მაშ, რატომღა ხარ ასე დაღვრემილი, დამწუხრებული?

- ძმობილო ცეცხლო, - პასუხობდა ადამიანის სული, - შეშას ვჩეხდი, მთელი დღე ვსაქმიანობდი, იმის ძალაღა შემრჩა, რომ ჩუმად ვიჯდე და გიყურო.

- ვიცი, - მიუგებდა ცეცხლი, - მაგრამ აი, მოსაღამოვდა. ახლა ჩემსავით მოიქეცი! იგიზგიზე, გალაღდი, სითბო და სინათლე ათამაშე.

სულები უჯერებდნენ ცეცხლს და იწყებდნენ თამაშს. ჰყვებოდნენ ზღაპრებს, იგონებდნენ თავსატეხ გამოცანებს, აწრიპინებდნენ ვიოლინოს, ათასნაირად აჩუქურთმებდნენ ავეჯსა და სამეურნეო იარაღებს. ერთობოდნენ ნაირ-ნაირი თამაშობებით, მღეროდნენ, ასრულებდნენ ფანტის დანაკისრს, იხსენებდნენ ძველ ანდაზებს. ასე თანდათან თბებოდა გათოშილი სხეული და ლღვებოდა გაბოროტებული გულიც. ადამიანებს რწმენა და ხალისი უბრუნდებოდათ. ცეცხლი და კერიასთან გათბობა ძალას მატებდა მათ, კვლავაც მედგრად შესჭიდებოდნენ ღარიბულ, დუხჭირ ცხოვრებას. ისე როგორ ჩაივლიდა კერიასთან გამართული მხიარულება, ათასნაირი სათავგადასავლო და საგმირო ამბები არ მოეთხროთ! მონაყოლით ერთობოდნენ მოხუცნიც და ახალგაზრდებიც. ბოლო არ უჩანდა ძველ ამბებს; ღვთის მადლით, ამქვეყნად არასოდეს გამოლეულა საგმირო საქმე და სახიფათო თავგადასავალი, მაგრამ კარლოსის მეფობის ხანამ მაინც ყველაფერს გადააჭარბა. კარლოს მეფე გმირი იყო გმირთა შორის და სათვალავი არ ჰქონდა მისი და მისი მეომრების მამაცობის ამბებს! ამ თქმულებებს ბოლო ვერ დაუდო მისი ძალაუფლების დასასრულმა, ვერც თვით მეფის გარდაცვალებამ. თქმულებები ცოცხლდებოდნენ მისი სიკვდილის შემდეგაც, ეს იყო მისი უძვირფასესი მემკვიდრეობა.

ყველაზე მეტად თვით მეფეზე უყვარდათ ლაპარაკი. ამის შემდეგ უეჭველად ჰედებიუს მეპატრონე გენერლის ამბებსაც მოჰ-

ყვებოდნენ ხოლმე. გენერალი მათ პირადადაც ენახათ, ბევრჯერაც ესაუბრათ მასთან, ამიტომ თავით ფეხამდე შეეძლოთ მისი აღწერა.

ისეთი ღონიერი ყოფილა თურმე ეს კაცი, ნალს მოღუნავდა, ვითომც არაფერიო. ერთხელ ვიღაცას უთქვამს მისთვის, სმედსბიუში, სვარტშოს ხეობაში, ერთი მჭედელი ცხოვრობს, გენერალი წასულა ხეობაში, უნახავს იქაური მჭედელი მიქელი და ცხენი დამიჭედეო, უთხოვია. როცა მიქელს სამჭედლოდან გამზადებული ნალი გამოუტანია, გენერალს უთქვამს, თუ შეიძლება ჯერ მე მაჩვენეო. ნალი საგულდაგულოდ იყო გამოჭედილი, მაგრამ გენერალს რომ უნახავს, ხარხარი დაუწყია.

- ამას ეძახი ნალს? - უთქვამს და ისე მოუღუნია, შუაზე გადაუტეხია.

მჭედელს შეშინებია. უფიქრია, ეს რა მომივიდა, რა უხეირო ნამუშევარი გამომსვლიაო.

- ნალს, ალბათ, ბზარი ჰქონდაო, - უმართლებია თავი. შევარდნილა თურმე სამჭედლოში და მეორე გამოუტანია.

ამ მეორე ნალსაც იგივე დღე დაადგა, მაგრამ ახლა თითქოს მარწუხით იყო მოღუნული და გადამტვრეული შუაზეო. ღმერთმანი, ასე იყო. მაგრამ ახლა მჭედელს საეჭვოდ მიუჩნევია ეს ამბავი.

- შენ ან თვით კარლოს მეფე ხარ, ან კიდევ ბენგტი ჰედებიუდან, - უთქვამს გენერლისთვის.

- ყოჩაღ, მიქელ, სწორად გამოიცანი, - შეუქია გენერალს მჭედელი, ოთხი ახალი ნალის საფასური გადაუხდია და იმ ორისაც, რომლებიც დაამტვრია. ბევრ სხვა რამესაც ჰყვებოდნენ გენერალზე, სალაპარაკო გამოულეველი ჰქონდათ, და მთელ მაზრაში ერთი კაციც არ მოიძევებოდა, რომელსაც არა სცოდნოდეს მხცოვანი ლიოვენშოლდის ამბავი და მისი პატივისმცემელი, მი-

სი მოთაყვანე არ ყოფილიყოს. და რა თქმა უნდა, ყველამ იცოდა გენერლის ბეჭდის ამბავი, იცოდნენ, როგორ ჩააყოლეს კუბოში ეს ბეჭედი; მაგრამ ადამიანის სიხარბეს საზღვარი არა ჰქონია და მოუპარავთ ეს ბეჭედი გენერლისთვისო.

ახლა ადვილი წარმოსადგენია, რა ცნობისმოყვარეობის ჟინი შეიპყრობდა ამ ხალხს, რა მოუსვენრობაში ჩავარდებოდნენ, როცა შეიტყობდნენ, რომ ბეჭედი ჯერ გამოჩნდა, მერე ისევ დაიკარგა, და რომ ინგილბერტი მკვდარი ნახეს ტყეში, ხოლო ოლსბიუელ გლეხებს ბეჭდის ქურდობა ჰბრალდებოდათ და ამიტომ დილეგში არიან გამომწყვდეულნიო.

როდესაც მრევლი საკვირაო წირვის შემდეგ ნაშუადღევს ეკლესიიდან სახლში ბრუნდებოდა, შინ მყოფნი მოუთმენლად ელოდნენ, როდის გამოიცვლიდნენ ოჯახის წევრები საგარეო ტანსაცმელს და წაიხემსებდნენ, რომ მერე სიტყვასიტყვით მოეყოლებინათ, რა ითქვა სასამართლოზე, რა აჩვენეს მოწმეებმა, რაში გამოტყდებოდნენ ბრალდებულნი, ანდა როგორი იქნებოდა ხალხის აზრით განაჩენი.

სხვა სალაპარაკო არაფერი ჰქონდათ. ყოველ საღამოს მდიდრულ სახლებში თუ ღარიბულ ქოხმახებში, ტორპარები თუ შეძლებული გლეხები ცეცხლთან ისხდნენ და ამ საქმეზე ლაპარაკობდნენ.

საშინელი ამბავი იყო, თანაც ყოვლად გასაკვირველი, ამიტომაც ჭირდა მისი სამართლიანი განჭვრეტა. ძნელი იყო საბოლოო გადაწყვეტილების მიღება, რადგან შეუძლებელი იყო იმის დაჯერება, რომ ივარსონებმა და მათმა ნაშვილებმა მოკლეს ადამიანი ბეჭდისთვის, რაგინდ ძვირფასიც უნდა ყოფილიყო იგი.

აი, თუნდ ერიკ ივარსონზე ვთქვათ. მდიდარი კაცი იყო, დიდი ადგილ-მამულებისა და მრავალი სახლის პატრონი. თუ რაიმე

გასაკილავი ჰქონდა ამ კაცს, ეგ იყო, მეტისმეტად ამაყი გახლდათ. ჰოდა, რა განძი უნდა გამოჩენილიყო ამ ქვეყანაზე, რომ ასეთ კაცს უკეთური საქციელი ჩაედინა.

მის ძმა ივარზე ხომ მით უმეტეს არ შეიძლებოდა ეჭვის მიტანა. მართალია, თვითონ ღარიბი კი იყო, მაგრამ ძმასთან მზამზარეულზე ცხოვრობდა და რასაც ისურვებდა, უარს არაფერზე ეუბნებოდნენ. ისე უზომოდ გულკეთილი იყო, რომ რაც კი რამ ებადა, სულ სხვებს ურიგებდა. ნუთუ ასეთ კაცს აზრად მოუვიდოდა კაცის მოკვლა და გაძარცვა?

პაულ ელიასონზე კი ყველამ იცოდა, რომ ივარსონების ოჯახში დიდ პატივში ჰყავდათ და მალე ცოლად უნდა შეერთო მარიტ ერიკსდოტერი, ერიკ ივარსონის ერთადერთი მემკვიდრე. თუმცა, სწორედ მასზე უფრო შეიძლებოდა ეჭვის მიტანა: იგი ხომ უცხო ქვეყნის შვილი იყო, უცხოელები კი, როგორც ცნობილია, დიდ ცოდვად არ მიიჩნევენ ქურდობასო. ივარ ივარსონმა, ტყვეობიდან რომ დაბრუნდა, მაშინ ჩამოიყვანა თან პაული. ბიჭუნა სამი წლისა დაობლებულიყო და ივარსონი რომ არა, შიმშილით ამოხდებოდა თურმე სული თავის ქვეყანაში. ივარსონებმა ზნეკეთილად აღზარდეს იგი, ასე რომ, ყმაწვილი კეთილსინდისიერებასა და სამართლიანობაში ტოლს არავის დაუდებდა. მარიტ ერიკსდოტერთან ერთად იზრდებოდა იგი და ბოლოს შეუყვარდათ კიდეც ერთმანეთი. ამიტომ ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ბედნიერება და სიმდიდრე ელოდა, უცებ ადგებოდა და ყველაფერს სასწორზე დადებდა ბეჭდის მოპარვით.

მაგრამ, მეორე მხრივ, არ შეიძლებოდა გენერლის დავიწყება, რომლის შესახებაც ხალხმა ათასგვარი თქმულება იცოდა ბავშვობიდანვე. გენერალი, რომელსაც ლამის საკუთარ მამაზე უკეთ იცნობდნენ; გენერალი, ბრგე, მამაცი, ღონიერი, სახელო-

ვანი. ახლა კი რა, მკვდარ ვაჟკაცს მისთვის ყველაზე ძვირფასი ნივთი მოჰპარეს.

გენერალმა იცოდა, რომ როცა ინგილბერტ ბორდსონი სახლიდან გაიქცა, ბეჭედი თან ჰქონდა, თორემ ინგილბერტი სამშვიდობოს გააღწევდა და არ მოკვდებოდა. გენერალმა დანამდვილებით ისიც იცოდა, რომ ბეჭედი მერე ოლსბიუელმა გლეხებმა მოიპარეს, თორემ ისინი არც როტმისტრს გადაეყრებოდნენ გზაზე და არც დაჭერილები იქნებოდნენ ახლა.

მართლაც ძნელი იყო ამ საქმეში სიმართლის დადგენა, მაგრამ გენერლისადმი ისეთი მოწიწება ჰქონდა ყველას, თვით კარლოს მეფეზე მეტად ეიმედებოდათ. ჰოდა, ღარიბულ ქოხებში გამართულ სასამართლო პროცესებზე ყველამ გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანა დაპატიმრებულთ.

რაოდენ დიდად გაკვირვებული დარჩა ყველა, როცა შეიტყვეს, რომ მაზრის სასამართლომ, რომელიც ბრუბიუში ერთი გორაკის თავზე განთავსებულ სამსჯავრო პალატაში ბჭობდა ამ საქმეზე, ზედმიწევნით კი გამოიკვლია ყოველივე, მაგრამ რადგან გლეხები ვერაფრით გაამტყუნა და არც მათ აღიარეს დანაშაული, იძულებული გახდა, გაემართლებინა ისინი და მოეხსნა მკვლელობისა და ძარცვის ბრალდება.

თუმცა, არ გაუთავისუფლებიათ ისინი, ვინაიდან მაზრის სასამართლოს განაჩენი ჯერ მეფის სასამართლოს უნდა დაემტკიცებინა, ხოლო მეფის სასამართლომ ოლსბიუელი გლეხები დამნაშავეებად ცნო და ჩამოხრჩობა მიუსაჯა.

მაგრამ არც ეს განაჩენი მოიყვანეს სისრულეში, რადგან ახლა იგი თვით მეფეს უნდა დაემტკიცებინა.

მეფემაც თავისი ხელმწიფური სიტყვა თქვა და საბოლოო განაჩენი საჯაროდ გამოაცხადა; იმ დღეს ეკლესიიდან მობრუნე-

ბულ ხალხს სადილი არც გახსენებია, ერთი სული ჰქონდათ, შინ დარჩენილებისთვის ეამბათ განაჩენის შინაარსი.

განაჩენი კი იუწყებოდა, რომ რომელიღაც ბრალდებული მკვლელი და ქურდია, მაგრამ ვინაიდან არც ერთმა მათგანმა თავი არ ცნო დამნაშავედ, ღმერთმა განსაჯოს ისინიო. ამრიგად, გადაწყდა, რომ ერთ-ერთ უახლოეს თინგზე ისინი კამათელში უნდა გაეჯიბრონ ერთმანეთს მოსამართლის, მსაჯულებისა და მთელი მრევლის თანდასწრებით. ვინც ყველაზე ნაკლებს გააგორებს, მაშასადამე, ბრალიანიც ის ყოფილა და დანაშაულის ჩადენისთვის ჩამოახრჩობენ.

გონივრული და სამართლიანი იყო განაჩენი. ვერმლანდის მთელი მოსახლეობა კმაყოფილი დარჩა. ხომ ბრწყინვალედ მოიქცა მოხუცი მეფე, მედიდურობა რომ არ გამოიჩინა, აქაოდა, მე სხვებზე უკეთ გავერკვევი ამ ბნელ საქმეშიო, და ყოვლისმხილველს უხმო მსჯავრმდებლად? ახლა კი მართლაც სარწმუნო იქნება ის, რაც გამომზეურდება.

თანაც ამ სასამართლო საქმეში ერთი რამ იყო განსაკუთრებული. განა თუ ადამიანი უჩიოდა ადამიანს: დავაში მოსარჩელე მიცვალებული იყო - მიცვალებული, რომელიც მოითხოვდა თავისი საკუთრების დაბრუნებას. ყველა სხვა შემთხვევაში იქნებ მართლაც საჭოჭმანოდ გაეხადათ კამათლების გამოყენება, მაგრამ ამჯერად ეს პირდაპირ ზედგამოჭრილი იყო. განსვენებულმა გენერალმა ხომ ნამდვილად იცოდა, ვინ მოიპარა მისი ავლადიდება. მეფის განაჩენის ყველაზე დიდი ღირსება სწორედ ის იყო, რომ იგი მხცოვან გენერალს შესაძლებლობას აძლევდა, დაესაჯა ან შეეწყნარებინა ბრალდებულნი.

იქნებ ისეც იყო, რომ ფრედერიკ მეფეს საბოლოო გადაწყვეტილება გენერლისთვის სურდა მიენდო. იქნებ ომიანობის

დროსვე იცნობდა მას და იცოდა, რომ სანდო კაცი გახლდათ იგი. თუმცა, ძნელი სათქმელია, მართლაც ასე იყო თუ არა!

ეს კია, რომ ყველას აუცილებლად უნდოდა თინგზე დასწრება იმ დღეს, როცა ღვთის განაჩენი გამოცხადდებოდა. შინ მხოლოდ ისინი დარჩნენ, ვინც იმდენად დავრდომილი იყო სიბერისგან, სიარული აღარ შეეძლო, ან ვინც ისე ჩვილი იყო, ჯერ ოთხზე ხოხვაც არ ძალუძდა. ყველა დანარჩენი კი გზას დაადგა. ასეთი ღირსშესანიშნავი მოვლენა დიდი ხანია აღარ ახსოვდათ. აბა, იმას ვინ იკმარებდა, სხვებისგან შეეტყოთ, როგორ დამთავრდა ყოველივე. არა, აუცილებლად პირადად უნდა დასწრებოდნენ საჯარო სასამართლოს.

მართალია, სამოსახლოები მაშინ შორიშორს იყო მიმოფანტული მთელ მხარეში, ისიც მართალია, დიდ მანძილს ისე გაივლიდა კაცი, სულიერსაც ვერსად შეხვდებოდა, მაგრამ როცა მთელმა მაზრამ ერთ მოედანზე მოიყარა თავი, ყველა გაოცდა - აუჰ, ეს რამდენი ვყოფილვართო! ფუტკრის ნაყარი შავად რომ დაიხუნძლება სკის თავზე ზაფხულის მცხუნვარე დღეს, იმას ჰგავდნენ სასამართლო პალატის წინ შეკრებილნი, ისე მჭიდროდ იყვნენ ერთმანეთთან მიკრულნი. და კიდევ იმითაც ჰგავდნენ ფუტკრის ნაყარს, რომ რაღაცნაირ უჩვეულო გუნებაზე იყვნენ. მოზეიმე იერით როდი დუმდნენ, როგორც მუდამ სჩვეოდათ ეკლესიაში ყოფნისას; არც მხიარულნი და გულთბილნი იყვნენ, როგორც ბაზრობაზე ყოფნისას: გაბოროტებულნი მოუთმენლად შფოთავდნენ, სიძულვილისა და შურისძიების გრძნობას დაეთრო და გაებრუებინა ეს ხალხი.

ან რა გასაკვირი იყო. დედის რძესთან ერთად ჰქონდათ შეთვისებული ძრწოლა ბოროტმოქმედთა წინაშე. კანონგარეშე გამოცხადებული მაწანწალების ამბებს უმღერდნენ ჩვილებს ძილისპირულში. ბავშვობიდანვე შეისისხლხორცეს რწმენა, რომ

ყველა ქურდი და მკვლელი გადაგვარებული და ეშმაკის ნაშიერი იყო, ადამიანებად არც კი მიიჩნევდნენ მათ. ამიტომ ასეთი არაადამიანებისადმი ლმობიერების გამოჩენა აზრადაც არავის მოუვიდოდა. მათ იცოდნენ, რომ სწორედ ასეთ საზიზღართ და გათახსირებულთ ელოდათ ახლა მკაცრი განაჩენი და გულით უხაროდათ ეს. „დიდება შენდა, უფალო, ახლა კი ბოლო მოეღება სისხლისმსმელ ეშმას, - ფიქრობდნენ ისინი, - ამის შემდეგ ხომ ვეღარაფერს გვავნებს იგი“.

კიდევ კარგი, რომ ღვთის სამსჯავრო იმართებოდა არა სასამართლო პალატაში, არამედ ღია ცის ქვეშ. მაგრამ რა? ჯარისკაცთა ასეული ღობესავით გამწკრივდა მოედანზე სასამართლო პალატის წინ და ახლოს მისვლა შეუძლებელი გახდა; გამწკრივებული ხალხი ლანძღვა-გინებით იკლებდა ჯარისკაცებს, გზა რად გადაგვიღობეთო. სხვა დროს ამას როგორ იკადრებდნენ, მაგრამ ახლა ყველა უტიფრობდა, თავხედობდა.

ეს ხალხი დილაადრიანვე გამოიკრიფა სახლებიდან, რათა რაც შეიძლება ახლოს მისულიყო ჯარისკაცთაგან აღმართულ ღობესთან და გული გადალეული ჰქონდა ამდენი ლოდინისგან. აბა, რა გასართობი ექნებოდათ მთელი ამ ხნის განმავლობაში. ერთი ის იყო, რომ სასამართლო პალატიდან სასამართლოს ბოქაული გამოვიდა და შუა მოედანზე ვეებერთელა დოლი დადგა. ამან ცოტა გაახალისა ხალხი, რაკი მიხვდნენ, პალატაში მყოფი მოსამართლეები საღამომდე აპირებდნენ ამ საქმის დასრულებას. მერე სასამართლოს ბოქაულმა მაგიდა და სკამიც გამოიტანა და საწერ-კალამიც მოაყოლა მწერლისთვის. ბოლოს რომ გამოვიდა, ხელში ერთი მომცრო კათხა ეჭირა, რომელშიც კამათლები ჩხრიალებდნენ. ბოქაულმა რამდენჯერმე გადმოყარა ისინი დოლის ტყავზე. ალბათ, იმიტომ გააკეთა ეს, რომ დარწმუნე-

ბულიყო, კამათლები ყალბი ხომ არ არის და სხვადასხვანაირად ხომ არ ჯდებაო.

იგი იმავ წუთს უკანვე შებრუნდა პალატაში. ეს სულაც არ იყო გასაკვირი, ვინაიდან გამოჩნდებოდა თუ არა პარმაღზე, მაშინვე ლანძღვასა და დაცინვას უწყებდნენ. სხვა დროს ამას არავინ იკადრებდა, მაგრამ იმ დღეს ხალხი გადარეულიყო.

მოსამართლე და მსაჯულები ჯარისკაცების საფარმა რაზმმა სასამართლო პალატისკენ გაატარა, ზოგნი ცხენებზე იყვნენ ამ-ხედრებულნი, ზოგიც თავისი ფეხით მივიდა პალატაში. ყოველი მათგანის გამოჩენას ბრბო ჟივილ-ხივილით ხვდებოდა. ჩურ-ჩულს ვინ სჯერდებოდა, როგორც წინათ სჩვეოდათ, ქება--დიდების თუ ლანძღვა-გინების სიტყვებს ხმამაღლა, ყველას გა-საგონად გაჰყვიროდნენ და არავის ძალუძდა ამის დაშლა. თინ-გის მომლოდინენი მეტისმეტად ბევრნი იყვნენ და თანაც ისეთ ხალხს მოეყარა თავი, რომ მათთან ვერავინ ვერაფერს გახდე-ბოდა. მოვიდა წარჩინებული დიდკაცობაც, ისინიც შეუშვეს სასა-მართლო პალატაში. ჰედებიუდან მობრძანდა ლიოვენშოლდი, ბრუდან - პასტორი, ეკებიუდან - ქარხნის მეპატრონე, ჰელგესე-ტერიდან - კაპიტანი და კიდევ ბევრი სხვა. პალატისკენ მიმა-ვალთ ესმოდათ ხალხის ქირდვა, აქაოდა, ყველას ასე ხომ არ გაუღიმებს ბედი, რომ ყოველგვარი ჩხუბისა და ჭეჭყვის გარეშე წინა რიგებში მოთავსდესო; ბევრ სხვა რამესაც მისძახოდნენ მათ.

მეტი გასალანძღი რომ აღარავინ ჰყავდათ, ახლა ერთი ქა-ლიშვილი ამოიღეს თვალში და მის კილვას მოჰყვნენ. ეს ტან-მორჩილი, კაფანდარა გოგონა სულ იმის ცდაში იყო, რაც შეიძ-ლება წინ დამდგარიყო. კაცებს ეს აღიზიანებდა და ამიტომ ხან ერთი, ხან მეორე ცდილობდა, წინ ჩამოჰფარებოდა. მაგრამ რო-გორც კი ვინმე მოახერხებდა მის ახლოს მისვლას, ქალიშვილის

გვერდით მყოფნი მაშინვე მიაძახებდნენ, ეს გოგო ელსბიუელი ერიკ ივარსონის ქალიაო. ამის გაგონებაზე ყველანი უკან იხევდნენ და იმ კარგ ადგილს აღარ ეცილებოდნენ.

სამაგიეროდ, ისევ განაგრძობდნენ დაცინვას, გესლიანად ეკითხებოდნენ ქალიშვილს, ვინ უფრო გემეტება ჩამოსახრჩობად, - მამა თუ საქმროო და უკვირდათ, რა უფლებით დგას ქურდი კაცის ქალიშვილი უკეთეს ადგილზეო.

შორეული ტყეებიდან მოსულთ კი მხოლოდ ის აოცებდათ, რა მოთმინება ჰყოფნის ამ გოგოს, მოედანს რომ არ შორდებაო. მაგრამ მათ სხვა, უფრო გასაოცარ ამბებს უყვებოდნენ ამ გოგონაზე. დიდი უტეხი ვინმეა, შიშს გულში არ გაივლებს. აქამდეც ყველა სასამართლოს ესწრებოდა და ერთი ცრემლიც არ გადმოვარდნია, ისე მშვიდად იყოო. გოგონა დროდადრო თავს უქნევდა ბრალდებულთ და ისე უღიმოდა, თითქოს დაჯერებული იყო, ხვალვე სამივეს გაათავისუფლებდნენ. ბრალდებულებსაც ვაჟკაცობა ემატებოდათ, რადგან იმედი ჰქონდათ, რომ ამქვეყნად ერთი ადამიანი მაინც არსებობდა, ვისაც მათი უდანაშაულობა სჯეროდა. ადამიანი, ვისაც სწამდა, რომ ერთი ოქროს ბეჭდის გულისთვის მისიანები არ გაბრიყვდებოდნენ და დანაშაულს არ ჩაიდენდნენ.

სასამართლო დარბაზში ისე თვინიერად მჯდარა ეს ლამაზი და მოკრძალებული ქალიშვილი, რომ ერთი კაცის გულისწყრომაც არ გამოუწვევია. თვით მოსამართლე და მსაჯულები, თვით ლენსმანიც კი კეთილმოწყალედ განწყობილან მისდამი. თუმცა, თავად ეს არსად დასცდენიათ, მაგრამ ხმა მაინც დაირხა, მაზრის სასამართლო არამც და არამც არ გაამართლებდა ბრალდებულთ, სასამართლოზე ის გოგო რომ არ ყოფილიყოო. შეუძლებელი იყო იმის დაჯერება, რომ იმ ადამიანებს, ვინც ასე უყვარდა მარიტ ერიკსდოტერს, ბოროტმოქმედება ჩაედინათ.

და აი, ახლაც აქ იყო მარიტი, რათა პატიმრებს დაენახათ იგი. აქ იდგა, ვით მტკიცე ბურჯი მათი ნუგეშისა. მას უნდა ელოცა ამ ადამიანებისთვის მძიმე განსაცდელის ჟამს, მათი სულები უნდა შეევედრებინა ღვთის მოწყალებისთვის.

ვინ იცის! ხომ ნათქვამია, ხემ მოისხა ხილიო, რაც დედაა, ის შვილიო; ეს კია, გარეგნულად კეთილი და უმწიკვლო ჩანდა ეს გოგო, გულიც, ალბათ, მოსიყვარულე ჰქონდა, თორემ რა გააჩერებდა ამ მოედანზე.

ალბათ, ესმოდა, როგორ კილავდნენ, მაგრამ სიტყვაც არავისთვის უკადრებია, არც ატირებულა, არც გაქცევა განუზრახავს. იცოდა, რომ საბრალო პატიმრებს გაუხარდებოდათ მისი ნახვა. ამ ზღვა ხალხში ის ხომ ერთადერთი იყო, ვინც მთელი სულით და გულით თანაუგრძნობდა მათ.

მაგრამ, რაც უნდა იყოს, ამაოდ არ ჩაუვლია მის აქ ყოფნას. ამ ხალხში ერთ-ორ კაცს მაინც ჰყავდა მარიტივით მშვიდი, გულმოწყალე და უმწიკვლო გოგონა. ეს ადამიანები გულის სიღრმეში გრძნობდნენ, რომ სულაც არ ისურვებდნენ, მარიტის ადგილას მათი ქალიშვილი ყოფილიყო.

ერთი-ორი კაციც გამოჩნდა, რომლებიც გამოექომაგნენ გოგონას და შეეცადნენ, გაეჩუმებინათ თავგასული ყიამყრალები...

მარტო იმიტომ კი არა, რომ მათ გაუთავებელ ლოდინს ბოლო მოეღო, არამედ იმიტომაც, რომ მარიტ ერიკსდოტერს თანაუგრძნობდნენ, ყველამ შვებით ამოისუნთქა, როცა პალატის კარი გაიღო და სასამართლო დაიწყო. ჯერ იყო და, საზეიმო იერით გამოიარეს სასამართლოს ბოქაულმა, ლენსმანმა და პატიმრებმა, რომელთაც, ის-ის იყო, ბორკილები ახსნეს, თუმცა, მაინც თითოეულს ორ-ორი ჯარისკაცი მიუჩინეს მცველებად. მათ მოჰყვნენ მნათე, პასტორი, მსაჯულები, მწერალი და მოსამართლე. სულ ბოლოს მოდიოდა წარჩინებული დიდკაცობა და

რამდენიმე გლეხი, რომელთაც დიდი პატივი არგუნეს და ალყის გარეთ ყოფნის უფლება მისცეს.

ლენსმანი და პატიმრები სასამართლო პალატის მარცხენა მხარეს დადგნენ, მოსამართლემ და მსაჯულებმა მარჯვნივ გაუხვიეს, დიდკაცობა კი შუაში განლაგდა. მწერალი მაგიდას მიუჯდა და ქაღალდები ზედ დაალაგა. შუა მოედანზე ყველას დასანახავად ისევ ისე იდო დიდი დოლი.

როგორც კი სასამართლოს შემადგენლობა გამოჩნდა, ხალხში ერთი მიხლა-მოხლა ატყდა. ჯანღონიანმა კაცებმა გაიწიეს და პირველ რიგში მოინდომეს დადგომა, თანაც იქიდან მარიტ ერიკსდოტერის გაძევებას ცდილობდნენ. ტანმორჩილმა და წკეპლასავით წვრილმა ქალიშვილმა რაკი შეატყო, ცუდადაა ჩემი საქმეო, ერთი გაიბრძოლა და ჯარისკაცების მწკრივს წინ მოექცა.

ასეთი რამ ყოველგვარ წესს ეწინააღმდეგებოდა და ლენსმანმა სასამართლოს მარიტ ერიკსდოტის იქიდან გაგდება უბრძანა. ბოქაული გოგონასთან მივიდა, მხარზე ხელი დაადო, თითქოს აპატიმრებსო, და სასამართლო პალატისკენ წაიყვანა. მაგრამ როგორც კი იქ მდგომ ხალხს შეერივნენ, მაშინვე გაათავისუფლა. ბოქაული მიხვდა, რომ თუ პატიმრების მახლობლად დატოვებდა გოგონას, ის გაქცევაზე სულაც არ იფიქრებდა. ხოლო თუ ლენსმანი მაინც მოინდომებდა მის დატუქსვას, მარიტს ადვილად იპოვიდა.

თუმცა, ახლა ვის ეცალა მარიტ ერიკსდოტერისთვის. პასტორი და მნათე წინ გამოვიდნენ და შუა მოედანზე გაჩერდნენ, ორივემ ქუდი მოიხადა, მნათემ ფსალმუნი წამოიწყო. როცა ჯარისკაცთა მწკრივის წინ მდგომებმა საგალობელი გაიგონეს, მიხვდნენ, რომ ახლა მოხდებოდა რაღაც დიდი და საზეიმო, რა-

ღაც ისეთი, რასაც ჯერ არასოდეს შესწრებიან: ვედრება ყოვ-ლისშემძლე უფლისადმი, რათა მისი ნება-სურვილი შეეტყოთ.

როდესაც მღვდელმა დაიწყო ლაპარაკი, ხალხი უფრო მეტი მოწიწებით აღივსო. იგი შეევედრა იესო ქრისტეს, მამა ღმერთის ხორციელ ძეს, რომელიც ოდესღაც თვითონაც წარდგა პილატეს სამსჯავროს წინაშე, მოწყალების თვალით გადმოეხედა ამ ბრალდებულთათვის, რათა უმართებულო მსჯავრი არ დასდე-ბოდათ. იგი იმასაც შეევედრა ღმერთს, მოწყალების თვალით გადმოეხედა მოსამართლეებისთვის, რათა მათ უდანაშაულო ადამიანებისთვის არ მიესაჯათ სიკვდილი.

დაბოლოს, იგი შეევედრა ღმერთს, მოწყალების თვალით გადმოეხედა მრევლისთვის, რათა სამწყსო არ გამხდარიყო ისე-თივე უდიდესი უსამართლობის მოწმე, როგორც ეს ებრაელებს დაემართათ გოლგოთასთან.

ყველანი ქუდმოხდილნი უსმენდნენ მღვდელს, ახლა აღარა-ვის ახსოვდა წვრილმანი ამქვეყნიური საქმეები. ამჯერად სრუ-ლიად სხვაგვარი ცეცხლი ენთო მათ სულებში. ასე ეგონათ, მღვდელი თვით ღმერთს იწვევს მიწაზე ჩამოსასვლელადო, და მის სუფევას უხილავად გრძნობდნენ.

შემოდგომის მშვენიერი დღე იყო. ღრუბლის ქულები ლურჯ ცაზე თეთრად გადაპენტილიყო, მწვანით შემოსილ ხეებს ოქ-როსფერი შეჰპარვოდა. ჰაერში ერთმანეთს მისდევდნენ ფრინ-ველთა ურიცხვი გუნდები და სამხრეთისკენ მიეშურებოდნენ. ამ-დენი ფრინველი ერთად ადრე თითქოს არც ენახათ. ამიტომაც ხალხს ასე ეგონა, ღვთის განგების მანიშნებელი თუა ეს და იწო-ნებს ჩვენს გულის ზრახვასო.

როდესაც პასტორმა ქადაგება დაამთავრა, წინ წამოდგა მაზ-რის სასამართლოს თავმჯდომარე და მეფის განაჩენი გამოაცხა-და. განაჩენი ვრცელი იყო, ათასგვარად დახლართული ფრაზე-

ბით დაწერილი და ამიტომ ძნელად ესმოდა ხალხს მისი აზრი. მაგრამ იმას კი მიხვდნენ, მეფურმა ძალაუფლებამ თითქოსდა ძირს დადო თავისი კვერთხიცა და მახვილიც, უარყო თავისი სიბრძნეცა და ცოდნაც და ყოველივე ღვთის განგებას მიანდო. და როგორც ერთი, ლოცვად დადგა ყველა, გულში იმას ევედრებოდნენ ღმერთს, შემწეობა გაეწია, შეგონება არ დაეკლო მათთვის.

შემდგომ ამისა, ლენსმანმა კამათლები აიღო და მოსამართლესა და რამდენიმე იქ დამსწრეს სთხოვა, გაეგორებინათ, რათა ერთხელ კიდევ დარწმუნებულიყვნენ, რომ კამათლები ყალბი არ იყო. უცნაური გულის კანკალით უგდებდა ხალხი ყურს დოლზე გაგორებული კამათლების ხმას. ო, ეს კამათლები, რამდენი ადამიანი გაუუბედურებიათ. და, ნუთუ ახლა იმის ღირსნი გახადეს, რომ ღვთის ნება მათ აუწყონ ხალხს?!

კამათლები რომ შეამოწმეს, მერე პატიმრები გამოიყვანეს წინ. კათხა პირველად ერიკ ივარსონს მისცეს, იგი ყველაზე უფროსი იყო სამთაგან. მაგრამ ლენსმანმა მაშინვე განუმარტა, ამით არ წყდება ყველაფერი. ჯერ ის უნდა განისაზღვროს, თუ ვის როდის მოუწევს გაგორებაო.

პირველ გაგორებაზე ყველაზე ნაკლები პაულ ელიასონს დაუჯდა, ივარ ივარსონს კი ყველაზე მეტი. ამიტომაც სწორედ ივარს ერგო პირველად გაგორების ჯერი.

სამივე ბრალდებულს ისევ ის ტანსაცმელი ეცვა, რაც მაშინ, თავიანთი საზაფხულო სეტერიდან რომ ბრუნდებოდნენ ბარში და როტმისტრს გადაეყარნენ ტყეში, მაგრამ ახლა მთლად ტალახში ამოსვროდათ და შემოფლეთოდათ.

არც ტანსაცმლის პატრონები იყვნენ უკეთესი შესახედავნი, მაგრამ ყველას ისე მოეჩვენა, თითქოს ამ სამთაგან ივარ ივარსონს უფრო ყოჩაღად ეჭირა თავი. ალბათ, იმიტომ, რომ იგი ჯა-

რისკაცად იყო ნამყოფი, ბრძოლის ქარცეცხლიც ბევრი გამოევ-ლო და ტყვეობის სიმწარეც ბევრი ენახა. ვაჟკაცურად წელგა-მართული იდგა და შიშის ნატამალიც არ ეტყობოდა.

როდესაც ივარი დოლთან მივიდა და ლენსმანს კამათლე-ბიანი კათხა გამოართვა, მან მოიწადინა, ესწავლებინა, როგორ დაეჭირა ხელში კათხა და როგორ გაეგორებინა კამათლები. მოხუცმა ჩაიცინა.

- პირველად კი არ ვაგორებ კამათელს, ლენსმან, - ისე ხმა-მაღლა უთხრა ივარმა, რომ მისი ნათქვამი ყველამ გაიგონა, - ჰედებიუელ ბენგტ-ფალავანსა და მე, ვინ იცის, რამდენი საღამო გაგვიტარებია ზარის თამაშში ველად ყოფნისას, მაგრამ აღარ მეგონა, თუ კიდევ მომიწევდა მასთან თამაში.

ლენსმანს უნდოდა აეჩქარებინა იგი, მაგრამ ხალხს მოეწონა ივარის ლაპარაკი. აი, ვაჟკაციც ამას ჰქვია! ასეთი საშინელი განსაცდელის წინ ხუმრობაც კი შესძლებიაო!

ივარმა ორივე ხელი მოსჭიდა კათხას და ყველამ დაინახა, რომ იგი ლოცულობდა. „მამაო ჩვენო“ რომ დაამთავრა, ხმა-მაღლა შესძახა:

- ახლა კი გევედრები, მაცხოვარო იესო ქრისტე, რომელმან იცი, რომ უდანაშაულო ვარ, მოწყალება მოიღე და ყველაზე ნაკ-ლები დამასმევინე: მე ხომ არც შვილები მყავს, არც შეყვარებუ-ლი, რომლებიც ატირდებიან ჩემი გულისთვის!

ეს სიტყვები რომ წარმოთქვა ივარმა, ისეთი ძალით გააგორა დოლის ტყავზე კამათლები, რომ სულ ბრაგაბრუგი აატეხინა.

ყველამ, ვინც ჯარისკაცთა მწკრივის წინ იდგა იმ წამს, ივარ ივარსონის გათავისუფლება ინატრა. ვაჟკაცობისა და ზნეკეთი-ლობისთვის ერთბაშად შეიყვარეს იგი და გაოგნებული იყვნენ, ნეტავი რამ გვაფიქრებინა, რომ ბოროტი კაციაო.

ნამდვილად აუტანელი იყო ახლა იმ დოლიდან შორს ყოფნა, რადგან არ მოჩანდა, რამდენი გააგორა ივარმა. მოსამართლე და ლენსმანი კამათლებს დააცქერდნენ, მსაჯულები და დიდკაცობაც ახლოს მივიდნენ შედეგის შესატყობად. თითქოს რაღაც დაბნეულობა შეიქმნა, ზოგი თავს უქნევდა ივარ ივარსონს, ზოგი ხელს ართმევდა, ხალხმა კი ჯერაც არაფერი იცოდა. უკმაყოფილების ბუზღუნმა ქარივით ჩაიარა მათ რიგებში.

მოსამართლემ რაღაც ანიშნა ლენსმანს. და ისიც სასამართლო პალატის პარმაღზე ავიდა, ვინაიდან აქედან უკეთ დაინახავდნენ და გაიგონებდნენ მის ნათქვამს.

- ივარ ივარსონმა ორი ექვსიანი გააგორა, უფრო მეტი ხომ არც შეიძლება!

ხალხმა შეიტყო, რომ ივარ ივარსონი გამართლდა და გაიხარა.

- დიდხანს იცოცხლე, ივარ ივარსონ!

მაგრამ ამ დროს ისეთი რამ მოხდა, რომ ყველა სახტად დარჩა. პაულ ელიასონმა სიხარულის ყიჟინა დასცა, ფოჩიანი ნაქსოვი ქუდი მოიხადა თავიდან და ჰაერში ააგდო. ეს ისე უცებ მოხდა, რომ ჩაფრებიც კი გაშრნენ, მხოლოდ ოხვრა აღმოხდა ყველას. მართალია, ივარ ივარსონი პაულ ელიასონს ლამის მამად ერგებოდა, მაგრამ ახლა, როცა სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი წყდებოდა, ნუთუ პაულს მართლა გაუხარდა, რომ სხვა გაამართლეს?

მალე ისევ დამყარდა წესრიგი: უფროსობა მარჯვნივ გადგა, პატიმრები და ჩაფრები მარცხნივ, სხვა დამსწრენი უფრო ახლოს მივიდნენ სასამართლო პალატასთან, ის დიდი დოლი კვლავ შუაში იდგა და ისევ მოჩანდა ყოველი მხრიდან. ერიკ ივარსონის ჯერი დადგა, ახლა მას უნდა გაევლო ეს სამკვდრო--სასიცოცხლო განსაცდელი.

ბორძიკით გამოფლატუნდა წინ მოტეხილი მოხუცი კაცი. ძლივსღა იცნობოდა. ნუთუ ეს ის ერიკ ივარსონი იყო, რომელიც მუდამ ღონივრად, ამაყად დააბიჯებდა მიწაზე? თვალები ჩაქრობოდა, ზოგიერთმა ისიც კი გაიფიქრა, ალბათ, კარგად ვერ მიხვედრილა, რა განსაცდელი მოელისო. მაგრამ კამათლებიან კათხას რომ მოჰკიდა ხელი, ცოტა გაიმართა წელში და წარმოთქვა:

- მადლობას ვწირავ მამაზეციერს, რომ ჩემი ძმა გამართლდა, თუმცა, მეც უდანაშაულო ვარ, მაგრამ იგი ყოველთვის ჩემზე ღირსეული იყო. იმას ვემუდარები მაცხოვარს ჩვენსას, იესო ქრისტეს, ყველაზე ნაკლები მე გამაგორებინოს, რათა ჩემი ქალიშვილი დაქორწინდეს საყვარელ ადამიანზე და მასთან ერთად იცხოვროს სიკვდილამდე!

ერიკ ივარსონს ის დაემართა, რაც ხშირად მოსდით ხოლმე მოხუცებს: მთელი მისი ადრინდელი ძალ-ღონე ახლა მის ხმაში გამოიხატა. მისი სიტყვები ყველამ გაიგონა და ყველა აფორიაქდა. ერიკ ივარსონისგან არავინ მოელოდა იმის აღიარებას, რომ სხვა ბევრად უფრო ღირსეული იყო მასთან შედარებით და რომ იგი სიკვდილს ნატრობდა სხვისი ბედნიერების სანაცვლოდ. ამდენ ხალხში ახლა კაცი არ იყო, რომელიც უწინდებურად ყაჩაღად და ქურდად მიიჩნევდა. თვალზე ცრემლმომდგარი ეხვეწებოდნენ ღმერთს, ერიკს რაც შეიძლება მეტი ქულა გამოსვლოდა კამათლების გაგორებისას.

ერიკ ივარსონს არც კი აუჩახჩახებია კამათლები კათხაში, მხოლოდ ზევით ასწია, შემდეგ დაუშვა და გააგორა დოლზე. მოხუცს იმდენად აკლდა თვალთ, იფიქრა, მაინც ვერაფერს გავარჩევო და არც კი დახედა კამათლებს, თავი ასწია და სივრცეს გახედა.

მოსამართლეებმა და სხვებმაც დოლს მიაშურეს. მათ სახეებზე ყველამ იგივე ამოიკითხა, რაც ამის წინა გაგორებისას.

სანამ ლენსმანი შედეგს გამოაცხადებდა, ჯარისკაცების ალყასთან მოზღვავებულმა ხალხმა თითქოს წინასწარ გუმანით იგრძნო, რაც მოხდა. ვიღაც ქალმა წამოიკივლა:

- შენ შეეწიე, ღმერთო, ერიკ ივარსონს!

მას აჰყვა სხვათა შეძახილებიც:

- გმადლობ, შენ უფალო, რამეთუ იხსენ ერიკ ივარსონი!

პაულ ელიასონის ნაქსოვი ქუდი ისევ ავარდა ჰაერში და კვლავ ყველამ ამოიოხრა. ნუთუ არ ფიქრობს ეს ყმაწვილი, რა საშინელება მოელის ახლა მას?

ერიკ ივარსონი უსიტყვოდ და გულცივად გახევებულიყო ერთ ადგილას. სახეზე იოტისოდენა სიხარულიც არ დასტყობია. იფიქრეს, ეგებ უცდის, ლენსმანი როდის გამოაცხადებს შედეგსო, მაგრამ როცა ეს მოხდა და ერიკმა შეიტყო, რომ, როგორც მისმა ძმამ, მანაც ორი ექვსიანი გააგორა, ამ ამბავსაც გულგრილად შეხვდა. ისევ თავის წინანდელ ადგილას უნდოდა დაბრუნება, მაგრამ ისე იყო ილაჯგამოცლილი, სასამართლოს ბოქაულს რომ არ შეეშველებინა ხელი, წაიქცეოდა.

დადგა პაულ ელიასონის ჯერი, ახლა იგი უნდა მისულიყო დოლთან და ბედი ეცადა. ყველა მას მიაჩერდა. ყველას უკვე გადაწყვეტილად მიაჩნდა, რომ სწორედ პაულ ელიასონი იყო ნამდვილი დამნაშავე; შეიძლება ითქვას, მისი განაჩენი მზად იყო. ივარსონებზე მეტს ხომ ვერ გააგორებდა!

საქმის ასეთი დასასრული ადრე არავის ატკენდა გულს, მაგრამ ახლა ყველამ დაინახა, რომ მარიტ ერიკსდოტერი მალულად მიუახლოვდა პაულ ელიასონს.

გულში არ ჩაუხუტებია ვაჟს ქალი, არც კოცნას დაშურებიან, არც ალერსს. ქალი მხარში ამოუდგა, ლამის ზედ აკვროდა, ვაჟ-

მა მხოლოდ წელზე მოხვია ცალი მკლავი. ვერავინ იტყვის, ზუსტად რამდენ ხანს იდგნენ ასე, რადგან ახლა ყველას გულისყური კამათლებისკენ ჰქონდა.

გამოუცნობი ბედისწერის ძალით შეერთებულნი მხარდამხარ იდგნენ და არაფრად მიაჩნდათ მცველები და მრისხანე თავკაცები, არც ათასობით მაყურებელი, არც სიკვდილთან თამაში, რომელიც წილად ხვდათ.

სიყვარულმა შეადუღაბა ისინი, არამიწიერმა, ზეამაღლებულმა სიყვარულმა. ასე იდგებოდნენ ისინი, ალბათ, გამთენიისას გამორღვეულ ღობესთან მთელ ღამეს ცეკვით გულნაჯერებნი, პირველად რომ გაუმხელდნენ ერთმანეთს ცოლქმრობის სურვილს. ასე იდგებოდნენ პირველი ზიარების შემდეგ, აღვსილნი რწმენით, რომ მათი სულები განიწმინდნენ ცოდვათაგან. ასე იდგებოდნენ სიკვდილის შემდეგ შეხვედრილნიც, რაკიღა დაიჯერებდნენ, რომ კვლავ ერთურთს ეკუთვნიან უკუნითი უკუნისამდე.

ნაზი სიყვარულით აღსავსე თვალებით მისჩერებოდა ქალი ვაჟს! უხილავი რამ შეიძრა ადამიანთა სულებში და იდუმალად ჩასძახა მათ - სწორედ პაულ ელიასონი უნდა შეგბრალებოდათ. იგი ხომ ნორჩი ხე იყო, რომელსაც ეწერა აყვავილება და ნაყოფის მოსხმა. იგი ხომ ჭვავის ყანა იყო, რომელიც დროზე ადრე გადაიქელებოდა და ვერ მოასწრებდა თავთავთა სიუხვის გაცემას.

ვაჟმა მარიტის წელზე შემოხვეული მკლავი დაბლა ჩამოუშვა და ლენსმანს გაჰყვა. მღელვარების ნიშანწყალი არც დასტყობია სახეზე, როცა კათხას მოჰკიდა ხელი. ივარსონებივით სიტყვა როდი წარმოთქვა ხალხის წინაშე, მხოლოდ მარიტს მიუბრუნდა და ეს უთხრა:

- ნუ გეშინია! ღმერთმა ხომ იცის, რომ მეც ისევე უდანაშაულო ვარ, როგორც ისინი.

ამის შემდეგ, თითქოს ნამდვილი თამაშისთვის ემზადებაო, რამდენჯერმე ააჩხრიალა კამათლები კათხაში და სწრაფად გადმოყარა დოლზე.

- ექვსიანები გავაგორე, მარიტ, მეც, ექვსიანები!

გაამართლებენ, აბა, რა! სხვაგვარი აზრი არც კი მოსვლია თავში. სიხარულისგან ერთ ადგილას ვეღარ ჩერდებოდა, ხელები გაშალა, მაღლა შეხტა, ქუდი ჰაერში ისროლა, გვერდით მდგომ ჩაფარს გადაეხვია და გულიანად ჩაკოცნა.

ამის შემყურეთ გულში გაიფიქრეს: „ხელად ეტყობა, რომ სხვა ქვეყნის შვილია. შვედი რომ ყოფილიყო, დრომდე არ მოილხენდა ეგრე“.

მოსამართლე, ლენსმანი, მსაჯულები და წარჩინებულნი დიდკაცნი ნელი, ზვიადი ნაბიჯით მიუახლოვდნენ დოლს და კამათლებს დახედეს. მაგრამ ამჯერად სიხარული არ გამოხატვიათ სახეზე. მხოლოდ თავი გადააქნიეს, არც ერთს არ მიულოცავს პაულ ელიასონისთვის ყისმათიანი გაგორება.

მესამედ ავიდა ლენსმანი სასამართლო პალატის პარმაღზე და იქიდან გამოაცხადა:

- პაულ ელიასონმა ექვსიანები დასვა, უფრო მეტი არც შეიძლებოდა!

ბრბო აფორიაქდა, მაგრამ სიხარული არავის გამოუხატავს. აზრადაც არავის მოუვიდოდა, თუ აქ რაიმე ეშმაკობა იყო. ამის წარმოდგენაც არ შეიძლებოდა! მაგრამ რაღაც იდუმალი შიში და ძრწოლა დაეუფლა ყველას, ვინაიდან ღვთის სამსჯავრომ სულაც არ მოჰფინა შუქი საქმის ვითარებას.

იმის მანიშნებელი იყო ეს, რომ სამთავენი უდანაშაულონი იყვნენ, თუ სამივენი დამნაშავენი?

ხალხმა დაინახა, რომ როტმისტრი ლიოვენშოლდი აჩქარებული ნაბიჯით მივიდა მოსამართლესთან. ალბათ, იმის თქმა უნდოდა, ღვთის სამსჯავრომ ვერაფერი გადაწყვიტაო, მაგრამ მოსამართლემ მწყრალად შეაქცია ზურგი.

მოსამართლემ და მსაჯულებმა სასამართლო პალატას მიაშურეს და იქ გამართეს ბჭობა. ამ ხნის განმავლობაში ხალხი გაქვავებულივით იცდიდა. კრინტი არავის დასცდენია. თვით პაულ ელიასონიც კი დაშოშმინდა. ბოლოს და ბოლოს, ალბათ, ისიც მიხვდა, რომ ღვთის მსჯავრი ასედაც შეიძლებოდა გაეგოთ და ისედაც.

მცირე თათბირის შემდეგ სასამართლო კვლავ გამოვიდა პალატიდან და მოსამართლემ გამოაცხადა, მაზრის სასამართლოს მიაჩნია, რომ ღვთის განაჩენი სამივე ბრალდებულის გამართლებას უნდა გულისხმობდესო.

პაულ ელიასონი ჩაფრებს გაუსხლტა და უზომოდ აღტაცებულმა ისევ ჰაერში აისროლა ქუდი, მაგრამ ესეც ნაადრევი გამოდგა, რადგან მოსამართლეს ჯერ არ დაემთავრებინა სათქმელი:

- მაგრამ სასამართლოს ეს გადაწყვეტილება მეფეს უნდა გავუგზავნოთ შიკრიკის ხელით, რომელიც ახლავე გაეშურება სტოკჰოლმს. ბრალდებულნი კი დილეგში იქნებიან, სანამ მისი უდიდებულესობა არ დაამტკიცებს სასამართლოს განაჩენს.

VIII

ერთხელ, შემოდგომაზე, როცა უკვე ოცდაათი წელიწადი იყო გასული მას შემდეგ, რაც ბრუბიუში სასამართლო პალატის წინ მდებარე მოედანზე ის ღირსსახსოვარი „კამათლობანა“ გაიმართა, მარიტ ერიკსდოტერი ხიმინჯებზე შედგმული პატარა ხულის პარმაღზე იჯდა, სტურგორდენის კარ-მიდამოში, სადაც იმხანად ცხოვრობდა, და ბავშვის ხელთათმანებს ქსოვდა. ძალიან უნდოდა ისე შეეხამებინა ერთმანეთთან კუბოკრული და ზოლებით ქსოვა, რომ თათმანი ლამაზი გამოსულიყო და მოსწონებოდა პატარას, რომელსაც საჩუქრად უმზადებდა, მაგრამ ვერანაირი სახე ვერ მოიგონა.

ერთხანს პარმაღზე იჯდა და კიბის საფეხურზე წინდის ჩხირით სხვადასხვანაირი მოხატულობა გამოჰყავდა, მერე ადგა, ხულაში შევიდა და თავი ახადა ზანდუკს, რომელშიც კაბები ჰქონდა შენახული, უნდოდა რაიმე ნიმუში ენახა, რომლის მიხედვითაც ლამაზ სახეს გამოუყვანდა ნაქსოვს. ძებნა ძებნაში ზანდუკის ფსკერზე ლამაზად ნაქსოვ ფოჩიან ქუდს წააწყდა, რომლის სახეც სწორედ კუბოკრული და ზოლიანი ქსოვით იყო გამოყვანილი; მცირე ყოყმანის შემდეგ ნაქსოვი ქუდი ამოიღო და ისევ პარმაღზე გამოვიდა.

ქსოვის წესის შეტყობა უნდოდა და ქუდი კარგა ხანს ატრიალა ხელში, ხან აქედან შეხედა, ხან იქიდან და შეამჩნია, რომ ალაგ-ალაგ ჩრჩილს შეეჯამა. „ღმერთო ჩემო, ეს რა მოსვლია. თუმცა, რა გასაკვირია, ჩრჩილი გასჩენოდა, - გაიფიქრა მან, - ოცდაათ წელიწადზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც უხმარად

დევს. კიდევ კარგი, ამოვიღე ზანდუკიდან და ვნახე, რაც დამართია“.

ქუდს ლამაზი, ფერადი ფოჩი ამშვენებდა. სწორედ იქ გალაღებულიყო ჩრჩილი. როგორც კი ცოტა დაბერტყა ქუდი, აქეთ--იქით ძაფები დასცვივდა, ფოჩი კი სულაც მოსძვრა და კალთაში ჩაუვარდა მარიტს. ახლა ამ ფოჩს დაუწყო თვალიერება, ძალიან თუ არ არის შეჭმული ჩრჩილისგან, ეგებ ისევ მივამაგრო თავის ადგილასო. და ამ დროს შეამჩნია, რომ ძაფებში რაღაც აბრჭყვიალდა. მოუთმენლად გასწი-გამოსწია ძაფები და დაინახა ტვიფრიანი დიდი ოქროს ბეჭედი, რომელშიც მეწამული ქვა იყო ჩასმული, ბეჭედი უხეში ტილოს ძაფით იყო ჩაკერებული ფოჩში.

ქუდიცა და ფოჩიც ხელიდან გაუვარდა. მარიტს ადრე არასოდეს ენახა ეს ბეჭედი, მაგრამ არც მეფის ინიციალების ამოკითხვა დასჭირვებია ქვაზე და არც ბეჭდის წარწერისა, ისედაც მიხვდა, რა ბეჭედიც იყო და ვინ იყო მისი პატრონი. პარმაღის მოაჯირს დაეყრდნო, თვალები დახუჭა და ასე იჯდა ხმაგაკმენდილი, მომაკვდავივით გადაფითრებული. ისეთი დარდი შემოაწვა, ეგონა, საცაა გული გამისკდებაო.

ამ ბეჭდის გულისთვის მამამისი ერიკ ივარსონი, ბიძამისი ივარ ივარსონი და საქმრო პაულ ელიასონი სიცოცხლეს გამოესალმნენ, ახლა კი, აი, პაულის ქუდის ფოჩში ჩაკერებული იპოვა!

როგორ მოხვდა აქ? როდის? იცოდა თუ არა პაულმა, რომ ბეჭედი ფოჩში იყო ჩაკერებული?

არა! მარიტმა მაშინვე დაირწმუნა თავი, რომ პაულს ეს არ შეიძლებოდა სცოდნოდა.

მარიტს გაახსენდა, როგორ იქნევდა პაული ამ ქუდს და ჰაერშიც კი ისროლა იმით გახარებულმა, რომ მასაც და მოხუც ივარსონებსაც გაამართლებდნენ.

ეს სურათი ისე მკაფიოდ დაუდგა თვალწინ, თითქოს გუშინ მომხდარიყო ყოველივე: ურიცხვი ხალხი, ჯერ რომ სიძულვილით იყო გამსჭვალული მარიტისა და მისი ახლობლებისადმი და ბოლოს კი ყველამ რომ ირწმუნა მათი უდანაშაულობა; შემოდგომის მუქად გადალურჯებული მშვენიერი ცა და ფრინველთა გუნდები, რომელთაც გზა აერიათ და მოუსვენრად თავს დასტრიალებდნენ მოედანს, სადაც თინგი იყო გამართული. პაულმა დაინახა ის ფრინველები, როცა მარიტი მიეხუტა და ჩასჩურჩულა, მალე ჩემი სულიც პატარა, გზასაცდენილ ჩიტუნასავით იბორიალებს ზეცაშიო. მერე ისიც ჰკითხა, ნებას თუ მომცემ ოლსბიუში მოვფრინდე და შენი სახლის სახურავის ღართან ბუდე გავიკეთოო.

არა, შეუძლებელია პაულს სცოდნოდა, რომ ქურდის ნადავლი შენახული იყო ქუდში, რომელსაც ჰაერში ისროდა და თან შემოდგომის მშვენიერ ცას შესცქეროდა.

ის ამბავი კი მეორე დღეს მოხდა. მარიტს მუდამ გული ეკუმშებოდა, როდესაც იმ დღეს იგონებდა ხოლმე, მაგრამ ახლა ყველაფერი წვრილად უნდა გაეხსენებინა. სტოკჰოლმიდან ბრძანება მოვიდა: სამივე ბრალდებული დამნაშავეა და სამივე უნდა ჩამოახრჩოთო.

როცა განაჩენი სისრულეში მოჰყავდათ, მარიტიც იქ იყო, და იყო იმიტომ, რომ მის საყვარელ ადამიანებს სცოდნოდათ, ამქვეყნად არის ისეთი ვინმე, ვისაც სჯერა მათი, იზიარებს მათ გასაჭირს. მაგრამ განა ამის გულისთვის საჭირო იყო სახრჩობელების გორაკზე ასვლა? ღვთის სამსჯავროს შემდეგ სრულიად შეეცვალათ გუნება ადამიანებს. ყველანი, ვინც მის ირგვლივ იყვნენ ჯარისკაცთა ალყის წინ, ახლა კეთილმოსურნეობას იჩენდნენ მისდამი. დიდი განსჯა და თათბირი ჰქონდა ყველას, ბოლოს კი ასე ახსნეს ღვთის ნება: სამივე ბრალდებული უდანა-

შაულოაო. ბებერმა გენერალმა ხომ სამივეს ექვსიანები გააგორებინა. მაშასადამე, რაღა საჭიროა ზედმეტი თათბირი. გენერლის ბეჭედი არც ერთ მათგანს არ მოუპარავს.

როდესაც ის სამი გლეხი გამოიყვანეს, ხალხში საშინელი დრტვინვა გაისმა. ქალები ტიროდნენ, კაცებს ხელები მუშტად შეეკრათ და პირმოკუმულნი იდგნენ. ატყდა ერთი მითქმა-მოთქმა, ბრუს სამრევლოს ისეთივე აოხრება ელის, როგორიც იერუსალიმს ხვდა წილად, იმიტომ, რომ აქ სამი უდანაშაულო კაცი მოაკვდინესო. შეკრებილნი ნუგეშის სიტყვებს მისძახოდნენ სიკვდილმისჯილთ და აქიაქებდნენ ჯალათებს. წყევლა-კრულვას უთვლიდნენ როტმისტრ ლიოვენშოლდს. იმასაც ამბობდნენ, თითქოს იგი სტოკჰოლმში ჩასულა და ღვთის განაჩენი მისი მიზეზით გადაწყვეტილა მსჯავრდადებულთა სავნებლადო.

მაგრამ ეს კია, რომ მარიტიცა და ყველა სხვაც უდანაშაულოდ მიიჩნევდნენ განსასჯელთ, სჯეროდათ მათი სიმართლის, და სწორედ ამან გადაატანინა ის დღე ქალიშვილს. და არა მარტო ის ერთი დღე, არამედ ბევრი სხვა დღეც - იქიდან მოყოლებული ვიდრე დღევანდლამდე. თუ ის ადამიანები, ვისაც ხვდებოდა წლების განმავლობაში, მკვლელის ქალიშვილად მიიჩნევდნენ, ცხოვრების სიძნელეებს ვერ გაუძლებდა.

პაულ ელიასონი პირველი ავიდა სახრჩობელის წინ გამართულ პატარა ფიცარნაგზე. ჯერ მუხლი მოიყარა და ლოცვას მოჰყვა. მერე იქვე მდგომ მღვდელს მიუბრუნდა და რაღაცაზე ვედრება დაუწყო. ამის შემდეგ მარიტმა დაინახა, რომ პასტორმა ქუდი მოხადა. როცა ყოველივე დამთავრდა, პასტორმა მარიტს ის ნაქსოვი ქუდი და პაულის უკანასკნელი მოკითხვა გადასცა. პაულმა ქუდი იმის ნიშნად გამოუგზავნა, რომ აღსასრულის წინ მასზე ფიქრობდა.

როგორ შეიძლებოდა ეფიქრა, რომ პაული მას უსახსოვრებდა ამ ქუდს, თუკი ეცოდინებოდა, რომ შიგ ნაქურდალი იყო დამალული? არა, თუ რამ უტყუარი არსებობს ამქვეყნად, პირველი ეს არის: პაულმა არ იცოდა, რომ ბეჭედი, რომელიც მიცვალებულს ეკეთა, ქუდში იყო.

მარიტ ერიკსდოტერი სწრაფად დაიხარა. ქუდი აიღო და კვლავ გულდასმით დაათვალიერა. „საიდან უნდა ჰქონოდა პაულს ეს ქუდი? - გაიფიქრა მან, - არც მე და არც სხვას, ჩვენს კარმიდამოში მცხოვრებს, არ მოგვიქსოვია მისთვის. ალბათ, ბაზრობაზე იყიდა ანდა თავისი გაუცვალა ვინმეს“.

კიდევ ერთხელ გადაატრიალ-გადმოატრიალა ქუდი, ნაქსოვის სახეს დააკვირდა. „თავის დროზე, ალბათ, ძალიან ლამაზი იქნებოდა, - გაიფიქრა, - პაულს უყვარდა ლამაზი ქუდები. მუდამ უკმაყოფილო იყო, როცა ნაცრისფერი მაუდის ხიფთანს ვუქსოვდით. ყოველთვის გვთხოვდა, შემიღებეთ ეგ მაუდიო. ქუდი კი წითელი მოსწონდა, დიდფოჩიანი. ეს დიახაც რომ მოეწონებოდა“.

ქუდი განზე დადო, მოაჯირს დაეყრდნო და ისევ წარსულს მიუბრუნდა.

იმ დილით მარიტიც ტყეში იყო, როცა ინგილბერტს შიშით გული გაუსკდა, და კარგად ახსოვს, პაული, მამა და ბიძა როგორ დასცქეროდნენ მიცვალებულს. მოხუცებმა გადაწყვიტეს, ინგილბერტის ცხედარი ბარში ჩაესვენებინათ და საკაცისთვის წნელის მოსაჭრელად წავიდნენ. პაული ერთხანს იქვე შეყოვნდა და ინგილბერტის ქუდის თვალიერება დაიწყო. თვალები გაუბრწყინდა, ისე მოეწონა! ქუდი სახიანი იყო, წითელი, ლურჯი და თეთრი ნართით ნაქსოვი და მან შეუმჩნევლად გაცვალა თავისაზე. არავითარი ბოროტი ზრახვა არ ჰქონია, ეს რომ მოიმოქმედა. იქნებ ცოტა ხანს თავის მოწონება უნდოდა ამ ლამაზი ქუ-

დით. არც მისი ქუდი იყო ინგილბერტისაზე ნაკლები, მაგრამ ის მაინც უფრო ჭრელი იყო, უკეთესად ნაქსოვი.

ინგილბერტმა კი ეტყობა, სწორედ ამ ქუდში ჩააკერა ბეჭედი, სანამ გზას დაადგებოდა. იქნებ იფიქრა, მდევარი გამომყვებაო და ამიტომაც დამალა. როდესაც გული გაუსკდა და უსულოდ წაიქცა ტყეში, აზრადაც არავის მოსვლია, ქუდში ეძებნათ ბეჭედი, მით უმეტეს, არ უფიქრია ეს პაულ ელიასონს.

მაშასადამე, ყოველივე სწორედ ასე მოხდა. მარიტი დაიფიცებდა, რომ არ იცოდა, მაგრამ მაინც ზედმეტად არ მიიჩნია საბოლოოდ დარწმუნებულიყო.

ბეჭედი ზანდუკში ჩადო, ქუდი ხელში დაიჭირა და ბაკისკენ გაეშურა მენახირე ქალთან სალაპარაკოდ.

- აბა, ერთი სინათლეზე გამოდი, მერტა, - შესძახა ბნელ გომურში, - ნაქსოვის სახის გამოყვანაში შემეშველე, თორემ მე არაფერი გამომდის!

როცა მენახირე ქალი გომურიდან გამოვიდა, მარიტმა ქუდი გაუწოდა.

- მე ვიცი, რომ ქსოვის ოსტატი ხარ, მერტა, - უთხრა მარიტმა, - მინდოდა ამ სახის გადაღება, მაგრამ თავი და ბოლო ვერ გავუგე. აბა, ერთი ნახე, შენ ხომ გაწაფული ხარ ამ საქმეში! მე როგორ შეგედრები!

ქალმა ქუდი გამოართვა და დააცქერდა. ეტყობოდა, ძალიან გაკვირვებული დარჩა. გომურის კედლის ჩრდილიდან სინათლეში გამოვიდა და ისევ დააცქერდა ქუდს.

- საიდან გაქვს ეს? - ჰკითხა მერტამ.

- ვინ იცის, რამდენი წელიწადია, ჩემს ზანდუკში დევს, - უპასუხა მარიტმა, - რატომ მეკითხები?

- იმიტომ, რომ ეს ქუდი მე თვითონ მოვუქსოვე ჩემს ძმას, ინგილბერტს, იმ უკანასკნელ ზაფხულს, როცა ჯერ კიდევ ცოცხა-

ლი იყო, - უთხრა მერტამ, - სახლიდან რომ წავიდა ჩემი ძმა, იმ დილის მერე აღარც მინახავს ეს ქუდი, შენთან როგორღა მოხვდა?

- იქნებ წაქცევისას მოეხადა თავიდან, - მიუგო მარიტმა, - მერე რომელიმე ჩვენმა მოჯამაგირემ იპოვა ტყეში და ჩვენთან მოიტანა. მაგრამ თუ ეს ქუდი უსიამოვნო მოგონებებს გიღვიძებს, ალბათ, არც ინდომებ მისი სახის გადაღებას ჩემთვის?

- მომეცი ეგ ქუდი და ხვალისთვის გაგიკეთებ ყველაფერს, - უთხრა მენახირე ქალმა.

ცრემლნარევი ხმა ჰქონდა, ამას რომ ამბობდა მერტა, მერე ქუდი აიღო და გომურში შებრუნდა.

- რადგან ასე გიმძიმს, ნუ გააკეთებ, - მიაძახა მარიტმა.

- შენთვის ყველაფერს გავაკეთებ, შენთვის არაფერი გამიჭირდება, - მიუგო მერტამ.

და მართლაც, სხვამ კი არა, სწორედ მარიტმა გაიხსენა მერტა ბორდსდოტერი, მამისა და ძმის სიკვდილის შემდეგ მარტოდმარტო რომ დარჩა ტყეში, და მენახირეობა შესთავაზა თავის მამულ სტურგორდენში. ამიტომ მერტაც მუდამ იმის ცდაში იყო, რაიმეთი მადლობა გადაეხადა მარიტისთვის, რადგან სწორედ ამ ქალმა მისცა ხალხში დაბრუნების საშუალება.

მარიტი ისევ თავისი ხულის პარმაღზე ავიდა და საქსოვი აიღო, მაგრამ მუშაობას გული ვერ დაუდო; თავით მოაჯირს დაეყრდნო და ფიქრს მიეცა. რა ექნა ახლა? ეს საზრუნავი აწუხებდა ამჟამად.

ოლსბიუში მცხოვრებთ რომ სცოდნოდათ, როგორ გამოიყურებიან მონასტერში აღკვეცის სურვილით ამქვეყნიურ ცხოვრებაზე ხელაღებული ქალები, მაშინ გეტყოდნენ, ჩვენი მარიტი ეგეთიაო. სახის კანი გადატკეცოდა, მაგრამ უჩვეულოდ ფერმიხდილი იყო, ბაიისფერი გადაჰკრავდა ლოყებზე. უცხო კაცი ვერც

მიხვდებოდა - ხნიერი იყო თუ ახალგაზრდა. მთელ მის იერში ისეთი სიმშვიდე და მორჩილება გამოსჭვიოდა, როგორც ყოველგვარი სურვილის გულში ჩამკვლელ ადამიანს ახასიათებს. გალაღებული და მხიარული არასოდეს უნახავთ იგი, მაგრამ არც დიდად დამწუხრებულს შესწრებიან ოდესმე.

თავს დატეხილი უბედურების შემდეგ მარიტმა ჯვარი დაუსვა თავის ცხოვრებას. მამისგან სტურგორდენის კარ-მიდამო ერგო მემკვიდრეობით, მაგრამ იმას კი მიხვდა, რომ თუ ამ სახლ--კარის შენარჩუნება სურდა, უნდა გათხოვილიყო: უკაცო სახლი, აბა, რა სახლია და გათხოვება რომ აეცილებინა თავიდან, მთელი თავისი ადგილ-მამული უსასყიდლოდ დაუთმო თავის ერთ--ერთ ბიძაშვილს და თავისთვის მარტო ის ითხოვა, ნება მიეცათ იქ ეცხოვრა, სანამ ცოცხალი იქნებოდა.

კმაყოფილი იყო, ასე რომ მოიქცა, და ერთხელაც არ უნანია. უსაქმურობა გულს გადამილევსო, ამის შიში მალე გაუქრა. ხალხმა დაინახა, რომ ალღოიანი და კეთილი ქალი იყო და როგორც კი ვინმე შეუძლოდ გახდებოდა, მაშინვე მასთან აფრენდნენ კაცს. ბავშვებსაც ძალიან უყვარდათ მარიტი.

მისი ხულა მუდამ გამოტენილი იყო ბავშვებით. პატარებმა იცოდნენ, რომ მარიტი მოუცლელობას არ მოიმიზეზებდა და ყოველთვის გამოუძებნიდა სალბუნს მათ ბავშვურ საწუხარს.

და აი, ახლა, როცა პარმაღზე იჯდა და ფიქრობდა, რა ვუყო ამ ბეჭედსო, საშინელი ბოღმა შემოაწვა გულზე. თურმე რა ადვილად შეიძლებოდა ამ ბეჭდის პოვნა. რატომ არ იზრუნა გენერალმა და არ აპოვნინა იმ ხალხს ბეჭედი? მარიტს ახლა მტკიცედ სჯეროდა, რომ გენერალმა იმთავითვე იცოდა, სადაც იყო ბეჭედი. მაშ, რატომ არ მოაწყო საქმე ისე, რომ ინგილბერტის ქუდიც გაეჩხრიკათ? ნაცვლად ამისა, სამი უდანაშაულო კაცი

სიკვდილით დაასჯევინა თავისი ბეჭდის გულისთვის. ამის ძალა ეყო, ბეჭდის პოვნა კი ვერ შეძლო?

მარიტმა ერთი გაფიქრება გაიფიქრა, პასტორთან წავალ, ყველაფერს ვუამბობ და ბეჭედსაც მივცემო, მაგრამ ეს აზრი მყის უარყო!

აქამდე სულ ასე იყო, რომ სადაც უნდა მისულიყო მარიტი - ეკლესიაში იქნებოდა თუ ვინმესთან სტუმრად, ყველგან უდიდესი პატივისცემით ექცეოდნენ. ერთხელაც არ განუცდია ის ზიზღი, რომელსაც გამოხატავდნენ ხოლმე ავისმოქმედი კაცის შვილისადმი. ხალხს მტკიცედ სჯეროდა, რომ მოხდა უდიდესი უსამართლობა, და ამ ცოდვის გამოსყიდვას ცდილობდნენ. წარჩინებული პირებიც კი, ეკლესიის ბორცვზე როცა შეხვდებოდნენ ხოლმე მარიტს, აუცილებლად მივიდოდნენ მასთან და ერთ-ორ სიტყვას ეტყოდნენ. ჰედებიუელი ოჯახის წევრებმაც კი - რა თქმა უნდა, არა თვით როტმისტრმა, არამედ მისმა ცოლმა და რძალმა - რამდენჯერმე სცადეს მასთან დაახლოება, მაგრამ მარიტმა შორს დაიჭირა თავი. ჰედებიუს მამულში მცხოვრებთ ერთხელაც არ დალაპარაკებია იმ ბედკრული დღის შემდეგ.

ნუთუ ახლა მოედანზე უნდა გამოდგეს და საჯაროდ აღიაროს, რომ ჰედებიუს პატრონები ნაწილობრივ მართალნი იყვნენ? ასეა თუ ისე, ხომ მაინც ოლსბიუელ გლეხებს ჰქონიათ ის ბეჭედი. იქნებ მერე ისიც ილაპარაკონ, მშვენივრად იცოდნენ, სადაც იყო ბეჭედი, მაგრამ დაპატიმრებაცა და დაკითხვაც იმიტომ აიტანეს, იმედი ჰქონდათ, გაგვამართლებენ და მერე გავყიდითო.

ყოველ შემთხვევაში, მარიტმა იცოდა, რომ როტმისტრისა და მასთან ერთად მამამისის ღირსებაც აღდგებოდა, თუ ბეჭედს როტმისტრს მიუტანდა და უამბობდა, სად და როგორ იპოვა იგი.

მარიტს კი თითის განძრევაც არ უნდოდა ისეთ საქმეში, რაც აამებდა და რაიმე სარგებლობას მისცემდა ლიოვენშოლდებს.

როტმისტრი ლიოვენშოლდი ახლა ოთხმოცი წლის მოხუცი იყო, მდიდარი, ძლიერი, სახელოვანი, დაფასებული, მეფემ ბარონის ტიტული უბოძა. ისე გაატარა მთელი ცხოვრება, ერთი ხიფათიც არ შეხვედრია. საუკეთესო ვაჟები ჰყავდა, მამასავით შეძლებულად ცხოვრობდნენ, იღბლიანად დაცოლშვილდნენ...

და აი, ამ კაცმა ყველაფერი, მთლად ყველაფერი წაართვა მარიტს.

ამ კაცის ბრალი იყო, მარტოდმარტო რომ დარჩა ამქვეყნად, დაბეჩავებული, უქმარშვილო. წლების განმავლობაში სულ იმის მოლოდინში იყო, რაიმე რისხვა დაატყდება ამ კაცს თავსო, მაგრამ არაფერიც არ მოხდა.

უცებ ღრმა ფიქრიდან გამოერკვა და ფეხზე წამოიჭრა. ეზოდან ბავშვების ფეხის ხმა მოესმა; ეტყობა, მასთან მოდიოდნენ პატარები.

მართლაც, ორი ბიჭუნა მორბოდა მისკენ, ათი-თორმეტი წლისანი იქნებოდნენ. ერთი სახლის პატრონის შვილი იყო, სახელად ნილსი, მეორეს მარიტი არ იცნობდა. რა თქმა უნდა, დახმარების სათხოვნელად მოირბინეს მასთან.

- მარიტ, - უთხრა ნილსმა, - ეს ჰედებიუელი ადრიანია. აი, იმ გზაზე ვთამაშობდით, სალტეს ვაგორებდით, მერე ჩხუბი მოგვივიდა და ქუდი გავუხიე.

მარიტი ჩუმად იჯდა და ადრიანს შესცქეროდა. ბიჭუნა ლამაზი იყო, თვინიერი, მოალერსე ჩანდა. ქალმა გულზე იტაცა ხელი. ყოველთვის ტკივილსა და შიშს გრძნობდა, როცა რომელიმე ლიოვენშოლდს ხვდებოდა.

- ახლა ისევ მეგობრები ვართ, - განაგრძობდა ნილსი, - ამიტომ მოვედი შენთან, ძალიან გთხოვ, დაუკერო ქუდი, სანამ შინ წავა.

- კარგი, - უთხრა მარიტმა, - დავუკერებ!

გახეული ქუდი გამოართვა, წამოდგა და ხულისკენ გაეშურა.

- ალბათ, ზეციური განგებაა ეს, - ჩაიბუტბუტა მან, - ცოტა ხანს კიდევ ითამაშეთ გარეთ! - მიმართა ბიჭებს, - მალე დავუკერებ.

ხულის კარი შეიხურა და მარტო დარჩენილმა ადრიან ლიოვენშოლდის გახეული ქუდის კემსვა დაიწყო.

IX

გავიდა კიდევ რამდენიმე წელიწადი, ბეჭდისა კი არც ავი ისმოდა, არც კარგი. ერთხელაც, ეს იყო 1788 წელს, მალვინა სპააკი ჰედებიუს მამულში ეკონომად დადგა. მალვინა სიორმლანდელი ღარიბი პასტორის ქალი იყო, ვერმლანდისკენ ერთხელაც არ გადმოსცდენია ფეხი და ამიტომ წარმოდგენაც არ ჰქონდა იმაზე, თუ რა ხდებოდა ამ ადგილებში, სადაც უნდა ეცხოვრა და ემუშავა.

ჩამოსვლის პირველ დღესვე მიიწვიეს ბარონესა ლიოვენშოლდთან, რათა გაენდოთ ერთი ფრიად უცნაური საიდუმლო.

- ყველაზე მართებულად მიმაჩნია, - უთხრა ოჯახის დიასახლისმა, - ახლავე სრული სიმართლე გითხრათ, ქალიშვილო. უნდა მოგახსენოთ, რომ ჰედებიუში აჩრდილები დადიან. კიბეზე და დერეფანში ან კიდევ ოთახებში ჩვენებს შეხვედრიათ მაღალ ბოტფორდებსა და ლურჯ მუნდირში გამოწყობილი ახოვანი მა-

მაკაცი. იგი სრულიად მოულოდნელად ევლინება ხოლმე აქაურობას, ვთქვათ, კარის გაღებისას ან კიბეზე გასვლის დროს და ვერც კი ასწრებენ გონს მოსვლას, რომ ქრება. არავის ერჩის, პირიქით, ასე გვგონია, კეთილმოწყალედაა ჩვენდამი განწყობილი. ჩემი თხოვნა იქნება, ქალიშვილო, არ შეგეშინდეთ, როდესაც შეხვდებით.

მალვინა სპააკი ოცდამეორე წელში გადამდგარიყო; ვერცხლისწყალივით გოგო იყო, მკვირცხლი და მოუსვენარი. ყოველგვარი ოჯახური საქმე ემარჯვებოდა, გაბედულ და ცქვიტ გოგოს სადაც კი აქამდე ემუშავა, ყველგან ემადლიერებოდნენ, მაგრამ უზომოდ ეშინოდა მოჩვენებების და არასგზით არ დადგებოდა სამუშაოდ ჰედებიუში, აქაური ამბავი ადრე რომ სცოდნოდა. ახლა რა გზა ჰქონდა, უკვე ჩამოსული იყო და, ესეც არ იყოს, ღარიბ გოგოს ვინ მისცა წუნიაობის უფლება. განა ადვილად შესალევია ასეთი კარგი ადგილი! ამიტომ ბარონესას რევერანსი გაუკეთა, გაფრთხილებისთვის მადლობა მოახსენა და დაარწმუნა, შიშს არ ავყვებიო.

- არც კი ვიცით, რატომ დაბორიალებს აქ, - განაგრძო ოჯახის დიასახლისმა, - ჩემი ქალიშვილები ამბობენ, თითქოს ჩემი მეუღლის პაპას ჰგავდეს, გენერალ ლიოვენშოლდს, რომელსაც აი, ამ პორტრეტზე უყურებთ, და ამიტომ აჩრდილს გენერალს ეძახიან. მაგრამ თქვენ, რასაკვირველია, გესმით, ქალიშვილო, რომ არავის აზრადაც არ მოუვა თქვას, თითქოს მართლაც თვით გენერალი დაბორიალებდეს აქ. ისე კი უშესანიშნავესი ადამიანი ყოფილა. სიმართლე ითქვას, თვითონაც ვერ აგვიხსნია ეს ამბავი, ხოლო თუ მსახურები ენას დაიგრძელებენ და ჭორაობას მოჰყვებიან ამაზე, ვიმედოვნებ, გონიერებას გამოიჩენთ და არ აჰყვებით!

მალვინა სპააკმა კიდევ ერთხელ გაუკეთა რევერანსი და დაარწმუნა ბარონესა, რომ იგი ადრეც არასოდეს აძლევდა მსახურებს ბატონებზე ჭორაობის ნებას. აუდიენცია ამით დამთავრდა.

მალვინა სპააკი, რა თქმა უნდა, ერთი ღარიბი ეკონომი ქალი იყო, მაგრამ ვინაიდან წარმოშობით მდაბიო არ ეთქმოდა, მას მოურავსა და აღმზრდელ ქალთან ერთად საბატონო სუფრაზე დაჯდომის ნება დართეს. და არც არაფერს ვნებდა ამ სუფრას პატარა, მოხდენილი, ქერათმიანი, ლოყებღაჟღაჟა ქალიშვილი. სულ მალე უაღრესად კეთილი ქალის სახელი გაითქვა, ფრიად საჭირო ადამიანი გამოდგა და ყველას შეაყვარა თავი.

მალვინა სპააკი მალე დარწმუნდა, რომ აჩრდილი, რომელზედაც ელაპარაკა ბარონესა, სუფრაზე საუბრის მთავარი თემა იყო. ხან რომელიმე ახალგაზრდა ბარონესა, ხან აღმზრდელი ქალი გამოაცხადებდა ხოლმე:

- დღეს მე გენერალი ვნახე, - და ამას ისეთი კილოთი ამბობდნენ, თითქოს დიდად დასაკვეხი ღირსება ყოფილიყოს მათთვის.

დღე არ გაივლიდა ისე, ვინმეს არ ეკითხა, აჩრდილი ხომ არ გინახავსო და რადგან მალვინას სულ „არას“ თქმა უხდებოდა, ამიტომ, ცოტა არ იყოს, გული აიცრუეს მასზე: ალბათ, უღირსია, თორემ აღმზრდელმა ქალმა და მოურავმა ათასჯერ მაინც ნახეს გენერალიო.

მეტისმეტად იოლად კი შეჰგუებოდნენ ისინი აჩრდილთან შეხვედრას. მალვინა გაოცებული იყო, ასეთი რამ არასოდეს განუცდია. მაგრამ თავიდანვე იგრძნო, რომ ეს საქმე კეთილად არ დამთავრდებოდა, რომ ჰედებიუში რაღაც ცუდი ამბავი ელოდათ. თავს შთააგონა, თუ ეს აჩრდილი მართლაც იმქვეყნიური არსებაა, ცხადია, დიდად გაჭირვებულია და ცოცხლებისგან რაღაც შემწეობას ითხოვს, რათა მერე მშვიდად მოისვენოს საფ-

ლავშიო. მალვინა სპააკს შეუპოვარი ხასიათი ჰქონდა და უფლება რომ მიეცათ, მთელ სახლს გულმოდგინე გაჩხრეკდა, რათა ბოლოს და ბოლოს გაეგოთ, რაში იყო საქმე, თორემ სადილობისას ამ თემაზე გაუთავებელ ლაპარაკს აბა, რა შედეგი უნდა მოჰყოლოდა.

მაგრამ მალვინა სპააკი არ იყო ჩვეული მეტიჩრობას და სიტყვაც არავისთან დასცდენია ოჯახის უფროსების დასაძრახად. თვითონ არასოდეს მონაწილეობდა აჩრდილის კილვაში და გულში ინახავდა ავისმომასწავებელ წინათგრძნობას.

უკვე მთელი თვე გავიდა, რაც მალვინა ჰედებიუში ცხოვრობდა და აჩრდილს კი ჯერაც არ შეხვედროდა. მაგრამ აი, ერთხელ, დილით, სხვენზე იყო ასული გასარეცხი თეთრეულის გადასათვლელად და დაბლა რომ ჩამოდიოდა, კიბეზე ვიღაც კაცს შეხვდა, რომელმაც გზა დაუთმო. დღისით-მზისით მოხდა ეს. და მალვინას აჩრდილის ამბავი არც გახსენებია. მხოლოდ ის კი გაუკვირდა, უცხო კაცს სხვენზე რა უნდოდაო. მაშინვე უკან აბრუნდა ამბის შესატყობინებლად, მაგრამ კიბეზე აღარავინ დახვდა. მალვინამ მტკიცედ გადაწყვიტა, ქეჩოში სწვდომოდა ქურდს, და კიბეზე აირბინა. სხვენში შეიხედა, ბნელი კუთხე-კუნჭულები დაათვალიერა, არსად არავინ ჩანდა და მაშინ მიხვდა, რაშიც იყო საქმე.

- რა ჩერჩეტი ვარ! - წამოიძახა მალვინამ, - აბა, სხვა ვინ იქნებოდა, თუ არა გენერალი!

რა ფიცი და მტკიცი უნდოდა ამას! იმ კაცს ლურჯი მუნდირი ეცვა, სწორედ ისეთი, როგორიც აცვია მხცოვან გენერალს პორტრეტზე, და ისეთივე უზარმაზარი ბოტფორტები. სახე კარგად ვერ გაარჩია; თითქოს რაღაც ლეგა ნისლი უფარავდა ნაკვთებს.

მალვინა სპააკი კარგა ხანს დარჩა სხვენზე, გონებას იკრებდა. კანკალებდა, მუხლები ეკვეთებოდა. სადილის საქმე რომ არ

ჰქონოდა მოსაგვარებელი, სულაც არ ჩამოვიდოდა სხვენიდან. მაშინვე გადაწყვიტა, ნანახი საიდუმლოდ შეენახა და გაკილვის საბაბი არ მიეცა სხვებისთვის.

მაგრამ გენერალზე ფიქრს თავიდან ვერ იშორებდა და, ალბათ, ამან თავისებური ბეჭედი დაასვა სახეზე, რადგან სუფრასთან დასხდნენ თუ არა, სახლის პატრონის ცხრამეტი წლის ვაჟმა, რომელიც ის-ის იყო, უფსალიდან ჩამოვიდა საშობაო არდადეგებზე, მაშინვე განაცხადა:

- ფროიკენ სპააკ, დღეს თქვენ გენერალი ნახეთ! - თანაც ისე ჯიქურ მიახალა, რომ მალვინამ უარის თქმა ვეღარ მოახერხა და მყის გამორჩეულად იგრძნო თავი სუფრაზე. მაშინვე კითხვები დააყარეს, რომლებზედაც რაც შეეძლო მოკლედ პასუხობდა. სამწუხაროდ, იმის დამალვა კი ვერ მოახერხა, რომ ცოტა შეეშინდა კიდეც, ამან აუწერელი მხიარულება გამოიწვია. გენერლის შეეშინდა? ასეთი რამ გაგონილა?

მალვინა სპააკს ადრეც არაერთხელ შეუმჩნევია, რომ ბარონი და ბარონესა არასოდეს მონაწილეობდნენ გენერლის გაქილიკებაში, სხვები კი თავის ნებაზე ჰყავდათ მიშვებული და ლაქლაქს არ უშლიდნენ. ახლა ის მოხვდა თვალში, რომ სტუდენტი ბევრად სერიოზულად მოეკიდა ამ ამბავს, ვიდრე ოჯახის სხვა ახალგაზრდობა.

- ჩემს ამბავს თუ იკითხავთ, - თქვა მან, - ნამდვილად მშურს ყველასი, ვისაც წილად ხვდა გენერლის ნახვა. სიამოვნებით დავეხმარებოდი მას, მაგრამ ერთხელაც არ დამნახვებია!

ისეთი გულწრფელი სინანულით და ისეთი გრძნობით თქვა ეს სიტყვები, რომ მალვინა სპააკმა გულში ღმერთს შეევედრა, მალე აუსრულე ეს ნატვრაო. ახალგაზრდა ბარონს ნამდვილად ებრალებოდა ბედშავი აჩრდილი და სურდა იმქვეყნიური სიმშვიდე დაებრუნებინა მისთვის.

ამის შემდეგ მალვინა სპააკს უფრო ხშირად ეცხადებოდა აჩრდილი, ვიდრე ოჯახის რომელიმე სხვა წევრს. ისე ხშირ--ხშირად ნახულობდა, რომ თითქმის შეეჩვია კიდეც. ყოველთვის მეყსეულად და მოულოდნელად გამოეცხადებოდა ხოლმე - ხან კიბეზე, ხან დერეფანში, ხან კიდევ სამზარეულოს ბნელ კუთხეში.

მაგრამ აჩრდილის გამოცხადების მიზეზი მაინც გამოუცნობი იყო. მალვინა გულში ერთ რამეს ფიქრობდა: ისეთი ხომ არაფერია ამ სახლში, მისი მოძებნა რომ უნდოდესო. მაგრამ აჩრდილი, როგორც კი ადამიანის მზერას წააწყდებოდა, მაშინვე ქრებოდა და მალვინა ვერა და ვერ მიხვედრილიყო მის განზრახვას.

გოგონამ შეამჩნია, რომ ჰედებიუს ახალგაზრდობა მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ ეს აჩრდილი ნამდვილად მოხუცი გენერალი ლიოვენშოლდი იყო, თუმცა, ბარონესა ამაში არ ეთანხმებოდა.

- სამარეში იტანჯება, - ამბობდნენ ახალგაზრდა ქალბატონები, - და აინტერესებს, რას ვაკეთებთ აქ, ჰედებიუში. რატომ უნდა მოვაკლოთ ეს სიამოვნება.

მალვინა სპააკს კი, რომელსაც გენერალთან ყოველი შეხვედრის შემდეგ საკუჭნაოში გაქცევა უხდებოდა, რათა თავმომაბეზრებლად ქირდვას არიდებოდა და შიშისგან გულგახეთქილს სული მოებრუნებინა, ბევრად ერჩივნა, აჩრდილს ასეთი ცხოველი ინტერესი არ გამოეჩინა ჰედებიუსადმი, თუმცა კი გრძნობდა, რომ სხვებს თვალში დააკლდებოდათ იგი.

ერთხელ, საღამოს, ისხდნენ ქალები და ხელსაქმობდნენ - ქსოვდნენ, კერავდნენ რაღაცას, დროდადრო კითხულობდნენ კიდეც ან ლაპარაკობდნენ. უეცრად ერთ-ერთმა ახალგაზრდა ქალბატონმა საშინლად შეჰკივლა. ირწმუნებოდა, თითქოს ვიღაცის სახე დაენახოს ზედ ფანჯრის მინაზე მოწებებული, თანაც

მთლიანად სახე კი არა, არამედ ორრიგად ჩამწკრივებული ელ-ვარე კბილები. საჩქაროდ აანთეს ფარანი, დერეფნის კარი გა-მოაღეს და ბარონესას წინამძღოლობით დარბაზიდან გაცვივ-დნენ, რათა ენახათ მათი მყუდროების დამრღვევი.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ვერავინ იპოვეს. მერე ყველანი უკან შემობრუნდნენ, დარაბები მაგრად დახურეს, ხელი ჩაიქნიეს და იმ აზრს დაადგნენ, სხვა ვინ იქნებოდა, თუ არა გენერალიო. ამის შემდეგ აბა, თვლემა ვიღას მოერეოდა. გაუჩნდათ საფიქ-რალი, უფრო სწრაფად დაატრიალეს სართავი ჯარა, გააბეს სჯა--ბაასი.

ლიოვენშოლდების ოჯახი დარწმუნებული იყო, როგორც კი საღამოს დარბაზიდან გავიდოდნენ, გენერალი მაშინვე იქ გაჩ-ნდებოდა და თუ ვინმე გაბედავდა იქ შესვლას, აუცილებლად ნა-ხავდა მას. ლიოვენშოლდებს სულაც არ აწუხებდათ მისი იქ ყოფნა. მალვინა სპააკი იმასაც ფიქრობდა, იქნებ უხარიათ კი-დეც, მათ მიუსაფარ წინაპარს მშვიდად რომ შეუძლია იყოს თბილ და მყუდრო ოთახშიო.

როდესაც გენერალი დარბაზში შედიოდა ხოლმე, სიამოვნებ-და, თუ დასუფთავებული და დალაგებული ხვდებოდა იქაურობა. მალვინა ყოველ საღამოს მოწმე იყო, როგორც კი საქმიანობას მორჩებოდნენ, ბარონესაცა და მისი ქალიშვილებიც გულმოდ-გინედ ალაგებდნენ ხელსაქმეს, სართავი ჯარა და ქარგა მეორე ოთახში გაჰქონდათ. ერთ ნაწყვეტ ძაფსაც არ დატოვებდნენ იატაკზე.

მალვინა სპააკი, რომელსაც დარბაზის გვერდით ერთ პატარა სენაკში ეძინა, ერთხელ ღამით უცებ ხმაურმა გამოაღვიძა: რა-ღაც საგანი ყრუდ მოხვდა იმ კედელს, სადაც მისი საწოლი იყო მიდგმული და იატაკზე გაგორდა. ხეირიანად გონზე მოსვლა

ვერც კი მოასწრო, რომ ისევ გაისმა დარტყმის ხმა და ისევ რაღაც გაგორდა იატაკზე, მერე კიდევ ორჯერ განმეორდა იგივე.

- ღმერთო ჩემო, რა მოუვიდა ნეტავ? - ამოიოხრა მალვინამ, რადგან მაშინვე მიხვდა, ვინც იქნებოდა ამ აურზაურის ამტეხი.

დიახ, სულაც არ იყო სასიამოვნო ამ კაცის მეზობლად ყოფნა. მთელი ღამე ქალი ცივ ოფლში იწურებოდა და სულ იმის შიში ჰქონდა, გენერლის აჩრდილი შემოვა და დახრჩობას მომინდომებსო.

როცა მეორე დილით ამბის გასაგებად დარბაზში შევიდა, თან გაიყოლა მზარეული ქალი და მოახლე. მაგრამ გატეხილი არაფერი დახვედრიათ, არც არეულ-დარეული იყო იქაურობა, მხოლოდ ის იყო, რომ შუა ოთახში ოთხი ვაშლი ეგდო იატაკზე. ეს როგორ მოუვიდათ! წუხელ ბუხართან ისხდნენ, ვაშლს მიირთმევდნენ და ეტყობა, ოთხი ცალი ბუხრის თავზე დარჩათ. ეს, ცხადია, არ მოეწონა გენერალს! ერთ უძილო ღამედ დაუჯდა მალვინა სპააკს თავისი დაუდევრობა.

ამავე დროს მალვინა სპააკი არასოდეს დაივიწყებდა იმ მეგობრულ სიკეთეს, რომელიც გამოიჩინა ერთხელ მისდამი გენერალმა.

ჰედებიუს მამულში წვეულება გამართეს, სადილად უამრავი სტუმარი მოიპატიჟეს. მალვინა სპააკი ჯარასავით ტრიალებდა - აქეთ შამფურზე წამოგებული მწვადებისთვის უნდა მიეხედა, იქით - ღუმელში შედგმული ნამცხვრისა და პაშტეტისთვის, ქურაზე ბულიონიანი ქვაბები და საწებლიანი ტაფა ედგა. გარდა ამისა, პირველად მოუწია დარბაზში სუფრის გაწყობაზე ზედამხედველობამ; ვერცხლეული ჩაიბარა, რომელიც ბარონესამ საკუთარი ხელით მიუთვალა. ისიც კი მისი საზრუნავი გახდა, რომ სარდაფიდან ღვინო და ლუდი ამოეტანათ და სანთლები ჩაეწყოთ ჭაღში. თანაც სამზარეულო ეზოს მეორე ბოლოში, განცალ-

კევებულ ფლიგელში იყო და წარამარა უხდებოდა აქეთ-იქით სირბილი, ამასთან, სამზარეულო სავსე იყო სახელდახელოდ მოწვეული გამოუცდელი მსახურებით. ყოველივე ამას თუ გავითვალისწინებთ, მივხვდებით, რა სიმარჯვე უნდა გამოეჩინა ამოდენა საქმის თავმდგომ ერთადერთ ადამიანს.

მაგრამ ყველაფერი ისე აეწყო, როგორც წესი და რიგი იყო. წუნი არაფერს დაედებოდა. ჭიქებს ერთი ლაქაც არ აჩნდა, არც პაშტეტს დაჰკრავდა შიგნეულის უსიამოვნო გემო, ლუდი კარგად ქაფდებოდა, ბულიონს ზომიერად ჰქონდა საკაზმი, ყავაც ზომიერად მაგარი იყო. მალვინამ მართლაც თავი გამოიჩინა. ბარონესამ ქება არ დაიშურა და უთხრა, უკეთესი არც კი შეიძლებოდა ყოფილიყოო.

მაგრამ მოულოდნელად საშინელი ამბავი დაატყდა თავს მალვინა სპააკს. ვერცხლეულს რომ აგროვებდა ბარონესასთვის დასაბრუნებლად, შეატყო, რომ ორი კოვზი აკლდა - სუფრისა და ჩაის. ყველა აფორიაქდა. მაშინდელ დროში ვერცხლეულის დაკარგვაზე უარესი რა უნდა მოსვლოდა ოჯახს. ჰედებიუში დიდი ჩოჩქოლი ატყდა. ყველანი გამწარებით ეძებდნენ იმ ორ კოვზს. მოაგონდათ, რომ ნადიმის დროს სამზარეულოში ვიღაც მოხუცი ბოშა ქალი იყო, და მზად იყვნენ, შორეული ფინეთის ტყეებში წასულიყვნენ მის შესაპყრობად. ყველა უაზროდ ეჭვიანობდა. დიასახლისს ეჭვი ჰქონდა ეკონომზე, ოჯახის ეკონომს - მსახურ ქალებზე, მსახურ ქალებს - ერთმანეთსა და მთელ ქვეყნიერებაზე. ხან ერთს დაუწითლდებოდა თვალები ტირილისგან, ხან მეორეს, რადგან სათითაოდ ყველა იმას ფიქრობდა, ჩემზე აქვთ ეჭვიო.

ასე გაგრძელდა რამდენიმე დღე, მაგრამ პოვნით მაინც ვერ იპოვეს ის ვერცხლის კოვზები. მალვინა სპააკი ლამის სასოწარკვეთაში ჩავარდა. საღორეში შევიდა და სალაფავით სავსე გობ-

შიც კი ეძება, უჩუმრად სხვენზეც ავიდა, სადაც მსახური ქალები თავიანთ კაბებს ინახავდნენ და მალულად გაჩხრიკა მათი პატარა სკივრები. მაგრამ ყოველივე ამაო აღმოჩნდა. ეს კი შეამჩნია, რომ ბარონესასაც და ოჯახის სხვა წევრებსაც მასზე ჰქონდათ ეჭვი, როგორც გადამთიელზე. მალვინა მიხვდა, რომ თუ ნებით არ დაანებებდა თავს აქ მუშაობას, ისინი თავად გააბრძანებდნენ გარეთ.

ფროიკენ სპააკი სამზარეულოში ქურასთან თავჩაქინდრული იდგა და ისე მწარედ ქვითინებდა, ცრემლებს ცხელ ქურაზე სულ შიშინ-შიშინი გაჰქონდა; ანაზდად იგრძნო, რომ უკან მოხედვაა საჭირო. მოიხედა და უცებ კედელთან მდგომი გენერალი დაინახა. თითით მიანიშნებდა თაროზე, რომელიც ისე მაღლა იყო მიჭედებული, რომ არასოდეს არავის აზრადაც არ მოსვლია იქ რაიმეს შემოდება.

გენერალი, ჩვეულებისამებრ, როგორც გაჩნდა, ისე გაუჩინარდა, მაგრამ მალვინა სპააკმა ყურად იღო მისი მითითება. საკუჭნაოდან კიბე გამოათრია, თაროს მიადგა, სულ ბოლომდე აძვრა ზედ, ხელი გაიწვდინა, მოაფათურა და ჭურჭლის სარეცხ ძველ ჩვარში შეხვეული ნახა ის ვერცხლის კოვზები.

როგორ მოხვდა ეს კოვზები აქ? რასაკვირველია, განზრახ ეს არავის გაუკეთებია და არც არავინ იცოდა ამის შესახებ. დიდი წვეულების დროს ისეთი არეულობაა, ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ჩვარი, ალბათ, იმიტომ აისროლეს თაროზე, რომ იატაკზე ეგდო და ფეხებში გაებლანდა ვიღაცას, მას თუ ვერცხლის კოვზები მიჰყვა - ეს მაშინ არავის შეუმჩნევია.

როგორც კი კოვზები გამოჩნდა, ბედნიერებისგან სახეგაბრწყინებულმა მალვინა სპააკმა ბარონესას მიუტანა და კვლავ მისი მარჯვენა ხელი და თანაშემწე გახდა.

ზოგი ჭირი მარგებელიაო. გაზაფხულზე შინ დაბრუნებულმა ახალგაზრდა ბარონმა ადრიანმა როცა შეიტყო, გენერალმა გაუგონარი კეთილგანწყობა გამოიჩინა მალვინა სპააკისადმიო, მაშინვე განსაკუთრებით ყურადღებიანი გახდა ახალგაზრდა ეკონომისადმი. წარამარა შედიოდა მასთან საბუფეტესა და სამზარეულოში, ხან იმას მოიმიზეზებდა, ნემსკავის ძუა მჭირდება ანკესისთვისო, ხან ვითომდა ახალგამომცხვარი ფუნთუშის სასიამოვნო სურნელმა მიიზიდა. თანაც საუბარი ყოველთვის ზებუნებრივ მოვლენებზე გადაჰქონდა. მერე დასვამდა მალვინას და აამბობინებდა აჩრდილების ამბებს, რომლებიც სიორმლანდის ისეთ მდიდარ მამულებში ხდებოდა, როგორიცაა იულიტა და ერიკსბერგი, თან სურდა შეეტყო მისი აზრი ყოველივე ამაზე.

მაგრამ უფრო ხშირად ახალგაზრდა ბარონს გენერალზე ლაპარაკი სწყუროდა. სხვებთან ამის თაობაზე მსჯელობა იმიტომ არ მინდა, ყოველთვის ხუმრობაში გადააქვთ, მე კი ნამდვილად გული შემტკივა ამ ბედშავ აჩრდილზე და მინდა, საუკუნო განსვენებას ეღირსოს. მხოლოდ ეგაა, არ ვიცი, რით დავეხმაროო!

მალვინა სპააკმა ამის პასუხად უთხრა, ჩემი მოკლე ჭკუით, ამ სახლში რაღაცას უნდა ეძებდეს გენერალიო.

ახალგაზრდა ბარონი ოდნავ გაფითრდა და გამომცდელად შეხედა მალვინას.

- Ma foi, ფროიკენ სპააკ! - წამოიძახა მან, - ეგ სავსებით შესაძლებელია! მაგრამ გარწმუნებთ, თუ ჰედებიუში რამე გვაქვს ისეთი, რაც გენერალს სწადია, მყისვე მივცემთ.

მალვინა სპააკმა, რა თქმა უნდა, ძალიან კარგად იცოდა, რომ ახალგაზრდა ბარონი მხოლოდ და მხოლოდ აჩრდილზე სალაპარაკოდ დადიოდა მასთან, მაგრამ რა თავაზიანი იყო, რა ლამაზი! პირდაპირ უნდა ითქვას - ულამაზესი! ოდნავ თავდახრილი სიარული იცოდა. სულ ჩაფიქრებული იყო. ბევრი ფიქ-

რობდა, ასაკთან შედარებით მეტისმეტად სერიოზულიაო. მაგრამ ასე იმიტომ ფიქრობდნენ, რომ არ იცნობდნენ. დროდადრო თავს ლაღად ასწევდა ხოლმე, ხუმრობას მოჰყვებოდა და ისეთ ოინებს მოიგონებდა, ტოლს არავის დაუდებდა. მაგრამ რა საქმისთვისაც უნდა მოეკიდა ხელი - მის ყოველ მოძრაობაში, ხმასა და ღიმილში აუწერელი მომხიბვლელობა გამოსჭვიოდა.

ერთხელ, ზაფხულის კვირადღეს, მალვინა სპააკი ეკლესიაში იყო. შინ დაბრუნებისას, მოკლეზე მოვჭრიო, და ერთ პატარა ბილიკს დაადგა, რომელიც პასტორის ეზოზე გადადიოდა. წირვაზე მყოფთაგან თითო-ოროლა სხვაც ამ ბილიკს გამოჰყვა. მალვინა ჩქარობდა და მის წინ ნელი ნაბიჯით მიმავალ ქალს გაუსწრო. ღობეს რომ მიადგა, ბუნებით კეთილმა მაშინვე ის გაიფიქრა, საბიჯელაზე გადასვლა გაუჭირდებაო და მისაშველებლად დაელოდა. ხელი გაუწოდა დასახმარებლად და ახლაღა შეამჩნია, რომ თურმე არც ისე მოხუცი ყოფილა, როგორც შორიდან მოეჩვენა. სახის კანი თეთრი ჰქონდა და გადატკეცილი, ორმოცდაათზე მეტის არც იქნებაო, გაივლო გულში. გარეგნობით უბრალო გლეხის ქალი ჩანდა, მაგრამ ღირსეულად ეჭირა თავი, თითქოს რაღაც ისეთი გამოევლო ცხოვრებაში, რასაც თავის წოდებაზე მაღლა დაეყენებინა იგი.

ქალს ღობეზე გადასვლაში დაეხმარა და მერე ერთად განაგრძეს გზა ამ ვიწრო ბილიკით.

- როგორც ვატყობ, თქვენ ბრძანდებით ის ქალიშვილი, საოჯახო მეურნეობას რომ უძღვება ჰედებიუში, - უთხრა გლეხის ქალმა.

- დიახ, - მიუგო მალვინა სპააკმა.

- ალბათ, კმაყოფილი ხართ იქ ყოფნით?

- რატომ უნდა ვიყო უკმაყოფილო ასეთი კარგი ადგილით! - თავშეკავებულად მიუგო მალვინამ.

- ხალხში ავი ხმები დადის ჰედებიუზე.

- ხალხის მითქმა-მოთქმის აყოლა ურიგო საქმეა, - დამრიგებლური კილოთი დასძინა მალვინამ.

- ურიგოა, დიახაც რომ ურიგოა. მე კარგად ვიცი ეს! - დაეთანხმა გლეხის ქალი.

ერთხანს დუმდნენ. ეტყობოდა, ამ ქალმა რაღაც იცოდა, და, სიმართლე რომ ითქვას, მალვინა სპააკს სული მისდიოდა, ისე უნდოდა გამოეკითხა, მაგრამ მიხვდა, რომ ასეთი სულსწრაფობა არ შეჰფეროდა და საერთოდაც უხერხული იყო.

პირველმა ისევ იმ ქალმა დაარღვია დუმილი.

- გეტყობათ, კარგი ადამიანი უნდა იყოთ, - უთხრა მან, - ამიტომ მინდა კეთილი რამ გირჩიოთ: დიდხანს ნუ დარჩებით ჰედებიუში, იმიტომ, რომ იმ აჩრდილთან ხუმრობა არავის არგებს. სანამ წადილს არ აისრულებს, თავისას არ მოიშლის.

- მერედა რა სწადია? თქვენ იცით, რა უნდა?

- ფროიკენ, ნუთუ არაფერი გსმენიათ ამაზე? - შეეკითხა გლეხის ქალი, - მაშინ მე ერთ სიტყვასაც აღარ ვიტყვი. იქნებ თქვენთვის უკეთესიცაა, რომ არაფერი იცით.

ეს თქვა, ხელი ჩამოართვა, მეორე ბილიკზე გადაუხვია და მალე თვალს მიეფარა.

მალვინა სპააკმა სიფრთხილე არჩია და სადილობისას ამ საუბრის შესახებ არაფერი უთქვამს ოჯახის წევრებისთვის. მაგრამ ნასადილევს, როდესაც ბარონმა ადრიანმა სარძევე ფარდულში მიაკითხა, მისთვის აღარ დაუმალავს, რაც უცნობმა ქალმა უთხრა. ადრიანი მართლაც ძალიან განაცვიფრა ამან.

- ეტყობა, ოლსბიუელი მარიტ ერიკსდოტერი იყო, - თქვა მან, - იცით, ფროიკენ სპააკ, ამ ოცდაათი წლის განმავლობაში ეს პირველი შემთხვევაა, მეგობრული სიტყვა რომ გაიმეტა ჩვენს მამულში მცხოვრებისთვის. ერთხელ ოლსბიუელმა ბიჭუნამ ქუ-

დი გამიხია და ამ ქალმა დამიკერა, მაგრამ ისეთი სახე ჰქონდა მაშინ, მეგონა, საცაა, თვალებს ამომკაწრავს-მეთქი.

- იცის, რას ეძებს გენერალი?

- სწორედ მან იცის თუ იცის, ფროიკენ სპააკ. მეც ვიცი. ერთხელ მამაჩემმა მიამბო მთელი ეგ ამბავი. მაგრამ მშობლებს არ სურთ, რომ ჩემმა დებმა იცოდნენ ამის შესახებ, დაშინდებიან ამ აჩრდილით და, ალბათ, აღარც ინდომებენ აქ ცხოვრებასო. ვერც მე გავბედავ გითხრათ რაიმე.

- ღმერთმა დაგიფაროთ! - მიუგო მალვინა სპააკმა, - რადგან ბარონმა აგიკრძალათ ლაპარაკი...

- ფრიად ვწუხვარ, - სიტყვა შეაწყვეტინა ბარონმა ადრიანმა, - მეგონა, თქვენ შეძლებდით ჩემს დახმარებას.

- ეჰ, რომ შემეძლოს!

- კვლავ ვიმეორებ, - განაგრძო ბარონმა ადრიანმა, - მინდა მშვიდი სასუფევლის დამკვიდრებაში დავეხმარო ბედშავ აჩრდილს. მე არ მეშინია მისი. როგორც კი მიხმობს, მაშინვე ვეახლები. რატომაა, რომ ყველას ეცხადება და მე კი ერთხელაც არ დამნახვებია?

X

ადრიან ლიოვენშოლდს მანსარდაში ეძინა, როცა უცებ ხმაურმა გამოაღვიძა. თვალი გაახილა და ვინაიდან დარაბები არ მიეხურათ და თანაც ზაფხულის მთვარიანი ღამე იყო, თვალნათლივ დაინახა, რომ კარი ნელ-ნელა გაიღო. ღია კარში მეყსეულად წამოიმართა შავი აჩრდილი, რომელიც ოდნავ მოხრი-

ლიყო წელში და ცნობისმოყვარეობით იმზირებოდა მანსარდის სიღრმეში.

ადრიანმა ნათლად გაარჩია მოსული. მოხუცი კაცი იყო, კავალერისტის ძველებური მუნდირი ეცვა, ოდნავ გაღეღილი მუნდირის ქვეშ მოუჩანდა ცხენირმის ტყავის კოლეტი, ბოტფორტები მუხლს ზემოთ სწვდებოდა, ხელში ძველი პალაში ეკავა, ოდნავ აწეული, თითქოს ერიდება, არ იჟღარუნოსო.

„ღმერთმანი, გენერალია! - გაიფიქრა ახალგაზრდა ბარონმა, - ძალიანაც კარგი. ახლა იგი იხილავს ადამიანს, ვისაც არ ეშინია მისი“.

ყველა, ვისაც კი გენერალი უნახავს, ერთხმად იმას ამბობდა, საკმარისია, მზერა მიაპყროთ და მაშინვე გაუჩინარდებაო. ამჯერად კი ასე არ მომხდარა, ადრიანმა რომ შენიშნა, მას შემდეგაც კარგა ხანს იდგა გენერალი კარში. რამდენიმე წუთის შემდეგ, როცა გენერალი დარწმუნდა, რომ ადრიანი არ შეაშინა მისმა დანახვამ, ხელი ასწია და იხმო.

ადრიანი მაშინვე წამოჯდა საწოლში. „ან ახლა, ან არასოდეს, - გაიფიქრა, - ძლივს მოვესწარი, რომ დახმარებას მთხოვს. უნდა გავყვე“.

წლების განმავლობაში ელოდა იგი ამ დღეს და საათს. წინასწარ ემზადებოდა აჩრდილთან შესახვედრად, იცოდა, რომ ბოლოს და ბოლოს, ეღირსებოდა ამას.

ადრიანს არ უნდოდა, გენერალი დალოდებოდა, როდის ჩაიცვამდა, ამიტომ ზეწარს წაეტანა, ტანზე შემოიხვია და ისე გაჰყვა.

მანსარდის შუაში რომ იდგა, მხოლოდ მაშინ გაიფიქრა, ეგებ არცთუ უხიფათო იყოს, ასე იოლად რომ დავყევი იმქვეყნიური არსების ნებასო, და უკან დაიხია. მაგრამ დაინახა, რომ გენე-

რალმა მკლავები გამოიწვდინა მისკენ, თითქოს რაღაცას ეხვეწება სასოებითო.

„რა სისულელეა?“ - გაიფიქრა მან, - ჯერ მანსარდიდან არ გავსულვარ და უკვე შევშინდი“.

კარს მიუახლოვდა, გენერალი უკვე სხვენში იყო, მიდიოდა და წარამარა უკან იხედებოდა, თითქოს უნდოდა დარწმუნებულიყო, ხომ მომყვება ახალგაზრდა ბარონიო.

ადრიანმა მანსარდის ზღურბლს მიაღწია, ერთი ნაბიჯიც და სხვენში შევიდოდა, მაგრამ ამ დროს იგრძნო, შიშისგან როგორ შეეკუმშა გული. შინაგანი ხმა ჩასძახოდა, სწრაფად მიხურე კარი, ოთახში შებრუნდი და დაწექიო. მიხვდა, რომ კარგად ვერ მოზომა თავისი გულადობა. იგი არ ეკუთვნოდა იმათ რიცხვს, ვისაც დაუსჯელად შერჩენია იმქვეყნიურ საიდუმლოებაში ჩახედვა.

მაგრამ ადრიანს ჯერ კიდევ შემორჩენოდა ცოტაოდენი გამბედაობა. თავი დაიმშვიდა, გენერალს, ალბათ, ფიქრადაც არა აქვს ჩემი შეტყუება ხაფანგში. მხოლოდ ის უნდა, მიჩვენოს, სად არის ბეჭედიო. ამიტომ, თუ კიდევ რამდენიმე წუთს გაუძლებდა, წლობით გულში ნასათუთებ წადილს აისრულებდა და დაქანცულ გენერალს სამარადისო სასუფეველს დაუმკვიდრებდა.

გენერალი სხვენის შუაში გაჩერდა ახალგაზრდა ბარონის მოლოდინში. აქ უფრო ბნელოდა, მაგრამ ადრიანი მაინც მკაფიოდ ხედავდა გენერლის შავ აჩრდილს, რომელსაც მუდარით მისკენ გამოეწვდინა მკლავები. ადრიანს ცოტა გული რომ მოეცა, ზღურბლს გადააბიჯა და სხვენში შევიდა.

აჩრდილმა სხვენის კიბეს მიაშურა და რაკი დაინახა, ადრიანი ფეხდაფეხ მიჰყვებოდა, უკან-უკან სვლით დაბლა ჩაჰყვა საფეხურებს. ყოველ საფეხურზე ჩერდებოდა, გაუბედავ ჭაბუკს თავის ნებას უმორჩილებდა და თითქმის ძალით მიათრევდა კიბეზე.

ნელ-ნელა, სვენებ-სვენებით მიიწევდნენ წინ. ადრიანი თავს იგულიანებდა იმის გახსენებით, რომ მრავალჯერ დაუკვეხია დებთან, მაშინვე ვეახლები, როგორც კი მიხმობს გენერალიო. ისიც მოიგონა, ბავშვობიდანვე რომ ჰქონდა აკვიატებული იდუმალების ამოცნობის დაუოკებელი სურვილი. და აი, დადგა ეს დიადი წამი. იგი იდუმალებისკენ მიჰყვება აჩრდილს. ნუთუ უმწეო სულმოკლეობა დასძლევს და ვერ ჩასწვდება ამ უჩვეულოდ ფარულსა და გამოუცნობს.

ასეთი ფიქრით ცდილობდა გულის გამაგრებას, მაგრამ აჩრდილთან მთლად ახლოს მისვლას მაინც ერიდებოდა, რამდენიმე არშინის დაშორებით მიჰყვებოდა. როცა ადრიანი შუა კიბეზე იყო, გენერალს უკვე ჩათავებული ჰქონდა საფეხურები. როცა ადრიანი ბოლო საფეხურზე იდგა, გენერალი უკვე დერეფანში იყო.

კიბის ბოლო საფეხურზე ადრიანი კიდევ ერთხელ შეჩერდა. მისგან ხელმარჯვნივ, ზედ ამ კიბესთან, მშობლების მოსასვენებელი ოთახი იყო. კარის სახელურს მოჰკიდა ხელი, მაგრამ გაღება როდი სურდა, მხოლოდ სიყვარულით მოესათუთა. რა იცოდნენ მისმა მშობლებმა, ვისთან ერთად იდგა ამ კართან! დედის მკერდში ჩაკონება მოუნდა, ასე ეგონა, გავუშვებ თუ არა ხელს ამ სახელურს, იმავ წამს გენერლის ნების სრული მორჩილი გავხდებიო.

სანამ სახელურზე ხელმოჭიდებული იდგა, დაინახა, რომ დერეფნის ერთ-ერთი კარი გაიღო და გენერალმა ზღურბლს გადააბიჯა, ეტყობა, სახლიდან გარეთ გასვლას აპირებდა.

სხვენშიც და კიბეზეც გვარიანად ბნელოდა, აქ კი, გაღებულ კარში, ძლიერმა შუქმა შემოანათა და ადრიანმა პირველად დაინახა ასე მკაფიოდ გენერალი.

როგორც მოელოდა, მოხუცის სახე ჰქონდა აჩრდილს. ამ სახეს ადრიანი კარგად იცნობდა იმ პორტრეტის მიხედვით, რომელიც სასტუმრო ოთახს ამშვენებდა, მაგრამ მის ნაკვთებს საუკუნო განსვენების სიმშვიდე როდი ეტყობოდა. აჩრდილის სახეში უძღები სიხარბე გამოსჭვიოდა, ხოლო ტუჩებზე გამარჯვებულის ბოროტი ღიმილი დასთამაშებდა.

საშინელი სანახავი იყო მიწიერი ვნებებით შეპყრობილი ეს აჩრდილი! მიცვალებული, ჩვენი წარმოდგენით, სადღაც შორეთშია, ყოველგვარ ადამიანურ სიამესა და ვნებებს მოცილებული, ამქვეყნიურისა აღარაფერი სცხია და მხოლოდ ზეციურ ზრახვებსაა მინდობილი; ასეთად გვინდა ვიხილოთ იგი. ამ არსებაში კი, რომელიც მიწიერებით იყო აღსავსე, ადრიანს მოეჩვენა მაცდური, ავი სული, რომელსაც მისი დაღუპვა ეწადა.

საშინელი ძრწოლა დაეუფლა. შიშისგან გაოგნებულმა ლამის სახელური გამოჰგლიჯა, ისეთი ძალით გამოაღო უცებ მშობლების საძინებელი ოთახის კარი და ყვირილით შევარდა შიგ:

- მამა! დედა! გენერალი!

და იმავე წუთს გულწასული დაეცა იატაკზე.

კალამი მივარდება ხელიდან. ამაოდ ხომ არ დავშვრი, ყოველივე ეს რომ ჩავიწერე? ეს ამბავი შეღამებისას მიამბეს, მოგიზგიზე კერასთან. ახლაც ყურში ჩამესმის მთქმელი ქალის დამაჯერებელი ხმა. ვგრძნობ, როგორ მივლის ტანში ჟრუანტელი და ძრწოლა მეუფლება. ასეთი რამ მარტო მოჩვენებების შიშმა კი არ იცის, არამედ იმის წინასწარმა განცდამაც, რაც მერე უნდა მოხდეს!

მერედა იცით, რა გულისყურით ვისმენდით ამ ამბავს, როგორ გვჯეროდა, რომ ფარდის ერთი კალთა მაინც აეხდებოდა საიდუმლოებას! ასე გვეგონა, თითქოს რომელიღაც კარი გაიღო და საცაა სიბნელიდან გამოგვეცხადება ვიღაც!

ნამდვილია ეს ამბავი? მთქმელმა მემკვიდრეობით მიიღო იგი თავისი წინამორბედისგან. ერთნი რაღაცას უმატებდნენ, მეორენი აკლებდნენ, მაგრამ იქნებ სიმართლის მცირე მარცვალი მაინც ურევია შიგ? განა ისეთი შთაბეჭდილება არ გვრჩება, თითქოს მართლაც მომხდარა ეს ყველაფერი?

აჩრდილი, რომელიც დაძრწოდა ჰედებიუში; აჩრდილი, რომელიც დღისით-მზისით გამოცხადდებოდა და შინაურ საქმეებში ერეოდა; აჩრდილი, რომელიც ეძებდა დაკარგულ ნივთებს, - ვინ იყო იგი? რა უნდოდა?

რაიმე უჩვეულოდ მრავალმნიშვნელოვანსა და წინასწარდასახულს ხომ არ მოასწავებდა მისი ყოველი გამოჩენა? იქნებ რაიმე თავისებურებით გამოირჩეოდა თავადთა სასახლეებში მოხეტიალე სხვა აჩრდილებისგან? იქნებ მალვინა სპააკმა მართლაც გაიგონა, როგორ ესროდა აჩრდილი ვაშლებს ოთახის კედელს, ხოლო ახალგაზრდა ბარონი ადრიანი მართლაც თან ახლდა მას სხვენშიც და სხვენის კიბეზეც...

მაგრამ მაშინ, მაშინ... ეგებ ამ გამოცანის ამოხსნა მხოლოდ ერთი იმათგანის ხვედრია, ვინც უკვე ახლა ხედავს სინამდვილეს, დაფარულს ჩვენი დღევანდელობით.

XI

ახალგაზრდა ბარონი ადრიანი ფერმიხდილი უძრავად იწვა მშობლების ვეებერთელა საწოლზე. მაჯაზე ძლივძლივობით შეატყობდით, რომ სისხლი ჯერ არ გაჰყინვოდა ძარღვებში. გონე-

ბაზე არ მოსულიყო, მაგრამ სიცოცხლის ლამპარიც არ ჩაჰქრობოდა.

ბრუს სამრევლოში ექიმი არ ჰყავდათ, ამიტომ დილის ოთხ საათზე ერთ-ერთი მოსამსახურე ცხენზე შესვეს და კარლსტადში აფრინეს, ეგებ ვინმე ნახოს და ჩამოიყვანოსო. მორბედს ექვსი მილი უნდა გაევლო იქითობას და თუნდაც შინაც დახვედროდა ექიმი და იმავ წუთს წამოჰყოლოდა, სულ ცოტა თორმეტი საათის შემდეგ ჩამოვიდოდა ქალაქიდან; ან კიდევ, ვინ იცის, იქნებ ერთი კი არა, ორი დღეც გასულიყო მის მოსვლამდე.

ბარონესა ლიოვენშოლდი საწოლის კიდეზე იჯდა და თვალს არ აშორებდა ადრიანს. სჯეროდა, რომ შვილის სხეულში მბჟუტავი სიცოცხლე არ ჩაქრებოდა, თუ დედა თვალმოუხუჭავად ეყოლებოდა გვერდით და მფარველობას გაუწევდა.

ბარონიც დროდადრო მეორე მხრიდან ჩამოჯდებოდა ხოლმე საწოლზე, მაგრამ დიდხანს ვერ ჩერდებოდა ერთ ადგილას - ხან შვილის მოდუნებულ მკლავს მოჰკიდებდა ხელს და მაჯას გაუსინჯავდა, ხან წამოდგებოდა და ფანჯრიდან შარაგზას გახედავდა, ხან კიდევ ოთახებს გაივლიდა და დარბაზში შეიხედავდა საათის გასაგებად; შეშფოთებული ქალიშვილებისა და აღმზრდელი ქალის მავედრებელ მზერას რომ წააწყდებოდა, თავს გადააქნევდა და ისევ იმ საძინებელ ოთახს მიაშურებდა, სადაც გონწასული იწვა.

მალვინა სპააკის გარდა ამ ოთახში არავის უშვებდნენ, არც ქალიშვილებს, არც მოახლეებს. მხოლოდ მალვინას დართეს იქ შესვლის ნება. შესაფერისად მიიჩნიეს მისი სიარულის მანერა, ლაპარაკის კილოც კი, მართლაც ღირსეულად იქცეოდა იგი აქ.

შუაღამე იყო, მალვინა სპააკი ადრიანის საშინელმა ყვირილმა რომ გამოაღვიძა. ყვირილს იატაკზე წაქცევის ხმაც მოჰყვა და მალვინა მაშინვე წამოვარდა საწოლიდან. თვითონაც არ ახ-

სოვს, როგორ გადაიცვა კაბა. ერთი გონივრული ჩვეულება ისიც ჰქონდა, რომ რა ამბავიც უნდა ყოფილიყო, რაც უნდა მომხდარიყო, ჩაუცმელად არასოდეს დაენახვებოდა ვინმეს. დარბაზში იგი ბარონესას შეხვდა, რომელიც დახმარების სათხოვნელად გამოქცეულიყო აქეთ. მალვინამ და მშობლებმა უგონოდ წაქცეული ადრიანი აიყვანეს და დიდ, ორადგილიან საწოლში ჩააწვინეს. პირველად სამივეს მკვდარი ეგონა, მაგრამ მალვინამ მაჯა გაუსინჯა და სუსტი გულისცემა მაინც შეატყო.

რამდენჯერმე სცადეს მოესულიერებინათ, მაგრამ ადრიანს სიცოცხლის ნიშანწყალიც არ ეტყობოდა და რაც უფრო ცდილობდნენ მის გამოფხიზლებას, თითქოს პირიქით, უარესად ხდებოდა. მერე სასოწარკვეთას მიეცნენ და აღარ იცოდნენ, რა ექნათ. სხვა რაღა დარჩენოდათ, თუ არა ლოდინი.

ბარონესას ცოტაოდენ ის ამშვიდებდა, რომ საძინებელ ოთახში მათთან ერთად იყო მალვინა სპააკი, რომელიც სრულ სიმშვიდეს ინარჩუნებდა და მტკიცედ სჯეროდა, რომ ადრიანი მალე მოვიდოდა გონს. ბარონესამ იმის ნებაც კი მისცა მალვინას, დაევარცხნა და ფეხსაცმელიც ჩაეცმია მისთვის. როცა კაბის ჩაცმაზე მიდგა საქმე, ბარონესა იძულებული გახდა, წამომდგარიყო, მაგრამ მალვინა რომ ღილებს უკრავდა და კაბის ნაოჭებს უსწორებდა, მაშინაც კი წამითაც თვალი არ მოუშორებია შვილისთვის.

მალვინამ ფინჯნით ყავა მოართვა და ზრდილობიანი დაჟინებით აიძულა, დაელია.

ბარონესას ასე ეგონა, მალვინას ფეხიც არ მოუცვლია ამ ოთახიდანო, მაგრამ გოგონამ სამზარეულოსაც მიხედა, რათა მსახურებს სასმელ-საჭმელი არ მოჰკლებოდათ. მიტკლისფერი კი ედო, მაგრამ ერთი წვრილმანიც არ დავიწყებია, ისე თადარიგიანად იქცეოდა. დილის საუზმეც დროულად მოუმზადეს სახ-

ლის პატრონებს, მწყემსმა ბიჭმაც დროზე მიიღო თავისი საგ-ზლიანი აბგა, სანამ პირუტყვს საძოვარზე გარეკავდა.

სამზარეულოში მყოფი მსახურები ეკითხებოდნენ, რა დაემართა ახალგაზრდა ბარონსო, და მალვინა სპააკიც პასუ-ხობდა:

- მარტო ის ვიცით, რომ მშობლებთან შევარდა და რაღაც და-იყვირა გენერალზე. მერე გული წაუვიდა და აი, ჯერაც ვერ მოსუ-ლა გონს.

- ალბათ, გენერალი გამოეცხადა! - თქვა მზარეულმა ქალმა.

- განა გასაკვირი არ არის, რომ იგი ასე უხეშად ექცევა თავის ნათესაობას? - გაიკვირვა მოახლემ.

- ეტყობა, დაელია მოთმინება. ეგენი მისი დაცინვის მეტს რას აკეთებდნენ, ის კი, ალბათ, თავის ბეჭედს ეძებდა.

- იქნებ გგონია, ბეჭედი აქ არის, ჰედებიუში? - ჰკითხა მოახ-ლემ, - ეგრე რომ იყოს, ცეცხლს წაგვიკიდებდა და სულ ერ-თიანად გადაგვბუგავდა, ოღონდ კი თავისი ბეჭედი ეპოვა!

- ცხადზე უცხადესია, რომ ბეჭედი სადმე აქ არის, რომელიმე კუნჭულში მიმალული, - თქვა მზარეულმა ქალმა, - თორემ აბა, ისე რას დაეხეტება გენერალი ამ სახლში!

იმ დღეს მალვინა სპააკმა არ დაიცვა ერთი თავისი შესანიშ-ნავი ჩვეულება, ყური არ მიეგდო ბატონებზე მსახურების ჭო-რაობისთვის.

- რომელ ბეჭედზე ლაპარაკობთ? - იკითხა მან.

- ნუთუ არ იცით, ფროიკენ სპააკ, რომ გენერალი აქ თავისი ტვიფრიანი ბეჭდის საძებნელად დაბორიალებს? - მკვირცხლად უპასუხა მზარეულმა ქალმა, რომელსაც ეტყობოდა, დიდად ეამა, რომ მალვინა სპააკი მათ ლაპარაკს აჰყვა.

მოდგნენ ამის შემდეგ ის და მოახლე და სულ სხაპასხუპით უამბეს მალვინა სპააკს საფლავის გაძარცვისა და ღვთის სამ-

სჯავროს ამბები. ყოველივე ეს რომ მოისმინა მალვინამ, მაშინვე ირწმუნა, ბეჭედი რაღაც მანქანებით ჰედებიუში მოხვდა და სადღაც აქ არის დამალულიო.

მსახური ქალების ნაამბობმა თითქმის ისეთივე ჟრჟოლა მოჰგვარა მალვინა სპააკს, როგორიც მაშინ, გენერალს რომ შეხვდა პირველად სხვენის კიბეზე. სწორედ ამისი შიში ჰქონდა მუდამ. ახლა კარგად იცოდა, როგორი მძვინვარე და შეუბრალებელია ზოგჯერ აჩრდილი. ცხადზე უცხადესი იყო, თუ იგი ვერ დაიბრუნებდა თავის ბეჭედს, ბარონი ადრიანი მოკვდებოდა.

მაგრამ როგორც კი ასეთი რამ დაასკვნა საკმაოდ შეუპოვარი ხასიათის მქონე მალვინა სპააკმა, მაშინვე მოისაზრა, რაც უნდა ექნა. თუ ის წყეული ბეჭედი ჰედებიუში იყო, ყოველი ღონე უნდა ეხმარათ მის მოსაძებნად.

მცირე ხნით ბატონების ოთახში შეიარა, საძინებელში შეიხედა - იქ ყველაფერი ძველებურად იყო; კიბით სხვენზე აირბინა და ადრიანის მანსარდაში ლოგინი გაასწორა, რათა მზად ყოფილიყო იმ შემთხვევისთვის, თუ ახალგაზრდა ბარონი მოიკეთებდა და ზევით, თავის ოთახში გადაიყვანდნენ. შემდეგ ახალგაზრდა ქალბატონები და მათი გამზრდელი მოინახულა. ქალები საშინლად იყვნენ დამფრთხალნი. ისხდნენ და არაფრის გაკეთების თავი არ ჰქონდათ. მალვინამ უამბო, რაც იცოდა, მაგრამ მოკლედ, და მხოლოდ ის, რაც ახალგაზრდა ქალბატონებსაც და გამზრდელსაც მიახვედრებდა საქმის ვითარებას. ბოლოს ჰკითხა, ბეჭდის ძებნაში თუ მომეხმარებითო.

რა თქმა უნდა, მაშინვე დათანხმდნენ. ახალგაზრდა ქალბატონები და გამზრდელი ოთახებსა და მანსარდში შეუდგნენ ძებნას, თვითონ მალვინა სპააკმა კი სამზარეულოს მიაშურა და შინაყმა გოგოების მთელი ჯარი ფეხზე დააყენა.

„გენერალი ისეთივე ხშირი სტუმარია სამზარეულოში, როგორიც ბატონების სახლში, - გაიფიქრა მან, - გული მიგრძნობს, რომ ბეჭედი სადღაც აქ უნდა იყოს“.

სამზარეულოსა და საკუჭნაოში, პურის საცხობსა და ლუდსახდელში ყველაფერი გადაატრიალეს. ეძებეს კედლის ღრიჭოებში, ღუმლის სანაცრეში, თახჩიდან საკაზმიანი ყუთები გამოიღეს და გამობერტყეს, თაგვის სოროებიც კი გაჩხრიკეს.

დროდადრო მალვინა სპააკი მაინც გადაირბენდა ხოლმე ეზოს და ბატონების მოსასვენებელ ოთახში შეიხედავდა. ერთ-ერთი ასეთი ვიზიტის დროს ბარონესა აცრემლებული დახვდა.

- უარესადაა, - წარმოთქვა მან, - მგონი, სიკვდილის პირასაა.

მალვინა საწოლზე დაიხარა, ადრიანის უსიცოცხლო მკლავი ასწია და მაჯა გაუსინჯა.

- სულაც არა, ფრუ, - უთხრა მან, - უარესად კი არა, უკეთესადაა.

ქალბატონი დაამშვიდა, მაგრამ თვითონ თითქმის დაკარგა იმედი, ვაითუ, ახალგაზრდა ბარონმა იქამდე ვერც კი იცოცხლოს, სანამ ბეჭედს იპოვის?

მღელვარებისგან წამით თავდავიწყებას მიეცა და ჩუმად ხელზე მიუალერსა ადრიანს. ისე უნებურად მოუვიდა ეს, თვითონ არც კი შეუმჩნევია, მაგრამ ბარონესას თვალს მაინც არ გამოეპარა.

„Mon Dieu“, - გაიფიქრა მან, - საბრალო გოგო! ნუთუ ასეა საქმე? იქნებ საჭირო იყოს ვუთხრა, რომ... მაგრამ განა სულერთი არ არის, თუ მაინც ხელიდან გამოგვეცლება ჩემი შვილი: გენერალი განრისხებულია მასზე, ხოლო ვისაც გენერალი განურისხდება, ის უნდა მოკვდეს“.

სამზარეულოში რომ დაბრუნდა, მალვინა სპააკი მოახლეებს შეეკითხა, ახლომახლო ეგებ ვინმე ექიმბაში მაინც გეგულებათ,

ვისაც უბედური შემთხვევების დროს მიმართავენ ხოლმე, ნუთუ აუცილებლად ექიმის ჩამოსვლას უნდა ველოდოთო?

როგორ არა, შეუძლოდ როცა გახდება ვინმე, ოლსბიუში მარიტ ერიკსდოტერს მიაკითხავენ ხოლმეო. სისხლის გამოლოცვა იცის, ჯარაექიმობასაც სწევს. ის კი ნამდვილად შეძლებდა საამქვეყნოდ მოებრუნებინა ადრიანი, მაგრამ არა გვგონია, ჰედებიუში მოსვლა ინდომოსო. სანამ მოახლე და ეკონომი მარიტ ერიკსდოტერზე ლაპარაკობდნენ, მზარეული ქალი მისადგმელი კიბის ბოლო საფეხურზე ასულიყო და სულ ზედა თაროს ათვალიერებდა, სადაც ამას წინათ დაკარგული ვერცხლის კოვზები იპოვეს.

- ვაი! - წამოიძახა მან, - ძლივს არ ვიპოვე? რამდენი ხანია, ვეძებ. აი, თურმე სად ყოფილა ბარონ ადრიანის ძველი ქუდი!

მალვინა სპააკი საშინლად განცვიფრდა. დახეთ, ჩემს აქ მოსვლამდე რა არეულ-დარეულობა ყოფილა ამ თქვენს სამზარეულოში! ბარონ ადრიანის ქუდს რა უნდოდა სამზარეულოს თაროზე?

- რა მოხდა მერე, - თავი იმართლა მზარეულმა ქალმა, - დაუპატარავდა და ქოთნის ხელმოსაკიდებელ ჩვრად მომცა. კიდევ კარგი, ახლა მაინც ვიპოვე!

მალვინა სპააკმა ხელიდან გამოჰგლიჯა ქუდი.

- ცოდვაა ამის ნაკუწებად დაჭრა, - თქვა მან, - ვინმე გაჭირვებულს მივცეთ!

მალვინა სპააკი ეზოში გამოვიდა და ქუდის ბერტყვა დაიწყო. ამ დროს სახლიდან ბარონი გამოვიდა.

- მგონი, ადრიანი უფრო ცუდადაა, - თქვა მან.

- ნუთუ ამ ახლომახლო არავინაა ისეთი, ავადმყოფის მკურნალობა რომ შეეძლოს? - მიამიტური კილოთი იკითხა მალვინა

სპააკმა, - მოახლეები ვიღაც ქალს ახსენებდნენ, მგონი, მარიტ ერიკსდოტერს.

ბარონი შეცბა.

- რა თქმა უნდა, როცა ლაპარაკია ადრიანის სიცოცხლეზე, მე უყოყმანოდ გავგზავნი კაცს ჩემს უბოროტეს მტერთან, - წარმოთქვა მან, - მაგრამ, ვიცი, არაფერი გამოვა. მარიტ ერიკსდოტერი არასოდეს მოვა ჰედებიუში.

ასეთი განმარტება რაკი მოისმინა, მალვინა სპააკმა სიტყვის შებრუნება ვეღარ გაუბედა. ამიტომ კვლავ განაგრძო ბეჭდის ძებნა სამზარეულოში, სადილის თადარიგიც დაიჭირა და ისე მოახერხა, რომ ბარონესაც დანაყრებულიყო. ბეჭედს კი ვერა და ვერ პოულობდნენ. მალვინა სპააკი მაინც ჯიუტად იმეორებდა გულში: „უნდა ვიპოვოთ ბეჭედი! გენერალი სიცოცხლეს გამოასალმებს ადრიანს, თუ ბეჭედს ვერ მოვუძებნით“.

ნასადილევს მალვინა სპააკი ოლსბიუს გაეშურა. არავისთვის უთქვამს, რომ ბარონს მაჯა სულ უფრო და უფრო უსუსტდებოდა, დროდადრო სულაც აღარ ისმოდა გულისცემა. გოგონას აღარ ძალუძდა კარლსტადელი ექიმის ლოდინი. უფრო საფიქრალი იყო, რომ მარიტი უარით გამოისტუმრებდა, მაგრამ მაინც გადაწყვეტილი ჰქონდა, ყოველი ღონე ეხმარა ადრიანის გადასარჩენად.

როცა მალვინა სპააკი სტურგორდენში მივიდა, მარიტ ერიკსდოტერი ჩვეულებისამებრ თავისი ხულის პარმაღზე იჯდა. უსაქმოდ იყო, თავი უკან გადაეწია და თვალები დაეხუჭა, მაგრამ არ ეძინა. ეკონომის მოსვლა რომ გაიგო, მაშინღა ასწია თავი, შეხედა და მყისვე იცნო.

- ესეც ახალი ამბავი, - ჩაილაპარაკა მან, - ჰედებიუდანაც გამომიგზავნეს კაცი!

- მარიტ, ალბათ, უკვე იცი, რა ცუდი ამბავი გვჭირს? - უთხრა მალვინა სპააკმა.

- ჰო, გაგებული მაქვს, - უპასუხა მარიტმა, - არ წამოვალ.

მალვინა სპააკს კრინტიც არ დაუძრავს. ამ უარმა უკანასკნელი იმედი გადაუწურა. ყველაფერი მის წინააღმდეგ აეწყო, ამაზე უარესი რაღა უნდა მოსვლოდა. საკუთარი თვალით ხედავდა, საკუთარი ყურით ესმოდა, როგორ ხარობდა მარიტი. იჯდა პარმაღზე და ხარობდა უბედურებით, უხაროდა, რომ ადრიან ლიოვენშოლდი მოკვდებოდა.

ამ წუთამდე გულმაგრობდა მალვინა. იატაკზე გაშხლართული ადრიანი რომ დაინახა, არ შეუცხადებია, ვიშვიში არ დაუწყია. მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდა - დახმარებოდა ადრიანსა და მის ახლობლებს. მაგრამ მარიტის მტკიცე უარმა სასო წარუკვეთა. თავი ვეღარ შეიკავა და მწარედ აქვითინდა. ფარდულთან მიბარბაცდა და კედელს შუბლით მიეყრდნო. ცრემლად იღვრებოდა გულამომჯდარი.

მარიტი ოდნავ წინ გადმოიხარა. დიდხანს, დიდხანს მისჩერებოდა საბრალო გოგონას. „აი, თურმე რაში ყოფილა საქმე! ნუთუ მართლა?“ - გაიფიქრა მან.

სანამ მარიტი ასე მდუმარედ იჯდა და მისჩერებოდა ქალიშვილს, რომელიც სიყვარულის ცრემლებით დასტიროდა თავის შეყვარებულს, რაღაც შეიძრა და გადატრიალდა მის სულში.

რამდენიმე საათის წინ შეიტყო, რომ ადრიანს გენერალი გამოეცხადა და ისე შეაშინა, სიკვდილის პირას მიიყვანა. მაშინ ასე უთხრა თავის თავს, როგორც იქნა, დადგა შურისგების ჟამიო. სულ იმის მოლოდინში იყო, რაიმე რისხვა დაატყდებათ თავს ლიოვენშოლდებსო, მაგრამ არაფერიც არ ხდებოდა. როტმისტრი ისე ჩავიდა სამარეში, დამსახურებული სასჯელი არ მიუღია. მართალია, მას შემდეგ, რაც მარიტმა ბეჭედი ჰედებიუში გაგზავ-

ნა უჩუმრად, გენერლის აჩრდილი აღარ მოსცილებია იქაურობას, მაგრამ თითქოს გამბედაობა არ ჰყოფნიდა საიქიოდან მოსულს, რომ მისთვის ჩვეული ულმობლობა გამოეჩინა თავისი ნათესავებისადმი.

ახლა კი, უბედურება დაატყდათ თუ არა თავს, მაშინვე მარიტს მიმართეს დახმარებისთვის! ეს დახმარება რატომ სახრჩობელების გორაზე დასაფლავებულთ არ სთხოვეს? ამიტომაც წარმოთქვა კმაყოფილების გრძნობით:

- არ წამოვალ!

ეს იყო მისი შურისძიება!

მაგრამ, როცა მარიტმა დაინახა, როგორ ქვითინებდა კედელს მიყრდნობილი გოგონა, წარსული ამოუტივტივდა მეხსიერებაში. „აი, მეც ასე ვიდექი და ვტიროდი კედელს მიყრდნობილი. და ამქვეყნად ერთი სულიერიც არ მეგულებოდა, რომ გავემხნევებინე“.

იმავ წამს უმანკო სიყვარულის ნაკადული კვლავ აჩუხჩუხდა მარიტის გულში და თავისი ცხოველი შხეფები შეასხურა. გაოცებულმა გაიფიქრა: „ნუთუ მეც ასე ვიტანჯებოდი მაშინ? აი, რა არის სიყვარული! ო, რა ძლიერი და ტკბილი იყო ის ტანჯვა!“

თვალწინ დაუდგა ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე, პირმშვენიერი და მხიარული პაულ ელიასონი. გაიხსენა მისი მზერა, ხმა, მისი ყოველი მოძრაობა და გული შეეკუმშა.

მარიტს ეგონა, მთელი ამ ხნის განმავლობაში კვლავაც მიყვარდა პაულიო და ასეც იყო. მაგრამ როგორ გაცივებულა თურმე გრძნობა ამდენი წლის შემდეგ! ახლა კი, ამ ერთ წამში ძველებური სიცხოვლით წაეკიდა ალი. განუახლდა სიყვარული და ის საშინელი ტანჯვაც, რომელსაც ადამიანი განიცდის საყვარელი არსების დაკარგვისას.

მარიტმა თვალი მოავლო მალვინა სპააკს, რომელიც ისევ ქვითინებდა კედელს მიყრდნობილი. ახლა მიხვდა, როგორ იტანჯებოდა ეს ქალიშვილი.

სულ ცოტა ხნის წინ გულზე აწვა განვლილი წლების სუსხი. გადავიწყებული ჰქონდა, რა მწველია ცეცხლის მხურვალება, ახლა კი გაიხსენა ეს და აღარ სურდა, რომ მისი მიზეზით ვინმე ისე დატანჯულიყო, როგორც თვითონ ეწამა ოდესღაც. წამოდგა და ქალიშვილთან მივიდა.

- წავიდეთ, ფროიკენ, წამოგყვებით! - მოკლედ მიმართა მალვინას.

მალვინა სპააკი მარიტ ერიკსდოტერთან ერთად დაბრუნდა ჰედებიუში. გზაში სიტყვაც არ დასცდენია გლეხის ქალს. მხოლოდ მერე მიხვდა მალვინა, ალბათ, სულ იმაზე ფიქრობდა, როგორ მოქცეულიყო, რომ ბეჭედი ეპოვაო.

მალვინამ სადარბაზო კარიდან შეიყვანა მარიტი სახლში. პირდაპირ ბატონების მოსასვენებელ ოთახს მიაშურეს. იქ ყველაფერი ძველებურად იყო. ადრიანს მკვდრისფერი ედო და მიცვალებულივით უძრავად იწვა. გვერდით ბარონესა უჯდა გაუნძრევლად, რათა შვილისთვის მყუდროება არავის დაერღვია. მარიტ ერიკსდოტერი რომ მივიდა საწოლთან, მხოლოდ მაშინ ასწია თავი.

როგორც კი ბარონესამ იცნო მოსული, რომელიც ადრიანს დასცქეროდა, მის წინაშე მუხლებზე დაეცა და კაბის კალთაზე მიეხუტა.

- მარიტ! მარიტ! - წარმოთქვა მან, - დაივიწყე ყველა ის ბოროტება, რომელიც ლიოვენშოლდებმა მოგაყენეს. უშველე ადრიანს, მარიტ, უშველე!

გლეხის ქალმა უკან დაიხია, მაგრამ ბედშავი ბარონესა მუხლებზე ხოხვით თან მიჰყვა.

- შენ არ იცი, მარიტ, რა შიშში ვარ მას უკან, რაც გენერალი ჩვენს სახლში გამოჩნდა. სულ მეშინოდა. სულ უბედურების მოლოდინში ვიყავი. ვიცოდი, რომ მისი რისხვა ახლა ჩვენ დაგვატყდებოდა.

მარიტი ხმას არ იღებდა, თვალები დაეხუჭა და თითქოს ფიქრში იყო წასული, მაგრამ მალვინა სპააკი დარწმუნებული იყო, რომ უდიდესი სიამოვნებით უსმენდა ბარონესას, როცა იგი თავის ტანჯვაზე ლაპარაკობდა.

- მე თვითონ მინდოდა შენთან მოსვლა, მარიტ, მუხლის მოყრა შენ წინაშე, ლიოვენშოლდების შეწყნარების თხოვნა, მაგრამ ვერ გავბედე. ასე მეგონა, შენ არ ძალგიძდა პატიება! მაგრამ შენ მაინც მოხვედი!

- მე მოვედი ამ ქალიშვილის ხათრით. მან მთხოვა, მოვსულიყავი.

ეს თქვა და მეორე მხრიდან შემოუარა საწოლს, ავადმყოფს გულზე ხელი დაადო, რამდენიმე სიტყვა ჩაიბუტბუტა, შუბლი შეიჭმუხნა, თვალები მილულა და ტუჩები მოკუმა. მალვინა სპააკმა გაიფიქრა, სწორედ ისე იქცევა, როგორც ყველა ექიმბაშიო.

- იცოცხლებს, - წარმოთქვა მარიტმა, - მაგრამ დაიხსომეთ, ფრუ, მხოლოდ ამ ქალიშვილის ხათრით ვუშველი.

- ჰო, მარიტ, - მიუგო ბარონესამ, - ამას არასოდეს დავივიწყებ.

მალვინა სპააკს მოეჩვენა, თითქოს ქალბატონი კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ თავი შეიკავა.

- ახლა კი ჩემს ნებაზე მიმიშვით, ფრუ!

- შენ ნება გაქვს, როგორც გინდა, ისე მოიქცე აქ. ბარონი შინ არ არის. ჩემი თხოვნით ცხენდაცხენ წავიდა ექიმის შესახვედრად, რომ რაც შეიძლება ჩქარა მოიყვანოს.

მალვინა სპააკი მოელოდა, რომ მარიტ ერიკსდოტერი ადრიანის გონზე მოყვანას შეეცდებოდა, მაგრამ მის განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მიხვდა, რომ მსგავსიც არაფერი უცდია.

ნაცვლად ამისა, მოითხოვა, ერთად მოეგროვებინათ ადრიანის მთელი ტანსაცმელი; ისიც, რომელსაც ახლა ხმარობდა, და ადრე გამონაცვალიც, თუნდ ბავშვობის დროინდელი, ერთი სიტყვით, რაც კი რამ მოიძევებოდა. ყველაფერი უნდა ვნახო, რაც კი უხმარია: წინდებიცა და პერანგებიც, ხელთათმანებიცა და ქუდებიცო.

მთელი იმ დღის განმავლობაში ჰედებიუში ყველა ძებნად იყო გადაქცეული. თუმცა, მალვინა სპააკი ჩუმად ოხრავდა, მარიტი ეტყობა, ჩვეულებრივი ექიმბაშია და იმათი არ იყოს, ეგეც შელოცვების იმედითააო, მაინც სასწრაფოდ შეუდგა ავადმყოფის ტანსაცმლის შეგროვებას და სულ ერთიანად გადაქექა კამოდები, სხვენის საკუჭნაოები, ზანდუკები, კარადები. ახალგაზრდა ბარონესებმა მშვენივრად იცოდნენ, რა ეცვა ხოლმე ადრიანს და ეხმარებოდნენ მალვინას, რომელმაც მალე მთელი გროვა ტანსაცმელი ჩამოუტანა მარიტს დაბლა.

მარიტმა სამზარეულოს მაგიდაზე დაალაგა ტანსაცმელი და სათითაოდ გადაარჩია ყველაფერი. განზე გადადო ერთი წყვილი ძველი ფეხსაცმელი, წყვილი პატარა ხელთათმანები და პერანგი. მერე ერთნაირ კილოზე გაბმულ ბუტბუტს მოჰყვა.

- ერთი წყვილი ფეხებისთვის, ერთი წყვილი ხელებისთვის, ერთი ცალი პერანგი, ერთიც თავზე დასახურავი!

- რამე ქუდიც მომიტანეთ თავზე დასახურავი, - მოულოდნელად, მაგრამ ახლა უკვე სავსებით მშვიდად წარმოთქვა, - მე მჭირდება რამე თბილი და რბილი, თავზე დასახურავი.

ეკონომმა რამდენიმე ქუდი მიაწოდა, რომლებიც სხვენიდან ჩამოეტანა.

- არა, ეგ არა, მე მინდა რამე თბილი და რბილი, - უთხრა მარიტმა, - ნუთუ ადრიანს არ ჰქონია ნაქსოვი ქუდი, ფოჩიანი, ისეთი, როგორიც ყველა ბიჭს ახურავს?

ეკონომი ის იყო, აპირებდა თქმას, ასეთი რამ არ მინახავსო, მაგრამ მზარეულმა ქალმა დაასწრო:

- ჰო, მართლა დღეს დილით, აი, იქ მაღლმა, თაროზე ვიპოვე ერთი თბილი ქუდი, სწორედ ფოჩიანი, მაგრამ მალვინამ გამომართვა.

მალვინა სპააკი იძულებული გახდა, დაეთმო ის ქუდი, რომელიც სურდა თავისთვის დაეტოვებინა და სამუდამოდ შეენახა, როგორც ძვირფასი სახსოვარი.

ქუდი რომ მისცეს, მარიტი ხელახლა მოჰყვა შელოცვას, მაგრამ ადრინდელ კილოზე კი აღარ ბუტბუტებდა, ისეთი ხმა ჰქონდა, თითქოს კატა კრუტუნებს სიამოვნებისგანო.

მარიტმა კარგა ხანს ატრიალა ხელში ეს ქუდი, კვლავ რაღაცას ბუტბუტებდა და ბოლოს წარმოთქვა:

- მეტი აღარაფერია საჭირო, მაგრამ ყველაფერი ეს გენერალს უნდა ჩაუდოთ საფლავში.

ეს რომ გაიგონა, მალვინა სპააკი საშინელ სასოწარკვეთას მიეცა.

- ნუთუ შენ გგონია, მარიტ, რომ ბარონი ამ ძველმანების ჩასადებად აკლდამის გახსნის ნებას მოგვცემს.

მარიტმა ქალიშვილს შეხედა და ოდნავ გაუღიმა, მერე მკლავში ხელი მოჰკიდა, ფანჯარასთან მიიყვანა და ისე დააყენა, რომ ყველა, ვინც მაშინ სამზარეულოში იყო, მათ ზურგს უკან აღმოჩნდა. ადრიანის ქუდი ლამის ზედ თვალებთან მიუტანა მალვინას და დიდი ფოჩის ძაფები გადასწია.

ერთი სიტყვაც არ უთქვამთ ერთმანეთისთვის მარიტსა და მალვინა სპააკს, მაგრამ როცა გოგონა ფანჯარას მოსცილდა, მკვდრისფერი ედო და ხელები უკანკალებდა.

მარიტმა გადარჩეული ნივთები პატარა ფუთაში გამოჰკრა და მალვინას გადასცა.

- მე ჩემი საქმე გავაკეთე, - უთხრა მან, - ახლა თქვენ უნდა იზრუნოთ იმაზე, რომ ყოველივე ეს საფლავში მოხვდეს.

ეს თქვა და წავიდა.

ათ საათს გადაცილებული იყო, მალვინა სპააკი სასაფლაოსკენ რომ გაეშურა. მარიტის მიერ მიცემული ფუთა თან მიჰქონდა. ალალბედზე კი მიდიოდა. წარმოდგენაც არ ჰქონდა, როგორ უნდა მოეხერხებინა გენერლის აკლდამაში ამ ნივთების ჩადება.

ჰერ ლიოვენშოლდი მარიტის წასვლისთანავე დაბრუნდა ჰედებიუში, ექიმიც თან ახლდა. მალვინა სპააკი დარწმუნებული იყო, რომ ექიმი შეძლებდა ადრიანის მორჩენას და სხვა რამ ღონის ხმარება აღარ მოუწევდა. მაგრამ ექიმმა მაშინვე განაცხადა, ვერაფერს ვუშველი, სულ რამდენიმე საათის სიცოცხლე დარჩენია ახალგაზრდა ბარონსო.

მაშინ კი იღლიაში ამოიჩარა ფუთა მალვინა სპააკმა და გზას გაუდგა. მან იცოდა, ვერანაირად ვერ დაიყოლიებდა ბარონ ლიოვენშოლდს იმაზე, რომ ნება დაერთო საფლავის ქვები გადაეწიათ და აკლდამა გაეხსნათ შიგ ადრიანის ძველი ტანსაცმლის ჩასადებად.

ბარონისთვის რომ ეთქვა, რაც იდო ამ ფუთაში, იგი მაშინვე (ამაში მალვინა დარწმუნებული იყო) დაუბრუნებდა ბეჭედს მის კანონიერ მფლობელს, მაგრამ ამით ხომ მარიტ ერიკსდოტერს გათქვამდა.

ქალიშვილს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ სწორედ მარიტმა მიუგდო ეს ბეჭედი ლიოვენშოლდებს. ბარონ ადრიანს ნათქვამი ჰქონდა, ერთხელ მარიტმა დახეული ქუდი დამიკერაო. არა, მალვინამ ვერ გაბედა მოეყოლა ბარონისთვის ეს ამბავი.

მალვინა სპააკს მერე უკვირდა, რომ იმ საღამოს შიში არ გაჰკარებია. სასაფლაოს დაბალ გალავანზე გადაძვრა, ლიოვენშოლდების აკლდამასთან მივიდა და მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, როგორ მოვახერხო ბეჭდის ჩადება საფლავშიო.

საფლავის ქვაზე ჩამოჯდა და მლოცველივით დაიკრიფა ხელები. „თუ ღმერთი არ გადმომხედავს, - ფიქრობდა იგი, - საფლავი, რა თქმა უნდა, გაიხსნება, მაგრამ არა ბეჭდისთვის, არამედ იმ ადამიანისთვის, რომლის ხსოვნაც არასოდეს წაიშლება ჩემი გულიდან“.

ლოცვის დროს მალვინა სპააკმა შენიშნა, რომ ქვის ქვეშ საფლავის ბორცვზე ამოსულ ბალახში რაღაცამ გაიფაჩუნა. პატარა მღრღნელის თავი გამოჩნდა ბალახში, გამოჩნდა და იმავ წუთს გაუჩინარდა, როგორც კი მალვინა შიშისგან შეკრთა, რადგან მალვინა სპააკს ისევე ეშინოდა ვირთხების, როგორც მათ მალვინასი. მაგრამ ამ შიშმა სხვა რამ შთააგონა ქალიშვილს. მარდად წამოხტა, იასამნის დიდ ბუჩქთან მიირბინა, გრძელი ხმელი ტოტი მოტეხა და სოროში შეუყარა.

ჯერ შვეულად უნდოდა ჩასობა, მაგრამ ტოტი მაშინვე რაღაცას მოედო, მერე ირიბად სცადა და საკმაოდ ღრმად ჩაყო სწორედ საფლავის მიმართულებით. მალვინას გაუკვირდა კიდეც, ისე შორს წავიდა ჯოხი. მაშინვე უკან ამოაძრო და მკლავზე მოიზომა. სამი წყრთა სიგრძე ჰქონდა წნელს და ბოლომდე კი ჩავიდა. მაშასადამე, ჯოხი აკლდამაში ჩავიდა.

ცხოვრებაში არასოდეს უაზროვნია მალვინას ასე ფხიზლად და ჭკვიანურად. მაშინვე მიხვდა, რომ ვირთხებს სორო გაეთხა-

რათ და საფლავში ჩასულიყვნენ. იქნებ აკლდამის კედელს ბზარი ჰქონდა, ან კიდევ რომელიღაც კენჭი გამოიფიტა და დაიშალა.

საფლავის ბორცვის წინ მიწაზე გაწვა, ერთი ბღუჯა ბალახი ამოგლიჯა, ფხვიერი მიწა გადახვეტა და სოროში ხელი ჩაყო. ხელი თავისუფლად ჩავიდა დაბლა, მაგრამ აკლდამის კედელს მაინც ვერ მისწვდა.

სწრაფად გახსნა ფუთა, ქუდი ამოიღო, ტოტზე წამოაცვა და ნელ-ნელა ჩაუშვა სოროში. ქუდი მალე ჩაიმალა მიწაში. ფრთხილად, ნელ-ნელა ჩაჰყავდა ჯოხი დაბლა და როცა იგი თითქმის ბოლომდე ჩავიდა, მალვინა სპააკმა იგრძნო, რომ მკვეთრი მოძრაობით უცებ ხელიდან გამოჰგლიჯეს. ტოტი სრიალით ჩაეშვა დაბლა და გაქრა.

ხომ შესაძლოა, რომ საკუთარმა სიმძიმემ ჩააგდო ჯოხი დაბლა, მაგრამ მალვინა მაინც დარწმუნებული იყო, ხელიდან გამომგლიჯესო.

ახლა კი მართლა შეეშინდა მალვინა სპააკს. მარდად მოხვეტა რაც კი რამ იყო ფუთაში, სოროში ჩატენა, მიწა მიასწორ--მოასწორა და მოკურცხლა. ერთხელაც არ მოუხედავს უკან, ისე ირბინა ჰედებიუმდე.

ეზოში რომ შევიდა, ბარონი და ბარონესა სადარბაზო პარმაღზე იდგნენ და მაშინვე მისკენ გამოეშურნენ.

- სად იყავით, ფროიკენ? - ჰკითხეს, - სწორედ თქვენ გელოდებით.

- ბარონი ადრიანი მოკვდა? - კითხვითვე მიუგო მალვინა სპააკმა.

- არა, არ მომკვდარა, - უპასუხა ბარონმა, - მაგრამ ჯერ ის გვითხარით, სად იყავით, ფროიკენ სპააკ?

მალვინა ისე იყო დაღლილი, ენას ძლივს აბრუნებდა, მაგრამ მაინც უთხრა, რაც მარიტმა დაავალა, და ისიც დასძინა, ყოველ შემთხვევაში, ერთი ნივთის სოროში ჩატენა მაინც მოვახერხეო.

- დიდად საოცარია ყოველივე ეს, დიდად საოცარი, - წარმოთქვა ბარონმა, - იმიტომ, რომ ადრიანი მართლაც უკეთაა. ეს-ესაა გონს მოვიდა კიდეც და მისი პირველი სიტყვები იყო: „გენერალმა ახლა კი დაიბრუნა თავისი ბეჭედი“.

- გული ისევ ჩვეულებრივად უცემს, - დასძინა ბარონესამ, - და აუცილებლად თქვენთან საუბარი სურს, ფროიკენ. ამბობს, რომ თქვენ გადაარჩინეთ სიკვდილს.

მალვინა მარტო შეუშვეს ადრიანთან. ახალგაზრდა ბარონი საწოლში წამომჯდარიყო და, როცა მოსული დაინახა, მკლავები გაიწვდინა მისკენ.

- ვიცი, მე უკვე ვიცი! - წამოიძახა მან, - გენერალმა დაიბრუნა თავისი ბეჭედი და ეს მხოლოდ თქვენი დამსახურებაა.

ადრიანმა გულში ჩაიხუტა და შუბლზე აკოცა მალვინას, რომელიც ახლა ხან იცინოდა, ხან ტიროდა, ხან ისევ იცინოდა.

- თქვენ სიცოცხლე დამიბრუნეთ, - წარმოთქვა ადრიანმა, - თქვენ რომ არა, მკვდარი ვიქნებოდი. გადაუხდელი ვალი დამდეთ.

ისეთი აღფრთოვანებით შეხვდა ახალგაზრდა ბარონი მალვინას, ალბათ, ამიტომაც კარგა ხანს არც კი უცდია ბედშავ გოგონას მისი მკლავებიდან თავის დახსნა. ადრიანმა კი მაშინვე დასძინა:

- არა მარტო მე ვარ თქვენგან დავალებული, არამედ კიდევ ერთი ადამიანი.

ბარონმა მედალიონი უჩვენა, გულზე ჩამოკიდებულს რომ ატარებდა, და მალვინამ ძლივს გაარჩია უცნობი ქალიშვილის მინიატიურული სურათი.

- მალვინა, ჩემი მშობლების შემდეგ თქვენ პირველი ხართ, ვინც ეს ამბავი იცის, - უთხრა მან, - როდესაც რამდენიმე კვირის შემდეგ იგი ჰედებიუში ჩამოვა, ჩემზე უკეთ გადაგიხდით მადლობას.

ნდობის დაფასების ნიშნად მალვინა სპააკმა რევერანსი გაუკეთა ახალგაზრდა ბარონს. მართალია, იმის თქმა კი უნდოდა, სულაც არ ვაპირებ ჰედებიუში დარჩენას, რათა თქვენს საცოლეს დავხვდეო, მაგრამ დროზე მოეგო გონს. ღარიბი გოგოსთვის არც ისე ადვილია კარგი ადგილის შოვნა.

პოლკოვნიკის ცოლი

I

ერთ დროს ცხოვრობდა კარლსტადში პოლკოვნიკის ცოლი ბეატა ეკენსტედი.

წარმოშობით ჰედებიუელი მემამულეების, ლიოვენშოლდების ოჯახის შვილი იყო და, მაშასადამე, შთამომავლობით ბარონესა გახლდათ. მშვენებით სავსე იყო ეს ქალი, სანდომიანი, განათლებული, თანაც ისეთი სახუმარო ლექსების შეთხზვა იცოდა, თვით ფრუ ლენგრენსაც არ ჩამოუვარდებოდა.

მაღალი არ ეთქმოდა, მაგრამ კეთილშობილური მიმოხრა ჰქონდა, როგორც ყველა ლიოვენშოლდს, და მეტყველი სახე. ყველას თავაზიანად ექცეოდა, ყველასთვის გამოძებნიდა ტკბილ სიტყვას. რომანტიკული იერი დაჰკრავდა ამ ქალის გარეგნობას და ვინც ერთხელ მაინც ნახავდა, ვეღარასოდეს დაივიწყებდა.

დახვეწილი გემოვნებით იცვამდა მუდამ უზადოდ თმადავარცხნილი. სადაც უნდა მისულიყო, ყველაზე ლამაზი გულსაბნევი, ნატიფი სამაჯური, ყველაზე თვალისმომჭრელი ბეჭედი მას ეკეთა. პაწაწინა ფეხები ჰქონდა და რანაირი მოდაც უნდა ყოფილიყო, ყოველთვის ფარჩით გაწყობილი მაღალქუსლიანი კოპწია ფეხსაცმელი ეცვა.

კარლსტადის ყველაზე ლამაზ სახლში ცხოვრობდა, რომელიც ვიწრო ქუჩაზე კი არ იყო მიყუჟული სხვა სახლებს შორის, არამედ ამაყად წამოჭიმულიყო მდინარე კლარელვის ნაპირას, და პოლკოვნიკის ცოლს შეეძლო მოლივლივე წყლის მზერით დამტკბარიყო თავისი მყუდრო ბუდუარის ფანჯრიდან. ხშირად ჰყვებოდა ხოლმე, ერთხელ ღამით, როცა მდინარე მთვარის რძისფერ შუქს მოევერცხლა, დავინახე, ჩემი ფანჯრის წინ წყლის კაცი ოქროს ქნარზე რომ უკრავდაო. აზრადაც არავის მოსვლია, ოდნავი ეჭვი შეჰპარვოდა მისი ნაამბობის სიმართლეში. განა რა იყო დაუჯერებელი, რომ მრავალ სხვათა მსგავსად, წყლის კაცსაც ემღერა სერენადა პოლკოვნიკ ეკენსტედის მეუღლისთვის!

კარლსტადში სტუმრად ჩამოსული ყველა წარჩინებული პირი თავის მოვალეობად მიიჩნევდა, სწვეოდა მას და მაშინვე ყველა იხიბლებოდა პოლკოვნიკის ცოლით, სინანულით ამბობდნენ, ნუთუ ამ მიყრუებულ ადგილს უნდა შეაბერდეს ასეთი ქალიო. იმასაც ჰყვებოდნენ, თითქოს ეპისკოპოს ტეგნერს ლექსებიც კი შეეთხზას მის სახოტბოდ, ხოლო კრონპრინცს ეთქვას, ნაღდი ფრანგული პეწი აქვსო. თვით გენერალი ფონ ეშენიც და გუსტავ III-ის დროინდელი სხვა დიდებულნიც იძულებული გამხდარან, ეღიარებინათ, რომ პოლკოვნიკ ეკენსტედის მეუღლე შეუდარებელ წვეულებებს აწყობს როგორც სუფრის გაშლისა და კერძების, ისე თავშესაქცევი საუბრის მხრივო.

პოლკოვნიკის მეუღლეს ორი ქალიშვილი ჰყავდა - ევა და ჟაკეტა. ისე ლამაზნი და სათნონი იყვნენ, დედამიწის ყველა კუთხეში ფარვანებივით დაეხვეოდნენ თაყვანისმცემელნი, მაგრამ კარლსტადში ზედაც არავინ უყურებდა მათ. დედა ყოველმხრივ ჩრდილავდა ქალიშვილებს. მეჯლისზე შეკრებილი ახალგაზრდა კავალრები ერთმანეთს ეცილებოდნენ პოლკოვნიკის მეუღლეს-

თან ცეკვაში, ევა და ჟაკეტა კი უყურადღებოდ იდგნენ კედელს აკრულნი. და, როგორც უკვე მოგახსენეთ, მხოლოდ წყლის კაცის სერენადების ჰანგები როდი ისმოდა ეკენსტედების სახლის ფანჯრებთან, მაგრამ ეს ფანჯრები გოგონების ოთახისა კი არ იყო, პოლკოვნიკის მეუღლისა გახლდათ. ჭაბუკი პოეტები მზად იყვნენ, დაუსრულებლად შეეთხზათ ლექსები ბეატა ეკენსტედის შესამკობად, მაგრამ არც ერთ მათგანს ორი სტროფიც არ გაუმეტებია ევა ეკენსტედის ან ჟაკეტა ეკენსტედის შესაქებად.

ავი ენები ამბობდნენ, როცა ერთხელ ერთმა პოდპორუჩიკმა პატარა ევა ეკენსტედის ხელის თხოვნა გადაწყვიტა, უარი მიიღო, ვინაიდან პოლკოვნიკის ცოლმა გემოვნება დაუწუნაო.

პოლკოვნიკის მეუღლეს, ბუნებრივია, ჰყავდა პოლკოვნიკიც. ფრიად კეთილი და სათნო კაცი იყო და ყოველგან დიდად დაფასებულიც იქნებოდა, მხოლოდ კარლსტადში არ ღირსებია ეს. აქ მას ცოლს ადარებდნენ მუდამ და როცა იგი გვერდში ედგა ამ ბრწყინვალე, მომაჯადოებელ ქალს, ყოველგვარი გართობის დაუღალავ მოთავეს, სიცოცხლით, სიკისკასით აღსავსეს, ყველა იმას ფიქრობდა, ერთ უბრალო სოფლელ მემამულეს ჰგავს ეს კაცი და მეტი არაფერიო. სტუმრები საუბრისას თავს ძალას ატანდნენ, რომ ყური დაეგდოთ მისთვის. საერთოდ კი თითქმის ვერც ამჩნევდნენ. პოლკოვნიკის მეუღლეს თაყვანისმცემელთა მთელი ჯარი ეხვია გარს, მაგრამ, რასაკვირველია, ქალი არც ერთ მათგანს სულ მცირე ურიდი ქცევის ნებასაც არ აძლევდა; ამ მხრივ უმწიკვლო გახლდათ. თუმცა, ამავე დროს, სულაც არ ეხამუშებოდა, მისი ქმარი მუდამ ჩრდილში რომ იყო. ალბათ, ფიქრობდა, თვით პოლკოვნიკისთვისაც ასე სჯობსო.

მაგრამ ამ მომხიბლავ ქალს, რომელსაც ყველა ეთაყვანებოდა, ჰყავდა არა მარტო ქმარი და ქალიშვილები, ჰყავდა ვაჟიშვილიც. დედას მზე და მთვარე ამოსდიოდა მასზე, ხელისგულზე

ატარებდა, აღმერთებდა. მისი დაუფასებლობა, აბუჩად აგდება არავის შერჩებოდა. ასეთი რამ ხომ გულშიც არ უნდა გაევლო იმას, ვისაც ამ ოჯახში მეორედ მისვლა უნდოდა. თუმცა, ისიცაა, რომ პოლკოვნიკის ცოლს მართლაც შეეძლო ეამაყა თავისი ვაჟით. ბიჭი ჭკვიანიც იყო, თავაზიანიც, ლამაზიც. არც უხეში და აბეზარი იყო, როგორც სჩვევიათ განებივრებულ ბავშვებს. თავს არ არიდებდა გიმნაზიაში მეცადინეობას და არასოდეს ოინს არ უწყობდა მასწავლებლებს. იგი უფრო რომანტიკული ბუნებისა იყო, ვიდრე მისი დები. რვა წლისაც არ იქნებოდა, როცა ჩინებულ ლექსებს თხზავდა. ისეთი გრძნობის ამყოლი და მეოცნებე იყო, ისიც კი შეეძლო, მისულიყო დედამისთან და ეამბა, ჩემი ყურით მოვისმინე, წყლის კაცი ქნარზე რომ უკრავდა, ანდა ჩემი თვალით ვნახე, ტყის ფერიები როგორ ცეკვავდნენ ვოქსნესის მდელოებზეო. ბიჭუნას ნატიფი სახის ნაკვთები და დიდრონი მუქი თვალები ჰქონდა; და საერთოდ, ყოველმხრივ დედას ჰგავდა.

თუმცა, პოლკოვნიკის ცოლს მთელი გრძნობით უყვარდა შვილი, დედობრივ სისუსტეს ვერავინ უსაყვედურებდა. ყოველ შემთხვევაში, კარლ-არტურ ეკენსტედს გულმოდგინე შრომა უწევდა. დედამისს ქვეყნიერებაზე ყველას ერჩია, მაგრამ სწორედ ამიტომ მოეთხოვებოდა მხოლოდ საუკეთესო ნიშნების მოტანა გიმნაზიიდან. ყველა ატყობდა, რომ პოლკოვნიკის ცოლი არასოდეს პატიჟებდა სახლში მის მასწავლებლებს. არავის არ უნდა ჰქონოდა სალაპარაკოდ, კარლ-არტური მხოლოდ იმიტომ იღებს მაღალ ნიშნებს, რომ დედამისი პოლკოვნიკ ეკენსტედის ცოლია, რომელიც ბრწყინვალე წვეულებებს მართავსო. ასეთი გახლდათ ეს ქალი.

კარლსტადის გიმნაზია რომ დაამთავრა, კარლ-არტურსაც ატესტატში სულ ფრიადები ჰქონდა ჩამწკრივებული, როგორც თავის დროზე ერიკ გუსტავ გეიერს. უფსალის უნივერსიტეტში

მისაღები გამოცდების ჩაბარებაც, გეიერისა არ იყოს, არც მას გასჭირვებია. პოლკოვნიკის ცოლს მრავალჯერ უნახავს ჩასუქებული, ტანმორჩილი პროფესორი გეიერი და სუფრაზე მის გვერდით ჯდომის პატივიც ჰქონია. რაღა თქმა უნდა, იგი ნიჭიერი და სახელოვანი პერსონა გახლდათ, მაგრამ პოლკოვნიკის ცოლს სწამდა, რომ არც კარლ-არტური იყო ნაკლები გონიერებით დაჯილდოებული და რომ ოდესმე ისიც გახდებოდა სახელოვანი პროფესორი და მის საჯარო ლექციებს დაესწრებოდნენ კრონპრინცი ოსკარი, გუბერნატორი იორტა, პოლკოვნიკის ცოლი სილვერსტოლპე და უფსალის სხვა სახელგანთქმული პირები.

კარლ-არტური უფსალაში 1826 წლის საშემოდგომო სემესტრის დასაწყისში ჩავიდა და იმ დღიდან მოყოლებული უნივერსიტეტში გატარებული წლების განმავლობაში ყოველკვირა გზავნიდა წერილებს შინ. არც ერთი მისი წერილი არ მიკარგულა ლიოვენშოლდების ოჯახში. პოლკოვნიკის ცოლი საგულდაგულოდ ინახავდა თითოეულს. ხშირ-ხშირად გადაიკითხავდა ხოლმე თავისთვის, კვირადღეს გამართული ტრადიციული სადილობისას კი, როდესაც მთელი ნათესაობა იყრიდა თავს, აუცილებლად უკითხავდა მათ შვილისგან მიღებულ ერთ-ერთ ბოლო ბარათს. განა შეეძლო ასე არ მოქცეულიყო? ასეთი წერილებით მას მართლაც უნდა ეამაყა.

პოლკოვნიკის ცოლს გულში ეჭვმა გაჰკრა, ალბათ, ჩვენი ნათესაობა შიშობს, ვაითუ, ნებაზე მიშვებული კარლ-არტური მთლად სანიმუშო კაცი არ დადგესო, და გამარჯვებას ზეიმობდა, როცა უკითხავდა ყოველ ახალ წერილს, სადაც კარლ-არტური ატყობინებდა, ავეჯით გაწყობილი იაფფასიანი ბინა დავიქირავე, თვითონ ვყიდულობ ბაზარში ყველსა და კარაქს, გარიჟრაჟზე ვდგები და დღეში თორმეტ-თორმეტ საათს ვმუშაობო. ანდა რად ღირდა პატივისცემისა და მოწიწების გამომხატველი გამოთქმე-

ბი, რომლებითაც სავსე იყო მისი წერილი, ან კიდევ დედისადმი გამოთქმული სიყვარული და თაყვანისცემა! არავითარ ჯილდოს არ მოელოდა პოლკოვნიკის ცოლი, როცა შვილის წერილს უკითხავდა ტაძრის წინამძღვარ შობორგს, რომელსაც ეკენსტედის ქალი ჰყავდა ცოლად, მრჩეველ ეკენსტედს, თავისი ქმრის ბიძას, ბიძაშვილ სტაკეებს, კუთხის დიდ სახლში რომ ცხოვრობდნენ მოედანზე; წერილიდან ჩანდა: უკვე ხალხში გამოსული კარლ-არტური დღემდე დარწმუნებული იყო, დედაჩემი დიდი პოეტი გამოვიდოდა, ქმარ-შვილზე რომ არ გადაეგო თავიო. არა, პოლკოვნიკის ცოლი არავითარ ჯილდოს არ გამოელოდა, სავსებით უანგაროდ კითხულობდა ამ წერილებს. ათასგვარ ქება-დიდებასა და ხოტბის შესხმას შეჩვეული ამ სტრიქონების კითხვისას ცრემლს ვერ იმაგრებდა.

მაგრამ ყველაზე დიდი ტრიუმფი ბეატა ეკენსტედს შობის წინ ელოდა, როცა კარლ-არტურმა მშობლებს აცნობა, მამამ რომ ფული გამატანა უფსალაში, მთლად კი არ დამიხარჯავს, თითქმის ნახევარს უკანვე ჩამოვიტანო. ამ ამბავმა მართლაც მეტისმეტად განაცვიფრა ტაძრის წინამძღვარიცა და მისი მრჩეველიც, ერთ-ერთმა ბიძაშვილმა სტაკემ კი, აი, იმან, სხვებთან შედარებით ტანმაღალი რომ იყო, დაიფიცა, მსგავსი არაფერი მომხდარა ამქვეყნად და არც მოხდებაო. მთელი ნათესაობა იმ აზრს დაადგა, კარლ-არტური მართლაც იშვიათი ყმაწვილიაო.

ცხადია, პოლკოვნიკის ცოლს ძალიან ესაკლისებოდა, კარლ-არტური წლის უმეტეს დროს უფსალაში რომ იყო, მაგრამ მისი წერილები ისეთ უსაზღვრო სიხარულს ჰგვრიდა, უკეთესს ვერც ინატრებდა. სახელგანთქმული რომანტიკოსი პოეტის, ატერბუმის ლექციების მოსმენის შემდეგ კარლ-არტური ისე მომხიბლავად მსჯელობდა ფილოსოფიასა და პოეზიაზე, რომ ასეთი წერილის წაკითხვის შემდეგ დედამისი საათობით იჯდა და ოცნებობ-

და იმ დიდებაზე, რომელიც მოელოდა მომავალში მის შვილს. იგი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ჭაბუკი პროფესორ გეიერზე დიდ სახელს მოიხვეჭდა. იქნებ ისეთი დიდი მეცნიერიც გამოსულიყო, როგორიც კარლ ლინეი იყო. ან კი რატომ არ უნდა გამხდარიყო მსოფლიოში სახელგანთქმული პიროვნება ან უდიდესი პოეტი? მეორე ტაგნერი? ვერც ერთი უგემრიელესი კერძი ვერ მიანიჭებს ადამიანს ისეთ სიამოვნებას, როგორსაც ის, რომლითაც ტკბება ოცნებაში.

შობის დღესასწაულსა და ზაფხულის არდადეგებზე კარლ-არტური კარლსტადში მშობლებთან ჩამოდიოდა ხოლმე და დედის თვალს ისე ეჩვენებოდა, სულ უფრო და უფრო ვაჟკაცდებოდა და ლამაზდებოდა მისი შვილი. სხვა მხრივ კი ბიჭი არ იცვლებოდა. ისევ ისე ეთაყვანებოდა დედას, კვლავაც მოკრძალებით ექცეოდა მამას, ძველებურად ხუმრობდა და ბავშვურად ლაღობდა დებთან.

პოლკოვნიკის ცოლს ზოგჯერ ცოტა კი ეთანაღრებოდა გული, რომ კარლ-არტური ამდენი წელია უფსალაში სწავლობდა და ჯერაც არაფრით გამოეჩინა თავი, მაგრამ განუმარტეს, რომ იგი საკანდიდატო გამოცდის ჩასაბარებლად ემზადება, ამას კი საკმაოდ დიდი დრო სჭირდებაო. მართლაც, აბა, წარმოიდგინოს, რას ნიშნავს გამოცდების ჩაბარება ყველა იმ საგანში, რომლებიც უნივერსიტეტში იკითხება. ეს ასტრონომიაო, ეს ძველი ებრაული დამწერლობაო, გეომეტრიაო, განა იოლია მათი ჩაბარება! ერთბაშად როგორ უნდა შეძლოს ეს! პოლკოვნიკის ცოლის აზრით, გამოცდები მეტისმეტად მკაცრი იყო. ყველანი კვერს უკრავდნენ, მართლაც ძალიან ძნელიაო, მაგრამ შეუძლებელი იყო რაიმეს შეცვლა თვით კარლ-არტურის გულისთვისაც კი!

1829 წლის შემოდგომის მიწურულს, მეშვიდე სემესტრი რომ იდგა, კარლ-არტურმა დიდად გაახარა დედა, როცა შემოუთვალა, თხზულების დაწერას ვაპირებ ლათინურად: თავისთავად ეს არც ისე ძნელია, მაგრამ დიდი მნიშვნელობა კი აქვს, ვინაიდან გამოცდებზე დასაშვებად აუცილებელია კარგი თხზულების დაწერაო.

კარლ-არტურისთვის ეს სულაც არ იყო განსაკუთრებული მოვლენა. მხოლოდ იმიტომ ახსენა წერილში, მოვისვენებ, ლათინურ თხზულებას რომ მოვიცილებ თავიდანო. როგორც ყველა წესიერი ადამიანი, ისიც არ იყო ლათინურთან მწყრალად, ამიტომ იმედი ჰქონდა, ყველაფერი კარგად ჩაივლიდა.

იმასაც იტყობინებოდა, ამ სემესტრში ბოლო წერილს გიგზავნით, საყვარელო მშობლებო. როგორც კი შევიტყობ გამოცდის პასუხს, მაშინვე გამოვეშურები და იმედი მაქვს, ნოემბრის ბოლო რიცხვებში გულში ჩაგიკრავთ თქვენც და ჩემს დებსაცო.

შემდგომში კარლ-არტური ძალიან კმაყოფილი იყო, რომ ეს გამოცდა განსაკუთრებული მოვლენა არ იყო მისთვის, ვინაიდან სწორედ ლათინურში ჩაიჭრა. უფსალელმა პროფესორებმა თავს ნება მისცეს, ჩაეჭრათ, მიუხედავად იმისა, რომ კარლსტადის გიმნაზიის ატესტატში მხოლოდ ფრიადები ეწერა. საშინლად შეცბა, სახტად დარჩა, მაგრამ სულით არ დაცემულა. მისი აზრით, იმდენი ცოდნა მაინც ჰქონდა, რომ გამოცდა ჩაებარებინა. ცხადია, გული წყდებოდა, გაწბილებული რომ უნდა დაბრუნებულიყო თავისიანებთან, მაგრამ იმედი ჰქონდა, მშობლები, ყოველ შემთხვევაში, დედამისი მაინც, მიხვდებოდა, რომ უბრალოდ შარი მოსდეს და მეტი არაფერი. იქნებ ამით იმის თქმა უნდოდათ უფსალელ პროფესორებს, აქაოდა, იცოდეთ კარლსტადის გიმნაზიის მასწავლებლებზე უფრო მომთხოვნი ვართო, ან-

და, ეგებ ზედმეტი თავდაჯერებისთვის დასაჯეს, რადგან ზოგიერთ ლექციას არ ესწრებოდა.

უფსალასა და კარლსტადს შორის რამდენიმე დღის სავალი გზა იყო და შეიძლება ითქვას, იმ დროისთვის, როცა კარლ--არტურმა ოცდაათ ნოემბერს, შებინდებისას, ქალაქის აღმოსავლეთის კარიბჭე გაიარა, სულ აღარ ახსოვდა თავისი მარცხი.

უხაროდა, რომ სწორედ წერილით დათქმულ დღეს ბრუნდებოდა შინ. დედაჩემი ახლა, ალბათ, ფანჯარასთან დგას და გზას გასცქერის, დები კი ყავის დასალევად სუფრას აწყობენო, ფიქრობდა იგი.

სავსებით მშვიდ გუნებაზე მყოფმა გაიარა მთელი ქალაქი, როგორც იქნა, თავი დააღწია ვიწრო, დაგრეხილ ქუჩებს და მდინარის დასავლეთის ტოტთან გავიდა, რომლის ნაპირას ეკენსტედების სახლი იდგა.

ღმერთო ჩემო, ეს რა ამბავია? მთელი სახლი ისეა გაჩირაღდნებული, როგორც ეკლესია შობის დღესასწაულზე გამთენიის ხანს. ზედიზედ გაუსწრეს მარხილებმა, აშკარაა, ბეწვეულში შეფუთნილი ეს ხალხი ეკენსტედების სახლისკენ მიიჩქარის.

„ნამდვილად რაღაც დღესასწაულია ჩვენთან“, - ლამის სინანულით გაიფიქრა მან.

გზამ ძალიან დაღალა, არადა, ეტყობა, დასვენება არ უწერია: ახლა ტანსაცმელი უნდა გამოიცვალოს და შუაღამემდე იჯდეს სტუმრებთან.

უცებ ერთმა აზრმა გაუელვა თავში და შეაშფოთა: „ვაითუ, დედაჩემმა ეს ზეიმი ჩემი ლათინური თხზულების გამო მოაწყო“.

სტუმრებთან შეხვედრა არ უნდოდა და ამიტომ მეეტლეს სახლის უკანა კართან სთხოვა მიყვანა.

რამდენიმე წუთის შემდეგ პოლკოვნიკის ცოლი ეკონომი ქალის ოთახში მიიწვიეს. კარლ-არტური ეს-ესაა ჩამოვიდა და თქვენთან საუბარი სურსო.

ბეატა ეკენსტედი ძალიან წუხდა, ვაითუ, კარლ-არტურმა დაიგვიანოს სადილზეო, და გულით გაიხარა, როცა მისი ჩამოსვლის ამბავი შეიტყო. მაშინვე გაეშურა მის სანახავად,

მაგრამ კარლ-არტური კუშტად შეხვდა, დედის გამოწვდილი მკლავები თითქოს ვერც დაინახა. არც კი მისალმებია.

- ეს რა ამბავი წამოგიწყიათ, დედა? - ჰკითხა მან, - რაღა სწორედ დღეს მოიწვიეთ სტუმრად მთელი ქალაქი?

ამჯერად სიტყვაც არ დასცდენია „საყვარელი მშობლების“ საქებრად. დედის დანახვისას იოტისოდენა სიხარულიც არ გამოუმჟღავნებია.

- რატომაც არ გვმართებს მცირე წვეულების მოწყობა? - მიუგო პოლკოვნიკის ცოლმა, - ბოლოს და ბოლოს ხომ დაწერე ის საშინელი თხზულება.

- ცხადია, თქვენ აზრადაც არ მოგსვლიათ, დედა, რომ შეიძლებოდა ჩავჭრილიყავი, - უთხრა კარლ-არტურმა, - არადა, სწორედ ასე მოხდა.

პოლკოვნიკის ცოლი შეცბა. დიახ, არც ერთხელ, ცხოვრებაში არც ერთხელ არ მოსვლია აზრად, რომ კარლ-არტური ოდესმე ჩაიჭრებოდა.

- თავისთავად ეს არც ისე სამწუხარო ამბავია, - უთხრა კარლ-არტურმა, - მაგრამ ახლა მთელი ქალაქი შეიტყობს ამას. დედა, თქვენ ხომ იმისთვის მოიწვიეთ ეს ხალხი, რომ ჩემი ტრიუმფი გეზეიმათ.

პოლკოვნიკის მეუღლე განცვიფრებული და დაბნეული იდგა.

იგი კარგად იცნობდა კარლსტადელებს. ისინი არ უარყოფდნენ, რომ გულმოდგინება და მომჭირნეობა სტუდენტისთვის

ძვირფასი თვისებებია, მაგრამ განა ამას დასჯერდებიან! ანგარიშში ჩასაგდებად მხოლოდ იმას მიიჩნევენ, თუ ლაპარაკი იქნება შვედეთის აკადემიის პრემიებზე, სამეცნიერო დისპუტებზე, ისეთ ბრწყინვალე გამოსვლებზე, რომელიც მხცოვან პროფესორთა შურს გამოიწვევს. მოელიან გენიალურ იმპროვიზაციებს ეროვნულ დღესასწაულებზე, მიწვევას გეიერის ლიტერატურულ სალონში, გუბერნატორ ფონ კრემერთან ანდა პოლკოვნიკის მეუღლე სილვერსტოლპესთან. მათი აზრით, სწორედ ასე უნდა მიდიოდეს საქმე. კარლ-არტურს კი თავის სტუდენტურ კარიერაში ჯერჯერობით არ ჰქონია ასეთი ბრწყინვალე ტრიუმფები და მისი განსაკუთრებული ნიჭიერება სალაპარაკო არ გამხდარა. პოლკოვნიკის მეუღლე გრძნობდა, რომ კარლსტადელები სწორედ ამის მოლოდინში იყვნენ, და როცა კარლ-არტურმა ბოლოს და ბოლოს რაღაცით მაინც გამოიჩინა თავი, დედამ გადაწყვიტა ზარ-ზეიმით აღენიშნა ეს ამბავი. აბა, იმას როგორ იფიქრებდა, თუ მისი შვილი გამოცდაზე ჩაიჭრებოდა.

- ალბათ, არავინ იცის დღევანდელი წვეულების ნამდვილი საბაბი, - თქვა შეფიქრიანებულმა, - არავინ, გარდა შინაურებისა. სტუმრებმა მხოლოდ ის იციან, რომ მათ სასიამოვნო მცირე სიურპრიზი მოელით.

- ჰოდა, გამოიგონეთ რაიმე სასიამოვნო სიურპრიზი, - უთხრა კარლ-არტურმა დედას, - მე კი ახლა ავალ ზევით, ჩემს ოთახში ჩავიკეტები და სადილს არ დავესწრები. არა მგონია, კარლსტადელებმა ძაძები ჩაიცვან ჩემი მარცხის გამო, მაგრამ სულაც არ მინდა მათი შესაბრალისი გავხდე.

- ღმერთო, რა მოვიგონო? - საცოდავად დაიჩივლა პოლკოვნიკის ცოლმა.

- ეგ საქმე თქვენთვის მომინდვია, დედა, - მიუგო კარლ--არტურმა, - ახლა კი ჩემს ოთახში მივდივარ. დაე, სტუმრებს ნურც ეცოდინებათ, თუ ჩამოვედი.

არამც და არამც! ამას ვერ აიტანს პოლკოვნიკის ცოლი, ეს ხომ სრული უაზრობაა. როგორ, თავად სუფრაზე ბრწყინავდეს და თან სულ იმის ფიქრში იყოს, ჩემი საყვარელი ვაჟიშვილი ნაწყენი, გაბრაზებული, მარტოდმარტოა მიტოვებული და ბოლთას სცემს ზედა ოთახშიო! შვილი გვერდით არ ჰყავდეს და არ ხარობდეს! არა, ამას ვერ გაუძლებს!

- საყვარელო კარლ-არტურ, ჩამოდი სტუმრებთან, რამეს მოვიგონებ.

- რას მოიგონებთ, ძვირფასო დედა?

- ჯერ არ ვიცი. თუმცა, რატომაც არა. ვიცი! კმაყოფილი დარჩები. მხოლოდ პირობა მომეცი, რომ ტანსაცმელს გამოიცვლი და სადილად ჩამოხვალ.

სადილმა მართლაც ბრწყინვალედ ჩაიარა. ეკენსტედების ოჯახს სხვა დროსაც ბევრჯერ მოუწყვია ბრწყინვალე ზეიმი, მაგრამ ამ წვეულებამ ყველა ადრინდელს გადააჭარბა.

შემწვარი ხორცეულის შემდეგ სუფრაზე შამპანური რომ შემოიტანეს, სწორედ ამ დროს ამცნეს სტუმრებს სასიამოვნო ახალი ამბავი. პოლკოვნიკი წამოდგა და სთხოვა ყველას, შეესვათ მისი ქალიშვილის ევასა და პორუჩიკ სტენ არკერის ბედნიერების სადღეგრძელო, ვინაიდან პატივი მაქვს, მათი დანიშვნის ამბავი გამცნოთო.

პოლკოვნიკის სიტყვებმა საყოველთაო აღფრთოვანება გამოიწვია.

არკერი ერთი ღარიბი პორუჩიკი გახლდათ. არც დაწინაურება ელოდა. ყველამ იცოდა, რომ დიდი ხანია თვალი ეჭირა ევაზე და ვინაიდან ეკენსტედების ქალებს თაყვანისმცემლები კარს არ

უმტვრევდნენ, მთელი ქალაქი ამ ამბის დასასრულს უცდიდა. თუმცა, ყველა დარწმუნებული იყო, პოლკოვნიკის ცოლი უარს ეტყოდა.

მერე და მერე, რა თქმა უნდა, მაინც დაირხა ხალხში ხმა, სინამდვილეში როგორც იყო ამ ნიშნობის ამბავი. კარლსტადელებმა შეიტყვეს, პოლკოვნიკის ცოლი თურმე იმიტომ დათანხმებულიყო ევასა და არკერის დანიშვნას, რომ სტუმრებისთვის ადრე მომზადებული სიურპრიზი ჩაშლოდა და ამის გამხელა არ უნდოდა.

მაგრამ ამას ოდნავადაც არ დაუმცირებია მათ თვალში პოლკოვნიკის ცოლი. პირიქით, ყველა იმას ამბობდა, ბევრი ვერ მოახერხებს მოულოდნელი მძიმე მდგომარეობიდან ისე ბრწყინვალედ თავის დაღწევას, როგორც ბეატა ეკენსტედს შეუძლიაო.

II

პოლკოვნიკის ცოლს, ბეატა ეკენსტედს, ერთი ჩვეულება ჰქონდა - თუ ვინმე აწყენინებდა, დამნაშავე თავისი ფეხით უნდა მისულიყო მასთან და პატიება ეთხოვა. როგორც კი დამთავრდებოდა ეს რიტუალი, იგი მყისვე გულწრფელად აპატიებდა და მერე ისევე თავაზიანად და მეგობრულად ექცეოდა, როგორც განაწყენებამდე.

საშობაო დღეებში სულ იმის მოლოდინში იყო, აბა, როდის მოვა კარლ-არტური და პატიებას მთხოვს, რადგან უფსალიდან

ჩამოსვლისას მკვახედ მელაპარაკაო. მაშინ, ალბათ, გაცხარებული იყო და იმიტომ დაემართა ეს, - ფიქრობდა დედა, მაგრამ ის კი ვერაფრით აეხსნა, კარლ-არტური დღემდე ხმას რატომ არ იღებდა, თუმცა, საკმაო დრო ჰქონდა, ჩაფიქრებოდა თავის საქციელს.

შობის დღესასწაული მიიწურა, კარლ-არტურს კი მონანიების ერთი სიტყვაც არ უთქვამს დედისთვის. ჩვეულებისამებრ მხიარულობდა მეჯლისებზე, მონაწილეობდა მარხილებით სეირნობაში, თავაზიანად, ალერსიანად ექცეოდა შინაურებს, მაგრამ ერთხელაც არ დასცდენია ის სათქმელი, რომელსაც აგრერიგად ელოდა მისგან დედა. იქნებ სხვები ვერც კი ამჩნევდნენ, როგორ აღიმართა დედა-შვილს შორის უხილავი კედელი, რომელმაც ზღვარი დაუდო მათ გულითად სიახლოვეს. თითქოს ძველებურად ესიყვარულებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ მათი დამშორიშორებელი ხარვეზი მაინც არსებობდა.

უფსალაში დაბრუნებულ კარლ-არტურს ერთადერთი საფიქრალი ის ჰქონდა, ლათინურის გამოცდა ჩაებარებინა. დედა იმედოვნებდა, წერილით მომიბოდიშებსო, მაგრამ გაუცრუვდა მოლოდინი. კარლ-არტური მხოლოდ თავისი მეცადინეობის ამბებს იწერებოდა. ლათინური სიტყვიერების ლექციებს ახლა ორ პრივატ-დოცენტთან ისმენდა. ბეჯითად ესწრებოდა ლათინური ენის გაკვეთილებს და გარდა ამისა, იმ კლუბშიც ჩაეწერა, რომლის წევრებიც ლათინურ ენაზე სიტყვების წარმოთქმასა და კამათში ვარჯიშობდნენ. იგი ყველაფერს აკეთებდა, ენერგიასა და მოწადინებას არ იშურებდა, ოღონდ კი ეს გამოცდა ჩაებარებინა.

შინ ფრიად დამაიმედებელ წერილებს გზავნიდა, პოლკოვნიკის ცოლიც კილოაბმით პასუხობდა, მაგრამ მაინც წუხდა შვილის გამო. გულში ხინჯად ჰქონდა, რომ შვილი უკმეხად ელაპა-

რაკა და პატიება კი არ ითხოვა, ვაითუ, ღმერთმა დასაჯოს ამის გამოო.

არ იფიქროთ, თითქოს შვილის დასჯა ნდომოდეს. პირიქით, სწორედ იმას შესთხოვდა ღმერთს, კარლ-არტურისთვის ეპატიებინა ეს მცირეოდენი შეცოდება. ცდილობდა, განემარტა ზენაარისთვის, რომ სწორედ თვითონ იყო ყოველივე ამაში დამნაშავე.

- ხომ ჩემი სისულელით, პატივმოყვარეობით მომივიდა, შვილის წარმატებით კვეხნა რომ მოვინდომე, - შეჰღაღადებდა უფალს, - და სასჯელის ღირსი ის კი არა, მე ვარ მხოლოდ.

და მაინც შვილის ყოველ წერილში ეძებდა იმ სიტყვებს, რომლებსაც ელოდა, და რაკი ვერ პოულობდა, უფრო და უფრო წუხდა.

გული უგრძნობდა, რომ დედის შეწყნარებას თუ ვერ მიიღებდა, კარლ-არტური ვერ შეძლებდა გამოცდის ჩაბარებას.

ერთ მშვენიერ დღეს, სემესტრის ბოლოს, პოლკოვნიკის ცოლმა განაცხადა, უფსალაში მინდა წასვლა და ჩემი კეთილი მეგობრის, მალა სილვერსტოლპეს ნახვაო. მათ შარშან ზაფხულში გაიცნეს ერთმანეთი კავლოსში, გიულენჰოლების ოჯახში და ისე დამეგობრდნენ, რომ კეთილმა მალამ მიიპატიჟა, ზამთარში უფსალაში მეწვიე და ჩემს ლიტერატურულ მეგობრებს გაგაცნობო.

მთელი კარლსტადი განცვიფრდა, როცა შეიტყო, რომ პოლკოვნიკის ცოლმა სწორედ საშინელი უგზოობის დროს მოინდომა გამგზავრება. ყველა მოელოდა, პოლკოვნიკი წინ აღუდგებოდა ცოლის ამ განზრახვას, მაგრამ იგი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ცოლის ნებას დაჰყვა და ბეატა ეკენსტედი უფსალაში გაემგზავრა. როგორც კარლსტადელები წინასწარმეტყველებდნენ, მგზავრობა მართლაც საშინელი იყო. და მისი დორმეზი

ბევრჯერ ისე ჩაეფლო ტალახში, ლატანების მოშველიებით ძლივს ამოათრიეს ტლაპოდან. ერთხელ რესორი გაუტყდა, მეორედ კიდევ ხელნა, მაგრამ ასეთი სიძნელეები ბეატა ეკენ-სტედს ვერ დააბრკოლებდა. ეს ტანმორჩილი, კაფანდარა ქალი ისე ვაჟკაცურად იტანდა ყოველივეს, ისეთ მხნეობას იჩენდა, რომ ფუნდუკების მეპატრონეები თუ სადგურების ზედამხედველ-ნი, მჭედლები თუ გლეხები, ვინც კი დასჭირდა უფსალისკენ მი-მავალ გზაზე, სიცოცხლეს არ დაიშურებდნენ მისი გულისთვის. თითქოს სცოდნოდეთ, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პოლკოვ-ნიკის ცოლისთვის უფსალაში ჩასვლას.

ფრუ მალა სილვერსტოლპეს, რა თქმა უნდა, წინდაწინვე აც-ნობა, ჩამოვდივარო, მაგრამ კარლ-არტურმა არაფერი იცოდა და პოლკოვნიკის ცოლმა მასპინძელს შეუთვალა, ნურც ეტყვი-თო; სიურპრიზად უნდოდა ექცია თავისი ჩასვლა დედას.

პოლკოვნიკის ცოლმა ის იყო ენჩოპინგს მიაღწია, რომ ახალ დაბრკოლებას გადაეყარა. უფსალამდე სულ რამდენიმე მილი იყო დარჩენილი, დორმეზის თვალს სალტე გაუტყდა და სანამ არ შეაკეთებდნენ, ადგილიდან ვერ დაიძვრებოდნენ. ბეატა ეკენსტედი მღელვარებისგან გულს ასკდებოდა. აღარ დაადგა საშველი, აღარ დაილია ეს გზა. არადა, აუცილებლად უნდა ჩა-სულიყო ლათინურის გამოცდამდე. იგი ხომ მხოლოდ იმიტომ გაემგზავრა უფსალაში, რომ კარლ-არტურისთვის საშუალება მიეცა, გამოცდის დაწყებამდე პატიება ეთხოვა მისთვის. დედამ იცოდა, რომ თუ შვილი ამას არ გააკეთებდა, არც ლექციები უშ-ველიდა და არც მეცადინეობა, აუცილებლად ჩაიჭრებოდა.

ვერა და ვერ მოისვენა ფუნდუკში მისთვის გამოყოფილ ოთახში. წამდაუწუმ წამოხტებოდა ხოლმე და ეზოში ჩადიოდა, რათა ენახა, მოიტანეს თუ არა მჭედლისგან დორმეზის თვალი.

და აი, ერთხელაც, პარმაღზე რომ გამოვიდა, დაინახა, რომ ფუნდუკისკენ შემოუხვია ორთვალამ, რომელშიც მეეტლის გვერდით ვიღაც სტუდენტი იჯდა. და როცა სტუდენტი ორთვალიდან ჩამოხტა, საკუთარ თვალებს არ დაუჯერა, ეს ხომ კარლ--არტური იყო!

კარლ-არტური პირდაპირ მისკენ გამოეშურა. მკერდში არ ჩაუკრავს დედა, მხოლოდ მის ხელს მოჰკიდა ხელი, გულზე მიიკრა და ლამაზი, ბავშვურად მეოცნებე თვალები გაუსწორა.

- დედა, - უთხრა მან, - შემინდეთ და მაპატიეთ, ისე უდიერად რომ მოგექეცით ამ ზამთარს, როცა ზეიმი გამართეთ ჩემი ლათინური თხზულების გამო.

ეს ისეთი სასწაულებრივი ბედნიერება იყო, ერთბაშად დაჯერება არც კი შეიძლებოდა. ბეატა ეკენსტედმა ხელი გაითავისუფლა, კარლ-არტურს მოეხვია და კოცნა დაუწყო. იმას ვერ მიხვედრილიყო, რამ მოიყვანა აქ იგი, მაგრამ ის კი იწამა, რომ კვლავ დაიბრუნა შვილი და იმასაც გრძნობდა, ეს უბედნიერესი წუთი იყო მის ცხოვრებაში.

დედამ მაშინვე თავის ოთახში შეიყვანა და აქ გაირკვა ყოველივე. არა, მას ჯერ კიდევ არ დაუწერია თხზულება. გამოცდა მეორე დღისთვის იყო დანიშნული და, მიუხედავად ამისა, კარლ-არტური კარლსტადში მიემგზავრებოდა დედის სანახავად.

- ნამდვილი გადარეული ხარ! - წამოიძახა მან, - ნუთუ ფიქრობდი, რომ სახვალიოდ უკან დაბრუნებას მოასწრებდი?

- არა, - მიუგო კარლ-არტურმა, - ყველაფერი ბედის ანაბარად მივატოვე. მაგრამ ვიცოდი, სწორედ ასე უნდა მოვქცეულიყავი, თორემ სხვაგვარად არც კი ჰქონდა აზრი გამოცდაზე გასვლას. შენი პატიება თუ არ მექნებოდა, წარმატებას ვერ მივაღწევდი.

- ჰო, მაგრამ, ჩემო ბიჭუნი, ამისთვის საკმარისი იყო, ერთი სიტყვა მაინც ჩაგეწერა წერილში.

- გაურკვეველი, ბუნდოვანი გრძნობა მაწუხებდა მთელი ეს სემესტრი. შიში დამეუფლა, მერყეობა დამჩემდა, მაგრამ რისგან მემართებოდა ეს, არ ვიცოდი, მხოლოდ წუხელ მივხვდი ყოველივეს. მე დაგიკოდე გული, რომელიც ჩემდამი ესოდენი სიყვარულით ფეთქავს. ვგრძნობდი, რომ წარმატებას ვერ მივაღწევდი, სანამ ბოდიშს არ მოვიხდიდი...

პოლკოვნიკის ცოლი მაგიდასთან იჯდა. ცალი ხელი აცრემლებულ თვალებზე შარლოტა ლიოვენშოლდი მიიფარა, მეორე შვილისკენ გაიწოდა.

- საოცარია, კარლ-არტურ, - წარმოთქვა მან, - ილაპარაკე, კიდევ ილაპარაკე.

- ჰოდა, მომისმინეთ, - დაიწყო მან, - ჩემს მეზობლად ბინა უჭირავს ერთ ვერმლანდელ სტუდენტს, ვინმე პონტუს ფრიმანს. იგი პიეტისტია და არც ერთ სტუდენტთან არა აქვს ნაცნობობა; ასევე შორს მეჭირა თავი მეც, მაგრამ დღეს დილით შევედი და ყოველივე ვუამბე.

„ისეთი მოსიყვარულე დედა მყავს, მისი ბადალი ამქვეყნად არავინაა, - ვუთხარი, - მე კი შეურაცხვყავი და პატიებაც არ მითხოვია. როგორ მოვიქცე?“

- და რა გიპასუხა?

- ასე მითხრა: „ახლავე წადი მასთან!“ მე ავუხსენი, რომ ამაზე უფრო მეტად არაფერი მწადია, მაგრამ ხვალ pro exercitio უნდა დავწერო და ნამდვილად ძალიან გავანაწყენებ ჩემს მშობლებს, ეს გამოცდა რომ გამოვტოვო-მეთქი. ფრიმანმა ყურიც არ მათხოვა. „ახლავე წადი! - მომიგო მან, - დედასთან შერიგების გარდა არაფერზე იფიქრო. ღმერთი იყოს შენი შემწე“.

- და წამოხვედი?

- დიახ, დედა, წამოვედი, რათა შენს ფერხთა წინაშე განვრთხმულიყავ. მაგრამ ჩავჯექი თუ არა ეტლში, მაშინვე მივხვდი, რაოდენ მიუტევებელი უგუნურება იყო ჩემი საქციელი. გაუსაძლისად დამეუფლა უკან დაბრუნების სურვილი. კარგად ვიცოდი, თუნდაც კიდევ რამდენიმე დღე დავყოვნებულიყავ უფსალაში, შენი სიყვარული მაინც ყოველთვის შემინდობდა. მიუხედავად ამისა, მაინც განვაგრძობდი გზას. და აი, ღმერთმა გადმომხედა. აქ შეგხვდი. არ ვიცი, შენ რამ მოგიყვანა აქ, მაგრამ, ეტყობა, ღვთის განგებაა ეს.

დედა-შვილს ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ლოყებზე ცრემლი. განა ეს ნამდვილი სასწაული არ იყო? იცოდნენ, რომ კეთილი განგება სწყალობდათ. ადრინდელზე მეტად უყვარდათ ახლა ერთმანეთი.

მთელი საათი დაჰყვეს ფუნდუკში. შემდეგ პოლკოვნიკის ცოლმა კარლ-არტური უკანვე გააბრუნა უფსალაში და სთხოვა, გადაეცა მალა სილვერსტოლპესთვის, რომ ამჯერად ვერ ესტუმრებოდა. მართლაცდა რა აზრი ჰქონდა უფსალაში მის ჩასვლას, თუ მგზავრობის მიზანი უკვე მიღწეული იყო. მან იცოდა, რომ კარლ-არტური ჩააბარებდა გამოცდას, და შეეძლო მშვიდად დაბრუნებულიყო შინ.

III

მთელმა კარლსტადმა იცოდა, რომ პოლკოვნიკის ცოლი უაღრესად ღვთისმოსავი იყო. იგი ისევე ბეჯითად დადიოდა ეკლესიაში საკვირაო წირვაზე, როგორც თვით პასტორი, ხოლო

სადაგ დღეებში თავისიანებთან ერთად არც ცისკრის ლოცვას გამოტოვებდა, არც მწუხრისას.

პოლკოვნიკის ცოლს შეგულებული ჰყავდა თავისი წილხვედრილი გლახაკნი, რომელთაც მხოლოდ შობის დღესასწაულზე კი არ უგზავნიდა მოსაკითხს, მთელი წლის განმავლობაშიც არ აკლებდა საჩუქრებს. გულუხვად აპურებდა გიმნაზიის ხელმოკლე მოწაფეებს და ისიც არ ავიწყდებოდა, დავრდომილი დედაბრები სადღესასწაულო ყავით გაენებივრებინა წმინდა ბეატობას.

მაგრამ, ალბათ, არც ერთ კარლსტადელს, და მით უმეტეს პოლკოვნიკის ცოლს, არ მოუვიდოდა აზრად, რომ ღმერთს იქნებ არ მოეწონებინა კვირადღეს ოჯახური სადილის შემდეგ ტაძრის წინამძღვართან, მრჩეველსა და უფროს ბიძაშვილ სტაკესთან ერთად ბოსტონს რომ მისჯდომოდა.

ასევე ცოდვად არ მიიჩნევდნენ, თუ ქალიშვილები და ჭაბუკები, რომლებიც ხშირად თავს იყრიდნენ ხოლმე ეკენსტედების ოჯახში, კვირა საღამოს ცეკვით გაერთობოდნენ.

არც პოლკოვნიკის ცოლსა და არც ერთ კარლსტადელს თავის დღეში არ სმენოდათ აგრეთვე, რომ ცოდვად მიეჩნიათ საზეიმო სუფრაზე საამო ღვინით გამასპინძლება და მერე სუფრული სიმღერის გაბმა, რომელსაც ხშირად თვით დიასახლისი თხზავდა ხოლმე. არც ის იცოდნენ, ღმერთი რომანების კითხვას ან თეატრში სიარულს თუ უკრძალავდა ვინმეს.

პოლკოვნიკის ცოლი ეტრფიალებოდა შინაურ სპექტაკლებს და თვითონაც მონაწილეობდა დადგმებში. ამ სიამოვნებას ნამდვილად ვერ მოიკლებდა. იგი თითქოს სცენისთვის იყო დაბადებული; კარლსტადელები ამბობდნენ, ფრუ ტორსლოვი, იმის ნახევარს მაინც თუ აკეთებს სცენაზე, რასაც ბეატა ეკენსტედი, მაშინ სულაც არ არის გასაკვირი, სტოკჰოლმელები ასე რომ გიჟდებიან მისთვისო.

მთელი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც კარლ-არტურმა ბოლოს და ბოლოს დაწერა ის ძნელი ლათინური თხზულება, და მთელი ამ ხნის განმავლობაში ხშირად ნახულობდა პონტუს ფრიმანს. ფრიმანი კი პიეტიზმის თავგამოდებული მიმდევარი გახლდათ, თანაც საკმაოდ ენაწყლიანი მოსაუბრე. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ კარლ-არტურზე მან გავლენა მოახდინა.

რასაკვირველია, იგი ამ სექტის სჯულზე არ მოქცეულა, არც წევრი გამხდარა მისი, მაგრამ უკვე აღარ მოსწონდა მშობლების ოჯახში გამეფებული ამქვეყნიური საამო დროს ტარება და ლხენა.

ეგებ არც გვჭირდებოდეს იმის შეხსენება, რომ სწორედ ამ ხანებში დედა-შვილს შორის განსაკუთრებული სიახლოვე და ნდობა მეფობდა, ამიტომაც ვაჟიშვილი გულახდილად ეუბნებოდა დედას, რომ საძრახისად მიაჩნდა ასე ცხოვრება.

დედა ყველაფერს უთმობდა. რადგან შეიტყო, შვილს გულს უკენწლავდა მისი ბანქოს თამაში, კვირადღეს გამართული სანათესავო სადილობის შემდეგ თავის ტკივილი მოიმიზეზა და ქმარი შეინაცვლა ბოსტონის თამაშში, თორემ, აბა, მრჩეველსა და წინამძღვარს სულ ხომ არ ააღებინებდა ხელს ბანქოზე.

და რადგან კარლ-არტურს არც მისი ცეკვა სიამოვნებდა დიდად, ბეატა ეკენსტედმა ამაზედაც უარი თქვა. როცა კვირა საღამოს ახალგაზრდები სტუმრად ეწვივნენ, დიასახლისმა ზრდილობიანად შეახსენა, უკვე ორმოცდაათისა გახლავართ, დავბერდი და ცეკვა აღარ შემფერისო. მაგრამ მათი გაწბილებული სახეები რომ დაინახა, მოლბა, ფორტეპიანოს მიუჯდა და შუაღამემდე უკრავდა ნაირ-ნაირ საცეკვაოს.

კარლ-არტურს მისთვის წიგნები მოჰქონდა და სთხოვა, წაეკითხა: დედა მადლიერებით ართმევდა ამ წიგნებს, გულმოდ-

გინედ კითხულობდა და არა მარტო ბევრ რამეს სწავლობდა მათგან, სულიერადაც მაღლდებოდა.

მაგრამ პოლკოვნიკის ცოლს მხოლოდ რელიგიური წიგნების კითხვა რას ეყოფოდა. იგი განათლებული ქალი გახლდათ და საერო ლიტერატურას ეწაფებოდა; ერთხელაც კარლ-არტური სწორედ მაშინ წამოადგა თავზე, როცა იგი ლოცვანის ქვეშ დამალულ ბაირონის „დონ-ჟუანს“ კითხულობდა, მაგრამ კრინტიც არ დაუძრავს, ისე შეტრიალდა და წავიდა. დედას გული აუჩვილა შვილის თავდაჭერილობამ. მეორე დღეს მთელი თავისი წიგნები ზანდუკში ჩააწყო და სხვენზე აატანინა.

ვერ უარყოფთ, რომ დედა ცდილობდა, რამდენადაც კი შეეძლო დაჰყოლოდა შვილის ნებას. გონიერი, შრომისმოყვარე ქალი გახლდათ და იცოდა, რომ კარლ-არტურისთვის ეს იყო დროებითი აჩემება, რომელიც დროთა განმავლობაში გაუვლიდა, თანაც მით უფრო მალე, რაც ნაკლებ წინააღმდეგობას გაუწევდნენ. საბედნიეროდ, ზაფხული იდგა. მდიდარი კარლსტადელები დედაწულიანად გაკრეფილიყვნენ ქალაქიდან და დიდ წვეულებებს აღარავინ მართავდა. საზოგადოება იმითაც კმაყოფილდებოდა, რომ პიკნიკებს აწყობდნენ ბუნების წიაღში, ნავებით სეირნობდნენ თვალწარმტაც მდინარე კლარელვზე, კენკრის საკრეფად დადიოდნენ ტყეში და დაჭერობანას თამაშობდნენ.

ზაფხულის მიწურულს ევა ეკენსტედისა და პორუჩიკის ქორწილი იყო დანიშნული; პოლკოვნიკის ცოლმა მტკიცედ გადაწყვიტა, ბრწყინვალე, მდიდრული ქორწილი გადაეხადათ. თუ უხმაუროდ, ზარ-ზეიმის გარეშე გაათხოვებდა ევას, კარლსტადში ისევ ატყდებოდა მითქმა-მოთქმა, ხომ ხედავთ, მართლაც არ ჰყვარებია თავისი ქალიშვილებიო. მთელი ამ ხნის განმავლობაში დედა იმდენს უთმობდა კარლ-არტურს, რომ საბედ-

ნიეროდ, ყმაწვილი მართლაც დაშოშმინდა. ამიტომ ყალყზე არ შემდგარა, როცა ლაპარაკი ჩამოვარდა საქორწილო სუფრაზე მისართმევ თორმეტნაირ კერძზე, ტორტებსა და ტკბილეულობაზე, არც გეტებორგიდან ჩამოსატან ღვინოსა და სხვა სასმელებზე ამოუღია ხმა. იმაზეც კი თანახმა იყო, რომ ეკლესიაში გამართულიყო ჯვრისწერა, ყვავილწნულებით მოერთოთ მექორწილეთა გასავლელი ქუჩები, ჩირაღდნები აენთოთ და ფოიერვერკი მოეწყოთ მდინარის ნაპირას. უფრო მეტიც, თვითონვე მონაწილეობდა ამ სამზადისში და სხვებთან ერთად ოფლად იღვრებოდა ყვავილებითა და ალმებით იქაურობის მორთვისას.

მაგრამ ერთ ნათქვამზე კი მტკიცედ დადგა და ფეხი არ მოიცვალა: ქორწილის დროს ცეკვები არ იყოსო. დედამ აღუთქვა, რომ არ აცეკვებდა სტუმრებს. ესიამოვნა კიდეც, ასეთ რამეს რომ დაჰპირდა, ვინაიდან შვილმა ბევრი სხვა რამ დაუთმო.

პოლკოვნიკმა და ქალიშვილებმა ვითომ კი სცადეს გაურჩება, აბა, რით გავართოთ ქორწილში მოპატიჟებული კარლსტადელი ქალიშვილები და ახალგაზრდა ლეიტენანტები, რომლებიც, რა თქმა უნდა, იმის იმედით იქნებიან, მთელ ღამეს ცეკვაში გავატარებთო. პოლკოვნიკის ცოლმა მიუგო, ღვთის შეწევნით, ყველაფერი კარგად ჩაივლის, ქალიშვილები და ლეიტენანტები საღამო ხანს ბაღში გაეშურებიან სამხედრო მუსიკის მოსასმენად და დატკბებიან იმის ცქერით, როგორ აიჭრებიან ცაში შუშხუნები და ჩირაღდნების ალი როგორ აირეკლება მდინარეში. ისეთი სანახაობა იქნება, სხვა გასართობი არც კი მოუნდება ვინმეს. ახალჯვარდაწერილებისთვის ეს უფრო ღირსეული და საზეიმო კურთხევა იქნება, ვიდრე გალოპის როკვა საცეკვაო დარბაზშიო.

პოლკოვნიკი და მისი ქალიშვილები, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც დაჰყაბულდნენ ბეატა ეკენსტედის ნათქვამს და ოჯახში მშვიდობა არ დარღვეულა.

ქორწილის დღეს ყველაფერი მზად იყო. შესანიშნავი ამინდი დაიჭირა; ბრწყინვალედ ჩაიარა ჯვრისწერამ ეკლესიაში, სუფრაზე ისეთი სადღეგრძელოები ითქვა, უკეთესს ვერ ინატრებდა კაცი. პოლკოვნიკის ცოლმა დიდებული საქორწილო ლექსი შეთხზა და სუფრაზე წაუკითხა სტუმრებს, საბუფეტეში კი ვერმლანდის პოლკის სამხედრო ორკესტრი მარშს უკრავდა ყოველი ახალი კერძის შემოტანისას. სტუმრებმა გულიანად მოილხინეს და დიდად კმაყოფილნი იყვნენ გულუხვი მასპინძლობით.

მაგრამ როცა სუფრიდან წამოიშალნენ და ყავაც მიირთვეს, ყველას ცეკვის დაუოკებელი ჟინი დაეუფლა.

უნდა მოგახსენოთ, რომ საქორწილო მაგიდა ოთხ საათზე გაიშალა, მაგრამ ვინაიდან სტუმრებს ურიცხვი ლაქია და მოახლე ემსახურებოდა, მხოლოდ შვიდ საათამდე გასტანა. განა საკვირველი არ არის, რომ თორმეტნაირი კერძის მირთმევა, სადღეგრძელოები, სუფრული სიმღერები სამ საათში მომთავრდა! დიასახლისს ეგონა, სტუმრები რვა საათამდე მაინც არ აიშლებიანო, მაგრამ მოლოდინმა არ გაუმართლდა.

ასე რომ, საათის ისრები მხოლოდ შვიდს უჩვენებდნენ, შუაღამემდე ხალხის გაშვებაზე კი ლაპარაკიც ზედმეტი იყო. სტუმრები შიშით ფიქრობდნენ, როგორ გავძლოთ ამდენ ხანს, რომ მოწყენილობა არ დაგვეუფლოსო. „ეჰ, ცეკვა რომ შეიძლებოდეს!“ - ჩუმ-ჩუმად ოხრავდნენ, რაკი დიასახლისმა წინასწარვე გააფრთხილა ყველანი, რომ ქორწილში ცეკვები არ იქნებოდა. „რით გავერთოთ? მთლად რომ ენად გავიკრიფოთ, მაინც მოგვწყინდება, რამდენ ხანს უნდა ვისხდეთ ასე გაუნძრევლად“.

შეღერებული ქალიშვილები სინანულით დასცქეროდნენ თავიანთ ფერად მარმაშის კაბებსა და თეთრი ატლასის ფეხსაცმელებს. ყველაფერი ეს ხომ საცეკვაოდ უნდოდათ! როცა ასე ხარ გამოწყობილი, აბა, ცეკვის გარდა რაზე უნდა იფიქრო?

ვერმლანდის პოლკის ახალგაზრდა ლეიტენანტები უბადლო კავალრები იყვნენ მეჯლისებსა და ჩვეულებრივ, მოსწრებაზე იყო მათი მიპატიჟება. ზამთრობით ისე ხშირ-ხშირად იწვევდნენ მეჯლისებზე, რომ ცეკვა ყელში ჰქონდათ ამოსული და ძნელი იყო მათი დაყაბულება, მაგრამ ახლა, ზაფხულში, როცა არავინ აწყობდა დიდ საცეკვაო საღამოებს, ლეიტენანტებმა კარგად დაისვენეს და მზად იყვნენ, ცეკვაში დღე და ღამე გაესწორებინათ. ამდენი ლამაზი გოგონა ერთად დიდი ხანია არ გვინახავსო, ეუბნებოდნენ ერთმანეთს. ეს რა ნადიმია! მოგვიწვიეს ამდენი ჭაბუკი და ქალიშვილი და ერთმანეთს კი არ ეცეკვოთო!

მაგრამ მარტო ისინი როდი წუხდნენ ცეკვის აკრძალვის გამო. ქორწილში მყოფი დროული ხალხიც - ბანოვანებიცა და დარბაისელი კაცებიც - ნანობდნენ, რომ საშუალება არ მიეცათ, დამტკბარიყვნენ ახალგაზრდების ცეკვით. დაუჯერებელი ამბავია! აგერ ვერმლანდის საუკეთესო ორკესტრი! აგერ შესანიშნავი საცეკვაო დარბაზი! თუ ღმერთი გწამთ, გაგვაგებინეთ, რატომ არ შეიძლება, ცეკვით გული ვიჯეროთო?

ამ ბეატა ეკენსტედს არასოდეს შეშლია არაფერი, მაგრამ ცოტა თავკერძა მუდამ იყო. ალბათ, ფიქრობს, რადგან თვითონ ორმოცდაათისაა და ცეკვა აღარ შეუძლია, ახალგაზრდა სტუმრებიც გულხელდაკრეფილნი უნდა ისხდნენ კედლების გასწვრივ.

პოლკოვნიკის ცოლი კარგად ხედავდა, რომ უკმაყოფილო სტუმრები ჩუმ-ჩუმად ბუზღუნებდნენ, ხოლო დიასახლისობით სახელგანთქმული ქალისთვის, რომელიც მიჩვეული იყო, რომ

მის წვეულებაში მუდამ დუღდა და გადმოდიოდა მხიარულება, ასეთი რამ აუტანელი გახლდათ.

კარგად იცოდა, რომ მეორე დღეს და მერეც ვერმლანდელებს კარგა ხანს სულ ის ექნებოდათ სალაპარაკო, ისეთ გულისგადამლევ მოწყენილობას არც ერთ ლხინში არ შევსწრებივართ, როგორიც ეკენსტედების ოჯახში გამართულ ქორწილში სუფევდაო.

ჯერ იყო და, ბეატა ეკენსტედმა ხნიერი ხალხის გართობა სცადა, მთელი მონდომებით ჰყვებოდა ნაირ-ნაირ თავშესაქცევ ამბავს, რა არ მოიგონა, რა ხერხი არ სცადა, მაგრამ მაინც არაფერი გამოუვიდა. ცალი ყურით უსმენდნენ დიასახლისს. ყველაზე ბებერი, ყველაზე უჟმური ქალებიც კი იმას ფიქრობდნენ, თუ ღმერთმა ქნა და ჩვენი ქალიშვილების გათხოვებას მოვესწარით, ახალგაზრდებს კი არა, მოხუცებსაც ვაცეკვებთ ქორწილშიო.

ახლა ახალგაზრდების გამხიარულება მოიწადინა დიასახლისმა. ბაღში ჩავიდეთ და დაჭერობანა ვითამაშოთო, შესთავაზა. ამან მთლად განაცვიფრა ისინი. ქორწილი და დაჭერობანას თამაში! სად გაგონილა! ბეატა ეკენსტედს კი არა, სხვას რომ ეთქვა ეს, ხომ სიცილს დააყრიდნენ.

როცა ფოიერვერკის დრო მოვიდა, კავალრებმა მდინარის ნაპირას მიიწვიეს ქალები. ახალგაზრდა წყვილები უგუნებოდ მიჩანჩალებდნენ. ცაში ატყორცნილი შუშხუნების ყურებაც კი ეზარებოდათ. რაც გულით ეწადათ, იმას ვერ ეღირსნენ, სხვა რამ საზღაური კი სიამოვნებას არ ჰგვრიდათ.

ცაზე დინჯად ამოცურდა ბადრი მთვარე, თითქოს საგანგებოდ ავსებულიყო, რათა უფრო საზეიმო იერი მიეცა ამ შესანიშნავი სანახაობისთვის, ნამგალს კი არ მიაგავდა იმ ღამით, ბურთივით დამრგვალებულიყო. ერთმა ენაკვიმატმა სტუმარმა ჩაილაპარა-

კა: გაკვირვებამ გაბუშტა, რაკი დაინახა, რომ ამდენი მოხდენილი ლეიტენანტი და პატარძლის ტურფა დობილი ნაღვლიანად დასცქერის მდინარეს, თითქოს თავის მოკვლას ფიქრობენო.

ნახევარმა კარლსტადმა მოიყარა თავი ეკენსტედების ბაღის მესერთან, რათა მშვენიერი სანახაობით დამტკბარიყვნენ. ყველა ხედავდა, რარიგ უხალისოდ დააბოტებდნენ ყმაწვილკაცები ბაღის ბილიკებზე, და ყველა იმას ამბობდა, ასეთ უღიმღამო, მოსაწყენ ქორწილს ჯერ არ შევსწრებივართო.

ვერმლანდის პოლკის ორკესტრი შესანიშნავად უკრავდა, მაგრამ რაკი პოლკოვნიკის ცოლმა საცეკვაოს დაკვრა აუკრძალა, აქაოდა, ახალგაზრდობას ვერ შევაკავებ და მაინც თავისას გაიტანსო, მუსიკალური პროგრამა ერთობ მწირი გამოდგა, ერთსა და იმავე ჰანგს მომაბეზრებლად იმეორებდნენ.

დრო ნელა მიიზლაზნებოდაო, რომ ვთქვათ, არ იქნება სწორი, ვინაიდან იგი ერთ ადგილზე გაიყინა. ყველა საათზე ერთნაირად შეანელეს ისრებმა სვლა.

ეკენსტედების სახლის წინ, მდინარის ნაპირას, რამდენიმე სატვირთო კარჭაპი იდგა და ერთ-ერთ მათგანზე მუსიკის მოყვარული მეზღვაური სოფლურ პოლკას უკრავდა თვითნაკეთ წრიპინა ვიოლინოზე.

როგორც კი საცეკვაო მუსიკას მოჰკრეს ყური, ეკენსტედების ბაღში მოწყენილობისგან გულგადალეული სტუმრები მაშინვე ჭიშკრისკენ გაეშურნენ და რამდენიმე წუთის შემდეგ ყველამ დაინახა, როგორ გააჩაღეს სოფლური პოლკა კარჭაპის გაფისულ გემბანზე.

პოლკოვნიკის ცოლმა მაშინვე შეამჩნია სტუმრების გაპარვა და მიხვდა, რომ ყოვლად დაუშვებელი იყო, მასთან მიწვეულ კარლსტადელ დიდგვაროვანთა ასულებს ჭუჭყიან კარჭაპზე ეცეკვათ. მაშინვე მორბედი აფრინა და უკანვე იხმო სტუმრები.

პოლკოვნიკის ცოლი კი გახლდათ, მაგრამ არც ერთ პირტიტველ ლეიტენანტსაც კი არ უფიქრია მისი ბრძანების შესრულება.

ახლა მიხვდა ბეატა ეკენსტედი, რომ თამაში წაგებულია. მან ყოველივე მოიმოქმედა, რათა კარლ-არტურისთვის ესიამოვნებინა. ახლა კი საჭირო გახდა ოჯახის სახელის გადარჩენა შერცხვენისგან, ამიტომ პოლკის ორკესტრს დარბაზში გადასვლა და ანგლეზის დაკვრა უბრძანა.

არ გასულა დიდი დრო და გაიგონა, როგორ მიაწყდნენ სტუმრები კიბეს, დარბაზს შეეფინნენ და ცეკვა დაიწყეს! ასეთი მეჯლისი კარგა ხანია არ მოსწრებია კარლსტადს. ყველა, ვისაც გული გადაელია ცეკვის მოლოდინში, ახლა იმას ცდილობდა, დაკარგული დრო აენაზღაურებინა. პეპლებივით დაფარფატებდნენ, ტრიალებდნენ და ათასნაირ ილეთს აკეთებდნენ. დაღლას არავინ გრძნობდა მიპატიჟებაზე. ყოვლად უსახური გოგონებიც კი არ დარჩენილან უკავალროდ.

მოხუცები რომ მოხუცებია, იმათაც ვერ გაუძლეს ცდუნებას, მაგრამ ყველაზე განსაცვიფრებელი ის იყო, რომ თვით პოლკოვნიკის ცოლი, დიახ, სწორედ თვით პოლკოვნიკის ცოლი, რომელმაც ხელი აიღო ცეკვაზეც, ბანქოს თამაშზეც და მთელი თავისი საერო წიგნები სხვენში აატანინა, ისიც აჰყვა სხვებს. ისე ხალისიანად, მსუბუქად დასრიალებდა, თავის ქალიშვილზე ახალგაზრდა გეგონებოდათ. კარლსტადელები მართლაც ბედნიერნი იყვნენ, რაკი ძველებურად სიცოცხლით სავსე, მომხიბლავი იხილეს სათაყვანებელი ბეატა ეკენსტედი.

მხიარულებამ ფრთები გაშალა, საოცარი ღამე იყო, მდინარე მთვარის შუქზე ალაპლაპდა და ყველაფერი თავის რიგზე აეწყო.

საუკეთესო საბუთი იმისა, თუ რაოდენ გადამდებია ხოლმე სიხარული, თვით კარლ-არტური გახლდათ, რომელიც სხვებისდაგვარად მორევივით ჩაითრია საერთო მხიარულებამ. ახლა კი

აღარ ესმოდა, რად უნდა ყოფილიყო საძრახი მუსიკის ტაქტზე აყოლა უზრუნველ ყმაწვილკაცებთან ერთად. განა ბუნებრივი არ არის, რომ ახალგაზრდული ჯან-ღონე, სიცოცხლის სიყვარული ცეკვაში გადაიღვაროს. ძველებურად ცოდვად თუ მიიჩნევდა ამას, როდი იცეკვებდა, მაგრამ ამ საღამოს ცეკვა მისთვის ბავშვურად უმწიკვლო გართობა იყო.

კარლ-არტურს გულმოდგინედ გამოჰყავდა ანგლეზის ერთი რთული ფიგურა. ამ დროს მან ღია კარისკენ გაიხედა და დაინახა შავი, ხუჭუჭა თმითა და წვერით მოსილი გაფითრებული სახე და სევდიანი, გაოცებით მომზირალი დიდრონი თვალები.

კარლ-არტური ერთ ადგილას გაქვავდა. ჯერ ზმანება ეგონა, მერე კი იცნო თავისი მეგობარი პონტუს ფრიმანი, რომელიც დაჰპირდა, კარლსტადში რომ გამოვივლი, მოგინახულებო, და აი, სწორედ ამ საღამოს ეწვია.

კარლ-არტურმა უმალვე შეწყვიტა ცეკვა და მყის გაეშურა ახალმოსული სტუმრისკენ, რომელსაც სიტყვაც არ უთქვამს, ისე გაიყოლა, კიბეზე დაეშვნენ და ეზოში გავიდნენ.

ნიშნობა

შაგერსტრიომი დაინიშნა! მდიდარი შაგერსტრიომი, „ტბის აგარაკის“ მეპატრონე?

ვინა თქვა? განა დასაჯერებელია, რომ შაგერსტრიომმა ქალი დანიშნოს? გინდ დაიჯერეთ, გინდ არა. ჭორი ჭორად, მაგრამ მართლაც ასეა ეს ამბავი. შაგერსტრიომი მართლაც ეახლა ერთ ქალს ხელის სათხოვნელად.

მომიტევეთ, მაგრამ როგორ მოხდა, რომ შაგერსტრიომი ხელის სათხოვნელად მივიდა?

უნდა მოგახსენოთ, რომ კორსჩურკაში, პასტორის კარ--მიდამოში ცხოვრობს ერთი ასული, შარლოტა ლიოვენშოლდი. შორეულ ნათესავად ერგება პასტორს. იგი პასტორის ცოლის კომპანიონადაა მოყვანილი ამ ოჯახში, თან კიდევ პასტორ--ადიუნქტზეა დანიშნული.

კი, მაგრამ სად შარლოტა და სად შაგერსტრიომი?

ჰოდა, ასე, შარლოტა ლიოვენშოლდი ცქრიალა და ხალისიანი, ენაკვიმატი ქალიშვილია. როგორც კი ფეხი შედგა პასტორის სახლში, თითქოს მაცოცხლებელმა ნიავმა დაჰბერაო. პასტორიცა და მისი ცოლიც ხანში შესულები ბრძანდებოდნენ და ლანდებივით დაფარფატებდნენ სახლში, შარლოტამ კი სიცოცხლე შთაბერა მათ.

პასტორ-ადიუნქტი ძაფივით გამხდარი იყო და წმინდანივით პურწყალსაც ძლივს ეკარებოდა. დღისით თავის მოვალეობას რომ ასრულებდა, ღამით მუხლმოყრილი იდგა საწოლის წინ და

ცხარე ცრემლით მომტირალი ცოდვებს ინანიებდა. ისე გაიწამა თავი, შარლოტა რომ არა, სააქაო პირიც აღარ ექნებოდა.

ჰო, მაგრამ სად ეს ამბავი და სად...

მინდა იცოდეთ, რომ ხუთი წლის წინათ, როდესაც პასტორ--ადიუნქტი კორსჩურკაში ჩამოვიდა, ის-ის იყო, მიღებული ჰქონ-და სასულიერო წოდება და სულ მთლად გამოუცდელი გახ-ლდათ ამ საქმეში. სწორედ ამ დროს მოევლინა შარლოტა. ქა-ლიშვილს მთელი ცხოვრება პასტორის ოჯახებში გაეტარებინა და შესანიშნავად იცოდა მათ მოვალეობათა მთელი ასავალ--დასავალი. მშვენივრად შეასწავლა კარლ-არტურს ბავშვების მონათვლაცა და მლოცველთა საკრებულოში სიტყვის წარმოთ-ქმაც.

ამასობაში ერთმანეთი შეუყვარდათ და აი, უკვე ხუთი წელია დანიშნულები არიან.

მაგრამ ასე თუ გავყევით, ხომ უფრო დავშორდებით შაგერ-სტრიომს...

შარლოტა ლიოვენშოლდს არაჩვეულებრივი უნარი ჰქონდა სხვისი საქმის მოგვარებისა. ახალგაზრდა პასტორის საცოლე რომ გახდა, გაიკითხ-გამოიკითხა და შეიტყო, რომ კარლ--არტურის მშობლები უკმაყოფილონი იყვნენ, რაკი მან სასუ-ლიერო კარიერა აირჩია. თურმე იმას ნატრობდნენ, ნეტავ მა-გისტრის ხარისხი მიიღოს და პროფესორის ან დოცენტის ადგი-ლი მოიპოვოს უნივერსიტეტშიო. მთელი ხუთი წელიწადი გაატა-რა უფსალაში და საკანდიდატო გამოცდის ჩასაბარებლად ემზა-დებოდა; მეექვსე წელს, როცა მაგისტრის წოდება უნდა მიეღო, მოულოდნელად განზრახვა შეიცვალა და კანდიდატობაზე კი არა, პასტორის წოდებაზე ჩააბარა გამოცდა. მისი მშობლები მდიდრები იყვნენ, ცოტა პატივმოყვარენიც. სულაც არ ეჭაშნი-კათ, ესოდენ უბრალო ასპარეზი რომ აირჩია მათმა შვილმა. მას

მერეც კი, პასტორი რომ გახდა, დედაც და მამაც ლამის მუხლმოდრეკილი ეაჯებოდნენ, გაეგრძელებინა სწავლა უფსალაში, მაგრამ კარლ-არტურმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. შარლოტამ იცოდა, თუ იგი მაგისტრი გახდებოდა, კარგი მომავალი ელოდა და უფსალაში დაბრუნებაზე დაიყოლია, და რადგან კარლ-არტური ნამდვილი მზუთხავი გახლდათ, ოთხ წელიწადში მოამთავრა ეს საქმე - გამოცდა ჩააბარა და მაგისტრის წოდებაც მიიღო.

მომიტევეთ, მაგრამ რა შუაშია აქ შაგერსტრიომი?..

იცით რა, შარლოტამ იფიქრა, რაკი ჩემმა საქმრომ მაგისტრის წოდება მიიღო, ხომ შეუძლია გიმნაზიის მასწავლებლის ადგილი იშოვოს და იმოდენა ჯამაგირი გაიჩინოს, რომ ჩემი ცოლად შერთვა შეძლოსო; ხოლო თუ მაინცდამაინც სასულიერო პირად ყოფნას ინდომებს, რამდენიმე წელიწადში დიდ პასტორატსაც მიიღებსო. განა ასეთი გზა არ განვლეს კორსჩურკის პასტორმა და სხვებმაც. მაგრამ გამტყუნდა შარლოტას ვარაუდი, რადგან კარლ-არტურმა უბრალო სოფლის მღვდლობა არჩია.

აი, ასე მოხდა ეს ამბავი, კარლ-არტური პასტორ-ადიუნქტად დაბრუნდა კორსჩურკაში. და თუმცა ფილოსოფიის დოქტორი გახლდათ, უბრალო მეჯინიბეს რომ ეძლეოდა, იმხელა ჯამაგირის შემყურე დარჩა.

ჰო, მაგრამ შაგერსტრიომი...

განა საჭიროა იმის თქმა, რომ შარლოტა ლიოვენშოლდი, რომელიც მთელი ხუთი წელი ელოდა საბედოს, ამას არ იკმარებდა. მაგრამ მაინც ძალიან გაახარა საქმროს დაბრუნებამ. კარლ-არტური აქვე, ამავე კარ-მიდამოში ცხოვრობდა, შარლოტა ყოველ ცისმარე დღეს ნახულობდა და მტკიცედ გადაეწყვიტა,

მანამდე არ მოვეშვები, სანამ გიმნაზიის მასწავლებლად არ გავ-ხდი, ისევე როგორც მაგისტრობა ვაიძულეო.

მაგრამ ჩვენ ჯერ ერთი სიტყვაც არ გვსმენია შაგერსტრიომ-ზე!

მაშ, მისმინეთ: არც შარლოტა ლიოვენშოლდსა და არც მის საქმროს არაფერი ესაქმებოდათ შაგერსტრიომთან. იგი სულ სხვა წრის კაცი გახლდათ. მამამისს სტოკჰოლმში მაღალი თა-ნამდებობა ეკავა, იგი თვითონ ხომ მდიდარი იყო, ცოლადაც ვერმლანდელი ქარხნის მეპატრონის ქალი შეირთო, რომელიც იმდენი ქარხნისა და საბადოს მემკვიდრე იყო, რომ რამდენიმე მილიონი მოჰყვა მზითვად.

პირველ ხანებში შაგერსტრიომი სტოკჰოლმში ცხოვრობდა და მხოლოდ ზაფხულის თვეებს ატარებდა ვერმლანდის რომე-ლიმე ქარხანაში. მაგრამ როცა რამდენიმე წლის შემდეგ მისი ცოლი მშობიარობას გადაჰყვა, კორსჩურკაში გადავიდა და „ტბის აგარაკად“ წოდებულ მამულში დასახლდა. მეუღლის და-კარგვამ ისე დაამწუხრა, ძველ ადგილას ცხოვრება აღარ შეეძ-ლო. შაგერსტრიომი თითქმის აღარავისთან დადიოდა სტუმრად და დრო რომ მოეკლა, თავისი მრავალრიცხოვანი ქარხნების მართვა-გამგეობას მოჰკიდა ხელი, ხოლო „ტბის აგარაკს“ ძირ-ფესვიანად უცვალა ნირი და ისე მდიდრულად მოაწყო, კორ-სჩურკის ნამდვილ მშვენებად აქცია იქაურობა. მიუხედავად იმი-სა, რომ შაგერსტრიომი სრულიად მარტო იყო, სახლი მსახურე-ბით აავსო და საერთოდ, ბატონკაცურად ცხოვრობდა. შარლო-ტა ლიოვენშოლდმა იცოდა, როგორც ციდან ვარსკვლავებს ვერ მოსწყვეტდა თავისი საქორწილო გვირგვინის მოსართავად, ისე არ მიუწვდებოდა ხელი შაგერსტრიომის ცოლობაზე.

ისიც საცოდნელია, რომ შარლოტა ლიოვენშოლდს ერთი რამ ახასიათებდა: რაც ენაზე მოადგებოდა, მაშინვე წამოისრო-

და. ერთხელ, როცა პასტორთან უამრავ სტუმარს მოეყარა თავი, მათი სახლის წინ შაგერსტრიომმა ჩაიქროლა თავისი ღია ლანდოთი, რომელშიც ოთხი შავრა ცხენი ება, მეეტლის გვერდით კოფოზე კი ლივრეიანი ლაქია უჯდა. რა თქმა უნდა, ყველანი ფანჯრებს მისცვივდნენ. როგორც კი თვალს მიეფარა, შარლოტა ლიოვენშოლდი ოთახის სიღრმეში მყოფ თავის საქმროს მიუბრუნდა და ყველას გასაგონად უთხრა:

- იცოდე, კარლ-არტურ, მართალია, მიყვარხარ, მაგრამ შაგერსტრიომმა ხელი რომ მთხოვოს, უარს როდი ვეტყვი.

სტუმრებმა, რომლებმაც იცოდნენ, რომ შაგერსტრიომი არასოდეს გააკეთებდა ასეთ რამეს, ხარხარი ატეხეს. სხვებთან ერთად კარლ-არტურმაც ბევრი იცინა, რადგან იცოდა, შარლოტამ სტუმრების გასამხიარულებლად თქვა ეს. თუმცა, თვითონ შარლოტა კი შეცბა უნებურ წამოცდენაზე, მაგრამ თავს ვერ გამოვიდებთ იმის მტკიცებით, თითქოს ქვენა აზრი არ დაეყოლებინოს ამ ნათქვამისთვის. ალბათ, გუნებაში გაივლო, იქნებ ცოტა გული გადავუქანო კარლ-არტურს და მასწავლებლობა მოვაწადინოო.

შაგერსტრიომი ჯერაც მგლოვიარედ იყო და სულაც არ ფიქრობდა ცოლის შერთვას, მაგრამ საქმიან ხალხში რომ ტრიალებდა, უამრავი მეგობარი და ნაცნობი შეიძინა, რომლებიც შეუჩნდნენ, დროა ამაზე იფიქროო. იგი მტკიცედ უარობდა, აქაოდა, გულჩახვეული, უხასიათო კაცი ვარ და არავინ ინდომებს ჩემს ცოლობასო. გაგონებაც არ უნდოდა, როცა ეუბნებოდნენ, სწორედ პირიქითაააო. მაგრამ ერთხელ, როდესაც შაგერსტრიომი საქმიან სადილს ესწრებოდა და როცა ისევ ცოლის შერთვაზე ჩამოუგდეს სიტყვა და ისიც ძველებურად მოჰყვა მომიზეზებას, კორსჩურკელმა თანამეინახემ უამბო, ერთ ქალიშვილს განუცხადებია, საქმროს უარს ვეტყვი, შაგერსტრიომი

რომ მთხოვდეს ხელსო. სადილად შეკრებილნი ისედაც მხიარულობდნენ და ამაზე ხომ მთლად სიცილით დაწყდნენ, რადგან პასტორის ოჯახისა არ იყო, მათაც მოსწრებულ ხუმრობად ჩათვალეს ეს ამბავი.

სიმართლის თქმა სჯობს, ბოლო ხანებში შაგერსტრიომს თანდათან გაუჯდა აზრი, რომ უცოლოდ ცხოვრება გაუჭირდებოდა, მაგრამ განსვენებული მეუღლის სიყვარული ჯერაც არ განელებოდა და იმის გაფიქრებაც კი, რომ სხვა ქალს უნდა დაეჭირა მისი ადგილი, გულს უთუთქავდა.

აქამდე თუკი გაივლებდა გულში ცოლის შერთვას, თავისი წრის ქალი ჰყავდა მხედველობაში, მაგრამ შარლოტა ლიოვენშოლდის ნათქვამმა სრულიად სხვა გეზი მისცა მის ფიქრებს. თუ, ვთქვათ, ცოლს შეირთავდა არა სიყვარულით, არამედ ცივი გონების კარნახით, თანაც ეს ქალი მოკრძალებული და ხელმოკლე იქნებოდა, ის ვერც მისი გულიდან განდევნიდა განსვენებული მეუღლის ხსოვნას და ვერც მაღალ საზოგადოებაში დაიჭერდა იმ ადგილს, რომელიც ეკავა პირველ ცოლს სიმდიდრისა და ნათესაური ნაცნობობის მეოხებით. ასეთი ქორწინება შაგერსტრიომს დასაშვებად მიაჩნდა, ვინაიდან ეს არ შებღალავდა სასუფეველდამკვიდრებულის ხსოვნას.

კვირა დღე რომ დადგა, შაგერსტრიომი ეკლესიაში წავიდა და პასტორის ცოლის გვერდით მერხზე მჯდომ ქალიშვილს დაუწყო ჭვრეტა. სადა, უბრალო ტანსაცმელი ეცვა შარლოტას და საერთოდ არაფრით გამოირჩეოდა. მაგრამ ეგ სათვალავში არ იყო ჩასაგდები. პირიქით, მზეთუნახავი რომ ყოფილიყო, შაგერსტრიომს იქნებ გულშიც არ გაევლო მისი ცოლად შერთვა. მის განსვენებულ მეუღლეს საიქიოშიც უნდა სცოდნოდა, რომ შაგერსტრიომის ახალი ცოლი არაფრით იქნებოდა მასზე უკეთესი. ქარხნის მეპატრონეს თან თვალი შარლოტასკენ ეჭირა და თან

იმას ფიქრობდა, ნეტავ რა პასუხს მომცემს, მართლაც რომ მივიდე მასთან და ჩემი ოჯახის დიასახლისად გახდომა ვთხოვოო?

ქალს ხომ ფიქრადაც არ ექნებოდა ეს ამბავი, ამიტომ მართლაც საინტერესო იყო, რა გამომეტყველებას მიიღებდა მისი სახე, როცა დარწმუნდებოდა, რომ შაგერსტრიომი არ ხუმრობდა.

ეკლესიიდან დაბრუნებისას შაგერსტრიომი ახლა იმაზე ფიქრობდა, ნეტავ როგორი იქნება, ძვირფას და ლამაზ ტანსაცმელში რომ გამოვაწყოო. და უცებ მიხვდა, რა მაცდურად აეკვიატა მეორე ცოლის შერთვის სურვილი. რომანტიკულადაც კი ეჩვენა ის ამბავი, რომ სრულიად მოულოდნელად გააბედნიერებდა ღარიბ გოგონას, რომელსაც სანუგეშო არაფერი ელოდა ამ ცხოვრებაში. საერთოდ, ეს კაცი რომანტიკული ბუნებისა იყო და რაკი შეატყო თავის თავს, მგონი, ახლაც შევტოპეო, მყის თავიდან მოიშორა ამ ქორწინებაზე ფიქრი; როგორც ცდუნებას, ისე განერიდა ასეთ აზრს. მუდამ არწმუნებდა თავს, მხოლოდ დროებით გავშორდი ცოლს, ამიტომ მისი ერთგული უნდა დავრჩე, სანამ კვლავ და საბოლოოდ არ შევუერთდები იმ ქვეყნადო. მეორე ღამეს შაგერსტრიომმა თავისი მიცვალებული მეუღლე ნახა სიზმარში და გამოღვიძებულს კიდევ უფრო გაუცხოველდა ნაზი გრძნობები მისდამი. ეკლესიიდან მომავალს შიში რომ დაეუფლა, ახლა სულაც უნიადაგო ეჩვენა - მისი სიყვარული კვლავ ცოცხლობს და სულაც არ არის საშიში, ამ თვინიერმა ქალიშვილმა, რომლის შერთვასაც ფიქრობს, შეძლოს მისი არსებიდან განსვენებულის ხატების განდევნა. მას აუცილებლად ესაჭიროება გამრჯე და გონიერი დიასახლისი, რომელიც გაუხალისებს მარტოობას და ოჯახს მოუვლის.

ნათესავებს შორის არავინ ეგულებოდა ისეთი, ოჯახისთვის რომ მიეხედა, ჯამაგირით ვინმეს დაქირავება კი არ უნდოდა. ერთადერთი გამოსავალი ცოლის შერთვა იყო.

იმავე დღეს კარგად გამოიწკიპა და პასტორის სახლისკენ გაეშურა. ბოლო წლებში ისე განმარტოებით ცხოვრობდა, ერთხელაც არ სტუმრებია პასტორს. და როცა მისი ოთხ შავრაცხენშებმული ლანდო პასტორის ჭიშკარში შეგრიალდა, მასპინძლის სახლში ერთი ალიაქოთი ატყდა. ქარხნის მეპატრონე მაშინვე სადარბაზო ოთახში აიყვანეს მეორე სართულზე. ერთხანს იგი აქ პასტორსა და მის ცოლს ემასლაათებოდა. შარლოტა ლიოვენშოლდი თავის ოთახში განმარტოვდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ პასტორის ცოლი თვითონ მივიდა მასთან და სთხოვა, სადარბაზო ოთახში შესულიყო სტუმრის გასართობად; ქარხნის მეპატრონე შაგერსტრიომი გვეწვია და ორ ბებრუხანასთან ყოფნა მოსწყინდებაო.

პასტორის ცოლი აფორიაქებული და აღგზნებულიც კი იყო. შარლოტამ გაკვირვებით შეავლო თვალი, მაგრამ არაფერი უკითხავს. წინსაფარი მოიხსნა, თითები წყლით დაისველა, თმაზე გადაისვა, სუფთა საყელო გაიკეთა და პასტორის ცოლს გაჰყვა, მაგრამ კართან მისული უკანვე დაბრუნდა და ისევ აიფარა წინსაფარი.

შარლოტა სადარბაზო ოთახში შევიდა და შაგერსტრიომს მიესალმა: სკამი შესთავაზეს თუ არა, პასტორი მაშინვე მის ქებას მოჰყვა. მჭევრმეტყველურად ლაპარაკობდა, დიდი ამბით აღწერა ის სიხარული და ბედნიერება, რომელიც მან ამ სახლში მოიტანა. შარლოტა ქალიშვილის მაგივრობას უწევდა მასაც და მის ცოლსაც. ამიტომ არავითარ შემთხვევაში არ ინდომებდნენ მასთან განშორებას, მაგრამ თუ ისეთ სახელოვან პიროვნებას, როგორიც ჰერ გუსტავ შაგერსტრიომია, მისი ცოლად შერთვა

სწადია, მათ უფლებაც კი არა აქვთ საკუთარ თავზე იფიქრონ და ამიტომ თანხმობის თქმას ურჩევენ შარლოტას, უკეთესს, ალბათ, თავადაც ვერ ინატრებდა.

პასტორს სიტყვაც არ დასცდენია იმაზე, რომ შარლოტა დანიშნული იყო მის თანაშემწეზე. თვითონაც და მისი მეუღლეც მუდამ წინააღმდეგნი იყვნენ ამ ნიშნობისა და გულით ეწადათ, ეს საქმე ჩაშლილიყო. ღარიბმა გოგონამ რატომ უნდა მიანდოს თავისი ბედი ისეთ კაცს, რომელიც ჯიუტად უარს ამბობს რიგიანი შემოსავლის შოვნაზე. შარლოტა ლიოვენშოლდმა ყოველივე ეს ისე მოისმინა, არც კი განძრეულა. პასტორმა იფიქრა, ღირსეული პასუხის მოსაფიქრებლად დროს მივცემო და ახლა შაგერსტრიომის ქებას მოჰყვა. დიდად გონიერი ბრძანდებითო, ქველმოქმედიო, თქვენს მოსამსახურეებს გულითადობას არ აკლებთო. თუმცა კი პირველად მეწვიეთ, იმდენი კარგი რამ მსმენია თქვენზე, რომ დიდი ხანია, ჩემს მეგობრად გთვლით და დიდად მოხარული ვარ ჩემი ახალგაზრდა ნათესავის ბედის განმგებელი რომ ხდებითო.

მთელი ამ ხნის განმავლობაში შაგერსტრიომი უძრავად იჯდა და ცნობისმოყვარეობით მისჩერებოდა შარლოტას, გულით ეწადა, ამოეცნო, რა შთაბეჭდილება მოახდინა მასზე ხელის მთხოვნელის მოსვლამ. მის თვალს არ გამოჰპარვია, რომ გოგონა წელში გაიმართა, ყელი მოიღერა, მერე ლოყები შეუფაკლდა, ლურჯი თვალები კიდევ უფრო ჩაუმუქდა, ზედ ტუჩზე ძლივს შესამჩნევი გამკილავი ღიმილი აუთამაშდა. ამის შემყურე შაგერსტრიომი საშინლად შეცბა. ამწუთას მართლაც რომ კალმით ნახატი მზეთუნახავი იყო, თანაც სულაც არ ეთქმოდა თვინიერი და მოკრძალებული.

ცხადზე უცხადესი იყო, რომ შაგერსტრიომის მოსვლამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე, მაგრამ გაუხარდა მას

თუ არა, ამას ვერ მიხვდა ქარხნის მეპატრონე. თუმცა, დიდხანს არც დასჭირვებია ლოდინი ამ გამოცანის ამოსახსნელად. როგორც კი პასტორმა თავისი მჭევრმეტყველური პანეგირიკი დააბოლოვა, შარლოტამ მაშინვე შეკითხვით მიმართა შაგერსტრიომს:

- იცით თუ არა, ჰერ შაგერსტრიომ, რომ მე დანიშნული ვარ?

- დიახ, რასაკვირველია, - მიუგო შაგერსტრიომმა, მაგრამ შარლოტამ მაშინვე შეაწყვეტინა სიტყვა:

- მერე თუ იცოდით, როგორღა გაბედეთ აქ მოსვლა და ჩემი ხელის თხოვნა?

სწორედ ასე უთხრა, - როგორ გაბედეთო, თუმცა, მთელ კორსჩურკაში ყველაზე მდიდარ კაცს ელაპარაკებოდა.

ამწუთას სულაც აღარ ახსოვდა, რომ თვითონ ერთი საწყალი ქალი იყო; თავი ისე ეჭირა, თითქოს მდიდარი და ამაყი ფროიკენ ლიოვენშოლდი ყოფილიყოს.

პასტორი და მისი ცოლი განცვიფრებისგან ლამის სკამებიდან გადმოცვივდნენ, შაგერსტრიომიც სახტად დარჩა, მაგრამ საზოგადოებაში გამოსული კაცი გახლდათ და ჩინებულად იცოდა უხერხული მდგომარეობიდან თავის დაღწევა.

შარლოტასთან მივიდა, ორივე ხელით მოწიწებით ჩამოართვა ხელი და ასე მიმართა:

- ძვირფასო ფროიკენ ლიოვენშოლდ, მერწმუნეთ, ასეთმა პასუხმა კიდევ უფრო გამიძლიერა თქვენდამი პატივისცემა.

პასტორსა და მის მეუღლეს თავი დაუკრა, ხელით ანიშნა, ნურაფერს მეტყვით და არც გაცილებაა საჭიროო. მოხუცებიცა და შარლოტაც დიდად გააკვირვა უარყოფილი საქმროს ასეთმა ღირსეულმა ქცევამ.

სურვილი

აქვს თუ არა ძალა ადამიანის სურვილს?

თუ ქალი თითსაც არ გაანძრევს იმისთვის, რომ დაუახლოვდეს სანატრელ ადამიანს და მხოლოდ თავის გულში იკლავს სურვილს, ფუჭია ყოველივე.

თუ ქალმა იცის, რომ არარაობაა, მახინჯია და თანაც ღატაკი, და თუ იმასაც მიხვედრილა, რომ ვისი მონადირებაც სწადია, იმას სულაც არ ახსოვს მისი ამქვეყნად არსებობა, შეუძლია იჯდეს და თავი შეიქციოს თავისი სურვილებით.

თუ ამავე დროს ეს ქალი ქმრის ერთგულია, თან კიდევ პიეტიზმისკენ მიდრეკილებაც ახასიათებს და ამქვეყნად არაფრის გულისთვის საძრახის საქმეს არ ჩაიდენს, სურვილი იგი იოტისოდენადაც ვერ შეცვლის მის ყოფას.

თუ ყოველივე ამასთან ერთად სიბერეც შეეპარა, რადგან უკვე ოცდათორმეტი შეუსრულდა, ხოლო ის, ვინც გულზე ახატია, ჯერ მხოლოდ ოცდაცხრისაა, თანაც თუ ეს ქალი გაუბედავი, უნიათოა და საზოგადოებაში თავის გამოჩენის ოდნავი იმედიც არა აქვს, თუ იგი ერთი უბრალო ორგანისტის ცოლია და მეტი არაფერი, მაშინ იჯდეს და დილიდან საღამომდე პირი იტკბარუნოს თავისი სურვილებით. ეს სულაც არ იქნება ცოდვა, ვინაიდან სურვილი სურვილად დარჩება და ამას არავითარი შედეგი არ მოჰყვება.

თუ მას ჰგონია, რომ სხვათა გულის წადილი გაზაფხულის ცელქი ნიავია, მისი გულისთქმა კი ძლიერი, ყოვლისმომსვრე-

ლი ქარიშხალი, რომელსაც მთების შეძვრა და მთელი ხმელეთის გადაყირავებაც კი შეუძლია, მერე რა, იფიქროს ასე. თვითონაც ხომ იცის, რომ ყოველივე ეს მხოლოდ უნიადაგო ფანტაზიაა. და სურვილს ახლა რომ არა აქვს ძალა, არც მომავალში ექნება.

იმითაც კმაყოფილი იყოს, რომ სოფელში ცხოვრობს და ზედ გზის პირას, და ყოველ ცისმარე დღეს შეუძლია მისი დანახვა, როცა ფანჯრების წინ ჩაუვლის; იმითაც კმაყოფილი უნდა იყოს, რომ მისი ქადაგების მოსმენა შეუძლია კვირადღეობით, რომ ზოგჯერ პასტორის ოჯახშიც ეპატიჟებიან და მასთან ერთად ერთ ოთახში ყოფნაც უწევს, თუმცა, თავისი მორცხვობის გამო მისთვის ერთი სიტყვის თქმაც ვერ გაუბედავს.

არადა, ერთი რამ გზა-ხიდი მაინც აკავშირებთ მათ. იმან, ალბათ, არც არაფერი იცის ამის თაობაზე, ქალს კი უჭირს თქმა. ეს გზა-ხიდი კი მაინც არსებობს.

ამ ქალის დედა ხომ მალვინა სპააკია, სწორედ ის მალვინა, ერთხანს ეკონომად რომ მსახურობდა ჰედებიუში, ბარონ ლიოვენშოლდებთან, იმისი დედის მშობლებთან. ოცდათხუთმეტი წლისა რომ იყო მალვინა, ცოლად გაჰყვა ერთ წვრილ მოიჯარეს და მას უკან ისე თავგამოდებით, დაუღალავად შრომობდა საკუთარ სახლში, როგორც ადრე სხვათა ოჯახებში, მაგრამ კავშირი არ გაუწყვეტია ლიოვენშოლდებთან, ისინიც დადიოდნენ მასთან, თვითონაც დიდი ხნით რჩებოდა ხოლმე ჰედებიუში, შემოდგომაზე პურის ცხობაში ეხმარებოდა, გაზაფხულზე ოთახების დალაგებაში. ეს ცოტა ალამაზებდა მის ცხოვრებას. თავის პატარა გოგონას ხშირად უამბობდა წარსულის ამბებს, როცა ეკონომად იყო ლიოვენშოლდებთან, განსვენებულ გენერალზეც, რომლის აჩრდილი ერთხანს სასახლეში დაეხეტებოდა, ახალგაზრდა ბარონ ადრიანზეც, რომელსაც ძალიან უნდოდა

დახმარებოდა მიცვალებულ წინაპარს იმქვეყნიური სიმშვიდის დამკვიდრებაში.

გოგონა ხვდებოდა, რომ დედამისს მაშინ უყვარდა ახალგაზრდა ბარონი. ეს მისი ნაამბობიდანაც ჩანდა. ნეტავ გაცოდინა, როგორი კეთილი, როგორი კარგი იყოო! მერედა რა მეოცნებე თვალები ჰქონდა, რა ლამაზი მიხრა-მოხრაო.

როცა მალვინა ახალგაზრდა ბარონზე ლაპარაკობდა, გოგონას ეგონა, დედამისი აზვიადებდა და ისეთი ჭაბუკი, როგორსაც იგი აღწერდა, საერთოდ არც კი არსებობდა ქვეყანაზე.

და მაინც იხილა იგი. ორგანისტს რომ გაჰყვა ცოლად და კორსჩურკაში დასახლდა, ერთხელ, კვირადღეს, ეკლესიის კათედრაზე იხილა. ის ბარონი კი არა, პასტორი ეკენსტედი გახლდათ, მაგრამ დისწული იყო იმ ბარონ ადრიანისა, რომელიც უყვარდა მალვინა სპააკს. ბიძამისივით ლამაზი იყო ეკენსტედი, ბიძამისივით ტანადი, მოხდენილი და ნებიერი. ქალმა მაშინვე იცნო მისი დიდრონი მეოცნებე თვალები, რომელთა შესახებაც უამბობდა დედა, იცნო მისი მოკრძალებული ღიმილი.

და რა იხილა იგი, ასე ეგონა, ჩემი სურვილის ძალამ მომგვარა აქაო. სულ იმის ნატვრაში იყო, ისეთი ადამიანი მაჩვენა, დედაჩემის მიერ აღწერილ ხატებას ჰგავდესო, და აი, ისიც. რა თქმა უნდა, იცოდა, რომ სურვილს არავითარი ძალა არა აქვს და მაინც უცნაურად ეჩვენა მისი ხილვა.

ახალგაზრდა ეკენსტედი იოტისოდენა ყურადღებასაც არ აქცევდა და, ზაფხულის ბოლოს გულზვიად შარლოტა ლიოვენშოლდზე დაინიშნა... შემოდგომაზე კი ისევ უფსალაში დაბრუნდა სწავლის გასაგრძელებლად და ქალს ეგონა, სამუდამოდ გაქრა ჩემი ცხოვრების თვალსაწიერიდან და რაც უნდა ძლიერი იყოს ჩემი სურვილი, აღარასოდეს დაბრუნდებაო.

მაგრამ გავიდა ხუთი წელი და ერთ კვირადღეს ქალმა კვლავ იხილა იგი ეკლესიის კათედრაზე. და ისევ ეგონა, ჩემი სურვილის ძალამ მომგვარაო. ახალგაზრდა ეკენსტედი მცირეოდენ საბაბსაც კი არ აძლევდა ასეთი ფიქრებისთვის. იგი კვლავაც არავითარ ყურადღებას არ აქცევდა და ისევ შარლოტა ლიოვენშოლდზე იყო დანიშნული.

ამ ქალს ერთხელაც არ გაუვლია გულში ბოროტი განზრახვა შარლოტასადმი. თუნდ ბიბლიაზე დაიფიცებდა ამას. ზოგჯერ მხოლოდ იმას ინატრებდა, ეგებ სხვა ვინმე შეიყვაროს შარლოტამ, ან იქნებ მისმა მდიდარმა ნათესავებმა ხანგრძლივ სამოგზაუროდ მიიპატიჟონ საზღვარგარეთ და ასეთი სიამოვნების დროს უმტკივნეულოდ ჩამოშორდეს ახალგაზრდა ეკენსტედსო.

რადგან იგი ორგანისტის ცოლი იყო, დროდადრო პასტორის ოჯახში ეპატიჟებოდნენ ხოლმე და სწორედ იმ დღესაც მათთან იყო, როცა შაგერსტრიომმა ჩაუქროლა სახლს თავისი ლანდოთი და შარლოტამ საჯაროდ გამოაცხადა, უარს არ ვიტყვი, ხელი რომ მთხოვოსო.

იმ წუთიდან მოყოლებული ძალუმად აეკვიატა სურვილი, რომ შაგერსტრიომი მართლაც მისულიყო შარლოტასთან ხელის სათხოვნელად. განა დასაძრახი იყო ასეთი წადილი? განა სურვილს რაიმე ძალა აქვს?

სურვილს რომ ძალა ჰქონდეს, ხომ ყველაფერი სხვანაირად იქნებოდა ამქვეყნად. ვინ მოთვლის, რამდენნაირი სურვილები აქვთ ადამიანებს! რამდენი კარგი რამ სურთ მათ საკუთარი თავისთვის! რამდენ ადამიანს სურს აერიდოს ცდუნებას, ავადმყოფობას! რამდენ ადამიანს სურს თავიდან აიცილოს სიკვდილი! იცის, ძალიან კარგად იცის მან, რომ სურვილი არავის ეკრძალება, იმიტომ, რომ სურვილს არავითარი ძალა არა აქვს.

მიუხედავად ამისა, ერთხელ, ზაფხულის მზიან კვირადღეს, შაგერსტრიომი ეკლესიაში მოვიდა და ისეთი ადგილი შეარჩია, საიდანაც კარგად დაინახავდა პასტორის მერხზე მჯდომ შარლოტას. ძალიან, ძალიან სურდა ქალს, შაგერსტრიომს ლამაზი და მომხიბლავი სჩვენებოდა შარლოტა. მთელი სულით და გულით სურდა ეს. ან კი რად იყო დასაძრახი, თუ იგი მდიდარ ქმარს უსურვებდა შარლოტას.

ეკლესიაში მოსული შაგერსტრიომი რომ ნახა, მერე მთელი დღის განმავლობაში ისეთი წინათგრძნობა ჰქონდა, რაღაც უნდა მოხდესო. ის ღამე თეთრად გაათენა, გულის კანკალით ფიქრობდა, ნეტავ რა იქნებაო. დილა გათენდა და ეს ფიქრი მაინც არ ეშვებოდა. არაფრის თავი არ ჰქონდა, გულხელდაკრეფილი იჯდა ფანჯარასთან და ელოდა.

ალბათ, შაგერსტრიომი ჩაივლის ჩვენი სახლის წინ თავის ლანდოთიო, ფიქრობდა, მაგრამ მოხდა სრულიად მოულოდნელი რამ.

შუადღე მოახლოვდა, ასე თერთმეტი თუ თორმეტი საათი იქნებოდა, როცა კარლ-არტური ეწვია სტუმრად.

განა საჭიროა იმის თქმა, რომ ამან არა მარტო გააკვირვა და გაახარა, არამედ საშინლად დააბნია კიდეც.

ისიც კი არ ახსოვს, როგორ მიესალმა, როგორ შემოიპატიჟა შინ და აი, იგი უკვე მის წინ იჯდა სასტუმრო ოთახის ყველაზე უკეთეს სავარძელში და ქალი მონუსხულივით თვალს არ აშორებდა.

აქამდე ერთხელაც არ უნახავს იგი ასე ახლოს და ვერც კი წარმოედგინა, ასეთი ჭაბუკური შესახედაობა თუ ჰქონდა. ქალმა ხომ დაწვრილებით იცოდა მისი ამბავი, იცოდა, რომ იგი დაიბადა 1806 წელს და რომ, მაშასადამე, ახლა ოცდაცხრისა იყო, თუმცა, ბევრად ახალგაზრდა ჩანდა.

კარლ-არტურმა მისთვის ჩვეული, გულუბრყვილო და სერიოზული კილოთი დაუწყო საუბარი; მხოლოდ ახლახან შევიტყვე დედაჩემის წერილიდან, რომ მალვინა სპააკის ქალი ყოფილხართ, სწორედ იმ მალვინა სპააკისა, რომელიც ლიოვენშოლდების მთელი ოჯახისთვის კეთილი მეგობარიც იყო და ღვთით მოვლენილი განგებაც. ვწუხვარ, ადრე არ ვიცოდი ეს, თვითონ უნდა გეთქვათო.

ქალმა უსაზღვროდ გაიხარა, როცა მიხვდა, აქამდე რატომ არ აქცევდა არავითარ ყურადღებას. მაგრამ უენო ქალი იყო, ამიტომ საუბარში ვერ აჰყვა, მხოლოდ რაღაც წაიბუტბუტა. კარლ--არტურმა, ეტყობა, ვერაფერი გაიგო მისი ნათქვამიდან, გაკვირვებით შეხედა მხოლოდ. ალბათ, ვერც კი წარმოედგინა, რომ ასეთ დროულ ქალს შეიძლებოდა ლაპარაკის უნარი წართმეოდა მღელვარებისგან.

თითქოს გონს მოსასვლელად დრო უნდა მისცეს მასპინძელსო, ახლა მალვინა სპააკსა და ჰედებიუზე გადაიტანა საუბარი. მოჩვენებების ამბავი მოიგონა, საბედისწერო ბეჭედიც გაიხსენა.

ყველა წვრილმანი როდია დასაჯერებელი, თქვა მან, მაგრამ ღრმა აზრი კი უნდა იყოს დამალული მთელ ამ ამბავში. მერე დასძინა, მე ის ბეჭედი ერთგვარ სიმბოლოდ მიმაჩნია ამქვეყნიური კეთილდღეობისკენ ლტოლვისა, რაც ატყვევებს ადამიანის სულს და წინ ეღობება ღვთის სასუფეველში მის მოხვედრასო.

განა საარაკო არ არის ეს, რაც ხდება! თვით კარლ-არტური ზის მის წინ. უმზერს, მომხიბლავად უღიმის და ისეთი ნდობით ელაპარაკება, თითქოს ძველ მეგობარს ემუსაიფებოდეს! მოჭარბებული ბედნიერებისგან სული ყელში ებჯინება ქალს.

დავრდომილთ და გლახაკთ რომ ესაუბრება ხოლმე ახალგაზრდა პასტორი დასამშვიდებლად და გასამხნევებლად, ალ-

ბათ, ამიტომ არ უკვირს ახლა მსმენელის დუმილი და ისევ თვითონ განაგრძობს ლაპარაკს. ახლა იმას ეუბნება ქალს, დღენიადაგ იესოს სიტყვებზე ვფიქრობ, რომლებიც მდიდარ ყმაწვილს უთხრა. დარწმუნებული ვარ, ყოველი უბედურების უპირველესი მიზეზი ისაა, რომ ადამიანებმა უფრო მეტად შეიყვარეს ღვთისგან შექმნილი, ვიდრე თვით შემოქმედიო.

თუმცა, ქალს ერთი სიტყვაც არ დასცდენია, მაგრამ ისეთი გულისყურით უსმენდა, ამან უფრო წააქეზა ახალგაზრდა პასტორი და ახლა ისიც გაანდო გულახდილად, რომ ფიქრადაც არა აქვს მაღალი სასულიერო წოდების მოპოვება. არც დიდი სამრევლო უნდა, არც დიდი სახლ-კარი, არც დიდი სახნავ-სათესი და არც სქელი საეკლესიო წიგნები. მეტ საქმეს მეტი საზრუნავი მოსდევს. იგი ნატრობს მცირე სამრევლოს, სადაც მეტი მოცალეობა ექნება, რომ სულის ცხონებაზე იზრუნოს. უბრალო ქოხში იცხოვრებს, მაგრამ ის კი უნდა, რომ ეს ქოხი ლამაზი ბუნების წიაღში იდგეს, არყებიან სერზე, ტბის ახლოს. ჯამაგირს იმდენს იკმარებს, თავის სარჩენად რაც ეყოფა.

ქალი მიხვდა, რომ ამით მას სურდა ჭეშმარიტი ბედნიერების უტყუარი გზა მიენიშნებინა ადამიანებისთვის. კდემამოსილი აღტაცება დაეუფლა მის სულს. არასოდეს შეხვედრია ადამიანს, ესოდენ ნორჩი და სპეტაკი ყოფილიყოს. ყველამ, ყველამ უნდა მიაგოს მას სიყვარული!

მაგრამ უცებ იმ აზრმა გაუელვა, რომ კარლ-არტურის სიტყვები სულაც არ ეთანხმებოდა იმას, რაც მან ამ ცოტა ხნის წინ მოისმინა პასტორის სახლში. ქალმა ამ ეჭვის გაქარწყლება ინდომა. ამიტომაც უთხრა, ეგებ მომესმა, მაგრამ ისე მახსოვს, ამ რამდენიმე დღის წინ პასტორის ოჯახში რომ ვიყავი, თქვენმა საცოლემ თქვა, გიმნაზიის მასწავლებლის ადგილს ეძებსო.

ამის გაგონებაზე კარლ-არტური ფეხზე წამოიჭრა და ბოლ-თის ცემას მოჰყვა პატარა სასტუმრო ოთახში.

შარლოტამ თქვა? დარწმუნებული ხართ, რომ შარლოტამ სწორედ ასე თქვა? ისე გაცხარებით ეკითხებოდა ამას, რომ ქა-ლი მთლად დაფრთხა, მაგრამ მაინც შეჰკადრა მოწიწებით - რამდენადაც მახსოვს, სწორედ ეგრე თქვაო.

კარლ-არტურს სისხლი აუვარდა თავში, სულ უფრო და უფრო ეკიდებოდა ბრაზი.

ქალს ისე შეეშინდა, მზად იყო, ფეხებში ჩავარდნოდა და პა-ტიება ეთხოვა. ფიქრადაც არ მოუვიდოდა, შარლოტას ნათქვამი ასე თუ ეწყინებოდა. რა უნდა ეღონა, ისევ რომ დაებრუნებინა მისი კეთილგანწყობა? როგორ დაემშვიდებინა?

ასეთ ტანჯვაში რომ იყო შეცბუნებული ქალი, სწორედ მაშინ მოესმა ეტლის თვლებისა და ცხენების ფლოქვების ხმა. ჩვეულე-ბამ წასძლია, ფანჯარაში გაიხედა და დაინახა, რომ შაგერსტრი-ომმა ჩაიქროლა მისი სახლის წინ. მაგრამ ისე იყო გართული კარლ-არტურის სტუმრობით, თავი არ გაუცხელებია იმაზე ფიქ-რით, ნეტავი საით მიბრძანდებაო მდიდარი ქარხნის მეპატრო-ნე. კარლ-არტურს კი საერთოდ არც შეუმჩნევია არაფერი. ბრა-ზისგან ცეცხლმოდებული კვლავ ბოლთას სცემდა ოთახში. შემ-დეგ მასპინძელთან მივიდა და ხელი გაუწოდა გამოსამშვიდო-ბებლად. ქალი სასოწარკვეთაში ჩააგდო მისმა აჩქარებამ. ენას ამოიგლეჯდა, რომ სცოდნოდა, ასე ეწყინებოდა მისი ნათქვამი კარლ-არტურს, მაგრამ გვიანღა იყო. ისღა დარჩენოდა, თვითო-ნაც ხელი გაეწოდებინა, გამოსთხოვებოდა და ხმაამოუღებლივ გაეშვა.

გულზე კაეშანი შემოაწვა, სასომიხდილი უცებ ხელზე დაეკო-ნა და აკოცა.

კარლ-არტურმა ხელი წაართვა, ერთ ადგილას გახევდა და გაოგნებული თვალები მიაპყრო.

- მე მხოლოდ პატიების თხოვნა მინდოდა, - ჩაილუღლუღა ქალმა.

ქალის თვალზე ცრემლი რომ შეამჩნია, კარლ-არტურს გული მოულბა და საჭიროდ ჩათვალა, განემარტა თავისი საქციელი:

- წარმოიდგინეთ ასეთი რამ, ფრუ სუნდლერ. ვთქვათ, რაიმე მიზეზის გამო თვალები აიხვიეთ, ირგვლივ ვერაფერს ხედავთ და სხვას მიანდეთ თქვენი მეგზურობა. როგორი განცდა გექნებოდათ, თვალებზე აკრული ხილაბანდი ერთბაშად რომ ჩამოგვარდნოდათ და დაგენახათ, ამ ადამიანს, თქვენს მეგობარს, თქვენს მეგზურს, რომელსაც საკუთარ თავზე მეტად ენდობოდით, უფსკრულის პირას მიუყვანიხართ და ერთი ნაბიჯის გადადგმაც კმარა გადასაჩეხად? განა თქვენს სულს ჯოჯოხეთის ალმური არ მოედებოდა?

ფიცხად, მღელვარედ წარმოთქვა ეს, პასუხსაც არ დაელოდა და კარისკენ გაქანდა.

თეა სუნდლერს ისე მოეჩვენა, თითქოს პარმაღზე გასული უცებ შეჩერდა. რატომ, ეს ქალმა არ იცოდა. იქნებ ის მოაგონდა, რომ ნახევარი საათის წინ ხალისიანად, უდარდელად შემოაღო ამ სახლის კარი, ახლა კი ბოღმით აღსავსე, სასოწარკვეთილი მიდიოდა უკან. ამაზე დიდხანს არ უფიქრია ქალს და მაშინვე გარეთ გავიდა, რათა დარწმუნებულიყო, მართლა პარმაღზე იდგა თუ არა.

როგორც კი გამოდევნებული მასპინძელი დაინახა, კარლ--არტური ისევ ალაპარაკდა. სულიერმა მღელვარებამ ახალი მიმართულება მისცა მის აზრებს და გულით გაიხარა, მსმენელი რომ დაინახა.

- აი, ვუყურებ ამ ვარდებს, რომლებიც თქვენი ეზოს ბილიკის გასწვრივ გაგიშენებიათ, ფრუ სუნდლერ, და ჩემს თავს ვეკითხები, განა შეიძლება იმის უარყოფა, რომ ასეთ ზაფხულს ჯერ არ მოვსწრებივარ. უკვე ივლისი მიიწურა, მაგრამ განა შესანიშნავი არ იყო ზაფხულის წინა თვე? განა მთელი ამ ხნის განმავლობაში გრძელი და ნათელი დღეები არ იდგა, ბევრად უფრო გრძელი და ნათელი, ვიდრე წარსულ წლებში? ჰო, ძლიერი სიცხე კი იყო, მაგრამ დამთრგუნველი მაინც არ ყოფილა, რადგან მეტწილად სიო აგრილებდა ჰაერს. არც მიწას დასტყობია გვალვა, როგორც პაპანაქების დროს იცის ხოლმე ზაფხულში, რადგან თითქმის ყოველ ღამე რამდენიმე საათი წვიმდა. მერე როგორ აყვავდა არემარე! გინახავთ თუ არა ოდესმე ამდენი ფოთოლი ხეებზე? გინახავთ თუ არა ასეთი მშვენიერი ყვავილები? ნამდვილად ვიცი, რომ სხვა დროს არასოდეს ყოფილა მარწყვი ასე ტკბილი, არც ჩიტებს უგალობიათ ასე ხმატკბილად, არც ხალხი დახარბებია აგრერიგად სიამოვნებას, როგორც ამ ზაფხულს.

წამით გაჩუმდა, რომ სული მოეთქვა, თეა სუნდლერი ხმაგაკმენდილი უსმენდა. დედა მოაგონდა, ახლა კი მიხვდა, რას განიცდიდა მალვინა სპააკი, როცა ახალგაზრდა ბარონი ხან სამზარეულოში მიაკითხავდა, ხან საკუჭნაოში და გულს გადაუშლიდა.

ახალგაზრდა პასტორი განაგრძობდა:

- გათენებისას, დილის ხუთ საათზე, ფარდას რომ გადავწევ ხოლმე, ღრუბლისა და ბურუსის მეტს ვერაფერს ვხედავ. წვიმა ფანჯრებს ეშხაპუნება, სახურავის მილიდან მოთქრიალებს, გაწუწული ყვავილები და ბალახი თავჩაქინდრული ქანაობენ. წყლით დამძიმებული ღრუბელი მთელ მიდამოს მოსდებია და ლამის მიწას გაეკრას. „გაფუჭდა ამინდი, - ვეუბნები ჩემს თავს, - მაგრამ იქნებ უკეთესიც იყოს“.

და თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ მთელი დღე იწვიმებს, ფანჯარას არ ვშორდები და მოლოდინში ვარ. ზუსტად ექვსის ხუთ წუთზე წვიმა ნელდება, სახურავის მილიდან ცოტა ხანს კიდევ მოჩქეფს წყალი, მერე ისიც წყდება. ცარგვლის შუაში, იქ, სადაც მზე უნდა იყოს ამ დროს, ღრუბელი იფანტება და სხივთა კონა ნათლის სვეტივით ეშვება ნისლით დაბურულ მიწაზე და იმავე წამს წვიმის ლეგა საბურველი, თვალსაწიერამდე რომ გადაჰფარვია ბორცვებს, მტრედისფერ ნისლად იქცევა. ბალახი ცრემლად ღვრის წვიმის წვეთებს, ყვავილები ნაზად იმართებიან წელში და ყელყელაობენ. ჩვენი პატარა ტბა, რომლის ერთი კიდე ჩემი ფანჯრიდან მოჩანს, აქამდე ყომრალი ფერისა რომ იყო და კუშტად გულამრეზილი, ახლა ისეთ ციმციმს იწყებს, თითქოს ოქროს თევზების მთელი გუნდი შესეოდეს მის ზედაპირს. ასეთი სილამაზით მოხიბლული ფანჯარას ვაღებ, ღრმად ვისუნთქავ ხასხასა, უჩვეულო სურნელებით გაჟღენთილ ჰაერს და ვღაღადებ: ღმერთო მაღალო, რა ლამაზია შენგან შექმნილი სამყარო!

ახალგაზრდა პასტორი დადუმდა, ოდნავ გაიღიმა და ნაზად აიჩეჩა მხრები. ალბათ, იფიქრა, ჩემმა ბოლო ნათქვამმა გააკვირვა თეა სუნდლერიო. ამიტომ მყისვე დასძინა:

- დიახ, სწორედ ეს მინდოდა მეთქვა, - გაიმეორა მან - მეშინოდა, ვაითუ, მშვენიერმა ზაფხულმა დამახარბოს-მეთქი ამქვეყნიურ სიამოვნებას. ბევრჯერ მინატრია, ხვატი ჩამოწოლილიყო, გვალვა დაეჭირა, საშინელი ჭექა-ქუხილი და მეხთა ცვენა ამტყდარიყო; მსურდა, გადაუღებლად ეწვიმა და ყინვიანი ღამეები დამდგარიყო, როგორც ხშირად ყოფილა წინა წლებში.

თეა სუნდლერი ხარბად ისმენდა ყოველ მის სიტყვას. ნეტავ, რა განზრახვა აქვს? რის თქმას აპირებს? ამას ვერ მიხვედრილიყო ქალი, მხოლოდ იმას ნატრობდა, ოღონდ არ გაჩუმდეს, რომ

კიდევ დიდხანს დავტკბე მისი ხმის მუსიკით, მჭევრმეტყველებით, მისი მწყაზარი სახის გამომეტყველებითო.

- თუ ხვდებით ჩემს გულის ზრახვას? - წამოიძახა კარლ-- არტურმა, - მაგრამ არა, ბუნებას, ჩანს, არავითარი ძალა არა აქვს თქვენზე. იგი არ გესაუბრებათ იდუმალი და მბრძანებლური ენით. იგი არასოდეს გეკითხებათ, რატომ მადლიერებით არ იღებთ მის ხვავრიელ ნაწყალობებს, რატომ არ ეწაფებით ბედნიერებას, რომელიც თქვენს ხელთაა, რატომ არ გაიჩენთ საკუთარ კერას და არ დაუწყვილდებით თქვენს გამორჩეულს, როგორც სჩადის ამას ყველა სულიერი არსება ამ მადლიან ზაფხულში.

ქუდი მოიხადა და თმაზე ხელი გადაისვა.

- ამ განსაცვიფრებელმა ზაფხულმა პირი შეკრა შარლოტასთან, - განაგრძო მან, - საყოველთაო აღტყინებამ, ნეტარებამ მეც დამათრო და გამაბრუა. ბრმასავით დავბორიალებდი. შარლოტა ხედავდა, როგორ იზრდებოდა ჩემი სიყვარული, ჩემი ტანჯვა, მასთან შეერთების სურვილი.

ეჰ, თქვენ რა იცით... ყოველ ცისმარე დღეს დილის ექვსი საათი შესრულდება თუ არა, ჩემი ფლიგელიდან გამოვდივარ და პასტორის სახლში მივეშურები ყავის დასალევად. ვრცელ, ნათელ სასტუმრო ოთახში, რომლის ღია ფანჯრებიდან ნაკადად მოედინება სუფთა დილის ჰაერი, შარლოტა მეგებება. ხალისიან გუნებაზეა და ჩიტივით ჟღურტულებს. მარტონი შევექცევით ყავას; არც პასტორია ამ დროს ჩვენთან, არც მისი ცოლი.

იქნებ ფიქრობთ, რომ შარლოტა სარგებლობს შემთხვევით და ჩვენს მომავალზე მელაპარაკება? სულაც არა, მესაუბრება ჩემი სამრევლოს ავადმყოფებზე, ღარიბ-ღატაკებზე, ჩემს ქადაგებაში გამოთქმულ აზრებზე, რომლებიც განსაკუთრებით მოეწონა. ამ დროს იგი სწორედ ისეთია, როგორიც წარმომიდ-

გენია ღვთისმსახურის მეუღლე. მხოლოდ ხანდახან, ისიც ხუმრობით, თითქოსდა სასხვათაშორისოდ, ჩამოაგდებს სიტყვას მასწავლებლობაზე. დღითი დღე სულ უფრო და უფრო ძვირფასი ხდება იგი ჩემთვის. და როცა მერე ჩემს საწერ მაგიდას ვუბრუნდები, მუშაობა აღარ ძალმიძს, შარლოტაზე ვოცნებობ. წეღან უკვე გითხარით, როგორ ცხოვრებას ვაპირებ. ახლა ისა მაქვს საოცნებო, ჩემი სიყვარულის დახმარებით შარლოტამ მიწიერი ხუნდებისგან თავი გაითავისუფლოს და ღარიბულ ქოხში გამომყვეს.

მისი გულისნადები რომ მოისმინა, თეა სუნდლერმა უნებურად წამოიკივლა.

- დიახ, თქვენ მართალი ბრძანდებით, - უთხრა კარლ--არტურმა, - ბრმა ვიყავი. შარლოტამ უფსკრულის პირას მიმიყვანა. ჩემს წუთიერ სისუსტეს ელოდებოდა, რათა გამოეტყუებინა დაპირება, რომ მასწავლებლის ადგილს დავიჭერდი. იგი ხედავდა, როგორ მიბიძგებდა უზრუნველობისკენ ზაფხულის ნეტარება. იმდენად დარწმუნებული იყო, რომ თქვენც და საერთოდ ყველას ამცნო, თითქოს ცხოვრების სარბიელის გამოცვლა გადამეწყვიტოს, მაგრამ უფალმა დამიფარა.

ეს თქვა და ნაბიჯი გადადგა წინ, თეა სუნდლერს მიუახლოვდა. ჩანს, სახეზე შეატყო, რომ იგი ხარბად ისრუტავდა ყოველ მის სიტყვას, თვრებოდა მისი ლაპარაკით, აღტაცებული იყო, ბედნიერებას განიცდიდა. და, ალბათ, იმის გაფიქრებამ, რომ მისი ტანჯვით ნასაზრდოები მჭევრმეტყველება სიხარულს ჰგვრიდა ქალს, მოთმინებიდან გამოიყვანა კარლ-არტური.

- მაგრამ არ იფიქროთ, თითქოს მადლობელი ვიყო იმისთვის, რაც მითხარით! - წამოიძახა მან.

თეა სუნდლერი შეძრწუნდა ამ საშინელი სიტყვების გაგონებაზე, კარლ-არტურმა კი ხელები მომუჭა და მუშტები ცხვირწინ დაუტრიალა.

- სულაც არა ვარ თქვენი მადლობელი, თვალებიდან ხილაბანდი რომ ჩამომხსენით. მძულხართ იმიტომ, რომ უფსკრულში გადაჩეხის საშუალება არ მომეცით. თვალით აღარ დამენახვოთ!

ზურგი შეაქცია და ლამაზი ვარდებით მორთულ ბილიკს სირბილით გაჰყვა სოფლის შარაგზისკენ. თეა სუნდლერი კი სასტუმრო ოთახში შებრუნდა, დარდისგან გულმოკლული იატაკზე დაემხო და მწარედ აქვითინდა.

პასტორის ბაღში

ისეთივე ჩქარი ნაბიჯით თუ ივლიდით, როგორითაც კარლ-არტური მიდიოდა ახლა, სულ ხუთი წუთი მოუნდებოდით სოფლიდან პასტორის კარ-მიდამომდე მისვლას. მაგრამ ამ ხუთი წუთის განმავლობაში კარლ-არტურს ბევრისბევრი პირუთვნელი და კეთილგონივრული სიტყვა მოუზღვავდა საცოლისთვის სათქმელად.

- დიახ, დიახ! - ბუტბუტებდა იგი, - ჟამმა დარეკა! ვეღარაფერი შემაჩერებს. დღეს ყოველივე უნდა გაირკვეს ჩვენ შორის. მან უნდა შეიგნოს, რომ რანაირადაც უნდა მიყვარდეს, ვერა ძალა ვერ მაიძულებს დავეწაფო ამქვეყნიურ კეთილდღეობას, რომლისკენაც თვითონ მიილტვის. მე ღმერთს უნდა ვემსახურო, სხვა არჩევანი არა მაქვს. უმალ გულიდან ამოვიგლეჯ ამ ქალს, ვიდრე ჩემს გზას გადავუხვევ.

რაკი მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო, გული სიამაყით აევსო. დარწმუნებული იყო, რომ დღეს, ისე როგორც არასოდეს, თვინიერ დაჰყვნენ მის ნებას სიტყვანი, რომელთაც იავარქმნის ძალაც შესწევდათ, გულის აჩუყებისაც, დამაჯერებლობისაც. მძაფრმა მღელვარებამ შეძრა მთელი მისი არსება და მის სულში განიხვნა დახშულნი ბჭენი საუნჯისანი, რომლის არსებობა აქამომდე არც თვითონ იცოდა. ამ საუნჯის კედლები დახუნძლულნი იყვნენ მტევნებითა და აყვავებული შტოებით. ეს მტევნები და შტოები იყვნენ სიტყვები - კეთილშობილნი, ამაღელვებელნი და სრულყოფილნი. ისღა დარჩენოდა, შესულიყო ამ საუნჯეში და

დაესაკუთრებინა. ეს ყველაფერი მისი იყო! და მერე რა სიმდიდრე იყო ეს! გაუგონარი სიმდიდრე!

ხმამაღლა გაეცინა. ადრე დიდი წვალებით თხზავდა ხოლმე ქადაგებას, ვაი-ვაგლახით პოულობდა შესაფერ სიტყვებს. მის სულში კი მთელი განძი ყოფილა დამალული!

რაც შეეხება შარლოტას, ამიერიდან სრულიად სხვაგვარად მოექცევა. სიმართლეს თუ იტყვის კაცი, აქამდე ქალი ცდილობდა, თვითონ ყოფილიყო მეტივე და წინამძღოლი. დღეის იქით კი ყოველივე შეიცვლება - იტყვის კარლ-არტური, დაიჯერებს შარლოტა; წარუძღვება კარლ-არტური, გაჰყვება შარლოტა. დღეის იქით შარლოტა ისეთივე მოწიწებული მსმენელი იქნება ყოველი მისი სიტყვისა, როგორც ეს საბრალო ქალი, ორგანისტის ცოლი.

ბრძოლა მოელის, მაგრამ ვერა ძალა ვერ დაახევინებს უკან.

- უმალ გულიდან ამოვიგლეჯ! - გაიმეორა მან, - ამოვიგლეჯ გულიდან!

პასტორის სახლ-კარს მიახლოებულმა დაინახა, რომ ჭიშკარი გაიღო და ოთხ შავრაცხენშებმული ელეგანტური ეკიპაჟი გამოგრიალდა ეზოდან. მიხვდა, ქარხნის მეპატრონე შაგერსტრიომი პასტორთან ყოფილიყო. და მაშინვე ის სიტყვები გაახსენდა, ზაფხულის პირას ერთ საღამოს რომ წამოსცდა შარლოტას. ანაზდად აზრმა გაუელვა, შაგერსტრიომი პასტორთან იქნებ ჩემი საცოლის ხელის სათხოვნელად იყოო.

თითქოს უგუნური იყო ეს აზრი, მაგრამ გული მაინც საშინლად შეეკუმშა, რატომ გადმოხედა ასე უცნაურად მდიდარმა ქარხნის მეპატრონემ, როცა მისმა ეკიპაჟმა შარაგზაზე გადაუხვია? განა ამ გამოხედვაში ირონიული ცნობისმოყვარეობა და ცოტაოდენი თანაგრძნობაც არ გამოსჭვიოდა?

სათუო აღარაფერი იყო. იგი მისახვედრს მიხვდა, მაგრამ მეტისმეტად მძიმე იყო ეს ელდა. გული გაუჩერდა, თვალთ დაუბნელდა, ძლივს მილასლასდა ჭიშკრამდე.

ცხადია, შარლოტამ თანხმობა უთხრა ქარხნის მეპატრონეს. კარლ-არტური დაკარგავს ამ ქალს და მოკვდება სასოწარკვეთისგან.

უბედურებისგან თავზარდაცემულმა უცებ შარლოტა დაინახა. იგი სახლიდან გამოვიდა და ჩქარი ნაბიჯით მისკენ გამოეშურა. კარლ-არტურმა დაინახა მისი შეფაკლული ღაწვები, გაბრწყინებული თვალები, მოზეიმე ღიმილი, ბაგეზე რომ დასთამაშებდა. იგი მოდიოდა მისკენ, რათა ეთქვა, რომ ცოლად მიჰყვება კორსჩურკის ყველაზე მდიდარ კაცს.

ო, რა უსირცხვილობაა! კარლ-არტურმა ფეხი მიწას დაჰკრა და მუშტები შეკრა.

- არ მომეკარო! - დაუყვირა მან.

ქალი გაჩერდა. თავს იკატუნებს თუ მართლა გაკვირვებულია?

- რა დაგემართა? - მშვიდად ჰკითხა.

კარლ-არტურმა მთელი ძალა მოიკრიბა და იყვირა:

- სხვაზე უკეთ შენ უნდა იცოდე. რისთვის იყო აქ შაგერსტრიომი?

როდესაც შარლოტამ შეიტყო, რომ კარლ-არტური მიხვდა ქარხნის მეპატრონის ვიზიტის მიზეზს, სწრაფად მიიჭრა მასთან და ხელი შემართა ლოყაში გასარტყმელად.

- მაშასადამე, შენც იმას ფიქრობ, რომ სიმდიდრის გულისთვის შემიძლია სიტყვა გავტეხო?

შემდეგ ზიზღით შეხედა, ზურგი შეაქცია და გაშორდა.

შარლოტას ნათქვამიდან მხოლოდ ის გაიგო კარლ--არტურმა, რომ ყველაზე საშინელი ეჭვი არ გაუმართლდა. გული ისევ საგულეში ჩაუდგა, ღონეც მიეცა და უკან დაედევნა.

- ჰო, მაგრამ მაინც ხომ გთხოვა ხელი? - ჰკითხა მან.

ქალმა პასუხი არ აღირსა. ყელი მოიღერა, ამაყად გაიმართა მხრებში და გზა განაგრძო, მაგრამ სახლისკენ კი არ გაეშურა, ხშირი ბუჩქნარის უკან ვიწრო ბილიკზე გავიდა, ბაღის სიღრმისკენ რომ მიემართებოდა.

კარლ-არტური მიხვდა, შარლოტას უფლება ჰქონდა, შეურაცხყოფილად ეგრძნო თავი. რადგან შაგერსტრიომს უარი უთხრა, მისი საქციელი საქებარი იყო, ამიტომაც ახლა თავის მართლებას მოჰყვა:

- ნეტავ გენახა, რა ყოფით ჩამიარა გვერდზე. სულაც არ ჰგავდა უარით გამოსტუმრებულ გაწბილებულ სასიძოს.

შარლოტამ უფრო ამაყად მოიღერა ყელი და ნაბიჯს აუჩქარა. პასუხი არ გაუცია, უსიტყვოდაც ნათელი იყო მისი სათქმელი: „არ მომეკარო, მარტო ყოფნა მწადიაო“.

მაგრამ ვაჟი ხვდებოდა მის ერთგულებას, თავდადებას და ფეხდაფეხ მისდევდა უკან.

- შარლოტა! - მიმართა, - საყვარელო შარლოტა!

ქალმა ყურადღება არ მიაქცია მის სიტყვებს. ბაღის სიღრმეში შევიდა, უკან ჩამოიტოვა ვაჟი.

ოჰ, ეს ბაღი! უკეთეს ადგილს ვერ აარჩევდა შარლოტა. ეს ბაღი ხომ ძვირფასი მოგონებებით იყო აღსავსე, ორივესთვის ძვირფასი მოგონებებით.

ძველებურ ფრანგულ ყაიდაზე იყო იგი გაშენებული, გადაჯვარედინებულ ბილიკებს ორივე მხარეს კაცის სიმაღლე იასამნის აყვავებული ბუჩქები გასდევდა. ალაგ-ალაგ თითქოს გამოხშირული იყო ბარდები და თუ აქ გადაუხვევდით ბილიკიდან, ან

მომცრო, მყუდრო ტალავერი დაგხვდებოდათ, სადაც მიწით კოხტა ჩამოსაჯდომი გაემართათ, ან კიდევ ლამაზად გაკრეჭილი პატარა მდელო, სადაც ეული ვარდის ბუჩქი ყვაოდა. დიდი არ ეთქმოდა ამ ბაღს, ეგებ არც განსაკუთრებულად ლამაზი იყო, მაგრამ უკეთეს თავშესაფარს ვერ იპოვიდა განმარტოების მსურველი ადამიანი.

კარლ-არტური მიჰყვებოდა შარლოტას, შარლოტა კი უკანმოუხედავად მიდიოდა წინ. ორივეს მოგონებები აეშალა იმ ბედნიერ წუთებზე, რომლებიც აქ გაეტარებინათ; როცა ქალი ვაჟის გულის სწორი იყო, იმ ბედნიერ წუთებზე, რომლებიც იქნებ აღარასოდეს განმეორდებოდა.

- შარლოტა! - ტანჯვით აღმოხდა ვაჟს.

ამ ხმას კი მართლაც უსმინა ქალმა. არ შემობრუნებულა, მაგრამ მის სხეულს თვინიერება დაეტყო. ბოლოს შეჩერდა და თავი ოდნავ მოაბრუნა კარლ-არტურისკენ.

ვაჟი იმავ წამს მიეახლა, გულში ჩაიკრა და აკოცა.

მერე ტალავერში შეიყვანა, მუხლი მოიყარა მის წინ და გრძნობამორეული, აღტაცებული ალაპარაკდა შარლოტას ერთგულებაზე, სიყვარულზე, გამბედაობაზე.

შარლოტა თითქოს განცვიფრებული იყო მისი მგზნებარებით. უნდობლად უსმენდა, კარლ-არტურმაც იცოდა ამ განცვიფრების მიზეზი. საერთოდ მეტისმეტად თავშეკავებულად ექცეოდა ქალს, რომელიც მისი რწმენით, ამქვეყნიურ ლხენასა და ცდუნებას განასახიერებდა, ცდუნებას კი უნდა არიდებოდა.

მაგრამ ამ ბედნიერ დროს, როდესაც შეიტყო, რომ ქალმა გაუძლო ძლიერ ცდუნებას და მისი გულისთვის დათმო აურაცხელი სიმდიდრე, თავშეკავება ზედმეტი იყო. ქალი უამბობდა ხელის სათხოვნელად შაგერსტრიომის მოსვლის ამბავს, კარლ--

არტურს კი სულაც აღარ აინტერესებდა, ხშირ-ხშირად აწყვეტინებდა ლაპარაკს კოცნით.

და როცა შარლოტამ სათქმელი დაამთავრა, ვაჟმა ისევ დაუწყო კოცნა. მერე გადაეხვივნენ ერთმანეთს და კარგა ხანს ისხდნენ მდუმარედ.

სად გაქრა ზვიადი და პირუთვნელი სიტყვები, რომლებიც კარლ-არტურს შარლოტასთვის უნდა ეთქვა? ქარს გაჰყვა, უკვალოდ გადაიკარგა. აღარ იყო საჭირო. უკვე იცოდა კარლ--არტურმა, რომ სატრფოს დაკარგვის შიში აღარ უნდა ჰქონოდა. აურაცხელი სიმდიდრე უარყო შარლოტამ და ამით ერთგულება დაუმტკიცა!

ვაჟის მკერდზე მისვენებულ ქალს ნაზი ღიმილი დასთამაშებდა ბაგეებზე. ბედნიერება, ჯერ არგანცდილი ბედნიერება ეხატა სახეზე. რაზე ფიქრობდა? იქნებ იმას ეუბნებოდა თავის თავს, ამ სიყვარულის მეტი არაფერი მინდაო; იქნებ სულაც აღარ ახსოვდა გიმნაზიის მასწავლებლის ადგილი, რამაც ლამის ერთმანეთს დააშორა ისინი.

გაჩუმებული იყო ქალი, მაგრამ ვაჟს თითქოს ესმოდა მისი ფიქრები: „დროა შევერთდეთ! სულაც არავითარ პირობას არ გიყენებ; გარდა შენი სიყვარულისა, არაფერი მინდა ამქვეყნად“.

მაგრამ ნუთუ დიდსულოვნებით ქალმა უნდა აჯობოს? არა, აი, ახლა უდიდეს სიხარულს მიანიჭებს. აი, ახლა ჩაუჩურჩულებს, რომ რადგან ჩასწვდა მის სულს, გადაწყვეტილებაც მიიღო. შეეცდება, გვარიანად მოიწყონ ცხოვრება, უზრუნველყოფილი იყვნენ.

ო, რა ნეტარია ეს დუმილი! ნეტავ თუ გაიგონა ქალმა, რაც ვაჟმა გულში თქვა? ნეტავ თუ გაიგონა, რას დაჰპირდა ახლა მას?

თავს ძალა დაატანა, რომ ფიქრი სიტყვებად აეხმიანებინა:

- ეჰ, შარლოტა, - დაიწყო მან, - შევძლებ თუ არა, ოდესმე მაინც მოგაგო იმის სანაცვლო, რაც შენ დღეს ჩემი გულისთვის უარყავი.

ქალს თავი მის მხარზე ედო და ვაჟი მის სახეს ვერ ხედავდა.

- ჩემო კეთილო მეგობარო, - მოესმა პასუხი, - სულაც არაფერი მაფიქრებს. დარწმუნებული ვარ, სრულად ამინაზღაურებ ამას.

„ამინაზღაურებ?“ ნეტავ რა იგულისხმება ამ სიტყვაში? ეგებ იმის თქმა უნდოდა, რომ სიყვარულის მეტი არაფერი ეწადა? ან იქნებ სხვა რამ ჰქონდა გულში? რატომ გაეყინა მზერა? რატომ არ უსწორებს თვალს? ნუთუ ისე უღირსად მიაჩნია თავისი საქმრო, რომ კიდევ რაღაც საზღაურს მოითხოვს ერთგულების წილ? ბოლოს და ბოლოს იგი პასტორია, ფილოსოფიის დოქტორი, ღირსეული მშობლების შვილი. სულ იმას ცდილობს, აღასრულოს თავისი ვალი, უმწიკვლოდ იცხოვროს, სახელსაც ხომ იხვეჭს უკვე თავისი ქადაგებებით. ნუთუ შაგერსტრიომისთვის უარის თქმა მართლაც უდიდეს მსხვერპლად მიაჩნია?

ო, არა, შარლოტას, ალბათ, ფიქრადაც არ გაუვლია ასეთი რამ. გაცხარება არ ეგების, მშვიდად, აუღელვებლად უნდა გამოჰკითხოს და ასე შეიტყოს მისი ნააზრევი.

- რა ანაზღაურებაზე მელაპარაკები? მე ხომ არაფერი მაბადია.

ქალი კიდევ უფრო მაგრად ჩაეკონა ვაჟს და ჩასჩურჩულა:

- მეტისმეტად იმდაბლებ თავს, ჩემო მეგობარო. ხომ შეგიძლია ტაძრის წინამძღვარი გახდე, ეპისკოპოსიც კი.

კარლ-არტური გველნაკბენივით უკუიქცა, ლამის ძირს დასცა ქალი.

- მაშასადამე, შენ მხოლოდ მაგიტომ უთხარი უარი შაგერსტრიომს? იმედი გაქვს, რომ ტაძრის წინამძღვარი ან იქნებ ეპისკოპოსიც კი გავხდე, არა?

შარლოტამ გაოგნებული მზერა მიაპყრო ვაჟს, ზმანებისგან გამოფხიზლებულს ჰგავდა. დიახ, მართლაც ბურანში იყო და თავისი ყველაზე სანუკვარი გულისნადები წამოროშა. ქალი დუმს. ნუთუ ფიქრობს, რომ ეს შეკითხვა შეიძლება უპასუხოდ დარჩეს?

- მე შენ გეკითხები: მაგიტომ უთხარი უარი შაგერსტრიომს? იმედი გაქვს, რომ ტაძრის წინამძღვარი ან იქნებ ეპისკოპოსიც გავხდები, არა?

ახლა კი მთლად წამოენთო ქალი. აჰა, ლიოვენშოლდების სისხლი აუჩქეფდა! თუმცა, პასუხი არც ახლა აღირსა.

მაგრამ ვაჟი უპასუხოდ ვერ დარჩებოდა. პასუხი უნდა მიეღო!

- რაო, არ გესმის? მე შენ გეკითხები: იმიტომ უთხარი უარი შაგერსტრიომს, რომ გგონია ტაძრის წინამძღვარი ან ეპისკოპოსი გავხდები?

ქალმა ამაყად ასწია თავი, თვალები აენთო და ზიზღით აღსავსე ხმით მიუგდო:

- რასაკვირველია.

კარლ-არტური წამოხტა. ამ ქალის გვერდით ჯდომა აღარ ძალუძდა. მისმა პასუხმა აუტანელი ტკივილი მიაყენა, მაგრამ თავი შეიკავა, არ უნდოდა, ეს შეემჩნია ამ უღირს ქალს. მერე რომ სანანებელი არ ჰქონოდა ასეთი სიფიცხე, კიდევ ერთხელ მოუხმო სიმშვიდეს და სცადა, დინჯად და ტკბილად გასაუბრებოდა ამ გზააცდენილ არსებას.

- ძვირფასო შარლოტა, უსაზღვროდ გიმადლი შენს პირდაპირობას. ახლა კი მივხვდი, მაღალ საზოგადოებაში გასვლა ყოფილა შენი უპირველესი ოცნება და თურმე გულთან არ გეკარება

უცოდველი ცხოვრება, არ გსურს მისდიო კვალს ჩვენი მოძღვრისა იესოსი.

მშვიდად, მეგობრულად ესაუბრებოდა და თან დაძაბული ელოდა პასუხს.

- საყვარელო კარლ-არტურ, მგონი, შემწევს იმის უნარი, რომ ღირსეულად დაგაფასო, თუმცა, ჩვენი სამრევლოს ზოგიერთი ქალივით მუხლებზე არ ვეცემი შენ წინაშე.

აშკარად მკვახე პასუხად მოეჩვენა შარლოტას ეს სიტყვები კარლ-არტურს. გაბრაზების დამალვა აღარ ძალუძდა.

შარლოტა ადგა და წასვლა დააპირა, მაგრამ იგი ხელში წაეტანა და გააჩერა. ეს ლაპარაკი აუცილებლად ახლა უნდა დაბოლოებულიყო.

შარლოტამ რომ სამრევლოს ქალები ახსენა, კარლ-არტურს ფრუ სუნდლერი მოაგონდა. გაახსენდა მისი ნაამბობი და ხელახლა გაცხარდა. ისეთი ბრაზი მოერია, მთელი გულ-მუცელი აეწვა.

მღელვარებისგან მის სულში კვლავ განიხვნა საუნჯეთა დახშული კარი, სადაც მგზნებარე, დამაჯერებელი სიტყვები მტევნებად დახუნძლულიყვნენ.

და იგი ალაპარაკდა, ალაპარაკდა გზნებით, მჭევრმეტყველურად. ბრალს სდებდა ქალს ამქვეყნიური ლხენისაკენ ლტოლვაში, გულზვიადობაში, პატივმოყვარეობაში.

მაგრამ შარლოტა აღარ უსმენდა.

- რაოდენ ცუდიც უნდა ვიყო, - ნაზად შეეპასუხა იგი, - უარი ხომ ვუთხარი დღეს შაგერსტრიომს.

ქალის ურიდმა ნათქვამმა მთლად შეაძრწუნა კარლ-არტური.

- ღმერთო, რანაირი ქალი ხარ! - წამოიძახა მან, - ამწუთას არა თქვი, თითქოს მხოლოდ იმიტომ უარყავი შაგერსტრიომი,

რომ ეპისკოპოსის ცოლობა არჩიე ქარხნის პატრონის მეუღლეობას?

ამ დროს შინაგანი მანუგეშებელი ხმა ჩაესმა კარლ-არტურს. ეს ხმა მოუწოდებდა, ფხიზლად ყოფილიყო. განა კარლ--არტურმა არ იცის, რომ შარლოტას თავის მართლება არ სჩვევია? იგი არასოდეს შეეცდება, აზრი შეაცვლევინოს მასზე აუგის გამფიქრებელს.

მაგრამ კარლ-არტურმა განაგდო ეს მანუგეშებელი ხმა. არ ირწმუნა ამ ხმისა. შარლოტას ყოველი სიტყვა თითქოს უფრო და უფრო ავლენდა მის სულმდაბლობას. ერთი ყური დაუგდეთ, რაებს ამბობს!

- საყვარელო კარლ-არტურ, გულთან ნუ მიიტან ჩემს ნათქვამს, თითქოს მართლაც დიდი მომავალი გელოდეს. ეს მხოლოდ ხუმრობით გითხარი. მე, რა თქმა უნდა, სულაც არ მჯერა, რომ შენ შეგიძლია ტაძრის წინამძღვრად ან ეპისკოპოსად გახდომა.

კარლ-არტური უკვე გვარიანად იყო შეურაცხყოფილი და გაგულისებული, ქალის ამ ახალმა კადნიერებამ კი საბოლოოდ ჩაუხშო ეს მანუგეშებელი ხმა.

მოწოლილი სისხლისგან ყურები უშუოდა, ხელები უკანკალებდა. ამ უბედურმა ქალმა მთლად დააკარგვინა თავშეკავება, სიშლეგემდე მიიყვანა.

ის გრძნობდა, რომ ქანქარასავით დახტოდა აქეთ-იქით. იმასაც გრძნობდა, რომ ყბა უკანკალებდა, ხელებს იქნევდა, მაგრამ არ ცდილობდა, რომ დამშვიდებულიყო. ენით აუწერელი ზიზღი ჰქონდა გულში შარლოტასადმი. სიტყვა უძლური იყო ამ ზიზღის გამოსახატავად. ეს ზიზღი მოძრაობითაც უნდა გამოემჟღავნებინა.

- ახლა მთლად ცხადად დავინახე შენი სულმდაბლობა! - წამოიძახა ბოლოს, - ახლა კი გიცანი, რაც ყოფილხარ. არასოდეს, არასოდეს შევირთავ შენნაირ ქალს! ეს ჩემი დაღუპვა იქნებოდა.

- ცოტა ხომ მაინც გამოგადექი, - უთხრა ქალმა, - განა ჩემი მადლობელი არ უნდა იყო, მაგისტრი რომ გახდი?

იმ წუთიდან მოყოლებული, რაც ეს წარმოთქვა შარლოტამ, კარლ-არტური მიხვდა, რომ უკვე უნებურად პასუხობდა. განა არ იცოდა, რასაც ლაპარაკობდა, განა გულში სხვა რამ ჰქონდა და სხვას ამბობდა, მაგრამ ისე სხაპასხუპით, ნაუცბადევად ისროდა ამ სიტყვებს, თითქოს სხვა ვიღაც ჩქარობსო ამ სათქმელით გულის მოოხებას.

- აი, თურმე რაში ყოფილა საქმე! - წამოიძახა მან, - ახლა გინდა ისიც დამაყვედრო, რომ ხუთი წელიწადი მელოდი, და, მაშასადამე, ვალდებული ვარ, ცოლად შეგირთო! მაგრამ ეს არ გიშველის. მე მხოლოდ იმას შევირთავ, ვისაც ღმერთი ამომირჩევს.

- ღმერთს ნუ ახსენებ! - წარმოთქვა ქალმა.

კარლ-არტურმა თავი უკან გადასწია და ცას მიაპყრო მზერა, თითქოს იქ უნდოდა პასუხის ამოკითხვა.

- დიახ, დიახ, დაე ღმერთმა ამომირჩიოს საცოლე. პირველივე გაუთხოვარი ქალი, რომელსაც გზაზე შევხვდები, ჩემი ცოლი გახდება!

შარლოტამ იკივლა და კარლ-არტურს მივარდა.

- მომისმინე, მომისმინე! - შესძახა ქალმა და მკლავზე წაეტანა.

- განვედ ჩემგან! - შეუყვირა კარლ-არტურმა.

შარლოტამ ჯერ კიდევ არ იცოდა, რა საშინელი ბოღმა უტრიალებდა კაცს გულში და მინდობით მოეხვია.

უცებ კარლ-არტურმა მკერდიდან აღმომხდარი ზიზღით აღსავსე ღრიალი გაიგონა. მკლავებში ხელი ჩაავლო ქალს და ჩამოსაჯდომზე მიაგდო.

მერე შეტრიალდა, უკან მოუხედავად გაიქცა და თვალს მიეფარა.

დალეკარლიელი ქალიშვილი

როდესაც კარლ-არტურმა პასტორის სახლ-კარი კორსჩურკა-ში პირველად ნახა, გაიფიქრა, სწორედ ასეთი უნდა იყოსო შვე-დი ღვთისმსახურის კარ-მიდამო. პასტორი შარაგზის პირას ცხოვრობდა. ეზოს ირგვლივ მაღალი ცაცხვები ერტყა და მწვანე მესრით იყო შემოღობილი, ალაყაფი ვეებერთელა ბოძებს ეკა-ვა, პატარა ჭიშკრის თეთრად შეღებილ რიკულებს შორის მოჩან-და ეზოს შუაგულში წრიულად გაშენებული ყვავილნარი, ბილი-კებზე ხრეში იყო მოყრილი. ორსართულიანი მოგრძო წითელი სახლი ფასადით გზისკენ იდგა. ორივე მხარეს ერთნაირი ფლი-გელები ჰქონდა მიშენებული, მარჯვნივ პასტორ-ადიუნქტისა, მარცხნივ - მოიჯარისა.

და იმ დღიდან მოყოლებული, ყოველთვის, როცა კი კარლ-- არტური თვალს მოავლებდა ახალგადაკრეჭილ გაზონებს, სი-მეტრიულ რიგებად გამწკრივებულ, სათუთად მოვლილ ყვავი-ლებს, საგულდაგულოდ დაგვილ ბილიკებს, დაბალ პარმაღზე შემოხვეულ ველურ ვაზს, ფანჯრებზე ჩამოფარებულ, ლამაზი ნაოჭებით ჩამოკეცილ გრძელ ფარდებს, ყოველივე ეს მუდამ ღირსეული კეთილდღეობის შთაბეჭდილებას ახდენდა მასზე. კარლ-არტურს სჯეროდა, ყველა, ვინც კი ასეთ კარ-მიდამოში ცხოვრობდა, აუცილებლად გონიერი და დარბაისელი უნდა ყო-ფილიყო.

ადრე აზრადაც არ მოუვიდოდა, თუ დადგებოდა დრო, რომ კარლ-არტურ ეკენსტედი, გვერდზე მოქცეული ქუდით, ხელების სასაცილო ქნევითა და ყვირილ-ყვირილით ოდესმე გაქანდებო-და ჭიშკრისკენ. გაიხურა თუ არა პატარა ჭიშკარი, უაზრო ხარხა-

რი აუტყდა. ისე მოეჩვენა, თითქოს ეს სახლიცა და ყვავილნარიც გაკვირვებით ადევნებდნენ თვალს.

„ასეთი რამ გინახავთ? რა უცნაური ყმაწვილია?“ - ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ ყვავილები.

უკვირდათ ხეებს, უკვირდათ გაკრეჭილ გაზონებს, მთელი კარ-მიდამო განცვიფრებული იყო. კარლ-არტურს თითქოს ესმოდა კიდეც, ხმამაღლა როგორ გამოხატავდნენ გაოცებას.

ვინ დაიჯერებს, რომ იგი, ვაჟიშვილი პოლკოვნიკის ცოლის, მომხიბლავი ბეატა ეკენსტედის, ვერმლანდის ყველაზე განათლებული ქალისა, რომელიც თვით ფრუ ლენგრენსაც არ ჩამოუვარდება სახუმარო ლექსების შეთხზვაში, ისე გამორბოდა პასტორის ბაღიდან, თითქოს იქ ბოროტებისა და ბიწიერების ბუდე ყოფილიყოს.

ვინ დაიჯერებს, რომ ეს ჩუმი, ზნეკეთილი ჭაბუკი, პასტორ--ადიუნქტი, რომელიც ენაწყლიანად ქადაგებს ეკლესიაში, ლოყებაფორეჯებული და სახედაღმეჭილი გამოვარდა პასტორის ეზოდან.

პასტორის კარ-მიდამო კორსჩურკაში ხომ კეთილმოაზროვნე და ღირსეულ ღვთისმოსავთა თაობების მომსწრეა. ჰოდა, ვინ დაიჯერებს, რომ აქაური ღვთისმსახური ჭიშკართან იდგა და მტკიცედ გადაეწყვიტა, აი, ახლა, შარაზე გავალ და პირველსავე შემხვედრ გაუთხოვარ ქალს დავეწინდებიო.

ვინ დაიჯერებს, რომ სათუთად აღზრდილი, კეთილშობილთა წრეში ნანებივრები ჭაბუკი ეკენსტედი მზად იყო, ცოლად შეერთო, ცხოვრების მუდმივ თანამგზავრად გაეხადა პირველივე შემხვედრი ქალი.

იცის თუ არა, რომ შესაძლოა ეს ქალი ჭორიკანა იყოს ან უქნარა, უტვინო, შტერი ან წუწურაქი, ფეთხუმი ან აბეზარი?

გრძნობს თუ არა, რომ თავის ცხოვრებაში პირველად დაადგა ესოდენ სახიფათო გზას?

კარლ-არტური რამდენიმე წუთს ჭიშკართან იდგა და ყურს უგდებდა განცვიფრების მოუბნე შრიალს, ხიდან ხეს, ყვავილიდან ყვავილს რომ გადაეცემოდა.

დიახაც იცოდა, სახიფათო იყო ეს გზა, იცოდა, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამას, მაგრამ ისიც იცოდა, რომ ამ წარმტაც ზაფხულს მიწიერი ცხოვრება შეიყვარა უმეტეს ღვთისა. იცოდა, რომ შარლოტა ლიოვენშოლდთან ცხოვრება დამღუპველი იქნებოდა მისი სულისთვის. ამიტომაც უნდოდა ისეთი კედლით გამიჯნულიყო ქალისგან, რომლის დაქცევასაც ვერასოდეს შეძლებდა.

და მან იგრძნო, რომ იმ წუთს, როცა გულიდან ამოიგდო შარლოტასადმი სიყვარული, მისი გულის კარი კვლავ განიხვნა ღვთისადმი სიყვარულისთვის. მას სურდა დაემტკიცებინა მაცხოვრისთვის, რომ ღვთის სიყვარულზე უმაღლესი არაფერი არსებობდა მისთვის და რომ უსაზღვრო სასოებით იყო მისდამი გამსჭვალული. ამიტომაც უნდოდა, ქრისტეს თვითონ ამოერჩია მისთვის საცოლე. მას უნდოდა დაემტკიცებინა, რა უსაზღვრო ნდობით შესცქეროდა ღმერთს.

ჭიშკართან იდგა, გზას გასცქეროდა და შიში არ ეკარებოდა მის გულს, მაგრამ ის კი იცოდა, ამწუთას ისეთ გმირობას იჩენდა, უმეტეს ამისა საერთოდ რომ არც კი ძალუძს ადამიანს. გმირობა ის იყო, რომ თავისი ბედი მთლიანად ღმერთს მიანდო.

სანამ ჭიშკარს მოსცილდებოდა, „მამაო ჩვენო“ წაიკითხა. ლოცვის დროს იგრძნო, როგორ დამშვიდდა. ბრაზის ალმური ჩაუცხრა, აღარც ყბა უცახცახებდა.

მაგრამ რაკი სოფლისკენ მიმავალ შარაგზას დაადგა, - სხვანაირად ვერც მოიქცეოდა, თუ სურდა, რომ ვინმე შეხვედროდა, - გულში ისევ ეჭვი აღეძრა.

პასტორის კარ-მიდამოს ბოლოში გავიდა და შეჩერდა. მის სულში მოკალათებულმა უბადრუკმა, სულმოკლე ადამიანმა შეაჩერა იგი. მოაგონდა, რომ ამ ერთი საათის წინ, სოფლიდან დაბრუნებულს სწორედ ამ ადგილას შეხვდა გუდიანი მათხოვარი, ყრუ კარინ იუჰანსდოტერი, რომელსაც დაგლეჯილი თავშალი ეხვია და საკერებლებით აჭრელებული ქვედაკაბა ეცვა. მართალია, განათხოვარი იყო, მაგრამ კარგა ხნის წინ დაქვრივებულს ხელახლა გათხოვების უფლება ჰქონდა.

როგორც კი კარლ-არტურმა გაიფიქრა, იქნებ სწორედ ეს ყრუ ქალი შემხვდესო, ადგილზე გახევდა.

მაგრამ მაშინვე სასტიკად დასცინა მის სულში მობინადრე სულმოკლე ცოდვილს, რომელმაც გული დააჯერა, თითქოს შეეძლო მისი განზრახვის ჩაშლა. კარლ-არტურმა გზა განაგრძო.

რამდენიმე ნაბიჯი გადადგა თუ არა, ზურგს უკან ეკიპაჟის თვლების ხმაური მოესმა და თითქმის მაშინვე გვერდით ჩაუქროლა ორთვალამ, რომელშიც შესანიშნავი ჩორთითი ცხენი იყო შებმული.

ეტლში გამოჯგიმული იჯდა ამ კუთხის ერთ-ერთი ყოვლისშემძლე და ქედმაღალი მოხუცი მრეწველი, რომელიც იმდენი საბადოსა და სამთამადნო ქარხნის მეპატრონე იყო, შაგერსტრიომს არ ჩამოუვარდებოდა სიმდიდრით. გვერდით ქალიშვილი იჯდა და მათ რომ პირაქეთ სჭეროდათ გეზი, ახალგაზრდა პასტორი აღთქმის შესრულებას მოინდომებდა, ამ მდიდარ ქარხნის მეპატრონეს გზაზე გადაუდგებოდა, გააჩერებდა და ქალიშვილის ხელს სთხოვდა.

ადვილი წარმოსადგენია, რა მოჰყვებოდა ამას, ალბათ, მათრახს გადაუტყლაშუნებდნენ სახეზე. სამთამადნო ქარხნის მეპატრონეს, არონ მონსონს, წესად ჰქონდა თავისი ქალიშვილების მითხოვება გრაფებისა და ბარონებისთვის და აბა, ღარიბ პასტორს როგორ გაატანდა ქალს.

და კვლავ ძველებურად, შიშით აკანკალდა მის არსებაში მოკალათებული ცოდვილი და სულმდაბალი ადამიანი. იგი არწმუნებდა, დაბრუნდი უკან, მოლიპულ გზას დასდგომიხარო.

მაგრამ ღვთისმოსავმა მამაცმა ადამიანმა, რომელმაც ახლა ასევე დაიდო ბინა კარლ-არტურის სულში, აღიმაღლა თავისი მოზეიმე ხმა. მას სწორედ ის უხაროდა, რომ ეს გზა სახიფათო იყო. უხაროდა, რომ შეეძლო, დაემტკიცებინა, რაოდენ დიდია მისი იმედი და რწმენა.

გზის მარჯვნივ ძალზე ციცაბო და ქვიშიანი გორაკი მოჩანდა, რომლის ფერდობები დაფარული იყო ნორჩი ფიჭვებით, ტანმორჩილი არყის ხეებითა და შოთხვის ბუჩქნარით. ხშირ ბარდებში ვიღაც დასეირნობდა და მღეროდა. კარლ-არტური ვერ ხედავდა იმ ვიღაცას, მაგრამ ხმაზე იცნო. ერთი მთლად ხელიდან წასული გოგო იყო, მეფუნდუკის ქალი, რიგრიგობით კისერზე რომ ეკონწიალებოდა აქაურ ყმაწვილებს, ეს გოგო სულ ახლოს იყო ახლა კარლ-არტურთან. ყოველ წუთს შეიძლებოდა მოპრიანებოდა შარაგზაზე გადმოსვლა.

მისდა უნებურად კარლ-არტურმა ფეხაკრეფით განაგრძო სიარული, რომ ნაბიჯების ხმა არ გაეგონა იმ გოგოს, თან აქეთ--იქით იყურებოდა, ამ მოსალოდნელი შეხვედრის თავიდან აცილების საშუალებას ეძებდა.

გზის მეორე მხარეს მდელოზე ნახირი ბალახობდა. იქვე მწყემსი ქალი ძროხებს წველიდა. კარლ-არტურმა ისიც იცნო. ერთი ახმახი ქალი იყო, პასტორის მენახირე, სამი ნაბუშარი

ჰყავდა. შიშისგან ტანში გააჟრჟოლა კარლ-არტურს, მაგრამ ლოცვის ბუტბუტით მაინც განაგრძობდა გზას.

ფუნდუკის მეპატრონის გოგო კვლავ მღეროდა წარაფებში, ხოლო ახმახმა მენახირე ქალმა ძროხების წველა დაამთავრა და შინ წასასვლელად ემზადებოდა, მაგრამ არც ერთი და არც მეორე შარაზე არ გამოსულან. იგი არ შეხვედრია ამ ქალებს, თუმცა, დაინახა და ხმაც გაიგონა მათი.

უბადრუკი ცოდვილი ისევ აფუსფუსდა მის სულში და ახლა ეშმაკური ლიკლიკი გაუბა. ღმერთმა, ალბათ, იმიტომ კი არ დაგანახვა ეს ორი ქალი, შენი ღვთისმოსაობა და გამბედაობა გამოეცადა, არამედ იმიტომ, რომ გაეფრთხილებინე. იქნებ სწორედ ამით მიგანიშნა, რაოდენ უჭკუო და კადნიერია შენი ქცევაო.

მაგრამ კარლ-არტურმა ჩაახშო ამ მერყევი, უსუსური ცოდვილის ხმა; გზა განაგრძო. ნუთუ გადაუხვევს ასეთი პატარა მიზეზის გამო? ნუთუ საკუთარ სულმოკლეობას უფრო მიენდობა, ვიდრე ყოვლისშემძლე ღმერთს?

და აი, შარაზე გამოჩნდა პირდაპირ მისკენ მომავალი ვიღაც ქალი. გზის აქცევა შეუძლებელი იყო. თუმცა, ჯერ კიდევ საკმაოდ შორს იყვნენ ერთმანეთისგან, კარლ-არტურმა მაინც იცნო მატს-ტორპარის ქალი. ელინი, რომელსაც სისხლივით წითელი ხალი ჰქონდა მთელ ლოყაზე მოდებული. კარლ-არტური წამით შეჩერდა. საშინლად მახინჯი ხომ იყო ეს სვედავსილი არსება, ამასთან, მთელ სამრევლოში ყველაზე ღატაკიც იყო, არც დედა ჰყავდა, არც მამა, ათი უსუსური და-ძმა კი ეხვია ირგვლივ.

ახალგაზრდა პასტორი ნამყოფი იყო მათ უბადრუკ ქოხში, რომელიც გამოჭედილი იყო დაძონძილი, პირდაუბანელი ბავშვებით და მათ გამოკვებასა და ჩაცმა-დახურვას აბა როგორ აუვიდოდა უფროსი და.

ცივმა ოფლმა დაასხა შუბლზე, ხელები მუშტად შეკრა და მაინც განაგრძო გზა.

- ყველაფერი მისი გულისთვის ხდება. იმისთვის, რომ შემწედ ვეყოლო ამ ბეჩავ ქალს, - ბუტბუტებდა იგი.

ისინი სწრაფად უახლოვდებოდნენ ერთმანეთს.

ჭეშმარიტი მოწამეობის გზას ადგა, მაგრამ ამ გზაზე არაფერს მოერიდებოდა, ამ საბრალო გოგონასადმი იგი არ განიცდიდა იმ საშინელ ზიზღს, რომელიც აღეძრა მენახირე და მეფუნდუკე ქალებისადმი. მხოლოდ კარგი სიტყვა თუ სმენოდა ამ ბედკრულ ობოლზე.

ორად ორი ნაბიჯიღა აშორებდათ ერთმანეთისგან და გოგომ სწორედ ამ დროს გადაუხვია გზიდან. ვიღაც შეეხმიანა და იგი უცებ მიეფარა თვალს ბუჩქნარში.

როცა ელინიც ჩამოეცალა გზიდან, კარლ-არტურმა იგრძნო, რა მძიმე ლოდი მოეხსნა გულიდან. თითქოს ზღვა ფეხით გაევლოს და ამით დაემტკიცებინოს თავისი რწმენის სიძლიერე, ფრთაშესხმულმა თავი ამაყად ასწია და გზა განაგრძო.

- ღმერთი მწყალობს, - წარმოთქვა მან, - იგი შემომიდგა ამ გზაზე და განყო ხელი თვისი თავსა ჩემსა ზედა.

ამ იმედით გულდაჯერებული ნეტარებით აღივსო.

„სულ მალე ვიხილავ ჩემს ნამდვილ წილხვედრილს, - გაიფიქრა, - ღმერთი მცდიდა, და ახლა კი დარწმუნდა, რომ არა ვხუმრობ. გზიდან არ გადავუხვევ. ჩემი საბედო უკვე ახლოსაა“.

პასტორის კარ-მიდამოს რომ გასცდა, ცოტაც გაიარა და ის იყო, თემშარაზე უნდა შეეხვია, რომ უცებ სოფლის განაპირას მდგომი სახლის კარი გაიღო და იქიდან ყმაწვილი ქალი გამოვიდა. გოგონამ გამოიარა ბაღჩა, რომელიც ამ სოფელში ყველა სახლის წინ იყო გაშენებული, და პირდაპირ კარლ-არტურის შესახვედრად გამოვიდა გზაზე.

ისე მოულოდნელად გამოჩნდა, რომ როცა კარლ-არტურმა თვალი მოჰკრა, მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯიღა აშორებდათ ერთმანეთს. ახალგაზრდა პასტორი სარივით დაერჭო ერთ ადგილას და გაიფიქრა: „აი, ისიც! ხომ ვამბობდი! ვიცოდი, რომ წუთიწუთზე შევხვდებოდი“.

გულზე ხელები დაიკრიფა და ღმერთს მადლობა შესწირა, რაკი წყალობის თვალით გადმოხედა და მისი მადლი მოისხა.

გოგონა იქაური არ იყო. იგი დალეკარლიის ერთ-ერთ ჩრდილოეთ სამრევლოში ცხოვრობდა და კარდაკარ ვაჭრობდა წვრილმანებით. თავისი კუთხის ჩვეულებისამებრ წითლითა და მწვანით, თეთრითა და შავით აჭრელებულ ტანსაცმელში იყო გამოწყობილი. კორსჩურკაში, სადაც ძველებურ ხალხურ ტანისამოსს კარგა ხანია აღარ იცვამდნენ, ჭრელ პეპელასავით გამოირჩეოდა. სამოსი ხომ ლამაზი ეცვა, თვითონ უფრო ტურფა იყო. ლამაზ და მაღალ შუბლს ხუჭუჭა თმა უმშვენებდა, სახის ნაკვთებზე კეთილშობილების ბეჭედი ესვა. მაგრამ განსაკუთრებით მომხიბლავი იყო მისი სევდიანი ღრმა თვალები და ხშირი წარბები. წუნი ხომ არ დაედებოდა, ბევრი ინატრებდა კიდეც ასეთ თვალ-წარბს, თანაც მაღალი და მოხდენილი ტანისა გახლდათ. გამხდარი არ ეთქმოდა, ლამაზი აღნაგობა ჰქონდა. ერთი შეხედვით შეატყობდით, რომ საღ-სალამათი, ჯანსაღი ქალი იყო. ზურგზე მოკიდებული ჰქონდა სავაჭრო საქონლით სავსე შავი ტყავის ფუთა და მიუხედავად ამისა, წელგამართული მოდიოდა, ისე ლაღად მოაბიჯებდა, სულაც არ იმჩნევდა ტვირთის სიმძიმეს.

კარლ-არტურს პირდაპირ თვალი მოსტაცა მისმა სილამაზემ. გულში ამბობდა, თვით ზაფხული გამომეგება გზაზეო. სწორედ ისეთი ცხელი, აყვავებული, ფერადოვანი ზაფხული, როგორიც იმ წელიწადს იდგა.

ზაფხულის დახატვას თუ მოინდომებდა, სწორედ ასეთ სურათს წარმოიდგენდა.

და თუ მართლაც ზაფხული იყო იგი, მისი შიში არამც და არამც არ უნდა ჰქონოდა, პირიქით, თვით ღმერთმა ინება, რომ გულში ჩაეკრა ეს ქალი, დამტკბარიყო მისი სიტურფით. კარლ--არტურს შესაშფოთებელი არაფერი სჭირდა. ეს გოგონა საცოლედ მოევლინა და თუმცა, ლამაზიც იყო და ტანადიც, შორეული მთიდან ჩამოსულს სიღატაკე კალთაზე ჰქონდა დაკერებული. სიმდიდრის ცდუნება რა იყო, არ იცოდა, ამქვეყნიური კეთილდღეობისკენ არ გაურბოდა თვალი, როგორც ეს ბარის მკვიდრთ ემართებათ, რომელნიც ღვთის შექმნილს ეწაფებიან და თვით შემოქმედს კი ივიწყებენ. სიღატაკის ღვიძლი შვილი უყოყმანოდ მიანდობს თავის ბედს ისეთ ადამიანს, რომელსაც სწადია, მთელი ცხოვრება სიღარიბეში გაატაროს. მართლაც რომ ენით გამოუთქმელია ღვთის სიბრძნე. ღმერთმა იცოდა, რაც უნდა მოემოქმედა. ხელის ერთი გაქნევით ისეთი ქალი დაახვედრა გზაზე, რომელიც ყველაზე მეტად იყო შესაფერისი მისთვის.

ახალგაზრდა პასტორი ისე გაერთო ფიქრებში, ნაბიჯიც არ გადაუდგამს ტურფა ასულის შესახვედრად. დალეკარლიელმა გოგონამ შეამჩნია, რომ ეს ახალგაზრდა კაცი ისე უმზერდა, ლამის თვალებით შეეჭამა. ქალს უნებურად გაეცინა.

- ისე გაშტერებით მომჩერებიხარ, თითქოს ადამიანი კი არა, დათვი შეგხვედროდეს.

კარლ-არტურსაც გაეცინა და მაშინვე საოცრად მოეშვა გულზე.

- არა, - მიუგო მან, - დათვთან შეხვედრა ფიქრადაც არ მქონია.

- მაშინ, ალბათ, ალი გეგონე. ამბობენ, როგორც კი თვალს მოჰკრავს კაცი, თურმე ისე გამოყეყეჩდება, ადგილიდან ვერ დაიძვრებაო.

ქალიშვილმა გულიანად გაიცინა და მძივებივით ჩაწიკწიკებული ქათქათა კბილები გამოაჩინა. ის იყო, გვერდი უნდა აექცია შემხვედრისთვის, რომ იგი კვლავ გამოელაპარაკა და გზა გადაუღობა.

- ნუ წახვალ! სალაპარაკო მაქვს შენთან. ჩამოვსხდეთ გზის პირას!

ქალიშვილმა გაოცებით შეხედა, მერე გაიფიქრა, ალბათ, უნდა რაიმე იყიდოსო.

- ამ შუა გზაზე ხომ არ გავხსნი ჩემს ჩანთას!

უეცრად თითქოს რაღაც იაზრაო, სახე გაუბრწყინდა.

- შენ ხომ აქაური პასტორი ხარ? მეც არა ვთქვი, გიყურებ, გიყურებ და ახლა გიცანი, წუხელ ეკლესიაში გნახე; შენ არ იყავი, ქადაგებას რომ ამბობდი?

კარლ-არტურს უზომოდ გაუხარდა, რომ ქალიშვილს მისი ქადაგება მოესმინა და იცნო კიდეც, ვინც იყო.

- ჰო, მართალია, ქადაგება წარმოვთქვი, მაგრამ იცი რა, მე მხოლოდ პასტორის თანაშემწე ვარ და მეტი არაფერი.

- მერედა, ხომ პასტორთან ცხოვრობ. ჰოდა, ახლა სწორედ იქ მივდივარ. შემოდი იმათ სამზარეულოში და თუ გინდა, რაც რამ მიწყვია ამ ფუთაში, ერთბაშად იყიდე.

ქალიშვილს ეგონა, ახლა მაინც ჩამომეცლება გზიდანო, მაგრამ ახალგაზრდა პასტორი ადგილიდან არ დაძრულა, ისევ მის წინ იყო ასვეტილი.

- მე შენი საქონლის ყიდვას არ ვაპირებ, - უთხრა მან, - მე მხოლოდ მინდა გკითხო, ცოლად არ გამომყვები?

საშინლად დაძაბული ხმით წარმოთქვა ეს სიტყვები. მეტისმეტად ღელავდა. ასე ეგონა, მთელი არემარე - ჩიტები, ფოთლებაშრიალებული ხეები, საძოვარზე გაფანტული ნახირი - ყველა და ყველაფერი გრძნობდა და განიცდიდა, რა საზეიმო რამ ხდებოდა ამწუთას, და ირგვლივ ყოველივე დადუმდა ქალიშვილის პასუხის მოლოდინში.

გოგონა სწრაფად შეტრიალდა მისკენ, თითქოს უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ პასტორი არ ეხუმრებოდა, მაგრამ გულცივად კი მიუგო:

- აქ, გზაზე, შეგვიძლია შევხვდეთ ერთმანეთს საღამო ხანს, ათი საათისთვის. ახლა კი მეჩქარება.

ყმაწვილი ქალი პასტორის კარ-მიდამოსკენ გაეშურა, კარლარტურს მისი შეჩერება აღარ უცდია. სჯეროდა, რომ დაბრუნდებოდა, სჯეროდა, რომ თანხმობას ეტყოდა. განა თვით ღმერთმა არ აურჩია იგი საცოლედ?

თვითონ მას შინ დაბრუნებისა და მუშაობის არავითარი სურვილი არ ჰქონდა. გზიდან გადაუხვია. გორაკისკენ გაემართა, ბარდებში შევიდა, სადაც ვეღარავინ დაინახავდა, და მიწაზე დაემხო.

რა ბედნიერებაა! რა გაუგონარი ბედნიერებაა! რამდენ საფრთხეს აერიდა! რამდენი სასწაული მოხდა დღეს!

ერთბაშად გადალახა ყოველგვარი დაბრკოლება, შარლოტა ლიოვენშოლდი ვერასოდეს შეძლებს მამონას მონად აქციოს იგი. ამიერიდან თავისი მისწრაფებებისდა კვალობაზე იცხოვრებს. მდაბიო გლეხის ქალი, მისი ცოლი, არ დაუშლის, რომ ქრისტეს კვალს მიჰყვეს. ღარიბული პატარა ქოხი ეზმანა. მყუდრო, სიკეთით აღსავსე ცხოვრება წარმოიდგინა, რომ სრული ჰარმონია დამკვიდრდება მის მოძღვრებასა და პირად ცხოვრებას შორის.

დიდხანს იწვა ასე, გასცქეროდა ერთმანეთში გადახლართულ ტოტებს, რომელთა შორის გზის გაკვლევას ცდილობდნენ მზის სხივები. გრძნობდა, ამ სხივების მსგავსად როგორ ცდილობდა გზის გაკვლევას მისი ტანჯული გულისკენ ახალი, სვებედნიერი სიყვარული.

დილის ყავა

I

ერთ ქალს შეეძლო ყველაფრის სასიკეთოდ მოგვარება, თუ-კი ამას მოინდომებდა, მაგრამ მეტისმეტად ბევრს ხომ არ მო-ვითხოვთ ქალისგან, რომელიც წლების განმავლობაში იძულე-ბული იყო, მხოლოდ ფუჭი ოცნებებითა და სურვილებით ესაზ-რდოებინა გული?

ძნელია იმის მტკიცება, რომ ადამიანთა სურვილისამებრ სამ-ყაროს კანონები შეიცვლება, მაგრამ იმაში არავის შეეპარება ეჭვი, რომ ადამიანს ძალუძს მოერიოს საკუთარ თავს, დაიოკოს თავისი სურვილები და ჩაიხშოს სინდისის ქენჯნა.

მთელი ორშაბათი დღე ფრუ სუნდლერმა ტანჯვაში გაატარა, სულ იმაზე ფიქრობდა, ეს რა დამემართა, შარლოტას შესახებ ჩემი დაუფიქრებელი ნათქვამით დავაფრთხე და გავაქციე აქე-დან კარლ-არტურიო. იმის წარმოდგენაც კი ეძნელებოდა, რომ კარლ-არტური მოვიდა მასთან და გულთბილი საუბარი გაუბა. ისეთი კარგი იყო, ისეთი წრფელი და მიმნდობი, რომ ამაზე ვერც კი იოცნებებდა, მან კი თავისი უნებური დაუფიქრებლობით გული ატკინა და იქამდე მიიყვანა, რომ გაცეცხლებულმა კაცმა პირში მიახალა, თვალით აღარ დამენახვოო.

ბრაზობდა საკუთარ თავზე, მთელ სამყაროზე, და როცა ქმარმა, ორგანისტმა სუნდლერმა, სთხოვა, ეკლესიაში წამომყევი და რამდენიმე ფსალმუნი იმღერეო, - ასე იქცეოდნენ ხოლმე ისინი ზაფხულში საღამოობით, - ისეთი მკვახე უარი სტკიცა, ბეჩავი მაშინვე კუდამოძუებული გაეცალა და სასტუმრო სახლის ფუნდუკს შეაფარა თავი.

ამან კიდევ უფრო დაუმძიმა გული თეას, ვინაიდან სურდა, უმწიკვლო ყოფილიყო როგორც სხვების, ისე საკუთარი თავის წინაშე. მან ხომ იცოდა, ორგანისტმა სუნდლერმა მხოლოდ იმიტომ შეირთო ცოლად, რომ გაგიჟებით მოსწონდა მისი ხმა და მზად იყო, ყოველდღე ესმინა მისი სიმღერა. თეაც კეთილსინდისიერად იხდიდა ვალს, რადგან იცოდა, სწორედ ამ კაცის წყალობით აიცდინა თავიდან აღმზრდელი ქალის უბადრუკი ცხოვრება და ახლა საკუთარი მყუდრო სახლი ჰქონდა. მაგრამ დღეს ნამდვილად არ შეეძლო ქმრის თხოვნის შესრულება. ამ საღამოს რომ ემღერა, წმინდა ტაძარში აჟღერდებოდა არა სიკეთისა და მორჩილების, არამედ ღვთის გმობისა და მკრეხელობის ხმები.

მაგრამ თურმე აუწერელი სიხარული ელოდა. საღამოს ცხრა საათი იქნებოდა, კარლ-არტური კვლავ რომ ეწვია. თამამად, ხალისიანად შემოვიდა და შინაურულად უთხრა, თუ რამეს მაჭმევ, კარგი იქნებაო. ალბათ, გაკვირვება გამოესახა თეას სახეზე და იმიტომაც დასძინა კარლ-არტურმა, მთელი დღე ტყეში მეძინაო. ჩანს, ძალიან იყო დაღლილი, რომ ასე წაართვა ძილმა თავი და სადილს ვინღა ჩივის, მთლად მშიერი დარჩა, რადგან პასტორის სახლში ზუსტად რვა საათზე შეექცეოდნენ ვახშამს. ფრუ სუნდლერს პური და კარაქი ხომ ექნება, რომ ცოტათი მაინც დანაყრდეს.

დიასახლისობით სახელგანთქმული მალვინა სპააკის ქალი გახლდათ ფრუ სუნდლერი. საათივით ჰქონდა საოჯახო საქმე აწყობილი. მაშინვე გამოიტანა საკუჭნაოდან არა მარტო პური და კარაქი, არამედ კვერცხიც, ლორიცა და რძეც.

კარლ-არტური რომ ისევ ეწვია და როგორც მისი ოჯახის ძველმა მეგობარმა შინაურულად მოითხოვა საჭმელი, ამან ენით უთქმელი სიხარული მოჰგვარა და კვლავ დაუბრუნა სულის სიმხნევე. ამიტომაც გადაწყვიტა, ეთქვა მისთვის, თუ როგორ წუხდა, შარლოტაზე ძვირი რომ ილაპარაკა ამ დილით, ვაითუ, კარლ-არტურმა იფიქრა, შუღლის ჩამოგდება უნდა ჩემსა და საცოლეს შორისო. არა, თეამ, რასაკვირველია, იცის, რომ მასწავლებლობაც კეთილშობილური საქმეა, მაგრამ გული სხვას ეუბნება. იგი ყოველ ცისმარე დღეს ღმერთს ევედრება, მაგისტრი ეკენსტედი პასტორად დარჩეს მათ სოფელში. ამ მიყრუებულ ადგილას იშვიათად თუ ექნება კაცს ბედნიერება ჭეშმარიტ მქადაგებელს მოუსმინოს.

კარლ-არტურმა, რასაკვირველია, უპასუხა, თუ ვინმეს აქვს რაიმე საბოდიშო, უპირველესად თვითონ მას, თეას კი არაფერი სჭირს დასანანი. თვით განგებამ ათქმევინა, რაცა თქვა, ამან ხომ ის სიკეთე მოუტანა კარლ-არტურს, რომ თვალები აუხილა.

სიტყვას სიტყვა მოჰყვა და ეკენსტედმა ყოველივე უამბო, რაც მათი განშორების შემდეგ მოხდა.

იგი ისე იყო ბედნიერებისგან გაბრუებული, ისე აღტაცებული ღვთის უსაზღვრო წყალობით, დუმილი არ ძალუძდა. ერთი სულიერისთვის მაინც ხომ უნდა ეამბა ყოველივე. განა იღბალი არ ეთქმის ამას, რომ ცხოვრების გზაზე სწორედ თეა სუნდლერი შეხვდა, რომელმაც დედამისის - მალვინა სპააკის მეშვეობით მისი ოჯახის მთელი ავ-კარგი იცის.

მაგრამ, როცა ფრუ სუნდლერმა შეიტყო, რომ კარლ--არტურმა დანიშნულს ზურგი შეაქცია და სხვას დაეწინდა, კი უნდა მიხვედრილიყო, რა უბედურებაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამას. უნდა მიხვედრილიყო, რომ გულმოსულმა შარლოტამ მხოლოდ თავისი ჯიუტობის გამო უპასუხა საქმროს - რასაკვირველია, იმედი მაქვს, ეპისკოპოსი გახდებიო. უნდა მიხვედრილიყო, რომ ჯერ კიდევ არცთუ ისე მტკიცე იყო დალეკარლიელ გოგონასთან შეკრული პირობა და ამ საქმის ჩაშლა შეიძლებოდა.

მაგრამ თუ წლების განმავლობაში ოცნებობდით, როგორმე დაახლოებოდით მომხიბლავ ყმაწვილს, გამხდარიყავით მისი მესაიდუმლე და მეგობარი, - ღმერთმანი, მხოლოდ მეგობარი! - ნეტავ თუ გეყოფათ ძალა საზრიანად ელაპარაკოთ, როცა იგი პირველად გადაგიშლით გულს?

სხვა რა შეეძლო თეა სუნდლერს გარდა იმისა, რომ აღფრთოვანება, თანაგრძნობა გამოეხატა და ნამდვილ გმირობად ჩაეთვალა კარლ-არტურის გადაწყვეტილება, შარაგზაზე ეძებნა საცოლე.

განა შეეძლო თეა სუნდლერს შარლოტას გამართლებას მოჰყოლოდა? ვთქვათ, რომ ეთქვა კარლ-არტურისთვის, შარლოტას სხვისი საქმის მოგვარება კი ეხერხება, მაგრამ საკუთარი ინტერესების დასაცავად არა ზრუნავსო? არა, თეა სუნდლერი ამის მთქმელი არ იყო.

შესაძლოა, კარლ-არტური მთლად ისე მტკიცედ არც კი იყო საკუთარ თავში დარწმუნებული, როგორც ლაპარაკობდა. იქნებ ერთი-ორი გონივრული სიტყვაც კმაროდა, რომ შეყოყმანებულიყო. გულახდილად რომ ეთქვათ, სახიფათო გზას დასდგომიხარო, იქნებ ხელიც აეღო ამ ახალ ნიშნობაზე. მაგრამ ფრუ სუნდლერს თითი თითზე არ დაუკარებია, რომ შეერყია მისი გადაწ-

ყვეტილება, გაეფრთხილებინა. პირიქით, აღტაცებული იყო ამ ამბით.

განა გასაკვირი არ არის, კარლ-არტური მთლიანად მიენდო ღმერთს, გულიდან ამოიგლიჯა სატრფო, რათა არავინ შეუშალოს ხელი და გაჰყვეს ქრისტეს ნაკვალევს!

ვინ იცის, იქნებ ფრუ სუნდლერი ბოლომდე გულწრფელი იყო? იგი ხომ მთელი არსებით რომანტიკოსი გახლდათ, სასტუმრო ოთახში მუდამ მაგიდაზე ედო ალმკვისტისა და სტაგნელიუსის წიგნები. და აი, რა განსაცვიფრებელი ამბის მოწმე გახდა! როგორც იქნა, გამოჩნდა ადამიანი, რომელიც შეუძლია გააღმერთოს, რომელსაც უნდა ეთაყვანოს.

კარლ-არტურის ნაამბობში მხოლოდ ერთი გარემოება აფიქრებდა ფრუ სუნდლერს. რით უნდა აეხსნა, რომ შარლოტამ უარი უთხრა შაგერსტრიომს. თუ იგი ამქვეყნიურ სიამეს დახარბებულია, როგორც კარლ-არტური ამბობს (და არც ფრუ სუნდლერს სურს სადავოდ გაიხადოს ეს), მაშ, რატომღა უარყო შაგერსტრიომი? რას მოიგებდა ამ უარით?

ანაზდად ფრუ სუნდლერს გონება გაუნათდა. იგი მიხვდა შარლოტას ზრახვას, ალღო აუღო მის მზაკვრულ ეშმაკობას.

უთუოდ შარლოტამ მაშინვე ინანა, როგორც კი უარი უთხრა შაგერსტრიომს, ამიტომაც მოინდომა დანიშნულისგან გათავისუფლება, რათა შემდგომ სხვაგვარი პასუხი მიეცა ქარხნის მეპატრონისთვისო.

ამიტომ წაეჩხუბა კარლ-არტურს და ისე გააცეცხლა, რომ თვითონ მას ათქმევინა უარი ცოლქმრობის პირობაზე. აი, თურმე რაში ყოფილა საქმე! ახლა ყველაფერი გასაგებია.

ფრუ სუნდლერმა კარლ-არტურს გაუზიარა თავისი ნაფიქრალი, მაგრამ მან არ დაიჯერა. უხსნიდა და უმტკიცებდა ქალი,

მაგრამ ყმაწვილ კაცს ამისი დაჯერება არ სურდა, თეა კი მაინც არ ეშვებოდა, შეპასუხებაც კი გაუბედა.

როდესაც საათმა ათი დარეკა და დალეკარლიელ ქალიშ-ვილთან პაემნის დრო მოვიდა, ისინი კვლავ კამათობდნენ. ფრუ სუნდლერმა მხოლოდ ის მოახერხა, რომ მცირეოდენი ეჭვი შთაუნერგა კარლ-არტურს, თვითონ კი მტკიცედ სჯეროდა თავი-სი ნათქვამისა. ფიცი და მტკიცი არ დაუკლია, ხვალ თუ არა, ამ უახლოეს დღეებში შარლოტა მაინც შაგერსტრიომზე დაიწერს ჯვარსო.

აი, როგორ შეტრიალდა საქმე. თეა სუნდლერმა არაფერიც არ მოაგვარა; პირიქით, ისევ გაახელა კარლ-არტური. თუმცა, თეა სუნდლერისგან სხვა რამ არც კი იყო მოსალოდნელი.

მაგრამ ხომ არსებობს მეორე ქალიც, ვინც დაეხმარებოდა კარლ-არტურს, ვისაც ენდომებოდა ამ საქმის მოგვარება - ხომ არსებობს შარლოტა! დიახ, მაგრამ რა შეუძლია ახლა, როცა კარლ-არტურმა სარეველა ბალახივით ამოიგლიჯა გულიდან? ეს ქალი ჩადგა მასსა და ღმერთს შორის. ეს ქალი აღარ არსე-ბობს კარლ-არტურისთვის.

თუნდაც რომ დაჰყაბულდეს კარლ-არტური და მოუსმინოს, განა შეიძლება იმის იმედით ყოფნა, რომ შარლოტა თვინიერად გადაუშლის გულს? განა შეიძლება იმის იმედით ყოფნა, რომ ფიცხი ქალიშვილი ჭკუას მოიკრებს, სიამაყეს მოერევა და ისეთი მოსიყვარულე, ნაზი სიტყვებით გაესაუბრება, რომ საყვარელ არსებას გადაარჩენს.

II

მეორე დილით, ჩვეულებისამებრ, თავისი ფლიგელიდან პასტორის სახლში რომ მიეშურებოდა ყავის დასალევად, კარლ-- არტური დროდადრო ჩერდებოდა, რათა დამტკბარიყო დილის მშვენიერებით, თვალი გაეხარებინა დაცვარული გაზონების ხავერდოვანი ბზინვარებითა და ლევკოიონების მომხიბლავი ფერადოვნებით, ყური მიეგდო ღალის მოსატანად აშლილი ფუტკრების ხალისიანი ზუზუნისთვის. გულს სიამე მოეფინა, როცა იგრძნო, რომ თავი იხსნა ამქვეყნიური ცდუნებისგან და შეეძლო ბოლომდე დამტკბარიყო ბუნების მშვენიერებით.

სასადილოში რომ შევიდა, შარლოტას ქცევამ განაცვიფრა. ვითომც არაფერი მომხდარიყოს, ისე დაუხვდა. ბუნების მშვენიერებით გულაყუჩებულს სინანულმა გაჰკრა გულში. ეგონა, უკვე თავდახსნილი იყო, ბრძოლა აღარ მოელოდა. შარლოტას კი, პირიქით, თითქოს არ ესმოდა, რომ მათი ნიშნობა საბოლოოდ ჩაიშალა. აშკარა უზრდელობა რომ არ გამოსვლოდა კარლარტურს, ქალს მიესალმა, ყურადღება არ მიაქცია მის გამოწვდილ ხელს და მაშინვე მაგიდას მიაშურა.

ასე ეგონა, ამით ნათლად მივახვედრე, თავს ნუღარ მომაბეზრებ შენი აქ ყოფნითო, მაგრამ შარლოტას, როგორც ჩანს, არ სურდა არაფრის გაგება და არც კი უფიქრია სასადილო ოთახიდან გასვლა.

მართალია, კარლ-არტური თავჩაქინდრული იჯდა, რათა მის მზერას არ შეხვედროდა, მაგრამ ერთხელ შემთხვევით თვალი ჰკიდა და მაინც მოასწრო, შეემჩნია, რომ შარლოტას მიწისფერი ედო და თვალებიც დასწითლებოდა. აშკარად ეტყობოდა, დარდში, და იქნებ სინანულშიც, თეთრად გაეთენებინა ღამე.

მერე რა! არც კარლ-არტურს სძინებია იმ ღამით. ათიდან ორ საათამდე ტყიან სერზე იჯდა და საცოლეს ემუსაიფებოდა, რომელიც ღმერთმა აურჩია.

შუაღამე რომ გადავიდა, თავსხმა წამოვიდა. ერთმანეთს დაშორდნენ და ისიც შინ დაბრუნდა, მაგრამ გული ისე ჰქონდა აღვსილი ახალი სიყვარულით, ძილისთვის ვერ გაიმეტა გათენებამდე დარჩენილი ეს ნეტარი საათები. მაგიდას მიუჯდა, რათა მშობლებისთვის მიეწერა ყოველივე, რაც მოხდა, და ამრიგად კიდევ ერთხელ დამტკბარიყო ახლახან განცდილი ბედნიერებით. მიუხედავად ღამის თევისა, დარწმუნებული იყო, რომ სულაც არ ეტყობოდა უძილობა. ისე მხნედ გრძნობდა თავს, როგორც არასოდეს.

მხოლოდ ის აწუხებდა, რომ შარლოტა ისე დასტრიალებდა თავს, ვითომც არაფერი მომხდარიყოს. ახლოს მიუდგა სანაღებე და ორცხობილიანი კალათა, მერე საბუფეტეში გამავალ სარკმელთან მივიდა და ცხელი ყავა მოუტანა.

ყავას რომ უსხამდა ფინჯანში, ისე მშვიდად, ძალდაუტანებლად ჰკითხა, თითქოს უბრალო, სანიადაგო რამეზე ელაპარაკებაო:

- აბა, მიამბე, როგორ მიდის შენი საქმეები.

კარლ-არტურს პასუხის გაცემა არ სურდა. დალეკარლიელ ქალიშვილთან ერთად გატარებული ზაფხულის ღამე ღვთაებრივად წმინდა იყო მისთვის. სიყვარულზე კი არ ჩამოუგდო იმ ყმაწ-

ვილ ქალს სიტყვა, სულ იმაზე ელაპარაკა, როგორ სურს ღვთის აღთქმას შეუსაბამოს თავისი ცხოვრება.

გოგონა ჩუმად უსმენდა, მოკრძალებით, ენის ბორძიკით პასუხობდა შეკითხვებზე, მორცხვად ეთანხმებოდა და ამან შთაუნერგა სწორედ ის რწმენა, ესოდენ რომ ესაჭიროებოდა. და განა შარლოტას შეუძლია აღიქვას ის ნეტარება და სიმშვიდე, რომელიც დაეუფლა კარლ-არტურს იმ დროს?

- ღმერთი შემეწია, - ეს ორად ორი სიტყვა ძლივს გაიმეტა ახლა თავისი დანიშნულისთვის სათქმელად. ეს ორად ორი სიტყვა მაშინ წარმოთქვა კარლ-არტურმა, როცა შარლოტა ყავას ისხამდა. კარლ-არტურის პასუხმა შეაკრთო ქალი. მისი დუმილი აქამომდე იმით აეხსნა, ალბათ, ვერ განახორციელაო თავისი გეგმა. თითქოს მუხლები მოჰკვეთოდეს, ისე მოსხლეტით დაეშვა სკამზე.

- ღმერთო, მიშველე, კარლ-არტურ, რაიმე სისულელე ხომ არ ჩაიდინე?

- შარლოტა, განა ვერ გაიგონე, რა გითხარი გუშინ განშორებისას?

- რასაკვირველია, გავიგონე, მაგრამ, ჩემო კარგო, რა მაფიქრებინებდა, სერიოზულად თუ მეუბნებოდი. მეგონა, ჩემი შეშინება გინდოდა.

- ჰოდა, იცოდე, შარლოტა! რადგან გითხარი, ღმერთს მივანდე-მეთქი ჩემი თავი, ეს ლიტონი სიტყვები არ ყოფილა.

შარლოტა ერთხანს დუმდა. შაქარი ჩაიყარა, ნაღები დაისხა, ჭვავის ორცხობილა შუაზე გადატეხა. კარლ-არტურმა იფიქრა, დრო გაჰყავს, რომ გონზე მოვიდესო.

კარლ-არტური დიდად გააკვირვა შარლოტას აღელვებამ. გაიხსენა ფრუ სუნდლერის ნათქვამი, შარლოტას თვითონ უნდოდა დაშორება და კიდეც მოახერხა ესო. ო, არა, აქ კი ცდება მისი

ახალი მეგობარი, აშკარაა, შარლოტას აზრადაც არ ჰქონია შაგერსტრიომზე დანიშვნა.

- მაშასადამე, შარაგზაზე გახვედი და პირველსავე შემხვედრს დაეწინდე? - ისეთივე მშვიდი კილოთი შეეკითხა შარლოტა, როგორც საუბრის დასაწყისში.

- დიახ, შარლოტა, მე მინდოდა, ღმერთს აერჩია იგი ჩემთვის.

- და, რასაკვირველია, თავფეხიანად გაები.

ასეთ დამამცირებელ წამოძახილში ძველი შარლოტა გაახსენდა, ამიტომ საკადრისი მკვახე პასუხიც მიაგება:

- ჰო, რასაკვირველია, ღვთის იმედად ყოფნა მუდამ მიუტევებელ სისულელედ მიგაჩნდა.

ხელი ოდნავ აუთრთოლდა ქალს, კოვზმა დაიწკარუნა ფინჯანში, მაგრამ შარლოტა არ აჰყვა გულისთქმას.

- არა, არა, - მიუგო მან, - გუშინდელივით ნუ დავიწყებთ ჩხუბს.

- მაგაში კი, მგონი, მართალი ხარ, შარლოტა. მით უმეტეს, რომ ასე ბედნიერი ჯერ არასოდეს ვყოფილვარ.

ეს კი უკვე მეტისმეტი იყო, მაგრამ კარლ-არტურს დაუოკებელი სურვილი ჰქონდა, შთაეგონებინა ამ ქალისთვის, რომ იგი შეურიგდა ღმერთს და რომ ამით სულიერი სიმშვიდე და ნეტარება მოიპოვა.

- მაშ, ბედნიერი ხარ! - წარმოთქვა შარლოტამ.

ძნელი სათქმელია, რა იყო ამ სიტყვებში ჩაქსოვილი - წყენა, ტკივილი თუ უბრალოდ, ქირდვანარევი გაკვირვება.

- გზა გამეხსნა. ამიერიდან აღარაფერი შემიშლის ხელს, რომ მივყვე ღვთის აღთქმას. ღმერთმა ნამდვილი მეგობარი მომივლინა.

კარლ-არტური განზრახ აზვიადებდა თავის ბედნიერებას, მაგრამ შარლოტას სიმშვიდე აბნევდა. ჩანს, მას ჯერ კიდევ ვერ

შეუგნია ამ ამბის მთელი სერიოზულობა, ჯერაც ვერ მიხვედრილა, რომ ყოველივე საბოლოოდ გადაწყდა.

- რა ვუყოთ, ეტყობა, უფრო მეტად გაგიმართლა ბედმა, ვიდრე მე მეგონა, - კვლავ მშვიდად ჩაილაპარაკა შარლოტამ, - მაგრამ მანამდე ვერაფერს ვიტყვი, სანამ არ შევიტყობ, ვინ დანიშნე.

- ანა სვერდი, - მიუგო მან, - ანა სვერდი.

იგი მზად იყო მრავალჯერ გაემეორებინა ეს სახელი. ზაფხულის ღამის მომხიბლაობა, ახალი სიყვარულის დამატყვევებელი ძალა კვლავ გაცოცხლდა ანა სვერდის სახელის წარმოთქმისას და მყის განაქარვა ამ მძიმე წუთების სევდა.

- ანა სვერდი, - გაიმეორა შარლოტამ, ახლა უკვე სხვა კილოთი, - მე ვიცნობ?

- მგონი, ნანახი გეყოლება. დალეკარლიიდანაა.

შარლოტას სახეზე კვლავ უმწეო გაკვირვება გამოეხატა.

- ტყუილად ნუ შეეცდები გახსენებას, შენი განათლებული მეგობრების წრიდან არ არის იგი. ერთი უბრალო ღარიბი გოგოა.

- რაო, ნუთუ... - ისეთი მღელვარებით წამოიძახა ეს სიტყვები შარლოტამ, რომ კარლ-არტურმა უნებურად მზერა მიაპყრო. ქალს შიში აესახა სახეზე.

- ნუთუ... სწორედ ის დალეკარლიელი გოგოა, წუხელ ჩვენს სამზარეულოში რომ იყო?!. ღმერთო ჩემო! მგონი, გამახსენდა: ვიღაცამ თქვა, ანა სვერდიაო.

შარლოტას მართლა დაეუფლა შიში. ამაში ეჭვის შეტანა არ შეიძლებოდა. მაგრამ განა ეს შეურაცხმყოფელი არ იყო? ვითომ რატომ მოინდომა ამ ქალმა კარლ-არტურის მეურვეობა? რა მიუხვედრელი ყოფილა! აბა, ერთი წუხელ თეა სუნდლერისთვის მოესმინა!

კარლ-არტურმა კიდევ ერთი ორცხობილა ჩაიგდო ფინჯანში. ნაჩქარევად შეექცეოდა საუზმეს, უნდოდა მალე გასცლოდა აქაურობას, რათა თავიდან აეცილებინა მოთქმა-გოდება, რომელიც ეს-ესაა დაიწყებოდა.

მაგრამ საოცარია, შარლოტა არავითარ მოთქმა-გოდებას არ მოჰყოლია. მხოლოდ ისე შებრუნდა სკამზე, რომ კარლ-არტურს მისი სახისთვის არ ეცქირა. გაუნძრევლად იჯდა, მაგრამ ახალგაზრდა ეკენსტედი გრძნობდა, რომ ქალი ტიროდა.

კარლ-არტური სულაც არ იყო ჯერ დანაყრებული, მაგრამ მაინც ადგა და წასასვლელად მოემზადა. აი, თურმე როგორ განიცდის ამ ამბავს შარლოტა. აბა, ამის შემდეგ როგორ ირწმუნოს ფრუ სუნდლერის ნათქვამი, თითქოს შარლოტას თვითონვე ნდომოდეს მათი ნიშნობის ჩაშლა. როგორ შეიძლება დაეჭვდეს კაცი იმაში, რომ იგი საშინლად იტანჯება ამის გამო. და რადგან ქალის ტანჯვა მაინც უკენწლავდა გულს, აღარ უნდოდა იქ დარჩენა.

- არა, ნუ წახვალ! - შეევედრა შარლოტა ისე, რომ არც კი მობრუნებულა მისკენ, - ნუ წახვალ! გავაგრძელოთ საუბარი. რა საშინელი ამბავი მითხარი! ეს დაუშვებელია.

- შარლოტა, დიდად ვწუხვარ, რომ ასე ახლოს მიიტანე ეს გულთან. მაგრამ გარწმუნებ, მე და შენ ერთმანეთისთვის არა ვართ გაჩენილი.

ამ სიტყვების გაგონებაზე შარლოტა სკამიდან წამოხტა. კარლ-არტურის წინ აისვეტა, თავი ამაყად ასწია და გაბრაზებით დააბაკუნა ფეხი.

- გგონია, ჩემს თავს ვტირი? - უთხრა მან და უცებ ჩამოიბერტყა წამწამებიდან ცრემლი, - გგონია, ჩემი უბედურება მატირებს? ნუთუ არ გესმის, რომ შენ მყავხარ ახლა სატირალი! შენ

დიდი საქმეებისთვის ხარ გაჩენილი, მაგრამ თუ ეგეთ ქალს შეირთავ ცოლად, ეშმაკმა იცის, რა მოხდება.

- რა სიტყვებს ხმარობ, შარლოტა!

- მე იმას ვამბობ, რასაც ვფიქრობ! მინდა მტკიცედ გირჩიო ერთი რამ, ჩემო კარგო: თუ მართლაც გლეხის ქალი გინდა შეირთო, აქაურებიდან აირჩიე, ისეთი მაინც იყოს, რომ იცნობდე. ნუ მოიყვან ცოლად ამ ვაჭრუკანას, რომელიც მარტოდმარტო, თავის ანაბარად მიშვებული დღენიადაგ გზაზეა გაკრული. ბავშვი ხომ არა ხარ, ხომ უნდა იცოდე, რას ნიშნავს ეს.

კარლ-არტურმა სცადა, შეეჩერებინა შეურაცხმყოფელი სიტყვების ნიაღვარი: ეს თვალებდავსებული არსება ჯერაც ვერ მიხვედრილიყო, რატომ მოხდა ეს ამბავი!

- ის ქალი ღმერთმა მომივლინა, - შეესიტყვა შარლოტას.

- სულაც არა!

შარლოტას, ალბათ, იმის თქმა სურდა, მე ვარ ღვთისგან მოვლენილი შენი საცოლეო. იქნებ სწორედ ამ აზრმა გაუელვა და სწორედ ამიტომაც ღაპაღუპით წამოუვიდა ცრემლი. ხელები მაგრად მომუჭა და თავს ძალა დაატანა, რომ ხმა არ აჰკანკალებოდა.

- დაფიქრდი, რას იტყვიან შენი მშობლები!

კარლ-არტურმა სიტყვა შეაწყვეტინა:

- მე ეგ არ მაფიქრებს. ისინი ჭეშმარიტი ქრისტიანები არიან და გამიგებენ.

- პოლკოვნიკის ცოლი ბეატა ეკენსტედი! - წამოიძახა შარლოტამ, - ის გაიგებს? ო, ღმერთო ჩემო, რა ცუდად გცნობია, კარლ-არტურ, დედაშენი, თუ გგონია, რომ ოდესმე თავისი რძლობის ღირსად ჩათვლის დალეკარლიელ ქალს. მამაშენიც გადაგიდგება, მემკვიდრეობას არ დაგიტოვებს.

აქამდე მშვიდად უსმენდა იგი შარლოტას, ახლა კი თანდათან ბრაზი წაეკიდა გულზე.

- ჩემს მშობლებზე ნუ ვილაპარაკებთ, შარლოტა!

შარლოტა, ჩანს, მიხვდა, რომ ძალიან შეტოპა.

- კეთილი, ნუ ვილაპარაკებთ შენს მშობლებზე! მაგრამ, მოდი, ვილაპარაკოთ აქაურ პასტორსა და მის ცოლზე, კარლსტადის ეპისკოპოსზე, და საერთოდ, მთელ საეკლესიო კაპიტულზე. შენი ფიქრით, რას იტყვიან ისინი, როცა შეიტყობენ, რომ ღვთისმსახური შარაგზაზე გავარდა პირველივე შემხვედრი ქალის დასანიშნადო? აქაური მრევლი ხომ სულ ფეხებში მისჩერებია სულიერ მამას, აქაოდა, მრუდე ნაბიჯს ხომ არ გადადგამსო. ისინი რაღას იტყვიან? იქნება აქ დასარჩენი პირი აღარც გქონდეს. იქნებ იძულებული გახდე, გაეცალო აქაურობას. ანდა რას იფიქრებენ იმ ნიშნობაზე აქაური საეპარქიოს მღვდლები? დარწმუნებული იყავი, მათაც და საერთოდ, მთელ ვერმლანდს შეაძრწუნებს ეს ამბავი! აი, ნახავ, ადამიანებს შენი პატივისცემა აღარ ექნებათ. აღარავინ ივლის ეკლესიაში შენი ქადაგების მოსასმენად. თავს გიკრავენ ჩრდილოეთში, ღარიბ ფინურ სამრევლოში. აღზევებას ვერასოდეს მოესწრები. პასტორის თანაშემწეობაში გალევ შენს ცხოვრებას.

შარლოტა ისე გაერთო, ალბათ, კიდევ დიდხანს ილაპარაკებდა, მაგრამ თვითონვე მიხვდა, რომ ამაო იყო მთელი მისი მგზნებარე შეგონება. ამიტომ უცებ დადუმდა.

კარლ-არტური გაკვირვებული იყო. თავისი თავისა უკვირდა. ჯერ კიდევ გუშინ შარლოტას თითოეულ სიტყვას ფასი ჰქონდა მის თვალში. ახლა კი სულერთი იყო, რას ფიქრობდა ეს ქალი მის საქციელზე.

- რაო, განა მართალს არ გეუბნები? - შეეკითხა შარლოტა, - შეგიძლია ამის უარყოფა?

- მე არ მსურს ამ საკითხზე შენთან მსჯელობა, - მიუგო კარლ-არტურმა ქედმაღლური კილოთი, რადგან გუშინდელს აქეთ რაღაც უპირატესობას გრძნობდა მასთან შედარებით, - შარლოტა, შენ ლაპარაკობ აღზევებასა და უფლებამოსილთა კეთილგანწყობაზე, მე კი მგონია, სწორედ ეს არის ღვთისმსახურთა დამღუპველი. მე იმ აზრს ვადგავარ, რომ სიღარიბეში ცხოვრება მდაბიო მეუღლესთან ერთად, რომელიც თვითონ აცხობს პურს და თვითონ რეცხავს იატაკს, სამღვდელო პირს განარიდებს ამქვეყნიურისკენ ლტოლვას; სწორედ ასეთი ცხოვრებაა ამამაღლებელი და განმწმენდელი.

შარლოტას პასუხი არ გაუცია. კარლ-არტურმა მისკენ მიიხედა და დაინახა, რომ იგი თვალგაშტერებული იდგა, გაწბილებულ გოგონასავით ცალი ფეხი წინ წაედგა და უაზროდ ათამაშებდა.

- მე არ მინდა ვიყო ისეთი მოძღვარი, რომელიც მხოლოდ სხვებს ასწავლის გზას, - განაგრძო კარლ-არტურმა, - მე თვითონ მინდა ვიარო ამ გზით.

შარლოტა კვლავ დუმდა. ღაწვები შეუფაკლდა, საოცრად მშვიდი ღიმილი აუთამაშდა ბაგეზე, ბოლოს კი განსაცვიფრებელი რამ წარმოთქვა:

- შენ გგონია, მე არ შემიძლია პურის ცხობა და იატაკის რეცხვა?

ამით რისი თქმა სურდა? იქნებ უბრალოდ იხუმრა?

სახეზე კი პატარა კონფორმისტის გულუბრყვილო გამომეტყველება აღებეჭდა.

- არ მინდა გზა გაგიმრუდო, კარლ-არტურ. შენ ემსახურე უფალს, მე კი შენ გემსახურები. დღეს დილით სწორედ იმისთვის მოვედი აქ, რომ მეთქვა, ყველაფერი ისე იქნება, როგორც შენ

გსურს. ყველაფერს გავაკეთებ შენი გულისთვის. მხოლოდ გემუ-დარები, ხელს ნუ მკრავ.

კარლ-არტური ისე გააკვირვა ამ ამბავმა, უნებურად ნაბიჯიც კი გადადგა მისკენ, მაგრამ დაეჭვებული უცებ შეჩერდა.

- ჩემო ძვირფასო, - განაგრძო შარლოტამ ჩუმი, სინაზისგან ათრთოლებული ხმით, - შენ არ იცი, რა ტანჯვა გამოვიარე წუ-ხელ. შენი დაკარგვა რომ წარმოვიდგინე, მხოლოდ მაშინ მივ-ხვდი, როგორ მიყვარხარ.

კარლ-არტურმა კვლავ ნაბიჯი გადადგა მისკენ. ისეთი თვა-ლებით უცქეროდა ქალს, თითქოს მის სულში ჩახედვას ლამობ-სო.

- აღარ გიყვარვარ, კარლ-არტურ? - ჰკითხა შარლოტამ და შიშისგან გაფითრებული სახე ზევით ასწია.

კარლ-არტურს უნდოდა ეთქვა, გულიდან ამოვირეცხე შენი სიყვარულიო, მაგრამ მყის იგრძნო, რომ ეს მართალი არ იქნე-ბოდა: ქალის სიტყვებმა ააღელვა და გაუღვიძა ადრინდელი გრძნობა.

- ხომ არ მასულელებ? - კითხვითვე უპასუხა კითხვას.

- განა ვერ ხედავ, რომ სერიოზულად გელაპარაკები?

ამის გაგონებაზე თითქოს ხელახლა დაიბადაო, კარლ--არტური. გეგონება, ჩამქრალ კოცონს სახმილი მიუმატესო, ისევ იფეთქა მის არსებაში ძველმა სიყვარულმა.

ტყიან სერზე გატარებული ღამე და ახალი შეყვარებული თითქოს ნისლში გაეხვივნენ და გაუჩინარდნენ. ვაჟმა ისე დაივიწყა გზაზე მომხდარი ამბავი, როგორც სიზმარი.

- მე რომ უკვე ვთხოვე ცოლობა ანა სვერდს? - გაუბედავად აღმოხდა დაბნეულს.

- ჩემო კარლ-არტურ, თუ მოინდომებ, ყოველივე მოგვარდება. შენ ხომ მხოლოდ წუხელ დაინიშნე მასზე, - შიშითა და მუდარით მიაგება შარლოტამ.

კარლ-არტური უხილავმა ძალამ შეიპყრო. უძლეველ სიყვარულს გადმოსცემდა შარლოტას მთელი არსება.

ანაზდად ქალი მკლავებით შემოეჭდო ვაჟს.

- არაფერს, არაფერს არ მოვითხოვ. მხოლოდ გემუდარები, ხელს ნუ მკრავ.

კარლ-არტური კიდევ ყოყმანობდა. არ სჯეროდა, რომ შარლოტა კვლავ მისი მორჩილი იყო.

- შენ იქნები ნამდვილი პასტორი, კარლ-არტურ. შენ ასწავლი ადამიანებს ღვთის ნაკვალევზე სიარულს, მე კი მხარში ამოგიდგები და შენს შრომაში შეგეშველები.

შარლოტა გულწრფელი, მხურვალე რწმენით აღსავსე კილოთი ლაპარაკობდა და კარლ-არტურმა ირწმუნა. იგი მიხვდა, რომ ხანგრძლივი ბრძოლა, რომელიც მათ შორის მთელ ხუთ წელიწადს გრძელდებოდა, დამთავრდა და რომ იგი ამ ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვიდა. ახლა შეეძლო უკუეგდო ყოველგვარი ეჭვი.

იგი შარლოტას საკოცნელად დაიხარა, რათა ამით განემტკიცებინა მათი ახალი კავშირი, მაგრამ სწორედ ამ დროს წინა ოთახიდან შემოსასვლელი კარი გაიღო.

შარლოტა კარისკენ პირშექცეული იდგა.

მაშინვე შეეტყო სახეზე, როგორი მოულოდნელი ელდა ეცა. კარლ-არტური სწრაფად შეტრიალდა და დაინახა, ზღურბლთან მოახლე გოგო იდგა და ხელში ყვავილების თაიგული ეკავა.

- ეს ყვავილები ქარხნის მეპატრონემ მოგართვათ „ტბის აგარაკიდან“, - მოახსენა გოგომ, - მებაღემ მოიტანა. ახლა სამზარეულოში გელოდებათ, თუ ინებებთ, მადლობა დააბარეთ.

- აქ რაღაც შეცდომაა, - წარმოთქვა შარლოტამ, - ვითომ რატომ უნდა გამოეგზავნა ქარხნის მეპატრონეს ჩემთვის ყვავილები „ტბის აგარაკიდან“? ალმა, წადი და ეგ თაიგული უკანვე დაუბრუნე მებაღეს.

კარლ-არტური მთელი გულისყურით უსმენდა შარლოტასა და მოახლის ლაპარაკს. ეს თაიგული ერთგვარი გამოცდა იქნება. აი, ახლა იგი ყველაფერს შეიტყობს.

- მაგრამ მებაღემ მითხრა, ყვავილები ქალბატონს გადაეციო, - გაჯიუტდა მოახლე, რომელიც ვერა და ვერ მიმხვდარიყო, რატომ არ უნდა მიეღო მის ქალბატონს რამდენიმე ცალი ყვავილი.

- ჰო, კარგი, აი, იქ დადე, - უთხრა შარლოტამ და მაგიდისკენ გაიშვირა ხელი.

კარლ-არტურმა მძიმედ ამოიოხრა. დახეთ, მაინც მიიღო თაიგული, ახლა კი ყველაფერი გასაგებია.

როდესაც მოახლე გავიდა და შარლოტა მისკენ შემობრუნდა, კარლ-არტურს მისი კოცნის სურვილი აღარ ჰქონდა. საბედნიეროდ, დროზე მოუსწრო გაფრთხილებამ.

- ასე მგონია, შარლოტა, რომ ერთი სული გაქვს, სანამ მებაღესთან გახვალ და მადლობას დააბარებ, - წარმოთქვა კარლ-არტურმა და ზრდილობიანი, მაგრამ ირონიით აღსავსე თავის დაკვრით ოთახიდან გავიდა.

III

შარლოტა უკან არ გამოსდევნებია კარლ-არტურს. ძალღონე გამოელია. განა საკმარისად არ დაიმცირა თავი, რომ როგორმე გადაერჩინა საყვარელი ადამიანი? რაღა სწორედ ამ გა-

დამწყვეტ მომენტში მოევლინა ეს თაიგული? ნუთუ ღმერთს კარლ-არტურის გადარჩენა არა სწადია?

თვალცრემლიანი შარლოტა ცვარდაყრილ თაიგულთან მივიდა და ანგარიშმიუცემლად წვრილ ნაკუწებად გლეჯა დაუწყო.

ჯერ კიდევ მთლად არ მოესრა თაიგული, რომ ისევ მოახლე გოგო შემოვიდა და ახლა კარლ-არტურის ხელმოწერილი პატარა კონვერტი გადასცა.

შარლოტამ ხელების კანკალით გახსნა კონვერტი, უცებ იქიდან ოქროს ბეჭედი გადმოვარდა და იატაკზე გაგორდა. შარლოტას არც უფიქრია მისი აღება, ნაგლეჯ ქაღალდზე კარლ--არტურის მიერ ნაჩქარევად დაწერილი ბარათის კითხვა დაიწყო:

„ქალი, რომელიც წუხელ ვნახე და რომელსაც გულწრფელი საუბრისას ყოველი ჩემი მდგომარეობა აღვუწერე, მარწმუნებდა, რომ შენ, შარლოტა, ალბათ, მაშინვე ინანე, როგორც კი უარი უთხარი შაგერსტრიომს, და განგებ გამომიყვანე მოთმინებიდან, რათა მე თვითონ დამერღვია ჩვენი ცოლქმრობის პირობა. ასეთ შემთხვევაში შენ, შარლოტა, შეგეძლო მეორედ უფრო გულზიარად დახვედროდი მას. წუხელ მე არ დავუჯერე იმ ქალს, მაგრამ ახლახან თვითონაც დავრწმუნდი მისი სიტყვების სიმართლეში და ამიტომ უკანვე გიბრუნებ ბეჭედს. ვფიქრობ, გუშინვე აცნობე შაგერსტრიომს ჩვენი ნიშნობის ჩაშლის ამბავი, და რადგან შაგერსტრიომმა პასუხი დააყოვნა, შეშფოთდი და ამიტომაც მოიწადინე ჩემთან შერიგება. ეს თაიგული, ალბათ, პირობითი ნიშანი იყო. ასე რომ არ ყოფილიყო, შექმნილ ვითარებაში შენ არავითარ შემთხვევაში არ მიიღებდი ამ ყვავილებს“.

შარლოტამ კიდევ და კიდევ გადაიკითხა წერილი, მაგრამ მაინც ვერაფერს მიხვდა. „ქალი, რომელიც წუხელ ვნახე“.

- ვერაფერი გამიგია, - უსასოოდ წარმოთქვა და კვლავ შეუდ-
გა კითხვას: „ქალი, რომელიც წუხელ ვნახე... ქალი, რომელიც
წუხელ...“

მოეჩვენა, თითქოს რაღაც ვერაგულად გასრიალდა, დიდი
გველივით ტანზე შემოეხვია და მის მოგუდვას ცდილობდა.

ეს იყო ბოროტი ენის უაზრო მონაჭორი, რომელიც გველივით
შემოეჭდო და კარგა ხანს არ მოსცილებია.

საშაქრე

ხუთი წლის წინ, როდესაც კარლ-არტურ ეკენსტედი კორსჩურკაში ჩამოვიდა, თავგამოდებული პიეტისტი გახლდათ. მის თვალში შარლოტა მიწიერი ცხოვრების ტრფიალით გზააბნეული არსება იყო და ამიტომ მასთან დალაპარაკებაც კი არ უნდოდა.

ქალი თავის გულს ასკდებოდა და გუნებაში დაიფიცა კიდეც, დრო მოვა და სანანებლად გავუხდი ჩემს ასე აბუჩად აგდებასო.

შარლოტა მალე დარწმუნდა, რომ კარლ-არტურს ბევრი არაფერი გაეგებოდა პასტორის უფლება-მოვალეობისა და დახმარება შესთავაზა. ახალგაზრდა პასტორი პირველ ხანებში გაურბოდა ამას, მაგრამ მერე და მერე ემადლიერებოდა კიდეც და ისე ხშირად მიმართავდა რჩევისათის, რომ შარლოტას ეს მეტისმეტადაც კი მოეჩვენა.

კარლ-არტურს ჩვეულებრივ შორ მანძილზე უხდებოდა სიარული, რათა მოენახულებინა ღატაკი, უმწეო მოხუცები, რომლებიც ღარიბულ ქოხმახებში ცხოვრობდნენ შორეულ ტყეებში, და მუდამ სთხოვდა შარლოტას, თან წამომყევიო. არწმუნებდა, შენ ბევრად უფრო გეხერხება ამ მოხუცებთან ლაპარაკი, მათი პატარა საწუხარების გაზიარება და გამხნევებაო.

სწორედ ამ ერთად სეირნობისას შეუყვარდა შარლოტას კარლ-არტური. ადრე მუდამ იმის ოცნებაში იყო, ტანად და მამაც ოფიცერს გაჰყოლოდა ცოლად, ახლა კი უზომოდ შეიყვარა თავმდაბალი, ხათრიანი ახალგაზრდა პასტორი, რომელსაც ჭიან-

ჭველისთვისაც არ დაებიჯებინა ფეხი და ურიგო სიტყვას ვერავინ წამოაცდენინებდა.

ერთხანს ისინი უშფოთველად განაგრძობდნენ ერთად სეირნობასა და ხანგრძლივ საუბრებს, მაგრამ ივლისის დამდეგს პასტორის ოჯახს ესტუმრა კარლ-არტურის და - ჟაკეტა ეკენსტედი. მისი ჩამოსვლა არავის გაჰკვირვებია. პასტორის მეუღლე, რეგინა ფორსიუსი, ბეატა ეკენსტედის ძველი მეგობარი იყო და, სავსებით ბუნებრივია, რომ მან რამდენიმე კვირით მიიპატიჟა კარლ-არტურის და თავის ოჯახში.

სტუმარს შარლოტას ოთახში დაუდეს ბინა და ქალიშვილები მალე გულითადი მეგობრები გახდნენ. ჟაკეტა ისე დაუახლოვდა შარლოტას, გეგონებოდათ, კორსჩურკაში ძმის სანახავად კი არა, მისი გულისთვის ჩამოვიდაო.

დიდ ხანს არ გაუვლია მას შემდეგ, რაც ჟაკეტა კარლსტადში დაბრუნდა, რომ პასტორის მეუღლემ ბეატა ეკენსტედისგან წერილი მიიღო, რომელიც მაშინვე წააკითხა შარლოტას, პოლკოვნიკის მეუღლე კარლსტადში ეპატიჟებოდა შარლოტას. ბეატა იწერებოდა, ჟაკეტა ერთთავად პასტორის სახლში გაცნობილ მომხიბლავ ქალიშვილზე ლაპარაკობს, ისე მოსწონებია, პირდაპირ ჭკუას კარგავს მისი გულისთვის; ისე აღფრთოვანებით გვიამბობს მის შესახებ, რომ მარტო ჩემს ქალიშვილს კი არა, მეც დამეუფლა წადილი და ძალიან მინდა მისი ნახვაო.

პოლკოვნიკის ცოლი იწერებოდა, რომ განსაკუთრებით აინტერესებდა შარლოტას გაცნობა, ვინაიდან ისიც ლიოვენშოლდების გვარისა ყოფილა. ქალიშვილი, რასაკვირველია, იმ უმცროსი შტოს წარმომადგენელია, რომელსაც ბარონის ტიტული არ ღირსებია, მაგრამ მათი მოდგმაც წარმოშობით ჰედებიუელ მხცოვან გენერალს უკავშირდება, ასე რომ, შორებელი, მაგრამ მაინც მოკეთეები ვყოფილვართო.

წერილი წაიკითხა თუ არა, შარლოტამ მტკიცედ განაცხადა, არ წავალო. ქალიშვილი ისე გულუბრყვილო არ იყო, ვერ მიხვედრილიყო, რომ ჯერ პასტორის ცოლმა და შემდეგ ჟაკეტამაც ბეატა ეკენსტედს ამცნეს კარლ-არტურთან მისი ურთიერთობის ამბავი, და ახლა იმიტომ გზავნიდნენ კარლსტადში, რომ პოლკოვნიკის ცოლს საკუთარი თვალით ენახა და გადაეწყვიტა, ღირსეული რძალი იქნებოდა თუ არა იგი მისთვის.

მაგრამ პასტორის ცოლიცა და უპირველესად თვით კარლა-არტურიც შეუჩნდნენ და მაინც დაიყოლიეს. იმხანად შარლოტა და კარლ-არტური მალულად უკვე დანიშნულები იყვნენ, და ვაჟმა უთხრა, რომ სამუდამოდ მისი მადლიერი იქნება, თუ დედამისს წადილს აუსრულებს. მან ხომ მშობლების ნებას გადაუხვია, როცა პასტორი გახდა, და თუმცა მათი ცოლქმრობის პირობას ვერაფერი ჩაშლის, რა თვალითაც უნდა შეხედონ იქ შარლოტას, მაინც არ უნდა, კიდევ ერთხელ აწყენინოს რაიმე დედ-მამას. ისე კი, ოდნავი ეჭვიც არ ეპარება, რომ ნახავენ თუ არა, მაშინვე გულით შეიყვარებენ თავიანთ სარძლოს. კარლ-არტურს არ ეგულება ისეთი ქალი, რომელმაც შარლოტაზე უკეთ იცოდეს ხნიერ ადამიანებთან საერთო ენის გამონახვა. ამიტომაც შეეთვისა ასე ძლიერ თავადაც, რაკი დაინახა, რა კეთილად ექცეოდა ცოლ-ქმარ ფორსიუსებს და სხვა მოხუცებს. ასე რომ, სწამდა, თუ შარლოტა კარლსტადში წავიდოდა, ყოველივე კეთილად დაგვირგვინდებოდა.

დიდხანს ეხვეწა, არწმუნა და ბოლოს მაინც დაითანხმა.

კარლსტადამდე მთელი ერთი დღის სავალი გზა იყო და ვინაიდან შარლოტას მარტო მგზავრობა არ შეშვენოდა, პასტორის ცოლმა ისე მოაგვარა საქმე, რომ ქარხნის მეპატრონე მუბერგერი, რომელიც ცოლთან ერთად ქორწილში მიდიოდა, დათანხმდა, თავისი კარეტით წაეყვანა იგი ქალაქში. პასტორის ცოლ-

მა ყურები გამოუჭედა შარლოტას თავისი გაუთავებელი რჩევა--დარიგებებით და ქალიშვილმაც პირობა მისცა, გონივრულად გავირჯებიო.

მაგრამ მთელი დღე დახურულ კარეტაში ვიწრო სკამზე ჯდომა და ცოლ-ქმარ მუბერგერების ყურება, რომლებიც თავიანთ კუთხეში მიმსხდარიყვნენ და ეძინათ, მართლაც კარგ გუნებაზე ვერ დააყენებდა კარლსტადში სტუმრად მიმავალ გოგონას.

ფრუ მუბერგერს გამკრავი ქარისა ეშინოდა და მხოლოდ ცალ მხარეს ჰქონდა ფანჯარა გაღებული, ზოგჯერ არც ეს მოსწონდა. რაც უფრო მეტად დაიხუთებოდა ჰაერი კარეტაში, მით უფრო გემრიელად ეძინა. ერთხანს შარლოტამ საუბრის გაბმა სცადა თანამგზავრებთან, მაგრამ მუბერგერები ისე მოექანცა სამგზავრო სამზადისს, ახლა მოსვენება ერჩიათ ყველაფერს.

შარლოტა მისდა უნებურად წარამარა აბაკუნებდა თავის პატარა ფეხებს კარეტის იატაკზე. მაგრამ აი, ფრუ მუბერგერმა თვალები გაახილა და საყვედურის კილოთი უთხრა, ეგებ ინებოთ და არ იხმაუროთო.

ფუნდუკებში რომ ჩერდებოდნენ, მუბერგერები სანოვაგის ჩანთას ხსნიდნენ, თვითონაც შეექცეოდნენ საჭმელს და, რა თქმა უნდა, შარლოტასაც იპატიჟებდნენ. მთელი მგზავრობის განმავლობაში გულთბილად ექცეოდნენ, მაგრამ მაინც ძალიან გაუჭირდა კარლსტადამდე გაძლება.

შარლოტა სულშეხუთული იჯდა კარეტაში და რაც დრო გადიოდა, მით უფრო უფუჭდებოდა გუნება. კარლსტადში იგი კარლ-არტურის ხათრით მიდიოდა, მაგრამ ახლა ეჩვენებოდა, თითქოს სიყვარული სადღაც გამქრალიყო და ვეღარ ხვდებოდა, რატომ დათანხმდა კარლსტადში წასვლას. იგი მხოლოდ იმიტომ მიიპატიჟეს რომ „გასინჯვა“ მოეწყოთ. ბევრჯერ ისიც კი გაივლო გულში, გავაღებ კარეტის კარს, გადავხტები და შინისკენ

მოვკურცხლავო. და თუ ადგილიდან არ დაძრულა, მხოლოდ იმიტომ, რომ უზომოდ დაღლილი და ქანცმილეული იყო.

ამრიგად ეკენსტედების სახლს რომ მიუახლოვდა, სულაც არ იყო გონივრულად მოქცევის ხასიათზე. პირიქით, მზად იყო, თავი აეშვა, ეკივლა, ეცეკვა ან რაიმე დაემსხვრია. ეს კარგ გუნებაზე დააყენებდა და სულიერ წონასწორობას აღუდგენდა. ჟაკეტა ეკენსტედი გულწრფელი სიხარულით შეხვდა, მაგრამ მის დანახვაზე შარლოტა მყის მიხვდა, რომ მას უგემოვნო, მოდისთვის შეუფერებელი ტანსაცმელი ეცვა, და რაც მთავარია, ფეხსაცმლის საქმე ჰქონდა ცუდად. სწორედ წამოსვლის ხანს შეაკერვინა და სოფლის ხარაზმა მთელი თავისი ოსტატობა ჩააქსოვა, მაგრამ სიარულისას მეტისმეტად ჭრაჭუნებდა და თანაც ტყავს მძაფრი სუნი ასდიოდა.

ჟაკეტამ რამდენიმე მდიდრულად მორთული ოთახი გაატარა და დედის ბუდუართან მიიყვანა. პარკეტის იატაკის, ვეებერთელა სარკეებისა და ლამაზი პანოების დანახვაზე შარლოტა მთლად მოეშვა და ჩაიფერფლა. მიხვდა, ამ სახლში იგი ვერ იქნებოდა სასურველი რძალი და მისი აქ ჩამოსვლა მიუტევებელი სისულელე იყო.

როდესაც შარლოტა პოლკოვნიკის ცოლთან შევიდა, კიდევ უფრო დარწმუნდა, ერთი ანდაზისა არ იყოს, არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი. ბეატა ეკენსტედი ფანჯარასთან იჯდა სარწეველა სავარძელში და ფრანგულ რომანს კითხულობდა. შარლოტა რომ დაინახა, რაღაც წარმოთქვა ფრანგულად. ალბათ, ჯერ კიდევ ამ წიგნზე ფიქრობდა და უნებურად მოუვიდა ეს. შარლოტამ ნათქვამი გაიგო, მაგრამ გულზე ბრაზი შემოენთო, რადგან იფიქრა, ამ მაღალი წრის მანდილოსანს, ალბათ, უნდა გამომცადოს, ვიცი თუ არა ენებიო, ჰოდა, სუფთა ვერმლანდური მდაბიური კუთხურით უპასუხა მის ფრანგულს.

იგი ლაპარაკობდა არა იმ ვერმლანდურით, რომელიც მიღებული იყო იქაურ დიდკაცობაში და რომელიც ადვილად გასაგებია ყველასთვის, არამედ მდაბიური, გლეხური კილოკავით - ეს კი სულ სხვა რამ არის.

ნებიერა მანდილოსანმა წარბები ოდნავ აწკიპა და აშკარად შეეტყო, თამაში მოეწონა. შარლოტა კი განაგრძობდა განსაცვიფრებელი ვერმლანდური კუთხურით ტიკტიკს; რადგან არც კივილი შეიძლება, არც ცეკვა და არც რაიმეს დამსხვრევა, იმით მაინც მოიოხებს გულს, რომ ვერმლანდურის ბუქს დააყენებს. საქმე მაინც წაგებულია, ჰოდა, იმას მაინც დაანახვებს, რომ სულაც არ ცდილობს მათ წინაშე თავის გამოჩენას და მათი გულის მოგებას.

შარლოტა გვიან ჩავიდა ქალაქში, ეკენსტედებს ვახშამი უკვე მოთავებული ჰქონდათ, პოლკოვნიკის ცოლმა ჟაკეტას დაავალა, სასადილო დარბაზში გაეყვანა თავისი მეგობარი გოგონა და იქ გამასპინძლებოდა.

ასე მიიწურა ის საღამო.

მეორე დღე კვირა იყო და ისაუზმეს თუ არა, მაშინვე ეკლესიაში გაეშურნენ წინამძღვარ შობორგის ქადაგების მოსასმენად. წირვა მთელი ორსაათ-ნახევარი გაგრძელდა. შემდეგ კი პოლკოვნიკი, პოლკოვნიკის ცოლი, ჟაკეტა და შარლოტა კარგა ხანს სეირნობდნენ კარლსტადის მოედანზე. უამრავი ნაცნობი შეხვდათ, ზოგი შორიდან სალამს არ სჯერდებოდა და მცირე ხანს მათთან ერთად ბოლთას სცემდა. ბეატა ეკენსტედს ამოუდგებოდნენ გვერდით და მხოლოდ მას ესაუბრებოდნენ, ჟაკეტა და შარლოტა კი ვითომც არ ყოფილიყვნენ იქ, ზედაც არავის შეუხედავს, ერთი სიტყვაც არავის გაუმეტებია მათთვის.

სეირნობის შემდეგ შინ დაბრუნდნენ. ოჯახურ სადილზე მასპინძლებს მოწვეული ჰყავდათ ეკლესიის წინამძღვარი და მრჩე-

ველი თავ-თავიანთი ცოლებით, ძმები სტაკეები, ევა ეკენსტედი თავისი პორუჩიკით.

სადილობისას პოლკოვნიკის ცოლი დარბაისლურად მასლაათობდა წინამძღვარსა და მრჩეველთან. ევასა და ჟაკეტას სიტყვაც არ დასცდენიათ, შარლოტაც დუმდა, რაკი მიხვდა, რომ ამ ოჯახში ახალგაზრდობა უფროსების საუბარში არ ერეოდა, მაგრამ სადილობისას იმის სურვილი ჰქონდა, ნეტავ ახლა სადმე შორს მამყოფა აქედანო. დადარაჯებული იყო, თუ შემთხვევა მიეცემოდა, დაემტკიცებინა კარლ-არტურის მშობლებისთვის, რომ, მისი აზრით, იგი სულაც არ იყო მათი ოჯახის შესაფერი სარძლო. რაკი მიხვდა, ვერმლანდურმა დიალექტმა არ გაჭრაო, გადაწყვიტა, უფრო ძლიერი ხერხისთვის მიემართა.

ასეთი მოგზაურობის, ასეთი ქადაგების, ასეთი სეირნობისა და ასეთი სადილობის შემდეგ აუცილებლად უნდა მიეხვედრებინა ისინი, რომ აქ დარჩენა აღარ სურდა.

ერთმა დიდად გაწაფულმა მოახლემ, რომელიც სუფრაზე ემსახურებოდათ, სინით ჟოლო ჩამოატარა, როგორც სხვებმა, შარლოტამაც გადმოიღო თეფშზე კენკრა, შემდეგ საშაქრეს მისწვდა და ჟოლოს დაშაქვრა დაიწყო.

შარლოტა ვერ მიხვდა, რომ შაქარი მეტი მოუვიდა, მაგრამ ჟაკეტამ იმწამს ჩაუჩურჩულა:

- მაგდენ შაქარს ნუ იყრი! დედაჩემს ეს არ მოსწონს.

შარლოტამ იცოდა, რომ ხნიერ ხალხს მიუტევებელ ფუფუნებად მიაჩნდა საჭმლის დაშაქვრა. შინ, კორსჩურკაში, ერთ კოვზ შაქარსაც ვერ აიღებდა ისე, პასტორს მაშინვე შენიშვნა არ მიეცა. ამიტომ ჟაკეტას ნათქვამი არ გაჰკვირვებია, მაგრამ ეს ხომ ხელსაყრელი შემთხვევა იყო, მიჰყოლოდა წინააღმდეგობის ბოროტი სულის ნებას, რომელმაც კორსჩურკიდან ჩამოსვლისთანავე შეიპყრო. ამიტომ უფრო ღრმად ჩაყო კოვზი საშაქ-

რეში და იმდენი შაქარი მოაყარა თავის ჟოლოს, თოვლის ნამქერს დაემსგავსა მისი თეფში.

სუფრაზე სრული სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა მიხვდა, რომ ამ ამბავს სასიკეთო შედეგი არ მოჰყვებოდა. დუმილი პოლკოვნიკის ცოლმა დაარღვია და თითქოს სასხვათაშორისოდ შენიშნა:

- თქვენთან კორსჩურკაში, ალბათ, ძალიან მჟავე ჟოლო იცის. ჩვენი ჟოლო კი სულაც არ არის ისეთი, დაშაქვრა არც კი სჭირდება.

შარლოტა მაინც თავისას განაგრძობდა, კვლავ აყრიდა და აყრიდა შაქარს თავის ჟოლოს. გულში კი ფიქრობდა: „მართალია, შეიძლება კარლ-არტური დავკარგო და სამუდამოდ გამოვეთხოვო ბედნიერებას, მაგრამ შაქრის ყრას მაინც არ მოვეშვები“.

ბეატა ეკენსტედმა ოდნავ მხრები აიჩეჩა და წინამძღვარს მიუბრუნდა საუბრის გასაგრძელებლად. აშკარად იგრძნობოდა, რომ საქმის გამწვავება არ სურდა. მაგრამ ახლა პოლკოვნიკმა აუბა მხარი ცოლს.

- ნამდვილად გემოს გაუფუჭებთ კენკრას, კეთილო ფროკენ შარლოტა.

ეს სიტყვები ითქვა თუ არა, შარლოტამ კოვზი განზე გადადო, ორივე ხელით აიღო საშაქრე და თავის თეფშზე გადმოაპირქვავა.

მერე ცარიელი საშაქრე ისევ თავის ადგილას დააბრუნა, კოვზიც შიგ ჩადო, წელში გაიმართა და გამომწვევად გადახედა სუფრას, აქაოდა, თუ ქარიშხალი ამოვარდება, მზად ვარ დასახვედრადო.

მაგრამ პოლკოვნიკის ცოლმა ხელი ასწია პროტესტის ნიშნად.

- არა, არა, არავითარ შემთხვევაში! - წარმოთქვა მან, - ასე არა!..

ერთხანს მდუმარედ იჯდა, თითქოს სათქმელი უნდა მოიფიქროსო. შემდეგ თვალებში ეშმაკურად ნაპერწკალმა გაუელვა და ალაპარაკდა, მაგრამ შარლოტას კი არ მიმართა, არამედ ტაძრის წინამძღვარს:

- ჩემი ბიძაშვილი ხართ და იქნებ გსმენიათ კიდეც ის ამბავი, დეიდაჩემი კლემენტინა როგორ გაჰყვა ცოლად გრაფ კრონფელტს? მათი მამები რიქსდაგში შეხვდნენ ერთმანეთს და შვილების დაქორწინებაზე მოილაპარაკეს, მაგრამ როცა ყველაფერი გადაწყვიტეს, ახალგაზრდა გრაფმა განაცხადა, სანამ საბოლოო პასუხს მოგცემდეთ, დამანახვეთ მაინც ჩემი საბედოო. დეიდა კლემენტინა ჰედებიუში ცხოვრობდა და რადგან სტოკჰოლმში მის მოულოდნელ გამგზავრებას შეიძლებოდა მითქმა--მოთქმა მოჰყოლოდა, გადაწყდა, გრაფი ბრუს სამრევლოში გამგზავრებულიყო, რათა ეკლესიაში ენახა იგი. რა თქმა უნდა, დეიდაჩემს არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო ახალგაზრდა, ლამაზ გრაფზე გათხოვებისა, მაგრამ როცა შეიტყო, ეკლესიაში მუშტარივით მოდის ჩემს სანახავადო, არაფრად ეჭაშნიკა. მისთვის რომ ეკითხათ, სულაც არ წავიდოდა იმ დღეს ეკლესიაში, მაგრამ ძველად ლაპარაკიც არ შეიძლებოდა იმაზე, რომ შვილებს ურჩობა გაეწიათ მშობლების ნება-სურვილისთვის. რაც შეიძლება ლამაზად მოირთეო, უბრძანეს, ეკლესიაში წადი და ლიოვენშოლდების მერხზე დაჯექი, რათა გრაფ კრონფელტმა და მისმა მეგობარმა კარგად დაგინახონო. და იცით, რა მოიმოქმედა? როგორც კი მნათემ ფსალმუნის გალობა დაიწყო, ისიც აჰყვა, მაგრამ საშინლად ყალბი ხმით, და ასე იმღერა ყველა ფსალმუნი, სანამ წირვა არ გამოვიდა. როცა კარიბჭეს გამოს-

ცილდა, იქ უკვე ელოდებოდა კრონფელტი. ახალგაზრდა გრაფი თავის დაკვრით მიესალმა და უთხრა:

„უმორჩილესად გთხოვთ, მაპატიოთ. ახლა კი მივხვდი, ლიოვენშოლდების გვარის ქალიშვილი არ დაუშვებს, რომ მუშტრის მოსაწონად ბაზრობაზე ჩამოყვანილი ცხენივით აჩვენონ ვინმეს“.

ეს უთხრა და გამოეთხოვა, მაგრამ მალე ისევ დაბრუნდა, ჰედებიუს მამულში ეახლა კლემენტინას და იქ გაეცნო, როგორც წესი და რიგია. ჯვარი დაიწერეს და ბედნიერად ცხოვრობდნენ. ეგებ ადრეც გსმენიათ ეს ამბავი?

- რასაკვირველია, მსმენია, მაგრამ ასე ლამაზად არავის უამბია, - მიუგო წინამძღვარმა, რომელიც ვერაფერს მიხვდა.

შარლოტა ყველაფერს მიხვდა. იჯდა და მოლოდინისგან აცახცახებული თვალს არ აშორებდა ბეატა ეკენსტედს. პოლკოვნიკის ცოლმა ერთი კი შეხედა, ნაზად გაუღიმა და ისევ წინამძღვარს მიუბრუნდა:

- ჩემო კეთილო, ხომ იცით, რომ დღეს ჩვენთან ერთად სუფრას უზის ყმაწვილი ქალი. იგი აქ იმისთვის ჩამოვიყვანეთ, რომ მე და ჩემმა ქმარმა გავიცნოთ და გადავწყვიტოთ, გამოდგება თუ არა იგი კარლ-არტურის ცოლად. მაგრამ ეს გოგონა, ჩემო კარგო, ნამდვილი ლიოვენშოლდია და სულაც არ მოსწონს, როცა მუშტრის თვალით უყურებენ. გარწმუნებთ, ჩემო კეთილო, რომ იმ წუთიდან მოყოლებული, როცა წუხელ ამ სახლში შემოვიდა, ცდილობდა, ყალბი ხმით ემღერა, სწორედ ისე, როგორც ეს დეიდაჩემმა კლემენტინამ მოიმოქმედა. და ახლა მე გრაფ კრონფელტივით მოვიქცევი - უმორჩილესად ვთხოვ, მაპატიოს, და დავძენ: მჯერა, ლიოვენშოლდების გვარის ქალიშვილი არ დაუშვებს, რომ მუშტრის მოსაწონად ბაზრობაზე მოყვანილი ცხენივით აჩვენონ ვინმეს.

ეს თქვა და ხელები გაიწვდინა შარლოტასკენ. ქალიშვილი იმწამსვე ყელზე შემოეჭდო და ბედნიერების, აღტაცებისა და მღელვარებისგან ატირებულმა აკოცა.

ამ წუთიდან შარლოტამ ლამის კარლ-არტურზე მეტად შეიყვარა სადედამთილო. ამ ქალის გულისთვის, იმისთვის, რომ განხორციელებულიყო მისი ოცნებები, დაიყოლია კარლ--არტური სწავლის გასაგრძელებლად უფსალაში დაბრუნებაზე. მისთვის არწმუნებდა, ამ ზაფხულს გამხდარიყო გიმნაზიის მასწავლებელი, რათა ღირსეული ადგილი დაეჭირა საზოგადოებაში და მთელი ცხოვრება ღატაკ სოფლის მღვდლად არ დარჩენილიყო.

ამ ქალის გულისთვის დასძლია თავისი სიამაყე და თავი დაიმდაბლა ამ დილით კარლ-არტურის წინაშე.

წერილი

შარლოტა ლიოვენშოლდი თავის ოთახში იჯდა ზემო სართულზე და წერილს სწერდა დედამთილს, ანუ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, იმ ქალს, ვისაც დღემდე თავის დედამთილად მიიჩნევდა - პოლკოვნიკის ცოლ ეკენსტედს.

წერდა დიდხანს, ფურცელს ფურცელზე ავსებდა. სწერდა იმ ერთადერთ ადამიანს, რომელიც ყოველთვის უგებდა მას: სწერდა, რათა აეხსნა ის, რის გაკეთებასაც აპირებდა.

ჯერ აუწერა შაგერსტრიომის მოსვლა ხელის სათხოვნელად და ყველაფერი, რაც ამის შემდეგ მოხდა. არც ბაღში გამართული საუბარი გამოუტოვებია, თან კიდევ სულაც არ უცდია თავის მართლება. აღიარა, რომ მეტისმეტად გააცეცხლა კარლ--არტური, მაგრამ ფიქრადაც არ ჰქონია განშორება.

ისიც აუწერა, დილით როგორ ისაუბრეს, და კარლ-არტურმა განსაცვიფრებელი ამბავი რომ უთხრა, დალეკარლიელი ქალიშვილი დავნიშნეო. უამბო, თუ როგორ ცდილობდა კვლავ მისი გულის მოგებას და მიაღწევდა კიდეც, მაგრამ ყველაფერი წყალში გადაეყარა იმ წყეული თაიგულის გამო.

შემდეგ მისწერა იმ უგუნური წერილის შესახებ, რომელიც კარლ-არტურმა გამოუგზავნა; ისიც ამცნო, რაც გადაწყვიტა ამის გამო, და იმედიც გამოთქვა, რომ დედამთილი გაუგებდა, ისევე როგორც ყოველთვის ესმოდა მისი იმ დღიდან მოყოლებული, როცა პირველად შეხვდნენ ერთმანეთს.

შარლოტას არჩევანი არა აქვს. ვიღაც ქალმა, რომლის ვინაობა ჯერ არ იცის, მაგრამ, ფიქრობს, რომ აქაური უნდა იყოს,

ცილი დასწამა ვერაგობაში, ორგულობასა და პატივმოყვარეობაში. ამისთვის სამაგიერო უნდა მიეგოს.

მაგრამ ვინაიდან შარლოტა ერთი ღარიბი გოგოა, სხვისი ხელში შემყურე, ვინაიდან მას არც მამა ჰყავს, არც ძმა, რომლებიც გამოექომაგებიან, თვითონ უნდა გაუსწორდეს შეურაცხმყოფელს.

შესწევს კიდეც თავის დაცვის უნარი. ვინმე უხეირო, უენო ქალი ხომ არ არის - ნემსისა და ცოცხის მეტი არაფერი ემარჯვებოდეს. თოფის გატენაც შეუძლია და სროლაც, განა ის არ იყო, რომ შარშან შემოდგომაზე ნადირობისას ერთი გასროლით მიწაზე დასცა ვეებერთელა ცხენირემი.

ყველა, ყველა, მაგრამ გამბედაობაში ტოლს არავის დაუდებს. ერთხელ ბაზრობაზე მაგარი სილა ხომ გააწნა ერთ არამზადას, რომელიც თავის ცხენს აწვალებდა. ის კი იფიქრა, ვაითუ, დანა ამოიღოს და ჩამცხოსო, მაგრამ მაინც ხომ ლეწა სილა.

იქნებ პოლკოვნიკის ცოლმა გაიხსენოს, რომ ერთხელ მან, შარლოტამ, თავისი ბედ-იღბალი სასწორზე დადო, როცა საჯინიბოდან უკითხავად გამოიყვანა პასტორის საყვარელი ცხენები, რათა შობის მეორე დღეს სოფლელ ბიჭებთან ერთად დოღში მიეღო მონაწილეობა. ბევრი ვერ გაბედავდა მსგავს რამეს.

განა მტრად არ გადაიკიდა საძაგელი კაპიტანი ჰამარბერგი, როცა წვეულების დროს სუფრაზე მის გვერდით დაჯდომა იუარა, რადგან არ ძალუძდა მთელი სადილობის განმავლობაში ესაუბრა ისეთ ადამიანთან, რომელმაც ცოტა ხნის წინ ბანქოს თამაშში თავისი მეგობარი გაატყავა და თვითმკვლელობამდე მიიყვანა. თუ შარლოტას გამბედაობა ჰყოფნიდა, ასე მოქცეულიყო ისეთი რამის გულისთვის, რაც სულაც არ ეკითხებოდა, რატომღა დაიხევს უკან, როცა საქმე პირადად მას ეხება.

ქალი გრძნობს, რომ საზიზღარი პიროვნება, ვინც ჩირქი მოსცხო კარლ-არტურის თვალში, ალბათ, იმდენად ბილწია, რომ ჰაერსაც კი წამლავს; სადაც გამოჩნდება, ეტყობა, შუღლსა და მტრობას ჩამოაგდებს, მისი სიტყვები გველივით იგესლება. ამიტომ, ვინც ბოლოს მოუღებს ამ ურჩხულს, ხალხის მადლს მოისხამს.

როგორც კი კარლ-არტურის წერილი წაიკითხა და მის შინაარსს ჩასწვდა, იმწამსვე მიხვდა, რაც უნდა მოემოქმედა. ახლავე ოთახში შევალ და თოფს გამოვიტანო, გაიფიქრა. თოფი გატენილი იყო. ჩამოიღებდა კედლიდან და მხარზე გადაიკიდებდა.

წინ ვერავინ დაუდგებოდა. ძაღლს დაუძახებდა და ყველას ისე მოაჩვენებდა თავს, თითქოს ტბაზე მიდიოდა იმის სანახავად, ხომ არ წამოიზარდნენო უკვე იხვები. მერე კი კარ-მიდამოს გასცილდებოდა თუ არა, სოფლისკენ გადაუხვევდა, რადგან, უეჭველია, იქ ცხოვრობს ის ასპიტი, რომელმაც გესლი ჩააწვეთა გულში კარლ-არტურს.

გადაწყვეტილი ჰქონდა იმ სახლის წინ გაჩერება, სადაც ის გესლიანი ქალბატონი ცხოვრობდა, და მისი გარეთ გამოძახება, როგორც კი ზღურბლზე გამოჩნდებოდა, პირდაპირ გულში დაახლიდა ტყვიას და იქვე გააცხებინებდა სულს.

დამნაშავის ვინაობა რომ სცოდნოდა, სამაგიეროც უკვე გადახდილი ექნებოდა, მაგრამ იძულებულია, დაელოდოს, ვიდრე სიმართლეს არ დაადგენს. პირველ წუთებში მზად იყო, კარლ--არტურივით მოქცეულიყო - თოფით ხელში გასულიყო შარაზე იმ იმედით, რომ ღმერთი თვითონ შეახვედრებდა დამნაშავეს, მაგრამ მერე მაინც გადაიფიქრა. ასე იქნებ ნამდვილი დამნაშავე დაუსჯელი დარჩესო, ეს კი წარმოუდგენლად მიაჩნდა.

არც იმას ჰქონდა აზრი, რომ კარლ-არტურთან მისულიყო ფლიგელში და ეკითხა, ვის ელაპარაკა წუხელ. რა, კარლ--

არტური არც ისე გულუბრყვილო იყო, რომ ქალბატონის ვინაობა გაეცა.

ამიტომ ეშმაკობა არჩია. ისე მოიქცა, თითქოს მშვიდად არის; მშვიდად და აუღელვებლად. ამ გზით უფრო მალე გამოსტყუებს საიდუმლოს.

ეს რომ გადაწყვიტა, ცოტა დაშოშმინდა. გაცეცხლებულ გულზე შაგერსტრიომის თაიგული ნაკუწ-ნაკუწად რომ აქცია, ახლა იმ ვარდის ფურცლები მოკრიფა და სანაგვე ყუთში გადაყარა. თავს ძალა დაატანა, იატაკზე დაგდებული საქორწინო ბეჭედი მოეძებნა, კარლ-არტურმა რომ დაუბრუნა.

შემდეგ თავის ოთახში ავიდა. რაკი საათი მხოლოდ რვის ნახევარს უჩვენებდა და საუზმობისას კარლ-არტურთან შეხვედრამდე საკმაო დრო ჰქონდა, გადაწყვიტა, წერილი მიეწერა თავისი საყვარელი დედამთილისთვის.

როდესაც ეს წერილი კარლსტადში ჩავა, ყველაფერი დამთავრებული იქნება. მისი გადაწყვეტილება მტკიცეა. მაგრამ კიდევ კარგი, ახლა დრო აქვს და შეუძლია ყოველივე აუხსნას ერთადერთ ადამიანს, ვის აზრსაც დიდად აფასებს, და უთხრას, რომ სამუდამოდ ერთგული იქნება თავისი მეგობრისა და დედისა, რომელიც ამქვეყნად ყველაზე მეტად უყვარს.

წერილი დაამთავრა და გადაიკითხა. მკაფიოდ და ჭკვიანურად იყო დაწერილი. იმედი ჰქონდა, პოლკოვნიკის ცოლი დაიჯერებდა, შარლოტა უდანაშაულოა, რომ ცილი დასწამეს, და მას უფლება აქვს, შური იძიოს.

მაგრამ წერილის გადაკითხვისას შარლოტა მიხვდა, რომ საკუთარი უდანაშაულობის მტკიცებით კარლ-არტურის საქციელს ჩრდილს აყენებდა.

რაც უფრო მეტჯერ გადაიკითხა წერილი, მით მეტად აფორიაქდა. ეს რა უქნია, რა დაუწერია! მერე პოლკოვნიკსა და მის მეუღლეს გული რომ მოუვიდეთ კარლ-არტურზე?

სულ ახლახან მშობლების რისხვისგან უნდოდა დაეფარა, ახლა თვითონვე ამხედრებს მათ წინააღმდეგ.

მისი დაკნინებით მოინდომა აღზევება. აქაოდა, თვითონ დიდსულოვნად და გონივრულად იქცეოდა, კარლ-არტურზე კი ისე ლაპარაკობს, ლამის ჭკუიდან შეშლილი ეგონოთო.

განა ასეთი წერილის გაგზავნა უნდოდა კარლ-არტურის დედისთვის? დედისთვის, რომელსაც გაგიჟებით უყვარს თავისი შვილი!

არა, ალბათ, მართლა თვითონ შეიშალა ჭკუიდან.

ნუთუ შესწევს ძალა ესოდენი მწუხარება მიაყენოს სათაყვანებელ დედამთილს? ანდა ეგებ დაავიწყდა ის ლმობიერება, რომელსაც ბეატა ეკენსტედი მუდამ იჩენდა მისდამი? ანდა ეგებ მთელი მისი სიკეთე დაავიწყდა?

შარლოტამ შუაზე გადახია ვრცელი წერილი და ახლის დაწერა დაიწყო. ყველაფერს თვითონ დაიბრალებს, კარლ-არტურს კი გადაარჩენს.

იგი მხოლოდ ისე მოიქცევა, როგორც წესი და რიგი მოითხოვს. კარლ-არტური დიად საქმეთათვისაა დაბადებული და შარლოტას უნდა უხაროდეს, რომ ყოველგვარი ბოროტებისგან იცავს მას.

თუმცა, კარლ-არტურმა უარყო, მაგრამ მას კვლავინდებურად უყვარს და მზადაა ისევ ძველებურად იზრუნოს მასზე, დაეხმაროს ყველაფერში.

ახალი წერილის წერას შეუდგა. „ჩემს ღირსპატივსაცემ დედამთილს ვემუდარები, ძალიან ნუ დამძრახავს...“

მაგრამ აქ კი წაუბორძიკდა კალამი. ამის შემდეგ რაღა დაწეროს? ტყუილი არ სჩვეოდა, მწარე სიმართლის შერბილება კი ძნელი იყო.

სანამ იმას ფიქრობდა, როგორ გავაგრძელო წერილიო, საუზმის ზარიც ჩამოჰკრეს. ფიქრის დრო აღარ იყო.

აიღო და ამ ერთადერთ წინადადებას მოაწერა ხელი, წერილი დაკეცა და დააწება. ქვევით ჩავიდა, საფოსტო ყუთში ჩააგდო და სასადილო ოთახისკენ გაეშურა.

თანაც გაიფიქრა, რაღაში მჭირდება იმ ქალის ვინაობის გაგება, რაკი მინდა პოლკოვნიკის ცოლმა დამიჯეროს და სინამდვილეში მზად ვარ, ყველაფერი დავიბრალო, სხვისი დასჯა რაღა საჭიროაო.

ზეციურ სამყაროში

I

პასტორის ოჯახში სადილსა და ვახშამზე უფრო ხალისიანი დილის საუზმე იყო, რომლის დროსაც მიირთმევდნენ ახალ კვერცხსა და კარაქიან პურს, რძის შეჭამანდს მადისმომგვრელი ნაღებით, ზედ აყოლებდნენ ერთ ყლუპ ყავას და ისეთ შესანიშნავ ერბოზელილ კრენდელებს, რომელთა უგემრიელესს მთელ სამრევლოში ვერავინ აცხობდა. ლოგინიდან ახალამდგარი მოხუცი პასტორი და მისი მეუღლე ჩვიდმეტი წლის გოგო-ბიჭივით მხიარულობდნენ. გამოძინება ძალას მატებდათ და დაღლილობას, რომელიც დღის ბოლოს თავს იჩენდა ხოლმე, დილით არ გრძნობდნენ. ოხუნჯობდნენ ერთმანეთში, ეხუმრებოდნენ ახალგაზრდებს.

მაგრამ ამ დილით, რასაკვირველია, სულაც არ იყვნენ ხუმრობის გუნებაზე. მოხუცები ახალგაზრდებზე იყვნენ გამწყრალი. ჯერ იყო და, შარლოტამ გაანაწყენა, როცა უარი უთხრა შაგერსტრიომს, მერე კიდევ ახალგაზრდა პასტორმა დასწყვიტა გული, როცა წინასწარ გაუფრთხილებლად არც სადილად მოვიდა და არც ვახშმად.

შარლოტა რომ შემოცქრიალდა სასადილო ოთახში, ყველანი უკვე სუფრას უსხდნენ. ის იყო, მიჩენილ ადგილას უნდა დამჯდარიყო, რომ პასტორის ცოლმა მკაცრი შეძახილით შეაჩერა:

- ასეთი ხელებით გინდა დაჯდე სუფრასთან?

შარლოტამ თითებზე დაიხედა, რომლებიც საშინლად გათხუპნოდა იმდენი წერის დროს.

- უუჰ, მართლაც! - წამოიძახა სიცილით, - სავსებით მართალი ბრძანდებით, დეიდა რეგინა, მომიტევეთ!

ოთახიდან გავიდა და მალევე შემობრუნდა ხელდაბანილი და სულაც არ ეტყობოდა წყენა, თუმცა, საყვედური საქმროს გასაგონად უთხრეს.

პასტორის ცოლმა გაკვირვებით შეხედა.

„რა მოუვიდა? - გაიფიქრა მოხუცმა ქალმა, - ხან ანკარასავით სისინებს, ხან კიდევ მტრედივით ღუღუნებს. მოდი და რამე გაუგე ახლანდელ ახალგაზრდებს?“

კარლ-არტურმა დრო იხელთა და ბოდიში მოიხადა გუშინდელი დაგვიანებისთვის. თავი იმართლა, სასეირნოდ რომ წავედი, სიარულის დროს დაღლილობა ვიგრძენი და გორაკზე წამოვწექი, მერე კი ჩემდა უნებურად ჩამძინებოდა და როცა გამეღვიძა, მივხვდი, სადილობა კი არა, ვახშმობაც გადასული იყოო.

პასტორის ცოლს დიდად ეამა კარლ-არტურის მობოდიშება და შემწყნარებლური კილოთი მიუგო:

- არ უნდა მოგრიდებოდა, კარლ-არტურ. ვახშამი მომთავრებულიც რომ გვქონოდა, მაინც რაღაცას მოგიხერხებდით დასანაყრებლად.

- კეთილი გული გაქვთ, დეიდა რეგინა.

- ამიტომ ახლა ორი ულუფა გერგება, რომ გუშინდელი აინაზღაუროო.

- თქვენ მეტისმეტად კეთილი ხართ, მაგრამ უნდა გითხრათ, გუშინ სულაც არ მიშიმშილია. გზად ორგანისტთან გამოვიარე და ფრუ სუნდლერმა მავახშმა.

ამის თქმა იყო და ჩუმი წამოძახილი მოისმა იმ ადგილიდან, სადაც შარლოტა იჯდა. კარლ-არტურმა მაშინვე მისკენ გაიხედა და სახეზე ალმურმა გადაუარა. ფრუ სუნდლერი არ უნდა ეხსენებინა. წამოვარდება ახლა შარლოტა და იყვირებს, ახლა კი ვიცი, ვინც გამჭორაო, და ატყდება ერთი აურზაური.

მაგრამ შარლოტა არ განძრეულა. ნირიც არ შეუცვლია. კარლ-არტურს რომ არ სცოდნოდა, რამდენ ვერაგობას მალავდა ეს ნათელი შუბლი, თამამად იტყოდა, მთელი მისი არსება რაღაც შინაგანი შუქითაა გაცისკროვნებულიო.

სხვათა შორის, სულაც არ იყო გასაკვირი, რომ შარლოტა აცვიფრებდა სუფრაზე მსხდომთ. მართლაც უჩვეულო რამ სჭირდა.

მაგრამ, ვგონებ, უჩვეულო არც კი ეთქმოდა მის მდგომარეობას. ალბათ, ბევრ ჩვენგანს განუცდია მსგავსი რამ, როცა ხანგრძლივი და ამაო მოწადინების შემდეგ ბოლოს და ბოლოს მოგვიხერხებია მძიმე რამ ვალის მოხდა ან კიდევ ნებაყოფლობით აღგვიკვეთია რაიმე. საეგებისო არცაა, რომ ამ დროს მძიმე დარდი ლოდივით გვაწევს გულზე. არ გვშველის არც გულის გამხნევება, არც იმის შეგნება, რომ გონივრულად და სამაგალითოდ მოვიქცეთ. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი თავგანწირვა მხოლოდ ახალ ჭირ-ვარამს მოგვიტანს. მაგრამ ანაზდად, ვიგრძნობთ, რომ უცებ გული გაგვილაღდა და სიხარულით აგვიჩქროლდა, სრული ნეტარება ეუფლება მთელ ჩვენს არსებას. თითქოს სასწაულებრივად ვცდილობთ ჩვენს საყოველდღეო „მე“-ს, აინუნშიც აღარ ვაგდებთ რაიმე უსიამოვნებას; უფრო მეტიც - დარწმუნებული ვართ, რომ ამ წუთიდან უშფოთველად ვივლით ცხოვრების გზაზე და ვერავითარი ძალა ვეღარ დათრგუ-

ნავს იმ მშვიდსა და მოზეიმე სიხარულს, რომლითაც აღსავსეა ჩვენი სული.

სწორედ ასეთი რამ დაემართა შარლოტას, როცა სუფრასთან იჯდა. მწუხარებამ, ბრაზმა, შურისგების წადილმა, შელახულმა თავმოყვარეობამ, შებღალულმა სიყვარულმა - ყოველივე ამან უკან დაიხია იმ უზომო სიხარულის წინაშე, რომელიც დაეუფლა, როცა ირწმუნა, რომ საყვარელი ადამიანის გულისთვის წირავდა თავს.

ამ წუთებში იგი აღივსო ნაზი თანაგრძნობითა და სიბრალულით. ყოველი კაცი აღტაცების ღირსად მიაჩნდა. ადამიანთა მოდგმისადმი სიყვარულმა მოიცვა მთელი მისი არსება.

იგი შესცქეროდა პასტორ ფორსიუსს, ამ თვალციმციმა, სუფთად გაპარსულ, მაღალშუბლიან, ხმელ-ხმელ ბერიკაცს. უნივერსიტეტის პროფესორს უფრო ჰგავდა იგი, ვიდრე მღვდელს, და მართლაც, ახალგაზრდობაში თურმე მეცნიერული კარიერისთვის ემზადებოდა. დაიბადა იგი მეთვრამეტე საუკუნეში, როდესაც ჯერ კიდევ ქუხდა ლინეის სახელი; შეისწავლა საბუნებისმეტყველო მეცნიერება და ბოტანიკის პროფესორი იყო ლუნდში, როცა კორსჩურკაში პასტორის ადგილი შესთავაზეს.

ამ სამრევლოს პასტორობა თაობიდან თაობაზე გადადიოდა ფორსიუსების გვარში. ეს თანამდებობა მამიდან შვილს ფიდეიკომისივით გადაეცემოდა, და ვინაიდან ბოტანიკის პროფესორი პეტრუს ფორსიუსი გვარის უკანასკნელი წარმომადგენელი იყო, დაჟინებით სთხოვეს და თითქმის აიძულეს კიდეც ადამიანთა სულებზე ეზრუნა, ყვავილები კი მიეტოვებინა.

ყოველივე ეს ადრეც იცოდა შარლოტამ, მაგრამ წინათ არასოდეს უფიქრია იმაზე, რა მძიმე მსხვერპლი იქნებოდა ბერიკაცისთვის საყვარელ საქმეზე ხელის აღება. მაგრამ მის ძარღვებში იმდენი ღირსეული ღვთისმსახურის სისხლი ჩქეფდა, რომ

თითქოს პასტორად დაბადებულიყოს, ისე შესანიშნავად ასრულებდა თავის მოვალეობას. შარლოტას ასე ეგონა, არ ამხელს, მაგრამ ბევრ რამეში მაინც ეტყობა სინანული, რომ საშუალება არ მიეცა თავის მოწოდებას გაჰყოლოდაო. მას შემდეგ, რაც თანაშემწე დაუნიშნეს, სამოცდათხუთმეტი წლის მოხუცი კვლავ მიუბრუნდა საყვარელ ბოტანიკას. მცენარეებს აგროვებდა, აწებებდა, აწესრიგებდა თავის ჰერბარიუმს, მაგრამ არც სამრევლოს საქმეები მიუტოვებია. ყველაზე მეტად იმაზე ზრუნავდა, რომ თემში მშვიდობა ყოფილიყო, რომ შუღლი და მტრობა არ გამეფებულიყო და გონება არ ამღვრეოდა ხალხს. სულ იმის ცდაში იყო, მყისვე აღეკვეთა რაიმე უთანხმოების მიზეზი. ამიტომ ეწყინა საყვედური, რომელიც მიიღო გუშინ შაგერსტრიომმა შარლოტასგან. მაგრამ გუშინ სრულიად სხვა აზრი ჰქონდა შარლოტას. გუშინ მეტისმეტად ფრთხილ და მშიშარა ბერიკაცად მიაჩნდა პასტორი, დღეს კი ყველაფერს სხვა თვალით უყურებდა.

ხოლო პასტორის ცოლი...

შარლოტამ მზერა ოჯახის მოხუც დიასახლისზე გადაიტანა. პასტორის ცოლი ერთი ახოვანი, ძარღვიანი ქალი იყო, ყოვლად ულაზათო გარეგნობისა. თმა, რომელშიც ჯერ კიდევ არ გარეოდა ჭაღარა, თუმცა, თითქმის ქმრის კბილა იყო, შუაზე ჰქონდა გაყოფილი, ყურებზე ჩამოშვებული და შემალული შავი ტიულის ჩაჩის ქვეშ, რომელიც თითქმის ნახევარ სახეს უმალავდა. შარლოტას ეჭვი ჰქონდა, რომ განგებ აკეთებდა ამას, რადგან არაფერი ჰქონდა დასაკვეხნი. მოხუცის აზრით, ალბათ, ისიც კმაროდა, რომ ადამიანები დამტკბარიყვნენ მისი პაწაწა თვალების, პაჭუა, ნესტოებამობრუნებული ცხვირის, ფუნჯების მსგავსი წარბების, საკმაოდ დიდი პირისა და გამობურცული წვეტიანი ყვრიმალების მზერით.

საერთოდ კუშტი ქალი იყო, მაგრამ თუ შინაურებს მკაცრად ექცეოდა, თავის თავს ხომ სულ არ ინდობდა. სამრევლოში ამბობდნენ, პასტორის ცოლი ფორსიუსი სულს ინათლებს და ხორცს იგვემსო. ქარგვით ან ქსოვით როდი ირთობდა თავს დივანზე წამომჯდარი. მუდამ მძიმე სამუშაოსკენ მიიწევდა და გულს რომ მოიოხებდა გარჯით, ნამდვილ კმაყოფილებას მაშინ გრძნობდა. ჯერ არავის შეუსწრია მისთვის ისეთი ურგები საქმიანობისას, როგორიცაა, ვთქვათ, რომანების კითხვა ან ფორტეპიანოზე ბრახაბრუხი. რად იცის ამ ქალმა საქმეზე ეგრე გადაკვდომაო, ფიქრობდა ხოლმე შარლოტა. ამ დილით კი უზომოდ აღტაცებული იყო მისით. მართლაც, რა სჯობია იმას, ადამიანი თავს არ იზოგავდეს და ღრმა სიბერემდე სულ გარჯაში იყოს, დღენიადაგ სახლის სისუფთავესა და წესრიგზე ზრუნავდეს, სხვა რა გინდა ამ ცხოვრებისგან, თუ მუშაობის უნარი და საშუალება გაქვს.

რეგინა ფორსიუსი სულაც არ იყო კუშტი ხასიათის მოხუცი. სულ უბრალო ხუმრობაზეც გულიანად იცინოდა ხოლმე, თვითონ ხომ ისე ენაწყლიანად იცოდა თავშესაქცევი ამბების მოყოლა, მსმენელები სიცილით იხოცებოდნენ!

პასტორის ცოლი ისევ კარლ-არტურს ესაუბრებოდა ფრუ სუნდლერზე. სტუმრად ვიყავით მასთან, უთხრა კარლ-არტურმა, დედამისი მალვინა სპააკი, ჩვენი ოჯახის ძველი მეგობარი ყოფილაო.

- რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! - გამოეპასუხა რეგინა ფორსიუსი, რომელიც ვერმლანდში ისედაც ყველას იცნობდა, განსაკუთრებით კარგ მეოჯახე ქალებს, - გამრჯე და საზრიანი ქალი იყო მალვინა.

კარლ-არტური შეეკითხა, განა დედამისს არ ჰგავს მისი ქალიშვილიო?

- მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ოჯახს კარგად უვლის, - მიუგო პასტორის ცოლმა, - მაგრამ, მგონი, ცოტა წაისულელებს!

- წაისულელებს? - გაიკვირვა კარლ-არტურმა.

- ხო, ვფიქრობ ასეა. აქაურებს არ უყვართ. ერთხელ მეც გამოველაპარაკე. იცი, რა მითხრა გამომშვიდობებისას, კარლ-არტურ? თვალები მინაბა და მეუბნება: „დეიდა რეგინა, როცა ვერცხლისფერ ღრუბელს დაინახავთ, ოქროსფრად შემოქობილს, მაშინ მომიგონეთ!“ აი, რა მითხრა. ნეტავ რას უნდა ნიშნავდეს მისი ნათქვამი?

როდესაც პასტორის ცოლმა ამის მოყოლა დაიწყო, ოდნავ გაიღიმა. მართლაც სასაცილო ამბავი იყო. აბა, ვინ იქნებოდა ისეთი ჭკუათამყოფელი, რომ ამ ქალისთვის ეთქვა, ოქროსფრად შემოქობილ ღრუბლებს ადევნე თვალიო.

მაგრამ აშკარად ეტყობოდა, რომ რეგინა ფორსიუსი ახლა სიცილს განგებ იკავებდა. მტკიცედ გადაეწყვიტა, ამ დილით მაინც შუბლი არ გაეხსნა. შარლოტა ატყობდა, როგორ უძალიანდებოდა ეს ქალი სიცილს, როგორ არ უნდოდა დათმობა. და აი, უცებ მთელი სახე აუთამაშდა, პატარა თვალები კიდევ უფრო დაუწვრილდა, ნესტოები გამოებერა, თავს ვეღარ მოერია და ბოლოს მაინც წასკდა სიცილი, მაგრამ რა სიცილი. სახე მოეპრანჭა და ნებას მიშვებული სხეული ხალისიანად აუთახთახდა.

უნებურად ყველა აჰყვა და ახარხარდა. თავის შეკავება შეუძლებელი იყო. შარლოტამ გაიფიქრა, ვინც ამ ქალს სიცილის დროს ნახავს, მაშინვე შეიყვარებს. მახინჯად როდიღა მოგეჩვენებათ, მადლიერების გრძნობით აღივსებით მისდამი ასეთი გადამდები მხიარულებისთვისო.

II

ნასაუზმევს, როცა კარლ-არტური სასადილო ოთახიდან გავიდა, რეგინა ფორსიუსმა შარლოტას უთხრა, პასტორი ამ დილით „ტბის აგარაკზე“ აპირებსო წასვლას და თუმცა ქალიშვილი კვლავაც შინაგან აღმაფრენას განიცდიდა, ამ ამბავმა მაინც ცოტა შეაკრთო. ქარხნის მეპატრონესთან პასტორის ვიზიტი კარლ-არტურს ხომ ეჭვს განუმტკიცებდა. მაგრამ მალე დაიმშვიდა გული. იგი ახლა ზეციურ სამყაროში ნანაობდა და ყოველივე, რაც მიწაზე ხდებოდა, დიდად აღარც აინტერესებდა.

ზუსტად თერთმეტის ნახევარზე პარმაღს საკმაოდ ტევადი კარეტა მოადგა. პასტორი ფორსიუსი, მართალია, წალიკად შებმული ეტლით არ დადიოდა, მაგრამ მისი ნორვეგიული, ჩორთით მოსიარულე შავფაფრიანი, შავკუდიანი, ხალებიანი რუხი ცხენები და შავ ლივრეაში მოხდენილად გამოწყობილი წარმოსადეგი მეეტლე კარგი შესახედი იყო. ზედმეტად ნაპატივებ ცხენებს სიმსუქნე შეჰპაროდათ, თორემ ისე წუნი არ დაედებოდათ. აი, დღესაც კი ყოყმანობდა, ამ ცხენებით გამგზავრებულიყო თუ არა. სიამოვნებით წავიდოდა ერთცხენიანი ეტლით, მაგრამ არ შეშვენოდა.

პასტორის ცოლი და შარლოტა იმ დილით თერთმეტი საათისთვის ყავაზე მიიპატიჟა აფთიაქარ გრობერგის ცოლმა, რომელიც დაბადების დღეს იხდიდა, და რადგან „ტბის აგარაკისკენ“ მიმავალი შარა სოფლის ახლოს გადიოდა, გადაწყვიტეს პასტორის ეტლით გაევლოთ გზის ერთი ნაწილი. კარ-მიდამოს

ჭიშკარს რომ გასცდნენ, შარლოტა პასტორს მიუბრუნდა და, თითქოს უცებ რაღაც აზრმა გაუელვა თავშიო, უთხრა:

- დღეს დილით თქვენ და დეიდა რეგინა ჯერ კიდევ არ იყავით ამდგარი, ქარხნის მეპატრონე შაგერსტრიომმა მშვენიერი ვარდების თაიგული გამომიგზავნა. თუ გნებავთ, ჩემი მადლობა გადაეცით ჰერ შაგერსტრიომს.

ადვილი წარმოსადგენია მოხუცი ცოლ-ქმრის სიხარული და გაკვირვება. თითქოს ლოდი გადავარდნოდეთ გულიდან. ახლა კი აღარ დაირღვევა მშვიდობა სამრევლოში. შაგერსტრიომი, როგორც ჩანს, სრულიადაც არ გრძნობს თავს შეურაცხყოფილად, თუმცა, უდავოა, აქვს ამის სურვილი.

- მერედა აქამდე ვერ თქვი! - წამოიძახა რეგინა ფორსიუსმა, - პირდაპირ საოცარი ადამიანი ხარ!

ასეა თუ ისე, პასტორის ცოლი დიდად აღაფრთოვანა ამ ამბავმა. მაშინვე გამოჰკითხა ქალიშვილს, ვინ მოიტანა ჩვენთან ის თაიგული, ლამაზი იყო თუ არა, წერილი ხომ არ იდო შიგო და სხვა ამდაგვარი რამეები.

პასტორმა კი მხოლოდ თავი დაუქნია შარლოტას და აღუთქვა, რომ მის მადლობას უეჭველად გადასცემდა ქარხნის მეპატრონეს. ეტყობოდა, დიდი შვება იგრძნო.

შარლოტამ იმწამსვე გაიფიქრა, ვგონებ, ცოტა ავჩქარდიო. მაგრამ ამ დილით ისეთ გუნებაზე იყო, ვისაც კი მისწვდებოდა მისი სიკეთე, ყველას გაბედნიერებას ეშურებოდა. დაუოკებელი სურვილი ჰქონდა, მსხვერპლად შესწირვოდა სხვის ბედნიერებას.

იმ ადგილას რომ მივიდნენ, სადაც გზა სოფლის შარაგზიდან განზე უხვევდა, კარეტა გაჩერდა და ქალები ჩამოვიდნენ. კარლარტური სწორედ აქ შეხვდა ლამაზ დალეკარლიელ ქალიშვილს.

როცა შარლოტას სოფელში უხდებოდა წასვლა, ამ ადგილას მუდამ შეჩერდებოდა ხოლმე, რათა დამტკბარიყო მომხიბლავი ხედით. ლანდშაფტის შუაგულში მდებარე პატარა ტბა აქედან უკეთ მოჩანდა, ვიდრე პასტორის კარ-მიდამოდან, რომელიც უფრო დაბლობში იყო. მკაფიოდ ჩანდა ტბის ყველა ნაპირი, რომლებიც სულ სხვადასხვანაირი იყო. დასავლეთის მხარეს, იქ, სადაც ახლა პასტორის ცოლი და შარლოტა იდგნენ, ვრცელი მინდვრები გადაჭიმულიყო, სოფლების სიმრავლეზე ეტყობოდა, რომ ამ ნოყიერ ველზე უხვი მოსავალი იცოდა. ჩრდილოეთით პასტორის კარ-მიდამო დაინახეს, რომელსაც აგრეთვე კარგად დამუშავებული ხოდაბუნები ერტყა გარს. ჩრდილო--აღმოსავლეთით კი ფოთლოვანი ტყეები იწყებოდა, აქ მდინარეც მოქუხდა თავისი ჩანჩქერით, ხეებს შორის შავი სახურავები და მაღალი მილები ჩანდა. აქ მუშაობდა ორი დიდი სამთო ქარხანა, რომლებიც სახნავ-სათესსა და ტყეებზე მეტად უწყობდნენ ხელს ამ კუთხის გამდიდრებას. სამხრეთით მწირი, უკაცრიელი მხარე იშლებოდა თვალწინ. ტყით შემოსილი გორაკების მეტს იქ ვერაფერს დაინახავდით. ისეთივე ლანდშაფტი ჰქონდა აღმოსავლეთ ნაპირსაც. ტბის ეს ნაწილიც უღიმღამო და ერთფეროვანი იქნებოდა, მდიდარ ქარხნის მეპატრონეს გორაკის ფერდობზე, შუაგულ ტყეში, თავისი კარ-მიდამო რომ არ გაეშენებინა. ნაძვნარში ჩადგმული მაღალი თეთრი სახლი საოცრად ლამაზი იყო. პარკის ხეები ისე ოსტატურად იყო დარგული, რომ შორიდან მაღალი გალავნით შემოზღუდული, მიუვალი ციხე-კოშკი გეგონებოდათ. მარგალიტივით ბრწყინავდა ეს სახლ-კარი ამ მიდამოში და უიმისოდ შეუძლებელიც კი იქნებოდა აქაურობის წარმოდგენა.

შარლოტა ახლა ზეციურ სამყაროში ლივლივებდა და ერთხელაც არ გაუხედავს არც ტბისკენ, არც ამ შესანიშნავი კარ--

მიდამოსკენ. სამაგიეროდ, პასტორის ცოლი, რომელიც არასოდეს ყოფილა ბუნების დიდი მოტრფიალე, ამჯერად რატომღაც შედგა და ირგვლივ მიმოიხედა.

- გავჩერდეთ ცოტა ხანს! - უთხრა შარლოტას, - დავტკბეთ ბერგჰამრის ყურებით! წარმოგიდგენია, ხალხი ამბობს, „ტბის აგარაკი“ მალე კიდევ უფრო დიდი და ლამაზი გახდებაო. და იცი რა, ჩემთვის რომ ეთქვათ, შენი საყვარელი ადამიანი ასეთ ადგილას ცხოვრობსო, ბედნიერი ქალი ვიქნებოდი.

მეტი არაფერი უთქვამს. იდგა, სასოებით გულზე დაეკრიფა დანაოჭებული ხელები და თავს აქნევდა.

შარლოტა მშვენივრად მიუხვდა ნართაულს და მყის მიუგო:

- რაღა თქმა უნდა, განა რამე სჯობს ამ შუაგულ ტყეში ცხოვრებას, სადაც ერთ სულიერ არსებასაც ვერ ნახავ. აბა, ისაა საქმე, ჩვენ რომ ვცხოვრობთ მთავარი საფოსტო გზის პირას?

ამის პასუხად პასტორის ცოლმა, რომელსაც უყვარდა მგზავრების თვალიერება, ეშმაკურად თითი დაუქნია.

- კარგი, კარგი, გეყოფა!

შემდეგ შარლოტას ხელი გამოსდო და ასე გაჰყვნენ სოფლის კოხტა ქუჩას, რომლის ორივე მხარეს ისეთი სახლები იყო წამოჭიმული, გეგონებოდათ, მთელი დიდკაცობა აქ დასახლებულაო. თითო-ოროლა უბადრუკი ქოხი მხოლოდ ქუჩის დასაწყისში შეხვდათ. ღარიბები უმეტესად ტყიან ფერდობებზე ცხოვრობდნენ და მათი სახლები ქუჩიდან არ მოჩანდა. ხის ძველებური საყდარი მაღალი სამრეკლოთი და ცადაზიდული სადგისისებური წვეტით, სასამართლოს შენობა, სამრევლოს საბჭო, ხალხით სავსე ფუნდუკი, ექიმის სახლი, გზიდან ცოტა მოშორებით - მოსამართლის სახლი, რამდენიმე შეძლებული გლეხის ეზო-კარი, ქუჩის ბოლოში - თითქოსდა მისი ჩამკეტი აფთიაქის შენობა - ყოველივე ეს მარტო იმას კი არ მოწმობდა, რომ კორსჩურკა მდიდარი

სოფელი იყო, არამედ იმასაც, რომ აქაურები დროს ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ, გონივრულად საქმიანობდნენ და საუკუნეს არ ჩამორჩებოდნენ.

მაგრამ პასტორის ცოლი და შარლოტა, რომლებიც ხელი-ხელგამოდებულები მშვიდად მიაბიჯებდნენ სოფლის ქუჩაზე, გუნებაში ღმერთს მადლობას სწირავდნენ, კიდევ კარგი, რომ სოფელში არ ვცხოვრობთო. აქ ხომ ყველა მეზობლებითაა გარშემორტყმული, და ცხვირსაც ვერ გამოყოფ გარეთ, რომ მაშინვე არ დაგინახონ და თვალი არ გაგაყოლონ, აბა, საით აპირებს წასვლასო. ყოველთვის, როცა სოფელში მისვლა უხდებოდათ, მაშინვე გული უკან მიუწევდათ და თავიანთ კარ-მიდამოს ნატრობდნენ, სადაც თვითონვე იყვნენ საკუთარი თავის ბატონ--პატრონნი. რეგინასაც და შარლოტასაც არაერთხელ უთქვამთ, სოფელში რომ ჩავდივარ, ჩემს ქერქში არა ვარ და მხოლოდ მაშინ ვგრძნობ შვებას, როცა შინისკენ მიმავალ გზას დავადგები და შორიდანვე თვალს მოვკრავ უზარმაზარ ცაცხვებს, პასტორის კარ-მიდამოს რომ არტყამს ირგვლივო.

და აი, აფთიაქსაც მიადგნენ. ეტყობოდა, ცოტა დაიგვიანეს. ჭრიალა ფიცრულ კიბეზე რომ ადიოდნენ, ისეთი გაცხარებული ლაპარაკი შემოესმათ, თითქოს ფუტკრები ზუზუნებდნენ სკაში.

- ეტყობა, მოხსნეს გუდას პირი, - თქვა პასტორის ცოლმა, - ერთი ყური დაუგდე, რა დღეში არიან, რას კრიახობენ. ნამდვილად რაღაც ამბავია.

შარლოტა შუა კიბეზე შედგა.

აქამდე ერთხელაც არ მოსვლია აზრად, რომ უკვე ყველამ იცოდა მასთან შაგერსტრიომის მოსვლა ხელის სათხოვნელად, ნიშნობის ჩაშლა და კარლ-არტურის დაწინდვა დალეკარლიელ ქალიშვილთან. ახლა კი გულში გაუელვა, ვაითუ, სწორედ ამ ამ-

ბებზე ლაპარაკობენ აფთიაქარის ცოლთან ასე გაცხარებით და ხმამაღლაო.

„ალბათ, ორგანისტის უძვირფასესმა მეუღლემ ცა და ქვეყანას მოსდო თავისი ჭორები, - გაიფიქრა მან, - კარგი მესაიდუმლე კი გაუჩენია კარლ-არტურს“.

მაგრამ უკან დაბრუნება გულშიაც არ გაუვლია. როგორ, უკან დაიხიოს ამ ჭორიკანა ქალების წინაშე? სხვა დროც რომ იყოს და სხვა ვითარებაც, მაშინაც არ გააკეთებდა ამას, მით უმეტეს, ახლა, როცა აღარაფრად აგდებს ქირდვასა და კილვას.

ახალმოსული სტუმრები რომ დაინახეს, სასტუმრო ოთახში შეკრებილი მანდილოსნები მყის დადუმდნენ, მხოლოდ ერთ მოხუც ქალს აეწია საჩვენებელი თითი ზევით, გაცხარებით რაღაცას უმტკიცებდა გვერდით მჯდომს და გაიძახოდა:

- ვაი ჩვენს მოსწრებას! ეს რა ხდება ამ ქვეყანაზე, ჩემო დაიკო!

დამხვდურთ აშკარად შეეტყოთ შეცბუნება. ჩანს, მათთვის მოულოდნელი იყო სტუმრების მოსვლა პასტორის ოჯახიდან.

აფთიაქარის ცოლი გულთბილად შეხვდა მოსულებს. რეგინა ფორსიუსმა არაფერი იცოდა, შარლოტასა და კარლ-არტურს შორის მომხდარ ამბავზე, თუმცა, უსიამოვნო ამბავი კი იაზრა. მიუხედავად იმისა, რომ პასტორის ცოლი სამოცდაათი წლისა იყო, მოცეკვავესავით მოქნილი მუხლები ჰქონდა და შემოსვლისთანავე მდაბალი სალამი მისცა იქაურ საზოგადოებას, შემდეგ რიგრიგობით ჩამოუარა ყველას და თითოეულს კვლავ რევერანსი გაუკეთა. შარლოტა, რომელსაც სტუმრები ცუდად დაფარული ცხვირაბზუებით შეხვდნენ, ფრუ ფორსიუსს უკან მიჰყვებოდა და იმავეს იმეორებდა, თუმცა, მისებრ დაბლა ვერ იხრებოდა, ამ მხრივ პასტორის ცოლთან შეჯიბრება მართლაც შეუძლებელი იყო.

გოგონამ მალე შეამჩნია, რომ ყველა ერიდებოდა, როდესაც ფინჯანი ყავა აიღო და ფანჯარასთან მაგიდას მიუჯდა, არავინ ინდომა მის გვერდით თავისუფალ სკამზე დაჯდომა. იგივე განმეორდა, როცა ყავის დალევის შემდეგ ქალებმა ხელჩანთებიდან თავიანთი საქსოვ-საქარგავი ამოალაგეს. ამჯერადაც განმარტოებული იჯდა, სხვები ისე იქცეოდნენ, თითქოს ვერც ამჩნევდნენ მის იქ ყოფნას.

მის ახლომახლო ჯგუფ-ჯგუფად ისხდნენ ქალები, თავი ისე დაეხარათ, რომ მათი ტიულის ჩაჩების მაქმანები და ფურჩალები ერთმანეთში გადახლართულიყო. ყველანი ჩურჩულით ლაპარაკობდნენ, რათა შარლოტას არ გაეგონა მათი ნათქვამი, მაგრამ დროდადრო მაინც ისმოდა ხმამაღალი წამოძახილი:

- ვაი ჩვენს მოსწრებას! ეს რა დრო დაგვიდგა, რაები ხდება ამ ქვეყანაზე, ჩემო დაიკო!

ალბათ, ერთმანეთს უამბობდნენ, ჯერ რომ უარი უთხრა შარლოტამ შაგერსტრიომს, მერე კი ინანა და ვერაგული კინკლაობა დაუწყო საქმროს, რათა გაეცეცხლებინა და გულმოსულს მასვე ეთქვა უარი ცოლქმრობის პირობაზე. დახეთ, რა ეშმაკური ფანდია. საქმროს თავი უნდა შეერცხვინა, მასზე კი ვერავინ იტყოდა, ღარიბ საბედოს ზურგი შეაქცია, რათა მდიდარი მემამულის ცოლი გამხდარიყო. მართლაც მოახერხებდა, ალბათ, ამ ოინბაზური განზრახვის განხორციელებას და საყოველთაო გაკიცხვის თავიდან აცილებას, ორგანისტის ცოლს რომ არ ამოეცნო მისი ოინები.

შარლოტა ხმას არ იღებდა, ქალების ბუტბუტს ყურს უგდებდა, მაგრამ ერთხელაც არ მოსვლია აზრად, ამდგარიყო და თავი ემართლებინა. იმ შინაგანმა აღმაფრენამ, რომელიც ამ დილით დაეუფლა, ახლა უმაღლეს წერტილს მიაღწია. ტკივილს არ

გრძნობდა, ზეციურ სამყაროში იმყოფებოდა მიწიერი ამბებისთვის მიუწვდომელი.

მთელი ეს გესლიანი მონაჩმახი კარლ-არტურს მოსცხებდა ჩირქს, თვითონ რომ არ აფარებოდა წინ. მაშინ ხომ ყოველ კუთხე-კუნჭულში ასე იტყოდნენ: „ვაი ჩვენს მოსწრებას, გაიგეთ? ახალგაზრდა ეკენსტედს უარი უთქვამს თავისი საცოლისთვის. გაგონილა! გზაზე გავარდნილა და პირველი შემხვედრი ქალი დაუნიშნავს! თქვენ როგორ ფიქრობთ, ჩემო დაიკო, განა შეიძლება, ასეთი ადამიანი პასტორად დარჩეს კორსჩურკაში? რას ჰგავს ეს! რას იტყვის ეპისკოპოსი?“

შარლოტას უხაროდა, რომ ყველაფერი ეს ახლა მის წინააღმდეგ შეტრიალდა.

ასე მარტოდმარტო იჯდა და გული სიამით ევსებოდა. ამ დროს ერთი ფერმკრთალი, ტანმორჩილი, გამხდარი ქალი მივიდა მასთან.

ეს იყო მისი და, მარია-ლუიზა ლიოვენშოლდი, რომელიც ცოლად ჰყავდა ექიმ რომელიუსს. მარია-ლუიზა ექვსი შვილისა და ლოთი ქმრის პატრონი გახლდათ. მთელი ათი წლით უფროსი იყო შარლოტაზე და დებს არასოდეს ჰქონიათ ერთმანეთთან განსაკუთრებული სიახლოვე.

შარლოტასთვის არაფერი უკითხავს, პირდაპირ დაუჯდა და ბავშვის წინდის ქსოვა დაიწყო. ტუჩები მაგრად ჰქონდა მოკუმული. ეტყობოდა, ტყუილუბრალოდ არ მიუჯდა დას ახლოს. ერთხანს ასე მდუმარედ ისხდნენ. დროდადრო მათ ყურთასმენას ისევ ის წამოძახილები სწვდებოდა: „ვაი ჩვენს მოსწრებას!

ცოტა ხნის შემდეგ დაინახეს, რომ ფრუ სუნდლერი პასტორის ცოლს მიუჯდა გვერდით და ჩურჩულით დაუწყო.

- ახლა დეიდა რეგინაც შეიტყობს ამ ამბავს, - თქვა მარია--ლუიზამ.

შარლოტამ წამოსადგომად წამოიწია, მაგრამ უცებ გონს მოეგო და ისევ დაჯდა.

- მარია-ლუიზა, - მიმართა დას, - ერთი გამაგებინე იმ მალვინა სპააკის ამბავი. მგონი, გულთმისნობასა თუ წინასწარმეტყველებაზე იყო ლაპარაკი, არა?

- არა მგონია, ეგრე ყოფილიყოს. თუმცა, მთლად კარგად აღარც მე მახსოვს, რაში იყო საქმე. თითქოს ხატზე გადაცემულები იყვნენ ლიოვენშოლდებიო.

- ხომ არ შეგიძლია გაიგო, რაში იყო საქმე?

- რატომაც არა. სადღაც შენახული უნდა მქონდეს ძველი ჩანაწერები, მაგრამ როგორც უნდა იყოს, ჩვენ არაფერ შუაში ვართ. ისინი ჰედებიუელი ლიოვენშოლდები არიან.

- მადლობელი ვარ! - უთხრა შარლოტამ და დები ისევ დადუმდნენ.

ამდენმა მითქმა-მოთქმამ, ეტყობა, მოთმინება დაუკარგა ფრუ რომელიუსს. იგი შარლოტასთან მივიდა, დაიხარა და წასჩურჩულა:

- მე ყველაფერი მესმის. კარლ-არტურის ხათრითაა, ხმას რომ არ იღებ. მე კი შემეძლო მეთქვა მათთვის, სინამდვილეში როგორც იყო საქმე.

- ღვთის გულისათვის, კრინტი არ დასძრა! - შიშნარევი ხმით წამოიძახა შარლოტამ, - მე რაც მომივა, მომივიდეს! კარლ--არტური კი სხვაა! მას დიდი მომავალი აქვს.

მარია-ლუიზამ მაშინვე გაუგო დას. მას უყვარდა თავისი ქმარი, თუმცა, პირველივე დღიდან მისი ლოთობის გამო უბედურების მეტი არაფერი უნახავს. მაგრამ ჯერ კიდევ იმედოვნებდა, რომ ქმარი გამოსწორდებოდა და სასწაულებს მოახდენდა თავისი სამკურნალწამლო ხელოვნებით.

დადგა სტუმრების დაშლის დრო და როცა ქალები წინა ოთახში გავიდნენ, ზორზოხა თეა მაშინვე პასტორის ცოლთან მიიჭრა, მანტილიის მოხურვაში შეეშველა და შლაპაზე ბაფთებიც კი შეუკრა.

შარლოტა, რომელიც ჩვეულებრივ ყოველთვის ეხმარებოდა ხოლმე ჩაცმაში თავის მოხუც მეგობარ ქალს და სხვას არავის უთმობდა ამას, ფერმიხდილი იდგა და ხმას არ იღებდა. ქუჩაში რომ გამოვიდნენ, თეა სუნდლერი აქაც დაწინაურდა და ხელკავი გამოსდო პასტორის ცოლს. შარლოტას ისღა დარჩენოდა, განცალკევებით ევლო მათ გვერდით.

ფრუ სუნდლერი დღეს განსაკუთრებით ცდილობდა, მოთმინებიდან გამოეყვანა შარლოტა, მაგრამ გოგონას იმედი ჰქონდა, ორგანისტის სახლს რომ მივაღწევთ ქუჩის ბოლოში, მაშინ ხომ ჩამოგვშორდებაო.

ეს იმედიც გაუცრუვდა, რადგან იმ სახლს კი მიაღწიეს, მაგრამ ფრუ სუნდლერმა ახლა პასტორის კარ-მიდამომდე მოინდომა მათი გაცილება, აქაოდა, ოთახში ამდენი ჯდომის შემდეგ ჰაერზე გასეირნება მესიამოვნებაო.

პასტორის ცოლს უარი არ უთქვამს და გზა განაგრძეს. შარლოტას არც ახლა ამოუღია ხმა; მხოლოდ ცოტა აუჩქარა ნაბიჯს, რომ დაწინაურებულიყო და აღარ ესმინა ორგანისტის ცოლის დათაფლული და მომაბეზრებელი ლაპარაკი.

შაგერსტრიომი

ხელმოცარული რომ ბრუნდებოდა პასტორის კარ--მიდამოდან, შაგერსტრიომს მთელი გზა ღიმილი არ მოსცილებია სახიდან. მეეტლისა და ლაქიის ერიდებოდა, თორემ გულიანად იხარხარებდა, ასეთი ოინი რომ უყვეს - ღარიბი კომპანიონისთვის სიკეთე უნდოდა და შეურაცხყოფილი კი დარჩა.

- ისე კი, მართალი იყო, - ბუტბუტებდა თავისთვის ქარხნის მეპატრონე, - ღმერთმანი, მართალი იყო, ეშმაკმა დალახვროს. მე თვითონ რატომ ერთხელაც არ ვიფიქრე ამაზე, როცა ხელის სათხოვნელად მივდიოდი. ისე კი ძალიან მოუხდა გაბრაზება, - განაგრძობდა იგი მსჯელობას, - ამ მხრივ მაინც დამიფასდა გარჯა. ესიამოვნა, ასე გალამაზებული რომ ვიხილე.

გავიდა ცოტა ხანი და შაგერსტრიომმა გაიფიქრა, თუმცა, მეტისმეტად სულელურად მოვიქეცი ამ ქალიშვილთან, მაგრამ სულაც არ ვნანობ, რადგან ბოლოს და ბოლოს ერთ ადამიანს მაინც წავაწყდი, რომელიც აინუნშიაც არ აგდებს, კორსჩურკაში ყველაზე მდიდარიაო.

მართლაც, შარლოტამ ლაქუცი როდი დაუწყო, არც კი შეიმჩნია, რომ მის წინაშე მილიონერი იყო, და ისე ელაპარაკა, ვითომც ერთი გაღლეტილი ვინმე ყოფილიყოს.

„მაინც რა ხასიათი ჰქონია! - გაიფიქრა მან, - ისე კი, სულაც არ მინდა, აუგად მომიხსენიოს, ღმერთმა დამიფაროს. მე, რასაკვირველია, მეორედ მისი ხელის მთხოვნელი აღარ ვარ, მაგრამ მაინც მინდა ვაგრძნობინო, არც ისე სულელი ვარ, ეგეთი მწარე გაკვეთილი გულში წყენად ჩავიდო“.

მთელი დღე იმას ფიქრობდა, როგორ გამოესყიდა თავისი უღირსი ქცევა. და ბოლოს, თითქოს მოიფიქრა კიდეც. ახლა კი აღარ მოიქცეოდა წინადაუხედავად. გადაწყვიტა, ჯერ ყველაფერი მოემზადებინა და სათანადო ცნობებიც შეეკრიბა, რათა კვლავ არ გაცუცურაკებულიყო.

საღამო ხანი იყო, როცა გადაწყვიტა, აღარ გადაედო ეს საქმე და თავაზიანობის ნიშნად ყვავილები გაეგზავნა შარლოტასთვის. თუ თაიგულს მიიღებს, შემდგომში უფრო გამიადვილდება მასთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებაო. ეს გაიფიქრა თუ არა, მაშინვე ბაღში ჩავიდა.

- ერთი ლამაზი თაიგული მინდა გამიკეთოთ, - მიმართა მებაღეს, - აბა, ერთი ვნახოთ, რას ამომირჩევთ.

- ყველაზე უკეთესი, რაც გვაქვს, წითელი მიხაკებია. შუაში მიხაკები იყოს, გარშემო კი ლევკოიონები, ცოტა რეზედაც გავურიოთ.

- მიხაკები, ლევკოიონები, რეზედა! - უკმაყოფილოდ წამოიძახა შაგერსტრიომმა, - ყვავილები ყველას აქვს თავის ეზოში. ისღა დაგაკლდათ, რომ მაჩიტელა ან ზიზილა გეთქვათ!

ასევე დაიწუნა ქარხნის მეპატრონემ დევისპირა, დეზურა, კესანე.

ბოლოს ერთ პატარა ვარდის ბუჩქთან გაჩერდა, რომელიც მთლად გადაპენტილი იყო გაშლილი ყვავილებითა და კოკრებით. განსაკუთრებით ეამებოდა თვალს კოკრები. ვარდის ნაზი ფურცლები მორცხვად ამოწვერილიყვნენ და პაწაწინა ფოთლებს ჰგავდნენ.

- ჰო, მაგრამ, ჰერ, ეს ხომ ასფურცელა ვარდია! წელს პირველად ყვავის! ჩვენთან, ჩრდილოეთში, ძნელად ხარობს. მთელ ვერმლანდში არ მოიძევება მეორე ასეთი ბუჩქი!

- აი, სწორედ ეს არის, რაც მე მინდა. თაიგული პასტორის ოჯახში უნდა გავგზავნო, მას ეზოში, თქვენც იცით, ყველანაირი ჯიშის ვარდი აქვს, ასეთი კი არა.

- ოო, ეგ სხვა საქმეა! - სიხარულით მიუგო მებაღემ, - მაშ, პასტორის ოჯახში გინდათ გაგზავნოთ? ძალიან მეამება, ჩემს ასფურცელა ვარდებს თუ ნახავს პასტორი. მან კი იცის ამისი ფასი და ყადრი.

ასე დაიკრიფა საბრალო ვარდები, რომელთაც პასტორის ოჯახში შავი დღე მოელოდა.

კორსჩურკელ პასტორს კი, როცა მეორე დილით „ტბის აგარაკს“ ეწვია, მშვენივრად შეხვდნენ.

თავდაპირველად ეს ტანმორჩილი ბერიკაცი დაძაბული იყო და მეტისმეტი რიდით იქცეოდა, თუმცა, სინამდვილეში, შაგერსტრიომივით ისიც გულღია და პირდაპირი კაცი იყო. მაგრამ სულ მალე ორივე მიხვდა, რომ ასეთი შორიშორობა ზედმეტი იყო და ისეთი გულითადი საუბარი გააბეს, როგორც ძველ მეგობრებს შეეფერებოდა.

შაგერსტრიომმა ისარგებლა შემთხვევით და შარლოტას ამბავი გამოიკითხა. დაინტერესდა მისი მშობლებით, ქონებით, განსაკუთრებით შარლოტას საქმროთი, ისიც იკითხა, რა მომავალი ელისო. პასტორის თანაშემწეს, ალბათ, იმდენი შეძლება არა აქვს, რომ ცოლი შეინახოს. დაწინაურების იმედი თუ აქვსო ახალგაზრდა ეკენსტედს?

პასტორი დიდად გააკვირვა მისმა შეკითხვებმა, მაგრამ ვინაიდან შარლოტას საჩუმათო არაფერი სჭირდა, და რაც შაგერსტრიომს აინტერესებდა, ისედაც ყველამ იცოდა, ბერიკაციც მიუკიბ-მოუკიბავად, ამომწურავად პასუხობდა ქარხნის მეპატრონეს.

„ეს კაცი კომერსანტია, - ფიქრობდა პასტორი, - ყაირათიანობის თვალით ზომავს. ახლანდელ დროში, ალბათ, ეგეთი წესია“.

ბოლოს და ბოლოს, შაგერსტრიომმა მთავარი სათქმელიც თქვა. იგი სამთამადნო ქარხნების მეპატრონეთა გამგეობის თავმჯდომარეა და უფლება აქვს, დანიშნოს ქარხნის პასტორი. რამდენიმე კვირის წინ იქ ვაკანსია გამოჩნდა. ჯამაგირი, რასაკვირველია, ძალიან დიდი არ არის, მაგრამ პასტორს გვარიანი კარ-მიდამო ერგება, და ვინც იქ ადრე ცხოვრობდა, ბედს არ უჩიოდა. როგორ ფიქრობს პასტორი, ხომ არ გამოდგებოდა ეს ადგილი ახალგაზრდა ეკენსტედისთვის?

ამ წინადადებამ ძალიან გააკვირვა პასტორი ფორსიუსი, მაგრამ ბერიკაცს ეშმაკობა არ აკლდა და ჯეროვნადაც შეიფერა.

დინჯად ამოიღო საბურნუთე, გახსნა, ბურნუთით გამოიტენა ვეება ცხვირი, აბრეშუმის ცხვირსახოცით მოიწმინდა და მხოლოდ ამის შემდეგ უპასუხა:

- ჰერ, თქვენი ყურადღების ღირსი რომ გამხდარიყოს, მასზე უკეთეს ახალგაზრდას ვერც იპოვიდით.

- მაშ, საქმე გადაწყვეტილია, - მიუგო შაგერსტრიომმა.

პასტორმა საბურნუთე ჯიბეში შეინახა. გულზე მოეშვა, რამხელა სასიხარულო ამბავს ჩაიტანს ახლა შინ! შიშით ფიქრობდა ხოლმე შარლოტას მომავალზე. თუმცა, პასტორი დიდად აფასებდა თავის თანაშემწეს, მაგრამ ის კი არ მოსწონდა, რომ კარლ-არტური სულაც არ ფიქრობდა დაწინაურებაზე, რაც საშუალებას მისცემდა, ოჯახს მოჰკიდებოდა.

ანაზდად სათნო მოხუცმა ასეთი სიტყვებით მიმართა შაგერსტრიომს:

- ჰერ, თქვენ გიყვართ ადამიანისთვის სიხარულის მინიჭება. ჰოდა, სანახევროდ ნუ გააკეთებთ ამას! წამობრძანდით ჩვენთან და თვითონვე უთხარით ახალგაზრდებს ეგ ამბავი. წამობრძან-

დით და საკუთარი თვალით იხილეთ მათი ბედნიერება. ჰერ შაგერსტრიომ, გულით მინდა, განიცადოთ ეს სიხარული.

პასტორის წინადადება რომ მოისმინა, შაგერსტრიომს სახე გაებადრა. ეტყობოდა, დიდად ეამა ასეთი რამ.

- მაგრამ უხერხული ხომ არ იქნება ჩემი წამოსვლა? - ყოყმანით თქვა მან.

- უხერხული!.. სულაც არა! ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია! ასეთი ამბავი მიიტანოთ და ეგ იქნება უხერხული?

შაგერსტრიომი, ის იყო, უნდა დათანხმებულიყო, მაგრამ უცებ რაღაც გაახსენდა და შუბლზე შემოირტყა ხელი:

- სულ გადამავიწყდა, არა, ვერ წამოვალ. დღეს შორს მივემგზავრები საქმეებზე. ორ საათზე მოვა დაბარებული კარეტა.

- უჰ, რას ბრძანებთ! - წამოიძახა პასტორმა, - რა გულდასაწყვეტია! მაგრამ მესმის, უპირველესად - საქმე.

- ღამის გასათევად ოთახებიც კი შევუკვეთე მეფუნდუკეებს, - სინანულით წარმოთქვა შაგერსტრიომმა.

- ეგებ ისე მოვიქცეთ, ჰერ, რომ ახლავე წავიდეთ ჩემი კარეტით. აქვე მიცდის, - მიუგო პასტორმა, - ხოლო თქვენი კარეტა ჩვენთან გამოივლის დანიშნულ დროს.

ასეც გადაწყვიტეს. ჰორსიუსი და შაგერსტრიომი პასტორის კარეტით გაემგზავრნენ კორსჩურკაში, ხოლო შაგერსტრიომმა განკარგულება გასცა, ჩანთაში სურსათ-სანოვაგე ჩაელაგებინათ, ბარგი შეეკრათ და ამ საქმეს რომ მორჩებოდნენ, მისი კარეტა პასტორთან გაეგზავნათ.

გზაში ისე მხიარულობდნენ, როგორც ბაზრობაზე მიმავალი გლეხები.

- მე რომ მკითხოთ, შარლოტა არც კი იმსახურებს თქვენს წყალობას, - უთხრა პასტორმა, - მით უმეტეს, თუ გავიხსენებთ, როგორ მოგექცათ გუშინ, ჰერ!

შაგერსტრიომმა გადაიხარხარა.

- ახლა იგი ფრიად უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდება, - განაგრძობდა პასტორი, - ძალიან მაინტერესებს, როგორ დაიძვრენს თავს. აი, ნახეთ, ჰერ, ისეთ ოინს მოიგონებს, სხვებს რომ სიზმრად არ მოელანდებათ. ა-ჰა-ჰა, რა სეირი იქნება!

კორსჩურკაში მისულებმა სინანულით შეიტყვეს მოახლეებისგან, რომ მოხუცი ქალბატონი და შარლოტა ჯერ კიდევ არ დაბრუნებულიყვნენ დღეობიდან. მაგრამ პასტორმა იცოდა, რომ წუთი წუთზე უნდა მოსულიყვნენ და ამიტომ შაგერსტრიომი თავის ოთახში შეიპატიჟა ქვედა სართულზე. დღეს მას აზრადაც არ მოსვლია, ზევით, სასტუმრო ოთახში, აეყვანა სტუმარი.

პასტორს ორი ოთახი ეჭირა: ერთი - დიდი და ცივი, მისი სამუშაო კაბინეტი გახლდათ. ვეებერთელა საწერი მაგიდა, გვერდით მიდგმული ორი სკამით, ტყავის გრძელი დივანი და სქელი საეკლესიო წიგნებით სავსე წიგნების თარო - სულ ეს იყო მისი კაბინეტის მოწყობილობა; თუ არ ჩავთვლით რამდენიმე დიდ კაქტუსს ფანჯრის რაფაზე. შამაგიეროდ, მეორე ოთახი საგანგებოდ მოეწყო და მოეკაზმა პასტორის ცოლს სათაყვანებელი მეუღლისთვის. იატაკზე ეფინა შინნაქსოვი ხალიჩა, ავეჯი ლამაზი და მოხერხებული იყო: რბილი დივნები, სავარძლები და მრავალუჯრიანი საწერი მაგიდა, კედლებზე გრძელი წიგნის თაროები ეკიდა; გარდა ამისა, აქვე ელაგა გამხმარი ყვავილებით გავსებული უამრავი მუყაოს ყდა, ამას ზედ დავუმატოთ ჩიბუხების მთელი კოლექცია.

სწორედ ამ ოთახში აპირებდა პასტორი შაგერსტრიომის შეპატიჟებას, მაგრამ სანამ კაბინეტს გაივლიდნენ, კარლ-არტური დაინახეს, რომელიც ვეებერთელა კანტორულას მისჯდომოდა და სქელ დავთარში იწერდა მიცვალებულთ და ახალშობილთ.

მათ შემოსვლაზე კარლ-არტური ფეხზე წამოდგა და შაგერ-სტრიომს გაეცნო.

- დღეს მაინც არ მოგიწევთ ხელმოცარული გაბრუნება აქე-დან, - გესლიანად მიმართა სტუმარს მისალმებისას.

განა გასაკვირია, რომ შაგერსტრიომის დანახვაზე საშინლად აფორიაქდა კარლ-არტური? განა შეეძლო გულში არ გაევლო, რომ პასტორმაც, პასტორის ცოლმაც, შარლოტამაც პირი შეკ-რეს, რათა კვლავ ეხმოთ საქმრო, რომელსაც გუშინ ნაჩქარევად უარი უთხრეს? თუ აქამდე მხოლოდ ეჭვი ეპარებოდა შარლოტას კეთილსინდისიერებაში, განა ახლა, როცა თვით პასტორმა მო-იყვანა თავის კარ-მიდამოში ახალი საქმრო, საბოლოოდ არ უნ-და დარწმუნებულიყო სიმართლეში? რასაკვირველია, მისთვის უკვე სულერთი იყო, ვის გაჰყვებოდა შარლოტა, მაგრამ ასეთ სიჩქარეს მის თვალში არც კეთილშობილებისა ეცხო რამე, არც ზრდილობიანი მორიდებისა. განა საზიზღრობა არ იყო, რომ პასტორის ოჯახი ტყავიდან ძვრებოდა, რათა თავიანთი ნათესა-ვი ქალისთვის მდიდარი საქმრო ეშოვა?

მოხუცმა პასტორმა, რომელმაც ნიშნობის ჩაშლისა არაფერი იცოდა, გაკვირვებით შეხედა კარლ-არტურს:

- არ ვიცი, მაქვს თუ არა უფლება გაგაცნო მისი გეგმები, ვიდ-რე შარლოტა დაბრუნდება, მაგრამ შენ კი კმაყოფილი დარჩები, ძვირფასო ძმაო ჩემო! მართლაც კმაყოფილი დარჩები.

პასტორის მეგობრულმა კილომ არავითარი ზემოქმედება არ მოახდინა კარლ-არტურზე. იგი კვლავაც პირქუშად იდგა და ღი-მიც არ დასტყობია სახეზე.

- თუ ჰერ შაგერსტრიომს რაიმეს თქმა სურს ჩემთვის, შარ-ლოტას ლოდინი სულაც არ არის საჭირო. ჩვენ აღარაფერი გვაქვს ერთმანეთთან საერთო.

ეს წარმოთქვა და მარცხენა ხელი წინ გაიწვდინა, რათა პასტორსაც და შაგერსტრიომსაც დაენახათ, რომ უსახელო თითზე ნიშნობის ბეჭედი აღარ ეკეთა.

საბრალო მოხუცს გაკვირვებისგან თავბრუ დაესხა.

- ძვირფასო ძმაო ჩემო, ღვთის გულისათვის, მითხარი, როდის ჩაიდინეთ ეს საქმე? ნუთუ ჩემს აქ არყოფნაში?

- ო, არა, ჰერ! ყოველივე გუშინვე გაირკვა. ჰერ შაგერსტრიომი თორმეტ საათზე მოვიდა აქ ხელის სათხოვნელად, ჩვენი ნიშნობა კი ერთი საათის შემდეგ ჩაიშალა.

- ჩაიშალა? - იკითხა პასტორმა, - მაგრამ შარლოტას ერთი სიტყვაც არ უთქვამს.

- მაპატიეთ, ჰერ, - მიუგო კარლ-არტურმა, დიდად განაწყენებულმა იმით, რომ მოხუცი ისე იქცეოდა, ვითომც არაფერი სცოდნოდეს, - მაპატიეთ, მაგრამ ხომ ხედავთ, ამურის შუამავლის როლს რომ ასრულებთ.

ტანმორჩილი პასტორი წელში გაიმართა. ერთბაშად მეტისმეტად თავდაჭერილი გახდა.

- ჩემთან წავიდეთ, - თქვა მან, - ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავერკვეთ ამ საქმეში.

ოთახში შევიდნენ, პასტორი საწერ მაგიდას მიუჯდა, შაგერსტრიომმა დივანი აირჩია ოთახის სიღრმეში, კარლ-არტურმა კი სარწეველა სავარძელი კართან ახლოს. ფორსიუსმა თავის თანაშემწეს მიმართა:

- უარს არ მოვყვები, ძვირფასო ძმაო, გუშინ მე მართლაც ვურჩიე ჩემი დისწულის შვილს თანხმობა ეთქვა შაგერსტრიომის წინადადებაზე. შარლოტა ხუთი წელიწადი გელოდა. ამ ზაფხულს ერთხელ გკითხე, რაიმე ღონეს თუ ხმარობ ქორწინების დასაჩქარებლად-მეთქი, შენ მიპასუხე, არაო. ალბათ, გემახსოვრება, მაშინვე გითხარი, რომ ყველანაირად შევეცდებო-

დი დამერწმუნებინა შარლოტა, ჩამოგშორებოდა. შარლოტას ერთი ერეც კი არ გააჩნია, და როცა მე აღარ ვიქნები, სულ მარტოდმარტო დარჩება, არც შემწე ეყოლება ვინმე, არც მფარველი. შენ მე მიცნობ; სულაც არ ვგრძნობ სინდისის ქენჯნას იმის გამო, რომ ასეთი რჩევა მივეცი. მაგრამ შარლოტა გულის ხმას მიჰყვა. ამით დამთავრდა ყველაფერი და მეტი არც აღარასოდეს გვილაპარაკია ამაზე, ძვირფასო ძმაო!

შაგერსტრიომი კუთხეში იჯდა და თვალს ადევნებდა ახალგაზრდა ეკენსტედს. კარლ-არტურის ქცევა როგორღაც ეჩოთირებოდა. ახალგაზრდა პასტორი სავარძელში გაშხლართულიყო და წინ და უკან ირწეოდა, თითქოს ამით უნდოდა ეჩვენებინა, აინუნშიაც არ ვაგდებ მოხუცის ლაპარაკსო. დროდადრო რაღაცის თქმას დააპირებდა ხოლმე, მაგრამ პასტორი თავისას განაგრძობდა:

- შენ მერე ილაპარაკებ, ძვირფასო ძმაო, მერე, რამდენსაც ისურვებ, იმდენს ილაპარაკებ, მაგრამ ჯერ მე მათქმევინე. როცა მე ამ ცოტა ხნის წინ ქარხნის მეპატრონის მამულში მივდიოდი, სულაც არ ვიცოდი, რომ თქვენი ნიშნობა ჩაშლილი იყო, და ფიქრადაც არ მქონია, ჰერ შაგერსტრიომისთვის საცოლედ მერჩია შარლოტა. მე მხოლოდ იმიტომ ვესტუმრე, რომ მინდა მშვიდობა სუფევდეს სამრევლოში. მე მეგონა, ჰერ შაგერსტრიომი ნაწყენი იყო, ვინაიდან შარლოტასგან მკვახე პასუხი მიიღო, მაგრამ „ტბის აგარაკზე“ რომ ჩავედი, დავრწმუნდი, თურმე სრულიად სხვა აზრი ჰქონია ქარხნის მეპატრონეს. იგი ფიქრობს, რომ ჩემი შეხედულებები მოძველდა და შარლოტამ ისეთი პასუხი გასცა, როგორიც საჭირო იყო. ქარხნის მეპატრონეს არავითარი პრეტენზია არ ჰქონია და მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, როგორ შეეწყო ხელი თქვენი ბედნიერებისთვის. მას გადაუწყვეტია ქარხნის პასტორის ადგილი შემოგთავაზოს ერტოფტის საბადო-

ებში, რომელთა მეპატრონეც თვითონ გახლავთ. სწორედ იმისთვის მობრძანდა ახლა აქ, რომ ამ საქმის თაობაზე მოგთათბირებოდათ შარლოტას და შენ. ამიტომ უნდა გჯეროდეს, რომ ჰერ შაგერსტრიომმა, ისევე როგორც მე, ეჭვადაც არ ვიცოდით თქვენი ნიშნობის ჩაშლის ამბავი. ახლა კი, როცა ყოველივე მოისმინე, რისი თქმაც მე მწადდა, შეგიძლია ბოდიში მოგვიხადო შენი დაუფიქრებელი ბრალდებების გამო, უძვირფასესო ძმაო!

- არ შემიძლია არ ვირწმუნო თქვენი ნათქვამი, ღირსპატივსაცემო ბიძაჩემო, - დაიწყო ეკენსტედმა. წამოდგა, ორატორის პოზა მიიღო, ხელები გულზე დაიკრიფა და ზურგით წიგნების თაროს მიეყრდნო, - ვიცი თქვენი კეთილსინდისიერების ამბავი და მესმის, რომ შარლოტა ვერ გაბედავდა თავისი ბნელი აზრები გაენდო თქვენთვის. იმაშიც სავსებით გეთანხმებით, რომ მე შარლოტასთვის შეუფერებელი ვარ. შარლოტა თქვენსავით რომ მოქცეულიყო, ღირსპატივსაცემო ბიძაჩემო, და გულახდილად, პატიოსნად ეთქვა იგივე ჩემთვის, რა თქმა უნდა, ძალიან მეტკინებოდა გული, მაგრამ მაინც შევძლებდი, გამეგო და შემენდო. მაგრამ შარლოტამ სხვა გზა აირჩია. ალბათ, სხვის თვალში დამცირებისა შეეშინდა და ამიტომ უანგარო სიამაყით ჯერ უარი უთხრა შაგერსტრიომს. ჰერ, ეს უარი, რა თქმა უნდა, არ იქნება საბოლოო. ამის შემდეგ მან მე მიბიძგა განხეთქილებისკენ. იცის ჩემი სიფიცხე და ამით ისარგებლა. განგებ მითხრა ისეთი რამეები, რაც, როგორც თვითონ კარგად იცის, საშინლად გამაცეცხლებდა, და მიზანსაც მიაღწია. მე უარი ვთქვი ცოლქმრობის პირობაზე და იფიქრა, რომ თამაში მოიგო. ახლა მთელი ცოდვა მე უნდა გადმომაბრალოს. უნდა რომ მე დამატყდეს თავს ჩემი ღირსპატივსაცემი ბიძისა და საერთოდ ყველას რისხვა. ხედავთ, რა ხდება? მე ვარღვევ ცოლქმრობის პირობას, თუმცა, მან სულ ცოტა ხნის წინ ჩემი გულისთვის უარყო შესანიშ-

ნავი წინადადება. მე ვარღვევ ცოლქმრობის პირობას, თუმცა, იგი მთელი ხუთი წელიწადი მიცდიდა. ვისღა გაუკვირდება, თუ ჩემი ასეთი საქციელის შემდეგ იგი თანხმობას ეტყვის შაგერ-სტრიომს? ვინღა გაამტყუნებს?

კარლ-არტურმა ფართოდ გაშალა ხელები. პასტორი შეკრთა და ზურგი შეაქცია თანაშემწეს. მოხუცის მაღალ შუბლს ხუთი წვრილი ნაოჭი აჩნდა. კარლ-არტურმა ლაპარაკი რომ დაიწყო, ეს ნაოჭები თანდათან გაუწითლდა და ახლა ჭრილობასავით უღ-ვიოდა. ეს იმის ნიშანი იყო, რომ სათნო ხასიათის ბერიკაცი უზომოდ იყო განრისხებული.

- მოითმინეთ, მოითმინეთ, ჩემო ძვირფასო მეგობარო!

- მაპატიეთ, ღირსპატივსაცემო ბიძაჩემო. ჯერ ყველაფერი არ მითქვამს. იმ დროს, როცა სულის ხსნისთვის იძულებული შევი-ქენი, დამერღვია შარლოტასთან დათქმული ცოლქმრობის პი-რობა, ღმერთმა მომივლინა სხვა ქალი, ხალხის წიაღში აღ-ზრდილი მდაბიო, ალალი გულის არსება, და გუშინ ორივემ სა-მარადისო ერთგულების აღთქმა დავდეთ. ასე რომ, ღვთის წყა-ლობა აღარ მაკლია. სავსებით ბედნიერი ვარ და ჩემს ხვედრს აღარ ვუჩივი. მაგრამ გეკითხებით, შარლოტას გულისთვის რა-ტომ უნდა ვიტვირთო საყოველთაო ზიზღი?

შაგერსტრიომმა სწრაფად ასწია თავი. ახალგაზრდა ეკენ-სტედმა ეს სიტყვები რომ თქვა, ქარხნის მეპატრონემ იგრძნო, ოთახში, უფრო სწორად, იქაურ ატმოსფეროში იდუმალი გარდა-ტეხა მოხდა. მან შარლოტა დაინახა, რომელიც კარლ-არტურის უკან ღია კარში იდგა.

ისე ჩუმად შემოსულიყო, ვერავინ შეამჩნია. კარლ-არტური განაგრძობდა ლაპარაკს, მისი აქ ყოფნა კი არ იცოდა. სანამ იგი შარლოტას ვერაგობასა და მზაკვრობაზე ლაპარაკობდა, გოგო-ნა ისე თვინიერად იდგა, თითქოს მისი მფარველი ანგელოზი

ყოფილიყო, გულითადი თანაგრძნობითა და ნაზი, ერთგული სიყვარულით აღსავსე თვალებით შესცქეროდა. შაგერსტრიომს ასეთი გამომეტყველება საკმაოდ ხშირად უნახავს განსვენებული ცოლის სახეზე და მყის მიხვდა, რასაც ნიშნავდა, ოდნავი ეჭვიც არ შეჰპარვია მის სიწრფელეში.

ქარხნის მეპატრონეს იმაზე არ უფიქრია, ლამაზი იყო თუ არა იმწუთას შარლოტა. ისე გამოიყურებოდა ქალი, თითქოს ცეცხლში გამოევლოს, მაგრამ ამ ცეცხლს არც დაეწვას, არც გაემუროს, არამედ მხოლოდ ყოველგვარი მონალექი, ყოველგვარი ნაკლოვანი ამოეშანთოს და უფრო სულგანათლებული და გასპეტაკებული გაეხადოს.

შაგერსტრიომს უკვირდა, როგორ ვერ გრძნობდა ახალგაზრდა ეკენსტედი შარლოტას გამოხედვის სითბოს, როგორ ევლებოდა თავს მისი სიყვარული.

თავად შაგერსტრიომს ეგონა, მთელი ოთახი პირამდე აივსო ამ სიყვარულითო. ამ სხივთა ძალას იგი ოთახის იმ კუთხეშიც კი გრძნობდა, სადაც თვითონ იჯდა ახლა და ეს სხივები გულისცემას უჩქარებდნენ.

საშინელი უხერხულობა იგრძნო იმის გაფიქრებაზე, რომ შარლოტა იძულებული იყო, ესმინა მის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებები, რომლებიც შაგერსტრიომს უსაფუძვლოდ და გამოგონილად ეჩვენებოდა.

ის იყო, წამოდგომა დააპირა, რომ ამ დროს შარლოტამ მისკენ მოიხედა და თუმცა იგი ბნელ კუთხეში იჯდა, მაინც იცნო. იცნო და იმასაც მიხვდა, რასაც აპირებდა ქარხნის მეპატრონე. გოგონამ შეთქმულივით გაუღიმა, ტუჩებზე თითი მიიდო და ამით ანიშნა, ჩემს აქ ყოფნას ნუ გაამხელთო.

წუთიც და იგი ისევე ჩუმად გავიდა ოთახიდან, როგორც შემოვიდა. არც პასტორს, არც კარლ-არტურს არ შეუტყვიათ შარ-

ლოტას გამოჩენა. ამ წუთიდან მოყოლებული შაგერსტრიომი ძლიერმა ღელვამ შეიპყრო.

აქამდე დიდ მნიშვნელობას არ აძლევდა კარლ-არტურის ტირადებს და ეგონა, ეს შეყვარებულთა უბრალო კინკლაობა იყო, რომელიც თავისთავად შეწყდებოდა. მაგრამ შარლოტა დაინახა თუ არა, მაშინვე მიხვდა, რომ პასტორის ოჯახში ნამდვილი დრამა იწყებოდა.

და ვინაიდან აშკარა იყო, რომ სწორედ მან გამოიწვია ეს განხეთქილება თავისი მოუფიქრებელი ნაბიჯით, როცა შარლოტას ხელი სთხოვა, გადაწყვიტა, რაიმე ეღონა შეყვარებულთა შესარიგებლად. საჭირო იყო შარლოტას უდანაშაულობის დამტკიცება და შაგერსტრიომის აზრით, ეს სულაც არ უნდა ყოფილიყო ძნელი საქმე.

დიდი ქონების პატრონი, მრავალი სააქციო საზოგადოების თავმჯდომარე შაგერსტრიომი გვარიანად გაიწაფა მოწინააღმდეგე მხარეების მორიგებაში და ახლაც დარწმუნებული იყო, თვალის დახამხამებაში მოაგვარებდა ამ საქმესაც.

ის იყო, კარლ-არტურმა სათქმელი დაამთავრა, რომ მეორე ოთახიდან მოისმა ბებრული ნაბიჯების ხმა და ზღურბლზე პასტორის ცოლი გამოჩნდა. რეგინა ფორსიუსმა მაშინვე დაინახა შაგერსტრიომი.

- როგორ, ჰერ, თქვენ კიდევ აქ ბრძანდებით?

გულწრფელად გაუკვირდა მისი აქ ყოფნა და სხვაგვარი ზრდილობიანი მისალმება ვერც კი მოიფიქრა, ისე წამოსცდა ეს სიტყვები.

- დიახ, - მიუგო შაგერსტრიომმა, - მაგრამ არც დღეს გამიმართლა. გუშინ ჩემი მამულები შევთავაზე, დღეს პასტორის კარ-მიდამო და პასტორის ადგილი, მაგრამ ამჯერადაც უარით მისტუმრებენ.

ცოლის შემოსვლამ თითქოს გამბედაობა შემატა მოხუც პასტორს. შუბლის ნაოჭები ისევ გაუწითლდა, წამოდგა და კარისკენ მბრძანებლურად გაიშვირა ხელი.

- უმჯობესი იქნება, თუ ახლა შენს ოთახში წახვალ, - მიმართა კარლ-არტურს, - და კიდევ ერთხელ დაუფიქრდები ყოველივეს. შარლოტას, რასაკვირველია, აქვს ნაკლოვანებები, ლიოვენ-შოლდებისთვის დამახასიათებელი ნაკლოვანებები. ფიცხი და გულზვიადია, მაგრამ არასოდეს ყოფილა ეშმაკი, ვერაგი და ანგარებიანი. და შენ რომ ჩემი ღირსპატივსაცემი მეგობრის პოლკოვნიკ ეკენსტედის შვილი არ იყო...

ცოლმა სიტყვა შეაწყვეტინა პასტორს:

- ცხადია, მე და ფორსიუსი შარლოტას მხარეზე უნდა ვიყოთ წესით, - თქვა მან, - მაგრამ არ ვიცი, ამჯერად გვაქვს თუ არა უფლება დავიცვათ. ბევრი რამ არ მესმის ამ საქმეში. პირველ ყოვლისა, ვერ გამიგია, რატომ არაფერი გვითხრა შარლოტამ არც გუშინ და არც დღეს. რატომ გაუხარდა ფორსიუსის წასვლა „ტბის აგარაკზე“, ან რატომ სთხოვა, ვარდებისთვის მადლობა გადაეცი შაგერსტრიომსო, თუმცა, იცოდა კარლ-არტურის აზრი. მაგრამ მარტო ამის გამო არც კი გავამტყუნებდი, სხვა ამბავიც რომ არ იყოს.

- რაშია საქმე? - მოუთმენლად ჰკითხა პასტორმა.

- რატომ დუმს? - მიუგო რეგინა ფორსიუსმა, - აფთიაქარის ცოლის დღეობაზე რომ ვიყავით, ყველამ იცოდა მაგათი ნიშნობის დარღვევისა და კარლ-არტურის მეორედ დანიშვნის ამბავი. ზოგი თავს არიდებდა, ზოგი ლანძღავდა, მას კი არც უცდია, თავი ემართლებინა. რომ ამდგარიყო და ყავიანი ფინჯანი ეთხლიშა მათთვის სახეში, ღმერთს მადლობას შევწირავდი, მაგრამ იგი უდრტვინველად, თვინიერად იჯდა, თითქოს ჯვარცმული ყოფილიყოს, და მათ ავყიობას ხელს არ უშლიდა.

- რადგან თავი არ იმართლა, ამიტომ ხომ არ დააბრალებთ ასეთ უღირს საქციელს! - უთხრა პასტორმა.

- შინ რომ ვბრუნდებოდით, გადავწყვიტე, გამომეცადა, - განაგრძო პასტორის ცოლმა, - ყველაზე უფრო თავგამოდებით ორგანისტის ცოლი ლანძღავდა, იგი მანამდეც ჭირივით სძულდა შარლოტას. მე ნება დავრთე ფრუ სუნდლერს ხელკავი გამოედო ჩემთვის და ეზომდე მოვეცილებინე. არც ამას აღუდგა წინ შარლოტა. სინდისი რომ სუფთა ჰქონოდა, განა მოითმენდა, რომ მის მაგივრად სხვა ვინმეს გამოვეცილებინე ხელკავით? მე არაფერს ვამბობ, მე მხოლოდ გეკითხებით.

მამაკაცებს სიტყვა არ დასცდენიათ. ბოლოს პასტორმა დაღლილი ხმით წარმოსთქვა:

- ეტყობა, ახლა ვერ გავერკვევით ამ ამბავში. გაივლის დრო და, ალბათ, ყველაფერი ცხადი გახდება.

- მაპატიეთ, ჰერ, - შეესიტყვა კარლ-არტური, - მაგრამ ჩემთვის აუცილებელია, ახლავე გაირკვეს ეს. ჩემი საქციელი მართლაც დასაგმობი გახდება, თუ არ დადასტურდება, რომ შარლოტამ თვითონ მოიწადინა ჩვენი დაშორება.

- თვითონ მას ვკითხოთ, - თქვა პასტორმა.

- მე უფრო საიმედო მოწმე მჭირდება, - მიუგო კარლ--არტურმა.

- თუ ამ საქმეში ჩარევის ნებას მომცემდით, - წარმოთქვა შაგერსტრიომმა, - შემეძლო ერთი ხერხი შემომეთავაზებინა, რომელიც ყველაფერს გაარკვევდა. ლაპარაკი ხომ იმაზეა, რომ დავრწმუნდეთ, ფროიკენ ლიოვენშოლდმა მართლაც განგებ ათქმევინა თუ არა უარი ცოლქმრობის პირობაზე კარლ-არტურს, რათა შემდეგ საშუალება ჰქონოდა, თანხმობა ეთქვა ჩემთვის. ასეა ხომ?

- დიახ, ეს სწორედ ასე იყო.

- მგონი, ყოველივე ეს მხოლოდ გაუგებრობაა, - განაგრძო შაგერსტრიომმა, - ამიტომ ვცადოთ: მე განმეორებით ვთხოვ მას ხელს. ეჭვიც არ მეპარება, რომ უარს მეტყვის.

- მაგრამ მზადაა თუ არა ქარხნის მეპატრონე, იტვირთოს მოსალოდნელი შედეგი? - იკითხა კარლ-არტურმა, - ვთქვათ, დათანხმდა?

- უარს იტყვის, - მიუგო შაგერსტრიომმა, - და ვინაიდან ცხადია, რომ სწორედ ჩემი მიზეზით დაშორდა მაგისტრი ეკენსტედი თავის საცოლეს, მე მინდა, ყველა ღონე ვიხმარო, ოღონდ კვლავ აღდგეს მათ შორის კეთილგანწყობა.

კარლ-არტურმა უნდობლად გაიცინა.

- თანხმობას გეტყვით, - თქვა მან, - თუ, რასაკვირველია, რაიმე ნიშნით არ მიახვედრებენ ამ საქმის ახლანდელ ვითარებას.

- სულაც არ ვფიქრობ პირადად მასთან ლაპარაკს, - მიუგო შაგერსტრიომმა, - მე მივწერ.

ქარხნის მეპატრონე პასტორის საწერ მაგიდასთან მივიდა, საწერ-კალამი მოიმარჯვა და რამდენიმე სტრიქონი დაწერა:

„მაპატიეთ, ფროიკენ, რომ კვლავ ვბედავ თქვენს შეწუხებას, მაგრამ კარლ-არტურისგან შევიტყვე თქვენი ნიშნობის ჩაშლის ამბავი და თავს ნებას ვაძლევ, განმეორებით გთხოვოთ ხელი“.

ქარხნის მეპატრონემ ბარათი კარლ-არტურს აჩვენა. ეკენსტედმა მოწონების ნიშნად თავი დაუქნია.

- გთხოვთ, რომელიმე თქვენს მსახურს გაატანოთ ეს წერილი ფროიკენ ლიოვენშოლდთან, - თქვა შაგერსტრიომმა.

პასტორმა ხელი ჩამოჰკრა კედელზე ჩამოკიდებულ მძივებით მოქარგულ სონეტს, ზარის ხმაზე მოახლე შემოვიდა.

- ალმა, თუ იცი, სად არის შარლოტა?

- თავის ოთახშია.

- ახლავე აუტანეთ ჰერ შაგერსტრიომის წერილი და უთხარით, რომ იგი პასუხს ელოდება.

მოახლე გავიდა. ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. ამ სიჩუმეში მკაფიოდ გაისმა ძველი კლავიკორდების სუსტი, ჟღრიალა ხმები.

- სწორედ ჩვენ ზევით ოთახშია ახლა შარლოტა, - თქვა პასტორის ცოლმა, - ის უკრავს.

ოთახში მყოფნი ერთმანეთს თვალს ვერ უსწორებდნენ, სმენად იყვნენ გადაქცეულნი. აი, გაიგონეს კიბეზე ამავალი მოახლის ნაბიჯების ხმა, შემდეგ კარი გაიღო. მუსიკა შეწყდა. „ახლა შარლოტა წერილს კითხულობს“, - ფიქრობდა თითოეული მათგანი.

მოხუცი რეგინა ფორსიუსი ერთიანად ცახცახებდა. პასტორს თითქოს სალოცავად დაეჭდო ხელები. კარლ-არტური სარწეველა სავარძელში გაიშხლართა და ბაგეებზე უნდო ღიმილი აუთამაშდა. შაგერსტრიომს ისეთი უშფოთველი გამომეტყველება ეხატა სახეზე, როგორც სჩვეოდა ხოლმე, როცა მნიშვნელოვანი საქმეები წყდებოდა.

ზევით მსუბუქი ნაბიჯების ხმა გაისმა. „შარლოტა მაგიდას მიუჯდა, - გაიფიქრეს მათ, - ნეტავ რას დაწერს?“

თუმცა, ყველა იმას ცდილობდა, გარეგნულად მაინც შეენარჩუნებინათ სიმშვიდე, ვერც ერთმა ვერ გაძლო ადგილზე და როდესაც მოახლე გოგო შემოვიდა, ყველანი უკვე წინა ოთახში იყვნენ გამოსულნი.

მოახლემ შაგერსტრიომს მოკეცილი პატარა ფურცელი გაუწოდა. ქარხნის მეპატრონემ ფურცელი გაშალა და წაიკითხა.

- დათანხმდა, - წარმოთქვა გაწბილებულმა შაგერსტრიომმა უკმაყოფილოდ.

და მერე ხმამაღლაც წაიკითხა საპასუხო წერილი:

„თუ ქარხნის მეპატრონე თანახმაა ცოლად შემირთოს ყოველივე იმის შემდეგ, რაც აუგი ითქვა ჩემზე, მე მხოლოდ თანხმობის თქმა შემიძლია“.

- ბედნიერებას გისურვებთ, ჰერ, - უთხრა ეკენსტედმა დამცინავი ღიმილით.

- მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ გამოცდა იყო, - წარმოთქვა პასტორის ცოლმა, - და ეს სულაც არავითარ ვალდებულებას არ აკისრებს ჰერ შაგერსტრიომს.

- რა თქმა უნდა, არა, - კვერი დაუკრა პასტორმა, - და შარლოტამ პირველმა...

შაგერსტრიომი აშკარად ყოყმანობდა, არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.

ამ დროს ეზოში კარეტის თვლების რახარუხი გაისმა, და ყველამ ფანჯარას მიაშურა, პარმაღს შაგერსტრიომის ეკიპაჟი მოადგა.

- გთხოვთ თქვენ, ჰერ პასტორო, და თქვენ, ფრუ, - წარმოთქვა შაგერსტრიომმა აშკარად ოფიციალური კილოთი, - ფროიკენ შარლოტას მადლობა გადასცეთ მისი პასუხისთვის. ჩემი გამგზავრება კარგა ხანია გადაწყვეტილია და ამიტომ იძულებული ვარ, რამდენიმე კვირით წავიდე. მაგრამ იმედი მაქვს, დაბრუნების შემდეგ ფროიკენ ლიოვენშოლდი უფლებას მომცემს გამოვაცხადო ჩვენი ნიშნობისა და ქორწინების ამბავი.

ნოტაცია

- გინა, ჩემო მეგობარო, - უთხრა მოხუცმა პასტორმა ცოლს, - არ მესმის შარლოტას ქცევა. თვითონ უნდა ავახსნევინოთ ყოველივე.

- რა თქმა უნდა, მართალი ხარ, - მაშინვე დაუდასტურა ცოლმა, - იქნებ ახლავე მოგვეყვანა აქ?

შაგერსტრიომი უკვე წასული იყო. კარლ-არტურმაც თავის ფლიგელს მიაშურა. მოხუცები მარტონი დარჩნენ პასტორის ოთახში და თუ შარლოტასთვის პატარა დაკითხვის მოწყობა უნდოდათ, სწორედ შესაფერისი მომენტი იყო.

- გუშინ უარი უთხრა შაგერსტრიომს, დღეს მადლობით დათანხმდა მის წინადადებას, - უთხრა მოხუცმა, - გაგონილა ასეთი თამაში? დამიჯერე, იძულებულს გამხდის, გვარიანად დავარიგო ჭკუა.

- იგი არასოდეს აინუნში არ აგდებდა ხალხის ლაპარაკს, - ამოიოხრა პასტორის ცოლმა, - მაგრამ ახლა კი მეტისმეტი მოუვიდა.

მოხუცი ქალი სონეტისკენ გაემართა დასარეკად, მაგრამ ქმარს რომ ჩაუარა, შეამჩნია, ბერიკაცს მიწისფერი დასდებოდა სახეზე და ხუთი ნაოჭი გავარვარებული ნახშირივით ისევ ულაპლაპებდა შუბლზე.

- იცი რა? - უთხრა ცოლმა, - აი, ვფიქრობ, მომზადებული კი ხარ შარლოტასთან სასაუბროდ? იმასთან საერთო ენის გამონახვა იოლი როდია. ეგებ ნასადილევისთვის გადაგვედო ლაპა-

რაკი? მანამდე რაიმე უფრო დამაჯერებელ სათქმელსაც მოიფიქრებდი.

რასაკვირველია, პასტორის ცოლს გულით ეწადა, რომ რიგიანად შეეხურებინათ მისი საყვარელი კომპანიონი, მაგრამ ხედავდა, როგორ დაიქანცა ქმარი შორი მგზავრობისა და სულიერი მღელვარებისგან; არ შეიძლებოდა მოხუცი კაცის ისე გამეტება, რომ ახლა კიდევ შარლოტასთან უსიამოვნო ლაპარაკს აეღელვებინა.

ამ დროს მოახლე შემოვიდა და მოახსენა, სადილი მზად გახლავთო. ასე რომ, კიდევ ერთი საბაბი გაუჩნდათ შარლოტასთან მოლაპარაკების გადასადებად.

სადილობისას სრული სიჩუმე სუფევდა. სუფრას ოთხნი უსხდნენ და არც ერთს არ ჰქონდა არც ჭამის თავი და არც ლაპარაკის და ლანგრები როგორც შემოიტანეს, ისევ სავსე გაიტანეს უკან, ხელი არავის დაუკარებია. მხოლოდ იმიტომ უსხდნენ მაგიდას, რომ ასე იყო წესი.

სადილობა რომ დამთავრდა, შარლოტაც და კარლ-არტურიც თავ-თავიანთი სამყოფლისკენ გაეშურნენ. რეგინა ჯიუტად შეუჩნდა ქმარს, შარლოტას გულისთვის ნუ უღალატებ შენს ჩვეულებას და, როგორც წესი გაქვს, ნასადილევს მოისვენეო. ან კი რა საჩქაროა შარლოტასთან მოლაპარაკება. აქვე არ არის, ამ სახლში, ჰოდა, როცა გინდა, მაშინ დაარიგებ ჭკუასო.

პასტორის დაყოლიება სულაც არ იყო ძნელი, მაგრამ მართლაც აჯობებდა, არ გადაედო ეს საქმე, რადგან, როგორც კი გამოიღვიძა, მაშინვე ახალგაზრდა წყვილი დაადგა თავზე, და დაიჟინეს, გინდა თუ არა სწორედ პასტორმა უნდა დაგვწეროს ჯვარიო. მერე ყავის დალევის დრო მოვიდა. ის იყო, სუფრიდან წამოდგნენ, რომ სახელმწიფო ფოგტი ეწვიათ შაშის სათამაშოდ. მოხუცები გვიანობამდე თამაშობდნენ, და ის დღეც ასე მიიწურა.

დილა საღამოზე ბრძენიაო, ამბობენ. ოთხშაბათს პასტორი მართლაც მხნედ და ყოჩაღად იყო. ახლა აღარაფერი დააბრკოლებდა, საკადრისად დაეტუქსა შარლოტა.

მაგრამ დახეთ! ნასაუზმევს ცოლმა დაინახა, რომ ქმარი ბოსტანში ჩასულიყო და კვლებს მარგლავდა, რომელთაც საშინლად მოსდებოდა ნარშავი. რეგინა მაშინვე პასტორისკენ გაეშურა.

- ვიცი, ვიცი, გინდა, შარლოტას მოველაპარაკო, - სიტყვა შეაგება პასტორმა, როგორც კი ცოლს მოჰკრა თვალი, - სწორედ მაგაზე ვფიქრობდი ახლა. ისე გავცოცხავ, თავის დღეში რომ არ მოსწრებია. ბოსტანშიც იმიტომ ჩამოვედი, აზრი მოვიკრიბო.

ერთი კი ამოიოხრა რეგინამ, შეტრიალდა და სამზარეულოს მიაშურა. საქმე ყელამდე ჰქონდა. ივლისი მიიწურა და ისპანახი უნდა დაემწნილებინა, მუხუდო გაეხმო, ჟოლოს მურაბა და ვაჟინი მოეხარშა.

„ღმერთო ჩემო! - ფიქრობდა იგი, - რა საჭიროა ამდენი ფიქრი. ალბათ, მთელ ქადაგებას თხზავს. მაგრამ რას იზამ, ყველა პასტორი ასეთია. მეტისმეტად ენამზეობენ ჩვენისთანა საბრალო ცოდვილებისთვის“.

თუმცა, თავზე საყრელი საქმე ჰქონდა პასტორის ცოლს, მაინც ახერხებდა შარლოტასთვის თვალყურის დევნებას, ისევ შარს რომ არ გადაჰყროდა, მაგრამ სულაც არ იყო საჭირო ასეთი თვალთვალი ჯერ კიდევ ორშაბათს, სანამ შაგერსტრიომი ეწვეოდათ, ვისი მიზეზითაც დაიწყო მთელი ეს ამბები, შარლოტა ნაკუწების დაჭრას შეუდგა წნული ხალიჩებისთვის. პასტორის ცოლთან ერთად სხვენში ავიდნენ, მოაგროვეს ძველი ტანსაცმელი, რომელიც აღარაფრად ვარგოდა, და სხვა ძველმანებთან ერთად დაბლა, საბუფეტეში ჩამოიტანეს, რათა სუფთად დალა-

გებული სხვა ოთახები არ დაენაგვიანებინათ. მთელი სამშაბათი დღე და ოთხშაბათიც შარლოტა საბუფეტეში იჯდა და განუწყვეტლივ ჭრიდა ამ ნაკუწებს. ერთხელაც არ გამოსულა გარეთ. კაცი იფიქრებდა, თვითონვე მიუსაჯა თავს ნებაყოფლობითი პატიმრობაო.

„ჰოდა, იჯდეს იქ, - ფიქრობდა პასტორის ცოლი, - მეტის ღირსი მაინც არ არის“.

რეგინა დროდადრო ქმარსაც გახედავდა ხოლმე. პასტორი ისევ ბოსტანში იყო, შარლოტას კი არა და არ ეძახდა.

„ფორსიუსი, ალბათ, ორსაათიან ქადაგებას უმზადებს შარლოტას, - ფიქრობდა ქალი, - შარლოტა, რასაკვირველია, ცუდად მოიქცა, მაგრამ, ღმერთმანი, ახლა მეცოდება კიდეც“.

სადილობამდე არაფერი ღირსშესანიშნავი არ მომხდარა, შემდეგ კი ყველაფერი ჩვეულებრივი წესით და რიგით წარიმართა - სადილი, ნასადილევს ძილი, საღამოს ყავა, შაშის თამაში, პასტორის ცოლს ამის თაობაზე ლაპარაკი აღარ წამოუწყია. მხოლოდ ნანობდა, რატომ დავუშალე ჩემს ქმარს შარლოტასთან ლაპარაკი გუშინ, როცა გაბრაზებული იყო და მიუკიბ-მოუკიბავად ეტყოდა ყველაფერს, რაც ეკადრებოდაო.

მაგრამ საღამოს, როდესაც ერთმანეთის გვერდით იწვნენ განიერ საწოლზე, პასტორმა თავისი ყოყმანის გამართლება სცადა.

- მერწმუნე, არცთუ ისე იოლია შარლოტას დატუქსვა, - უთხრა ცოლს, - იმდენი რამ მახსენდება!

- დაივიწყე წინანდელი ამბები! - ურჩია ცოლმა, - ვიცი, ალბათ, გაგახსენდა მეჯინიბესთან ერთად როგორ აჯირითებდა შენს ცხენებს ღამღამობით, აქაოდა, სიმსუქნე არ მოერიოთო. მაგას მოეშვი! მხოლოდ იმაზე იფიქრე, რაც გასარკვევი გვაქვს, ესე იგი, მართლა თვითონ უბიძგა თუ არა კარლ-არტურს განშო-

რებისკენ. ეს არის თავიდათავი. იცოდე, ხალხი უკვე ეჭვობს, ყოველივე მომხდარის შემდეგ თუ მივცემთ შარლოტას უფლებას, რომ ჩვენს სახლში იცხოვროს.

პასტორს გაეღიმა.

- ჰო, შარლოტამ მართლაც კარგი საქმე გამიკეთა, ღამღამობით ცხენებს რომ დააჯირითებდა. მახსოვს, ჩემი სიამოვნებისთვის და იმის დასამტკიცებლად, რომ ჩვენი ცხენები სხვებს არ ჩამოუვარდებოდნენ, დოღში მიიღო მონაწილეობა.

- ცოტა უსიამოვნება როდი ვიწვნიეთ ამ გოგოს გამოისობით, - ამოიოხრა რეგინამ, - მაგრამ ყველაფერი დავივიწყეთ და შევუნდეთ.

- რასაკვირველია, - დაეთანხმა პასტორი, - მაგრამ არის კიდევ ზოგი რამ, რისი დავიწყებაც არ შემიძლია. მახსოვს, როგორი ვიყავით ამ შვიდი წლის წინ, როცა შარლოტას დედ-მამა დაეხოცა და ჩვენ შევიკედლეთ? გინა, ჩემო კარგო მეგობარო, შენ ხომ ასეთი მხნე არ იყავი მაშინ, როგორიც ახლა ხარ. ოთხმოცი წლისა ეგონებოდი კაცს. ისე იყავი დაუძლურებული, ძლივს დალასლასებდი. ყოველდღე იმის შიში მქონდა, ხელიდან არ გამომცლოდი.

ცოლი იმწამსვე მიუხვდა, რაზედაც გადაუკრა სიტყვა პასტორმა. იმ დღეს, როცა რეგინას სამოცდახუთი შეუსრულდა, გადაწყვიტა, მეყო, რაც აქამდე ვიშრომე, ოჯახის მიმხედავად ვინმე უნდა ავიყვანოო. გაუმართლა და ერთი შესანიშნავი ქალი დაიქირავა ეკონომად. იმ დღიდან მართლაც ყოველგვარი საოჯახო საზრუნავისგან გათავისუფლდა. ეკონომი სამზარეულოშიც კი არ ახედებდა, მაგრამ რეგინას ამან შვება არ მოჰგვარა, პირიქით, თანდათან ჩამოჭკნა, დასუსტდა, ძალა გამოელია და სასოწარკვეთამდე მივიდა. ისე უკან-უკან მიდიოდა მისი საქმე, ყველას ეგონა, დიდხანს ვერ გაატანსო.

- ჰო, რაც მართალია, მართალია. როცა შარლოტა შევიხიზნეთ, მე მართლაც ძალიან ცუდად ვიყავი, თუმცა, ადრე არასოდეს ვყოფილვარ ისეთ ნებივრობაში, როგორც მაშინ. მაგრამ შარლოტა ვერ შეეწყო ჩემს ეკონომს და საშობაო გაწამაწიის დროს წკიპურტი ჰკრა ცხვირში! მამზელმა აღარ ინდომა ჩემთან სამსახური და ისევ მე, დაბეჩავებულ დედაბერს მომიხდა ლუდისა და თევზის ხარშვისას აქეთ-იქით სიარული. არა, ამას ვერასოდეს დავივიწყებ.

- ჰოდა, ასე, ნურასოდეს დაგავიწყდება, - სიცილით გამოეპასუხა პასტორი, - გინა, ჩემო კარგო მეგობარო, შენ ხომ თავიდანვე გამრჯე ქალი იყავი, და გახსოვს, მაშინვე ჯანზე მოხვედი, როგორც კი ისევ მოგიხდა ლუდისა და თევზის ხარშვა. სიმართლეს ვერ გაექცევი, შარლოტამ მართლაც ბევრი სადავიდარაბო საქმე გაგვიჩინა, მაგრამ ცხვირში გაკრულმა წკიპურტმა სიცოცხლე შეგინარჩუნა.

- ახლა შენი ამბავიც არ ვიკითხოთ? - შეაწყვეტინა ცოლმა, რომელსაც არ სურდა აღიარება, რომ მომქანცველი საოჯახო საქმიანობის გარეშე არ გაეძლებოდა, - შენც ხომ ახლა სამარეში იწვებოდი, შარლოტა ეკლესიაში მერხიდან რომ არ გადმოვარდნილიყო.

პასტორი მაშინვე მიხვდა ცოლის ნართაულს. როდესაც შარლოტა მათთან გადმოვიდა საცხოვრებლად, პასტორი თვითონ აგვარებდა ყველა საქმეს მთელ სამრევლოში, კვირაობით კი ქადაგებდა.

ცოლი არწმუნებდა, თანაშემწე აიყვანეო, რადგან აშკარად ხედავდა, ქმარს ძალ-ღონე აღარ ჰყოფნიდა, თანაც სულ უკმაყოფილო იყო, დრო აღარ მრჩება საყვარელი ბოტანიკისთვისო. პასტორი კი ჯიუტობდა, სანამ სული მიდგას, ჩემს მოვალეობას არ ვუღალატებო. შარლოტას გული არ გაუწვრილებია მისთვის

ხვეწნა-მუდარით. მხოლოდ ეგ იყო, ერთ მშვენიერ დღეს, კვირას, ქადაგების დროს ისე გემრიელად ჩაეძინა, ერთბაშად მერხიდან გადმოვარდა. ამას ერთი ალიაქოთი მოჰყვა ეკლესიაში. ბერიკაცი, რასაკვირველია, ძალიანაც გაბრაზდა მასზე, მაგრამ ამ მარცხის შემდეგ მიხვდა, რომ მოხუცებულობის გამო მქადაგებლად აღარ გამოდგებოდა. თანაშემწე აიყვანა, ამით ბევრი თავშესაწყენი მოვალეობა აიცილა და ისევ დაუბრუნდა სულიერი მხნეობა.

- ჰო, რასაკვირველია, - მიუგო ქმარმა, - ასეთი ეშმაკური ოინით შარლოტამ განა თუ ერთი და ორი წლის სიცოცხლე მაჩუქა. ყველაფერი ეს მახსენდება ხოლმე, როცა მისი დატუქსვა მინდა, და არაფერი გამომდის.

ცოლი აღარ გამოპასუხებია, მხოლოდ კურცხალი მოიწმინდა მალულად.

მაინც, დარწმუნებული იყო, რომ ამჯერად შარლოტას არ უნდა შერჩენოდა ურიგო საქციელი და ისევ განაგრძო თავისი:

- ეგ ყველაფერი მართალია, მაგრამ იმის თქმას ხომ არ აპირებ, თითქოს საჭიროდ არ მიგაჩნდეს გაარკვიო, თვითონ შარლოტამ ჩაშალა თუ არა ნიშნობა!

- თუ არ იცი, რომელ გზას დაადგე, სჯობს ერთ ადგილას გაჩერდე და იცადო, - უთხრა პასტორმა, - და მე მგონია, ამჯერად სწორედ ასე გვიჯობს მე და შენ.

- კი მაგრამ, დაფიქრდი, რა ცოდვას იღებ შენს თავზე, როცა შაგერსტრიომს შარლოტას შერთვის უფლებას აძლევ, თუ ის გოგო მართლაც ისეთია, როგორც ხალხი ლაპარაკობს.

- შაგერსტრიომი ჩემთან რომ მოსულიყო და რჩევა ეკითხა, მე ვიცი, რასაც ვუპასუხებდი, - მიუგო ქმარმა.

- მართლა? - გაიკვირვა ცოლმა, - რას უპასუხებდი?

- რას ვუპასუხებდი და ვეტყოდი, მე რომ უცოლო ვიყო და თანაც ერთი ორმოცდაათი წლით უმცროსი-მეთქი...

- რაო, რაო? - წამოიძახა ცოლმა და საწოლში წამოჯდა.

- დიახ, ვეტყოდი, - აუღელვებლად განაგრძო პასტორმა, - მე რომ უცოლო ვიყო და თანაც ორმოცდაათი წლით უმცროსი და ისეთ ცოცხალ მომხიბლავ ქალიშვილს შევხვედროდი, როგორიც შარლოტაა, თვითონ ვთხოვდი-მეთქი ხელს.

- გაჩუმდი, თუ ღმერთი გწამს! - წამოიძახა ცოლმა, - შენ და შარლოტა! კაი დღეც დაგადგებოდა!

სახე მოეპრანჭა, ხელები გაასავსავა და ხარხარით ბალიშში ჩაემხო.

ფორსიუსმა წყენით გადახედა, მაგრამ ცოლი ისევ ხარხარებდა. მერე თვითონაც აუტყდა სიცილი. ორივენი ისეთმა მხიარულებამ შეიპყრო, რომ, როცა დაწყნარდნენ, შუაღამე კარგა ხნის გადასული იყო.

შეჭრილი კულულები

ხუთშაბათს, გვიან საღამოს, პასტორის ეზოში დიდი სამგზავრო კარეტით პოლკოვნიკის ცოლი ბეატა ეკენსტედი შემოგრიალდა. კარეტა ზედ სახლის წინ გააჩერებინა, მაგრამ თვითონ არ ჩამოსულა, მხოლოდ მის შესაგებებლად გამოვარდნილ მოახლე გოგოს უბრძანა, დიასახლისს სთხოვე, პარმაღზე გამოვიდეს, პოლკოვნიკის ცოლს ორიოდე სიტყვა აქვს სათქმელიო.

რეგინა ფორსიუსი მაშინვე გამოვიდა პარმაღზე და უღრმესი რევერანსით შეეგება სტუმარს. რა სიხარულია, რა მოულოდნელი სიხარული! იქნებ ინებოს საყვარელმა ბეატამ, ეკიპაჟიდან ჩამოვიდეს და ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ მის ღარიბულ ჭერქვეშ დაისვენოს?

ამაზე უკეთესი რა იქნება, მაგრამ ბეატა ეკენსტედმა ჯერ უნდა გაიგოს, ის საზიზღარი გოგო კიდევ მათ სახლში იყო თუ არა.

პასტორის ცოლს სახეზე გაკვირვება გამოეხატა.

- იმ საძაგელ მზარეულ გოგოზე ხომ არ მეკითხები, უკანასკნელად ჩვენთან ყოფნისას რომ ნახე? დიდი ხანია, გავაძევეთ. ამჯერად მოგეწონება ჩვენი საჭმელები.

მაგრამ პოლკოვნიკის ცოლი ადგილიდან არ დაძრულა.

- თავს ნუ იკატუნებ, გინა! მშვენივრად იცი, რომ იმ არამზადა ფროიკენზე გელაპარაკები, კარლ-არტურის დაწინდულზე. მინდა ვიცოდე, კიდევ სახლში გყავს თუ არა.

ახლა კი მიხვდა პასტორის ცოლი, ვისზეც იყო ლაპარაკი, მაგრამ რა აზრიც უნდა ჰქონოდა პირადად მას შარლოტაზე,

მზად იყო, დაეცვა ყველა, ვინც მის ჭერქვეშ ცხოვრობდა, თუნდ მთელი ქვეყანა ამხედრებოდა მას.

- მაპატიე, ბეატა, მაგრამ ვინც მთელი შვიდი წლის განმავლობაში შვილივით გვყავდა მე და ფორსიუსს, ასე იოლად არ გაიგდება სახლიდან. მით უმეტეს, ჯერ კიდევ არავინ იცის, სინამდვილეში როგორაა საქმე.

- მე მაქვს ჩემი ვაჟის, თეა სუნდლერისა და თავად შარლოტას წერილები. ჩემთვის ყველაფერი გასაგებია.

- ეშმაკმა დალახვროს, თუ შარლოტას წერილი გაქვს, რომელიც მის დანაშაულს ამტკიცებს, ფეხსაც ვერ მოიცვლი აქედან, სანამ არ მაჩვენებ! - შეჰყვირა პასტორის ცოლმა, რომელიც ისე იყო განცვიფრებული და აღელვებული, უკმეხი სიტყვისგან თავი ვერ შეიკავა.

რეგინა ფორსიუსი ისე მიიჭრა კარეტის კუთხეში მიყუჟულ ამ პატარა, ჯიუტ ქალთან, თითქოს უნდა ძალით გამოათრიოს გარეთო.

- წადი! წადი! - შეუძახა პოლკოვნიკის ცოლმა მეეტლეს.

ამ დროს ფლიგელიდან კარლ-არტური გამოვიდა. დედის ხმა იცნო და სირბილით გაეშურა პასტორის სახლისკენ.

დედა-შვილი გულმხურვალედ შეხვდა ერთმანეთს. ბეატა ეკენსტედი ვაჟიშვილს მოეხვია და ისეთი მგზნებარებით დაუწყო კოცნა, თითქოს ახლახან საშინელ საფრთხეს გადარჩენილიყოს.

- დედა, კარეტიდან არ ჩამობრძანდებით? - შეეკითხა კარლ--არტური, ოდნავ შემცბარი, დედამ ასე მხურვალედ რომ დაკოცნა მეეტლის, ფორეიტორის, მოახლისა და პასტორის ცოლის თანდასწრებით.

- არა! - გამოაცხადა ბეატა ეკენსტედმა, - მთელი გზა იმას ვუმტკიცებდი ჩემს თავს, რომ ერთ ჭერქვეშ ვერ დავიძინებ იმ

ქალთან, ვინც ასე უსირცხვილოდ გიღალატა. ჩამიჯექი ეტლში და ფუნდუკში წავიდეთ.

- ეჰ, ნუ ბავშვობ, ბეატა! - უთხრა პასტორის ცოლმა, რომელიც უკვე გონს მოეგო და დამშვიდდა, - თუ ჩვენთან დარჩები, სიტყვას გაძლევ, თვალსაც ვერ მოჰკრავ შარლოტას.

- მაგრამ მაინც ხომ მეცოდინება, რომ ჩემ ახლოსაა.

- ისედაც ბევრი საჭორაო აქვს ხალხს, - უთხრა პასტორის ცოლმა, - ისღა გვაკლია, ახლა იმაზე ილაპარაკონ, რომ ჩემთან დარჩენა არ ინდომე!

- რა თქმა უნდა, დედა დარჩება, - თქვა კარლ-არტურმა, - მე ყოველდღე ვხვდები შარლოტას, მაგრამ არაფერიც არ მემართება!

კარლ-არტურის ასეთი მტკიცე ნათქვამი რომ გაიგონა, პოლკოვნიკის ცოლმა უმწეოდ მიიხედ-მოიხედა, თითქოს გამოსავალს ეძებსო. უცებ ხელი გაიშვირა ფლიგელისკენ, რომელშიც მისი შვილი ცხოვრობდა.

- შეიძლება იქ დავიდო ბინა, კარლ-არტურთან? - იკითხა მან, - შვილის გვერდით მყოფმა ეგებ დავივიწყო ის საშინელი ქალი. საყვარელო რეგინა, - მიმართა პასტორის ცოლს, - თუ გინდა, რომ დავრჩე, ნება მომეცი ფლიგელში ვიცხოვრო! იქ არაფრის მოწყობა არ დაგჭირდება, მე მხოლოდ ერთი საწოლი მინდა, სხვა არაფერი.

- ვერ გამიგია, რატომ არ გინდა, როგორც ყოველთვის, ახლაც სტუმრების ოთახში დაბინავდე, - წაიბუზღუნა რეგინა ფორსიუსმა, - მაგრამ, ოღონდ ნუ წახვალ და ყველაფერზე თანახმა ვარ.

რეგინა ფორსიუსი აშკარად გულნატკენი იყო. სანამ კარეტა ფლიგელისკენ მიდიოდა, თავისთვის ბუტბუტებდა, დიდად კე-

თილშობილ ქალბატონად კი მოაქვს თავი ბეატა ეკენსტედს, მაგრამ ზრდილობისა არაფერი გაეგებაო.

სასადილო ოთახში რომ დაბრუნდა, რეგინამ თვალი მოჰკრა ღია ფანჯარასთან მდგომ შარლოტას. ცხადი იყო, მან ყველაფერი მოისმინა.

- გაიგონე? შენთან შეხვედრა არ სურს, - უთხრა პასტორის ცოლმა, - შენთან ერთად ერთ ჭერქვეშ ყოფნაც კი არ ისურვა.

მაგრამ შარლოტა, რომელიც ეს-ესაა მოწმე გახდა დედა--შვილის გულითადი შეხვედრისა და ამით ყველაზე ბედნიერი წუთები განიცადა მთელ ცხოვრებაში, მოღიმარი, კმაყოფილი სახით იდგა რეგინას წინ. მან დაინახა, რომ მისი მსხვერპლი უშედეგო არ იყო.

- რა გაეწყობა, ვეცდები, თვალით არ დავენახვო, - ამაყად თქვა შარლოტამ და ოთახიდან გავიდა.

პასტორის ცოლმა ერთი კი ამოიოხრა და ფორსიუსისკენ გაეშურა.

- ახლა რაღა გეთქმის? როგორც ჩანს, კარლ-არტური და ორგანისტის ცოლი მართალნი ყოფილან. ვეუბნები, ბეატა ეკენსტედმა შენთან ერთად ერთ ჭერქვეშ ღამის გათევაც არ ისურვამეთქი, იმან კი ისეთი კმაყოფილებით გაიღიმა, თითქოს ესპანეთის დედოფლად დაესვათ.

- კმარა, კმარა, ჩემო კარგო, - უთხრა პასტორმა, - ცოტაც მოვითმინოთ! ფარდა თანდათან იხსნება. დარწმუნებული ვარ, პოლკოვნიკის ცოლის დახმარებით ყველაფერს შევიტყობთ.

რეგინას გულში შიშმა გაუარა, ვაითუ, ჩემი ფორსიუსი, რომელიც აქამდე ღვთის წყალობით საღ ჭკუაზე იყო, ბავშვობას უბრუნდებაო. აბა, რანაირად უნდა დახმარებოდა მათ ეს უცნაური ბეატა ეკენსტედი?

პასტორის სიტყვებმა კიდევ უფრო გაუფუჭა გუნება. სამზარეულოში გავიდა და მსახურთ დაავალა, ფლიგელში გაეშალათ ლოგინი პოლკოვნიკის ცოლისთვის, სადილიც იქვე მიართვით ლანგრითო, შემდეგ კი თავის საწოლ ოთახს მიაშურა.

„იქ ივახშმოს, - ფიქრობდა თავისთვის, - რამდენიც უნდა, იმდენი ელოლიაოს თავის შვილიკოს. მე მეგონა, იმიტომ ჩამოვიდა, რომ დაეტუქსა ამ ხელახალი ნიშნობისთვის, ის კი კოცნის და ყველაფერზე კვერს უკრავს. ბეატას თუ ჰგონია, ყოველივე ამის შემდეგ შვილი გაახარებს თავისი საქციელით...“

მეორე დილით დედა-შვილი სასაუზმოდ გადმობრძანდა ფლიგელიდან. ბეატა ეკენსტედი შესანიშნავ გუნებაზე იყო და დიდი ხალისითა და თავაზით ესაუბრებოდა მასპინძლებს, მაგრამ როცა პასტორის ცოლმა დღის სინათლეზე დაინახა, დაქანცული და გამხდარი ეჩვენა. რეგინა ფორსიუსი ბევრად უფროსი იყო თავის მეგობართან შედარებით და მაინც უფრო მხნე და ჯანსაღი იერი ჰქონდა. „საწყალი ბეატა, - გაიფიქრა მოხუცმა, - არც ისე კარგ გუნებაზეა, როგორც უნდა თავი მოგვაჩვენოს“.

ნასაუზმევს პოლკოვნიკის ცოლმა კარლ-არტური სოფელში გაგზავნა თეა სუნდლერის მოსაყვანად, მინდა დაველაპარაკოო. პასტორი თავის საქმეებზე წავიდა, ქალები მარტონი დარჩნენ.

ბეატა ეკენსტედმა მაშინვე კარლ-არტურზე ჩამოაგდო ლაპარაკი.

- ჰო, საყვარელო გინა, - დაიწყო მან, - ენით ვერ აგიწერ, რა ბედნიერი ვარ. როგორც კი კარლ-არტურის წერილი მივიღე, მაშინვე აქეთ გამოვეშურე. მეგონა, სასოწარკვეთას მიეცემოდა თვითმკვლელობამდე მისული, მაგრამ კმაყოფილი და ბედნიერი დამხვდა. განა გასაოცარი არ არის? ასეთი ელდის შემდეგ...

- ჰო, მალე გაიქარვა დარდი, - მეტისმეტად ცივად უპასუხა რეგინამ.

- ვიცი, ვიცი, იმ დალეკარლიელი გოგოს ამბავი პატარა აჩემებაა და მეტი არაფერი. ადამიანებს ასე სჩვევიათ - პირში მწარე გემო რომ არ დარჩეთ, ყელს ჩაიკოკლოზინებენ ხოლმე. კარლ-არტურის ზნის ადამიანი აბა როგორ შეეთვისება ასეთ ქალს.

- მე ნანახი მყავს, - უთხრა პასტორის ცოლმა, - და უნდა გითხრა, ლამაზია, ძალიან მოხდენილი და სანდომიანი გოგოა.

პოლკოვნიკის ცოლს მკვდრისფერმა გადაუარა სახეზე, მაგრამ ეს იყო მხოლოდ ერთი წუთით.

- მე და პოლკოვნიკმა ეკენსტედმა გადავწყვიტეთ დალეკარლიელის ამბავი სერიოზულად არ მივიღოთ. წინ არ აღვუდგებით ამ ახალ ნიშნობას. კარლ-არტური სასტიკად მოატყუა შარლოტამ და რაღა თქმა უნდა, დარდმა სულ აურია გონება. თუ ჩვენი უარით არ გავაღიზიანებთ, მალე გაუვლის ეს ახირება.

ამ საუბრის დროს პასტორის ცოლი ისე თავგამეტებით ქსოვდა, ჩხირებს სულ წკრიალ-წკრიალი გაჰქონდა მის ხელში. თუ არა ამ გზით, სხვაგვარად სიმშვიდეს ვერ შეინარჩუნებდა მთელი ამ უაზრო ლაპარაკის მოსმენისას.

„ჩემო კეთილო მეგობარო, - ფიქრობდა იგი, - შენ ხომ ჭკვიანი ქალი ხარ. ნუთუ ვერ ხვდები, რომ ეგ შენი ნაფიქრალი კეთილად არ დაგვირგვინდება?“

ცხვირის ნესტოები გამოებერა, ნაოჭები აუთამაშდა, მაგრამ იმდენად შეებრალა პოლკოვნიკის ცოლი, რომ მაინც შეიკავა სიცილი.

- ჰო, ასეთები არიან ახლანდელი ბავშვები, მშობლების უარს ვერ იტანენ.

- ჩვენ უკვე დავუშვით შეცდომა, - განაგრძო პოლკოვნიკის ცოლმა, - როდესაც პასტორად გახდომის სურვილი არ მოვუწო-

ნეთ. ჩვენმა უარმა ნაყოფი არ გამოიღო. ეგაა, რომ ამის შემდეგ ლამის გაგვიუცხოვდა. ამჯერად გადაწყვეტილი გვაქვს, წინ აღარ აღვუდგეთ მის ნიშნობას დალეკარლიელ ქალიშვილთან. არ გვინდა, საბოლოოდ დავკარგოთ შვილი.

რეგინა ფორსიუსმა წარბი აზიდა.

- აბა, ვის რა ეთქმის! მოსიყვარულე მშობლები ხართ! დიდად მოსიყვარულე!

ბეატა ეკენსტედმა განაცხადა, თეა სუნდლერთან მინდა მოთათბირება, ამიტომაც გავგზავნე კარლ-არტური მის მოსაყვანადო. ეს ქალი, მგონი, ჭკვიანია და თანაც უსაზღვროდ ერთგული ჩემი შვილისა. კარლ-არტური ძალიან ენდობა მის ნათქვამსო.

ფრუ რეგინა ძლივს იკავებდა თავს.

სად ეს უბადრუკი ორგანისტის ცოლი და სად პოლკოვნიკის მეუღლე ბეატა ეკენსტედი - თუმცა, ახირებული, მაგრამ ბრწყინვალე მანდილოსანი. თვითონ არაფერი ჩაუგონებია შვილისთვის! და ახლა ორგანისტის ცოლი გააკეთებს ამას?

- ჩვენს დროში საქმეს ასე არ ვართულებდით, - თქვა პასტორის ცოლმა.

- კარლ-არტურის საცოლესთან განშორების შემდეგ თეა სუნდლერმა შესანიშნავი, დამამშვიდებელი წერილი მომწერა, - განუმარტა პოლკოვნიკის ცოლმა.

ეს სიტყვები წარმოთქვა თუ არა ბეატა ეკენსტედმა, პასტორის ცოლი მყის წამოხტა და შუბლზე იტკიცა ხელი.

- უჰ, კინაღამ დამავიწყდა! შენ ხომ უნდა გეთქვა, რა მოგწერა ამ ამბის თაობაზე თვითონ შარლოტამ.

- შეგიძლია წაიკითხო მისი წერილი, - უთხრა პოლკოვნიკის ცოლმა, - რედიკიულში მაქვს.

წერილი ამოიღო და გაუწოდა. რეგინამ გახსნა მოკეცილი ფურცელი, რომელზედაც ერთადერთი წინადადება ეწერა:

„ჩემს ღირსპატივსაცემ დედამთილს ვემუდარები, ძალიან ნუ დამძრახავს“.

განცვიფრებულმა პასტორის ცოლმა უკანვე დაუბრუნა ბეატას წერილი.

- ვერაფერიც ვერ გავიგე.

- ჩემთვის კი ყველაფერი გასაგებია, - გამოკვეთილად წარმოთქვა პოლკოვნიკის ცოლმა.

რეგინა ფორსიუსმა ახლაღა შეამჩნია, რომ მისი სტუმარი მეტისმეტად ხმამაღლა ლაპარაკობდა. ასეთი რამ არ სჩვეოდა, მაგრამ, ალბათ, იმის ბრალი იყო, რომ ძალზე ღელავდა. პასტორის ცოლმა ისიც გაიფიქრა, შარლოტამ, რომელიც ახლაც ძველმანებს ჭრიდა საბუფეტე ოთახში, უეჭველია ყოველი მისი სიტყვა გაიგონა. კედელში გამოჭრილი სარკმელი, საიდანაც კერძებს აწოდებდნენ ხოლმე სასადილო ოთახში, მჭიდროდ არ იხურებოდა. ფორსიუსს ადრეც ბევრჯერ დაუჩივლია, საბუფეტედან სულ მცირე ხმაურიც კი გამოდის სასადილო ოთახშიო.

- თვითონ შარლოტა რას ამბობს? - იკითხა პოლკოვნიკის ცოლმა.

- დუმს. ფორსიუსს უნდოდა მასთან დალაპარაკება, მაგრამ ახლა ამბობს, საჭირო არ არისო. მე კი არაფერი ვიცი.

- უცნაურია! - წარმოთქვა ბეატა ეკენსტედმა, - უცნაური!

მასპინძელმა ბეატას სასტუმრო ოთახში ასვლა შესთავაზა. ან აქამდე როგორ ვერ მოიფიქრა! აბა, რა წესია, ასეთი პატივსაცემი სტუმრის შინაურულად მიღება სასადილო ოთახში!

ანაზდად ცრემლი მოერია და ხმა აუკანკალდა.

- მერე რარიგ მიყვარდა! - წამოიძახა მან, - ყველაფერი შემეძლო მეფიქრა, მაგრამ ამას კი არ მოველოდი მისგან! ამას არ მოველოდი.

საბუფეტეში იატაკზე წკრიალით დავარდა მაკრატელი. პასტორის ცოლმა ამ ხმაურს ყური მოჰკრა და გაიფიქრა: „ეტყობა, აღარ ძალუძს ყოველივე ამის მოსმენა. ვერ მოითმენს, საცაა შემოვარდება და თავის მართლებას დაიწყებს“.

მაგრამ საბუფეტეში ისევ სიჩუმემ დაისადგურა, შარლოტას ფეხიც არ მოუცვლია.

კარლ-არტურისა და თეა სუნდლერის მოსვლით ბოლო მოეღო ორი მანდილოსნის საშინელ ტანჯვას. პოლკოვნიკის ცოლი ფრუ სუნდლერსა და ვაჟიშვილთან ერთად ბაღში გავიდა. რეგინა ფორსიუსმა კი სამზარეულოს მიაშურა, რათა შაქარი დაემტვრია, ნამცხვარი გამოეღო და ყავა დაეფქვა. უიმისოდაც გააკეთებდნენ ამას, მაგრამ ეგონა, გულს გადავაყოლებ და დავმშვიდდებიო.

სამზარეულოში რომ ფუსფუსებდა, სულ იმ ბარათზე ფიქრობდა, რომელიც შარლოტამ თავის დედამთილს გაუგზავნა. რატომ მისწერა ასე მოკლედ? პასტორის ცოლმა გაიხსენა ამასწინანდელი ამბავი: შარლოტა თავისი ოთახიდან რომ გამოვიდა სასაუზმოდ, თითები ერთიანად მელნით ჰქონდა მოთხვრილი. ნუთუ ერთი სტრიქონის დაწერისას დაითხუპნა ასე? იქნებ სხვა წერილიც დაწერა? ეს იყო სამშაბათს? შაგერსტრიომის პირველი სტუმრობის მეორე დღეს. არა, აქ რაღაც სხვა ამბავია.

რეგინა ფორსიუსმა მოახლეს სუფრის გაშლა უბრძანა. პატივსაცემი სტუმარი საუზმის შემდეგ დიდი ამბით უნდა მოეწვია იასამნების ფანჩატურში ყავის დასალევად.

„ცხადია, შარლოტამ გრძელი წერილი დაწერა, - ფიქრობდა იგი, - მერე რა უყო იმ წერილს? გაგზავნა თუ დახია?“

ეს აზრი ისე აეკვიატა, ყავას რომ შეექცეოდნენ, მაშინაც სულ ამაზე ფიქრობდა. უჩვეულო ის იყო, მთელი ამ ხნის განმავლობაში უბრად იყო, სამაგიეროდ ფრუ სუნდლერი მთლად ენად გა-

იკრიფა. აქაოდა, წარჩინებულ ოჯახიშვილებს ჩემი დახმარება დასჭირდათო, ისე გაიბღინძა, მისი შემყურე პასტორის ცოლს გაყოყოჩებული ბაყაყის არაკი მოაგონდა. ადრე რეგინა ფორსიუსს ერთ სასაცილო და საცოდავ ქალად მიაჩნდა; ახლა კი ნამდვილი ზიზღი იგრძნო მისდამი. „ჩვენ დარდით აღარ ვართ, ის კი იფხორება და ხარობს, - ფიქრობდა პასტორის ცოლი, - ცუდი ადამიანია“.

მასპინძელი, რასაკვირველია, მაინც ზრდილობიანად ექცეოდა, თავაზიანად აძალებდა ყავას და თავის შესანიშნავ ნამცხვარს. სტუმარმასპინძლობის წესს მაშინაც კი უნდა დაცვა, როცა შენს ჭერქვეშ ვერაგი მტერია.

ყავა რომ მიირთვეს, პასტორის ცოლმა ისევ სამზარეულოს მიაშურა. ბეატა ეკენსტედი ორ საათზე უნდა გამგზავრებულიყო შინ და პასტორის ცოლმა გადაწყვიტა, წასვლამდე სადილითაც გამასპინძლებოდა. აბა, სტუმართან თავს ხომ არ შეირცხვენდა, ამიტომაც თავზე ადგა მზარეულებს.

პირველ საათზე ფრუ სუნდლერი სამზარეულოში შევიდა გამოსამშვიდობებლად. პოლკოვნიკის ცოლი და კარლ-არტური ჯერაც ფანჩატურში ისხდნენ, მაგრამ თეა სუნდლერს სახლში ეჩქარებოდა, რათა სადილი მოესწრო ქმრისთვის.

პასტორის ცოლი ბულიონიან ქვაბს დასცქეროდა, ქაფქირი მაგიდაზე დადო, სუნდლერი კარამდე მიაცილა, რევერანსით გამოეთხოვა და ორგანისტთან მოკითხვა დააბარა, ამით აშკარად აგრძნობინა, რომ არ ეცალა, მაგრამ თეა სუნდლერი თითქოს არც აპირებდა წასვლას, კართან გაჩერდა, მასპინძელს მკლავზე ხელი მოჰკიდა და მოხსნა გუდას პირი. აქაოდა, ძალიან მებრალება პოლკოვნიკის ცოლი, კარლ-არტური მეორედ რომ დაინიშნა, დიდად საწყენიაო.

რეგინა ფორსიუსი ამაში კი სავსებით ეთანხმებოდა.

ორგანისტის ცოლმა კიდევ უფრო მაგრად მოუჭირა მკლავზე ხელი. ისე როგორ წავიდე, თუ არ შევიტყვე, შარლოტა როგორ ბრძანდებაო.

- იცი, რას გეტყვი, - მიუგო პასტორის ცოლმა, - აი, იმ ოთახში ზის და ძველმანებს ჭრის. შედი და თვითონ მას ჰკითხე, როგორ არის.

ისინი საბუფეტე ოთახის კართან იდგნენ; რეგინა ფორსიუსმა უცებ გააღო კარი და თითქმის ძალით შეაგდო ფრუ სუნდლერი.

„ვიცი, რაც გნებავს, - გაიფიქრა მან, - შარლოტა მუდამ ზემოდან დაგყურებდა და ახლა კი გინდა დამცირებული ნახო. აი, შე გომბეშო, შენა! იმედი მაქვს, ისე დაგიხვდება, როგორც ღირსი ხარ“.

- ჰა-ჰა-ჰა! - გადაიხარხარა მან, - ცალი თვალით მაინც მაყურებინა მათი შეხვედრისთვის.

იგი ფეხაკრეფით მივიდა სასადილო ოთახის კართან, ჩუმად გააღო, მყის საბუფეტეში გამავალ სარკმელთან მიიჭრა და ისიც ოდნავ გამოაღო. ახლა კარგად ხედავდა მთელ ოთახს, შარლოტას გარშემო შემოეწყო რეგინა ფორსიუსისა და ადრინდელ პასტორთა ცოლების ძველი ტანსაცმელი და ჭრიდა. ცალ-ცალკე ალაგებდა მწვანე, ლურჯ და ჭრელ ნაჭრებს, იქვე სკივრში ედო უკვე შეკერილი და დახვეული ფერადი ნაჭრების მთელი გორგალი. ჩანს, უქმად არ ყოფილა ამდენი ხნის განმავლობაში.

შარლოტა ზურგით იჯდა თეა სუნდლერისკენ, რომელიც გაუბედავად აიტუზა კართან.

„ესეც შენ, ახლოს მისვლა ვერ გაგიბედავს! - გაიხარა რეგინა ფორსიუსმა, - ურიგო დასაწყისი როდია. მე ვფიქრობ, კაი სეირს გაყურებინებენ ახლა“.

პასტორის ცოლმა დაინახა, რომ თეა სუნდლერმა თანაგრძნობის გამომეტყველება მიიღო და ისეთი დამტკბარი ხმით,

თანაზიარი კილოთი მიმართა, როგორც ელაპარაკებიან ხოლმე ავადმყოფებს, პატიმრებს, ღატაკებს.

- გამარჯობა, შარლოტა!

შარლოტამ არ უპასუხა. ხელში მაკრატელი ეჭირა, მაგრამ უკვე აღარ საქმიანობდა.

თეა სუნდლერს სახეზე ღიმილმა გადაუარა და პაწაწინა წვეტიანი კბილები დაკრიჭა სულ ერთი წამით, მაგრამ პასტორის ცოლი მყის მიხვდა, რა ჩიტიც ბრძანდებოდა.

შემდეგ კვლავ თვინიერ და კეთილ არსებად იქცა თეა, ნაბიჯი წინ წადგა და ისეთი კეთილმოსურნე, ალერსიანი კილოთი გაუმეორა, როგორც ელაპარაკებიან ხოლმე უგერგილო მსახურს ან ჭირვეულ ბავშვს.

- გამარჯობა, შარლოტა.

თეა სუნდლერი დაიხარა, რათა სახეში შეეხედა მისთვის. ალბათ, იფიქრა, ხომ არ ტირის, რაკი კარლ-არტურის დედამ მასთან შეხვედრა არ ისურვაო. ამ დროს ფრუ თეას კულულები შარლოტას მოშიშვლებულ მხარს შეეხო: მუშაობის დროს ყელსახვევი დაბლა ჩასცურებოდა ქალიშვილს.

როგორც კი თმის შეხება იგრძნო, შარლოტა ერთბაშად შეკრთა და იმავ წამს, თითქოს მტაცებელმა ფრინველმა ნადავლი იგდო ხელთო, ლამაზად დახვეულ კულულებს მისწვდა, მაკრატლის ქვეშ მოაქცია და მოაჭრა.

წინასწარ მოფიქრებული არ ჰქონია ეს თავდასხმა. ამიტომ, ასე რომ გაუსწორდა თეა სუნდლერს, სკამიდან წამოხტა და თითქოს სახტად დარჩაო, ისე შეხედა თავის ნამოქმედარს. თავზარდაცემულ ფრუ სუნდლერს ღრიალი აღმოხდა. ამაზე უარესი რა უნდა მოსვლოდა! ერთადერთი საამაყო და სანუგეშო ეს კულულები ჰქონდა. ახლა კი, სანამ წამოეზრდება, ხალხში ვეღარ გაერევა! და ისევ აღრიალდა შეშლილივით.

გვერდით, სამზარეულოში, უცებ საშინელი ხმაური ატყდა. ქვაბის ხუფების ჩხარუნი, ქვასანაყების კაკუნი, იატაკზე გამეტებით დახეთქებული შეშის ზრიალი ერთმანეთში აირია და ყველა სხვა ხმა ჩაახშო. პოლკოვნიკის ცოლი და კარლ-არტური ამ დროს ბაღში ისხდნენ და, რა თქმა უნდა, ქალის კივილს ვერ გაიგონებდნენ. თეა სუნდლერს არავინ მიშველებია.

- აქ რა გინდა? - ჰკითხა შარლოტამ, - მე კარლ-არტურის გულისთვის არ ვიღებ ხმას, მაგრამ ისეთი მიამიტი ხომ არ გგონივარ, არ ვიცოდე, რომ ყველაფერი შენ მოიმოქმედე.

იგი სწრაფად მივიდა კართან და ყურთამდე გამოაღო.

- გარეთ გაეთრიე!

თანაც მაკრატელი ააჩხრიალა და ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ თეა სუნდლერი შურდულივით გავარდნილიყო ოთახიდან.

პასტორის ცოლმა ფრთხილად მიხურა სარკმელი, მერე ტაში შემოჰკრა და ახარხარდა.

- ღმერთო ჩემო! - წამოიძახა მან, - ამ სეირსაც ხომ ვუყურე! ო, რას გავამხიარულებ ბერიკაცს!

მაგრამ უცებ სახე შეეცვალა.

- ჩემო საყვარელო გოგო! - ჩაიბუტბუტა, - საბრალო, ხმას არ იღებს და უსიტყვოდ ითმენს ჩვენს ცილისწამებას. არა, ამას ბოლო უნდა მოეღოს.

რეგინა ფორსიუსი ფეხაკრეფით ავიდა კიბეზე და ჩუმად, ქურდივით შეიპარა შარლოტას ოთახში.

იქაურობის თვალიერებას კი არ შესდგომია, პირდაპირ შორენკეცის ღუმელს მიაშურა და იპოვა კიდეც რამდენიმე დახეული და დაჭმუჭნილი ფურცელი.

- შემინდე, უფალო! - თქვა მან, - შენ მაინც იცი, ჩემს ცხოვრებაში პირველად ვკითხულობ სხვის წერილს დაუკითხავად.

დაჭმუჭნილი ქაღალდები თავის საწოლ ოთახში შეიტანა, სათვალე გაიკეთა და წაიკითხა.

- აი, სწორედ ეს არის ნამდვილი წერილი! - ჩაილაპარაკა კმაყოფილმა, - ასეც ვფიქრობდი.

კიბეზე დაეშვა, ხელში წერილი ეჭირა, რომელიც ბეატასთვის უნდა ეჩვენებინა, მაგრამ ეზოში გამოსულმა დაინახა, რომ იგი კარლ-არტურთან ერთად ფლიგელის წინ იჯდა მერხზე და ნაზი სიყვარულით აღსავსე თვალებით შესცინებდა სათაყვანებელ შვილს. რეგინა ფორსიუსი ადგილზე გაშეშდა. „ღმერთო, განა მეყოფა გამბედაობა ეს წერილი წავუკითხო?“ - გაუელვა თვალში.

შეტრიალდა და პასტორისკენ გაემართა.

- აბა, ბერიკაცო, ერთი ეს წაიკითხე, - უთხრა ქმარს და ფურცლები გაშალა, - შარლოტას ოთახში ვიპოვე, ჩვენს გოგონას ეს ნაგლეჯები ღუმელში შეუყრია, მაგრამ დაწვა კი დავიწყებია. აბა, წაიკითხე! გუნებას გამოგიკეთებს.

პასტორმა იგრძნო, რომ რეგინა ახლა გაცილებით უფრო მხიარულად და მხნედ იყო, ვიდრე ამ ბოლო დღეებში. „საწყალი, ალბათ, ფიქრობს, ამ წერილის წაკითხვა რამეს მარგებს“.

- აი, თურმე რაში ყოფილა საქმე! - თქვა, როცა წერილი ბოლომდე ჩაიკითხა, - კი მაგრამ რატომ არ გაგზავნა?

- ეჰ, ეგ რომ ვიცოდე! - მიუგო ცოლმა, - ბეატასთან მიმქონდა, მინდოდა, წაეკითხა, მაგრამ როცა დავინახე, როგორ ეალერსებოდა და თვალებში შესცინებდა შვილს, გადავწყვიტე, ჯერ შენ მოგთათბირებოდი.

პასტორი წამოდგა და ფანჯრიდან გახედა პოლკოვნიკის ცოლს.

- საქმეც ეგ არის, - თქვა მან და თავი დააქნია, - შარლოტას არ შეეძლო ამ წერილის გაგზავნა ბეატასთანა დედისთვის. ამი-

ტომ ჩააგდო ღუმელში და დუმილი არჩია. მიხვდა, რომ თავის გამართლება ფუჭად ჩაუვლიდა. არც ჩვენ ძალგვიძს რაიმეს შეცვლა.

მოხუცებმა ამოიოხრეს, ძალიან დაღონდნენ, რომ არ შეეძლოთ დაუყოვნებლივ გაემართლებინათ შარლოტა ხალხის თვალში, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც საამო შვება იგრძნეს.

და როცა სადილობისას სუფრაზე სტუმარს შეხვდნენ, ორივე შესანიშნავ გუნებაზე იყო.

საოცარი ის იყო, რომ პოლკოვნიკის ცოლსაც სწორედ ასევე შესცვლოდა გუნება. დილანდელივით ნაძალადევად როდი მხიარულობდა ახლა. თითქოს ცხოველმყოფელი ძალა შთაებერათ მისთვის.

პასტორის ცოლმა გაიფიქრა, თეა სუნდლერმა ხომ არ გამოუკეთა გუნებაო. მართლაც, თეას წყალობით მოხდა ეს, მაგრამ მიზეზი კი სულ სხვა იყო და არა ის, რაც რეგინას ეგონა.

ბეატა ეკენსტედი კარლ-არტურთან ერთად ფლიგელის წინ მერხზე იჯდა, როცა უცებ სახლიდან ისე გამოვარდა თეა სუნდლერი, ქორის ბრჭყალებიდან თავდახსნილი ქედანი რომ იქნება.

- რა მოუვიდა შენს მეგობარ თეას? - ჰკითხა პოლკოვნიკის ცოლმა, - შეხედე, შეხედე, თავქუდმოგლეჯილი გარბის და ლოყაზე ხელს იფარებს! გაიქეცი, კარლ-არტურ, და ჭიშკართან მაინც დაეწიე. ალბათ, ფუტკრების მთელი გუნდი მისდევს უკან. ჰკითხე, ეგებ შენი შველა სჭირდება!

კარლ-არტურმა მაშინვე შეასრულა დედის თხოვნა და თუმცა ფრუ სუნდლერი გამეტებით უქნევდა ხელს, არ მომიახლოვდეო, იგი მაინც წამოეწია ჭიშკართან.

ცოტა ხნის შემდეგ კარლ-არტური დედამისთან დაბრუნდა, ისე იყო აღშფოთებული, ალმური ასდიოდა სახეზე.

- ისევ შარლოტა! მთლად აიშვა თავი. წარმოგიდგენია, ფრუ სუნდლერი მოსაკითხად შესულა მასთან, შარლოტას კი დრო უხელთია და ცალ მხარეს კულულები მოუჭრია მისთვის.

- რას ამბობ! - წამოიძახა პოლკოვნიკის ცოლმა, ღიმილი კი ვერ დაფარა, - მისი ლამაზი კულულები! ალბათ, საშინელი შესახედავია ახლა.

- ეს შურისძიება იყო, დედა, - მიუგო კარლ-არტურმა, - ფრუ სუნდლერმა ალღო აუღო შარლოტას მზაკვრობას. სწორედ თეამ ამიხილა თვალები.

- მესმის, - უთხრა პოლკოვნიკის ცოლმა.

რამდენიმე წამს იგი ყუჩად იჯდა და ფიქრობდა, შემდეგ შვილს მიმართა:

- ნუღარ ვილაპარაკებთ ნურც თეაზე, ნურც შარლოტაზე, კარლ-არტურ. სულ რამდენიმე წუთი დაგვრჩა. უმჯობესია, ვილაპარაკოთ შენზე და იმაზეც, თუ როგორ დაგვაყენებ საბრალო ცოდვილთ ჭეშმარიტების გზაზე.

სადილობისას, როგორც უკვე მოგახსენეთ, პოლკოვნიკის ცოლი ჩვეულებრივ მხიარულობდა, პასტორის ცოლს მახვილსიტყვაობაში ეჯიბრებოდა. ერთმანეთს აღარ აცლიდნენ თავშესაქცევი ამბების თხრობას.

ბეატა ეკენსტედი დროდადრო კედელში გამოჭრილი სარკმლისკენ აპარებდა მზერას. ალბათ, იმაზე ფიქრობდა, რა დღეში იქნებოდა ოთხ კედელში გამომწყვდეული შარლოტა. იმაზედაც ფიქრობდა, ნეტავ თუ ვენატრები, მას ხომ მუდამ გულით ვუყვარდიო.

ნასადილევს, როცა კარეტა უკვე პარმაღთან იდგა, პოლკოვნიკის ცოლმა ფეხი აითრია და სასადილო ოთახში მარტო დარჩენა მოახერხა. თვალის დახამხამებაში სარკმელთან მიიჭრა და გამოაღო. სარკმლის მეორე მხარეს შარლოტა იდგა, რომელმაც

მთელი დღე დარდში გაატარა და ახლა აქ იმიტომ მიყუჟულიყო, ეგებ ერთხელ მაინც ვეღირსო მის სათნო შემოხედვასო.

ბეატა ეკენსტედმა ფაფუკი ხელები მოხვია სახეზე გოგონას, თავისკენ მოიზიდა და აკოცა, თანაც ჩურჩულებდა:

- ჩემო საყვარელო გოგონი, თუ შეგიძლია კიდევ რამდენიმე დღე, ანუ, უკიდურეს შემთხვევაში, რამდენიმე კვირა მაინც მოითმინო და დამალო სიმართლე, ყველაფერი კარგად იქნება! ვიცი, ჩემი მიზეზით ბევრი ტანჯვა გამოიარე, მაგრამ მე ხომ ვერაფერს ვხვდებოდი, სანამ კულულები არ მოუსპე. მე და პოლკოვნიკი ეკენსტედი თვითონ მივხედავთ ამ საქმეს. შეგიძლია თუ არა მოითმინო ჩემი და კარლ-არტურის ხათრით? იგი კვლავ შენი იქნება, შვილო. იგი კვლავ შენი იქნება!

ვიღაცამ კარის სახელურს მოჰკიდა ხელი. სარკმელი მყის დაიხურა. რამდენიმე წუთის შემდეგ პოლკოვნიკის ცოლი უკვე კარეტაში იჯდა.

ბედის ნებიერი

მდიდარი ქარხნის მეპატრონე შაგერსტრიომი სავსებით დარწმუნებული იყო, რომ ერთი ქარაფშუტა და უქნარა ვინმე დადგებოდა, ახალგაზრდობაშივე ბედის დიდი წყალობა რომ არ რგებოდა.

მდიდარი და წარჩინებული მშობლების შვილს შეეძლო უქნარობასა და ფუფუნებაში ეცხოვრა. არც რბილი ლოგინი დააკლდებოდა, არც კოხტა ტანსაცმელი, არც მსუყე და გემრიელი საჭმელები, ერთი სიტყვით, თავისი და-ძმებივით განცხრომაში იქნებოდა. თუმცა, შაგერსტრიომი ისეთი ზნისა იყო, ამგვარი ცხოვრება კარგს რომ არაფერს მოუტანდა, ყველაზე უკეთ თვითონ იცოდა.

მაგრამ დაბადებიდანვე ყოვლად უსახურსა და ტლანქს მშობლები (განსაკუთრებით დედა) დასანახავად ვერ იტანდნენ. ვერაფრით აეხსნათ, რატომ გაუჩნდათ ასეთი თავკომბალა, კისერმორგვა და ჯირკივით ბავშვი. დედაც და მამაც ხომ ლამაზები და ტანადები იყვნენ, სხვა შვილებიც ანგელოზებს ჰგავდნენ...

ეს გუსტავი კი, როგორც ჩანს, შეუცვალეს თავიანთ ნამდვილ შვილში, ამიტომ ისე ექცეოდნენ, როგორც მიგდებულ ბავშვს.

თავისთავად ცხადია, სულაც არ იყო სასიამოვნო მახინჯ იხვის ჭუჭულად ყოფნა. შაგერსტრიომი გულახდილად აღიარებდა ხოლმე, რომ ბავშვობაში ბევრი სიმწარე ახსოვდა, მაგრამ, როცა მოიწიფა, მერე კი ნამდვილად ბედის წყალობად მიიჩნია ეს. დედაჩემს რომ ყოველდღე გუნდრუკი ეკმია ჩემთვის და ჩემი ძმებივით ჯიბეები სულ მუდამ ფულით მქონოდა გამოტენილი,

ნამდვილად ხელიდან წავიდოდიო, უფიქრია ხშირად. ამით იმის თქმა კი არ უნდოდა, ჩემი და-ძმანი ღირსეული, დასაფასებელი ადამიანები ვერ გახდნენო, არა, მაგრამ ისინი, ალბათ, ზნეკეთილნი იყვნენ და ნეტარებაში ყოფნა არ წყენდათ. მას კი ზიანის მეტს არაფერს მისცემდა ეს.

ლათინური რომ უჭირდა, ორ-ორი წელიწადი რომ იჯდა თითო კლასში, - ყოველივე ეს, მისი აზრით, ბედის უდიდესი წყალობა იყო. რა თქმა უნდა, ყველაფერ ამას იგი ერთბაშად კი არ მიხვდა, მხოლოდ მერე და მერე, საკმაოდ გვიან ირწმუნა. სწორედ ამის გამო იყო, მამამ გიმნაზიიდან რომ გამოიყვანა და ვერმლანდში გაგზავნა, სადაც ქარხნის მმართველის შეგირდად გაამწესა.

ბედისწერამ არც აქ უმტყუნა და ისეთი ხარბი და გულქვა ადამიანის ხელში ჩააგდო, რომელიც მშობლებზე უკეთეს აღმზრდელად გამოადგა. ბუმბულის ქვეშაგებში წოლა არ ღირსებია შაგერსტრიომს, თივის ლეიბზეც კარგად ეძინა. ამ კაცის ხელში შეეჩვია იგი მიმწვარი ფაფისა და აყროლებული ქაშაყის ჭამას. ამ კაცის ხელში შეეჩვია დილიდან საღამომდე მთლად მუქთად მუშაობას და ნიადაგ იმის შიშში ყოფნას, რომ სულ მცირე დაუდევრობისთვისაც კი აუცილებლად მიიღებდა გვარიან სილაქებს. მაშინ სამხიარულო დიახაც არაფერი სჭირდა, მაგრამ ახლა კი კარგად იცოდა მდიდარმა ქარხნის მეპატრონემ, რომ მუდამ ბედის მადლიერი უნდა ყოფილიყო, რადგან თივაზე წოლაც ისწავლა და ხელმომჭირნედ ცხოვრებაც.

საკმაოდ დიდხანს იყო მმართველის შეგირდად, მერე კი ქარხნის კანტორის მოსამსახურე გახდა და სწორედ მაშინ მიიღო ადგილი კრუნბეკენში, ფილიპსტადის მახლობლად, ქარხნის მეპატრონე ფრიობერგთან. ახლა მას კეთილი უფროსიც ჰყავდა, უხვი და გემრიელი საჭმელიც არ აკლდა ქარხნის მეპატრონის

სუფრაზე, ცოტაოდენი ხელფასიც დაუნიშნეს, რომელიც ხეირიანი ტანსაცმლის საყიდლად ჰყოფნიდა. ნებიერი ცხოვრება შეექმნა შაგერსტრიომს. იქნებ ამას სიკეთე არც მოეტანა მისთვის, მაგრამ ბედისწერამ ამჯერადაც არ უღალატა და კვლავ ისე განაგო, რომ მშვიდად განცხრომის საშუალება არ მისცა. ერთი თვეც არ დაუყოვნებია კრუნბეკენში, ერთი გოგონა შეუყვარდა, რომელიც ქარხნის მეპატრონე ფრიობერგს სამეურვეოდ აყვანილი და თან ნაშვილები ჰყავდა. ამაზე საშინელი რა უნდა შემთხვეოდა! ეს გოგონა ჯერ ხომ ენით აუწერელი სილამაზისა იყო, ჭკუა-გონებით სავსე და ყველასთვის საყვარელი, ამას დაუმატეთ ისიც, რომ მილიონებად ღირებული ქარხნებისა და მაღაროების მემკვიდრეც გახლდათ.

ქარხნის კანტორის ნებისმიერი მოხელე, რომელიც გაკადნიერდებოდა და ამ ქალიშვილს თვალს დაადგამდა, უტიფარი თავხედი იქნებოდა, მით უმეტეს, თუ ეს კაცი ყოვლად მახინჯი და ტლანქი ვინმე იყო, თუ მას საკუთარ ოჯახშიც კი მახინჯ იხვის ჭუჭულად მიიჩნევდნენ, თუ იგი არსაიდან ელოდა შემწეობას და იძულებული იყო, საკუთარი ძალ-ღონით გაეკაფა ცხოვრებაში გზა. შაგერსტრიომი მიხვდა, რომ გულში ისე უნდა ჩაეკლა ეს სიყვარული, ძეხორციელიც ვერ მიმხვდარიყო. ისღა დარჩენოდა, ხმის ამოუღებლად ემზირა ახალგაზრდა ლეიტენანტებისა და სტუდენტებისთვის, რომლებიც საშობაოდ და ზაფხულის თვეებში ჩამოდიოდნენ კრუნბეკენში და თავს ევლებოდნენ ტურფა ასულს. ისღა დარჩენოდა, კბილები ეკრაჭუნებინა და ხელები დაემუშტა, როცა ისმენდა მათ ტრაბახს, აქაოდა, ერთ საღამოს ამდენჯერ ვეცეკვეთო, ამდენი და ამდენი ყვავილი მივიღეთ მისგან კოტილიონში, ამდენჯერ და ამდენჯერ გაგვიღიმაო. და თუმცა შაგერსტრიომს ჩინებული სამსახური ჰქონდა, გასახარელი

დიდად არაფერი ჰქონდა, რადგან უნუგეშო სიყვარული მოსვენებას არ აძლევდა.

ამ გრძნობისგან არც მუშაობისას ჰქონდა მოსვენება, არც კვირადღეობით ნადირობისას. ტრფობის ალი ოდნავ მაშინ უნელდებოდა, როცა თავს ჩარგავდა სამთამადნო საქმის უზარმაზარ ფოლიანტებში, კანტორის თაროზე რომ ეწყო და მანამდე ფიქრადაც არავის მოსვლია მათი გადაფურცვლაც კი.

მერე და მერე, რასაკვირველია, მიხვდა, რომ ამ უნუგეშო სიყვარულმაც შესანიშნავად აღზარდა და გამოაწრთო, მაგრამ მაინც ვერა და ვერ შეურიგდა ამ სიყვარულს. მეტისმეტად მძიმე იყო ეს განსაცდელი.

ქალიშვილი, რომელსაც ეტრფოდა, არც წარბშეკრული ხვდებოდა, არც უღიმოდა. და ვინაიდან შაგერსტრიომი ცეკვას თავს არიდებდა და მასთან დაახლოებას არ ცდილობდა, ქალს შემთხვევაც არ მისცემია გამოლაპარაკებოდა.

მაგრამ ერთხელ ზაფხულში, საღამოს ხანს, ახალგაზრდობა ცეკვით ერთობოდა კრუნბეკენის დიდ დარბაზში, შაგერსტრიომი კი ჩვეულებისამებრ კართან იდგა და თვალს არ აშორებდა საყვარელ არსებას. თავის სიცოცხლეში არ დაავიწყდება, როგორ განცვიფრდა, როცა ერთ-ერთი შესვენებისას გოგონა მიუახლოვდა.

- ჰერ შაგერსტრიომ, ვგონებ, აჯობებს მოსასვენებლად წაბრძანდეთ. უკვე თორმეტი საათია, თქვენ ხომ ოთხზე ხართ ასადგომი. ჩვენ კი შეგვიძლია თუნდაც შუადღემდე ვიძინოთ.

შაგერსტრიომი მაშინვე გაეცალა იქაურობას და კანტორაში ჩავიდა. კარგად ესმოდა, რომ ქალს მოჰბეზრდა კედელთან ატუზული ვაჟის ცქერა. თუმცა, მეგობრული კილოთი ელაპარაკებოდა, სახეზეც კეთილი გამომეტყველება ეხატა, მაგრამ შაგერ-

სტრიომს აზრადაც არ მოსვლია ეფიქრა, თითქოს ქალიშვილს ეცოდებოდა, ამდენ ხანს რომ ჩამოწყდა ფეხზე დგომით.

ერთხელ კიდევ, ქალმა თავის ორ კავალერთან ერთად თევზაობა რომ მოინდომა, შაგერსტრიომი ნიჩბებს უჯდა. საშინლად ცხელოდა, ნავშიც ბევრნი ისხდნენ, მაგრამ იგი თავს ბედნიერად თვლიდა, რადგან ქიმზე, სწორედ მის პირდაპირ სათაყვანებელი ქალი იჯდა და დროდადრო მაინც შეეძლო დამტკბარიყო მისი ცქერით.

როცა უკან დაბრუნებულნი ნაპირს მოადგნენ, შაგერსტრიომი ნავიდან გადმოსვლაში შეეშველა. ქალმა თავაზიანად მადლობა მოახსენა, მაგრამ თითქოს იმის შეეშინდა, სხვაგვარად არ ჩამომართვას ეს კეთილგანწყობაო, მყისვე დასძინა:

- ჰერ შაგერსტრიომ, ვერ გამიგია, რატომ არ შედიხართ ფალუნის სამთამადნო სასწავლებელში? პრეზიდენტის შვილი როგორ უნდა დასჯერდეს კანტორის მოხელის თანამდებობას.

ქალიშვილმა, რასაკვირველია, შეამჩნია, რომ ნავში შაგერსტრიომი დაჟინებით უცქეროდა, და მიხვდა, როგორ აღმერთებდა იგი. და რაკი ამან შეაწუხა, გადაწყვიტა, თავიდან მოეცილებინა, იმას როგორ გაივლებდა გულში შაგერსტრიომი, სასწავლებლად წასვლა იმიტომ მირჩია, ჩემს მომავალზე ზრუნავსო. ერთხელ ქალმა ყური მოჰკრა მამობილის ნათქვამს, შაგერსტრიომი შეიძლება კარგი მრეწველი დადგეს, თუ სათანადო განათლებას მიიღებსო, და ამ გზით განიზრახა შეემცირებინა ის უფსკრული, რომელიც აშორებდა ქარხნის მდიდარი მეპატრონის ქალიშვილსა და კანტორის უბრალო მოხელეს.

მაგრამ რაკი ქალმა ასე ინდომა, შაგერსტრიომმა მაშინვე წერილი მისწერა მშობლებს და ამცნო, რომ სამთო სასწავლებელში აპირებდა სწავლას, ხელის შეწყობას სთხოვდა. თხოვნა მართლაც შეუსრულეს. რასაკვირველია, ამ ფულის მიღება უფრო

გაუხარდებოდა, საპასუხო წერილში მამამისს ისიც რომ არ დაეყოლებინა, იმედი მაქვს, იქ მეტ ცოდნას შეიძენ, ვიდრე სტოკჰოლმის გიმნაზიაშიო, და რომ ამ წერილის ყოველ სტრიქონში არ ყოფილიყო შეფარული მშობლების მტკიცე რწმენა - ერთი კი არა, გინდ ათი ეგეთი სასწავლებელი დაამთავრო, შენგან მაინც არაფერი გამოვაო. დრო გავიდა და მხოლოდ მერე მიხვდა, რომ თურმე ესეც მისმა ბედმა განაგო, რათა კაცად ევარგა.

ყოველ შემთხვევაში, იმის უარყოფა არ შეეძლო, რომ სამთო სასწავლებელში ყოფნა ნაყოფიერი გამოდგა მისთვის; იგი ხარბად დაეწაფა სწავლას, მასწავლებლებიც დიდად კმაყოფილნი იყვნენ მისი მეცადინეობით. ყოველივე ეს ძალიან კარგი იყო, მაგრამ მოსვენებას არ აძლევდა ფიქრი ვერმლანდში დარჩენილ ერთ გოგონაზე, მით უმეტეს, როცა იხსენებდა, რომ მას ფარვანებივით ეხვეოდნენ გარს თაყვანისმცემლები.

სწავლის ორწლიანი კურსი რომ გაიარა, და თანაც საკმაოდ კარგად, - საყვარელი ქალიშვილის მეურვემ წერილი გამოუგზავნა და მმართველის ადგილი შესთავაზა ძველ ქარხანაში, რომელიც ყველაზე დიდი და საუკეთესო იყო მის ქარხნებს შორის. ეს იყო შესანიშნავი წინადადება და, რა თქმა უნდა ბევრად სახარბიელო, ვიდრე ამას ოცდასამი წლის ჭაბუკი მოელოდა. შაგერსტრიომი უსაზღვროდ ბედნიერი იქნებოდა, მაშინვე რომ არ მიხვედრილიყო, რომ ეს წინადადებაც ამ გოგონასგან მომდინარეობდა. იმის გაფიქრებაც ვერ გაბედა, რომ ქალი ნდობას უცხადებდა და თავის გამოჩენის საშუალებას აძლევდა. არა, მეურვის წინადადება, მისი აზრით, მხოლოდ იმას ნიშნავდა, რომ ქალიშვილს სურდა ზრდილობიანი გზით ხელი შეეშალა კრუნბეკენში მისი დაბრუნებისთვის. ქალიშვილი სულაც არ იყო მისდა-

მი მტრულად განწყობილი და სიამოვნებით დაეხმარებოდა კიდეც, მაგრამ მისი იქ ყოფნა აუტანლად მიაჩნდა.

შაგერსტრიომმა გადაწყვიტა, დაჰყოლოდა მის ნებას და, ალბათ, ერთხელაც აღარ დაენახვებოდა თვალით, მაგრამ ახალი თანამდებობის დაკავების წინ იძულებული გახდა ინსტრუქციების მისაღებად შეევლო კრუნბეკენში.

მეურვის მამულში რომ მივიდა, ქარხნის მეპატრონე ფრიობერგმა სთხოვა, მანდილოსნები მოინახულე, ვინაიდან ჩემს შვილობილსაც სურს ზოგიერთი რჩევა-დარიგება მოგცესო.

შაგერსტრიომმა მცირე სასტუმრო ოთახს მიაშურა, სადაც ქალები ჩვეულებრივ ისხდნენ და ხელსაქმობდნენ. გოგონა მაშინვე გამოეგება და ისე გამოიწვდინა მისკენ მკლავები, როგორც იქცევიან ხოლმე ძლიერ მონატრებული ადამიანის დანახვისას. შაგერსტრიომს ტანში გასცრა, როცა დაინახა, რომ სასტუმრო ოთახში მათ გარდა არავინ იყო. პირველად დარჩნენ მარტონი. გულმა ბაგაბუგი დაუწყო, თან კიდევ ქალმა მისთვის ჩვეული თავაზიანობითა და გულახდილობით უთხრა, ძველ ქარხანაში, სადაც მმართველად ინიშნები, შესანიშნავი დიდი სახლი გექნება და თავისუფლად შეგიძლია ცოლის შერთვაზე იფიქროო.

შაგერსტრიომს პასუხად კრინტიც არ დაუძრავს, საშინლად დაეკოდა გული, როცა გაიფიქრა, კრუნბეკენიდან ხომ მომიშორა, ახლა კიდევ ის უნდა, ცოლის შერთვა მაიძულოსო. შაგერსტრიომის ფიქრით, იგი ასეთ მოპყრობას არ იმსახურებდა, ზედმეტად არავის აბეზრებდა თავს.

გოგონა კი კვლავ გულახდილად განაგრძობდა:

- ეგ არის ჩემი ყველაზე უკეთესი ქარხანა. მუდამ საოცნებოდ მქონდა, როცა გავთხოვდებოდი, იქ მეცხოვრა.

ამ ნათქვამის აზრს ყველა ადვილად მიხვდებოდა, მაგრამ შაგერსტრიომს პატარაობიდანვე ბევრად მკაცრი ჭკუის დამრიგებ-

ლები ჰყავდა, ვიდრე სხვებს. იგი კარისკენ შებრუნდა და წასვლა დააპირა.

მაგრამ გოგონამ მიასწრო კართან და სახელურს მოჰკიდა ხელი.

- მე იმდენჯერ მითქვამს უარი საქმროებისთვის, - თქვა მან, - ალბათ, სამართლიანიც იქნება, ახლა მე მითხრან უარი.

შაგერსტრიომმა ღონივრად დაადო ხელი მის ხელს და კარის გაღებას შეეცადა.

- ნუ მასულელებთ, - უთხრა მან, - ჩემთვის ეს სიკვდილ-- სიცოცხლის საკითხია.

- ჩემთვისაც, - მიუგო ქალმა და თვალი თვალში გაუყარა.

და მხოლოდ ახლა მიხვდა შაგერსტრიომი, რაოდენ წყალობ- და თურმე ბედი. მარტოობა, სევდა-ნაღველი, გაჭირვება აქამდე მხოლოდ იმიტომ დატრიალებულა მის თავზე, რომ ახლა ენით უთქმელი ზებუნებრივი ნეტარება სწვეოდა და განუყოფლად დაესადგურებინა მის სულში.

მემკვიდრეობა

როცა შაგერსტრიომს სამი წლის ცოლქმრობის შემდეგ ხელიდან გამოეცალა უსაყვარლესი მეუღლე, გამოირკვა, რომ თურმე ცოლს ანდერძი ჰქონოდა დატოვებული, რომლის მიხედვითაც მთელი მისი ქონება ქმარს რჩებოდა, თუ იგი ქმარზე ადრე უშვილოდ გამოეთხოვებოდა წუთისოფელს. და როცა მემკვიდრეობა გაიყო და მოხუც მსახურებსა და შორეულ ნათესავებს დაურიგეს ნაანდერძევი მცირე თანხა, შაგერსტრიომი უზარმაზარი ქონების პატრონი გახდა.

მემკვიდრეობის დამტკიცების ფორმალური მხარეები რომ მოთავდა, შაგერსტრიომის სამფლობელოში მომსახურე ადამიანებმა შვებით ამოისუნთქეს. ყველა გახარებული იყო იმით, რომ ეს უამრავი საბადო და ქარხანა ძველებურად ისევ ერთი კაცის ხელში დარჩა, ხოლო ეს კაცი რომ სამთო საქმის ბრწყინვალე მცოდნე მრეწველი იყო, ეს განგების უდიდეს წყალობად მიიჩნიეს.

მაგრამ ბევრ დროს არ გაუვლია მას შემდეგ, რაც შაგერსტრიომმა მემკვიდრეობა მიიღო, და მმართველებს, ინსპექტორებს, მოიჯარეებს, ტყისმცველებს, ერთი სიტყვით, ყველას, ვინც მეთვალყურეობდა მის სამფლობელოებს, ეჭვი შეეპარათ, ვაითუ, არ გაგვიმართლოს ამ მეპატრონემო. შაგერსტრიომი ისევ სტოკჰოლმში ცხოვრობდა და ეს თავისთავად უკვე დიდ უხერხულობას ქმნიდა, ამას კიდევ როგორღაც შეურიგდებოდნენ, მაგრამ მათ წერილებს რომ არ პასუხობდა, ეს კი მეტისმეტი იყო. მაგალითად, საჭირო იყო სახურავისთვის თუნუქის ყიდვა

და წნელოვანი რკინის გაყიდვა. საჭირო იყო კონტრაქტების დადება ნახშირისა და ხეტყის მიწოდებაზე. აუცილებელი იყო ხალხის დანიშვნა თანამდებობებზე, სახლების შეკეთება, ანგარიშების განაღდება. შაგერსტრიომი კი არც ფულს გზავნიდა, არც წერილებს. დროდადრო მხოლოდ იმას იტყობინებოდა, წერილი მივიღე და მალე, გიპასუხებთო, მაგრამ არც ამ დაპირებას ასრულებდა.

რამდენიმე კვირაში მთლად აიწეწ-დაიწეწა საქმეები. ზოგიერთმა მმართველმა გულზე ხელები დაიკრიფა და უსაქმურობდა. დანარჩენები ისე იქცეოდნენ, როგორც მოესურვებოდათ, რაც კიდევ უფრო უარესი იყო. ყველასთვის ცხადი გახდა, რომ შაგერსტრიომი ის კაცი არ გამოდგა, რომელიც შეძლებდა ამ აურაცხელი სიმდიდრის მოვლა-პატრონობას.

ყველაზე მეტად აღშფოთებული იყო კრუნბეკენელი ქარხნის მეპატრონე ფრიობერგი, მართალია, ძალიან გლოვობდა თავის შვილობილს, სიცოცხლით სავსე, ახალგაზრდა ქალს, მაგრამ ცოტათი მაინც იმით იმშვიდებდა გულს, რომ მთელი მშვენიერი მამულები, ვრცელი სავარგულები, დიდებული, მძლავრი ჩანჩქერები, შემოსავლიანი მაღაროები, ქარხნები, სამჭედლოები კარგ ხელში ჩავარდა.

მან იცოდა, რომ შაგერსტრიომი შესანიშნავად იყო მომზადებული მსხვილი მრეწველის როლისთვის. ცოლქმრობის პირველი წელიწადი, მეურვის რჩევით, შაგერსტრიომმა თავის მეუღლესთან ერთად საზღვარგარეთ გაატარა. იმ წერილების მიხედვით, რომელსაც ფრიობერგი იღებდა, იცოდა, რომ ისინი დროს არ კარგავდნენ სურათების გალერეებში სირბილითა და ძეგლების დათვალიერებით. არა, ეს კეთილგონიერი ხალხი გერმანიაში სამთო საქმეს ეწაფებოდა, ინგლისში - საფაბრიკო საქმეს, ჰოლანდიაში - სოფლის მეურნეობას. ზოგჯერ შაგერსტრიომი

ჩიოდა კიდეც: „თვალწარმტაც ადგილებს ჩავუვლით ხოლმე, მაგრამ დრო არ გვყოფნის მათ დასათვალიერებლად. საზრუნავი მხოლოდ ის გვაქვს, რაც შეიძლება მეტი შევიტყოთ. ასეთია დიზას დაჟინებული თხოვნა. მე კი, სულო ცოდვილო, მხოლოდ ჩვენს სიყვარულსაც ვიკმარებდი“.

ბოლო ხანებში ისინი სტოკჰოლმში დასახლდნენ. იყიდეს განცალკევებით მდგომი დიდი სახლი, ფუფუნებით მოეწყვნენ, ხელგაშლით ცხოვრობდნენ, ერთთავად სტუმრიანობაში იყვნენ. ესეც მეურვის რჩევით ხდებოდა. შაგერსტრიომი ხალხში გამოვიდა. მას უნდა ესწავლა, როგორ მოქცეულიყო ხალხში, დიდი თანამდებობის სახელმწიფო მოხელეებთან. როგორ მიეღო მაღალი საზოგადოების წევრის იერი, როგორ გაება ნაცნობობა გავლენიან საზოგადოებასთან და როგორ მოეპოვებინა ძლიერთა ამა ქვეყნისათა ნდობა.

გასაგებია, რომ თუმცა კრუნბეკენის მეპატრონეს ახლა აღარაფერი ეკითხებოდა შაგერსტრიომის საქმეებისა, მას მაინც ძალიან აწუხებდა შექმნილი ვითარება. ამიტომ გადაწყვიტა აუცილებლად მოლაპარაკებოდა შაგერსტრიომს და ეკითხა, რა ეშმაკი შეგიჯდა, რატომ საქმეს არ მიხედავო.

ერთ მშვენიერ დღეს ფრიობერგმა იხმო თავისი კანტორის მოხელე, ახალგაზრდა კაცი, რომელიც შაგერსტრიომთან ერთად ჩამოვიდა პირველად კრუნბეკენში და მისი ახლო მეგობარი იყო.

- ძვირფასო ნიუმან, - მიმართა ქარხნის მეპატრონე ფრიობერგმა, - შაგერსტრიომის თავს რაღაც ამბავი უნდა იყოს. ახლავე წადით სტოკჰოლმს და აქ ჩამოიყვანეთ. ჩემი კარეტით წამოიყვანეთ. იცოდეთ, თუ უიმისოდ დაბრუნდებით, სამსახურიდან დაგითხოვთ.

კანტორის მოხელე ნიუმანი მეხნაკრავივით იდგა. კრუნბეკენ-ში სამსახურს არაფრის გულისთვის არ შეელეოდა. კაცმა რომ თქვას, არც ნიჭი აკლდა და არც უნარი, მაგრამ უსაშველოდ ზარმაცი იყო. ამას კიდევ ისიც დაერთო, რომ ბედმა გაუღიმა და ქარხნის მეპატრონის ოჯახის ქალთა შემადგენლობამ ძალზე დაიახლოვა და ამიტომ კანტორაში მუშაობაზე გული აიცრუა. მოხუც ქალბატონთან ვისტი უნდა ეთამაშა, გოგონები ხმამაღალი კითხვით უნდა გაერთო, საქარგავად ნიმუშები გადმოეხატა მათთვის, თან ხლებოდა ცხენებით სეირნობისას, მათი ერთგული და დამჯერი კავალერი ყოფილიყო. არც ერთი გართობა და დროს ტარება ისე არ ჩაივლიდა, ნიუმანს არ მიეღო მასში მონაწილეობა. სავსებით კმაყოფილი იყო თავისი ხვედრისა და სხვაგვარ ცხოვრებას არც ინდომებდა.

მაშ, ასე, კანტორის მოხელე ნიუმანი სტოკჰოლმს გაემგზავრა, რათა გადაერჩინა არა მარტო შაგერსტრიომი, არამედ საკუთარი თავიც. ის დღე და ის ღამე გზას მოუნდა და დილის რვა საათი იქნებოდა, ადგილზე რომ ჩავიდა. ფუნდუკში გაჩერდა, მაშინვე ცხენები შეუკვეთა უკან დასაბრუნებლად. საჩქაროდ ისაუზმა და შაგერსტრიომთან წავიდა.

ზარი დარეკა და როცა ლაქიამ კარი გაუღო, უთხრა, შაგერსტრიომის ნახვა მსურსო. ლაქიამ უპასუხა, ჰერ შაგერსტრიომს ვერ ინახულებთ, შინ არ გახლავთო.

ნიუმანმა თავისი ვინაობა უთხრა ლაქიას და სთხოვა, გადაეცა შაგერსტრიომისთვის, რომ იგი სასწრაფო დავალებით იყო გამოგზავნილი ქარხნის მეპატრონე ფრიობერგისგან, და ერთ საათში კვლავ შემოივლიდა.

ზუსტად ერთი საათის შემდეგ იგი კვლავ ეწვია შაგერსტრიომს, ამჯერად ფრიობერგის კარეტით მიადგა მის სახლს. კარე-

ტაში ახალი ცხენები ება და საგზალიც მოემარაგებინა, ასე რომ, მზად იყო უკან დასაბრუნებლად.

მაგრამ წინკარში ლაქია დახვდა და უთხრა, ჰერ შაგერსტრიომმა გთხოვათ, მოგვიანებით მობრძანდეთ, ვინაიდან სხდომას უნდა დაესწროს, სადაც მნიშვნელოვან საკითხს განიხილავენო. შეცბუნება შეატყო ნიუმანმა ლაქიას ლაპარაკში, ეჭვმა გაუელვა, ხომ არ მატყუებსო და ამიტომ ჰკითხა, სად არის სხდომაო.

- დიდ დარბაზში, - მიუგო ლაქიამ და ნიუმანმა დაინახა, რომ წინა ოთახში მართლაც ბევრი ქუდი და პალტო იყო ჩამოკიდებული.

დიდხანს არ უფიქრია, თვითონაც გაიხადა პალტო, ქუდიც მოიხადა და ლაქიას მიაწოდა.

- ალბათ, გექნებათ სადმე ერთი ისეთი ოთახი, რომ დაველოდო, - უთხრა მან, - ქუჩაში ხეტიალი არ მინდა. მთელი ღამე გზაში ვიყავი, რომ დროზე ჩამოვსულიყავი.

ლაქია ყოყმანობდა, ვერ გადაეწყვიტა, შემოეშვა თუ არა, მაგრამ ნიუმანი მანამდე არ მოეშვა, სანამ დარბაზის წინა ოთახში, პატარა კაბინეტში არ შეიყვანეს.

დიდ დროს არ გაუვლია და კაბინეტში ორმა დარბაისელმა მამაკაცმა გაიარა, რომლებიც სხდომაზე დასასწრებად მოსულიყვნენ. წინ მიმავალმა ლაქიამ კარი გაუღო მათ. ნიუმანმა შემთხვევით ისარგებლა და დარბაზს თვალი მოავლო. დოკუმენტებით მოფენილ დიდ მაგიდას ხანდაზმული და წარჩინებული ხალხი შემოსხდომოდა. დოკუმენტები გერბიან ქაღალდებზე იყო დაწერილი.

„უცნაურია! - გაიკვირვა მან, - ეს ქაღალდები ან ნასყიდობისა უნდა იყოს, ან კიდევ გირავნობისა. შაგერსტრიომი, ჩანს, დიდ საქმეს ჰკიდებს ხელს“.

ნიუმანმა ისიც შეამჩნია, რომ მაგიდის ირგვლივ მსხდომთა შორის თვით შაგერსტრიომი არ ჩანდა.

რას უნდა ნიშნავდეს ეს? თუ შაგერსტრიომი სხდომას არ ესწრება, რატომ არ შეეძლო ნიუმანთან შეხვედრა და ლაპარაკი?

განვლო ხანმა და დარბაზიდან ერთ-ერთი დამსწრეთაგანი კაბინეტში გამოვიდა. ეს გახლდათ სახელმწიფო მდივანი, რომელსაც ნიუმანი კრუნბეკენში გაეცნო, როდესაც იგი მდიდარი საცოლის ხელის სათხოვნელად იყო ჩამოსული, და ახლა სასწრაფოდ შეეგება.

- ოჰო, ეს თქვენა ხართ, ჰერ ნიუმან? მომიტევეთ, ჰერ ნიუმან, - წარმოთქვა მდივანმა, - მიხარია სტოკჰოლმში თქვენი ჩამოსვლა. როგორაა საქმეები კრუნბეკენში?

- ხომ ვერ დამეხმარებით, რომ შაგერსტრიომს შევხვდე და ველაპარაკო? - ჰკითხა ბუღალტერმა, - მთელი დღე და ღამე გზაში ვიყავი, გადაუდებელი საქმე მაქვს, არადა, ვერ ვნახულობ.

მდივანმა საათს დახედა.

- ჰერ ნიუმან, ვშიშობ, რომ ერთი-ორი საათი მაინც მოგიწევთ მოთმინება და ლოდინი, სანამ სხდომა დამთავრდება.

- ჰო, მაგრამ რაზე თათბირობენ?

- დარწმუნებული არა ვარ, რომ ახლა ამის თქმის უფლება მაქვს.

ნიუმანმა გაიხსენა ის საამო მოვალეობა, რომელსაც იგი ქალბატონსა და ქალიშვილებთან ასრულებდა, და გაბედა თამამი ვარაუდის გამოთქმა:

- მე ვიცი, რომ შაგერსტრიომს სურს გაყიდოს თავისი სამფლობელოები.

- ნუთუ? მაშასადამე, თქვენთან უკვე იციან ეს ამბავი, - წამოსცდა მდივანს.

- დიახ, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, ვინაა მყიდველი.

- მყიდველი! - წამოიძახა მდივანმა, - რა მყიდველი, რის მყიდველი! შაგერსტრიომს სურს მთელი თავისი ქონება შესწიროს მასონთა თავშესაფარს, ქვრივთა სალაროს და სხვა მისთანებს. ახლა კი ნახვამდის, მეჩქარება! დარბაზში მყოფნი პიროობაზე რომ შეთანხმდებიან, მერე მე უნდა დავწერო ნაჩუქრობის საბუთი.

ბუღალტერს სუნთქვა შეეკრა და რიყეზე ამოგდებული თევზივით დააფჩინა პირი. ასეთი ამბავი რომ ჩაიტანოს კრუნბეკენში, ბებერი ფრიობერგი ისე გაცეცხლდება, ნიუმანს ერთ საათსაც აღარ დატოვებს თანამდებობაზე. რა იღონოს? რა მოიგონოს?

ის იყო, მდივანს კარი უნდა გაეხურა, რომ ნიუმანი სახელოში სწვდა.

- ხომ არ შეგიძლიათ გადასცეთ შაგერსტრიომს, რომ აუცილებელი სათქმელი მაქვს მისთვის? უთხარით, ეს ძალიან მნიშვნელოვანი ამბავია-თქო, უთხარით, რომ დაიწვა ძველი ქარხანა!

- დიახ, დიახ, რასაკვირველია, ვეტყვი, ეს ხომ უბედურებაა!

რამდენიმე წუთის შემდეგ კარი გაიღო და გამოჩნდა ტანდაბალი, გაძვალტყავებული, თვალებდაწითლებული კაცი, რომელსაც სახეზე მკვდრისფერი ედო.

- რა გინდა? - ისე ჯიქურ და მკვახედ მიმართა ნიუმანს, თითქოს ნაწყენი ყოფილიყოს, თავს რომ აბეზრებენ.

კანტორის მოხელემ გაკვირვებისგან პირი დააღო და სიტყვა ვერ დასძრა. ღმერთო, ეს რა დამართია შაგერსტრიომს! ლამაზი იგი არასდროს ყოფილა, მაგრამ იმხანად, როდესაც კრუნბეკენში დაბორიალებდა სიყვარულით გულდათუთქული, უხილავი, შინაგანი მიმზიდველობა მაინც ჰქონდა. ახლა კი ნიუმანი შეაშინა კიდეც თავისი ყოფილი მეგობრის დანახვამ.

- რა გითქვამს? - ისევ შეეკითხა შაგერსტრიომი, - რაო, ძველი ქარხანა დაიწვაო?

კანტორის მოხელემ ეს პატარა იძულებითი ტყუილი მხოლოდ იმიტომ მოიგონა, რომ შაგერსტრიომს შეხვედროდა, ახლა კი გადაწყვიტა, ჯერ არ გამოტეხილიყო სიცრუეში.

- დიახ, - მიუგო მან, - ძველ ქარხანას ხანძარი გაუჩნდა.

- მერედა რა დაიწვა? ბატონის სახლი?

კანტორის მოხელე დაკვირვებით მიაჩერდა შაგერსტრიომს და თვალში მოხვდა საფეთქლებთან შეთხელებული თმა და ჩაფერფლილი მზერა.

„არა, ბატონის სახლი არ იკმარებს, - გაიფიქრა მან, - ახლა მაგარი შენჯღრევაა საჭირო!“

- ო, არა, მარტო ეგ რომ მომხდარიყო, კიდევ რა უშავს...

- აბა, რა? სამჭედლო?

- არა, მთლად გადაიბუგა ძველი ქარხნის დიდი შენობა, რომელშიც ოცი ოჯახი ცხოვრობდა. ორი ქალი ცოცხლად დაიწვა, ასობით ადამიანი უსახლკაროდ დარჩა. ვინც გადარჩა, დედიშობილა გამოვარდა გარეთ. საშინელი უბედურებაა. ჩემი თვალით არ მინახავს, შენთან გამომგზავნეს.

- მმართველს არაფერი მოუწერია ჩემთვის, - უთხრა შაგერსტრიომმა.

- რა აზრი ჰქონდა, რომ მოეწერა კიდეც? ბიორესონმა შიკრიკი გამოგზავნა მოხუც ფრიობერგთან და დახმარება ითხოვა, მაგრამ ბერიკაცმა გადაწყვიტა, კმარა, რაც აქამდე გავისარჯეო. ახლა შენ თვითონ უნდა მიხედო ამ საქმეს, ჰერ.

შაგერსტრიომმა ზარი დარეკა. შემოვიდა ლაქია.

- ახლავე მივდივარ ვერმლანდში! ლუნდმანს უთხარი, კარეტა მომიმზადოს.

- მოიცა, მოიცა! - უთხრა ნიუმანმა, - ფრიობერგის კარეტა აქვეა, დასვენებული ცხენები უბია; პარმაღთან დგას. შენ მხოლოდ სამგზავრო ტანსაცმელი ჩაიცვი და ამწუთას შეგვიძლია გავუდგეთ გზას.

შაგერსტრიომი მზად იყო, დაჰყოლოდა მის რჩევას, მაგრამ ერთბაშად შუბლზე ხელი მოისვა.

- სხდომა! - უთხრა მან, - ეს ძალიან დიდი საქმეა. მე მხოლოდ ნახევარი საათის შემდეგ შევძლებ წამოსვლას.

მაგრამ ნიუმანი ხომ სწორედ იმიტომ იყო აქ, რომ არ მიეცა შაგერსტრიომისთვის საშუალება, ხელი მოეწერა თავისი ქონების ნაჩუქრობის ქაღალდზე.

- ჰო, ნახევარი საათი ვითომდა რა ბედენაა, არა? - მიუგო მან, - მაგრამ, იმათთვის, ვინც შემოდგომის სუსხში შიშველ მიწაზე წევს, იქნებ მეტისმეტად ბევრიც იყოს ეს ნახევარი საათი.

- რატომ წვანან შიშველ მიწაზე? - ჰკითხა შაგერსტრიომმა, - კი მაგრამ, საბატონო სახლი იქვე არ არის?

- ბიორესონმა, ალბათ, შენს უნებართვოდ ვერ გაბედა იმ ხალხის შეყვანა საბატონო სახლში.

შაგერსტრიომი კიდევ ყოყმანობდა.

- ჩემი ფიქრით, დიზა ლანდბერგი აუცილებლად შეწყვეტდა სხდომას, ასეთი ამბავი რომ შეეტყო, - სიტყვა ჩაურთო კანტორის მოხელემ.

შაგერსტრიომმა მწყრალად შეხედა ნიუმანს. დარბაზში შევიდა და მალე ისევ გამობრუნდა უკან.

- სხდომა ერთი კვირით გადავდე.

- მაშ, წავიდეთ!

იმას ვერ ვიტყვით, თითქოს ნიუმანი ძალიან კარგ გუნებაზე იყო, როცა შაგერსტრიომთან ერთად ვერმლანდში ბრუნდებოდა. საშინლად ტანჯავდა იმის ფიქრი, რომ ხანძრის ამბავი იცრუ-

ა; და ლამობდა კიდეც გამოსტეხოდა შაგერსტრიომს ამ იძულებით ცოდვაში, მაგრამ ვერ გაებედა.

„თუ ვეტყვი, რომ არც დამწვარა ვინმე და არც უსახლკაროდ დარჩენილა, მაშინვე სტოკჰოლმში მიბრუნდება, - ფიქრობდა იგი, - ერთადერთი ხელმოსაჭიდი ეს მაქვს“.

იგი შეეცადა სხვაგვარი მიმართულება მიეცა შაგერსტრიომის აზრებისთვის და მთელი გზა ენა არ გაუჩერებია, ათასგვარ ამბავს ჰყვებოდა სამთო მრეწველთა ცხოვრებიდან. გაიხსენა ძველი, ერთგული მსახურების სახუმარო, მოსწრებული ნათქვამები, ნახშირის მომწოდებლების ეშმაკური ოინები, თვალსა და ხელს შუა რომ ატყუებდნენ გამოუცდელ ინსპექტორებს, ისიც უთხრა, ხმა დაირხა, მდიდარი საბადოებია ძველი ქარხნის ახლოსო, აუწერა აუქციონი, რომელზეც ტყის ვრცელი სავარგულები ჩალის ფასად გაიყიდა საჯარო ვაჭრობით.

განუწყვეტლივ ქაქანებდა, თითქოს ამაზე ყოფილიყოს დამოკიდებული მთელი მისი ბედ-იღბალი. მაგრამ შაგერსტრიომმა, რომელიც, ალბათ, მიხვდა, რომ ნიუმანი ცდილობდა საქმისადმი მისი ინტერესის გაღვიძებას, სიტყვა შეაწყვეტინა:

- არ შემიძლია დავიტოვო ეს მემკვიდრეობა, გადაწყვეტილი მაქვს, დავარიგო. დიზა არ დაიჯერებდა ჩემს დამწუხრებას, მემკვიდრეობა უთქმელად რომ მიმეღო.

- შენ უნდა მიიღო იგი არა როგორც ფუფუნება, არამედ როგორც ჯვარცმა.

- არ შემიძლია, - მიუგო შაგერსტრიომმა და მის ხმაში ისეთი სასოწარკვეთა გაისმა, ნიუმანმა სიტყვის შებრუნება ვეღარ გაბედა.

მეორე დღემაც ისე ჩაიარა. ბუღალტერს იმედი ჰქონდა, როცა ქალაქიდან გავიდოდნენ და ტყიან ადგილებსა და ველ-მინდვრებში ივლიდნენ, შაგერსტრიომი ცოტა მაინც გახალის-

დებოდა, მაგრამ მისი სულიერი მდგომარეობა არაფრით გაუმჯობესებულა. ნიუმანს ახლა უკვე სერიოზულად აფიქრებდა თავისი ძველი მეგობრის ბედი.

„დიდხანს ვერ გაატანს, - ფიქრობდა თავისთვის, - დაარიგებს მემკვიდრეობას, მერე ლოგინად ჩავარდება და მოკვდება. მწუხარებას მთლად მოუღია ბოლო“.

და ახლა არა მარტო იმის გულისთვის, რომ როგორმე შეენარჩუნებინა თავისი სამსახური კრუნბეკენში, არამედ იმისთვისაც, რომ დაღუპვისგან ეხსნა მეგობარი, იგი კვლავ შეეცადა სხვაგვარი მიმართულება მიეცა ქარხნის მეპატრონის აზრებისთვის.

- იფიქრე იმათზეც, ვინც ჭაპანწყვეტით ქმნიდა ამ სიმდიდრეს! - უთხრა მან, - შენ გგონია, ისინი მხოლოდ საკუთარი თავისთვის ცდილობდნენ? არა! იმედი ჰქონდათ, რომ გონიერი მეპატრონის ხელში საქმეს გაქანება მიეცემოდა და მთელ მხარეს მოუტანდა სარგებლობას. შენ კი გინდა ყველაფერი ეს ქარს გაატანო. დარწმუნებული ვარ, ამას სინდისის კარნახით არ აკეთებ. მე მგონია, ამის უფლება არა გაქვს. ჩემი აზრით, შენი ტვირთი შენვე უნდა ზიდო. გახსოვდეს, შენს სამფლობელოებზე ზრუნვა სალაღობო საქმე არ გახლავს, ეს ვალად გაწევს მხრებზე.

ნიუმანი გრძნობდა, რომ მისი ლაპარაკი იოტისოდენა გავლენასაც არ ახდენდა შაგერსტრიომზე, მაგრამ მაინც ჯიუტად განაგრძობდა თავისას:

- დაბრუნდი ჩვენთან, ვერმლანდში, და საქმეს მოჰკიდე ხელი. ასეთი ცოდნისა და უნარის პატრონს არ შეგშვენის ზამთრობით სტოკჰოლმში გართობა და ზაფხულობით ქარხნის მამულებში უსაქმურობა. უნდა ჩამოხვიდე და დაათვალიერო შენი სამფლობელოები. დამიჯერე, ეს აუცილებელია!

ნიუმანი ტკბებოდა საკუთარი მჭევრმეტყველებით, მაგრამ შაგერსტრიომმა კვლავ შეაწყვეტინა:

- ეს რა ლაპარაკი მესმის? ნუთუ ეს შენა ხარ, ძვირფასო ნიუმან? - თქვა მსუბუქი ირონიით.

კანტორის მოხელეს სახე წამოენთო.

- ჰო, ვიცი, რომ არ შემფერის შენთვის ჭკუის დარიგება, - გამოეპასუხა იგი, - მაგრამ ერთი ერეც არ მაბადია. ასე რომ, ყველა გზა დახშული მაქვს. ამიტომ ვაძლევ ჩემს თავს უფლებას, უზრუნველი და საამო ცხოვრება მოვიწყო, რამდენადაც ამის ძალ-ღონე შემწევს. სხვა არაფერი დამრჩენია. მაგრამ ერთი ნაგლეჯი მიწაც რომ მქონდეს, დარწმუნდებოდი, ხელიდან არ გავუშვებდი.

მესამე დღეს, დილით, ისინი კრუნბეკენში ჩავიდნენ. ექვს საათზე შევიდნენ ძველი ქარხნის ბატონისეულ მამულში. მზის სხივები მხიარულად ციმციმებდა ხეების ყვითელ და მეწამულ ვარჯებში. ცა თვალისმომჭრელად ლურჯი იყო. კარ-მიდამოს უკან პატარა ტბა ალიონის ბურუსში ფოლადივით ლაპლაპებდა.

ერთი კაციც არ გამოჰგებებია მათ. მეეტლემ ეზოს უკან მიაშურა მეჯინიბის მოსაძებნად. ნიუმანმა ისარგებლა შემთხვევით, რათა თავისი დანაშაული ეღიარებინა შაგერსტრიომის წინაშე.

- ბიორესონს ნურაფერს ჰკითხავ ხანძრის თაობაზე! არავითარი ხანძარი არ ყოფილა. იძულებული ვიყავი, რაიმე მომეგონა, რათა ჩამომეყვანე. ფრიობერგი დამემუქრა, სამსახურიდან გაგაგდებ, თუ არ ჩამოიყვანო.

- ჰო, მაგრამ დამწვრები, უსახლკაროდ დარჩენილნი? - იკითხა შაგერსტრიომმა, რომელსაც ჯერ კიდევ თავში უტრიალებდა ფიქრი მათ შესახებ.

- არც დამწვარია ვინმე, არც უსახლკაროდ დარჩენილი, - გამოტყდა მთლად სასოწარკვეთილი ნიუმანი, - სხვა რა გზა მქონდა? იძულებული გავხდი, მომეტყუებინე, რათა ხელი შემეშალა შენთვის ქონების განიავებაში.

შაგერსტრიომმა გულცივად და მშვიდად შეხედა.

- რასაკვირველია, შენ ეს კეთილი განზრახვით მოიმოქმედე, მაგრამ მაინც ამაოა ყოველივე. როგორც კი გამოცვლიან ცხენებს, მაშინვე სტოკჰოლმში ვბრუნდები.

ნიუმანმა ამოიოხრა და სიჩუმე არჩია. რა გაეწყობოდა. თამაში წაგებული იყო.

ამასობაში მეეტლეც დაბრუნდა.

- ეზოში ერთი მუშაკაციც არ ჩანს, - თქვა მან, - ვიღაც ქალი შემხვდა და მითხრა, მმართველიცა და ფაბრიკის ყველა მუშაც ცხენირმებზე სანადიროდ წავიდნენო. მომრეკები დილის ოთხ საათზე გაკრეფილან აქედან და, ეტყობა, ისე ჩქარობდნენ, მეჯინიბეს ცხენებისთვის თივის დაყრაც ვერ მოუსწრია. ყური დაუგდეთ, როგორ აბაკუნებენ ფეხებს...

და მართლაც, საჯინიბოდან ყრუ ბაკაბუკი მოისმოდა. მშიერი ცხოველები ქაჩაჩებს სცემდნენ მიწას.

შაგერსტრიომს სახეზე სიწითლემ გადაუარა.

- გეთაყვა, მიეცით ცხენებს შვრია, - მიმართა მან მეეტლეს და თან ყელის გასასველებლად ფული აჩუქა.

შაგერსტრიომმა ირგვლივ მიმოიხედა.

- ბრძმედიდან ბოლი არ ამოდის, - თქვა მან.

- ამ ოცდაათი წლის განმავლობაში პირველად ჩააქრეს ბრძმედი, - მიუგო ნიუმანმა, - მადანი არ არის! აბა, რა უნდა ქნას კაცმა? ბიორესონი, როგორც ხედავ, სანადიროდ წასულა და თავისი ხალხიც თან წაუყვანია. მე მესმის მისი.

შაგერსტრიომი კიდევ უფრო გაწითლდა.

- არც სამჭედლო მუშაობს? - იკითხა მან.

- ალბათ. მჭედლები მომრეკებად არიან წასულნი, მაგრამ შენ რაში გეკითხება? შენ ხომ ყოველივე ამას სხვას აძლევ.

- რასაკვირველია, - ორჭოფულად უპასუხა შაგერსტრიომმა, - სულაც არაფერი მესაქმება ამ ამბავთან.

- ახლა ყველაფერი მასონების თავშესაფრის მესვეურთ გადაეცემა, - მიუგო ნიუმანმა.

- რასაკვირველია, - გაიმეორა შაგერსტრიომმა.

- სახლში შესვლა ხომ არ გინდა? - ჰკითხა ნიუმანმა და ბატონისეული სახლისკენ გასწია, - ხომ გაიგე, მონადირეები დღეს უთენია ამდგარან და საუზმეც ადრიანად მიურთმევიათ. ასე რომ, მოახლეებსა და მზარეულებს სძინავთ ალალი შრომის შემდეგ.

- ნუ გააღვიძებთ, - მიუგო შაგერსტრიომმა, - ახლავე უკან მივემგზავრები.

- ეჰე! - წამოიძახა ნიუმანმა, - შეხედე, შეხედე!

გაისმა სროლის ხმა. პარკიდან ცხენირემი გამოვარდა: დაჭრილი იყო, მაგრამ მაინც გამორბოდა, მოტეხილ წინა ფეხს მიწაზე მოათრევდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ პარკიდან ერთი მონადირე გამოხტა. დაუმიზნა და ერთი გასროლით წააქცია ცხენირემი. ცხოველი გულსაკლავი კვნესით დაენარცხა მიწაზე შაგერსტრიომისგან ორიოდე ნაბიჯის მოშორებით.

მსროლელი ნელა და თითქოს გაუბედავად უახლოვდებოდათ. მაღალი, ყოყლოჩინა შესახედაობის კაცი იყო ეს მონადირე.

- კაპიტანი ჰამარბერგია, - უთხრა ნიუმანმა.

შაგერსტრიომმა თავი ასწია და დაჟინებული მზერა მიაპყრო აყლაყუდა მონადირეს.

მაშინვე იცნო. ეს სწორედ ის სახეწითელი, ქერა ოფიცერი გახლდათ, ვისაც ესოდენი საოცარი გავლენა მოეპოვებინა ქალებზე, და ისინი მართლაც აღმერთებდნენ, თუმცა, იცოდნენ, რომ ერთი თაღლითი და არამზადა ვინმე იყო. შაგერსტრიომს ვერა და ვერ დაევიწყებინა, როგორ ეარშიყებოდა ეს სუბიექტი დიზას, როცა გასათხოვარი იყო, მერე, თითქოს მოაჯადოვაო, ქალიც ნებას რთავდა თან ხლებოდა სეირნობისას, მასთან ეცეკვა.

- როგორ ბედავს ეს არამზადა აქ მოსვლას! - ჩაიბურტყუნა შაგერსტრიომმა.

- შენ ხომ ვერ დაუშლი, - უპასუხა ნიუმანმა საკმაოდ მკვახე კილოთი.

შაგერსტრიომს მოგონებები აეშალა. სწორედ ეს კაპიტანი, რომელიც როგორღაც მიხვდა, შაგერსტრიომს მდიდარი ქალიშვილი უყვარსო, სიცოცხლეს უმწარებდა საზიზღარი ოინებით, აბუჩად იგდებდა, ეტრაბახებოდა და თითქოს განგებ იქცეოდა ასე, რათა უფრო მეტად მოეკლა გული შაგერსტრიომისთვის, უფრო ნათლად დაენახვებინა მისთვის, როგორი ქმარი ეყოლებოდა დიზა ლინდბერგს.

შაგერსტრიომს კრიჭა შეეკრა და კიდევ უფრო მოიღუშა.

- ეშმაკმა დალახვროს, მიდით და ბარემ მოკალით ეგ ცხენირემი! - დაუყვირა კაპიტანს.

შემდეგ ზურგი შეაქცია, სახლში შევიდა და მაგრად მიიჯახუნა კარი.

მმართველი ბიორესონი და სხვა მონადირეებიც დაბრუნდნენ პარკიდან. მმართველმა იცნო შაგერსტრიომი და მისკენ გაეშურა. შაგერსტრიომმა სუსხიანი მზერა შეაგება.

- მე არ გსაყვედურობთ, რომ ბრძმედი ჩამქრალია, რომ სამჭედლო არ მუშაობს, რომ ცხენები მშივრები არიან. ამ საქმეში

თქვენზე ნაკლები დანაშაული როდი მიმიძღვის მეც, ჰერ მმართველო, მაგრამ ის, რომ ნება დართეთ ამ არამზადა ჰამარბერგს ჩემს მიწაზე ენადირა, თქვენი დანაშაულია. ამიტომ დღესვე მიიღებთ საბოლოო ანგარიშს.

ამის შემდეგ შაგერსტრიომმა თავის თავზე აიღო კუთვნილი სამფლობელოების მართვა. და საკმაოდ კარგა ხანმა განვლო, სანამ ხელახლა გაუჩნდებოდა მათზე უარის თქმის სურვილი.

დილიჟანსი

I

შაგერსტრიომი უკვე მეორედ მივიდა შარლოტას ხელის სათხოვნელად და ახლა უკან ბრუნდებოდა პასტორის კარ--მიდამოდან. უგუნებოდ იყო. წინადღეს აღფრთოვანებული გაემგზავრა აქედან, რადგან ფიქრობდა, ამაყ და უანგარო ქალს შეახვედრა ბედმა. ახლა კი, რადგან შარლოტა ლიოვენშოლდმა თავისი სულმდაბლობა და ანგარიშიანობა გამოამჟღავნა, საშინელ გუნებაზე იყო. ისე მწვავედ განიცდიდა იმედის გაცრუებას, რომ მიხვდა, თურმე ამ ქალიშვილს გაცილებით ძლიერი შთაბეჭდილება მოუხდენია მასზე, ვიდრე აქამდე ეგონა.

- ეშმაკმა დალახვროს, - ბუტბუტებდა იგი, - ჩემი მოლოდინი რომ გაემართლებინა, ალბათ, შემიყვარდებოდა კიდეც.

მაგრამ ახლა, როცა მისთვის ნათელი გახდა შარლოტას ნამდვილი ზნე და ხასიათი, სიყვარული რაღა სახსენებელი იყო. თავისთავად ცხადია, იძულებული იქნება, ცოლად შეირთოს ეს ქალი, მაგრამ შაგერსტრიომმა კარგად იცის თავისი თავის ამბავი. ვერასოდეს შეიყვარებს ინტრიგან, ვერაგ და ანგარებიან ქალს.

იმ დღეს შაგერსტრიომი პატარა კარეტაში იჯდა, რომლითაც შორეულ გზებზე მოგზაურობდა ხოლმე. ერთბაშად ხელი ასწია და ტყავის ფარდები ჩამოუშვა ფანჯრებზე.

აუტანელმა მზემ და ვეებერთელა ზვინებით მოფენილი მინდვრების ყურებამ თვალები ატკინა.

ახლა, როცა ვერაფერს ხედავდა, ჩაბნელებულ კარეტაში მყოფს უცნაური ზმანებანი დაუდგა თვალწინ. აი, შარლოტა კარის ზღურბლზე დგას და ახალგაზრდა ეკენსტედს მისჩერებია. ისეთ სიყვარულს ასხივებს მისი სახე, ძნელი სათქმელია, კიდევ სხვა ვინმეს შეეძლოს ეს. და როცა ეს ზმანება კვლავ და კვლავ განმეორდა, შაგერსტრიომს მოთმინების ფიალა აევსო.

- ჯანდაბამდე გზა გქონია! უმწიკვლო ანგელოზად მოგქონდა თავი, ათი წუთის შემდეგ კი ჯიბეგატენილ შაგერსტრიომს დათანხმდი ცოლობაზე!

ადვილი მისახვედრია, რომ შაგერსტრიომი სულ უფრო და უფრო მეტად ბრაზობდა თავის თავზე. გაიხსენა, როგორ სულელურად იქცეოდა მთელი ამ ხნის განმავლობაში და აშკარად შეზიზღდა საკუთარი თავი. მხოლოდ მისი ლამაზი თვალების ხათრით დაუჯერა! ღმერთო, რა სისულელე მოუვიდა, ნამდვილი ქარაფშუტობა გამოიჩინა! და საერთოდ მთელი ეს ნიშნობა მიუტევებელი უგუნურება იყო. ნუთუ მართალნი იყვნენ მისი მშობლები? ნუთუ მართლაც იოტისოდენა ჭკუა არა აქვს? უაზროდ და მოუფიქრებლად რომ იქცეოდა, ამას არ უნდა ლაპარაკი.

თანდათან ის აზრი აეკვიატა, ალბათ, იმიტომ დამატყდა თავს ასეთი უბედურება, ჩემი გარდაცვლილი მეუღლის ხსოვნას რომ ვუღალატე და მეორე ცოლის შერთვა გადავწყვიტეო. და აი, სასჯელად ბედმა ახლა ისეთ ქალზე დაქორწინება არგუნა, რომლის ვერც სიყვარულს შეძლებს და ვერც პატივისცემას.

ისევ განუახლდა ძველი დარდი და ნაღველი. მან ირწმუნა, რომ ეს სევდა-ნაღველი იყო მისი სავანე, მისი ნამდვილი ბედისწერა. ცხოვრების სიდუხჭირემ და უკუღმართობამ მართლაც რომ თავი მოაბეზრა.

შაგერსტრიომი ახლა თავისი მაღაროებისა და ქარხნების საინსპექციოდ მიდიოდა. უნდა გადაეთვალიერებინა მმართველების ანგარიშები, შეემოწმებინა, წესრიგშია თუ არა დიდი ურიები და პირდაფჩენილი ქურები გამურულ სამჭედლოებში. ისიც უნდა გაეანგარიშებინა, რამდენი ნახშირისა და სახურავის თუნუქის ყიდვა დასჭირდებოდა მომავალი ზამთრისთვის.

ასე რომ, შაგერსტრიომი მართლაც საქმეების მოსაგვარებლად მიემგზავრებოდა. წესად ჰქონდა, ყოველ ზაფხულს ჩამოევლო თავისი სარეწები. ამის გადადება არ სჩვეოდა. რამდენიმე საათის შემდეგ ძველ ქარხანას მიაღწია, სადაც ახლა მმართველად მისი კეთილი მეგობარი ჰენრიკ ნიუმანი ჰყავდა. მმართველმაც და მისმა ცოლმაც, კრუნბეკენელმა სათნო ქალმა გულთბილად მიიღეს.

აქ ყოველთვის ისეთი სიხარულით ხვდებოდნენ, როგორც შეჰფერის არა მრისხანე მეპატრონეს, არამედ სიყრმის მეგობარსა და ამხანაგს.

უფრო გულისხმიერ და უზრუნველ მასპინძლებს ვერც ინატრებდა შაგერსტრიომი, მაგრამ მელანქოლია, რომელიც გზაში დაეუფლა, მაინც არ მოსცილებია. სიმართლე ითქვას, არც კი მართებდა ახალი ნიშნობის შემდეგ ამ ქარხანაში ჩამოსვლა. აქაური პარკის ყოველი ბილიკი, ხეივნის ყოველი ხე, სახლის წინ დადგმული ყოველი მერხი ჯერ კიდევ ინახავდა ხსოვნას იმ ნაზი სიტყვებისა და ალერსისა, რომლებიც მის პირველ ცოლთან იყო დაკავშირებული. ახალგაზრდა, მშვენიერი, სახეგაბრწყინებული ქალი ჯერაც ცოცხლობდა აქ. შაგერსტრიომს შეეძლო მისი ხილვა, მასთან საუბარი, ჰოდა, ისეთი რა მოხდა, რომ უღალატა?! დედამიწის ზურგზე თუ მოიპოვება ისეთი ქალი, ვინც ღირსი იქნება მისი ადგილის დაკავებისა შაგერსტრიომის გულში?

შაგერსტრიომის უგუნებობა, რასაკვირველია, შეუმჩნეველი არ დარჩენიათ მასპინძლებს. ვერ მიხვედრილიყვნენ, რატომ იყო ასე დადარდიანებული, მაგრამ რადგან თვითონ არ გადაუშალა გული, არც ისინი ჩასძიებიან.

ძველი ქარხანა სულ რამდენიმე მილით იყო დაშორებული კორსჩურკიდან; შაგერსტრიომის ნიშნობისა და მასთან დაკავშირებული ამბების ხმა, რასაკვირველია, აქაც სულ მალე ჩამოაღწევდა. ამიტომაც მმართველი და მისი ცოლი მალე მიხვდნენ ქარხნის მეპატრონის მელანქოლიის მიზეზს.

- ნანობს, მაგრამ რა აქვს სანანებელი! - ეუბნებოდნენ ისინი ერთმანეთს, - შარლოტა ლიოვენშოლდი შესანიშნავი ცოლი იქნება მისთვის. ხელად განკურნავს მუდმივი კაეშნისა და სევდიანი ფიქრებისგან.

- ძალიან მინდა, ველაპარაკო, - უთხრა ქმარს ფრუ ნიუმანმა, - შარლოტას დიდი ხანია ვიცნობ და დარწმუნებული ვარ, მთელი ეს მითქმა-მოთქმა მის ორპირობასა და ანგარებაზე თავიდან ბოლომდე მტკნარი სიცრუეა. შარლოტა პატიოსნების განსახიერებაა.

- შენს ადგილზე რომ ვიყო, არ ჩავერეოდი ამ საქმეში, - ურჩია ქმარმა, - შაგერსტრიომს ახლა ისევე დაბნელებული აქვს გონება, როგორც ამ ექვსი წლის წინ, როცა მოტყუებით წამოვიყვანე სტოკჰოლმიდან. ახლა სახიფათოა მასთან ლაპარაკი.

ახალგაზრდა ქალმა დაიჯერა ქმრის რჩევა და მართლაც თავი შეიკავა, სანამ შაგერსტრიომი მათ ოჯახში იყო სტუმრად. მაგრამ პარასკევ საღამოს, როცა რევიზია დამთავრდა და სტუმარი მეორე დილით უნდა წასულიყო, ქალმა ვეღარ სძლია თავის კეთილ გრძნობებს.

„ცოდვა იქნება, ასე უგუნებოდ, გულზე ჯავრმოწოლილი გავუშვათ, - გაიფიქრა მან, - რატომ უნდა ეგონოს თავი უბედური, როცა საამისო არაფერი სჭირს?“

და მან ვახშმობისას დიდი სიფრთხილით, ვითომცდა სიტყვამ მოიტანაო, სტუმარს გაუბა საუბარი შარლოტა ლიოვენშოლდზე. ბევრი ისეთი რამ უამბო ამ ქალიშვილზე, რაც სალაპარაკოდ ჰქონდათ იმ მხარეში მცხოვრებთ. არც ის დავიწყებია, ცხვირში წკიპურტი რომ გაჰკრა პასტორის ეკონომ ქალს, არც ის გახმაურებული შემთხვევა, როცა ეკლესიაში მერხიდან გადმოვარდა. უამბო საშაქრის, პასტორის ცხენებით ჯირითის ამბავი. დიასახლისს უნდოდა, შაგერსტრიომის თვალში შარლოტა ყოფილიყო ამაყი, სიცოცხლის მოყვარული, გიჟმაჟი, მაგრამ ამავე დროს გონიერი და ერთგული ქალი. ხოლო რაც შეეხება შარლოტაზე შაგერსტრიომის დანიშვნას, მმართველის ცოლი ისე იქცეოდა, ვითომც არც არაფერი იცოდა ამის თაობაზე.

ფრუ ნიუმანი ისე დამარწმუნებლად ლაპარაკობდა თავისი მეგობარი ქალის დასაცავად, ეგონა, ახლა კი მიზანს მივაღწიეო, და სწორედ ამ დროს შაგერსტრიომი უცბად წამოხტა და შორს მოისროლა თავისი სკამი.

- დიდად შესაქებია შენი საქციელი, ბრიტა, - ბრაზით წარმოთქვა მან, - ვიცი, ჩემი დამშვიდება გსურს, გინდა შავი თეთრად მომაჩვენო. მე კი მირჩევნია, სიმართლეს თვალი გავუსწორო. და რადგან ისეთი უგულო გამოვდექი, რომ დიზა დავივიწყე და ხელახლა გადავწყვიტე ქალის შერთვა, დაე, სამართალმა პური ჭამოს და ცოლად ისეთი ფარისეველი და ინტრიგანი ქალი მერგოს, როგორიც არ მოსწრებია ქვეყანას.

ეს სიტყვები წამოიძახა თუ არა, მაშინვე ადგილს მოსწყდა. დამფრთხალმა მასპინძლებმა გაიგონეს, როგორ გაიჯახუნა კარი წინა ოთახში.

შაგერსტრიომი ძველი ქარხნიდან აღმოსავლეთით გადაჭიმულ უსიერ ტყეში დახეტიალებდა. რამდენიმე საათი გავიდა ასე უგზო-უკვლოდ სიარულში და თვითონაც არ იცოდა, ახლა სად იმყოფებოდა.

ისევ აეშალა ძველი ფიქრები, რომლებიც ძლივს მოიშორა თავიდან ამ ექვსი წლის წინ. ეს სიმდიდრე, ტვირთად რომ აწევს, მისი ჯვარცმა და უბედურებაა. მერედა რატომ არ უნდა დაიხსნას მისგან თავი?

ბრიტა ნიუმანი იქნებ მთლად არც კი ტყუოდაო, ფიქრობდა იგი, შარლოტა სხვებზე უარესი როდია. საქმე ისაა, რომ ძალა არ ეყო ცდუნებას გამკლავებოდა. ჰოდა, რატომ უნდა აცდუნოს შაგერსტრიომმა ადამიანები? რატომ არ უნდა დაარიგოს თავისი სიმდიდრე? მას შემდეგ, რაც მემკვიდრეობა მიიღო, არნახულად წინ წავიდა მისი საქმე. იმდენად გაუღიმა ბედმა, თითქმის გაიორკეცა ქონება. მაშასადამე, მით უფრო მეტი მიზეზი ჰქონია მოიშოროს ეს მძიმე ტვირთი.

და კიდევ ერთი რამ! იქნებ ამ გზით თავიდან აიცილოს მეორე ქორწინება. ფროიკენ შარლოტა ლიოვენშოლდი, ალბათ, არც კი გაჰყვება ცოლად ღარიბ კაცს.

სიბნელეში დაბორიალებდა, ხან წაიფორხილებდა და წაიქცეოდა, ხან წამოდგებოდა და გაჩერდებოდა, ბარდებში გზას ვერ იგნებდა, ასევე იყო სულიერადაც.

ბოლოს ფართო, ღორღიან გზაზე გამოვიდა და ახლა კი მიხვდა, სადაც იმყოფებოდა. ეს იყო სტოკჰოლმისკენ მიმავალი დიდი საფოსტო ტრაქტი, რომელიც აღმოსავლეთის მხრიდან ძველი ქარხნის ტერიტორიაზე გადიოდა.

გაჰყვა გზას. ეგებ ღვთის განგება იყო, რომ სტოკჰოლმისკენ მიმავალ ტრაქტზე სწორედ მაშინ გამოვიდა, როცა თავისი ქონების დარიგება გადაწყვიტა?

ნაბიჯს აუჩქარა. ძველ ქარხანაში დაბრუნება აღარ უფიქრია. სულაც არ უნდოდა ვინმესთვის აეხსნა და განემარტა თავისი გადაწყვეტილება. ჯიბეში ფული აქვს და უახლოეს ფუნდუკში შეუძლია ცხენების დაქირავება.

ბექობზე რომ ავიდა, ზურგს უკან ეკიპაჟის თვლების ხმაური მოესმა. მიიხედა და ბინდბუნდში სამცხენშებმული დიდი კარეტა დაინახა. სტოკჰოლმის საფოსტო დილიჟანსი იყო! ესეც ხომ კარგი ნიშანია!

მაშასადამე, მალე ჩავა სტოკჰოლმში.

აქ, ვერმლანდში, უკან მოხედვასაც ვერავინ მოასწრებს, რომ ხელახლა მოიწვევს სხდომას, რომელიც ამ ექვსი წლის წინ შეწყდა და გასცემს თავისი ავლადიდების გასაჩუქრების სიგელებს.

შეჩერდა და დილიჟანსს დაელოდა. როცა კარეტა გაუსწორდა, შესძახა:

- ეი, გააჩერეთ! ერთი ადგილი გაქვთ?

- ადგილი კი მაქვს! - ყვირილითვე უპასუხა ფორეიტორმა, - მაგრამ არა მაწანწალებისთვის.

დილიჟანსმა გზა განაგრძო, მაგრამ ბექობზე რომ ავიდა, მაინც გაჩერდა. როცა შაგერსტრიომმა კარეტასთან მიირბინა, ფორეიტორმა ქუდი მოიხადა და მდაბლად დაუკრა თავი.

- მეეტლე მარწმუნებს, ხმით ვიცანი ჰერ შაგერსტრიომიო.

- დიახ, მე ვარ.

- მაშინ დაბრძანდით კარეტაში, ჰერ, იქ მხოლოდ ორი ქალბატონი ზის.

II

ყოველი საღად მოაზროვნე ადამიანი უნდა დაგვეთანხმოს, რომ პატივსაცემ, დარბაისელ მოხუცს, რომელიც თავის რეპუტაციას უფრთხილდება, გაუჭირდება გამოუტყდეს ვინმეს, სასადილო ოთახის სარკმლიდან გითვალთვალებდი და ღუმელში გადაყრილ შენს წერილებს მივაგენიო. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ფორსიუსებს არ გაუმხელიათ შარლოტასთვის, რაც შეიტყვეს.

მაგრამ, მეორე მხრივ, თავიანთი საჩუმათო საქციელის აღიარება თუ არ უნდოდათ, ამავე დროს ვერც იმას დაუშვებდნენ, შარლოტა კვლავაც საბუფეტეში მჯდარიყო და მომქანცველი სამუშაო ეკეთებინა. როგორც კი ბეატა ეკენსტედის კარეტა ჭიშკარს გასცილდა, პასტორის ცოლი შარლოტასთან შევიდა.

- იცი, რა გითხრა, ძვირფასო? - უთხრა კეთილი ღიმილით სახეგაბადრულმა, - როცა პოლკოვნიკის ცოლის კარეტას გავაყოლე თვალი, ერთი აზრი მომივიდა. რა სჯობია ასეთ ამინდში სადმე გასეირნებას. ერებრუში ცხოვრობს ჩემი მოხუცი და, რომელიც მთელი საუკუნეა არ მინახავს. ნამდვილად გაუხარდება, თუ ვეწვევით და მოვინახულებთ.

შარლოტა ერთბაშად ცოტა შეცბა, მაგრამ ეს-ესაა პოლკოვნიკის ცოლმა თავისი პატარა ფაფუკი ხელები ლოყებზე მოუთათუნა და ტკბილი სიტყვები უჩურჩულა. ამიტომაც ახლა სრულიად სხვაგვარი ეჩვენა სამყარო.

მგზავრობა სწორედ რომ მისწრება იყო ახლა მისთვის. იმანაც ძალიან გაახარა, პასტორი და მისი ცოლი კვლავ მოწყალე თვალით რომ უყურებდნენ. ამ წუთიდან მოყოლებული ჩიტივით

ფრთხიალებდა, ისეთ ხალისიან გუნებაზე იყო, განუწყვეტლივ ლაპარაკობდა, მღეროდა, თითქოს სულაც გადაავიწყდა უარყოფილი სიყვარულიცა და საძაგელი ჭორებიც.

სასწრაფოდ გაემზადნენ და საღამოს ათ საათზე უკვე ჭიშკართან იდგნენ სტოკჰოლმის დილიჟანსის მოლოდინში, რომელსაც მათ გზაზე უნდა ჩაევლო.

სამგზავრო ციებ-ცხელება შეიპყრობდა ყველას, ვინც დაინახავდა ვეებერთელა ყვითელ კარეტას, რომელშიც სამი ნასვენი ცხენი ება, გაიგონებდა თვლების მხიარულ კაკაკუკს, ცხენების მოსართავების ჟღარუნს, მათრახის ტყლაშუნს და საფოსტო ბუკის ხალისიან ხმას.

შარლოტა სიხარულით ფეხზე აღარ იდგა.

- წავიდეთ! წავიდეთ! - იძახდა იგი, - მე შემიძლია დღისითაც და ღამითაც ვიმგზავრო, თუნდ დედამიწის გარშემო!

- ჰო, მაგრამ მალე დაიღლებოდი, ჩემო გოგონი, - შეესიტყვა პასტორის ცოლი, - თუმცა, ვინ იცის? იქნებ ეს სურვილი გაცილებით უფრო მალე აგიხდეს, ვიდრე გგონია.

ადგილები ფუნდუკში წინასწარ შეუკვეთეს და დილიჟანსი მათი სახლის წინ გაჩერდა. ფორეიტერი, რომელსაც აღვირის ხელიდან გაშვება არ უნდოდა, კოფოდან არ ჩამოსულა, ისე მიესალმა ქალებს თავაზიანად:

- საღამო მშვიდობისა, ფრუ რეგინა! საღამო მშვიდობისა, ფროიკენ! დაბრძანდით კარეტაში. ადგილები გეყოფათ. არც ერთი მგზავრი არ გვყავს.

- ოჰო! - წამოიძახა მხიარულად მოხუცმა ქალმა, - თქვენ გგონიათ გაგვახარებთ ამით? სულაც არა, ჩვენ გვირჩევნია ორი ლამაზი კავალერი დაგვხვედროდა კარეტაში, რომ ცოტა მაინც გვეკურკურა მათთან.

იქ მყოფებმა - მეეტლემ, ფორეიტორმა და პასტორის კარ--მიდამოს ბინადრებმა, რომლებიც კარლ-არტურის გარდა უკ-ლებლივ გამოსულიყვნენ გასაცილებლად, - გულიანად გა-დაიხარხარეს. მხიარულ გუნებაზე მყოფი პასტორის ცოლი მარ-ჯვენა კუთხეში მოკალათდა. შარლოტა გვერდით მიუჯდა, ფო-რეიტორმა ბუკს ჩაჰბერა და კარეტა დაიძრა.

პასტორის ცოლი და შარლოტა ერთხანს კიდევ ხუმრობდნენ და იცინოდნენ, მაგრამ სულ მალე ფრიად დასანანი რამ მოხდა: მოხუც ქალს ჩაეძინა. შარლოტა ლაპარაკის გუნებაზე იყო და შეეცადა მის გაღვიძებას, მაგრამ ამაოდ.

„აბა, რა! მძიმე დღე ჰქონდა, - გაიფიქრა შარლოტამ, - ან რა გასაკვირია, რომ დაღლილიყო. დასანანი კია! ეჰ, რა მხიარუ-ლად ვიქნებოდით! მე რომ გამიშვა, მთელი ღამე ვილაპარაკებ“.

სიმართლე ითქვას, ცოტა ეშინოდა კიდეც მარტო ყოფნა, ისევ არ ამეშალოს ფიქრებიო. ღამდებოდა. კარეტა უსიერ ტყეში მი-დიოდა. უკმაყოფილება და ეჭვები დროს უცდიდნენ, რომ კვლავ სცემოდნენ შარლოტას.

რამდენიმე საათის მგზავრობის შემდეგ შარლოტამ გაიგონა, რომ გზიდან ვიღაც შეეხმიანა დილიჟანსის ფორეიტორს. კარე-ტამ მცირე მანძილი გაიარა და გაჩერდა. ახალი მგზავრი ამოვი-და და წინა სკამზე დაჯდა სწორედ შარლოტას პირდაპირ. რამ-დენიმე წუთის განმავლობაში კარეტაში სიჩუმე იყო, მძინარეთა ღრმა სუნთქვა ისმოდა მხოლოდ. პირველად ის გაიფიქრა ქალ-მა, თავს მოვიმძინარებ, რომ შაგერსტრიომთან საუბარს თავი ავარიდოო. მაგრამ დაბნეულობამ რამდენიმე წუთში გაუარა და ძველებურად ისევ ანცობის გუნებაზე დადგა. რა შესანიშნავი შემთხვევა ეძლეოდა! ამის ხელიდან გაშვება როგორ იქნებოდა, ეგებ რაიმე ეშმაკური ხერხით იმდენი ქნას, რომ შაგერსტრიომს უარი ათქმევინოს მასთან შეუღლებაზე, ხოლო თუ ამავე დროს

პატარა ოინსაც მოუწყობს, მერე რა, ამით სულაც არაფერი დაშავდება.

შაგერსტრიომი, რომელიც ჯერაც ღრმა სევდით იყო შეპყრობილი ერთბაშად შეკრთა, როცა მოპირდაპირე მხრიდან ხმა შემოესმა. მის წინ მჯდომს სიბნელეში ვერ ხედავდა, ბინდბუნდში მხოლოდ სახის ნათელი ოვალი გაარჩია.

- გთხოვთ, მომიტევოთ! მაგრამ ისე მომეჩვენა, თითქოს ფორეიტორმა შაგერსტრიომი ახსენა. ნუთუ სწორედ თქვენ ბრძანდებით „ტბის აგარაკის“ მეპატრონე და მრავალი ქარხნის მფლობელი შაგერსტრიომი, რომლის შესახებაც ესოდენ ბევრი რამ მსმენია?

შაგერსტრიომი ცოტათი კი აიმრიზა იმის გამო, რომ იცნეს, მაგრამ ვინაობის დამალვა აღარ შეეძლო, ქუდს ხელი შეახო და რაღაც ჩაიბურტყუნა.

სიბნელიდან ისევ მოისმა ხმა:

- საინტერესო იქნებოდა იმის შეტყობა, როგორ გრძნობს თავს ადამიანი, რომელიც ამოდენა სიმდიდრეს ფლობს. მე არასოდეს მქონია პატივი მესაუბრა მილიონერთან. ალბათ, არც შემფერის, პირდაპირ რომ ვზივარ და ადგილს არ გითმობთ, ჰერ შაგერსტრიომ, თქვენ ხომ ზურგშექცევით გიხდებათ მგზავრობა. სიამოვნებით გაგიცვლიდით ადგილს.

თანამგზავრი ქალი ლაქუცა, დათაფლული ხმით, ოდნავ ჩიფჩიფით ლაპარაკობდა. შაგერსტრიომს ოდესმე რაიმე საქმე რომ ჰქონოდა კორსჩურკელებთან, მაშინვე იმას იფიქრებდა, ორგანისტის ცოლი, ფრუ თეა სუნდლერი მესაუბრებაო. მაგრამ ის კი გაიფიქრა, ესოდენ ყალბი და საზიზღარი ხმა არასოდეს მსმენიაო.

- არა, არა, არავითარ შემთხვევაში! ბრძანდებოდეთ!

- იცით რა, მე მიჩვეული ვარ სიბნელესა და უხერხულობას, - განაგრძობდა ხმა, - და არაფერი მომივა, უარეს ადგილზე რომ დავჯდე. თქვენ კი, ჰერ, ალბათ, შეჩვეული ხართ მოოქრულ სკამზე ჯდომას და ოქროს ჩანგლით ოქროს სინზე კერძის მირთმევას!

- ნება მომეცით, მოგახსენოთ, მოწყალეო ფრუ, - მიუგო შაგერსტრიომმა, რომელსაც უკვე ბრაზი ეკიდებოდა, - რომ ჩემი ცხოვრების უმეტესი ნაწილი ნამჯაზე მეძინა და საჭმელს ხის კოვზით ვჭამდი მოკალულ ჯამში. ერთი უფროსი მყავდა, რომელმაც ერთხელ გაბრაზებულმა ისე დამითრია თმით, რომ მერე შევაგროვე ბღუჯა-ბღუჯა თმა და ბალიში გამოვტენე! აი, როგორი ყურთბალიში მქონდა!

- ოჰ, რა რომანტიკულია! - წამოიძახა პირმოთნე ხმამ, - რა საოცრად რომანტიკული!

- მომიტევეთ, მოწყალეო ფრუ, - შეესიტყვა შაგერსტრიომი, - სულაც არ ყოფილა ეს რომანტიკული, მაგრამ სასარგებლო კი იყო. ამან ხელი შემიშალა ისეთი რეგვენი გავმხდარიყავი, როგორიც, ალბათ, თქვენ გგონივართ.

- ოჰ, რას ბრძანებთ, ჰერ! რეგვენიო! განა ჩემისთანა ადამიანს შეუძლია რეგვენად ჩათვალოს მილიონერი! მე მხოლოდ ის მწადდა შემეტყო, რას განიცდის და როგორ აზროვნებს ესოდენ წარჩინებული პიროვნება. ნება მომეცით, გკითხოთ: როგორი განცდა გქონდათ, როცა ბედმა ბოლოს და ბოლოს მაინც გაგიღიმათ? ხომ არ გიგრძნიათ თავი... ასე ვთქვათ, მეშვიდე ცაზე?

- მეშვიდე ცაზე! - გაიმეორა შაგერსტრიომმა, - სიამოვნებით უარს ვიტყოდი ყველაფერზე, რომ შემეძლოს!

შაგერსტრიომს იმედი ჰქონდა, რომ კარეტის კუთხეში მჯდომი ქალი მიხვდებოდა მის უგუნებობას და ლაპარაკს შეწყვეტდა,

მაგრამ ლაქუცა, დათაფლული ხმა დაუცხრომლად განაგრძობდა:

- რა კარგია, რომ სიმდიდრე უღირს ადამიანს არ ჩაუვარდა ხელში. რა კარგია, რომ სიკეთე დაფასდა.

შაგერსტრიომს ხმა არ ამოუღია. ეს ერთადერთი გზა იყო, თავი აერიდებინა მისი პერსონისა და სიმდიდრის დახასიათებისთვის.

კარეტის კუთხეში მჯდარი ქალი, ალბათ, მიხვდა, რომ მეტისმეტად მოაბეზრა თავი შაგერსტრიომს, მაგრამ მაინც არ გაჩუმებულა, მხოლოდ საუბრის თემა შეცვალა.

- წარმოგიდგენიათ! და ახლა თქვენ, ჰერ, განზრახული გაქვთ დაქორწინდეთ იმ ამპარტავან შარლოტა ლიოვენშოლდზე.

- რაო, რაო? - წამოიძახა შაგერსტრიომმა.

- ოი, მომიტევეთ! - წარმოთქვა ხმამ ადრინდელზე უფრო მეტი ლაქუცითა და უფრო შემპარავად, - ერთი უბრალო ქალი ვარ და არ ვიცი, როგორ უნდა მოვიქცე ამა ქვეყნის ძლიერებთან. იქნებ ისე ვერა ვთქვი, როგორც საჭირო იყო, მაგრამ რა ვქნა, შარლოტაზე დავიწყებ თუ არა ლაპარაკს, მაშინვე „ამპარტავანი“ მომადგება ხოლმე ენაზე. ეგრე იყოს, რაკი თქვენ, ჰერ, არ გეამათ ეს სიტყვა, მეც აღარ გავიმეორებ!

შაგერსტრიომს კვნესისმაგვარი ხმა აღმოხდა. კუთხეში მჯდომ ქალს შეეძლო პასუხად ჩაეთვალა ეს.

- მე მესმის, რომ თქვენ, ჰერ შაგერსტრიომ, ის ქალი განსჯის შედეგად აირჩიეთ. ამბობენ, ქარხნის მეპატრონე ყოველთვის გულმოდგინედ განჭვრეტს, და აწონ-დაწონის ხოლმე თავის მოქმედებასო. ვიმედოვნებ, ასე მოხდა ამ ნიშნობის დროსაც. თუმცა, მინდოდა მეკითხა თქვენთვის, იცით თუ არა, ჰერ, რას წარმოადგენს ის ამპ... ო, მომიტევეთ, ის ლამაზი და მომხიბლავი შარლოტა ლიოვენშოლდი? ამბობენ, რომ თქვენ, ჰერ, ნიშ-

ნობამდე ერთხელაც არ დალაპარაკებიხართ, მაგრამ, ალბათ, რაიმე სხვა გზით დაირწმუნეთ თავი, რომ იგი სავსებით ღირსეული დიასახლისი იქნება „ტბის აგარაკზე“.

- მოწყალეო ფრუ, თქვენ ამ საქმეში კარგად ჩახედული ბრძანდებით, - უთხრა შაგერსტრიომმა, - ალბათ, ახლოს იცნობთ ფროიკენ შარლოტას?

- პატივი მერგო და კარლ-არტურ ეკენსტედის ახლო მეგობარი ვარ, ჰერ შაგერსტრიომ.

- აი, თურმე რა! - გამოეხმიანა შაგერსტრიომი.

- მაგრამ დავუბრუნდეთ შარლოტას. მაპატიეთ, ამას რომ გეუბნებით, მაგრამ ბედნიერი არ ჩანხართ, ჰერ შაგერსტრიომ. გავიგონე, როგორ ოხრავდით და კვნესოდით. ჰერ, იქნებ ნანობთ კიდეც, ქორწინებაზე რომ დაეთანხმეთ იმ... ჰო, როგორ უნდა ვთქვა... ნებიერ ქალიშვილს? იმედი მაქვს, ასეთი გამოთქმა არ ეხამუშება ჰერ შაგერსტრიომს? სიტყვა თავნება შეიძლება ცუდსაც ნიშნავდეს და კარგსაც. მე ვიცი, რომ შაგერსტრიომებს არ სჩვევიათ სიტყვის გადათქმა, მაგრამ პასტორი და მისი ცოლი სამართლიანი ხალხია. უნდა გაიხსენონ, თვითონ რამდენი რამ აუტანიათ შარლოტასგან.

- პასტორსა და მის ცოლს ძალიან უყვართ თავიანთი აღზრდილი.

- ბარემ ისა თქვით, რომ ისინი საოცრად მომთმენნი არიან, ჰერ შაგერსტრიომ! ასე უფრო სწორი იქნება! წარმოიდგინეთ, ჰერ შაგერსტრიომ, პასტორის ცოლს ერთხანს ჰყავდა შესანიშნავი ეკონომი ქალი, მაგრამ შარლოტას იგი არ მოეწონა. ჰოდა, გახურებული საშობაო მზადების დროს წკიპურტი გაჰკრა ცხვირში. ქალმა ეს წყენა ვერ აიტანა და უარი თქვა იმ ოჯახში სამსახურზე. მოხუც ავადმყოფ რეგინა ფორსიუსს სხვა რა გზა ჰქონდა, ისევ თვითონ ჩაება საოჯახო საქმიანობაში.

შაგერსტრიომს ეს ამბავი უკვე მოსმენილი ჰქონდა, თუმცა, სრულიად სხვაგვარად ნაამბობი, მაგრამ შეპასუხება მაინც არ ინდომა.

- ჰოდა, წარმოიდგინეთ, ჰერ შაგერსტრიომ, პასტორი, რომელსაც ისე უზომოდ უყვარს თავისი ცხენები, რომ...

- ვიცი, შარლოტამ აჯირითა ის ცხენები, - შეაწყვეტინა შაგერსტრიომმა.

- მერედა, განა ეს საშინელება არ არის?

- მე მითხრეს, ცხენები საჯინიბოში დგომისგან ლამის დაკუტდნენო.

- ისიც თუ გსმენიათ, როგორ მოექცა თავის სადედამთილოს?

- საშაქრე რომ გადმოაპირქვავა? - ჰკითხა შაგერსტრიომმა.

- დიახ, საშაქრე რომ გადმოაპირქვავა. მე მგონია, ქალმა, რომელიც „ტბის აგარაკის“ დიასახლისი გახდება, სუფრასთან მოქცევა უნდა იცოდეს.

- სავსებით მართალია, ფრუ!..

- განა გესიამოვნებათ, რომ ცოლმა უარი გითხრათ სტუმრის მიღებაზე?

- რასაკვირველია, არა.

- ჰოდა, მაშინ საალალბედოდ იხდით საქმეს, შარლოტას რომ ირთავთ ცოლად. აბა, წარმოიდგინეთ, რა ჩაიდინა ჰოლმში, კამერჰერ დუნკერის ოჯახში! წვეულების დროს კაპიტან ჰამარბერგის გვერდით უნდა დამჯდარიყო სკამზე, მაგრამ იუარა. მაგას ის მირჩევნია, სულაც შინ წავიდეო, განაცხადა. თქვენ, ალბათ, გსმენიათ, რომ კაპიტან ჰამარბერგს არცთუ დიდად საქებური სახელი აქვს გავარდნილი, მაგრამ კარგი თვისებებიც აქვს. მე გულახდილად მისაუბრია კაპიტანთან და ვიცი, რა უბედურია იმის გამო, რომ ვერ შეხვდა ისეთ ქალს, რომელიც გაუგებდა და დაუჯერებდა. მაგრამ როგორც უნდა იყოს, რა შარ-

ლოტას საქმეა ეს, და რადგან თვით კამერჰერმა მოიპატიჟა ჰამარბერგი, შარლოტას არ შეჰფეროდა ცხვირის აბზუება.

- მე კი, მაგალითად, ჩემს სახლში არ მოვიწვევ კაპიტან ჰამარბერგს, - უთხრა შაგერსტრიომმა.

- შეიძლება, შეიძლება, - წარმოთქვა ხმამ, - მაშინ სხვა საქმეა. როგორც ვხედავ, ჰერ შაგერსტრიომს უფრო მეტად მოსწონს შარლოტა, ვიდრე მე მეგონა. ეს მართლაც კეთილშობილებაა, ეს ნამდვილი რაინდობაა. ჰერ, თქვენ, ეტყობა, ყველას იცავთ, ვისაც კი სახელი აქვს გატეხილი. მაგრამ გულში, ალბათ, მეთანხმებით. თქვენ, ჰერ შაგერსტრიომ, მოგეხსენებათ, რომ სრული უაზრობაა ქორწინება მაღალი მდგომარეობის პირსა და ისეთ ნებიერ ქალიშვილს შორის, როგორიც შარლოტაა.

- თქვენ გგონიათ, ფრუ, რომ პასტორისა და მისი ცოლის დახმარებით შემიძლია... მაგრამ არა, ეს შეუძლებელია!

- შეუძლებელი სხვა რამაა! - შემპარავად შეესიტყვა დათაფლული ხმა, - შეუძლებელია შერცხვენილი ქალის შერთვა.

- შერცხვენილი?

- მომიტევეთ, მაგრამ, თქვენ ეტყობა, არაფერი იცით, ჰერ! თქვენ ისეთი გულკეთილი ბრძანდებით! კარლ-არტურ ეკენსტედმა მიამბო, როგორ გამოექომაგეთ შარლოტას. და თუმცა დარწმუნდით, რომ იგი მართლაც გასამტყუნებელი იყო, მაინც დაიცავით. მაგრამ ყველა თქვენისთანა ხომ არ არის? პოლკოვნიკის ცოლი ორი დღე სტუმრად იყო პასტორის ოჯახში. შარლოტას ნახვა არ მოინდომა. მასთან ერთ ჭერქვეშ ღამის გათევა არ იკადრა.

- მართლა? - ჰკითხა შაგერსტრიომმა.

- დიახ, - მიუგო ხმამ, - სრული სიმართლეა და იცით, ჰერ შაგერსტრიომ, რომ ზოგიერთი მამაკაცი ისე იყო აღშფოთებული შარლოტას საქციელით, რომ მჩხავანა კატების კონცერტის გა-

მართვას აპირებდნენ მის სახლთან, როგორც ამას აკეთებენ ხოლმე უფსალელი სტუდენტები, როცა რომელიმე პროფესორი გაანაწყენებთ.

- მერე რა მოხდა?

- ყმაწვილები პასტორის ეზოსთან შეიკრიბნენ და ყურთასმენის წამღები ჩხავილი მორთეს, მაგრამ ჩაუშალეს კონცერტი. ეს გააკეთა კარლ-არტურმა. იმ ღამით მასთან ფლიგელში ღამეს ათევდა დედამისი, ის კი ასეთ სკანდალს ვერ მოითმენდა.

- ეგ მიზეზი რომ არა, ახალგაზრდა ეკენსტედი არ ჩაერეოდა საქმეში?

- მაგაზე ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ, მგონი, სამართლიანობის გულისთვის ის ყმაწვილები ხვალ ღამითაც იმავეს გაიმეორებენ, ჰერ შაგერსტრიომ. და ისიც მგონია, რომ ბრმა კალე კიდევ კარგა ხანს იხეტიალებს ამ მხარეში და შარლოტაზე შეთხზული სიმღერით გაართობს ხალხს. ეს საკმაოდ თავშესაქცევი სიმღერა რომ მოგასმენინათ, ჰერ შაგერსტრიომ, მაშინ კი მიხვდებოდით, რომ თქვენთვის არ შეიძლება შარლოტა ლიოვენშოლდის შერთვა.

ანაზდად ქალი გაჩუმდა. შაგერსტრიომმა დილიჟანსის კედელზე კაკუნი ატეხა, ალბათ, მეეტლეს ნიშანს აძლევდა, გააჩერე კარეტაო.

- რაშია საქმე, ჰერ? თქვენ რა, ჩასვლას აპირებთ?

- დიახ, მოწყალეო ფრუ, - მიუგო შაგერსტრიომმა. იგი ახლა ისევე იყო გაშმაგებული, როგორც რამდენიმე საათის წინ, როცა ბრიტა ნიუმანმა შარლოტას შესახებ საუბრის გაბმა დაუპირა, - მხოლოდ ამგვარად შევძლებ თავიდან ავიცილო ცილისწამების მოსმენა იმ ქალიშვილზე, რომელსაც მე პატივს ვცემ და ცოლად ვირთავ.

- ოი, რას ბრძანებთ! მე სულაც არ მინდოდა...

კარეტა გაჩერდა. შაგერსტრიომმა ჯიქურ გამოაღო კარი და ჩავიდა.

- მესმის, რომ არ გინდოდათ! - უთხრა მან ბრაზიანად, მაგრად მიაჯახუნა კარი და ფულის გადასახდელად ფორეიტორთან მივიდა.

- უკვე ჩადიხართ, ჰერ შაგერსტრიომ? - უთხრა ფორეიტორმა, - ქალბატონები ნაწყენები დარჩებიან. პასტორის ცოლმა, კარეტაში რომ ჯდებოდა, უკმაყოფილებაც კი გამომიცხადა, კავალრები რომ არ დახვდნენ იქ.

- პასტორის ცოლმა! - გაიკვირვა შაგერსტრიომმა, - რომელი პასტორის ცოლმა?

- კორსჩურკელი პასტორის ცოლმა. განა მგზავრებთან არ გისაუბრიათ და არ შეგიტყვიათ, რომ კარეტაში პასტორის ცოლი და ფროიკენ ლიოვენშოლდი არიან?

- შარლოტა ლიოვენშოლდი! - გაიმეორა შაგერსტრიომმა, - მაშ, ის შარლოტა ლიოვენშოლდი იყო!

შუაღამე კარგა ხნის გადასული იყო, როცა შაგერსტრიომმა ძველ ქარხანას მიაღწია. მმართველი ნიუმანი და მისი ცოლი ჯერაც არ დაწოლილიყვნენ. შიშით ელოდნენ შაგერსტრიომის დაბრუნებას და ხალხის გაგზავნასაც კი აპირებდნენ მის მოსაძებნად. აღელვებულნი ბოლთას სცემდნენ ხეივანში, როცა ბნელი ცის ფონზე ტანმორჩილი, ჩასკვნილი კაცი დაინახეს. ცნობით კი იცნეს, მაგრამ თვალებს არ უჯერებდნენ, რადგან ეს კაცი, ლაღად რომ მოაბიჯებდა მათკენ, მხიარულ გუნებაზე იყო და ძველებურ ხალხურ სიმღერას ღიღინებდა.

დამხვდურები რომ დაინახა, გულიანად გადაიხარხარა.

- წადით, დაიძინეთ! ხვალ ყველაფერს გიამბობთ, მაგრამ თქვენ მართალი იყავით. ნიუმან, სამგზავროდ უნდა მოემზადო,

დილით შენ წახვალ ჩემ მაგივრად საინსპექციოდ, მე კი ხვალ კორსჩურკაში უნდა დავბრუნდე.

ნიშნობის გამოცხადება

I

შაბათ დილას შაგერსტრიომი პასტორს ეწვია, რათა მოთათბირებოდა იმის თაობაზე, თუ როგორ ეხსნათ შარლოტა, რომელიც ისე აითვალწუნეს, რომ სიცოცხლეს უმწარებდნენ.

სიმართლე ითქვას, მისწრება იყო მისი ჩამოსვლა. საბრალო მოხუცი ისე იყო დამფრთხალი და აღშფოთებული, ცოფიანს ჰგავდა. ხუთი წვრილი ნაოჭი ისევ წითლად უღვიოდა შუბლზე.

სწორედ იმ დილით სამი კაცი ეწვია სოფლიდან - აფთიაქარი, ორგანისტი და ხელმწიფის ფოგტი. მათი მოსვლის მიზანი სწორედ ის იყო, რომ როგორც პირადად თავიანთი, ისე მთელი მრევლის სახელით ეთხოვათ შარლოტას გაძევება პასტორის სახლიდან.

აფთიაქარი და ხელმწიფის ფოგტი თავაზიანად იქცეოდნენ. ეტყობა, ეჩოთირებოდათ ასეთი მისიის შესრულება. ორგანისტი კი მეტისმეტად ცხარობდა, ბრაზმორეული ძალიან ხმამაღლა ლაპარაკობდა და სულაც აღარ ახსოვდა, რომ თავისი სულიერი მოძღვრის წინაშე მორიდება მართებდა.

შარლოტა თუ ისევ თქვენთან დარჩება საცხოვრებლად, მრევლის თვალში, ალბათ, ბევრი რამ დაგაკლდებათო, განუცხადა პასტორს. თავისი საქმრო ხომ მოატყუა და მოატყუა; სხვა

დროსაც ხომ ბევრჯერ მოქცეულა უღირსად, ამას კიდევ ის დაემატა, რომ გუშინ თავს დააცხრა ჩემს ცოლს, რომელიც, რა თქმა უნდა, სულაც არ მოელოდა, რაიმე ფათერაკი თუ შეემთხვეოდა ამ წესიერ ოჯახში სტუმრად მყოფსო.

პასტორმა მაშინვე განუცხადა, ფროიკენ ლიოვენშოლდი მანამდე დარჩება ჩემს ოჯახში, სანამ პირში სული მიდგასო. ასეთი პასუხი რომ მიიღეს, მოციქულებს წასვლის მეტი აღარაფერი დარჩენოდათ, მაგრამ ადვილი გასაგებია, რა უსიამოვნება მიაყენა მთელმა ამ ამბავმა კეთილ მოხუცს.

- ამ მითქმა-მოთქმას ბოლო არ ექნება, - უთხრა შაგერსტრიომს, - მთელი კვირაა, მოსვენებას არ მაძლევენ. ეჭვი არ შეგეპაროთ, ჰერ, რომ ორგანისტი უკან არ დაიხევს. თვითონ უწყინარი კაცია, მაგრამ ცოლი აქეზებს.

შაგერსტრიომი, რომელიც დღეს შესანიშნავ გუნებაზე იყო, შეეცადა მოხუცის დამშვიდებას, მაგრამ ამაოდ.

- ჰერ, გარწმუნებთ, მთელ ამ ამბავში შარლოტა ისევე უდანაშაულოა, როგორც ახალშობილი ბავშვი. მე ფიქრადაც კი არ გავივლებ ჩემი სახლიდან მის გაძევებას. მაგრამ მშვიდობა ჩემს სამრევლოში, ჰერ, მშვიდობა, რომელსაც მთელი ოცდაათი წლის განმავლობაში ვიცავდი, ახლა ნამდვილად დაირღვევა.

შაგერსტრიომი მიხვდა, რომ მოხუცს, რომელიც სულ იმის მეცადინეობაში იყო, მშვიდობა შეენარჩუნებინა მრევლში, ახლა შიში ჰქონდა, წყალში არ გადაჰყროდა ამდენი ნაამაგარი. ამიტომ უკვე ეჭვიც ეპარებოდა, ეყოფოდა თუ არა პასტორს ძალა და გამბედაობა, გამკლავებოდა მრევლის ახალ მოძალებას.

- სიმართლე მოგახსენოთ, - უთხრა შაგერსტრიომმა, - მეც მომივიდა ხმა, რომ ფროიკენ ლიოვენშოლდს აბუჩად აგდება დაუწყეს. სწორედ იმიტომაც ჩამოვედი თქვენთან, ჰერ პასტორო, რომ მოგთათბირებოდით, რა გვეღონა ამის აღსაკვეთად.

- ჭკვიანი კაცი ბრძანდებით, ჰერ, - მიუგო მოხუცმა, - მაგრამ მეეჭვება, შეძლოთ ამ ბოროტი ენების ალაგმვა. არა, ფრთხილად უნდა ვიყოთ და უარესისთვის მოვემზადოთ.

შაგერსტრიომს შეპასუხება უნდოდა, მაგრამ მოხუცმა პასტორმა კვლავ სევდიანი კილოთი გაიმეორა:

- უარესს უნდა ველოდეთ, ეჰ, ჰერ შაგერსტრიომ, უკვე ჯვარდაწერილი რომ იყოთ შარლოტასთან!.. ანდა თუნდაც საჯაროდ გამოგეცხადებინათ თქვენი ნიშნობა!

ამის თქმაზე შაგერსტრიომი ფეხზე წამოიჭრა.

- რა თქვით, ჰერ პასტორო? თქვენ ფიქრობთ, ნიშნობის გამოცხადება უშველის საქმეს?

- რასაკვირველია, უშველის, - მიუგო მოხუცმა, - მრევლი თუ დარწმუნდება, რომ თქვენ ნამდვილად ირთავთ შარლოტას, მაშინვე დაეხსნებიან. ყოველ შემთხვევაში, ქორწინებამდე მაინც შეეძლებოდა ჩემთან დარჩენა და კაციშვილი კრინტს ვერ დასძრავდა. ასეთნი არიან ადამიანები, ჰერ, ვისაც სიმდიდრე და ძალაუფლება მოელის, მათ შეურაცხყოფას ვერ გაბედავენ.

- თუ ასეა, ხვალ დილითვე გამოცხადდეს ეკლესიაში ჩვენი ნიშნობის ამბავი, - უთხრა შაგერსტრიომმა.

- დიდად კეთილშობილი აზრია, ჰერ, მაგრამ ეს შეუძლებელია. შარლოტა სხვაგან გაემგზავრა და, ალბათ, არც თქვენ გაქვთ თან საჭირო საბუთები.

- საბუთები მამულში მაქვს და მათი ჩამოტანა ძნელი არ არის. და როგორც თქვენთვის ცნობილია, ჰერ პასტორო, ფროიკენ შარლოტა დათანხმდა ჩემს ცოლობას. გარდა ამისა, თქვენ ხომ მისი მეურვე ბრძანდებით და შეგიძლიათ ნება დართოთ მის ქორწინებას.

- არა, არა, ჰერ! ნაჩქარევად ნუ გადაწყვეტთ ამას.

მოხუცმა სხვა საგანზე გადაიტანა საუბარი, თავისი კოლექციიდან იშვიათი მცენარეების რამდენიმე ეგზემპლარი უძღვნა შაგერსტრიომს და უამბო, როგორ იშოვა ისინი. უწინდებურად გახალისდა და ლაპარაკის გუნებაზე დადგა. თითქოს სულ გადაავიწყდა, თუ რამე დარდი ჰქონდა.

შემდეგ ისევ შაგერსტრიომის გადაწყვეტილებას მიუბრუნდა.

- ნიშნობის გამოცხადება ჯვრისწერა ხომ არ არის. თუ შარლოტა უკმაყოფილო დარჩება, აუცილებელი როდი იქნება ქორწინება.

- ლაპარაკია მხოლოდ იძულებით ღონისძიებაზე, - უთხრა შაგერსტრიომმა, - რომელსაც მხოლოდ იმიტომ მივმართავთ, რომ მშვიდობა აღვადგინოთ მრევლში და შეურაცხყოფასა და ცილისწამებას ბოლო მოეღოს. მე, რასაკვირველია, არც ვაპირებ ძალისძალად, მისი სურვილის წინააღმდეგ მივიყვანო შარლოტა საკურთხეველთან.

- დიახ, დიახ, ვინ იცის? - ჩაილაპარაკა პასტორმა, რომელსაც, ალბათ, დაუკითხავად წაკითხული წერილი გაახსენდა, - უნდა მოგახსენოთ, ჰერ, შარლოტა თავნება ქალიშვილია. ასე რომ, თავად მისთვისაც აჯობებდა მთელი ეს ამბავი დასრულდეს. თორემ მომავალში, ვინძლო, არ იკმაროს ორი მოჭრილი კულული.

ისინი კიდევ დიდხანს ბჭობდნენ ამ საქმეზე.

ნიშნობის გამოცხადების ამბავი რომ გაჩხრიკ-გამოჩხრიკეს, თანდათან იმ აზრს დაადგნენ, რომ ეს უკეთესი გამოსავალი იყო ყოველგვარი გასაჭირიდან.

- დარწმუნებული ვარ, ჩემი ცოლიც დაგვთანხმდებოდა, - უთხრა პასტორმა, რომელსაც ბოლოს იმედით აევსო გული.

შაგერსტრიომი სულ იმაზე ფიქრობდა, როგორც კი საჯაროდ გამოცხადდებოდა მათი ნიშნობა, უფლება მიეცემოდა, გამხდა-

რიყო შარლოტას მფარველი. აი, მაშინ კი, რასაკვირველია, აღარ მოითმენდა ჩხავილის ატეხასა და გასაკილ სიმღერებს.

თუმცაღა, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ რადგან დილიჟანსში გამართული საუბრის დროს შარლოტას უანგარობაში დარწმუნდა, შაგერსტრიომს უნაზესი გრძნობები აღეძრა მისდამი, ასე რომ, ჩაფიქრებული განზრახვა თვითონ მისთვისაც კი მაცდუნებელი იყო.

ცხადზე უცხადესია, საკუთარ თავსაც არ გამოუტყდებოდა ამაში. სჯეროდა, მხოლოდ აუცილებლობის გულისთვის იქცეოდა ასე, თუმცა, აგრე ემართებათ მუდამ შეყვარებულებს და სწორედ ამიტომ ჯობია, თვალი დავხუჭოთ მათ უგუნურ საქციელზე.

ამრიგად, გადაწყდა, საჯარო გამოცხადება ეკლესიაში უნდა მომხდარიყო მეორე დღეს. შაგერსტრიომი „ტბის აგარაკზე“ წავიდა და საჭირო ქაღალდები ჩამოიტანა, პასტორმა კი საკუთარი ხელით დაწერა ნიშნობის გამოცხადების ტექსტი.

როცა ყველაფერი მზად იყო, შაგერსტრიომმა უდიდესი კმაყოფილება იგრძნო. სულაც არ ეთაკილებოდა, რომ ეკლესიის კათედრიდან შარლოტასთან ერთად ახსენებდნენ.

„ქარხნის მეპატრონე, მონაი ღვთისა გუსტავ ჰენრიკ შაგერსტრიომი და კეთილშობილი ქალიშვილი, მხევალი ღვთისა შარლოტა ლიოვენშოლდი. საკმაოდ შთამბეჭდავია“, - გაიფიქრა მან. ახლა ისიც ინდომა, ნეტავ მომასმენია, როგორ აჟღერდება ეს სიტყვები ეკლესიაშიო, და გადაწყვიტა, მეორე დღეს კორსჩურკაში წასულიყო ღვთისმსახურებაზე დასასწრებად.

II

იმ კვირას, ნიშნობის პირველი გამოცხადების დღეს, კარლ--არტურ ეკენსტედმა შესანიშნავი ქადაგება წარმოთქვა. თუმცა, ასეც იყო მოსალოდნელი იმ მღელვარე ამბების შემდეგ, რომლებიც გასულ კვირაში გადახდა თავს. მაგრამ შესაძლებელია სწორედ ამ მოვლენებმა - საცოლესთან განშორებამ და სხვაზე დანიშვნამ - გააძლიერა ის შთაბეჭდილება, რაც მისმა სიტყვებმა მოახდინა.

ქადაგების იმდღევანდელი ტექსტის მიხედვით მას უნდა ელაპარაკა ცრუ წინასწარმეტყველებაზე, რომელთა შესახებაც აფრთხილებდა ქრისტე თავის მოწაფეებს, - ეკრძალენითო. მაგრამ კარლ-არტური გრძნობდა, რომ ეს თემა არ შეესაბამებოდა მის ახლანდელ სულიერ განწყობას. უფრო სიამოვნებით ილაპარაკებდა მიწიერი სიყვარულის ამაოებაზე, სიმდიდრის დამღუპველ გავლენასა და სიღარიბის სიკეთეზე. მოეძალა სურვილი, დაახლოებოდა მსმენელებს, სული და გული გადაეშალა მათთვის, ეთქვა, რაოდენ სასოებით უყვარდა ეს ხალხი და ამით მოეპოვებინა მათი ნდობა.

საგონებელში ჩავარდნილმა მთელი კვირა იშრომა, მაგრამ მაინც ვერ მოახერხა ისეთი ქადაგების შეთხზვა, როგორიც მის გულს ეწადა. შაბათი ღამეც ამაზე ფიქრში გაათენა და მაინც ამაოდ. ელესიაში წასვლის დრო რომ დადგა, ქადაგებისთვის მაინც არ იყო მზად. მთლად რომ არ შერცხვენილიყო, ქადაგებათა ძველი კრებულიდან რამდენიმე ფურცელი ამოხია, იმდღევანდელ თემას რომ ეხებოდა, და ჯიბეში ჩაიდო.

მაგრამ, როცა კათედრაზე მდგომმა სახარების კითხვა დაიწყო, ისეთმა აზრმა გაუელვა, რომელიც უცნაურად და მაცდუნებლად ეჩვენა. იგი მიხვდა, რომ ეს აზრი ღმერთმა შთააგონა.

- საყვარელო შვილნო ჩემნო! - დაიწყო მან, - დღეს მოვედი აქ, რათა ღვთის სახელით გითხრათ, ეკრძალენით ცრუ წინასწარმეტყველთ. ალბათ, გულში ფიქრობთ: ღირსი თუ არისო ჩვენი მოძღვრობისა, ვინც გვესაუბრებაო? რა ვუწყითო ჩვენ მისი? იქნებ მხოლოდ კვრინჩხიაო იგი, რომელიც ყურძენს არ ისხამს, ან იქნებ ბირკაააო, რომელიც ლეღვს არ იბამს? ვინ დაგვარწმუნებს სიმართლეშიო? ამიტომ საყვარელნო მოყვასნო, მწადს გიამბოთ, რა გზით მატარა უფალმა, რათა ღვთიური სიტყვის მღაღადებელი გავეხადე.

და ახალგაზრდა პასტორი ძლიერი სულიერი მღელვარებით შეუდგა თავისი თავგადასავლის თხრობას. უამბო მრევლს უნივერსისტეტში ყოფნის დროს როგორი თავგამოდებით მეცადინეობდა, რათა სახელოვანი მეცნიერი გამხდარიყო. აუწერა, როგორ მოეცარა ხელი ლათინური თხზულების დაწერისას, როგორ დაბრუნდა შემდეგ შინ, ჯერ წაეჩხუბა დედას და მერე ისევ შეურიგდა, და ამ ამბებთან დაკავშირებით როგორ დაუახლოვდა პონტუს ფრიმანს.

მეტისმეტად ხმადაბლა და გაუბედავად ლაპარაკობდა და არავის ოდნავი ეჭვიც არ შეჰპარვია მისი სიტყვების გულწრფელობაში. ვინ იცის, ეგებ მღელვარებისგან აწკრიალებულმა ხმამ დაატყვევა უფრო მეტად მსმენელები. უკვე პირველივე ფრაზების შემდეგ სულგანაბულნი უსმენდნენ და თვალს არ აცილებდნენ მოქადაგეს.

და როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, როცა ვინმე ხალხს მარტივად და გულახდილად ელაპარაკება, მათ ირწმუნეს მისი და ამ წუთიდან ფართოდ გაუღეს გულის კარი. ტყის ქოხმახების

ბინადარი ღარიბ-ღატაკები თუ საქარხნო მამულების მდიდარი მეპატრონეები მიხვდნენ, რომ იგი მიენდო მათ, რათა მათი ნდობა მოეპოვებინა.

იგი უამბობდა, თუ როგორ გადადგა პირველი გაუბედავი ნაბიჯი, რათა ქრისტეს კვალს მიჰყოლოდა. აღწერა თავისი მშობლების სახლში გამართული საქორწილო ნადიმი, როდესაც ამქვეყნიური ლხენისგან გაბრუებულმა ცეკვაზეც კი არ თქვა უარი.

- იმ ღამის შემდეგ მრავალი კვირის განმავლობაში ჩემს სულში წყვდიადი მეფობდა, - თქვა მან, - ვგრძნობდი, მაცხოვარს ვუღალატე. მე ვერ შევძელი ისეთივე ფხიზელი და მამაცი ვყოფილიყავი, როგორიც იგი იყო. ამქვეყნიურ ცდუნებათა მონად ვიქეცი, დამჯაბნეს მიწიერმა სურვილებმა. ცა ვერასოდეს გახდება ჩემი სასუფეველი.

ზოგიერთმა მსმენელმა ისე ცხადლივ წარმოიდგინა მის მიერ აღწერილი ტანჯვა-ვაება, ცრემლი ვერ შეიკავა. ისინი მორჩილად მიჰყვნენ ეკლესიის კათედრაზე მდგომი ადამიანის გულისთქმას. მასთან ერთად იტანჯებოდნენ და იბრძოდნენ.

- ჩემი მეგობარი ფრიმანი, - განაგრძობდა პასტორი, - ცდილობდა, ვენუგეშებინე და დამხმარებოდა. მან ასე მითხრა, შენი ხსნა ღვთისადმი სიყვარულშიაო, მაგრამ მე არ ძალმიძდა ისე ავმაღლებულიყავი სულით, რომ უფალი შემეყვარებინა. მის მიერ შექმნილ ქვეყანაზე უფრო ვიყავი მიჯაჭვული, ვიდრე თვით შემოქმედზე.

და აი, როცა მთლად წარმეკვეთა სასო, ერთ ღამეს ვიხილე ქრისტე. განა მეძინა, მთელი ის დღეები და ღამეები რული არ მეკარებოდა. მაგრამ ზმანებები იმათი მსგავსნი, ძილში რომ ვხედავ ხოლმე, ხშირად თვალხილულსაც მესახებოდა. მეგონა, ეს უზომო გადაღლილობით მემართებოდა და ყურადღებას არ ვაქცევდი.

ანაზდად ისე მკაფიოდ და ნათლად დამიდგა თვალწინ ერთი სურათი, რომელიც არა და არ გაქრა.

ვიხილე მტრედისფერი ციმციმა ტბა და მის კიდეზე ერი იყო მრავალი. შუაგულში ერთი კაცი ჩამდგარიყო, გრძელი ხუჭუჭა თმა და ღრმად ჩამჯდარი სევდიანი თვალები ჰქონდა. ირგვლივ-მყოფთ ესაუბრებოდა, და ვით ვიხილე იგი, მივხვდი, რომ ქრისტე იყო. ამ დროს ქრისტეს ჭაბუკი ვინმე მოეახლა, მდაბლად თაყვანი სცა და რაღაც ჰკითხა. მისი სიტყვები ვერ გავიგონე, მაგრამ ის კი ვიცოდი, იგი სწორედ ის მდიდარი ჭაბუკი იყო, რომელზეც ლაპარაკია სახარებაში, და რომ ჰკითხა მას: „მოძღუარო სახიერო, რაი კეთილ ვქმნე, რაითა მაქუნდეს ცხოვრებაი საუკუნოი?“

ვხვდები, იესო ჭაბუკს ესაუბრებოდა, და ისიც ვიცოდი, პასუხად რომ უთხრა: „უკუეთუ გნებავს ცხოვრებასა შესვლაი, დაიმარხენ მცნებანი“. ჭაბუკმა ერთხელ კიდევ თაყვანი სცა მოძღვარს და შვებით გაიცინა. და მე ვიცოდი, ახლა ჭაბუკმა რომ უთხრა მას: „ესე ყოველი დამიმარხავს სიყრმით ჩემითგან; რაიღა მაკლდეს მე?“

მაგრამ იესომ გამომცდელი და მზირი თვალით შეხედა და კვლავ წარმოთქვა რამდენიმე სიტყვა. ამჯერადაც ვიცოდი, რომ ასე უთხრა მან ჭაბუკს: „უკეთუ გნებავს, რაითა სრულ იყო, წარვედ და განყიდე მონაგები შენი და მიეც გლახაკთა და გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა და მოვედ და შემომიდეგ მე“. მაშინ ჭაბუკმა ზურგი შეაქცია იესოს და განერიდა, და მე ვიცოდი, რომ მწუხარებდა დიდად, რამეთუ იყო იგი მდიდარ ფრიად.

მაგრამ, როცა მდიდარი ჭაბუკი თავის გზას დაადგა, იესომ ხანგრძლივი მზერა გააყოლა.

და ამ მზერაში უდიდესი თანაგრძნობა და უდიდესი სიყვარული ამოვიკითხე მე! ო, საყვარელნო ძმანო ჩემნო, იმოდენა ზე-

ციური სისპეტაკე ამოვიკითხე ამ მზერაში, გული ჩემი სიყვარულით აღივსო და ნათელი დაუბრუნდა სულსა ჩემსა წყვდიადით მოცულსა. ზეზე წამოვვარდი, მინდოდა, მივვარდნილიყავი მასთან და მეთქვა, რომ ამქვეყნად ყველასა და ყველაფერზე მეტად მიყვარს. ვიგრძენი, რომ უკვე არარად მიმაჩნდა მთელი ქვეყნიერება. მხოლოდ ერთი რამ მეწადა - გავყოლოდი მოძღვარს, მაგრამ როგორც კი გავინძერი, ზმანება იგი მყის გაქრა. თუმცა, ის წუთები სამუდამოდ აღმებეჭდა სულში.

მეორე დღეს ჩემს მეგობარ პონტუს ფრიმანთან მივედი და ვკითხე, რას მოითხოვდა-მეთქი ჩემგან იესო? მე ხომ მდიდარი ადგილ-მამულები არა მაქვს. და მან მიპასუხა, ალბათ, იესოს სურს, ხელი აიღო დიდებასა და პატივზე, რომელიც მოჰყვება შენს განსწავლულობას, და გახდე მისი ერთ-ერთი უღირსი და თვინიერი მონა.

მაშინ კი უარვყავი ყოველივე და ვეკურთხე მღვდლად, რათა ქრისტესა და მისდამი სიყვარულზე მელაპარაკა ხალხთან.

მაგრამ თქვენ, ჩემო მსმენელნო, ილოცეთ ჩემთვის, რამეთუ მე, ისევე როგორც თქვენ, იძულებული ვარ, ვიცხოვრო ამსოფლად, რომელიც აღსავსეა ცდუნებებით. და მათ შეიძლება ისევე შემაცდინონ მე, როგორც თქვენ, და მე ვშიშობ და ვკანკალებ, რამეთუ ამ ცდუნებებმა ღვთისგან არ განარიდონ სული ჩემი და ერთ-ერთ ცრუ წინასწარმეტყველად არ მაქციონ.

გულხელი დაიკრიფა და თითქოს წამით თვალწინ დაუდგა ყველა საცდური და საშიშროება, რომლებიც ჩასაფრებოდნენ, საკუთარი სისუსტის წარმოდგენამ ცრემლი მოჰგვარა. მღელვარებამ ისე შეიპყრო, ქადაგების გაგრძელება აღარ ძალუძდა. მხოლოდ „ამინ“ წარმოთქვა, მუხლი მოიყარა და ლოცვად დადგა.

ეკლესიაში ხმამაღალი ზლუქუნი გაისმა. ამ ერთმა პატარა ქადაგებამ მაშინვე საყოველთაო სიყვარული მოუპოვა კარლ--არტურს. ეკლესიაში შეკრებილი მთელი ეს ხალხი მზად იყო, ხელისგულზე ეტარებინა, თავი გაეწირა მისთვის, ისევე როგორც მან გაწირა თავი მაცხოვრისთვის.

და თუმცა მართლაც გულში ჩამწვდომად ილაპარაკა, მისი სიტყვები ვერასოდეს ვერ მოახდენდნენ ისეთ განსაცვიფრებელ შთაბეჭდილებას, ქადაგებას უშუალოდ რომ არ მოჰყოლოდა ნიშნობათა ტექსტების საჯაროდ გამოცხადება.

ახალგაზრდა მღვდელმა ჯერ რამდენიმე უცნაური გვარი წაიკითხა და ამისთვის ყურადღება არავის მიუქცევია, მაგრამ ანაზდად ყველამ დაინახა, უცებ ფერი როგორ წაუვიდა და ქაღალდი ახლოს მიიტანა თვალებთან, რათა დარწმუნებულიყო, რომ არ შეცდა. მერე კი მაინც განაგრძო კითხვა, თუმცა, ისე ხმადაბლა, თითქოს არც სურდა, სხვებს გაეგონათ.

„პირველად ცხადდება საჯაროდ ქრისტიანული ეკლესიის მიერ ნაკურთხი კავშირი „ტბის აგარაკის“ მემამულის, ქარხნების მეპატრონის, მონისა ღვთისა ჰენრიკ შაგერსტრიომისა და კეთილშობილი ქალიშვილის, ღვთის მხევლის შარლოტა ადრიან ლიოვენშოლდისა, რომელიც პასტორის კარ-მიდამოში ცხოვრობს, ორივენი ჩვენს მრევლს ეკუთვნიან.

და იყვნენ ისინი ბედნიერ და კურთხეულ ღვთისგან, რომლის ნებითაც უნდა შეუღლდნენ!“

ამაოდ დაშვრა პასტორი, ხმას რომ დაუდაბლა, ისეთი სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა ეკლესიაში, ყოველი სიტყვა მკაფიოდ ისმოდა.

ეს სისაძაგლე იყო.

შაგერსტრიომი თვითონაც კარგად ხვდებოდა, რომ ეს სულმდაბლობა იყო. კაცი, რომელმაც ზურგი აქცია ამქვეყნიურ ცდუ-

ნებებს, რათა ღვთის მორჩილი მონა გამხდარიყო, ხმამაღლა აცხადებდა საჯაროდ, რომ ქალი, რომელიც უყვარდა, ცოლად მიჰყვებოდა ერთ-ერთ უმდიდრეს კაცს. ეს სისაძაგლე იყო. კაცი, რომელიც მთელი ხუთი წელიწადი შარლოტას საქმრო იყო და ჯერ კიდევ წინა კვირადღეს მისი ბეჭედი ეკეთა თითზე, საჯაროდ აცხადებდა, რომ ეს ქალი მზად იყო, სხვას გაჰყოლოდა ცოლად.

ადამიანები სირცხვილით თვალს ვერ უსწორებდნენ ერთმანეთს, შემცბარნი გადიოდნენ ეკლესიიდან.

სხვებზე მეტად შაგერსტრიომი განიცდიდა ამას.

გარეგნულად კი მშვიდად იყო, მაგრამ გულში ფიქრობდა, რომ სულაც არ გაუკვირდებოდა, თუ ხალხი შეაფურთხებდა ან ქვებს დაუშენდა.

და ამ გზით ფიქრობდა დახმარებოდა შარლოტას!

შაგერსტრიომს ხშირად მიაჩნდა საკუთარი თავი სულელად, მაგრამ ეს გრძნობა არასოდეს დაუფლებია ისე ძლიერად, როგორც იმ კვირადღეს, როცა ეკლესიის კარისკენ მიემართებოდა გარეთ გასასვლელად.

III

შაგერსტრიომმა იმწამსვე განიზრახა, წერილი მიეწერა შარლოტასთვის, ყოველივე აეხსნა და პატიება ეთხოვა, მაგრამ მიხვდა, რომ ასეთი წერილის დაწერა ძალიან გაუჭირდებოდა. ამიტომ კარეტა გაამზადებინა და ერებრუში გაემგზავრა.

პასტორ ფორსიუსისგან შეიტყო იმ მოხუცი ქალბატონის ადგილსამყოფელი, სადაც სტუმრად იყვნენ პასტორის ცოლი და

შარლოტა. ორშაბათს დილით შინ ეწვია მას და შარლოტასთან საუბრის ნება ითხოვა. მაშინვე მიუკიბ-მოუკიბავად გაუმჟღავნა თავისი წინდაუხედაობა. თავის მართლებას არ მოჰყოლია, ყველაფერი ისე უამბო, როგორც მოხდა.

შარლოტა ერთიანად მოიკუნტა, თითქოს ლახვარი ჩასცესო. რომ არ წაქცეულიყო, პატარა, დაბალ სავარძელში ჩაეშვა და გახევდა. საყვედურიც კი არ დასცდენია. მეტისმეტად ღრმა და მტკივნეული იყო ეს ჭრილობა.

აქამდე შეეძლო თავი იმით ენუგეშებინა, როდესაც კარლ-- არტური დედამისის მეშვეობით შეიცვლიდა შეხედულებას მასზე და შეურიგდებოდა, შარლოტას უმწიკვლო სახელი აღდგებოდა და მისი მოძულენი შეიტყობდნენ, რომ ეს ამბავი შეყვარებულთა მხოლოდ ჩვეულებრივი წაკინკლავება იყო და მეტი არაფერი. ახლა კი, როცა ეკლესიაში საჯაროდ გამოცხადდა შაგერსტრიომის და მისი დანიშვნა, ყველა დარწმუნდებოდა, რომ იგი მართლაც მოწადინებული იყო, ცოლად გაჰყოლოდა მდიდარ ქარხნის მეპატრონეს. დღეიდან გზა ხსნისა აღარსად ეგულებოდა. არავითარი თავის მართლება აღარ გაჭრიდა. იგი სამუდამოდ იყო შერცხვენილი და ყველას თვალში დარჩებოდა როგორც ვერაგი, ანგარებიანი ინტრიგანი.

ისეთი საშინელი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ტყვექმნილი სადღაც მიჰყავდათ. და თითქოს აკეთებდა ყოველივე იმას, რისი თავიდან აცილებაც უნდოდა, ხელს უწყობდა ყველაფერ იმას, რაც არ ეწადა. თითქოს ჯადო ჰქონდეს გაკეთებული. ამის ახსნა შეუძლებელი იყო. იმ დღიდან მოყოლებული, როცა შაგერსტრიომი პირველად მოვიდა მასთან ხელის სათხოვნელად, საკუთარ ნებას ვეღარ უმორჩილებდა თავის საქციელს.

- ვინა ხართ თქვენ, ჰერ შაგერსტრიომ? - მოულოდნელად ჰკითხა ქალმა, - რატომ მხვდებით მუდამ ჩემს გზაზე? რატომ ვერ დავიხსენი თქვენგან თავი?

- ვინა ვარ? - გაიმეორა შაგერსტრიომმა, - გეტყვით, ვინცა ვარ, ფროიკენ ლიოვენშოლდ. მე გახლავართ ყველაზე უტვინო რეგვენი, ვისი მსგავსიც ჯერ არ გაჩენილა ამ ქვეყანაზე.

ისეთი გულწრფელი თავდაჯერებით თქვა ეს, რომ შარლოტას ოდნავ გაეღიმა.

- იმ დღიდან მოყოლებული, როცა ეკლესიაში გნახეთ პასტორის მერხზე მჯდომი, სულ ის მინდოდა, რაიმეთი დაგხმარებოდით და ბედნიერება მომენიჭებინა თქვენთვის, ფროიკენ, მაგრამ დარდისა და ტანჯვის მეტი ვერაფერი მოგიტანეთ.

ღიმილი უკვალოდ ჩამოერეცხა სახიდან შარლოტას. ფერმიხდილი უძრავად იჯდა და უსასოოდ ჩამოეშვა მკლავები. სივრცეს მისჩერებოდა, თითქოს მხოლოდ იმ უბედურების დანახვა შეეძლო, რომელიც თავს დაატეხა შაგერსტრიომმა.

- მტკიცედ გპირდებით, ფროიკენ შარლოტა, რომ მეორე კვირას მეორედ აღარ გამოცხადდება ნიშნობა საჯაროდ. ხომ მოგეხსენებათ, მას კანონიერი ძალა არა აქვს, თუ ზედიზედ სამ კვირადღეს ერთსა და იმავე კათედრიდან არ განმეორდა.

შარლოტამ ხელი ჩაიქნია, თითქოს იმის თქმა სურდა, ახლა ამას რა მნიშვნელობა აქვსო. მისი რეპუტაცია შელახულია, მისი საშველი აღარ არის.

- და იმასაც გპირდებით, ფროიკენ ლიოვენშოლდ, რომ აღარასოდეს შეგეჩეხოთ გზაზე, სანამ თქვენ თვითონ არ მომიხმობთ.

შაგერსტრიომი კარისკენ გაემართა, თუმცა კი სათქმელი კიდევ ჰქონდა და ყველაზე მეტი გამბედაობა და თავგანწირულობა სწორედ ამწუთას სჭირდებოდა.

- მხოლოდ ის მინდა დავძინო, - უთხრა მან, - რომ ახლა მესმის თქვენი, ფროიკენ ლიოვენშოლდ. ცოტა მიკვირდა კიდეც, ასე ძალიან როგორ გიყვარდათ ახალგაზრდა ეკენსტედი, რომ მისი გულისთვის მზად იყავით, აგეტანათ ცილისწამება და აბუჩად აგდება, მე ხომ ვიცი, რომ მხოლოდ მასზე ზრუნავდით. მაგრამ გუშინ, როცა მისი ქადაგება მოვისმინე, მივხვდი, რომ მართლაც სჭირდება მოფრთხილება. იგი დიადი საქმეებისთვისაა მოწოდებული.

შაგერსტრიომს ნათქვამი დაუფასდა. შარლოტამ თვალი გაუსწორა, ლოყებზე ვარდისფერმა გადაჰკრა.

- გმადლობთ, - უთხრა მან, - მადლობელი ვარ, რომ გამიგეთ.

შემდეგ ისევ ღრმა სასოწარკვეთას მიეცა. შაგერსტრიომს მეტი აღარაფერი ესაქმებოდა აქ. მდაბლად დაუკრა თავი და ოთახიდან გავიდა.

აუქციონი

ამბობენ, ზოგი ჭირი მარგებელიაო, ჰოდა, სწორედ შარლოტა ლიოვენშოლდისთვის ყოფილა ეს ანდაზა ზედგამოჭრილი, ვინაიდან უბედურებამ და ათვალწუნებამ ისეთი მომხიბლავი გახადა, რომ ახლა კი მართალი მზეთუნახავი ეთქმოდა. დარდმა სამუდამოდ ააღებინა ხელი გადამეტებულ ყმაწვილქალურ ანცობაზე. ამან ღირსეული სიმშვიდის ბეჭედი დაასვა მის ხმას, სახის ნაკვთებსა და მიხრა-მოხრას. შარლოტას ნაღვლიან თვალებს სულ სხვაგვარი ელვარება მიეცა, ისეთი შიშის ნაპერწკალი უელავდა ახლა ამ თვალებში, მხოლოდ ბედნიერების დამკარგავს რომ ახასიათებს. სადაც უნდა მისულიყო ეს სევდიანი, მომხიბლავი ნორჩი არსება, ადამიანები უეჭველად თანაგრძნობით, სიმპათიით იმსჭვალებოდნენ. სამშაბათს დილით შარლოტა და პასტორის ცოლი ერებრუდან დაბრუნდნენ და იმავე დღეს პასტორის სახლის ახლომდებარე ჰოლმის ქარხნიდან ახალგაზრდები ეწვივნენ. ეს სათნო ქალიშვილები და ჭაბუკები შარლოტას ერთგული მეგობრები იყვნენ და ისევე, როგორც ძველი ქარხნის მმართველის ცოლმა, არც მათ დაიჯერეს მისი ვერაგობა. თვალი შეავლეს თუ არა ქალიშვილს, მაშინვე მიხვდნენ, რა ღრმად იყო დამწუხრებული. არაფერი უკითხავთ, არც მომავალ ქორწინებაზე გადაუკრავთ სიტყვა, მხოლოდ იმას ცდილობდნენ, რაც შეიძლება ნაზად, სათუთად მოქცეოდნენ.

კაცმა რომ თქვას, მოსალოცად კი არა, სულ სხვა საქმეზე მოვიდნენ, მაგრამ შუბლშეკრული შარლოტა როცა დაინახეს, კარგა ხანს ვერც კი გაუბედეს ლაპარაკის დაწყება.

მერე და მერე მაინც ითქვა სათქმელი, თურმე მატს--ტორპარის ელინის ამბის მოსაყოლად იყვნენ მოსულნი, იმ ელინისა, დიდი ხალი რომ ჰქონდა სახეზე და ერთიმეორეზე უფრო პატარა ათი და-ძმა ეხვია. ამ დილით, ალიონზე მათ დედასთან ჰოლმში მისულა ელინი და დაუჩივლია, ჩემს პატარა და-ძმებს აუქციონით უპირებენ გასხვისებასო.

მატს-ტორპარის ელინის ოჯახი მათხოვრობით ირჩენდა თავს. აბა, სხვა რა გზა ჰქონდათ ტაბარუკებს? მაგრამ სამრევლოს ხელისუფალთ მოსწყინდათ თურმე ამ მშიერ-მწყურვალი ბავშვების ყურება, რომლებიც კარდაკარ დაწანწალებდნენ. ამიტომ სამრევლო საბჭოს გადაეწყვიტა ბავშვების გასხვისება საჯარო ვაჭრობით. გამოცხადდა თავისებური აუქციონი, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიეღო იმ ხალხს, ვისაც სურდა ერთი ან რამდენიმე ბავშვის აყვანა.

- თქვენს მოწყალებას, ალბათ, მოეხსენება, რაც ხდება ასეთ აუქციონებზე, - უთქვამს მატს-ტორპარის ელინს, - მხოლოდ იმის მეცადინეობაში არიან, როგორმე ისეთ მსურველს შეაჩეჩონ ბავშვი, რომელიც ნაკლები საფასურით დათანხმდება მის აყვანას. ბავშვებს რომ მეთვალყურეობა და რიგიანი აღზრდა სჭირდებათ, ეს სულაც არავის ადარდებს.

საბრალო გოგო, რომელიც აქამდე მარტო პატრონობდა ამ ჯგროს, მთლად გადარეულიყო მწუხარებისგან. ისიც უთქვამს, ამ აუქციონებზე ბავშვები უმეტესად ღატაკ ტორპარებს აჰყავთ, რომლებსაც ან მუქთი მწყემსი სჭირდებათ ცხვრისა და თხების მოსავლელად, ან კიდევ მუქთი მოსამსახურე სნეული დიასახლისის დამხმარედ. მისი პაწია და-ძმები იძულებულნი იქნებიან მოწიფული მოჯამაგირეების ტოლად წელში გაწყდნენ შრომისგან; აბა, აუქციონზე ნაყიდ ბავშვს ვინ შეიბრალებს, საკუთარი შრომით უნდა მოიპოვონ ლუკმაპური. ყველაზე უმცროსი გოგო-

ნა სამად სამი წლისაა, არც საქონლის მწყემსვა შეუძლია, არც საოჯახო საქმეში მოხმარება. და რაკი მისგან არავითარი სარგებლობა არ ექნებათ, შიმშილით ამოხდიან სულს.

ელინს ყველაზე მეტად ის უკლავდა გულს, რომ ბავშვები უცხო ოჯახებში მიმოიფანტებოდნენ. ახლა მათ შორის ნამდვილი მეგობრობა და სიყვარული სუფევდა, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ ვეღარც მას იცნობდნენ, ვეღარც ერთმანეთს. ან ვინ შთაუნერგავს მათ პატიოსნებასა და ალალმართლობას, რომელთაც აქამდე იგი ასწავლიდა!

ჰოლმის დიასახლისს მართლაც გული აუჩუყა ელინის ნაამბობმა, მაგრამ შველა არაფრით შეეძლო. ჰოლმის ახლომახლო მცხოვრებ ხელოსნებს ისედაც ბევრი ბავშვი ჰყავდათ და ისინიც ამ ქალის საზრუნავი იყვნენ. მიუხედავად ამისა, თავისი ორი ქალიშვილი მაინც გაგზავნა ამ აუქციონზე, რომელიც მრევლის საბჭოს შენობაში უნდა ჩატარებულიყო, რათა ის მაინც შეეტყო, ვის ხელში ჩაცვივდებოდნენ საბრალო ბავშვები.

როდესაც ჰოლმელი ქალიშვილები მრევლის საბჭოში მივიდნენ, აუქციონი ახალი დაწყებული იყო. ბავშვები ოთახის სიღრმეში მერხზე ისხდნენ; სამი წლის გოგონა უფროს დას ჩაესვა კალთაში, დანარჩენები კი საცოდავად მიჰკვროდნენ. ისე იყვნენ გაძვალტყავებულნი და ჩამოძონძილნი, უარესის წარმოდგენაც არ შეიძლება, მაგრამ რაც მომავალში მოელოდათ, მაინც ის მიაჩნდათ ნამდვილ უბედურებად. კედლის გასწვრივ სოფლის ღარიბ-ღატაკნი მოკალათებულიყვნენ, ჩვეულებრივ რომ ესწრებიან ხოლმე ასეთ აუქციონებს შუაში, თავმჯდომარის მაგიდას უსხდნენ ძალაუფლების მქონენი - დიდი ადგილ-მამულების მეპატრონეები და ორი-სამიც ქარხნის მეპატრონე. მათი მოვალეობა იყო, თვალყური ედევნებინათ აუქციონის მიმდინარეობისთვის და ისეთი თადარიგი დაეჭირათ, რომ ბავშვები იმ

მხარეში ღირსპატივსაცემი და პატიოსანი ხალხის ხელში მოხვედრილიყვნენ.

ყველაზე უფროსი ბავშვი, გამხდარი და აწოწილი ბიჭუნა, მაგიდაზე იდგა, რათა ყველას კარგად დაენახა. აუქციონერი დიდად აქებდა, მწყემსადაც გამოდგება და ტყისმჭრელადაცო. ერთი ქალი, რომელსაც ტანსაცმელზე ეტყობოდა, რომ ძალიან ღარიბი იყო, მაგიდასთან მივიდა, რათა უფრო ახლოდან, მუშტრის თვალით შეეხედა.

ანაზდად კარი გაიღო და კარლ-არტურ ეკენსტედი შემოვიდა. ზღურბლთან გაჩერდა, ირგვლივ მიიხედ-მოიხედა, შემდეგ ხელები ზეცისკენ აღაპყრო და წამოიძახა:

- ო, ღმერთო მაღალო, აგვარიდე თვალნი შენნი! ნუ იხილავ, რაიც აქ ხდება!

შემდეგ მრევლის მღვდელმსახურებთან მივიდა, რომლებიც თავმჯდომარის მაგიდას უსხდნენ.

- გევედრებით, ძმანო, ქრისტეს რჯულის თანაზიარნო, - მიმართა მათ, - ნუ ჩაიდენთ ესოდენ დიდ ცოდვას! ნუ გაყიდით ადამის ძეთ მონებად!

მისმა სიტყვებმა ყველა შეაცბუნა. ის ღატაკი ქალი მაშინვე განერიდა მაგიდას და კარისკენ გაემართა. სამრევლოს მესვეურნი უხერხულად აცქმუტდნენ სკამებზე, მაგრამ, ეტყობა, უფრო საძრახისად მრევლის საქმეებში პასტორის ჩარევა მიიჩნიეს, ვიდრე თავიანთი საქციელი. ბოლოს ერთი მათგანი წამოდგა და თქვა:

- ეს მრევლის საბჭოს გადაწყვეტილება გახლავთ.

ღვთაებასავით პირმშვენიერი ახალგაზრდა პასტორი ამაყად თავაწეული, თვალებანთებული იდგა მათ წინაშე. ეტყობოდა, ვერავითარი მრევლის საბჭო ვერ შეაშინებდა.

- მე ვთხოვ ქარხნის მეპატრონე არონ მონსონს, შეწყვიტოს აუქციონი.

- დოქტორო ეკენსტედ, ხომ გაიგონეთ, აუქციონი მრევლის საბჭოს გადაწყვეტილებით ყოფილა დანიშნული.

კარლ-არტურმა მხრები აიჩეჩა და მონსონს ზურგი შეაქცია. მერე მაგიდაზე მდგომ ბიჭუნასთან მივიდა, მხარზე ხელი დაადო.

- მე მიმყავს, - წარმოთქვა მან, - და თანაც ისეთ ფასად, რომლის უიაფესს ვერავინ იტყვის. მე ჩემს სამეურვეოდ მიმყავს და არავითარ გასამრჯელოს არ მოვითხოვ მრევლისგან.

ქარხნის მეპატრონე არონ მონსონი ადგილიდან წამოხტა, მაგრამ კარლ-არტურმა იმის ღირსადაც კი არ ჩააგდო, რომ მისკენ გაეხედა.

- აუქციონის გაგრძელებას აზრი აღარ აქვს, - მიმართა აუქციონერს, - იმავე ფასად მიმყავს ყველა ბავშვი.

ახლა კი ყველა წამოიშალა. მხოლოდ მატს-ტორპარის ელინი და მისი და-ძმები ისხდნენ უძრავად მერხზე და ვერ მიხვედრილიყვნენ, რა ხდებოდა.

ქარხნის მეპატრონე არონ მონსონმა შედავება მოინდომა.

- მაშასადამე, საქმე ისევ ისე ჭიანურდება, - თქვა მან, - ეს აუქციონი კი იმიტომ მოვაწყვეთ, რომ ბოლო მოღებოდა ამ განუწყვეტელ მათხოვრობას.

- ბავშვები აღარ იმათხოვრებენ.

- ვინ იქნება ამის თავდები?

- ქრისტე, რომელმაც თქვა: „აცადეთ ყრმებსა მაგას მოსვლად ჩემდა“. იგი იქნება ამ პატარების თავდები.

იმდენი ძალა და რწმენა გამოსჭვიოდა მის სიტყვებში, ისეთი მბრძანებლური იერი ჰქონდა, რომ ყოვლისშემძლე ქარხნის მეპატრონეებმაც ვერაფერი უპასუხეს.

კარლ-არტური ბავშვებთან მივიდა:

- წადით აქედან! სახლისკენ მოკურცხლეთ! დღეიდან მე ვკისრულობ თქვენზე ზრუნვას.

ბავშვებმა ადგილიდან დაძვრა ვერ გაბედეს. კარლ-არტურმა პატარა გოგონა ხელში აიყვანა და მრევლის საბჭოს შენობიდან გავიდა. დანარჩენი ბავშვები მაშინვე ჯგუფად გაედევნენ უკან.

არავის შეუჩერებია ისინი. აუქციონზე მყოფთაგან ბევრი ისე იყო გაოცებული და შეცბუნებული, რომ მაშინვე გაეცალა იქაურობას.

მაგრამ, როცა ქარხნის მმართველის გოგონები შინ დაბრუნდნენ და ყოველივე უამბეს დედას, მან თქვა, რაიმე უნდა ვიღონოთ, რომ შემწეობა გავუწიოთ ახალგაზრდა პასტორსა და მის მრავალრიცხოვან აღსაზრდელსო.

ჰოლმის დიასახლისმა გადაწყვიტა, რომ საჭირო იყო სახსრების შეგროვება ბავშვთა თავშესაფრისთვის და სწორედ ამ მიზნით მოვიდნენ ახლა მისი ქალიშვილები პასტორის სახლში.

როგორც კი გოგონებმა ამბის მოყოლა დაამთავრეს, შარლოტა წამოდგა, ატირებული გავიდა გარეთ და სასწრაფოდ თავის ოთახს მიაშურა, რათა იქ მუხლი მოეყარა და ღვთისთვის მადლობა შეეწირა.

ბევრჯერ უოცნებია ამაზე და აი, აღსრულდა კიდეც. კარლ--არტური ახლა ჭეშმარიტი მოძღვარია, თავისი მრევლის წინამდგომელი, რომელიც მორწმუნეებს ღვთის გზაზე წარუძღვება.

ტრიუმფი

რამდენიმე დღის შემდეგ, ერთ დილას, პასტორის ცოლი რეგინა ფორსიუსი ქმრის სამუშაო ოთახში შევიდა.

- ჩემო კარგო, - მიმართა მან საწერ მაგიდასთან მჯდომ პასტორს, - რამე მოიმიზეზე და სასადილო ოთახში შედი. გეამება, რასაც იქ ნახავ.

პასტორი მაშინვე წამოდგა, სასადილო ოთახში შევიდა და დაინახა შარლოტა, რომელიც ფანჯარასთან მაგიდას უჯდა.

საქარგავიც იქვე ჰქონდა, მაგრამ არ მუშაობდა, ხელები მუხლებზე დაეწყო და ფანჯრიდან კარლ-არტურის ფლიგელს გასცქეროდა. მრევლი იმ დღეს ნაკადად მოეშურებოდა ახალგაზრდა ეკენსტედთან და სწორედ ამან მიიქცია შარლოტას ყურადღება.

პასტორმა ვითომცდა სათვალეს დაუწყო ძებნა, რომელიც სულაც არ ჰქონდა საძებნი, რადგან თავის ოთახში მაგიდაზე ედო, თანაც ჩუმ-ჩუმად შარლოტასკენ აპარებდა მზერას. გოგონა ნაზი ღიმილით გასცქეროდა ფლიგელს. ლოყები ოდნავ შეჰფაკლოდა, თვალებში სიხარულის ნაპერწკალი უელავდა. მართლაც რომ თვალს ვერ მოსწყვეტდა კაცი, ისეთი მშვენიერი იყო ამწუთას. პასტორის შემოსვლა რომ გაიგო, წარმოთქვა:

- მთელი დღე ასე მიეშურება ხალხი კარლ-არტურთან.

- ჰო, - ცივად გაეპასუხა მოხუცი, - ერთი წუთითაც არ ასვენებენ. მალე, ალბათ, მე თვითონ მომიწევს ჩანაწერების გაკეთება საეკლესიო დავთრებში.

- ახლა არონ მონსონის ქალიშვილი იყო მასთან. პატარა ქილით კარაქი მოუტანა.

- ალბათ, მისი შვილობილებისთვის.

- ყველას უყვარს იგი, - წარმოთქვა შარლოტამ, - ვიცოდი, ადრე თუ გვიან ასე მოხდებოდა.

- რას იზამ, როცა კაცი ახალგაზრდა და ლამაზია, ქალების გულების აჩუყება არ გაუჭირდება.

მაგრამ ამ სიტყვებმა შარლოტას აღტაცება ოდნავაც არ შეანელა.

- ეს-ესაა ჰოლმელი მჭედელი ეწვია. იგი სექტანტია. სექტანტები კი, თავადაც მოგეხსენებათ, რანაირი ხალხია. ქუდი რომ შეუგდო, ეკლესიაში მაინც არ შევლენ. მღვდელს ხომ არ უსმენენ და არა.

- რას ამბობ! - წამოიძახა ახლა კი მართლაც დიდად დაინტერესებულმა მოხუცმა, - ნუთუ მან შეძლო ამ ქვის ლოდების ადგილიდან დაძვრა? თუმცა, სიმართლე გითხრა, არც კი მჯერა, რომ კარლ-არტურისგან ხეირიანი ვინმე დადგეს.

- მე კი ახლა სულ პოლკოვნიკის ცოლზე ვფიქრობ, - უთხრა შარლოტამ, - რა ბედნიერი იქნებოდა, ყოველივე ამას რომ უყურებდეს.

- არა მგონია, შვილის ამგვარ წარმატებაზე ეოცნებოს.

- მის გვერდით ადამიანები უკეთესნი ხდებიან. მე თვითონ დავინახე, რომ ფლიგელიდან გამოსვლისას ზოგიერთი ტიროდა და თვალებს იმშრალებდა. მარი-ლუიზას ქმარიც იყო მასთან. ეგებ კარლ-არტურმა მართლაც უშველოს რამე! რა კარგი იქნებოდა, არა?

- რა თქმა უნდა, ჩემო გოგონა. მაგრამ ყველაზე კარგი ისაა, რომ შენ გსიამოვნებს ამ ფანჯარასთან ჯდომა და ამ ხალხის ყურება.

- ვზივარ და გულში ვთხზავ, რას ეტყოდნენ ისინი კარლ--არტურს, და ასე მგონია, მისი პასუხებიც მესმის.

- მერედა მაგას რა სჯობს. იცი რა? სათვალე ეტყობა ჩემს ოთახში მაქვს.

- ასე რომ არ დაბოლოებულიყო, არავითარი აზრი არ ექნებოდა ყოველივე იმას, რაც აქამდე ხდებოდა. ასე რომ არ დამფასებოდა, ხომ ფუჭი იქნებოდა ჩემი მოწადინება, როცა მის ქომაგობას ვცდილობდი. ახლა კი ჩავწვდი ყოველივეს.

მოხუცი სწრაფად გავიდა ოთახიდან.

შარლოტამ ისე აუჩუყა გული, ცრემლი მოერია.

- ღმერთო ჩემო, რა ვუყო ამ გოგოს? - ბუტბუტებდა იგი, - ღმერთმანი, მალე ჭკუიდან გადაცდება.

მთელი ის დღეები შარლოტა კარლ-არტურის ტრიუმფით ტკბებოდა, და მაინც ათასწილ მეტი სიხარული მოელოდა კვირადღეს.

კვირა დილით იმდენი ხალხი გამოეფინა გზებზე, გეგონებოდათ, მეფე ჩამოდისო. განუწყვეტლივ ნაკადად მოეშურებოდნენ ეკლესიისკენ. ცხადი იყო, მთელ სამრევლოს მოსდებოდა ახალგაზრდა პასტორის ქადაგების სრულიად ახლებური სტილის, მისი ძლიერი და მგზნებარე რწმენის ამბავი.

- ამდენი ხალხი არც კი დაეტევა ეკლესიაში, - თქვა პასტორის ცოლმა, - დედაბუდიანად გამოიკრიფნენ სახლებიდან. კაციშვილი არ დარჩენილა შინ, უპატრონოდ მიატოვეს სახლ-კარი; ემანდ ხანძარი არ გაჩნდეს.

პასტორს კი მაინც გული ეთანაღრებოდა. მისთვის ცხადი იყო, რომ კარლ-არტურმა ახალი ბიძგი მისცა რელიგიურ გრძნობებს და, რა თქმა უნდა, სულაც არაფერი ჰქონდა ამის საწინააღმდეგო, თუმცა, დარწმუნებული არ იყო, რომ ახალგაზრდა პასტორს შესწევდა უნარი მის მიერ დანთებული ცეცხლი

არ გაენელებინა. მაგრამ გული რომ არ დასწყვეტოდა შარლოტას, რომელიც ნამდვილ ექსტაზში იყო, ეს შიში მისთვის არ გაუზიარებია.

პასტორი და მისი ცოლი ეკლესიაში წავიდნენ. რასაკვირველია, ლაპარაკიც არ ყოფილა იმაზე, რომ შარლოტაც თან წაეყვანათ. შაბათის ფოსტით შარლოტამ მოკლე ბარათი მიიღო პოლკოვნიკის ცოლისგან, რომელიც სთხოვდა, კიდევ რამდენიმე დღე მოითმინე და ნუ გაამხელ სიმართლესო. მაშასადამე, მას არ შეეძლო ესარგებლა შაგერსტრიომის წინადადებით იმის თაობაზე, რომ შეეჩერებინათ ნიშნობის საჯაროდ გამოცხადება. ცოლ-ქმარი ფორსიუსები შიშობდნენ, რომ მრევლს, რომელიც ესოდენ აღმერთებდა ახლა კარლ-არტურს, უღირსი რამ არ ეკადრებინა შარლოტასთვის, ამიტომაც შინ დატოვეს.

მაგრამ როგორც კი ეკიპაჟი გზის მოსახვევში თვალს მიეფარა, შარლოტამ შლაპა დაიხურა, მანტილია მოისხა და ეკლესიისკენ გაემართა. არაფრით არ ძალუძდა დაეოკებინა კარლ--არტურის ახალ ყაიდაზე ქადაგების მოსმენის სურვილი. ვერც იმ სიამოვნებას მოიკლებდა, საკუთარი თვალით ენახა, როგორ ეთაყვანებოდნენ ახალგაზრდა პასტორს.

რის ვაი-ვაგლახით გაიკვლია გზა ზღვა ხალხში და სულ ბოლო რიგში მერხზე ჩამოჯდა. სანამ კარლ-არტური კათედრაზე ავიდოდა, ისე ღელავდა, ლამის სუნთქვა შეეკრა.

შარლოტა სახტად დარჩა, ისეთი ბუნებრივი, ძალდაუტანებელი კილოთი ელაპარაკებოდა ახალგაზრდა პასტორი ეკლესიაში შეკრებილ ხალხს, თითქოს თავის გულითად მეგობრებს ესაუბრებაო. არც ერთი სიტყვა არ უთქვამს ისეთი, რაც გაუგებარი იქნებოდა ამ მდაბიო ადამიანებისთვის, ისე უზიარებდა თავის ჭირ-ვარამს, თითქოს შველასა და რჩევას სთხოვდა მათ.

იმ დღეს კარლ-არტურს უნდა წაეკითხა სახარების იგავი ცბიერ მოურავზე. შარლოტას შიში დაეუფლა, რადგანაც მეტისმეტად რთული იყო ეს ტექსტი. ბევრი პასტორისგან სმენოდა, ძალიან ბუნდოვანი და ძნელად გასაგებიაო ამ იგავის დედააზრი, ვინაიდან დასაწყისი და ბოლო ერთმანეთს არ ეთანხმებოდა. ძალიან მოკლე რომ იყო ეს არაკი, ამიტომაც ვერ იგებდნენ მის აზრს დღეს. შარლოტას ერთხელაც არ სმენია, ვინმეს რიგიანად აეხსნა ეს იგავი. ზოგიერთი პასტორი საერთოდ არც კი კითხულობდა დასაწყისს, ზოგი კიდევ ბოლოს გამოტოვებდა ხოლმე, მაგრამ არც ერთ მათგანს ერთხელაც არ გადმოუცია იგი ნათლად და გამართულად.

რასაკვირველია, დაახლოებით ამასვე ფიქრობდნენ დანარჩენებიც. „ნამდვილად გადაუხვევს ტექსტიდან, - ფიქრობდნენ ისინი, - ვერ მოერევა. ისევე მოიქცევა, როგორც წინა კვირადღეს“ .

მაგრამ ახალგაზრდა პასტორმა უდიდესი სიმამაცითა და თავდაჯერებით დასძლია ეს რთული თემა, აზრი და სიცხადე შესძინა მას. შთაგონებით აღფრთოვანებულმა თავდაპირველი სილამაზე და სიღრმე დაუბრუნა იგავს. ასე ხდება ხოლმე, როცა საუკუნოვან მტვერს გადავაცლით ძველთაძველ სურათს და ნამდვილ შედევრს ვიხილავთ.

კარლ-არტურს რომ უსმენდა, შარლოტას უფრო და უფრო მეტი განცვიფრება ეუფლებოდა.

„საიდან მოიტანა ყოველივე ეს? - ფიქრობდა იგი, - ეს მისი სიტყვები არ არის, მისი პირით თვით ღმერთი ღაღადებს“.

შარლოტა ხედავდა, მოხუც პასტორსაც კი ხელი ყურთან მიედო და ისე უსმენდა, რომ ერთი სიტყვაც არ გამორჩენოდა. იგი ხედავდა, რომ მოქადაგეს ყველაზე მეტი გულისყურით დროული ადამიანები უსმენდნენ, რომელნიც საერთოდ უფრო

დარბაისელნი და ჭკუადამჯდარნი არიან. შარლოტამ ირწმუნა, რომ ამიერიდან ვეღარავინ იტყოდა, თითქოს კარლ-არტური ქალების მქადაგებელი ყოფილიყოს და რომ ლამაზი გარეგნობა უწყობდა ხელს მის წარმატებას.

ბრწყინვალედ ჩაიარა ყოველივემ. შარლოტა ბედნიერი იყო. იგი გრძნობდა, რომ არასოდეს ყოფილა მისი ცხოვრება ისე სისხლსავსე და მშვენიერი, როგორიც ამ რამდენიმე საათის განმავლობაში.

კარლ-არტურის ქადაგებაში ყველაზე განსაცვიფრებელი, ალბათ, ის იყო, რომ მისმა სიტყვებმა ჭირ-ვარამი გადაავიწყა ადამიანებს, სულიერად დაამშვიდა ისინი, მათ იგრძნეს მისი სულის ბრძნული და კეთილისმყოფელი ძალა. შიში განერიდა მათ სულებს, აღმაფრენა დაეუფლა მათ. ბევრი მათგანი გულში აღთქმას დებდა, რომელიც შემდეგ უსიტყვოდ უნდა აღესრულებინათ.

მაგრამ იმ დღეს ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება მრევლზე არც კარლ-არტურის ქადაგებას მოუხდენია, თუმცა, იგი მართლაც ბრწყინვალე იყო, და არც ნიშნობის საჯაროდ გამოცხადებას, ქადაგებას რომ მოჰყვა. შარლოტას ხსენებაზე ეკლესიაში უკმაყოფილო ბუზღუნი გაისმა, თუმცა, ყველამ ადრევე იცოდა ეს ამბავი. ყველაზე საკვირველი რამ ღვთისმსახურების შემდეგ მოხდა.

როგორც კი ქადაგება დამთავრდა, შარლოტამ მაშინვე მოინდომა ეკლესიიდან წასვლა, მაგრამ ამდენ ხალხში ვერ გააღწია და იძულებული შეიქნა, წირვის ბოლომდე დარჩენილიყო. როდესაც მლოცველები გასასვლელისკენ დაიძრნენ, სცადა, მათთვის გაესწრო, მაგრამ ვერც ეს მოახერხა. არც გზა დაუთმეს, არც ხმა გასცეს. ვითომ ვერც კი ხედავდნენ.

და უცებ მიხვდა, რომ მტრებით იყო გარშემორტყმული. ნაცნობები გაურბოდნენ. მხოლოდ ერთადერთი ადამიანი მივიდა მასთან. ეს იყო მისი ღვიძლი და, გულადი ქალი, ექიმ რომელიუსის ცოლი.

და, როცა ბოლოს და ბოლოს გასასვლელს მიაღწიეს, დები კარში გაჩერდნენ.

ეკლესიის წინ, ქვიშამოყრილ ბილიკზე, ახალგაზრდების გუნდი შეკრებილიყო. მამაკაცებს ეკლესიის გალავანთან სახელდახელოდ დაკრეფილი ბირკის, დამჭკნარი ფოთლებისა და ხმელი ბალახის თაიგულები ეკავათ ხელში. აშკარა იყო, ყველაფერი ეს შარლოტასთვის უნდა მიერთმიათ და ახალი ნიშნობა მიელოცათ. წინ აყლაყუდა კაპიტანი ჰამარბერგი იდგა. მთელ სამრევლოში იგი განთქმული იყო, როგორც ყველაზე გულბოროტი და ენამყრალი კაცი. კაპიტანმა ჩაახველა და მისალოცი სიტყვის წარმოსათქმელად მოემზადა.

ეკლესიიდან გამოსული ხალხი მჭიდრო რკალად გარს შემოერტყა ახალგაზრდებს. წინასწარ ტკბებოდნენ იმის მოლოდინში, თუ ლანძღვით როგორ შეამკობდნენ ქალიშვილს, რომელმაც სიმდიდრისა და ოქრო-ვერცხლის გულისთვის უღალატა შეყვარებულს. სიამოვნებისგან ქირქილებდნენ, რადგან კარგად იცოდნენ, ჰამარბერგი არ დაინდობდა შარლოტას.

მარია-ლუიზას შიშისგან გული გადაუქანდა. ეკლესიაში შევბრუნდეთო, უთხრა დას, მაგრამ შარლოტამ უარის ნიშნად თავი გაიქნია.

- რა მნიშვნელობა აქვს ამას, - მიუგო მან, - ახლა აღარაფერს აღარა აქვს მნიშვნელობა.

ისინი ნელი ნაბიჯით უახლოვდებოდნენ ახალგაზრდებს, რომლებიც ისე ელოდებოდნენ, თითქოს მართლაცდა გულითად დახვედრას უპირებდნენ.

ანაზდად დებთან კარლ-არტურმა მოირბინა. იქვე მიმავალმა შენიშნა, რა მდგომარეობაშიც იყვნენ და მყის გამოეშურა მისაშ-ველებლად. უფროს დას ხელკავი გამოსდო, ქუდმოხდით მიესალმა, ახალგაზრდებს ანიშნა, მაგ განზრახვაზე ხელი აეღოთ და მშვიდობიანად გაიყვანა ქალები თემშარაზე.

ნამდვილად გაუგონარი კეთილშობილება იყო, რომ მან, სას-ტიკად შეურაცხყოფილმა ადამიანმა, მფარველობა გაუწია შარ-ლოტას.

სწორედ ამან მოახდინა ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება მრევლზე იმ კვირადღეს.

საბრალდებო სიტყვა სიყვარულის ღმერთის წინააღმდეგ

ორშაბათ დილით შარლოტა სოფელში წავიდა თავის დასთან სალაპარაკოდ. მარი-ლუიზას, როგორც ლიოვენშოლდთა უმრავლესობას, მეტად იზიდავდა ყოველივე ზებუნებრივი. იგი ხშირად ჰყვებოდა, რომ დღისით-მზისით ქუჩაში ხვდებოდნენ დიდი ხნის წინ გარდაცვლილი ადამიანები. ამ ქალს მართლაც სწამდა მოჩვენებების შემზარავი ამბები. შარლოტა კი სულ სხვა ბუნების ქალი იყო და ადრე მხოლოდ დასცინოდა მარი-ლუიზას ავადმყოფურ წარმოდგენებს, მაგრამ ახლა მაინც გადაწყვიტა, გასაუბრებოდა იმ იდუმალ ამბებზე, რომლებმაც, ცოტა არ იყოს, საგონებელში ჩააგდეს.

ეკლესიასთან მომხდარი სკანდალური შემთხვევის შემდეგ კვლავ აეკვიატა აზრი თავის უკუღმართ ბედისწერაზე. და მაშინდელივით, როცა ერებრუში შაგერსტრიომმა მათი ნიშნობის გამოცხადების ამბავი უთხრა, ისევ იდუმალი გრძნებით შეკრული ეგონა თავი. მონუსხული იყო. ეჩვენებოდა, რაღაც საშინელი, ავისმზრახველი არსება გადამეკიდა, იმან წამართვა კარლ--არტური და კვლავ ახალ და ახალ უბედურებას მატეხს თავსო.

გოგონა, რომელიც მთელი ეს დღეები საშინელ სისუსტესა და დაღლილობას გრძნობდა, თავჩაქინდრული მიდიოდა. გზად შემხვედრნი, ალბათ, ფიქრობდნენ, სინდისის ქენჯნის და ამიტომ ვერ გვისწორებს თვალსო.

ძლივს მიაღწია სოფლამდე და ახლა ორგანისტის სახლის ირგვლივ შემოვლებულ მაღალ ხერგილს გაჰყვა. უცებ ბაღის ჭიშკარი გაიღო და ვიღაც გამოვიდა გზაზე.

შარლოტამ უნებურად თავი ასწია. ბაღიდან გამოსული კაცი კარლ-არტური იყო. მასთან პირისპირ შეხვედრა რომ წარმოიდგინა, მეტისმეტი მღელვარებისგან ადგილზევე გახევდა. კარლ-არტურმა რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა და გაჩერდა, რადგან ბაღის სიღრმიდან ვიღაცამ უკანვე უხმო.

ბოლო ხანებში ამინდი შეიცვალა. ზაფხულის მზიანი დარები წარსულს ჩაჰბარდა. წარამარა მოდიოდა ხანმოკლე თქეში და ფრუ სუნდლერმა, რაკი შეამჩნია, ტყიანი ფერდობის თავზე კვლავ ღრუბელი მოიჯარა და წინწკვლაც დაიწყოო, ქმრის დიდი ლაბადა გამოურბენინა კარლ-არტურს.

როდესაც შარლოტა ბაღის ჭიშკარს გაუსწორდა, თეა სუნდლერი სწორედ ლაბადის ჩაცმაში ეხმარებოდა კარლ-არტურს. სულ რაღაც ორიოდე ნაბიჯი იყო მათ შორის და შარლოტამ კარგად დაინახა ერთიცა და მეორეც. ფრუ სუნდლერი ლაბადას უკრავდა ახალგაზრდა პასტორს, ის კი ბავშვივით იცინოდა მისი მზრუნველობის შემხედვარე.

თეა სუნდლერი კმაყოფილი და მხიარული ჩანდა, მთელ ამ სცენაში კი არაფერი იყო სათაკილო და დასაძრახი, მაგრამ შარლოტა, რომელმაც დაინახა, როგორ ზრუნავდა ეს ქალი კარლ-არტურზე, თითქოს დედა ან ცოლი ყოფილიყოს მისი, ანაზდად მიხვდა ყველაფერს.

„თეას უყვარს იგი“, - გაიფიქრა გოგონამ.

მათთვის რომ აღარ ეცქირა, ნაბიჯს აუჩქარა, გულში კი იმეორებდა და იმეორებდა:

„რასაკვირველია, თეას უყვარს. რატომ აქამდე ვერ მივხვდი! ყველაფერი ამით აიხსნება. სწორედ ამიტომ დაგვაშორა ერთმანეთს“.

შარლოტამ მაშინვე იაზრა, რომ კარლ-არტური ვერაფერს ხვდებოდა. იგი, ალბათ, თავის ლამაზ დალეკარლიელზე ფიქრი-

თაა გართული. რასაკვირველია, კარლ-არტური ყოველ საღამოს ორგანისტთან ატარებს, მაგრამ, ალბათ, მის პატივსაცემად შესრულებული ლამაზი სიმღერა და მუსიკა უფრო იზიდავს. თან კიდევ, ვინმე ხომ უნდა ჰყავდეს ხმის გამცემი, თეა სუნდლერი კი მისი ოჯახის ძველი მეგობარია.

მოსალოდნელი იყო, რომ ეს აღმოჩენა გულს დასწყვეტდა ან შეაშინებდა შარლოტას, მაგრამ ასე როდი მოხდა. პირიქით, ყელი მოიღერა, მხრებში გაიმართა, ძველებური სიამაყე და სილაღე დაუბრუნდა.

„მაშასადამე, თეა სუნდლერია ყოველგვარი უბედურების სათავე, - გაიფიქრა მან, - ოჰ, მაგას კი გავუსწორდები“.

ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ავადმყოფი ყოფილიყოს, რომელმაც ბოლოს და ბოლოს შეიტყო, რითაც იყო სნეული და დაიჯერა, რომ შეძლებდა საჭირო წამლის შოვნას. კვლავ აღივსო იმედითა და რწმენით.

- მე კი მეგონა, ისევ იმ ავბედითი ბეჭდის მიზეზით გვჭირს-- მეთქი ყველა უბედურება! - ბუტბუტებდა შარლოტა.

მოაგონდა, ერთხელ მამამისმა რომ უამბო, ლიოვენშოლდებმა მალვინა სპააკისთვის (თეა სუნდლერის დედისთვის) მიცემული სიტყვა გატეხეს, რისთვისაც მცირე სასჯელი უწინასწარმეტყველეს ჩვენს გვარსო. შარლოტა თავის დასთან სწორედ იმიტომ მიდიოდა, რომ დაწვრილებით გამოეკითხა ეს ამბავი. უკანასკნელი კვირების მოვლენებს ამ ბოლო წუთამდე რაღაც ავბედითი, გაურკვეველი ბედისწერით ხსნიდა, რომელიც გარდაუვლად მიაჩნდა. მაგრამ თუ მისი ყოველგვარი უბედურების თავიდათავი კარლ-არტურისადმი თეას სიყვარულია, იგი იპოვის ამ ბედნავსობიდან თავის დაღწევის საშუალებას.

უცებ გადაიფიქრა დასთან მისვლა და უკანვე გამობრუნდა. არა, ეს სამისო საქმე არ არის. რატომ უნდა სჯეროდეს რაღაც

ძველთაძველი წყევლის ამბავი. მიენდობა საკუთარ გამჭრიახობას და თავს დაანებებს გაუგებარ მისტიკურ სისულელეზე ფიქრს.

საღამოს, თავის ოთახში, ძილის წინ დიდხანს უყურა ფაიფურის პატარა ამურს, რომელიც სეკრეტერზე ედგა.

- მაშასადამე, მთელი ამ ხნის განმავლობაში ამ ქალს მფარველობდი, არა? - მიმართა შარლოტამ ფაიფურის ქანდაკებას, - მას მოევლინე მწყალობლად და არა მე. მისი მიზეზით, იმის გამო, რომ კარლ-არტური უყვარს, დამეწინდა შაგერსტრიომი და მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო, არა? მისი გამოისობით წავიჩხუბეთ მე და კარლ-არტურმა, მისი გამოისობით დაინიშნა კარლ-არტური დალეკარლიელ გოგონაზე, მისი გამოისობით გამომიგზავნა შაგერსტრიომმა ის თაიგული და ხელი შემიშალა კარლ-არტურთან შერიგებაში. ეჰ, სიყვარულის ღმერთო, რატომ მფარველობ მის სიყვარულს? ნუთუ იმიტომ, რომ აკრძალული ხილია. მაშასადამე, მართალი ყოფილა, რომ უფრო ისეთ სიყვარულს სწყალობ, რომელიც უკანონოა? გრცხვენოდეს, ჩემო კეთილო მშვილდოსანო. მე აქ ჩემი სიყვარულის გუშაგად დაგაყენე, შენ კი სხვას უწევ შემწეობას!

იმის გამო, რომ თეა სუნდლერს კარლ-არტური უყვარს, ცილისწამების, აბუჩად აგდების, განსაქიქებელი სიმღერების მოსათმენად გამიმეტე და არ დამიცავი!

იმის გამო, რომ თეა სუნდლერს კარლ-არტური უყვარს, შიშსა და სასოწარკვეთაში ჩაგვყარე ყველანი.

შენ არავის ინდობ. სატანჯველი გაუჩინე მოხუც ცოლ-ქმარს აქაც და კარლსტადშიც მხოლოდ იმიტომ, რომ მფარველობ იმ თვალებგადმოკარკლულ თეა სუნდლერს.

იმის გამო, რომ თეას უყვარს კარლ-არტური, მე ბედნიერება წამართვი. მეგონა, ჩემი დაღუპვა რომელიღაც ბოროტ ჯადოქარს ეწადა, თურმე ეს შენ ყოფილხარ, ჩემო კეთილო ამურო.

თავდაპირველად შარლოტა ხუმრობის კილოთი ლაპარაკობდა, მაგრამ როცა ჩამოთვალა თავს დატეხილი ყოველგვარი უბედურება, საშინლად აღელდა და ცრემლნარევი ხმით განაგრძო:

- ო, სიყვარულის ღმერთო, განა ვერ დაგიმტკიცე, რომ შემიძლია სიყვარული? თეას სიყვარული რად არჩიე ჩემსას? განა მე კი არ შემიძლია სიყვარულის ისეთივე ერთგულება, განა მის გულში უფრო სპეტაკი და ძლიერი ცეცხლი ანთია, ვიდრე ჩემსაში? რატომ მფარველობ, ამურო, მის სიყვარულს და არა ჩემსას?

რა მოვიმოქმედო შენი გულის მოსანადირებლად? ჰოი, პატარა ამურო, დაფიქრდი - შენ ხომ დასაღუპავად იმეტებ იმ ადამიანს, ვინც მე მიყვარს. ნუთუ გსურს, თეა სუნდლერს კარლ--არტურის სიყვარულიც აჩუქო? ეგ ხომ ერთადერთი რამაა, რაზედაც აქამდე უარს ეუბნებოდი. ნუთუ მოხდება სასწაული და კარლ-არტურის სიყვარული თეას ერგება?

მეტი აღარაფერი უკითხავს შარლოტას, აღარც გაჰკვირვებია რამე. ატირებული ჩაწვა ლოგინში.

ტაძრის წინამძღვრის ქვრივის დაკრძალვა

პოლკოვნიკის ცოლის, ბეატა ეკენსტედის კორსჩურკიდან დაბრუნებიდან რამდენიმე დღის შემდეგ კარლსტადს ეწვია ერთი ძალიან ლამაზი დალეკარლიელი ქალიშვილი, რომელსაც ზურგზე მოეკიდა თავისი განუყრელი ფუთა. მაგრამ ქალაქში, სადაც ვაჭრებს ფარდულები ჰქონდათ გამართული, სავაჭროდ სიარული აკრძალული იყო. ამიტომ მეწვრილმანე ქალიშვილმა ფუთა იმ ბინაში დატოვა, სადაც გაჩერდა, მკლავზე კალათი ჩამოიკიდა, რომელშიც სამაჯურები და ძუისგან დაწნული საათის ძეწკვები ეწყო და ქუჩაში გამოვიდა.

დალეკარლიელი ქალიშვილი კარდაკარ დადიოდა და ქალაქელებს სთავაზობდა თავის საქონელს. რასაკვირველია, არც ეკენსტედების სახლისთვის აუვლია გვერდი.

მისი ოსტატური ნახელავით აღფრთოვანებულმა პოლკოვნიკის ცოლმა სთხოვა, რამდენიმე დღე მის ოჯახში დარჩენილიყო და სუვენირები გაეკეთებინა გრძელი ოქროსფერი კულულებისგან, რომლებიც ვაჟიშვილისთვის შეეჭრა პატარაობისას და მას შემდეგ საგულდაგულოდ ჰქონდა შენახული.

დალეკარლიელ ქალიშვილს, ჩანს, დიდად ეამა ასეთი წინადადება. დიდხანს არ უფიქრია, დათანხმდა და მეორე დილითვე შეუდგა საქმიანობას.

ფროიკენ ჟაკეტა ეკენსტედი, თვითონაც ფრიად გაწაფული ხელსაქმეში, ხშირ-ხშირად შედიოდა დალეკარლიელ ქალიშვილთან, რომელსაც მსახურებისთვის განკუთვნილ მინაშენში დაუდეს ბინა, რათა შეეხედა მისი მუშაობისთვის. ასე დამყარდა მათ შორის ნაცნობობა და შეიძლება ითქვას, მეგობრობაც. ქა-

ლაქელ ქალიშვილს იზიდავდა მდაბიო გოგონას ლამაზი გარეგნობა, რომელსაც კიდევ უფრო ამშვენებდა ფერადოვანი ტანსაცმელი. ჟაკეტა გულწრფელად იყო აღტაცებული ოსტატი ქალის გულმოდგინებითა და სიბეჯითით, მისი ჭკუა-გონებით, რასაც ნებისმიერ შეკითხვაზე სხარტი და მოსწრებული პასუხის გაცემისას ამჟღავნებდა.

ჟაკეტა, რასაკვირველია, განცვიფრდა, როცა გაიგო, რომ ამ გონებამახვილმა გოგონამ არც წერა იცოდა, არც კითხვა. იგი მაშინაც გაკვირდა, როცა რამდენჯერმე შეუსწრო დალეკარლიელს რკინის მოკლე ყალიონის წევისას. ამან, ცოტა არ იყოს, აღტაცება გაუნელა, თუმცა, ორი ქალიშვილის მეგობრული ურთიერთობისთვის ხელი არ შეუშლია.

ფროიკენ ეკენსტედს ისიც მოსწონდა, რომ დალეკარლიელი ქალიშვილი ხშირად ისეთ სიტყვებსა და გამოთქმებს ხმარობდა, რაც ჟაკეტას არ ესმოდა. აი, ერთხელაც, როცა თავისი ახალი მეგობარი შინ მიიყვანა, რათა ოთახების დამამშვენებელი ლამაზი ნივთები ეჩვენებინა მისთვის, ბეჩავმა თავისი აღტაცება მხოლოდ იმით გამოხატა, რომ წამოიძახა: „რა მაგარია!“ ფროიკენ ეკენსტედს ძალიან ეწყინა ეს, მაგრამ მერე, როცა შეიტყო, რომ სიტყვა „მაგარი“ თურმე ბრწყინვალესა და აღმაფრთოვანებელს ნიშნავდა, გულიანად აცინა თავისიანები.

თვით პოლკოვნიკის ცოლი იშვიათად ნახულობდა ხელმარჯვე ქალიშვილს. ეტყობოდა, არჩია, ქალიშვილის მეოხებით შეეფასებინა მისი ჭკუა-გონება, ხასიათი და ზნე-ჩვეულებანი, რათა ამ გზით გადაეწყვიტა, გამოადგებოდა თუ არა ცოლად მის ვაჟიშვილს. ვისაც ცოტა რამ მაინც სმენოდა ბეატა ეკენსტედის გამჭრიახობაზე, სულაც არ შეეპარებოდა ეჭვი, რომ იგი უმალვე მიხვდა, ეს გოგონა მისი ვაჟის ახალი საცოლე იყო.

მაგრამ ეგაა, რომ დალეკარლიელმა ქალიშვილმა ერთი ფრიად სამწუხარო ვითარების გამო დატოვა ეკენსტედების ოჯახი. პოლკოვნიკის დას, ფრუ ელიზა შობორგს, შობორგის ტაძრის წინამძღვრის ქვრივს, რომელიც ქმრის გარდაცვალების შემდეგ თავის ძმასთან ცხოვრობდა, დამბლა დაეცა და რამდენიმე საათის შემდეგ სული განუტევა. დაკრძალვას სათანადო სამზადისი სჭირდებოდა და საჭირო გახდა ყოველი ოთახის გამოყენება ხაბაზების, მკერავი ქალებისა და მეშპალერეების დასაბინავებლად, რომლებიც მოიწვიეს, რათა კედლებზე შავი ქსოვილი გაეკრათ. დალეკარლიელი ქალიშვილი მაშინვე დაითხოვეს.

წასვლამდე იგი პოლკოვნიკთან შეგზავნეს გასამრჯელოს მისაღებად. მსახურებმა შეამჩნიეს, რომ საუბარი კაბინეტში მეტისმეტად დიდხანს გაგრძელდა და, როცა დალეკრალიელი ქალიშვილი გარეთ გამოვიდა, თვალები დაწითლებული ჰქონდა ტირილისგან. სათნო ეკონომმა ქალმა იფიქრა, მოვაჭრე გოგოს, ალბათ, გული დასწყდა, ნაადრევად რომ ისტუმრებენ აქედან, სადაც ყველა ასე გულკეთილად ექცეოდაო, და ცოტა რომ ეამებინა მისთვის, დასაფლავების დღეს სამზარეულოში მიიპატიჟა, რათა საქელეხო ნუგბარებით გამასპინძლებოდა.

დაკრძალვა დანიშნული იყო ცამეტ აგვისტოს, ხუთშაბათ დღეს. მშობლებმა, რასაკვირველია, შეუთვალეს ეს ამბავი თავიანთ ვაჟიშვილს, მაგისტრ კარლ-არტურ ეკენსტედს და ისიც ოთხშაბათ საღამოს ჩამოვიდა კორსჩურკიდან. დიდი სიხარულით შეეგებნენ და კარლ-არტურიც გვიანობამდე უამბობდა მშობლებსა და დებს იმ სიყვარულზე, რომლითაც მოსილი იყო ახლა თავის სამრევლოში. არცთუ ისე იოლი იყო მოკრძალებული ახალგაზრდა პასტორის ალაპარაკება თავის ტრიუმფზე, მაგრამ პოლკოვნიკის ცოლმა, რომელმაც შარლოტა ლიოვენ-

შოლდის წერილის მეოხებით ყოველივე იცოდა, იმდენი შეკითხვა მისცა, რომ აიძულა, მოეთხრო მრევლში მისდამი სიყვარულისა და პატივისცემის ყოველგვარ გამოხატულებაზე. არც იმის წარმოდგენაა ძნელი, რომ ამ დროს ბეატა ეკენსტედი წმინდა დედობრივ სიამაყეს განიცდიდა.

სავსებით ბუნებრივია, იმ საღამოს არავის უხსენებია მოვაჭრე გოგონა, რომელიც რამდენიმე დღე იყო, ცხოვრობდა ამ სახლში. მეორე დილით ყველა დაკრძალვის სამზადისით გაერთო, ასე რომ, კარლ-არტურს არც ამჯერად შეუტყვია მშობლების ოჯახში ლამაზი დალეკარლიელი ქალიშვილის ყოფნის ამბავი.

პოლკოვნიკმა ეკენსტედმა ინება, რომ მისი და ღირსეულად მიებარებინათ მიწისთვის. დაკრძალვაზე მოიპატიჟეს ეპისკოპოსი და გუბერნატორი, აგრეთვე კარლსტადის დიდგვაროვანი მოქალაქენი, რომლებიც იცნობდნენ განსვენებულ ფრუ შობორგს.

მოწვეულთა შორის იყო ქარხნის მეპატრონე შაგერსტრიომიც. იგი იმიტომ მოიპატიჟეს, რომ თავისი სასუფეველდამკვიდრებული ცოლის მხრიდან შობორგის ტაძრის წინამძღვრის მოყვარე იყო და როცა ისეთმა ადამიანებმა დააფასეს, რომელთაც მასთან გვარიანი პრეტენზიის საფუძველი ჰქონდათ, მან მადლობით მიიღო ეს მიწვევა.

მოხუცი ფრუ შობორგი ფსალმუნების გალობით გამოასვენეს და გრძელმა პროცესიამ საფლავამდე მიაცილა მიცვალებული, შემდეგ კი დაკრძალვის მონაწილენი ეკენსტედების სახლში დაბრუნდნენ, სადაც ჭირის სუფრა ელოდათ. რა თქმა უნდა, სუფრა გულუხვად იყო გაშლილი. აღაპი დიდხანს გაგრძელდა, არავის აკლდა ამ შემთხვევისთვის შესაფერი სიდინჯე და სიდარბაისლე.

შაგერსტრიომი, რადგან განსვენებულს ნათესავად ერგებოდა, ჭირისუფალი დიასახლისის გვერდით დასვეს და ამგვარად

შემთხვევა მიეცა, ესაუბრა ამ არაჩვეულებრივ ქალთან, რომელსაც მანამდე არასოდეს შეხვედრია. ძაძით მოსილი ბეატა ეკენსტედი უაღრესად პოეტურ შთაბეჭდილებას ახდენდა და თუმცა იმ დღეს არც ილხენდა და არც გონებამახვილობდა, რითაც საერთოდ სახელი ჰქონდა განთქმული, შაგერსტრიომს მაინც ძალიან მოეწონა მასთან ბაასი. ერთი წუთითაც არ უყოყმანია, ისე შეება ისიც ამ მომხიბლავი ქალის ტრიუმფალურ ეტლში და თავის მხრივ იმით ასიამოვნა, რომ უამბო, როგორ იქადაგა მისმა შვილმა წინა კვირას და რა შთაბეჭდილება მოახდინა მრევლზე.

აღაპის დროს ახალგაზრდა ეკენსტედი ფეხზე ადგა და მიცვალებულის შესანდობარი სიტყვა წარმოთქვა, უბრალოდ, ბუნებრივად, ამავე დროს საინტერესოდ და ჭკვიანურად ჰყვებოდა. ისე ცოცხლად დაახასიათა გარდაცვლილი მამიდამისი, რომელსაც, ეტყობოდა, ძალიან უყვარდა ძმისწული, რომ ყველანი აღტაცებული დარჩნენ. მაგრამ, როცა ლაპარაკობდა, შაგერსტრიომს, ისევე როგორც ბევრ სხვა სტუმარს, დროდადრო სმენა ორატორიდან დედამისზე გადაჰქონდა. გვერდით მჯდომი სტუმრისგან შაგერსტრიომმა შეიტყო, რომ პოლკოვნიკის ცოლი ორმოცდათექვსმეტი თუ ორმოცდაჩვიდმეტი წლისა იყო, და თუმცა სახეზე მართლაც ეტყობოდა ასაკი, ქარხნის მეპატრონემ გაიფიქრა, არც ერთ მზეთუნახავს არ ექნება ასეთი მეტყველი თვალები და მომხიბლავი ღიმილიო.

მაშ, ასე, ყველაფერი ჩინებულად მიდიოდა, მაგრამ როდესაც სტუმრები სუფრიდან წამოიშალნენ და მათთვის ყავა უნდა მიერთმიათ, სამზარეულოში ფათერაკი მოხდა. მოახლეს, რომელსაც ლანგრით ყავა უნდა ჩამოეტარებინა სტუმრებისთვის, ჭიქა გაუტყდა და შუშის ნამსხვრევებზე ხელი გაეჭრა. ფაციფუცში ვერავინ შეუჩერა სისხლდენა და მართალია, პატარა ჭრილობა ჰქონ-

და, მოახლე მაინც ვერ გამოვიდოდა სტუმრებთან, რადგან თითიდან განუწყვეტლივ სდიოდა სისხლი.

შემცვლელს დაუწყეს ძებნა, მაგრამ არც ერთმა დაქირავებულმა მსახურმა არ ინდომა მძიმე ლანგრის ჩამოტარება ოთახებში. სასოწარკვეთილმა ეკონომმა ქალმა სხვა რომ ვერაფერი იღონა, იმ ჯანიან დალეკარლიელ ქალიშვილს მიმართა, რომელიც საქელეხო ნუგბარით პირის ჩასატკბარუნებლად ჰყავდა მოწვეული, და სთხოვა, შეესრულებინა ეს მოვალეობა. არც უყოყმანია, გოგონამ მაშინვე აიღო ლანგარი, მოახლემ გაჭრილი ხელი ხელსახოცით შეიხვია და დარბაზში შეჰყვა, რათა თვალი ედევნებინა, ყველაფერი რიგზე რომ ყოფილიყო.

ოთახში შემოსულ მოახლეს არავინ აქცევს ხოლმე განსაკუთრებულ ყურადღებას, მაგრამ როდესაც ჭრელ ტანსაცმელში გამოწყობილი, მოხდენილი დალეკარლიელი ქალიშვილი შავებით შემოსილ ხალხში გაერია, ყველამ მზერა მას მიაპყრო.

სხვებთან ერთად კარლ-არტურმაც მიიხედა მისკენ. რამდენიმე წამი ისე უყურებდა, ვერაფერი გაეგო, მერე კი მიიჭრა მასთან და ხელიდან გამოსტაცა ლანგარი.

- შენ ჩემი საცოლე ხარ, ანა სვერდ, - უთხრა მან, - და ამ სახლში არ შეგფერის ლანგრით სტუმრების ჩამოვლა.

ლამაზმა დალეკარლიელმა ქალიშვილმა შიშით თუ სიხარულით აღსავსე თვალები მიაპყრო.

- არა, არა! ნება მომეცით დავასრულო ეს საქმე, - შეეპასუხა.

ამ დროს ყველანი დარბაზში იყვნენ. ეპისკოპოსმა, გუბერნატორმა და სხვა სტუმრებმა დაინახეს, მასპინძლის ვაჟმა როგორ გამოართვა დალეკარლიელ ქალიშვილს ლანგარი და მაგიდაზე დადგა.

- გიმეორებ, - ხმას აუწია კარლ-არტურმა, - შენ ჩემი საცოლე ხარ და ამ სახლში არ შეგფერის ლანგრის ჩამოტარება.

ამ დროს გაისმა ხმამაღლა და გულში ჩამწვდომად წარმოთქმული სიტყვები:

- კარლ-არტურ, გაიხსენე, რა დღე გაქვს დღეს!

ეს თქვა პოლკოვნიკის ცოლმა. იგი შუა დარბაზში იჯდა დიდ დივანზე, როგორც შეჰფეროდა მგლოვიარე ოჯახის წევრს.

მის წინ გრძელი მაგიდა იდგა, აქეთ და იქით კი ჩაგოდრებული მანდილოსნები უსხდნენ. ბეატა ეკენსტედმა თავისი ადგილიდან გამოსვლა მოინდომა, მაგრამ ერთბაშად ვერ მოახერხა, რადგან მის გვერდით მსხდომნი ისე იყვნენ გართულნი იმ ამბით, რაც დარბაზის მეორე ბოლოში ხდებოდა, რომ ადგილიდან არ იძვროდნენ, რათა გავლის საშუალება მიეცათ მისთვის.

კარლ-არტურმა მკლავში მოჰკიდა ხელი დალეკარლიელ ქალიშვილს და ძალისძალად წამოიყვანა სტუმრებისკენ. ქალი მორცხვობდა, ბავშვივით სახელოს იფარებდა სახეზე, მაგრამ აშკარად ეტყობოდა, ბედნიერად რაცხდა თავს. კარლ-არტურმა ეპისკოპოსთან მიიყვანა.

- ამ წუთამდე არ ვიცოდი, ჩემი საცოლე ჩემს სახლში თუ იმყოფებოდა, - მიმართა ეპისკოპოსს, - მაგრამ ახლა, რაკი აქ ყოფილა, მსურს უპირველესად ჩემს სულიერ მოძღვარს, ეპისკოპოსს წარვუდგინო. გთხოვთ, უფალო ეპისკოპოსო, პატივი დამდოთ და აკურთხოთ ჩემი შეუღლება ამ ახალგაზრდა ქალთან, რომელმაც აღმითქვა, რომ ჩემი თანამგზავრი იქნება ხელმოკლეობისა და გაჭირვების იმ გზაზე, რომლითაც უნდა ვიარო მე, მონა ღვთისამ.

იმის უარყოფა არ შეიძლება, რომ ასეთი მოქცევით, თუმცა ეს, სხვადასხვა მიზეზის გამო იქნებ ფრიად უადგილოც იყო ახლა, კარლ-არტურმა საყოველთაო სიმპათია მოიპოვა. ისე გაბედულად აღიარა, მდაბიო ქალი ავირჩიე საცოლედო და იმგვარი აღტაცების კილოთი წარმოთქვა ეს, რომ ბევრი იქ დამსწრე კე-

თილად განეწყო მისდამი. ახალგაზრდა პასტორს ფერმიხდილ, ნატიფ სახეზე ისეთი არაჩვეულებრივი სიმტკიცე ეხატა, ამ სცენის შემსწრეთაგან ბევრი გამოუტყდა საკუთარ თავს, რომ თვითონ არასოდეს ეყოფოდათ გამბედაობა იმ გზას გაჰყოლოდნენ, რომელსაც დაადგა კარლ-არტური.

ახალგაზრდა ეკენსტედს, ეტყობა, კიდევ უნდოდა ეთქვა რაღაც, მაგრამ ამ დროს მის ზურგს უკან ვიღაცამ შეჰკივლა. პოლკოვნიკის ცოლი, როგორც იქნა, გამოვიდა თავისი ადგილიდან და ეპისკოპოსის წინ შეჯგუფებული სტუმრებისკენ გამოემართა. მაგრამ მღელვარებისა და სიჩქარისგან ფეხი დააბიჯა თავის გრძელ სამგლოვიარო კაბას, წაბორძიკდა და წაიქცა, თანაც მაგიდის კუთხეს ჩამოჰკრა თავი და შუბლი გაიტეხა.

გაისმა თანაგრძნობის შეძახილები და, ალბათ, მხოლოდ ეპისკოპოსმა ამოისუნთქა შვებით, რაკი ამ შემთხვევამ საჩოთირო მდგომარეობიდან დაიხსნა. კარლ-არტურმა ხელი გაუშვა საცოლეს და დედასთან მიირბინა, ფეხზე წამოდგომაში რომ შეშველებოდა. მაგრამ ეს არცთუ ისე იოლი იყო. პოლკოვნიკის ცოლს გონება არ დაუკარგავს, თუმცა, ყველა სხვა ქალს მის ადგილას სწორედ ასე დაემართებოდა, მაგრამ წაქცევისას, ალბათ, მაგრად დაშავდა და ამიტომ ადგომა ვეღარ შეძლო. პოლკოვნიკმა ეკენსტედმა, კარლ-არტურმა, შინაურმა ექიმმა და სიძემ, პორუჩიკმა არკერმა, როგორც იქნა, სავარძელში ჩასვეს და ასე ციმციმ წაიყვანეს საძინებელში, იქ კი ეკონომი ქალი და ქალიშვილები დაეხვივნენ, ტანთ გახადეს და ლოგინში ჩააწვინეს.

ადვილი წარმოსადგენია, რა ალიაქოთი მოჰყვა ამ უბედურებას. დაბნეული სტუმრები დარბაზში გამოვიდნენ და წასვლას არ ფიქრობდნენ, სანამ არ შეიტყობდნენ, რა მდგომარეობაში იყო დაშავებული. ყველა ხედავდა, როგორ გარბი-გამორბოდნენ დარბაზში შეწუხებული პოლკოვნიკი, ქალიშვილები, მოახ-

ლეები და ეძებდნენ შესახვევ ტილოს, საცხს, არტაშანის დასადებ ფიცარს, რადგან ბეატას წაქცევისას ხელიც მოსტეხოდა.

სტუმრებმა ბოლოს მოსამსახურეებს გამოჰკითხეს და შეიტყვეს, რომ შუბლის ჭრილობა, რომელიც ყველაზე მეტად ადარდებდათ, სულაც არ აღმოჩნდა საშიში, რომ მარცხენა ხელზე არტაშანი კი უნდა დაედოთ, მაგრამ არც ეს იყო მაინცდამაინც დიდი უბედურება. უფრო სახიფათო გამოდგა ფეხის დაზიანება. მუხლის კვირისტავი გასტეხოდა და სანამ შეხორცდებოდა, პოლკოვნიკის ცოლი გაუნძრევლად უნდა წოლილიყო, ღმერთმა იცის, რამდენ ხანს.

ეს რომ გაიგეს, სტუმრები მიხვდნენ, მასპინძლებს ახლა მათი თავი აღარ ჰქონდათ და წასასვლელად აიშალნენ, მაგრამ როდესაც მამაკაცები თავიანთ ქუდებსა და პალტოებს არჩევდნენ, წინა ოთახში ჩქარი ნაბიჯით გამოვიდა პოლკოვნიკი ეკენსტედი. თვალით ვიღაცას დაუწყო ძებნა და როცა დაინახა ქარხნის მეპატრონე შაგერსტრიომი, რომელიც ის იყო, ხელთათმანებს იკრავდა, მასთან მივიდა.

- ჰერ, თუ ძალიან არ გეჩქარებათ, - მიმართა პოლკოვნიკმა, - გთხოვთ, დაიცადოთ.

შაგერსტრიომს სახეზე გაკვირვება კი გამოეხატა, მაგრამ მაშინვე მოიხადა ქუდი, პალტო გაიძრო და პოლკოვნიკს თითქმის დაცარიელებულ დარბაზში შეჰყვა.

- თქვენთან სალაპარაკო მაქვს, ჰერ შაგერსტრიომ, - უთხრა პოლკოვნიკმა, - თუ დრო გაქვთ, პატივი დამდეთ და ცოტა ხანს დამელოდეთ, სანამ ეს ალიაქოთი ჩაცხრება.

შაგერსტრიომს კარგა ხანს მოუწია ლოდინმა. ერთხანს პორუჩიკმა არკერმა შეიქცია და რადგან მეტისმეტად აღელვებდა ყოველივე მომხდარი, ქარხნის მეპატრონეს უამბო კარლსტად-

ში დალეკარლიელი ქალის ჩამოსვლისა და ეკენსტედების ოჯახში მისი ყოფნის ამბავი.

საბრალო ეკონომი ქალი, რომელიც სასოწარკვეთას მისცემოდა იმის გამო, რომ სწორედ მან შეგზავნა სტუმრებთან ეს გოგო ლანგრით ყავის ჩამოსატარებლად, ახლა ყველას უამბობდა, როგორ მოაფიქრდა მისი მოპატიჟება დასაფლავების დღეს; ასე რომ, შაგერსტრიომმა სულ მალე შეიტყო ყველაფერი, რაც მოხდა.

ბოლოს პოლკოვნიკიც გამოჩნდა.

- მადლობა ღმერთს, ჭრილობები შეუხვიეს და ახლა მშვიდად წევს ლოგინში. იმედია, უარესი აღარაფერი მოგველის.

დაჯდა და აბრეშუმის დიდი ცხვირსახოცი თვალებზე გადაისვა. პოლკოვნიკი მაღალი, წარმოსადეგი მოხუცი იყო, მრგვალი თავი ჰქონდა, ღაჟღაჟა ლოყები და ვეება ულვაში. ეტყობოდა, თავის დროზე მამაცი მებრძოლი იქნებოდა, ამიტომ გააკვირვა შაგერსტრიომი მისმა გულჩვილობამ:

- თქვენ, ჰერ შაგერსტრიომ, ალბათ, ზედმეტად გულჩვილი გგონივართ, მაგრამ ეს ქალი მთელი ჩემი ცხოვრების სულისთქმა იყო და მას რომ რამე მოუვიდეს, ჩემს ყოფას ფასი აღარ ექნება.

შაგერსტრიომს, რასაკვირველია, სულაც არ უფიქრია ასეთი რამ მასზე. თვითონ იგი თითქმის ორი კვირა განმარტოებით ცხოვრობდა „ტბის აგარაკზე“ და შარლოტა ლიოვენშოლდისადმი უიღბლო სიყვარულით იტანჯებოდა. ამ ხნის განმავლობაში იმდენი რამ განიცადა, რომ პოლკოვნიკის ნათქვამს გულწრფელი თანაგრძნობით შეხვდა. ისე გულახდილად ლაპარაკობდა ეს კეთილშობილი ადამიანი ცოლისადმი თავის სიყვარულზე, რომ შაგერსტრიომი მოიხიბლა და ისეთი პატივისცემა და ნდობა იგრძნო ამ კაცისადმი, რაც არასოდეს ჰქონია მისი ვაჟიშვილისად-

მი, თუმცა, არც იმას უარყოფდა, რომ ახალგაზრდა პასტორი ფრიად ნიჭიერი იყო.

ამასობაში გამოირკვა, თურმე პოლკოვნიკს შარლოტას შესახებ ჰქონდა მასთან სალაპარაკო და ამიტომ უთხოვია, დარჩენილიყო.

- მომიტევეთ მოხუც კაცს თქვენს პირად საქმეში ჩარევა, ჰერ! - დაიწყო მან, - მაგრამ მე, რასაკვირველია, ვიცი, შარლოტას ხელი გითხოვიათ და მინდა მოგახსენოთ, აქ, კარლსტადში...

პოლკოვნიკი უცებ გაჩუმდა. მისი ერთ-ერთი ქალიშვილი დარბაზის კარში იდგა და აღელვებული შესცქეროდა.

- რა მოხდა, ჟაკეტა! უარესადაა?

- არა, არა, მამა, სულაც არა! მაგრამ დედა კარლ-არტურს კითხულობს...

- მე მეგონა, დედასთან იყო, ოთახში, - მიუგო პოლკოვნიკმა.

- სულ ცოტა ხანს იყო იქ. სხვებთან ერთად საძინებელში რომ შეიყვანა დედაჩემი, მერე აღარც მინახავს.

- მის ოთახში ადი და ნახე, იქ არის თუ არა, - უთხრა პოლკოვნიკმა, - ალბათ, ტანსაცმელს იცვლის.

- მივდივარ, მამა!

ჟაკეტა გავიდა და პოლკოვნიკი ისევ მიუბრუნდა შაგერსტრიომს.

- რას მოგახსენებდით, ჰერ?

- თქვენ ბრძანეთ, რომ აქ, კარლსტადში...

- დიახ, დიახ, რასაკვირველია, მინდოდა მეთქვა, რომ აქ, კარლსტადში, თავიდანვე დარწმუნებული ვიყავით, კარლ-- არტურმა შეცდომა დაუშვა. ჩემი ცოლი კორსჩურკაში წავიდა, რათა გაეგო, რა მოხდა, და შეიტყო, რომ ყველაფერი თურმე...

იგი კვლავ დადუმდა. დარბაზის კარში ახლა მისი მეორე, გათხოვილი ქალიშვილი, ფრუ არკერი გამოჩნდა.

- მამა, კარლ-არტური ხომ არ გინახავთ? დედა კითხულობს და ძალიან წუხს.

- მუდიგი გამომიგზავნეთ აქ! - უთხრა პოლკოვნიკმა.

ფრუ არკერი წავიდა, მაგრამ პოლკოვნიკი ისე იყო შეშფოთებული, შაგერსტრიომთან საუბრის თავი აღარ ჰქონდა. მოუსვენრად სცემდა ბოლთას, სანამ პოლკოვნიკის მსახური არ მოვიდა.

- მითხარით, მუდიგ, ის დალეკარლიელი გოგო ისევ სამზარეულოშია?

- ღმერთმა დაგვიფაროს, ჰერ პოლკოვნიკო! აბღავლებული გამოვარდა დარბაზიდან და მაშინვე წავიდა. ერთი წუთიც აღარ გაჩერებულა აქ.

- ბიჭი... ესე იგი, მე მინდოდა მეთქვა, მაგისტრი ეკენსტედი?

- ფეხდაფეხ მოსდია სამზარეულოში იმ გოგოს და იკითხა, სად არისო. როცა მისი წასვლა შეიტყო, ისიც ქუჩაში გავარდა.

- ახლავე წადით ქალაქში, მოძებნეთ. უთხარით, რომ დედამისი ცუდადაა და კითხულობს.

- მესმის, ჰერ პოლკოვნიკო, - უთხრა მუდიგმა და გაბრუნდა.

პოლკოვნიკმა განაგრძო შაგერსტრიომთან შეწყვეტილი საუბარი.

- ჰოდა, როგორც კი გავიგეთ საქმის ნამდვილი ვითარება, გადავწყვიტეთ ახალგაზრდების შერიგება, მაგრამ ამისთვის ჯერ უნდა ჩამოგვეცილებინა ის დალეკარლიელი გოგო, შემდეგ კი...

პოლკოვნიკს ენა დაება, რადგან მიხვდა, რომ მეტისმეტად უბოდიშო ნათქვამი გამოუვიდა.

- მე, ალბათ, მთლად ღირსეულად ვერ გელაპარაკებით, ჰერ. ეს სათქმელი ჩემს ცოლს უნდა მოეხსენებინა თქვენთვის. ის კი უთუოდ მოახერხებდა შესაფერისი სიტყვების შერჩევას.

შაგერსტრიომმა მაშინვე დაამშვიდა.

- ჰერ პოლკოვნიკო, თქვენ ისე ლაპარაკობთ, როგორც ჯერ არს. მე კი მინდა ახლავე გამცნოთ შემდეგი: ჩემს ამბავს თუ იკითხავთ, უკვე ჩამოცილებული ვარ. პირობაც მივეცი ფროიკენ ლიოვენშოლდს, რომ შევაჩერებ ნიშნობის მეორე საჯარო გამოცხადებას, როგორც კი ამას მოისურვებს.

პოლკოვნიკი წამოდგა, მხურვალედ ჩამოართვა ხელი შაგერსტრიომს და მადლობით აავსო.

- აი, ეს კი გაახარებს ბეატას, - უთხრა მან, - მისთვის ყველაზე სასიხარულო ამბავი ეს იქნება.

შაგერსტრიომმა პასუხის გაცემა ვერ მოასწრო, რადგან დარბაზში კვლავ ფრუ არკერი შემოვიდა.

- მამა, პირდაპირ არ ვიცი, რა ვქნა. კარლ-არტური შინ დაბრუნდა, მაგრამ დედიკოსთან არ შემოვიდა.

მან უამბო, რომ საწოლ ოთახში ფანჯარასთან იდგა, როცა ქუჩაში მომავალი ძმა დაინახა.

„აი, კარლ-არტურიც! - წამოიძახა და დედას მიუბრუნდა, - ეტყობა, ძალიან წუხს თქვენზე, დედიკო! სირბილით მოდის“.

წუთი-წუთზე ელოდა ძმის ოთახში შემოსვლას, მაგრამ უცებ ფანჯარასთან მდგომმა ჟაკეტამ წამოიძახა:

„ო, ღმერთო ჩემო! კარლ-არტური ისევ ქალაქისკენ გაიქცა! მხოლოდ ტანსაცმლის გამოსაცვლელად მობრუნებულა შინ“.

ამ სიტყვების გაგონებაზე პოლკოვნიკის ცოლი საწოლზე წამოჯდა.

„არა, არა, დედიკო! ექიმმა ხომ დაგიბარათ, იწექითო! - შეშფოთდა ევა, - ახლავე დავუძახებ კარლ-არტურს, უკანვე მობრუნდეს“.

ძმის დასაძახებლად ფანჯარასთან მივიდა, მაგრამ საკეტი გაიჭედა და სანამ ევა მის გაღებაზე ცოდვილობდა, დედამ უთხრა, არ გააღოო.

„დაანებე თავი! - წარმოთქვა მან მისუსტებული ხმით, - ნუ დაუძახებ“.

თუმცა, ფრუ არკერმა ბოლოს მაინც გააღო ფანჯარა და ძმის დასაძახებლად გადაიხედა, მაგრამ დედამისი ძალიან გაწყრა, სასტიკად დაუშალა და მაშინვე დაახურვინა ფანჯარა. მერე მტკიცედ განაცხადა, არც ჩემმა ქალიშვილებმა და არც სხვა ვინმემ აღარ გაბედოს კარლ-არტურის მოხმობა შინო. ამის შემდეგ მან გოგონა პოლკოვნიკის მოსაყვანად გაგზავნა, ალბათ, მისთვისაც იგივე უნდოდა ებრძანებინა.

ფრუ არკერმა ამის მოყოლა რომ დაამთავრა, პოლკოვნიკი მაშინვე წამოდგა და ცოლის საძინებლისკენ გაემართა. შაგერსტრიომმა კი შემთხვევით ისარგებლა, ფრუ ევას მიუბრუნდა და დედამისი მოიკითხა.

- დედიკოს ცოტა ტკივილი აწუხებს, მაგრამ ამას გაუძლებს, ოღონდ კარლ-არტური დაბრუნდეს შინ. ეჰ, ნეტავ ვინმე ქალაქში მიდიოდეს, რომ მოძებნოს!

- როგორც ვხედავ, ფრუ ეკენსტედს ძალიან ჰყვარებია თავისი ვაჟიშვილი, - უთხრა შაგერსტრიომმა.

- ძალიან, ძალიან, ჰერ! დედაჩემი სულ მის ხსენებაშია. აი, ახლაც წევს და იმაზე ფიქრობს, კარლ-არტურმა იცოდა მისი ავადმყოფობა და იმის ნაცვლად, მასთან ყოფილიყო, თავის დალეკარლიელ გოგოს გაეკიდა. დედიკოს ძალიან სწყინს, მაგრამ ნებას არ გვაძლევს, კარლ-არტური მოვუძებნოთ და მოვუყვანოთ.

- მე მესმის ფრუ ეკენსტედის წუხილი, - უთხრა შაგერსტრიომმა, - მაგრამ ჩემთვის ხომ არ აუკრძალავს შვილის მოძებნა. ასე რომ, ახლავე წავალ და ყოველივეს ვიღონებ, რომ სახლში მოვიყვანო.

ის იყო, შაგერსტრიომმა წასვლა დააპირა, პოლკოვნიკიც დაბრუნდა.

- ჩემს ცოლს რამდენიმე სიტყვა აქვს თქვენთვის სათქმელი, ჰერ. უნდა მადლობა მოგახსენოთ.

პოლკოვნიკმა ხელი ჩასჭიდა შაგერსტრიომს და დიდი ამბით შეიყვანა საძინებელში.

შაგერსტრიომი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ ტკბებოდა ამ მხიარული მანდილოსნის მომხიბლაობით, შეძრწუნდა, როცა დაინახა გადაფითრებული და ლოყებჩაცვენილი თავშეხვეული უძლური ქალი.

ეტყობა, ტკივილი დიდად არ აწუხებდა ავადმყოფს, მაგრამ მის სახის ნაკვთებს მკაცრი, მრისხანე იერი მისცემოდა. წაქცევასა და ჭრილობაზე მეტად დამთრგუნველ სხვა რაღაცას მედიდური, ზიზღნარევი გულისწყრომა გამოეწვია მასში. ირგვლივმყოფნი, ვინც იცოდნენ, რამაც აღაშფოთა ასე, უნებურად ფიქრობდნენ, ალბათ, არასოდეს აპატიებს შვილს გულცივობას, რაც დღეს გამოიჩინაო.

როდესაც შაგერსტრიომი საწოლს მიუახლოვდა, ავადმყოფმა თვალი გაახილა და ხანგრძლივი გამომცდელი მზერა მიაპყრო.

- თქვენ გიყვართ შარლოტა, ჰერ? - ჰკითხა სუსტი ხმით.

შაგერსტრიომს არცთუ ისე ეიოლებოდა გულის გადახსნა ამ ახალგაცნობილი ქალბატონისთვის, დღეს პირველად რომ ნახა, მაგრამ არც ის შეეძლო, ტყუილი ეთქვა ბედშავი და ავადმყოფი ქალისთვის. იგი დუმდა.

პოლკოვნიკის ცოლს თითქოს არც კი ესაჭიროებოდა პასუხი. მან უკვე შეიტყო, რაც უნდოდა.

- თქვენ ფიქრობთ, ჰერ, რომ შარლოტას ჯერ კიდევ უყვარს კარლ-არტური?

ამჯერად შაგერსტრიომს უყოყმანოდ შეეძლო ეპასუხა პოლკოვნიკის ცოლისთვის, შარლოტას ნაზი და ერთგული სიყვარულით უყვარს თქვენი შვილიო.

ბეატა ეკენსტედმა ერთხელ კიდევ შეხედა აცრემლებული თვალებით.

- რა მწარეა, ჰერ შაგერსტრიომ, - ძალიან ნაზი ხმით უთხრა მან, - რომ იმათ, ვინც ჩვენ ძალიან გვიყვარს, არ შეუძლიათ ასეთივე სიყვარულით გვიპასუხონ.

შაგერსტრიომი მიხვდა, რადგან ნაწვნევი ჰქონდა უარყოფილი სიყვარული, იმიტომ ელაპარაკებოდა პოლკოვნიკის ცოლი ასე.

და ერთბაშად იგრძნო, რომ ეს ქალი უკვე აღარ იყო მისთვის უცხო. მწუხარებამ დააახლოვა ისინი. ქალს ესმოდა კაცის გულისნადები, კაცსაც ესმოდა მისი. ამ მარტოხელა ადამიანისთვის ასეთი თანაგრძნობა ნამდვილი სალბუნი იყო. ფეხაკრეფით მივიდა ავადმყოფის საწოლთან, ნაზად აუწია საბანზე დასვენებული ხელი და ეამბორა.

მესამედ მიაპყრო ქალმა ხანგრძლივი მზერა. ცრემლი აღარ ედგა თვალებში. გამჭოლი, ყურადღებიანი და გამომცდელი იყო ეს მზერა. მერე კი ნაზი ხმით უთხრა:

- ვისურვებდი, ჩემი შვილი ყოფილიყავით.

შაგერსტრიომს ჟრუანტელმა დაუარა. ვინ შთააგონა პოლკოვნიკის ცოლს ეს სიტყვები? ნუთუ ამ ქალმა, რომელიც დღეს პირველად ნახა, იცოდა, რა ხშირად მდგარა დედის ოთახის კართან მის სიყვარულს მონატრებული? ნუთუ ამ ქალმა იცოდა, როგორი ძრწოლით უახლოვდებოდა თავის მშობლებს იმის შიშით, რომ ზიზღით აღსავსე თვალებს არ წასწყდომოდა? ნუთუ იცოდა ამ ქალმა, რა ამაყი და ბედნიერი იქნებოდა, ყველაზე უბადრუკ გლეხის ქალს ერთხელ მაინც რომ ეთქვა, ნეტავ შენის-

თანა შვილი მყოლოდაო? იცოდა თუ არა ამ ქალმა, რომ ამ სიტყვებზე უფრო აღმაფრთოვანებელი და საქებარი მისთვის არაფერი იყო?

მადლიერების გრძნობით აღვსილმა მუხლი მოიყარა საწოლის წინ. იგი ტიროდა და გაუგებარი სიტყვების ბუტბუტით ცდილობდა მოზღვავებული გრძნობების გამოხატვას.

ამ სცენის შემსწრეებმა, ალბათ, მეტისმეტად გულჩვილად მიიჩნიეს შაგერსტრიომი, მაგრამ რომელ მათგანს შეეძლო იმის გაგება, რას ნიშნავდა მისთვის ეს სიტყვები? ასე ეგონა, თითქოს ერთბაშად გაქრაო მთელი მისი უსახურობა და სიტლანქე. მსგავსიც კი არაფერი განუცდია იმ დღის შემდეგ, როცა აწ განსვენებულმა მეუღლემ უთხრა, მიყვარხარო. ბეატა ეკენსტედი მიუხვდა, გულში რა ცეცხლიც უტრიალებდა და თითქოს იმისთვის, შაგერსტრიომს მისი სიტყვები რომ ერწმუნა, გაუმეორა:

- მართალს გეუბნებით, ვისურვებდი, ჩემი შვილი ყოფილიყავით.

შაგერსტრიომმა ამ დროს გაიფიქრა, ერთადერთი საშუალება სამაგიერო პატივისცემისა იმ ბედნიერებისთვის, რაც ამ ქალმა მიანიჭა, ის იქნებოდა, რომ შვილი მოეყვანა მასთან. და ჩქარი ნაბიჯით გავიდა ოთახიდან, რათა კარლ-არტურის საძებნელად წასულიყო.

პირველი, ვისაც შაგერსტრიომი ქუჩაში შეხვდა, იყო პორუჩიკი არკერი. ისიც ამავე მიზნით წამოსულიყო სახლიდან. მათ პოლკოვნიკის მსახურიც შეხვდათ და სამივე გაემართა საძებრად.

ადვილად მიაგნეს იმ სახლს, სადაც ბინა დაედო დალეკარლიელ ქალიშვილს, მაგრამ არც თვითონ იყო შინ, არც კარლ--არტური. მოიარეს ყველა ადგილი, სადაც დალეკარლიიდან ჩა-

მოსულების ნახვა შეიძლებოდა, ასასებსაც დაავალეს კარლ-- არტურის ძებნა, მაგრამ ყველაფერი ამაო გამოდგა.

მალე მწუხრი ჩამოწვა და ძებნის გაგრძელება თითქმის შეუძ-ლებელი გახდა. ამ ვიწროქუჩებიან ქალაქში, სადაც სახლი სახლს მიჰკვროდა, სადაც ქოხმახები და ათასნაირი ხუხულები ლამის ერთიმეორეზე დაეხორავებინათ, ყოველ ეზოში იმდენი ბნელი კუთხე-კუნჭული იყო, რომ ვინმეს პოვნა თითქმის შეუძ-ლებელი იყო.

შაგერსტრიომი რამდენიმე საათი დაბორიალებდა ამ ქუჩებ-ში. იგი თავიდანვე შეუთანხმდა ფროიკენ ჟაკეტას, თუ კარლ-- არტური დაბრუნდებოდა, იგი სხვენის სარკმელთან ანთებულ სანთელს დადგამდა, ტყუილუბრალოდ რომ არ ეძებნათ, მაგრამ ნიშანი ჯერჯერობით არ ჩანდა.

შუაღამე კარგა ხნის გადასული იყო, როცა შაგერსტრიომმა ჩქარი ნაბიჯების ხმა გაიგონა ზურგს უკან. იმწამსვე მიხვდა, ვინც იყო. ქუჩის ფარნის მოწითალო შუქზე გამხდარ-გამხდარი ფიგუ-რა გაარჩია, მაგრამ ვინაიდან კარლ-არტური პირდაპირ შინის-კენ მიეშურებოდა, შაგერსტრიომი აღარ შეეხმიანა, თუმცა, უკან კი მიჰყვა. ასე იარეს ეკენსტედების სახლამდე. და როცა კარლ-- არტური შინ შევიდა, შაგერსტრიომი მიხვდა, რომ მისი დახმა-რება საჭირო აღარ იყო. ის კია, ძალიან უნდოდა შეეტყო, რო-გორ ჩაივლიდა დედა-შვილის შეხვედრა, ამიტომ მცირე ხანს დაყოვნდა, მერე თვითონაც შეაღო ეკენსტედების სახლის კარი და წინა ოთახში შევიდა.

კარლ-არტურს გარს შემოხვეოდნენ თავისიანები. ყველანი აქ იყვნენ, თითქოს ღამის თევა ჰქონოდეთ, არავინ დაწოლილი-ყო დასაძინებლად. აი, პოლკოვნიკიც შემოვიდა, ხელში სანთე-ლი ეჭირა, მაღლა აეწია და ისე შეხედა შვილს, თითქოს უნდოდა ეთქვა: „ეს შენა ხარო“? კიბეზე ჩამოირბინეს დებმა, თმაზე პაპი-

ლოტები ეკეთათ, მაგრამ ისე იყვნენ გამოწყობილი, ეტყობოდა, არც მათ უფიქრიათ დაძინება. სამზარეულოდან ეკონომმა ქალმა და პოლკოვნიკის მსახურმა მოირბინეს. ალბათ, კარლ--არტურს შეუმჩნევლად უნდოდა თავის ოთახში ასვლა, რომ არავინ შეეწუხებინა, მაგრამ შუა კიბეზე ასულს თავისიანებმა შემოუსწრეს.

წინა ოთახში შესულმა შაგერსტრიომმა დაინახა, რომ დები კარლ-არტურს ჩაბღაუჭებოდნენ და დედის საძინებლისკენ ეწეოდნენ.

- წამოდი დედიკოსთან! შენ არ იცი, როგორ გიცდიდა!

- აბა, სად გაგონილა ასეთი რამ? დედაშენზე არც კი გიფიქრია, ისე გავარდი ქალაქში! ხომ იცი, რომ ავადაა! - შესძახა პოლკოვნიკმა.

კარლ-არტური ადგილიდან არ იძვროდა. გაქვავებული სახით იდგა. სინანულს არ გრძნობდა, მობოდიშებას არ ფიქრობდა.

- მამა, თქვენ გინდათ, ახლავე შევიდე დედასთან? ხომ არ აჯობებს, ხვალამდე მოვიცადო?

- ეშმაკმა დალახვროს, რასაკვირველია, ახლავე უნდა მოინახულო! შენი გულისთვის სიცხემ აუწია.

- მომიტევეთ, მამა, მაგრამ ეს კი აღარ არის ჩემი ბრალი.

კარლ-არტურს ლაპარაკის კილოზე აშკარად ეტყობოდა ღვარძლიანობა, მაგრამ პოლკოვნიკს, როგორც ჩანს, ჩხუბი არ უნდოდა და ტკბილად უთხრა:

- დაენახვე მაინც, ის მაინც გაიგოს, რომ სახლში ხარ. შედი და აკოცე. ხვალ დილით კი ყველაფერი მოგვარდება.

- მე არ შემიძლია მისი კოცნა, - მიუგო შვილმა.

- აი, შე საძაგელო! - დაიწყო პოლკოვნიკმა, მაგრამ მაშინვე თავი შეიკავა, - თქვი, რაშია საქმე? თუმცა, არა, დაიცა. წამოდი ჩემთან.

შვილი ძალისძალად შეიყვანა თავის კაბინეტში და ცნობისმოყვარე მსმენელებს ცხვირწინ მოუჯახუნა კარი.

მაგრამ მალე ისევ გამოვიდა და შაგერსტრიომს მიმართა:

- დიდად მოხარული ვიქნები, ჰერ, თუ ჩვენს საუბარს დაესწრებოდით.

შაგერსტრიომი კაბინეტში შეჰყვა და კარი მიიხურა. პოლკოვნიკი სწორ მაგიდას მიუჯდა.

- აბა, თქვი, რა ალალმა დაგქროლა?

- მამა, რადგან თქვენ ბრძანეთ, რომ დედას სიცხე აქვს, მე და თქვენ ვილაპარაკოთ. თუმცა, კარგად ვიცი, ყველაფრის მოთავე ის არის.

- გამაგებინე, რისი თქმა გინდა?

- მე იმის თქმა მინდა, რომ ამიერიდან ჩემი ფეხი აღარ იქნება ამ სახლში.

- ოჰო! - თქვა პოლკოვნიკმა, - მიზეზი?

- მიზეზი, მამაჩემო, აი, ეს არის!

კარლ-არტურმა ჯიბიდან ფულის დასტა ამოიღო, პოლკოვნიკს მაგიდაზე დაუდო და მაგრად დაარტყა ზედ ხელი.

- აჰა! - წარმოთქვა პოლკოვნიკმა, - მაშ, იმ ქალმა წამოაყრანტალა, არა?..

- პირიქით, - შეესიტყვა კარლ-არტური, - სანამ შეეძლო, კრინტიც არ დაუძრავს. ჩვენ დიდხანს ვისხედით ეკლესიის ეზოში, და მას არაფრის თქმა არ უნდოდა, მხოლოდ იმას მიმეორებდა, აქედან უნდა წავიდე და აღარასოდეს გნახავო. მხოლოდ მაშინ, როცა ვუთხარი, ალბათ, კარლსტადში შეყვარებული გაიჩინე-მეთქი, გამომიტყდა, შენმა მშობლებმა მომისყიდეს,

რომ ჩამოგცილებოდიო. ტქვენ კი, მამაჩემო, იმუქრებოდით, ჩემს შვილს მემკვიდრეობაზე ხელს ავაღებინებ, თუ შენ ცოლად შეგირთავსო. რაღა გზა ჰქონდა ბეჩავს? ჰოდა, აუღია ეს ორასი რიქსდალერი. მე დიდად ნასიამოვნები დავრჩი, როცა შევიტყვე, მშობლებს ესოდენ დიდი ფასი დაუდვიათ ჩემთვის.

- რას იზამ, - თქვა პოლკოვნიკმა და მხრები აიჩეჩა, - ჩვენ იმასაც დავპირდით, რომ ხუთჯერ მეტს მივცემდით მეურნეობის მოსაწყობად, თუ სხვა ვინმეს გაჰყვებოდა ცოლად.

- ეგეც მიამბო, - მწარე ღიმილით წარმოთქვა კარლ-- არტურმა, მერე კი მოჰყვა და მოჰყვა საყვედურებს, - აი, ასეთი მამა მყავს! აი, ასეთი დედა მყავს! აი, როგორ შეუძლიათ მომექ-ცნენ! ორი კვირის წინ დედაჩემი კორსჩურკაში ჩამოვიდა ჩემ-თან. მე ველაპარაკე ამ ქორწინების შესახებ. ვუთხარი, რომ ეს ქალი განგებამ მომივლინა, რომ მხოლოდ მასთან შეუღლებუ-ლი შევძლებ ვიცხოვრო ისე, როგორც ღმერთს სწადია. იგია-- მეთქი მთელი ჩემი იმედი და ნუგეში, მთელი ჩემი ცხოვრების ბედნიერება იმაზეა დამოკიდებული, გახდება თუ არა ჩემი ცო-ლი. დედაჩემმა ყოველივე მოისმინა. თითქოს გულიც აუჩუყდა, ყოველმხრივ მამართლებდა. ახლა კი, ორი კვირის შემდეგ, ვი-გებ, რომ მან ჩვენი დაშორება სცადა. რა შემიძლია ვიფიქრო ასეთი გულქვაობაზე, ასეთ ვერაგობაზე? განა არ უნდა ვძრწოდე იმის გახსენებაზე, რომ იძულებული ვარ, ასეთ ქალს დედა დავუ-ძახო?

პოლკოვნიკმა ისევ აიჩეჩა მხრები. არც განცვიფრება გამო-ხატვია სახეზე, არც სინანული.

- ჰოდა, ასე, - წარმოთქვა პოლკოვნიკმა, - ბეატას შეეცოდე, ასეთი ოინი რომ გიყო შარლოტამ, და არ უნდოდა ესაყვედურე-ბინა შენი ახალი ნიშნობის გამო. რა თქმა უნდა, დედაშენიც და მეც მაშინვე მივხვდით, რომ შენი არჩევანი უხეირო იყო. ჩვენ

ვფიქრობდით, დროთა განმავლობაში ყველაფერი მოგვარდებოდა, მაგრამ მოულოდნელად ეს ღვთის რისხვა ქალიშვილი გამოგვეცხადა ცოდვილებს. მერე ის იყო, ბეატამ ჩვენთან სამუშაოდ მოიწვია, რათა ცოტათი მაინც გაეცნო. უდავოდ კარგი გოგოა, მაგრამ წერა-კითხვაც კი არ იცის, თან კიდევ ყალიონს ეწევა! ახლა სისუფთავეს აღარ იტყვი!.. ჰოდა, ჩემო ბიჭო, გვინდოდა ყველაფერი უკეთ მოგვეწყო, მერე და მერე შენც მადლობელი დაგვრჩებოდი, გონს მოსვლისთვის დრო რომ გყოფნოდა. მაგრამ საქმე მაშინ გაფუჭდა, როცა ეს ღვთით მოვლენილი არსება ლანგრით ხელში გვეახლა დარბაზში.

- მერედა, მამაჩემო, თქვენ რა გგონიათ, რატომ მოხდა ეს?

- ეშმაკმა დალახვროს, უიღბლობაა, სხვა რა უნდა მეგონოს.

- მე კი მგონია, ღვთის განგებაა. ეს ქალი ჩემს ცოლადაა დათქმული და ამიტომ ისევ შემომაგება იგი უფალმა. მეტიც - სამართლიანად აღიმართა მისი ხელი მსახვრალი. როცა ეპისკოპოსს ვთხოვდი ლოცვა-კურთხევას, დედაჩემი მყის გამოემართა ჩვენკენ, რათა ხელი შეეშალა, ალბათ, იფიქრა, თავს თუ ისე მოგვაჩვენებდა, ვითომ წაფორხილდა და წაიქცა, დააბრკოლებდა ჩემს ჩანაფიქრს. მაგრამ მეტისმეტად სახიფათო გამოდგა ეს ფანდი.

ახლა კი უმტყუნა პოლკოვნიკს ჩვეულმა თავშეკავებამ.

- გაჩუმდი, ადამიანო! როგორ ბედავ, ასეთი ვერაგობა დასწამო დედაშენს?

- მაპატიეთ, მამაჩემო, მაგრამ ბოლო ხანებში ბევრჯერ დავრწმუნდი ქალების ვერაგობაში. დედაჩემმა და შარლოტამ ისეთი ჭკუის სასწავლებელი გაკვეთილი მომცეს, მალე ვერ დავივიწყებ.

პოლკოვნიკი ერთხანს ჩუმად იჯდა და თითებს აკაკუნებდა მაგიდაზე.

- კარგია, შარლოტას ვერაგობა რომ ახსენე, - უთხრა ბოლოს, - სწორედ ამაზე მინდოდა მოგლაპარაკებოდი. შენ ვერასოდეს დამარწმუნებ, რომ შარლოტამ გიღალატა და მდიდარ საქმროში გაგცვალა. შენ მისთვის ამქვეყნად ყველა სიმდიდრეზე ძვირფასი ხარ. ჩემი აზრით, მხოლოდ შენა ხარ დამნაშავე, მაგრამ მან ყველაფერი თვითონ დაიბრალა, რათა ჩვენ, შენი მშობლები, შენზე არ გავჯავრებულიყავით და ლანძღვა აგცილებოდა. აბა, რას იტყვი ამაზე?

- ეკლესიაში საჯაროდ გამოცხადდა მისი ნიშნობა.

- გონს მოდი, კარლ-არტურ! - უთხრა პოლკოვნიკმა, - ამოიგდე თავიდან ყოველგვარი აზრები შარლოტაზე! რატომ არ შეგიძლია გაიგო. იმიტომ დაიბრალა ეს ამბავი, რომ შენ დაგხმარებოდა. ყველა დააჯერა, თითქოს ნიშნობა მისი მიზეზით ჩაშლილიყოს; დაფიქრდი, შენს სინდისს დაეკითხე! განა შენი ბრალი არ არის თქვენი დაშორება?

კარლ-არტური ერთხანს დუმდა: თითქოს მამის ჭკუის დარიგებას რომ ისმენდა, თან წარსულსაც იხსენებდა. ანაზდად შაგერსტრიომს მიუბრუნდა და ჰკითხა:

- როგორ მოხდა, რომ თქვენ, ჰერ, ის თაიგული გამოუგზავნეთ? შემოგითვალათ თუ არა რამე შარლოტამ ორშაბათს? რატომ ჩამოვიდა თქვენთან პასტორი?

- თაიგული გამოვგზავნე ფროიკენ შარლოტასადმი პატივისცემის ნიშნად, - მიუგო შაგერსტრიომმა, - ორშაბათს მას ჩემთვის არაფერი შემოუთვლია, პასტორის ვიზიტი კი მხოლოდ ზრდილობის წესის აღსრულება იყო.

კარლ-არტური ისევ ფიქრებს მიეცა.

- ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია, მამაჩემი მართალი იყოს, - თქვა მან ბოლოს.

პოლკოვნიკმაც და შაგერსტრიომმაც შვებით ამოისუნთქეს. საკუთარი შეცდომის აღიარება ნამდვილი კეთილშობილება იყო. მხოლოდ გამორჩეულ ადამიანს შეეძლო ეს.

- მაგრამ ასეთ შემთხვევაში... - დაიწყო პოლკოვნიკმა, - ჰო, ჯერ ის მინდა გითხრა, რომ ჰერ შაგერსტრიომი დაგვპირდა, უარი თქვას თავის უფლებაზე.

კარლ-არტურმა სიტყვა შეაწყვეტინა:

- ჰერ შაგერსტრიომი ნუ გაიღებს მსხვერპლს ჩემი გულისთვის. მამა, გთხოვთ, მერწმუნოთ, რომ არასოდეს დავუბრუნდები შარლოტას. მე სხვა მიყვარს.

პოლკოვნიკმა მუშტი დაარტყა მაგიდას.

- მე ვატყობ, შენთან საერთო ენას კაცი ვერ გამონახავს. ალბათ, გგონია, რომ ასეთ ერთგულებას, ასეთ თავგანწირვას არაფერი ფასი არა აქვს?

- მე მწამს, რომ თვით განგებას სურდა ჩემი და შარლოტას დაშორება.

- მესმის. შენ, ალბათ, ასევე მადლობას სწირავ ღმერთს იმისთვის, რომ მშობლებს შორდები, - მწუხარებით წარმოთქვა პოლკოვნიკმა.

კარლ-არტური დუმდა.

- გახსოვდეს ჩემი სიტყვები, შენ დაღუპვის გზაზე დგახარ, - უთხრა პოლკოვნიკმა, - თუმცა, ეს მთლიანად ჩვენი ბრალია. ბეატამ გაგანებივრა და შენც ლამის ღმერთის ტოლად წარმოიდგინე თავი. მეც კვერს ვუკრავდი დედაშენს იმიტომ, რომ არასოდეს შემეძლო რამეზე უარი მეთქვა მისთვის. ახლა კი ისე გადაუხადე ამაგი, როგორც მოსალოდნელი იყო. თუმცა, ადრევეც ვიცოდი, რომ სწორედ ასეთი იქნებოდა ბოლო, მაინც ძალიან მიმძიმს და ვწუხვარ.

პოლკოვნიკი გაჩუმდა და რამდენჯერმე მძიმედ ამოიოხრა.

- მომისმინე, ჩემო ბიჭო, - უთხრა ბოლოს დამყოლი კილოთი, - ხომ ჩაგვიშალე ყველა ვერაგული განზრახვა. ჰოდა, იქნებ ახლა მაინც შეხვიდე დედაშენთან და აკოცო, რომ დამშვიდდეს?

- ასეც რომ იყოს, როგორც თქვენ ბრძანეთ, და მე ჩამეშალოს ეგ ვერაგული ზრახვები, განა ის დამავიწყდება, რა ცოდვილი აზრები აქვთ ჩემს ახლობელ ადამიანებს? საითაც უნდა გავიხედო, ყველგან მიწიერი ტკბობის სიყვარული, თავაშვებულობა და სიცრუე სუფევს.

- დავანებოთ ამას თავი, კარლ-არტურ. ჩვენ ძველებური ნირის ხალხი ვართ და შენზე ნაკლებად როდი ვართ ღვთისმოშიშნი, მაგრამ ჩვენებურ ყაიდაზე.

- არ შემიძლია, მამაჩემო!

- მე უკვე გამისწორე ანგარიში, - უთხრა პოლკოვნიკმა, - მაგრამ დედაშენი, დედაშენი... ხომ იცი, უნდა დარწმუნდეს, რომ გიყვარს. გთხოვ, მისი გულისთვის, კარლ-არტურ, მხოლოდ მისი გულისთვის.

- ერთადერთი ლმობიერება დედაჩემისადმი ის იქნება, რომ ისე წავიდე აქედან, არ ვუთხრა, რა საშინლად დამიკოდა გული თავისი ვერაგობით.

პოლკოვნიკი წამოდგა.

- შენ... შენ არ იცი, რა არის სიყვარული.

- მე ვემსახურები ჭეშმარიტებას. მე არ შემიძლია ვაკოცო დედაჩემს.

- წადი, დაიძინე! - უთხრა მოხუცმა, - გათენდება და ვნახოთ.

- კარეტა შეკვეთილი მაქვს ოთხი საათისთვის, თხუთმეტი წუთიღა დამრჩა.

- კარეტას შეუძლია მეორედ მოვიდეს ათი საათისთვის, - უთხრა პოლკოვნიკმა, - დამიჯერე, წადი, დაიძინე, გათენდება და ვნახოთ.

კარლ-არტური, პირველად ამ საუბრისას, თითქოს შეყოყმანდა.

- თუ დედაჩემი და მამაჩემი ცხოვრების ნირს გამოიცვლიან, თუ ისე იცხოვრებენ, როგორც მდაბიონი, თუ ჩემი დები იქნებიან განმკითხავნი უპოვართა და გლახაკთა... და მზრუნველნი სნეულთა და დავრდომილთა...

- მოეშვი მაგ თავხედობას.

- ეს თავხედობა კი არა, ღვთის სიტყვებია!

- სისულელეა!

კარლ-არტურმა კათედრაზე მყოფი მქადაგებელივით ხელები ზეაღაპყრო.

- დაე, მომიტევოს უფალმა, რამეთუ უარვყავ მე ხორციელი ჩემი მშობლები. დაე, ამიერიდან აღარ მომეცხოს მე აღარაფერი მათგან მომდინარე - არცა მზრუნველობა მათი, არცა სიყვარული მათი, არცა სიმდიდრე მათი! შენ შემეწიე, ღმერთო, მომეც ძალი ამ ცოდვილთა დავიწყებისა და მხოლოდ შენის სიყვარულით მაცხოვრე.

პოლკოვნიკს წარბიც არ შეუხრია, ისე მოისმინა ყოველივე.

- ღმერთი, რომელიც შენ გწამს, შეუბრალებელია, - უთხრა მან, - და, ალბათ, შეგისრულებს მაგ თხოვნას. მაგრამ იცოდე, თუ ოდესმე მათხოვრად მოადგები ჩემს კარს და მოწყალებას მთხოვ, მაშინ მოგაგონებ ამ წუთებს.

ეს იყო უკანასკნელი სიტყვები, რომლებიც ითქვა მამა-შვილს შორის. კარლ-არტური ოთახიდან გავიდა.

პოლკოვნიკი ერთხანს ხელებში თავჩარგული იჯდა, შემდეგ კი შაგერსტრიომს მიუბრუნდა და სთხოვა შარლოტასთვის გადაეცა ყოველივე, რაც მოხდა.

- მე ძალა არ შემწევს, მივწერო ეს ამბავი, - უთხრა მან, - უამბეთ შარლოტას ყველაფერი, ჰერ. მინდა იცოდეს, რომ ჩვენ ვე-

ცადეთ დავხმარებოდით მას, მაგრამ, სამწუხაროდ, არ გამოგვი-ვიდა. ისიც გადაეცით, რომ იგი ახლა ერთადერთი ადამიანია ამ-ქვეყნად, რომელსაც შეუძლია დაეხმაროს ჩემს უბედურ ცოლსა და უბედურ შვილს.

შაბათი: დილიდან შუადღემდე

I

შაგერსტრიომის ხელის სათხოვნელად მოსვლიდან ზუსტად ორი კვირის შემდეგ, ორშაბათს, შარლოტამ შეიტყო, რომ თურმე თეა სუნდლერს უყვარს კარლ-არტური. ამას რომ მიხვდა, იმ დღის შემდეგ ისეთი უცნაური გრძნობა დაეუფლა, თითქოს ახლა კი მისცემოდეს დაკარგული ბედნიერების უკან დაბრუნების საშუალება. თან კიდევ სამშაბათს წერილი მიიღო პოლკოვნიკის ცოლისგან, რომელიც ატყობინებდა, სინამდვილემ მოლოდინს გადააჭარბა - საქმე ძალიან კარგად მიდის და ყოველგვარი გაურკვევლობა მალე გაირკვევაო. ყოველივე ეს ამჟამად მისთვის ესოდენ საჭირო გამძლეობასა და ძალას მატებდა.

ორშაბათს შარლოტამ გაიგო, რომ კარლ-არტური კარლსტადში უნდა წასულიყო ფრუ შობორგის დაკრძალვაზე. ადვილი საფიქრებელი იყო, რომ ბეატა ეკენსტედი ისარგებლებდა შემთხვევით, კარლ-არტურს მოელაპარაკებოდა შარლოტას შესახებ და, ბოლოს და ბოლოს, იქნებ გამორკვეულიყო მისი უდანაშაულობა. როცა კარლ-არტური მიხვდებოდა, როგორ გაიმეტა თავი შარლოტამ, ეგებ ისევ გული მობრუნებოდა. შარლოტა ვერა და ვერ ხვდებოდა, ისეთი რა უნდა მოემოქმედებინა პოლკოვნიკის ცოლს, რომ ასეთი სასწაული მომხდარიყო; მაგრამ ის

კი იცოდა, რომ მხოლოდ მას ძალუძდა ფონის მოძებნა ისეთ საქმეში, რომელიც სხვებს სრულიად უიმედოდ მოეჩვენებოდათ.

მიუხედავად იმისა, რომ შარლოტა უსაზღვროდ ენდობოდა თავისი დედამთილის ჭკუა-გონებასა და გამჭრიახობას, მაინც საშინლად გაუჭირდა იმ რამდენიმე დღის გადატანა, რომლებიც კარლ-არტურმა კარლსტადში დაჰყო. ხან იმედით ევსებოდა გული, ხან კი ისევ სასოწარკვეთა ეუფლებოდა. ხშირად ეკითხებოდა თავის თავს, ნეტავ რას აპირებს ბეატა ეკენსტედიო. თვითონ ყოველდღე ხვდებოდა კარლ-არტურს და ნათლად ხედავდა. ერთ მაგიდასთან ისხდნენ, კარლ-არტური სადღაც განზე იყურებოდა, თითქოს ვერც კი ამჩნევდა შარლოტას იქ ყოფნას. ზედმეტი იყო ლაპარაკი იმაზე, რომ გაუგებრობა გაიფანტებოდა. კარლ-არტურს გულიდან ამორეცხილი ჰქონდა შარლოტას სიყვარული. ეს სიყვარული მოჭრილ ტოტს ჰგავდა, რომელსაც ქვეყნად ვერანაირი ძალა ვერ შეაზრდიდა ხესთან და ვერ აამწვანებდა.

კარლ-არტურს პარასკევს ელოდნენ შინ და, რასაკვირველია, ეს ყველაზე მძიმე დღე იყო შარლოტასთვის. იგი დილიდანვე სასადილო ოთახში იჯდა ფანჯარასთან, საიდანაც ფლიგელი მოჩანდა, და ელოდებოდა მის დაბრუნებას. ამ ხნის განმავლობაში ათჯერ გაიხსენა ყველაფერი, რაც წინა დღეებში მოხდა, ბევრნაირად განსაჯა, აწონ-დაწონა, მაგრამ მერყეობა და შიში ვერ დასძლია. ფიქრობდა, ალბათ, მთელ დღეს მოლოდინში გავატარებ ტანჯვითო, მაგრამ ოთხი საათიც არ იქნებოდა, კარლ-არტური რომ დაბრუნდა. ახალგაზრდა პასტორმა პირდაპირ ფლიგელს მიაშურა, მაგრამ მალე ისევ გარეთ გამოვიდა, სახლისკენ არც კი მოუხედავს, სწრაფი ნაბიჯით გაიარა ეზო და სოფლისკენ მიმავალ გზას დაადგა. ხედავთ? ფრუ სუნდლერის ნახვა სწადია და არა შარლოტასი.

აი, რა ნაყოფი გამოიღო პოლკოვნიკის ცოლის მოწოდებამ. შარლოტა იძულებული იყო, ეღიარებინა, რომ ბეატა ეკენსტედმა მარცხი განიცადა.

თითქოს მთლად გადაეწურა იმედი. ახლა კი ვეღარასოდეს დამარწმუნებს ვერავინ, თითქოს კიდევ დამრჩენოდეს რაიმე გამოსავალიო, ფიქრობდა შარლოტა.

მიუხედავად ამისა, იმედის პაწაწა ნაპერწკალი მაინც უღვიოდა გულში. შაბათს, დილის ექვს საათზე, მოახლე გოგომ ამბავი მოუტანა, მაგისტრ ეკენსტედს თქვენთან საუბარი სურსო. დილის საუზმეზე მასთან შეხვედრა რომ მოინდომა კარლ--არტურმა, ეს ამბავი შარლოტამ სიყვარულის მომასწავებლად ჩათვალა. თითქოს იმის მანიშნებელი უნდა ყოფილიყო, რომ კარლ-არტურს კვლავ ეწადა ძველებური სიახლოვის აღდგენა.

ისევ ირწმუნა, რომ პოლკოვნიკის ცოლმა შეძლო თავისი დანაპირების შესრულება და აღთქმული სასწაული მაინც მოხდა. ისე სწრაფად დაეშვა კიბეზე, რომ კულულები აეშალა.

მაგრამ როგორც კი კარლ-არტურს, შეავლო თვალი, მყის მიხვდა, რომ შეცდა. ეკენსტედი ფეხზე წამოდგა მის შესახვედრად, მაგრამ ცხადი იყო, ამას არც ხელების გამოწვდენა მოჰყვებოდა, არც კოცნა, არც მადლიერების სიტყვები. კარლ-არტური ერთხანს მდუმარედ იდგა. ალბათ, მეტისმეტად მალე გამოეცხადა შარლოტა და ვერც კი მოასწრო აზრის მოკრება. ბოლოს მაინც ალაპარაკდა:

- შარლოტა, თურმე შენ მოწყალება მოიღე და ჩვენი ნიშნობის ჩაშლა დაიბრალე. თანაც ისე ღრმად შეტოპე, რომ თანხმობა უთხარი შაგერსტრიომს, როცა ხელი გთხოვა და არც ამის წინააღმდეგ წასულხარ, რომ თქვენი ნიშნობის ამბავი საჯაროდ გამოეცხადებინათ ეკლესიაში, რათა ამ გზით ყველას დაეჯერებინა შენ მიერ გამოგონილი ტყუილი. შენ, რასაკვირველია, კე-

თილშობილური მიზანი გამოქმედებდა და დარწმუნებული იყავი, რომ ამით დიდ სამსახურს მიწევდი. ჩემი გულისთვის ცილისწამება და გაკიცხვა აიტანე, ამიტომ დიდი მადლობელი უნდა ვიყო შენი.

შარლოტას სახეზე ისევ უშფოთველი გამომეტყველება აესახა და მან, პირველად ამ მძიმე დღეების შემდეგ, ამაყად ასწია თავი. სიტყვაც არ დასცდენია შესაპასუხებლად.

კარლ-არტური კი განაგრძობდა:

- შენი საქციელი, პირველ ყოვლისა, იმით აიხსნება, რომ გინდოდა მშობლების რისხვა აგეცდინა ჩემთვის, მაგრამ ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, გამცნო, რომ ფუჭი გამოდგა შენი მოწადინება. აი, ახლა, კარლსტადში ყოფნისას, მშობლებს წავეჩხუბე ჩემი ქორწინების გამო, რამაც ჩვენ შორის განხეთქილება ჩამოაგდო. ამიერიდან ისინი მე აღარ მთვლიან თავიანთ შვილად, აღარც მე მინდა მათი მშობლობა.

- კარლ-არტურ, რას ამბობ? - მღელვარებით წამოიძახა გოგონამ, - დედაშენი!.. დედაშენს წაეჩხუბე?

- დედაჩემმა განიზრახა ანა სვერდის მოსყიდვა და აქეზებდა, ცოლად გაჰყოლოდა რომელიმე თანასოფლელს. ყოვლად ვერაგული გზით ცდილობდა, დაენგრია ჩემი ბედნიერება. მას არ ძალუძს მიხვდეს, რა არის ახლა ჩემთვის ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი. დედაჩემს სწადია, ისევ შენ დაგიბრუნდე. იმდენი წინდახედულობა გამოიჩინა, დაკრძალვაზე შაგერსტრიომიც დაპატიჟა, რათა შემთხვევით ესარგებლა და ეთხოვა მისთვის, თვითონვე ეთქვა უარი შენზე. თუმცა, რა საჭიროა, ყოველივე ამას რომ გიმეორებ. შენ, რასაკვირველია, კარგად იცოდი ჩემი მშობლების განზრახვა. განა უმიზეზოდ შემოვარდი ამ ოთახში ასე გახარებული. ალბათ, დარწმუნებული იყავი, რომ ეს ბრწყინვალე გეგმა განხორციელდა.

- სიმართლე გითხრა, კარლ-არტურ, სულაც არაფერი ვიცოდი დედაშენის გეგმებზე. მან მხოლოდ ის მითხრა, არ მჯერა იმ ჭორებისა, რომლებსაც შენ შესახებ ავრცელებს თეა სუნდლერიო. მაგრამ, როცა კარლსტადში შენი წასვლა შევიტყვე, ის კი გავიფიქრე, იქნებ დედამისმა სიმართლე უთხრას-მეთქი. ეს მით უფრო დავიჯერე, რომ ამ დილით მოახლე გოგო გამოგზავნე ჩემს მოსახმობად. მაგრამ, მოდი, ჩემ შესახებ ნუღარ ვილაპარაკებთ, კარლ-არტურ! მითხარი, ხომ აღარ გაუბრაზდები დედაშენს? ხომ ახლავე დაბრუნდები მასთან და შეურიგდები? ხომ გააკეთებ ამას, კარლ-არტურ?

- აბა, როგორ უნდა წავიდე? ხვალ კვირაა და უნდა ვიქადაგო.

- მაშ, ორიოდე სიტყვა მაინც მისწერე და უფლება მომეცი, მე წავიდე მასთან! დაფიქრდი, იგი ახალგაზრდა აღარ არის! დღემდე თავის ახალგაზრდობას ინარჩუნებდა შენგან მონიჭებული სიხარულით. შენ იყავი მისი ახალგაზრდობაც, მისი ჯანმრთელობაც. შენ თუ ზურგს შეაქცევ, მაშინვე დედაბრად გადაიქცევა. სამუდამოდ გაქრება მისი ენამახვილობა, მისი ხალისი და გაბოროტდება. ეჰ, კარლ-არტურ, იცოდე, სიცოცხლეს მოუსწრაფებს ეგ ამბავი. შენ იყავი მისი ღმერთი, კარლ-არტურ, შენ შეგიძლია სიცოცხლე აჩუქო მას, ანდა სასიკვდილოდ გაიმეტო. კარლ--არტურ, ნება მომეცი, წავიდე მასთან და თუნდ ერთი სიტყვა მაინც გადავცე შენგან დაბარებული!

- ეგ ყველაფერი ვიცი, შარლოტა, მაგრამ არაფერს მივწერ. დედაჩემი უკვე ავად იყო, როცა კარლსტადიდან წამოვედი. მამამ მთხოვა, შევრიგებოდი, მაგრამ უარი ვუთხარი. დედაჩემი ცრუობდა და თავს იკატუნებდა.

- თუ ცრუობდა და თავს იკატუნებდა, ამას ხომ შენი გულისთვის აკეთებდა. არ ვიცი, რა დანაშაული მიუძღვით შენ წინაშე შენს მშობლებს, მაგრამ რაც უნდა მოემოქმედათ, ყველაფერი

შენს სასარგებლოდ ენდომებოდათ, და შენ უნდა შეუნდო. დაფიქრდი, რა იყო დედაშენი შენთვის პატარაობიდანვე! აბა, რა იქნებოდა თქვენი ოჯახი უმისოდ? განა ისე გაგახარებდა მაღალი ნიშნების მიღება გიმნაზიაში, თუ არ გეცოდინებოდა, როგორ ამაყობდა ამით დედაშენი? განა ისეთი სიხარულით დაბრუნდებოდი შინ უფსალიდან, თუ არ გეცოდინებოდა, რომ დედაშენი მოუთმენლად გელოდა? განა თქვენს სახლში ისეთი მხიარულება იქნებოდა შობის დღესასწაულზე, დედაშენი რომ არა? განა იგი არ იგონებდა ხოლმე თქვენთვის ათასნაირ გასართობსა და სიურპრიზს, განა იგი არ თხზავდა საშობაო ფაფაზე წარმოთქმულ ლექსებს, არ კაზმავდა საშობაო თხას?

- გუშინ, შინ რომ ვბრუნდებოდი, მთელი გზა სულ დედაჩემზე ვფიქრობდი, შარლოტა. მიწიერი გაგებით, იგი შესანიშნავი დედა იყო. თუ შენი და შენდაგვართა თვალით შევხედავთ, ამის უარყოფა არ შეიძლება. მაგრამ თუ ღვთისა და ჩემი თვალით შევხედავთ, მაშინ სულ სხვაგვარი შთაბეჭდილება იქმნება, შარლოტა. მე ვეკითხები ჩემს თავს, რას იტყოდა ქრისტე ასეთ დედაზე.

- ქრისტე... - შეეპასუხა შარლოტა და უცებ ისეთი მღელვარება დაეუფლა, ძლივს მოახერხა სათქმელის გაგრძელება, - ქრისტე არად მიიჩნევდა ყოველგვარ შემთხვევითსა და გარეგნულს. იგი მიხვდებოდა, რომ ასეთ დედას შეუძლია გოლგოთამდე მიჰყვეს შვილს და სიხარულით დათანხმდებოდა მის მაგივრად თვით ეცვას ჯვარს. ქრისტეს მუდამ ეხსომებოდა ეს, როცა მის განსჯას შეუდგებოდა.

- იქნებ მართალიც ხარ, შარლოტა. იქნებ დედაჩემი მართლაც მზად იყო ჩემ მაგივრად შეჰგებებოდა სიკვდილს, მაგრამ არასოდეს მომცემდა უფლებას, ისე მეცხოვრა, როგორც მსურდა. შარლოტა, დედაჩემი არასოდეს დამრთავდა ნებას, რომ

ღვთის მონა ვყოფილიყავი. იგი მუდამ იმას ინდომებდა, რომ პირადად მისი და საერთოდ ამქვეყნიური ცხოვრების მსახური გავმხდარიყავი. ამიტომაც უნდა დავცილებოდით ჩვენ ერთმანეთს.

- ქრისტეს არ უბრძანებია შენთვის, დედაშენს ზურგი შეაქციეო, - გაცხარებით წამოიძახა შარლოტამ, - თეა სუნდლერმა შთაგაგონა, რომ დედაშენმა და მე...

კარლ-არტურმა ხელის მოძრაობით სიტყვა შეაწყვეტინა.

- მე ვიცოდი, რომ ამაზე ლაპარაკი არც შენთვის იქნებოდა სასიამოვნო, არც ჩემთვის, ამიტომ აჯობებდა, ავრიდებოდი მას. მაგრამ იცოდე, სწორედ იმ ქალმა, რომელიც ახლა ახსენე და რომელიც სიძულვილით ამოიჩემე, მირჩია, მეამბა შენთვის, რა ნაყოფი გამოიღო ჩემი მშობლების მოწადინებამ.

- ოჰ, რასაკვირველია! - მიუგო შარლოტამ, - ეგ სულაც არ მიკვირს. მან კარგად იცოდა, რომ ეს გულს მატკენდა, რომ ცხარე ცრემლით ამატირებდა.

- როგორც გენებოს, ისე განსაჯე ფრუ სუნდლერის რჩევა, მაგრამ სწორედ მან შთამაგონა, რომ ვალდებული ვიყავი, მადლობა მომეხსენებინა შენთვის იმ მსხვერპლისთვის, რომელიც ჩემი გულისთვის გაიღე.

შარლოტა მიხვდა, რომ გაცხარებული საყვედურებით ვერაფერს გახდებოდა, შეეცადა, მკაცრი კილო შეერბილებინა და სხვა საგანზე გადაიტანა საუბარი.

- მაპატიე სიფიცხე, კარლ-არტურ, - უთხრა მან, - სულაც არ მინდოდა შენი განაწყენება. მაგრამ ხომ იცი, ყოველთვის მიყვარდა დედაშენი და წარმოუდგენლად მიმაჩნია, რომ იგი ახლა სნეული წევს საწოლში და უიმედოდ ელის შენგან თუნდაც ერთ სიტყვას მაინც. ნუთუ არ მომცემ ნებას, მასთან წავიდე? ეს ხომ სულაც არ იქნება იმის ნიშანი, რომ ჩემთან შერიგება გსურს.

- რასაკვირველია, შეგიძლია წახვიდე.

- და ერთ სიტყვასაც არ დამაბარებ?

- ნუ მთხოვ, შარლოტა, ამაოა შენი თხოვნა.

შარლოტას ერთბაშად სახე შეეცვალა. პირქუშად, მუქარის თვალით შეხედა კარლ-არტურს.

- ნუთუ გამბედაობა გეყოფა?

- „გამბედაობა“? რას ნიშნავს ეს?

- განა ამწუთას არ მითხარი, რომ ხვალ უნდა იქადაგო?

- დიახ, რასაკვირველია, ეგრეა.

- მერედა, ნუთუ დაგავიწყდა, რომ უფსალაში ყოფნისას თხზულების დაწერა ვერ გაბედე მხოლოდ იმიტომ, რომ უხეშად მოექეცი დედაშენს?

- ეს არასოდეს დამვიწყებია.

- არა, როგორც ჩანს, დაგავიწყდა. ჰოდა, მითქვამს, თუ დედაშენს არ შეურიგდები, ვეღარასოდეს იქადაგებ ისე, როგორც წინა კვირადღეს.

კარლ-არტურმა გაიცინა.

- ნუ ცდილობ დამაშინო, შარლოტა!

- არ გაშინებ. მე მხოლოდ გაფრთხილებ - ყოველთვის, როცა კი კათედრაზე ახვალ, იმის ფიქრი გექნება, რომ დედას არ შეურიგდი, და ეს ფიქრი ძალას წაგართმევს.

- კეთილი შარლოტა, ისე მაშინებ, თითქოს ბავშვი ვიყო.

- დაიხსომე ჩემი სიტყვები! - წამოიძახა ქალიშვილმა, - სანამ დროა, იფიქრე ამაზე! ხვალ ან ზეგ იქნებ უკვე გვიანიც იყოს.

ეს მუქარა პირში მიახალა, კარისკენ შებრუნდა და პასუხისთვის არც დაუცდია, ისე გავიდა ოთახიდან.

II

ნასაუზმევს პასტორმა თავის ოთახში შეიყვანა შარლოტა და უთხრა, რომ შაგერსტრიომს, რომელსაც, ეტყობა, წუხელ, გვიანობისას, კარეტით ჩაუვლია კორსჩურკასთან, თავისი მსახურის ხელით სამზარეულოში დიდი კონვერტი შემოუგზავნია, რომელზედაც პასტორის მისამართი ეწერა. კონვერტში ვრცელი წერილი იყო შარლოტასთვის. პასტორს კი მხოლოდ რამდენიმე სიტყვა მოსწერა და სთხოვა, ფრთხილად შეემზადებინა შარლოტა მისი წერილის წასაკითხად, ვინაიდან მასში ფრიად უსიამოვნო, სამწუხარო ამბები წერიაო.

- მე უკვე მზად ვარ, ბიძია, - მიუგო შარლოტამ, - ამ ცოტა ხნის წინ ველაპარაკე კარლ-არტურს და ვიცი, რომ იგი სამუდამოდ დაემდურა მშობლებს, და ისიც ვიცი, რომ პოლკოვნიკის ცოლი ავადაა.

ბერიკაცი განცვიფრდა.

- რას ამბობ! ნუთუ ეს მართალია, შვილო ჩემო?

შარლოტა მოხუცს ნაზად მიეალერსა ხელზე.

წერილი გამოართვა და თავის ოთახში შევიდა წასაკითხად.

წერილში შაგერსტრიომი საკმაოდ დაწვრილებით აღწერდა იმ ამბებს, რომლებიც ეკენსტედების ოჯახში მოხდა უკანასკნელ ხანებში, პირველ ყოვლისა, დაკრძალვის დღეს. წერილი ნაჩქარევად იყო დაწერილი, მაგრამ შარლოტამ მაინც სრულად შეიტყო ყველაფერი: დალეკარლიელი ქალიშვილის ყოფნა კარლსტადში, დასაფლავების დღეს მისი მოულოდნელი სტუმრობა, პოლკოვნიკის ცოლის მარცხიანი წაქცევა, მისი ჯავრი ვაჟიშ-

ვილზე, შაგერსტრიომის მისვლა ავადმყოფთან, კარლ-არტურის ძებნა, დაბოლოს, მამა-შვილს შორის გამართული მძიმე სცენა პოლკოვნიკის კაბინეტში.

წერილის ბოლოს ნათქვამი იყო, რომ პოლკოვნიკს უთხოვია, ყოველივე შარლოტას გადაეცითო, და მერე სიტყვასიტყვით მოხუცის ნათქვამიც ეწერა: - შარლოტა ერთადერთი ადამიანია ამქვეყნად, რომელსაც შეუძლია დაეხმაროს ჩემს უბედურ ცოლს და უბედურ შვილსო. წერილი შემდეგი სიტყვებით მთავრდებოდა:

„მე პირობა მივეცი პოლკოვნიკს, რომ თხოვნას ავუსრულებდი, მაგრამ, როცა შინ დავბრუნდი, კეთილო ფროიკენ, მივხვდი, თავი არ უნდა მოგაბეზროთ ჩემი სტუმრობით და ამიტომ გადავწყვიტე, გათენებამდე დარჩენილი დრო ამ წერილის დასაწერად გამომეყენებინა. გთხოვთ, მომიტევოთ, წერილი გრძელი გამომივიდა. იქნებ იმის ფიქრმა, რომ თქვენ წაიკითხავთ მას, უშურველი გახადა ჩემი კალამი.

დილა უკვე მიიწურა. კარეტა კარგა ხანია მელოდება, მაგრამ მაინც მინდა ორიოდ სიტყვა კიდევ დავუმატო ამ წერილს.

მე ბევრჯერ მქონია შემთხვევა, დავკვირვებოდი ახალგაზრდა ეკენსტედს და არაერთხელ დავრწმუნებულვარ, რომ იგი დიადი, ამაღლებული სულის პატრონია, რაც მისი ბრწყინვალე მომავლის საწინდარია. მაგრამ ზოგჯერ მკაცრი, ლამის დაუნდობელი, ფიცხი ან კიდევ, გულუბრყვილოა და საღად აზროვნების უნარიც კი არა აქვს.

მე მინდა ჩემი ეჭვები გაგიზიაროთ, კეთილო ფროიკენ. ჩემი აზრით, ეს ახალგაზრდა კაცი ვიღაცის მავნე გავლენას განიცდის, რაც დამღუპველად მოქმედებს მის ბუნებაზე.

კეთილო ფროიკენ, საქმროს თვალში თქვენ ახლა სავსებით გამართლებული და უმწიკვლო ხართ. რადგან ყოველდღე ხვდე-

ბით ერთმანეთს, ძნელი წარმოსადგენია, რომ გულგრილი დარჩეს თქვენი მომხიბლაობისადმი. სულ მალე აუცილებლად აღდგება კეთილგანწყობა თქვენ შორის. ყოველ შემთხვევაში, თქვენს მონა-მორჩილს იმედი მაქვს, რომ ბედნიერება, რომელიც ჩემი მიზეზით გამოგეცალათ ხელიდან, კვლავ დაგიბრუნდებათ. მაგრამ ნება მომეცით მე, თქვენს მოსიყვარულესა და ყოველივე სიკეთის მოსურნეს, გაგაფრთხილოთ იმ გავლენის გამო, რომელზედაც მოგახსენებთ, და გირჩიოთ, თუ ეს შესაძლებელია, აარიდოთ იგი ახალგაზრდა ეკენსტედს. მაქვს თუ არა იმის უფლება, რომ კიდევ ერთი სიტყვა დავძინო ჩემს ნათქვამს? რაღა თქმა უნდა იმას, რომ მეც ვუერთდები პოლკოვნიკის თხოვნას. უსაზღვროდ ერთგული გახლავართ ფრუ ბეატა ეკენსტედისა და თუ მის გადასარჩენად ჩემი დახმარება დაგჭირდებათ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მზად ვარ ყოველგვარი მსხვერპლის გასაღებად.

თქვენი მონა-მორჩილი

გუსტავ ჰენრიკ შაგერსტრიომი“.

შარლოტამ რამდენჯერმე გადაიკითხა წერილი, ღრმად უნდოდა ჩასწვდომოდა აზრს. დიდხანს იჯდა უძრავად და ფიქრობდა, ნეტავ რას მოელის ჩემგან ეს ორი კაცი - პოლკოვნიკი და შაგერსტრიომი, რა შემიძლია გავაკეთოო.

რას გულისხმობდა პოლკოვნიკი, როცა თხოვნა შემოუთვალა? ანდა, რატომ მოსწერა შაგერსტრიომმა ასე ნაჩქარევად ამოდენა წერილი?

ანაზდად გაახსენდა, რომ ხვალ ნიშნობის საჯაროდ გამოცხადების უკანასკნელი დღე იყო. იქნებ შაგერსტრიომს იმის იმედი აქვს, რაკი შარლოტა ყოველივეს შეიტყობს, დათანხმდება, მესამედაც მოხდეს გამოცხადება და ამდენად ნიშნობას კანონის ძალა მიეცემაო.

შარლოტამ მყის უარყო ასეთი ეჭვი. შაგერსტრიომი თავის თავზე არ ზრუნავს. ასე რომ ყოფილიყო, უფრო ფრთხილ წერილს გამოუგზავნიდა. ის კი გულახდილი იყო, როცა კარლ-არტურზე წერდა. არადა, სულ ადვილად შეეძლო გვერდი აევლო ამისთვის, რომ ეჭვი არ გამოეწვია, აქაოდა, სწორედ მეტოქის დამცირება უდევს გულში, ასეთ რამეს რომ იწერება მასზეო.

მაგრამ, მისი აზრით, ნეტავ რის გაკეთება შეუძლია შარლოტას? რა აქვთ გუნებაში შაგერსტრიომსა და პოლკოვნიკს? იმას კი ხვდება შარლოტა, რას მოელიან მისგან. სურთ, რომ მან შვილი დაუბრუნოს დედას, მაგრამ როგორ მოახერხოს ეს?

ნუთუ ფიქრობენ, რომ შარლოტას რაიმე ზეგავლენა აქვს კარლ-არტურზე? აკი სცადა კიდეც მისი დარწმუნება, არ დაუზოგავს თავისი ოქროპირობა, მაგრამ ვერაფერს მიაღწია.

თვალები დახუჭა. ზმანებასავით იხილა ბეატა ეკენსტედი საწოლში, თავშეხვეული, სახეშეცვლილი და ფერწასული. დაინახა ამაყი, ზიზღნარევი გულისწყრომით დაღრეჯილი მისი სახე. გაიგონა, როგორ ეუბნებოდა სრულიად უცხო ადამიანს, რომელიც ასევე იტანჯებოდა გაუზიარებელი სიყვარულისგან: „რა მწარეა, ჰერ, რომ იმას, ვინც ჩვენ გვიყვარს, არ შეუძლია ასეთივე სიყვარულით გვიპასუხოს“.

შარლოტა სწრაფად წამოდგა, წერილი დაკეცა და ქვედაკაბის ჯიბეში ჩაიდო, თითქოს ძალ-ღონეს შემატებდა, მიეშველებოდა. რამდენიმე წუთის შემდეგ იგი უკვე სოფლისკენ მიმავალ გზას ადგა.

ორგანისტის სახლს რომ მიუახლოვდა, რამდენიმე წუთით გაჩერდა და ლოცვა წარმოთქვა გულში. იგი აქ იმისთვის მოვიდა, რომ სთხოვოს ფრუ სუნდლერს, კარლ-არტური ისევ მიუბრუნოს დედამისს. მხოლოდ თეას ძალუძდა ამის გაკეთება. შარლოტა ღმერთს ევედრებოდა, მოთმინებით აევსო მისი ამაყი გუ-

ლი, რათა შესძლებოდა ამ, მისი მოძულე, ქალის გულის აჩვი-ლება და დაყოლიება.

შარლოტას გაუმართლა, ფრუ სუნდლერი მარტო დახვდა სახლში. პირველად ის ჰკითხა მასპინძელს, რამდენიმე წუთით თუ მოიცლი ჩემთან სალაპარაკოდო. და აი, ისინი ერთმანეთის პირისპირ სხედან ფრუ სუნდლერის პატარა მყუდრო სასტუმრო ოთახში.

შარლოტამ მართებულად მიიჩნია საუბრის დაწყება იმის მო-ბოდიშებით, რომ კულულები შეაჭრა თეას.

- იმ დღეს საშინლად სასოწარკვეთილი ვიყავი, - უთხრა მან, - მაგრამ, ცხადია, ძალიან ცუდად მოვიქეცი.

ფრუ სუნდლერმა გულზიარად მიიღო მისი ნათქვამი და უთ-ხრა, კარგად მესმის შენი განცდაო. მერე დასძინა, რომ მასაც საბოდიშოდ ჰქონდა საქმე: მჯეროდა, რომ დამნაშავე იყავი და, რა თქმა უნდა, მეტისმეტად გკიცხავდიო. მაგრამ ამიერიდან ყვე-ლაფერს გავაკეთებ, რათა ისევ აღდგეს შენი ღირსება და სახე-ლიო.

შარლოტამ წინანდებური თავაზიანობით უპასუხა, რომ დი-დად მადლობელია თეასი ამ პირობის გამო, მაგრამ ახლა ერთი რამ არ აძლევს მოსვენებას და აწუხებს უფრო მეტად, ვიდრე სა-კუთარი რეპუტაცია.

შემდეგ უამბო ფრუ სუნდლერს, რა ფათერაკიც შეემთხვა პოლკოვნიკის ცოლს და დასძინა, კარლ-არტურმა არც კი იცის, რა ტანჯვაშია დედამისი, თორემ ისე როგორ წამოვიდოდა კარ-ლსტადში, ერთი ტკბილი სიტყვა მაინც არ ეთქვა მისთვისო.

ამის გაგონებაზე თეა სუნდლერი უცებ გამოიცვალა და მე-ტისმეტად თავშეკავებული კილოთი უპასუხა შარლოტას, დარ-წმუნებული ვარ, კარლ-არტურს ყველა მნიშვნელოვანი გადაწ-ყვეტილება რაღაც ზეშთაგონებით გამოაქვს ხოლმე, რომელიც

უეჭველად ღვთის ნების გამოხატულებაა; ყოველი მისი საქციელი მხოლოდ ღვთისგანაა ნაკარნახევიო.

შარლოტას ფერმკრთალი ღაწვები შეუფაკლდა, მაგრამ მაინც მშვიდად განაგრძობდა საუბარს, არც საყვედური დასცდენია, არც მკვახე სიტყვა. მტკიცედ მჯერაო, უთხრა თეას, პოლკოვნიკის ცოლი შვილთან წაჩხუბების შემდეგ ვეღარ გამოკეთდება. წარმოიდგინე, მისი მიზეზით რომ მოკვდეს დედამისი, კარლ-არტურს ხომ სამუდამოდ დატანჯავს სინდისის ქენჯნა. ჰოდა, ამაზე საშინელი რა უნდა იყოსო, ჰკითხა თეას.

ფრუ სუნდლერმა გულში ჩამწვდომად და ღირსეულად უპასუხა, ის მანუგეშებს, რომ ღმერთი იქნება დედა-შვილის მფარველიო. და მერე დასძინა, იქნებ კეთილი განგება სწორედ იმას ცდილობს, რომ ძვირფასი დეიდა ბეატა ჭეშმარიტ ქრისტიანად მოაქციოსო.

შარლოტამ წარმოიდგინა ფრუ ეკენსტედის ჩაყვითლებულ--ჩათეთქილი, სიბრაზით დამანჭული სახე და გაიფიქრა, არა მგონია, ამ გზით მოიქცეს ჭეშმარიტ ქრისტიანადო. მაგრამ თავი შეიკავა, რომ ზედმეტი არაფერი წამოსცდენოდა. კაცმა რომ თქვას, შარლოტა სწორედ იმის სათხოვნელად მოვიდა აქ, რომ თეა სუნდლერმა მოიმარჯვოს თავისი გავლენა კარლ-არტურზე და როგორმე შეარიგოს დედა-შვილი.

ფრუ სუნდლერი უარესად აჩლიფინდა; ხმაც უფრო ლაქუცა და დათაფლული გაუხდა. ვინ იცის, იქნებ თეას მართლაც აქვს ზეგავლენა კარლ-არტურზე, მაგრამ ვერასოდეს გაბედავს მის გამოყენებას ესოდენ მნიშვნელოვან საქმეში. დაე, კარლ--არტურმა თავად გადაწყვიტოს.

„ხედავთ, არ ნებავს, - გაიფიქრა შარლოტამ, - ასეც ვიცოდი. ამ ქალს გულს ვერ აუჩვილებ. უანგაროდ არაფერს გააკეთებს“.

შარლოტამ ბოლომდე შეინარჩუნა ზომიერება, წამოდგა, მეტისმეტი თავაზიანობით გამოეთხოვა მასპინძელს და კარისკენ გაემართა. ფრუ სუნდლერი გასაცილებლად გაჰყვა, თან გატაცებით ლაპარაკობდა დიდ პასუხისმგებლობაზე, რომლებიც აკისრიათ იმ ბედნიერ ადამიანებს, რომელთაც კარლ-არტური ენდობა.

კარის სახელურს რომ მოჰკიდა ხელი, შარლოტა შემობრუნდა და ოთახს მოავლო თვალი.

- ძალიან ლამაზად გაქვს სასტუმრო ოთახი მოწყობილი, - უთხრა მასპინძელს, - გასაკვირი არ არის, რომ კარლ-არტურს უყვარს აქ ყოფნა.

ფრუ სუნდლერს ხმა არ ამოუღია. ვერ მიმხვდარიყო, ამით რის თქმას აპირებდა შარლოტა.

- წარმომიდგენია, რა სიმყუდროვეა აქ საღამოობით, - განაგრძო შარლოტამ, - შენი ქმარი ფორტეპიანოს უზის, შენ მღერი, ხოლო სავარძელში მოკალათებული კარლ-არტური გისმენთ.

- დიახ, - მიუგო ფრუ სუნდლერმა, რომელსაც კიდევ ვერ გაეგო შარლოტას ნართაული, - სასიამოვნოდ ვატარებთ დროს. სწორედ ისეა, როგორც შენ ამბობ.

- ზოგჯერ, ალბათ, კარლ-არტურიც გართობთ? ლექსებს გიკითხავთ, ანდა გიყვებათ, როგორ ოცნებობს პასტორის ღარიბულ კარ-მიდამოში დასახლებაზე.

- დიახ, - გაუმეორა ფრუ სუნდლერმა, - მეც და ჩემი ქმარიც დიდად ბედნიერი ვართ, რომ კარლ-არტური ჩვენს ღარიბულ სახლში მოსვლას კადრულობს.

- და ეს ბედნიერება შეიძლება წლების განმავლობაში გაგრძელდეს, თუ ხელს არაფერი შეუშლის, - ისევ განაგრძო საუბარი შარლოტამ, - კარლ-არტური ხომ ასე მალე არ შეირთავს თავის დალეკარლიელ საცოლეს, პასტორის კარ-მიდამოში მარტო

ყოფნა კი გაუჭირდება. ამიტომ მისთვის საჭიროა ისეთი მყუდრო კუთხე, სადაც სულიერად დაისვენებს.

ფრუ სუნდლერი დუმდა. მთლად სმენად იქცა. მიხვდა, შარლოტამ ტყუილუბრალოდ არ წამოიწყო ეს ლაპარაკი, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ ამოეცნო მისი მიზანი.

- მე რომ დავრჩენილიყავი პასტორის სახლში, - ჩაიცინა შარლოტამ, - თავისუფალ დროს მას დავუთმობდი. ვიცი, კარლ--არტურს აღარ ვუყვარვარ, მაგრამ ამის გამო სამუდამოდ ხომ არ გადავეკიდებით ერთმანეთს. მე, მაგალითად, შემეძლო შევშველებოდი აუქციონიდან წამოყვანილი ბავშვებისთვის თავშესაფრის მოწყობაში, ყოველდღიურად რომ ხვდები ადამიანს, ყოველთვის გამოჩნდება ხოლმე საერთო საქმე და საერთო ინტერესები.

- დიახ, ასეა. შენ რა, შარლოტა, მართლა აპირებ პასტორის სახლიდან წასვლას?

- ძნელი სათქმელია. ხომ იცი, რომ შაგერსტრიომზე გათხოვებას ვაპირებდი.

ეს თქვა, თავაზიანად დაუკრა თავი და კარი გამოაღო.

პატარა წინა ოთახში რომ გავიდა, შეამჩნია, ფეხსაცმლის ზონარი გახსნოდა. დაიხარა და შეიკრა. მერე მეორე ფეხსაცმელზეც მოსინჯა ზონრის ნასკვი. „მოფიქრების დრო უნდა მივცე, - გაივლო გულში, - თუ თეას უყვარს, ასე არ გამიშვებს, ხოლო თუ არ უყვარს...“

შარლოტა ჯერ კიდევ ზონარს იკრავდა ფეხსაცმელზე, როცა ფრუ სუნდლერი წინა ოთახში გამოვიდა.

- კეთილი, შარლოტა, - უთხრა სტუმარს, - ერთი წუთით ვერ შემობრუნდები? ახლა გამახსენდა, რომ შენ პირველად შემოდგი ფეხი ჩვენს სახლში. ნება მომეცი ერთი ჭიქა ჟოლოს წვენით გაგიმასპინძლდე. ასე უნაწილოდ სტუმრის გაშვება არ ივარ-

გებს. ამბობენ, თუ გამასპინძლებაზე უარს იტყვი, მასპინძელს აწყენინებო.

შარლოტამ, როგორც იქნა, შეიკრა ფეხსაცმლის ზონარი, მერე წელში გასწორდა და თავაზიანი მადლობა მოახსენა თეას. არც იმის საწინააღმდეგო უთქვამს რამე, რომ სასტუმრო ოთახში შებრუნებულიყო და რამდენიმე წუთს დალოდებოდა, სანამ ფრუ სუნდლერი სარდაფში ჩაირბენდა წვენის ამოსატანად.

„ერთი კი ცხადია, სულელი არ ყოფილა, - გაიფიქრა ქალიშვილმა, - ესეც კარგია“.

ფრუ სუნდლერმა კარგა ხანს დაიგვიანა, მაგრამ შარლოტას ეს ცუდად არ ენიშნა. ჩუმად იჯდა და მოთმინებით ელოდა. ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, როგორიც მეთევზეს აქვს ხოლმე, როცა ხედავს, რომ თევზი გარშემო უვლის ანკესს.

ამასობაში დიასახლისიც დაბრუნდა, ჟოლოს წვენი და ორცხობილა მოიტანა. შარლოტამ მუქი წითელი ფერის წვენი მოსვა, ორცხობილა აიღო და ხრამუნი დაუწყო. ფრუ სუნდლერმა მოუბოდიშა დაგვიანებისთვის.

- შესანიშნავი ორცხობილაა! - უთხრა შარლოტამ, - როგორც ჩანს, დედაშენის რეცეპტითაა გამომცხვარი. იგი ხომ ნამდვილი კაისა ვარგი იყო. რა კარგია, ასე რომ გეხერხება საჭმელების კეთება. კარლ-არტური, ალბათ, აქ უფრო გემრიელად იტკბარუნებს პირს, ვიდრე პასტორის სახლში.

- ო, სულაც არა! აბა, ჩვენ რა შეგვიძლია, შარლოტა, ჩვენ ხომ მდიდრები არა ვართ. მაგრამ, მოდი, წვრილმანებზე ნუღარ ვილაპარაკებთ, საბრალო დეიდა ბეატაზე მოვიფიქროთ რამე! შეიძლება გულახდილი ვიყო შენთან?

- სწორედ მაგისთვის მოვედი, კეთილო თეა, - მიუგო შარლოტამ მეტისმეტად ალერსიანი კილოთი.

არც ერთს არ აუმაღლებია ხმა, პირიქით, ცდილობდნენ, ჩურ-ჩულით ელაპარაკათ. ისხდნენ, მშვიდად შეექცეოდნენ ჟოლოს წვენსა და ორცხობილას ახრამუნებდნენ, მაგრამ ხელები ისე უკანკალებდათ, როგორც აზარტულ მოთამაშეებს, როცა გა-ჭიანურებული თამაშის ბედი წყდება.

- გულახდილად გეტყვი, შარლოტა, მგონი, კარლ-არტურს ეშინია დედამისის. ან იქნებ არც ასეა საქმე - იგი ხომ კარ-ლსტადში ცხოვრობს და ხშირად ვერ ნახულობს შვილს, რომ ზე-გავლენა მოახდინოს მასზე. მაგრამ კარლ-არტური მიხვდა, რომ დედამისი ცდილობს თქვენს შერიგებას... ჰოდა, მაპატიე, ამას რომ გეუბნები, მაგრამ ყველაზე მეტად სწორედ ეს აშინებს კარლ-არტურს.

შარლოტამ გაიღიმა.

„აჰა, - გაიფიქრა მან, - აი, როგორ შეტრიალდა საქმე! თეა მართლა არ არის სულელი“.

- შენ, ალბათ, ფიქრობ, თეა, რომ კარლ-არტურს დაიყოლი-ებდი, კარლსტადში დაბრუნებულიყო დედამისთან შესარიგებ-ლად, შეძლებდი დაგერწმუნებინა, რომ ამას არ მოჰყვებოდა ჩემთან შერიგება?

ფრუ სუნდლერმა მხრები აიჩეჩა.

- მე მხოლოდ ვვარაუდობ, - შეეპასუხა იგი, - კარლ-არტურს იქნებ ცოტა თვითონაც ეშინია თავისი სისუსტის. რა თქმა უნდა, მას ბევრი რამ იზიდავს შენში. საერთოდ, არც კი მესმის, როგორ უნდა გაუძლოს ყმაწვილმა კაცმა ისეთ სილამაზეს, როგორიც შენ...

- და შენ გგონია...

- ეჰ, შარლოტა, აბა, როგორ შეიძლება ამაზე დაბეჯითებით ლაპარაკი. მაგრამ მე მგონია, თუ კარლ-არტური დარწმუნებუ-ლი იქნება, რომ...

- შენ გინდა თქვა, რომ თუ ხვალ მესამედ გამოცხადდება ნიშ-ნობა, კარლ-არტურიც უფრო გულდაჯერებული იქნება?

- რასაკვირველია, ეს კარგი იქნებოდა, მაგრამ ნიშნობა ხომ ჯვრისწერა არ არის. ნიშნობის შემდეგ ქორწინების გადადება არავის აუკრძალავს და შენ შეგიძლია წლების განმავლობაში დარჩე პასტორის სახლში.

შარლოტამ სწრაფად დადგა ჭიქა ლანგარზე. იცოდა, ადრეც იცოდა, რომ ძვირად დაუჯდებოდა მიზნის მიღწევა, მაგრამ ეგო-ნა, თეა ნიშნობის გამოცხადებას იკმარებდა და ისე დაიყოლიებ-და კარლ-არტურის წასვლაზე.

- მე ასე ვფიქრობ, - უთხრა ფრუ სუნდლერმა ლამის მთლად ჩურჩულით, - თუ შენ, შარლოტა, ახლავე წახვალ შინ, ბარათს მისწერ შაგერსტრიომს და ჰკითხავ, თანახმაა თუ არა, რომ ხვალ დილით ჩამოვიდეს და წირვის გამოსვლისთანავე დაიწე-როთ ჯვარი...

- ეს შეუძლებელია!

შარლოტას წამოძახილი ისე გაისმა, როგორც შებრალების მუდარა.

მთელი ამ საუბრის დროს მხოლოდ ერთადერთხელ ვერ და-მალა შარლოტამ თავისი ტანჯვა. ფრუ სუნდლერმა იოტისოდენა ყურადღებაც არ მიაქცია მეტოქის მუდარას და ისევ განაგრძო:

- მე არ ვიცი, რა არის შესაძლებელი და რა შეუძლებელი შარლოტასთვის. მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომ, თუ ასეთ ბა-რათს დაწერ და შიკრიკის ხელით გაგზავნი „ტბის აგარაკზე“, ხუთ-ექვს საათში პასუხიც მოვა. თუ პასუხი დადებითი იქნება, მე ყოველივეს ვიღონებ, რაც ძალმიძს, რომ დავიყოლიო კარლ--არტური დედამისთან წასვლაზე.

- თუ ვერ შეძლებ?

- მე უზომოდ მიყვარს დეიდა ბეატა და ძალიან შეწუხებული ვარ მისი ავადმყოფობით. თუ შევძლებ კარლ-არტურის დამშვიდებას შენთვის ცნობილი ამბით, მაშინ, მგონი, აღარაფერი დაბრკოლება აღარ იქნება. დარწმუნებული ვარ, კარლ-არტური ხვალ, ღვთისმსახურების დამთავრებისთანავე გაემგზავრება კარლსტადში.

ეს იყო ზუსტი, გულმოდგინედ მოფიქრებული გეგმა. წყალი რომ არ გაუვიდოდა, ისეთი. შარლოტა თვალდახრილი იჯდა, შესწევს მას საამისო ძალა?

მთელი ცხოვრება იმ ადამიანთან უნდა გაატაროს, რომელიც არ უყვარს. შეძლებს კი ამას?

რასაკვირველია, შეძლებს. ქვედაკაბის ჯიბეში ხელი ჩაიყო და წერილი მოსინჯა. რასაკვირველია, შეძლებს.

შარლოტამ სულმოუთქმელად დალია ჟოლოს წვენი ყელის ჩასაწმენდად.

- მე შეგატყობინებ შაგერსტრიომის პასუხს, როგორც კი შესაძლებლობა მომეცემა, - უთხრა და წასასვლელად წამოდგა.

შაბათი: შუადღიდან საღამომდე

I

როდესაც მძიმე განსაცდელში იგდებთ თავს, კარგია, თუ შეძლებთ გულის დამშვიდებას: „ეს აუცილებელია, მე ვიცი, რატომაც ვიქცევი ასე. სხვა გზა არ არის“ და მაშინ მტანჯველ მღელვარებას ჩააცხრობს იმის ღრმა რწმენა, რომ იძულებით ემორჩილებით გარემოებას. მართალს ამბობენ, ყოველივე უფრო იოლი ასატანია, თუ იცი, რომ საქმე გადაწყვეტილია და აღარაფერი ეშველება.

როგორც კი პასტორის კარ-მიდამოში დაბრუნდა, შარლოტამ მაშინვე მისწერა რამდენიმე სტრიქონი შაგერსტრიომს. თუმცა, წერილი მოკლე იყო, მაინც ბევრი იმტვრია თავი მის დაწერაზე. და, აი, ბოლოს რა დაწერა:

„მოგაგონებთ თქვენი წერილის ბოლო სტრიქონებს, ჰერ, და მინდა გკითხოთ, შეგიძლიათ თუ არა ხვალ, ორი საათისთვის, პასტორის კარ-მიდამოში მობრძანება, რათა მოხუცმა პასტორმა ჯვარი დაგვწეროს.

გთხოვთ, პასუხი შიკრიკს გამოატანოთ.

თქვენი ერთგული

შარლოტა ლიოვენშოლდი“.

წერილი დაკეცა, დააწება და პასტორს ნებართვა სთხოვა, მეეტლის ხელით გაეგზავნა „ტბის აგარაკზე“.

შემდეგ მოხუც ცოლ-ქმარს მიუჯდა და ყველაფერი უამბო, რაც მოხდა, რათა ხვალინდელი დღისთვის წინასწარ შეემზადებინა ისინი.

მაგრამ პასტორის ცოლმა თხრობა შეაწყვეტინა.

- იცი, რა, ყოველივე ეს მერე მოგვიყევი. ახლა კი წადი შენს ოთახში და დაისვენე. შეხედე, რას ჰგავხარ! ადამიანის ფერი აღარ გადევს.

რეგინა ფორსიუსმა შარლოტა თავის ოთახში ააცილა, დივანზე დააწვინა და მზრუნველად დაახურა შალი.

- დამშვიდდი და დაიძინე! - უთხრა მან, - სადილობისას გაგაღვიძებ.

შარლოტა ერთხანს კიდევ ვერ ისვენებდა და იტანჯებოდა, მერე კი მწველი ფიქრები თანდათან დაშოშმინდნენ, რადგან ამაო იყო მათი ბობოქრობა, ყველაფერი ხომ უკვე გადაწყვეტილი იყო და არაფრის შეცვლა აღარ შეიძლებოდა. საბრალო გოგონა ნელ-ნელა ბურანში წავიდა და ძილს მისცა თავი.

რამდენიმე საათს ეძინა. პასტორის ცოლმა დაპირებისამებრ სადილობისას მოაკითხა, მაგრამ როცა დაინახა, შარლოტა ისევ ღრმა ძილში იყო, უკანვე გაბრუნდა. და მხოლოდ მაშინ გააღვიძეს იგი, როცა მეეტლე „ტბის აგარაკიდან“ დაბრუნდა და შაგერსტრიომის პასუხი მოიტანა.

შარლოტამ წერილი გახსნა. შაგერსტრიომს ერთადერთი სტრიქონი მოეწერა მისთვის:

„თქვენს მონა-მორჩილს პატივი მექნება, გეახლოთ“.

ბარათი მაშინვე გაუგზავნა ფრუ სუნდლერს და ისევ დაუწყო თავისი ამბის მოყოლა პასტორსა და მის ცოლს, მაგრამ კვლავ შეაწყვეტინეს. შარლოტას დას, მარია-ლუიზას, კაცი გამოეგზავნა და შემოეთვალა, სასწრაფოდ მოდიო. დილით თურმე ბევრი სისხლი უნთხევია საცოდავს.

- ერთ უბედურებას მეორე მოსდევს! - თქვა პასტორის ცოლმა, - ნამდვილად ჭლექი აქვს. კარგა ხანია, ეტყობოდა. რასაკვირველია, უნდა წახვიდე, ძვირფასო, ოღონდ კი ლოგინად არ ჩაგაგდოს ამდენმა ცუდმა ამბავმა.

- არა, არა, არაფერია! - უპასუხა შარლოტამ და სასწრაფოდ დაიწყო ჩაცმა, რათა იმ დღეს მეორედ წასულიყო სოფელში.

მარია-ლუიზა პატარა სასტუმრო ოთახში დახვდა. ბალიშებშემოწყობილი სავარძელში იჯდა, ირგვლივ შვილები ეხვივნენ. ორი ფეხზე იდგა და ეხუტებოდა, მომდევნო ორი მის ფერხთით პატარა სკამზე მოკალათებულიყო, ყველაზე უმცროსი ორი ბავშვი კი იატაკზე დაცოცავდა. ამ ორ პატარას ჯერ არც ავადმყოფობისა გაეგებოდა რამე, არც მოსალოდნელი უბედურებისა, მაგრამ უფროსი შვილები, რომელთაც უკვე ბევრი რამ ესმოდათ, შეშინებული და დამფრთხალი იყვნენ. ისინი ისე ეხვეოდნენ დედას, თითქოს ავადმყოფობის ახალი შემოტევისგან იცავენო.

შარლოტას დანახვაზე არც ერთი არ განძრეულა, მხოლოდ უფროსმა ბიჭუნამ გამაფრთხილებლად ასწია ხელი და ჩურჩულით უთხრა:

- დედიკოსთვის არც განძრევა შეიძლება, არც ლაპარაკი.

ამაო იყო ბიჭუნას შიში. შარლოტას ისედაც არ შეეძლო ლაპარაკი. როდესაც ამ ოთახში შემოვიდა, ცრემლები ისე მოაწვა, ძლივს შეიკავა თავი, თორემ აქვითინდებოდა.

პატარა, ცივ სასტუმრო ოთახში იდგა დედმამისეული, კარელიური არყის ხის ავეჯი - დივანი, მაგიდა, ორი სავარძელი, ორი პატარა მაგიდა ფანჯარასთან და ექვსი სკამი. მშვენიერი ძველებური ავეჯი იყო, მაგრამ ოთახს მაინც აკლდა ლაზათი - ყვავილებიანი ქოთანი ფანჯრის რაფაზე და საჭმელ-სასმელი მაგიდა-

ზე, ამიტომ შარლოტას იქაურობა საშინლად პირქუში და უღიმ-ღამო ეჩვენა.

სხვა დროსაც, როდესაც სტუმრად მოდიოდა ხოლმე დასთან, შარლოტას არ სიამოვნებდა ამ სასტუმრო ოთახში ყოფნა, სხვა ოთახებში კი მარია-ლუიზას არასოდეს შეუყვანია. ალბათ, იქ მეტისმეტი სიღარიბე სუფევდა და ამიტომაც არ უნდოდა შარ-ლოტასთვის თავისი ოჯახის უბადრუკობის ჩვენება.

საერთოდ, ექიმები საკმაოდ მდიდრულად ცხოვრობდნენ, მარია-ლუიზას ქმარს კი, რომელიუსს, რომელიც დღენიადაგ ტრაქტირში ლოთობდა, თითქმის არავითარი შემოსავალი არ ჰქონდა, ამიტომ ცოლ-შვილი საშინელ გაჭირვებაში ჰყავდა. მაგრამ მარია-ლუიზას უყვარდა თავისი ქმარი და არ უნდოდა, შარლოტას გაეკიცხა, ამიტომ თავი ყოველთვის შორს ეჭირა და ოჯახურ ამბებს არ უმხელდა.

მძიმე ავადმყოფი, მთლად მისუსტებული, მაინც სასტუმრო ოთახში რომ დახვდა ახლა, ამან ისე აუჩვილა გული შარლოტას, ლამის ატირდა. ქმრის გულისთვის მოიქცა მარია-ლუიზა ასე, იგი ახლა იმაზე ფიქრობდა, რომ აუგი არ ეთქვათ მასზე.

შარლოტა დასთან მივიდა და შუბლზე აკოცა.

- ეჰ, მარია-ლუიზა, მარია-ლუიზა! - ჩურჩულით თქვა მან.

ექიმის ცოლმა დას შეხედა და ძლივს შესამჩნევად გაუღიმა. მერე თავის დაქნევით შვილებზე ანიშნა და ისევ შარლოტას მი-აპყრო მზერა. შარლოტა მიუხვდა გულისნადებს.

- ჰო, ჰო, რასაკვირველია, - უთხრა დას და მერე ისეთი მტკი-ცე, მხნე კილოთი წარმოთქვა, ღმერთმანი, გასაკვირიც იყო, როგორ მოახერხა, - ბავშვებო, პასტორის ცოლმა ორცხობილა გამოგიგზავნათ, ჩემს რედიკიულშია, წინკარში დავტოვე. აბა, წამომყევით!

ბავშვები სასტუმრო ოთახიდან გაიყვანა, ნამცხვარი მისცა და ბაღში გაუშვა სათამაშოდ.

უკან რომ შემობრუნდა, ფერხთით მიუჯდა დას პატარა დაბალ სკამზე და მისი ძვალ-ტყავად ქცეული, ნაშრომ-ნაჯაფი ხელები ლოყებზე მიიხუტა.

- ესეც ასე, ჩემო მეგობარო, ახლა მარტონი ვართ. რა გინდოდა გეთქვა ჩემთვის?

- თუ მოვკვდები... - წარმოთქვა სნეულმა და დადუმდა, რადგან შეეშინდა, ისევ არ ამიტყდეს ხველებაო.

- ჰო, ჰო, - უთხრა შარლოტამ, - შენთვის ლაპარაკი არ შეიძლება. გინდა მთხოვო, რომ შენს შვილებს ვუპატრონო, როცა ამქვეყნად აღარ იქნები. ამას გპირდები, მარია-ლუიზა.

დამ თავი დაუქნია. მადლიერებით გაუღიმა და თან კურცხალი მოსწყდა თვალიდან.

- ვიცოდი, რომ შემწეობას გამიწევდი, - ჩურჩულით წარმოთქვა.

„იმას კი არ მეკითხება, როგორ უნდა ვარჩინო ამდენი ბავშვი“, - გაიფიქრა შარლოტამ, რომელსაც ამ ახალი უბედურების გამო სულაც გადაუვარდა გულიდან დილანდელი ამბავი, მაგრამ უცბად ერთმა აზრმა გაუელვა: „რასაკვირველია, შეძლებ მათ გამოკვებას. მდიდარი იქნები. შენ ხომ შაგერსტრიომს მიჰყვები ცოლად. იქნებ ყოველივე იმიტომ წარიმართა ასე, რომ მარია-ლუიზას დახმარება შემძლებოდა“, - გაიფიქრა შარლოტამ.

და პირველად მოხდა, რომ აზრმა მომავალ ქორწინებაზე ოდნავი შვება მოჰგვარა. აქამდე მხოლოდ სევდიანი მორჩილებით ფიქრობდა ამაზე.

შარლოტამ დაწოლა ურჩია დას, მაგრამ ქალმა უარის ნიშნად თავი გაიქნია. კიდევ რაღაც ჰქონდა სათქმელი.

- ბავშვებს რიკარდს ნუ დაუტოვებ, - შეეხვეწა დას.

შარლოტა მხურვალედ კი დაჰპირდა ამას, მაგრამ გაკვირვებულიც დარჩა. თურმე მარია-ლუიზა არცთუ ისე ბრმად ეთაყვანება თავის ქმარს, როგორც შარლოტას ეგონა. ბედშავმა, ალბათ, იცის, რომ ეს კაცი მთლად ხელიდანაა წასული და უნდა ბავშვები მაინც გადაურჩნენ მის გავლენას.

- მე მეშინია სიყვარულის, - უთხრა შარლოტას, - ვიცოდი, როგორიც იყო რიკარდი, მაგრამ სიყვარულმა მაიძულა, ცოლად გავყოლოდი. მძაგს სიყვარული.

შარლოტა მიხვდა, დამ მის დასამშვიდებლად თქვა ეს. ყველაზე ძლიერ სიყვარულსაც კი შეიძლება მარცხი და საბედისწერო შედეგი მოჰყვეს. ამიტომ გონებას უნდა დაეკითხოო, აი, რა უთხრა მარია-ლუიზამ.

შარლოტას უნდოდა ეპასუხა, რომ მას კი უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ეყვარებოდა სიყვარული და ერთხელაც არ წამოსცდებოდა სამდურავი იმ სატანჯველის გამო, რომელსაც იგი განუმზადებდა, მაგრამ ამ დროს მარია-ლუიზას საშინელი ხველა აუტყდა და შარლოტას უთქმელი დარჩა ეს. მერე კი, როცა დას ხველამ გაუარა, შარლოტამ სასწრაფოდ გაუშალა ლოგინი და დააწვინა.

იმ საღამოს შარლოტამ დიასახლისობა გასწია ამ ღარიბულ ოჯახში. ბავშვებს ვახშამი გაუმზადა, დააპურა და დააძინა.

ამ საქმიანობის დროს მან პირველად ნახა მათი ტანსაცმელი, თეთრეული, ჭურჭელი და საშინელ გუნებაზე დადგა, რადგან ყველაფერი გაცვეთილი, დამტვრეული, ხელმიშვებული იყო. ყველაზე აუცილებელი საოჯახო ნივთებიც კი არ მოეპოვებოდათ! მოსამსახურე გოგო ერთი ზარმაცი და ბენტერა ვინმე იყო! ბავშვების ტანსაცმელს საკერებელი საკერებელზე ედო! მაგიდე-

ბი და სკამები მინჯღრეულ-მონჯღრეულიყო. ერთ სკამს საზურგე ჰქონდა მოტეხილი, მეორეს ფეხი აკლდა.

ცრემლები ახრჩობდა შარლოტას, მაგრამ თავს იკავებდა. გული უკვდებოდა იმის შემხედვარეს, როგორ მათხოვრულად ცხოვრობდა მისი და, უკვირდა, რომ ასეთ უბედურებაში მყოფს ერთხელაც არ დაუჩივლია, შემწეობა არ უთხოვია.

დიასახლისივით დაფუსფუსებდა ახლა შარლოტა ამ ოჯახში და დროდადრო მარია-ლუიზას ოთახშიც შეიხედავდა ხოლმე. ავადმყოფი მშვიდად იწვა და ეტყობოდა, ტკბებოდა იმის შემყურე, რომ ვიღაც ზრუნავდა მასზე.

- გული უნდა გაგიხარო, - უთხრა შარლოტამ, - ამიერიდან აღარასოდეს მოგიწევს ოჯახური ჯაფით წელის მოწყვეტა. ხვალ დილით ერთ მარჯვე გოგოს გამოგიგზავნი მოსამსახურედ. შენ კი იწექი და ინებივრე, სანამ მთლად არ გამოკეთდები.

ავადმყოფმა უნდობლად გაიღიმა. იმედის მოცემამ მართლაც გული გაუხარა, მაგრამ შარლოტამ შეატყო, რომ იგი მაინც შიშს შეეპყრო, მისმა დაპირებებმა კი ეს შიში მაინც ვერ გაუქარწყლა.

„მეტისმეტად გვიანაა, - გაიფიქრა შარლოტამ, - მან იცის, რომ მოკვდება. ვეღარაფერი ანუგეშებს“.

ცოტა ხნის შემდეგ კვლავ მივიდა მის საწოლთან და სამკურნალოდ მჟავე წყლებზე გაგზავნას დაჰპირდა.

- ხომ იცი, ბევრი ფული მექნება. ასე რომ, ჩემი იმედი გქონდეს.

შაგერსტრიომის სიმდიდრეზე ლაპარაკი გულს ურევდა შარლოტას, მარია-ლუიზას კი დიდად ეამა. შარლოტას გამდიდრება ნამდვილად მალამო იყო მისთვის. მადლობის ნიშნად ნაზად მოუთათუნა ხელებზე ხელი მზრუნველ დას, მაგრამ, ჩანდა, მაინც შფოთავდა და ვერ დაწყნარებულიყო.

„კიდევ რაღაც დარდი უღრღნის გულს, - გაიფიქრა შარლოტამ და ერთმა ეჭვმა გაუელვა, მაგრამ მყისვე უკუაგდო იგი, - შეუძლებელია, მარია-ლუიზამ თავისი ქმარიც შემავედროს! და ისიც ახლა, როცა ასე დაუძლურებული, გამათხოვრებული, სასიკვდილოდ განწირული ავადმყოფია! არა, რაღაც სხვა ამბავი უნდა იყოს“.

ბავშვები რომ დააძინა, შარლოტა გამოსამშვიდობებლად შევიდა მასთან.

- მივდივარ, - უთხრა დას, - მაგრამ გზად მესასთუმლესთან შევივლი და ვეტყვი, ღამე გითიოს. ხვალ დილით ისევ მოვალ.

მარია-ლუიზა ისევ მიეალერსა.

- ხვალ არ დამჭირდები, ორშაბათს კი მოდი.

შარლოტა მიხვდა, რომ რიკარდი, რომელიც იმ საღამოს ავადმყოფთან იყო წასული, კვირადღეს შინ იქნებოდა, და მარია-ლუიზას არ უნდოდა, იგი ცოლისდას შეხვედროდა. სნეული ისევ ეფერებოდა შარლოტას ხელზე, და ისიც მიხვდა, რომ კიდევ რაღაც ჰქონდა სათხოვარი.

შარლოტა დაიხარა და შუბლიდან თმა გადაუწია დას. ამწუთას ისე მოეჩვენა, თითქოს სულთმობრძავს შეეხო, და იმის გაფიქრებამ, ვაითუ, უკანასკნელად ვუყურებ ჩემს ერთგულ, მამაცურად ჭირგამოვლილ დასო, გადააწყვეტინა, კიდევ ერთხელ ეცადა მისი დამშვიდება.

- პირობას გაძლევ, მე და შაგერსტრიომი მფარველობას გავუწევთ რომელიუსს.

ო, როგორი სიხარულით გაებადრა სახე ავადმყოფს! შარლოტას ხელი თავისკენ მოიზიდა და ზედ დაეკონა.

შემდეგ ბალიშზე გადაწვა. თვალი დახუჭა და სულ მალე მშვიდ ძილს მიეცა.

„ასეც ვიცოდი, - გაიფიქრა შარლოტამ, - რიკარდის ბედი აწუ-ხებდა. ვიცოდი, არ შეეძლო სიყვარულის შეძულება“.

II

ათ საათს გადაცილებული იყო, როცა შარლოტა მარია--ლუიზასგან დაბრუნდა, ჭიშკართან მოახლესა და მზარეულ ქალს შეხვდა, ისინიც შინ ბრუნდებოდნენ, მაგრამ სოფლიდან კი არა, ქარხნიდან მოდიოდნენ.

მაშინვე დაიწყეს მოყოლა, რომ პიეტისტების საკრებულოს ლოცვაზე იყვნენ ჰოლმის ქარხანაში. შეკრება ძველ სამჭედლო-ში გაიმართა. იმდენი ხალხი დაესწრო, ტევა არ იყო, და რომ მა-გისტრმა ეკენსტედმაც ილაპარაკა. მარტო იქაურები, ფაბრიკის ხალხი და სოფლელები კი არა, სხვა ადგილებიდანაც ბევრი იყო თურმე.

შარლოტას უნდოდა, ეკითხა, ადრინდელივით თუ ოქროპი-რობდა კარლ-არტურიო, მაგრამ მსახურმა ქალებმა თქმა არ აცალეს.

- მაგისტრმა ეკენსტედმა თითქმის სულ თქვენზე ილაპარაკა, ფროიკენ შარლოტა, - უთხრა მოახლემ, - ასე თქვა, მეცა და სხვებიც უსამართლოდ მოვექეცით ფროიკენს. ფროიკენი სუ-ლაც არ არის პირმოთნე და თვალთმაქცი, ეს ყველამ უნდა იცო-დესო.

- ისიც გვიამბო, თვითონ რა უთქვამს წაჩხუბების დროს, და ისიც, თქვენ რა გითქვამთ, ფროიკენ, - უთხრა მზარეულმა ქალ-მა, - უნდოდა, ჩვენ ყველაფერი გაგვეგო, რაც მოხდა. მაგრამ მე

მგონი, არ ღირდა ამის თქმა. ჩემ წინ ორი ყმაწვილი იჯდა, ისე იცინოდნენ, ლამის სკამებიდან გადმოცვივდნენ.

- სხვებიც იცინოდნენ, - ჩაერია ლაპარაკში მოახლე, - მაგრამ ისინი სულ ქერქეტა ხალხი იყო. სხვებს კი ძალიანაც მოეწონათ მისი ლაპარაკი. მერე ის გვითხრა, რომ ჩვენ ყველამ უნდა ვილოცოთ თქვენთვის, ფროიკენ შარლოტა, რადგან თქვენ სახიფათო გზას ადგახართ. თქვენ ხომ მდიდარ კაცს მიჰყვებით ცოლად! იესოს ნათქვამი გაგვახსენა: „რამეთუ მდიდარი ძნელად შევიდეს სასუფეველსა ცათასა...“ რატომ მიბრძანდებით, ფროიკენ?

შარლოტას ხმა არ ამოუღია, ისე გატრიალდა, თითქოს ვიღაც მისდევსო, სწრაფად შევარდა სახლში, სულმოუთქმელად აირბინა კიბე და თავის ოთახში ჩაიკეტა. სინათლე არც კი აუნთია, ისე გაიხადა ტანსაცმელი, მერე დიდხანს თვალმოუხუჭავად, გაუნძრევლად იწვა საწოლში და წყვდიადს მისჩერებოდა.

- ყველაფერი გათავდა, - ბუტბუტებდა იგი, - კარლ-არტურმა დაასამარა სიყვარული.

ადრე კარლ-არტური ამას ვერ ახერხებდა. გულს დაუკოდავდა შარლოტას, აბუჩად აიგდებდა, ცილს დასწამებდა, მიწასთან გაასწორებდა, მაგრამ ქალი მაინც უძალიანდებოდა, კარლ--არტურის ერთი უბრალო თბილი შემოხედვაც არ ჰქონია სანუგეშებლად, მაგრამ მაინც ებღაუჭებოდა სიცოცხლეს. ამის შემდეგ კი სიკვდილის მეტი რაღა დარჩენია. შარლოტა თავს ეკითხებოდა, ის, რაც ახლა მოიმოქმედა კარლ-არტურმა, რატომ გახდა უფრო ძნელი ასატანი, ვიდრე ყველაფერი ადრინდელიო. ვერ აეხსნა, მაგრამ ის კი იცოდა, რომ სწორედ ასე იყო. კარლ--არტურმა, რასაკვირველია, კეთილი განზრახვით გააკეთა ეს, შარლოტას ღირსების აღდგენა სწადდა. მან ის თქვა, რაც სინ-

დისმა უკარნახა, მაგრამ სასიკვდილო ლახვარი ჩასცა მის სიყვარულს.

და უცებ საშინელი სიცარიელე იგრძნო! წარმოგიდგენიათ, ახლა აღარავინ ჰყავს საოცნებო, აღარავინ ჰყავს მოსანატრებელი! როცა გატაცებით რომანს წაიკითხავს, წიგნის გმირს კარლ-არტურს აღარ მიამსგავსებს. როცა სიყვარულის სევდიან მუსიკას მოისმენს, ვეღარ გაიგებს, რადგან მისი სული აღარ გამოეხმაურება ამ მუსიკას.

როგორღა დატკბეს ყვავილების, ფრინველების, ბავშვების სილამაზით, თუ სიყვარული გამოეთხოვა?

შაგერსტრიომთან ქორწინება დაუსაბამო, უკიდეგანო უდაბნოდ მიაჩნდა. სიყვარული რომ მაინც დარჩენოდა, ეს აუვსებდა სულს. ამიერიდან კი უცხო სახლში მცხოვრებს სულშიც სიცარიელე ექნება და ირგვლივ სიცარიელე დაისადგურებს.

პოლკოვნიკის ცოლი მოაგონდა. ახლა კი მიხვდა შარლოტა, რამაც გააცეცხლა იგი, რატომ აღებეჭდა სახეზე მკაცრი, მრისხანე გამომეტყველება. ალბათ, ისიც იმას ფიქრობდა, რომ კარლ--არტურმა დაასამარა მისი სიყვარული.

მერე პოლკოვნიკის ცოლიდან შაგერსტრიომზე გადაიტანა ფიქრი. უკვირდა და ვერ მიმხვდარიყო, ისეთი რა დაინახა იმ მანდილოსანმა მასში, რომ მისი შვილობა ინატრა. ლიტონი სიტყვა როდი უთქვამს ბეატას უბრალო ზრდილობისთვის. რაღაც აზრი ჰქონდა მის ნათქვამს.

მიხვდა, სულ მალე მიხვდა შარლოტა ბეატა ეკენსტედის სიტყვების აზრს. პოლკოვნიკის ცოლისთვის ცხადი შეიქნა, რომ შაგერსტრიომს შეეძლო სიყვარული. კარლ-არტურს კი არ შეეძლო. შაგერსტრიომს შეუძლია სიყვარულიო... შარლოტას უნდობლად ჩაეცინა. ნუთუ შაგერსტრიომს უფრო შეუძლია სიყვარული, ვიდრე კარლ-არტურს?

არადა, რამდენი სისულელე ჩაიდინა ხელის თხოვნისას, ნიშნობის გამოცხადებისას. ჰო, მაგრამ პოლკოვნიკის ცოლი უფრო გულთამხილავია, ვიდრე სხვა ვინმე. შარლოტა მიხვდა, რომ შაგერსტრიომი ვერასოდეს შეძლებდა დაესამარებინა იმ ადამიანის სიყვარული, ვისაც იგი უყვარდა.

- სიყვარულის დასამარება საშინელი ცოდვაა, - წაიჩურჩულა შარლოტამ.

ახლა იმაზე დაიწყო ფიქრი, იქნებ მოფიქრებულად, წინასწარი განზრახვით მოიქცა კარლ-არტური ასეო, ხუთ წელიწადს ხომ მისი საქმრო იყო და უნდა სცოდნოდა, რა საშინელ ტკივილს მიაყენებდა იმით, რომ საქვეყნოდ გამოიტანა მისი სიყვარული და დაცინვისა და უბოდიშო ცნობისმოყვარეობის საგნად აქცია. ეგებ თეა სუნდლერმა წააქეზა, რომ საბოლოოდ ჩამოეცილებინა შარლოტა? ნუთუ აქამდე კიდევ ვერ მოიოხა გული, აკი უკვე დააშორა კარლ-არტურს და აიძულა სხვისთვის მიეცა ცოლქმრობის პირობა? ნუთუ აუცილებელი იყო მისთვის, ასეთი მომაკვდინებელი შეურაცხყოფა მიეყენებინა შარლოტასთვის?

მაგრამ ახლა მისთვის თითქმის სულერთი იყო, რომელი მათგანი იქნებოდა დამნაშავე. ამწუთას ერთნაირად სძაგდა ორივე.

ერთხანს კიდევ ასე იწვა უილაჯოდ ბრაზმორეული, დროდადრო ცრემლი გადმოუგორდებოდა ლოყებზე და ბალიშს უსველებდა.

მაგრამ შარლოტას ძარღვებში ძველთაძველი, კეთილშობილური შვედური სისხლი უჩქეფდა, ხოლო სული კი აღსავსე კეთილშობილებითა და სიამაყით, დამარცხებას ვერ ურიგდებოდა და ურყევად მიილტვოდა ახალი ბრძოლისკენ.

შარლოტა საწოლში წამოჯდა და ძალუმად შემოჰკრა მუშტად შეკრული ხელები.

- ერთი კი ნამდვილია, - წარმოთქვა მან, - უბედური ცოლი არ ვიქნები. ამგვარ სიამოვნებას არამც და არამც არ მივანიჭებ მათ!

და ამ კეთილი განზრახვით ჩაეძინა კიდეც. მხოლოდ რვა საათზე გაეღვიძა, როცა პასტორის ცოლი შემოვიდა მის ოთახში და ყავა მოართვა. რეგინა ფორსიუსს ლანგარი ყვავილებიათ მოერთო, ნიშნად იმისა, რომ ღირსეულად დაწყებულიყო ეს საზეიმო დღე.

ქორწილის დღე

I

შაგერსტრიომმა შარლოტას თხოვნა შეუსრულა და კვირას ორი საათისთვის პასტორთან გაემგზავრა. მდიდარი ქარხნის მეპატრონე თავის დიდ ლანდოში იჯდა. ცხენები ბზინავდნენ, კაზმულობა კრიალებდა, მეეტლე და ლაქია თავით ფეხებამდე მორთულიყვნენ, ჟილეტებზე ვარდებიც კი დაებნიათ. კოფოზე წინსაფარი მოეხსნათ და ყველას შეეძლო მეეტლის ცხენირმის ტყავის შარვლისა და პრიალა ჩექმების დანახვა. პატრონი მათსავით არ იყო გამოპრანჭული, მაგრამ ისიც საზეიმოდ გამოწყობილიყო: საყელოზე ჟაბო, მაჯებზე - მანჟეტები, თეთრი ჟილეტი, კარგად მორგებული ნაცრისფერი ფრაკი, საღილეში - ყვავილი. ერთი სიტყვით, ვინც მის ეკიპაჟსა და თვითონ მას დაინახავდა, უნებურად გაიფიქრებდა: „ღმერთო ჩემო! ნამდვილად ცოლის სათხოვად მიდის ქარხნის მეპატრონე შაგერსტრიომიო!“

შაგერსტრიომს ისე მეგობრულად შეხვდნენ პასტორის ოჯახში, რომ გული აუჩუყდა. სიმართლე უნდა ითქვას, ძველ კარ-- მიდამოს იმ შფოთიან დღეებში მეტად პირქუში იერი ჰქონდა. ძნელი სათქმელია, რით ვლინდებოდა ეს, მაგრამ დაკვირვებულ თვალს არაფერი გამოეპარებოდა.

დღეს კი თეთრი ჭიშკარი, ისევე როგორც წინა ოთახის კარი, ყურთამდე გამოეღოთ. ზედა სართულის ფანჯრების ფარდები, რომლებიც ბოლო ხანებში მუდამ ჩამოშვებული იყო, ახლა აეწიათ და მზის სხივები ისე თამამად აღწევდნენ ოთახებში, რომ შალითებისა და ნოხების გამოხუნებას არაფერი უდგა წინ, მაგრამ ცვლილება განა მხოლოდ ამით იგრძნობოდა. იმ დღეს ყვავილებიც განსაკუთრებულად ღაჟღაჟებდნენ, ჩიტებიც განსაცვიფრებელი მხიარულებით ჭიკჭიკებდნენ.

კოხტა მოახლესთან ერთად პასტორი და მისი ცოლი პარმაღზე გამოსულიყვნენ შაგერსტრიომის შესაგებებლად.

ეხვეოდნენ შაგერსტრიომს, ლოყაზე კოცნიდნენ, მხარზე ხელს ურტყამდნენ, ზედმეტად არ ებოდიშებოდნენ, უბრალოდ მიმართავდნენ, შენობით. ისე ექცეოდნენ, როგორც საკუთარ შვილს. შაგერსტრიომმა, რომელმაც თეთრად გაათენა ღამე იმაზე ფიქრში, როგორ მოქცეულიყო მეორე დღეს, ისეთი შვება იგრძნო, თითქოს კბილის ტკივილმა გაუარა.

შაგერსტრიომი პასტორის ოთახში შეიყვანეს, სადაც უკვე ელოდა შარლოტა. ბზინვარე თეთრი აბრეშუმის კაბაში საოცრად მომხიბლავი ჩანდა გოგონა, თუმცაღა, კაბა ცოტა მოდიდან გადასული კი იყო, ადვილად მიხვდებოდა კაცი, რომ შარლოტას სხვა უკეთესი ჩასაცმელი არ ჰქონდა და პასტორის ცოლმა ეს კაბა იმ დიდ ზანდუკში გამოძებნა, სხვენში რომ ედგა. კაბა მოკლე იყო, ამოჭრილი გულისპირით, წელი იღლიებთან ჰქონდა გამოყვანილი, მაგრამ ძალიან კი შვენოდა. ეტყობოდა, ვერავინ მოიცალა, რომ გვირგვინი ან ყვავილწნული მაინც მოემზადებინათ შარლოტასთვის თავსამკაულად, მაგრამ პასტორის ცოლი მიხმარებოდა, თმა ლამაზად დაევარცხნა და შიგ კუს ბაკნის დიდი სავარცხელი ჩაებნია. ასე დაყენებული თმა ძალიან უხდებოდა მის ტანსაცმელს. ყელს უმშვენებდა ყალბი მარგალიტების

რამდენიმე ასხმა, რომლებიც ლამაზი შესაკრავით დაემაგრებინა. ასეთივე სამაჯური ეკეთა ხელზე. მთელი ეს მორთულობა თუმცა სულაც არ იყო მდიდრული, მაგრამ ძალიან ამშვენებდა შარლოტას - ძველებური პორტრეტიდან გადმოსულს ჰგავდა.

როდესაც შაგერსტრიომი დაიხარა, რათა ხელზე ეკოცნა მისთვის, შარლოტამ გაიღიმა და ოდნავ შემკრთალი ხმით უთხრა:

- კარლ-არტური ეს-ესაა კარლსტადში წავიდა დედამისთან შესარიგებლად.

- ღირსპატივსაცემო ფროიკენ, მხოლოდ თქვენ შეგეძლოთ ასეთი სასწაულის მოხდენა, - მიუგო შაგერსტრიომმა.

ქარხნის მეპატრონე მიხვდა, შარლოტამ ახალგაზრდა ეკენსტედი მხოლოდ იმით დაიყოლია დედამისთან წასვლაზე, რომ დათანხმდა ცოლად გაჰყოლოდა მას, შაგერსტრიომს. მხოლოდ ის არ იცოდა, როგორ მოეწყო ყოველივე ეს, თუმცა, სიმართლე ითქვას, სულაც არ იყო აღფრთოვანებული მთელი ამ ამბით. გასაგებიცაა, ცხადია, აღტაცებული იყო გოგონას თავგანწირვით, სულით და გულით უნდოდა პოლკოვნიკის ცოლი შვილს შერიგებოდა, მაგრამ მაინც... ერთი სიტყვით, მას სურდა, შარლოტას საქორწინო გვირგვინი დაედგა თავზე მისი გულისთვის და არა ახალგაზრდა ეკენსტედის ხათრით.

- ამ საქმეში ხელი ურევია „მავნე გავლენისა“, რომლის შესახებაც მწერდით, - განაგრძო შარლოტამ, - „მავნე გავლენამ“ მოითხოვა ჩემი გათხოვება და ამ კარ-მიდამოდან ჩემი წასვლა, თანაც დაუყოვნებლივ. ნაკლები არ იკმარა. იგი შეუწყალებელი იყო.

შაგერსტრიომს ყურს მოხვდა „იგი შეუწყალებელი იყო“. მაშასადამე, შარლოტა აუტანლად იტანჯება, მე რომ მომყვება ცოლადო, გაიფიქრა.

- მე დიდად ვწუხვარ ამას, კეთილო ფროიკენ...

შარლოტამ სიტყვა შეაწყვეტინა.

- მე მქვია შარლოტა, - უთხრა და ოდნავ თავი დაუკრა, - შენ კი ჰენრიკს დაგიძახებ.

შაგერსტრიომმა მადლობის ნიშნად თავი დახარა.

- მე შენ ჰენრიკს დაგიძახებ, - განაგრძო შარლოტამ ათრთოლებული ხმით, - ვინაიდან გუმანით ვხვდები, შენი განსვენებული ცოლი გუსტავს გეძახდა. მე მინდა, ეს სახელი მხოლოდ მასთან იყოს დაკავშირებული. მიცვალებულთ ნუ წავართმევთ იმას, რაც მათ კანონიერად ეკუთვნით.

შაგერსტრიომი უაღრესად განცვიფრებული იყო. მისი აზრით, ეს სიტყვები იმის მანიშნებელი იყო, რომ შარლოტას ისე აღარ სძულდა, როგორც ერებრუში მათი უკანასკნელი შეხვედრისას. ამან ერთბაშად გაამხნევა, გაუბედაობა და უნდობლობა სისხლსა და ხორცში რომ არ ჰქონოდა გამჯდარი, სავსებით ბედნიერად ჩათვლიდა თავს.

შარლოტას სურდა, პასტორის სამუშაო კაბინეტში დაეწერათ ჯვარი, სადაც იმ წელიწადს ბევრმა იქორწინა, და ამის დასტური სთხოვა შაგერსტრიომს.

- მართალია, პასტორის ცოლს უნდოდა, დიდ დარბაზში დაგვეწერა ჯვარი, მაგრამ მგონი, აქ უფრო საზეიმო გამოვა.

საქმე კი სრულიად სხვაგვარად იყო. შარლოტამ იმ დილით გულითადი საუბრით ისე შეიყოლია თავისი მოხუცი მეგობრები და მფარველები, პასტორის ცოლს დროც კი აღარ ეყო, რომ დაესუფთავებინა და დაელაგებინა სასტუმრო ოთახი. რეგინას იმის საშუალებაც არ მიეცა, ჯვარდაწერილების გასამასპინძლებელი სადღესასწაულო საუზმის მომზადებისთვის მიეხედა.

ახალგაზრდა ქარხნის მეპატრონემ სრულიადაც არ იუარა კაბინეტი, და ჯვრისწერაც მაშინვე ჩატარდა. შაგერსტრიომის მე-

ეტლე და ლაქია, მეიჯარადრე ცოლ-ქმარი და პასტორის კარ--მიდამოს მსახურნი მოწმეებად იხმეს ამ ცერემონიალზე.

მოხუცი პასტორი ხმამაღლა კითხულობდა, რაც ჯერ არს, ფანჯრის იქით კი მხიარულად ჟღურტულებდნენ ბეღურები და სკვინჩები, თითქოს იცოდნენ, რაც ხდებოდა და თავიანთ საქორწინო ჰიმნებს უგალობდნენ ჯვარდაწერილთ.

ყველაფერი რომ დასრულდა, შაგერსტრიომი ერთხანს დაბნეული იდგა, არ იცოდა რა ექნა, მაგრამ ამ დროს შარლოტა მიუბრუნდა და ტუჩები მიუშვირა საკოცნელად.

მართლაც რომ თავგზას უბნევდა ეს ქალი. ყველაფერს მოელოდა მისგან - ცრემლებსაც, უხმო მწუხარებასაც, მედიდურ ქცევასაც, ასეთ გულმხიარულ მორჩილებას კი არა.

„დარწმუნებული ვარ, ჩვენი შემყურენი ფიქრობენ, რომ სწორედ მე ვიწერ ჯვარს ძალდატანებით და არა შარლოტა“, - გაიფიქრა მან.

შაგერსტრიომის აზრით, შარლოტა მხოლოდ იმიტომ მოიქცა ასე, რომ სიამაყემ დასძლია და უნდოდა კმაყოფილი და ბედნიერი სჩვენებოდა ხალხს. „მაგრამ რა ოსტატურად თვალთმაქცობს!“ - გაიფიქრა ცოტა სინანულით და თითქოს აღტაცებითაც კი.

შემდეგ, როცა ოთხივენი საზეიმოდ გაწყობილ სუფრასთან საუზმეს შეექცეოდნენ, რომელიც, პასტორის ცოლის თქმით, მხოლოდ განგებას თუ შეეძლო გაემზადებინა, და მაინც ჩინებული გამოვიდა, შაგერსტრიომმა სცადა, დაეძლია მელანქოლია. ცოლ-ქმარ ფორსიუსებს სულაც არ უკვირდათ, რომ იგი უგუნებოდ იყო. ცდილობდნენ, როგორმე გამოეცოცხლებინათ და ბოლოს და ბოლოს, თითქოს შეძლეს კიდეც.

ყოველ შემთხვევაში, ის კი მოახერხეს, რომ აელაპარაკებინათ. შაგერსტრიომი უამბობდა უცხო მხარეებში მოგზაურობის

ამბებს, შვედეთში სამთამადნო საქმის გაუმჯობესებისა და იმ სიახლეთა დანერგვის შესახებ, რომლებიც ინგლისსა და გერმანიაში ენახა.

მის თვალს არ გამოეპარა, რომ შარლოტა დიდი ინტერესით უგდებდა ყურს. თვალები ფართოდ გაეხილა და მთლად სმენად ქცეულიყო, რომ არც ერთი მისი სიტყვა არ გამორჩენოდა.

შაგერსტრიომმა ესეც ეშმაკურ თამაშად ჩათვალა. „ამ მოხუცი ხალხის გულისთვის აკეთებს ამას, - გაიფიქრა მან, - აბა, როგორ შეიძლება ისეთი რამეები აინტერესებდეს, რისიც არაფერი გაეგება. უნდა დააჯეროს პასტორი და მისი ცოლი, თითქოს ვუყვარვარ. ეგ არის და ეგ“.

ასეთი ახსნა ადრინდელზე უფრო მოეწონა და გამართლებულად მიიჩნია. ის კი ესიამოვნა, რომ მის ცოლს აგრერიგად უყვარდა და პატივს სცემდა ამ შესანიშნავ მოხუცებს.

საუზმის დამთავრებისას მაინც ცუდ გუნებაზე დადგნენ ფორსიუსები. მოხუცები ვერ ურიგდებოდნენ იმ აზრს, რომ რამდენიმე წუთის შემდეგ შარლოტა სამუდამოდ წავიდოდა მათგან. შარლოტა, ეს სიცოცხლით აღსავსე, გიჟმაჟი და ანცი, ენაკვიმატი და გულფიცხი არსება, შარლოტა, რომელიც ზოგჯერ მართლაც აუტანელი იყო, მაგრამ რომელსაც ყველაფერს აპატიებდნენ, რადგან კეთილი და მოსიყვარულე გული ჰქონდა, სამუდამოდ მიდიოდა მათი ოჯახიდან. როგორ დაცარიელდება აქაურობა, რა უხალისო და მოსაწყენი გახდება მათი ცხოვრება!

- კიდევ კარგი, ხვალ ისევ მოსასვლელი ხარ შენი ბარგის ჩასალაგებლად, - უთხრა პასტორის ცოლმა.

შაგერსტრიომი მიხვდა, მოხუცები იმით ინუგეშებდნენ თავს, რომ შარლოტა შორს არ იქნებოდა მათგან და დროდადრო მოინახულებდა. მაგრამ, ისიც შეამჩნია, რომ ჩაიფერფლნენ,

წელში მოიხარნენ, ნაოჭებიც უფრო დაეტყოთ სახეზე. ამიერიდან აღარავინ ეყოლებათ გვერდით, რომ სიბერე შეუმსუბუქოს.

- ნეტავ იცოდე, როგორ გვიხარია, ჩემო შვილო, - უთხრა პასტორმა, - რომ ასეთი შესანიშნავი სახლ-კარის დიასახლისი ხდები, და რომ კარგი ქმარი გეყოლება, მაგრამ მაინც... ხომ გესმის, ძალიან ვიგრძნობთ უშენობას!

ცოტაც და, მოხუც პასტორს ცრემლი მოერეოდა, მაგრამ ცოლი დროზე მიეშველა; მან შაგერსტრიომს უამბო, მისმა ბებრუცუნა ქმარმა ერთხელ რომ უთხრა, რას მოიმოქმედებდა, უცოლო და თანაც ორმოცდაათი წლით ახალგაზრდა რომ ყოფილიყო. უნებურად ყველას სიცილი წასკდა და სევდიანი ფიქრებიც განქარდა.

როდესაც ლანდო პარმაღთან ჩამოდგა და შარლოტა პასტორის ცოლთან მივიდა გამოსამშვიდობებლად, მოხუცმა ქალმა მეზობელ ოთახში გაიყვანა და ჩურჩულით უთხრა:

- დღეს თვალი გეჭიროს შენს ქმარზე, ჩემო მეგობარო. იცოდე, რაღაც აქვს ჩაფიქრებული. თვალი არ მოაცილო!

შევეცდებიო, უპასუხა შარლოტამ.

- იცი რა, დღეს მშვენივრად გამოიყურება, შენიშნე? ძალიან მოუხდა ლამაზი ტანსაცმელი.

- მე არასოდეს დამიწუნებია, - შეესიტყვა გოგონა, - რაღაც აქვს ვაჟკაცური. ნაპოლეონს ჰგავს.

- ნუთუ?! - წამოიძახა პასტორის ცოლმა, - ეგ ერთხელაც არ მომსვლია თავში. თუმცა, იცი რა, მთავარია, შენ გეგონოს ეგრე.

როდესაც წასასვლელად გამზადებული შარლოტა პარმაღზე გამოვიდა, შაგერსტრიომმა დაინახა, რომ იმავე ქუდსა და მანტილიაში იყო გამოწყობილი, რაშიც პირველად ნახა ამ ერთი თვის წინ. მაშინ შაგერსტრიომს ეგონა, ასეთი ჩაცმულობა ძალიან ღარიბული იყო და არ უხდებოდა. ახლა კი არა მარტო

მოეწონა, პირდაპირ აღტაცებული დარჩა. და უცებ, მიუხედავად ყველაფრისა, უსაზღვრო სიხარულით აღივსო იმის გაფიქრებისას, რომ ეს ნორჩი არსება მას ეკუთვნოდა და სახლში წაჰყვებოდა. იგი მივიდა შარლოტასთან, რომელიც ვეღარ შორდებოდა მოხუც ცოლ-ქმარს, თავისი ღონიერი მკლავები შემოხვია, აიტაცა და ეკიპაჟში ჩასვა.

- ეგრე, სწორედ ეგრე უნდა! - გაიძახოდნენ პასტორი და მისი ცოლი. ამასობაში ლანდომ ყვავილნარს შემოუარა და ალაყაფიდან გავიდა.

II

განა საჭიროა იმის თქმა, რომ ახალგაზრდა ქარხნის მეპატრონემ მაშინვე ინანა თავისი საქციელი. არ უნდა დაეშინებინა შარლოტა. თუ კვლავაც ასე მოიქცევა, შარლოტა იფიქრებს, რომ ეს კომედია ნამდვილ ცოლქმრობად მიაჩნია და ქმრის უფლებით ისარგებლებსო.

შარლოტა მართლაც ოდნავ დაფრთხა, შაგერსტრიომმა შეამჩნია, რომ მისგან შორს ეტლის კუთხეში მიიყუჟა, მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა ასე. როდესაც სოფელში შევიდნენ, შარლოტა გვერდით უჯდა, კისკისებდა და ტიკტიკებდა.

ჰო, რა თქმა უნდა, სანამ სოფლის ქუჩა არ მოთავებულა, შარლოტა ზრდილობის გულისთვის იქცევა ასე. მაგრამ, აი, შარაგზაზე რომ გადაუხვევენ, სადაც ვერავინ დაინახავს მათ, ალბათ, სულ სხვაგვარად მოიქცევა, მაგრამ ასე არ მოხდა. შარლოტა მთელი გზა მხიარულობდა და გაუთავებლად ლაპარა-

კობდა, თანაც განგებ ისეთ რამეებზე ემუსაიფებოდა, რომ შაგერსტრიომს დაენახა, რაოდენ სერიოზულად უყურებდა ამ ჯვრისწერას.

ჯერ იყო და, ცხენებზე ჩამოაგდო სიტყვა. პირველ ყოვლისა, მოიწადინა ყველაფერი შეეტყო ლანდოში შებმულ ოთხ ცხენზე. როდის იყიდეო, ასაკი თუ იციო მათი, რომელს რა სახელი ჰქვიაო, საგვარეულო ნუსხას თუ იცნობო? მფრთხალები ხომ არ არიანო, თავის აწყვეტა ხომ არ იციანო? მერე „ტბის აგარაკის“ სხვა ცხენებიც მოიკითხა. ნეტავ თუ გყავს იქ კარგად გახედნილი ცხენები, უნაგირები, ქალის ინგლისური უნაგირი თუ მოგეძევებაო. სინანულით გაიხსენა პასტორის ცხენები. ახლა მთლად დაძაბუნდებიან, აბა, უჩემოდ ვინ მოიფიქრებს, რომ აუცილებლად უნდა გაატარ-გამოატარონო. შაგერსტრიომმა ვეღარ მოითმინა და ხუმრობით შენიშნა:

- ერთი ფრუ ამას წინათ დილიჟანსში მიამბობდა, მავანმა და მავანმა ფროიკენმა ლამის სიქა გააცალა თავისი კეთილისმყოფლის საბრალო, ყოვლად უდანაშაულო ცხენებსო.

- რაო, რაო? - წამოიძახა შარლოტამ, მაგრამ მაშინვე მიუხვდა გადაკრულ სიტყვას და გულიანად აკისკისდა.

უცნაური თვისება აქვს სიცილს; და აი, ჩვენი ჯვარდაწერილებიც ერთბაშად ძველ, კეთილ მეგობრად აქცია. უცებ გაქრა ყოველგვარი დაძაბულობა, მეტისმეტი თავშეკავებულობა.

შარლოტამ ისევ განაგრძო გამოკითხვა. არის თუ არა „ტბის აგარაკის“ მამულში სახელოსნოები? რამდენი ქურაა სამჭედლოში, რა ჰქვიათ მჭედლებს, მათ ცოლებს, მათ შვილებს? ყურმოკრულად იცის, რომ ხეტყის სახერხიც უნდა იყოს იქ. მართალია? ჰოო? წისქვილიცაა? რამდენი დოლაბია? რა ჰქვია მეწისქვილეს?

ეს ნამდვილი გამოცდა იყო. შაგერსტრიომს ლამის თავბრუ დაესხა ამდენი შეკითხვისგან. ზოგჯერ უჭირდა კიდეც ზუსტი პასუხის გაცემა. მაგალითად, სულაც არ იცოდა, რამდენი ცხვარი ჰყავდა, წარმოდგენაც არ ჰქონდა, რამდენი მეწველი ძროხა იყო ბაკში და რამდენს იწველიდნენ ისინი.

- ეს მმართველის საქმეა, - სიცილით შეესიტყვა იგი.

- ეტყობა, წარმოდგენაც კი არაფერზე გქონია, - გამოუცხადა შარლოტამ, - დარწმუნებული ვარ, სახლში ყველაფერი არეულ--დარეულია. გვარიანი ჯაფა მომიწევს, სანამ ყველაფერს მოვაწესრიგებ.

მაგრამ ასეთი პერსპექტივა შარლოტას თითქოს სულაც არ აწუხებდა, შაგერსტრიომმა კი აღიარა, რომ დიდი ხანია ოცნებობს ნამდვილ ოჯახურ ტირანზე, ისეთ მკაცრ დიასახლისზე, როგორიცაა, ვთქვათ, პასტორის ცოლი რეგინა ფორსიუსი.

როცა შაგერსტრიომმა მმართველი ახსენა, შარლოტას აზრად მოუვიდა, ეკითხა, ყოველდღიურად რამდენი კაცი ჯდება საჭმელად შენს სუფრაზე, როგორაა აწყობილი საოჯახო მეურნეობა, რამდენი მოსამსახურე ქალია სახლში, რამდენი ლაქია? გყავს თუ არა ეკონომი ქალი? რამე სარგებლობა თუ მოაქვსო?

არც ბაღი დავიწყებია; როცა შეიტყო, რომ მამულში ორანჟერეაც და ვენახის სათბურებიც ჰქონია შაგერსტრიომს, ისევე გაიკვირვა ეს, როგორც საფერხე ცხენების ამბავი.

ადვილი გასაგებია, რომ დრო შეუმჩნევლად გადიოდა. როცა „ტბის აგარაკისკენ“ მიმავალ ტყის გზაზე გადაუხვიეს, შაგერსტრიომმა გაიფიქრა, რომ ორი მილი, რომელიც მის მამულს სოფლიდან აშორებდა, ახლა უფრო მალე გაილია, ვიდრე სხვა დროს. მაგრამ მაინც ფრთხილობდა, ნათელი იმედით არ ავსებოდა გული. „კარგად მესმის მისი, - ეუბნებოდა თავის თავს, -

ცდილობს, შეურიგდეს გარდაუვალობას. არ უნდა სევდიან ფიქრებს აჰყვეს და ამიტომ ლაპარაკით ირთობს თავს“.

„ტბის აგარაკზე“ იმ დღეს ერთი რუზრუზი იყო.

ქარხნის მეპატრონის ამბავი არავინ იცოდა. პასტორის შიკრიკი შაბათს სამ საათზე მოვიდა, მაგრამ შაგერსტრიომს სიტყვაც არ დასცდენია არაფერზე. მხოლოდ გვიან საღამოს უცებ გაახსენდა, რომ საქორწინო ბეჭდები სჭირდებოდა, და მაშინვე აფრინა ქალაქში ერთ-ერთი ინსპექტორი, რომელსაც დაავალა, მძინარეც რომ ყოფილიყო, მაინც წამოეყენებინა ოქრომჭედელი, ეყიდა ბეჭდები და ზედ სახელები ამოეტვიფრა.

კიდევ კარგი, ინსპექტორს ენაზე არ დააკავდა ეს ამბავი და მალე ყველამ შეიტყო, რომ ხვალიდან ახალი ქალბატონი ეყოლებოდა „ტბის აგარაკს“. ამ ამბის გახმაურება მართლაც ბედნიერება იყო, თორემ აბა რა იქნებოდა, ინსპექტორს რომ წყალი დაეგუბებინა პირში. განა ეკონომი ქალი მოასწრებდა სასტუმრო ოთახების განიავებას, ავეჯისთვის შალითების მოხსნას, მტვრის გადაწმენდას? განა მებაღე მოასწრებდა ბილიკების დაგვასა და კვლების გამარგვლას? ან კი მსახურები მოასწრებდნენ ლივრეების გაწმენდას, ჩექმების, ცხენების აკაზმულობისა და ლანდოს გაპრიალებას? ქარხნის მეპატრონე რეტდასხმულივით დადიოდა და თავს ვერაფერს აბამდა. კამერდინერი იუჰანსონი იძულებული გახდა, თავისი გემოვნებით შეერჩია შესაფერისი ტანსაცმელი.

საბედნიეროდ, ამ ადგილ-მამულში ისეთი ხალხი იყო, ვინც იცოდა, როგორ უნდა დახვედროდა ახალგაზრდა ქალბატონს. მებაღესა და ეკონომ ქალს ის დროც კი ახსოვდათ, როცა „ტბის აგარაკის“ ქალბატონი ლაგმან ოლდენკრუნის ცოლი იყო და იცოდნენ ოჯახის ღირსების დაცვა.

ეკონომმა ქალმა მხოლოდ მოსაჩვენებლად ჰკითხა პატრონს, რას დაგვავალებთო, როცა იგი კვირა დილით კორსჩურკაში მიემგზავრებოდა. ასეთივე წინდახედულობა გამოიჩინა მებაღემაც. შაგერსტრიომს არც კი უფიქრია საზეიმო დახვედრაზე, მაგრამ ურიგო არ იქნებაო, თუ ფრუ სელბერგი პატარა საქორწილო სუფრას გაშლის, მებაღე კი ყვავილების თაღის გამართვას მოასწრებსო.

რაკი ამ გზით მოქმედების თავისუფლება მოიპოვეს, ეს შესანიშნავი ადამიანები მხოლოდ შაგერსტრიომის წასვლასღა ელოდნენ, რომ საქმეს შესდგომოდნენ მეფურად შეხვედრის მოსამზადებლად.

- ყველაფერი აწონ-დაწონეთ, ფრუ სელბერგ! - უთხრა მებაღემ, - ჩვენი ქალბატონი კეთილშობილი გვარის ჩამომავალია და იცის, რანაირი წესებია მდიდარ ოჯახებში.

- კი მაგრამ, ის ხომ პასტორის კარ-მიდამოში ცხოვრობდა და მეტი არაფერი, - შეესიტყვა ეკონომი, - ასე რომ, მგონი, ბევრი არაფერი გაეგება ამ საქმისა. თუმცა, ეს ხელს სულაც არ შეგვიშლის, ჩვენი შნო და ლაზათი დავანახვოთ.

- ნურც ასე იტყვი! - ახლა მებაღე შეესიტყვა ქალს, - ეკლესიაში მინახავს. სულაც არა ჰგავდა ჩვეულებრივ კომპანიონს. ნეტავ განახვათ, როგორ ეჭირა თავი, აი, ნახეთ, თუ ძველებურად არ გაუთქვას სახელი ამ ადგილ-მამულს. გული სიამით მევსება, როცა ამაზე ვფიქრობ.

- სულ არ მაინტერესებს მაგის გვარიშვილობა, - უთხრა ეკონომმა, - მე ის მიხარია, რომ სახლში ახალგაზრდა ქალბატონი იქნება. გაიმართება მეჯლისები, საღამოები და საშუალება მოგვეცემა, თავი ვისახელოთ. მომბეზრდა ყოველდღე სუფრის გაშლა კაცებისთვის, რომლებიც განურჩევლად ნთქავენ ყველაფერს და პირის გემოც არ იციან.

- ძალიან ნუ გიხარიათ! - გაიცინა მებაღემ, - ქალიშვილს, რომელიც წლების განმავლობაში პასტორის ცოლის, რეგინა ფორსიუსის, ხელქვეითადაა ნამყოფი, სხვისგან არ ესწავლება ოჯახური მარიფათიანობა.

მებაღეს საუბარი აღარ გაუგრძელებია, შებრუნდა და საქმეს მიაშურა. თუ გინდა, მოასწრო ყვავილების ოთხი თაღის გამართვა, და გარდა ამისა, კარ-მიდამოს შემოსასვლელის მორთვა ყვავილებისგან გამოყენებული ვენზელებით, გულხელდაკრეფილი ყოფნა და მასლაათი არას გარგებს.

და მაინც, ყველა საქმეს თავს ვერ მოაბამდა მებაღე, უამრავი თანაშემწე რომ არ გამოსჩენოდა. არ დაგვავიწყდეს, რომ კარ--მიდამოსა და ქარხანაში ერთი ზარ-ზეიმი იყო. ყველას უხაროდა, რომ დიდ სახლს ისევ ეყოლებოდა დიასახლისი, რომელსაც თავიანთ ჭირ-ვარამს გაუზიარებდნენ. კარ-მიდამოში დიასახლისს მეტი ფასი აქვს, ვიდრე თვით მეპატრონეს. იგი მუდამ შინაა, შეგიძლიათ მიხვიდეთ და დაელაპარაკოთ ბავშვებზე, საქონელზე. არც კი სჯეროდათ, რომ დღესვე ჩამოვიდოდა აქ.

ბავშვებმა მთელ ოლქს მოსდეს ეს ამბავი და საგულდაგულოდ გამოწყობილი ხელოსნები და მოიჯარადრეები ბატონის კარზე მოგროვდნენ ახალგაზრდა ცოლ-ქმრის სანახავად. მაგრამ ყველას, ვინც კი გაიჭაჭანებდა კარ-მიდამოში, მაშინვე დაასაქმებდნენ. აწყობდნენ თაღებს, გზის გასწვრივ ჰკიდებდნენ ალმებს, კარ-მიდამოს ადრინდელი მფლობელებისგან რომ შემორჩენოდათ. ეზოში ორი პატარა ქვემეხი გამოაგორეს სალუტის მისაცემად. ირგვლივ ტევა აღარ იყო, დარბოდნენ, ქოთქოთებდნენ, ზედ აწყდებოდნენ ერთმანეთს.

სამაგიეროდ, როცა ახალჯვარდაწერილები ექვს საათზე თავიანთ სამფლობელოში შემოვიდნენ, ყველაფერი მზად იყო.

პირველ თაღთან, რომელიც ტყის სიღრმეში აღემართათ, მხარზე უროგადადებული მჭედლები დახვდნენ, ტყის პირას გამართულ მეორე თაღთან მოიჯარადრენი და გლეხები მიესალმნენ ნიჩბების ქნევით; მესამე თაღთან, ხეივნის დასაწყისში რომ იდგა, მეწისქვილეები და მხერხავები მოგროვილიყვნენ და ვაშას გაიძახოდნენ; მეოთხე თაღთან, ზედ კარ-მიდამოს ჭიშკართან, მებაღემ, რომელსაც გარს ეხვივნენ თანაშემწეები, ახალდაქორწინებულთ შესანიშნავი თაიგული მიართვა. სახლის კართან კი უფროსი მმართველი, კანტორის მოსამსახურეები, ინსპექტორები, ეკონომი და მოახლეები მიესალმნენ მათ.

თუმცა კი არც ისეთი სანიმუშაო წესრიგი სუფევდა საზეიმო დახვედრისას, როგორც ამ აღწერის მიხედვით მოეჩვენებოდა კაცს. ხალხი მაშინაც განაგრძობდა მხიარულებას და ვაშას ძახილს, როცა ეტლი ჩაივლიდა მათი თაღების ქვეშ, ბავშვები ჟივილ-ხივილით მისდევდნენ ეკიპაჟს და ეს ცოტა აუბრალოებდა საზეიმო შეხვედრის ცერემონიალს. ქვემეხების სროლაც უდროო დროს გაისმოდა, მაგრამ საერთოდ ყველაფერი მაინც იმდენად ლამაზი და საზეიმო იყო, რომ თვით ლაგმანის ცოლს რომ გადმოეხედა ზეციური სასუფევლიდან და დაენახა, რაც დაბლა, მიწაზე, ხდებოდა, უეჭველად კმაყოფილი დარჩებოდა და იტყოდა, „ტბის აგარაკსა“ და მის მოხუც მებაღეს თავი არ შეურცხვენიათო.

შაგერსტრიომი, რომელსაც ფიქრადაც არ ჰქონია ასეთი ბრწყინვალე დახვედრა, გააბრაზა კიდეც მსახურების თვითნებობამ და ის იყო, უნდა აპილპილებულიყო, რომ ამ დროს შარლოტას შეხედა და მყისვე დაცხრა.

ქალიშვილმა მღელვარებისგან ხელები მომუჭა, ტუჩებზე ღიმილი დასთამაშებდა, თვალებზე სიხარულის ცრემლები უკიაფებდა.

- ოი, რა შესანიშნავია, - ჩურჩულებდა იგი, - რა შესანიშნავია! ყველაფერი - თაღები, ყვავილები, ალმები, ვაშას ძახილი, მისალმება, ქვემეხების სროლა - ყველაფერი ეს მის პასტივსაცემად იყო, ყველა უღიმოდა, ყველას უხაროდა მისი მოსვლა.

და ამ ქალს, რომელიც ბოლო ხანებში მიეჩვია, რომ ადამიანები ზიზღით შესცქეროდნენ და ერიდებოდნენ; რომელიც გრძნობდა, ყოველ მის ნაბიჯს ეჭვის თვალით უყურებდნენ და კიცხავდნენ; რომელიც სახლიდან გამოსვლას ვერ ბედავდა, რადგან შეურაცხყოფას მოელოდა, ახლა მადლიერების გრძნობა მოერია; გული აუჩუყა ასეთმა, მისი აზრით, დაუმსახურებელმა პატივმა.

არც გამკილავი სიმღერები ისმოდა, არც ჭინჭრისა და ძეძვის თაიგულები ჩანდა. არც დამცინავი ხითხითი. ყველანი სიხარულითა და აღტაცებით ესალმებოდნენ.

და მან ირწმუნა ადამიანებისა.

ამ წუთიდან შეიყვარა ეს ადგილიც და მისი მკვიდრნიც. ასე ეგონა, ახალ, ბედნიერ სამყაროში მოხვდა და აქ იცხოვრებდა სიკვდილამდე.

III

რა შეედრება ახალჯვარდაწერილი კაცის ბედნიერებას, როცა ახალგაზრდა ცოლი შეჰყვება თავის საუცხოოდ მორთულ--მოწყობილ სახლში. აი, ოთახებში დაატარებს, ხარობს მისი აღტაცებული შეძახილებით, რამდენიმე ნაბიჯით წინ უსწრებს, კიდევ ერთი დარბაზის კარს უღებს და ეუბნება, მე მგონი, არც აქაა

ურიგო, დედოფალი პეპელასავით დაფრინავს; ხან როიალთან მიირბენს და კლავიშებს გაეთამაშება, ხან სურათთან მიქროლდება, ხან კიდევ სარკისკენ გააპარებს მზერას, რათა დარწმუნდეს, რომ ლამაზია, ხანაც ფანჯარასთან მიიჭრება და მომხიბლავი სანახაობით ტკბება.

მაგრამ ცოლს უცებ ცრემლი წასკდება, აღელვებული ქმარი მწუხარების მიზეზს ეკითხება, მხურვალედ აღუთქვამს დახმარებას ყოველგვარ გასაჭირში.

და მერე სიხარულით აღივსება, როცა იგებს, ცრემლის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ ის ყოფილა, რომ მას თურმე სნეული და ჰყავს, რომელიც თავის უბადრუკ, ღარიბულ ოთახში წევს ახლა, მაშინ როდესაც თვითონ დაუმსახურებლად ტკბება ამ მშვენიერებით, მთელი ამ ფუფუნებით!

უსაზღვრო სიამაყეს გრძნობს, როცა ჰპირდება ცოლს, რომ ამიერიდან მას შეუძლია ყველაფერში შემწეობა გაუწიოს თავის დას; თუ უნდა, დღეს საღამოსვე შეიძლება, რომ...

არა, არა ოღონდ დღეს არა! ხვალამდეც შეიძლება მოცდა.

და რაკი ქალს ეს აღარ აქვს სადარდებელი, სახლის დათვალიერება გრძელდება.

- ამ სკამზე ჯდომა, ალბათ, ძალიან მოსახერხებელია, - ამბობს იგი, - აი, იქ კი, ფანჯარასთან, სწორედ ზედგამოჭრილი ადგილია სამუშაო მაგიდისთვის.

რასაკვირველია! ეს მაგიდა მართლაც მოსახერხებელი იქნება დიასახლისისთვის, პასუხობს ქმარი, და უცებ ახსენდება ის, რაც ლამის გულიდან გადაუვარდა. ეს ხომ ნამდვილი ქორწინება არ არის. ყველაფერი ეს ფიქციაა. ყველაფერი თამაშია. ზოგჯერ ეჩვენება, რომ ქალი მართალ ამბად მიიჩნევს ამ ქორწინებას, მაგრამ თვითონ მან ხომ კარგად იცის სინამდვილე.

ამიტომ ისღა დარჩენია, ჯერჯერობით არ შეიმჩნიოს და კიდევ რამდენიმე საათს განაგრძოს თამაში; თვითონაც ისევე გაერთოს, როგორც ეს ერთობა; გულში დაიმარხოს ნაღველი და დატკბეს ამ წუთების ბედნიერებით. ჰოდა, რადგან ასეა, შეუძლიათ კვლავაც ხალისიანად განაგრძონ სახლის დათვალიერება, სანამ ლაქია არ შემოსულა და არ მოუხსენებია, სადილი მზადაა.

ეს ხომ სიამოვნებაა, ხელი შესთავაზო ცოლს და დიდებულად გაწყობილ მაგიდასთან მიიწვიო. შენი სუფრა ხომ მართლაც მეფურია, თვალს იტაცებს ძველებური ფაიფური, ბზინვარე ბროლი, კრიალა ვერცხლი, რვა თავი კერძიც მეფური სადილია. სხვა რაღა გინდა, ადამიანო, გვერდით მიუჯექი ახალშერთულ ცოლს, პირი ჩაიტკბარუნე ნუგბარი საჭმელებით, შეექეცი შუშხუნა ღვინოს!

ისიამოვნე, დატკბი - გვერდით ხომ ისეთი ქალი გიზის, რომელიც ყოველივე იმის განსახიერებად მიგაჩნია, რაც ყველაზე ძვირფასია შენთვის ამქვეყნად, რომელიც გონიერიცაა და ალალიც, რომელმაც იცის მოქცევა, მაგრამ ამავე დროს თავნებაცაა, უშუალოც, რომელსაც შეუძლია ერთდროულად იტიროს კიდეც და იმხიარულოს, და რომელიც ყოველ წუთს ახალ და ახალ მომაჯადოებელ თვისებებს ამჟღავნებს!

და იქნებ ბედნიერებაცაა, რომ ასეთ ტკბობას სწორედ მაშინ მოგწყვეტენ, როცა სიგიჟემდე მისვლას აღარაფერი გიკლია. შემოდის მებაღე, რომელიც დღის ცერემონმაისტერის როლს ასრულებს, მოგახსენებთ, კალოზე ყველაფერი მზადაა საცეკვაოდ, მაგრამ ყველანი თქვენ გელოდებიანო. საქორწილო მეჯლისი ნეფე-დედოფალმა უნდა გახსნას.

ქორწილიც ამას ჰქვია! ან კი როგორ მოილხენ შენივე წრის ადამიანებთან, რომლებიც ან შურით დაგიწყებენ ყურებას, ან

კიდევ ქვეშ-ქვეშ იქირქლებენ. რა შეედრება ამ გულღია უბრალო ხალხთან ყოფნას, ლამის რომ გაღმერთებს და გეთაყვანება!

იმას რა სჯობს, პირველად შენ რომ ეცეკვები პატარძალს, მერე სხვა კავალრებსაც აცეკვებ მასთან და დატკბები იმის ყურებით, როგორ ტრიალებს სიხარულისგან სახეგაბრწყინებული მჭედლებთან თუ მეწისქვილეებთან, მოხუცებთან თუ ახალგაზრდებთან ერთად. ზიხარ და ნეტარებ, ნეტარებ და იხსენებ ძველებურ თქმულებებსა და ლეგენდებს ელფებზე, რომლებიც მოცეკვავეებში გაერევიან ხოლმე, რათა მერე ლამაზი ყმაწვილკაცები ტყეში შეიტყუონ! უმზერ და გგონია, ხორციელი კი არა, არამიწიერი ნაზი არსებაა.

შენ კი ზიხარ და შიშით ფიქრობ იმაზე, რომ წუთები მიქრიან და ბოლოს ხვდები, რომ ჟამმა დარეკა, რომ ქორწილის დღე მიიწურა და ისევ ისე იწყება ფუჭი, სევდიანი ცხოვრება.

IV

შარლოტას ერთთავად ყურში ედგა პასტორის ცოლის გაფრთხილება: „დღეს თვალი გეჭიროს შენს ქმარზე, ჩემო მეგობარო, იცოდე, რაღაც აქვს ჩაფიქრებული. თვალი არ მოაცილო!“

თვითონაც ამჩნევდა, რომ ხან თუ გულით ილხენდა შაგერსტრიომი, ხანაც უმიზეზოდ მოიღრუბლებოდა, ამიტომაც მანამდე არ იწყებდა ცეკვას, სანამ არ დარწმუნდებოდა, რომ იგი ისევ აქ, კალოზე, იყო. და როგორც კი კავალერი ცეკვას ამთავრებდა, მაშინვე ქმრისკენ გარბოდა და გვერდით მიუჯდებოდა ხოლმე.

ბუნებით დაკვირვებული ქალი იყო. კალოსკენ მიმავალს, საჯინიბოს რომ ჩაუარა, არც ის გამოჰპარვია, რომ პატარა კარეტა, რომლითაც შაგერსტრიომი მგზავრობდა ხოლმე, ფარდულიდან გარეთ იყო გამოყვანილი. ამის დანახვაზე გულმა რეჩხი უყო.

და როცა მეეტლესთან ცეკვავდა, შეეცადა, დაეტყუებინა მისთვის, რას აპირებდა შაგერსტრიომი.

- დიდხანს ხომ არ გაგვიგრძელდება ცეკვა? - ჰკითხა მან, - ქარხნის მეპატრონე როდის აპირებს გამგზავრებას?

- ზუსტი დრო არ უთქვამს, მაგრამ თქვენ ნუ წუხხართ, ფრუ, კარეტა გამოყვანილი მყავს, ცხენებიც მზადაა. ასე რომ, როგორც კი მეტყვიან, მაშინვე შევაბამ ცხენებს.

აი, თურმე რა ყოფილა! ახლა კი იცოდა შარლოტამ, რაც უნდა ექნა.

მაგრამ ვინაიდან ქმარი ჯერ კიდევ კალოზე იყო და მშვიდად ესაუბრებოდა მოსამსახურეებს, შარლოტამ არჩია, თავი ისე დაეჭირა, თითქოს არაფერი იცოდა. „იქნებ მართლაც უნდოდა წასვლა, მერე კი გადათქვა, - გაიფიქრა მან, - ალბათ, მიხვდა, რომ არც ისე საშიში ვარ მისთვის, როგორც აქამდე ეგონა“.

მაგრამ მალე, ერთი საკმაოდ გრძელი პოლკა რომ დამთავრდა, შაგერსტრიომს უკვე ვეღარ მოჰკრა თვალი. უკვე ბნელდებოდა, კალოზე კი მხოლოდ ორი ფარანი ენთო, მაგრამ შარლოტა მალე დარწმუნდა, რომ ქმარი აქ აღარ იყო. შეშფოთებულმა მიმოიხედა, მეეტლეს და ლაქიას ეძებდა. აღარც ისინი ჩანდნენ.

შარლოტამ მანტილია მოიხურა, ყმაწვილკაცებთან მივიდა, რომლებიც კალოს ღია ჭიშკართან იდგნენ, რათა ცეკვის შემდეგ ცოტა გაგრილებულიყვნენ, რამდენიმე სიტყვა უთხრა მათ და მერე შეუმჩნევლად სიბნელეს მისცა თავი.

ეს კარ-მიდამო მისთვის უცნობი იყო და უცებ ვერ მიხვდა, საით უნდა წასულიყო, რომ საბატონო სახლისთვის მიეგნო. მაგრამ შორიახლო ფარნის შუქს მოჰკრა თვალი და იქით აიღო გეზი. ცოტა გაიარა და დაინახა, რომ ფარანი მიწაზე იდგა საჯინიბოს კართან. მეეტლეს ცხენები გარეთ გამოეყვანა და კარეტაში შესაბმელად ამზადებდა.

შარლოტა ჩუმად მიიპარა კარეტასთან და გადაწყვიტა, როცა მეეტლე ზურგით შეტრიალდებოდა, კარი გაეღო და კარეტაში შესულიყო.

როდესაც ეკიპაჟს პარმაღთან მიიყვანენ და შაგერსტრიომი ჩაჯდება შიგ, იგი ყველაფერს ეტყვის, რაც აფიქრებინა მისმა ასეთმა გაქცევამ.

„რატომ არ მეუბნება, რა აწუხებს? - ფიქრობდა იგი, - გაუბედავი ბავშვივით იქცევა“.

მაგრამ შარლოტამ ვერ მოასწრო განზრახვის ასრულება, მეეტლემ ძალიან მალე მოამთავრა საქმე. სადავეები კოფოზე ჩამოჰკიდა, მერე იქიდან თავისი ხიფთანი ჩამოიღო და ჩაიცვა. ის იყო, კოფოზე უნდა წამომჯდარიყო, რომ ფარანი გაახსენდა. ცხენებს დასამშვიდებლად უთხრა: აბა, წყნარად, წყნარადო, ფარანი ჩააქრო და საჯინიბოში შეიტანა.

მეეტლემ, რასაკვირველია, ძალიან სწრაფად გააკეთა ეს, მაგრამ ვიღაც მასზე უფრო მარჯვე აღმოჩნდა. საჯინიბოს კარს რომ კეტავდა, მეეტლეს მათრახის ტყლაშუნი შემოესმა. იმ ვიღაცის ხმამაღალ შეძახილზე ცხენები ადგილს მოსწყდნენ, სწრაფად გაიქროლეს კარ-მიდამოს ალაყაფში, მეეტლეს წინასწარვე რომ გაეღო და ხეივანს გაჰყვნენ. კარეტა ღამის წყვდიადში მიიმალა. მხოლოდ თვლების ხმაური და ცხენების ფლოქვების თქარათქური ისმოდა.

თუ ოდესმე მეეტლეს თავის ცხენებზე სწრაფად ურბენია, რათა პატრონისთვის შეეტყობინებინა, რომ ვიღაც თავზე ხელაღებული ყაჩაღანა კოფოზე შეხტა და მის ცხვირწინ ეკიპაჟი გაიტაცა, ეს გახლდათ „ტბის აგარაკის“ მეეტლე ლუნდმანი.

წინა ოთახში იგი ქარხნის მეპატრონეს შეეფეთა, რომელსაც სწორედ იმწუთას ეუბნებოდა ეკონომი, ქალბატონი სადღაც გაქრაო.

- ჰერ, თქვენ მიბრძანეთ, ფრუსთვის მეთქვა, რომ კალოზე დარჩენის დრო აღარ გაქვთ, მაგრამ მას შეუძლია იცეკვოს რამდენიც უნდა, და აი, ამის სათქმელად რომ წავედი...

მეეტლემ სიტყვა შეაწყვეტინა. მას უფრო მნიშვნელოვანი რამ ჰქონდა სათქმელი.

- ჰერ! - წამოიძახა მან.

შაგერსტრიომი მისკენ შებრუნდა.

- რა დაგემართა! - გაიკვირვა მან, - ისეთი სახე გაქვს, თითქოს ცხენები მოეპაროს ვინმეს.

- სწორედ რომ ეგრეა, ჰერ!

და ყველაფერი უამბო, რაც მოხდა.

- მაგრამ ცხენები აქ არაფერ შუაშია, ჰერ! თავის დღეში ადგილიდან ფეხს არ მოიცვლიდნენ, ვინმე რომ არ შემომჯდარიყო კოფოზე და არ გაერეკა. ეჰ, ერთი მაცოდინა, რომელმა თავხედმა გაბედა...

მეეტლეს სიტყვა შეაცივდა ტუჩებზე, ისე გააკვირვა შაგერსტრიომის მოქცევამ. არც მეეტლეს მორიდებია, არც ლაქიას, არც ეკონომ ქალს, ქარხნის მეპატრონე სკამზე დავარდა და გულიანად ახარხარდა.

- მაშასადამე, ვერ მიხვდით, ვინ გაბედა ჩემი ცხენების მოპარვა, არა? - სიცილისგან ჩაბჟირებულმა ძლივს წარმოთქვა.

სამივენი გაოცებით შეაჩერდნენ მას.

- უნდა დავიჭიროთ ქურდი, - განაგრძო შაგერსტრიომმა, ცოტა რომ დამშვიდდა, - ლუნდმან, აბა, სასწრაფოდ შეკაზმე საფერხე ცხენები. იუჰანსონ, მიეხმარეთ. თქვენ კი, ფრუ სელბერგ, ყოველი შემთხვევისთვის, ადით ზევით და ნახეთ, იქ ხომ არ ბრძანდება ქალბატონი.

ეკონომი მაშინვე ავარდა ზედა სართულზე, მაგრამ მაშინვე უკანვე ჩამობრუნდა და მოახსენა, ქალბატონი იქ არ არისო.

- ღმერთო, დაგვიფარე, რამე უბედურება ხომ არ მოხდა, ჰერ? - წამოიძახა მან.

- გააჩნია, ვის როგორ მოეჩვენება, ფრუ სელბერგ! დაიხსომეთ ჩემი ნათქვამი! ამიერიდან აღარა ვართ ჩვენი თავის უფალნი. პატრონი გამოგვიჩნდა!

- ოღონდაც, ჰერ, მოხარულიც ვიქნებით, - უთხრა ეკონომმა.

და ამის საპასუხოდ შაგერსტრიომმა - თვით ჰერ შაგერსტრიომმა! - მსუქან მხარზე ხელი მოუთათუნა მოხუც ქალს, შემოაბზრიალა და წამოიძახა:

- ფრუ სელბერგი უდრტვინველად ემორჩილება თავის ხვედრს. ნეტავ მეც ასე შემეძლოს!

ეს თქვა და გაიქცა, რათა მეეტლესა და ლაქიასთან ერთად ლტოლვილს დასდევნებოდა.

მალე ყველაფერი დასრულდა. დაჭერილი ლტოლვილი კარეტის კუთხეში იჯდა შაგერსტრიომის გვერდით. ლუნდმანი კოფოზე წამოსკუპდა და ცხენები ნელა წამოიყვანა უკან, იუჰანსონს კი აღვირებით მოჰყავდა სამივე საფერხე ცხენი.

შარლოტა ჯერ მიაგელვებდა ცხენებს, დაახლოებით ნახევარი მილი გალია ისე, მაგრამ მერე მთის აღმართი დახვდა წინ და მათრახმაც კი არ გაჭრა, ცხენები ნაბიჯითაც ძლივს ადიოდნენ ამ გზაზე. ქალი იძულებული გახდა, ფარ-ხმალი დაეყარა.

კარეტაში რამდენიმე წუთი სიჩუმე იყო, მერე კი შარლოტამ ჰკითხა:

- მოგეწონა?

- განსაცვიფრებელი იყო, - მიუგო შაგერსტრიომმა, - ახლა მესმის, რა უნდა იგრძნოს ცოლმა, როცა ქმარი გაექცევა.

- მე სწორედ ეგ მინდოდა, - უთხრა შარლოტამ.

წუთის შემდეგ შაგერსტრიომმა იგრძნო, რომ ვიღაცამ მხარზე ხელი მოჰკიდა და მაგრად შეანჯღრია.

- თავს იკატუნებ! იცინი! არ გჯერა, რომ მართლაც მინდოდა გაქცევა.

- ჩემო კარგო, - უთხრა შაგერსტრიომმა, - მთელი დღევანდელი დღის განმავლობაში ერთადერთი ნამდვილად ბედნიერი წუთი მაშინ იყო ჩემთვის, როცა ლუნდმანი მოვარდა და მითხრა, რომ ჩემი ცხენები გაიტაცე.

- რატომ? - ძლივს გასაგონად ჰკითხა შარლოტამ.

- ჩემო კარგო, მივხვდი, რომ ჩემი გაშვება არ გინდოდა.

- სულაც არა! - აღმოხდა შარლოტას, - ფიქრადაც არ მქონია ეს. უბრალოდ, სამი კვირაა, მთელი სოფელი ჩემზე ჭორაობს, და ახლა შენ რომ წასულიყავი...

- მესმის, - უთხრა შაგერსტრიომმა, - ამას კი ვეღარ აიტანდი. სიყვარულისა და ბედნიერებისგან სიცილის გუნებაზე დადგა. მერე კი სავსებით სერიოზულად უთხრა:

- ჩემო კარგო, მოდი, ბოლოს და ბოლოს მოვილაპარაკოთ! ერთი ეს მითხარი, თუ მიხვდი, რატომ ვაპირებდი ამ საღამოს წასვლას?

- დიახ, - მტკიცედ მიუგო გოგონამ, - მივხვდი.

- რატომღა შემიშალე ხელი?

შარლოტა დუმდა. შაგერსტრიომი დიდხანს ელოდა პასუხს, მაგრამ კარეტაში ჩამიჩუმი არ ისმოდა.

- შინ რომ დავბრუნდებით, - უთხრა შაგერსტრიომმა, - შენს ოთახში ჩემი წერილი დაგხვდება. იქ წერია, რომ მე არ მინდა ვისარგებლო იმ მდგომარეობით, რომელმაც გაიძულა, ჩემი ცოლი გამხდარიყავი. მე მინდა, შენ სრულიად თავისუფალი იყო, უფლება გაქვს, ჩვენი ქორწინება ფიქციად მიიჩნიო.

შაგერსტრიომი გაჩუმდა, პასუხს ელოდა, მაგრამ შარლოტა ისევ დუმდა.

- იქ ისიც წერია, რომ ჩემი სიყვარულის დასამტკიცებლად და გამოსასყიდად იმ მწუხარებისა, რომელიც ჩემ გამო შეგხვდა, მინდა გაჩუქო „ტბის აგარაკის“ ადგილ-მამული. მას შემდეგ, რაც ჩვენი განქორწინება კანონის წესით გაფორმდება, მე სიამოვნებას მომგვრის იმის შეგნება, რომ შენ საცხოვრებლად დარჩი აქ, სადაც ასე მალე ყველას შეუყვარდი.

კვლავ ხანგრძლივი დუმილი მოჰყვა ამას, შარლოტას არც ახლა უპასუხია რამე.

- ის, რაც ახლახან მოხდა, სრულიადაც არ ცვლის წერილით ჩემს ნათქვამს. პირველად სხვაგვარად გავიგე შენი წეღანდელი გაქცევა. მაგრამ ახლა კი მივხვდი, თურმე მხოლოდ იმიტომ მომიწყვე ასეთი ოინი, რომ თავიდან აგეცილებინა სოფლის ახალი დაცინვა.

შარლოტა ახლოს მიიწია მისკენ, შემდეგ კი შაგერსტრიომმა ლოყაზე იგრძნო მისი თბილი სუნთქვა და გაიგონა ჩურჩული:

- უფრო უტვინო რეგვენი ჯერ არ გაჩენილა ამქვეყნად.

- რაო, რაო?

- გინდა გაგიმეორო?

შაგერსტრიომმა უცებ მკლავები მოხვია და გულში ჩაიკრა.

- შარლოტა, - წარმოთქვა მან, - მე მინდა ვიცოდე, როგორ მოვიქცე.

- რაც იყოს, იყოს, - მკვახედ მიუგო გოგონამ, - ამაზე ლაპარაკი დიდად სასიამოვნო არ არის, მაგრამ, ალბათ, გაგიხარდება, როცა გაიგებ, რომ გუშინ, დაახლოებით ამ დროს, კარლ-არტურმა დაასამარა ჩემი სიყვარული.

- ნუთუ?

- მან დაასამარა ჩემი სიყვარული. ალბათ, მოჰბეზრდა. დარწმუნებული ვარ, ეს განგებ გააკეთა.

- ჩემო კარგო! - უთხრა შაგერსტრიომმა, - დაეხსენ კარლ-არტურს! ჩემზე ილაპარაკე! თუ შენ კარლ-არტური აღარ გიყვარს, ეს ჯერ კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ...

- რა თქმა უნდა, არა, მაგრამ... შენ რომ ამდენი ახსნა-განმარტება არ გჭირდებოდეს!..

- ხომ იცი, რა უგუნური ვარ.

- იცი რა, - უთხრა შარლოტამ მშვიდად და ფიქრიანად, - ყველაფერი ეს ძალიან საოცარია. თუმცა, არ მიყვარხარ, მაგრამ კარგად ვგრძნობ თავს შენთან, გულდამშვიდებული ვარ. შემიძლია ყველაფერზე გელაპარაკო, შემიძლია გთხოვო, რაც მინდა, შემიძლია გეხუმრო. შენთან ყოფნა მსიამოვნებს, მამშვიდებს. ასე მგონია, უკვე ოცდაათი წლის ცოლ-ქმარი ვართ.

- როგორც პასტორი და მისი ცოლი, არა, - ოდნავი სინანულით ჩაურთო სიტყვა შაგერსტრიომმა.

- ჰო, რაღაც ამდაგვარი, - განაგრძო შარლოტამ ისევ ნაღვლიანი კილოთი, - იქნებ არც მთლად კმაყოფილი ხარ ასეთი აღსარებით, მაგრამ, მგონი, ეს არცთუ ისე ცოტაა პირველი დღისთვის. მე მომწონს, რომ ჩემ გვერდით ზიხარ კარეტაში, მომწონს, რომ თვალს არ მაცილებ, როცა ვცეკვავ, მომწონს შენ გვერდით სუფრასთან ჯდომა, შენს სახლში ცხოვრება. მადლობელი ვარ შენი, რომ იმ საშინელებას გადამარჩინე. „ტბის აგარაკი“ შესანიშნავია, მაგრამ უშენოდ ერთი დღეც ნუ მამყოფა აქ.

მე ვერაფრით შევურიგდები იმას, რომ ჩემგან წახვიდე. მაგრამ მაინც... თუ ის, რასაც კარლ-არტურისადმი ვგრძნობდი, სიყვარული იყო, შენდამი ჩემი გრძნობა სიყვარული არ არის.

- მაგრამ შეიძლება იქცეს სიყვარულად, - ჩუმად უთხრა შაგერსტრიომმა და ხმაზე შეეტყო, რომ გრძნობა მოერია.

- იქნებ ასეც მოხდეს, - მიუგო შარლოტამ, - და იცი რა? მგონი, არაფერი მექნება საწინააღმდეგო, თუ მაკოცებ.

შაგერსტრიომის კარეტა შესანიშნავი ეკიპაჟი იყო; ოდნავადაც არ ინჯღრეოდა გზაში. ახალგაზრდა ქმარს თავისუფლად შეეძლო ესარგებლა მოცემული ნებართვით.

ტომი 2

ნაწილი პირველი გამგზავრება კარლსტადში

I

რაც უნდა თქვან თეა სუნდლერზე, ერთ რამეს ვერ უარყოფს კაცი, მან ყველაზე უკეთ იცოდა, როგორ მოჰქცეოდა კარლ-არტურს.

აი, ვთქვათ, შარლოტა ლიოვენშოლდი. მასაც ხომ უნდოდა დაეყოლიებინა კარლ-არტური კარლსტადში წასვლასა და დედასთან შერიგებაზე. ადგა და იმაზე დაუწყო ლაპარაკი, გაიხსენეო, რამდენი ამაგი აქვს დედაშენს შენზე, ბოლოს დაშინებაც კი სცადა, ადრინდელივით კარგად ვეღარ იქადაგებ, თუ უმადურობას გამოიჩენ დედისადმიო.

ვითომც უძღები შვილი ყოფილიყოს, ისე უნდა დაბრუნებულიყო სახლში და შეწყნარება ეთხოვა მშობლებისთვის. ასეთი რამ კი სულაც არ შეეფერებოდა კარლ-არტურს, განსაკუთრებით ასეთი სულიერი განწყობისას, როგორიც ახლა ჰქონდა, როცა მისი ქადაგებები იმდენად მოსწონდა ყველას, მთელი მრევლი ეთაყვანებოდა.

ხოლო, როცა თეა სუნდლერს დასჭირდა მისი დაყაბულება კარლსტადში წასვლაზე, სულ სხვა მხრიდან შემოუარა. ჯერ ის ჰკითხა, მართალია თუ არა, ხალხი რომ ამბობს, დეიდა ეკენ-სტედს ჩვეულებად აქვს, არავის შეუნდოს სულ მცირე შეცდომაც კი, თუ პატიება არ სთხოვეო. და რადგან იგი ასეთი მომთხოვნია სხვებისადმი, ალბათ, თვითონაც მზადაა, რომ...

კარლ-არტური იძულებული შეიქნა, ეღიარებინა, რომ დედა-მისი მართლაც ასეთი იყო. თუ, მაგალითად, მიხვდება, რომ ცდება, მაშინვე შეირიგებს მომდურებულსო.

თეამ ისიც მოაგონა კარლ-არტურს, ხომ გახსოვს, საყვარე-ლი დეიდა ეკენსტედი ერთხელ საშინელ უგზოობასაც კი არ მოერიდა და უფსალაში წამოვიდა, რათა შენთვის პატიების თხოვნის საშუალება მოეცაო. ჰოდა, ნუთუ კარლ-არტური, სუ-ლიერი მოძღვარი, ნაკლებად მოწყალე იქნება, ვიდრე ჩვეულებ-რივი მოკვდავი?

კარლ-არტური ერთბაშად ვერც კი მიხვდა, საით უმიზნებდა თეა. გაკვირვებული შესცქეროდა ქალს.

ამჯერად საყვარელი დეიდა ეკენსტედი თვითონაა დამნაშავე, უთხრა ფრუ სუნდლერმა. და თუ იგი მართლაც ისე სამარ-თლიანია, როგორც კარლ-არტური ამბობს, უეჭველია, უკვე ნა-ნობს თავის საქციელს და გულით სწადია, პატიება სთხოვოს შე-მომწყრალ შვილს, მაგრამ ვინაიდან ახლა ავადაა და არ შეუძ-ლია მასთან ჩამოსვლა, კარლ-არტურის ვალია, თვითონ წავი-დეს დედამისთან.

აბა, სად ეს და სად შარლოტას ნათქვამი. თეა იმას კი არ ურ-ჩევს, უძღები შვილივით კარზე მიადგეს მშობელს, არა, იგი გა-მარჯვებული უნდა დაბრუნდეს შინ. იგი წავა კარლსტადში, მაგ-რამ იმიტომ კი არა, რომ მათხოვრულად შეწყნარება ითხოვოს, არამედ იმისთვის, რომ თვითონ შეუნდოს შემცოდეს. შეუძლებე-

ლია იმის აღწერა, როგორ გაახარა ამ ამბავმა კარლ-არტური, რაოდენ მადლობელი იყო თეა სუნდლერისა, ვინც ასეთი აზრი შთააგონა.

საკვირაო წირვის შემდეგ ნაჩქარევად ისადილა ორგანისტთან და მაშინვე გაემგზავრა კარლსტადში. ისე ჩქარობდა, მთელი ღამე ერთხელაც არ შეჩერებულა გზაზე. არც თვალი მოუხუჭავს, სულ იმაზე ფიქრობდა, რაოდენ ამაღელვებელი იქნებოდა დედასთან შეხვედრის სცენა. ასეთ შეხვედრას ხომ ისე ვერავინ გაამშვენიერებდა, როგორც დედამისი.

დილის ხუთ საათზე ჩავიდა კარლსტადში, მაგრამ პირდაპირ შინ კი არ წავიდა, ფუნდუკში შეუხვია. იცოდა, როგორ შეხვდებოდა დედა, მაგრამ მამის იმედი არ ჰქონდა. იქნებ არც შეეშვა სახლში და მეეტლესთან ხომ თავი მოეჭრებოდა.

ფუნდუკის მეპატრონე კარლსტადის მკვიდრი იყო და მაშინვე იცნო კარლ-არტური. ამ კაცს ყურმოკრულად გაგონილი ჰქონდა, ახალგაზრდა პასტორი მშობლებს წაეჩხუბა, რადგან უბრალო დალეკარლიელი გლეხის გოგოს შერთვა გადაწყვიტაო. თავაზიანად, გულზიარად გამოესაუბრა კარლ-არტურს, მაგრამ ეკენსტედი ისე მშვიდი და კმაყოფილი იყო, ისე ხალისიანად პასუხობდა, რომ მეფუნდუკემ იფიქრა, ჭორი უთქვამთ მაგათ ოჯახურ უსიამოვნებაზეო.

კარლ-არტურმა ოთახი მოითხოვა, გზის მტვერი ჩამოიბერტყა და გულმოდგინედ გამოეწყო. ქუჩაში რომ გამოვიდა, პასტორის სერთუკი ეცვა თეთრი, ნაოჭიანი საყელოთი და მაღალი, შავი შლაპა ეხურა. პასტორის ტანსაცმელი იმიტომ ჩაიცვა, რომ დედამისს სცოდნოდა, როგორი მშვიდობიანი განზრახვითა და სათნოებით აღსავსე მივიდა მასთან.

მეფუნდუკემ საუზმე შესთავაზა, მაგრამ კარლ-არტურმა ჭამა არ ინდომა. მოუთმენლად ელოდა იმ ბედნიერ წუთს, როცა დედას შეხვდებოდა და ერთმანეთს გულში ჩაიხუტებდნენ.

სწრაფი ნაბიჯით გაჰყვა ქუჩას მდინარე კლარელვის ნაპირისკენ. ეს სასიხარულო შეხვედრა ისევე აღელვებდა ახლა, როგორც სტუდენტობისას რომ ჩამოდიოდა ხოლმე უფსალიდან შინ, არდადეგებზე.

ანაზდად ისე გახევდა ერთ ადგილზე გაოგნებული, თითქოს ვიღაცას მოულოდნელად სილა გაერტყას. შინ მისულს იქაურობა გამოკეტილი დახვდა, ყველა დარაბა მიეხურათ, კარი გადაერაზათ.

წამით დაიბნა - ალბათ, მეფუნდუკემ ჩემი ჩამოსვლა შეატყობინა მშობლებს, იმათ კი კარი მომიხურეს, რომ სახლში არ შემიშვანო, გაუელვა თავში. გულზე ცეცხლი შემოენთო და უკან გაბრუნება დააპირა.

მაგრამ მაშინვე სიცილი აუტყდა. ჯერ ექვსი საათიც არ იქნებოდა და ასე უთენია ხომ მუდამ დაკეტილი იყო სახლი. მართლაც სასაცილოდ ეჩვენა იმის გაფიქრება, თითქოს დარაბები და კარი განგებ ჩაუკეტეს, რათა შინ არ შეეშვათ. კარლ-არტური ისევ მივიდა ჭიშკართან, გააღო, ბაღში შევიდა და თავისიანების გაღვიძების მოლოდინში მერხზე ჩამოჯდა.

მაინც ცუდად ენიშნა, რომ მშობლების სახლის კარი დაკეტილი დახვდა.

აღარ განიცდიდა სასიხარულო მოლოდინის მღელვარებას, რომელმაც მთელი ღამე არ დააძინა.

იჯდა და გასცქეროდა შესანიშნავ ყვავილნარს, თვალწარმტაც გაზონებს, დიდ, ლამაზ სახლს. ყოველივე ეს ეკუთვნოდა ყველასგან პატივცემულ, დაფასებულ ფრუ ეკენსტედს - პოლკოვნიკის ცოლს, და როცა ამაზე გადაიტანა ფიქრი, მიხვდა, რომ

ქალი თავს არ დაიმცირებდა და პატიებას არ ითხოვდა. ახლა უკვე აღარც თეას ნათქვამი სჯეროდა, თავისი საქციელიც უკვირდა. კორსჩურკაში მყოფს სავსებით ბუნებრივად მიაჩნდა და მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ დედამისი ნანობდა თავის საქციელს, ახლა კი მიხვდა, რა სულელური იყო ეს აზრი.

ისე დაიჯერა ეს, რომ მაშინვე უკან გაბრუნება გადაწყვიტა და წასასვლელად წამოდგა. საჩქაროდ უნდა გასცლოდა აქაურობას, სანამ ჯერ კიდევ არავის დაენახა.

ჭიშკართან მისულმა გაიფიქრა, ალბათ, უკანასკნელია ჩემი აქ ყოფნაო. აი, ახლა წავა და აღარასოდეს დაბრუნდება ამ სახლში. ჭიშკარი არ გაუხურავს, შემობრუნდა და გადაწყვიტა, უკანასკნელად, გამოსათხოვრად შემოევლო კარ-მიდამო. სახლის კუთხეს გასცდა და მაღალი ხეების თავმომწონედ გადაშლილი ტოტებით მოჩრდილულ მდინარის ნაპირს მიადგა. უკანასკნელად ტკბებოდა კარლ-არტური ამ წარმტაცი სანახაობით. დიდხანს უმზერდა ნაპირზე ამოტანილ ნავს. ისიც გაიფიქრა, ალბათ, აღარავის სჭირდებაო, მაგრამ შეამჩნია, ნავი ისე იყო გაფისული და შეღებილი, როგორც მაშინ, როცა კარლ-არტური მდინარეზე სეირნობდა.

მერე პატარა ბოსტანში გადავიდა. ბავშვობაში თვითონ უვლიდა ამ პატარა ნაკვეთს და ახლაც იგივე ბოსტნეული დაეთესათ, რომელიც მას მოჰყავდა. კარლ-არტური მიხვდა, დედამისს ეზრუნა ამაზე, ამიტომაც არ გავერანებულიყო აქაურობა. არადა, თხუთმეტი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ამ ბოსტანს აღარ გაჰკარებია.

ხის ქვეშ ძირნაყარ ვაშლს დაუწყო ძებნა, ერთი ცალი იპოვა და თუმცა ჯერ კიდევ მთლად მწვანე და ქვასავით მაგარი იყო, ჯიბეში ჩაიდო. მერე ხურტკმელსა და მოცხარს გაუსინჯა გემო, კენკრას კიდევ მწიფობა გადასვლოდა და დამჭკნარიყო.

მინაშენები გაიარა და მებაღის ფარდულს მიადგა: ადრე მუდამ აქ ინახავდა თავის პატარა ბარს, ფოცხსა და ურიკას. ფარდულში შეიხედა: სათუო არაფერი იყო, ყველაფერი ისევ ისე დახვდა, როგორც დატოვა, ხელის ხლებაც ვერავის გაებედა მისთვის.

დრო გადიოდა და აჩქარება მართებდა, თუ ისე უნდოდა წასულიყო, რომ არავის დაენახა. მაგრამ ისიც სურდა, რომ ყველაფერი ენახა უკანასკნელად. ყველაფერს სხვა ფასი დაედო, სხვა მნიშვნელობა მიეცა ახლა. „არც კი ვიცოდი, რა ძვირფასი ყოფილა ჩემთვის აქაურობა“, - გაიფიქრა კარლ-არტურმა.

თანაც რცხვენოდა, ასე ბავშვურად რომ იქცეოდა. სულაც არ ინდომებდა, თეა სუნდლერი ყოფილიყო ყოველივე ამის მომსწრე: რამდენიმე დღის წინ იგი ხომ აღტაცებული იყო მისი სითამამით, როცა უთხრა, სამუდამოდ დავიხსენი თავი მამისეული სახლის ბორკილებისა და მშობლების ნება-სურვილისგანო.

და უცებ ეჭვმა გაუელვა გულში, მგონი, განგებ ვითრევ ფეხს, რომ ეგებ ვინმემ დამინახოს და შინ შემიყვანოსო. და როცა მართლა მიხვდა ამას, გადაწყვიტა, იმწამსვე გასცლოდა იქაურობას.

ის იყო, ბაღიდან გავიდა და ჭიშკარს არ გასცილებოდა, ფანჯრის გაღების ხმა შემოესმა.

არა, არ შეეძლო სახლისკენ არ მიეხედა და მიიხედა კიდეც. პოლკოვნიკის ცოლის ოთახის ფანჯარა ყურთამდე ღია იყო. ჟაკეტა ფანჯარაში გადმოყუდებულიყო და სუფთა ჰაერს ისუნთქავდა.

ჟაკეტამ მაშინვე დაინახა, ხელები გაშალა და თავის ქნევას მოჰყვა, კარლ-არტურიც უნებურად გაეპასუხა: თავს უკრავდა, ხელებს უქნევდა. მერე დაკეტილ კარზე მიანიშნა. ჟაკეტა მყის მოსწყდა ფანჯარას და წუთსაც არ გაევლო, რომ კარლ-არტურმა

რაზის ჭრიალი და კლიტის ჩხაკუნი გაიგონა. კარი გაიღო, ჟაკეტა პარმაღზე გამოვიდა და ხელები გამოიწვდინა მისკენ.

ამწამს კარლ-არტურს რცხვენოდა თეა სუნდლერის, რცხვენოდა საკუთარი თავის, ვინაიდან დარწმუნებული იყო, რომ დედამისი პატიებას არ სთხოვდა. არაფერი ესაქმებოდა ამ სახლში და მაინც, მისდა უნებურად, ჟაკეტასკენ გაიქცა. მკლავებში მოჰკიდა ხელი, თავისკენ მიიზიდა, თვალებზე ცრემლი მოადგა - ნეტავ იცოდეს, როგორ გაუხარდა, კარი რომ გაუღო!

ჟაკეტა უზომოდ ბედნიერი იყო. ატირებული ძმა რომ დაინახა, მოეხვია და კოცნა დაუწყო.

- ეჰ, კარლ-არტურ, კარლ-არტურ, მადლობა ღმერთს, რომ ჩამოხვედი.

კარლ-არტურმა ლამის დაიჯერა, რომ მისი სახლში შეშვება არ უნდოდათ, ამიტომ ასეთი თბილი შეხვედრა სრულიად მოულოდნელი იყო მისთვის. ენაც კი დაება:

- დედამ უკვე გაიღვიძა? მიმიშვებენ მასთან სალაპარაკოდ?

- აბა, რა, ვინ დაგიშლის მასთან ლაპარაკს, ბოლო დღეებში უკეთაა. წუხელ კარგად ეძინა.

ჟაკეტამ კიბეს მიაშურა, კარლ-არტურიც ნელი ნაბიჯით მიჰყვა. არასოდეს იფიქრებდა, თუ ასეთ ბედნიერებას განაცდევინებდა შინ დაბრუნება. კიბის მოაჯირს ხელი მოჰკიდა, მაგრამ დაყრდნობა კი არ უნდოდა მასზე, მოალერსება მოუნდა.

ზედა სართულში ასული ერთხანს გაჩერდა. აი, ახლა ვინმე გამოვა ოთახიდან და გამაძევებს აქედანო, ფიქრობდა, მაგრამ ეს არ მომხდარა. ანაზდად აზრმა გაუელვა - ალბათ, მამაჩემს არც უთქვამს ჩვენი წაჩხუბების ამბავი. ან კი როგორ ეტყოდა, დედაჩემი ხომ ავადააო. და რადგან მიხვდა საქმის ვითარებას, მშვიდად შევიდა ოთახში.

მაინც რა ლამაზი ოთახები იყო ამ სახლში! ყოველთვის მოსწონდა, მაგრამ დღეს რატომღაც განსაკუთრებით მშვენივრად გამოიყურებოდა აქაურობა. ავეჯი ისე უღიმღამოდ კი არ იდგა კედელთან, როგორც სახლის მეორე, საფარეშო ნახევარში. აქ სხვა ლაზათი და სხვა მყუდროება სუფევდა. ყველაფერი დიასახლისის ნატიფ გემოვნებაზე მეტყველებდა.

სასტუმრო ოთახი და კაბინეტი გაიარეს და საძინებლის კარს მიადგნენ. ჟაკეტამ ხელით ანიშნა, მოიცადეო, თვითონ კი სწრაფად შევიდა საწოლ ოთახში.

კარლ-არტურმა შუბლზე ხელი მოისვა, ვერა და ვერ გაიხსენა, რისთვის მოვიდა აქ, მაგრამ ახლა სხვა რამეზე ფიქრის თავი არ ჰქონდა, მხოლოდ ის ახარებდა, რომ თავის სახლში იყო და საცაა დედას ნახავდა.

ჟაკეტა მალე გამოვიდა და კარლ-არტური ოთახში შეიყვანა: საოცრად ფერმიხდილი, სახეგაცრეცილი იწვა დედამისი, შუბლი და ხელი შეხვეული ჰქონდა, და როცა ასეთ დღეში დაინახა იგი, თითქოს ვიღაცამ მძლავრად ჰკრა ხელი ზურგშიო, მუხლებზე დაეცა მისი საწოლის წინ. სიხარულის წამოძახილი აღმოხდა ავადმყოფს, ჯანსაღი ხელით მიიზიდა შვილი, მაგრად მოეხვია და აკოცა.

ბედნიერებით აღსავსენი სიხარულით შესცქეროდნენ ერთმანეთს. ამწამს აღარაფერი აშორებდათ, ყველაფერი დავიწყებას მიეცა.

არ ეგონა, ასე დაუძლურებული და სნეული თუ დახვდებოდა დედა და სიბრალულისგან გული ყელში მოებჯინა. შეწუხებულმა ათრთოლებული ხმით მოიკითხა. ბეატა ეკენსტედს არ შეეძლო, არ ეგრძნო, როგორ უყვარდა იგი შვილს.

ავადმყოფისთვის ეს იყო ყველაზე უებარი წამალი, კვლავ ხელი მოხვია კარლ-არტურს.

- არა მიშავს რა, შვილო. ახლა ყველაფერი ისევ ჩინებულადაა. ჩემი ავადმყოფობა აღარც კი მახსოვს.

კარლ-არტურმა გაიგო, რომ დედას ადრინდელივით უყვარდა იგი, იმასაც მიხვდა, რომ სურვილი აუხდა და დანაკარგი დაუბრუნდა. მას კვლავ შვილად თვლიდნენ ამ შესანიშნავ ოჯახში. ამაზე მეტი ნატვრა არც ჰქონია.

ნეტარებას რომ განიცდიდა ასეთი ბედნიერებით, უცებ რაღაც მოაგონდა და საშინლად აფორიაქდა. ჰო, მაგრამ რისთვისაც ჩამოვიდა აქ, იმ საწადელს მაინც ვერ ეწია. დედა პატიებას არ სთხოვდა და ეტყობა, არც აპირებდა ამას.

მაცდურივით შეუჩნდა აზრი, რომ აღარ ეფიქრა ამ პატიებაზე, მაგრამ ეს ამბავი ხელწამოსაკრავი როდი იყო მისთვის. თუ პოლკოვნიკის ცოლი აღიარებდა, რომ უსამართლოდ მოექცა, სრულიად შეიცვლებოდა მისი მდგომარეობა ოჯახში და მშობლები იძულებული გახდებოდნენ, დათანხმებულიყვნენ ანა სვერდთან მის ქორწინებას.

დედა რომ ასე გულთბილად შეხვდა, ამან იმედი მისცა და თავდაჯერებულიც კი გახდა. „ჯობს ერთბაშად მოვრჩე ამ ამბავს, - გაიფიქრა, - იქნებ სხვა დროს ასე გულთბილად და ალერსიანად არც კი მომექცეს დედაჩემი“.

წამოდგა და საწოლის გვერდით სკამზე დაჯდა.

ცოტა კი ეუხერხულებოდა დედისთვის ბოდიშის მოხდის მოთხოვნა. მაგრამ ამ დროს უცებ ერთი ისეთი რამ მოაგონდა, რომ სიხარულით ლამის ცას ეწია. დიდი ხნის წინ, ბავშვობაში, როცა ის ან მისი დები რაიმეს დააშავებდნენ და დედა მათგან პატიებას თხოვნას ელოდა, დამნაშავეს ასე მიმართავდა ხოლმე: „აბა, შვილიკო, რა გინდოდა გეთქვა ჩემთვის?“

და რათა ახლა უფრო იოლად მოეგვარებინა ეს საჩოთირო საქმე, კარლ-არტურმა წარბები შეჭმუხნა, საჩვენებელი თითი

ზევით ასწია და ისეთი ეშმაკური, ორაზროვანი ღიმილით, რომ დედა მის ხუმრობას მიხვედრილიყო, უთხრა:

- აბა, დედიკო, რა გინდოდათ ჩემთვის გეთქვათ?

მაგრამ პოლკოვნიკის ცოლი, ეტყობოდა, ვერ მიუხვდა. ხმას არ იღებდა და გაკვირვებული შესცქეროდა.

საბრალო ჟაკეტა აქამდე სიხარულით აღარ იყო, დედისა და ძმის გულის ამაჩუყებელ შეხვედრას რომ უყურებდა, მაგრამ კარლ-არტურის ნათქვამი რომ გაიგონა, სახეზე შიში გამოეხატა, შეუმჩნევლად ხელი ასწია და ძმას ანიშნა, ფრთხილად იყავიო.

კარლ-არტური დარწმუნებული იყო, დედამისს ძალიან მოეწონებოდა მისი სახუმარო ფანდი და რაკი მიხვდებოდა, რასაც ეკითხებოდნენ, ისიც კილოს აუბამდა და ისე გასცემდა პასუხს. ჟაკეტამ რომ ანიშნა, მაგას ნუ იზამო, ამას, რასაკვირველია, არავითარი ყურადღება არ მიაქცია, და განაგრძო:

- დედა, ხომ იცით, რომ წინა ხუთშაბათს ძალიან ნაწყენი დავრჩი, როცა საცოლესთან განშორება მომინდომეთ. ფიქრადაც არასოდეს მომივიდოდა, რომ ჩემი საყვარელი დედიკო ასე უმოწყალოდ მომექცეოდა. ამან ისე ჩამწყვიტა გული, რომ განვიზრახე, სამუდამოდ ფეხი ამომეკვეთა ამ ოჯახიდან და აღარც ვაპირებდი ოდესმე თქვენთან შეხვედრას.

პოლკოვნიკის ცოლი ისევ დუმდა. კარლ-არტურმა სახეზე გაბრაზების ან უკმაყოფილების კვალიც ვერ შეამჩნია. ჟაკეტა კი, ეტყობოდა, უფრო და უფრო ღელავდა. შეუმჩნევლად მიუახლოვდა ძმას და საწოლის ზურგს ამოფარებულმა მაგრად უჩქმიტა მკლავზე.

კარლ-არტური მიხვდა, რაც ანიშნა ამით დამ, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ ჟაკეტაზე უკეთ იცოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო დედასთან, ამიტომ ისევ განაგრძო:

- და როცა წინა პარასკევს მამაჩემს დავშორდი, ასე ვუთხარი, ფეხს აღარ მოვადგამ-მეთქი ამ სახლში. მაგრამ აი, მაინც მოვედი. ნუთუ თქვენ, მთელ კარლსტადში ყველაზე ჭკვიანი ქალი, ვერ ხვდებით, რისთვისა ვარ მოსული?

წამით გაჩუმდა, რადგან სჯეროდა, რომ ამ სიტყვების შემდეგ მაინც ეტყოდა დედამისი თავის სათქმელს, მაგრამ პოლკოვნიკის ცოლი კვლავ დუმდა. მხოლოდ ეგაა, წამოიწია და ისეთი დაჟინებით მიაცქერდა, რომ შვილმა მის მზერას ვეღარ გაუძლო.

იქნებ ავადმყოფობამ ცოტა დაუსუსტა გონება დედაჩემსო, გაიფიქრა კარლ-არტურმა. ადრე ლამის უთქმელადაც მიუხვდებოდა ხოლმე გულისნადებს. და რაკი ისევ ვერაფერი შეასმინა, იძულებული შეიქნა, განეგრძო:

- მე მართლაც გადაწყვეტილი მქონდა, აღარასოდეს მენახეთ, მაგრამ, როცა ეს ვუთხარი ერთ ჩემს მეგობარ ქალს, მან მკითხა, მართალია თუ არა, რომ თქვენ ჩვეულებად გაქვთ, არავის შეუნდოთ სულ მცირე შეცდომაც კი, თუკი პატიება არ გთხოვეს. და რადგან ასეთი მომთხოვნი ხართ სხვებისადმი, ალბათ, თვითონაც...

ამ დროს ჟაკეტამ ისე მძლავრად მოქაჩა სახელოზე, რომ სიტყვა შეაწყვეტინა.

სიჩუმე პოლკოვნიკის ცოლმა დაარღვია:

- ხელს ნუ უშლი, ჟაკეტა, ადროვე, ილაპარაკოს.

კარლ-არტურმა ეს რომ გაიგონა, იფიქრა, იქნებ დედას სწყინს ჩემი ნათქვამიო, მაგრამ ეს აზრი მყის უკუაგდო. შეუძლებელი იყო, დედამისს გულქვა და დაუნდობელ ადამიანად მიეჩნია. ის ხომ სასხვათაშორისოდ, ვითომცდა ხუმრობით ელაპარაკებოდა. უკეთესად, აბა, როგორღა უნდა მოქცეულიყო.

არა, დედამისმა მხოლოდ ის იწყინა, რომ ჟაკეტა წარამარა ხელს უშლიდა, თანაც კარლ-არტურმა უკვე ისე ღრმად შეტოპა, რომ აჯობებდა, ბოლომდე ეთქვა სათქმელი.

- იმ მეგობარმა ქალმა გამომგზავნა თქვენთან, დედა! ვინაიდან იგი ახლა ავადაა და არ შეუძლია შენთან ჩამოსვლა, შენი ვალია თვითონ წახვიდე მასთანო. ხომ გახსოვთ, ერთხელ უფსალაში რომ ჩამოხვედით, რათა ჩემთვის პატიების თხოვნის საშუალება მოგეცათ. ის ქალი დარწმუნებულია, რომ აღიარებთ, რომ თქვენ...

რა ძნელი ყოფილა მშობელი დედის გაკიცხვა! კარლ--არტური სიტყვებს ვერ პოულობდა. ენა ებმებოდა, ახველებდა, ბოლოს ისღა მოახერხა, რომ სულაც გაჩუმდა.

ღიმილმა ჩრდილივით გადაუარა სახეზე პოლკოვნიკის ცოლს.

- ვინ არის ეგ მეგობარი ქალი, რომელიც ასე ზრუნავს ჩემზე? - ჰკითხა კარლ-არტურს.

- თეა სუნდლერი...

- მაშასადამე, შარლოტას არ უთქვამს, რომ მე პატიების თხოვნა მინდა?

- არა, შარლოტამ კი არა, თეამ მითხრა.

- კიდევ კარგი, შარლოტას არ უთქვამს, - თქვა პოლკოვნიკის ცოლმა, უფრო მაღლა წამოიწია ბალიშებზე და გაჩუმდა. კარლ--არტურიც დუმდა. რაც სათქმელი ჰქონდა, ყველაფერი უთხრა დედას, თუმცა, ისე მჭევრმეტყველურად კი ვერ გამოუვიდა, როგორც უნდოდა. ახლა ლოდინიღა დარჩენოდა.

დროდადრო თვალს აპარებდა დედისკენ, ქალს ეტყობოდა, თავს ებრძოდა. იოლი როდია დანაშაულის მონანიება საკუთარი შვილის წინაშე.

და უცებ ეს ჰკითხა ავადმყოფმა:

- რატომ ჩაიცვი პასტორის სერთუკი?

- დედა, ამით მინდოდა, თქვენთვის მენიშნებინა, როგორი სულიერი განწყობით მოვედი აქ.

ისევ ღიმილმა გადაუარა სახეზე პოლკოვნიკის ცოლს. კარლ-არტურს შიშის ჟრუანტელმა დაუარა ტანში, როცა დაინახა ბრაზიანი, ზიზღით აღსავსე ღიმილი.

ანაზდად ისე მოეჩვენა, რომ ბალიშზე მისვენებული სახე გაქვავდა. მონანიების სიტყვები, რომელთაც აგრერიგად ელოდა კარლ-არტური, არ წარმოთქმულა და სასოწარკვეთილი მიხვდა, რომ ეს ქალი არც მოინანიებდა თავის საქციელს, არც პატიებას ითხოვდა.

- დედა! - წამოიძახა და მის ხმაში მუდარაც გაისმა, იმედიც.

ამ დროს მოხდა მოულოდნელი რამ - ბეატა ეკენსტედს სისხლი მოაწვა სახეში, საწოლში წამოიმართა, ჯანსაღი ხელი ზევით ასწია და თითი დაუქნია შვილს.

- კმარა! - წამოიძახა მან, - ღვთის სულგრძელობასაც აქვს საზღვა...

მეტის თქმა ვეღარ მოასწრო, უკანასკნელი სიტყვა ბაგეზე შეაცივდა. თავი ბალიშზე გადაუვარდა, თვალები გადაკარკლა, ხელი უმწეოდ დაეშვა საბანზე.

ჟაკეტამ ერთი კი იკივლა, გვიშველეთო, და მაშინვე ოთახიდან გავარდა. კარლ-არტური მუხლებზე დაეცა.

- რა დაგემართათ, დედა?! დედიკო! ღვთის გულისათვის, ნუ იკლავთ ასე თავს!

კოცნიდა შუბლზე, ლოყებზე, თითქოს კოცნით სურდა, სიცოცხლე დაებრუნებინა მისთვის.

ამ დროს ვიღაც მისწვდა საყელოში. შემდეგ ამ ვიღაცის ღონიერმა ხელმა ფეხზე წამოაყენა, უმწეო ლეკვივით ოთახიდან გაიყვანა და იატაკზე დააგდო. აქ ჩაესმა მამის მქუხარე ხმა.

- მაინც დაბრუნდი, არა! ვერ მოისვენე ხომ, სანამ ბოლო არ მოუღე!

II

იმავე ორშაბათ დღეს, დილის რვის ნახევარზე, ბურგომისტრის სახლში ზარმა დარეკა და მოახლემ, რომელიც აქ ოჯახის მეურნეობას უძღვებოდა, წინა ოთახს მიაშურა კარის გასაღებად.

კართან კარლ-არტურ ეკენსტედი იდგა. მოახლემ იფიქრა, რამდენი წელიწადია კარლსტადში ვცხოვრობ, ბავშვობაშიც მინახავს იგი და მოწიფულ ასაკშიც, თორემ ისე ვერავითარ შემთხვევაში ვერ ვიცნობდიო. კარლ-არტურს სახე წამოსჭარხლებოდა, თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა.

ეს ქალი დიდი ხანია ბურგომისტრის სახლში მსახურობდა და ბევრი რამ ენახა აქ. ახლა კი მოეჩვენა, რომ ახალგაზრდა ეკენსტედი ამწუთას კაცის მკვლელს ჰგავდა, და არც კი უნდოდა შინ შეეშვა. მაგრამ ის ხომ პოლკოვნიკ ეკენსტედისა და ფრუ ბეატას შვილი გახლდათ, ამიტომ ისღა დარჩენოდა, შემოეპატიჟებინა და სკამიც შეეთავაზებინა. დაელოდეთ, ბურგომისტრი ახლა სასეირნოდ ბრძანდება, მაგრამ რვა საათზე საუზმობს ხოლმე და მალე დაბრუნდებაო, უთხრა.

ჯერ ხომ კარლ-არტურის შესახედაობამ შეაკრთო მოახლე, მერე იმან უფრო გააკვირვა, რომ სტუმარმა ისე ჩაუარა, სალა-

მიც არ უთქვამს და თითქოს საერთოდ ვერც შეემჩნიოს მისი იქ ყოფნა.

ცხადია, რაღაც ამბავია მის თავს, თორემ ფრუ ეკენსტედის შვილებს ზრდილობა არ აკლდათ. ალბათ, ხიფათი რამ შეემთხვა კარლ-არტურს.

ახალგაზრდა ეკენსტედმა წინკარი გაიარა და ბურგომისტრის ოთახში შევიდა. მოახლემ დაინახა, რომ ჯერ სარწეველა სავარძელში ჩაჯდა, ცოტა ხნის შემდეგ წამოხტა, საწერ მაგიდასთან მივიდა და ბურგომისტრის ქაღალდებს ქექვა დაუწყო.

მოახლე სამზარეულოში იყო გასასვლელი, საათის მიხედვით უნდა შეემოწმებინა, საუზმისთვის კვერცხი მოიხარშა თუ არა, სუფრა გაეშალა და ყავაც მოედუღებინა, მაგრამ ახალგაზრდა ეკენსტედის მარტო დატოვება არ შეიძლებოდა. ამიტომ წამდაუწუმ შემორბოდა სამზარეულოდან ოთახში.

კარლ-არტური ახლა ბოლთას სცემდა ბურგომისტრის ოთახში - ხან ფანჯარასთან მივიდოდა, ხან კართან და განუწყვეტლივ ხმამაღლა ელაპარაკებოდა თავის თავს.

რა გასაკვირია, რომ მოახლე შეშინებულიყო. ბურგომისტრის ცოლ-შვილი ამ დროს სოფელში ცხოვრობდა, ნათესავებთან, და ამიტომ მოსამსახურეებიც დაითხოვეს. იგი ახლა მარტო იყო მთელ სახლში და ყველაფერზე პასუხისმგებლობა ეკისრებოდა.

რა უნდა იღონოს მოახლემ, როცა ეს კაცი გიჟივით დაბორიალებს ოთახში, ნამდვილად ჭკუიდან შეშლილა. ვთქვათ და, უცებ რაიმე ძალიან საჭირო ქაღალდი დახიოს ბურგომისტრის მაგიდაზე! რა ქნას მოახლემ - ოჯახის საქმეები მიატოვოს და დარაჯად დაუდგეს ამ კაცს?

უცებ ერთი აზრი მოუვიდა გამოცდილებით დაბრძენებულ ქალს - სანამ ბურგომისტრი დაბრუნდება, სასადილო ოთახში

ხომ არ შემობრძანდებით ყავის დასალევადო, ჰკითხა კარლ--არტურს. ახალგაზრდა ეკენსტედმა უარი არ უთხრა და მაშინვე გაჰყვა უკან, რამაც ფრიად გაახარა მოახლე; სანამ ის ყავით შეიქცევდა თავს, ქალს გული საგულეში ექნებოდა, რომ რაიმე ოინს არ ჩაიდენდა.

კარლ-არტური ბურგომისტრის ადგილას დაჯდა და სულმოუთქმელად დალია მდუღარე ყავა, მოახლემ რომ დაუსხა. მერე თვითონვე მისწვდა ყავადანს, დაისხა და ფინჯანი ერთი ყლუპით დაცალა. არც შაქარი აუღია, არც ნაღები, ისე ხუხავდა მდუღარე ყავას.

ბოლო ფინჯანი რომ დალია, მაშინღა შეამჩნია, რომ მოახლე მაგიდასთან იდგა და შესცქეროდა. კარლ-არტური ქალისკენ შეტრიალდა და უთხრა:

- დიდად მადლობელი ვარ გემრიელი ყავისთვის. ალბათ, უკანასკნელად ვსვამ.

ისე ჩუმად ლაპარაკობდა, მოახლემ ძლივს გაარჩია მისი სიტყვები. თითქოს დიდი საიდუმლოების განდობას უპირებდა.

- ჰერ მაგისტრო, პასტორ ფორსიუსის ცოლი, ცხადია, ძალიან გემრიელ ყავას გასმევთ კორსჩურკაში, - უთხრა მოახლემ.

- ჰო, ვსვამდი, - მიუგო მან და სულელურად ჩაიხითხითა, - მაგრამ იცით რა, ამიერიდან მე იმათთან აღარ ვიქნები.

ეს სულაც არ იყო გასაკვირი. ახალგაზრდა პასტორები ხშირად გადაჰყავდათ ერთი სამრევლოდან მეორეში. მოახლე თანდათან მშვიდდებოდა.

- ვფიქრობ, სადაც უნდა მოგიწიოთ გადასვლამ, ჰერ მაგისტრო, სულერთია, პასტორის კარ-მიდამოში ყველგან შესანიშნავად იციან ყავის მოხარშვა.

- თქვენ გგონიათ, ციხეში გემრიელ ყავას ხარშავენ? - წარმოთქვა მან კიდევ უფრო ჩუმად, - იქ კი ნამდვილად არც ყავა მექნება და არც ნამცხვარი.

- მერედა ციხეში რა გინდათ, ჰერ მაგისტრო? რისი გულისთვის უნდა მოხვდეთ იქ?

კარლ-არტურმა მოახლეს ზურგი შეაქცია.

- მაგ შეკითხვაზე არ გიპასუხებთ.

იგი ისევ საჭმელს მიუბრუნდა. პურს კარაქი წაუსვა, ზედ ყველი დაადო და ხარბად შეექცა, თითქოს დამშეული ყოფილიყოს, დაუღეჭავად ყლაპავდა ვეებერთელა ლუკმებს. მოახლემ გაიფიქრა, თურმე ძალიან შიებია, მე კი გიჟი მეგონაო. სამზარეულოში გავიდა, საუზმისთვის მოხარშული კვერცხები გამოუტანა. კარლ-არტურმა სულმოუთქმელად გადასანსლა ორი კვერცხი და მერე ისევ კარაქიან პურს ეცა. ჭამის დროს კვლავ ალაპარაკდა:

- ბევრი მიცვალებული დაეხეტება დღეს ქალაქში.

სავსებით მშვიდად და ცივად წარმოთქვა ეს, თითქოს ეთქვას, რა კარგი დარია დღესო. მოახლე, რასაკვირველია, საშინლად შეაშინა მისმა სიტყვებმა. კარლ-არტურმა, ჩანს, ეს შეამჩნია.

- უცნაურად მოგეჩვენათ განა ჩემი ნათქვამი? მეც მიკვირს, მიცვალებულებს რომ ვხედავ. ადრე ეს არასოდეს დამმართნია, ნამდვილად ვიცი, ასეთი რამ მხოლოდ დღეს დამეწყო, მას შემდეგ, რაც დილის შვიდ საათზე უბედურება დამატყდა თავს.

- ოჰო, - თქვა მოახლემ.

- წარმოიდგინეთ, შიშით გული ყელში მომაწვა. ქალაქში უნდა წავსულიყავი, მაგრამ ფეხები აღარ მემორჩილებოდა. ჩვენი სახლის ბაღის ღობეს ხელი ჩავჭიდე და ვიდექი გახევებული. უცებ ვხედავ - შობორგის ტაძრის წინამძღვარს თავისი ცოლისთვის ხელკავი გამოუდვია და ჩვენთან მოდიან. მოდიან ისე, რო-

გორც მოდიოდნენ ხოლმე კვირაობით სადილად. რასაკვირველია, მათ უკვე იცოდნენ, რაც ჩავიდინე, და მიბრძანეს, მაშინვე წავსულიყავი ბურგომისტრთან, გამემხილა ჩემი ბოროტმოქმედების ამბავი და სათანადოდ დასჯა მეთხოვა. ეს შეუძლებელია-- მეთქი, ვუთხარი, მაგრამ ისინი მაინც მტკიცედ იდგნენ თავიანთ ნათქვამზე.

კარლ-არტური დადუმდა, კიდევ ერთხელ დაისხა ყავა და ისევ სულმოუთქმელად გადაკრა. თანაც გამომცდელი თვალით შეჰყურებდა მოახლეს, თითქოს იმის შეტყობა სურდა, როგორ აღიქვა ჩემი ნათქვამიო, მაგრამ მოახლემ ისეთი პასუხი გასცა, ვითომ არც არაფერი ყოფილიყო გასაკვირი:

- სხვასაც ბევრს უნახავს მიცვალებულები. ასე რომ, ჰერ მაგისტრი ტყუილუბრალოდ...

ეტყობოდა, კარლ-არტურს ეამა ასეთი პასუხი.

- მეც ეგრე ვფიქრობ. სხვა მხრივ ხომ სულაც არ შევცვლილვარ.

- სიმართლეს ბრძანებთ, - უთხრა მოახლემ, მისი აზრით, უმჯობესი იყო, ყველაფერზე მშვიდად დასთანხმებოდა, არადა, ეკლებზე იჯდა და მოუთმენლად ელოდა ბურგომისტრის მოსვლას.

- იმის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, რომ შევასრულო მათი ნება-სურვილი, - განაგრძობდა კარლ-არტური, - მაგრამ მე ხომ სრულ ჭკუაზე ვარ და ვიცი, რომ ბურგომისტრი მხოლოდ სიცილს დამაყრის. იმას ვერ უარვყოფ, რომ მძიმე ცოდვა მაწევს სინდისზე, მაგრამ ამისთვის არც დაპატიმრება შეიძლება, არც გასამართლება.

თვალები დახუჭა და სკამის ზურგს მიესვენა. პურის ნაჭერი, ხელში რომ ეკავა, იატაკზე დაუვარდა, სახე ისე დაემანჭა, თითქოს აუტანელ ტანჯვას განიცდისო, მაგრამ მყისვე მომჯობინდა.

- ისევ მომიჭირა გულზე, - თქვა მან, - საოცარია, როგორც კი გავიფიქრებ, ამის გამკეთებელი არა ვარ-მეთქი, მაშინვე ცუდად მიხდება გული.

მაგიდიდან წამოდგა და ბოლთის ცემას მოჰყვა.

- მე ამას გავაკეთებ, - თქვა და აღარც კი ახსოვდა, რომ მოახლე იქვე იყო და უსმენდა, - მე მწადია ამის გაკეთება. ბურგომისტრს ვეტყვი, რომ დანაშაული ჩავიდინე და დასასჯელი ვარ. ვეტყვი, რომ ადამიანის სიკვდილში მიმიძღვის ბრალი. რაიმეს მოვიგონებ. ვალდებული ვარ, ვუთხრა, რომ განზრახ ჩავიდინე ეს.

ისევ მოახლესთან მივიდა.

- ხედავთ, გამიარა! - უთხრა გახარებულმა, - როგორც კი ვიტყვი, მინდა, დამსაჯონ-მეთქი, მაშინვე მიყუჩდება ტკივილი. სავსებით ბედნიერი ვარ.

გონიერ მოხუც მოახლეს უკვე აღარ ეშინოდა მისი. ახლა კიდეც ებრალებოდა, ხელზეც მოეფერა.

- რად გინდათ ეს, ჰერ მაგისტრო, რატომ უნდა იტვირთოთ ის ცოდვა, რომელიც არ ჩაგიდენიათ?

- არა, არა, - შეესიტყვა კარლ-არტური, - მე ვიცი, რომ ასე აჯობებს. სიკვდილი მწყურია. მინდა დედაჩემს დავუმტკიცო, რომ მიყვარდა. რაოდენი ბედნიერება იქნება ჩემთვის, იმ ქვეყნად რომ შევხვდები, სადაც არ არსებობს წყენა!

- ეგ არ მოხდება, - უთხრა მოახლემ, - მე ყველაფერს ვუამბობ ბურგომისტრს.

- გევედრებით, ნუ იზამთ მაგას, - შეეპასუხა კარლ-არტური, - მოსამართლემ სიკვდილის განაჩენი უნდა გამომიტანოს. მე ხომ ადამიანი მოვკალი, თუმცა, არც დანა მქონია ხელთ, არ პისტოლეტი. ჟაკეტამ იცის, როგორ მოხდა ყოველივე. იქნებ გგონიათ, შეუბრალებლობა და გულცივობა ფოლადსა და ტყვიაზე ნაკლე-

ბად საშიშია? მამაჩემმაც ყველაფერი იცის და შეუძლია დაამოწ-მოს. მე უნდა გამასამართლონ, მე დამნაშავე ვარ!

მოახლეს ხმა არ ამოუღია. უზომოდ გაუხარდა, როცა კარის გაღების ხმა გაიგონა და კიბეზე ამომავალი მამაკაცის ნაბიჯები იცნო.

წინა ოთახში გავარდა ბურგომისტრის გასაფრთხილებლად, ფეხდაფეხ მიჰყვა კარლ-არტურიც, რომელსაც იმწუთშივე უნ-დოდა აღიარების დაწყება, მაგრამ დაიბნა.

- ოჰო, ისევ ჩამობრძანდით ქალაქში. ეს რა უბედურება შეემ-თხვა პოლკოვნიკის ცოლს! - უთხრა ბურგომისტრმა და ხელი გაუწოდა, მაგრამ კარლ-არტურმა ზურგს უკან წაიღო თავისი მარჯვენა. განზე გაიხედა, კედელს მიაპყრო მზერა და აკანკალე-ბული ხმით, მაგრამ მკაფიოდ თქვა:

- მე აქ იმისთვის მოვედი, რომ გთხოვოთ ჩემი დაპატიმრება: დედაჩემი მე მოვკალი.

- რას ამბობ! - წამოიძახა ბურგომისტრმა, - პოლკოვნიკის ცოლი არ მომკვდარა, ექიმი ვნახე და...

კარლ-არტური წაბარბაცდა. მოახლეს შეეშინდა, არ წაიქცე-სო და ხელი გაუწოდა შესაშველებლად, მაგრამ ახალგაზრდა ეკენსტედმა წონასწორობა შეინარჩუნა. წამოავლო ქუდს ხელი და ხმის ამოუღებლად გავარდა ქუჩაში.

პირველივე ადამიანი, რომელიც შეხვდა, სწორედ მათი ოჯა-ხის ექიმი იყო. კარლ-არტურმა მაშინვე მასთან მიირბინა და ჰკითხა:

- რა სჭირს დედაჩემს?

ექიმმა კუშტად შეხედა და უპასუხა:

- კარგია, რომ შეგხვდი, შე საძაგელო. არ გაბედო იქ მისვლა. როგორ მოგივიდა აზრად, რომ ავადმყოფისთვის გასამართლე-ბა მოგეწყო!

კარლ-არტური აღარ უსმენდა. მაშინვე მშობლების სახლისკენ გაიქცა. ჭიშკართან თავისი გათხოვილი და, ევა არკერი დახვდა.

- ევა, - დაუყვირა მან, - მართლა ცოცხალია დედაჩემი?

- კი, - მიუგო ქალმა ჩუმი ხმით, - ექიმმა თქვა, იცოცხლებსო.

ოჰ, როგორ უნდოდა ანჯამებიდან ჩამოეგლიჯა მთელი ჭიშკარი, შევარდნილიყო დედასთან, მუხლებზე დავარდნილიყო მის წინაშე, შენდობა ეთხოვა, მაგრამ ევა გადაუდგა წინ:

- შენი იქ შესვლა არ შეიძლება, კარლ-არტურ. დიდი ხანია აქ ვდგავარ და გელოდები, რომ გაგაფრთხილო. დედას სისხლი ჩაექცა. ახლა შენთან ლაპარაკს ვერ შეძლებს.

- დავიცდი.

- განა მარტო დედაჩემის მიზეზით არ შეიძლება შენი იქ შესვლა, - უთხრა ევამ და წარბები აზიდა, - მამაჩემიცაა ამის მიზეზი. ექიმმა თქვა, რომ დედიკოს ჯანმრთელობა აღარ დაუბრუნდება. მამას შენი სახელის გაგონებაც არ უნდა. არ ვიცი, რა მოხდება, შენ რომ დაგინახოს, გიჯობს, კორსჩურკაში დაბრუნდე!

ევას ნათქვამმა გული ჩასწყვიტა კარლ-არტურს. დარწმუნებული იყო, რომ აზვიადებდა მამის გაბრაზებასაც და იმასაც, რომ მისი მისვლა საშიში იყო დედის ჯანმრთელობისთვის.

- შენ და შენი ქმარი დღენიადაგ იმას ფიქრობთ, რამენაირად ჩირქი მომცხოთ დედისა და მამის თვალში. თქვენ კარგად შეგიძლიათ ისარგებლოთ ხელსაყრელი შემთხვევით. ისარგებლეთ, შეირიგეთ!

პირი იბრუნა და იქაურობას გაეცალა.

III

ადამიანები ეგეთნი ვართ, გვწყინს, როცა რაიმე გაგვიტყდება. თუნდაც თიხის ქილა იყოს, თუნდ ფაიფურის თეფში, ნამსხვრევებს მოვაგროვებთ ხოლმე და ვცდილობთ, როგორმე შევაკოწიწოთ.

სწორედ ამგვარ ფიქრებში გართულიყო კარლ-არტური, როცა კორსჩურკაში ბრუნდებოდა.

მაგრამ მართალი არ იქნებოდა იმის თქმა, თითქოს მთელი გზა ამაზე ეფიქროს. არ დაგავიწყდეთ, ის ღამე ხომ თეთრად გაათენა, მანამდეც მთელი კვირის განმავლობაში ერთხელაც ვერ გამოიძინა ხეირიანად, იმდენი უსიამოვნება და მღელვარება გადაიტანა ბოლო დღეებში. და ახლა ბუნება თავისას მოითხოვდა - არ იმოქმედა არც ოთხთვალას ნჯღრევამ, რომლითაც მიემგზავრებოდა ახლა, არც ყავამ, უზომოდ ბევრი რომ დალია ბურგომისტრთან, კარლ-არტურმა თითქმის მთელი გზა ძილში გაატარა.

როცა მცირე ხნით გამოეღვიძებოდა, მაშინვე საკუთარი „მე“-ს შეკოწიწებას იწყებდა: ის კარლ-არტური, რომელიც სულ რამდენიმე საათის წინ ამავე გზით მიემგზავრებოდა მშობლებთან და კარლსტადში წვრილ-წვრილ ნამსხვრევებად დაიმსხვრა, უნდა შეკოწიწებულიყო და ხელახლა ადამიანად ქცეულიყო.

იქნებ ვინმემ თქვას, ამჯერად უვარგისი თიხის ქოთანი გატყდა და არც კი ღირდა მის გასამრთელებლად გარჯაო. მაგრამ, მოდი, ვაპატიოთ კარლ-არტურს - იგი ხომ სრულიად სხვაგვარი აზრისა იყო ამაზე. მისი ფიქრით, ამჯერად საქმე ეხებოდა ხე-

ლით ლამაზად მოხატულ და უნატიფესად მოვარაყებულ ძვირ-ფას ფაიფურის ლარნაკს.

თითქოს უცნაურია, მაგრამ შეკოწიწების საქმეში კარლ--არტურს გვარიანი დახმარება იმანაც გაუწია, რომ ევასა და მის ქმარზე დაიწყო ფიქრი. ბრაზით იხსენებდა, ყოველთვის როგორ შურდათ მისი და როგორ ჩიოდნენ, აი, ჩვენ კი უსამართლოდ გვექცევა დედაო.

რაც მეტს ფიქრობდა ამაზე, უფრო რწმუნდებოდა, რომ ევამ მოატყუა. დედამისი სულაც არ იყო ისე ცუდად, როგორც მან და-ხატა, და არც მამა იყო ძალიან გაჯავრებული. ყველაფერი ეს ევამ და არკერმა მოიგონეს. უნდოდათ, ესარგებლათ კარლ--არტურის სულელური საქციელით, - იგი არ უარყოფდა, რომ მართლაც ძალიან დააშავა, - რათა სამუდამოდ გაეძევებინათ მშობლიური სახლიდან.

როგორც კი იმ საბოლოო აზრს დაადგა, ყველაფერი კარგად ჩაივლიდა, ევას რომ არ დაეშალა ჩემთვის სახლში შესვლაო, ისევ მოერია ძილი და მხოლოდ მაშინ გაეღვიძა, როცა ოთხთვა-ლა ფუნდუკთან გაჩერდა.

მერე ერთხელ კიდევ გაეღვიძა და ახლა ჟაკეტა გაიხადა ფიქ-რის საგნად. კარლ-არტურს არ უნდოდა, მისდამი უსამართლო ყოფილიყო. ევასავით შურით არ უყურებდა იგი კარლ-არტურს. ჟაკეტა კარგი გოგოა, უყვარს თავისი ძმა, მაგრამ განა ისიც სუ-ლელურად არ მოიქცა? მას რომ ხელი არ შეეშალა, როცა ესო-დენ დიდ საქმეზე ესაუბრებოდა დედას, კარლ-არტური, რა თქმა უნდა, იმავეს ეტყოდა, მაგრამ სრულიად სხვაგვარად. ადვილი როდია შესაფერი სიტყვების შერჩევა, როცა ვიღაც ზურგს უკან გიდგას და წარამარა გიჩუჩხურებს, სახელოზე გექაჩება და ლა-პარაკს გიშლის.

ისიც დაასკვნა, ჟაკეტა შტერი და სულელიაო, და თითქოს უფრო დამშვიდდა. კარლ-არტურმა ისევ ძილს მისცა თავი.

მაგრამ, როცა გამოღვიძებისას თეა სუნდლერზე ფიქრობდა, ურთიერთსაწინააღმდეგო აზრები ებადებოდა: ამ უბედურებაში ხომ მასაც ერია ხელი! თეა მისი ყველაზე ახლობელი მეგობარი იყო. აბა, სხვას ვის უნდა მინდობოდა, თუ არა მას? მაგრამ, ეტყობა, თეა კარგად ვერ იცნობდა ცხოვრებას და ამიტომ ვერ გამოდგა მრჩევლად. თეა შეცდა, როცა იფიქრა, ბეატა ეკენსტედს პატიების თხოვნა სწყუროდა. ფრუ სუნდლერს ისე დიდი წარმოდგენა ჰქონდა კარლ-არტურზე, რომ არასწორად განსაჯა და მთელი უბედურებაც ამიტომ მოხდა. კიდევ კარგი, პოლკოვნიკის ცოლი არ მოკვდა, თორემ დარდისგან ხომ მართლაც შეიშლებოდა კარლ-არტური. ასე იპოვა მან თეა სუნდლერის გამართლების გზა.

სხვათა შორის, ცდილობდა, არ ეფიქრა ბურგომისტრთან ვიზიტსა და მოახლესთან საუბარზე. თითქოს ამას შეეძლო, კვლავ ნამსხვრევებად ექცია იგი, მაშინ ხომ თავიდან მოუხდებოდა შეკოწიწება!

როცა კიდევ ერთხელ გამოეღვიძა, გაიფიქრა, გადატანილმა შიშმა და სასოწარკვეთამ იქნებ სარგებლობაც მომიტანოსო. დედამისი, რა თქმა უნდა, შეიტყობს ამ ამბავს და მიხვდება, რაოდენ ძლიერ უყვარს შვილს. ჰოდა, გული მოულბება, კაცს გამოუგზავნის და შერიგდებიან.

მას უნდოდა, ერწმუნა, რომ ყველაფერი სწორედ ასე დაბოლოვდებოდა. ყოველდღე ილოცებს, რომ ეს აღსრულდეს.

კაცმა რომ თქვას, კარლ-არტური უკვე რიგიანად იყო შეკოწიწებულ-გამრთელებული, როცა საღამოს თერთმეტ საათზე კორსჩურკაში დაბრუნდა. ცოცხალი და უვნებელი იყო და თვითონაც უკვირდა, რამ გადაატანინა ასეთი ელდა. მაინც ძილი

აკლდა და როცა ოთხთვალადან ჩამოვიდა და მეეტლეს საფასური გადაუხადა, ინატრა, ნეტავი ახლავე დამაწვინა და ერთი კარგად გამომაძინაო.

ის იყო, თავისი ფლიგელისკენ გაემართა, რომ მოახლე გამოჩნდა და უთხრა, პასტორის ცოლმა სალამი გიძღვნათ და შემოგითვალათ, დარბაზში ცხელი ვახშამი გელოდებათო. კარლ-არტურს ახლა ლოგინი ერჩია ყველაფერს, მაგრამ ფორსიუსის განაწყენებაც არ უნდოდა, მოხუცმა ქალმა იმდენი მზრუნველობა გამოიჩინა, ნამგზავრს საჭმელი დაახვედრა და როგორ გააწბილებდა. ეკენსტედი სასადილო ოთახისკენ გაეშურა.

ფეხსაც არ დადგამდა იქით, დარწმუნებული რომ არ ყოფილიყო, სახლში არავინ დახვდებოდა ისეთი, კარლსტადში ყოფნის ამბავი გამოეკითხა. იცოდა, მოხუცებს ამ დროს ეძინათ, შარლოტა კი წასული იყო.

წინა ოთახში კარლ-არტურმა შემთხვევით ფეხი წამოჰკრა კართან დადებულ ყუთს.

- ფრთხილად, ჰერ მაგისტრო! - მიაძახა მოახლემ, - ეგ ფრუ შაგერსტრიომის ნივთებია. მთელი დღე მოვუნდით სათითაოდ ჩალასა და მერე ერთიანად ჭილოფში შეფუთვას.

აბა, იმას როგორ იფიქრებდა კარლ-არტური, შარლოტა თვითონ ჩამოვიდოდა „ტბის აგარაკიდან“ თავისი ბარგის წასაღებად და ღამის გასათევადაც დარჩებოდა აქ. ამიტომ გულდამშვიდებული შევიდა დარბაზში და სუფრას მიუჯდა.

გემრიელად ივახშმა და ის იყო, ლოცვა უნდა წარმოეთქვა, რომ ფეხის ხმა მოესმა. მძიმე, ნელი ნაბიჯით ჩამოდიოდა ვიღაც კიბეზე. ალბათ, პასტორის ცოლია, კარლსტადში ყოფნის ამბავი უნდა გამომკითხოსო, გაიფიქრა კარლ-არტურმა, ოთახიდან გაპარვა მოინდომა, მაგრამ ვერ გაბედა.

ჩუმად, ნელა გაიღო კარი. ვიღაც შემოვიდა. ნეტავ პასტორის ცოლი არ იყოსო, ინატრა კარლ-არტურმა. აუხდა და როგორ! პასტორის ცოლი კი არა, შარლოტა შემოვიდა ოთახში. ამაზე უარესი რა უნდა მომხდარიყო. ახალგაზრდა ეკენსტედი ხუთი წელიწადი დანიშნული იყო ამ ქალზე და ძალიან კარგად იცოდა მისი ხასიათი. აბა, წარმოიდგინეთ, რა სცენა გაიმართება, როცა შარლოტა შეიტყობს, რომ პოლკოვნიკის ცოლს დამბლა დაეცა. მოდგება, მაგრამ რას მოდგება კარლ-არტურს! არადა, ეკენსტედი ისეა დაღლილი, სად აქვს მასთან დავის თავი, უნდა იდგეს და უსმინოს მის საყვედურებს. მაშინვე გადაწყვიტა, თავს შორს დავიჭერ და ამიტომ ახლაც ისეთივე ცივი თავაზით დავხვდები, როგორც ბოლო ხანებშიო.

მაგრამ ჯერ სიტყვაც არ ჰქონდა ნათქვამი, რომ შარლოტა უკვე შუა ოთახში იყო. მაგიდაზე ორი ქონის სანთელი ენთო და როცა მათი შუქი შარლოტას სახეზე მოეფინა, კარლ-არტურმა დაინახა, ადამიანის ფერი აღარ ედო ქალს, ნამტირალევი თვალებიც უზომოდ დასწითლებოდა. ალბათ, დიდი უბედურება დასტყდომოდა თავს.

გათხოვებამ თუ გააუბედურაო, ჯერ ეს გაიფიქრა კარლ--არტურმა, მაგრამ შარლოტა ისეთი ბუნებისა იყო, ასე აშკარად არ გაამჟღავნებდა თავის დარდს. მით უმეტეს, არ დაანახვებდა ამას თავის ყოფილ საქმროს.

უჰ, ძლივს არ მოაგონდა! რამდენიმე დღის წინ ხომ უთხრეს კარლ-არტურს, შარლოტას და, ექიმ რომელიუსის ცოლი, მარია-ლუიზა, ძალიან ავად არისო. რაღა თქმა უნდა, ეს ადარდებს შარლოტას.

შარლოტამ სკამი გამოსწია, სასადილო მაგიდას მიუჯდა და ცივი, გაგუდული ხმით დაიწყო ლაპარაკი. ასეთი ხმით ლაპარაკობს ადამიანი, როცა ტირილისგან თავს იკავებს. კარლ--

არტურისკენ არც კი იყურებოდა, გეგონებოდათ, თავის თავს ელაპარაკებაო:

- ამ ერთი საათის წინ კაპიტანი ჰამარბერგი იყო აქ, - თქვა მან, - კარლსტადში ყოფილა და ამ დილით წამოსულა იქიდან. მართალია, შენ ცოტა ადრე გამოსულხარ ქალაქიდან, მაგრამ იმას წყვილცხენა ეტლით უვლია და იმიტომ ჩამოვიდა ასე მალე. შენზე თქვა, გზაში გამოვუსწარიო.

კარლ-არტურმა უცებ სკამიანად გაიწია უკან. ერთბაშად საშინელი ტკივილი დაეძგერა თავში, მერე გულში გაუარა ხანჯალივით.

- პასტორის კარ-მიდამოს რომ გაუსწორდა თავისი ეტლით, - მონოტონური ხმით განაგრძობდა შარლოტა დაწვრილებით თხრობას, - თურმე კაბინეტის ფანჯარაში შუქი დაინახა და იფიქრა, ალბათ, პასტორს ჯერ კიდევ არ სძინავსო. ეტლიდან ჩამობრძანდა და გულის მოსაოხებლად ესტუმრა პასტორს, რათა ეამბა, რა ჩაიდინა დღეს მისმა თანაშემწემ კარლსტადში. კაპიტან ჰამარბერგს გაგიჟებით უყვარს ასეთი ამბების მოყოლა.

ტკივილი ცხელი შანთივით უვლიდა კარლ-არტურს, მერე გულს უსერავდა. ყველაფერი, რაც მთელი დღის განმავლობაში ნატეხ-ნატეხ მოაგროვა და შეაკოწიწა, ისევ იმსხვრეოდა. აი, ახლა მოისმენს ახლობლების მსჯავრს.

- კარი არ გადაგვირაზავს, - ისევ განაგრძო შარლოტამ, - რადგან წუთი-წუთზე მოველოდით შენს ჩამოსვლას. ჰოდა, შემობრძანდა კაპიტანი ჰამარბერგი პასტორის კაბინეტში. პასტორს უკვე ეძინა, კაბინეტში კი მე ვიყავი. ვიჯექი და წერილებს ვწერდი. თვალზე რული არ მეკარებოდა, ისე მინდოდა შემეტყო კარლსტადში შენი ყოფნის ამბავი. შევიტყვე კიდეც, მაგრამ არა შენგან, არამედ კაპიტან ჰამარბერგისგან. ეტყობოდა, გაუხარდა კიდეც, პასტორის მაგივრად მე რომ დავხვდი მსმენელად.

- ცხადია, შენც არანაკლებ ნასიამოვნები დარჩი მისი ნაამბობით, - ჩაურთო კარლ-არტურმა.

შარლოტამ ხელი გაიქნია მოუთმენლობის ნიშნად. არ ღირდა უბრალო რამეზე გამოკიდება. ასეთ ენამწარობას ადამიანი ხომ მაშინ მიმართავს, როცა რაიმე უბედურება სჭირს, თავი კი ისე უნდა დაიჭიროს, ვითომცდა აინუნშიც არ აგდებს. შარლოტა თხრობას განაგრძობდა:

- კაპიტანმა ჰამარბერგმა მცირე ხანი დაჰყო აქ. მიამბო, როგორი გასამართლება მოუწყვე დედაშენს და დამბლა რომ დაეცა, მერე კი, ადგა და მაშინვე წავიდაო. ჰო, ბურგომისტრთან შენი მისვლის ამბავიც არ გამორჩენია. ეჰ, კარლ-არტურ, კარლ-არტურ!

აქ კი გაუწყდა მოთმინების ძაფი, თვალებზე ცხვირსახოცი აიფარა და აქვითინდა.

ადამიანები ეგეთნი ვართ, არ გვიყვარს, როცა ვინმე შეგვიცოდებს ხოლმე. არც ის ამბავი გვესიამოვნება, რომ ვიღაცამ ესეს არის მოისმინა თავშესაქცევი ნაამბობი ჩვენი სულელური საქციელის შესახებ. ამიტომაც ვერ შეიკავა თავი კარლ--არტურმა და დაახლოებით ასეთი აზრის შემცველი რამ უთხრა შარლოტას: რადგან სხვას მისთხოვდი, ნურც ჩემზე და ნურც ჩემიანებზე ნუღარ იდარდებო.

არც ამ ნათქვამს გამოჰკიდებია შარლოტა. მოსალოდნელიც იყო, რომ კარლ-არტური ამ გზით შეეცდებოდა თავის დაცვას.

შარლოტამ ცრემლები შეიკავა და ამ ხნის განმავლობაში გულში რაც ედო, სწორედ ის უთხრა კარლ-არტურს:

- როცა ყოველივე ეს გავიგე, ჯერ გადავწყვიტე, დღეს საღამოს არ მელაპარაკა შენთან, რადგან ვიცოდი, მარტო ყოფნასა და მოსვენებას არჩევდი, და მაინც, ახლავე უნდა გითხრა რაღაც. დამშვიდდი, ბევრი ლაპარაკით თავს არ შეგაწყენ.

კარლ-არტურმა უმწეო მორჩილებით აიწურა მხრები. შარლოტა ხომ მის გვერდით იჯდა, ისევ იმ ოთახში, და ისიც იძულებული იყო, ესმინა.

- უნდა იცოდე, რომ ყველაფერი მარტო ჩემი ბრალია, - უთხრა შარლოტამ, - მე დავიყოლიე თეა. ერთი სიტყვით, შენი წასვლა კარლსტადში... მე... მე ვარ ყველაფერში დამნაშავე. შენ არ გინდოდა, მე კი მაინც ჩემი მოვინდომე... და თუ დედაშენი მოკვდება, შენი ბრალი კი არ იქნება ეს, არამედ ჩემი...

სიტყვის გაგრძელება ვეღარ შეძლო. ყოვლად უბედურად და ცოდვილად მიაჩნდა თავი.

როცა ოდნავ დაიმშვიდა გული და ლაპარაკის უნარი დაუბრუნდა, განაგრძო:

- უნდა მომეთმინა. ასე მალე არ უნდა გამეგზავნე. შენ ჯერ კიდევ ძალიან ნაწყენი იყავი დედაშენზე. ვერ აპატიე ის საქციელი. ამიტომაც წარიმართა ასე უკუღმართად ყველაფერი. მე კი უნდა მცოდნოდა, რომ არაფერი გამოვიდოდა ამ საქმიდან. მე, მე ვარ ყველაფერში დამნაშავე!

ეს თქვა, წამოდგა და ბოლთის ცემას მოჰყვა, თან ცხვირსახოცს ნერვიულად აწვალებდა ხელში, მერე კარლ-არტურის წინ გაჩერდა და უთხრა:

- აი, ეს მინდოდა მეთქვა შენთვის. მხოლოდ მე ვარ დამნაშავე.

კარლ-არტურს არაფერი უპასუხია. მდუმარედ გაიწვდინა მისკენ ხელები და ხელზე მოეჭიდა.

- შარლოტა, - უთხრა თვინიერი, ჩუმი ხმით, - აბა, გაიხსენე, რამდენჯერ გვისაუბრია ამ ოთახში, ამ მაგიდასთან. ვლაპარაკობდით, ვკინკლაობდით, ბევრი ნეტარი წუთებიც განგვიცდია ამ ოთახში. ახლა კი უკანასკნელად ვართ აქ.

შარლოტა მდუმარედ იდგა მის გვერდით და ვერ გაეგო, რამ შეცვალა ასე უცებ კარლ-არტური. ხელს ხელზე უთათუნებდა და ისეთ საალერსო სიტყვებს ეუბნებოდა, კარგა ხანია რომ აღარ სმენია მისგან.

- შენ მუდამ სულგრძელი იყავი, შარლოტა, ყოველთვის გინდოდა ჩემი დახმარება. ამქვეყნად შენზე უფრო კეთილშობილი ადამიანი არ მეგულება.

შარლოტას განცვიფრებისგან ენა ჩაუვარდა, შეპასუხების უნარიც აღარ ჰქონდა.

- მე კი არ ვაფასებდი შენს კეთილშობილებას, შარლოტა. არ მინდოდა გულთან მიმეტანა შენი სიკეთე. და აი, შენ მაინც მოხვედი დღეს და გინდა ჩემი ცოდვა გადაიბრალო.

- მაგრამ ეგ ხომ სიმართლეა, - უთხრა შარლოტამ.

- არა, შარლოტა, ეგ არ არის მართალი. მეტს ნუღარაფერს იტყვი. ყველაფერი ჩემი თავდაჯერების, ჩემი გულქვაობის ბრალია. შენ კი მხოლოდ სიკეთე გინდოდა ჩემთვის, - შარლოტას ხელს დაეკონა და ცრემლებით დაუნამა.

- შარლოტა, - უთხრა მან, - მე თავი მკვლელად მიმაჩნია. აღარაფრის იმედი აღარ მაქვს.

შარლოტამ მეორე ხელი თმაზე გადაუსვა, მაგრამ თქმით არც ახლა უთქვამს რამე.

- კარლსტადში საშინლად ცუდად გავხდი, შარლოტა. ლამის მთლად გავგიჟდი. გზაში ვცდილობდი, როგორმე გავმართლებულიყავი საკუთარი თავის წინაშე, მაგრამ ახლა კი მესმის, რომ ეს უშედეგო მოწადინება იყო. ყველაფერზე პასუხი უნდა ვაგო.

კარლ-არტურს არ ახსოვდა, რომ შარლოტას ოდესმე ასე ალერსიანად, დედაშვილურად ელაპარაკა მასთან. უარის თქმა ვერ გაუბედა და ყველაფერი წვრილად უამბო. თითქოს სიამოვ-

ნებაც კი იგრძნო, სრული სიმართლე რომ უთხრა, არც არაფერი დაუფარავს, არც შეულამაზებია.

- შარლოტა, - უთხრა ბოლოს, - რამ დამაბრმავა ასე საშინლად, რამ ამიბნია ასე გზა-კვალი?

შარლოტამ არაფერი უპასუხა, მაგრამ მისი სიკეთე მალამოსავით დაედო კარლ-არტურის დაკოდილ გულს. ჭრილობების მწვავე ტკივილი დაუამა. არც ერთ მათგანს არ უფიქრია, რაოდენ საოცარი იყო, რომ ადრე არასოდეს ულაპარაკიათ ერთმანეთთან ასე გულახდილად. ორივენი თითქოს გაშეშებულიყვნენ: კარლ-არტური უძრავად იჯდა მაგიდასთან, შარლოტა ფეხზე იდგა მისკენ დახრილი. ვინ იცის, რაზე არ ილაპარაკეს! ბოლოს კარლ-არტურმა ჰკითხა, შენი აზრით, ეგებ აღარც შეიძლება ჩემი მღვდლად დარჩენაო.

- ნუთუ შენთვის სულერთი არ არის, რას იტყვის კაპიტანი ჰამარბერგი?

- სულაც არ მენაღვლება კაპიტანი, შარლოტა. მხოლოდ ეგაა, საცოდავ არარაობად მიმაჩნია საკუთარი თავი. ვერც კი წარმოიდგენ, რა დღეში ვარ ახლა.

არც ამაზე ინდომა პასუხის გაცემა შარლოტამ.

- პასტორ ფორსიუსს მოეთათბირე ხვალ! - უთხრა მან, - ბრძენი კაცია, უმწიკვლო. იქნებ გითხრას, რომ სწორედ ახლა დადგება შენგან ნამდვილი მღვდელი.

ჭკვიანური რჩევა იყო და ამან მართლაც დაამშვიდა კარლ--არტური. ყველაფერი, რასაც შარლოტა ამბობდა, ამშვიდებდა. გულზე მოეშვა. გულისწყრომასა და უნდობლობას განერიდნენ.

შარლოტას ხელზე ეამბორა და უთხრა:

- ნუ ვილაპარაკებთ იმაზე, რაც მოხდა, მაგრამ ნება მომეცი, მაინც გითხრა, რომ, ღმერთმანი, ვერაფერი გამიგია ჩემი თავისა. რატომ დაგშორდი, შარლოტა? სულაც არ მინდა, თავი ვი-

მართლო, მაგრამ მართლაც ისე გამოვიდა, თითქოს საკუთარი ნების წინააღმდეგ ვიქცეოდი. რატომ ჩავუგდე დედაჩემი სიკვდილს კლანჭებში, რატომ დავკარგე?!

შარლოტას სახეზე შეძრწუნება გამოეხატა. ოთახის ყველაზე ბნელ კუთხეში გაჩერდა. მიზეზის ახსნა სულ ადვილად შეეძლო, მაგრამ არ ინდომა. კარლ-არტურს იქნებ ეფიქრა, შურს იძიებსო, ან კი რატომ უნდა ჩაემწარებინა ეს ტკბილი წუთები.

- ძვირფასო კარლ-არტურ, - უთხრა მან, - ერთი კვირის შემდეგ მე და შაგერსტრიომი იტალიაში ვაპირებთ ჩემი დის, მარიალუიზას, წაყვანას: ჭლექისგან განიკურნება და მისი პატარები არ დაობლდებიან. იქნებ სწორედ ასეც უნდა მომხდარიყო.

ეს თქვა, მივიდა იმ ადამიანთან, რომელიც უყვარდა, და კიდევ ერთხელ გადაუსვა ხელი თმაზე.

- ღვთის სულგრძელობას საზღვარი არა აქვს, - უთხრა მან, - და ვიცი, არც არასოდეს ექნება.

ცხენი და ძროხა, მოახლე და მოჯამაგირე

I

ვინ მიგდია, რომ ღატაკი გოგონებიდან სწორედ ის ამოირჩიეს, აღაზევეს და ბედნიერების კალთა დააბერტყეს? მართალია, ფულის ყადრი იცის, მომჭირნეა, ერთ სკილინგსაც არ გაფლანგავს, გამჭრიახიცაა, მოხერხებულიც, შეუძლია მუშტარს ყველაფერი შეაჩეჩოს, სჭირდება თუ არ სჭირდება საყიდლად, და მაინც, იმის ღირსი კი არ არის, რომ ასე გამოარჩიონ და აღაზევონ.

რა დიდი ვინმე ეგ ბრძანდება, რომ ასეთ სახელოვან კაცს თვალში მოუვიდა?

ყოველ დილით, გაღვიძებისას, ასე ეუბნებოდა თავის თავს: „განა ეს სასწაული არ არის? ასეთი სასწაულები მხოლოდ ბიბლიაში წერია. სწორედ უპრიანი იქნება, პასტორმა ამაზე ქადაგება წარმოთქვას ეკლესიაში“.

თითქოს ლოცულობდა, ისე დაიჭდობდა ხელებს და წარმოიდგენდა, რომ აი, იგი ეკლესიის მერხზე ზის. ეკლესია სავსეა ხალხით, კათედრაზე პასტორი დგას. ყველაფერი წესისა და რიგის მიხედვით მიდის, ჩვეულებრივი ღვთისმსახურებაა, მაგრამ პასტორი დღეს ფრიად განსაცვიფრებელ ამბავს ჰყვება. და იცით, ვისზე ლაპარაკობს? ღარიბ-ღატაკ დალეკარლიელ ქა-

ლიშვილებზე, ზურგზე ფუთამოკიდებულნი რომ გაჰკვრიან გზას, და ათასნაირ გაჭირვებასა და მწუხარებას იტანენ. პასტორს თითქოს თვალწინ უდგას მათი ცხოვრება, ისე ჰყვება, რა დღეში არიან ხოლმე ისინი, როცა ვაჭრობის საქმე ცუდად მიდის, როგორ უჭირთ ერთი-ორი გროშის შოვნაც კი, და რომ ზოგჯერ თვითონ შიმშილობენ, ოღონდ ცოტაოდენი ნავაჭრი მაინც მიიტანონ შინ. მაგრამ დღეს პასტორმა სასიხარულო ამბავი მოუტანა თავის საყვარელ მრევლს, უფალმა ღმერთმა მოწყალე თვალით გადმოხედა ერთ ასეთ მიუსაფარ გოგონას, ამიერიდან აღარასოდეს მოუწევს მას გზებზე ხეტიალი ყინვასა და ავდარში, იგი ცოლად მიჰყავს პასტორს, აცხოვრებს თავის კარ-მიდამოში, სადაც ეყოლება ცხენიც, ძროხაც, მოახლეც და მოჯამაგირეც.

როგორც კი პასტორმა ეს სიტყვები წარმოთქვა, ეკლესიას თითქოს სინათლე მოემატა და მრევლმაც შვებით ამოისუნთქა. ყველას გაუხარდა, რომ ბედშავი გოგონა ამიერიდან მდიდრულად იცხოვრებდა. დაფასებულიც იქნებოდა. ანას ახლომახლო მსხდომნი თავს უქნევდნენ და უღიმოდნენ.

ანა ისეა შეცბუნებული, სახეზე ალმური ასდის, ახლა კიდევ პასტორი მისკენ შემობრუნდა და ასეთ სიტყვებს ეუბნება:

„რა დიდი ვინმეც შენა ბრძანდები, ანა სვერდ, ასეთი ბედნიერება და პატივი რომ გეღირსა, მხოლოდ შენ ერთი რომ გამოგარჩიეს ამდენ ღარიბ-ღატაკ გოგონაში? გახსოვდეს, ეს შენი დამსახურება კი არა, ღვთის წყალობაა. არ დაივიწყო ისინი, ვინც დღედაღამ წელს იწყვეტენ, რომ ცოტაოდენი შესამოსი და ლუკმაპური იშოვონ!“

ისე კარგად ლაპარაკობდა პასტორი, რომ ანას მთელი დღე საწოლში ყოფნა და მისი მოსმენით ტკბობა უნდოდა, მაგრამ, როცა პასტორი სხვა მოვაჭრე ქალებზე დაიწყებდა ლაპარაკს, ანას თვალებზე ცრემლი მოადგებოდა და თუ იმ ღამეს საბანი

ეხურა, ხომ გადაიხდიდა, თუ არადა, ნაბდისძველას გადაიგდებდა, საწოლიდან წამოხტებოდა და წამოიძახებდა:

„რეგვენი, ჩერჩეტი ვარ! აბა, რა მაზლუქუნებს, მე ხომ თვითონ გამოვიგონე ყველაფერი ეს!“

იმისთვის, რომ თავის ძველ ამხანაგ ქალებს დახმარებოდა, ანამ ჯერ კიდევ სექტემბრის შუა რიცხვებში გადაწყვიტა შინ დაბრუნება. საშემოდგომო ბაზრობა იწყებოდა, ის კი სწორედ ახლა მიდიოდა შინ. ეს ზარალს მოუტანდა, მაგრამ გადაწყვიტა, ადგილი თავისი ძველი მეტოქეებისთვის დაეთმო. აბა, რომელ მათგანს გამოუჩნდებოდა ისეთი საქმრო, როგორიც მას ჰყავდა. ახსენდებოდა მედსტუბიუნელი რის კარინი, ანსტუ ლიზა და ბევრი სხვა. ისინი გულით გაიხარებდნენ, როცა გაიგებდნენ, რომ ანა ბაზრობას არ ესწრებოდა და მუშტარს აღარ წაართმევდა მათ.

ანამ იცოდა, როცა შინ დაბრუნდებოდა, ვერავინ მიხვდებოდა, რატომ მოეპრიანა ბაზრობიდან ჩამოსვლა, ანა კი მიზეზს არ გაამხელს. იგი ხომ ღვთის საამებლად, მისი წყალობის სანაცვლოდ მოიქცა ასე.

მაგრამ არავის არაფერი დაუშავდება, თუ კარლსტადიდან წასვლისას ახალ საქონელს იყიდის. არავის არაფერი დააკლდება, თუ ჩრდილოეთისკენ მიმავალ გზაზე კარდაკარ ივლის და თავის საქონელს გაასაღებს. ნაყიდებით სავსე ტომარა ფუთაში ჩადო, ზურგზე აიკიდა და, ის იყო, კარის სახელურს უნდა მისწვდომოდა, მაინც გულმა არ მოუთმინა, შემობრუნდა და თავისი სასწაული გაუმხილა ქალებს:

- კარგად იყავით, ჩემო კეთილებო, მე აქ აღარ დავბრუნდები, ვთხოვდები.

და როცა ქოხში მყოფნი ერთბაშად აქოთქოთდნენ და სიხარულით მისცვივდნენ, გვითხარი, ვინ არის შენი საქმროო, ანამ საზეიმო ხმით წარმოთქვა:

- ეს ისეთი სასწაულია, სწორედ ეკლესიაში ქადაგებად სათქმელი, რა დიდი ვინმეც მე ვარ, რომ ასეთი ბედნიერება მერგო წილად? პასტორს მივყვები ცოლად და მის კარ-მიდამოში ვიცხოვრებ. ცხენიც მეყოლება და ძროხაც, მოახლეც და მოჯამაგირეც.

ანამ იცოდა, როგორც კი თვალს მიეფარებოდა, სიცილ--ქირქილს დააყრიდნენ, მაგრამ არ სწყინდა, ადამიანი თუ უმადურია, დიდხანს არ გასტანს მისი ბედნიერება.

გზად მიმავალმა ერთ ეზოში შეიარა, სადაც ადრე ერთხელაც ვერ დაიყოლია დიასახლისი რაიმეს ყიდვაზე, თუმცა, ეს ქალი მდიდარი ქვრივი იყო და სხვის დაუკითხავად შეეძლო ფულის ხარჯვა.

ეგებ ახლა მაინც არ მითხრას უარიო, ანამ მაშინვე ის უთხრა, უკანასკნელად მოვედი აქ სავაჭროდო, ეს თქვა, გაჩუმდა და ორაზროვნად შეხედა ქალს.

ხარბი გლეხის ქალი ცნობისმოყვარეობამ აიტანა, ვეღარ მოითმინა და ჰკითხა, რატომ ანებებ თავს მეწვრილმანეობასო.

დალეკარლიელმა ქალიშვილმა მიუგო, რომ უდიდესი სასწაული შეემთხვა. ასეთი სასწაული მხოლოდ ბიბლიაში თუ წერიაო, ეს თქვა და კვლავ გაჩუმდა. გლეხის ქალი იძულებული შეიქნა, ისევ გამოეკითხა ეს საოცარი ამბავი.

მაგრამ ანა სვერდმა ტუჩები აიბზუა და კრინტიც არ დაძრა - ალი-კვალი ისევ ძველებური ანა გახლდათ. ასე გააცურა ეს წუწურაქი ქალი და აბრეშუმის თავსაფარიც აყიდვინა და სავარცხელიც, მხოლოდ ამის შემდეგ უთხრა, რომ უფალმა ღმერთმა შეიბრალა ღატაკი გოგონა და ეს უღირსი ვინმე ცოლად მიჰყავს პასტორს, თავის კარ-მიდამოში აცხოვრებს, სადაც ცხენიც ეყოლება და ძროხაც, მოახლეც და მოჯამაგირეც.

იქიდან რომ წამოვიდა, გაიფიქრა, დახე, რა კარგად გაჭრა ჩემმა ხერხმა, სხვაგანაც ასე ვიზამო, მაგრამ ეს ეშმაკობა აღარ გაუმეორებია, რადგან ეშინოდა, ფათერაკი არაფერი შემხვდესო. ღვთის წყალობა ბოროტად არ უნდა გამოიყენოს ადამიანმა.

პირიქით, ახლა ზოგჯერ უფასოდაც ურიგებდა გოგოებს ფერადშუშიან ქინძისთავებს. ადრე აზრადაც არ მოუვიდოდა რაიმეს გაჩუქება, ახლა კი ასე მცირედით, მაგრამ კეთილი გულით სამადლობელს უხდიდა მამაზეციერს.

მაინც რად ერგო ასეთი ბედნიერება ამ უღირს გოგონას? ბედი წყალობს და იმიტომ. იქნებ იმიტომ სტაცებენ ხელიდან საქონელს ყველა სოფელში, საშემოდგომო ბაზრობა რომ მიატოვა და თავის ამხანაგებს მეტოქეობას აღარ უწევს? რაც კარლსტადიდან წამოვიდა, ერთხელაც არ მოსცარვია ხელი. როგორც კი გახსნის თავის ფუთას, ბუზებივით ეხვევა ხალხი, თითქოს მზე და ვარსკვლავები ჩამოეტანოს გასაყიდად. ნახევარი გზაც არ გაუვლია და თითქმის ყველაფერი გაასაღა.

ერთხელ, როცა ფუთაში ერთი დუჟინი რქის სავარცხელი და რამდენიმე შეკრულა ბაფთაღა ჰქონდა დარჩენილი და ნანობდა, რატომ ორჯერ მეტი საქონელი არ ვიყიდე კარლსტადშიო, მოხუცი რის კარინი შემოხვდა. დედაბერი ჩრდილოეთიდან მოდიოდა. ფუთა გატენილი ჰქონდა. უგუნებოდ იყო - ორი დღის განმავლობაში თითქმის ვერაფერი გაეყიდა.

ანა სვერდმა მთელი საქონელი იყიდა მისგან და მერე კიდევ იმით განაცვიფრა, რომ უთხრა, პასტორს მივყვები ცოლადო.

ანა სვერდი ფიქრობდა, რომ არასოდეს დაავიწყდებოდა წითელი მანანის ბუჩქებით მოფენილი გორაკი, სადაც მაშინ ისხდნენ და თავიანთ საქმეზე ბჭობდნენ. ეს იყო ყველაზე სასიამოვნო რამ, რაც ამ გრძელ გზაზე შეხვდა. რის კარინი ჯერ იმ წითელ მანანასავით წამოენთო, მერე ცრემლები გადმოყარა.

ატირებული დედაბრის შემყურე ანა სვერდს გაახსენდა, რომ დაუმსახურებლად ერგო ბედნიერება, მოვაჭრე ქალებს შორის მხოლოდ თვითონ აღზევებულიყო, ამიტომ დათქმულზე ცოტა მეტიც კი გადაუხადა საქონლის საფასური.

ხანდახან რომელიმე ბორცვზე წნულ ღობეს ზურგით მიეყრდნობოდა, რომ ფუთის სიმძიმე შეემსუბუქებინა და მხრებისთვის შეღავათი მიეცა, და თვალით სამხრეთისკენ აცილებდა ფრინველთა გუნდებს. როცა ახლომახლო არავინ იყო, რომ დაეცინა მისთვის, ანა ხმასაც მიადევნებდა ჩიტებს, სალამი გადაეცით, თქვენც იცით, ვისაც; იმასაც გასძახებდა, მეც კი გავფრინდებოდი მისკენ, მაგრამ ვაი, რომ ფრთები არა მაქვსო.

მართლაცდა, განა რითი დაიმსახურა, რომ მრავალთაგან მხოლოდ იგი გამოარჩიეს და მის გულს ტანჯვისა და სიყვარულის ძველთაძველ ენაზე ლაპარაკი ასწავლეს?

II

ასე მიეშურებოდა იგი სახლისკენ, და აი, ბოლოს გამოჩნდა კიდეც სოფელი მედსტუბიუნი. ანა ერთ ადგილს გაჩერდა და ირგვლივ მიმოიხედა, თითქოს უნდოდა, დარწმუნებულიყო, რომ მის სოფელს არაფერი დამართია, რომ თვითონაც ცოცხალი და უვნებელია და მართლაც მდინარე დალელვის ნაპირზე დგას და რუხი, დაბალი ქოხები ძველებურად მიჰკვრიან ერთმანეთს, ეკლესიაც ისევ ისე წამოჭიმულა პატარა კონცხზე სოფლის სამხრეთით, რომ არყნარით მოფენილი პატარ-პატარა კუნძულები

და ფიჭვის ტყეები მის აქ არყოფნაში არ აღგვილან პირისგან მიწისა და ყველაფერი ძველებურადაა.

როცა ყოველივე ამაში დარწმუნდა, მაშინღა იგრძნო საშინელი დაღლილობა. ჰა და ჰა, სახლამდე მისვლის ძალა თუ ეყოფოდა. ადამიანი მუდამ ასეთ დაღლილობას გრძნობს, როცა თითქმის მიზანთანაა მისული. ღობიდან სარი გამოაძრო, კვერთხივით მოიმარჯვა და რის ვაი-ვაგლახით წალასლასდა შინისკენ. ფუთამ მხრები ჩამოუწყვიტა, ტვირთის სიმძიმე თითქოს გაორკეცდაო. სუნთქვაც გაუჭირდა. დროდადრო ჩერდებოდა, რომ ქარი ამოეღო.

ძალიან ნელა, სვენებ-სვენებით მიდიოდა და მაინც მიაღწია სოფელს. იქნებ იმედი ჰქონდა, რომ დედამისი, მოხუცი ბერიტი ან კიდევ რომელიმე კეთილი მეგობარი შეხვდებოდა და ფუთის წაღებაში შეეშველებოდა, მაგრამ ამაოდ.

მართალია, ერთი-ორმა თანასოფლელმა დაინახა, რა დღეშიც იყო, ისიც კი გაიფიქრეს, საცოდავი დედამისი, როგორი სნეული შვილი დაუბრუნდაო სახლშიო. ანას დედა ერთი ღატაკი ჯარისკაცის ქვრივი გახლდათ - არც ფული ჰქონდა, არც ქოხი. ორ შვილს მარტო როგორ გამოზრდიდა, მაგრამ ღმერთმა უშველოს მის მაზლს - იობს ერიკს, - რომელიც გვარიანად შეძლებული კაცი იყო. თავის სახლში, საჯინიბოსა და ბოსელს შორის, ერთ პატარა სენაკში მიუჩინა თავშესაფარი. ბერიტი ხელმარჯვე ქალი იყო, ქსოვაც ხომ ეხერხებოდა, ყველაფერი ემარჯვებოდა. ასეთი ხელგამომავალი ადამიანი დიახაც რომ ესაჭიროება სოფელს, მაგრამ ორი ბავშვის გაზრდა მაინც ძნელი იყო და ბერიტ სვერდიც დღესა და ღამეს ასწორებდა, ამიტომაც დააუძლურა ამდენმა ჭაპან-წყვეტამ. ერთადერთი იმედი ისღა ჰქონდა, რადგან გოგონამ ვაჭრობა დაიწყო, ეგებ ახლა მაინც გვეშველოს ცოტაო. ოღონდ კი ავად არ გაუხდეს ის გოგო! და რაკი ანა უდ-

როო დროს დაბრუნდა შინ, ალბათ, ცუდად იყო მისი საქმე. ღარიბი კაცის საშველი როდის ყოფილა.

იობსის კარ-მიდამო ისე იყო ჩახერგილი შეშით, საშენი ხეტყით, სახლებსა და მინაშენებთან მდგომი ოთხთვალებით, ანა სვერდმა ძლივს გაიკვალა გზა თავისი ქოხისკენ. დედა ამ დროს შინ არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ კარი რომ შეაღო, იატაკზე დამჯდარი დაინახა, სელის ბეჭვით გართული. ადვილი წარმოსადგენია, როგორ გადაუტრიალდა ქალს შიშისგან გული, თავისი ქალიშვილი რომ დაინახა, თანაც ჯოხზე დაყრდნობილი და წელში ოთხად მოკაკული. ანას არაფრად ჩაუგდია დედის შეშინება. ლაპარაკის თავი არ ჰქონდა, ძლივს მიესალმა, კვნესა-ოხვრით შუა ოთახში გაჩერდა ზურგშექცევით, რომ დედისთვის თვალებში არ შეეხედა.

რა უნდა ეფიქრა მოხუც ბერიტს? დაჩვეული იყო, მისი ქალიშვილი ყოველთვის მხრებგაშლილი, ლაღად ბრუნდებოდა შინ, ახლა კი, ალბათ, რაღაც უბედურება დაატყდა. ბერიტმა განზე გადგა ჯარა.

ანა სვერდი ისევ კვნესა-კვნესით ფანჯარასთან მივიდა და ფუთა მაგიდაზე ჩამოდო. მერე თასმები მოიხსნა და წელზე ხელი მოისვა, მაგრამ მაინც ვერ გაიმართა. ასევე მოხრილი მივიდა ღუმელთან და საწოლზე ჩამოჯდა.

რა უნდა ეფიქრა მოხუც დედას? ანამ ისეთივე სავსე ჩამოიტანა თავისი ფუთა, როგორიც ამ გაზაფხულზე წაიღო. ნუთუ მთელი ზაფხული ვერაფერი გაყიდა? იქნებ იავადმყოფა ან დაიშავა რამე? კითხვაც კი ვერ გაბედა, ისე ეშინოდა პასუხისა.

ანა კი ფიქრობდა, უმჯობესია, ჯერ მწარედ განიცადოს დედაჩემმა ჩვენი სიდუხჭირე და უიმედობა, თორემ ისე იქნება, კარგად ვერც გაუგოს გემო ჩემს ამბავსო. საცოდავი ხმით სთხოვა, ეგებ ტომარას პირი მოხსნა, ჩემზე დაღლილი არ იქნებიო.

რაღა თქმა უნდა, მოხუცი ბერიტი მოხარულიც იქნებოდა, თუ რაიმე შემწეობას მაინც გაუწევდა შვილს. მხოლოდ ეგაა, ხელები უკანკალებდა და კარგა ხანს იწვალა, სანამ კვანძები და თასმები გახსნა და ტომარაში ხელი ჩაყო; ხოლო, როდესაც ფუთა გახსნა, ლამის თავბრუ დაესხა. ან როგორ არ უნდა განცვიფრებულიყო, როცა ფუთაში არც ღილები იყო, არც აბრეშუმის თავსაფრები, არც ნემსები. პირველად ხელში მოხვდა ლორის ნაჭერი, მის ქვეშ იყო ყავისფერი ცერცვით სავსე პარკი და მეორე ასეთივე პარკი, რომელშიც ხმელი მუხუდო ეყარა. აბა, სად იყო ბაფთები, სათითეები, ჩითის თოფები, რასაც გოგონები დაატარებენ თავიანთი ფუთებით კარდაკარ. სამაგიეროდ, იყო შვრიის ბურღული, ბრინჯი, ყავა, შაქარი, ყველი და კარაქი.

მოხუც ქალს ლამის ყალყზე დაუდგა თმა. მან კარგად იცოდა თავისი ქალიშვილის ხასიათი. ანას არ სჩვეოდა საჩუქრების მოტანა სახლში. ჭკუიდან თუ შეიშალა? ან ეგებ სხვა რამ უბედურება სჭირს?

მოხუცი ის იყო, მაზლთან აპირებდა გაქცევას, ეგებ იმას მაინც გაერკვია ყველაფერი, მაგრამ, საბედნიეროდ, ამ დროს ქალიშვილისკენ გაიხედა და რა დაინახა: ზის მისი ანა და იცინის. მოხუცი მიხვდა, რომ შვილმა რაღაც ოინი უყო, და გაბრაზებულმა გარეთ გაგდებაც კი დაუპირა. მაგრამ ჯერ უნდა გაეგო, რაში იყო საქმე. მფლანგველი გოგო არ არის, არც ხუმრობა და დედის დაცინვა სჩვევია.

- რა ჯანდაბად გინდოდა ყველაფერი ეს?

- შენ მოგიკითხე.

მოხუც ბერიტს ჯერ კიდევ იმის იმედი ჰქონდა, იქნებ რომელიმე მეზობელმა დააბარა მთელი ამ ხორაგის ჩამოტანაო, გაკვირვებისგან თავბრუ დაესხა.

- რეგვენო! - მიაძახა ქალიშვილს, - ნუთუ გგონია დაგიჯერებ, რომ ჩემი გულისთვის მოიკალი ასე თავი.

- შინ რომ ვბრუნდებოდი, რაც რამ საქონელი მქონდა, ყველაფერი გავყიდე. ცარიელი ფუთის ტარებას მიჩვეული არა ვარ, ჰოდა, რაც ხელთ მომხვდა, ჩავტენე შიგ.

მოხუცი ბერიტი ფქვილს შეურევდა ხოლმე ნამჯასა და ქუჩეჩოში და ეს იყო მისი შეჭამანდი, ფაფაში კი რძეს იშვიათად თუ ჩაუმატებდა. ამიტომ არ სჯეროდა ქალიშვილის ნათქვამისა. შვილის გვერდით საწოლზე ჩამოჯდა და ჰკითხა:

- აბა, მომიყევი, რა ამბავია შენს თავს?

ანა სვერდმა გადაწყვიტა, ახლა კი მომზადებულია დედაჩემიო და აღარ დაუმალავს თავისი დიდი სიხარული.

- ჰოდა, ასე, დედაჩემო, სასწაულია ჩემს თავს, დიდი სასწაული. ასეთი სასწაულები მხოლოდ ბიბლიაში წერია. ის დროა სწორედ, ეკლესიაში იქადაგონ ამაზე.

III

დედა-შვილმა მაშინვე გადაწყვიტა, ამ დიდი სიხარულის ამბავი პირველად იობს ერიკისთვის ეამბათ.

ერიკი მათი ყველაზე ახლობელი ნათესავი იყო, თანაც მუდამ მოწყალე თვალით უყურებდა ანას, ისიც კი უთქვამს ბევრჯერ, როგორც კი საქმრო გამოუჩნდება, მე გადავუხდი ქორწილსო.

შუადღე იყო, როცა მასთან მივიდნენ. იობს ერიკი ღუმელზე იჯდა, ის იყო, თამბაქოს მაგივრად გუგულის სელი მოეწია და ახლა მის ნაცარს ყრიდა ყალიონიდან. იმ ხანებში სოფლის ახალ-

გაზრდები საშოვარზე იყვნენ წასული სამხრეთში, ჯერ არც ერთი არ მობრუნებულიყო უკან და მთელ მედსტუბიუნში ერთ მუჭა თამბაქოსაც ვერ იშოვიდა კაცი.

ანა სვერდი მაშინვე მიხვდა, რომ იობს ერიკი გუნებაზე არ იყო, მაგრამ არ შეშინებია, არ სწყენია. იცოდა, როგორც კი მის ამბავს გაიგებდა, მაშინვე გამოცოცხლდებოდა.

იობს ერიკი ახოვანი, ტანადი კაცი იყო. შავი თმა ჰქონდა, თვალები კი მუქი ლურჯი, სახის ნაკვთები - სწორი, ანა სვერდი ისე ძალიან ჰგავდა ბიძამისს, მისი ქალიშვილი გეგონებოდათ. მაგრამ ბიძა-ძმისწული განა თუ მარტო სახით ჰგავდნენ ერთმანეთს. ახალგაზრდობაში ერიკიც ვაჭრობდა. ანასავით ისიც მოხერხებული, გამჭრიახი იყო და კაი გვარიანად შოულობდა ფულს. შვილები რომ წამოეზარდნენ, მამას უნდოდა მის კვალს გაჰყოლოდნენ, მაგრამ არც ერთმა არ გაუმართლა. ანას კი ძალიან მოეწონა ეს საქმიანობა, შეიფერა და ივარგა კიდეც, ამიტომ ბიძამისი საკუთარ შვილებზე მეტად წყალობდა და არაერთხელ დაუტრაბახია კიდეც თავისი ძმისწულით.

მაგრამ ახლა, როცა დედა-შვილი ესტუმრა, არც ტრაბახის ხასიათი ჰქონდა, არც ქების გუნებაზე იყო.

- გეტყობა, ჭკუა გამოგელია, - დაუცაცხანა ბიძამ, - რამ გაფიქრებინა გახურებული საშემოდგომო ბაზრობის მიტოვება.

მაგრამ ანა სვერდმა, რომელსაც უდიდესი სასწაული შეემთხვა, რომელიც ბედნიერებას ეღირსა და ისე აღზევდა, რომ გამოირჩა არა მარტო ღატაკ მოვაჭრე ქალებში, არამედ თავის ტოლ თანასოფლელ გოგონებშიც, იფიქრა, იქნება ახლავე ვუამბო ბიძას ჩემი დანიშვნის ამბავიო. ეს ხომ ისეთი უბრალო რამ არ იყო, როგორც, ვთქვათ, მადლობის გადახდა გამასპინძლებისთვის. ამიტომ გადაწყვიტა, შორიდან მოევლო, რათა ჯერ ნიადაგი მოემზადებინა და მერე ეთქვა ყველაფერი.

და რაკი სათქმელი შემოინახა, ბიძამისის საყვედურს პასუხად შეაგება, ამდენი ხეტიალით დავიღალე და სახლში ყოფნა მომენატრაო.

- ჩვენნაირ ხალხს დაღლა არ შეჰფერის, - მიუგო იობს ერიკმა და თავისი ახალგაზრდობა გაიხსენა: დაღლას არაფრად ვაგდებდი, ამდენ და ამდენ ფულს ვშოულობდიო.

ანა სვერდი გულისყურით უსმენდა, სიტყვას არ აწყვეტინებდა, მაგრამ, როცა ბიძამისმა ლაპარაკით გული მოიოხა, გადაწყვიტა, ახლა კი დროა, ჩემს საქმეზე გადავიდეო, ჯიბიდან შეკვრა თამბაქო ამოიღო, გაუწოდა და უთხრა, აჰა, მოწიე, შეგერგოსო.

უნდა მოგახსენოთ, რომ სამი წლის წინ, როცა ანა სვერდმა ვაჭრობა დაიწყო, იობს ერიკმა ცოტაოდენი ფული ასესხა. მერე, ყოველ შემოდგომაზე, როგორც კი შინ დაბრუნდებოდა ანა, მაშინვე მასთან გაჩნდებოდა, ეუბნებოდა, რამდენი ფული იშოვა და მოგების ნაწილს ვალში უხდიდა ხოლმე. ახლა კი, დახეთ, ფულის მაგივრად თამბაქო მოართვა. რასაკვირველია, ნამდვილი თამბაქოს მოწევას მართლაც მონატრებული იყო იობს ერიკი, მაგრამ მაინც დაიღმიჭა და ისე გამოართვა მოსაკითხი.

ანა სვერდი ხასიათით ბიძამისის მონაჭერი იყო და მაშინვე მიხვდა, რამაც შეაშფოთა ერიკი. ადრე ანას ერთხელაც არ ჩამოუტანია მისთვის საჩუქარი. მაშასადამე, ახლა ცუდად წასვლია ვაჭრობის საქმე. ალბათ, თამბაქო იმიტომ მოუტანა, რომ ვალის გასასტუმრებელი ფული არა აქვს.

იჯდა და ხელში ატრიალებდა საჩუქარს, მადლობაც კი არ უთქვამს.

- ერთხელ ხომ მაინც უნდა გცე პატივი, რადგან პირველად შენ გამიმართე ხელი, - უთხრა ანამ და მთავარი ამბის სათქმელად მოემზადა, - ამიერიდან აღარ ვივაჭრებ. აი, ეგრეა საქმე.

ბიძამისს ჯერ კიდევ ხელში ეჭირა თამბაქო და გეგონებოდათ, საცაა პირდაპირ სახეში მიაყრის ძმისწულსო. რაო, აღარ ვივაჭრებო? იობს ერიკი მხოლოდ იმას მიხვდა, რომ ანას ფული არ ჰქონდა და არც ექნებოდა, მაშასადამე, ვალსაც ვერ გადაუხდიდა.

- ვთხოვდები, აი, ეგრეა ჩემი საქმე, - განაგრძობდა ანა სვერდი, - მე და დედაჩემმა გადავწყვიტეთ, პირველად შენთვის გვეთქვა ეს ამბავი.

იობს ერიკმა თამბაქო გვერდზე გადადო, ცხადზე უცხადესია, იმ ფულს ვეღარ დაიბრუნებს. ამას კიდევ ვინ ჩივის, ახლა ქორწილიც უნდა გადაუხადოს ძმისწულს. ისე ჩაახველა, თითქოს რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ გადაიფიქრა.

ანას დედას უზომოდ შეებრალა იგი. მაზლი ისეთ დღეში იყო, თითქოს დიდი უბედურება დასტყდომოდეს თავს. ხომ უნდა დაეშოშმინებინა და ქალიშვილის გათხოვების სასწაულებრივი ამბავიც ბოლომდე ეთქვა.

- ამ სამი წლის წინ, როცა მეწვრილმანედ ვამწესებდი ჩემს ქალს, აბა, როგორ ვიფიქრებდი, ასეთი ბედნიერება რომ ეწვეოდა? ანა ვერმლანდში თხოვდება, პასტორს მიჰყვება. პასტორის კარ-მიდამოში იცხოვრებს, ცხენიც ეყოლება და ძროხაც, მოახლეც და მოჯამაგირეც.

- ეგრეა, - წარმოთქვა ანამ და მორცხვად დახარა თავი, - ნამდვილი სასწაული მოხდა. მაშასადამე, ბედშავ გოგოს უფრო გამიმართლა, ვიდრე შენ - თვით იობს ერიკს.

მაგრამ, ეტყობოდა, მოხუცი არცთუ ძალიან გააკვირვა ამ სასწაულმა. იჯდა და დამცინავი ღიმილით შესცქეროდა ხან დედას, ხან მის ქალს.

- მაშასადამე, პასტორს მიჰყვები ცოლად, ხომ?! სულ ეგაა? მეც არ გამიკვირდა, ასე გაბღენძილი რომ გამომეცხადა ჩემი

ძმისწული, თან მოსაკითხიც მომიტანა. ვიფიქრე, რომელიმე პრინცი თუ ირთავს-მეთქი.

- აბა, როგორ გეკადრება, ჩემო კარგო! ნუთუ ფიქრობ, რომ ანა გემასხრება?

მოხუცი მთასავით წამოიმართა ფეხზე.

- არა, არა ვფიქრობ, რომ მაგან ჩემთან მასხრობა დაიწყოს, - მიუგო მან, - მაგრამ იმ მხარეში მატრაბაზი ხალხია და გამასხარავებაც თავის გუნებაზე იციან. ვისაც ზურგზე მოკიდებული ფუთით მოუვლია იქაურობა, იმან კარგად იცის ეს ამბავი. გასაკვირი არ იქნება, ერთი ჩიორა გოგო გააპამპულაონ. მე და შენ კი, ბერიტ, თავგზა არ უნდა აგვებნეს. აბა, ერთი სამზარეულოში გადი და უთხარი, ბლომად საგზალი მოუმზადონ შენს ქალს, ხვალ დილით კი ახსენოს ღმერთი და გზას გაუდგეს, თანაც ჭკუა დაარიგე, რომ ორ თვეზე ადრე ფეხი არ შემოდგას სახლში.

დედა-შვილი შეშინებული წამოდგა და კარს მიაშურა. კარის ზღურბლთან ანა შეჩერდა და გაუბედავად მიმართა ბიძას:

- ვალის გასასტუმრებელი ფული თანა მაქვს, მაგრამ იქნებ გინდა, ახლა კი არა, დეკემბერში მოგცე?

იობს ერიკმა ისე შეხედა, მისმა მზერამ ძვალსა და რბილში გაუარა ანას.

- ერთი ამას დამიხედეთ! - უთხრა ძმისწულს, - შენ რა, მართლა მიპირებ გასულელებას თუ რა? ნუ გათხოვდები! ისევ ვაჭრობა გერჩიოს, ნაღდი საქმეა! შენ შეგიძლია ისე გამდიდრდე, რომ თუ მოინდომებ, მთელ მედსტუბიუნს იყიდი.

IV

შინ რომ დაბრუნდნენ, ანა სვერდმა დედამისთან ერთად დედილო ინგბორგთან, რისგორდენის მამულში წასვლა მოინდომა, რათა ახლა მისთვის ეამბა უდიდესი სასწაულის ამბავი, მაგრამ ბერიტმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა.

რისგორდენი იობს ერიკის სახლს ემიჯნებოდა, მაგრამ მეზობლები ერთმანეთს ვერ შეეწყვნენ, თუმცა, აშკარა ჩხუბს თავს არიდებდნენ, ამიტომ სოფელმაც არ იცოდა ეს ამბავი.

ინგბორგი ქვრივი იყო. მისი კარ-მიდამო ყველას სჯობდა მედსტუბიუნში, მაგრამ უკაცოდ დარჩენილ ოჯახს მაინც უჭირდა და იძულებული იყვნენ, დღიურად მუშები დაექირავებინათ მინდორში სამუშაოდ.

ამ ქალის ერთადერთი ოცნება ის იყო, სანამ შვილები წამოეზრდებოდნენ, როგორმე შეენარჩუნებინა კარ-მიდამო, მერე კი აღარაფერი გაუჭირდებოდათ. ინგბორგს ყველაზე მეტად თავისი და, რის კარინი, უმართავდა ხელს. მთელმა სოფელმა იცოდა, რომ სწორედ მისი ნაშოვნი ფულით ისტუმრებდა ქვრივი გამოსაღებსაც, დღიურ მუშებსაც. მაგრამ, რაც ანა სვერდმა ვაჭრობა დაიწყო, რის კარინის საქმე უკუღმა წავიდა. ამის შემდეგ რისგორდენის კარ-მიდამოში მცხოვრებნი ალმაცერად უყურებდნენ იობსგორდენელ მეზობლებს, განსაკუთრებით, რასაკვირველია, ანა სვერდსა და დედამისს.

მაგრამ, როცა მოხუცმა სვერდმა ყველაფერი ეს მოაგონა ანას, ასეთი პასუხი მიიღო მისგან: დროა, ბოლო მოეღოს მეზობ-

ლურ უთანხმოებას და სწორედ ამიტომ მინდა რის ინგბორგთან მისვლა. ხოლო თუ არ გინდა წამომყვე, მარტო მე წავალო.

და რაკი თავისი არ დაიშალა, დედაც თან გაჰყვა, მარტო ცოდვაა, თუ გაუჭირდა, იქნებ მეც შევეშველოო.

მოხუცი ინგბორგის სახლში რომ შევიდა, ანა სვერდი განცვიფრებისგან გახევდა. რამდენი წელია, ფეხი არ შემოუდგამს აქ და აღარც კი ახსოვდა, რა ლამაზი იყო იქაურობა. მთელი კედლები მორთული იყო ბიბლიური სურათებით. მხოლოდ იმ ადგილებში არ იყო სურათები ჩამოკიდებული, სადაც კარადები, მურული საათი და მიჩიგდანიანი საწოლები იდგა. ერთ კედელზე ჩამოკიდებულ სურათზე გამოსახული იყო იოსები; იგი ოთხცხენშებმულ კარეტაში იჯდა, კოფოზე მეეტლე წამოსკუპებულიყო, მსახურებიც თან ახლდნენ; იოსები მამამისის - იაკობის შესახვედრად მიემგზავრებოდა. მეორე სურათზე, დიდ ფანჯარასთან რომ ეკიდა, ეხატა ქალწული მარიამი ბავშვობაში, იგი მოწიწებით უკრავდა თავს ოქრომკედით მოქარგულ მუნდირსა და სამკუთხა ქუდში გამოწყობილ ანგელოზს. ანა სვერდმა კეთილის მომასწავებლად მიიჩნია ეს სურათები. გულით ხარობდა, როცა რაიმე მოაგონებდა იმ ადამიანებს, ვინც ღმერთმა თავისი სასწაულებრივი ძალით სიღატაკისა და უბედურებისგან იხსნა და აღაზევა.

რისგორდენელი ინგბორგი მშვიდი ქალი იყო, სანდომიანი, სადაც კი ფეხს შედგამდა, მის ირგვლივ მყუდროება და წესრიგი სუფევდა. ხელსაქმე უყვარდა, აი, ახლაც მარცხენა ხელზე თეთრი თათმანი წამოეცვა და ზედ ყვავილებსა და ფოთლებს ქარგავდა.

მეზობლები რომ ეწვივნენ, ეტყობოდა, სიხარულით ცას არ სწევია, მაგრამ მაინც წესისა და რიგის მიხედვით დახვდა - წინ

შეეგება, ხელი ჩამოართვა და ფანჯარასთან დასვა, მერხზე, მერე თვითონაც ფანჯარასთან დაჯდა და ხელსაქმე განაგრძო.

სიჩუმე ჩამოვარდა, ანა სვერდმა გულში დაასკვნა, მასპინძელი, ალბათ, ფიქრობს, ნუთუ ჩემს სტუმრებს იმედი აქვთ, რომ ყავით გავუმასპინძლდებიო. ანას ეს არ სწყენია. მართლაცდა, რატომ უნდა მოერთმია მათთვის ყავა დიასახლისს, იმიტომ ხომ არა, რომ ანა სვერდი მის დას ვაჭრობაში შეეცილა და საშოვარი დააკარგვინა?

ზრდილობის წესისამებრ ერთხანს დუმდნენ, მერე პირველად ანა სვერდმა დაიწყო ლაპარაკი და ინგბორგს უამბო, რის კარინს რომ შეხვდა გზაზე, რისგორდენში იმიტომ მოვედი, მისი მოკითხვა გადმომეცა და მეთქვა, თქვენი და ჯანმრთელადაა და არაფერი უჭირსო.

- მადლობა ღმერთს ჯანმრთელადაა. ჯანმრთელობა ყველაზე ძვირფასია.

- ჯანმრთელობა ყველას სჭირდება, - მაშინვე აუბა მხარი ანას დედამ, - განსაკუთრებით იმათ, ვინც გზაზეა გაკრული.

- სიმართლეს ბრძანებთ, - კვერი დაუკრა რის ინგბორგმა.

საუბარი ისევ შეწყდა, ანა სვერდს თავში გაუელვა, აი, ახლაც იმას ფიქრობს ეს ქალი, გავუმასპინძლდე თუ არა ამათ ყავითო. ეტყობოდა, მასპინძელს ჯერაც ვერ გადაეწყვიტა, რა დიდი ამბავია, რის კარინის მოკითხვა გადასცა, ეგაა და ეგ. მერედა ამის გულისთვის უნდა გაუმასპინძლდეს?

მაგრამ ამ დროს ისევ ანა სვერდი ალაპარაკდა. აბა, როგორ გაბედავდა დღისით, მზისით, რის ინგბორგთან მისვლას და მის მოცდენას, მარტო სალამი რომ ჰქონოდა გადასაცემი. არა, ანას სხვა სათქმელიც აქვს. როდესაც ერთმანეთს შეხვდნენ, რის კარინი ჩრდილოეთიდან მოდიოდა და ტომარა სავსე ჰქონდა სავაჭრო საქონლით, ანა კი სამხრეთიდან ბრუნდებოდა და გასა-

ყიდი აღარაფერი დარჩენოდა. ამიტომ რის კარინს მოელაპარაკა და მთელი მისი საქონელი შეისყიდა, ერთმანეთს რომ გამოეთხოვნენ, კარინი ისევ კარლსტადში დაბრუნდა, რათა ახალი საქონელი ეყიდა და საშემოდგომო ბაზრობისთვის მიესწრო.

რის ინგბორგი და რის კარინი იმითაც ჰგავდნენ ერთმანეთს, რომ აღელვებისას ორივეს სახე აუჭარხლდებოდა ხოლმე. აი, ახლაც რის ინგბორგი ისე იყო აწითლებული, როგორც მათ გორაკზე მოფენილი მანანა, თორემ ვერც კი მიხვდებოდა კაცი, რომ გულთან მიიტანა ანა სვერდის ნათქვამი. ერთი კი ამოილუღლუღა, ეტყობა, ჩემს დას გაუმართლა, ანას რომ შეხვდა გზაზე და საქონელი გაყიდაო.

ანას უფრო მეტად გაუმართლა, როცა შინისკენ მომავალმა უამრავი საქონელი იყიდა გზაში.

ისევ შეწყდა საუბარი, სიჩუმემ დაისადგურა, ანამ კი კვლავ გაიფიქრა, რის ინგბორგი კიდევ ყოყმანობს, გავუმასპინძლდე თუ არა მეზობლებს ყავითო. როგორც ჩანს, მაინცდამაინც დიდი სურვილი არ ჰქონდა ამის. მოვიდა ეს იობსგორდენელი გოგო და ტრაბახობს, რომ შემწეობა გაუწია თავის რისგორდენელ მეზობელს, მოხუც მოვაჭრე ქალს. არა, ამის გულისთვის რის ინგბორგი ყავას არ მოუდუღებს მათ.

ისევ ანამ დაარღვია დუმილი. რისგორდენში განა მხოლოდ ამის სათქმელად მოვიდა, როდესაც რის კარინისგან საქონელი იყიდა, ისეთი რამ გამოჰყვა თან, რაც არ ეკუთვნოდა. ყველაფერი სათითაოდ კი არ გადაურჩევიათ, აიღეს და მთელი საქონელი ერთიანად გადმოაწყვეს კარინის ტომრიდან ანას ტომარაში, ხოლო მეორე დღეს ანამ ეს საქონელი ერთ ქოხში გაშალა და აბრეშუმის თავსაფარში გამოკრული ხუთი რიქსდალერი იპოვა.

ეს რომ თქვა, ანამ მაშინვე ჯიბეში ჩაიყო ხელი, ის ფული ამოიღო, ხელით გაასწორა და რის ინგბორგს წინ დაუდო მაგიდაზე. რისგორდენის დიასახლისს უფრო მეტად წამოენთო სახე.

- ნუთუ დასაშვებია, რომ ჩემი და ფულს არ გაფრთხილებოდა? - იკითხა მან, - ტომარაში რატომ უნდა ჩაეგდო ხუთი რიქსდალერი, იქნებ სულაც მისი არ არის ეს ფული?

- ეგეც შეიძლება, - მიუგო ანა სვერდმა, - იქნებ ის ფული უკვე გამოკრული იყო თავსაფარში, როცა რის კარინმა იყიდა. მე ვფიქრობ, კარინმა მართლაც არაფერი იცოდა ამ ფულის არსებობაზე.

რის ინგბორგმა ახლა კი განზე გადადო ხელსაქმე და გაკვირვებით შეხედა ანა სვერდს.

- თუ იმას ფიქრობ, რომ კარინმა ამ ფულისა არაფერი იცოდა, რატომ შენ თვითონ არ აიღე? შენ ხომ ყველაფერი იყიდე, რაც მის ტომარაში იყო?

- ჰო, მაგრამ ჩემიც რომ არ არის ეს ფული? ერთი სიკეთე ქენი, სანამ კარინი დაბრუნდებოდეს, შენთან შეინახე.

რის ინგბორგს პასუხი არ გაუცია და ანა სვერდს ისევ ის აზრი მოუვიდა, ალბათ, ახლა ფიქრობს, მინდა თუ არ მინდა, მაინც მომიწევს ყავით მათი გამასპინძლებაო.

ამის გაფიქრება ძლივს მოასწრო ანამ, რომ რის ინგბორგმა, როგორც იქნა, გადაწყვიტა:

- ყავით ხომ უნდა გაგიმასპინძლდეთ სტუმრებს. სამარცხვინო საქმე მჭირს და ძნელი გასამხელია, მაგრამ ნამდვილი ყავა არც კი მაქვს, მხოლოდ ჭვავისა შემიძლია მოგართვათ.

წამოდგა და სამზარეულოში გავიდა. ყავა მალე მოიხარშა, თითო ფინჯანი მიირთვეს, მერე მეორეც დააყოლეს, მაგრამ რის ინგბორგი მაინც გულცივობდა სტუმრებთან. ყავით უმასპინ-

ძლდებოდა და მაინც აშკარად ეტყობოდა, სულაც არ ეპიტნავებოდა ეს სტუმარმასპინძლობა.

ყავის სმა რომ დაამთავრეს, ანა სვერდმა დედამისს რაღაც ანიშნა და მოხუცმა ქალმაც მაშინვე წამოიწყო სათქმელი:

- ანას ერიდება თქმა. არადა, ნამდვილი სასწაულია მის თავს. პასტორს მიჰყვება ცოლად ვერმლანდში.

- რას ამბობთ? - თქვა რის ინგბორგმა, - ნუთუ ანა თხოვდება? მაშასადამე, ამიერიდან აღარ...

სიტყვა აღარ გაუგრძელებია, წინდახედული ქალი გახლდათ რის ინგბორგი და რატომ უნდა ეთქვა ისეთი რამ, რომ მერე სალაპარაკოდ ჰქონოდათ მეზობლებს, მარტო თავის სარგებლობაზე ფიქრობსო.

მაგრამ ანას დედა მაინც მიუხვდა გულისნადებს.

- არა, ამიერიდან ანა კარდაკარ აღარ იხეტიალებს ზურგზე ფუთამოკიდებული. პასტორის კარ-მიდამოში იცხოვრებს, ცხენიც ეყოლება, ძროხაც, მოახლეც და მოჯამაგირეც.

რის ინგბორგს სახე გაებადრა, სასიხარულო იყო ეს ამბავი.

წამოდგა და სტუმრებს თავი დაუკრა.

- ღმერთო, კი მომკალი! რატომ აქამდე არ მითხარით? მე კი, დახეთ, მომავალ პასტორის ცოლს ჭვავის ყავით ვუმასპინძლდები! ღვთის გულისათვის, ცოტაც მოიცადეთ, გავალ, მივძებნ-მოვძებნი, ეგებ სადმე ნამდვილი ყავაც შემომრჩა. ისხედით, ისხედით, ძვირფასო სტუმრებო.

ლენსმანის ცოლი

ანა სვერდმა რამდენიმე კვირა დაჰყო სახლში და აი, ახლა ის და დედამისი ლენსმან რიუენის კარ-მიდამოში გაეშურნენ, სოფელ მედსტუბიუნის ჩრდილოეთ მხარეს რომ იყო. ლენსმანის ცოლთან სალაპარაკო ჰქონდათ. იობს ერიკმა და რის ინგბორგმა იცოდნენ, რისთვისაც მიდიოდნენ იქ სვერდები და დასტურიც ჰქონდათ ამაზე ნათქვამი. რის ინგბორგი, რომელიც ახლა მათი საუკეთესო მეგობარი გახდა, ყოველნაირად ცდილობდა, რაც შეიძლება ჩქარა გაეგზავნა ისინი ლენსმანის ცოლთან, მით უმეტეს, რომ ამ საქმის ავანჩავანი თვითონ იყო.

სვერდები ლენსმანის კარ-მიდამოში მივიდნენ და რადგან დედამ აიჩემა, სამზარეულოს კარიდან შევიდნენ სახლში, თუმცა, ანა სვერდის აზრით, მომავალ პასტორის ცოლს წინა ოთახიდან უფრო შეჰფეროდა შებრძანება. სამზარეულოდან ისინი საკუჭნაოში შეიყვანეს, სადაც ლენსმანის ცოლი დიდ მაგიდაზე დაწყობილ გასარეცხ თეთრეულს ითვლიდა. დედა-შვილის დანახვაზე წარბები ოდნავ ასწია და დიდი სიხარული არ გამოუხატავს. ანა სვერდი რომ პასტორს მიჰყვებოდა ცოლად, ეს ამბავი უკვე იცოდა, და არც ისე სულელი იყო, ვერ მიხვედრილიყო, რისთვის ეწვივნენ ახლა ეს ქალები.

მაინც ზრდილობიანად დახვდა, ხელი ჩამოართვა, სკამი შესთავაზა და მერე ისიც უთხრა, აბა, ერთი დალაგებით მითხარით, რაზე შეწუხებულხართო.

სვერდებს თავიდანვე დათქმული ჰქონდათ, რომ დედას უნდა ელაპარაკა ლენსმანის ცოლთან. რის ინგბორგმა ურჩია, ასე

აჯობებსო, თანაც დასძინა, მიკიბ-მოკიბვას ნუ დაიწყებთ, პირდაპირ საქმეზე გადადითო.

ამიტომ ანა ჩუმად იჯდა და დედამისი ამბობდა სათქმელს. ერთი თხოვნა აქვთ: კარგი იქნებოდა, ანას რამდენიმე თვე ეცხოვრა ლენსმანის კარ-მიდამოში; იგი ვერმლანდელ პასტორს მიჰყავს ცოლად და მანამდე ხომ უნდა ისწავლოს სათანადო მოქცევა, წესი და რიგი.

ფრუ რიუენი ტანმორჩილი, ცქვიტი ქალი იყო, გამსჭვალავი გამოხედვა იცოდა. ულამაზო არ ეთქმოდა, ეშხიანი იყო, სიმკვირცხლით აღსავსეს წუთითაც არ შეეძლო ერთ ადგილას მშვიდად გაჩერება. სანამ ბერიტი ლაპარაკობდა, მთასავით დაზვინული თეთრეული გადათვალა, ერთხელაც არ შეშლია, ისე გადაალაგა დუჟინობით, თან საქმიანობდა და ისე უსმენდა.

- ვიცი ანას ამბავი, - თქვა ბოლოს, - მაგრამ სულაც არ მომწონს ეგ საქმე. საერთოდ სიტყვის გაგონებაც არ მინდა მაგაზე.

რა გასაკვირია, რომ სტუმრები საშინლად შეაცბუნა ფრუ რიუენის ნათქვამმა და კრინტიც ვეღარ დაძრეს. მას შემდეგ, რაც ანა შინ დაბრუნდა, წარამარა მეზობლებში დადიოდნენ, ყავას შეექცეოდნენ და გაუთავებლად ლაპარაკობდნენ ნიშნობასა და ქორწინებაზე. სადაც კი მივიდნენ, ყველგან იმას ეუბნებოდნენ, ასეთი სასიხარულო ამბავი, ვინ იცის, რამდენი ხანია არ გვსმენია და მედსტუბიუნელთათვის უდიდესი პატივია, მათი თანასოფლელი პასტორის ცოლი რომ ხდებაო. ზოგმა ისიც კი უთხრა დაუფარავად, აქამდე გერიდებოდით კიდეც, რადგან მეტისმეტად ჰგავდი იობს ერიკს - დღენიადაგ მხოლოდ ფულზე ფიქრობდიო. ახლა კი სულ გამოიცვალე - ისეთი ხალისიანი, ცქრიალა გახდი, როგორც ქალიშვილს შეეფერებაო. ზოგიერთს კიდევ ის უხაროდა, რომ მოხუცი ბერიტი ქალიშვილს შეეკედლებოდა და მასთან იცხოვრებდა. ერთი სიტყვით, ყველას უხა-

როდა ანა სვერდის გაბედნიერება და უცებ ლენსმანის ცოლი, დიახ, თვით ლენსმანის ცოლი, ამბობს, რომ მას სიტყვის გაგონებაც არ უნდა ანას ქორწინებაზე.

ფრუ რიუენი მიხვდა, რა დღეშიც ჩავარდა დედა-შვილი და გადაწყვიტა, განემარტა მათთვის, რატომ არ მოეწონა ანას გათხოვების ამბავი.

- ეგ პირველი როდია, ლამაზი დალეკარლიელი გლეხის გოგო ბატონს რომ მიჰყვება ცოლად, - უთხრა მან, - მაგრამ ასეთ ქორწინებას არასოდეს მოჰყოლია სიკეთე. ჩემი აზრით, ბერიტ, უნდა ურჩიო ანას, რომ თავიდან ამოიგდოს ასეთ გათხოვებაზე ფიქრი.

როდესაც ეს თქვა ლენსმანის ცოლმა, ანას ისე მოეჩვენა, თითქოს მძინარეს გამოჰღვიძებოდეს. ბოლო დღეებში მედსტუბიუნელი ქალიშვილები და ჭაბუკები, რომლებიც ზაფხულში საშოვარზე იყვნენ სამხრეთით წასულნი, შინ ბრუნდებოდნენ, ქალიშვილები უმეტესად ბაღ-ბოსტნებს უვლიდნენ იქ, ან კიდევ ბორანზე მუშაობდნენ - ხალხი გადაჰყავ-გადმოჰყავდათ ნორსტრიუმზე, ზოგიც ბოთლებს რეცხავდა ლუდის ქარხნებში, ერთი სიტყვით, მთელი ზაფხული შრომის მეტი არაფერი უნახავთ. და ახლა, როცა შეიტყვეს, მათ აქ არყოფნაში რა ამბავიც დატრიალებულიყო, ცნობისმოყვარეობით თვალები აენთოთ, ერთმანეთს აღარ აცდიდნენ და მეასედ აამბობინებდნენ ანას, როგორ შეხვდა თემშარაზე ახალგაზრდა პასტორი, რა უთხრა, ანამ რა უპასუხა. ყმაწვილკაცები კი სულ სხვაგვარად შეხვდნენ ამ ამბავს. თუ ადრე არც ერთი მათგანი ზედაც არ უყურებდა ანა სვერდს, ახლა ის უკვირდათ, აქამდე სად გვქონდა თვალებიო. საკმარისი იყო, ერთ-ერთ მათგანთან მაინც განმარტოებულიყო, რომ მაშინვე იმას ეუბნებოდა, თუ პასტორმა გადაიფიქრა,

მაინცდამაინც ნუ იდარდებ; აი, ახლა ვინც გვერდით მოგყვები, პასტორზე ნაკლები ქმარი როდი ვიქნებიო.

ლენსმანის ცოლი კი ეუბნებოდა, გულიდან ამოიგდე ეგეთ წარჩინებულ კაცზე გათხოვების ფიქრიო. ალბათ, იმის თქმა უნდოდა, რომ მისი შესაფერისი არ არის ანა, რომ ანა სვერდი მეტისმეტად მდაბიოა.

ანას ხმა არ ამოუღია, ისე წამოდგა, დედამისიც აჰყვა, დიასახლისი ისევე თავაზიანად, ხელის ჩამორთმევით დაემშვიდობა, როგორც შეხვედრისას მიესალმა, და გააცილა, სამზარეულოდან კი არ გაიყვანა ისინი, არამედ დარბაზისა და წინა ოთახის გავლით, ალბათ, იმიტომ, რომ მსახურებს არ დაენახათ, როგორი დადარდიანებული, თავჩაქინდრული მიდიოდა ორივე.

შინისკენ მიმავალნი ფიქრობდნენ, რომ ლენსმანის ცოლის უარზე უარესი რამ არაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო, პასტორის ცოლს რომ ეთქვა უარი, ამას კიდევ გაუძლებდა კაცი, მაგრამ ლენსმანის ცოლი მთელ მედსტუბიუნში დაფასებული ქალი გახლდათ. სოფლელები ყველაფერს უჯერებდნენ, რაკი ის გადაწყვეტდა, რომელიმე წყვილი - ქალიშვილი და ჭაბუკი ერთმანეთის შესაფერისები იყვნენ, ქორწილიც მაშინვე იმართებოდა. თუ მეზობლები წაკინკლავდებოდნენ და საქმე ლამის სასამართლომდეც მივიდოდა, ლენსმანის ცოლი ჩაერეოდა დავაში და მაშინვე შეარიგებდა.

კაცმა რომ თქვას, განა ისეთი რა მოხდა, ფრუ რიუენი რა ჭკუის დამრიგებელი იყო ან ანა სვერდისთვის, ან დედამისისთვის, და მაინც, კიდევ იმას ფიქრობდა ახლა ანა, რაკი ლენსმანის ცოლს არ უნდა, პასტორს გავყვე, ამით ყველაფერს ბოლო ეღებაო.

დუხჭირ ბავშვობაში გულში ჩარჩენილი მძიმე სევდა თითქოს ხელახლა უნდა აშლოდა, მაგრამ ანას დიდხანს არ უჯავრია, რადგან სწორედ იმავე დღეს მიიღო წერილი. წაკითხვა არ შეეძლო, მაგრამ ის კი იცოდა, ვისგანაც იყო. დაბეჭდილი წერილი ჯიბით დაჰქონდა და ერთთავად მის დამწერზე ფიქრობდა. პასტორის მშობლებსაც ხომ მიაჩნდათ, რომ ანა მისი შესაფერისი არ იყო, მაგრამ კარლ-არტურმა მაინც თავისი გაიტანა, როგორც ნამდვილ მამაკაცს შეშვენოდა. ასე რომ, ლენსმანის ცოლსაც გაუმკლავდება.

მეორე დღეს ანა ისევე მოიქცა, როგორც იქცეოდა ყველა მედსტუბიუნელი, როცა წერილს მიიღებდნენ, - მნათე მედბერგთან მივიდა და სთხოვა, წერილი წამიკითხეო.

მნათე სამზარეულოს გვერდით საკლასო ოთახში იჯდა. იმხელა მაგიდა იდგა იქ, ნახევარი ოთახი ეჭირა. მაგიდას ბავშვები შემოსხდომოდნენ და კითხვაში იწაფებოდნენ.

მნათემ წერილი გამოართვა, ფრთხილად აატეხა ლუქის ბეჭედი და ნაწერს დახედა. მართლაც რომ მკაფიო და ლამაზი ხელით იყო დაწერილი. ხმამაღლა დაიწყო კითხვა.

აზრადაც არ მოსვლია, ბავშვები გარეთ გაეშვა. ისინიც ისხდნენ და ისმენდნენ ანას საქმროს მიერ დაწერილ ლამაზ-ლამაზ სასიყვარულო სიტყვებს. მნათე მედბერგი, ალბათ, ფიქრობდა, რომ ბავშვებს არ აწყენდათ იმის ცოდნა, როგორ იოლად კითხულობდა იგი ხელით ნაწერს. ხელმეორედ წაკითხვაზე ანა კრინტსაც არ დაძრავდა; მნათე მაშინვე გარეთ გააბრძანებდა და იმასაც მიაძახებდა, წადი და შენ თვითონ წაიკითხეო.

როცა მნათე კითხულობდა, ანა მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რაც წერილში იყო ნათქვამი, მაგრამ უნებურად ბავშვებისკენაც აპარებდა თვალს. სწორედაც კარგი თავშესაქცევი იყო ეს მათ-

თვის -სახეანთებულები, ლოყებდაბერილები სიცილისგან იგუ-
დებოდნენ.

ლენსმანის ცოლთან ლაპარაკის შემდეგ ანამ მოსვენება და-
კარგა. სადღა იყო მისი ადრინდელი სიხარული და საკუთარი
ბედნიერების რწმენა. ბავშვების სიცილი აღარც კი უკვირდა, იგი
ხომ მართლაც არ იყო იმის ღირსი, რომ საქმროსგან ასეთი წე-
რილი მიეღო.

რამდენიმე დღე იმის ფიქრში გაატარა, როგორი პასუხი გაეგ-
ზავნა. უნდოდა, მიეწერა, მივხვდი, რომ შენი ღირსი არა ვარ და
შენი მშობლები მართალი იყვნენ - მეტს ნუღარ იფიქრებ ჩემზეო.

როცა გუნებაში გრძელი წერილი შეთხზა, ისევ მნათე მედ-
ბერგს მიადგა. იმჯერად უფრო ფრთხილად მოიქცა და შებინდე-
ბულზე ეწვია, როცა ბავშვები აღარ იყვნენ. მნათე მაშინვე მიუჯ-
და მაგიდას, რათა ანას კარნახით დაეწერა საპასუხო წერილი.
ყველაფერი ჩინებულად აეწყო, ბავშვები არ იყვნენ და ანა
სვერდს არავინ დასცინოდა. ხელის შემშლელი არავინ ჰყავდა
და თამამად შეეძლო ყველაფერი ეთქვა, რაც ენდომებოდა. მნა-
თე მარჯვედ და გულმოდგინედ აწრიპინებდა კალამს და წერი-
ლი ერთ წუთში მზად იყო.

შემდეგ ანას წაუკითხა დაწერილი. ქალიშვილი განცვიფრე-
ბით უსმენდა. მნათე მედბერგს, ვინ იცის, რამდენი სამიჯნურო
წერილი შეუთხზავს, ზედმიწევნით იცოდა, როგორ უნდა დაწე-
რილიყო ასეთი უსტარები. და ამ საქმეში უფრო იყო გაწაფული,
ვიდრე ვიღაც სოფლელი გოგო, რომლისთვისაც ეს წერილი
პირველი იყო მის სიცოცხლეში. ამიტომ ყურიც არ ათხოვა ამ
უგუნური გოგოს ნაკარნახევს. წერილი იმით დაიწყო, აქაოდა,
ამ სტრიქონების დამწერი ბედნიერია, რაკი მისი საქმრო ჯან-
მრთელად ბრძანდება, ვინაიდან ჯანმრთელობა ადამიანისთვის
ყველაზე ძვირფასი განძიაო. ამის დაწერას მნათემ მთელი პირ-

ველი გვერდი მოანდომა. შემდეგ განაგრძო - ისე მომენატრა ჩემი საქმრო, ერთი დღე მთელ თვედ მეჩვენება და ერთი თვე - მთელ წელიწადადო. ამას კიდევ ნახევარი გვერდი დასჭირდა. ბოლოს იმით დაამთავრა, საქმროს ჩემს ერთგულებაში ეჭვი ნუ შეეპარება. აზრადაც ნუ გაივლებს ჩემგან ღალატს, თორემ იმდენი მწუხარე ღამე ექნება, რამდენი ფოთოლიც აქვს ცაცხვს, რამდენი კენჭიცაა ზღვის ფსკერზე და რამდენი ვარსკვლავიც კიაფობს ცის კამარაზეო.

როდესაც ანამ ჰკითხა, რატომ ისე არ დაწერე, როგორც მე გეუბნებოდიო, მნათე გაბრაზდა და კითხვა შეუბრუნა, ხომ არა გგონია, არ ვიცი, როგორ უნდა დაიწეროს სამიჯნურო უსტარიო. აბა, მთელ იმ აბდაუბდას ხომ არ დავწერდი, შენ რომ მეუბნებოდი, არ დაგავიწყდეს, ამ წერილს წაიკითხავს არა უბრალო ვინმე, არამედ თვით პასტორიო.

ანას სხვა გზა არ ჰქონდა, ამას უნდა დასჯერებოდა. წერილი მოკეცეს, დაბეჭდეს და გაგზავნეს. რას იფიქრებს მისი საქმრო, ამ ბარათს რომ მიიღებს? ანას ახლა უფრო მეტად დამცირებულად და უღირსად მიაჩნდა თავი.

მესამედ წავიდა მნათესთან და ახლა ის სთხოვა, წერა--კითხვა მასწავლეო. მედბერგმა პირდაპირ მიახალა, რაღა დროს შენი სწავლაა, მაგ საქმისთვის უკვე ბებერი ხარ და ვერ დასძლევო. ბოლოს მაინც დაიყაბულა ქალიშვილმა, ვცდი, ეგებ რამე გამომივიდესო. მნათემ მეორე დღეს, დილით, დაიბარა, როცა ბავშვებს ამეცადინებდა.

ასე და ამგვარად მოხდა, რომ რამდენიმე კვირის შემდეგ ანა სვერდი მაგიდას უჯდა და ბატის ფრთით ლამაზი წერის ნიმუშიდან გულმოდგინედ იხატავდა: „თუ კაცი ადრე ადგესა, ღმერთი წყალობას არგებსა“.

მძიმე შრომა იყო ეს! ანას ხელში მაგრად ჩაებღუჯა წვრილი ბატის ფრთა და ისე ღონივრად აწვებოდა, ქაღალდზე მელნის წინწკლები ცვიოდა და ასოები ხომ ნამდვილი ბატიფეხური გამოსდიოდა.

კიდევ იმიტომ ემძიმებოდა ეს ანას, რომ ამ სიბრძნის დაძლევა მხოლოდ იმისთვის მოინდომა, წერილის მიწერას აპირებდა კორსჩურკაში - მე შენი ღირსი არა ვარ და ჩემზე ნუღარ იფიქრებო.

თუმცა, გულის შემაღონებელი იყო მისთვის ეს საქმე, მაგრამ ყველა ხედავდა ანას მოწადინებას. ისე იძაბებოდა, თითქოს ჭვავით სავსე კასრი უნდა აეწია. ყოველი სიტყვა იმდენ ძალ-ღონეს ართმევდა, იძულებული იყო, კალამი განზე დაედო და სული მოეთქვა, სანამ მეორე სიტყვის დაწერას შეუდგებოდა.

- კალამი თავისუფლად უნდა გეკავოს გამართულ თითებში, - ეუბნებოდა მნათე და ანას კალამი ხელიდან რომ არ გასხლტომოდა, ისე მაგრად უჭერდა, თითები უთეთრდებოდა სახსრებში. ბავშვები წარამარა იღმიჭებოდნენ და ფხაკურობდნენ. ანა სვერდი ბოლოს ისე გამწარდა, სულაც თავის მინებება უნდოდა, მაგრამ ამ დროს კარი გაიღო და საკლასო ოთახში ლენსმანის ცოლი შემოვიდა.

როგორც სჩვეოდა, ახლაც მკვირცხლად შემოვიდა ოთახში. როცა დაინახა, ანა ბავშვებთან ერთად იჯდა და ისეთი გულმოდგინებით წერდა, რომ კალმის წვერიდან ნაპერწკლებივით ცვიოდა მელნის შხეფები, ამან დიდად დააინტერესა.

- ოჰო, შენ თურმე ჯერაც არ გადაგიფიქრებია პასტორის ცოლობა.

ანას ხმა არ ამოუღია, მნათემ კი ჩაიბურტყუნა, თუ ამისთვის აუცილებლად საჭიროა, რომ წერა ისწავლოს, არა მგონია, ეგ პატივი ერგოსო.

ბავშვები ისევ აფხუკუნდნენ, მაგრამ ლენსმანის ცოლმა ერთი მწყრალად გადახედა და ისინიც მაშინვე გაილურსნენ. შემდეგ ანას ნაწერს დახედა და ტუჩები აიბზუა. მის ფურცელზე ასოები წაქცეული ღობის სარებივით იყვნენ აქეთ-იქით გადაწოლილ-გადმოწოლილი.

- ეგ რასა წერ? - ჰკითხა მან, - აბა, ერთი მომეცი: „თუ კაცი ადრე ადგესა, ღმერთი წყალობას არგებსა“. დაიცა, ეგ კალამი მომე!

გაიცინა, დაიხარა, ბატის ფრთა ტუჩებზე მიიდო და ჩაფიქრდა.

- რა ჰქვია შენს საქმროს? ოჰო, კარლ-არტური? აბა, უყურე! - დიდი მრგვალი ასოებით მკაფიოდ დაწერა ორი სიტყვა.

- შეგიძლია წაიკითხო, რაც დაწერე? აქ წერია: „კარლ--არტური“. სცადე ამ სახელის დაწერა. თუ მართლა გიყვარს შენი საქმრო, აუცილებლად დაწერ.

ლენსმანის ცოლმა კალამი ისევ დაუბრუნა ანას, თვითონ კი მნათე სამზარეულოში გაიყვანა სალაპარაკოდ.

ანა იჯდა და დასცქეროდა ამ მშვენიერ სახელს, ფრუ რიუენმა ლამაზად რომ დაუწერა. ძალიან უნდოდა, თვითონაც ასე დაეწერა, მაგრამ ამის გამკეთებელი იყო? გაბრაზებულმა კალამი მოისროლა.

ერთი საათის შემდეგ ლენსმანის ცოლი და მნათე საკლასო ოთახში დაბრუნდნენ. სამარისებური სიჩუმე იდგა, ბავშვები აღარ იცინოდნენ, მაგრამ არც ანბანს კითხულობდნენ. ანას შემოხვეოდნენ და გაფაციცებით უყურებდნენ მის საქმიანობას. ანა კი, ეტყობოდა, რაღაც საკვირველ საქმეს აკეთებდა.

სიხარულით სახე უბრწყინავდა, თითებს აქეთ-იქით ასრიალებდა. ლენსმანის ცოლი და მნათე რომ შემოვიდნენ, ანამ თავისი ხელსაქმე მაგიდის ქვეშ დამალა.

- მაჩვენე, რას აკეთებ! ახლავე მაჩვენე! - მკაცრად უბრძანა ლენსმანის ცოლმა.

და ჰოი, სასწაულო! ანამ მელნისა და ბატის ფრთის ნაცვლად ჯიბიდან ამოიღო და მაგიდაზე დადო ნემსი, ძაფი და თეთრი ნაჭერი, რომელზედაც ასოები ამოექარგა. სილამაზით ლენსმანის ცოლის დაწერილს არ ჩამოუვარდებოდა მისი ნაქარგი. გახარებულს, სანატრელი ადამიანის სახელის ამოქარგვა რომ შეძლო, ანას ყვავილების ჩარჩოთი მოერთო იგი.

ფრუ რიუენი ხელსაქმეს დასცქეროდა, თან თითი ცხვირის წვერზე მიედო. ასე იქცეოდა, როცა რაიმე მნიშვნელოვან საქმეზე ჩაფიქრდებოდა.

- ერთი ამას დამიხედეთ! თურმე მართლა გყვარებია. ეს არ ვიცოდი, მეგონა, პასტორის კარ-მიდამო გხიბლავდა და ქალბატონად გახდომას ნატრობდი, რაკი ეგრეა, ხვალ დილითვე გადმობარგდი ჩემთან, ვეცდები ხალხში გამოგიყვანო.

ქორწილი

I

შაბათს, შუადღისას, სამ საათზე, ანა სვერდი ლენსმანის ცოლის სახლის პარმაღზე იდგა და თვალს არ აშორებდა ხეივანში ნელ-ნელა მომავალ მარხილს, ზამთარი იყო და საშინლად ყინავდა, მაგრამ ანა სიცივეს არ გრძნობდა. გული ჩიტივით უფრთხიალებდა, ლოყები ეწვოდა. ანამ იცოდა, რომ ამ მარხილში ის ადამიანი იჯდა, ვისთანაც სალამს აბარებდა ხოლმე სამხრეთით გაფრენილ ფრინველებს.

ანა სვერდმა ოთხი თვე დაჰყო ლენსმანის კარ-მიდამოში და აღზრდის გვარიანი სკოლა გაიარა. ფრუ რიუენმა ათასი რამ ასწავლა - ასე უნდა იარო და ასე უნდა იდგეო; ასე ჭამო და სვაო, ასე უნდა შეეკითხო და უპასუხოო, ასე უნდა მიესალმო და დაემშვიდობო, ასე გაიცინო და დაახველოო, ცხვირი ასე უნდა დააცემინო და ასე დაამთქნაროო, და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი რამ. ასეთ მოკლე ხანში ანა სვერდი, ცხადია, სეფექალი ვერ გახდებოდა, მაგრამ თავის ნაკლოვანებებსა და შეცდომებს ხვდებოდა, და ახლა, როცა მარხილი დაინახა, რომელშიც მისი საყვარელი ადამიანი იჯდა, განა მხოლოდ სიხარულს განიცდიდა. იქნებ ანა აღარც კი მოსწონებოდა საქმროს, ამ ქალბატონებს შორის რომ დაინახავდა. ლენსმანს ორი ქალიშვილი ჰყავდა, ორივე ცხვირპაჭუა და ქერათმიანი, მაგრამ არ იკითხავთ,

როგორი მოქცევა იცოდნენ, როგორი ნარნარი სიარული, რა დალაგებული ლაპარაკი! მერედა რანაირად იყვნენ მორთულ-მოკაზმული!

ეჰ, რა იქნებოდა, ანასაც ჰქონოდა იმდენი ფული, რომ ასეთი კაბა ეყიდა და ქალბატონივით გამოწყობილიყო! თორემ, აბა, რასა ჰგავს მისი გლეხური ტანსაცმელი. სად გაგონილა, ვერმლანდელი პასტორის ცოლს ასეთი ჭრელჭრულები ეცვას ერთი უბრალო სოფლელი გოგოსავით.

კიდევ იმიტომ წუხდა ახლა ანა სვერდი, რომ არ იცოდა საქმროს ასე ნაჩქარევად ჩამოსვლის მიზანი. ვაითუ, ნიშნობის ჩაშლა ედო გულში, შობის დღეებმა გაიარა თუ არა, მაშინვე წერილი მოიწერა და თან ნიშნობის ქაღალდი გამოგზავნა ეკლესიაში გამოსაცხადებლად. უკვე გამოცხადდა კიდეც ეს ამბავი, მაშასადამე, როგორც ხალხი ამბობს, ისინი ლამის ნამდვილ ცოლ-ქმრად ითვლებიან. და მაინც, მოუსვენრობას შეეპყრო ანა სვერდი.

მედსტუბიუნში ყველა გაახარა ანას დანიშვნამ. ერთი ერიკ იობსი იყო, რომელიც უნდობლად უყურებდა ანას გათხოვებას, სანამ პასტორმა კათედრიდან არ ამცნო ეს ამბავი მრევლს. მაგრამ აი, მესამედაც რომ დაადასტურა ეს ეკლესიამ, მაშინ კი საზეიმოდ განაცხადა: მე გადავუხდი ქორწილს ძმისწულსო. სამი დღე გადაბმულად ვიქეიფებთ, სასმელ-საჭმელი თავზე საყრელი გვექნება, ისე უნდა მოვილხინოთ, ჯერ რომ არავინ მოსწრებია, დამკვრელებსაც მოვიწვევთ და ცეკვითაც გულს ვიჯერებთ. ახალგაზრდებს ღამეს ჩვენთან გავათევინებთ - იატაკზე გავშლით ლოგინებსო. რადგან ანა ასეთ სასახელო კაცს მიჰყვება ცოლად, ქორწილიც შესაფერისი უნდა იყოსო. ლენსმანის ერთ-ერთმა ქალიშვილმა მისი სახელით წერილი მისწერა პასტორს და იობს ერიკის შეპირება აცნობა. საქმრომ კი არც აცია, არც

აცხელა, წერილითვე შემოთვალა, საცოლის მოსანახულებლად მოვდივარო. იქნებ ქორწილის ამბავი რომ შეიტყო, ამან გუნება შეუცვალა, ან იქნებ სხვა რამ უდევს გულში?

ანამ მაინც ვერ მოასწრო ერთ აზრს დასდგომოდა, რადგან ამასობაში მარხილი უკვე ამოვიდა გორაკზე და ეზოში შემოსრიალდა. აი, საცაა შეხვდება მას, ამ სიხარულს რა შეედრება, რაც მოსახდენია, მოხდეს, მისი ნახვა მაინც უდიდესი ბედნიერებაა ანასთვის.

როდესაც კარლ-არტური მარხილიდან ჩამოვიდა, წინ შეეგებნენ ანა სვერდი, ლენსმანიც და მისი ცოლიც. ახალგაზრდა ეკენსტედი ჯერ იმათ მიესალმა, მერე ანასთან მივიდა, მოეხვია და კოცნა დაუპირა, მაგრამ ქალიშვილმა დაირცხვინა და ზურგი შეაქცია. ამდენი ხალხის თანდასწრებით კოცნა სად გაგონილა! თუმცა, გაახსენდა, რომ ბატონები და ქალბატონები კოცნისას ხალხს არ ერიდებოდნენ, ამიტომაც მწარედ ინანა თავისი სულელური ქცევა.

როგორც კი ქურქი გაიხადა კარლ-არტურმა, ყველანი სასადილო ოთახისკენ გაემართნენ, სადაც ყავის დასალევად სუფრა უკვე გაშლილი იყო. ლენსმანის ცოლს თავისი საუკეთესო ფინჯნები გამოეტანა და ერბოზელილი ნამცხვარიც გამოეცხო სტუმრის პატივსაცემად. ანა საქმროს გვერდით დასვეს. ლენსმანის ოჯახის წევრებთან იგი ყოველდღე მიირთმევდა ხოლმე ყავას და უკვე იცოდა სუფრაზე მოქცევის წესები. მაგრამ ახლა ერთბაშად ყველაფერი დაავიწყდა, რაც კი რამ ასწავლეს. დაუფიქრებლად ისე გააპიპინა ფინჯანი, ყავა ლამბაქზე გადმოეღვარა, მერე შაქარი აიღო, მოკვნიტა და ერთი ყლუპი მოსვა, ვითომც დედამისისა და რის კარინის გვერდით მჯდარიყოს სუფრაზე და არა წარჩინებულ ხალხში. ლენსმანის ცოლმა ისე მწყრალად შეხედა, ანას ყავა სასულეში გადასცდა და ხველება აუტყდა.

დახეთ, უკვე მეორედ გაიხადა სანანებლად საქმე, მაგრამ თავი იმით ინუგეშა, რაც მოხდა, მოხდა, ახლა უკვე ყველაფერი სულერთიაო. იგი გრძნობდა, რომ სასიკეთო პირი არ უჩანდა მის ამბავს. საქმრო სულაც არ ექცეოდა ისე, როგორც პირველი შეხვედრისას. ალბათ, ნიშნობის დასარღვევად იყო ჩამოსული.

სანამ ყავას შეექცეოდნენ, ანა იჯდა და უსმენდა კარლ--არტურს, რომელიც გამართულად ესაუბრებოდა ლენსმანსა და მისი ოჯახის წევრებს. ლაღად, ძალდაუტანებლად ბაასობდნენ ისინი, ნაირ-ნაირი თავაზიანი სიტყვებით მიმართავდნენ ერთმანეთს. კარლ-არტურმა მადლობა მოახსენა ლენსმანის ოჯახს იმ დიდი ამაგისთვის, რაც მათ ამ ოთხი თვის განმავლობაში დასდეს მის საცოლეს. ფრუ რიუენმა კი უპასუხა, მადლობისთვის ნუ გაირჯებით, ანა ისეთი ჭკვიანი და მარჯვე მეოჯახე გამოდგა, იქით ეკუთვნის ჩვენგან მადლობაო.

საქმროს ჩამოსვლის წუთიდან მოყოლებული, ლენსმანიც, მისი ცოლიც და ქალიშვილებიც განსაკუთრებით დატკბნენ, ალერსიანად იღიმებოდნენ და თავაზიანობაში ერთმანეთს ასწრებდნენ, ეტყობა, სულაც არ მოელოდნენ, ასეთი თუ იქნებოდა პასტორი. იქნებ ფიქრობდნენ, ალბათ, გონჯი ვინმეა, რაკი ღარიბ დალეკარლიელ გლეხის ქალს ირთავს ცოლადო. ეგ არაფერი, ეგ ეპატიებათ, რადგან ცოდვა გამხელილი სჯობს და თვითონაც აღარ ახსოვდა, ასეთი ლამაზი თუ იყო. როგორც უნდა გაჭიმ-გამოჭიმო, ნაკლი არა აქვს. ახლა იმაზე ფიქრობდა, ნეტავ თუ შეამჩნიეს, შუბლზე ნათელი რომ დასთამაშებს შარავანდედივით. ქუთუთოები მძიმე აქვს, ძირს დაშვებული, ეს კარგიცაა, თორემ მონუსხულივით ხომ გაშტერდებოდა და ვერ გაძღებოდა ამ ღრმა და მშვენიერი თვალების ცქერით.

აშკარად ჩანდა, კარლ-არტურს ძალიან მოეწონა ლენსმანის ოჯახი, სუფრა აალაგეს, ის კი ისევ მაგიდას უჯდა და მას-

ლაათობდა. განა მარტო ცოლ-ქმარი ესაუბრებოდა მას, ქალიშ-ვილებიც ტკბილად ეჭუკჭუკებოდნენ. ანას ასე ეგონა, შემეცილ-ნენ და უკვე ხელიდან გამომაცალესო. გულდაწყვეტილი იყო, სევდამ დარია ხელი.

„თავისი სწორები იპოვა, - დაასკვნა მან, - ჩემზე აღარც კი ფიქრობს. ალბათ, დარწმუნდა, რომ მისი ტოლი არა ვარ და ცო-ლად არ გამოვადგები. მე ხომ ხეირიანი ლაპარაკიც არ მემარ-ჯვება. დახეთ, ზედაც არ მიყურებენ, თითქოს არც კი ვარსებობ-დე“.

სწორედ ამ დროს კარლ-არტური უცებ მისკენ შემობრუნდა, ქუთუთოები ასწია და შეხედა. ანას ეგონა, მზემ გამოიხედა ღრუბლებშიო. სიამოვნებით ვესტუმრებოდი აქაურ პასტორს, თუ მისი კარ-მიდამო შორს არ არისო, - თქვა კარლ-არტურმა.

- პასტორის კარ-მიდამო ორ ნაბიჯზეა აქედან, სოფლის ბო-ლოში მარცხნივ უნდა მოუხვიო და ეკლესიის ჩრდილოეთ მხა-რეს იქვეა პასტორის სახლი.

ისე უჟმური კილოთი თქვა ეს ანამ, რომ ყველამ შეამჩნია უგუნებობა. გაიკვირვეს და მწყრალად შეხედეს.

- მე კი მეგონა, წამომყვებოდი და თვითონ მიმასწავლიდი გზას, - უთხრა კარლ-არტურმა.

- რატომაც არა, წამოგყვები.

უარის თქმა არ ძალუძდა, თუმცა, იფიქრა, ალბათ, მარტო უნ-და ჩემთან ყოფნა და მაშინ მეტყვის, რომ ჩვენ შორის ყველაფე-რი დასრულდაო. ბედნიერად და მხიარულად თავის ჩვენება, აბა, როგორ შეეძლო. გულზე ცეცხლი ეკიდებოდა, კარლ--არტურს ვეღარ ცნობდა. სხვებს ადრე არ ენახათ და ამიტომ ვერც შეიტყობდნენ, როგორ გამოცვლილიყო.

სოფლის შარაგზაზე რომ გავიდნენ, ანა ცდილობდა, მისგან რაც შეიძლება მოშორებით ევლო. მაგრამ თებერვლის დამლე-

ვი იყო, მზეს ჯერ კიდევ ვერ მოესწრო ნამქრის გადნობა და თოვ-ლში გაკვალული გზა ისე ვიწრო იყო, უნებლიეთ ანა მთლად გვერდიგვერდ მიჰყვებოდა კარლ-არტურს.

დღემ მოიმატა, მწუხრი ჯერ კიდევ არ მოახლოებულიყო, ცის-კიდურზე მცხრალი ნამგალა მთვარე მოჩანდა. კიდეები ისე ჰქონდა წამახვილებული, ანას შიში მოჰგვარა მისმა დანახვამ. „ალბათ, ეს ნამგალი იქნება, ნაკუწ-ნაკუწად რომ მიქცევს ბედ-ნიერებასო“, - გაიფიქრა მან.

ანა სიცივეს შეჩვეული იყო და არასოდეს იკითხავდა, ცივა თუ არა გარეთო, მაგრამ ასეთი სუსხი თავის დღეში არ ახსოვს. ყო-ველი ფეხის გადადგმაზე თოვლი თითქოს წიოდა. „რა გასაკვი-რია, თოვლი რომ წივის: დარდი მამძიმებს და ამიტომაც უჭირს თოვლს ჩემი ნაბიჯების ატანა“.

როგორც იქნა, მიაღწიეს პასტორის კარ-მიდამოს და მხო-ლოდ მაშინ დაარღვია სიჩუმე კარლ-არტურმა:

- იმედია, ანა, არ იუარებ იმას, რაც მინდა პასტორს ვთხოვო. დამიჯერე, ისე მინდა გავაკეთო, როგორც ორივესთვის უკეთესი იქნება.

არა, იგი უარს არ არის, საქმრო ამაზე ნურც იფიქრებს, დაე, ყველაფერი ისე იყოს, როგორც მას სურს.

- მადლობელი ვარ მაგ პირობისთვის! - მიუგო კარლ--არტურმა.

კაბინეტში შევიდნენ. პასტორი მაგიდას უჯდა და წერდა. შაბა-თი საღამო იყო და ეტყობოდა, ქადაგებას თხზავდა. პასტორმა უკმაყოფილო თვალით შეხედა მოსულთ, რადგან ხელი შეეშა-ლა.

კარლ-არტურმა თავისი ვინაობა მოახსენა და როცა პასტორ-მა შეიტყო, თანამოძმე მოსულიყო მასთან, მაშინვე გამოეცვალა გუნება.

ანა კარს არ მოსცილებია და სიტყვაც არ დასცდენია, სანამ მღვდლები თავიანთ საქმეზე საუბრობდნენ. მერე საქმრო მასთან მივიდა, მკლავში ხელი მოჰკიდა და პასტორთან მიიყვანა.

- ჰერ პასტორო, - უთხრა კარლ-არტურმა, - ვატყობ, არ გცალიათ, ამიტომ მოკლედ მინდა მოგახსენოთ, რა საქმეზეც გეახელით. თქვენთვის, ჰერ პასტორო, რასაკვირველია, ძნელი არ არის იმის წარმოდგენა, თუ რა დღეში იქნება შეყვარებული ახალგაზრდა კაცი. აქ წამოსვლის წინადღეს გავიფიქრე, რა ბედნიერი ვიქნებოდი, კორსჩურკაში მარტო რომ არ დავბრუნებულიყავი-მეთქი. ამ აზრმა დიდად აღმაფრთოვანა, მაგრამ შესაძლებელია თუ არა ეს? პატარა სახლი, რომელიც ჩემი ცოლისთვის ვიყიდე, თითქმის მზადაა. ჩემმა კეთილმა მეგობრებმა აღმითქვეს, რომ ააჩქარებენ მღებავსა და დურგალს, რათა მომავალი კვირის დამლევს უკვე შესაძლებელი იყოს შესახლება.

ანა სახის გამომეტყველებაზე ატყობდა პასტორს, რომ თანახმა არ იყო. შეპასუხება მოინდომა, მაგრამ კარლ-არტურმა სიტყვის თქმა არ აცალა.

- წინა კვირას, სამშაბათს, წამოვედი სახლიდან და ხუთშაბათს ან პარასკევს აუცილებლად ვიქნებოდი მედსტუბიუნში, მაგრამ გაუთვალისწინებელმა გარემოებებმა თავდაყირა დააყენა ჩემი ვარაუდი. ქანცგამოლეული ცხენები, გალეშილი მეეტლეები, ყინულსვლა მდინარეებზე, - ყველაფერი ეს წინ გადამეღობა, და აი, მხოლოდ დღეს ჩამოვაღწიე აქ. მაგრამ, ჰერ პასტორო, ნუთუ ამ მიზეზის გამო უნდა დამემსხვრეს ჩემი ტკბილი ოცნება? ერთი მთავარი დაბრკოლება ის შეიძლება ყოფილიყო, რომ ჩემი საცოლე სიხარულით მოელოდა ქორწილს, რომლის გადახდასაც ბიძამისი დაჰპირდა ჩვენი შეუღლების აღსანიშნავად. მე მესმის მისი სიხარული, მაგრამ ოდნავადაც არ

მეპარება ეჭვი, რომ იგი მზადაა, უარი თქვას საქორწინო ნადიმზე და დაუყოვნებლივ გამომყვეს კორსჩურკაში. ამიტომაც გთხოვთ, ჰერ პასტორო, პატივი დამდოთ და ხვალ დილით, ღვთისმსახურების დამთავრების შემდეგ დაგვწეროთ ჯვარი.

პასტორმა პასუხი დააყოვნა. იგი კარგად იცნობდა თავის მრევლს, იცოდა, ბევრი მათგანი მოუთმენლად ელოდა სამდღიან ქორწილს, მზად იყვნენ, სამი დღე ექეიფათ, და თუ ახლა დასტურს ეტყოდა, ალბათ, გვარიანად გაკიცხავდნენ.

- ჩემო ძვირფასო ახალგაზრდა მეგობრებო, - უთხრა მან, - ყურად იღეთ მოხუცის რჩევა, ხელი აიღეთ მაგ განზრახვაზე. თქვენ ხომ გესმით, მაგისტრო ეკენსტედ, რამდენი ლაპარაკია ჩვენთან ამ ქორწინების თაობაზე. არავის ჰგონია, რომ ასე, უჩუმრად, ნაჩქარევად მოხდება ეს საქმე. ყველა დიდ ქორწილს მოელის.

საქმრომ მოუთმენლობის ნიშნად ხელი გაიქნია.

- გულახდილად ვილაპარაკოთ, ჰერ პასტორო! თქვენ, ისევე როგორც მე, კარგად მოგეხსენებათ, რას ნიშნავს დიდი ქორწილი. ეს არის ლოთობა, ღორმუცელობა, ჩხუბი, თავაშვებულობა. აბა, ასეთი რამ როგორ მოვიწონო. ჩემი პირველი მიზანი, როცა მედსტუბიუნში ჩამოსვლა გადავწყვიტე, ის იყო, რომ ხელი შემეშალა ამგვარი ზეიმისთვის. ამიტომ მიმაჩნია, ამ მიზნის მისაღწევად ყველაზე სწორი და შესაფერისი იქნება ის გეგმა, რომელიც პატივი მქონდა, მომეხსენებინა თქვენთვის.

პასტორმა ჯერ ჭერს მიაპყრო მზერა, მერე იატაკს დახედა, თითქოს თვალს არიდებს თავისნათქვამა კოლეგასო. მერე ანა სვერდს მიაჩერდა და უცებ სახე ისე გაუნათდა, თითქოს გამოსავალს მიაგნოო.

- მაგისტრო ეკენსტედ, თქვენ ჯერ არ გიბრძანებიათ ჩემთვის, რა აზრისაა თქვენი საცოლე ამ, ჩემი შეხედულებით, რამდენადმე ნაჩქარევ გეგმაზე, - უთხრა მან.

კარლ-არტურმა მყის მიუგო:

- სანამ ამ ოთახში შემოვიდოდით, ჩემმა საცოლემ აღმითქვა, რომ თანახმაა ყოველგვარ ჩემს წინადადებაზე.

ანა სვერდმა უნებურად წარბები აზიდა, რაც პასტორს არ გამოჰპარვია.

- ანა, ნუთუ იწონებ ამ გეგმას? - ჰკითხა მან და თვალი თვალში გაუყარა.

ანას სახე აელეწა. მთელი ამ ლაპარაკიდან მხოლოდ ის გაიგო, რომ საქმროს არ გადაუფიქრებია მისი ცოლად შერთვა. ამის შიში აღარ უნდა ჰქონოდა. საქმრო ტეტია, გაუთლელ გოგოდ არ თვლის, კარლ-არტურს კვლავ სურს ანას ცოლად შერთვა.

და მაინც, ცოტა გულდაწყვეტილი დარჩა, რატომ გზაში არ ჰკითხა, თანახმა იყო თუ არა, ხვალვე დაეწერათ ჯვარი?

„ისე არ ვუყვარვარ, როგორც მე მიყვარს, - ფიქრობდა ქალი, - რომ ვყვარებოდი, პირველ ყოვლისა, მკითხავდა, თანახმა ვარ თუ არა“.

მართალია, ნაწყენი და შეურაცხყოფილი იყო, მაინც არ ინდომა საქმროს გაწბილება პასტორის წინაშე.

- ჰერ პასტორო, აბა, რა მეთქმის. როგორც მას სურს, ისე იყოს, - უთხრა მან.

- რაკი საქმე ასე ყოფილა, მიმსახურეთ, ჰერ მაგისტრო, - მიუგო პასტორმა.

II

ლენსმანის ცოლი სასტუმრო ოთახში იჯდა, საგონებელში ჩავარდნილს ცხვირზე თითი მიედო. ეს იმას ნიშნავდა, რომ საძნელო საქმე ჰქონდა გადასაწყვეტი.

სიმართლე ითქვას, ისე შეუყვარდა ანა სვერდი, ახლა ძალიან ეცოდებოდა, ხელი რომ ააღებინეს დიდებულ ქორწილზე, რომელსაც ასე მოუთმენლად ელოდა. ფრუ რიუენმა ჯერ კიდევ შაბათ საღამოს ფეხზე დააყენა თავისიანებიც და საერთოდ, მთელი სოფელი, რათა საქორწილო სამზადისში მიეღოთ მონაწილეობა. სკივრიდან ამოიღეს, გააახლეს, გააუთოეს საქორწილო კაბა, რომელიც რისგორდენში ინახებოდა და კვირა დილით რის ინგბორგი და მისი და ლენსმანის კარ-მიდამოში მოვიდნენ, რათა ძველებური ზნე-ჩვეულებების მიხედვით პატარძალი გამოეწყოთ. ლენსმანის ცოლის მოწადინებამ ნაყოფი გამოიღო - ეკლესიის გორაკზე მაყრიონი გრძელ მწკრივად გაიჭიმა და ყველაფერი წესითა და რიგით ჩატარდა, მაყრიონს წინ მიუძღოდა ორი მუსიკოსი, ნეფე-პატარძალს უკან მიჰყვებოდნენ ლენსმანი, მნათე მედბერგი, იობს ერიკი, ეკლესიის ორი მნე, ნაფიცი მსაჯულები და მათი ცოლები, ბოლოში კი მოდიოდნენ საგანგებოდ მორთულ-მოკაზმული გოგონები და ჭაბუკები. ყველაფერი საზეიმოდ და ლამაზად ჩატარდა. რაც უნდა ბევრი დრო ჰქონოდათ მოსამზადებლად, ამაზე უკეთესად ვერ ჩაატარებდნენ ცერემონიალს.

იობსგორდენში ქორწილის გადახდა არ შეიძლებოდა და ლენსმანის ცოლმა თავის სახლში გამართა მცირე ვახშამი. კი-

დევ კარგი, იგი ადრევე ემზადებოდა დიდი სუფრის გასაშლელად ნეფისა და მისი ახალი ნათესავების პატივსაცემად, ამიტომაც შესანიშნავად გაართვა ყველაფერს თავი, თანაც სტუმრებს იმდენი კი გაეგებოდათ, რომ ასე სახელდახელოდ გაშლილ სუფრაზე დიდ შემწვარ-მოხრაკულებს არ მიართმევდნენ.

მაგრამ ლენსმანის ცოლს რომ სცოდნოდა, ასეთი მოწყენილობა იქნებოდა, ალბათ, სულაც არ გამართავდა ამ ვახშამს. მიუხედავად იმისა, რომ სულ ენამოქარგული ხალხი მოიწვია, ამ საღამოს მაინც არავინ იყო ლაპარაკის გუნებაზე. ლენსმანის ცოლი დიდი მოწადინებით მასპინძლობდა, მისი ქმარი და ქალიშვილებიც ძალიან ცდილობდნენ სტუმრების გართობას. ნეფემაც სცადა საუბრის გაბმა, მაგრამ თითქოს ჯადო გაუკეთეს ამ ხალხსო, ხმას არავინ იღებდა. იქნებ სტუმრები გულში იმ დიდებულ, მხიარულ ქორწილს მისტიროდნენ, რომელსაც მოელოდნენ და ვერ კი ეღირსნენ.

პატარძალი ხომ მთლად კრიჭაშეკრული იყო. ხშირი წარბები მოეჭმუხნა და გაუნძრევლად იჯდა. განაჩენის მომლოდინე ბრალდებულს უფრო ჰგავდა.

„სასიკეთო პირი არ უჩანს ამათ ცოლქმრობას, - ფიქრობდა ლენსმანის ცოლი, - ნეტავ ვიცოდე, რამ ჩააფიქრა ახლა ანა, იქნებ ძალიან გულდაწყვეტილია, ქორწილი რომ არ გადაუხადეს იობსგორდენში?“

დრო რომ გაეყვანა, ლენსმანის ცოლი მაგისტრ ეკენსტედს მიუბრუნდა და ჰკითხა, ხომ არ ინებებთ რაიმე მოგვახსენოთო, კარლ-არტურმა მაშინვე შეუსრულა თხოვნა და აი, ფრუ რიუენი ახლა ზის და უსმენს. ლაღად და მწყობრად ლაპარაკობდა პასტორი, მაგრამ მისმა სიტყვებმა შიში მოჰგვარა დიასახლისს. „ეს რაებს ამბობს? - ფიქრობდა იგი, - თხელ ყინულზე აპირებს გავლას, რომელიც ვერ გაუძლებს“.

სულ უფრო და უფრო აკვირვებდა მისი ნალაპარაკევი, „ღმერთო, შენ შეგცოდე, რას ნიშნავს ყოველივე ეს? - ამბობდა გულში, - ქრისტეს გულისთვის სიღარიბეში აპირებს ცხოვრებას? იმიტომ აირჩია ისეთი საცოლე, რომელიც მის სულიერებას გაიზიარებს, მის მსგავსად ეცოდინება, რომ არ არსებობს უფრო დიდი ბედნიერება, ვიდრე ღვთის გულისათვის მოყვასთათვის სიკეთის ქმნა?“

ლენსმანის ცოლმა მშვენივრად იცოდა, რომ პატარძალი დანიშვნის შემდეგ სულ იმაზე ოცნებობდა, პასტორის კარ--მიდამოში ვიცხოვრებ, სადაც ცხენიც მეყოლება და ძროხაც, მოახლეც და მოჯამაგირეცო.

„აი, თურმე როგორ ცდებოდა ანა! - ფიქრობდა გაოგნებული ლენსმანის ცოლი, - არადა, ანა სვერდი ჯერაც ვერ მოსულა გონს, რა მოჰყვება ყოველივე ამას“.

რაც უფრო მეტხანს უსმენდა ახალგაზრდა პასტორის ლაპარაკს, მით უფრო ნათლად ხვდებოდა, რანაირი კაცი იყო იგი.

„ფუჭი მეოცნებე შეხვდა ჩემს ძვირფას ანას, - ფიქრობდა ფრუ რიუენი, - გლეხის გოგო იმიტომ ამოირჩია საცოლედ, რომ იგი ყველაფერს თავისი ხელით აკეთებდა ოჯახში და ჯაფას შეჩვეულია. მაგისტრი ეკენსტედი, ეტყობა, ერთი იმ ახალგაზრდათაგანია, რომლებსაც გლეხურად ცხოვრება სწადიათ. ახლა მოდური აღარ არის ბატონკაცობა“.

ლენსმანის ცოლი ხან ერთ სტუმარს მიაპყრობდა მზერას, ხან მეორეს. ნეტავ რაზე ფიქრობს ახლა იობს ერიკი, რომელსაც თავის სიცოცხლეში ერთი კაპიკიც არ დაუხარჯავს ფუჭად? რაზე ფიქრობს მოხუცი ბერიტ სვერდი, რომელსაც სამკვდრო--სასიცოცხლო ბრძოლა აქვს გადატანილი სიღარიბესთან? რაზე ფიქრობს რის ინგბორგი, რომელიც სიზმარშიც კი თავის მეურნეობას დასტრიალებს თავს? ან თვითონ პატარძალი რაზე ფიქ-

რობს, რომელიც სამი წელიწადი ზურგზე მოკიდებული ფუთით კარდაკარ დაკავკავებდა?

„ისინი ჩემზე ნაკლებ როდი შეცბუნდნენ, მაგრამ ისე მშვიდად სხედან, თითქოს სულაც არაფერი ესაქმებოდეთ ამ ამბავთან“.

მიხვდა, რომ ამ ხალხმა გულთან არც კი მიიტანა ახალგაზრდა პასტორის ნათქვამი. სიღარიბისთვის რომ ქება აღევლინებინა, ეს თანამდებობრივადაც ევალებოდა. მწყობრად საუბრობს, დამრიგებლურ სიტყვებს ამბობს, მაგრამ არც ერთ მსმენელს არ სჯერა, რომ თვითონ აპირებდეს ისე ცხოვრებას, როგორც სხვებს მოუწოდებს. ამიტომ შეშფოთების საბაბიც არა აქვთ. მათ იციან, რომ ღარიბი მღვდლებიც არსებობენ, არც იმას ფიქრობენ, რომ ასეთ ახალგაზრდას დიდ მრევლს ჩააბარებენ და მაინც, მისი ცოლი ბევრად უკეთესად იცხოვრებდა, ვიდრე თავის სახლში. ამ კაცის ძარღვებში ხომ კეთილშობილი სისხლი ჩქეფდა, ასეთები კი შვედეთში შიმშილით არ იხოცებიან.

მაგრამ ლენსმანის ცოლმა იცოდა, რომ პასტორი სიმართლეს ამბობდა, რომ მის ცოლს დუხჭირი ცხოვრება მოელოდა, და ვინ იცის, შეურიგდებოდა კი ამას ანა. „ხეირიანად არც კი იცნობენ ერთმანეთს, - ფიქრობდა იგი, - ანამ წერა არ იცის, მაშასადამე, მიმოწერითაც ვერ დაახლოვდებოდნენ. ახლა ისინი ისევე უცხონი არიან ერთმანეთისთვის, როგორც შარაგზაზე პირველად შეხვედრისას. იქნებ ჯობდეს, თვალი ავუხილო პატარძალს? ანა ღირსეული გოგოა, მხოლოდ ეგაა, სიღარიბეში ცხოვრება არ უნდა, რატომ არ უნდა დავუშალო ასეთი გათხოვება? რატომ არ უნდა ვუთხრა, რა მოელის ცხოვრებაში?“

და მაინც, გადაწყვიტა, არ ჩარეულიყო სხვის საქმეში. ჯვარდაწერილები რომ არ იყვნენ, მაშინ დიახაც დაუშლიდა, ეს მისი მოვალეობაც იქნებოდა, მაგრამ ახლა უმჯობესია, ნებაზე მიუშვას, დაე, თვითონვე გაერკვნენ ავსა და კარგში.

ნავახშმევს სტუმრები ნელ-ნელა გაიკრიფნენ, ლენსმანის ქალიშვილებმა პატარძალი სასტუმრო ოთახში აიყვანეს, სადაც საქორწილო სარეცელი გაეშალათ, კარლ-არტური კი დიასახლისთან მივიდა და უთხრა, სალაპარაკო მაქვსო.

ამ საუბრის შემდეგ, რომელიც ნახევარ საათზე მეტხანს არ გაგრძელებულა, ფრუ რიუენი თავის საძინებელში შევიდა, საწოლის თავთან დადგმული პატარა მაგიდიდან ახალი აღთქმა აიღო და სასტუმრო ოთახში ავიდა. მის ქალიშვილებს ის იყო, საქორწილო კაბა გაეხადათ პატარძლისთვის, სამკაულებიც მოეხსნათ და უკვე ლოგინში ჩაეწვინათ.

ლენსმანის ცოლმა შეხედვისთანავე შეამჩნია, რომ ანა ისევ წარბებშეკრული იყო, სევდაჩამდგარი თვალებიც ისე გაშტერებოდა, თითქოს მოახლოებულ უბედურებას უმზერსო. სახარებით ხელში შემოსული ლენსმანის ცოლი რომ დაინახა, ღრმააზროვნად დაუქნია თავი რამდენჯერმე, თითქოს უნდოდა ეთქვა: „ასეც ვიცოდი, მთელი საღამო ამის მოლოდინში ვიყავი“.

ლენსმანის ცოლი არ ჩქარობდა, სანთლებს ნამწვი მოაცილა, გოგონები დასაძინებლად გაისტუმრა, სათვალე გაიკეთა და ბიბლიის ფურცვლა დაიწყო. საჭირო ადგილი რომ იპოვა, ანას უთხრა, სანამ ჯვარდაწერილნი ცოლ-ქმარი გახდებით, მსურს რამდენიმე სტრიქონი წაგიკითხო საღვთო წიგნიდანო.

ანა სვერდი საწოლში წამოჯდა და ხელები მომუჭა. მისი ფიქრით, სულაც არ ღირდა ბიბლიის კითხვა. მიხვდა, რომ ეს მხოლოდ შესავალი იყო იმ მძიმე ამბისა, რომელიც მისთვის უნდა ეთქვათ. განა უმჯობესი არ არის, პირდაპირ ითქვას სათქმელი?

ლენსმანის ცოლმა დაიწყო კორინთელთა მიმართ პირველი ეპისტოლეს მეცამეტე თავის კითხვა:

„სიყუარული სულგრძელი არს და ტკბილ; სიყუარულსა არა ჰშურან, სიყუარული არა მაღლოინ, არა განლაღნისა, არა სარ-

ცხვინელ იქმნის, არა ეძიებნ თავისასა, არა განრისხნის, არა შეჰრაცხის ბოროტი, არა უხარინ სიცრუესა ზედ, არამედ უხარინ ჭეშმარიტებასა ზედა. ყოველსა თავს-იდებნ, ყოველი ჰრწამნ, ყოველსა ესავნ, ყოველსა მოითმენნ“.

ლენსმანის ცოლს, ალბათ, თავისი გათხოვება მოაგონდა, ისეთი მღელვარებით კითხულობდა ამ საკვირველ სიტყვებს, და ანაც უნებურად მთელი გულისყურით უსმენდა. ასე ეგონა, გულის სიღრმიდან ამოუკრიბეს ეს სიტყვებიო. ამაზე უფრო სწორი და სამართლიანი ნათქვამი ბიბლიიდან ჯერ არ სმენია.

როდესაც ლენსმანის ცოლმა კითხვა დაამთავრა, ანამ გულში გაიმეორა ბოლო მუხლი.

- იქნება კიდევ ერთხელ წაგიკითხო?

- ჰო, - ძლივს გასაგონად წაიჩურჩულა აღელვებულმა პატარძალმა.

წარბები ისე მკაცრად აღარ ჰქონდა შეჭმუხნილი, აღარც ადრინდელივით თვალგაშტერებული იყო, ლენსმანის ცოლს იმედი მიეცა, რომ, თუ ახლა კარლ-არტურის დანაბარებს ეტყოდა, იქნებ ძალიან არც გაჯიქებულიყო ანა.

„მართალია, - გაიფიქრა მან, - ანა სვერდი სულაც არ არის ბრიყვი. ეს-ესაა ქმრის ნალაპარაკევი მოისმინა და მისახვედრსაც მიხვდა“.

კიდევ ერთხელ წაიკითხა სიყვარულის შესახებ ნათქვამი შესანიშნავი სიტყვები და ბიბლია განზე გადადო.

- თუ ყველაფერი ისე არ იქნება, როგორც შენ მოელოდი, მაშინ ამ სიტყვებს ჩაუფიქრდი.

მჭმუნვარედ შეხედა ანამ მთქმელს, ლენსმანის ცოლი იქნებ წესისამებრ მხოლოდ ჭკუას არიგებს პატარძალს, მაგრამ ვაითუ, მთელი ეს საუბარი მხოლოდ იმიტომ გაუმართა, რომ ბოლოს საშინელი რამ ამცნოს.

ლენსმანის ცოლმა მაშინვე განუმარტა:

- იცი რა, მე იმის თქმა მინდა, რომ თუ ნამდვილი სიყვარულით გიყვარს ადამიანი, ყოველდღიურ წვრილმანებს არც კი უნდა გამოეკიდო. ქალი იმიტომ კი არ თხოვდება, რომ ცხენი და ძროხა, მოახლე და მოჯამაგირე ჰყავდეს.

ფრუ რიუენს მოეჩვენა, რომ ანა უცნაურად იქცეოდა. ასეთ გადაკრულ ნათქვამს ხომ უნდა მიხვედრილიყო და ძალიანაც შეშფოთებულიყო, ანა კი გაუნძრევლად იჯდა და ხმას არ იღებდა. საჭირო გახდა ყველაფრის წვრილად განმარტება.

- არ გეგონოს, შვილო, მეტიჩრულად ვერეოდე შენს საქმეში, ამ ოთახში რომ ამოხვედი, შენი ქმარი მოვიდა ჩემთან და გულახდილად მიამბო თქვენი მომავლის შესახებ. მე ვკითხე, იცის თუ არა ანამ ეს-მეთქი, და მან მიპასუხა, რომ შენ ყველაფერი იცოდი თქვენი პირველი შეხვედრისთანავე.

ანა სვერდმა, როგორც იქნა, ხმა ამოიღო.

- რა ვიცოდი? - გულცივად წარმოთქვა მან. ეტყობოდა, ლენსმანის ცოლის სიტყვებს სულაც არ უფრთხოდა.

- ნუთუ არ გახსოვს, - მიუგო ფრუ რიუენმა და უნებურად ისე აუწია ხმას, თითქოს მძინარეს ელაპარაკებოდა და მის გამოღვიძებას ცდილობსო, - ნუთუ არ გახსოვს, რომ გეუბნებოდა, ქრისტეს სახელს უნდა ვანაცვალო ჩემი ცხოვრებაო? ამ საღამოსაც ხომ იმავეს ამბობდა.

- მაშასადამე...

- მაშინვე ვიაზრე, რომ ვერაფერს მიხვდი, და როცა ეს კარლარტურს ვუთხარი, მთხოვა, განმემარტა შენთვის, რანაირი ცხოვრება გიდევთ წინ. ისიც მთხოვა, გადმომეცა, რომ პასტორს კარ-მიდამო არა აქვს, რომ მხოლოდ თანაშემწეა პასტორისა და ჯამაგირიც ას ორმოცდაათი რიქსდალერი ეკუთვნის. აქამდე იგი მზამზარეულზე ცხოვრობდა პასტორთან, ცოლის შერთვის შემ-

დეგ კი ნაცვლად ამისა მიიღებს ფქვილს, კარაქსა და რძეს. ეს თავის სარჩენად გეყოფათ, მაგრამ სხვა არაფრისთვის. და რადგან შენ მეტს მოელოდი...

ეს რომ მოისმინა, ანა სვერდმა ჰკითხა ლენსმანის ცოლს, სად ვიცხოვრებთო, ფრუ რიუენი ადვილად მიხვდა, რომ მხოლოდ ზრდილობის გულისთვის იყო ეს ნათქვამი, თორემ ისე დიდად არც აინტერესებდა ანას.

- გასულ შემოდგომაზე შენმა ქმარმა მამიდამისის მცირე მემკვიდრეობა მიიღო, სულ ათასი რიქსდალერი და კიდევ ერთი ოთახის გასაწყობი ავეჯი, - მიუგო ფრუ რიუენმა, - ამ ფულით იყიდა პაწაწინა სახლი - ერთი ოთახი და სამზარეულო. ორ სულს გეყოფათ, მაგრამ იქ არც მინაშენია, არც სახნავ-სათესი, არც საძოვარი, შენ თვითონ მოგიწევს საჭმლის დამზადება, ღუმლის დანთება, რეცხვა და სხვა საოჯახო საქმეების კეთება.

ლენსმანის ცოლი ფიქრობდა, თავს იკატუნებს ანა, ასე უშფოთველად რომ არის და მერე გულში დაგროვილ მთელ ჯავრს ქმარზე ამოიყრისო, მაგრამ ესეც ძნელი დასაჯერებელი იყო, ეს ჯან-ღონით სავსე ქალიშვილი ისე მშვიდად შეხვდა თავისი ოცნების დამსხვრევას, სინანულის ნატამალიც არ ეტყობოდა.

- ნეტავ რისთვის შემასწავლე იმდენი რამ? გულიც კი მწყდება!

- მაგაზე ნუ იდარდებ, მესიამოვნა კიდეც შენისთანა საზრიანი გოგონას გამოწვრთნა. ხომ იცი, რომ ჩვენს კარ-მიდამოში ყველამ შეგიყვარა. ერთადერთი წყენა შენი გამოისობით მხოლოდ ამწუთას განვიცადე.

ანა სვერდს ერთი სამადლობელი სიტყვაც არ უთქვამს მისი სიკეთის დასაფასებლად და ამან, ცოტა არ იყოს, გული დასწყვიტა ლენსმანის ცოლს.

- იქნებ თავს იმით ინუგეშებ, რომ შენს ქმარს მალე მდიდარ სამრევლოს ჩააბარებენ? ნურც ამის იმედი გექნება, რადგან თვითონვე ამბობს, მუდამ სიღარიბეში უნდა ვიყოო, ხოლო თუ მისი მდიდარი მშობლების იმედი გაქვს, უნდა გითხრა, შენი გულისთვის წაეჩხუბა მათ და არც რაიმეთი შეუწყობენ ხელს, არც მემკვიდრეობას მისცემენ.

- დედაჩემი მეცოდება, - წარმოთქვა ანა სვერდმა, - საბრალოს ეგონა, სიბერის ჟამს ჩვენთან უსაყვედუროდ ექნებოდა ლუკმაპური.

- თუ კორსჩურკის პასტორი მოკვდა, - ულმობლად ლაპარაკობდა ფრუ რიუენი, - შენს ქმარს პასტორის თანაშემწედ სხვა სამრევლოში გაამწესებენ. ყველაზე ცუდი ისაა, რომ თან ვერ გაჰყვები, მარტოდმარტო მოგიწევს ცხოვრება იმ ერთ პატარა ოთახში გამოკეტილს. კორსჩურკის პასტორი სამოცდათექვსმეტი წლისაა და დიდი დღე აღარ უწერია.

- ვატყობ, გაგვიჭირდება ცხოვრება, - ისევ ისე გულგრილად თქვა ანამ.

- რადგან ჯერ კიდევ არავინ იცის, რა მოგელით ცხოვრებაში, ამიტომ, ჩემი აზრით, შენი ქმარი სწორად იქცევა, - უთხრა ფრუ რიუენმა, - მან მთხოვა, მეკითხა შენთვის... ეტყობა, თვითონ გაუჭირდა თქმა, მან მთხოვა, გირჩიო...

ლენსმანის ცოლს სიტყვა შეაცივდა ბაგეზე, რადგან ანა სწრაფად შემოტრიალდა, წინ გადმოიხარა და მშვილდივით დაიძაბა. სადღა იყო წეღანდელი უხალისობა, სიზანტე. ფრუ რიუენს სიწითლემ გადაჰკრა სახეზე.

- ისეთი თვალებით მიყურებ, შვილო, ტანში მზარავს, - უთხრა მან, - მე კი მაინც მგონია, მას ყოყმანის უფლება აქვს. არ უნდა მოჰკიდებოდით ოჯახს. იმედია, მიმიხვდი, რასაც ვამბობ.

ანა სვერდი ბალიშზე გადაემხო. არ ტიროდა, მხოლოდ თითებს იმტვრევდა გამწარებით, საშინელი სასოწარკვეთისგან მთლად დაეღმიჭა სახე.

- ასეც ვიცოდი, - წარმოთქვა მან, - სწორედ ამას მოველოდი. აღარ ვუყვარვარ.

- ნუ გადაჰყვები ახლა მაგ ამბავს! შენი ქმარი სულ სხვა კაცია, ჩვენნაირებს არა ჰგავს, ვიცი, უყვარხარ, მაგრამ ეგეთი ადამიანები, როგორიც ისაა, ფიქრობენ, რომ ღმერთს იმით აამებენ, თუ ყველაზე დიდ სურვილს დათმობენ.

- რომ ვუყვარდე, ასეთი რჩევის მოსაცემად არ გამოგგზავნიდა ჩემთან, - ცივი ხმით შეჰკივლა ანამ, - ნუთუ ვერ შეატყვე, რომ მოვბეზრდი? რაკი ეგრეა, სამუდამოდ ჩამოვეხსნები.

საბანი გადაიგდო, სწრაფად მისწვდა წინდებსა და ფეხსაცმელებს და ჩაცმა დაიწყო.

- მერწმუნე, ცდები, შვილო, - ფრუ რიუენი შეეცადა დაეშოშმინებინა ქალი, - შენმა ქმარმა მითხრა, რომ მართლა უყვარხარ. იმ წუთიდან მოყოლებული, რაც აქ ჩამოვიდა და შენ გნახა, ცდილობდა, მორეოდა გრძნობას. პირდაპირ ვერ გაგიბედა ამის თქმა.

ამ სიტყვებმაც არ გაჭრა. ანამ ისე სწრაფად ჩაიცვა, თითქოს ცეცხლმოკიდებული სახლიდან გასაქცევად ჰქონოდეს საქმე.

- კიდევ რას იტყვის? - წამოიძახა მან, - მეც ახლავე დავიჯერე, რაღა! ეს რა ქორწილი გადამიხადა და კიდევ იმას ამბობს, მიყვარსო? ნეტავი ვიცოდე, რა უნდა ჩემგან!

ლენსმანის ცოლი ხედავდა, როგორ უთრთოდა თითები, როგორ ველურად უბრიალებდა თვალები გადაფითრებულ სახეზე. თვალის დახამხამებაც ვერ მოასწრო, ანა შურდულივით გავარდა ოთახიდან.

ფრუ რიუენმა ბნელ დარბაზში იპოვა კარლ-არტური, მუხლებზე დამხობილი ლოცვად იდგა. ლენსმანის ცოლი სწრაფად მიიჭრა მასთან, მკლავში წაეტანა და მაგრად შეანჯღრია. პასტორი ფეხზე წამოდგა, უხერხულობისგან სახე წამოენთო.

- ღმერთს ვევედრებოდი, ანასთვის შთაეგონებინა, რათა ვით ჯერ არს, ისე შეესმინა ჩემი დანაბარები.

- ლოცვის დრო აღარ არის! - შესძახა ფრუ რიუენმა და კიდევ ერთხელ ჩამოქაჩა მკლავი, - თუ ახლავე არ გაეკიდებით ანას და არ დაუმტკიცებთ, რომ ისე გიყვართ, როგორც უნდა უყვარდეს ქმარს თავისი ცოლი, ხვალ დილით მდინარე დალელვენში გაგიხდებათ საძებნელი.

ახალი სახლი

ანა სვერდმა შეუცდომლად იცოდა საქონლის ამორჩევა, რომელიც მყიდველისთვის უნდა შეეთავაზებინა. ერთხელაც არ მომხდარა, რომ გაუსავლიანი საქონელი ჩაედოს თავის ტომარაში. თუ მუშტარს ყიდვა არ უნდოდა, ანა არც ეძალებოდა. მაგრამ ჩაცმა-დახურვის მოყვარულ მყიდველს ყველაფერს გადმოულაგებდა, თან ისე ეჭირა თავი, თითქოს გული წყდებოდა, იაფად რომ აძლევდა საქონელს, რათა მუშტარს გახარებოდა, მუქთად ვიშოვე ყველაფერიო. მყიდველს არასოდეს ატყუებდა, ისეთ ქსოვილს არ შესთავაზებდა, ჩრჩილით ყოფილიყო შეჭმული ან სხვაგვარად გაფუჭებული; ხოლო თუ აბრეშუმის თავსაფარს ნაკეცი გაუცვდებოდა ჩანთაში დიდხანს დებისგან, მყიდველს ამას არ უმალავდა და ჩალის ფასად აძლევდა.

ყველა დარწმუნებული იყო, ანა სვერდი გვარიანად დააგროვებდა ფულს, ვაჭრობა რომ გაეგრძელებინა, მაგრამ იმ დღიდან მოყოლებული, როცა კარლ-არტურ ეკენსტედს შეხვდა სოფლის შარაზე, მთლად გამოიცვალა. არც სიმარდე დაჰკლებია, არც ყაირათიანობა, არც გამჭრიახობა, მაგრამ ეგაა, რომ ყოველივე ამის ნიჭი, რაც ადრე საშოვარზე ეხმარებოდა, ამ შეხვედრის შემდეგ მისი სიყვარულის მსახურად იქცა. ახლა სულ ის უკვირდა, უწინ დღენიადაგ ფულის მოგებაზე რომ ფიქრობდა. ნუთუ ბაზრობაზე დადიოდა და ყოველი მუშტრის გამოჩენას შეჰხაროდა? ნუთუ ანა სვერდი ის ქალიშვილი იყო, მუდამ გზაზე გაკრულს საშოვრის მეტი რომ არაფერი ახსოვდა? აღარც კი სჯე-

როდა ახლა ეს. მაგრამ მაშინ ხომ არ იცოდა, ამქვეყნად რა არის უპირველესი და რა - უმთავრესი.

ახალჯვარდაწერილებმა რამდენიმე დღე დაჰყვეს მედსტუბიუნში, ოთხშაბათ დილით გზას გაუდგნენ, პარასკევ საღამოს უკვე კორსჩურკაში ჩავიდნენ ბედნიერნი და გულსავსენი და სოფლის განაპირას, ფერდობზე, პატარა სახლში დაბინავდნენ.

მას შემდეგ, რაც ლენსმანის ცოლმა კეთილი გულით, მაგრამ გვარიანად დატუქსა კარლ-არტური, მან ვეღარ გაბედა, დაემალა ანასთვის, რა ელოდა ცხოვრებაში. ჯერ ის ჰკითხა, კორსჩურკაში ყოფნისას ექიმ რომელიუსის ბაღს უკან გორაკზე პატარა სახლები თუ შეგიმჩნევიაო. ანას, რომელსაც სამი ზაფხულის განმავლობაში ფეხით ჰქონდა მთელი სამრევლო შემოვლილი, მაშინვე თვალწინ დაუდგა ორი ღარიბული, დაფერდებული ქოხი. ამ სახლებში ანა ნამყოფი არ იყო, აბა, რა საქმე ჰქონდა ისეთ ქოხმახებში, რომლის პატრონებს იმის სახსარიც არ ჰქონდათ, ჩამტვრეულ ფანჯრებში შუშები ჩაესვათ. მაგრამ ის მაინც იცოდა, ვისი იყო ეს ქოხები, ერთში მოხუცი ჯარისკაცი ცხოვრობდა, რომელიც წელიწადში ოც რიქსდალერს იღებდა პენსიად და რის ვაი-ვაგლახით გაჰქონდა თავი, მეორეში კი - ღატაკი ქალიშვილი, მატს-ტორპარის ელინს რომ ეძახდნენ, და რომელიც შიმშილით სულს ღაფავდა თავის უმცროს და--ძმებთან ერთად.

ანა სვერდმა არ იცოდა, კარლ-არტურმა ათივე ბავშვის პატრონობა რომ იკისრა უპოვართა აუქციონზე, რომელიც მათ გასასხვისებლად მოეწყო და ამ აუქციონმა სასიკეთოდ რომ გადახარა მათი ბედის სასწორი. რამდენიმე გავლენიანმა მანდილოსანმა გადაწყვიტა საქველმოქმედო საზოგადოების შექმნა ამ ბალღების სამეურვეოდ. ისინი ფულს აგროვებდნენ, რათა სახლიც შეეკეთებინათ, ტანსაცმელიც ეშოვათ ბავშვებისთვის და

ლუკმაპურიც გაეჩინათ მათთვის. თითქოს ყველაფერი კარგად აეწყო, მაგრამ ამ დროს უფროსი და ავად გახდა და სული განუტევა, ბედშავმა ვეღარ გაუძლო ამდენ გაჭირვებას; თითქოს ისე გამოვიდა, რაკი დაინახა მისი და-ძმა თავით ფეხამდე შემოსილები იყვნენ, სარდაფი სავსე ჰქონდათ კარტოფილით, საკუჭნაო - ბლომად ფქვილითა და ქაშაყით, იატაკის ღრიჭოებიც დაჭედებული იყო და ვირთხები თავის ნებაზე ვეღარ დათარეშობდნენ, ფანჯრებსაც აღარ სჭირდებოდა ძველმანი ჩვრებით დაგმანვა, გადაწყვიტა, ამქვეყნიური ვალი მოვიხადეო, დაწვა და აღარც ამდგარა, რათა საუკუნო განსვენებას მისცემოდა.

თვითონ კი მოისვენა, მაგრამ კარლ-არტურს ახალი თავსატეხი გაუჩინა. გულმოწყალე ქალბატონებმა, მეურვედ რომ დაუდგნენ ბავშვებს, მაშინვე გამოუძახეს მათ ახალი ძიძა - ერთი შინაბერა ქალი, რომელიც კარგა ხანს მოახლედ ყოფილიყო პასტორთან. ახლა ეს დროული ქალი უვლიდა მათ, რამდენადაც შეეძლო, მაგრამ ძალიან კი უჭირდა ათი ანცის პატრონობა, კარლ-არტურს უნდოდა შეშველებოდა ამ საქმეში, მაგრამ სანამ პასტორის კარ-მიდამოში ცხოვრობდა, ვერ ახერხებდა. ამიტომ, როგორც კი მემკვიდრეობა მიიღო, მაშინვე იყიდა და შეაკეთებინა ჯარისკაცის სახლი, იმ ქოხის გვერდით რომ იდგა, რომელიც ის ათი ბავშვი ცხოვრობდა.

დიახ, სწორედ ამ სახლში უნდა ეცხოვრათ ახალჯვარდაწერილებს. ახალგაზრდა პასტორი ცოლს არწმუნებდა, ვეღარც კი იცნობ იმ სახლს, ისე კარგად მოვაწყვე ყველაფერიო. ნაყიდით კმაყოფილი იყო. ახლა საკუთარი პატარა მყუდრო სახლი ჰქონდა, კარგ ადგილზეც იდგა და თანაც აქედან ადვილი იყო იმ ჯგრო ბავშვების მეთვალყურეობა.

ანა სვერდს ამ დღეებში საფიქრალი მხოლოდ ის ჰქონდა, რომ ქმარს მართლა უყვარდა. ამიტომ კარლ-არტურის შეკით-

ხვაზე მხოლოდ გაიცინა და თითქოს ყველაფრით კმაყოფილი ჩანდა. ანკი სხვა რა გზა ჰქონდა? უკვე ჯვარდაწერილები იყვნენ. აღთქმა ჰქონდა მიცემული, რომ ჭირსა და ლხინში ქმრის მოზიარე იქნებოდა, თან კიდევ საკუთარ ძალ-ღონეზე ამყარებდა იმედს. როგორც უნდა გასჭირვებოდათ, ხეირიან ბინასაც იშოვიდა და მათ სამყოფ საჭმელ-სასმელსაც.

კორსჩურკაში ერთი ჩვეულება გვაქვს: ახალჯვარდაწერილები პირველად რომ გადააბიჯებენ თავიანთი სახლის ზღურბლს, მუხლს მოიყრიან და ღმერთს შეევედრებიან, რომ დალოცოს მათი სახლ-კარი და ბედნიერება მოანიჭოს ამ ჭერქვეშ. კარლ--არტურმა უპასუხა, ეს მშვენიერი ჩვეულებაა და ჩვენც აუცილებლად ასე მოვიქცეთო, თუმცა, შინ რომ მივიდნენ, ეს არც ერთს აღარ გახსენებია. მაგრამ განა იმიტომ მოხდა ასე, რომ ანა სვერდი განაცვიფრა ქოხის სილამაზემ, იგი ახლაც ისეთივე იყო, როგორიც ადრე ენახა, სულაც არ გადაქცეულიყო მდიდრულ კარ-მიდამოდ. მის შეკეთებაზე ვინც მუშაობდა, თავი არ შეუწუხებია, პატარა კართანა მაინც მიეშენებინა წინ და როგორც იმ ჯარისკაცის დროს, ახლაც კარის წინ მორყეული ქვები ეწყო. სანამ ზურგზე მოკიდებული ფუთით ასეთ ქოხში შესვლას გაბედავ, ჯერ კარგად უნდა დაფიქრდეო, შეეხუმრა ანა ქმარს და ორივეს გულიანად გაეცინა. ორივენი შესანიშნავ გუნებაზე იყვნენ.

მაშასადამე, ამ სახლის მიზეზით კი არ დავიწყებიათ, ზღურბლის წინ მუხლი რომ უნდა მოეყარათ და ღმერთს შეევედრებოდნენ, დაგვილოცეო ახალი ფუძე-კარი. ეს იმიტომ მოხდა, რომ, როცა მარხილი გაჩერდა და სახლის კარი გაიღო, ერთი ტანდაბალი, მსუქან-მსუქანი ქალი გამოვიდა იქიდან და იმ მორყეულ ქვებზე დადგა მათ შესახვედრად.

ანა სვერდს ზურგზე მოკიდებული ფუთით სამი ზაფხულის განმავლობაში კარდაკარ ჰქონდა შემოვლილი მთელი კორ-

სჩურკა, და ამ სამრევლოში სათითაოდ იცნობდა ყველას, მაგრამ ეს ქალი ვინ იყო, უცებ ვერც მიხვდა. მერე კი იაზრა, თეა სუნდლერი იქნებაო, ორგანისტის ცოლს, როდესაც ანამ უკანასკნელად ნახა, გრძელი, ლამაზი კულულები ჰქონდა, ახლა კი თმა მოკლედ, ბიჭურად შეეკრიჭა, ამიტომ იყო ძნელად საცნობი.

დიახ, ნამდვილად თეა სუნდლერი გახლდათ ეს ქალი. კარლ-არტური ხომ მთელი გზა მის ხსენებაში იყო, ეს ქალი დახმარებოდა სახლის ყიდვაში, მასვე დაექირავებინა მუშები. მათი ქორწინებაც მისი წყალობა იყო. თეას უნდა უმადლოდნენ, ამ მარხილში რომ სხედან და ბედნიერებით ტკბებიან, ჰოდა, რა გასაკვირია, ფრუ სუნდლერი მათზე ადრე რომ მოვიდა ამ სახლში. ღუმელი გაახურა და ახალჯვარდაწერილთ შეეგება. მან არცთუ ცოტა იზრუნა იმისთვის, რომ ისინი შეუღლებულიყვნენ.

ფრუ სუნდლერმა მკლავები გაშალა, ახალგაზრდა ცოლ--ქმარს მოეხვია და აღელვებული ხმით განუცხადა, ბედნიერი ვარ თქვენი ხილვით, ბოლოს და ბოლოს ასრულდა ჩემი ყველაზე სანუკვარი სურვილიო. დიდად მოხარული ვარ, კარლ--არტურს გაუმართლა და აუხდა ოცნება, პატარა უბრალო ქოხიც აქვს და მდაბიო ცოლიც შეირთო, რაც მას ვიცნობ, სულ ხომ ამის ნატვრაში იყოო.

ფრუ სუნდლერმა, როგორც იქნა, გაათავისუფლა თავის მკლავებში მომწყვდეული ცოლ-ქმარი, კარი გააღო და ვიწრო დერეფანში შეუძღვა, რომელიც ორ ნაწილად ყოფდა ამ პატარა ქოხს.

სანამ ისინი ზედა ტანსაცმელს იხდიდნენ და დერეფანში ჰკიდებდნენ, ფრუ სუნდლერი უამბობდა, როგორ უჩურჩულა შინაგანმა ხმამ, სწორედ ამ საღამოს ჩამოვლენო, ის იყო, ყავადანი მოვარბენინე ამ ბეღურის ბუდეში - გუნებაში ასე ეძახდა იგი კარლ-არტურის სახლს - და სუფრა გავშალე, რომ სწორედ ამ

დროს შემომესმა გორაკიდან ზანზალაკების ხმა. გამოუთქმელ სიხარულს განვიცდი, დროზე რომ მოვასწარი თქვენს დასახვედრად მოსვლა და ცოლ-ქმარს ცარიელ სახლში არ მოგიხდათ შესვლაო.

მაგრამ ფრუ სუნდლერის სიტყვებმა ისე არ ჩააფიქრა ანა სვერდი, როგორც იმან, რომ ამ ქალის დანახვაზე კარლ-არტური მყის გამოიცვალა: მგზავრობისას ხალისობდა, ლაღობდა, ახლა კი თითქოს დაშინდა და სულ იმას ცდილობდა, როგორმე ესიამოვნებინა ფრუ სუნდლერისთვის.

ანა გრძნობდა, რომ კარლ-არტურს მაინცდამაინც არ გახარებია ფრუ სუნდლერის დანახვა სწორედ იმ დროს, როცა ისინი პირველად უნდა შესულიყვნენ თავიანთ სახლში, მაგრამ უცებ გაიხსენა ამ ქალის დიდი ამაგი და მონანიებას მოჰყვა. საუბარში წარამარა თეას ახსენებდა. ერთთავად გაიძახოდა, რაოდენ დავალებული იყო ფრუ სუნდლერისგან, ტანსაცმლის დასაკიდებლად თეას კაუჭები მიუჭედებია დერეფანში, განა განსაცვიფრებელი არ არის, რომ ესეც კი გაიხსენაო! კარლ-არტურმა მარჯვენა კარი გააღო და ცოლი შეიპატიჟა. დასტურ რომ არ სცოდნოდა, ამ სამზარეულოში მოუწევდა უმეტეს დროს ყოფნა და საჭმლის კეთება, არც კი დაიჯერებდა ამას. ქმარმა, ალბათ, იმიტომ შემოიყვანა აქ, რომ ღირსეულად დაეფასებინა ფრუ სუნდლერის მზრუნველობა მათ ოჯახზე.

სამზარეულო, რომელსაც ამ სახლის მთელი ნახევარი ეჭირა, გაცილებით დიდი მოეჩვენა ანას, ვიდრე მოელოდა; ლამის სამჯერ აღემატებოდა იობსგორდენში მის პატარა სენაკს. კედლებს წებოსა და კირის სუნი ასდიოდა. სადაც ადამიანის ხელი არ ტრიალებს, მუდამ ასეთი სუნი დგას ხოლმე და იქნებ სწორედ ამ სუნის გამო იყო ოთახი ასე უღიმღამო და უსიხარულო, თან კიდევ ეს სიცარიელე. განა ასეთ სამზარეულოზე ოცნებობდა ანა?

მოაგონდა რისგორდენის დიდი სახლი, ყავისფრით გაწყობილი ცისფერი კედლის კარადა, ვარდებით შემკული მაღალი მურული საათი, შინნაქსოვი ქსოვილის მიჩიგდანიანი საწოლი, კარადასა და საწოლს შორის კედელს, ალბათ, როგორ დაამშვენებდა ოქროს კარეტით მიმავალი წმინდა იოსების გამოსახულება. სარკმლის ზევით ძალიან მოუხდებოდა მარიამ ღვთისმშობლის სურათი, სადაც იგი თავს უქნევს ოქროსტანსაცმლიან ანგელოზს. მაგრამ ბევრის ნატვრა ცოდვად ითვლება, რაც გაქვს, იმას უნდა დასჯერდე.

ზოგი რამ მაინც იყო სამზარეულოში და ისიც ფრუ სუნდლერის წყალობით: ფანჯარასთან მაგიდა და სკამები იდგა, კართან - წყლის გოვზი, ღუმელთან - შეშის ჩასაწყობი ყუთი. ქმრის ლაპარაკისთვის რომ დაგეგდო ყური, ამქვეყნად თურმე პირველად თეა სუნდლერი მიხვედრილა, რომ სამზარეულოში საჭიროა ტაფა და ქვაბი, სათქვეფელა და ქაფქირი, ყავადანი და გობი, კოვზები, დანა-ჩანგალი, და თუნდაც ფრუ სუნდლერს საკუთარი ხელით არ გადაუღობავს სამზარეულოში ერთი კუთხე საკუჭნაოს მოსაწყობად და არც თარო მიუჭედებია კედელზე, მაინც დიდი მადლობა ეთქმოდა ყოველივე ამისთვის.

როგორც კი ანა სამზარეულოში შევიდა, მაშინვე თვალში მოხვდა კუთხეში მოკრძალებით მდგარი დასაკეცი ვიწრო დივანი. ხის აკეცილი საჯდომი კედელთან იყო მიყუდებული, საწოლზე კი ლოგინი ეგო. გახამებული თეთრეული ქათქათებდა. მაგრამ მეტისმეტად ეპატარავა ეს სარეცელი, დივანი კუბოსავით ვიწრო იყო. ანამ მაშინვე შეატყო, რომ სიგანეზე არ იშლებოდა, ჰოდა, თუ ერთხელ ჩაიჭედე შიგ, მერე მთელი ღამე იმის შიში უნდა გქონდეს, ვაითუ, დილით ვეღარ ამოვძვრე იქიდანო.

ამ დივანმა საფიქრალი გაუჩინა ანა სვერდს. თავს ძალას ატანდა, ყური ეგდო ქმრისთვის, რომელიც ისევ და ისევ თეას

ამაგზე ლაპარაკობდა. თურმე სუნდლერი აუქციონებზე დადიოდა და ჩალის ფასად უყიდია მათთვის საოჯახო დგამ-ავეჯი და ჭურჭლეულობა. მაგრამ, ჯერ ერთი, ეს უკვე ნათქვამი ჰქონდა კარლ-არტურს, აქეთ რომ მოდიოდნენ, მეორეც, იმ დივანზე ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა. რადგან საგებლით იყო გაწყობილი, ერთ-ერთ მათგანს უნდა დაეძინა ზედ. სხვა არჩევანი არ არსებობდა.

ფრუ სუნდლერი არა მარტო ყავითა და ერბოზელილი ორცხობილათი გაუმასპინძლდა მათ, კარაქიანი პურიცა და კვერცხიც მიართვა. ანა სვერდს მართლა ყველაფერი ეგემრიელა, მაგრამ კარლ-არტურისთვის რომ დაეგდო ყური, კაცი იფიქრებდა, მას შემდეგ, რაც ფრუ სუნდლერთან იყო უკანასკნელად სტუმრად, გემრიელი არაფერი ჩასვლია პირშიო. ლენსმანის ცოლი განთქმული იყო კერძების კეთებით, მაგრამ ეკენსტედს, ეტყობა, აღარაფერი და აღარავინ, თვით თავისი ცოლიც კი, აღარ ახსოვდა, ოღონდ ფრუ სუნდლერისთვის ესიამოვნებინა, თითქოს რაღაც დაეშავებინოს მისთვის და ახლა შეწყნარებას ითხოვსო.

ფრუ სუნდლერის მომზადებული კერძები რომ მიირთვა და ყბა მოიქცია მათი ქებით, კარლ-არტური მაგიდიდან წამოდგა და მეორე ოთახში გავიდა. გავლისას კინაღამ დივანს წამოედო და ანა სვერდმა გაიფიქრა, ეგებ ახლა ესეც შეაქოსო, მაგრამ მას რატომღაც არაფერი უთქვამს დივანზე.

დერეფანი გაიარეს და ოთახში შევიდნენ. ოთახი სამზარეულოსოდენა არ იქნებოდა, მაგრამ მაინც გვარიანად დიდი იყო. როცა ანა სვერდმა შიგ შეიხედა, უკანმოუხედავად გაქცევა მოუნდა, რადგან ეს ნამდვილად ბატონისთვის გაწყობილი ოთახი გახლდათ. თუ სამზარეულოს ცარიელი ეთქმოდა, აქაურობა გამოჭედილი იყო ავეჯით: საწერი მაგიდაო, ეს წიგნების კარა-

დაო, დივანი და მასთან მისადგმელი დაბალი მაგიდა, ბიურო, საწოლი და კიდევ ბევრი სხვა რამ. მაშასადამე, სწორედ ეს ავეჯი მიიღო კარლ-არტურმა მემკვიდრეობით მამიდისგან. ავეჯი მუქი პრიალა ხისა იყო, სკამებსა და დივანს აბრეშუმი ჰქონდა გადაკრული. ყველაფერი ბრინჯაოთი იყო შემკული. საითაც გაიხედავდით, ბზინვარება გეცემოდათ თვალში.

კედლებზე შპალერი გაეკრათ, ფანჯრებზე გრძელი ფარდები ეკიდა. კუთხეში ნამდვილი შორენკეცის ღუმელი იდგა: დივნის თავზე - მოოქრულ ჩარჩოში ჩასმული დიდი სარკე, ჭერზე - ჭაღი, საწერ მაგიდაზე - ვერცხლის შანდლები, კარლსტადში რომ სახლი ჰქონდათ ეკენსტედებს, სწორედ ისე იყო ეს ოთახი მოწყობილი.

ამ ოთახში, ისევე როგორც სამზარეულოში, ლოგინი იყო გაშლილი ერთსაწოლიან, არც ისე განიერ სარეცელზე.

ახლა კი ცხადი გახდა ანასთვის: ამ ოთახში კარლ-არტური იცხოვრებდა, აქ იმუშავებდა, აქ დაიძინებდა, ანას ადგილი კი დღისითაც და ღამითაც სამზარეულო იქნებოდა. ქმარი ბატონკაცურად მოეწყობოდა, ცოლი ხელზე მოსამსახურედ ეყოლებოდა.

ეკენსტედი კი ისევ და ისევ თეას ქებაში იყო. როდესაც კარლ-არტური ჯვრის დასაწერად წამოსულა, შორენკეცის ღუმელი ჯერ კიდევ მზად არ ყოფილა, და ოთახში ავეჯის განლაგებაც არ შეიძლებოდაო. მის იქ არყოფნაში თეას მოუწესრიგებია ყველაფერი, წარმოგიდგენიათ, რა სილამაზე და სიმყუდროვე დამკვიდრდა აქ! აბა, რით ჰგავს აქაურობა ძველ, ღარიბულ სახლს? უკეთესად მორთულ-მოკაზმული ოთახები მთელ სოფელში არ იქნება.

მერე ისიც მოინდომა კარლ-არტურმა, ცოლსაც შეექო თეა სუნდლერი, მაგრამ სიტყვა ვერ დააცდენინა, ანას თავისი საფიქრალი უღრღნიდა გულს.

კარლ-არტური და თეა ისე გაერთნენ საწერი მაგიდის ცქერითა და თაროების დათვალიერებით, ვერც კი შეამჩნიეს, ანა ოთახიდან რომ გასხლტა. სამზარეულოში შევიდა, მაგიდიდან სანთელი აიღო და დერეფანში გამოვიდა თავისი ქურქისა და ჩაჩის მოსაძებნად. მშვიდად იყო. ისე როდი შფოთავდა, ქორწილის ღამეს რომ მოუვიდა. არც იმის ფიქრი ჰქონდა, რაიმე აეტეხა თავისთვის, შარშან ზაფხულში კორსჩურკაში ყოფნისას ერთი ბინა ჰქონდა დაქირავებული და ახლაც იქ აპირებდა წასვლას ღამის გასათევად. რაიმე უნდა მოემოქმედა, რათა ქმარიც და თეაც დაერწმუნებინა, რომ მას ოჯახის დიასახლისობა უნდოდა და არა ხელზე მოსამსახურედ ყოფნა.

თავის ტანსაცმელს რომ ეძებდა, უცებ შეამჩნია, დერეფანს თურმე კიდევ ერთი კარი ჰქონდა, და თუმცა იგი დაკეტილი იყო, ამან სულაც არ გაუტეხა გული, სამზარეულოს კარს გამოაძრო გასაღები და იმით გააღო. ოთახად არ გამოდგებოდა ეს სათავსი, უფრო პატარა საკუჭნაოს ჰგავდა. ეს ერთი კარი და მეორე კედელზე ვიწრო ფანჯარა ჰქონდა. ღუმელი არ იდგა აქ, მაგრამ საკმაოდ თბილოდა, რადგან შორენკეცის ღუმელი ცალი გვერდით ამ საკუჭნაოს კუთხეში გამოდიოდა, კედლები თეთრად შეეღებათ, აქა-იქ საკიდრები მიეჭედებინათ, ტანსაცმლის შესანახ საკუჭნაოს ჰგავდა.

და უცებ ისეთი მოულოდნელი რამ დაინახა, ლამის ჭკუიდან შეიშალა გაკვირვებისგან - საკუჭნაოს სიღრმეში მშვენიერზე უმშვენიერესი საწოლი იდგა, ლამაზი წითელი მიჩიგდანით, ბუმბულის ფუშფუშა ლეიბ-საბნით, მაქმანებით შემოქობილი ზეწრით, ერთი სიტყვით, უკეთესს რომ ვერც ინატრებდა კაცი.

ანა ხმის ამოუღებლად იდგა და მისჩერებოდა ამ სასწაულს, მერე ქურქი გაიხადა, გასაღები თავის ადგილას დააბრუნა და ისევ სამზარეულოში შევიდა.

ერთხანს მარტო იჯდა, მერე კი ეტყობა, მისი არყოფნა შეამჩნიეს და შემოაკითხეს.

- სად დაიკარგე? - ჰკითხა კარლ-არტურმა, - გზამ დაგღალა, არა? იქნებ წამოწოლა გინდა?

- მართლაც მინდოდა დავწოლილიყავი ჩემთვის გამზადებულ საწოლზე, მაგრამ შემეშინდა, ეგებ ვერც დავეტიო-მეთქი, - განაწყენებული კილოთი, მაგრამ მაინც სიცილით თქვა მან.

- როგორ თუ ვერ დაეტიო? - სიცილითვე ჰკითხა კარლ--არტურმა.

- აბა, ჩაატიე ძროხა ხბოს ბაგაში. გინდ წაღმა მოაბრუნე, გინდ უკუღმა, მაინც ვერაფერს მოუხერხებ, ცალ გვერდზე რომ დავწვე, იქნებ დავეტიო კიდეც, მაგრამ მაინც ხათაბალაა. ძილში მეორე გვერდზე გადაბრუნება თუ მომინდა, უნდა იატაკზე გადმოვიდე, საბანი გავისწორო და მერე ისევ დავწვე.

ამას ისე ამბობდა, ღვარძლი არ ერია მის კილოში და იქნებ ამიტომ კარლ-არტური სიცილითვე უსმენდა, მაგრამ ანამ მაინც შეამჩნია, რომ ქმარი შეცბუნებული იყო და განგებ იცინოდა, რომ ეს დაეფარა.

- იცინე, რა. აბა, მე რაში გენაღვლები. სამი დღე და ღამე მარხილში ვიჯექი და ისე დავიქანცე, ძვლებიც კი მტეხს.

კარლ-არტური დივანთან მივიდა და დახედა.

- წადი, ჩემს ოთახში რომ საწოლი დგას, იმაზე დაწექი! - უთხრა ცოლს, - მე კი შევეცდები ჩავეტიო ამ ყუთში.

- აბა, რას ამბობს? განა იმიტომ შეირთე ცოლი, რომ მთელი ღამე ცალ გვერდზე იწვე და ფეხები დაბლა გქონდეს გადმოკიდებული? არა, მაგას ის სჯობია, იატაკზე გავშალო საგებელი. შეჩვეული ვარ, მაგრამ მაინც მეფიქრება. ღუმელში ცეცხლი რომ გამოქრება, აცივდება ღამით. საკუთარ ფუძეს რომ მოვესწარი, რაღა ახლა უნდა მოვკვდე.

ამან მთლად დააბნია ქმარი. მავედრებელი მზერა მიაპყრო ფრუ სუნდლერს, თავის კეთილ მეგობარს, მაგრამ იგი თითებს ათამაშებდა მაგიდაზე და თავი ისე ეჭირა, ვითომც ცოლ-ქმრის შინაურული ლაპარაკის მოსმენა არ სურდა.

- ზამთრის ღამეში იატაკზე დაწოლა თუ მოუხდა კაცს, ერთი ტყაპუჭი ქვეშ უნდა დაიგოს, მეორე კიდევ ზევიდან დაიხუროს. ჩვენ კი მხოლოდ ერთი გვაქვს, ასე რომ, ისევ იმ ხალხს უნდა მივაკითხო ამაღამ სოფელში, ვისთანაც ბინა მქონდა ნაქირავები შარშან ზაფხულს. გამათევინებენ ერთ ღამეს. აბა, ჰკითხე ფრუ სუნდლერს, ასე თუ არ აჯობებს, განა მაგან არ მოგვიწყო ყველაფერი საუკეთესოდ?

ცოლიცა და ქმარიც ფრუ სუნდლერს მიუბრუნდნენ, თითქოს რჩევას ელოდნენ მისგან. ის კი ჩუმად იჯდა და აშკარად ეტყობოდა, ჩარევას არ აპირებდა.

ანა სვერდმა ხელი გაუწოდა ქმარს.

- აბა, ჯერჯერობით! - უთხრა მან.

კარლ-არტურს სიწითლემ გადაჰკრა სახეზე და საკმაოდ მწყრალად შეხედა ფრუ სუნდლერს.

- არა, ეს მეტისმეტია, - თქვა მან, - თეა, ეგებ მოგვეშველო და რაიმე მოიფიქრო? განა არ აჯობებს, მე დივანზე დავწვე ჩემს ოთახში? სხვა დროსაც ბევრჯერ ვწოლილვარ მაგ დივანზე წინამძღვართან სტუმრად ყოფნისას, ანა კი საწოლზე დაწვეს, როგორღაც უნდა შევეგუოთ მდგომარეობას. დივანი, რომელიც მისთვის გიშოვია, მართლაც რომ ყოვლად გამოუსადეგარია. ახლავე გადავიტანოთ ქვეშაგები.

ასეთი მკვახე ტირადით რომ მიმართა კარლ-არტურმა, ფრუ სუნდლერი სკამზე აწრიალდა, მაგრამ მაინც არ დასცდენია სიტყვა.

სამაგიეროდ, ანამ არ დააყოვნა პასუხის გაცემა.

- ეს კიდევ რა მოიგონე! - გაიმეორა მან, - ძვირფას აბრეშუმში ჩავწვე? სამზარეულოში რომ დივანი დგას, იმაზე ლეიბიც არ აგია, ზეწარი პირდაპირ თივაზეა გადაფარებული, ნუთუ იმის გამოთრევას აპირებ შენს ოთახში, რომელიც ასე მოგირთო და მოგიკაზმა ფრუ სუნდლერმა? არა, ჩემი წასვლა სჯობს.

ანამ კიდევ ერთხელ გაუწოდა ხელი გამოსამშვიდობებლად ქმარს, გულმოკლულმა კარლ-არტურმა მოიცილა მისი გამოწვდილი ხელი, ისე იყო დაბნეული, ცოლს გულწრფელად შეებრალა.

- დიდად მადლობელი ვარ, ნება რომ დამრთე, შენს ოთახში დამეძინა, - უთხრა მან დაყვავებით, - მაგრამ შენც იცი, ასე არ გამოვა ეს საქმე. თურმე მედსტუბიუნშიც და ფუნდუკებშიც შემეძლო შენთან ერთად ერთ ოთახში ძილი. აქ კი, კორსჩურკაში ყველამ იცის, რომ შენი ღირსი არა ვარ. აქ მე შინამოსამსახურესავით სამზარეულოში უნდა მეძინოს.

- კმარა, ანა! - წამოიძახა კარლ-არტურმა და კიდევ ერთხელ გაჰკრა ხელი მის გამოწვდილ ხელს. სხვა ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა. ანას ძალიან უნდოდა გაეგო, ბოლოს და ბოლოს, გაუშვებდა თუ არა სხვაგან ღამის გასათევად, მაგრამ საქმის ასე გამწვავებას შეუშინდა. ახლა კი, რაკი იცოდა, რომ უპირატესობა ხელთ ჰქონდა, გულს აღარ აკლდა, პირიქით, ძლივს იკავებდა სიცილს.

ანა ფრუ სუნდლერთან მივიდა.

- მოდი და ნუ გაგიკვირდება: მე მივდივარ, შენ კი რჩები, ასეთ დიდ სოფელში ხალხს რა გამოეპარება. გეყოფა მატრაბაზობა.

- რაზე ლაპარაკობთ, ფრუ ეკენსტედ? - ჰკითხა მან.

- ბიძაჩემმა კი მითხრა, თქვენთან სამხრეთში მატრაბაზი ხალხია და იმათ გამასხარავებაც თავის გუნებაზე იციანო, მაგ-

რამ არ მეგონა, ასე მალე თუ გავხდებოდი ამის მოწმე, - მიუგო ანამ, - აი, დგახარ და გვისმენ, როგორ ვჩხუბობთ ცოლ-ქმარი იმაზე, რომ დასაძინებელი ადგილი ვერ მოგვინახავს. მშვენივრად კი იცი, რომ ამ სახლში არის კიდევ ერთი საწოლი, მიჩიგდანით, ბალიშებით, ბუმბულის საბან-ლეიბით, თანაც ისეთი, უკეთესს ვერც ინატრებს კაცი.

კარლ-არტურმა გაკვირვებისგან თვალები დაჭყიტა და ფრუ სუნდლერს მიუბრუნდა განმარტების მოლოდინში. თეამ ახლაც იპოვა გამოსავალი:

- პირდაპირ არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. წუხელ მოიტანეს ეგ საწოლი, პასტორმა გამოგიგზავნა საჩუქრად. მე მეგონა, პასტორის ცოლი თვითონ ინდომებდა მის მორთმევას და ამიტომ ჩავკეტე საკუჭნაოში, მაგრამ რადგან ფრუ ეკენსტედმა უკვე ნახა...

ანა სვერდს შუაღამისას გამოეღვიძა და ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი დაავიწყდა. მართლაც ასე იყო: ახლაღა მოაგონდა, რომ არც მას და არც მის ქმარს აღარ გახსენებიათ, ღმერთისთვის მათი ფუძე-კარის დალოცვა ეთხოვათ.

„შეგვინდოს უფალმა, - გაიფიქრა მან, - სულ იმ ფრუ სუნდლერის ბრალია“, მეორე გვერდზე გადაბრუნდა და ისევ ძილს მისცა თავი.

პასტორის ცოლის დილა

მეორე დილით, ინათა თუ არა, ანა სვერდს გაეღვიძა, მაგრამ მაშინვე არ ამდგარა, ერთხანს იწვა და თავის თავს ესაუბრებოდა:

- ერთი ამას დამიხედეთ, აქაოდა, პასტორის ცოლი გავხდიო, წევს და ელოდება, როდის მოართმევს მორთულ-მოკაზმული მოახლე ყავასა და ახალ ფუნთუშას, - ჩაიბურტყუნა და გაეცინა. დილას რომ შეჰფერის, ისეთ შესანიშნავ გუნებაზე იყო.

ცოტა ხანს კიდევ იწვა, რამდენჯერმე წამოიწია და კარს შეხედა.

- სამზარეულოში ჩამიჩუმი არ ისმის, არადა, უკვე ექვსი საათია. მეტი რა ჩარაა, ალბათ, მე თვითონ უნდა ავდგე და მივხედო საქმეს.

ქმარს ჯერ კიდევ ეძინა, ცოლმა ჩუმად ჩაიცვა, რომ მძინარე არ გაეღვიძებინა. წინდების ამარამ გაიარა დერეფანი, სამზარეულოში შევიდა და მხოლოდ იქ ჩაიცვა ფეხსაცმელი.

ირგვლივ მიმოიხედა და გაკვირვებისგან თვალები გაუფართოვდა.

- რამდენი რამ მინახავს ჩემს ცხოვრებაში - კარგიცა და ცუდიც, - თქვა მან, - მაგრამ ასეთს არაფერს მოვსწრებივარ. არც მოახლე ამდგარა, არც მზარეული ქალი. არადა, პირველი დილაა და დღეს მაინც უნდა გამოედოთ თავი. ეტყობა, ძალიან ზარმაცები არიან, არც დაჩეხილი შეშა შემოუტანიათ სამზარეულოში, არც წყალი. ღუმელშიც ცეცხლი ჩამქრალა, არც ამას მოვუწონებ. ხვალინდელი დღე არ გამითენდეს, თუ ფრუ სუნდლერის დაქირავებული არ იყვნენ ეს მსახურები; ჩემს ჩამოს-

ვლამდე ხომ ის ტრიალებდა ამ სახლში, ჰოდა, მისგან რა ხეირს უნდა მოელოდეს კაცი.

კიდევ დიდხანს ბუზღუნებდა ასე, მერე, თითქოს გონება გაუნათდაო, ერთბაშად შუბლში იტკიცა ხელი.

- რამ გამომაჩერჩეტა ასე! მისატყეპი ვარ და ეს არის! - წამოიძახა მან, - აქამდე როგორ ვერ მივხვდი, ალბათ, ბოსელში ძროხებს წველიან.

დერეფანი გაიარა, კარის წინ დაწყობილ მორყეულ ქვებზე შედგა და ირგვლივ მიმოიხედა.

- ოჰო, ოჰო! - თქვა და თვალი მოავლო დაბალ წნულ ღობეს, შეშის ფარდულს, სარდაფსა და ჭას. ეზოში მეტი არაფერი იყო.

„ნეტავ ვიცოდე, რას იტყვის პასტორის ახალშერთული ცოლი, როცა ამდენ ნაგებობას დაინახავს? ამდენი ძროხის ყიდვას ნეტავ როგორ აუვლენ პასტორი და მისი ცოლი, რა გაავსებს ამოდენა ბოსელს!“

ეზოში გაიარ-გამოიარა, მერე ისევ გაჩერდა და თვალები მოიფშვნიტა.

- წადი და გაიგე, სადაა ამათი საფარეშო, - ჩაიბურტყუნა თავისთვის, - შეშის ჩასალაგებელ ყუთში ერთი ნაფოტიც არ გდია. მოჯამაგირე, ალბათ, საჯინიბოშია და ცხენებს უვლის. რა თქმა უნდა, ასე იქნება. კიდევ კარგი, ანა სვერდი ჩამოვიდა აქ, თორემ პასტორის ახალშერთული ცოლი მთლად დაიბნეოდა.

ფარდულში შევიდა, ნამორიდან ცული ამოაძრო და შეშის ჩეხა დაიწყო. ისე მარჯვედ მუშაობდა, ეტყობოდა, გამოცდილი იყო ამ საქმეში. ბოლოს მაინც გაუჭირდა, ცული ისე გაეჭედა კუნძში, დიდხანს ეჯაჯგურა, სანამ ამოაძრობდა.

ამ კუნძს რომ ეჭიდავებოდა, ფარდულთან ფეხის ხმა გაისმა და ღია კარს ერთი აწოწილი ბიჭი მოადგა.

„რას მოეხეტა აქ? - გაიფიქრა ანამ, - ახლა მთელი სოფლის სალაპარაკო გახდება, რომ პასტორის ახალშერთული ცოლი იძულებულია, თვითონ ჩეხოს შეშა. აბა, ამ ბიჭს როგორ შევასმენინებ, რომ პასტორის ცოლი კი არ ჩეხს შეშას, არამედ ანა სვერდი“.

როცა რის ვაი-ვაგლახით მაინც ამოაძრო კუნძში გაჭედილი ცული და ხელახლა მოიქნია, ბიჭი ფარდულში შემოვიდა.

- მომეცით, მე დაგიჩეხთ, - უთხრა მან.

ანამ ისარივით სტყორცნა მზერა და ხელად შეამჩნია, რომ ბიჭი გამხდარი იყო, სახეზე ბაიისფერი ედო, თავი გააქნია.

- კიდევ რა გინდა? - მიუგო ანამ, - ბიჭო, შენ, ალბათ, ათი წლისაც არ იქნები.

- თოთხმეტისა ვარ, - უთხრა ბიჭმა, - უკვე რამდენი წელიწადია, რაც შეშას ვჩეხ! ამ დილით ჩვენთანაც დავჩეხე.

ბიჭმა იქვე, მეზობლად მდგარ სახლზე მიუთითა. საკვამლე მილიდან სვეტად ამოდიოდა ბოლი.

დიდად მაცდუნებელი წინადადება იყო, მაგრამ ანამ, როგორც ყოველთვის, ახლაც წინდახედულობა გამოიჩინა.

- მერე ქირასაც მომთხოვ, არა?

- კი, - მიუგო ბიჭმა, გაიღიმა და კბილები გამოაჩინა, - კარგ ქირას მოგთხოვ, წინასწარ კი არ გეტყვი რანაირს.

- რადგან ეგრეა, თვითონ დავჩეხ!

და ისევ მარჯვედ განაგრძო ჩეხა, მაგრამ მალე გაუჭირდა, რადგან ცული მეორედაც გაეჭედა კუნძში.

- მე ხომ ფულს არ გთხოვ, - უთხრა ბიჭმა.

ანამ კიდევ ერთხელ აათვალიერ-ჩაათვალიერა იგი, ბიჭს ტუჩები მაგრად მოეკუმა, პატარა თვალები მოეჭუტა, უდროოდ დაბერებული ეშმაკუნა, მაგრამ არა გულბოროტი კაცი გეგონებოდათ. ანაზდად ანა მიხვდა, რომ იგი ერთი იმ ათთაგანი იყო,

რომლებიც მისმა ქმარმა სამეურვეოდ აიყვანა. „უცხო ხომ არ არის, ჩვენიანი ეთქმის, - გაიფიქრა მან, - ქირაზე მოვრიგდებით“.

- მოდი, აბა, და ჩეხე, - უთხრა მან, - მერე კი შემოდი ჩემთან და კარაქიან პურს გაჭმევ.

- მადლობელი ვარ, - უთხრა ბიჭმა, - საჭმელი სამყოფი გვაქვს, ვერც კი ვერევით.

- ერთი ამას დამიხედეთ! აბა, ეგეთ ყოჩაღ ბიჭს რა საფასური უნდა დაგითქვა?

ბიჭს უკვე ხელში ეჭირა ცული და ახლა დასამალი არაფერი სჭირდა.

- ფუთა თანა გაქვთ? მოდით ჩვენთან და ჩემს და-ძმებს უჩვენეთ, რა გიწყვიათ შიგ.

- შენ რა, ჭკუიდან ხომ არ შეიშალე! ნუთუ გგონია, რომ პასტორის ცოლი ზურგზე მოკიდებული ფუთით ივლის სადმე?

ამ დროს ანამ ზურგს უკან ნაბიჯების ხმა გაიგონა. ახლა კიდევ გოგონა შემოვიდა ფარდულში. მასაც ჩაყვითლებული და მჭმუნვარე სახე ჰქონდა. ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ და--ძმა იყვნენ. გოგონა ძმას ამოუდგა გვერდით.

- რაო, რა გითხრა? ფუთაში ჩაგვახედებს?

ბავშვებს აშკარად პირი ჰქონდათ შეკრული, ღატაკი მატს--ტორპარის ქოხში ერთხელაც არ იყო ნამყოფი მოვაჭრე ქალი, ამიტომაც ბავშვებს სული მისდიოდათ ისეთი უცხო სანახავის ხილვაზე, რასაც ანა სხვა სახლებში აჩვენებდა მუშტრებს.

- ასე ამბობს, რადგან პასტორს გავყევი ცოლად, ზურგზე მოკიდებული ფუთით ჩემი სიარული აღარ შეიძლებაო.

გოგონა სატირლად გაემზადა.

- წყალს მოგიტანთ ხოლმე, რძესაც მოგიტანთ, - შეევედრა იგი ანას, - ღუმელს აგინთებთ.

ანა სვერდი ჩაფიქრდა - ფუთა კი ჩამოიტანა თან, მაგრამ შიგ მხოლოდ თავისი ტანსაცმელი ეწყო. რაღაც უნდა მოეფიქრებინა, გულს ვერ დასწყვეტდა ბავშვებს, ასე თუ ისე, მაინც მეზობლები იყვნენ.

- კარგი, ეგრე იყოს, - უთხრა ანამ, - მართალია, პასტორის ცოლს არ შეჰფერის ფუთით კარდაკარ სიარული, მაგრამ რადგან შეშას დაჩეხთ და სამზარეულოშიც შემოიტანთ, ცეცხლსაც მოიტანთ სახლიდან, რამეს ვიღონებ, რომ ანა სვერდი ფუთით გეწვიოთ.

და მართლაც, დილის თერთმეტ საათზე მატს-ტორპარის სახლს მიადგა ახალგაზრდა, ლამაზი დალეკარლიელი გლეხის ქალი, რომელსაც შავი ტყავის დიდი ფუთა ჰქონდა ზურგზე მოკიდებული, კართან გაჩერდა, სალამი თქვა და იკითხა, ხომ არ ინებებთ ჩემგან რაიმეს ყიდვასო.

თვალის დახამხამებაში ათივე ბავშვი გარს შემოერტყა ანას. ორმა უფროსმა მაშინვე იცნო იგი, სიხარულისგან ხტუნვა დაიწყეს და თან უმცროსებს უხსნიდნენ, ვინ იყო. ბავშვების ზედამხედველი შინაბერა ფანჯარასთან სკამზე იჯდა და მატყლს ართავდა. ანა რომ შემოვიდა, თავი ასწია, შეხედა და უთხრა, აქ მხოლოდ ღარიბი ბავშვები ცხოვრობენ და არაფრის საყიდელი ფული მათ არ გააჩნიათო, მაგრამ ფუთიანმა ქალმა თვალი ჩაუკრა და ისიც გაჩუმდა.

- ამ ბავშვებმა თვითონ მთხოვეს მათთან მოსვლა. ასე თქვეს, უამრავი ფული გვაქვს, შეგვიძლია ახალთახალ ტანსაცმელში გამოვეწყოთო, - უთხრა დალეკარლიელმა.

მაგიდასთან მივიდა, ზურგით შებრუნდა, ფუთა მაგიდაზე ჩამოდო და თასმები ჩამოიხსნა მხრებიდან, მერე ძიძასთან მივიდა და ხელი მოჰკიდა ხელზე.

- ნუთუ ანა სვერდი ვერ იცანით? შარშან ზაფხულში სავარცხელი და სათითე იყიდეთ ჩემგან, დაგავიწყდათ?

დედაბერი წამოდგა, თვალები დააფახულა და ისე მდაბლად დაუკრა თავი, თითქოს თვით პასტორის ცოლს, რეგინა ფორსიუსს ესალმებაო.

ანა ფუთასთან მივიდა და თასმებისა და ზონრების გახსნა დაიწყო. ბავშვები გარს შემოეხვივნენ, სული განაბეს, მაგრამ საშინელი იმედგაცრუება მოელოდათ - ფუთა საქონლით კი არა, ნამჯით იყო სავსე.

საბრალო ქალმა ხელები გაასავსავა. ყველაზე მეტად ახლა ის იყო განცვიფრებული, მოთქვამდა, მაგრამ რას მოთქვამდა. წუხანდელს აქეთ არც გამიხსნია ჩემი ფუთა და ეტყობა, ვიღაცამ ღამით მოიპარა, რაც კი ლამაზი აბრეშუმის თავსაფრები, ღილები, ბაფთები და ჩანთები მქონდა, ტომარა კი ნამჯით გამოტენაო, ალბათ, ამიტომაც მომეჩვენა ასე მსუბუქი, დილით ზურგზე როცა მოვიკიდეო. აბა, ასეთ რამეს ვინ იფიქრებდა. არადა, ის ხალხი, ვისთანაც ბინა ჰქონდა დაქირავებული, თითქოს პატიოსნად მეჩვენაო.

გაწბილებული და დამწუხრებული ბავშვები სიბრალულით შესცქეროდნენ, ქალი კი გოდებდა და გოდებდა. ისეთი ბოროტი როგორ უნდა იყოს ადამიანი, რომ საუკეთესო საქონელი მოიპაროს და ეს საძაგელი ნამჯა ჩაუტენოს ფუთაშიო!

ნამჯაში ხელი ჩაყო, მუჭა-მუჭა იღებდა და იატაკზე ყრიდა, ეგებ რამე ჩარჩა შიგო.

და მართლაც, ერთი აბრეშუმის თავსაფარი იპოვა, ერთიც შალის ყელსახვევი და ერთიც კიდევ ზარდახშა, რომელშიც დუჟინი ფერადშუშიანი ქინძისთავი ეყარა.

ძალიან გული დასწყდა, მეტი რომ ვერაფერი იპოვა. მერე ის უთხრა ბავშვებს, რაკი ყველაფერი სხვა დაიკარგა, აღარც ესე-

ნია დასანანი. თუ უფროს გოგონას აბრეშუმის თავსაფარი უნდა, აიღოს და ღმერთმა მოახმაროს, ბიჭუნას კი ყელსახვევი გამოადგებაო. უმცროსებს ქინძისთავები ჩამოურიგა, დედაბერს კი ზარდახშა მიართვა, რომელშიც ქინძისთავები ეწყო, მე მაინც არაფერში გამომადგებაო.

უჰ, რა სიხარული დატრიალდა სახლში!

მოჩვენება ეკლესიაში

ანა სვერდი ძველებური მწყემსური სიმღერის ღიღინით შევიდა სამზარეულოში, მაგრამ უცებ დადუმდა. სანამ იგი მეზობლებთან იყო, ფრუ სუნდლერი სწვეოდა. სტუმარი ვიწრო დივანზე იჯდა და მის დაბრუნებას ელოდა.

ანას მისი ნახვა გაუხარდაო, რომ ითქვას, მეტისმეტი იქნება, მაგრამ ამის მიზეზი გახლდათ არა ის პატარა წაკინკლავება, წინა საღამოს რომ მოუვიდა, არამედ, ის, რომ პასტორის ახალგაზრდა ცოლს იმ დღეს თავზე საყრელი საქმე ჰქონდა. ეს-ესაა მისი ტანსაცმლით, სართავი ჯარითა და საქსოვი ჩარჩოებით, აგრეთვე, მედსტუბიუნელი მეზობლებისა და მეგობრებისგან გამოგზავნილი მცირეოდენი საქორწილო საჩუქრებით დატვირთული საზიდარი მოადგა კარს. ამ ბარგს გახსნა, დანაწილება და თავ-თავისი ადგილის მიჩენა ხომ უნდოდა.

თანაც ქმარი შინ არ იყო, მისთვის რომ ეთხოვა სტუმრის შექცევა. კარლ-არტური ნასაუზმევს პასტორის კარ-მიდამოში წასულიყო, ამ ხნის განმავლობაში უამრავი საქმე დაჰგროვებოდა და ორ საათზე ვერ დავბრუნდებიო, დაუბარა.

ძნელი სათქმელია, რატომ მოხდა, რომ, როგორც კი ფრუ სუნდლერი დაინახა, ანა ერთბაშად უხეში, გაუთლელი გახდა ლაპარაკშიც და ქცევაშიც. ყველაფერი, რაც ამ ოთხ თვეში ისწავლა ლენსმანის ოჯახში, არადა, საკმაოდ ბევრი რამ შეისწავლა, უცებ დაავიწყდა.

იქნებ გუმანით გრძნობდა, რომ თავაზიანი მოქცევა ამჯერად არ გამოადგებოდა. სულ ადვილი საფიქრალია, რომ განგებ,

თავშესაქცევად აკეთებდა ამას, რათა სტუმარს ეფიქრა, ინჩიბინ-ჩი არაფრისა გაეგება, ისეთი გამოუცდელი და შტერი ყოფილაო.

ფრუ სუნდლერი სიხარულით შეეგება: ამ დილით, შინ რომ ვიჯექი, უცებ გავიფიქრე, ფრუ ეკენსტედს უამრავი საქმე ექნება ახალ სახლში და გაუჭირდება ქმრისთვის სადილის დამზადება-- მეთქი. ორგანისტის ოჯახს კი სიხარულს, უდიდეს სიხარულს მოჰგვრიდა, თუ კარლ-არტური სადილად ეწვეოდა მათ... საერთოდ მას უბოდიშოდ შეუძლია ყოველდღე მათთან ისადილოს, სანამ მის სახლში ყველაფერი არ დალაგდება და ფრუ ეკენსტედი სურსათ-სანოვაგეს არ მოიმარაგებს გლეხებისგან. ჰო, ამ გახსენებაზე, იგი უდიდესი სიამოვნებით მოეხმარება ამ საქმეში ფრუ ეკენსტედს. იქნებ ფრუ ეკენსტედი დაეთანხმება, რომ კარლ-არტურმა დღესვე ისადილოს მათთან?

სანამ ფრუ სუნდლერი ამ ტირადას წარმოთქვამდა, ანა სვერდი ტილოში შეფუთული რაღაც ნივთის გახსნას შეუდგა. ეს იყო რის კარინის მიერ გამოგზავნილი საქორწილო საჩუქარი, მაგრამ შეკრული კვანძი რომ შეხვდა, არც აცივა, არც აცხელა, კბილებით გახსნა. ამის დანახვაზე ფრუ სუნდლერს ტანში გააჟრჟოლა, მაგრამ თავი შეიკავა და არაფერი უთქვამს.

- ეს იქნება მხოლოდ პირველ ხანებში, სანამ თქვენ საბოლოოდ არ მოწყობილხართ ოჯახში, - მაშინვე დასძინა მან.

პასტორის ახალშერთულმა ცოლმა ფრუ სუნდლერს შეხედა, ტილო განზე გადადო, წინ აესვეტა, ფეხები გალაჯა, დოინჯი შემოიყარა და მიუგო:

- კეთილი, ვეტყვი, რომ ელოდები.

ფრუ სუნდლერმა მაშინვე დიდი სიხარული გამოთქვა, რაკი მისი კეთილი სურვილი სწორად გაიგო ფრუ ეკენსტედმა. ანა სვერდი ისევ იმ პოზაში იდგა მის წინ და განაგრძობდა:

- იმასაც ვეტყვი, რადგან ჩემი მომზადებული კერძები ეუგემურება, ალბათ, აჯობებს ისევ ფუთა მოვიკიდო ზურგზე და ჩემს გზას ვეწიო, თუ თავი არ მომბეზრებია.

ფრუ სუნდლერმა ისე გამოიშვირა წინ ხელები, თითქოს თავდასაცავად ემზადებაო. იქნებ შეეშინდა კიდეც, სილა არ გამაწნას ანამო.

- ბატონებს, ალბათ, არ სიამოვნებთ, სიმართლეს პირში რომ მიახლი, - უთხრა ანა სვერდმა.

მაგრამ ფრუ სუნდლერის შიში უსაფუძვლო გამოდგა, იგი მაშინვე დამშვიდდა და ბოდიშსა და თავის მართლებას მოჰყვა.

- რას ბრძანებთ, რას ბრძანებთ, ძვირფასო ფრუ ეკენსტედ! თქვენი დამზადებული საჭმელი ძალიან მოსწონს კარლ--არტურს. მე ხომ კეთილი გულით შემოგთავაზეთ, მაგრამ, მოდი, ნუღარ ვილაპარაკებთ ამაზე.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. ანამ ტილოს ზომვა დაიწყო, მაგრამ არშინით კი არა, მარცხენა მკლავით. აშკარად აგრძნობინებდა ფრუ სუნდლერს, შენთვის არ მცალიაო.

- იცით რა, ძვირფასო ფრუ ეკენსტედ, - შემპარავად დაიწყო ფრუ სუნდლერმა, - ვფიქრობდი, ჩვენ კეთილი მეგობრები გავხდებოდით. მე ძალიან მინდა ასე იყოს, მაგრამ ვგრძნობ, თქვენ ფიქრობთ, თითქოს დარწმუნებული ვიყო, რომ მე უფრო მაღალი წრის წარმომადგენელი ვარ ხალხის თვალში. ცდებით. ჩემი მშობლები ძალიან ღარიბები იყვნენ. დედაჩემი დილიდან საღამომდე ერთთავად შრომობდა და მეც, ალბათ, მოახლედ ყოფნა მომიწევდა, ჰედებიუელი ბარონი ლიოვენშოლდი რომ არა. მისი წყალობით ცოტ-ცოტა რამ ვისწავლე და აღმზრდელად დავიწყე მუშაობა. დედაჩემი თხუთმეტი წელიწადი ეკონომად იყო მის მშობლებთან და ერთხელ დიდი სამსახურიც გაუწია. მან კიდევ ჩემზე გაწეული ამაგით დაუფასა ეს. კარლ-არტური ჩემი კე-

თილისმსურველი ბარონის ძმისწულია. დედა მუდამ მეუბნებოდა, ლიოვენშოლდების პატივისმცემელი იყავიო, ხოლო კარლ-არტური და მისი ცოლი ჩემთვის ერთია.

- ოცდაშვიდი, ოცდარვა, ოცდაცხრა, ოცდაათი! - ბუტბუტებდა ანა.

ამ დროს ანამ თვლა შეწყვიტა, რათა ფრუ სუნდლერს შეჰპასუხებოდა:

- მე და ჩემი ქმარი შენთვის ერთი რომ ვიყოთ, მაშინ ხომ მეც დამპატიჟებდი სადილად.

ფრუ სუნდლერმა ისე აღაპყრო თვალები ზევით, თითქოს ზენაარს შეეძლო დაედასტურებინა მისი სათნოება და სისპეტაკე.

- ოჰ, როგორ მიჭირს თქვენთან ლაპარაკი, ფრუ ეკენსტედ, - ვითომ ხუმრობით დაიჩივლა მან, - ჩემი ნათქვამი სხვანაირად გესმით. მერწმუნეთ, ფრუ ეკენსტედ, გულში არ მქონია თქვენი წყენა, მაგრამ უხეიროდ კი გამომივიდა. საქმე ისაა, რომ დღეს შაბათია და ძალიან უბრალო სადილი გვაქვს: მოშუშული სტაფილო, ქაშაყი და ლუდის შეჭამანდი. კარლ-არტური ამ მცირედზე არ დაგვემდურება. იგი ჩვენს ოჯახში შინაური კაცია - როცა უნდა, მოვა, როცა უნდა, წავა. მაგრამ როგორ შემიძლია ასეთი ღარიბული სადილით გავუმასპინძლდე მის ცოლს, მით უმეტეს, თუ იგი პირველად იქნება ჩვენთან.

ფრუ სუნდლერი შეშინებული, მავედრებელი თვალებით შესცქეროდა და ანამ გაიფიქრა, რა გველივით სრიალაა, რამდენიც უნდა ეცადო, ვერ დაიჭერ, ხელიდან გაგისხლტებაო.

- გულახდილად რომ ვთქვა, მიჭირს ამაზე ლაპარაკი, - ამოიხვნეშა ფრუ სუნდლერმა, - მაგრამ არ გაწყენთ ზოგიერთი რამის ცოდნა. სანამ სიმართლეს არ გაიგებთ, ჩემსა და თქვენ შორის კეთილი ურთიერთობა ვერ დამყარდება. ამავე დროს საშინლად არ მესიამოვნება ამ ამბის მოყოლა. რა კარგი იქნებო-

და, თვითონ კარლ-არტურს ეთქვა თქვენთვის, მაგრამ, ეტყობა, არ გააკეთა ეს.

ანა სვერდმა ერთხელ უკვე გადაზომა ტილო და ახლა ხელ-მეორედ დაიწყო ზომვა. ხელი შეუშალეს და დარწმუნებული არ იყო, სწორად დათვალა თუ არა. ფრუ სუნდლერს პასუხს არ აძ-ლევდა, კიდევ არ ამერიოს თვლაო, მაგრამ სტუმარი ამას აინუნ-შიც არ აგდებდა.

- ფრუ ეკენსტედ, ალბათ, არც კი მოგწონთ, ასე რომ ვერევი თქვენს საქმეებში, მაგრამ სხვაგვარად არ შემიძლია მოქცევა, რადგან ჩემს მოვალეობად მიმაჩნია ეს. ეჰ, კარგი იქნებოდა, ფრუ ეკენსტედი ნდობით ყოფილიყო ჩემდამი განწყობილი. არ ვიცი, გიამბოთ თუ არა კარლ-არტურმა დედაჩემის შესახებ, გითხრათ თუ არა, რა ნაზი სიყვარულით უყვარდათ ადრე ერ-თმანეთი. მაგრამ ის იცით, ალბათ, რომ ფრუ ეკენსტედი თქვენი ქორწინების წინააღმდეგი იყო. შობორგის ტაძრის წინამძღვრის ცოლი რომ დაასაფლავეს, იმ დღეს ფრიად უსიამოვნო საუბარი ჰქონდა დედა-შვილს სწორედ ამის თაობაზე. კარლ-არტური, ვგონებ, ზედმეტად გაცხარდა, დედამისი მაშინ ძალიან სუსტად იყო და მერე სისხლი ჩაექცა. ამ უბედურების მიზეზად კარლ--არტურს თავისი თავი მიაჩნია. მე მგონია, ისიც კი მოიწადინა, რომ ცოლქმრობის პირობა დაერღვია და ამით მოეგო დედამი-სის გული, მაგრამ მერე მიხვდა, რომ ეს უშედეგო იქნებოდა, ჩვენი საყვარელი დეიდა ეკენსტედი ახლა გაცილებით უკეთაა, თუმცა, მეხსიერება სულ დაკარგა. კარლ-არტურს რაც უნდა გაეკეთებინა მის დასამშვიდებლად, ყველაფერი ფუჭად ჩაუვლი-და. რაც მოხდა, მოხდა. გვიანღაა თითზე კბენანი.

ამ წუთიდან მოყოლებული, როცა ფრუ სუნდლერმა უთხრა ანას, პოლკოვნიკ ეკენსტედის ცოლს კარლ-არტურის მიზეზით ჩაექცა სისხლიო, სამდურავს ვეღარ იტყოდა, უგულოდ მისმენ-

სო მასპინძელი. ქსოვილის ფუთა იატაკზე რომ დაუვარდა, აღარც აუღია ანას, ფრუ სუნდლერს წინ დაუჯდა და სახეში მიაჩერდა.

- აი, სწორედ ამის მეშინოდა, - უთხრა ფრუ სუნდლერმა, - თქვენ არ იცით, ფრუ ეკენსტედ, როგორი ჯავრი აქვს გულზე კარლ-არტურს. რა თქმა უნდა, ალბათ, ყოველნაირად ცდილობს გაგიფრთხილდეთ და ამიტომ მეც არაფერი არ უნდა მეთქვა ამის შესახებ. ორიოდ წუთის წინ ბედნიერებით ხარობდით. იქნებ მართლა არ უნდა გცოდნოდათ ეს ამბავი.

ანა სვერდმა თავი გადააქნია.

- რადგან ეგრე დამაფეთე, ბარემ ერთბაშად გადმოალაგე ყველა ჭირი და უბედურება.

ფრუ სუნდლერი გულზე სკდებოდა, ანა შენობით რომ ელაპარაკებოდა, ბოლოს და ბოლოს, პასტორის ცოლი იყო და თუმცა, მის სამშობლო მხარეში ასეთი ურიდი ლაპარაკი საძრახად არ მიაჩნდათ, აქ ხომ მაინც უნდა გადასჩვეოდა. კარლ-არტურს უნდა ეთქვა მისთვის, რომ ეს უზრდელობაა, მაგრამ ახლა ამაზე ფიქრის დრო არ იყო.

- არც კი ვიცი, რით დავიწყო? ჰო, ჯერ ის უნდა გითხრათ, რომ ერთხელ, კვირადღეს, ეს იყო სექტემბერში, ერთი თვის შემდეგ, რაც ის უბედურება მოხდა, კარლ-არტურმა დედამისი ეკლესიაში დაინახა. პატრონიკეს ქვეშ მერხზე იჯდა და თუმცა იქ ბნელა, მაინც იცნო. პოლკოვნიკის ცოლს, როგორც ყოველთვის, კაპორი ეხურა, რომლის ბაფთებს ჩვეულებრივ ნიკაპქვეშ იკრავდა ხოლმე, მაგრამ ახლა, კარლ-არტურისთვის უკეთ რომ ესმინა, ბაფთები გაეხსნა და განზე გადაეწია. ასეთი ხშირად უნახავს დედა კარლსტადის ეკლესიაში და ამიტომ ეჭვიც არ შეჰპარვია, რომ იქ სწორედ ის იჯდა, ბეატა ეკენსტედი უკან გადახრილიყო, უფრო უკეთ რომ ეცქირა შვილისთვის, თავი ოდნავ

გვერდზე მიებრუნებინა. კარლ-არტურს ისიც კი მოეჩვენა, თითქოს ახლაც ისეთივე სიხარულითა და მოლოდინით შესცქეროდა, როგორითაც საერთოდ ყოველი მისი ქადაგებისას. ძალიან კი გაუკვირდა, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ როგორ შეძლო ამოდენა გზის გამოვლაო, მაგრამ მტკიცედ სჯეროდა, რომ სწორედ დედამისი იყო და არა სხვა ვინმე. და აბა, თუ დაიჯერებთ, ფრუ ეკენსტედ, რომ ისე გაუხარდა, თავს ძალა დაატანა და მაინც განაგრძო ქადაგება. „დედაჩემი მომჯობინებულა, - ფიქრობდა კარლ-არტური, - იმიტომ ჩამოვიდა, რომ იცის ჩემი წუხილი, ამიერიდან კვლავ ყველაფერი კარგად იქნება“. თავის თავს უთხრა, დღეს გაცილებით უკეთ უნდა ვიქადაგოო. თუმცა, სულაც არ არის გასაკვირი, რომ ეს არ გამოუვიდა. დედისკენ გახედვას ვერ ბედავდა, ეშინოდა, არ დავიბნეო და ვინაიდან სულ იმაზე ფიქრობდა, რომ დედამისი ეკლესიაში იყო და უსმენდა, უხეიროდ იქადაგა და თანაც ძალიან ცოტა ილაპარაკა. სათქმელი დაამთავრა თუ არა, კათედრიდან ჩამოვიდა და დედამისისკენ გაიხედა, მაგრამ იგი იმ მერხზე აღარ იჯდა. ამას სულაც არ შეუშფოთებია, რადგან იფიქრა, ალბათ, ქადაგებამ დაღალა და გარეთ გავიდა, რათა ეკლესიის მახლობლად გორაკზე დამელოდოსო. მაპატიეთ, ფრუ ეკენსტედ, ეგრე დაწვრილებით რომ გიამბობთ ამ ამბავს, მაგრამ მინდა იცოდეთ, როგორ სჯეროდა კარლ-არტურს, რომ მართლაც დედამისი დაინახა. იმდენად იყო დარწმუნებული, გარეთაც რომ ვერ ნახა, ხალხს მაინც ჰკითხა, რა იქნა პოლკოვნიკის ცოლიო; და თუმცა უთხრეს, თვალიც არ მოგვიკრავსო, არც ამას დაუჯერა და ახლა ის იფიქრა, ცხადია, ლოდინმა დაღალა და პასტორის კარ-მიდამოში წავიდაო. როცა არც იქ დახვდა, მაშინ ცოტა შეფიქრიანდა და გულში გაივლო, ალბათ, მომეჩვენაო. ამან ძალიან დააღონა, მაგრამ გაკვირვებით კი მაინც არ გაჰკვირვებია.

ანა სვერდი აქამდე უძრავად იჯდა და სახეში შესცქეროდა ფრუ სუნდლერს, უცებ სიტყვა შეაწყვეტინა:

- ნუთუ პოლკოვნიკის ცოლი მოკვდა?

ფრუ სუნდლერმა თავი გადააქნია.

- მივხვდი, რამაც გაფიქრებინათ ეს, - უთხრა მან, - მაგაზე მერე ვილაპარაკოთ. ჯერ ერთი, ის უნდა გითხრათ, რომ კარლ--არტური და პასტორის ოჯახი ახლა ძალიან მეგობრობენ, მაგრამ მუდამ ასე როდი იყო. იცით რა, ფრუ ეკენსტედ, შარშან ზაფხულს, სანამ დედამისს ეს უბედურება დაატყდებოდა თავს, კარლ-არტური საოცრად მჭევრმეტყველურად და გულში ჩამწვდომად ქადაგებდა. პირდაპირ სასწაულებს ახდენდა. მრევლი ისე აღმერთებდა, რომ მზად იყვნენ, ხელი აეღოთ ყველაფერზე, რაც კი რამ ებადათ ამ ცოდვილ მიწაზე, ოღონდ კი სასუფეველი მოეპოვებინათ ცათა შინა. მაგრამ პასტორი და მისი ცოლი ამას არ იწონებდნენ. ისინი საკმაოდ ხანდაზმულები არიან და, როგორც მოგეხსენებათ, ფრუ ეკენსტედ, მოხუცებს უნდათ, რომ ყველაფერი ძველებურად დარჩეს. დედამისის უბედურებამ კარლ-არტური ძალიან შეაშინა. საკუთარ აღმაფრენას ვეღარ ენდობოდა და რჩევისთვის პასტორს მიმართა. მართალია, ქადაგებისას ძველებურად ოქროპირობდა, მაგრამ მეტისმეტად ფრთხილობდა. ადრინდელი მგზნებარება გაუნელდა. ის უდიდესი წადილი, რომ ეხსნა მათი სულები, წარსულს ჩაჰბარდა. ბევრი გულნაკლული იყო ამის გამო, ცოლ-ქმარი ფორსიუსები კი კმაყოფილი დარჩნენ. კარლ-არტური ღვიძლი შვილივით შეიყვარეს. მე თვითონ გავიგონე, პასტორის ცოლმა თქვა, კარლ--არტური რომ არა, ვერ გადავიტანდი ფრუ შაგერსტრიომთან განშორებასო, რომელიც წლების განმავლობაში მათთან ცხოვრობდა კარ-მიდამოში, მაგრამ თავიდათავი ისაა, თვითონ კარლ-არტურს თუ არგო ამ ამბავმა. პირადად მე ძალიანაც მო-

ხარული ვარ, პასტორის ოჯახის გავლენას რომ დააღწია თავი და საკუთარ ოჯახს მოეკიდა. მერწმუნეთ, ამას პირფერობით კი არ გეუბნებით, მხოლოდ ის მინდა გაიგოთ, რა იმედს ამყარებენ თქვენზე კარლ-არტურის მეგობრები.

მართალი რომ ვთქვათ, ანა სვერდისთვის იოლი როდი იყო ყოველივე ამის გაგება. წარბები ისე შეეჭმუხნა, ეტყობოდა, რომ ძალიან ცდილობდა გონების თვალით ჩასწვდომოდა ფრუ სუნ-დლერის ნათქვამს.

- რატომ არ ამბობთ, მაინც ვინ დაინახა მან ეკლესიაში?

- დიახ, დიახ, მართალი ბრძანდებით, ფრუ ეკენსტედ, - მიუგო ფრუ სუნდლერმა, - ტყუილუბრალოდ გავაჭიანურე პასტორის ოჯახის ამბების მოყოლა. იმის ცოდნაც კმარა, რომ მათ უყვართ კარლ-არტური და ყოველივე სიკეთეს უსურვებენ. კარლ--არტურმა თავის კეთილ მეგობრებსაც კი არ გაუმხილა, დედამი-სი რომ მოეჩვენა ეკლესიაში. ამის თქმა არ უნდოდა და იცით, ფრუ ეკენსტედ, იქნებ იმიტომ, რომ მისი ფიქრით დედამისი შე-იძლება ჩვენთან, ესე იგი, ჩემთან ყოფილიყო. თითქოს უც-ნაურია ეს, მაგრამ ბეატა ეკენსტედი ისეთი ქალი გახლავთ, კაც-მა არ იცის, როდის რა მოუვა აზრად. კარლ-არტური იმავე დღეს გვეწვია და, რასაკვირველია, ვერც ჩვენთან ნახა დედამისი. უნ-და მოგახსენოთ, ფრუ ეკენსტედ, რომ მე და ჩემს ქმარს ძალიან გაგვიხარდა მისი სტუმრობა. შემოდგომით პასტორებს უამრავი საქმე აქვთ ხოლმე: ხან კარდაკარ დადიან სიების შესადგენად, ხან კიდევ გამოცდებს აწყობენ საღვთო რჯულში; ამიტომ რამდე-ნიმე კვირა იყო, არ გვენახა, მე მგონი, მასაც ესიამოვნა ჩვენთან ყოფნა. ასეა თუ ისე, მთელი დღე ჩვენთან გაატარა. ჩემი ქმარიც შინ იყო და უწყინრად შევიქციეთ თავი - ვთამაშობდით, ვმღე-როდით, ლექსებს ვკითხულობდით. მე ვფიქრობ, დიდ ცოდვას არ ჩავიდენ, თუ ვიტყვი, რომ პასტორის ოჯახში ასეთი გართო-

ბის გემო არ იციან, ამიტომ ამან აუნაზღაურა კარლ-არტურს ის იმედგაცრუება, რომელიც განიცადა, რაკი დედამისი არც ჩვენთან დახვდა. ვახშამი რომ მოვამთავრეთ, გულახდილი საუბარი გავაბით საიქიოს იდუმალი მოვლენების შესახებ. მე ვფიქრობ, ფრუ ეკენსტედ, მიმიხვდით, რაზეც ვლაპარაკობ. და, აი, ამ საუბრის დროს კარლ-არტურმა გვიამბო, რომ იმ დღეს ეკლესიაში დედამისი მოეჩვენა. დიდხანს ვისხედით და ვმარჩიელობდით, რა უნდა ყოფილიყო ეს, ლამის შუადღე იყო, როცა იგი ჩვენგან წავიდა. ორშაბათიდან მან ისევ დაიწყო კარდაკარ შემოვლა და თუმცა იმ დღეს ჩვენთან ყოფნა ძალიან ესიამოვნა, მთელი კვირა ისე გავიდა, თვალითაც არ გვინახავს. იქნებ თავს მოვალედ მიიჩნევდა, თავისუფალი საღამო აუცილებლად თავის მოხუცებთან გაეტარებინა. კარლ-არტურზე უფრო ხათრიანი ადამიანი არ მოიძებნება ამქვეყნად.

ანა სვერდმა კიდევ უფრო მაგრად მოჭმუხნა წარბები, ეტყობოდა, საგონებელში იყო ჩავარდნილი, მაგრამ სიტყვას მაინც არ აწყვეტინებდა ფრუ სუნდლერს.

- როგორც უკვე გითხარით, მთელი კვირა არ მინახავს კარლ-არტური, არც დედამისის ამბავი გამხსენებია. კვირადღეს ეკლესიისკენ მიმავალ გზაზე შევეჩეხე და ხუმრობით ვუთხარი, იმედია, დღეს მაინც არ გამოგეცხადება ძვირფასი დეიდა ბეატა და ხელს არ შეგიშლის-მეთქი ქადაგებაში. მერწმუნეთ, ფრუ ეკენსტედ, ისე მომეჩვენა, თითქოს არც კი მოეწონა ჩემი ნათქვამი. მოკლედ მომიჭრა, - ალბათ, ვინმე გზად გამვლელი მანდილოსანი იყო, ერთი წუთით შემოიარა ეკლესიაში, და ის მივამსგავსე დედაჩემსო.

პასუხის თქმა ვერც კი მოვასწარი, ხალხი შემოგვიერთდა და საყოველთაო ამბებზე გავაბით ლაპარაკი. წირვის დროს მოსვენებას არ მაძლევდა წეღანდელი სულელური ნათქვამი. თავს

ვიმშვიდებდი, კარლ-არტური ხუმრობას გულთან არ მიიტანს--მეთქი. წარმოიდგინეთ, ფრუ ეკენსტედ, როგორ შემეშინდებოდა, როცა ქადაგების დროს კარლ-არტურს უცებ სიტყვა გაუწყდა და პატრონიკესკენ მიაპყრო მზერა. ერთ წამსაც არ გაუვლია და ისევ განაგრძო ქადაგება, მაგრამ აშკარად ეტყობოდა, შეცბუნებული იყო და დაბნეულად ლაპარაკობდა. ძალიან გონივრული აზრის გამოთქმა დაიწყო, მაგრამ ვერ იქნა და თავი ვეღარ მოაბა სათქმელს. ვერ აგიწერთ, რა საშინელ დღეში ჩავარდა. ნასადილევს ღრმად დამწუხრებული მოვიდა ჩემთან და პირში მომახალა, შენი ბრალი იყო, ისევ რომ მომეჩვენა დედაჩემიო. გასულ კვირას დარწმუნებული იყო, ეს აღარ განმეორდებოდა. რასაკვირველია, ასეთ ამბებზე ძნელია რაიმე აზრის შექმნა, მაგრამ მისი ნათქვამი კი უსამართლოდ მივიჩნიე: პირველად რომ დაემართა ეს, მაშინაც ჩემი ბრალი ხომ არ იქნებოდა? მანამდე ხომ რამდენიმე კვირა სულაც არ მინახავს კარლ--არტური.

ანა სვერდი ჩუმად იჯდა და წინსაფრის ზოლებს ხან ზევით აყოლებდა ფრჩხილს, ხან ქვევით, მაგრამ ახლა კი სიტყვა ჩაურთო:

- როგორ შეეძლო დაეჯერებინა პოლკოვნიკის ცოლის გამოცხადება, თუ ის ჯერ კიდევ არ მომკვდარა?

- მეც სწორედ ეს ვუთხარი, დავარწმუნე, რომ შეცდა, დეიდა ბეატა, როგორც ვიცით, ცოცხალი და ჯანმრთელია და ამიტომაც არ შეეძლო, გამოცხადებოდა, მაგრამ ის მაინც ჯიუტად იმეორებდა, არა, სწორედ დედაჩემი იყო და არა სხვა ვინმეო. კარგად ვიცანი, იქ იჯდა და თავს მიქნევდაო. ხომ მიხვდით, ფრუ ეკენსტედ, რომ კარლ-არტური მთლად სასოწარკვეთილი იყო. მერე ისიც მითხრა, თუ ასე გაგრძელდა, იძულებული ვიქნები, მღვდლის წოდება ავიყარო, ვინაიდან როგორც კი დავინახავ

ხოლმე დედაჩემს, შიშის ჟრუანტელი მივლის ტანში და ისე ვიბნევი, აღარ მახსოვს, რაზე ვლაპარაკობდიო. მისი აზრით, დედამისი შურისგების მიზნით ეცხადებოდა. ისიც გაიხსენა, ყოფილ საცოლეს რომ უთქვამს მისთვის, სანამ დედაშენს არ შეურიგდები, ძველებურად ვეღარ იქადაგებო. ჩანს, აღსრულდა ეს წინასწარმეტყველება.

უნდა მოგახსენოთ, ანა სვერდი მთელი გულისყურით უსმენდა თეა სუნდლერს. ბუნებით გონიერი გახლდათ და თავდაპირველად არც სჯეროდა თეასი, შიშობდა, იქნებ მოტყუებას მიპირებს და ისეთ რამეში უნდა დამარწმუნოს, რაც არ მომხდარაო. ფრუ სუნდლერი კი გაუთავებლად ლაპარაკობდა და თითქოს მიაძინა კიდეც ანა. არა, ძილი როდი მორევია ანა სვერდს, მაგრამ ეჭვები კი გაეფანტა და უფრო მიმნდობი გახდა მისდამი.

„ალბათ, მართალია, - გაივლო გულში, - ასეთ რამეს ხომ ვერ მოიგონებდა“.

- დიახ, ასეა ეს საქმე, ფრუ ეკენსტედ, - განაგრძობდა ფრუ სუნდლერი, - აბა, რა მეთქმის ამაზე, რა შემიძლია გირჩიოთ. სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ ყოველივე ეს ან წარმოიდგინა, ანდა უბრალოდ მოელანდა. სხვა არაფერი არ შეიძლება იყოს. აბა, საიდან უნდა გაჩენილიყო დეიდა ბეატა ეკლესიაში, და რაც მთავარია: როგორ შეეძლო კარლ-არტურს დაეჯერებინა, რომ დედამისი ცუდს ინდომებდა მისთვის და ამიტომ გამოეცხადებოდა? ამდაგვარად, ცოტა დავამშვიდე იგი. საბედნიეროდ, ჩემი ქმარი ამ დროს სასეირნოდ იყო წასული და ჩვენ მის დაბრუნებამდე მოვასწარით ლაპარაკი ესოდენ ფაქიზ და რთულ ამბავზე. როცა სუნდლერი დაბრუნდა, კარლ-არტურს შესანიშნავი მუსიკა მოვასმენინეთ, ეს კი ყოველთვის ამშვიდებს და კარგ გუნებაზე აყენებს. ეს მუდამ გახსოვდეთ, ფრუ ეკენსტედ. იმ კვირაში კარლ-არტური რამდენჯერმე იყო ჩემთან. ძა-

ლიან უნდოდა, კიდევ და კიდევ დამერწმუნებინა, რომ მოჩვენება ეკლესიაში მისი წარმოსახვის ნაყოფი იყო და სხვა არაფერი. როცა კვირა დილით დავშორდით ერთმანეთს, მეგონა, ამაში საბოლოოდ დარწმუნდა-მეთქი, მაგრამ შევცდი, იმიტომ, რომ იმ დღეს მესამედ იხილა დედამისი. მაშინ კი მართლა შემეშინდა. ხალხი ალაპარაკდა, კარლ-არტური გაცილებით ცუდად ქადაგებს ახლა, ვიდრე შარშან ზაფხულშიო. მარტო იმას კი არ უთვლიდნენ ბრალად, რომ ზედმეტ სიფრთხილეს იჩენდა ქადაგებაში, იმასაც ამბობდნენ, აბდაუბდას მიედ-მოედებაო. ეჰ, ფრუ ეკენსტედ, რომ იცოდეთ, რა საშინელი დრო დაუდგა. ეს ხომ ნამდვილი უბედურებაა ნიჭიერი ორატორისთვის! გაცილებით ნაკლები ხალხი მოდიოდა მის მოსასმენად, ვიდრე შარშან ზაფხულს, თავადაც რომ გამოიცვალა, საშინლად იტანჯებოდა ამის გამო. კარლ-არტური განსწავლული, განათლებული კაცია და არ სჯერა, რომ ეს ზებუნებრივი ძალების ნამოქმედარი იყო, მაგრამ, მეორე მხრივ, არც იმის უარყოფა შეუძლია, რაც საკუთარი თვალით ნახა. გულში შიში შეეპარა, ვაითუ, ჭკუიდან ვიშლებიო.

ფრუ სუნდლერი გრძნობამორევით ლაპარაკობდა, ცრემლიც კი მოადგა თვალზე. ნამდვილად ღრმა მწუხარებას განიცდიდა. ანა სვერდი მეტი და მეტი გულისყურით უსმენდა. ფრუ სუნდლერის სიტყვები წმინდა, უხილავ ბადესავით ებურდებოდნენ გარს. ახლა იგი ამ ამბავს ფრუ სუნდლერის თვალით უყურებდა. ახლა უკვე აღარ ძალუძდა გამკლავებოდა და უხეშად მოეგერიებინა, როგორც ამას დასაწყისში ახერხებდა. არა, ახლა მას რაღაც ბოჭავდა და აჩერებდა.

- შენი აზრით, მაინც რა შეიძლებოდა ყოფილიყო?

- სრულ სიმართლეს მოგახსენებთ, ფრუ ეკენსტედ: თვითონაც არ ვიცი. იქნებ სინდისის ქენჯნისგან მოუვიდა, ანდა იქნებ დედის ფიქრებმა მოუვლინა ეს ცდუნება. ყოველივე საშინლად

დამამცირებელი და დამთრგუნველია მისთვის. ვერაფერს უხერ-ხებს თავს. მრავალჯერ შეევედრა ღმერთს, ეხსნა ამ მოჩვენების-გან, მაგრამ ის მაინც ეცხადება, მეოთხე კვირადღესაც დაინახა დედამისი.

პასტორის ახალშერთული ცოლი შიშმა შეიპყრო. ასე ეგონა, საცაა, ოთახის ბნელ კუთხეში მეც დავინახავო პოლკოვნიკის ცოლს.

- ნასადილევს ჩემთან მოვიდა, - განაგრძობდა ფრუ სუნდლე-რი, - და მითხრა, ეპისკოპოსს უნდა მივწერო და მღვდლობაზე უარი ვთქვაო. ზედიზედ ოთხ კვირადღეს რომ პირდაპირ თავი მოეჭრა მრევლის წინაშე, ამის ატანა აღარ შეეძლო. კარგად მესმოდა მისი, მაგრამ მაინც შევძელი და გადავაფიქრებინე გან-ზრახული. ისიც ვურჩიე, რომ ადრინდელივით წინასწარ შეეთხზა ქადაგება და არ მინდობოდა შინაგან აღმაფრენას, როგორც ბო-ლო ხანებში იქცეოდა ხოლმე. ყურად იღო ჩემი რჩევა. მას შემ-დეგ არც ერთხელ აღარ უქადაგია წინასწარ მოუმზადებლად, მაგრამ ვერც კი დაიჯერებთ, ფრუ ეკენსტედ, რაოდენ გაუფე-რულდა ამის შემდეგ მისი ქადაგება. ადრინდელი კარლ--არტური აღარც კი იცნობოდა, მაგრამ ამან მაინც უშველა, მოჩ-ვენება აღარ ელანდებოდა. იქნებ იმიტომ ხდებოდა ასე, რომ ახ-ლა უფრო გულდამშვიდებული იყო. ვერაფრით გამიგია...

ანა სვერდი შეეკითხა:

- შენი ფიქრით, სულ ასე გაგრძელდება?

- მე სწორედ ის მინდა, რომ თქვენ დაეხმაროთ ამ საქმეში. წარსულ შობას კარლ-არტური ჩემთან იყო და მიამბო, რომ მა-მიდამისისგან, შობორგის პასტორის ქვრივისგან, მცირე მემ-კვიდრეობა დარჩა. იგი შარშან შემოდგომაზე გარდაიცვალა, სწორედ მაშინ, როცა თქვენ კარლსტადში იყავით, თუმცა, სულ ათასი რიქსდალერი და ერთი ოთახის გასაწყობი ავეჯი ერგო

კარლ-არტურს, მაინც იფიქრა, რომ ეს ეყოფოდა ცხოვრების სახსრად და ამიტომ მტკიცედ გადაწყვიტა, უარი ეთქვა მღვდლობაზე, მაგრამ, როცა ამ მემკვიდრეობის ამბავი შევიტყვე, ვურჩიე, ისე მოქცეულიყო, როგორც ადრევე ეწადა, - ისე ეცხოვრა, როგორც უბრალო მაშვრალ კაცს. ისიც ვურჩიე, რადგან ეს საქმე ასე დატრიალდა, შეერთო თავისი ღვთივბოძებული საცოლე. იცით რა, ფრუ ეკენსტედ, ჩემი აზრით, მას რაღაც განსაკუთრებული რამ უნდა მოემოქმედებინა, რომ სინდისის ქენჯნისგან თავი დაეხსნა. იგი მაგალითი უნდა გამხდარიყო ყველა ჩვენგანისთვის. სათნოების, პატიოსანი ცხოვრების გზაზე უნდა დავეყენებინეთ. ისეთი საოცარი რამ უნდა გაეკეთებინა, რომ ღვთის სასუფეველი ამქვეყნიურ ცხოვრებაშივე დამკვიდრებოდა, იქნებ მაშინ უფალს მოწყალების თვალით გადმოეხედა და ეხსნა იგი ამ მოჩვენებებისგან, დაღუპვას რომ უქადდნენ.

პირველად უნდობლად მისმინა, მერე და მერე ჩემზე ნაკლებ როდი გაიტაცა ამ აზრმა. მახსოვს, იმავე საღამოს გაეშურა ბერგთან, მოხუც ჯარისკაცთან, და სახლი მომყიდეო, სთხოვა. მას შემდეგ ძალ-ღონე შემატა იმაზე ფიქრმა, რომ ქრისტეს აღთქმას მიჰყვებოდა და ისე იცხოვრებდა. ხშირად უთქვამს თქვენ შესახებ, როგორც კი შევირთავ ცოლად და ახალ სახლში გადავალ, ისევ ძველებურად შევძლებ ქადაგებასო. იგი დარწმუნებული იყო, რომ მაშინ კი დაეხსნებოდნენ მოჩვენებები. ძვირფასო ფრუ ეკენსტედ, კიდევ ერთი რამ უნდა გითხრათ. გამიჭირდება ამის ახსნა, მაგრამ ეგებ თქვენც ხვდებით, რომ კარლ-არტური არ შეიძლება ჩავაბათ ჩვენს ამქვეყნიურ საქმეებში. მე ვიცი, რაოდენ ბედნიერი იყო იგი იმის გაფიქრებისას, რომ თქვენთან ერთად იცხოვრებდა აქ, ამ პატარა სახლში, მისთვის თქვენ მფარველი ანგელოზი ხართ, რომელიც ყოველი ბოროტებისგან დაიფარავს. იგი მწარედ ნაღვლობდა, რომ არ შეეძლო ყოველი-

ვე ეს მოეწერა თქვენთვის, რადგან წერილს ხომ სხვა წაგიკითხავდათ. მხოლოდ მე უნდა მომნდობოდა და ეამბა, თუ როგორი ნაზი გრძნობებით ევსება გული, როცა ფიქრობს შორეული ჩრდილოეთიდან მოვლენილ თავის ახალგაზრდა საცოლეზე, რომელიც მასთან ერთად ხელიხელჩაკიდებული ივლის და დაეხმარება იმაში, რომ ჭეშმარიტების გზაზე დააყენოს ხალხი.

ფრუ სუნდლერი იდუმალი და მბრძანებლური ხმით ლაპარაკობდა და ანა სვერდიც მონუსხულივით იჯდა, ხმის ამოუღებლად.

- დიახ, ფრუ ეკენსტედ, - ისევ განაგრძო ფრუ სუნდლერმა, - როდესაც კარლ-არტური მედსტუბიუნში წამოვიდა, მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ თქვენ ერთმანეთისთვის დად და ძმად გაქცევდათ საღვთო კავშირი. შიში ჰქონდა, თუ საყოველთაო, მიწიერი ბედნიერება დამკვიდრდებოდა თქვენს ცხოვრებაში, ისევ გამოეცხადებოდა მოჩვენება. შეგიძლიათ ეს გაიგოთ, ფრუ ეკენსტედ? შეგიძლიათ თუ არა გაიგოთ, რომ თქვენი ქმარი ჩვეულებრივი მიწიერი ადამიანი კი არ არის, არამედ ერთ-ერთი ღვთის რჩეულთაგანია? შეგიძლიათ თუ არა ახლა მაინც გამიგოთ მე, გაიგოთ ჩემი ქცევა? მე ხომ არ ვიცოდი, რომ კარლ--არტურმა შეცვალა თავისი განზრახვა. ამ ოთახებში ყველაფერი ისე მოვაწყვე, როგორც მან მითხრა.

ფრუ სუნდლერი ახლა უკვე ლაციცა და შემპარავი კილოთი როდი ლაპარაკობდა. ისეთი მბრძანებლური იყო მისი ხმა, თითქოს ბრალს სდებდა ანა სვერდს. ანამ ქორწინების ღამე გაიხსენა და მართლაც იგრძნო სინდისის ქენჯნა.

- მე რა ვიცოდი ეგ ამბავი. მხოლოდ ის მითხრეს, ღარიბიაო.

- ეგეც სიმართლეა, ძვირფასო ფრუ ეკენსტედ, მაგრამ თავიდათავი ისაა, რომ კარლ-არტური თქვენ ხეირიანად არც კი გიცნობდათ! სხვის სახლში ყოფნისას იქნებ შემთხვევა არც კი

მიეცა, რომ გულახდილად ესაუბრა თქვენთან. ალბათ, ამიტომაც გითხრათ, ყველაფრის სათავე სიღარიბეაო. ძალიან კარგად მესმის ეს. მაგრამ, ვფიქრობ, ფრუ ეკენსტედი ამიერიდან სხვა თვალით შეხედავს ამ ამბავს და მიხვდება, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს კარლ-არტურის გადარჩენას. მოჩვენება აღარ უნდა გამოეცხადოს მას.

პასტორის ახალშერთული ცოლი ისე გაება ამ ეშმაკურად დაგებულ მახეში, რომ მზად იყო, ყოველივე მოემოქმედებინა, რასაც ფრუ სუნდლერი ისურვებდა, ფრუ სუნდლერი კი აღთქმას მოითხოვდა მისგან.

- რადგან საქმე ჩემზე მიდგა, მე პირობას... - დაიწყო ანამ, მაგრამ მყისვე დადუმდა.

ფრუ სუნდლერი საჩქაროდ წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა, ბედნიერების ისეთი სხივი დაეფინა სახეზე, რომ წამით ლამის მშვენიერიც კი გახდა ეს უსახური ქალი.

ანა სვერდიც წამოდგა, რათა გაეგო, ვინ დაინახა ფრუ სუნდლერმა ფანჯარაში. ეს კარლ-არტური იყო!

და ანაზდად ფრუ ეკენსტედს გულში გაუელვა, იქნებ მამაზეციერს კი არა, არამედ თვით ფრუ სუნდლერს უნდა, აღთქმა რომ მათქმევინოსო, და აკი არც თქვა.

საკვირაო ქუდი

I

რა დიდი ვინმეც ისა ბრძანდება, რომ იფიქროს, აქაოდა, მე უფრო ჭკვიანი ვარ, ვიდრე ისეთი განსწავლული კაცი, როგორიც კარლ-არტურიაო? თვითონ წერა-კითხვაც არ იცის, მთელი შემოდგომა იარა მნათე მედბერგთან და იმდენი ვერ შეისწავლა, რომ თავისი ხელით დაეწერა: „თუ კაცი ადრე ადგესა, ღმერთი წყალობას არგებსა“.

ჰოდა, რა დიდი ვინმე კიდევ ისა ბრძანდება, რომ თავს იმდენის ნება მისცეს, თქვას, კარლ-არტურს ცუდი არაფერი შემთხვევიაო? აქაოდა, არც სინდისის ქენჯნაა ეს და არც კიდევ ცოდვის განკითხვა, ისე, სულ უბრალო რამეაო.

ეტყობა, სანამ იჯდა და ფრუ სუნდლერს უსმენდა, ამ ქალმა თავისი ლაპარაკით მოაჯადოვა და სულ თავგზა აუბნია, სტუმარი რომ წავიდა, მერე კი მოეგო გონს და ყველაფერს მიხვდა.

აბა, ვის უნდა დაეტოლოს! უგუნურ სოფლელ გოგოს სად შეუძლია ამდაგვარი საქმის განსჯა და განკითხვა?! ერთი სიტყვაც არ დასცდენია ქმართან იმაზე, რაც გულში ედო, ასეთი რამ როგორ ამოუვიდოდა პირიდან! საბრალო მოვაჭრე გოგო როგორ გაბედავდა ამას!

ნაშუადღევს კარლ-არტური თავის ოთახში განმარტოვდა ქადაგების მოსაფიქრებლად, რომელიც მეორე დღეს უნდა ეთქვა ეკლესიაში. ანა სვერდი მარტო დარჩა. საკუჭნაოდან, რომელიც თეა სუნდლერის წყალობით გამოტენილი იყო ათასგვარი წვრილმანით, ხელსაქმის თავსახურიანი კალათი გამოიტანა, იქიდან ქმრის ნაოჭიანი საყელოები ამოიღო და ორგანისტის სახლისკენ გასწია.

არც ფრუ სუნდლერისთვის უთქვამს, რაც გულში ედო, ყველა, ყველა, მაგრამ მას კი სწორედ არ გაენდობოდა, ანა სვერდი ისეთივე მოკრძალებით იყო განმსჭვალული ამ ქალის განსწავლულობისადმი, როგორც თავისი ქმრის მწიგნობრობისადმი. ფრუ სუნდლერთან იგი მხოლოდ იმიტომ მივიდა, ამ ნაოჭებიანი საყელოების გაუთოებაში დახმარება ეთხოვა. ქმარმა რომ უთხრა ანას, რამდენიმე საყელო გაახამე და გამიუთოეო, საშინლად დაიბნა - მთელი საათი ეწვალა და რა - ერთი რომ ირიბად გაუთოებული გამოუვიდა, მეორეს სულაც ვერაფერი მოუხერხა. იქნებ მოწყალება მოეღო ფრუ სუნდლერს და ესწავლებინა ეს საქმე?

ფრუ სუნდლერმა მიუგო, დიდად მოხარულია, ფრუ ეკენსტედმა დახმარებისთვის რომ მოაკითხა და სიამოვნებით შეეშველება, მით უმეტეს, ასეთ წვრილმანშიო. ნაოჭებიანი საყელოს გაუთოება არცთუ ისე იოლია. თვითონ იგი ამ საქმეში დიდად დაოსტატებული არ არის, მაგრამ შეეცდება, მთელი თავისი ცოდნა მოიხმაროს. ისინი ფრუ სუნდლერის მყუდრო სამზარეულოში შევიდნენ, საყელოების რეცხვა-უთოობას შეუდგნენ და მანამდე არ გამოსულან იქიდან, სანამ ანა კარგად არ გაიწაფა.

ფრუ სუნდლერმა ჯერ ყავით გამასპინძლება მოუნდომა, მაგრამ ანამ უარი უთხრა, შინ მეჩქარებაო. მაშინ თეამ კენკრის წვე-

ნი შესთავაზა სტუმარს. ძალიან გემრიელი წვენი მაქვს დაყენებული, თვით ფრუ შაგერსტრიომმაც კი შემიქო. ამდენი ჯაფის შემდეგ ყელის გასველება ურიგო არ იქნებოდა. ანა სვერდმა აღარ იუარა და ორგანისტის ცოლი სარდაფში ჩავიდა წვენის ამოსატანად. სანამ დიასახლისი სარდაფში იყო, სტუმარი წინა ოთახში შეიპარა, საკიდიდან ფრუ სუნდლერის საკვირაო ქუდი ჩამოიღო და უზარმაზარ ქვაბში ჩააგდო, რომელიც ისე მაღლა იდგა თაროზე, ვერავინ დაინახავდა, შიგ რა იდო.

ანა წასასვლელად რომ გაემზადა, ფრუ სუნდლერმა წინა ოთახის გავლით მიაცილა კარამდე, მაგრამ აზრადაც არ მოსვლია, შეეხედა, მისი საკვირაო ქუდი ისევ თავის ადგილზე ეკიდა თუ არა. ისეთი პატიოსანი ხალხი ცხოვრობდა იმ სახლში, შინიდან წასვლისას კარს არც კი კეტავდნენ და, აბა, ფიქრად როგორ მოუვიდოდა, თუ ვინმე მოიპარავდა ან დამალავდა რამეს.

შინ მიმავალი ანა სვერდი ფრიად კმაყოფილი იყო, ასეთი ოინი რომ უყო ფრუ სუნდლერს, კარგა ხანს მოუწევს თავისი საკვირაო ქუდის ძებნა. ანა დარწმუნებული იყო, რომ ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც სამაგალითო ცოლს შეჰფერის: კვირას ვერავინ დააფრთხობს მის ქმარს და ხელს ვერ შეუშლის ქადაგების თქმაში.

როცა მეორე დღეს კარლ-არტურთან ერთად ეკლესიისკენ მიეშურებოდა, სავსებით გულდამშვიდებული იყო და ისევე არ აწუხებდა სინდისის ქენჯნა, როგორც მონადირეს, რომელიც მგელს უგებს მახეს.

და მაინც ვინ ბრძანდება? აქაური ხომ არ არის, კორსჩურკელი, სადაც სულ ერთიანად განსწავლული ხალხი ცხოვრობს, წერაც რომ იციან და კითხვაც. იგი გახლავთ მედსტუბიუნელი ანა სვერდი და ის სწამს, რაც აქამდე სწამდა, რაც სიმართლედ მიაჩ-

ნიათ მისი სოფლის ღარიბულ ქოხებში. ეს სიბრძნე დედის რძესთან ერთად შეიწოვა და მუდამ სიმართლით ივლის.

იმ დილით ყველაფრით კმაყოფილი იყო, ქმარმა სამოსსაცავიდან შეიყვანა ეკლესიაში - აქედან შესვლის ნება მხოლოდ მღვდლებს ჰქონდათ. იქ მას პასტორის მოხუცი ცოლი დახვდა და ანა გვერდით მოისვა პატრონიკეზე. ნეტავ რომელიმე თანასოფლელს დაენახა ახლა ანა სვერდი. მან ხომ კარგად იცოდა, რომ არც ლენსმანის ცოლს, არც რის კარინს არასოდეს ღირსებიათ ასეთი პატივი.

ირგვლივ მიმოიხედა, ფრუ სუნდლერი ხომ არ არისო ეკლესიაში, მაგრამ იგი არსად ჩანდა. და რაკი დარწმუნდა, იქ რომ არ იყო, თავი დახარა და ლოცვა დაიწყო, ისევე, როგორც ლოცულობდნენ პასტორის ცოლი და სხვები. ღმერთს ევედრებოდა, რომ შემწეობა გაეწია მისთვის და ფრუ სუნდლერს ვერ ეპოვა საკვირაო ქუდი სპილენძის დიდ ქვაბში. ანამ იცოდა, თუ ფრუ სუნდლერი იმ ქუდს ვერ მოძებნიდა, არამც და არამც არ მოვიდოდა ეკლესიაში. ღარიბი ორგანისტის ცოლს, ცხადია, მხოლოდ ერთი საკვირაო ქუდი ექნებოდა და თუ იმასაც დაკარგავდა, იძულებული გახდებოდა, შინ დარჩენილიყო.

მერე მლოცველების თვალიერებას მოჰყვა, ეკლესიაში რომ შემოდიოდნენ, ეცოტავა და ამან გული დასწყვიტა. თითქმის ყველა მერხზე იყო ცარიელი ადგილები, მაგრამ მაშინვე გაეცინა გუნებაში.

„დახეთ, ნამდვილი პასტორის ცოლივით არ ვიქცევი!“

მერე ყველა იმ პასტორის ცოლებზე დაიწყო ფიქრი, რომლებიც ანა სვერდამდე ამ მერხზე ისხდნენ და ელოდნენ, როდის ავიდოდნენ მათი ქმრები ეკლესიის კათედრაზე. ნეტავ რაზე ფიქრობდნენ ისინი? იქნებ შიშისგან გული საგულეს აღარ ჰქონდათ, ქმრები კათედრაზე რომ იდგნენ და ღვთის სიტყვას ქადა-

გებდნენ? მერე რა, რომ მდაბიოა და ამიტომ მათზე ნაკლებია ანა, მაინც ხომ გაბედა და ჩუმი ოხვრით გაიზიარა ადრინდელ პასტორთა ცოლების განცდები.

„დამეხმარეთ, შემეშველეთ, თქვენ ხომ მაინც იცით, რა ძნელია აქ ჯდომა და გულის კანკალი, ისე ქენით, რომ ის ქალი არ მოვიდეს დღეს ეკლესიაში!“

სულ უფრო და უფრო შფოთავდა, წირვა თავდებოდა, საცაა ქადაგება უნდა დაწყებულიყო. რამდენჯერაც კარი გაიღებოდა და რომელიმე დაგვიანებული მლოცველი შემოვიდოდა ეკლესიაში, იმდენჯერ შიშისგან გული გადაუქანდებოდა ხოლმე. „ვაითუ, ორგანისტის ცოლია“, - ფიქრობდა ანა.

მაგრამ ფრუ სუნდლერი არ ჩანდა. ღვთისმსახურება დამთავრდა, იგალობეს ქადაგებისწინა ფსალმუნი და კარლ-არტური კათედრის კიბეზე ავიდა. ფრუ სუნდლერი ეკლესიაში არ იყო.

დიდმარხვა იდგა და დღეს სწორედ ის ეპისტოლე წაიკითხეს, რომელშიც ის შესანიშნავი სიტყვები იყო სიყვარულზე ნათქვამი, ფრუ რიუენმა ქორწინების ღამეს რომ წაუკითხა. კარგის მაუწყებელი ნიშანი იყო ეს და როცა კარლ-არტური ლამაზი წინათქმის შემდეგ სწორედ ამ ფსალმუნის განმარტებას მოჰყვა, ანამ მტკიცედ ირწმუნა, ღმერთმა და ადრინდელმა პასტორის ცოლებმა შეისმინეს ჩემი ვედრებაო. ფრუ სუნდლერი არ მოვა ეკლესიაში, ანა სვერდს შეუძლია მშვიდად იჯდეს პასტორის მერხზე და ისმინოს, როგორ აქებს და ადიდებს სიყვარულს ის ადამიანი, რომელიც მას უყვარს.

და მაინც, ვინ ბრძანდება ეს ანა სვერდი? აბა, საიდან უნდა იცოდეს მან, კარგია თუ ცუდი ეს ქადაგება? თუმცა, იმას კი დაიფიცებდა, რომ ამაზე უფრო მშვენიერი რამ თავის სიცოცხლეში არ სმენია. მაგრამ განა მხოლოდ მას ანიჭებდა სიხარულს ეს ქადაგება. იმასაც ხომ ხედავდა ანა, რომ ყველა მლოც-

ველმა პასტორისკენ შეაბრუნა თავი და თვალს აღარ აცილებდნენ. ზოგიერთი კიდევ გვერდით მჯდომს ახლოს მიუჩოჩდა და მხარიც წაჰკრა, რომ მასაც ყურადღებით ესმინა ქადაგება.

- მოუსმინე, მოუსმინე! აი, ქადაგებაც ამას ჰქვია!

და განა ეს სიმართლე არ იყო? მეხი დაეცეს, ოდესმე თუ სმენოდეს, ვინმეს ასე დალაგებულად ელაპარაკოს. პატრონიკეზე იჯდა და ხედავდა, რომ ადამიანებს თვინიერება და მოზეიმე იერი გამოეხატათ სახეზე. ზოგიერთ წამოჩიტულ გოგონას ნაპერწკლებივით უელავდა თვალები. და უცებ, სწორედ მაშინ, როცა ყველაზე საინტერესო სათქმელს ამბობდა მოქადაგე, ხალხი უცნაურად აჩოჩქოლდა. ეკლესიაში ფეხაკრეფით ფრუ სუნდლერი შემოვიდა. მალულად შემოიპარა, რადგან, ეტყობოდა, უხერხულობას გრძნობდა დაგვიანების გამო, ფეხაკრეფით მოდიოდა, თან თითქოს მერხთა რიგებს შუა კარს ეკვროდა, რათა ყურადღება არავის მიექცია. მაგრამ ეკლესიაში მყოფთ მაშინვე შეამჩნიეს იგი და გაკვირვებითა და გამკიცხავად გააყოლეს თვალი. ლამაზი ქუდის ნაცვლად თავზე საყოველდღიურო ჩაჩი ეხურა. ჩაჩი ძველი იყო და გაცვეთილი, ამიტომაც თეას მის გასალამაზებლად წინა მხარეს დიდი ბაფთა დაებნია.

წუთსაც არ გაუვლია და ფრუ სუნდლერი იქ მყოფთაგან აღარავის ახსოვდა, მრევლმა ისევ კათედრას მიაპყრო მზერა და ისევ იმ შესანიშნავ სიტყვებს ისმენდა, პასტორის ბაგეთაგან რომ მორაკრაკებდნენ.

„ისე გაერთო, ალბათ, მისი შემოსვლა არც შეუმჩნევია, - გაიფიქრა ანა სვერდმა, - იქნებ ახლა ვერც კი შეძლოს ამ ქალმა მისი დამონება“.

მაგრამ ფრუ სუნდლერის შემოსვლიდან ხუთ წუთსაც არ გაუვლია, რომ კარლ-არტურს ერთბაშად სიტყვა გაუწყდა, კათედ-

რიდან წინ გადმოიხარა და ეკლესიის ბნელ კუთხეს მიაჩერდა. იქ დანახულმა ისე შეაშინა, სუდარისფერი დაედო სახეზე.

თითქოს საცაა გული წაუვა და წაიქცევაო, ანა სვერდი ადგილიდან წამოიმართა, რომ სასწრაფოდ მიშველებოდა და კათედრიდან ჩამოეყვანა, მაგრამ კარლ-არტურს დახმარება არ დასჭირდა, რადგან მაშინვე წელში გაიმართა და ლაპარაკი განაგრძო.

მხოლოდ ეგაა, ამიერიდან სიხარულს აღარ ჰგვრიდა ხალხს მისი მოსმენა. ახალგაზრდა პასტორს, ეტყობოდა, სრულიად გადაავიწყდა, წუთის წინ რაზე ლაპარაკობდა. რამდენიმე სიტყვა წარმოთქვა, რომლებიც არაფრით ესადაგებოდა ადრინდელ ნათქვამს, გაჩუმდა, მერე კიდევ ისეთ რამეზე დაიწყო ლაპარაკი, სულ რომ არ იყო საჭირო. მრევლი მოუსვენრად აწრიალდა მერხებზე, ბევრს შიში და სასოწარკვეთა ეწერა სახეზე და ამან კიდევ უფრო დააბნია მოქადაგე. შუბლზე ოფლი მოიწმინდა ხელმანდილით და ხელები ზეცისკენ აღაპყრო, თითქოს შველას მოითხოვდა სასომიხდილი.

არასოდეს არავინ ასე არ შეჰბრალებია ანა სვერდს.

ის ურჩევნია, ადგეს და წავიდეს, რატომ უნდა იჯდეს და უყურებდეს, როგორ იტანჯება მისი ქმარი? მაგრამ სანამ წამოდგებოდა, რეგინა ფორსიუსისკენ გაიხედა. მოხუცი ქალი უძრავად იჯდა, ხელები სალოცავად დაეჭდო, სახეზე მოწიწება ეხატა. მისი შემხედვარე ვერც კი იფიქრებდა კაცი, რომ ეკლესიაში არასასიამოვნო რამ მოხდა.

აი, როგორი მოქცევა შეჰფერის პასტორის ცოლს, აბა, ეკლესიიდან გაქცევა რას მიქვია? რაც უნდა მოხდეს, არ გაინძრე, ხელები გულზე დაიკრიფე და ილოცე.

ანა სვერდი არ ამდგარა, მართლაც უძრავად იჯდა, სახეზეც ზეიმურობა აღბეჭდვოდა. ასე გაგრძელდა, სანამ უკანასკნელი

ფსალმუნი არ იგალობეს და პასტორის ცოლი რეგინა ფორსიუსი ფეხზე არ ადგა ეკლესიიდან გასასვლელად.

ამ ხნის განმავლობაში ანა დამშვიდდა და იმასაც მიხვდა, რომ ის მხოლოდ ერთი საბრალო დალეკარლიელი გოგოა, რომელსაც არაფერი გაეგება.

მის სოფელ მედსტუბიუნში გოგო-ბიჭებს ნამდვილად სჯეროდათ, რომ ამქვეყნად უამრავი ბოროტი ტროლი არსებობს, რომელთაც შეუძლიათ ადამიანი ისე მოაჯადოონ, რომ არარსებულიც კი ნამდვილად მოაჩვენონ. აქ კი, კორსჩურკაში, ეტყობა, არც არაფერი სმენოდათ ამაზე.

მის სამშობლოში ყველამ იცოდა ერთი ფინელი დედაბრის, ლოტას ამბავი, იგი ნამდვილი კუდიანი ყოფილა და ამიტომ კოცონზე დაწვას უპირებდნენ თურმე. თვალახვეული მიუყვანიათ დასასჯელად, მაგრამ სანამ ბოძზე მიაბამდნენ, უთხოვია, უკანასკნელად, ერთხელ მაინც შემახედეთ ცისა და მიწისთვისო. ჯალათს თვალებიდან ხილაბანდი შემოუხსნია და იმავ წუთს ყველას დაუნახავს, რომ სასამართლოს პალატას ცეცხლი გაუჩნდა. ფინელი დედაბერი ვიღას ახსოვდა, ყველანი ცეცხლის ჩასაქრობად და სახლის გადასარჩენად გაცვივდნენ თურმე, კუდიან დედაბერს კი დრო უხელთია და თვალსა და ხელს შუა გაპარულა. სასამართლოს პალატას კი თურმე სულაც არ ეკიდა ცეცხლი. სულ იმ ეშმაკის მოციქულს აუბამს თვალები იმდენი ხალხისთვის.

ანას სამშობლოში ამაზე უარესი ამბავიც მომხდარა. ერთხელ თურმე იობს ერიკი ბაზრობაზე იყო და დახლთან ვაჭრობდა, მაგრამ ვერაფერი გაეყიდა, იმიტომ, რომ გვერდით ამოსდგომოდა ერთი იმ ტროლთაგანი, რომელთაც შეუძლიათ ძენძი გადაყლაპონ და ცეცხლი ამოანთხიონ. ჰოდა, ისე აუბა ხალხს თურმე თვალები, რომ იობს ერიკის საქონელი - პრიალა დანე-

ბი, გალესილი ხერხები და შესანიშნავად გამოკვერილი ცელები - დაჟანგულ ხარახურად მოაჩვენა ყველას. ბიძამისს სამ-დუიმიანი ლურსმნის მუშტარიც არ გამოუჩნდა, სანამ არ იაზრა, რა ოინიც დამართა ამ ტროლმა და ბაზრობიდან არ გააგდო.

ანას თანასოფლელი გოგო-ბიჭები მაშინვე მიხვდებოდნენ, რომ ორგანისტის ცოლმა მოაჯადოვა კარლ-არტური და ამიტომ ეჩვენებოდა ეკლესიაში დედამისი, ერთი ვინმე მედსტუბიუნე-ლიც კი რომ ყოფილიყო დღეს საყდარში, ანასი არ იყოს, ისიც იმწამს მიხვდებოდა ამას.

მაგრამ სად კორსჩურკა და სად მედსტუბიუნი. ანა სვერდს შე-ეძლო ყველაფერი ეფიქრა თავის გულში - ქმარზეც, ფრუ სუნ-დლერზეც და საკუთარ თავზეც, მაგრამ ერთი სიტყვაც არ უნდა დასცდენოდა არც იმაზე, რაც იცოდა, არც იმაზე, რასაც ფიქრობ-და.

იძულებული იყო, იმასაც შერიგებოდა, რომ მთელი გზა ეკ-ლესიიდან სახლამდე ქმარს ხმა არ ამოუღია, თითქოს მის გვერ-დით მიმავალ ანას აინუნშიც არ აგდებსო. ანა სვერდმა იცოდა, რომ ათასი თვალი გაფაციცებით მისჩერებოდა და ამიტომ თავი ისე უნდა დაეჭირა, როგორც პასტორის ცოლს შეჰფეროდა, მაგ-რამ ვერ კი მიხვედრილიყო, ახერხებდა თუ არა ამას.

შინ რომ დაბრუნდნენ, ქმარი მაშინვე თავის ოთახში ჩაიკეტა. ამჯერად არც სადილის მომზადებაში მიხმარებია ანას, არც სუფ-რის გაშლაში. არადა, იცოდა ხოლმე ხელის შეშველება, თუმცა, რასაკვირველია, ეს უფრო თამაშს ჰგავდა.

სადილობისას მის პირდაპირ იჯდა და მაინც ხმა არ ამოუღია. ანას საშინელ ცოდვილად მიაჩნდა თავი, ქმარი, ალბათ, ფიქ-რობს, ქადაგებისას იმიტომ მოეცარა ხელი, რომ მათ ფრუ სუნ-დლერის რჩევა ყურად არ იღეს, ძლივს იკავებდა თავს, რომ არ

ეკივლა, იქნებ კარლ-არტურმა ამის შემდეგ სულაც ზურგი შეაქციოს.

ლენსმანის ცოლმა ურჩია გნოლისა და სხვა გარეული ფრინველის შეწვა, რომელიც მათ მხარეში საკმაოდ ბევრი იყო, რათა პირველ დღეებში გემრიელი საჭმელი დაეხვედრებინა ქმრისთვის, მაგრამ აქ, ეტყობა, გნოლი სულაც არაფრად მიაჩნიათ, კარლ-არტურმა მხოლოდ ორიოდე ლუკმა გასინჯა და დანა--ჩანგალი განზე გადადო.

სადილობისას ანამ ვერ გაუბედა რაიმე ეკითხა. სუფრიდან რომ ადგნენ, კარლ-არტურმა ჩაიბურტყუნა, თავი მტკივა და ცოტა უნდა გავისეირნოო. სევდიანი ფიქრებით შეპყრობილი ცოლი მარტო დატოვა.

II

განა გასაკვირი არ არის, რომ ასე ძნელია სურვილის ასრულება?

თუ უკეთესი რამ სურვილი გაქვს, კიდევ, ჰო, გასაგებია, მაგრამ, როცა მხოლოდ ის გინდა, რომ ადამიანი, რომელიც გიყვარს, კვირაში ერთი-ორჯერ საღამო ხანს გეწვიოს, დასხდეთ პატარა სასტუმრო ოთახში, იბაასოთ ან მუსიკა მოისმინოთ, ნუთუ შეუძლებელია, ასეთი სურვილი აგისრულდეს? თუ გსურს, აუცილებლად განმარტოვდეთ, მაშინ სხვა საქმეა, მაგრამ ასეთი რამ ხომ სულაც არ გიდევს გულში? დაე, შენი ქმარიც თქვენ გვერ-

დით იყოს, დასამალი არაფერი გჭირთ არც შენ, არც კარლ--არტურს.

შარლოტა ლიოვენშოლდი შეუბრალებლად, უხეშად რომ ჩამოგეცილებინა გზიდან და იძულებული გამხდარიყო, მასწავლებლად ან ეკონომად ემუშავა, მაშინ მოსალოდნელი იქნებოდა, სასჯელი ან იმედგაცრუება გრგებოდა ამისთვის, მაგრამ, თუ იგი შენი მეოხებით მთელ სამეფოში ყველაზე გამორჩეულ კაცს გაჰყვა ცოლად, გამდიდრდა კიდეც, საზოგადოებაში გამოვიდა და ქმარიც შესანიშნავი შეხვდა, შენ რატომ ვერ უნდა დატკბე იმ მცირე ბედნიერებით, რომელზედაც ოცნებობ? ნუთუ ამის გულისთვის მტრად უნდა გაგიხდეს პასტორის ცოლი რეგინა ფორსიუსი? შენ კარგად იცი ყველაფერი. თუმცა, კარლ-არტური იმას იმიზეზებს, ბავშვებს გამოცდას ვუტარებ საღვთო რჯულში და სხვა საქმეც ბევრი მაქვსო, მაგრამ ხომ დარწმუნებული ხარ, რომ პასტორის ცოლი ჩაულაპარაკებდა, ხალხში მითქმა--მოთქმა გამოიწვია თქვენმა გულითადმა მეგობრობამო. ცხადია, სწორედ ეს ჭორები იყო მიზეზი, რომ შარშან შემოდგომაზე კვირები ისე გავიდოდა, ერთხელაც არ შემოივლიდა მასთან.

სულ ოდნავადაც რომ იყო დამნაშავე იმაში, კარლ-არტურს ეკლესიაში დედამისი რომ ელანდება, თუ შენ განგებ აშინებდი, იმის იმედით, ეგებ ამან ჩვენი გულითადი მეგობრობა აღადგინოსო, მაშინ ყველაფრის ღირსი იქნებოდი და ეს არც უნდა გაგკვირვებოდა, მაგრამ შენ ხომ მხოლოდ ნუგეშისცემა და დამშვიდება გინდოდა მისი. მაშ, რატომ არ უნდა დაგეხსნენ, რატომ უნდა დაგიშალონ გასაჭირში მყოფი ადამიანის დახმარება? ნუთუ ის დაიმსახურე, რომ შენმა ქმარმა სწორედ ახლა დაიწყოს ეჭვიანობა, სცენების გამართვა და ლამის აგიკრძალოს კიდეც კარლ-არტურის შემოშვება სახლში? კარლ-არტურს ყველაზე მეტად სწორედ ახლა სჭირდება ახლო მეგობარი და მესაიდუმ-

ლე, შენ ხომ მხოლოდ მისი დახმარება გწადია და მეტი არაფერი, სულ არაფერი.

და თუ შენი ეჭვიანი ქმრის დასაშოშმინებლად ცოლის შერთვა ურჩიე კარლ-არტურს, განა ეს მიუტევებელ ცოდვად ჩაგეთვლება? რა თქმა უნდა, შენ არ შეგეძლო ნამდვილი მიზეზი გაგემხილა კარლ-არტურისთვის: მას ამქვეყნიურისა არა გაეგება რა, მით უმეტეს, ასეთ საქმეში. მაინც რად არის დასაძრახი, თუ ხელი შეუწყვე, აესრულებინა ჭაბუკობისდროინდელი ოცნება? და ეს სოფლიდან ჩამოთრეული გომბიო განა სიხარულით ცას არ უნდა ეწეოდეს, კარლ-არტურის სახლში რომ ცხოვრობს, სარეცხს ურეცხავს, საჭმელს უმზადებს? ვინ იფიქრებდა, რომ კარლ-არტური მოიხიბლებოდა ამ გლეხის გოგოთი და საქორწილო მოგზაურობიდან ისე თავბრუდახვეული დაბრუნდებოდა მისი სიყვარულით, სალოცავად გაიხდიდა ცოლს?

რა სიხარული იყო, როცა ამ სახლის გაწყობაში ეხმარებოდი, საოჯახო ნივთებს ერთად რომ ყიდულობდით, სახლის შეკეთებას თვალყურს რომ ადევნებდით! რა ტკბილი ოცნებებით გევსებოდა სული მაშინ და ნუთუ იმის ღირსი იყავი, რომ როგორც კი მისმა კანონიერმა ცოლმა ამ სახლში ფეხი შემოდგა, მაშინვე ზედმეტ ადამიანად მიგიჩნიეს? ვინ გახადა ეს სულელი გოგო პასტორის ცოლად? ვინ აჩუქა ქმრად უკეთილშობილესი, უნიჭიერესი, ზეშთაგონებული ადამიანი? მერედა რით გადაგიხადა სიკეთე? როდესაც იგი ამ სახლში შემოვიდა, სადაც საკუთარი ხელით მოაწყვე ყველაფერი, ხომ მაშინვე გაგრძნობინეს, რომ ერთი სული ჰქონდათ, როდის გაეცლებოდი იქაურობას.

და თუმცა შენ სულაც არ გინდოდა ეს, მაინც გუნება მოგეწამლა, როცა მოჩვენება კვლავ გამოეცხადა კარლ-არტურს. რაკი ყურად არ იღო შენი რჩევა, ნიშნს უგებდი: ახიც იყო მასზე! არა,

შენ არ გისურვებია ეს მათთვის, მაგრამ არც ჭირის მოზიარედ გახდომიხარ.

თან იმანაც გატკინა გული, რომ საკვირაო ქუდი მოგპარეს. არა, ალბათ, არც კი მოუპარავთ, ნამდვილად ოინი გიყო ვიღაცამ და ქუდი იმიტომ დაგიმალა, ეკლესიაში რომ ვერ წასულიყავი კარლ-არტურის ქადაგების მოსასმენად. ძალიან გულსატკენი იქნება, თუ სწორედ ის ადამიანი მოგექცა ასე, ვისზეც ეჭვი გაქვს. ნუთუ მართლა საკუთარმა ქმარმა გამოგდო სარმა?

შენ გჯერა, რომ კარლ-არტური აუცილებლად მოვიდოდა თანაგრძნობის გამოსახატავად, ნასადილევს მოელოდი, მაგრამ კარგა ხანს მოგიწია ლოდინმა. ამ ხნის განმავლობაში თავი დაირწმუნე, რომ იგი ცოლს გაენდო და გაუზიარა ხვაშიადი, ადრე კი მხოლოდ შენთან იქარვებდა ამ დარდს.

მოგაგონდა, რამდენჯერ გაგიცრუვდა იმედი, რამდენი სურვილი დაგრჩა აუსრულებელი და როცა ბოლოს მაინც მოვიდა, აღარც კი გინდოდა მასთან შეხვედრა და ლაპარაკი, სასტუმრო ოთახში შეიყვანე, დივნის კუთხეში ჩამოჯექი და უგულოდ უსმენდი. იგი თავისას შემოგჩიოდა, შენ კი სულაც არ თანაუგრძნობდი, კბილს კბილზე აჭერდი, გინდოდა, თავი შეგეკავებინა და არ გეყვირა მისთვის, რომ მოგბეზრდა, დიახ, მოგბეზრდა ყველაფერი ეს, რომ მუდამ თვინიერი, მორჩილი ვერ იქნები, რომ მოთმინებასაც აქვს საზღვარი, რომ შენ ისეთი ადამიანი არა ხარ, რომელსაც როგორც მოესურვებათ, ისე მოექცევიან, - უნდათ, დაიახლოებენ, უნდათ, განირიდებენ.

იგი გიამბობდა, რომ დიდხანს ისეირნა, რათა დამშვიდებულიყო და რაიმე გადაწყვეტილება მიეღო, მაგრამ დღეს თავს ძალას ატან, რომ როგორმე უსმინო. გახევებული ზიხარ, მაგრამ ხელები გექავება, ფრჩხილებით დასაკაწრავად მიიწევ, თუმცა,

არ იცი, საკუთარი თავის დაკაწვრა გინდა თუ მას გსურს ჩააფრინდე. ერთი კი ცხადია შენთვის, ეს შვებას მოგგვრიდა.

იგი კი სულ ლაპარაკობს და ლაპარაკობს, სანამ არ მიხვდება, რომ არ ეპასუხები, რომ ადრინდელივით თანაგრძნობას არ უცხადებ. გაკვირვებულია და გეკითხება, ავად ხომ არა ხარო, შენ ცივად პასუხობ, რომ შესანიშნავად გრძნობ თავს, მაგრამ გაოცებს, რატომ მაინცდამაინც შენთან მოვიდა თავისი დარდის გასაზიარებლად, მას ხომ ცოლი ჰყავს სახლში.

აი, რას პასუხობ, რამ გათქმევინა ასეთი რამ, ამაზე მეტ სისულელეს კაციშვილი ვერ მოიფიქრებდა. იქნებ იმის იმედი გქონდა, რომ შეგეპასუხებოდა, აქაოდა, ჩემი ცოლი ძალიან გამოუცდელი და უმეცარია, მე კი ისეთ გონიერ ქალთან მინდა საუბარი, რომელიც გამიგებსო, მაგრამ ეს იმედიც გაგიცრუვდა.

ნაცვლად ამისა, გაკვირვებული შემოგცქერის და ბოდიშს იხდის, უდროო დროს რომ მოვიდა. ამას გეუბნება და მიდის.

შენ კი მაინც გაუნძრევლად ზიხარ, ხედავ, როგორ გაიხურა კარი. არ გჯერა, რომ მართლა წავიდა, დარწმუნებული ხარ, უთუოდ მობრუნდება და კარის გაჯახუნებას რომ გაიგონებ, მხოლოდ მაშინ წამოვარდები ფეხზე, ყვირილს დაიწყებ და მოუხმობ მას. ეს რა ჩაიდინე, ადამიანო? ნუთუ სამუდამოდ წავიდა შენგან? ნუთუ ეს შესაძლებელია? იგი შენთან იყო და გარეთ გააგდე. თავისი სადარდებელი არ ათქმევინე კაცს, ისიც კი ურჩიე, ცოლს გაუზიარეო შენი წუხილი. რაღა დღეს მოხდა ეს, რაღა სწორედ დღეს, როცა ყველაფერი სასწორზე იდო და შენ შეგეძლო სამუდამოდ მოგენადირებინა მისი გული.

III

როცა კარლ-არტური კარგა შეღამებულზე ფრუ სუნდლერისგან ბრუნდებოდა, რასაკვირველია, არ შეეძლო, ეგრძნო ის უჩვეულო სიმშვიდე, ის კმაყოფილება, რასაც ყოველი ადამიანი განიცდის ხოლმე, როცა შინ ბრუნდება, ექიმის ბაღს უკან, ბორცვზე, სახლი რომ დაინახა, სულაც არ გაუფიქრებია, რომ მთელი დედამიწის ზურგზე ეს ერთადერთი კუნძულია, სადაც ყოველთვის სიხარულით ეგებებიან, სადაც მუდამ მზად არიან მის დასაცავად, სადაც მან სავანე მოიპოვა და სადაც იგი ხელს არავის უშლის. პირიქით, იმას ფიქრობდა, რომ არამც და არამც არ უნდა შეერთო ცოლი, არ უნდა ეყიდა ეს ძველი ქოხმახი, არ უნდა წამოეწყო მთელი ეს ამბავი.

„რა საშინელებაა, - ფიქრობდა კარლ-არტური, - რა უბედური ვარ და თან კიდევ მარტო ყოფნის საშუალებაც არა მაქვს, ცოლი მოწყენილი დამხვდება, ხომ უნდა გავართო და გავამხიარულო. იქნებ გულდაწყვეტილიცაა და სამდურავიც მითხრას. აქვს კიდეც ამის უფლება, მაგრამ ერთი მეცა მკითხეთ, შემიძლია თუ არა მისი საყვედურების მოსმენა?“

ზღურბლთან დალაგებულ მორყეულ ქვებზე შედგა და უხალისოდ გაიწვდინა ხელი კარის გასაღებად, მაგრამ ჯერ რაზას არც კი მისწვდომოდა, რომ ხელი უკანვე გამოსწია, სახლიდან სიმღერა შემოესმა - ბავშვების ხმები იყო, ფსალმუნებს გალობდნენ.

მყისვე შვება იგრძნო. საშინელი დარდი, რომელიც დილიდანვე ლოდივით აწვა გულზე და სიცოცხლეს უნახევრებდა,

თითქმის გაუნელდა, შინაგანმა ხმამ უჩურჩულა, რომ თამამად, გულდამშვიდებით შეეძლო შესულიყო შინ. სახლში კი ისეთი რამ ელოდა, რასაც ვერც წარმოიდგენდა.

წამსაც არ გაუვლია, სამზარეულოს კარი გამოაღო და შიგ შეიხედა. ოთახში ბნელოდა, მაგრამ ღუმელში მუგუზლები ღვიოდა, მიმქრალი ცეცხლის წინ მისი ცოლი იჯდა, ირგვლივ მატს-ტორპარის სახლიდან მოყვანილი გოგო-ბიჭები შემოხვეოდნენ.

მიუხედავად ასეთი სიბნელისა, ან იქნებ სწორედ ამიტომაც, ეს პატარა გუნდი მშვენიერი სანახავი იყო. ყველაზე პატარა გოგონა ანას კალთაზე ეწვა და გემრიელად, მშვიდად ეძინა. დანარჩენები ზედ მიჰკვროდნენ ანას, ლამაზ სახეში შესცქეროდნენ და მღეროდნენ: „დღე იწურება ღვთიური“.

კარლ-არტურმა კარი მიხურა, მაგრამ მათთან კი არ მივიდა, კედელს აეკრა სიბნელეში.

შიშითა და სინდისის ქენჯნით განაწამებს კვლავ მალამოდ დაედო გულზე ამის გაფიქრება, რომ ეს ქალი ღვთის განგებამ მხსნელად მოუვლინა. იქნებ იგი ასეთი არ არის, როგორც ოცნებით წარმოედგინა, მაგრამ ან კი როგორი წარმოედგინა? დახეთ, რა ქალი ყოფილა! ნაცვლად იმისა, რომ განაწყენებულიყო მისი დაგვიანებით, მოუყვანია ეს ბავშვები, რომლებიც მისმა ქმარმა სიღატაკისგან იხსნა, და ფსალმუნის გალობას ასწავლის. გონივრულად და გულის ამაჩუყებლად მიიჩნია კარლ-არტურმა მისი საქციელი. „რატომ არ უნდა გავანდო ჩემი ხვაშიადი და არ ვთხოვო შემწეობა?“ - გაიფიქრა მან.

ფსალმუნის გალობა დაამთავრეს თუ არა, ანა წამოდგა და ბავშვები შინ გაისტუმრა. ეგებ ვერც შეამჩნია ქმარი, ეს კია, რომ თავი არაფრით შეუწყენია მისთვის, და კარლ-არტური ისევ ისე იდგა კუთხეში. მწუხრის ფსალმუნის ღიღინით, რომელსაც ეს-

ესაა ბავშვებს უმღეროდა, ქალი საკუჭნაოსთან მივიდა, კოჭობი გამოიტანა, რძე დალია, ცეცხლს შეშა შეუკეთა და თუჯის სამფეხა შედგა ზედ, რათა ლუდის შეჭამანდისთვის რძე გაეცხელებინა.

მერე ისევ ოთახში შემობრუნდა, ფანჯარასთან მდგომ მაგიდას სუფრა გადააფარა, ზედ კარაქი და პური დადო და სკამები შემოუწყო.

საამო იყო საცქერლად მისი მიხრა-მოხრა ამ ბინდბუნდში. მისი კაბის მჭახე ფერები, რომლებიც დღის სინათლეზე, ცოტა არ იყოს, თვალს სჭრიდა ადამიანს, ახლა თბილ ჰარმონიას ქმნიდა. უხეში ქსოვილი ფარჩას მიაგავდა. კარლ-არტური ერთბაშად მიხვდა, რატომ იცვამდნენ გლეხის ქალები ასეთ ფერად-ფერად ტანსაცმელს, ცდილობდნენ, თავიანი ჩაცმულობა ძველი დროის დედოფლებისა და სეფექალების აბრეშუმისა და ხავერდის სამოსისთვის დაემსგავსებინათ. აი, ჭრელი ლიფი, ფუშფუშა თეთრი სახელოები, ჩაჩი, რომელიც თითქმის მთლად უფარავდა თმას, - დიახ, კარლ-არტური დარწმუნებული იყო, რომ ოდესღაც სამეფო კარის წარჩინებული სეფექალებიც ასე იცვამდნენ.

მას ისიც ეგონა, რაღაც გრძნეულმა ძალამ ამ გლეხ ქალს მემკვიდრეობად არგუნა ძველთაძველი ციხესიმაგრეების მფლობელ ქალბატონთა ღირსებაო, ის, რაც სხვებს სიტლანქედ ეჩვენებოდათ მის მიხრა-მოხრასა და ქცევაში, სინამდვილეში იმ გარდასულ დროთა ძველებური ჩვეულებებიდან მოსდგამდა, როცა დედოფლები თვითონ ანთებდნენ ცეცხლს კერაში და პრინცესებივით თვითონ დადიოდნენ მდინარეზე თეთრეულის გასავლებად.

ცოლმა ლუდის შეჭამანდი ორ ბადიაში ჩაასხა, ქონის სანთელი აანთო და შუა მაგიდაზე დადგა, მერე ხელები სალოცავად

დაიჭდო, ამ საღამოს კარლ-არტურს სინათლის შუქზე ანას სახე უფრო კეთილშობილი ეჩვენა. სადღა იყო ნორჩი ქმნილების სიკერპე და ჩვეული თავდაჯერება, ახლა მის სახეს მრავალჭირგამოვლილი ქალის სიდინჯე ეხატა.

კარლ-არტურმა გაიფიქრა, რომ სავსებით შესაძლებელია, გაანდოს ასეთ ქალს, როგორადაც ახლა ეჩვენებოდა, ყველაზე საჩოთირო და საძნელო საქმეც კი. „ნამდვილი გულუბრყვილობა იყო, როცა მეგონა, ვერ გამიგებდა, - გაიფიქრა მან, - თანდაყოლილი კეთილშობილება მიანიშნებს მას სწორ გზას“.

ცოლს ჯერ ლოცვაც არ ჰქონდა დამთავრებული, რომ კარლ--არტური უკვე მის პირდაპირ იჯდა სალოცავად ხელებგადაჭდობილი.

ჩუმად ისხდნენ და ისე შეექცეოდნენ საჭმელს, კარლ-არტურს მოსწონდა, რომ ანას საოცარი გარინდება სჩვეოდა სუფრაზე, თითქოს ტრაპეზი მისთვის წმიდათაწმიდა, კაცთა მოდგმის სიცოცხლის გასაგრძელებლად ღვთივბოძებული რამ ყოფილიყოს.

ვახშამი რომ დაამთავრეს, კარლ-არტურმა თავისი სკამი მაგიდის მოპირდაპირე მხარეს გადადგა, გვერდით მიუჯდა ცოლს, მხარზე მოეხვია და გულში ჩაიკრა.

- მომიტევე, - უთხრა მან, - ამ დილით ცოტა გავფიცხდი და თავი ვეღარ შევიკავე, მაგრამ შენ ხომ არ იცი, რა უბედური ვიყავი მაშინ.

- ჩემზე ნუ იდარდებ, ჩემო კარგო! ნუ იფიქრებ იმაზე, კარგად მომექეცი თუ ცუდად, სულერთია, რაც უნდა მოიმოქმედო, მაინც მიყვარხარ.

ამწუთას, რომელიც უდავოდ საზეიმოდ მიიჩნია ანამ, იგი ლაპარაკობდა არა დალეკარლიურ კილოზე, არამედ სუფთა შვედურით. ესეც დიდად ესიამოვნა კარლ-არტურს და ნამდვილად

მოიხიბლა მისი სიტყვებით; მადლიერების გრძნობამორეულმა ცოლს აკოცა.

მაგრამ ამ კოცნამ წონასწორობა დააკარგვინა. სიმართლე თუ გნებავთ, ამწუთას მას მხოლოდ ცოლის ალერსი სურდა და სხვა რამეზე ფიქრი არ შეეძლო,

„გაგიჟებით მიყვარს, - გაიფიქრა მან, - იგი მე მეკუთვნის, მე კი მას. ის მოჩვენება, ალბათ, არ დამეხსნება და როგორც კი კათედრაზე ავალ, მაშინვე გამომეცხადება. მოქადაგედ აღარ ვივარგებ, მაგრამ ნუთუ ამან ხელი უნდა შემიშალოს, რომ საკუთარ ჭერქვეშ ჩემს ცოლთან ბედნიერებით დავტკბე?“

ანამ თითქოს მყის გამოიცნო მისი ფიქრები.

- და კიდევ იმასაც გეტყვი, ძვირფასო, - განაგრძო მან, - ყოველ ღონეს ვიხმარ, რომ ამიერიდან ვეღარაფერმა დაგირღვიოს სულის სიმშვიდე ეკლესიაში.

კარლ-არტურმა ღიმილი შეაგება ცოლის დაპირებას. ძალიან კარგად იცოდა, მის გამოუცდელ და უბირ ცოლს არ ძალუძდა მისი შველა, მაგრამ სანუგეშო სიტყვები მაინც ეამა და გულს მოეფინა.

- ვიცი, რომ ძალიან გიყვარვარ და გინდა ყველა დარდი შემიმსუბუქო, - გულთბილად უთხრა და კიდევ ერთხელ აკოცა.

ეს იყო დამათრობელი ბედნიერების წუთები. სიყვარულმა სიხარულით აღავსო კარლ-არტური, ვაჟკაცობა შთაბერა მის სულს, მან ირწმუნა, რომ ნაზი სიყვარულით სამუდამოდ გადაჯაჭვულნი ამ პატარა სახლის ჭერქვეშ შექმნიდნენ ნამდვილ სამოთხეს, რომელიც სამაგალითო და თითით საჩვენებელი იქნებოდა მთელ სამრევლოში.

- ჩემო ძვირფასო, - ჩურჩულით წარმოთქვა მან, - ჩემო ძვირფასო, ყველაფერი მოგვარდება, ჩვენ ბედნიერები ვიქნებით.

ძლივს მოასწრო ამ სიტყვების წარმოთქმა, რომ შემოსასვლელი კარი უცებ ხმაურით გაიღო და წინკარში ნაბიჯების ხმა გაისმა.

ანა სვერდი სწრაფად წამოდგა და როდესაც ოთახის კარი გაიღო, იგი მაგიდიდან საკარაქისა და პურის ნაჭრების ალაგებით იყო გართული.

კარლ-არტური ადგილიდან არ დაძრულა და ისღა ჩაიბურტყუნა, გასაკვირია, ასე გვიანაც კი არ გვაძლევენ მოსვენებასო, მაგრამ, როცა ორგანისტი სუნდლერი და მისი ცოლი დაინახა, წამოდგა და შეეგება.

ორგანისტი მაღალ-მაღალი, თმააბურძგნილი მოხუცი კაცი იყო, ჩვეულებრივ დაბიჟვინებული სახე დღეს უფრო მეტად შეშუპებოდა და წამოსჭარხლებოდა. ცოლი ხელკავით შემოიყვანა და შუა ოთახში გაჩერდა. და თუმცა გარეთ საშინელი ყინვა იდგა, კარის მიხურვაზე თავი არ შეუწუხებია. არც სალამი უთქვამს, არც ხელი გაუწვდია ჩამოსართმევად.

აშკარად ეტყობოდა, საშინლად იყო გაბრაზებული და იქნებ სწორედ ამიტომაც ჰქონდა ზვიადი შესახედაობა.

ანა სვერდი მიხვდა, რომ იგი ღირსეული კაცი იყო, თეა კი, რომელიც მკლავზე ჩამოკონწიალებოდა, ქვაბების სარეცხ ძველ ჭუჭყიან ჩვარს შეადარა. „კარგი ქმარი შეხვედრია, - გაიფიქრა მან, - თვითონ მას კი, ეტყობა, მეტისმეტად ხშირად უწევდა ლაფში გორაობა. მაგის გაწმენდა-გასუფთავება უკვე ზღაპარია“.

ის იყო, ეს გაიფიქრა, რომ მაშინვე შეამჩნია, თეას საკვირაო ქუდი ეხურა თავზე.

„აი, თურმე რაშია საქმე, - გაიფიქრა ანამ, - ახლა დაიწყება ორომტრიალი“.

კარის დასახურად გაემართა და თან იმას ფიქრობდა, ეგებ სჯობია, გავეცალო აქაურობასო, მაგრამ გადაიფიქრა და გული გაიმაგრა.

ორგანისტი დიდ წილადობილას არ მოჰყოლია, ჯიქურ გადავიდა შეტევაზე. თურმე ამ დილით, როცა ეკლესიაში დააპირა წასვლა, მის ცოლს თავისი საგარეო ქუდი ვერ უპოვია და უფიქრია, მომპარესო. მერე მთელი საღამოს უძებნიათ და არ იკითხავთ, ბოლოს სად იპოვეს? სამზარეულოში, ყველაზე მაღალ თაროზე შემოდგმულ სპილენძის ქვაბში! თეას ქმრისთვის დაუბრალებია, მაგრამ მან ხომ კარგად იცოდა, რომ უდანაშაულო იყო და არც კი დაესიზმრებოდა ასეთი რამ, მერე შეუტყვია, რომ კარლ-არტურის ცოლი წინადღეს რამდენიმე საათს ყოფილა მათთან სტუმრად და ახლა იმისთვის მოვიდა აქ, რომ მიუკიბ-მოუკიბავად შეიტყოს სრული სიმართლე.

ანა სვერდი მაშინვე შემობრუნდა მათკენ და ყველაფერი სწორედ ეგრე იყო, როგორც თქვენ ბრძანებთო, უთხრა ორგანისტს, როცა ფრუ სუნდლერი სარდაფში ჩავიდა წვენის ამოსატანად, ანა წინა ოთახში შეიპარა, თეას ქუდი ჩამოიღო და ქვაბში ჩამალა.

ეს აღიარა თუ არა, მაშინვე მიხვდა, როგორ თანდათან მცირდებოდა ორგანისტის თვალში, კარლ-არტურის თვალში, ფრუ სუნდლერს კი თვალები დაებრიცა და აშკარა ინტერესით უსმენდა.

- ღმერთო ჩემო, მერედა რატომ მოიქეცით ასე? - შეეკითხა მთლად დაბნეული ორგანისტი. კარლ-არტურმაც იგივე გაუმეორა მკვახე კილოთი.

- ღმერთო ჩემო, რად მოიმოქმედე ეს? რა გინდოდა? რა გინდოდა-მეთქი?

მერე კი მიხვდა ანა სვერდი, რომ სიმართლე კი არ უნდა ეთქვა, რაღაც მოემიზეზებინა და თავი დაეძვრინა. მაგრამ იმწუთას სიამოვნებას განიცდიდა სიმართლის თქმით, სულაც აღარ ახსოვდა, რომ მედსტუბიუნში კი არ იყო და დედამისს ან იობს ერიკს არ ელაპარაკებოდა. გუნებაში ფიქრობდა, აი, ახლა ნაკუწ-ნაკუწად ვაქცევ ფრუ სუნდლერს, გამურული ქვაბის სარეცხ ამ ჭუჭყიან ჩვარსო.

- არ მინდოდა, რომ დღეს ეკლესიაში მობრძანებულიყო, - წარმოთქვა მან და ფრუ სუნდლერზე მიუთითა.

- მერედა რატომ, რატომ?

- იმიტომ, რომ მაგან იცის, როგორ აუბას თვალი ჩემს ქმარს, რათა არარსებული მოალანდოს.

სამივენი ისეთი გაკვირვებით მისჩერებოდნენ ანას, თითქოს მათ წინ სამარიდან ამდგარი მიცვალებული ყოფილიყოს.

- რაებს ლაპარაკობს? რამ აფიქრებინა ეს? როგორ მოუვიდა ასეთი რამ თავში?

ანა სვერდი ფრუ სუნდლერისკენ შეტრიალდა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა მისკენ და წინ აესვეტა.

- იქნებ იუარო, რომ ჯადოს უკეთებ? ჰკითხე პასტორის ცოლს, ჰკითხე ყველას, ვინც დღეს ეკლესიაში იყო, თუ ოდესმე სმენიათ იმაზე უკეთესი ქადაგება, როგორსაც დღეს ამბობდა, მაგრამ შემოდგი თუ არა იქ ფეხი, მაშინვე აზრი დაეფანტა და სათქმელი ვეღარ გააგრძელა.

- ჰო, მაგრამ, ფრუ ეკენსტედ, კეთილო ფრუ ეკენსტედ! აბა, როგორ, როგორ ვიზამდი ამას? და რომც მექნა, ნუთუ კარლ--არტურს, ჩემს საუკეთესო მეგობარს და ჩემი ქმრის საუკეთესო მეგობარს, გავიმეტებდი საამისოდ?

- ვინ იცის, რა აზრი მოგივა თავში?

კარლ-არტურმა ანას ხელი ჩასჭიდა და უკან დასწია. თითქოს იმის შიში ჰქონდა, თეას არ ეცეს და არ დაარტყასო.

- გაჩუმდი! - დაუყვირა მან, - სიტყვა არ დაგცდეს მეტი!

ორგანისტი ანას წინ იდგა და ხელები დაემუშტა.

- დაფიქრდი, რაებს ლაპარაკობ, შე ხეპრე შენა!

მხოლოდ ფრუ სუნდლერი იყო მშვიდად. გაიცინა კიდეც.

- თუ ღმერთი გწამთ, გულთან ნუ მიიტანთ მის ნათქვამს, ეტყობა, ფრუ ეკენსტედი ცოტა ცრუმორწმუნეა. აბა, მისგან სხვას რას უნდა მოველოდეთ?

- ნუთუ არ გესმის, რომ კუდიანად მოგნათლა? - უთხრა თეას ქმარმა.

- სულაც არა. გუშინ ვუამბე, რომ კარლ-არტურს დედამისი ეცხადება ეკლესიაში, ჰოდა, აი, ეს ამბავი, როგორც ჭკუამ გაუჭრა, ისე შეატრიალ-შემოატრიალა. ასე ქმრის გადარჩენა უნდოდა. ალბათ, სწორედ ასევე მოიქცეოდა ყველა მედსტუბიუნელი გლეხის ქალი.

- თეა! - წამოიძახა კარლ-არტურმა, - ო, რა შესანიშნავი ხარ!

ფრუ სუნდლერმა ქება თითქოს შორს დაიჭირა, არა ვარო ქების ღირსი. თურმე მხოლოდ იმან გაახარა, რომ ეს მცირე გაუგებრობა ასე მალე და იოლად გაირკვა. და რადგან ყველაფერი მოგვარდა, არც მას და არც მის ქმარს მეტი აღარაფერი ესაქმებათ აქ. ახლავე წავლენ და ახალგაზრდა ცოლ-ქმარს ხელს აღარ შეუშლიან.

თეამ დიდი თავაზითა და ალერსით უსურვა ღამე მშვიდობისა კარლ-არტურსა და მის ცოლს და შინ გაეშურა ქმართან ერთად, რომელიც ჯერაც ბრაზმორეული იყო და საშინლად ბუზღუნებდა, საშუალება რომ არ მიეცა, ბოლომდე ამოენთხია გულში დაგროვილი ბოღმა.

კარლ-არტურმა კარამდე მიაცილა ისინი, მერე ცოლთან მობრუნდა, გულხელი დაიკრიფა და ანას მიაჩერდა, სასაყვედურო არაფერი უთქვამს, მაგრამ სახეზე ზიზღი და საშინელი სიძულვილი ეხატა.

„იგი ახლა იმ კაცსა ჰგავს, ვისაც ნაღებით გამასპინძლებას დაჰპირდნენ და მჟავე წვენი კი აგემეს“, - გაიფიქრა ანა სვერდმა.

ანამ დუმილი ვეღარ აიტანა და მორჩილად მიმართა ქმარს:

- გატყობ, სულაც აღარ გჭირდები, არა?

- შეგიძლია თუ არა დამარწმუნო, რომ სწორედ ის ქალი ხარ, რომელიც ღმერთმა მომივლინა? - ჰკითხა კარლ-არტურმა შეცვლილი ხმით.

კიდევ ერთხელ შეხედა მწუხარებით და ბრაზით აღსავსე თვალებით და ოთახიდან გავიდა. ანამ გაიგონა, როგორ გაიარა მან დერეფანი, თავის ოთახში შევიდა და ორჯერ გადაატრიალა გასაღები.

ვიზიტი

ეჭვგარეშეა, მოხუცი პასტორი და მისი ცოლი იმ აზრს დაადგნენ, რომ შორს აღარ იყო ის დრო, როცა ერთმანეთის ყოველდღე ნახვის ბედნიერებას ვეღარ ეღირსებოდნენ, და თითქოს იმისთვის, რომ ხელიდან არ გაეშვათ ეს ძვირფასი წუთები, ახლა გაცილებით უფრო ხშირად იყვნენ ერთად, ვიდრე წინათ. მოხუცი რეგინა დღისით-მზისით, ხანდახან სულაც უმიზეზოდ, მიაკითხავდა ხოლმე ქმარს კაბინეტში. სოფაზე ჩამოჯდებოდა და ხმის ამოუღებლად ქსოვდა, ზოგჯერ კი ძაფს ძახავდა ჯარაზე, რომლის ზუზუნში მუშაობა კიდევ უფრო სასიამოვნო იყო. მოხუცი პასტორი კი თავისთვის საქმიანობდა. ყალიონს ექაჩებოდა და ჰერბარიუმს უვლიდა.

ასე ისხდნენ ისინი იმ ორშაბათსაც, როცა კარლ-არტური და მისი ცოლი პირველად ეწვივნენ. ახალგაზრდა პასტორმა ეს წესები კარგად იცოდა და ამიტომ დიასახლისს დარბაზში ან სასტუმრო ოთახში კი არ დაუწყო ძებნა, არამედ პირდაპირ კაბინეტს მიაშურა, სადაც პასტორის ცოლი ლენტის საქსოვ დაზგას უჯდა. საწერ მაგიდაზე დასტა-დასტად დაწყობილი სქელი ნაცრისფერი ქაღალდები და ჭერთან მოლივლივე კვამლის ბოლქვები ოთახში საამო მყუდროებას ქმნიდნენ.

კარლ-არტურმა მოკლე სიტყვა წარმოთქვა და მადლობა მოახსენა ყოველივე იმ სიკეთისთვის, რაც პასტორისა და მისი მეუღლისგან ახსოვდა, განსაკუთრებით დაუმადლა ის შესანიშნავი საჩუქარი, რომელიც ბოლოს მიიღო მათგან. საპასუხოდ პასტორმაც თქვა რამდენიმე გულთბილი სიტყვა, რეგინა ფორსიუს-

მა დაზგა მაშინვე კუთხეში მიდგა და კარლ-არტურის ახალგაზრდა ცოლი გვერდით მოისვა დივანზე.

პასტორ ფორსიუსის მეუღლე ყოველგვარი საზეიმო ცერემონიალის დიდი მოყვარული იყო და როცა კარლ-არტურმა ლამაზი, მაღალფარდოვანი სიტყვა წარმოთქვა, თვალზე ცრემლი მოადგა. მაგრამ თუ ვინმე იფიქრებდა, რომ იგი კარლ-არტურის ქორწინებას იწონებდა, ძალიან შეცდებოდა. მრავალჭირგამოვლილი ფრუ ფორსიუსი, რასაკვირველია, უკმაყოფილო იყო, რომ პასტორის ხელმოკლე თანაშემწე ოჯახს მოეკიდა, არც ის იყო დიდად მოსაწონი, ღატაკი გლეხის გოგო რომ შეირთო ცოლად. დარწმუნებული უნდა ბრძანდებოდეთ, რომ იგი ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა კარლ-არტურს ასეთი თავქარიანი ნაბიჯი არ გადაედგა, მაგრამ ფრუ სუნდლერმა ინდომა მისი დაქორწინება, ფრუ სუნდლერის წინაშე კი რეგინა ფორსიუსი უძლური იყო.

პასტორის ცოლს ცნობისწადილი მოსძალებოდა, შეპარვით უჭვრეტდა ყოფილ მოვაჭრეს. ანა სვერდი გვარიანად შემცბარი და დაბნეული იყო, შეკითხვაზე მოკლედ და მორცხვად პასუხობდა, რეგინა ფორსიუსი მისგან სხვაგვარ ქცევას არც ინდომებდა, არც მოელოდა, მაგრამ კარლ-არტური რომ ასე უცნაურად ეპყრობოდა ცოლს, ამან კი ძალიან გააკვირვა.

„უცხო ადამიანი რომ ვიყო, ვერც კი მივხვდებოდი, რომ ახალჯვარდაწერილი ცოლ-ქმარი მეწვია სტუმრად, - გაიფიქრა მან, - ისე იქცევა, თითქოს ერთი ბებერი, ბუზღუნა მასწავლებელი იყოს და თავისი უქნარა მოწაფე მოეყვანოს დასატუქსავად“.

დიახაც, უკვირდა რეგინა ფორსიუსს - როგორც კი ანა ხმას ამოიღებდა, კარლ-არტური მაშინვე კრიჭაში ჩაუდგებოდა.

- დეიდა რეგინა, უმორჩილესად გთხოვთ, მოწყალება მოიღოთ და შეუნდოთ ანას, - წარამარა იმეორებდა იგი, - მეტი

რა მოეთხოვება? მედსტუბიუნი მშვენიერი სოფელია, მაგრამ კორსჩურკას მაინც ვერ შეედრება, ერთი ასი წლით მაინც არის ჩამორჩენილი იქაური ხალხი.

ანა სვერდი უდრტვინველად იტანდა ქმრის საყვედურებს. ამ ჯან-ღონით აღსავსე ქალს ნამდვილ არარაობად მიაჩნდა თავი ქმართან შედარებით, მის შემხედვარე რეგინა ფორსიუსს კი სიბრალულით ევსებოდა გული.

„ასეც ვიცოდი, - ფიქრობდა პასტორის ცოლი, - სანამ არ ალაპარაკებულა, კიდევ ჰო, მაგრამ სხვა დროც დადგება“.

კარლ-არტური დაწვრილებით ჰყვებოდა მედსტუბიუნში ყოფნის ამბებს. ზედმიწევნით აღწერა ქორწილი, სათითაოდ დაახასიათა ცოლის ნათესავები, თავშესაქცევიც ბევრი თქვა, მაგრამ მის ნაამბობში ბევრი ისეთი რამ იყო, რაც ცოლს სულაც არ ეამებოდა. ანამ ერთხელ შეპასუხებაც კი გაბედა:

- რა თქვი, რა თქვი?! რეგინა ბიცოლა, შენ ხომ არ დაიჯერებ, რომ...

- ანა! - შეუყვირა კარლ-არტურმა და სიტყვა შეაწყვეტინა ცოლს, მერე კი რეგინა ფორსიუსს მიუბრუნდა და კიდევ ერთხელ მოუბოდიშა:

- ღვთის გულისათვის, აპატიეთ, დეიდა რეგინა. ათასჯერ მითქვამს, შენობით ლაპარაკსა და ამ „ბიცოლას“ გადაეჩვიე-მეთქი. ბოლოს და ბოლოს, ჩვენი კუთხის ხალხი მედსტუბიუნის ადათ-წესებს ხომ არ აუბამს მხარს.

კარლ-არტური თხრობას განაგრძობდა, მაგრამ პასტორის ცოლი უგულოდ უსმენდა. „რა გამოვა ამ საქმიდან? - შეშფოთებული ფიქრობდა, - მე კი მეგონა, ისეთი ცოლი შეხვდებოდა, რომელიც ყოველგვარი გასაჭირისგან დაიხსნიდა!“

პასტორის ცოლის უპირველესი საფიქრალი, რასაკვირველია, ფრუ სუნდლერთან კარლ-არტურის დამოკიდებულება

იყო. თუმცა, იცოდა, ეს სულაც არ იყო დასაძრახისი, მაგრამ გულს სტკენდა, მისი ქმრის თანაშემწეზე მყრალი ჭორები რომ დადიოდა. ცდილობდა, დაერწმუნებინა სოფლის ენაჭარტალეები, თეა სუნდლერი საკმაოდ გონიერი ბრძანდება და ასეთ ავანტიურაში არ გაებმება, რომ მისი ერთადერთი სურვილია კარლ--არტურის სიმღერით დატკბობა, ან კიდევ მზის ჩასვლისას მასთან ერთად სეირნობა კორპოსენისკენ, რათა დატკბეს ოქროსფრად მოვარაყებული ღრუბლების ცქერითო. მაინც ამაო იყო ყველაფერი - მოსმენით კი უსმენდნენ, რადგანაც ეს ქალი რეგინა ფორსიუსი გახლდათ, რომელსაც კორსჩურკელები მთელი ორმოცდაათი წელიწადი პასტორის მეუღლედ იცნობდნენ, მაგრამ ჭორიკანები თავისას მაინც არ იშლიდნენ.

- მომისმინე, დაიკო! ხომ კარგად ვიცით, რატომ აიჩემა თეა სუნდლერმა ეს ქორწინება: იმისთვის, რომ თავისი ქმარი დაეშოშმინებინა. აბა, კარგად მომისმინე, თუ იცი, რომ მის ცოლს მოახლე გოგოსავით სამზარეულოში უდგას საწოლი? გინახავს მისი საწოლი? ჰოდა, გეკითხები, ამას ჰქვია ნამდვილი ცოლქმრობა?

ამ დივნის ამბავი უკვე იმდენჯერ სმენია პასტორის ცოლს, რომ ბოლოს გადაწყვიტა, მოეწესრიგებინა ძველი მიჩიგდანიანი საწოლი, რომელიც სტუმრებისთვის განკუთვნილ ოთახში ედგა, და ახალგაზრდა ცოლ-ქმრისთვის გაეგზავნა მათ ახალ სახლში. მისი ფიქრით, ეს ცოტა მაინც შეანელებდა მითქმა-მოთქმას, მაგრამ კარლ-არტურს თავისი ცოლი რომ ჰყვარებოდა და ხალხისთვის დაენახვებინა ეს, მხოლოდ მაშინ თუ დადუმდებოდნენ ავი ენები.

„საინტერესოა, რას ფიქრობს ამაზე ფორსიუსი, - გაივლო გულში პასტორის ცოლმა, - როცა კარლ-არტური წინა შაბათს

ესტუმრა მას, აღტაცებით ლაპარაკობდა თავის ცოლზე, ეგებ თეა სუნდლერი იყო მასთან და რაღაც უხიმანკლა?“

რეგინა ფორსიუსი გულწრფელად თანაუგრძნობდა საბრალო დალეკარლიელ ქალს და თავს იტეხდა იმაზე ფიქრით, როგორ დახმარებოდა.

მერე და მერე სტუმარმა ქალმა თანდათან დასძლია მორცხვობა, თავი ასწია და ოთახს თვალი მოავლო, მაგრამ არც წიგნების კარადას, არც ჰერბარიუმს არ მიუქცევია მისი ყურადღება, ლენტსაქსოვი დაზგის დანახვისას კი სიხარულით სახე გაებადრა.

- წარმოგიდგენიათ, ლენტის საქსოვი დაზგა! - ისეთი გულწრფელი სიხარულით წამოიძახა, თითქოს გულში უნდოდა მისი ჩახუტება.

ამ უბრალო ნივთმა ისე მოაჯადოვა დივანზე მყუდროდ მოკალათებული ანა, რომ ვეღარ მოისვენა, წამოდგომაც გაბედა, დაზგასთან მივიდა დასათვალიერებლად და ხელიც შეახო.

- ღმერთმანი, ძალიან ბევრი გორგალი მომიქსოვია ასეთ დაზგაზე! - ისეთი კილოთი უთხრა ქმარს, თითქოს ბოდიშს იხდის თავის ქცევაზეო.

რაკი პასტორის ცოლმა შეატყო, ამ დაზგამ გამბედაობა შემატა ანას, საყვარელი საქმე კიდევ უფრო გაამხნევებსო, გაიფიქრა, და ამიტომაც ჰკითხა, ხომ არ გინდა რამდენიმე რიგის მოქსოვაო.

- რეგინა დეიდა, თქვენ მეტისმეტად კეთილი ბრძანდებით, - უთხრა კარლ-არტურმა, - მაგრამ ჩემი ცოლი ყველაფერს აგირ-- დაგირევთ, იგი არავითარ შემთხვევაში არ ისარგებლებს თქვენი ნებართვით და დაზგას არ მიეკარება.

- რას ამბობ, კარლ-არტურ! რადგან უნდა, მოქსოვოს, მერე რა...

ანა სვერდი მაშინვე მიუჯდა დაზგას და თავისი ნაქსოვით თვით რეგინა ფორსიუსიც კი განაცვიფრა. ყველანი გარს შემოეხვივნენ დაზგას, ანას გაწაფული თითების მოძრაობას თვალს ვერ მიადევნებდა კაცი.

- გინა, ძვირფასო, - მიმართა ცოლს პასტორმა, - შენ კი ლენტების ქსოვის ოსტატი გეგონა თავი, ახლა ხომ ხედავ, რა შორს ყოფილხარ ნამდვილი ოსტატობისგან.

ანა სვერდს სიხარულით სახე გაუბრწყინდა. მისი შემყურე კაცი მიხვდებოდა, რომ წუთით მედსტუბიუნში წარმოიდგინა თავი, ირგვლივ ყველაფერი ნაცნობი იყო: ქურასთან დედამისი ფუსფუსებდა, სარკმელში მოჩანდა გრძელი, რუხი ნაგებობები, ლაპარაკიც კი მოისმოდა - დალეკარლიელები წამღერებით უქცევდნენ თავიანთ კილოზე.

ანა ისე სწრაფად ქსოვდა, რომ რამდენიმე წუთის შემდეგ მასრაზე ძაფი გამოილია. მქსოველმა შვებით ამოისუნთქა. ქმარს მიაჩერდა თვალებში. იქნებ ახლაც ცუდად მოიქცა?

კარლ-არტური დუმდა, რეგინა ფორსიუსი დაზგაზე დაიხარა, ნაქსოვი მოსინჯა, მოწონების ნიშნად თავი დაიქნია და კარლ--არტურს რევერანსი გაუკეთა.

- ჭეშმარიტება უნდა გითხრათ, კარლ-არტურ! ძალიან გამაკვირვა შენმა ცოლმა, ნება მომეცი, გულწრფელად მოგილოცო, მართლაც რომ მარჯვე ხელი ჰქონია. ახლა კი გულით მჯერა, რომ სწორედ ისეთი ცოლი შეგხვედრია, როგორიც გჭირდებოდა.

ახალგაზრდა მღვდელმა შუბლი შეიჭმუხნა.

- ძვირფასო დეიდა რეგინა... - მიმართა მან პასტორის ცოლს, მაგრამ რეგინამ სიტყვა შეაწყვეტინა:

- მე ვიცი, რასაც ვამბობ, ჰოდა, არ გაბედო, რამე საბაბი მისცე ხალხს სალაპარაკოდ, აქაოდა, კარლ-არტურს უკეთესი ქალი შეეფერებოდაო.

სტუმრები რომ წავიდნენ, რეგინა ფორსიუსი დივნიდან წამოდგა და საწერ მაგიდასთან მივიდა, რათა ქმრისთვის ეკითხა, რა შთაბეჭდილება მოახდინა მასზე ამ ვიზიტმა.

მოხუცს განზე გადაედო რუხი ქაღალდები და ერთ დიდ ფურცელზე ბატის ფრთით გულმოდგინედ წერდა რაღაცას. ცოლი მაგიდისკენ დაიხარა და დაინახა, რომ პასტორი არზას უწერდა მის უსამღვდელოესობას, კარლსტადის ეპისკოპოსს.

- ეგ რასა წერ, ფორსიუს?! - წამოიძახა ქალმა.

ქმარმა წერა შეწყვიტა, კალამი პატარა საფანტიან ქილაში ჩადო და ცოლს მიუბრუნდა:

- გინა, ძვირფასო, - უთხრა მან, - ეპისკოპოსს ვთხოვ, რომ სხვა სამრევლოში გადაიყვანოს კარლ-არტური და მის ნაცვლად ახალი თანაშემწე დამინიშნოს. შარლოტას დავპირდი, რომ კეთილმოწყალე ვიქნებოდი კარლ-არტურისადმი და ასეც ვიქცეოდი, სანამ ეს შესაძლებელი იყო, მაგრამ ახლა აჯობებს, იგი აქაურობას განერიდოს. აბა, დაფიქრდი, ჩემო კარგო: მთელი მრევლი მხოლოდ იმას ლაპარაკობს, ისე უყვარს ორგანისტის ცოლი, როგორც კი ეკლესიაში დაინახავს, ამქვეყნად აღარაფერი ახსოვსო.

პასტორის ცოლს თავზარი დაეცა.

- რას ამბობ, ფორსიუს! კარლ-არტურმა ახლახან შეირთო ცოლი და ჩვენს სამრევლოში დაიდო ფუძე. დარწმუნებულია, რომ მანამდე მაინც იქნება აქ, სანამ შენ ცოცხალი ხარ. მერედა მისი ცოლის ბედზე არ ფიქრობ?

- ჩემო ძვირფასო, - მიუგო პასტორმა, - უდიდესი თანაგრძნობით ვარ გამსჭვალული ამ ღირსეული ახალგაზრდა ქალისადმი,

რომელმაც თავისი სახლ-კარი მიატოვა და ჩვენს მხარეში წა-მოჰყვა ქმარს. სწორედ მისი გულისთვის ვწერ ამ არზას. კარლ--არტური ჩვენს სოფელში რომ დარჩეს, დარწმუნებული უნდა იყო, ისევე შეაქცევს მას ზურგს, როგორც შარლოტასა და თავის მშობელ დედას.

ნაწილი მეორე

სამოთხე

I

კარლ-არტურ ეკენსტედი, რომელიც წელიწად-ნახევრის განმავლობაში წარამარა გადაჰყავდათ ერთი სამრევლოდან მეორეში და მუდმივი ადგილი კი ვერსად მიუჩინეს, ერთხელ, შემოდგომის ავდრიან დღეს, სოფლის შარაგზით მიემგზავრებოდა კორსჩურკაში, სადაც ერთი თვის წინ პასტორი ფორსიუსი გარდაიცვალა. დაქვრივებულმა რეგინა ფორსიუსმა, რომელსაც ლამის შვილივით უყვარდა კარლ-არტური, ეპისკოპოსისა და ტაძრის კაპიტოლიუმის წინაშე იშუამდგომლა, ახალი პასტორის დანიშვნამდე მისთვის ადგილი მიეცათ კორსჩურკაში. მისი თხოვნა მართლაც დააკმაყოფილეს, თუმცა, ერთხანს მერყეობდნენ კიდეც, რადგან პოლკოვნიკ ეკენსტედის შვილს მაინცდამაინც კარგი თვალით არ უყურებდა უმაღლესი სამღვდელოება.

რა გასაკვირი იყო, რომ მგზავრი ახლა ამ დროს იგონებდა, როდესაც წლინახევრის წინ ახალშერთულ ცოლთან დააშორიშორეს და სხვა სამრევლოში გაამწესეს პასტორის თანაშემწედ. სიმართლე ითქვას, იმხანად მაინცდამაინც გულს არ დაჰკლებია

ამით. აუწერელი იყო მისი იმედგაცრუება, როცა მიხვდა, ანა სულით ხორცამდე ცრუმორწმუნე ყოფილა. ამან ისეთი ზიზღი და სიძულვილი ჩაუსახა, რომ სულ მთლად ჩაუშხამა ახალშერთულ ცოლთან ყოფნა. ახლა კი სულ სხვა გუნებაზე იყო. ხანგრძლივი განშორების შემდეგ ცოლისადმი არავითარი სხვა გრძნობა აღარ ჰქონდა, გარდა სიყვარულისა, მადლიერებისა და ასე გასინჯეთ, აღტაცებისაც.

„როგორც იქნა, მოვესწარით იმ დროს, - ფიქრობდა იგი, - როცა ჩემს საოცნებო სამოთხეს შევქმნით ამ ცოდვილ მიწაზე“.

იგი დარწმუნებული იყო, რომ რაკი რამდენიმე სამრევლო მოიარა, ბევრი სასარგებლო და აუცილებელი რამ შეიტყო და შეითვისა. ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, სჯეროდა, რომ სწორი იყო მისი თავდაპირველი გეგმა. სხვა რამ კი არა, მხოლოდ უგუნური ლტოლვა მიწიერი კეთილდღეობისადმი იყო ადამიანთა უმეტეს უბედურებათა მიზეზი. თუ სულ მცირედსაც იკმარებ, არ გაცდუნებს ანგარებიანი მისწრაფებანი, არ გამოიჩენ ისეთ გულნამცეცობას, რომ ესწრაფოდე შენს მოყვასზე უმეტეს აღზევებას. აი, ეს არის ამქვეყნიური ბედნიერების მოპოვებისა და იმქვეყნიური ნეტარების დამკვიდრების ჭეშმარიტი გზა.

მაგრამ ქადაგება და რჩევა-დარიგება როდი იკმარებს, რომ ეს მარტივი ჭეშმარიტება შეაგნებინო ხალხს. თუ გინდა, ადამიანები შენს კვალს დაადგნენ, გულის ამაჩუყებელ შეგონებებზე უფრო ძლიერი იქნება მისაბაძი მაგალითი.

კარლ-არტურმა თვალები დახუჭა. თავისი ცოლი წარმოისახა, ნაზი გრძნობითა და აღტაცებით აღევსო სული და გული.

კორსჩურკიდან რომ მიემგზავრებოდა, ცოლს გამოუცხადა, მედსტუბიუნში დაბრუნება მოგიწევსო. ქმარი თან ვერ წაიყვანდა, თავადაც ხომ სხვის ხარჯზე უნდა ყოფილიყო იმ სამრევლოს

პასტორის კარ-მიდამოში, სადაც გზავნიდნენ. მცირე ხელფასი რომ დაუტოვეს, რაღაც ას ორმოცდაათიოდე რიქსდალერი, მას კი გაუგზავნიდა ხოლმე, მაგრამ ამ ფულს შინ უფრო იკმარებ, ვიდრე აქ, კორსჩურკაშიო. კარლ-არტურს არ სჯეროდა, რომ მისი ცოლი მარტოდმარტო გაძლებდა ამ პატარა ქოხში, თუ არც შემწე ეყოლებოდა ვინმე და არც მფარველი.

მაგრამ ანამ არ ინდომა მედსტუბიუნში დაბრუნება.

- მეც ისე გავიჭირვებ, როგორც სხვა ცოლები, რომელთა ქმრებიც საშოვარზე დადიან ხოლმე, - უთხრა მან, - სხვა რომ არა იყოს რა, ანთებულ ღუმელსა და სუფთა ლოგინს დაგახვედრებ, როცა ჩამოხვალ ხოლმე.

ესეც ხომ კეთილშობილება იყო, მარტოობასა და სიღარიბეს რომ არ შეუშინდა ანა და მოთმინებით ელოდა ქმარს. თუმცა, ეს არცთუ ისე დასაკვეხნი იყო: მის მდგომარეობაში მყოფნი სხვებიც ასე მოიქცეოდნენ, მაგრამ აქ სულ სხვა ამბავი იყო.

კორსჩურკიდან კარლ-არტურის წასვლის შემდეგ დიდ დროს არ გაუვლია, როცა იმ დედაბერმა, მატს-ტორპარის შვილებს რომ მიუჩინეს მომვლელად, აღარ ინდომა მათი ზედამხედველობა და ქველმოქმედი მანდილოსნები, რომელთაც ობლების მზრუნველობა იკისრეს, ამაოდ ეძებდნენ მის შემცვლელს. ბოლოს, რაკი სხვა გზა აღარ იყო, ისღა დაასკვნეს, ბავშვები სათითაოდ ჩამოერიგებინათ სოფელში. რასაკვირველია, აუქციონის მოწყობას აპირებდნენ და ამიტომ გადაწყვიტეს, ვისაც კარგად ვიცნობთ და რიგიანი კაცის სახელი აქვს, ობლები მხოლოდ იმათ ვანდოთო. ბავშვები საშინლად აფორიაქდნენ, როცა შეიტყვეს, ერთმანეთს უნდა დაგვაშორონო, და როცა დედობილ--მამობილები თავიანთი აღსაზრდელების წასაყვანად მოვიდნენ, სახლი ცარიელი დახვდათ, ბავშვები კი არსად ჩანდნენ.

ამ ანცი გოგო-ბიჭების ძებნას რომ შეუდგნენ, რა თქმა უნდა, მეზობელ სახლს მიაშურეს, რათა იქ გამოეკითხათ მათი ასავალ-დასავალი. თურმე ათივე ბავშვს სწორედ იქ შეეფარებინა თავი. კარლ-არტურის ცოლს, ღარიბ დალეკარლიელ ქალს, შემოხვეოდნენ ირგვლივ. ანა სვერდმა მოსულებს მაშინვე გამოუცხადა, რაკი ეს ბავშვები ჩემს ქმარს აუქციონზე ერგო, მაშასადამე, მას ეკუთვნიან. ჰოდა, ახლა ისინი თავიანთ სახლში არიან და ნურავინ იფიქრებს კარლ-არტურის უკითხავად მათ წაყვანასო.

როცა გონების თვალით წარმოიდგენდა ამ სცენას, რომელიც წვრილად ამცნეს წერილებით როგორც პასტორის ცოლმა, ისე ფრუ სუნდლერმა, კარლ-არტური უდიდეს სიამოვნებას განიცდიდა. თურმე ისე გაცხარდნენ ის დედობილ-მამობილები, რომ რამდენიმე ქველმოქმედი მანდილოსანიც კი მოიწვიეს დავის მოსაგვარებლად. როცა არც მათ გაუვიდათ ტკბილი სიტყვა, აშკარად უთხრეს მასპინძელს, თუ ბავშვებს არ მოგვცემ, მათ შესანახ ფულს ვერ მიიღებო. მედსტუბიუნელმა ანა სვერდმა მხოლოდ გაიცინა ამის პასუხად. ვის სჭირდება ეს დახმარება? ბავშვებს თვითონვე შეუძლიათ თავის რჩენა. განა ანა მთელი თავისი დღე და მოსწრება ასე არ ცხოვრობდა? ხოლო თუ მათ სურთ, უცხო ხალხს დაურიგონ ეს ბავშვები, რომელთა მეურვეობა მისმა ქმარმა იკისრა, ჯერ ანა მოკლან და მერე ჩაიდინონ ეს საქმე.

კარლ-არტურს თითქოს ყურში ჩაესმოდა მისი წკრიალა დალეკარლიული და ხედავდა, როგორ ასავსავებდა ანა ხელებს. ცოლი მის თვალში იქცა ნამდვილ გმირად, რომელმაც ეს დამფრთხალი ბავშვები შეიფარა და დაიცვა. ჰოდა, აბა, როგორ არ ეამაყა ასეთი ცოლით!

ანამ საბოლოო გამარჯვებამდე მიიყვანა ეს საქმე. ბავშვებს მასთან დარჩენის ნება დართეს, თუმცა, ამით მან ზედმეტი სადა-

ვიდარაბო გაიჩინა. ქველმოქმედი მანდილოსნების მუქარა მართალი არ გამოდგა, მაგრამ ანამ აუკრძალა ბავშვებს მოწყალეების აღება. ახლა ღირსების საქმედ ექცა, რომ ბავშვებთან ერთად თვითონვე ერჩინა თავი.

ო, როგორ სწყურია კარლ-არტურს შინ დაბრუნება, ანასთვის მადლობის თქმა, ნაზი მზრუნველობის გამოჩენა, მეხსიერებიდან ძირფესვიანად ამოძირკვა იმ გულცივობისა, რომელიც ერთხელ გამოიჩინა მისდამი თავისი მეტისმეტი თავდაჯერების გამო.

მგზავრი ანაზდად ფიქრებიდან გამოერკვა. მეეტლემ გვერდზე გადაუხვია, რათა გზა დაეთმო დიდი ორცხენიანი ეკიპაჟისთვის, რომელმაც მათ ჩაუქროლა.

კარლ-არტურმა მაშინვე იცნო ეტლიცა და მასში მსხდომნიც. განა გასაკვირი არ იყო, რომ კორსჩურკაში დაბრუნებისას სწორედ მათ შეხვდა!

კოფოზე ამაყად იჯდა სახეგაბრწყინებული შარლოტა და ცხენებს მიერეკებოდა, მეეტლე კი გვერდით ეჯდა და გულხელი დაეკრიფა. ეკიპაჟში შაგერსტრიომი და პასტორის ქვრივი ფორსიუსი ისხდნენ.

შარლოტას გულისყური ცხენებისკენ ჰქონდა და კარლ--არტური ვერ შეამჩნია, რეგინა ფორსიუსმა და შაგერსტრიომმა კი თავი დაუქნიეს. კარლ-არტური საპასუხოდ არ მისალმებია მათ. საკუთარი გულისთქმაც ვერ გაიგო, ისე დააბნია შარლოტას დანახვამ. ბედნიერება და სიხარული დაეუფლა მთელ მის არსებას, მაგრამ საოცარია, მან ხომ დიდი ხანია გულიდან ამოიგდო შარლოტას სიყვარული.

და როდესაც გაიხსენა, როგორ შეხვდნენ უკანასკნელად, მაშინღა შეძლო თავის გრძნობაში გარკვევა. სიყვარულით მას მხოლოდ თავისი ცოლი უყვარდა, შარლოტა კი, მისი კეთილი

მეგობარი, მფარველი ანგელოზი იყო. ამიტომ გაუხარდა მისი დანახვა.

და ასე ეგონა, ეს შეხვედრა როგორღაც იმ სასიხარულო წინათგრძნობის დადასტურება იყო, რომლითაც მომავალს შეჰყურებდა.

II

არავის არასოდეს სმენია, ადამსა და ევას შვილები ჰყოლოდეთ სამოთხეში ყოფნის დროს. არც ძველი თქმულებები არსებობს, კაცობრიობის მცირეწლოვანი შვილები როგორ დარბოდნენ ლომის ბოკვერებთან ერთად, ან როგორ დასეირნობდნენ ისინი ლევიათანის ან ბეჰემოთის ზურგზე წამოსკუპებულნი.

ბავშვები, ალბათ, სამოთხიდან გაძევების შემდეგ გაჩნდნენ, ანდა იქნებ სწორედ უმეტესწილად ისინი და არა გველი და ცნობადის ხეზე გამოსხმული ვაშლები იყო სამოთხის ბაღიდან მათი მშობლების გაძევების მიზეზი. ეს კია, რომ ასეთი ამბები დღემდეც ხდება.

მაგალითისთვის შორს წასვლა არ დაგვჭირდება, აი, თუნდაც კარლ-არტურ ეკენსტედის ამბავი მოვიკითხოთ. შინ რომ ბრუნდებოდა, ხომ ბრწყინვალე მიზანი ჰქონდა დასახული - ახალი სამოთხის შექმნას აპირებდა იმ პატარა ქოხში, ექიმის ბაღს უკან რომ იდგა. ღრმად იყო დარწმუნებული, რომ განახორციელებდა ამ განზრახვას, მაგრამ იმ ათი ბავშვის ამბავს კი არ დაფიქრებია.

ერთხელაც არ მოსვლია აზრად, რომ ისინი დღედაღამ მასთან იქნებოდნენ. ღამით ხომ მაინც თავიანთ სახლში დაიძინებდნენ, რომელიც სულ ორი სახლის ნაბიჯზე იყო მათგან, მაგრამ, როცა ცოლს ჰკითხა, რატომ შინ არ უნდა ეძინოთ ბავშვებსო, ანამ სასაცილოდ აიგდო:

- ეგებ ფიქრობ, რომ ჩეჩქივით გვაყრია ფული. გაყინულ ქოხში ხომ ვერ იქნებიან ბავშვები, შეშას კი, შენც იცი, ფული უნდა.

და იგი იძულებული გახდა, შერიგებოდა იმას, რომ სამზარეულოში, რომელიც ფრუ სუნდლერის მეოხებით შესანიშნავად იყო დალაგებული და გაკრიალებული, შემოათრიეს ვეებერთელა დასაძინებელი მერხი და ორი პატარა დივანი. საშინლად ჩაიხერგა იქაურობა, რა გინდა, იქ რომ არ იყო: სამი სართავი და ქსელის გასაბმელი ჩარჩო, ორი დაზგა მაქმანების საქსოვად, საჩეჩელი, ჯარა და პატარა მაგიდა, რომელზეც ანა ძუისგან სხვადასხვა ნაკეთობას ამზადებდა ხოლმე. ერთი სიტყვით, იმდენი ხელსაწყო და მოწყობილობა დახროვდა, რომ კარლ--არტურს გავლაც კი უჭირდა. მაგრამ ყველაფერი ეს საჭირო იყო, ვინაიდან ცოლი და ბავშვები ამ გზით სარჩოს შოულობდნენ, რაკი სამრევლოს მცხოვრებთაგან შეკვეთებს იღებდნენ მაქმანების, ძუისგან დაწნული საათის ძეწკვების, ზონრებისა და ქსოვილის დამზადებაზე. ამის გარდა, თავიანთი ტანსაცმელიც ხომ თვითონ უნდა მოექსოვათ.

დგარში მაქოს ყოველი ჩარტყმისას მთელი სახლი ზანზარებდა, ხოლო, როცა სართავ ჯარასა და საშულოეს ამუშავებდნენ, ისეთი ზუზუნი და ხმაური ესმოდა კარლ-არტურს, თითქოსდა კაბინეტში კი არა, წისქვილში ყოფილიყოს. როცა სასადილოდ სამზარეულოში გამოდიოდა, საჭმელი ბავშვების დასაძინებელ მერხზე დადგმულ მაგიდის ზედა ფიცარზე იდგა. ხოლო თუ ჩაილაპარაკებდა, ურიგო არ იქნებოდა, კარი ცოტა გამოგვეღო

და სუფთა ჰაერი შემოგვეშვაო, ცოლი მაშინვე მიუგებდა, რომ კარი ისედაც კარგა ხანს გვქონდა ღია და დღეში მხოლოდ ერთხელ შეგვიძლია ქოხის განიავება, რადგან ჩეჩქივით არ გვაყრია ფულიო.

ვინაიდან ათივე ბავშვი მასთან ცხოვრობდა, იმასაც უნდა შერიგებოდა, რომ მათი საგარეო ტანსაცმელი - კოფთები და სერთუკები, კაბები და შარვლები - დერეფანში ეკიდა და თუ ვინმე რაიმე საქმეზე სახლში ეწვეოდა პასტორს, აუცილებლად თვალში შეეჩხირებოდა ეს მორთულობა. კორსჩურკაში ამის მსგავსი არასოდეს არაფერი უნახავს და ამიტომ ცოლს სთხოვა, სხვენში აეტანა ბავშვების ტანსაცმელი, მაგრამ მაშინვე ამცნეს, რომ სხვენში ვირთაგვები დაძრწიან და ჩრჩილი დაფრინავს. ტანსაცმელი ერთ თვეში დაიძონძება, ახალი კი, აბა, საიდან იშოვონ, განა ჩეჩქივით უყრიათ ფული.

ადრე ხომ ლამაზი იყო ანა, ბოლო დროს უფრო დამშვენდა, ნაზი სიყვარულით უყვარდა ქმარი, თავი ამაყად ეჭირა და ბედნიერებას განიცდიდა, რაკი კარლ-არტური კვლავ დაბრუნდა შინ. კარლ-არტურსაც უყვარდა იგი, და ბავშვები რომ არა, ისინი მართლაც ბედნიერები იქნებოდნენ.

ეკენსტედი იძულებული იყო, ეღიარებინა, რომ არავინ იცოდა ბავშვებთან ისე კარგად მოქცევა, როგორც მისმა ცოლმა. მართალია, ერთხელაც არ შესწრებია, რომ ანა მოალერსებოდეს მათ, მაგრამ ცემითაც არ სცემდა, თუმცა, დატუქსვა კი, გიყვარდეს, იცოდა, ხოლო თუ რაიმეს დააშავებდნენ, კარგა გვარიანად შეახურებდა კიდეც. ეს კია, როგორც უნდა მოპყრობოდა, პატარებს მზე და მთვარე ამოსდიოდათ მასზე. და განა მხოლოდ მატს-ტორპარის ბავშვებს. სამზარეულოში ისედაც ტევა არ იყო, თორემ მთელი სამრევლოს გოგო-ბიჭები მოიყრიდნენ

აქ თავს, რათა ტკბილი სიტყვის მოლოდინში საათობით ეცქირათ ყოველი მისი მოძრაობისთვის.

განა გასაოცარი არ არის, რომ ეს ათი ბავშვი, მანამდე რომ მამალი ფუტკრებივით სხვისი ხელის შემყურენი იყვნენ, ახლა შრომისმოყვარე ჭიანჭველებივით ბეჯითობდნენ. და თუმცა დილიდან საღამომდე ჯაფაში იყვნენ, ფერზეც მოვიდნენ და ხორციც შეისხეს. თითქოს მათთვის უდიდესი ბედნიერება ამ ქალის გვერდით ცხოვრება იყო და ამიტომაც გალაღდნენ ასე.

კარლ-არტური რომ დაბრუნდა, ათივე ბავშვი ისეთივე სიყვარულითა და პატივისცემით განიმსჭვალა მისდამი, როგორც მის ცოლს აღმერთებდნენ. ყველაზე მეტად, თუმცა, გაუგებარი იყო რატომ და რისთვის, უმცროს გოგონას მოეწონა იგი. წამდაუწუმ მუხლებზე აუცოცდებოდა და ლოყებზე უცაცუნებდა ხელებს. აბა, საიდან უნდა სცოდნოდა, რომ ჭუჭყიანი თითები და წვინტლიანი ცხვირი ჰქონდა. და რადგან ვერ მიხვედრილიყო, მაშინვე ცივად დაბლა რატომ ჩამოსვამდნენ, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, აღრიალდებოდა ხოლმე.

ნეტავ იმწუთას გენახათ ანა სვერდი! კრუხივით მოვარდებოდა, ბავშვს აიტაცებდა და გულში ჩაიხუტებდა, თითქოს მტრისგან იცავსო, თან ისეთი თვალით შეხედავდა ქმარს, რომ იგი ბრინჯივით იბნეოდა.

საერთოდ კი, უნდა ითქვას, რომ მისი ცოლი ადრინდელივით ლამაზი იყო, მაგრამ მაინც რაღაც ცვლილება დაეტყო. მას შემდეგ, რაც ამდენი ბავშვის უფროსობა მოუხდა, სოფლის ბობოლა თავკაცის ცოლივით მბრძანებლობდა. ქალწულებრივი ანცობა და მორჩილი თვინიერება სამუდამოდ ჩაჰბარდა წარსულს.

III

კარლ-არტურს განებივრებული არ ეთქმოდა. სასმელ--საჭმელს არ ირჩევდა, დილიდან საღამომდე მუშაობდა, არასდროს დაუჩივლია ჯაყჯაყა ოთხთვალათი რომ მგზავრობდა და ქადაგებას გაყინულ ეკლესიაში რომ ამბობდა. მაგრამ აუცილებლობად მიაჩნდა სისუფთავე და წესრიგი, მყუდროება და სიჩუმე მუშაობისას, არადა, სწორედ ეს აკლდა, სანამ მის სახლში ბავშვები ცხოვრობდნენ.

ერთხელ, დილით, სასაუზმოდ სამზარეულოში რომ გავიდა, ერთი სოფლელი მეჯღანე დახვდა იქ. თავისი სახარაზო დაზგა ფანჯარასთან დაედგა, სწორედ იმ ადგილას, სადაც კარლ--არტურს უყვარდა ჯდომა. მთელ სამზარეულოში ტყავისა და ფისის სუნი იდგა, არეულობას თან ისიც დამატებოდა, რომ ყველგან ეყარა არყის ხის ქერქები, კალაპოტები და ფეხსაცმლისსაცხიანი ქილები.

შუა ოთახში გამოწეულ სასადილო მაგიდაზე ცოლს დაედგა ორი წყალწყალა ფაფიანი თეფში და ასევე, ფაფით სავსე კალის ორი დიდი ბადია. თეფშები, რა თქმა უნდა, მისთვის და იმ ხელოსნისთვის იყო განკუთვნილი. ცოლსა და ბავშვებს კი, როგორც ყოველთვის, ბადიიდან უნდა ეჭამათ ფაფა.

რა დასამალია, კარლ-არტურს არაერთხელ უსაყვედურებია ამის გამო ცოლისთვის, მაგრამ კერძებს როდი უწუნებდა, სულაც არა. მართალია, მეტისმეტად უბრალო და ღარიბულ საჭმელს უმზადებდნენ, მაგრამ ეს ხომ ასეც უნდა ყოფილიყო. კარლ-არტური იმას სთხოვდა ცოლს, ბავშვებს ცალ-ცალკე

თეფშებიდან ეჭამათ საჭმელი, ისიც აუხსნა და განუმარტა, რომ პატარაობიდანვე თანდათან უნდა შეეჩვია ისინი რიგიან მოქცევას.

ანამ კი მხოლოდ ის მიუგო, ალბათ, სრულ ჭკუაზე ვერა ხარ, თუკი ფიქრობ, იმის დრო მაქვს, რომ ათ-ათი თეფში ვრეცხო დღეში სამჯერ. პირადად შენ კი, რადგან მიჩვეული ხარ, ყოველთვის ცალკე დაგიდგამ თეფშსო.

მაგრამ კარლ-არტურს იმის დაუნახაობაც არ შეეძლო, რომ ბავშვები სუფრაზე ზრდილობიანად იქცეოდნენ, არც იმის შეხსენება სჭირდებოდათ, რომ ლოცვა წარმოეთქვათ, საჭმელს არ იწუნებდნენ და არც ფაფაზე მოსდიოდათ დავა ერთმანეთში. ამიტომ კარლ-არტური არცთუ ისე იმრიზებოდა, მათთან ერთად რომ ჭამდა საჭმელს, მაგრამ მეჯღანის გვერდით სუფრაზე დაჯდომა კი მართლაც შეეზიზღა, და როცა მისი კოჟრიანი, ფისისგან ჩაშავებული თითები დაინახა, სულაც დაეკარგა ჭამის მადა.

ანგარიშმიუცემლად წამოდგა, აიღო თავისი თეფში, კოვზი, ნაჭერი პური და თავის კაბინეტში გავიდა.

ეს გახლდათ მისი სავანე, აქ ჰაერიც სუფთა იყო, მტვერიც - გადაწმენდილი. სიმართლე ითქვას, ცოტა კი შერცხვა თავისი მოქმედებისა, მაგრამ იმის უარყოფაც არ შეეძლო, რომ დიდი ხანია, ასე გემრიელად არ უსაუზმია.

სამზარეულოში რომ დაბრუნდა და თეფში შეიტანა, სამარისებური სიჩუმე დახვდა. ხელოსანი კოპებშეკრული იჯდა და ხმის ამოუღებლად ჭამდა. ანასა და ბავშვებს ისე დაეხარათ დაბლა თვალები, თითქოს კარლ-არტურს კი არა, თვითონ ჰქონდათ დასარცხვენად საქმე.

ეკენსტედს იმ დღეს როგორღაც გული არ უდგებოდა შინ; ქუდი დაიხურა და გარეთ გავიდა. უაზროდ დაეხეტებოდა სოფლის შარაზე და არ კი იცოდა, სად შეეფარებინა თავი, ფრუ სუნ-

დლერთან ვერ მივიდოდა, რადგან ორგანისტს რევმატიზმი აწუ-ხებდა და ცოლი ისეთი მზრუნველობით უვლიდა, ერთი წუთითაც ფეხს არ იცვლიდა მისი ოთახიდან. პასტორის ცოლთანაც არ შე-ეძლო მისვლა გულის გადასაყოლებლად: შარლოტამ არ ინდო-მა, რომ მისი მოხუცი მეგობარი ქალი ქმრის ჯავრს გადაჰყოლო-და მარტო მყოფი და ამიტომ „ტბის აგარაკზე“ მიიწვია ზამთრის გასატარებლად.

და ახლა, როცა კარლ-არტური პასტორის კარ-მიდამოს მი-ადგა, მიხვდა, რა ძალიან მონატრებოდა ეს ძველი, მშვენიერი სახლი, საშინელი სევდა შემოაწვა გულზე. ჭიშკარი გამოაღო და ეზოს გავლით ბაღისკენ გაეშურა.

გასაკვირი არ არის, რომ როცა იგი გადაბელილი მაღალი ხეების მწკრივს მიჰყვებოდა, კვლავ გაახსენდა, უკანასკნელად შარლოტასთან ერთად რომ სეირნობდა აქ. მოიგონა, როგორ წაიჩხუბნენ და მერე გაცხარებულმა რომ უთხრა, მხოლოდ იმას შევირთავ ცოლად, ვისაც თვით უფალი მომივლენსო.

და აი, ახლა ცოლად ჰყავდა ის ქალი, რომელიც განგებამ შე-ახვედრა სოფლის შარაზე. სჯეროდა, რომ სწორედ ეს ქალი იყო მისი ახდენილი ნატვრა, და რომ ისინი ახალ სამოთხეს შექმნიან ამ ცოდვილ მიწაზე. ნუთუ ეს ოცნება მხოლოდ იმიტომ უნდა გამ-ხდარიყო აუხდენელი, რომ უამრავი ბავშვი ეხვიათ ირგვლივ? ხომ მართალი იქნებოდა შარლოტა, თუკი მასხრად აიგდებდა იმის გამო, რომ ათიოდე ბავშვს ვერ მოუარა და მხოლოდ იმი-ტომ ჩაეშალა თავისი გეგმები.

შინ სადილობისას დაბრუნდა, მაგრამ სამზარეულოში შეს-ვლა ვერც კი მოასწრო, რომ ცოლმა სუფთა ლანგარით საჭმელი შემოიტანა. როგორც ყოველთვის, ახლაც მხიარულად და ხალი-სიანად შეეგება ქმარს.

- იცი რა, მეგონა, ჩვენთან ერთად გსიამოვნებდა ჭამა-სმა. თუ ეს არ გინდოდა, ადრევე რომ გეთქვა, ყოველთვის აქ შემოგიტანდი ხოლმე საჭმელს.

კარლ-არტურმა მაშინვე მიუგო, რომ სულაც არ უკადრისობს ცოლსა და ბავშვებთან ერთად პურისჭამას, მხოლოდ ეგაა, მეჯღანის გაფისულმა თითებმა დამაფრთხოო. მერე ცოლს შესთავაზა, მოდი, ერთად გავტეხოთ პური, რა კარგი იქნებოდა, ერთხელ მაინც მარტო გვესადილაო.

არა, ანა ამაზე თანახმა არ არის. იგი ბავშვებთან ერთად უნდა იჯდეს და თვალყური ადევნოს მათ, მაგრამ სიამოვნებით დარჩება მასთან, სანამ სადილს დაასრულებს.

ანა საწერ მაგიდასთან მიდგმულ სავარძელში ჩაჯდა და საუბარი გაუბა ქმარს. კარლ-არტურმა მისი ნაამბობიდან შეიტყო, რომ ხელოსანი მხოლოდ საღამომდე დარჩებოდა მათთან, რადგან უკვე სხვასთანაც იყო გარიგებული და იქ ახალ წლამდე უნდა ემუშავა. ამიტომაც ანა ბავშვებს დანაპირებს ვეღარ შეუსრულებდა: ბავშვებს საშობაოდ ახალი ფეხსაცმელები არ ექნებათ, ცისკრის ლოცვაზე რომ წავლენ.

კარლ-არტური მიხვდა, რომ ხელოსანი განაწყენებული იყო მასზე და იმიტომ ანებებდა თავს მათთან მუშაობას, მაგრამ როგორ უნდა შემოევლო ამ საქმისთვის?

და უცებ თვალწინ დაუდგა შარლოტა: იგი მწარედ დასცინოდა მას, რომ ასეთ უბრალო საქმესაც კი ვერ დაადგა თავი.

ცოლმა ლანგარი გაიტანა, ის კი ჩაფიქრებული იჯდა, მაგრამ მაშინვე მიხვდა, როგორ უნდა მოქცეულიყო. თავისი ჩექმები აიღო, რომლებსაც ქუსლსაკრავი ჰქონდა გამოსაცვლელი, სამზარეულოში გავიდა და სახარაზო დაზგის გვერდით დაჯდა, მე თვითონ მინდა გავაკეთო, მხოლოდ თუ მასწავლი ამ საქმესო,

უთხრა ხელოსანს. რადგან უარი არ უთხრეს, ცოლის დიდი წინსაფარი აიფარა და კარგა გვიანობამდე სწავლობდა ხარაზობას.

მაგრამ ერთი საღამო ხომ არ ეყოფოდა ამ ხელობაში დაოსტატებას? ამიტომ ხელოსანს შეუთანხმდა, რომ ხვალაც მისი შეგირდი იქნებოდა. თავაზიანი, დაუზარელი კაცი გახლდათ ეს მოხუცი, თან კიდევ ის საღამო შეხმატკბილებულად გაატარეს, ამიტომ ხელოსანიც მაშინვე დაეთანხმა.

IV

ამ ბავშვების გულისთვის სახარაზო დაზგას რომ მიუჯდა კარლ-არტური, ეს კიდევ ცოტაა. მათი გამოისობით იყო, სერმიაგის უბრალო ტანსაცმელი რომ ეცვა ახლა და ნამდვილ მეწისქვილეს ჰგავდა. შობის წინადღე, რაც მართალია, მართალია, შესანიშნავად გაატარეს. სამზარეულო საგულდაგულოდ დაგავეს, მთელი ხელსაწყოები გაიტანეს, იატაკზე გაშალეს ყვითელი სურნელოვანი ნამჯა, შუა ოთახში კი თეთრსუფრაგადაფარებული მაგიდა დადგეს. ბავშვებიც დაბანილ-დავარცხნილები იყვნენ, ახალი ფეხსაცმელი და ახალი ტანსაცმელი ეცვათ, უზომოდ მხიარულობდნენ, რაკი ბოლოს და ბოლოს, მაინც მოვიდა ეს სანატრელი შობის დღესასწაული. თითქმის მთელმა სოფელმა გამოგზავნა ამ პატარა ქოხში საჩუქრები: ძეხვი, კარაქი, პური, ყველი და საშობაო სანთლები. საშობაო საჩუქრებზე უარის თქმა არ იქნებოდა და მთელი საკუჭნაო აივსო ხორაგით, ხოლო მაგიდაზე თორმეტ ადგილზე დახვავებული იყო ფუნთუშები, კრენდელები და ვაშლები.

კარლ-არტურმა მოკლე ლოცვა წარმოთქვა და ცოლსა და ბავშვებთან ერთად საშობაო ფსალმუნები იგალობა. და მერე, სანამ ცოლი ქვაბში ფაფას ურევდა, ბავშვებთან ერთად ნამჯაზე თამაშობდა და კოტრიალობდა.

საღამო რომ მიიწურა, კარლ-არტურმა საჩუქრები ჩამოარიგა. ბავშვებს ხელოსნის მიერ საგანგებოდ დამზადებული ციგურები და ციგები ერგოთ, ცოლს კი ძველებური საჰალსტუხე ქინძისთავი, რომელიც ადრე დედამისს ეჩუქებინა კარლ--არტურისთვის. საჩუქრები ყველას ძალიან მოეწონა და მათ მხიარულებას ბოლო არ უჩანდა.

თვითონ მას აზრადაც არ მოსვლია, რომ საჩუქარი ელოდა, მაგრამ როგორც კი სუფრიდან წამოიშალნენ, ორი უფროსი ბავშვი გამოეშურა მისკენ, რომელთაც ძლივს მოჰქონდათ თოფად დახვეული მძიმე ქსოვილი. ამ ორს მოსდევდნენ ანა და მის უკან ჩამწკრივებული დანარჩენი ბავშვები. კარლ-არტური მიხვდა, რომ ახლა მის ჯერი დადგა საჩუქრის მიღებისა.

- რომ იცოდე, როგორ უხაროდათ ბავშვებს შენთვის საჩუქრის მოტანა, - უთხრა ცოლმა, - მთელი შემოდგომა მუშაობდნენ ამაზე.

მათი საჩუქარი გახლდათ შინნაქსოვი რუხი მაუდი. იგი მყის დაიხარა და ხელით მოსინჯა ქსოვილი. ყველამ კარგად იცის, რომ სერმიაგის გამძლე და თბილი ქსოვილია, მაგრამ ამავე დროს მეტისმეტად უხეში, სქელი და რუხი. კარლ-არტურს კი მუდამ თხელი და პრიალა ქსოვილის ტანსაცმელი ეცვა და უხდებოდა კიდეც. და ერთხელაც არ მოსვლია ფიქრად, რომ სერმიაგის სერთუკს ჩაიცვამდა.

ამ საჩუქარმა საშინლად ატკინა გული; ახლა მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, ისეთი რა საბაბი მოეგონებინა, რომ ამ ქსოვილის-

გან ტანსაცმელი არ შეეკერა და ტეტია გლეხივით არ გამოწყობილიყო.

ცოლი და ბავშვები მადლობისა და ქების მოლოდინით შესცქეროდნენ, და რაკი ვერც მადლობას ეღირსნენ, ვერც შექებას, შეცბნენ და შეშფოთდნენ.

კარლ-არტურმა იცოდა, რამდენი შრომა მოუხდებოდათ მათ მატყლის შოვნაზე, ჩეჩვაზე, დართვასა და მოქსოვაზე. მთელი შემოდგომა დასჭირვებიათ. ცხადია, როცა მატყლს ჩეჩდნენ, რეცხავდნენ და ქსოვდნენ, იმით იმხნევებდნენ გულს და ერთმანეთსაც იმით ახალისებდნენ, რომ კარლ-არტურს გაუხარდებოდა და შეუქებდა მაუდს. თან კიდევ გაიკვირვებდა, ამდენი ფული რომ დაახარჯეს მის საჩუქარს. მერე იმასაც იტყოდა, კიდევ კარგი, ამიერიდან მაინც მექნება სქელი მაუდის ტანსაცმელი და აღარც შინ შემცივდება, აღარც გარეთო. აი, რას მოელოდნენ ბავშვები მისგან. როგორ მოქცეულიყო? თუ ამ ნანატრ ტკბილ სიტყვებს არ ეტყოდა, ხომ ჩაუშხამდებოდათ შობის დღესასწაული, რომელსაც ასე მოუთმენლად ელოდნენ.

კარლ-არტურს დედისგან გამოჰყვა საჩოთირო მდგომარეობიდან თავის დაღწევის უნარი, ამიტომ მაშინვე მიხვდა, რაც უნდა ეთქვა, თუმცა კი ძალიან გაუჭირდა.

- ნეტავ მთელ შობის დღესასწაულს უქმად ხომ არ გაატარებს თერძი ანდერსი, - წარმოთქვა მან, - უნდა მივიდეს კაცი და გაიგოს ეს ამბავი. იქნებ გამოძებნოს დრო და რამე შემიკეროს ამ ქსოვილისგან, სანამ ძლიერ ყინვას დაიჭერდეს. ერთი თბილი ჩასაცმელი მაინც მექნება.

ამის თქმა იყო და, ყველას გაუბრწყინდა სახე. მიხვდნენ, რომ კარლ-არტური ძალიან გააკვირვა მათმა ნახელავმა და თავიდან ამიტომ მოეჩვენათ, თითქოს ამ საჩუქარმა შეაშინა.

V

იმ ყველიერის კვირა დღიდან მოყოლებული, როცა კარლ--არტურს სიყვარულზე ქადაგებისას სიტყვა დაებნა, ექსპრომტად ლაპარაკი აღარ უცდია. საწერ მაგიდას უჯდა და ისე თხზავდა ქადაგებას. თანაც მოითხოვდა, სახლში სიჩუმე ყოფილიყო, რათა მუშაობაში ხელი არ შეშლოდა.

და აი, ერთ დილასაც ცოლსა და ბავშვებს სიტყვა ჩამოართვა, რომ არც იხმაურებდნენ და არც იმღერებდნენ, რადგან ქადაგება ჰქონდა დასაწერი. ნახევარი საათი ისე გავიდა, ხმა არავის ამოუღია, მაგრამ უცებ ერთი სიცილ-კისკისი ატეხეს.

ორიოდე წუთი ითმინა კარლ-არტურმა, მერე კი სამზარეულოს კარი გამოაღო, რათა ამ მხიარულების მიზეზი შეეტყო.

- ნუ გაგვიჯავრდები, - უთხრა ცოლმა და თვითონაც ისეთი სიცილი წასკდა, ცრემლებით აევსო თვალები, - ჩვენი ფისუნია ისე ოინბაზობდა, ძალიან ვითმინეთ, მაგრამ თავი ვეღარ შევიკავეთ.

სიცილი მაშინვე შეწყდა, როგორც კი კარლ-არტურმა მწყრალად განუცხადა, თქვენი საქციელით ყველაფერი ჩამიშალეთ და მზადა ვარ, უგზო-უკვლოდ გადავიკარგო, ოღონდ ეს გამუდმებული ჟივილ-ხივილი აღარ მესმოდესო.

- კეთილი ინებეთ და ნუ იხმაურებთ. სადილობამდე ფეხი არავინ შემოდგას ჩემს ოთახში და ხელი არ შემიშალოს, - უთხრა მათ და კარი გაიჯახუნა.

თხოვნა შეუსრულეს და სადილობამდე სრულ სიჩუმეში იმუშავა. სადილობისას ცოლმა უთხრა, ცოტა ხნის წინ ექიმ რომელიუსის ცოლი და ფრუ შაგერსტრიომი იყვნენ ჩვენთან და სამა-

ჯურები და ძუის ძეწკვები შეგვიკვეთეს საათისთვის. ძალიანაც მესიამოვნა მათი მოსვლა, ან კი როგორ არ გამხარებოდა ასეთი შეკვეთების მიღება, თანაც დები ხალისიან გუნებაზე იყვნენ და თავაზიანად იქცეოდნენო.

კარლ-არტურმა იცოდა, რომ ექიმის ცოლი ამ ცოტა ხნის წინ დაბრუნდა შინ და თითქოს სულ მთლად გამოჯანმრთელდა. სულაც არ იყო გასაკვირი, რომ, როცა თავისი და მოინახულა, შარლოტამ საბაბი იპოვა, კარლ-არტურთან მისასვლელად და სანახავად, როგორ ცხოვრობსო. და მაინც, ამ ამბავმა საშინლად ააფორიაქა. სუნთქვაშეგუბებული იდგა და სიტყვა წარმოთქვა.

შარლოტა იყო აქ! მის ჭერქვეშ იყო, მან კი ეს არ იცოდა! მოჩვენებითი გულცივობით იკითხა, სტუმრებს ჩემი მონახულებაც ხომ არ უნდოდათო.

როგორ არა, ბევრჯერ გიკითხეს, მაგრამ აკი დაიბარე, არავინ გაბედოს ჩემთვის ხელის შეშლაო.

აბა, ამის საპასუხოდ რა უნდა ეთქვა კარლ-არტურს. ვერც უსაყვედურებდა ვინმეს. მხოლოდ იმას ვერ მიხვედრილიყო, როგორ მოხდა, რომ ვერც მათი მოსვლა გაიგო, ვერც მათი ხმა იცნო. ტუჩზე იკბინა, თქმით კი არაფერი უთქვამს.

ცოლმა გამომცდელად შეხედა.

- თავად კი ვიცოდი, რომ ასეთი წარჩინებული სტუმრები შენთან უნდა შემომეყვანა, - უთხრა მან, - მაგრამ, როცა გვეწვივნენ, ისეთი არეულობა იყო ჩვენს სამზარეულოში, საშინლად დავიბენი, შენთან შემოსვლა კი, მართალი გითხრა, ვერ გავბედე.

ერთი სიტყვით, სათქმელი არაფერი ჰქონდა, არადა, საშინლად გულდაწყვეტილი იყო. ისიც აწუხებდა, რომ ვერავის დააბრალებდა ამ უბედურებას! საჭმელი ეუგემურა, ერთი-ორი ლუკმა ძლივს გადაყლაპა.

ნასადილევს თავის ოთახში დივანზე წამოწვა, მაგრამ აქაც ვერ მოისვენა, ბრაზი ახრჩობდა, სინანული და სევდა გულს უღრღნიდა.

დივანზე წამოჯდა და წასვლა დააპირა, მაგრამ მიხვდა, რომ მშვიდად სეირნობას ახლა ვერ შეძლებდა, ისეთი სურვილი ჰქონდა, ეყვირა, ეჩხუბა, ხელები ექნია.

შეშის ფარდულში შევიდა, ცულს ხელი წამოავლო და ხელში შეათამაშა. მერე უცებ შეშის ჩეხას მოჰყვა, მაგრამ იმიტომ კი არ აკეთებდა ამას, რომ ოჯახს შესწეოდა, ბოღმა უნდოდა გადმოენთხია.

ამან მართლაც მოჰგვარა შვება. ცულის პირველსავე დარტყმაზე მიხვდა, რომ მშვიდდებოდა. ასე დათრგუნა ის შინაგანი ტკივილი.

მუშაობისგან გახურებული და გახვითქული რომ იდგა სულის მოსათქმელად, კარში ბავშვებმა შემოიხედეს. ანას გამოეგზავნა და შემოეთვალა, ყავას ხომ არ მიირთმევო.

კარლ-არტური მაშინვე გაჰყვა მათ. შეშა რომ დაჩეხა, ცოლმა, ალბათ, იმიტომ მოუხარშა ყავა.

შინ რომ შევიდა, განცვიფრდა. მაგრამ მთავარი ის კი არ იყო, რომ სამზარეულო გაენიავებინათ, ოთახში იატაკი დაეგავათ და ფინჯნები ნამდვილ მაგიდაზე ეწყო. მთავარი ის გახლდათ, რომ ცოლიც და ბავშვებიც სრულიად სხვა თვალით უყურებდნენ. რადგან შეშა დაჩეხა, მაშასადამე, ისევე როგორც მათ, მასაც შეეძლო სარგებლობის მოტანა ოჯახისთვის, მაშასადამე, იგი ნამდვილი მუშაკაცი ყოფილა.

იგი ერთბაშად გახდა ოჯახისთავი, ყველაზე პატივსაცემი პიროვნება ამ სახლში, და ყველას სწორედ მისგან უნდა აეღო მაგალითი.

შეცოდება

I

ერთ დილას კარლ-არტური, რომელსაც წესად შემოეღო ყოველდღიურად, რამდენიმე საათის განმავლობაში, შეშის ჩეხა, ის იყო, მუშაობას უნდა შესდგომოდა ფარდულში, რომ კარში ვიღაცის ლანდი შეამჩნია. თავი ასწია და თითქოს ფრუ სუნდლერი შეიცნო, რომელიც, მთელი ზამთარი ისე გავიდა, არ ენახა. მაშინვე ცული მოისროლა და ფარდულიდან გამოვარდა. მართლაც თეა სუნდლერი იყო, მაგრამ იგი უკვე გასცდა ჭიშკარს და გორაკის ფერდობზე დაეშვა. ხმა კი მიაწვდინა, მაგრამ თეამ, იმის ნაცვლად, შეჩერებულიყო, ნაბიჯს უმატა. კარლ-არტური ხალათის ამარა მუშაობდა, ამიტომ ხელდახელ მოიცვა სერთუკი და გამოედევნა. რაღაც გაუგებრობა მოხდა და უნდა გარკვეულიყო ამაში.

ორგანისტს მთელი ზამთარი ისე აწუხებდა რევმატიზმის შეტევები, ძლივს დაღოღავდა, მაგრამ იმისთვის, რომ თავისი მოვალეობა შეესრულებინა, თანაშემწე და ეკლესიის დარაჯი მხრებში შეუდგებოდნენ ხოლმე და რის ვაი-ვაგლახით აჰყავდათ პატრონიკეს ვიწრო კიბეზე. თეაც მუდამ გვერდით უჯდა ქმარს წირვა-ლოცვის დროს. ამ ხნის განმავლობაში არც ერთხელ არ ჩამოსულა დაბლა ეკლესიაში, არც სამოსსაცავს გაჰკარებია.

კარლ-არტურს უკვე აეჭვებდა, რომ მხოლოდ მისი ქმრის ავადმყოფობის გამო აღარ ხვდებოდნენ ისინი ერთმანეთს. ალბათ, თეა სხვა მიზეზით გაურბოდა და რადგან კარლ-არტურის გულწრფელი სიმპათიით იყო მისდამი გამსჭვალული, ამიტომ არ უნდოდა ხელიდან გაეშვა ეს შემთხვევა და სიმართლე შეეტყო.

სანამ თეა სუნდლერი გორაკიდან დაეშვებოდა და სოფლის შარაზე გავიდოდა, კარლ-არტურიც წამოეწია.

- თეა! - შესძახა მან და მხარზე ხელი დაადო, - ღვთის გულისათვის, გაჩერდი! რა დაგემართა? ნუთუ ჩემი გეშინია?

თეა თვალდახრილი იდგა და ისე მოიშორა მისი ხელი.

- გამატარე! - ძლივს გასაგონად წაიდუდუნა მან.

კარლ-არტურმა არ უსმინა და გზა გადაუღობა. შეამჩნია, რომ ნამტირალევი თვალები დასწითლებოდა და გამხდარიყო კიდეც. თითქოს ქმარივით, მასაც მძიმე ავადმყოფობა გადაეტანოს.

მიახვედრა და გააგებინა, რომ მანამდე არ გაუშვებდა, სანამ არ შეიტყობდა, რატომ აღარ სურდა მასთან შეხვედრა მის ძველთაძველ მეგობარსა და მრჩეველს. ცუდი რა ჩაიდინა ან რა დაუშავა?

- შენ? - ჰკითხა თეამ და მისმა ხმამ აშკარად გაამჟღავნა შინაგანი ტკივილი, - შენ? რა უნდა დაგეშავებინა შენ ჩემთვის?

ახლა კი გაუსწორა თვალი და კარლ-არტურმა მის სახეზე უსაზღვრო ტანჯვა ამოიკითხა. ეკენსტედი გაკვირვებით მისჩერებოდა. თეას არამც და არამც ლამაზი არ ეთქმოდა, მაგრამ გულწრფელი სასოწარკვეთა მისი სახის ულამაზო ნაკვთებს გულის ამაჩუყებელ ხატოვანებას ანიჭებდა.

- გამიშვი! - აღმოხდა მას, - პასტორის ცოლმა ფორსიუსმა პირობა დამადებინა. დავიფიცე, რომ აღარასოდეს შეგხვდებოდი,

მხოლოდ ამ პირობით შეგეძლო დაბრუნებულიყავი შენს სახლში, შენს ცოლთან.

ეს უთხრა, ხელი ჰკრა და სოფლისკენ გაეშურა. კარლ--არტურს აღარ უცდია მისი შეჩერება. მისმა სიტყვებმა ღრმად ჩააფიქრა, დაბნეული იდგა და აზრს იკრებდა.

მეორე დღეს კარლ-არტური კიდევ ერთხელ შეხვდა ფრუ სუნდლერს. ერთ-ერთი ბავშვი შეუძლოდ გახდა, ცხელება დააწყებინა და იგი ექიმ რომელიუსის მოსაყვანად წავიდა. მაგრამ თურმე იმ დღეს ექიმს ავადმყოფების მიღება ჰქონდა და ამიტომ იგი მისაღებში შეგზავნა. იქ კი ფრუ სუნდლერი დახვდა, რომელიც გაცხარებით ელაპარაკებოდა ერთ ხანში შესულ გლეხ ქალს, როგორც კი კარლ-არტური ოთახში შევიდა, იგი მაშინვე წამოდგა წასასვლელად, მაგრამ მერე გადაიფიქრა და ისევ დაჯდა.

კარლ-არტური უხმოდ მიესალმა, არც უცდია გამოლაპარაკება, მაგრამ თვით თეამ დაარღვია სიჩუმე:

- მე და დეიდა პერ-ერი ცოტა დავიბენით კიდეც, შენ რომ შემოხვედი, რადგან სწორედ შენზე ვლაპარაკობდით ახლა, მაგრამ დასარცხვენი, კაცმა რომ თქვას, არც არაფერი გვჭირს - კარგის მეტი არაფერი გვითქვამს. განა ასე არ არის, დეიდა პერ-ერ?

ზონზროხა ქალმა გულუბრყვილოდ გაიღიმა.

- დიახ, მაგისტრს შეეძლო ყოველი ჩვენი სიტყვა მოესმინა.

- რასაკვირველია, შეეძლო, - კვერი დაუკრა ფრუ სუნდლერმა, - ჩვენ მხოლოდ ის ვთქვით, რომ ვერაფრით გაგვიგია, როგორ ზიხარ და ერთი წუთით არა გაქვს მოსვენება. ისიცა ვთქვით, იმიტომ კი არ გაუჩენიხარ ქვეყნად ღმერთს, რომ შეშა უჩეხო და ფეხსაცმელები უკერო მატს-ტორპარის ნაშიერს, მაგ-

რამ ყველაზე გასაოცარი ისაა, რომ ყველაფერი ეს არ გბეზრდებ-ბა.

- მაგისტრს, ეტყობა, არ წყენს მძიმე შრომა, - ჩაურთო გლეხის ქალმა, - ყოველთვის მხნედ და ჯანსაღადაა.

- იმაზე ვილაპარაკეთ, რომ გონივრულად იქცევი, სერმიაგის ტანსაცმელი რომ გაცვია. ამით ხალხს აჩვენებ, რომ სამუდამოდ გაწყვიტე კავშირი წარსულთან. რაკი ღარიბულად გინდა იცხოვრო, ტანსაცმელიც ასეთი უნდა გეცვას.

- პირველ ხანებში, - ახლა გლეხის ქალმა განაგრძო, - პირველ ხანებში ყველას გვეგონა, ეგ ქოხიცა და სიღარიბეც თვალთმაქცობა იყო. ახლა კი ვხვდებით, რომ ასე არ ყოფილა.

კარლ-არტურს ისე მწარედ მოხვდა გულზე ეს სიტყვები, რომ სახე წამოენთო, მისი ფიქრით, თეა მეტისმეტად მოურიდებლად იქცეოდა. უკმაყოფილოდ გადაიქნია თავი და ამით მიანიშნა, რომ ამ საგანზე ლაპარაკი არ სიამოვნებდა.

- მერე რა, რომ ისე კარგად ვეღარ ქადაგებ, როგორც წინათ, - განაგრძო თეამ, - წეღან დეიდა პერ-ერს ვეუბნებოდი, რომ მთელი შენი ცხოვრება ქადაგებაა.

- სწორედ ეგრეა, მაგისტრისა და მისი ცოლის ცხოვრება ჩვენთვის იგივე ქადაგებაა, - დაუდასტურა გლეხის ქალმა, - აი, კვირაობით ეკლესიაში რომ მოდის ხოლმე და ჯგროდ მოჰყვებიან ბავშვები, ყველანი წესიერად ჩაცმულ-დახურულები, ლოყებღაჟღაჟები, დამჯერე და თავაზიანები, ეს დროული ქალები მათი ყურებით ვერა ვძღებით! შევცქერით და გვახსენდება, რა საცოდავები იყვნენ წინათ, როცა უსახლკარონი, თავით ფეხამდე ჩამოძონძილები აღმა-დაღმა დაეხეტებოდნენ. კეთილი საქმე გააკეთეს პასტორმა და მისმა ცოლმა.

- რაც მართალია, მართალია, - ახლა თეამ ჩამოართვა სიტყვა, - და იცით რა, დეიდა პერ-ერ, ხომ ძალიან წვალობენ ისინი

ამ ბავშვების გამოისობით, მაგრამ თუნდაც გამოჩენილიყო ვინმე, მათ ხსნას რომ შეძლებდა, ამას ვერც კი გაბედავდა. ხომ უდიდეს ცოდვას ჩაიდენდა ის კაცი, ისეთ კეთილშობილურ საქციელს ხელს რომ შეუშლიდა, რომლითაც ყველა აღფრთოვანებულია.

კარლ-არტური აქამდე თავჩაქინდრული იჯდა, მაგრამ ახლა თავი ასწია და ქალებს მიაჩერდა. მოლოდინი და იმედი გამოეხატა სახეზე.

- ნუთუ თქვენ ფიქრობთ, რომ შეიძლება გამოჩნდეს ისეთი ადამიანი, ვინც ამ ბავშვების აყვანას მოინდომებს? - ჰკითხა გლეხის ქალმა, - კორსჩურკაში არავის სმენია, რომ მათ ნათესავები ჰყავდეთ; მართალია, მამის მხრიდან ჰყავთ ერთი ბიძა, მაგრამ ისეთივე ღარიბია თურმე, როგორიც მაგათი მამა იყო.

- მაგრამ თუ ბიძამ ახლა მზითვიანი ქალი შეირთო და კარგი კარ-მიდამოც აქვს და კარგი ცოლიც შეხვდა? ძმის სიკვდილი რომ შეეტყო, ალბათ, წაიყვანდა ობოლ ძმისწულებს.

- ჰო, თუ ეგრეა... - მიუგო გლეხის ქალმა.

მეტის თქმა ვეღარ მოასწრო, რადგან ამ დროს კაბინეტის კარი გაიღო და პაციენტი გამოვიდა; ახლა მისი ჯერი იყო ექიმთან შესვლისა.

როცა კარლ-არტური და თეა მარტო დარჩნენ, წუთით სიჩუმე ჩამოვარდა.

მერე თეა ალაპარაკდა, მაგრამ ახლა ისეთი კილო კი არ ჰქონდა, როგორიც რამდენიმე წუთის წინ, ფოთოლივით ცახცახებდა მღელვარებისგან.

- სახლში ვიჯექი და შენს შემწეობას ვევედრებოდი ღმერთს, - უთხრა მან, - ვიცოდი, რომ სიღარიბეში ცხოვრება ინდომე, უარი თქვი ფუფუნებაზე, მაგრამ იმას როგორ ვიფიქრებდი, თუ შეშის ჩეხასა და ფეხსაცმლის დაკერებას გადაჰყვებოდი. ეგ ხომ დაგ-

ღუპავს. შენ მაგივრად მე მომეთხოვება პასუხი. უნდა გაგ-ფრთხილებოდი, მე კი არ შემიძლია ერთხელ მაინც მოგიპატიჟო ჩემთან, ო, რა საშინელებაა, რა საშინელებაა!

კარლ-არტურმა ხელით ისეთი მოძრაობა გააკეთა, თითქოს მისთვის სიტყვის ჩამორთმევა უნდაო, მაგრამ თეამ არც შეიმ-ჩნია ეს, ახლოს მივიდა მასთან, ლამის ზედ აეკრა, და ისე და-მარცვლით დაუწყო ლაპარაკი, თითქოს სურდა ყოველი სიტყვა ღრმად აღბეჭდვოდა გულისფიცარზე.

- სუნდლერს ძმა ჰყავს, - უთხრა მან, - ექსჰერადის მაზრაშია ორგანისტად. ახლა იგი ჩვენთანაა სტუმრად და წუხელ, როცა ვისხედით და ვსაუბრობდით, სიტყვამ მოიტანა და შენი და იმ ათი ბავშვის ამბავიც ვახსენეთ. ჰოდა, სწორედ ამ დროს გვით-ხრა, რომ ექსჰერადში ცხოვრობს ერთი კაცი, წარმოშობით კორსიკელი, რომელიც მატს-ტორპარის ძმა უნდა იყოსო. ამ კაცს ჩემს მაზლთან ლაპარაკში თურმე ხშირად უხსენებია თავი-სი წვრილშვილიანი ღატაკი ძმა, მაგრამ ის კი არა სცოდნია, ცოცხალია თუ არა. ჩემი მაზლი დღეს, ნასადილევს ბრუნდება ექსჰერადში. როგორ გირჩევნია, დავაბარო იმ ბავშვების ბიძას-თან, რომ მისი ძმისწულები სამოწყალოდ გყავთ აყვანილი შენ და შენს ცოლს, თუ ვთხოვო, არაფერი უთხრას ამის შესახებ.

კარლ-არტური წამოდგა. მკერდი წინ წამოსწია, მხრებში გაიმართა, ყველაფერი, რაც ამ ბავშვების გამოისობით გა-დაიტანა ამ ზამთარს, ერთბაშად ამოტივტივდა მის მეხსიერება-ში. უნდა დაიხსნას თავი მათგან, უაყალმაყალოდ და პატიოსანი გზით!

- სიჩუმესა და მყუდროებას მოკლებული ხარ, რომ იაზროვ-ნო, - ფიცხობდა თეა, - შენი ქადაგებები ახლა ისეთია, რომ მო-წაფესაც კი შერცხვებოდა მსგავსი რამის დაწერა. ადრე შენ ისე

ლაპარაკობდი, თითქოს უფლის ყოველი საიდუმლოს მცოდნე ანგელოზი იყავი, ახლა კი აღარაფერიც არ იცი.

კარლ-არტური ისევ დუმდა. ბოლო ხანებში შეეჩვია უბადრუკ ცხოვრებას. ბავშვები კეთილ მეგობრებად გაუხდნენ და ასე ეგონა, ლაჩრობა იქნება, თუ ბავშვებს გავისტუმრებ და ბოლომდე არ მივიყვან ამ ბრძოლასო.

- ბოლოს და ბოლოს, თქვი რამე! - ევედრებოდა თეა სუნდლერი, - ხომ უნდა ვიცოდე, რა გინდა. დეიდა პერ-ერი წუთი-- წუთზე შეიძლება გამოვიდეს. გადაკრულად მაინც მიმახვედრე, რა გსურს!

კარლ-არტურმა გაიცინა. სხვაგვარი პასუხი ან კი რა საჭირო იყო! როცა თეა ყოველივე ამას ეუბნებოდა, იგი გრძნობდა, როგორ იმსხვრეოდა ბორკილები, როგორ ლღვებოდა ყინული, როგორ იწყებდნენ ჟღერას თავისუფლების სიმღერები.

და ახლა ისეთი რამ მოიმოქმედა, რაც მანამდე არასოდეს ჩაუდენია. დაიხარა, ხელები მოხვია თეას და უსაზღვრო მადლიერების გრძნობით აღვსილმა შიგ ტუჩებში აკოცა ამ მახინჯ ქალს.

II

მაინც ვინ მიგდია ანა სვერდი, რომ განსაჯოს თავისი ქმარი, თან ხომ გაცილებით მეტი იცის, ვიდრე თვითონ, ის ხომ ღვთის სიტყვებით ქადაგებს და ჭეშმარიტების კვალზე აყენებს გზასაცდენილ საბრალო ცოდვილთ? სხვა რა გზა აქვს, უნდა დაიჯეროს, რომ ქმარი ახლაც მართალი იყო, რაკი ბავშვები გაატანა იმ

კაცს. მერე და მერე ანამ ყველაფერი აწონ-დაწონა და მიხვდა, რომ ქმარი სხვაგვარად ვერც მოიქცეოდა. ღვიძლი ბიძა ჩამოვიდა ბავშვების წასაყვანად და უარი როგორ ეთქვა. ღარიბ-ღატაკი რომ ყოფილიყო ის კაცი, მაშინ კიდევ ჰო, მაგრამ რადგან მდიდრულად ცხოვრობს, რადგან საკუთარი კარ-მიდამო აქვს. ცოლიც კეთილი შეხვდა და ბავშვებიც არა ჰყავთ, აბა, როგორ შეეძლო კარლ-არტურს ძმისწულები არ გაეტანებინა?

ანამ ჯერ იფიქრა, იქნებ ერთი მატყუარა ვინმეა ეს კაცი და ბავშვები უნდა დამტყუოსო, მაგრამ ორმა უფროსმა ბავშვმა იცნო, სოფლის ხალხმაც გაიხსენა. მხოლოდ ეგაა, მანამდე არავინ იცოდა, რომ ასე გაუმართლა ცხოვრებაში, კორსჩურკიდან რომ წავიდა, ხომ თავის ძმასავით ღარიბი იყო.

სამრევლო, სადაც ახლა ბავშვების ბიძა ცხოვრობდა, შორეულ ჩრდილოეთში იყო და ამიტომ გასაკვირიც არ არის, იმ კაცს არც მატს-ტორპარის სიკვდილის ამბავი სცოდნოდა, არც ის, რომ მისი ძმისწულები უცხო კაცს ჰყავდა სამოწყალოდ შეფარებული. და როცა ყველაფერი შეიტყო, მაშინვე კორსჩურკაში გამოემგზავრა, რათა ბავშვებისთვის ეთქვა, თუ ინდომებთ, ჩემს მდიდრულ სახლში წაგიყვანთ საცხოვრებლადო.

კეთილი საქმე გააკეთა მატს-ტორპარის ძმამ. ანას უნდა ერწმუნა, რომ იგი ღირსეული კაცი იყო. არც მას და არც სხვა ვინმეს ამქვეყნად არ შეეძლოთ განეკითხა კარლ-არტური იმისთვის, რომ ალალ ბიძას თავისი ძმისწულები გაატანა.

კარლ-არტური გადაჭრით არაფერს ამბობდა, მაგრამ ლამაზად კი ლაპარაკობდა იმაზე, რომ თვით განგებამ მოუვლინა მათ ეს უცნობი კაცი, რათა შეემსუბუქებინა ის მძიმე ტვირთი, რომელიც მხრებზე აწვათ მათ. განსაკუთრებით კი, რასაკვირველია, ანას. ისიც აუხსნა და განუმარტა ცოლს, რაკი ამ ზაფხულს საკუ-

თარი შვილი გვეყოლება, ძველებურად ვეღარ შეძლებ ამდენი ხალხის მოვლა-პატრონობასო.

ანა გრძნობდა, რომ ქმარი მართალი იყო, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც ყოყმანობდა, რადგან მთლად კარგად თვითონაც ვერ მიხვედრილიყო, რა უნდოდა, კარლ-არტური ღმერთზე რომ ელაპარაკებოდა, ამან მთლად დააბნია. ბავშვები ერთიმეორეზე უკეთესები იყვნენ და იქნებ მართლაც ღმერთმა ინდომა, რომ უკეთესად ეცხოვრათ. ეტყობა, კარლ-არტურიც არ იყო კარგ დღეში, იქნებ უფრო მეტადაც უჭირდა, ვიდრე ანა ფიქრობდა. მაინც, როცა მის ლაპარაკს უსმენდა, ანა გრძნობდა, ამ ლამაზ-ლამაზ სიტყვებს მხოლოდ იმიტომ ამბობს, რომ დამიყაბულოს ბავშვების გაშვებაზეო.

პირდაპირ საოცარია, რომ ბავშვებს სულაც არ დასწყვეტიათ გული მასზე, ისინი მიემგზავრებოდნენ შორეულ მხარეში, სადაც ბევრ ახალ რამეს ნახავდნენ. მათ ბიძას ცხენიც ჰყავდა და ძროხაც, გოჭებიც და ქათმებიც. ისინი მოუვლიან საქონელსა და ფრინველს, საძოვარზე გარეკავენ, საკენკს არ მოაკლებენ. გარდა ამისა, მათ ბიძას ჰყავდა ძაღლი, რომელმაც საჭმლის შემდეგ მადლობის გადახდა იცის. მნათესაც ჰბაძავს ხოლმე - ეკლესიაში ფსალმუნს რომ გააბამს, სწორედ იმას აჯავრებს. ბავშვებს, ალბათ, ერთხელაც არ მოსვლიათ ფიქრად, რომ ასეთ ბედნიერებას ეღირსებოდნენ, ხუმრობა საქმე ხომ არ არის - თურმე ძაღლი ფსალმუნს გალობს.

ბავშვები რომ წაიყვანეს, ანა კარის ზღურბლთან მიყრილ ქვებზე ჩამოჯდა და დიდხანს იყო ასე. ახლა მისთვის ყველაფერი სულერთი იყო. რამდენი წელიწადი გავიდა, ასე უქმად არ მჯდარა გულხელდაკრეფილი, ათასში ერთხელ, ისიც კვირადღეს, თუ მოიცლიდა მცირე ხნით. თავს ირწმუნებდა, უნდა მიხაროდეს კი-

დეც, ასე რომ მოხდა, ბოლოს და ბოლოს, ცოტა სულს მოვითქვამო.

ამ დროს კარლ-არტური მოუჯდა გვერდით, ხელზე ხელი მოჰკიდა და უთხრა, აი, ახლა კი ნამდვილად ბედნიერები ვიქნებითო. მისი აზრით, ბავშვები გამოსაცდელად მოევლინნენ მათ და რაკი ახლა წაიყვანეს, ესეც ღვთის განგებაა: ეტყობა, უფალი კმაყოფილი იყო იმით, რაც ამ პატარებისთვის გააკეთეს.

ანამ იცოდა, რომ ქმარს ვერაფრით შეედრებოდა, რომ მას არაფერი გაეგებოდა ღვთის განგებისა, რომ წერა-კითხვაც კი ვერ ისწავლა, და მაინც ძალიან გაბრაზდა მასზე. მართალია, ღვთის წყალობა იყო, ეს ბავშვები რომ მოგვევლინენ, მაგრამ რაკი ისევ წამართვეს, მაშასადამე, რაღაც შევცოდეთო, უპასუხა ქმარს.

ასეთი პასუხი რომ მოისმინა, ქმარი წამოდგა და სიტყვის უთქმელად წავიდა. ანა არ შეხმიანებია, არც თავისი ნათქვამი უნანია. მწარე ნაღვლით სავსე ჭურჭელსა ჰგავდა იგი ახლა. საფრთხილო იყო მასთან მიკარება, იქნებ მყის გადმოღვრილიყო მთელი ეს ბოღმა-ნაღველი.

იცოდა, რომ სამზარეულოში საქმე ჰქონდა, უნდა დაელაგებინა იქაურობა, ბავშვების ნივთები გარეთ გამოეტანა, მაგრამ იქ შესვლა აშინებდა. ის უშველებელი სიცარიელე აშინებდა, რომელიც იქ დახვდებოდა.

ახლა ისეთივე უმწეო და თავმინებებული იქნება, როგორიც გათხოვების პირველ დღეებში იყო, სანამ ბავშვები არ შეიფარა. ანა მათთან კარგად გრძნობდა თავს, მშვიდად იყო. ნამდვილად სულელი ყოფილა, თორემ როგორ დაანებებდა ბავშვებს იმ კაცს!

იჯდა და თვალწინ ის ფორანი ედგა, რომლითაც ისინი წაიყვანეს. ბავშვებმა ტანსაცმლიანი ფუთები და ისეთი ხარახურა და-

აწყვეს ზედ, რაც, ალბათ, გამოადგებოდათ ახალ სახლში. პატარები ფორანზე დასხდნენ, უფროსები ფეხით გაჰყვნენ ბიძას, რომელმაც სიცილით თქვა, ხალხს ბოშები ვეგონებითო: ბოშები საერთოდ ხომ ფუთებით დაეხეტებიან და თან უამრავი ბავშვი დაჰყავთო.

საოცარია, რა ცივად გამოემშვიდობნენ ანას ბავშვები. მხოლოდ ფორანზე, ცხენსა და თან წასაღებ ბარგი-ბარხანაზე ფიქრობდნენ. ყველაზე მეტად იმით იყვნენ გულდაწყვეტილნი, რომ კატის კნუტმა არ ინდომა მათთან ერთად წასვლა. ერთი ცრემლიც არ გადმოვარდნიათ. არც ანა ატირებულა, მაგრამ თვალს მოეფარნენ თუ არა, საშინელ გუნებაზე დადგა. იმ კაცის სახე უდგა თვალწინ, ვინ იცის, ეგებ სულაც არ არის ისეთი უწყინარი და გულკეთილი, როგორადაც მოაჩვენა თავი. არა, ნამდვილად ორპირი, ავი და ძუნწი იქნება. სიცოცხლეს გაუმწარებს ბავშვებს.

ისე ირწმუნა ეს აზრი, რომ საეჭვოდ აღარც მიაჩნდა. აკი მაშინვე უნდოდა გამოდევნებოდა და უკან დაებრუნებინა ისინი, მაგრამ ერთბაშად გონს ვერ მოეგო. რატომ არ გააკეთა ეს, სანამ დრო იყო. ახლა მოსვენებას აღარ აძლევდა იმაზე ფიქრი, რომ ბავშვები მშიერ-მწყურვალნი იქნებოდნენ და სიცივით გაითოშებოდნენ.

გაზაფხულის პირი იყო. თოვლი დადნა და მზეც ალერსიან სითბოს გამოსცემდა. სულ მალე ბავშვები თავიანთ სახლში გადაბარგდებოდნენ და კარლ-არტურსაც შეღავათი მიეცემოდა.

ქალი იმით იმხნევებდა თავს, რომ ამიერიდან მხოლოდ ერთი კაცის საჭმლის გაკეთება მოუწევდა, თან კიდევ შუადღემდე არ მოუხდებოდა დაგლეჯილი წინდების კემსვა.

ნეტავი ის მაინც სცოდნოდა, წინდებს თუ დაუკემსავენ იქ! ნეტავი აცოდინა, საღამოობით მწუხრის ლოცვას თუ ათქმევინე-

ბენ! ყველაზე პატარას ხომ საშინლად ეშინია სიბნელის. ნეტავი ის მაინც აცოდინა, ვინმე თუ მიხედავს და მოუვლის! ის ხომ მხოლოდ ექვსი წლისაა და არამც და არამც არ დაეძინება, თუ ვინმე გვერდით არ მიუჯდა და ხელზე არ მოეფერა!

კარადა

ბავშვები რომ გაისტუმრა, რამდენიმე დღის განმავლობაში ანა ისეთი უმწეო მდგომარეობაში აღმოჩნდა და ისე ძლიერ ნანობდა, იმის ძალ-ღონეც არ შესწევდა, ბავშვების მაგივრად თვითონ მიელაგებინა ქოხი. უკვე მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ ბავშვები ნათესავებთან გაჭირვებაში ჩაცვივდნენ და არც ცემა-ტყეპა დააკლდებოდათ, და რაკი ასეთ უკეთურ ხალხთან გაუშვეს ისინი, მკაცრად მოეკითხებოდათ მასაც და მის ქმარსაც.

ეს აზრი მისდა უნებურად აეკვიატა და ციებ-ცხელებასავით მოსვენებას არ აძლევდა. ცდილობდა, დაეთრგუნა შავი ფიქრები, მაგრამ ამაოდ. არადა, ვერაფრით ამოიღო თავიდან ის აზრი, რომ ბავშვების ბიძა გულბოროტი და საშიში კაცი იყო - სახეზეც ეტყობოდაო, - ხოლო მისი ცოლი, რომლისა სულაც არაფერი იცოდა, ნამდვილ ალქაჯად წარმოედგინა. ისიც ირწმუნა, რომ ამის სანაცვლოდ სწორედ მისი მომავალი პირმშო დაისჯებოდა - ან მახინჯი დაიბადებოდა, ან კიდევ ბრმა და ყრუ. იქნებ ანა მშობიარობას გადაჰყოლოდა კიდეც და ობლად დაეტოვებინა შვილი.

კარლ-არტურთან ამაზე ლაპარაკს აზრი არ ჰქონდა. იმის გაგონებაც არ უნდოდა, თითქოს ბავშვები გაჭირვებაში ჩაცვივდნენ და სამაგიეროდ ღმერთი მათ დასჯიდა. მართალია, ცოლს ალერსით ექცეოდა, მაგრამ მისი შიში ფუჭად მიაჩნდა, ამიტომ ანას თვითონვე უნდა გაექარვებინა ეს დარდი.

ერთხელ დილით ანამ დაასკვნა, რომ მიაგნო ამის საშუალებას - სამზარეულოდან გამოიტანა საქსოვი დაზგა, სართავი ჯარა, სხვა ხელსაწყოები, ბავშვების მერხი და დივნები სახლში შეიტანა და ჩაკეტა. მერე იატაკი მოფხიკა, კედლები ახალი საღებავით შეათეთრა, ყველაფერი დარეცხა და გააშრო; ახლა სამზარეულო ისეთივე დალაგებული, სუფთა და ცარიელი იყო, როგორც იმ დღეს, როცა პირველად გადმოაბიჯა ამ კარის ზღურბლს.

როცა ყველაფერი გაიტანა, რაც ბავშვებს მოაგონებდა, გუნებაში თქვა, მოდი, ისე მოვიქცევი, ვითომც ყველაფერი ისეა, როგორც ქორწინების პირველ დღეებში, ბავშვები აქ არც არასოდეს ყოფილან, მხოლოდ დამესიზმრაო. თუ შევძლებ, თავი დავაჯერო, რომ მათ მართლაც არასოდეს უცხოვრიათ აქ, ყველაფერი კარგად იქნება. აბა, ვინ იქნება ისეთი შტერი, სიზმარში ნანახის გამო ჯავრით თავს იკლავდესო.

- ხომ იცი, რომ ახალგათხოვილი ქალი ქმარზე უნდა ფიქრობდეს, - თავისთვის ჩაიბუტბუტა მან, - აიღე ნართი, ჩხირები და მოუქსოვე თათმანები, ასეთი სამუშაო გულსაც ეამება და სულსაც! მხოლოდ იმაზე იფიქრე, რომ ახლა შენ პასტორის ცოლი ხარ, რომ მოვაჭრე ქალებში ყველაზე მეტად სწორედ შენ ხარ გამორჩეული და აღზევებული!

მართლაც დაიწყო თათმანების ქსოვა, მაგრამ ჯერ ხეირიანად არც კი შესდგომოდა საქმეს, რომ მაგიდის კიდეზე ბასრი დანით ამოჭრილი ციფრები შეამჩნია. ბავშვების ნაეშმაკარი იქნებაო, გაიფიქრა. განა არ იციან ოინბაზებმა, რომ მაგიდის დაფხაჭნა არ შეიძლება, მაგრამ რამდენიც უნდა დაუშალო, ვერა და ვერ შეასმენ, მაშინვე რამეს ამოჭრიან და ამოკაწრავენ ზედ.

თავი ასწია და ის იყო, კარგა გვარიანად უნდა დაეტუქსა ისინი, მაგრამ, აბა, რომელ ერთს დაატეხდა თავს რისხვას, როცა არც ერთი თავფარვანა ბავშვი არ დახვდა ოთახში. ირგვლივ სიცარიელე იყო. ახალშეთეთრებული შიშველი, არაფრისმთქმელი კედლები უმზერდნენ მხოლოდ.

დიდხანს იჯდა გაუნძრევლად და ხელში უაზროდ ეკავა ჩხირები. მერე უცებ წამოდგა, დანა აიღო და გულმოსულმა ისე ღონივრად გადაფხიკა მაგიდის კიდე, რომ ერთბაშად მთელი ეს მხატვრობა გადაშალა. სახეზე ისეთი ტანჯვა გამოეხატა, თითქოს საკუთარი ხორცი მოეჭრას ამ დანით, მაგრამ მაშინვე ისევ განაგრძო ქსოვა.

„ნამდვილი სულელი ვარ! - ფიქრობდა იგი, - ეს ხომ კარლ--არტურის ოინებია და არა სხვა ვინმესი. განა იგი მუდამ აქ არ ზის? და, საერთოდ, ჩვენს სამზარეულოში, აბა, როდის ყოფილან ბავშვები. ჩვენისთანა ღარიბ-ღატაკნი როგორ გავბედავდით სხვისი შვილების აყვანას? ვინა თქვა, ვინ მოიგონა! ღმერთმა ქნას, საკუთარი თავი ვირჩინოთ და ის პაწიაც, მალე რომ გაგვიჩნდება“.

ქსოვას განაგრძობდა, ტუჩები მაგრად მოეკუმა, თვალს არ აშორებდა საქსოვს. ახლა ფიქრით სულ იმ ბავშვებთან იყო, კარლ-არტურმა რომ გაისტუმრა, მაგრამ მუშაობისას მაინც თავს ირწმუნებდა, თითქოს სულაც არასოდეს ყოფილიყვნენ მასთან.

ცოტა ხნის შემდეგ ფაჩუნი შემოესმა, მერე რაღაცამ ტყაპანი მოადინა მაგიდაზე, ბავშვების საყვარელ კნუტს, რომელსაც წარამარა ეთამაშებოდნენ ათივენი, გემრიელად გამოეძინა ღუმელზე და ახლა იქიდან გადმოხტა ძაფის გორგალთან სათამაშოდ.

ანამ მაშინვე დაიჭირა კნუტი, რომელიც ყველაზე მეტად აგონებდა ბავშვებს, და გარეთ გაგდება დაუპირა, მაგრამ ხელით თბილი, რბილი სხეული რომ შეიგრძნო, გულმა ვეღარ მოუთმინა და მაინც მიეალერსა. ამ დროს შალის ძაფის გორგალი იატაკზე დავარდა და კნუტი ორი ნახტომით დაეწია. გორგალი უფრო შორს გაგორდა. კნუტმა მისი დაჭერა მოინდომა, გორგალი კი მაინც უსხლტებოდა თათებიდან. ანაც დაედევნა გორგალს, რათა ნართი არ დაბურდულიყო და აირია მონასტერი. კნუტი ხან ერთ კუთხეში მივარდებოდა, ხან მეორეში, გორგალიც ისე ანცობდა, თითქოს სულიერი ყოფილიყო. ანა უნებურად იცინოდა და ამაოდ ცდილობდა მის დაჭერას. „ო, როგორ უხარიათ ბავშვებს“, - ფიქრობდა იგი და განგებ აჭიანურებდა ამ თამაშს, რომ უფრო მეტად გაერთო პატარები.

- რას უდგახართ მანდ, ბავშვებო, მოდით აქ, მომეხმარეთ! - წამოიძახა მან.

ამის თქმა იყო და, მაშინვე გონს მოეგო. სწრაფად დასწვდა კნუტს, ერთი ისეთი მოსდო ზურგზე, რომ საცოდავად ააკნავლა, და გარეთ გაუძახა.

- ნუთუ ვეღარ ამოვიღებ გულიდან ბავშვებს? - თქვა მან და გორგლის დახვევას შეუდგა, - არა, ეტყობა, ვერასოდეს დავმშვიდდები.

ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა და ხელებს ისე იმტვრევდა, თითქოს საშინლად აწუხებდა რაღაც ტკივილი, მაგრამ მალე ისევ მიუბრუნდა სამუშაოს. კიდევ კარგი, ასე მოიქცა, ორ წუთსაც არ გაევლო, კარი გაიღო და ზღურბლთან მედსტუბიუნელი მოხუცი რის კარინი გამოჩნდა.

რის კარინმა მედსტუბიუნელთა სახელით წლეულსაც მოიკითხა ანა და შარშანაც. მაგრამ სამზარეულო ოთახი სავსე იყო ბავშვებით, ლენტის საქსოვ დაზგებსა და სართავ ჯარებზე

ისეთი გახურებული მუშაობა იყო, გუგუნი გაჰქონდა იქაურობას. და ახლა, როცა ოთახი დაცლილი და დალაგებული დახვდა, სტუმარმა გაკვირვებისგან თვალები დააჭყიტა.

- ესეც ახალი ამბავი! - წამოიძახა და ირგვლივ მიიხედ--მოიხედა.

ანამ სეტყვასავით დააყარა შეკითხვები რის კარინს და სტუმარი იძულებული გახდა, წვრილად ეამბა ყველაფერი ანას დედასა და იობს ერიკზე, ლენსმანის ოჯახზე, პასტორსა და მის ცოლზე, რის ინგბორგსა და მნათე მედბერგზე. მასპინძელს ერთი მედსტუბიუნელიც არ დარჩენია მოუკითხავი.

ცნობისწადილი რომ აისრულა, ანა ყავის თადარიგს შეუდგა. ჯერ ფარდულში გაიქცა შეშის მოსატანად, მერე ჭიდან წყალი ამოიღო. ცეცხლი გააჩაღა, ყავა დაფქვა, რამდენიმე ნაჭერი ახალგამომცხვარი პური მოჭრა, მაგიდაზე ფინჯნები და ლამბაქები დაალაგა, დარბოდა, ფუსფუსებდა, ჭურჭელს აჩხარუნებდა, სიჩქარეში ყველაფერი ხელიდან უვარდებოდა. რის კარინი მიხვდა, რომ სანამ ანა ყავის დასალევად მშვიდად არ დაჯდებოდა, იმ ათი ბავშვის ამბავი არ უნდა გამოეკითხა.

მაგრამ, როცა ბოლოს და ბოლოს მაგიდას მიუსხდნენ, თითო ნაჭერი შაქარი პირში ჩაიდეს და ყავა გასაცივებლად ლამბაქებზე დაასხეს, ისევ ნიაღვარივით დააყარა ანამ შეკითხვები, ახლა მას ძველი მეწვრილმანეების ამბავი აინტერესებდა, როგორ არიან მედსტუბიუნში ჩვენი გოგო-ბიჭები? ანსტუ ლიზა ისევ თუ დადის ზურგზე ფუთამოკიდებული, განა არ დაბერდა საამისოდ? ისევ ძველებურად თუ უყვარს ბანქოს თამაშიო?

ანსტუ ლიზა კარინის გულითადი მეგობარი იყო, თან ვაჭრობაში მეტოქეობას უწევდა, ამიტომ ერთ ფინჯან ყავას როგორ იკმარებდნენ, იმდენი სალაპარაკო ჰქონდათ მის ოინებსა და ხრიკებზე. რის კარენის აზრით, ანსტუ ლიზა არც კი იყო ფუთიანად

გზაზე გასაშვები. სირცხვილია, რომ პატიოსან ხალხს, ვინც ოფ-ლით შოულობს ლუკმაპურს, ასეთ ვაჭრუკანებთან ჰქონდეთ საქმეო.

მაგრამ აი, ყავის სმაც დამთავრდა და მოხუცი დალეკარ-ლიელი ქალის წასვლის დროც დადგა. რის კარინი ისე სულელი არ იყო, ვერ მიხვედრილიყო, რომ ანას არ უნდოდა იმ ბავშვების ამბის მოყოლა, ამიტომ აღარც ჩასძიებია. სულერთია, მაინც ყველაფერს გაიგებდა მისი მეზობლებისგან.

მაგრამ, როცა წელში მოხრილმა კარინმა ზურგზე მოიკიდა თავისი ტომარა, მასპინძელს გამოეთხოვა და კარის სახელურს მოჰკიდა ხელი, ანაზდად ერთხელ კიდევ შემობრუნდა:

- კინაღამ გადამვარდა გულიდან, რისთვის მოვედი, - უთხრა მან და ქვედაკაბის ჯიბეში საფულე მოიძია, - არც კი გიკითხავს, ვივაჭრე თუ არა რამე შენთვის, - განაგრძო მან და ორმოცდაათ-რიქსდალერიანი ქაღალდის ფული გაუწოდა.

შარშან გაზაფხულზე, როცა რის კარინი კორსჩურკაში იყო, ანამ ბავშვების მიერ დამზადებული დასტობით თასმის შეკრულა და რამდენიმე წყრთა მაქმანი გაატანა გასაყიდად. ანას სულაც არ დავიწყებია ეს, მაგრამ რაკი ბავშვებთან იყო დაკავშირებუ-ლი, არ ინდომა ამ ამბის გამოკითხვა.

ორმოცდაათი რიქსდალერი უშველებელი თანხა იყო და ანამ ჰკითხა, ეგებ უფრო წვრილი ფული გქონდეს, მაგის დახურდავე-ბა არ შემიძლიაო.

- ხურდა რად მინდა, ეგ სულ შენია. ჯერ ის გავყიდე, რაც გამა-ტანე, მერე კი ისევ დავატრიალე ფული და ბოლოს სწორედ ორ-მოცდაათი რიქსდალერი მოგროვდა. აჰა, აიღე, გამოგადგება, მჭამელი ბევრი გყავს ოჯახში.

მოხუცი იყო რის კარინი, მაგრამ ფეხმარდობაში არავის დაუდებდა ტოლს. სასწრაფოდ გაიხურა კარი, რათა მადლობის-

თვის თავი აერიდებინა, და სწრაფად გაუდგა გზას, მაგრამ ორ წუთსაც არ გაევლო, რომ ანა წამოეწია. ამწუთას იგი ძველებური ანა იყო, მადლობით აავსო კარინი და ექიმის სახლამდეც მიაცილა. რის კარინს იმედი ჰქონდა, ამ ოჯახში ამჯერად მაინც გაასაღებდა რამეს: ექიმის ცოლმა ხომ იმდენი ფული მიიღო თავისი მდიდარი დისგან, ადრინდელივით აღარ უნდა ეკანკალა ყოველ ერეზე.

ანა კარგა ხანს იჯდა სამზარეულოში, ხელში ის ორმოცდაათი რიქსდალერი ეჭირა და ტუჩებზე ბედნიერების ღიმილი დასთამაშებდა. როგორც ყოველთვის, ახლაც გახარებული იყო ფულით, მაგრამ ამჯერად მოულოდნელმა მოგებამ კი არ აღაფრთოვანა ასე ძალიან. არა, ანამ ეს ღვთიურ სასწაულად მიიჩნია. ბავშვების დათმობისთვის ზეციურ სასჯელს მოელოდა და ნაცვლად ამისა, ესოდენ ძვირფასი საჩუქარი გამოუგზავნა უფალმა. ასეთ ბედნიერებაზე ვერც იფიქრებდა. ავის მოლოდინის შიში განერიდა მის სულს. ის, რისიც ეშინოდა, არ აუხდა, მოსახდენი კი პირიქით მოხდა.

და რადგან არ შეეძლო ეს ბედნიერება ქმრისთვის არ გაეზიარებინა, მის ოთახში შევიდა. კარლ-არტური საწერ მაგიდასთან დახვდა, ანამ ფული აჩვენა და სთხოვა, შეენახა, რადგან სამზარეულოში ამის შესანახი ადგილი არ ჰქონდა.

მის შემოსვლაზე კარლ-არტურმა მუშაობა შეწყვიტა და დაბნეული თვალებით შეხედა ცოლს. ერთბაშად ვერც კი მიხვდა ნათქვამს, ვერ გაიაზრა, რომ ეს ფული ბავშვების ნახელავის საფასური იყო, რომ მათ არავინ დახმარებია და ყველაფერი საკუთარი ხელით გააკეთეს და რომ ეს ფული სწორედ მადლიერმა ბავშვებმა გამოუგზავნეს ამაგისთვის და იმის ნიშნად, რომ მათი გაშვებისთვის ანას ღმერთი არ დასჯიდა.

კარლ-არტური არ შეპასუხებია ანას, თუმცა, მეტისმეტად ბუნდოვნად მოეჩვენა მისი მოსაზრებანი. ქმარმა ის იკმარა, რომ ცოლს სიმშვიდე დაუბრუნდა და გამხნევდა, ისიც კი შესთავაზა ანას, რაკი ეს ფული ასე მოულოდნელად ჩაგივარდა ხელში, ისეთი რამ იყიდე, რაც შენს სულსა და გულს ეამებაო. ანას ძალიან მოეწონა ეს წინადადება და მაშინვე სამზარეულოში შებრუნდა, რათა იქ მშვიდად მოესაზრებინა, როგორ გამოეყენებინა ეს განძი, რომელიც თითქოს ზეციდან მოევლინა. დიდხანს ფიქრი არც დასჭირვებია. როდესაც პირველად ამ სამზარეულოში შემოვიდა, მაშინვე მიხვდა, რომ იქაურობას აკლდა დიდი სამზარეულო კარადა, რომელსაც დაბლა ყუთები ექნებოდა, ზემოთ კი თაროები და კარები. კედლის სიმაღლე კარადა თავისთავად ხომ იმითაც კარგია, რომ გამოსადეგია ოჯახში, მაგრამ ამავე დროს ოთახსაც ალამაზებს.

სხვა უფრო საჭირო რამ ანამ ვერ მოიფიქრა, და რადგან ქმარიც თანახმა იყო და ფულიც მისი საწერი მაგიდის უჯრაში იდო, აბა, რაღა შეუშლიდა ხელს, რომ სოფლის დურგალთან, დახელოვნებულ ოსტატთან წასულიყო და კარადა შეეკვეთა.

დურგალი სოფლის მთავარ ქუჩაზე ცხოვრობდა, ორგანისტისგან რამდენიმე სახლის დაშორებით, და როცა ანა იქით მიეშურებოდა გზად ფრუ სუნდლერი შეხვდა, ალბათ, გაზაფხულის ყვავილების დასაკრეფად გამოსულიყო და რამდენიმე პატარა თეთრყვავილა ეჭირა ხელში.

ფრუ სუნდლერს სალოპი არ ეცვა და ამან ძალიან გააკვირვა ანა. თვითონ არც კი შეუმჩნევია, რომ უკვე გვარიანად დათბა. მას შემდეგ, რაც ბავშვები წავიდნენ, დღენიადაგ მხოლოდ მათზე ფიქრობდა. არც ამინდი აინტერესებდა, არც სხვა რამეს აქცევდა ყურადღებას. ახლა კი ისევ შეამჩნია, რომ მზე კაშკაშებ-

და, რომ უძირო ლაჟვარდი ცა მოფენილი იყო ფუმფულა ღრუბლის ქულებით.

ანას ეგონა, ყველაფერი ეს იმ დღეს განცდილ დიდ სიხარულს უკავშირდებოდა, და როცა ფრუ სუნდლერი მიესალმა და ხელი გაუწოდა, თავი როდი აურიდებია, როგორც სხვა დროს მოიქცეოდა, პირიქით, გაუჩერდა კიდეც. თან ისიც გაიფიქრა, არაფერი ცოდვა არ იქნება, ერთი-ორი სიტყვა ვუთხრათ ერთმანეთს, ბოლოს და ბოლოს, ერთ სოფელში ვცხოვრობთ და რატომ უნდა ვმტრობდეთო.

ფრუ სუნდლერმა უთხრა, საპყრობილიდან გამოშვებული ტუსაღივით ვგრძნობ თავს, ჩემი ქმარი უკვე იმდენად მომჯობინდა, რომ ახლა ჩემს დაუხმარებლადაც კი შეუძლია სახლიდან გამოსვლაო. თვითონ რამდენიმე საათი ტყეში გაეტარებინა და აუწერელი სიამოვნება მიეღო. თითქოს ბუნებასთან ერთად მის სულსაც ეწვია გაზაფხული და ხელახლა ააყვავა.

როცა ანა კორსჩურკაში ჩამოვიდა, მაშინვე სიბრალული იგრძნო ფრუ სუნდლერისადმი. ახლა კი უთხრა, წლევანდელი ზამთარი მართლაც განსაკუთრებით მძიმე იყო შენთვისო, ეს თქვა და წასვლა დააპირა, მაგრამ ფრუ სუნდლერმა შეაჩერა. მთელ ზამთარს რომ კარჩაკეტილ სახლში გაატარებ, სულსა და გულს ეამება ისეთ ძველ მეგობართან საუბარი, როგორიც მისთვის ყოველთვის იყო კარლ-არტურის ცოლი. ეგებ ფრუ ეკენსტედმა პატივი დასდოს და ეწვიოს. დასხდებიან, ერთ-ორ სიტყვას ეტყვიან ერთმანეთს! აქედან ხომ სულ ორ ნაბიჯზეა მისი სახლი.

ანას დაყოვნება არ უნდოდა, რადგან დურგალთან მიიჩქაროდა, ამიტომ ცივი უარი უთხრა. ასეთ გამოსულ ხალხთან იგი ყოველთვის უხერხულად გრძნობდა თავს. იქნებ ფრუ სუნდლერს ეწყინა, ანამ მიზეზი რომ არ უთხრა და ისე იუარა მასთან სტუმრობა. ამიტომ ადგა და უამბო, სრულიად მოულოდნელად

ხელში ფული მოვიგდე და ახლა დურგალთან მივდივარ კარადის შესაკვეთადო. ფრუ სუნდლერს სახე გაებადრა და პასუხად მიუგო, ახლა კი სულაც არ მიკვირს, რატომ ჩქარობს ფრუ ეკენსტედიო. მიულოცა კიდეც ოჯახისთვის ესოდენ საჭირო ნივთის შეძენა.

მეტი აღარ შეჰპატიჟებია. მალე ანა უკვე დურგლის სახელოსნოში იყო. აქ კი სულაც აღარ ჩქარობდა, საკმაო ხანსაც დარჩა. მთელი ერთი საათი გავიდა, სანამ დურგალს მოელაპარაკებოდა კარადის სიმაღლესა და ფორმაზე, მის უჯრედებსა და საკეტებზე, ფერსა და მოსართავებზე. არც ფასზე მორიგება იყო იოლი საქმე, ბოლოს ამაზეც შეთანხმდნენ.

დურგალმა აღუთქვა, რომ კარადა ერთ თვეში იქნებოდა მზად და ორმოც რიქსდალერზე მეტი არ ეღირებოდა. და როცა შინ დაბრუნდა, ისე იყო გახარებული, ვეღარ მოითმინა და კარლ-არტურთან შევიდა, რათა ეს ამბავი ეამბა მისთვის.

კარლ-არტურს თითქოს სულაც არ გაუხარდა.

- მაგას როგორ ვიფიქრებდი, რომ ასე აჩქარდებოდი, - უთხრა მან, - მე თვითონ წამოგყვებოდი დურგალთან მოსალაპარაკებლად.

- რა ვიცოდი, თუ საამისო დრო გექნებოდა.

- საერთოდ მართლაც არა მაქვს დრო, მაგრამ... - დაიწყო მან, მაგრამ სათქმელი აღარ დაასრულა და ტუჩზე იკბინა.

ცოლმა გამომცდელად შეხედა, რადგან შეამჩნია, რომ კარლ-არტური შეცბა და გოგოსავით გაწითლდა.

- თქვი, თქვი, რა გინდა? - უთხრა ქმარს.

- მე რა მინდა? - მიუგო კარლ-არტურმა, - მე მგონია, რადგან თვითონვე დაიჯერე, რომ ეს ფული სასწაულად მოხვდა ჩვენთან, იქნებ უმჯობესი ყოფილიყო, ჩვენი საჭიროებისთვის კი არ დაგვეხარჯა, არამედ რაიმე სამადლო საქმისთვის გამოგვეყენებინა.

- ნეტავ ვინმეს ხომ არ მიეცი ის ფული? - უთხრა ცოლმა, თითქმის დარწმუნებულმა, რომ ეს მართლაც ასე მოხდა.

კარლ-არტურმა ჩაახველა, ყელი ჩაიწმინდა და შემდეგ უთხრა, ახლახან ორგანისტი სუნდლერი მეწვია. ეს კაცი უზომოდ ბედნიერია, ისევ სხვის დაუხმარებლად რომ შეუძლია სიარული. მთელი ზამთარი ხომ ავადმყოფობაში გაატარა. ვურჩიე, ამ ზაფხულს იმკურნალე, რათა მომავალ ზამთარს ისევ არ გაგიხსენოს მაგ ავადმყოფობამ-მეთქი. ორგანისტმა კი მიუგო, უკეთესს ვერაფერს ვინატრებდი, ისე მინდა მჟავე წყლებზე წასვლა ნიკრისის ქარების სამკურნალოდ, მაგრამ ვაი, რომ საამისო ფული არა მაქვსო.

- ეგებ შენც ადექი და ის ფული მიეცი, რომელიც ბავშვებმა გამოგვიგზავნეს?! - საყვედურის კილოთი წამოიძახა ანამ.

- ჩემო ძვირფასო მეგობარო, - მეტისმეტად ცივად და ამპარტავნულად მიუგო ქმარმა, - ნუთუ სხვა უფრო ღირსეული საშუალება იცი ღვთისგან ნაჩუქარი ფულის გამოყენებისა, ვიდრე კეთილი საქმის ჩადენაა?

ანა მთლად ახლოს მივიდა ქმართან, სახე გაჰფითრებოდა და ღრმად ჩამჯდარ თვალებში ნაპერწკლები უელავდა. გეგონებოდა, მართლაც ძალით აპირებს ფულის წართმევასო.

- რაო, ვითომ ვერ გაიგე ჩემი ნათქვამი? ეს ხომ სასწაულებრივი ნიშანი იყო. განა თვით ბავშვებმა არ გამოგვიგზავნეს ფული მადლობის ნიშნად. გეტყობა, დაგავიწყდა, როგორ მომექცა ეს კაცი, როცა უკანასკნელად იყო ჩვენთან.

- იქნებ სწორედ ეგ გავიფიქრე.

ანამ ხარხარი ვერ შეიკავა, მაგრამ სიხარულისა როდი იყო ეს ხარხარი. კარლ-არტური სასწრაფოდ მისკენ მიბრუნდა:

- შენ ეგ სასაცილო ggონია?

- არა, მე ეგ არ მაცინებს. სულ სხვა აზრი მომივიდა. როდის იყო შენთან ის ორგანისტი?

- სუნდლერი? ასე, ნახევარი საათი იქნება: დიდხანს არ დარჩენილა. გზაში უნდა შეხვედროდი.

- მე მეგონა, დიდად არ ინდომებდა ჩემთან შეხვედრას.

ქალს ისევ აუვარდა თავშეუკავებელი ხარხარი. კარლ-არტური კიდევ უფრო გაიმართა წელში და მკაცრი გამომეტყველება მიიღო.

- იქნებ დამდო პატივი და მითხრა, რაზე იცინი?

- შენზე კი არ ვიცინი, ჩემს თავს დავცინი: რა სულელი ვიყავი, თეას რომ ვუთხარი, იმ ორმოცდაათი რიქსდალერის ამბავი! როგორ ვერ მიხვდი, რომ გამოგტყუებდა იმ ფულს.

კარლ-არტურს ცოტა შიშმა გაჰკრა გულში. ისეთი ნიშნის მოგებით უელავდა ანას თვალები, მიხვდა, რაღაც ისეთი მოხდა, რაც მან არ იცოდა. მაგიდაზე მუშტი დაარტყა, რათა ცოლისთვის ეგრძნობინებინა, ანგარიშის გაწევის ღირსი ვარო.

- ბოლოს და ბოლოს, კეთილი ინებე და გამაგებინე, რაზე იცინი!

როგორც იქნა, შეიტყო, რაშიც იყო საქმე, მაგრამ ვერა და ვერ დაიჯერა, რომ ფრუ სუნდლერმა ფულის დასატყუებლად გამოგზავნა მასთან ქმარი. მხოლოდ დამთხვევაო, ფიქრობდა იგი.

- შეუძლებელია, - უთხრა ცოლს, - ეს ხომ ნამდვილი გაიძვერობა იქნებოდა. ნუთუ თეას შეეძლო თავისი ქმარი გამოეგზავნა აქ, რაკი შეიტყო, რომ ის ფული მივიღეთ? ამას როგორ მოიმოქმედებდა თეა, რომელიც ესოდენ კეთილშობილი, სპეტაკი და ასეთ საქმეებში ყოვლად უმწიკვლოა!

- აბა, მე რა ვიცი, როგორ და რანაირად იყო ეგ საქმე, მაგრამ მოდი და, ნუ გაგიკვირდება, რომ სწორედ დღეს მოვიდა ფულის სასესხებლად.

კარლ-არტური თუმცა კი იცავდა ფრუ სუნდლერს, მაგრამ, ეტყობა, ისე იყო განცვიფრებული და გაოგნებული, თითქოს მის თვალწინ ბაბილონის გოდოლი დამხობილიყოს. ანამ გაიხსენა ორი წლის წინანდელი კვირა საღამო, როდესაც თეა და ორგანისტი სახლში მოუცვივდნენ, რათა პასუხი მოეთხოვათ მისთვის საგარეო ქუდის გამო. იქნებ ორმოცდაათი რიქსდალერი არც უნდა დანანებოდა, რაკი იმას მოესწრო, რომ მისმა ქმარმა გული აიყარა თეა სუნდლერზე.

მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა მისი ზეიმი. დერეფანში ნაბიჯების ხმა გაისმა და კარლ-არტურის ოთახის კარზე ვიღაცამ თავაზიანად დააკაკუნა. კარი გაიღო და თეა სუნდლერი შემოვიდა.

კარლ-არტური საწერი მაგიდისკენ მიბრუნდა, მისკენ არც გაუხედავს, ქაღალდებს დაუწყო ქექვა. ფრუ სუნდლერმა ვითომ ვერც კი შეამჩნია იგი და პირდაპირ ანას მიმართა.

- კეთილო ფრუ ეკენსტედ, - უთხრა მას, - საშინლად გულნატკენი ვარ. ქმრისგან შევიტყვე, კარლ-არტურს ასეთი დიდსულოვნება გამოუჩენია, ორმოცდაათი რიქსდალერი უსესხებია მისთვის. მაშინვე ვუთხარი, რომ ეს, ალბათ, ის ორმოცდაათი რიქსდალერია, რომელიც ფრუ ეკენსტედმა თავისი შრომის საფასურად მიიღო, და რომ ჩვენ უფლება არა გვაქვს, მივიღოთ ეს ფული. ფრუ ეკენსტედი ამ ფულით კარადის ყიდვას აპირებდა, რომელიც მართლაც ძალიან ესაჭიროება, აბა, ვის ესიამოვნება, რომ ჭურჭელი თაროზე ეწყოს და იმსხვრეოდეს-მეთქი? ამიტომ სუნდლერს ვთხოვე, ის ფული ჩემთვის მოეცა, რათა თქვენთან მოვსულიყავი და სიმართლე გამეგო. ასეც ვუთხარი სუნდლერს,

თუ ეს ფული ფრუ ეკენსტედისაა, შენს ნიკრისს არაფერი ეშველება, ვინაიდან ფული უკან გვაქვს დასაბრუნებელი, მაგრამ თუ ეს კარლ-არტურის საკუთარი ფულია, მაშინ შეგიძლია ისესხო-- მეთქი. ფრუ ეკენსტედ, გარწმუნებთ, ძალიან კი მებრალება, უზომოდ იყო გახარებული, რომ ლოკაში წავიდოდა და ტალახით განიკურნებოდა ნიკრისის ქარებისგან. ისიც მაშინვე დამეთანხმა, რომ მე მართალი ვიყავი.

ეს ტირადა დაამთავრა თუ არა, მაშინვე ამოიღო ჯიბიდან ქაღალდის ფული და სწორედ ისევე გაუწოდა ანას, როგორც რის კარინმა გააკეთა რამდენიმე საათის წინ.

ანას, ვგონებ, არც მიუქცევია ამისთვის ყურადღება. იგი ფრუ სუნდლერისკენ არც კი იხედებოდა, მაგრამ თვალს არ აშორებდა ქმარს. კარლ-არტური ისევ უხმოდ იდგა საწერ მაგიდასთან, მაგრამ თეას მიერ წარმოთქმული ყოველი სიტყვის შემდეგ თანდათან წელში იმართებოდა, მაღლდებოდა და ნელ-ნელა მისკენ ბრუნდებოდა. როდესაც ფრუ სუნდლერმა სათქმელი დაამთავრა, სახე გაუბრწყინდა, ქუთუთოები ზევით ასწია და ისეთი მზერა მიაპყრო ამ ტანდაბალ, თვალებგადმოკარკლულ ქალს, რომ ცოლი ნამდვილად შურით უნდა აღვსილიყო სტუმრისადმი. მერე იგი ანას მიუბრუნდა, რომელსაც ის იყო, ხელი უნდა გაეწვდინა ფულის ასაღებად, და უცებ სახე მოეღუშა, ქუთუთოები დაბლა დახარა და მკერდზე ხელები დაიჭდო.

რაღა უნდა ექნა ანას, ორმოცდაათი რიქსდალერის გამეტება ერჩივნა, ვიდრ თეასთვის საშუალება მიეცა სასწაულებრივი სამართლიანობის ხატად წარმომდგარიყო კარლ-არტურის წინაშე.

- წაიღე ეგ ფული! - უთხრა ფრუ სუნდლერს, - ეს ის ფული არ არის, ამ დილით რომ გელაპარაკე, ეგ ფული კარლ-არტურისაა.

- ნუთუ ეს შესაძლებელია? ნუთუ ეს მართლაც შესაძლებელია? - წამოიძახა ბედნიერებისა და მადლიერებისგან აღტაცებულმა თეამ, მაგრამ ერთ წუთსაც არ დაყოვნებულა და ისე ნაჩქარევად გაეცალა იქაურობას, თითქოს ეშინოდა, ისეთი არაფერი მოხდეს, რომ უკან დასაბრუნებელი გამიხდეს ეს ფულიო.

ანას ვერ გაეგო, მუდამ სიმართლის თავგამოდებულმა დამცველმა კარლ-არტურმა რატომ არ უთხრა თეას, რომ ეს სიცრუე იყო, და, პირიქით, თითქოს ძალიანაც გაახარა ცოლის ტყუილმა.

თეა წინა ოთახში გააცილა და როცა უკან შემობრუნდა, მკლავები გაშალა, რათა ცოლს მოხვეოდა და გულში ჩაეხუტებინა.

- ო, ჩემო მეგობარო, - უთხრა ანას, - შესანიშნავი იყო, არც კი მახსოვს, ასეთი რამ განმეცადოს. ორივენი შეუდარებლები იყავით - შენც და თეაც! არც კი ვიცი, რომელია უფრო მეტი აღტაცების ღირსი.

ცოლმა ხელი ჰკრა და მუჭებშეკრული, მრისხანებისგან სახეანთებული წინ აესვეტა.

- ყველაფერს გაპატიებდი, მაგრამ იმას კი ვერა, რომ ის ფული წაართმევინე ჩემთვის, - უთხრა ქმარს და ოთახიდან გავიდა.

დასტა ბანქო

I

ამგვარი ბუნებისა იყო იგი, ჰოდა, რა ექნა, რაკი ასეთი დაიბადა. მისი ბრალი როდია, თუ ერთი იმათგანია, ვინც კრინტსაც არ დაძრავს, თუ ვინმეზე განაწყენდება. ასეთი კერპი ხასიათის ადამიანებიც კი, ბევრი-ბევრი, ერთი-ორი დღე იქნებიან გაბუტულები, მაგრამ მას ისე უსამართლოდ მოექცნენ, ისღა დარჩენოდა, კბილი კბილზე დაეჭირა და მთელი კვირა ხმა არ ამოეღო.

ვერც მუშაობას უდებდა გულს. მოკუნტული იჯდა საწოლზე, ცეცხლს მიფიცხებული, სახეზე ხელები აეფარებინა და წინ და უკან ქანაობდა. ერთადერთი, რაც შეეძლო, ყავის სმა იყო. ერთი პატარა სამფეხიანი კარდალა ჰქონდა, რომელსაც მოვაჭრედ სიარულისას თან დაატარებდა ფუთის ძირში ჩადებულს. ახლა გამუდმებით ცეცხლზე ედგა ეს კარდალა და წარამარა ისხამდა ყავას.

ქმარს საჭმელს უკეთებდა და გულსუწადინოდ თუ მიიხედ--მოიხედავდა სახლში, ეს იყო და ეს. კარლ-არტურთან ერთად სუფრასთან დაჯდომაც არ შეეძლო. საჭმელს დადგამდა მაგიდაზე, თვითონ ისევ ღუმელს მიაშურებდა და ქანაობდა წინ და უკან. ქმრისკენ არც კი იხედებოდა.

ქმარი, თორემ ეგეც ქმარია, რა! აბა, ერთი მედსტუბიუნელ დალეკარლიელს წაჰყოლოდა ცოლად, ხომ გაუგებდა, როგორ უმძიმს ახლა, რაოდენ ესაჭიროება ქმრის დახმარება! ის კი მოისროდა გარეთ მის კარდალას და აიძულებდა, რაიმე ხელსაქმისთვის მოეკიდა ხელი. ჰოდა, სწორედ ნამდვილი ხსნა იქნებოდა ეს მისთვის.

ეს კაცი კი დროდადრო მივა ცოლთან, მის ჯანმრთელობას მოიკითხავს და ალერსით სთხოვს, ერთი სიტყვა მაინც მითხარიო. ცოლი კი მიცვალებულივით დუმს, მერე ქმარი ნაზად ხელს მოუთათუნებს მხარზე, ეტყვის, მალე გამომჯობინდებიო, და ისევ თავის გზას ეწევა.

აი, ეს არის მთელი დახმარება, რომელსაც ანა ამ კაცის მოქმედებაში ხედავს.

ანა ხვდებოდა, რასაც კარლ-არტური ფიქრობდა. ალბათ, გაგონილი ჰქონდა, რომ ფეხმძიმე ქალს ახირება სჩვევია, ახლა კი გული დააჯერა, რომ სწორედ ასეთი რამ სჭირდა მის ცოლს.

მაგრამ განა ასე იყო? ხომ უნდა მიხვედრილიყო ქმარი ამას, ტყუილად ხომ არ არის ეს კაცი განსწავლული, თან კიდევ, ანას მტკიცედ სჯეროდა, რომ კარლ-არტურმა იცოდა, რა ადარდებდა მის ცოლს, მაგრამ თავი ისე ეჭირა, ვითომ ვერაფერს ხვდებოდა. არ უყვარს მას ის ბავშვები. არ უნდა, რომ უკან დაბრუნდნენ. ჰოდა, დაე, იჯდეს და იტანჯოს ანა.

არა, ასეთი ბუნების იყო იგი, რა ექნა, თუ ასეთი დაიბადა. ბავშვებზე დარდი გულს უღრღნიდა და წუთითაც არ აძლევდა მოსვენებას.

იქ, ჩრდილოეთში, სადაც ახლა ბავშვები ცხოვრობდნენ, უამრავი მაწანწალაა, რომლებიც სამრევლოში დაეხეტებიან და მათხოვრობენ. თან დაჰყავთ ბავშვების ჯგრო, ხოლო თუ თვითონ ცოტა ჰყავთ, სხვისას დაატარებენ. ანა ახლა სავსებით

დარწმუნებული იყო, რომ ექვსი უმცროსი უკვე მისცეს ასეთ მათხოვარს, რომ ახლა მათ ძონძები აცვიათ, რათა ნამდვილ მათხოვრებს დაემსგავსონ, რომ ისინი ფეხშიშველები დადიან, თუმცა, იქ თოვლმა ეს-ესაა დაიწყო დნობა, რომ მათ შიმშილით კლავენ, სცემენ, ერთი სიტყვით, შავ დღეს აყენებენ. ხომ არ შეიძლება, მათხოვრის ბავშვები მაძღრები და მხიარულნი იყვნენ.

ოღონდ ცოცხლები და ჯანმრთელები ენახა ბავშვები და მყისვე ძველებურ ანად გადაიქცეოდა, მაგრამ როგორ უთხრას ეს კარლ-არტურს! ვერა და ვერ ეუბნება. დაე, თვითონ მიხვდეს!

შინ, მედსტუბიუნში ყველა ყმაწვილი კაცი მიხვდებოდა, რომ სწორედ ეს ტანჯავდა. ის ყმაწვილი ცხენს შეაბამდა და მეორე დილითვე გასწევდა ექსჰერადში ბავშვების ჩამოსაყვანად, ხოლო თუ იგი არ ინდომებდა ამგვარი გზით დახმარებოდა, შეიძლება თმით დაეთრია და ღუმლიდან იატაკზე დაენარცხებინა, მაშინ შეიძლება ჩასწვდომოდა საქმის ვითარებას და საქმე სასიკეთოდ განესაჯა. ეს კაცი კი იმას სჯერდება, რომ ერთ-ორ საალერსო სიტყვას მიუგდებს, მხარზე ხელს მოუთათუნებს, ეგაა და ეგ. ჰოდა, ქალსაც გული აეყარა. ადრე მის თავს არავინ ერჩია, ახლა კი, როცა ქმარი მის ოთახში შემოდიოდა, ძლივსღა ითმენდა მის იქ ყოფნას.

ერთხელაც, შუადღისას, როდესაც ქმარი სადილისთვის შინ მოვიდა, ანას რკინის ყალიონი გაერჭო პირში და აბოლებდა. იცოდა, როგორ არ იცოდა, რომ პასტორის ცოლს თამბაქოს წევა არ შეშვენოდა, მაგრამ თავს ვერ მოერია. თითქოს ვინმეს ებრძანებინოს, ასე მოიქეციო. და ახლა ერთი სული ჰქონდა, რას ეტყოდა კარლ-არტური, როცა დაინახავდა, რომ მისი ცოლი ფინელი დედაბერივით იჯდა და ნაფაზებს არტყამდა.

ამის დანახვაზე, ჩანს, ძალიანაც დაფრთხა ქმარი და მაშინვე გამოუცხადა, იმას კი ვეღარ მოვითმენ, ჩემი ცოლი თამბაქოს ეწეოდესო.

ანამ იმედის თვალით შეხედა. „იქნებ ახლა მაინც მიხვდეს, რომ შველა მჭირდება“, - გაიფიქრა მან.

- შეეჩვიე იმ აზრს, რომ თუ ოთახს თამბაქოს კვამლით აავსებ, აქ აღარ ვისადილებ, - უთხრა ქმარმა, - და თუ მომავალშიც აპირებ ამას, ჩემს ოთახში მოგიწევს საჭმლის შემოტანა.

არც კი გაბრაზებულა კარლ-არტური, როგორც ყოველთვის, ახლაც მოთმინებით და გულკეთილად ელაპარაკებოდა. ანა მიხვდა, რომ მისგან შველას ვეღარ ეღირსებოდა.

ამიერიდან კარლ-არტური მუდამ თავის ოთახში სადილობდა, თუმცა, არც ის ავიწყდებოდა, რომ დროდადრო ცოლის ოთახში შეეხედა და ჯანმრთელობის ამბავი ეკითხა მისთვის. ჩვეულებისამებრ, მხარზე ხელს მოუთათუნებდა და ალერსიან სიტყვას ეტყოდა. ასე მისდევდა დღე დღეს.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ანას წარამარა ესმოდა, როგორ იღებოდა შემოსასვლელი კარი და მერე ქმრის ოთახში გაცხოველებული ლაპარაკი იმართებოდა. დიდი მრევლი ჰყავდა და ეს ხალხი მართლაც საქმეზე დადიოდა მასთან. მაგრამ ანამ ისიც იცოდა, რომ ბევრს სულის ხსნაზეც სურდა პასტორთან საუბარი. ნახეს რაღა, ვის ეთათბირონ! აბა, ეგ რა მრჩეველია? თავის საბრალო ცოლსაც კი ვერ დაეხმარა.

ასე გავიდა მთელი კვირა. ერთხელ საწოლზე მჯდომმა ანამ ანაზდად შეამჩნია, რომ წინსაფრის ქვეშ თურმე დანა ჰქონდა დამალული. თითქოს ვინმეს ებრძანებინოს, დანა აიღეო. სულაც არ გაჰკვირვებია, ეს რომ გააკეთა, მაგრამ იმას კი ვერ მიხვდა, რისთვის აიღო სუფრის დანა. ამით ხომ ვერც თავის თავს ავნებდა რამეს, ვერც სხვას.

შუადღე იყო, ქმარი რომ მოვიდა და უთხრა, მრევლში საქმეზე ვარ წასასვლელიო. ერთ ტორპართან მიდის, სამრევლოს ყველაზე შორეულ ადგილას. იქამდე, სულ ცოტა, ორი მილი მაინც იქნება. ასე რომ, მისთვის სადილის მომზადებაზე ნუ იზრუნებს, მაგრამ დიდად კი დაავალებს, თუ რამე წასახემსებელს დაახვედრებს შინ დაბრუნებისას, დაახლოებით ექვსი საათისთვისო.

ანამ, როგორც ყოველთვის, არც ახლა უპასუხა, მაგრამ, როცა ქმარმა დასძინა, ჩემი აზრით, დღეს უკეთ ხარ, ვიდრე გუშინ იყავიო და სულ მალე უეჭველია ძველებურადვე კარგად გახდებიო, ანამ ოდნავ ასწია წინსაფარი. ქმარმა, ის იყო, ჩვეულებისამებრ ხელი გაიწვდინა მხარზე მოსათათუნებლად, ცოლმა უცებ მთლად გადაიწია წინსაფარი და კარლ-არტურმა ლაპლაპა დანას მოჰკრა თვალი.

კარლ-არტური ისე უკუიქცა, თითქოს გველი დაენახოს ანას მუხლებზე. კარგა ხანს სიტყვაც ვერ დაძრა. საშინლად შეცბუნებული იდგა და თავს უაზროდ აქნევდა.

- ანა, ანა, - წარმოთქვა ბოლოს, - გეტყობა, ძალიან ავად ხარ. რაღაც უნდა ვუშველო შენს საქმეს. როგორც კი დღეს შინ დავბრუნდები, ექიმს ვთხოვ, გამოარკვიოს, რა გჭირს.

ეს უთხრა და წავიდა, მაგრამ ანამ ახლა კი გაიგო, რისი გაგებაც სწადდა. ახლა მან იცოდა, რომ ეს კაცი ვერასოდეს უშველიდა მის მწუხარებას.

II

რაოდენ სასიხარულოა, სახლის კარს რომ გამოიხურავ და ყოველდღიურ საზრუნავს დააღწევ თავს! მერე რა, რომ გლეხური ჯაყჯაყა ფორნით გიხდება მგზავრობა. ხომ იცი, რომ მთელი შენი ტანჯვა წარმავალია და მალე ყველაფერი ისევ კარგად იქნება, როგორც კი დიდი ხნის ნანატრი პაწაწინა ადამიანი მოევლინება ამ ქვეყანას. მაგრამ შენი მოთმინება ბოლო ხანებში სულ ბეწვზე ეკიდა და ამიტომ მართლაც ძალიან გარგებს, თუნდ მცირე ხნით ლაღად განავარდება, როცა საკუთარი თვალით დაინახავ და იგრძნობ, რა შეუძლია მისცეს ცხოვრებამ ადამიანს, გარდა გაბოროტებისა და ავგულობისა.

როგორც კი კარლ-არტური ექიმის კარ-მიდამოს გასცდა და სოფლის მთავარ ქუჩაზე შეუხვია, მაშინვე სიხარული დაეუფლა. ფრიალ-ფრიალი გაჰქონდა წითელ, თეთრ და ყვითელ თავსაფრებს. გზის ორივე მხარეს ფარდულები გაემართათ, რომლებიც სავსე იყო სავაჭროდ გამოტანილი საქონლით, ხოლო გზაზე იმდენი ხალხი ირეოდა, ცხენი ნაბიჯითაც ძლივს მიიკვლევდა გზას.

ერთი სიტყვით, კორსჩურკაში ბაზრობა იყო, მართალია, ისე მდიდრული არა, როგორიც შემოდგომაზე იმართება ხოლმე, როდესაც ხალხი საზამთროდ ემზადება, მაგრამ მაინც ნანატრი და გაცხოველებული. გავლით ჩამოსული ვესტერიოტლანდელები მყიდველებს სთავაზობდნენ ჩითს, რომელიც სწორედ სიცხეშია კარგი სატარებელი, ზაფხული კი უკვე კარზე იყო მომდგარი. დალეკარლიელები სახნისებითა და ცელებით ვაჭრობდნენ,

უიმისოდ ხომ არც ხვნა შეიძლება, არც თიბვა. კალათების მწნელები ძლივს მიიკვლევდნენ ამ ზღვა ხალხში გზას. კალათებიც ფრიად საჭირო რამაა, განსაკუთრებით კენკრის კრეფისას. ყველაზე მეტი მუშტარი იმათ ეხვეოდათ, ვისაც ლაფათინები გამოეტანათ გასაყიდად. აბა, ზაფხულის გრძელ დღეს საქსოვ დაზგას ისე როგორ მიუჯდება ადამიანი, თუ ქსელის საბეჭავი სავარცხელი არ ექნა.

მართლა რომ შესანიშნავი სანახაობა იყო ეს ბაზრობა, მაგრამ კარლ-არტურს ყველაზე მეტად ის მოსწონდა, რომ ყველას სიხარულით უბრწყინავდა სახე. სახელგანთქმული კრისტინე-ჰამნელი, კარლსტადელი და ერებრუელი სოვდაგრები თან ჩამოჰყოლოდნენ თავიანთ საქონელს და სულაც არ თაკილობდნენ დახლთან დგომას. ძვირფას ქურქებსა და სელაპის ბეწვის ქუდებში გამოწყობილნი სათნო ღიმილით ეგებებოდნენ მუშტარს.

ფერად-ფერადი ტანსაცმლით მორთულ ხალისიან დალეკარლიელ ქალიშვილებს უბრალო თამასებზე გაეშალათ თავიანთი საქონელი. ადგილობრივი მკვიდრნი მეგობრებსა და ნაცნობებს ესალმებოდნენ და სულით და გულით უღიმოდნენ, ასეთი ღიმილი ხომ გაზაფხულზე სჩვევით ადამიანებს, როცა ბოლო ეღება სიცივეს, ავდარსა და შინ გამოკეტვას. ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ხალისიან განწყობას ცოტაოდენი არაყიც შველოდა, და თუმცა ხალხი ჯერ კიდევ არ იყო მთვრალი, ხასიათზე მაინც მოსულიყვნენ, ლაღობდნენ, გულიანად იცინოდნენ, მხიარულობდნენ.

ალაგ-ალაგ ისეთი ჭყლეტა და ზედახორა იყო, აბა, ფორანი როგორ გაივლიდა იქ. უნდა გაჩერებულიყვნენ და ელოდათ, მაგრამ კარლ-არტურს გული არ სწყდებოდა ამის გამო, პირიქით, სიამოვნებით უყურებდა ბაზრობის სასეირო ამბებს. ერთი

დახლის წინ, სადაც ვესტერიოტლანდური შინნაქსოვი შესანიშ-ნავი ქსოვილი იყიდებოდა, დაჩაჩანაკებული, უსახური, გაქუ-ცულტანსაცმლიანი მოხუცი ტორპარი იდგა. თან ლამაზი გოგო-ნა ახლდა, რომლისთვისაც მაგრად ჩაეჭიდა ხელი. მოხუცი აშ-კარად გადაკრულში გახლდათ, თანაც გაზაფხულის მზეს დაეცხუნებინა და იყო ერთ ბორგვასა და შფოთში.

- ბუნანდერ, ბუნანდერ, - უყვიროდა ნოქარს, - რა ღირს ეგ წი-თელი ქუდი? რა ღირს წითელი ქუდი, ბუნანდერ?

ის წითელი ქუდი კი, რომლის ყიდვასაც აპირებდა მოხუცი თავისი ქალიშვილისთვის, სულაც არ იყო უბრალო რამ. შესა-ნიშნავი ჩალის ქუდი გახლდათ, აბრეშუმისსარჩულიანი, გრძე-ლი, ვარდისფერი აბრეშუმის ბაფთებით. ვაჭარმა ეს ლამაზი ქუ-დი დუქნის გარეთ გამოჰკიდა, მდიდარი მუშტრების მისაზიდად, და როცა მოხუცმა ტორპარმა მისი ყიდვა მოინდომა, არ ესიამოვნა და თავი ისე დაიჭირა, თითქოს მისი ლაპარაკი არ ეს-მოდა. ამან მხოლოდ ის ნაყოფი გამოიღო, რომ მყიდველმა ახ-ლა ნამდვილი ღრიალი მორთო:

- ბუნანდერ, ეი, ბუნანდერ, რა ღირს წითელი ქუდი?

ბრბო აყაყანდა, ბიჭებმა მასხრად აგდება დაუწყეს საბრალო მოხუცს, კარლ-არტურს კი გული აუჩუყა ამ ტორპარმა, რომელ-საც გადაეწყვიტა, რომ მთელი ამ ბაზრობის თვალი - ეს ულამა-ზესი ქუდი სწორედ მისი ქალიშვილისთვის იყო განკუთვნილი.

ძლივს ადგილიდან დაიძრა ორთვალა და ისევ მოუხდა გაჩე-რება. ამჯერად მიზეზი ერთი ქარხნის მეპატრონე გამოდგა. ასე, შუახნისა იქნებოდა, ტანადი, კოპწიად გამოწყობილი; ლამაზი და გონიერი სახე ჰქონდა. უამრავი ხალხი შემოხვეოდა ირ-გვლივ. თვითონ მედიდურად და დინჯად იდგა, მაგრამ ანაზდად მაღლა ახტა და თითები გაატკაცუნა.

- მაგრა კი გავილეშე, აი! - წარმოთქვა მან, - გვარიანად ვარ, აი!

მერე ისევ მედიდური იერი მიიღო და ერთხანს დინჯად იდგა ხმის ამოუღებლად. უეცრად, სავსებით მოულოდნელად, ისევ შეხტა, თითები გაატკაცუნა და გაიმეორა:

- მაგრა კი გავილეშე, აი! ზორბადა ვარ, აი!

სეირის საყურებლად მოგროვილ ხალხს ძალიან მოსწონდა ეს ამბავი, კარლ-არტურმა კი, რომელიც ვერ იტანდა ლოთობას, სამარცხვინოდ მიიჩნია მისი საქციელი და ზურგი შეაქცია, მაგრამ მეეტლემ აუხსნა, რომ ეს ხუმრობა იყო.

- ერთი მე ვარ მთვრალი და მეორე ეგ, - უთხრა მან, - ყოველ ბაზრობაზე ეგეთი ქცევით იწონებს ხოლმე თავს. მხოლოდ იმიტომ დადის აქ, რომ ხალხი აცინოს.

კარლ-არტურს ცოლი შეებრალა, რომელიც დღენიადაგ ღუმელზე იჯდა და არც კი იცოდა, რომ ორი ფეხის ნაბიჯზე ასეთი მხიარულება იყო.

„რა დასანანია, რომ აქ არ მოვა, - ფიქრობდა იგი, - იქნებ თავის ძველ მეგობრებს შეხვედროდა და გული გადაეყოლებინა. როდემდე უნდა ჩამოსტიროდეს ცხვირ-პირი“.

მაგრამ მალე სრულიად სხვა რამეზე გადაიტანა ფიქრი. როგორც საერთოდ ხდება ხოლმე, ბაზრობაზე თავს იყრის უამრავი უსაქმური - მაწანწალა თუ ათასი ჯურის ნაძირალა, რომლებიც უმთავრესად ცხენებისა და საათების გაცვლა-გამოცვლით შოულობენ პურისა და ჯიბის ფულს. სწორედ ერთი ასეთი ყალთაბანდი მოქროდა ახლა ქუჩაზე, რათა გადამყიდველისთვის თავისი ცხენის ძალა და უნარი ეჩვენებინა. კარლ-არტურმა შორიდანვე დაინახა იგი. ეს შავგვრემანი, ტანადი კაცი ფეხით შემდგარიყო ჩარდახიანი ოთხთვალას საჯდომზე, რათა უფრო მარჯვედ ეტლაშუნებინა შოლტი თავისი ჯაგლაგა ცხენისთვის. ყვი-

როდა, იგინებოდა, დაფეთებული ცხენი წინ მიქროდა, ხალხი კი აქეთ-იქით გარბოდა, რათა თვლებს არ ჩავარდნოდა. კარლ--არტურის მეეტლემაც მოინდომა გვერდით გადახვევა, მაგრამ ვერ მოახერხა, რადგან იქაურობა ხალხით იყო გაჭედილი. ოთხთვალების დაჯახება თითქოს გარდაუვალი იყო.

უკანასკნელ წუთებში მაწანწალამ ომახიანად შეუძახა ცხენს და სადავეები მოსწია და როცა მისი ცხენი ნელი ჩორთით წავიდა და ჩაუარა ახალგაზრდა პასტორს, ამ კაცმა სალმის ნიშნად ზრდილობიანად აიწია კარტუზი, რომელსაც ნახევარი საჩიხი მოხეული ჰქონდა.

- სახლიკაცს სალამი და გამარჯვება! - მიაძახა მან, - ეშმაკმა დალახვროს, რა საცოდავად მობუზულხარ! გაიხადე ეგ შენი შავი სერთუკი და გამომყევი! იცი, რა განცხრომაში ვიქნებით?

შოლტი მოიქნია და ცხენი გააჭენა. კარლ-არტური სირცხვილისგან დაიწვა. მეეტლეს უბრძანა, ყველა ღონე ეხმარა, რათა რაც შეიძლება ჩქარა გასცლოდნენ იქაურობას.

სოფლის შარაგზაზე რომ გავიდნენ, მაშინღა დაუფიქრდა ახალგაზრდა პასტორი თავისი ბიძაშვილის ბედს. ჰედებიუელმა იორან ლიოვენშოლდმა ახალგაზრდობისას მიატოვა მამისეული სახლ-კარი, ბოშებსა და სხვა მაწანწალებს გადაეკიდა და მას შემდეგ ერთხელაც არ უცდია, მშვიდ ცხოვრებას დაჰბრუნებოდა.

აქამდე კარლ-არტურს თავისი ბიძაშვილი დაგლახაკებულ, გაუბედურებულ ადამიანად, მთელი ოჯახის შემარცხვენელ კაცად მიაჩნდა, მაგრამ იმ დღეს კი სულაც არ იყო იმის გუნებაზე, ადრინდელივით მკაცრად გაეკიცხა. ეგებ ასეთ მოხეტიალე ცხოვრებასაც თავისი ლაზათი აქვს. ამ ცხოვრებას თან ახლდა თავისუფლება, რაღაცნაირი იდუმალება. გზის ყოველ მოსახვევში ფათერაკი იყო ჩასაფრებული, ასეთ ადამიანს ქადაგების მომ-

ზადება როდი მოეთხოვება ამა თუ იმ დღისთვის, არც მოსაბეზრებელი დავთრები აქვს შესავსები, არც კიდევ მრევლის გულგამაწვრილებელ შეკრებებზე ჯდომა უწევს. იქნება არცთუ ისე დასაძრახისია იორან ლიოვენშოლდი, მამისეული სახლ-კარის სალონს შარაგზაზე ხეტიალი რომ ამჯობინა.

კარლ-არტური თვითონაც გაძღა ამ შარაგზებზე სიარულით, როცა უნივერსიტეტში სწავლისას წელიწადში ოთხჯერ უხდებოდა კარლსტადიდან უფსალაში მგზავრობა; ბევრი უდარდელი დღე გაუტარებია. მერე და მერე სიამოვნებით იგონებდა ხოლმე ფერად-ფერადი ყვავილებით მორთულ გზის ნაპირებს, შესანიშნავ პანორამებს, გორაკებიდან რომ იშლებოდა, უბრალო სადილებს მყუდრო ფუნდუკებში, საუბრებს ენაწყლიან მეეტლებთან, რომელთაც ისე ახლოს გაეცნო იმ წლებში, რომ ხანდახან ეხუმრებოდნენ კიდეც კარლ-არტურს, სოლომონ ბრძენობას ხომ არ აპირებ, ამდენი ხანი რომ სწავლობ უფსალაშიო.

კარლ-არტურს მუდამ უყვარდა ბუნების წიაღში ყოფნა, ამიტომ ხანგრძლივი მოგზაურობა სწორედ ამ მგზავრობის სიყვარულის გამო მოსწონდა. როცა სხვები ბუზღუნებდნენ, იგი გულში ფიქრობდა: „ვერ გამიგია, რაზე წუწუნებენ?! გზა მუდამ ჩემი მეგობარი იყო. მიყვარს ციცაბო გორაკები, მოგზაურობას ასე რომ ახალისებენ. ერთფეროვან უღრან ტყეებსაც შეუძლიათ ფიქრების აშლა. არც ოღროჩოღრო გზები მეჯავრება მაინცდამაინც. ერთი გატეხილი ღერძის მიზეზით ერთხელ მთელ სოფელს დავუმეგობრდი. კიდევ ისიც მახსოვს, ძლიერი ქარბუქის გამო გრაფის ციხესიმაგრეში როგორ მომიხდა სტუმრობა“.

სანამ ოთხთვალაში იჯდა და ბიძაშვილთან შეხვედრის ამბავზე ფიქრობდა, მოულოდნელი რამ მოხდა. ანაზდად თავში გაუელვა ერთმა სულ მთლად ახალმა აზრმა, რომელმაც ისე გა-

ნაცვიფრა, თითქოს მოწმენდილი ციდან მეხი ჩამოვარდნილიყოს. ისე აღელდა, რომ წამოხტა და შეჰყვირა კიდეც.

მეეტლემ სადავეები მოსწია და მისკენ მობრუნდა:

- ანაფორის წამოღება ხომ არ დაგავიწყდათ, ჰერ მაგისტრო?

კარლ-არტური ისევ დაჯდა და მეეტლეც დამშვიდდა. არა, რასაკვირველია, არაფერი დავიწყებია. ყველაფერი რიგზეა. პირიქით, ისევ იპოვა ის, რაც ერთხელ დაკარგა.

ამის შემდეგ მთელი გზა გულხელდაკრეფილი იჯდა და იმ მიგნებული აზრის სიხარული უკიაფებდა თვალებში.

როგორც მეეტლეს უთხრა, ის, რაც ამწუთას მოიფიქრა, სულაც არ იყო ახალი რამ. ასჯერ მაინც, თუ ათასჯერ არა, მათეს სახარებაში წაკითხული ჰქონდა ის სიტყვები, რომლებიც უფალმა თავის მოწაფეებს უთხრა, როცა ციური სასუფევლის მოახლოებული დამკვიდრების ამბის მაცნედ გზავნიდა ხალხში, მაგრამ ადრე თურმე მთლად კარგად არც კი ესმოდა ამ სიტყვების ღრმა აზრი. მხოლოდ ახლა დაფიქრდა იმაზე, რომ ქრისტემ მართლაც უხმო მოციქულებს, ოღონდ ღატაკი ყარიბებივით ისინი აბგითა და კვერთხით კი არ უნდა გასდგომოდნენ გზას, რათა კეთილი ამბავი ემცნოთ ყველა გზისპირა სახლში, ქოხსა თუ სასახლეში, არამედ ბაზრობებზეც მოსულიყვნენ და ირგვლივ ხალხი შემოეკრიბათ, გამოლაპარაკებოდნენ ფუნდუკებში დასასვენებლად დაბინავებულ მგზავრებს, ესაუბრათ სხვა ყარიბებთან და ყველგან და ყველასთან მოეთხროთ ციური სასუფევლის სასწაულებრივი მოახლოება.

როგორ მოხდა, რომ აქამდე ვერ ჩასწვდა ამ მოწოდებას, რომელიც ესოდენ ნათლად და მკაფიოდაა ნათქვამი? ისევე, როგორც სხვა მღვდელმსახურნი, ისიც მქადაგებლის კათედრაზე იდგა და ელოდა, ხალხი თვითონ როდის მოვიდოდა მასთან.

მაგრამ იესოს სულ სხვა რამ სწადდა. მას უნდოდა, მოწაფეებს თავად ევლოთ გზებსა და ბილიკებზე და ჩასწვდომოდნენ ადამიანთა გულისთქმას.

კარლ-არტურს თავისივე გამოგონებული გეგმა ჰქონდა. მას სურდა, შეექმნა მიწიერი სამოთხე, რომელიც მისაბაძი გახდებოდა ადამიანებისთვის. ამწუთას კი მიხვდა, რატომ მოეცარა ხელი ამ საქმეში. იგი მიხვდა, რატომ გადაეღობა წინ ამდენი წინააღმდეგობა, რატომ ვეღარ ოქროპირობდა, რატომ გახდა ამდენი ხიფათისა და უბედურების მიზეზი. ღმერთმა ამით მიანიშნა, რომ არასწორი გზა აირჩია. ქრისტეს არ სურდა, მონაი მისი მუდამ ოთხ კედელში ყოფილიყო გამომწყვდეული. უფლის ჭეშმარიტი მონა ჩიტივით ლაღი უნდა იყოს. ყარიბივით გზახსნილი, ბუნების წიაღში მცხოვრები უპოვარი ადამიანი. სასმელ--საჭმელზე ზეცის წყალობის მოიმედემ ითმინოს შიმშილი, ითმინოს სიცივე ნებითა ღვთისათა... საწოლში მხოლოდ მაშინ დაწვეს დასაძინებლად, როს უფალი ისურვებს ამას, ხოლო თუ ერთხელ დილით ნამქერში მკვდარს იპოვიან, ეს მხოლოდ იმის ნიშანი იქნება, რომ უფალმა დაღლილი ყარიბი ზეციურ სასახლეში მიიწვია.

„აი, ეს არის სრულყოფილი თავისუფლების გზა, - ფიქრობდა იგი ნეტარებით აღტყინებული, - გმადლობ შენ, უფალო, რამეთუ დამაყენე ჭეშმარიტების გზაზე, სანამ ჯერ კიდევ გვიან არ იყო“.

- შინ რომ დავბრუნდები, - ჩაიბუტბუტა თავისთვის, - ეპისკოპოსს მივწერ, ვთხოვ, გამათავისუფლოს კორსჩურკაში ჩემი მოვალეობისგან, შვედეთის სახელმწიფო ეკლესიიდანაც გამოვალ. პასტორად, რა თქმა უნდა, ადრინდელივით დავრჩები, და არც რომელიმე ახალ მოძღვრებას ვიქადაგებ, მაგრამ აღარ ვიქნები ხელქვეითი მორჩილი ეკლესიის წესდებისა, ეპისკოპოსისა, არც კონსისტორიისა, მე მწადია, ისე ვიქადაგო ქრისტეს

მოძღვრება, როგორც თვით მან მიბრძანა; მე მწადია ვიყო მაწანწალა უფლისა ჩვენისა სახელით; ვიყო უპოვარი პასტორი, მოხეტიალე ღვთისკაცი.

ასეთ ოცნებებს გაჰყვა ნეტარი ფიქრებით მოხიბლული. ცხოვრებას თითქოს ახლებური აზრი მიეცა. კვლავ მშვენიერი და საოცარი გახდა იგი.

„ცოლს შეუძლია დარჩეს ჩემს სახლში, - ფიქრობდა იგი, - იქ კარგად იქნება, თუ ჩემთან შეხვედრას არ ინდომებს. ბავშვებს უკანვე ჩამოიყვანს. ანას დარდი სულაც არ უნდა მქონდეს. რაც რამ დასჭირდება, ყველაფერს თავისი შრომით მოიპოვებს“.

იგრძნო, რომ ერთბაშად ყოველგვარი სიძნელისგან დაიხსნა თავი. გული სიხარულით აუძგერდა, უნაპირო ნეტარებით აღივსო.

III

კარლ-არტურმა ვერ მოასწრო ექვსი საათისთვის შინ დაბრუნება. საათის ისარი რვას უახლოვდებოდა, როცა თავისი სახლის წინ ოთხთვალადან ჩამოვიდა.

და როცა რამდენიმე წუთის შემდეგ სამზარეულოს კარი გამოაღო - ეჰ, ვინ იცის, რამდენი ხანი გავიდა მას უკან, რაც ასე ხალისიან გუნებაზე არ დაბრუნებულა შინ! - ზღურბლთანვე გახევდა, ისე განაცვიფრა დანახულმა.

ცოლი ღუმლიდან აბარგებულიყო, ფანჯარასთან მაგიდას მისჯდომოდა და ბანქოს ეთამაშებოდა ორ უცნობ მამაკაცს. სწორედ კარლ-არტურის შესვლისას ბანქო მაგიდაზე დასცხო და მხიარულად დაიძახა:

- ყვავი ყვავს! რა აიღეთ?

- ჩემს მეფეს ხომ არ ინებებ, ანა, - აი, ესეც ფოკუსი, - უპასუხა ერთ-ერთმა მოთამაშემ და ისიც ჩამოვიდა ბანქოს.

სწორედ ამ დროს თამაშიც შეწყდა, რადგან გაღებულ კართან შემცბარი კარლ-არტური დაინახეს.

- ესენი ჩემი მეგობრები არიან, მოვაჭრედ რომ დავდიოდი, იმდროინდელი. მოვიდნენ, მომინახულეს, - ადგილიდან არც კი წამომდგარა, ისე უთხრა ცოლმა კარლ-არტურს, - ჰოდა, აი, ვსხედვართ და ვერთობით, როგორც ძველად, როცა ფუნდუკებში ვხვდებოდით ერთმანეთს ბაზრობის დღეებში.

კარლ-არტური ოთახში შევიდა, მამაკაცები ფეხზე წამოდგნენ. ერთ მათგანს ყველა ღილზე შეკრული შავი პლუშის ჟილეტი ეცვა, ზევიდან კი - შავი დრაპის სერთუკი. ლოყებღაჟღაჟა

იყო, მელოტი, ჯან-ღონით სავსე, გულკეთილობა ეტყობოდა სახეზე. კარლ-არტურმა მაშინვე იცნო. ეს სწორედ ის ვაჭარი გახლდათ, ლამაზი ვარდისფერი ქუდი რომ ჰქონდა დუქნის გარეთ გამოკიდებული. მეორე კიდევ დალეკარლიელი ლამაზი ყმაწვილი იყო, სწორი სახის ნაკვთები ჰქონდა, თმა შუბლზე მოკლედ შეეკრიჭა, საფეთქლებთან კი საკმაოდ გრძლად ჩამოზრდოდა. გრძელი ტყაპუჭი ეცვა.

- ეს პარკელი ავგუსტ ბუნანდერია, - უთხრა ცოლმა, - ოო, მდიდარი კაცია, აბა, რა: ბაზრობაზე ფარდულში ვაჭრობს, საქონელს ცხენებით ეზიდება. ჰოდა, ძალიანაც გასაკვირია, რომ არ ეთაკილება ისეთ ღარიბ-ღატაკ დალეკარლიელებთან ამხანაგობა, როგორებიც მე და ეს ლარს ვორონი ვართ, რომლებსაც წელი ხომ მოგვიწყვეტია ფუთის თრევით, ტალახიც ბევრი გვიზელია შარაგზებზე.

ვესტერიოტლანდელმა ჯერ ხელით ისეთი მოძრაობა გააკეთა, თითქოს ზრდილობიანად, მაგრამ ცივად უარობდა მაზანდის მეტისმეტად დაწევას, მერე კიდევ იმას მოჰყვა, მუდამ დიდ პატივად მიმაჩნდა მეამხანაგა ანა სვერდთან, მოვაჭრე ყმაწვილ ქალებში ეგეთ გამორჩეულ მზეთუნახავთანო, მაგრამ კარლ--არტურმა ბოლომდე არ ათქმევინა.

- ჩემი ცოლის მეგობრები მუდამ სასურველი სტუმრები იქნებიან, - მიმართა მან, - მაგრამ თავიდანვე უნდა გითხრათ, რომ ბანქოს თამაში ჩემს ოჯახში აღკვეთილია.

მეგობრულად, თან დიდი ღირსებით წარმოთქვა ეს. ნირწამხდარმა სტუმრებმა აქეთ-იქით დაიწყეს ცქერა, ანამ კი პასუხი არ დაუგვიანა ქმარს:

- რაო, რაო! - წამოიძახა მან, - იმიტომ მოხვედი, გართობა ჩაუშხამო ხალხს? შედი შენს ოთახში. ვახშამი იქ დავდგი. ჩვენ კი დაგვეხსენი.

ადრე არასოდეს ულაპარაკია ცოლს ასეთი კილოთი და კარლ-არტურს საშინლად ეტკინა გული, მაგრამ თავს ძალა დაატანა და კვლავ ზრდილობიანად, მშვიდად მიუგო:

- განა არ შეიძლება, ისე დასხდეთ და ისაუბროთ? ძველ მეგობრებს მუდამ აქვთ მოსაგონარი ამბები.

- ჩამოდი, ჩამოდი, ავგუსტ! შენი რიგია, - უთხრა ანამ, - ეგ ხომ, ვიცი, რა კაციცაა, მანამ არ მოისვენებს, სანამ არ წაართმევს ადამიანს ყველაფერს, რაც ესურვილება.

- ანა! - მკვახედ შესძახა კარლ-არტურმა.

- რაო, ტყუილია? განა შენ არ წამართვი სამდღიანი ქორწილი? განა შენ არ წამართვი პასტორის კარ-მიდამო, რომელიც მეკუთვნოდა? იქნებ შენ არ წამართვი ბავშვებიც და ის ორმოცდაათი რიქსდალერიც? ახლა, რაო, ბანქოს წართმევასაც მიპირებ? ჩამოდი, ავგუსტ!

ვესტერიოტლანდელი მის ნათქვამს არ აჰყვა. ორივენი, ისიცა და დალეკარლიელიც, უძრავად ისხდნენ და ელოდნენ, როდის დამთავრდებოდა ცოლ-ქმრის ჩხუბი. არც ერთი სტუმარი არ იყო მთვრალი და კარლ-არტურს რომ თავდაჭერილობა გამოეჩინა, სიმშვიდე შეენარჩუნებინა, მართლაც ააღებინებდა ხელს ბანქოს თამაშზე. მაგრამ იგი სასტიკად გაანაწყენა ცოლის ურჩობამ და სიტყვის შებრუნებამ, მით უმეტეს, უცხო ხალხის თანდასწრებით.

კარლ-არტურმა ხელი გაიწვდინა ბანქოს ასაღებად.

მაგრამ ამ დროს ლარს ვორონმა, რომელიც მიჩვეული იყო კავეულით სავსე ვეებერთელა ტომრის ზიდვას სოფელ-სოფელ სავაჭროდ ხეტიალისას, ანაზდად ხელი გაიქნია განზე. ღმერთმანი, ძალიან კი არ მოუქნევია მკლავი, ისე, თითქოს მხოლოდ გაშალაო, მაგრამ ეგ კია, კარლ-არტური სამზარეულოს ერთი ბოლოდან მეორეში მოგერიებული ბუზივით გაფრინდა და, ალ-

ბათ, წაიქცეოდა კიდეც, ბედზე, გზად სკამი რომ არ დახვედროდა. ნებით არა, მაგრამ მაინც ხომ დაჯდა ზედ და სული მოითქვა მოულოდნელი თავდასხმის შემდეგ; რადგანაც უკვე კარგა ხანი იყო, რაც დღეში ორი-სამი საათი შეშას ჩეხდა ხოლმე, საკმაოდ ერჩოდა ღონე, ის იყო, მოწინააღმდეგეს უნდა მივარდნოდა, რომ ლარსმა დაასწრო და ისე აიტაცა ჰაერში, ხელის განძრევის საშუალებაც არ მისცა. ისე ფრთხილად და ნელა გააკეთა ეს, მგონი, არც კი დაერქმეოდა ძალმომრეობა, მერე ოთახის კარი წიხლით გააღო, კარლ-არტური ციმციმ შეიყვანა თავის ოთახში და სიტყვის უთქმელად დააწვინა საწოლზე.

კარლ-არტური იწვა და ბრაზისა და დამცირებისგან კბილებს აკრაჭუნებდა, მაგრამ იმას კი კარგად მიხვდა, რომ უკვე ვეღარაფერს გახდებოდა. ის კაცი მასზე ბევრად ღონიერი იყო. ლენსმანთან ხომ არ გაიქცეოდა და ხალხს შეყრიდა ამ ორი უცნობის გასაძევებლად, არადა, სხვა რა ეღონა!

ასე იწვა რამდენიმე საათი და ელოდა! თხელი კედლიდან განუწყვეტლივ ისმოდა სიცილი, უაზრო ლაქლაქი და მაგიდაზე ბანქოს ტკაპუნი. ისეთ სიძულვილს გრძნობდა ცოლისადმი, გულ-მუცელი ეწვოდა, ათასნაირ გეგმას აწყობდა, როგორ იძიებდა შურს მასზე, როცა ეს უცხო ხალხი თავის გზას გაუდგებოდა.

ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, ისინიც წავიდნენ. ცოლი დასაძინებლად შევიდა საწოლ ოთახში. სიჩუმე ჩამოვარდა.

კარლ-არტური წამოდგა, დერეფანი ფეხაკრეფით გაიარა და ცოლის საძინებლის კარს მიადგა, მაგრამ ოთახი დაკეტილი დახვდა, საკეტიდან გასაღები გამოეღოთ.

რამდენჯერმე მაგრად დააბრახუნა კარზე, მაგრამ ცოლი არ გამოეხმაურა. მერე ისევ თავის ოთახში შებრუნდა, სანთელი გა-

მოიტანა, სამზარეულოში შევიდა, რათა რაიმე ხელსაწყო ენახა კარის შესამტვრევად.

უცებ თვალში მოხვდა ბანქო, რომელიც მაგიდაზე დარჩენოდათ. მაშინვე აზრმა გაუელვა, ესარგებლა ამ შემთხვევით და მოესპო ეს სისაძაგლე.

„ანას მერეც მოვუვლი, - გაიფიქრა, - სად წამივა“.

მაგიდის უჯრაში მაკრატელი იპოვა და მაშინვე ბანქოს დანაკუწება დაიწყო. თითოეული ქაღალდი პატარა სამკუთხედებად დაჭრა. დინჯად, გულმოდგინედ, გახელებული მონდომებით ჭრიდა, მაგრამ ორმოცდაათი ქაღალდისთვის ანგარიშის გასწორებას კარგა ხანს მოუნდა და როცა ეს სამუშაო დაამთავრა, მზემაც შემოიხედა ფანჯარაში.

ამ ხნის განმავლობაში პირვანდელი ბოღმა გაუნელდა. სიცივემ აიტანა, შიშმა შეიპყრო, თანაც საშინლად მოერია ძილი.

„ჯერ კარგად გათენდეს და მერე, - ფიქრობდა იგი, - მაგრამ საჩუქარს კი დავუტოვებ სამახსოვროდ“.

მაგიდიდან ბანქოს ნაკუწები აიღო და სიცილ-სიცილით მთელ ოთახში დაიწყო მათი დაყრა. ბღუჯა-ბღუჯა ფანტავდა იატაკზე, მთესველსა ჰგავდა, რომელიც ცდილობს, მარცვლები ისე თანაბრად გაანაწილოს, ერთი ადგილიც არ გამოტოვოს. და როცა ეს საქმეც მოათავა, იატაკი თოვლის ფიფქებით მოფენილს ჰგავდა.

იატაკი ძველი იყო, დაჩვრეტილი, ღრიჭოებიანი. დიდი ჯაფა დაადგება ცოლს, სანამ ამ ღრიჭოებში გაჩხერილ მჩხვლეტავ ფანტელებს გამოგვის.

შეხვედრა

I

ბოლოს და ბოლოს, ის დღეც დადგა, როდესაც ერთმანეთს შეხვდნენ და ისაუბრეს. სამიოდე წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ისინი კორსჩურკელი პასტორის კარ-მიდამოში ცხოვრობდნენ და ერთმანეთი უყვარდათ. ამ ხნის განმავლობაში ქალი მაღალი საზოგადოების ბანოვნად აღზევდა, კიდევ უფრო გალამაზდა და დამშვენდა, ჭკუა-გონებითაც გამოირჩეოდა და ირგვლივმყოფთ ბედნიერებას ანიჭებდა. კაცი კი ერთი ბეჩავი მღვდელი, მუდამ გაუკვალავი გზით სიარულს ცდილობდა და თითქოს შუბლზე ეწერა, რომ აუცილებლად გაემწარებინა ყველა მისი მოსიყვარულე ადამიანი.

აბა, სად შეიძლებოდა შეხვედროდნენ ერთმანეთს, თუ არა ისევ პასტორის ბაღში, რომელიც მოწმე იყო არა მარტო მათი სიყვარულისა, არამედ იმ ავბედითი წაჩხუბებისაც, რასაც მათი განშორება მოჰყვა. მართალია, ბაღი ჯერ კიდევ არ გამოწყობილიყო ზაფხულის ლამაზ სამოსში; პირიქით, რადგან მუდამ ჩრდილში იყო მოქცეული, გაზაფხულმა, სულ ცოტა, ერთი თვით მაინც დაიგვიანა აქ მოსვლა, ბუჩქნარიც ჯერ არ შეფოთლილიყო, შემოდგომის ფერშეცვლილი ფოთლებიც არ აეხვეტათ ბილიკებიდან, ჭუჭყიანი თოვლიც კი შემორჩენილიყო აქა-იქ. და მაინც, ორივეს განცდილის დაუვიწყარი ძალა იზიდავდა აქეთ.

შარლოტა პასტორის კარ-მიდამოში რეგინა ფორსიუსთან ერთად იმ დღეს ჩამოვიდა, როდესაც სოფელში საგაზაფხულო ბაზრობა იყო გამართული და როცა კარლ-არტური მრევლის საქმეებზე დადიოდა. შარლოტას გულით უნდოდა, მის საყვარელ დედობილს ზაფხულიც „ტბის აგარაკზე“ გაეტარებინა, მაგრამ მეტისმეტი გულქვაობა იქნებოდა, შრომისმოყვარე მოხუც ქალს საშუალება არ მისცემოდა პასტორის კარ-მიდამოში წასვლისა, როცა ზაფხული კარზე იყო მომდგარი და უამრავი საოჯახო საქმე ელოდა შინ.

რეგინას ნათქვამს თუ დაიჯერებდა კაცი, მას მხოლოდ ის სურდა, ერთხელ მაინც შესულიყო პასტორის ოთახში, დამჯდარიყო მის დივანზე და დამტკბარიყო რუხი ქაღალდების, საწერ მაგიდასთან მიდგმული სკამის, ყალიონის თაროსა და საერთოდ, ყველაფერ იმის ცქერით, რაც განსვენებულ ძვირფას მეუღლეს აგონებდა, მაგრამ არცთუ ისე იოლი იყო შარლოტას მოტყუება. მან შესანიშნავად იცოდა, რომ მხოლოდ ამიტომ არ უნდოდა პასტორის ცოლს შინ დაბრუნება. ვინაიდან ჯერ ახალი პასტორი არ დაენიშნათ, იმის უფლება მოიპოვა, კიდევ ერთი წელი ეცხოვრა აქ და ამიტომაც მოწადინებული იყო, ჯეროვნად დაეცვა ამ სახლის ღირსება. ყვავილებსაც მიხედვა უნდოდა, გარეულ ვაზს გასხვლა, ბილიკებზე ხრეშის დამატება იქნებოდა საჭირო, გაზონებიც ისე უნდა ამწვანებულიყო, როგორც მისი ქმრის დროს იყო.

შარლოტამ გადაწყვიტა, რამდენიმე დღე დარჩენილიყო პასტორის კარ-მიდამოში, რათა რეგინა ფორსიუსი თანდათან შესჩვეოდა მარტოობას, თან ისიც მოეხალისა, თავისი ქალიშვილობის დროინდელ ოთახში დაბინავებულიყო. ერთი სული ჰქონდა, შეეძახებინა ამ ძველი კედლებისთვის: „აბა, ერთი შემომხედეთ, მე, შარლოტას!.. აი, როგორი გავხდი, თქვენ, რასაკ-

ვირველია, ვერც მცნობთ. შეხედეთ ჩემს კაბას, ქუდს, ჩემს ფეხსაცმელებს, და უპირველესად, თვით მე! აი, ასეთია ბედნიერი ადამიანი!“

სარკესთან მივიდა, რომელიც ჯერ კიდევ მისი ქალიშვილობის დროს ეკიდა აქ და საკუთარ თავს დაუწყო თვალიერება.

- ქვეყანა იმას ლაპარაკობს, რომ უწინდელზე, სულ ცოტა, სამჯერ უფრო ლამაზი ვარ და მგონი, არც ტყუიან.

უბრწყინვალესი ფრუ შაგერსტრიომის უკან ანაზდად ნორჩი ასულის გადაფითრებული სახე და მრუმე ფიქრებით ანთებული მზერა გამოკრთა. შარლოტას პირზე შეაშრა ღიმილი.

- კი, ჩემო გოგონა, ვიცოდი რომ აქ შეგხვდებოდი, - გამოელაპარაკა თავის ორეულს, - რა უბედური იყავი მაშინ! როგორ დარჩი სიყვარულში ხელმოცარული!

ქალი სწრაფად მოსცილდა სარკეს. იმისთვის ხომ არ ჩამოვიდა, რომ მისი და კარლ-არტურის დაწინდვის ჩაშლის საშინელი დღეები გაიხსენოს.

თუმცა, ვინ იცის, მიიჩნევდა თუ არა იგი უბედურებად ყველაფერ იმას, რაც იმ ზაფხულს გადაიტანა. მდიდარი ფრუ შაგერსტრიომი მშვენივრად გრძნობდა, რომ მის მომხიბვლელობას ელფერს მატებდა დაუკმაყოფილებელი სევდის სწორედ ის დამღა, რომელიც იმაზე მეტყველებდა, რომ ცხოვრებამ გვერდი აუარა და არაფერი არგუნა საწყაულთა თვისთა უხვად გაცემისას. მომხიბლავი იყო მისი პოეტური კაეშნის ის ნაზი თილისმა, რომელიც ყველა მამაკაცს უნებლიეთ აფიქრებინებდა, ეგებ სწორედ ის არის მოწოდებული არგუნოს ამ ქალს ბედნიერება, რომელსაც იგი ვერ მისწვდა. ერთი სიტყვით, შარლოტას უფრორე მომხიბლავს ხდიდა ის მემკვიდრეობა, რომელიც საცოდავმა აშანაკრავმა შარლოტა ლიოვენშოლდმა გადმოულოცა.

მაგრამ ეს სევდა, ეს მჭმუნვარება, რომელიც სახეზე აღბეჭდვოდა ქალს მაშინაც, როდესაც იგი სრულიად მშვიდად იყო, ვითომ რამეზე მიანიშნებდა? განა ბედნიერი არ იყო იგი - თვალისმომჭრელად მშვენიერი, მუდამ მხიარული, მუდამ უშიშარი, მუდამ გართობას მოწყურებული შარლოტა ლიოვენშოლდი? დაივიწყა კი თავისი ყმაწვილქალობის პირველი სატრფო? ეჰ, განა დასამალი იყო, რომ თვითონაც ვერ გასცემდა ამ კითხვაზე ზუსტ პასუხს. ქმართან ბედნიერი იყო, მაგრამ ამ სამი წლის განმავლობაში, რომელიც მასთან გაატარა, არასოდეს უგრძნია ისეთი ყოვლისშემძლე ვნება, რაც წვავდა მის სულს, როდესაც კარლ-არტური უყვარდა.

მას შემდეგ, რაც შარლოტა მაღალ საზოგადოებაში ტრიალებდა, საკუთარ თავს ხშირად ატყობდა, რომ მისი მომთხოვნელობა ადამიანებისა და ბევრი სხვა რამისადმიც უფრო მკაცრი გახდა. პატივს აღარ სცემდა პასტორის წითელ სახლსა და პასტორის მეუღლის მეტად ცივ სალონს. შეიძლება აღარც სოფლის გამათხოვრებული პასტორის ამბავი აინტერესებდა, რომელმაც მეწვრილმანე ქალი შეირთო და ორი ოთახისგან შემდგარ ქოხში დასახლდა.

ერთადერთხელ შეეცადა კარლ-არტურთან შეხვედრას მას შემდეგ, რაც კორსჩურკაში დაბრუნდა, და როდესაც ეს ვერ მოხერხდა, თითქმის გახარებულიც იყო. შეხვედრის შემდეგ შეიძლება გული აჰყროდა, ან შეიძლება არც არაფერი მომხდარიყო, ყოველ შემთხვევაში, შარლოტას მაინც ჰქონდა იმის სურვილი, რომ შეხვედროდა.

შეუხვედრელადაც არ აკლებდა იგი კარლ-არტურს ნამდვილ დედობრივ მზრუნველობას. პასტორის მეუღლისგან იგებდა მისი ცხოვრების ამბებს - ქორწინებასა და ქოხის შეძენას, გაიგო აგრეთვე თეა სუნდლერის მავნე გავლენისა და მისი ცოლის

კარგი ქალობის შესახებ. შარლოტაზე უფრო არავის უხაროდა ის ამბავი, რომ კარლ-არტურმა უკანასკნელი ზამთრის განმავლობაში კვლავ მოიპოვა მრევლის პატივისცემა და ნდობა, იმასაც კი ფიქრობდნენ, საკმაოდ დიდხანს იმუშავა და იმდენი დამსახურებაც კი მიუძღვის, რომ კორსჩურკაში დიდად პატივცემული ფორსიუსის ადგილი დაიკავოსო.

შარლოტა, რომელსაც გათხოვების შემდეგ გვიან ადგომის მავნე ჩვეულება აეკვიატა, მეორე დღეს მხოლოდ საუზმობის დროს გამოვიდა თავისი ოთახიდან. პასტორის ცოლი ამ დროისთვის უკვე რამდენიმე საათის ამდგარი იყო. მან შემოუარა კარ-მიდამოს, პატარა ჭიშკართან ერთხანს შეჩერდა, დატკბა ტბისა და ეკლესიის სანუკვარი ხედით, გამოელაპარაკა გამვლელ-გამომვლელთ და შეიტყო ყველა ახალი ამბავი.

- წარმოგიდგენია შარლოტა, - წამოიწყო მან საუბარი, - რა უქნია ამ კარლ-არტურს! რა ვქნა, მიყვარს ეგ ბიჭი, მაგრამ თავისას რომ აღარ იშლის!

შემდეგ მოჰყვა, როგორი საშინელი სისულელე ჩაიდინა კარლ-არტურმა, ათი ბავშვი რომ გაუშვა შინიდან.

შარლოტა გაშრა. უკვე რამდენჯერ დარწმუნდა იმაში, რომ კარლ-არტურისთვის დახმარება სულ ტყუილია. თითქოს რაღაც ძალა დაღუპვისკენ ექაჩებოდა ამ კაცს.

- უბედურება ამაზე მეტი გინდა? - განაგრძობდა პასტორის ცოლი, - მე თუ მკითხავთ, თუმცა არც ტიტულები მაქვს და არც გამოცდა ჩამიბარებია პასტორის წოდების მოსაპოვებლად, მაგრამ ვიცი, რომ უმალ ციხეში ჩავჯდებოდი, ვიდრე ბავშვებს დავანებებდი ვინმეს.

- ალბათ, ვერ აიტანა, - თქვა შარლოტამ, რომელსაც უცებ მოაგონდა თავისი სტუმრობა კარლ-არტურის სამზარეულოში, -

დახუთული ოთახი, ღრიანცელი, დახვავებული ხელსაწყო-- იარაღები, აშლილ ლოგინებთან მოფუსფუსე ადამიანები.

- ვერ აიტანა! - დამცინავად მომუწა ტუჩები პასტორის ცოლ-მა, - ხალხი უარესსაც ეჩვევა! რამდენი სისულელეც უნდა ჩაედი-ნა, ყველაფერს ისეთი პირი უჩანდა, რომ ღმერთს სწადდა, დახ-მარებოდა. მე შენ გეუბნები, მას რომ ბავშვები არ გაემეტებინა, კორსჩურკის პასტორად დაასრულებდა თავის ცხოვრებას.

- ცოლი რაღას ამბობდა? - სწრაფად შეაგება შარლოტამ კით-ხვა, - ისიც თანახმა იყო ბავშვების გაშვებაზე?

- რა თქმა უნდა, არა, - თქვა პასტორის ცოლმა, - მთელი სუ-ლითა და გულით სურდა, ბავშვები თავისთან დაეტოვებინა. პა-ტარა ჭიშკართან დედილო პერ-ერი შემომხვდა. ეჭვიც კი არ ეპა-რება, ეს საქმე თეას მოკვარახჭინებულია.

- თეა! კი მაგრამ, შენ ხომ აუკრძალე...

- ადვილი სათქმელია, აუკრძალე... ეგებ არც კარლ-არტურის სახლში ხვდებიან ერთმანეთს, არც სუნდლერებისას, მაგრამ ამ პაწაწა მივარდნილ ადგილას განა ადვილად აუქცევენ გვერდს ერთმანეთს. ამას წინათ დედილო პერ-ერი თეასთან ერთად ექი-მის მოსაცდელში იჯდა. ხუთი წუთიც არ გასულა, რომ კარლ-- არტურიც გამოცხადდა. თეამ მაშინვე დაიწყო ლაპარაკი იმაზე, რომ ბავშვები გაეშვა.

მანდილოსნები შეშინებულნი და შეცბუნებულნი შესცქეროდ-ნენ ერთმანეთს. მათ მიერ ასეთი გულმოდგინებით დაწყობილი გეგმა ხუხულასავით იშლებოდა.

დათქმული იყო, რომ ამ დილით სამრევლოს გავლენიან პი-რებს ფუნდუკში თათბირი უნდა მოეწვიათ. გასარჩევი იყო რამ-დენიმე დიდმნიშვნელოვანი წინადადება. კორსჩურკაში, რომ-ლის მკვიდრნიც მუდამ ცდილობდნენ, საუკუნეს არ ჩამორჩე-ნოდნენ, იმაზე წამოიწყეს ლაპარაკი, დროა, გადაწყდეს სახალ-

ხო სკოლის გახსნის საკითხიო. ესეც არ იყოს, მცხოვრებთა რიცხვმა იმდენად იმატა, რომ წარმოუდგენელი გახდა, ამხელა მრევლზე ერთ კაცს ეზრუნა. შეიქმნა აზრი, დაეწესებინათ მეორე პასტორის თანამდებობა, რომელსაც მიეცემოდა ხელფასი და სახელმწიფო ბინა. ყველა ამ ხარჯს მრევლი მეტისმეტად რომ არ შეეწუხებინა, ერთსა და იმავე პირს უნდა დაეკავებინა მეორე პასტორისა და სკოლის მასწავლებლის თანამდებობები. ფიქრობდნენ, რომ ის კარლ-არტური იქნებოდა.

ყველა ეს საქმე, რა თქმა უნდა, სამრევლო კრებას უნდა გადაეწყვიტა, მაგრამ რადგან საკითხი ხარჯების გაწევასთან იყო დაკავშირებული, თათბირი მოიწვიეს იმის გამოსარკვევად, გაიღებდნენ თუ არა შესაწირავს ის პირნი, ვისზედაც ბევრი რამ იყო დამოკიდებული.

ვინ იფიქრებდა, რომ მთელი ეს გეგმა შარლოტას ჭკვიან თავში ჩამოყალიბდა: მან მარჯვედ გამოიყენა ის დიდი სიყვარული და პატივისცემა, რომელიც კარლ-არტურმა ხალხის გულებში დათესა, საქმე კი ისე მოაგვარა, თავად არც გამოჩენილა. ყველასთვის ნათელი იყო, რომ ესოდენ ახალგაზრდა კაცი ვერ დაიკავებდა მთავარი პასტორის ადგილს ასეთ დიდ პასტორატში. ამიტომ მიზანშეწონილად ჩათვალეს, დაეწესებინათ ეს ორი თანამდებობა და სამრევლოდან არსად გაეშვათ კარლ-არტური.

აბა, რა გასაკვირია, თუ შარლოტა შეიცხადებდა იმ ახალ ამბავს, რაც პასტორის ცოლმა უთხრა? თითქმის უკვე მოახერხა კიდეც კარლ-არტურისთვის მაღალხელფასიანი მუდმივი ადგილის მონახვა, და დახე, თეა არ უფუჭებს საქმეს! თუ მართლაც უყვარს კარლ-არტური, უნდა ესმოდეს, რომ ახალგაზრდა მღვდელმა მხოლოდ იმით მოიგო ხალხის გული, რომ ყველა სასოებით შესცქეროდა მომხდარ სასწაულს: ღარიბმა ღვთისმსახურმა ათი ბავშვის მეურვეობა იკისრა.

შარლოტამ სასადილო ოთახში მდგარ მაღალ საათს შეხედა და ამოიოხრა.

- ახლა ათს სამი წუთი უკლია, - თქვა მან, - საცაა კრება დაიწყება.

მის მეტმა ხომ არავინ იცოდა, რად უღირდა ამ კრების მოწვევა, რამდენი ეშმაკობა დასჭირდა. ან რა ძნელი იყო შაგერსტრიომისთვის პირობის ჩამორთმევა, რომ ამ კრებას დასწრებოდა და ცოლის შორს გამიზნული გეგმებისთვის ხორცი შეესხა.

- ესეც შენი კრება! - თქვა პასტორის ცოლმა, - არ გამიკვირდება, თუ ყველაფერი საპნის ბუშტივით გასკდება. კარლ--არტურის სახლში ნამყოფი ხალხი მარწმუნებს, მისი ცოლი ღუმელზე შესკუპებულა და დღე ისე გავა, კრინტსაც არ დასძრავს. თეაზე ეჭვიანობს, ხომ მიხვდი? ასეთ საქმეებში თავშეკავება უჭირს ადამიანს. სხვათა შორის, იმასაც ამბობენ, თითქოს ისინი ჩემს ბაღში უნიშნავენ ერთმანეთს შეხვედრებს და ამაში დამნაშავე მე ვარ.

- ეს დედილო პერ-ერი მუდამ ჭორიკანა იყო, - გულდაწყვეტით დასძინა შარლოტამ.

და თან გაოცებული გრძნობდა, როგორ ადვილად ეუფლება ადამიანს ძველი განცდა. მას ახლა ისეთივე სიძლიერით სძაგდა თეა, როგორც იმ დღეს, როდესაც ძირში წააჭრა მშვენიერი კულულები.

ამ ლაპარაკში საუზმეც დამთავრდა; აღელვებულმა და გაგულისებულმა შარლოტამ მხრებზე შალი მოისხა და ბაღში გავიდა.

თვალებდახრილი მიდიოდა, თითქოს მიწაზე იმ ორი არსების ნაკვალევის ამოცნობას ლამობდა, რომლებიც აქ სასიყვარულო პაემანზე მოდიოდნენ. ადგილი მართლაც საუცხოო აერჩიათ.

კარლ-არტური დიდი ხანია კარგად იცნობდა ბუჩქნარითა და ჭალაკებით მომყუდროებულ კუთხე-კუნჭულებს.

„თეა არასოდეს ჰყვარებია, - ფიქრობდა შარლოტა, - ახლა საქმემ თუ მოიტანა ეს ამბავი. ამ საცოდავმა დალეკარლიელმა ქალმა თავი შეაწყინა კარლ-არტურს. დარდის გაქარვება თეასთან დაიწყო და რადგან ორგანისტიც ეჭვიანობს, სხვა არაფერი დარჩენიათ, თუ არა შეხვედრა ღია ცის ქვეშ“.

ყველაფერი კარგად ესმოდა, ბუნებრივადაც მიაჩნდა, მაგრამ თავს მაინც საშინლად შეურაცხყოფილად გრძნობდა იმის გამო, რომ შეყვარებულებმა სწორედ ეს ადგილი აირჩიეს საიდუმლო შეხვედრებისთვის.

„ან როგორ არ ეშინიათ! - ფიქრობდა თავისთვის, - ფოთლები ბუჩქნარზე ჯერაც გაუშლელია. გზად მიმავალ ყველა მგზავრს შეუძლია თვალი ჰკიდოს მათ“.

შარლოტა შეჩერდა, რათა კარგად მოეფიქრებინა ყოველივე. ხშირი ბუჩქნარის ფოთლებს იქით პატარა ფანჩატური დაინახა.

„სწორედ აქ იმალებოდნენ, ალბათ, სწორედ აქ,“ - გაიფიქრა ქალმა და ისე სწრაფად გაემართა სადა, ძველი ნაგებობისკენ, თითქოს უნდოდა, თავზე დასდგომოდა ორივე ბოროტმოქმედს.

ფანჩატური ჩაკეტილი იყო, მაგრამ შარლოტამ სულ ადვილად მოგლიჯა ძველი, დაჟანგული საკეტი. შიგ შესულს ისეთი მიუსაფარი, არეულ-დარეული გარემო დახვდა, როგორიც გაზაფხულის პირზე მსგავს ნაგებობებში სუფევს ხოლმე; ჰაერი შმორიანი იყო, ფანჯრებს შუშები ჩამსხვრეოდა, შპალერი ნახევებად ეკიდა. ხმელი ფოთლების გროვაზე, რომელიც აქ შემოდგომის ქარიშხალს შემოეხვეტა, რაღაც გლუვი მოძრაობდა და შავ-რუხად ელვარებდა. უზარმაზარი ანკარა - ბაღის მფარველი ანგელოზი - გამოსაზამთრებლად აქ მოწყობილიყო.

„არა, აქ არ ყოფილან, - გაიფიქრა შარლოტამ, - ამ ჩვენი ბებერი ანკარის დანახვაზე თეას უმალ გული წაუვიდოდა“.

თვითონ ამ ქანცმილეული ქვეწარმავლისთვის ყურადღებაც არ მიუქცევია, ერთ-ერთ ჩამტვრეულ ფანჯარასთან მივიდა, გამოაღო და რაფაზე ჩამოჯდა.

წინ ბუჩქნარის ლაბირინთის მშვენიერი ხედი იშლებოდა. ტოტებში უკვე წვენი ჩამდგარიყო და უნაზეს ფერებად აჭრელებულიყო. მიწაზე ბუჩქებს შორის ხასხასა ბალახი ყელყელაობდა და მწვანეზე ბაბუაწვერას, გვირილებისა და ყვითელი ნარგიზების პატარა ბორცვები კოხტად გამოიმზირებოდა. შარლოტამ, რომელსაც ძალიან უყვარდა ეს ადგილი, წაიჩურჩულა:

- სიმართლე ითქვას, პირველად როდია, აქ რომ ვზივარ და ფუჭად ვიცდი.

თქვა თუ არა ეს, იმწამსვე ბუჩქნარში მომავალი კაცი დაინახა. ის ფანჩატურისკენ მოემართებოდა და მალე ისე ახლოს მოვიდა, რომ შარლოტამ იცნო - ეს კარლ-არტური იყო.

ქალი არ შერხეულა. „ალბათ მარტო არ არის, - გაიფიქრა, - საცაა თეაც გამოჩნდება“.

უეცრად კარლ-არტური შეჩერდა. მან თვალი ჰკიდა შარლოტას და სახეზე ხელი ჩამოისვა, როგორც ადამიანმა, რომელსაც ჰგონია, რომ მის წინ მოჩვენებაა.

ახლა იგი სულ რამდენიმე ნაბიჯით იყო შარლოტას დაცილებული და ქალმა დაინახა, რომ კარლ-არტური ძალიან შეცვლილიყო, მაგრამ სახის კანი კვლავინდებურად ნაზი და ჭაბუკური ჰქონდა. მართალია, შეიძლება ცოტა მოტეხილიც კი იყო, სახის ნაკვთები უფრო მკვეთრი გახდომოდა, მაგრამ კიდევ შერჩენოდა ის დახვეწილობა, რომელიც პოლკოვნიკ ეკენსტედის ცოლის ვაჟს ათასთაგან გამოარჩევდა. შარლოტამ გაიფიქრა, ნამდვი-

ლად რუხი სერმიაგისგან შეკერილ ტანსაცმელში გადაცმულ პრინცს ჰგავსო.

წამიც არ გასულა და, კარლ-არტური მიხვდა - ფანჯრის რაფაზე მართლაც შარლოტა იჯდა. ხელებგაშლილი ავარდა იგი ბორცვზე, რომელზეც ფანჩატური იდგა.

- შარლოტა! - აღტაცებით ყვიროდა კარლ-არტური, - შარლოტა, შარლოტა!

ის დაეკონა ქალის ხელებს და თვალებიდან ღაპაღუპით წამოუვიდა ცრემლები.

აშკარა იყო, მოულოდნელმა შეხვედრამ ისე ძლიერ ააღელვა კარლ-არტური, რომ წონასწორობა დააკარგვინა - სიხარულისგან თუ ტკივილისგან, ამას შარლოტა ვერ მიმხვდარიყო. ვაჟი ტირილს განაგრძობდა მწარედ, შეუკავებლად, თითქოს უკანასკნელი წლების განმავლობაში დაგროვილმა ცრემლებმა გაარღვია ჯებირი, რომელიც აქამდე აკავებდა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში კარლ-არტურს მაგრად ეჭირა შარლოტას ხელები, კოცნიდა, ეფერებოდა; ქალი მიხვდა, რომ თეასთან მისი სასიყვარულო ამბები მტკნარი სიცრუე იყო, თეა კი არა, სულ სხვა ქალი ფლობდა კარლ-არტურის გულს. ჰოდა, ვინ იყო ის ქალი?

სხვა ვინ იქნებოდა, თუ არა თავად შარლოტა, კარლ--არტურისგან უგულებელყოფილი, აშანაკრავი, რომელიც ხელახლა შეიყვარა. ვერაფერი სიყვარულის ახსნა ვერ შეედრებოდა ამ ცრემლებს, თვალთაგან განუწყვეტელ ღვარად რომ სდიოდა ვაჟს.

როდესაც შარლოტა ხვაშიადს მიუხვდა კარლ-არტურს, ტუჩებზე უჩვეულო გემო შეიგრძნო, თითქოს დიდი ხნის მტანჯველი შიმშილი დაიკმაყოფილა, ანდა სადღაც გულის სიღრმეში მოკალათებული განუწყვეტელი ტკივილი დაუშოშმინდა; თითქოს,

როგორც იქნა, მოიხსნა ტვირთი, რომელიც უსასრულოდ დიდ-ხანს ატარა. თავბრუდამხვევმა ბედნიერებამ თვალები დაახუჭ-ვინა.

მაგრამ ეს მხოლოდ წამით გაგრძელდა, მეორე წუთში იგი კვლავ კეთილგონიერი და წინდახედული გახდა.

„რით შეიძლება დამთავრდეს ეს? - ფიქრობდა შარლოტა, - ის ხომ ცოლიანია, მე კიდევ გათხოვილი, თანაც პასტორია. უნდა შევეცადო, დავამშვიდო. ახლა ეს არის მთავარი“.

- მომისმინე, კარლ-არტურ, რა გატირებს ასე მწარედ? მე ხომ შარლოტა ვარ და სხვა არავინ. პასტორის ცოლმა მოინდომა აქ ზაფხულის გატარება და გადავწყვიტე, მასთან დავრჩენილიყავი რამდენიმე დღე, მივხმარებოდი ცოტა ხანს.

იგი ჩვეულებრივი ხმით ლაპარაკობდა, რათა კარლ-არტურს ტირილი შეეწყვიტა, მაგრამ ვაჟმა უმატა და უმატა ზლუქუნს.

„საწყალო ბიჭო! - ფიქრობდა შარლოტა, - მესმის, რომ მარ-ტო ჩემი გულისთვის კი არ ტირი. არა, რა თქმა უნდა, შენ ტირი იმიტომ, რომ მოკლებული ხარ ყველაფერ ლამაზსა და მშვენი-ერს, მოკლებული ხარ განათლებულ ადამიანებს, რომლებთა-ნაც შეძლებდი შენი ფიქრების გაზიარებას, მოკლებული ხარ დე-დის ზრუნვასა და მამისეულ სახლს. მაშ, ნუღარ მივტირით იმას, რისი გამოსწორებაც აღარ შეიძლება, ვიყოთ კეთილგონიერე-ბი“.

ქალის მზერა წამით ბაღის შორეულ კუნჭულს მისწვდა, შემ-დეგ შარლოტამ განაგრძო:

- მართალი გითხრა, ნამდვილად ბედნიერებაა, კვლავ ამ ჩვენს ბაღში ყოფნა. დღეს დილას გავიფიქრე, რა კარგია ამ ბუჩ-ქებს შორის სეირნობა, სანამ მაღალი ცაცხვები გაუფოთლავია და არ უშლიან მზის სხივებს, თავისუფლად მოეფინონ

დედამიწას-მეთქი. ასევე ბედნიერებაა უცქირო, როგორი მონდომებით ეწაფებიან ყვავილები და ბალახი მზის სინათლეს.

კარლ-არტურმა ხელი ასწია, მაგრამ რადგან ისევ ზლუქუნს განაგრძობდა, შარლოტამ გადაწყვიტა, გაეგრძელებინა ლაპარაკი ისეთ რამეზე, რაც მისი ფიქრით დაამშვიდებდა ვაჟს.

- განა საოცარი არ არის, - თქვა მან, - როდესაც მზის სხივები ტოტების ხშირ ხლართებში მიიპარება, რათა შემდეგ მიწას დაეცეს, ნაზი და რბილი ხდება, და ის ყვავილები, რომლებიც ამ დროს იღვიძებენ, არასოდეს არიან მყვირალა ფერისა. ყველა ან მქრქალი თეთრია, ან ღია ცისფერი და ყვითელი. ასე ადრე რომ არ ჩნდებოდნენ და ასე უხვად არ ეფინებოდნენ დედამიწას, კაციშვილი ვერ შეამჩნევდა მათ.

კარლ-არტურმა შარლოტას ნამტირალევი სახე მიაპყრო. ძლივძლივობით წარმოთქვა რამდენიმე სიტყვა:

- მე ისე ვდარდობდი... ისე ვდარდობდი მთელი ზამთარი.

ჩანს, არ მოსწონდა, რომ ქალი აუღელვებლად ლაპარაკობდა ყვავილებსა და მზის სინათლეზე. ვაჟს უნდოდა, შარლოტას მთელი სისავსით ეგრძნო ის ქარიშხალი, რომელიც მის სულში ბობოქრობდა.

მაგრამ შარლოტა, რომელმაც კარგად იცოდა, რომ ზოგიერთი სიტყვის თქმას უთქმელობა ჯობია, გაჭირვეულებული ბავშვის მონანავე ძიძასავით განაგრძობდა:

- გაზაფხულის მზეს, ალბათ, მართლაც გასაოცარი ძალა აქვს. წარმოიდგინე, სიცოცხლე იღვიძებს ყველგან, სადაც კი მისი სხივები მოეფინება. ეს რაღაც ჯადოქრობას ჰგავს. გაზაფხულის სხივები თან გრილი და ნაზია, ამასთან, ბევრად ძლევამოსილი, ვიდრე ზაფხულის მზის ნათება, რომელიც ზედმეტად მწველია, ან შემოდგომის შუქი, რომელსაც მხოლოდ ჭკნობა და სიკ-

ვდილი მოაქვს. არასოდეს მოგსვლია აზრად, რომ ზაფხულის მზის უნაზესი ათინათი პირველ სიყვარულს ჰგავს?

ამ სიტყვების გაგონებაზე კარლ-არტური თითქოს უფრო დაუკვირდა მის ნათქვამს. ქალმა სასწრაფოდ განაგრძო:

- შენ, ალბათ, არც გახსოვს, მე კი ფიქრით ხშირად ვუბრუნდები გაზაფხულის იმ საღამოს კორსჩურკაში. შენ მაშინ ახალი ჩამოსული იყავი, ჩვენ ერთი ღარიბი ოჯახის მოსანახულებლად წავედით შორეულ ტყეში. მათ ქოხში საკმაოდ დიდხანს დავყავით და ვერც კი მოვასწარით შინ დაბრუნება, რომ მზე ჩავიდა და ხეობაში ნისლი ჩამოწვა.

კარლ-არტურმა თავი ასწია. ტირილს უკლო. ხელებს აღარ უკოცნიდა შარლოტას და გაფაციცებული იჭერდა ქალის სანუკვარი ტუჩებიდან მომსხლტარ ყოველ სიტყვას.

- ხომ გაიხსენე, როგორ მოვდიოდით მაშინ მე და შენ? გზა ბორცვიდან ბორცვზე გადადიოდა. ქიმზე ასულებს მზე გვეგებებოდა. ხეობაში რომ ჩავდიოდით, ნისლში ვიფლობოდით და სამყარო სადღაც ქრებოდა.

რა უნდა ამ ქალს? კაცი, რომელსაც იგი უყვარდა, აღარ ეწინააღმდეგებოდა. უსიტყვოდ დაჰყვა მის ნებას და აედევნა მზით განათებულ ბორცვებზე სახეტიალოდ.

- ჰოი, რა სანახავი იყო! - არ ცხრებოდა შარლოტა, - წყნარმა, წითლად დაბინდულმა მზემ, მსუბუქად მოციმციმე ნისლმა მიდამო მთლად შეცვალა. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა დავინახე, მახლობელი ტყე ცისფრად ალივლივდა, შორეული ბორცვები კი მეწამულისფრად აენთო. ჩვენ არაამქვეყნიური ბუნების წიაღში აღმოვჩნდით. იმასაც ვერ ვბედავდით, აღტაცება ხმამაღლა გამოგვეთქვა, რომ ამ სიზმრით მოჯადოებულებს უცბად არ გამოგვღვიძებოდა.

შარლოტა დადუმდა. ეგონა, კარლ-არტური რამეს ეტყოდა, მაგრამ ის გატრუნული აშკარად იმას უცდიდა, ქალს ლაპარაკი განეგრძო.

- ბორცვთა ქიმებზე ნელა და დინჯად მივაბიჯებდით, დანისლულ ხეობაში ჩასულები კი ცეკვას ვიწყებდით. თუმცა, შენ, ალბათ, არც ცეკვავდი და მე მანდობდი ამ საქმეს. მივდიოდი გზაზე ცეკვით, უზომოდ ბედნიერი იმით, რომ საღამო ასეთი მშვენიერია. ყოველ შემთხვევაში, ჩემი მოუსვენრობის მიზეზად ამას ვთვლიდი.

კარლ-არტურის სახეზე ღიმილი გამოკრთა. შარლოტამაც გაუღიმა. მიხვდა, რომ შეტევამ გაუარა, რომ ვაჟმა თავის დაოკება მოახერხა.

- როდესაც კვლავ ავედით ბორცვზე, - განაგრძო შარლოტამ, - შენ დადუმდი. მეც ვიფიქრე, პასტორი, ალბათ, გუნებაში მკიცხავს-მეთქი, და გაუბედავად მოვაბიჯებდი შენ გვერდით. ხეობაში ჩასულებს ნისლი რომ შემოგვეხვია... ცეკვა ვეღარ გავბედე და მაშინ...

- და მაშინ... - შეაწყვეტინა კარლ-არტურმა სიტყვა, - გაკოცე.

როცა კარლ-არტური ლაპარაკობდა, პირდაპირ, ფანჯარაში, ადამიანის სილუეტი დაინახა. ვინ იყო, ვერ გაარკვია. როგორც კი კარლ-არტურმა მზერა მიაპყრო, კაცი მაშინვე გაქრა. ეჭვიც კი შეეპარა კარლ-არტურს, იყო თუ არა საერთოდ იქ ვინმე.

შარლოტას ამის შესახებ თქმა ვერ გაუბედა, მოერიდა ქალის აღელვებას. ისინი ხომ მხოლოდ ფანჯარასთან იდგნენ და საუბრობდნენ. განა რა მოხდა, თუ მოიჯარადრის ოჯახის წევრმა ან მებაღემ ისინი დაინახეს? ეს სულაც არაფერს ნიშნავდა. რატომ უნდა ჩაშხამებოდა ეს ბედნიერი წუთები?

- დიახ, - წარმოთქვა შარლოტამ, - შენ მაკოცე და უცბად მივხვდი, რატომ ალივლივდა ტყე ცისფრად და რატომ გამიჩნდა

სურვილი ნისლში ცეკვისა. აჰ, კარლ-არტურ, იმ ერთ წამში იცვალა ფერი ჩემმა ცხოვრებამ. იცი, ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს შემეძლო ჩამეხედა საკუთარი სულის სიღრმეში, სადაც ვრცელ მინდვრებზე გაზაფხულის ყვავილები იღვიძებენ. მქრქალი, თეთრი, ნაზი ცისფერი, ღია ყვითელი ყვავილებით მოფენილი იყო იქაურობა. ათასობით ყვავილი მიწიდან ზევით მოისწრაფოდა. არასოდეს მინახავს ამაზე მშვენიერი რამ.

ქალი თავისივე მონაყოლმა ააღელვა. თვალებზე ცრემლი მოადგა, ხმა წამით აუკანკალდა, მაგრამ მყის მოახერხა მღელვარების დაძლევა.

- ახლა ხომ ხვდები, ჩემო მეგობარო, - მიმართა კარლ--არტურს, - რატომ მაგონებს ეს ყვავილები პირველ სიყვარულს?

კარლ-არტურმა ხელი ხელზე მოუჭირა.

- შარლოტა... - წამოიწყო კვლავ საუბარი.

მაგრამ ქალი წამოდგა.

- აი, ამიტომ, - თქვა მან, - ჩვენ, ქალები, ვერ ვივიწყებთ იმ ადამიანს, ვინც პირველმა აგვინთო სიყვარულის მზე. არა, მას ვერასოდეს დავივიწყებთ, მაგრამ, მეორე მხრივ, მხოლოდ ძალიან ცოტა რჩება გაზაფხულის ყვავილთა სამეფოში. ცხოვრება წინ მიგვაქანებს, იქით, სადაც რაღაც უფრო დიდი და ძლევამოსილი გველის.

ქალმა ეშმაკურად და ამავე დროს სევდიანად დაუკრა თავი, ხელით ანიშნა, რომ მისი გაცილება საჭირო არ იყო და გაუჩინარდა.

II

როდესაც კარლ-არტურმა იმ დილას გაიღვიძა, მზე პირდაპირ მის ფანჯარასთან იყო გაჩერებული და ანიშნებდა, რომ თითქმის შუადღემდე ეძინა. მაშინვე ადგა. თავი ძილისგან დამძიმებული ჰქონდა და მაშინვე მიხვდა, რატომ გაეღვიძა ასე გვიან. მერე კი გაახსენდა, რომ ბანქოს დასტის ჭრით გართული მზის ამოსვლამდე იჯდა.

წინასაღამოს მომხდარი ამბავი თვალწინ დაუდგა და საშინელი ძრწოლა და ზიზღი იგრძნო არა მარტო ცოლის, არამედ, და შეიძლება უფრო მეტად, საკუთარი თავისადმიც.

ეს როგორ მოხდა, რომ საკუთარი თავის შეურაცხყოფისთვის ლამის სასიკვდილოდ გაიმეტა ცოლი? ნუთუ თვითონ მოიფიქრა ბანქოს დასტის ასე დაჭრა და ნაკუწების იატაკზე მიმოფანტვა? რომელი ბოროტი ძალა დაეუფლა? ეს რა საშინელებაა!

წინასაღამოს არაფერი უჭამია და ვახშამი, რომელიც ცოლმა მოუტანა, მაგიდაზე ხელუხლებელი იდგა. გამგელებული ეცა ცივ რძიან ფაფას და შიმშილი მოიკლა. შემდეგ ქუდი დაიხურა და შორს სასეირნოდ გაემართა. უხაროდა, რომ რამდენიმე საათით მაინც გადასწია ცოლთან არასასიამოვნო ლაპარაკი.

კარლ-არტური სოფლის შარაგზას დაადგა, რომელიც პასტორის კარ-მიდამოსკენ მიემართებოდა. მივიდა, შეაღო პატარა ჭიშკარი და ძველი ბაღისკენ გაუხვია; წარსულ ზამთარს აქ ხშირად შეუფარებია თავი ბავშვებით გამოტენილი ქოხიდან გამოქცეულს, სადაც ხმაური და აურზაური მისთვის აუტანელი ხდებოდა.

და აქ შეხვდა შარლოტას, რომელიც ისეთი მშვენიერი და მომხიბლავი იყო, როგორც არასდროს. რა გასაკვირია, თუ აშლილი გრძნობები ვერ დაიოკა. პირველსავე წუთებში მას მხოლოდ იმის სურვილი ჰქონდა, გამოლაპარაკებოდა შარლოტას, ეთქვა ქალისთვის, რომ მისი სიყვარული დაუბრუნდა, რომ დიდი ხანია მგზნებარედ ელოდა და გაგიჟებით სურდა, გულში ჩაეკრა.

მაგრამ ცრემლი ახრჩობდა, ლაპარაკი ვერ მოახერხა და შარლოტამ, ამ კეთილმა და ჭკვიანმა ქალმა, ამასობაში მისცა იმის საშუალება, რომ გონს მოსულიყო. კარლ-არტური მშვენივრად გრძნობდა, რისი თქმა უნდოდა შარლოტას, როდესაც მათი პირველი სიყვარულის დღეებს ახსენებდა. ქალს უნდოდა ეგრძნობინებინა, რომ მისთვის კიდევ ძვირფასია იმ ნეტარ დღეთა მოგონებანი, მაგრამ მისი გული ახლა უკვე სხვას ეკუთვნის.

როდესაც შარლოტა წავიდა, მის სულში მოკლე ხნით წყვდიადმა და სიცარიელემ დაისადგურა, თუმცა კი დამცირებული ადამიანის უძლურ გულისწყრომას არ გრძნობდა. ვაგლახ, რომ კარგად ესმოდა: თვით იყო დამნაშავე შარლოტას სამუდამოდ დაკარგვაში.

უკუნ წყვდიადში ძალიან მალე სუსტი სინათლე გამოკრთა. გუშინდელი ფიქრები, მომავლის დამატკბობელი აჩრდილები, რომელნიც მიავიწყდა შინ ატეხილი უსიამოვნებისას, კვლავ მოევლინენ, ნათელნი და მშვენიერნი. მიწიერი სიყვარულის მთელ საუნჯეზე უფრო სასურველად ეხატებოდა შესაძლებლობა, ახლა მაინც ჩამდგარიყო მაცხოვრის სამსახურში, ცხოვრების ერთადერთ უბიწო გზაზე - სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ევლო ამ ქვეყანაზე სოფლის შარაგზის მოციქულად, თავისუფალ ფრინველად, ტანჯულისთვის მაცოცხლებელი სიტყვის მიმტანად, მათხოვრად სახელისა ჩვენისა მაცხოვრისა სადიდებლად, რომელი

ღარიბი თვითონ არიგებს განძთა, რომელთაც ვერაფერს აკ-ლებს ვერცა ჩრჩილი და ვერცა ჟანგი.

დინჯი და დაფიქრებული გაუდგა გზას სოფლისკენ. უპირვე-ლესად ცოლთან შერიგება უნდოდა, შემდეგ რა მოხდებოდა, თვითონაც არ იცოდა, თუმცა, სულში უჩვეულო სიმშვიდეს გრძნობდა. ღმერთმა გადმოხედა მოწყალე თვალით, თვითონ მას არაფრის გადაწყვეტა აღარ მოუხდებოდა.

როდესაც კარლ-არტური სოფლის განაპირა სახლს მიუახ-ლოვდა, სწორედ იმას, საიდანაც ანა სვერდი მათი პირველი შეხვედრისას გამოვიდა, კარი გაიღო და ზღურბლზე დიასახლი-სი გამოჩნდა. იგი წარმოშობით დალეკარლიელი იყო და ანა მასთან იდგა ხოლმე ბინად, როცა გზებზე ფუთით დადიოდა.

- არ გამიწყრე კი, ჰერ პასტორო, ცუდი ამბავი მოგიტანე, - უთხრა მან, - მაგრამ ამ დილით ანა ჩემთან იყო და მთხოვა, შენ-თვის მეთქვა, რომ წასვლა აქვს გადაწყვეტილი.

კარლ-არტური ქალს გაოგნებული მიაშტერდა.

- კი, - განაგრძო მან, - სახლში წავიდა, მედსტუბიუნში. მე კი ვუთხარი, ნუ მიდიხარ, ეგება მშობიარობამდე სულ რამდენიმე კვირა დაგრჩა-მეთქი. მაგრამ მან მიპასუხა, აუცილებლად უნდა წავიდეო. ანამ დამიბარა, უეჭველად მეთქვა შენთვის, სად წავი-და. „არ ეგონოს, თითქოს თავს რამეს ავუტეხ, - მითხრა მან, - შინ მივდივარ, ესაა და ესო“.

კარლ-არტური ღობეს ჩაეჭიდა. რომც არ ჰყვარებოდა ახლა თავისი ცოლი, მაინც იმდენ ხანს იცხოვრეს ერთი ცხოვრებით, მოეჩვენა, თითქოს გულში რაღაც ორად გაეყო. თანაც გული მოუვიდა, ახლა მთელი ქვეყანა გაიგებდა, თურმე იმდენად უბე-დური ყოფილა ანა, რომ არჩია თავისი ნებით მიეტოვებინა ქმა-რი.

მაგრამ ვიდრე ასე იდგა, თავს დატეხილი ტანჯვით გამწარებული, თავში კვლავ გაუელვა მანუგეშებელმა აზრმა სასურველი და დიადი თავისუფლების შესახებ. ცოლი, სახლ-კარი, ადამიანთა პატივისცემა - ყველაფერი ეს არაფერს ნიშნავდა მისთვის იმ გზაზე, რომელიც აირჩია. გული წყნარად და მშვიდად უცემდა, მიუხედავად ყველაფრისა, რაც თავს დაატყდა. ღმერთმა მოხსნა ყოველდღიური ადამიანური საწუხარი და მტანჯველი ტვირთი.

როდესაც რამდენიმე წუთის შემდეგ კარლ-არტური შინ მივიდა და ოთახის კარი შეაღო, დიდად გაოცდა, ყველაფერი მილაგებული რომ იყო. ლოგინი გასწორებული დახვდა, ჭურჭლიანი ლანგარი გატანილი. ფრიად გაკვირვებული სასწრაფოდ სამზარეულოსკენ გაემართა და დაინახა, რომ აქაც ყველაფერი წესრიგში იყო. ვიღაც ქალი მუხლზე დაჩოქილი კრეფდა იატაკზე მიმოფანტულ ბანქოს პატარა ნაფლეთებს, რაკი ისე იყო ჩაჭედილი იატაკის დაჩვრეტილ ფიცრებში, რომ ცოცხმა ვერ გახვეტა. ქალი ღიღინებდა, ეტყობოდა, შესანიშნავ გუნებაზე იყო. როდესაც პატრონი შევიდა, მან თავი ასწია და კარლ-არტურმა დაინახა თეა.

- აჰ, კარლ-არტურ, - წამოიძახა მან, - მაშინვე აქეთ გამოვეშურე, როგორც კი გავიგე, ცოლმა მიგატოვა. მივხვდი, შველა დაგჭირდებოდა. იმედია, არ გამიწყრები.

- ღმერთი გიშველის, თეა! პირიქით ძალიან დამავალებ, თუმცა, არ ღირს ამ საზიზღარი ნაკუწებისთვის თავის შეწუხება! ეყაროს.

მაგრამ თეას გაჩერება არც ისე ადვილი იყო. იგი განაგრძობდა ღიღინსა და ნაკუწების აკრეფას.

- ამ ნაკუწებს სახსოვრად შევინახავ, - უთხრა მან, - წეღან აქ რომ მოვედი, ის შენც იცი, ვინც მყავს მხედველობაში, შეეცადა,

ცოცხით გაეხვეტა, მაგრამ რაკი დაინახა, მაგრად იყო იატაკში ჩაჭედილი, ცოცხი მოისროლა, ხელი ჩაიქნია და წავიდა.

თეამ გაიცინა და სიმღერა წამოიწყო. კარლ-არტური თითქმის ზიზღით შეჰყურებდა მას.

თეამ კარლ-არტურს გაუწოდა თასი, რომელშიც უამრავი ქაღალდის მონაჭერი მოეგროვებინა.

- იგი აქ აღარ არის და ამ ნაკუწებს უნდა ვუმადლოდეთ ამას, - წამოიძახა თეამ, - განა შემეძლო სასოებით არ მომეგროვებინა და არ შემენახა?!

- რა გჭირს, თეა, ჭკუაზე ხარ? - შეჰყვირა კარლ-არტურმა და მის ხმაში აბუჩად აგდება, თითქმის სიძულვილი გაისმა. თეამ შეხედა, დაინახა, როგორ შეეჭმუხნა შუბლი, მაგრამ მაშინვე ხმამაღლა გაიცინა.

- დიახ, - თქვა მან, - ასეთი რამ სხვასთან გაგდის, მაგრამ ჩემთან არ გაგივა. მცემე, თმით მითრიე! მე მაინც დავბრუნდები, ვერასოდეს მომიცილებ. რაც სხვას აშინებს, მე უფრო ძლიერად მაკავშირებს შენთან.

მან კვლავ დაიწყო სიმღერა, ნელ-ნელა ხმას მოუმატა. სიმღერა გამარჯვების მარშად წკრიალებდა.

კარლ-არტური, რომელიც ნამდვილად შეაძრწუნა ამ უზნეო შეტევამ, თავის ოთახში განმარტოვდა. როგორც კი მარტო დარჩა, სიხარულისა და თავისუფლების განცდა დაუბრუნდა. კარლ--არტური მაშინვე შეუდგა წერილის წერას ეპისკოპოსის სახელზე; იგი უარს ამბობდა თავის თანამდებობაზე.

უბედური შემთხვევა

I

შაგერსტრიომი დახლიდან ადრიანად წამოვიდა, ფუნდუკში დანიშნულ კრებაზე რომ არ დაჰგვიანებოდა. კრება დათქმულ დროს, ათ საათზე დაიწყო, მაგრამ რაკი ძალიან სწრაფად ჩაიარა, თერთმეტ საათზე უკვე შეეძლო პასტორის კარ--მიდამოსკენ გამომგზავრება, რათა ფრუ ფორსიუსს სწვეოდა და შარლოტაც მოენახულებინა. ცოლი ძალიან მოენატრა, თუმცა, სულ ერთი დღის წინ დასცილდა. გულში იმედი ჰქონდა, იქნებ როგორმე დავიყოლიო და შინ წავიყვანოო.

„კაცმა რომ თქვას, ახლავე უკან უნდა ვბრუნდებოდე, ხეტყის სახერხი გაჩერებულია და მიხედვა უნდა, - ფიქრობდა შაგერ-სტრიომი, - თუმცა, ეგებ არცაა საჩქარო იქ წასვლა. ეგებ შევიცა-დო საღამომდე? საათის ხუთზე ან ექვსზე შარლოტასაც შეეძლე-ბა ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე სახლში წამომყვეს“.

პასტორის კარ-მიდამოში ფრუ ფორსიუსი შეხვდა და მაშინვე დაუწყო კრების ამბების გამოკითხვა. იგი ასეც ფიქრობდა, რომ ამ წამოწყებიდან არაფერი გამოვიდოდა. გაგებული ჰქონდა, კარლ-არტურმა ათივე ბავშვის წაყვანის დასტური მისცაო. რა სისულელეა!

შაგერსტრიომმა მაშინვე დაუწყო მტკიცება პასტორის ცოლს, რომ ამ ამბავს სულაც არ ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა, პირიქით, ყველა თანახმა იყო, კარლ-არტურისთვის სახალხო სკოლა ჩაებარებინათ და სახელმწიფო ბინაც მიეცათ, როგორც პასტორის თანაშემწისთვის, მაგრამ ამ დროს სამთამადნო ქარხნის პატრონი არონ მონსსონი წამოდგა და იკითხა, ღირს თუ არა, სამრევლომ აიკიდოს ამხელა ხარჯი მხოლოდ იმიტომ, რომ შეინარჩუნოს პასტორი, ვინც ისე იქცეოდა, ცოლიც კი იძულებული გახდა, მიეტოვებინაო.

- რას მეუბნები! - აღმოხდა პასტორის ცოლს, - ნუთუ ცოლმა მიატოვა? ახლა ვინ მიხედავს?

სიმართლე უნდა ითქვას, კრებაზე დამსწრენიც ამ შეკითხვას უსვამდნენ საკუთარ თავს. მის ცოლს ყველა პატივს სცემდა. ისე გამოვიდა, თითქოს ამ კაცს კი არა, მის ცოლს უპირებდნენ პასტორის თანაშემწედ და სკოლის მასწავლებლად დანიშვნას, საკითხის გადაწყვეტა განუსაზღვრელი ვადით გადაიდო.

ფრუ ფორსიუსს, რომელიც ძალიან ნაწყენი დარჩა საქმის აგრერიგად წარმართვით, დაუფიქრებლად წამოსცდა:

- განა მე კი არ ვეუბნებოდი შარლოტას, რომ სულ ზედმეტია კარლ-არტურისთვის დახმარება-მეთქი!

შაგერსტრიომს, რომელსაც არ ესიამოვნა, რომ შარლოტა ახლაც დაინტერესებული იყო ყოფილი საქმროს ბედით, სახე მოეღუშა და პასტორის ცოლმა, რაკი მიხვდა, შეცდომა დავუშვიო, გადაწყვიტა ქარხნის მეპატრონის ყურადღება სხვა საგანზე გადაეტანა და უთხრა, შარლოტა ბაღში სეირნობსო.

მეორედ თქმა აღარ დასჭირვებია, ისე წავიდა შაგერსტრიომი შარლოტას მოსაძებნად ჩამწკრივებული ხეების ლაბირინთში. მოეჩვენა, რომ ცოლის ხმა ძველი ფანჩატურის მხრიდან მოდიოდა. ფანჯარაში შეიხედა და მართლაც შარლოტა დაინახა:

მოპირდაპირე ფანჯარასთან იჯდა, კარლ-არტურთან ლაპარაკით გართული. შაგერსტრიომი იმწამსვე შებრუნდა და იქაურობას ისე გაეცალა, მათი საუბრის არც ერთი სიტყვისთვის არ მოუკრავს ყური.

იგი ბაღში არ დარჩენილა, პასტორის სახლის პარმაღთან მივიდა და გადაწყვიტა, ცოლს აქ დალოდებოდა. ფანჩატურში ნანახმა სრულიად დააბნია. ისე ეჩვენებოდა, თითქოს აზრები როგორღაც მის გარეშე იბადებოდნენ. ვიღაცამ, აღარც კი ახსოვდა, ვინ იყო, სადღაც მოსმენილი ამბავი მოუტანა შაგერსტრიომს. ლაპარაკობდნენ ექიმ რომელიუსის მეუღლეზე და უკვირდათ, რომ ქმრის თავაშვებული ლოთობის მიუხედავად ამ ქალს მაინც უყვარდა იგი.

- ო, ეს ამბავი არ გაგიკვირდეთ! - განუმარტია ვიღაცას, - ეს ქალი ხომ ლიოვენშოლდია, ლიოვენშოლდები კი არასოდეს ღალატობენ პირველ სიყვარულს.

შაგერსტრიომმა არ იცოდა, როდის ან სად მოისმინა ეს ამბავი. შეიძლება მაშინ შარლოტას არ კი იცნობდა, მაგრამ ახლა ეს მოგონება სულის სიღრმიდან ამოუტივტივდა და გაგიჟებამდე შეაშინა.

უცებ შენიშნა, რომ ორივე ხელი თავზე შემოუჭდია, აქაოდა, ჭკუა-გონება არსად გამეპაროსო. იმწამსვე ხელები დაუშვა და წელში გასწორდა. „შარლოტას უნდა დავანახვო, რომ სრულიად მშვიდად ვარ, - გაიფიქრა მან, - ის ხომ ყოველ წუთს შეიძლება აქ გაჩნდეს“.

სულ მალე მართლაც დაინახა ბაღიდან მომავალი შარლოტა. იგი აუჩქარებლად მოდიოდა, წარბები შეკრული ჰქონდა, თითქოს რაღაც რთული და ჩახლართული საკითხის გადაჭრას ლამობსო, მაგრამ ქმრის დანახვაზე გაიღიმა და საჩქაროდ მისკენ გამოემართა.

- ბიჭოს, უკვე აქა ხარ! - წამოიძახა შარლოტამ აღფრთოვანებით, შემდეგ კისერზე ხელები შემოაჭდო და აკოცა. უფრო გულთბილი შეხვედრა რაღა უნდა ყოფილიყო!

„როგორ თვალთმაქცობს! - გაიფიქრა შაგერსტრიომმა, - არცაა გასაკვირი, რომ თავი გავაცუცურაკებინე და დავიჯერე, რომ ვუყვარვარ“.

ქმარს იმედი ჰქონდა, ცოლი ჩვეული გულწრფელობით მოუყვებოდა, როგორ შეხვდა ახალგაზრდა ეკენსტედს, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. შარლოტას ისიც კი არ უკითხავს, კრება რითი დამთავრდა, თითქოს ეს ყველაფერი აღარც ახსოვდა.

შაგერსტრიომმა ამ საქციელიდან სათანადო დასკვნა გამოიტანა და რწმენა იმისა, რომ მოტყუებულია, უფრო გაუღრმავდა.

იგი ახლა იმასღა ფიქრობდა, რაც შეიძლება, სწრაფად გასდგომოდა გზას, რათა მარტოდ დარჩენილს უფრო კარგად მოეფიქრებინა, რამდენად ახლოს იყო ჭეშმარიტებასთან მისი აღმოჩენა. წეღანდელი განზრახვა, შარლოტა, თან რომ წაეყვანა, რა თქმა უნდა, უკუაგდო.

შაგერსტრიომს პასტორის კარ-მიდამოდან ისე უნდოდა წასვლა, რომ უსიამოვნო განწყობა არ გაემჟღავნებინა, ამაში დიდად დაეხმარა „ტბის აგარაკის“ ძველი სახერხი ქარხანა. ქმარმა უთხრა შარლოტას, ქარხანა გუშინ საღამოს გაჩერდა, მაშინვე, როგორც კი შენ და ფრუ ფორსიუსი წამოხვედითო, ვერც ხელოსანმა და ვერც ინსპექტორმა და მმართველმა ვერ იპოვეს დაზიანების მიზეზი და იძულებული გახდნენ, ჩემთვის მოემართათ, მაგრამ მეც ხელი მომეცარაო.

შარლოტამ კარგად იცოდა, რომ მის ქმარს ძალიან მოსწონდა, როდესაც დიდ მექანიკოსად მიიჩნევდნენ, ისიც იცოდა, რომ

არაფერი ისე არ გაუხარებდა გულს, როგორც იმის შესაძლებლობა, გამოემჟღავნებინა თავისი ნიჭი და უნარი, ამიტომ შაგერსტრიომის ახლავე გამგზავრების ამბავს მშვიდად შეხვდა.

- ვიცნობ მე ამ ძველ სახერხ ქარხანას, - თქვა მან, - უყვართ ზოგჯერ რამდენიმე დღით ქარის ამოღება, მერე კი მოიხედავ და თვითონვე ამუშავდებიან.

ამ დროს მათთან პასტორის ცოლი გამოვიდა; შაგერსტრიომს რევერანსი გაუკეთა და ჰკითხა, იქნებ პატივი დამდოს ქარხნის მეპატრონემ და ჩემთან ისადილოსო, მაგრამ შაგერსტრიომმა უარი უთხრა და სახერხი ქარხანა მოიმიზეზა. მან ფრუ ფორსიუსს ისიც აუხსნა, ეს არ არის ჩვეულებრივი სახერხი, მას საკმაოდ თავისებური და რთული მექანიზმი აქვსო. „ტბის აგარაკის“ ძველი მუშები ირწმუნებიან, რომ ეს სახერხი ასი წლის წინ თვით პოლჰემმა, დიდმა გამომგონებელმა ააგოო. თავადაც სიამოვნებდა ამისი დაჯერება, რადგან ნამდვილად გენიოსი უნდა იყოს მექანიკოსი, ასეთი თავსამტვრევად რთული მანქანა რომ ააგოს. გუშინ პირდაპირ სასოწარკვეთაში ჩავარდა, ვერაფერი რომ ვერ გაუგო, მაგრამ ახლა, პასტორის კარ--მიდამოსკენ მომავალს, ერთი აზრი დაებადა, მგონი მიხვდა, რაც სჭირს იმ მანქანას და ახლა სასწრაფოდ უნდა წავიდეს შინ.

შარლოტამ და პასტორის ცოლმა მართლაც დაიჯერეს, რომ შაგერსტრიომს ახლა მხოლოდ ძველებური სახერხი მანქანის უცნაური მექანიზმის ამოუცნობი საიდუმლოება უტრიალებდა თავში და ამჯობინეს, გაეშვათ; მეტი რა ჩარა იყო.

ეტლში ჩაჯდომისთანავე შაგერსტრიომი ფიქრს მიეცა - ამოდ ცდილობდა როგორმე აეხსნა, ანდა, სულაც განედევნა მეხსიერებიდან ის, რაც ფანჩატურის ფანჯარაში დაინახა. მაგრამ, საუბედუროდ, ჩვენს თვალებს ერთი ფრიად არასასიამოვნო თვისება აქვთ: უმოწყალო სიმკვრივით აღბეჭდავენ განსაზ-

ღვრულ სურათებს, რათა დროდადრო ისინი ხელახლა დაგვანახვონ.

მართალია, შარლოტა და კარლ-არტური ერთმანეთს არ კოცნიდნენ და იმასაც კი არ ცდილობდნენ, ერთმანეთს მოფერებოდნენ, შაგერსტრიომს შეიძლებოდა ეფიქრა, ჩვეულებრივი საუბრით იყვნენ გართულიო, მაგრამ მან დაინახა ახალგაზრდა პასტორის ნამტირალევი სახე, მისი მეოცნებე და უსაზღვრო თაყვანისცემით აღსავსე მზერა, რომლითაც იგი შარლოტას შესციცინებდა, თუნდაც არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ქალი ნაზად და მოწყალედ უყურებდა კარლ-არტურს.

არც პასტორის ცოლის სიტყვებია უყურადღებოდ დასატოვებელი, რომლებიც ცხადყოფდნენ, რომ შარლოტა ახლაც ცდილობდა, დახმარებოდა ახალგაზრდა პასტორს, შარლოტას გულდახურულობაც დასაფიქრებელია. განა ყველაფერი ეს დამამტკიცებელ საბუთს არ წარმოადგენს?

რა თქმა უნდა, შაგერსტრიომი ირწმუნებდა თავს, მე და შარლოტა უზომოდ ბედნიერი ვართო, რომ ცოლს გამომეტყველებითაც კი არასოდეს გაუმჟღავნებია, სხვაზე რომ ოცნებობდა, მაგრამ ყველაფერი მაშინვე ბათილდებოდა, მოაგონდებოდა თუ არა, როგორ უყურებდნენ ამ დილით ერთმანეთს შარლოტა და კარლ-არტური.

- იქნებ შარლოტას ეგონა, რომ ძველი სიყვარული მოკვდა, - ჩურჩულებდა შაგერსტრიომი, - მაგრამ როგორც კი დაინახა ახალგაზრდა პასტორი, გრძნობამ კვლავ იფეთქა მის გულში.

ასე ნელ-ნელა მოახერხა ქარხნის მეპატრონემ დაერწმუნებინა თავი, რომ შარლოტას გული კარლ-არტურს ეკუთვნოდა, და ახლა იმის ფიქრს შეუდგა, როგორ მოქცეულიყო.

შარლოტა არასოდეს უღალატებდა, ამის გაფიქრება სიამოვნებდა შაგერსტრიომს, მაგრამ განა ეს საკმარისი იყო? ვისაც კა-

ცი ჰქვია და ნამუსის ქუდი ხურავს, განა შეურიგდება იმას, რომ მის ცოლს სხვაზე ამოსდის მზე და მთვარე? არამც და არამც, ათასჯერ უკეთესია გაყრა.

მაგრამ ამის გაფიქრებაზე თითქოს ყველაფერი ხელიდან გამოეცალა. როგორ? შარლოტა მასთან აღარ იქნება? ვეღარ გაიგონებს მის სიცილ-კისკისს, ვეღარ შეესწრება მის ოინებს, ვეღარ შეხედავს მის უმშვენიერეს სახეს - მთელ ტანში ჟრუანტელმა დაუარა, მოეჩვენა, თითქოს მუხლამდე ყინულივით ცივ წყალში მიაბიჯებდა.

„ტბის აგარაკზე“ მისვლისას, სადილზე უარი თქვა, უბრძანა დაეძახათ მმართველისთვის და მასთან ერთად სახერხი ქარხნისკენ გაემართა.

- უნდა გითხრათ, ჰერ მმართველო, რომ გზაში ერთი აზრი დამებადა. მგონი, მივხვდი, რა აფერხებს მანქანის მუშაობას.

როგორც კი ადგილზე ჩავიდნენ, მაშინვე სამანქანო განყოფილებას მიაშურეს, სადაც გენიალურ ოსტატს, თითქოს სხვათა შორის, ყველას ჯიბრზე ბორბლები, ბარბაცები და ბერკეტები უწესრიგოდ დაეხვედრებინა. შაგერსტრიომი ეცა ერთ-ერთ ოწინარს და თავისკენ მოზიდა.

როგორც ეტყობა, არც ეგონა, ასე სწრაფად თუ ამუშავდებოდა მანქანა ან შეიძლება სულ სხვაგან ქროდა მაშინ მისი ფიქრები, და როდესაც მძლავრი მექანიზმი ამუშავდა, შაგერსტრიომმა უკან გადახტომა ვეღარ მოასწრო და სახერხმა ჩაითრია.

II

შაგერსტრიომი იმან გამოაფხიზლა, რომ აქეთ-იქით აქანავებდნენ. იგი აუტანელ ტკივილს გრძნობდა; ბოლოს მიხვდა, - საკაცით მიჰყავდათ. ხალხი ნელა, ფრთხილად მიაბიჯებდა, მაგრამ რყევა ყოველ ნაბიჯზე ისეთ ტკივილს ჰგვრიდა, რომ გულსაკლავად კვნესოდა. ერთ-ერთმა მათგანმა, ვისაც საკაცე მიჰქონდა, შეამჩნია, შაგერსტრიომი გონს მოსულიყო, და დანარჩენებს ნიშანი მისცა, შეჩერებულიყვნენ.

- გტკივათ, ჰერ? - ჰკითხა მან და გააგრძელა ისეთი კილოთი, თითქოს ბავშვს ელაპარაკებოდა, - შევჩერდეთ ერთი ბეწო ხანს თუ...

- საცაა მივალთ, - ამშვიდებდა მეორე, - საკუთარ ლოგინში რომ მოისვენებთ, მაშინვე იგრძნობთ შვებას.

გზა განაგრძეს და ტკივილმა კვლავ ჩაასო კლანჭები ქარხნის მეპატრონეს.

- კიდევ კარგი, ასე გადარჩა, - თქვა ვიღაცამ, - მე მეგონა, მორივით ორად გააპობდა მანქანა.

- კინაღამ უბედურება დატრიალდა, - გამოეპასუხა მეორე, - ახლა კი არა უშავს, ხელ-ფეხი ჩვენს მეპატრონეს მრთელი აქვს.

- შეიძლება რამდენიმე ნეკნი ჰქონდეს ჩამტვრეული, - მიუგო მესამემ, - არცაა გასაკვირი.

შაგერსტრიომი მიხვდა, რომ ამ უბრალო ადამიანებს მისი დამშვიდება სწადდათ, და უზომოდ გულაჩუყებული და მადლობელი იყო ამ კეთილმოსურნეობისა. ცდილობდა, მხნედ ყოფილიყო და არ ეკვნესა, მაგრამ ამავე დროს გული სწყდებოდა,

რატომ არავის გაუკვირდა, ასე ადვილად რომ მოვახერხე ხეტ-ყის სახერხი მანქანის ამუშავებაო. მას უნდოდა, ვინმეს შეექო.

როდესაც კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გაიარეს, შაგერსტრიომს სისუსტე მოერია. მეტის ატანა აღარ შეეძლო. გაიფიქრა, კიდევ თუ გაგრძელდა ჩემი აქეთ-იქით ასე ქანაობა, უეჭველად მოვ-კვდებიო.

რომ შესძლებოდა, უბრძანებდა, შეჩერებულიყვნენ, მაგრამ საამისო ძალა არ შესწევდა. უცებ იგრძნო, რომ სხეულის ნაწი-ლები ერთიმეორის მიყოლებით უქვავდებოდა, თითქოს კვდე-ბოდა, და ეს არაჩვეულებრივად სწრაფად ხდებოდა, ფეხებიდან თავისკენ...

როდესაც ისევ გამოფხიზლდა, ვარდის ხმელი ფურცლების სურნელება შეიგრძნო და იფიქრა, ალბათ, „ტბის აგარაკის“ სას-ტუმრო ოთახში ვიმყოფებიო. დიახ, როგორც ჩანს, აქ მოიყვა-ნეს, კიბეზე რომ არ აეყვანათ. მისი საძინებელი ოთახი მეორე სართულზე იყო.

ვიღაცამ ჩექმების გახდა დაუწყო, მაგრამ ეს ვერ აიტანა და ისე ხმამაღლა დაიკვნესა, რომ იძულებულნი იყვნენ, თავი გაენებებინათ.

- ნუ შევაწუხებთ, სანამ ექიმი არ მოვა, - გაიგონა მმართვე-ლის ხმა.

- ჰო, - გამოეპასუხა ვიღაც და შაგერსტრიომმა თითქოს იუჰანსონის, ლაქიის, ხმა შეიცნო, თუმცა, ცრემლებისგან ისე ჰქონდა კილო შეცვლილი, ძლივს იცნობოდა, - ჰო, ეგებ კოჭის ძვალიც კი ჰქონდა გადამტვრეული.

შაგერსტრიომმა თვალები გაახილა, უნდოდა, ენიშნებინა დამსწრეთათვის, რომ გონზეა. დაინახა, რომ სასტუმრო ოთახში იწვა, განიერ დივანზე, ეკონომი ქალი და ორი მოსამსახურე გო-

გო ლოგინს ასწორებდნენ, მმართველი და ლაქია, ის იყო, შეეცადნენ მისთვის ტანსაცმელი გაეხადათ.

შაგერსტრიომმა მოითხოვა, თავი გაენებებინათ მისთვის. ხმა, რომელიც გაისმა, სულაც არ ჰგავდა ადამიანისას - სასიკვდილოდ დაჭრილი მხეცის ხრიალს უფრო მიაგავდა, მაგრამ იქ მყოფნი, საბედნიეროდ, მაინც მიუხვდნენ: ტანსაცმლიანად წოლა აცალეს და ლოგინის დაგებას თავი ანებეს. ეკონომმა ქალმა საბანი მოიტანა და უნდოდა, გადაეფარებინა, მაგრამ ასეთი სიმძიმის ატანას შაგერსტრიომი ვერ შეძლებდა, ამიტომ კვლავ ხრიალი ამოუშვა და ქალმა უკან დაიხია. შემდეგ იფიქრა, თავქვეშ ბალიშს ამოვუდებო, მაგრამ არც ეს აღმოჩნდა საჭირო.

შაგერსტრიომი ბრაზობდა მმართველზე, რომელმაც კარგად იცოდა, რამდენად რთულია პოლჰემის მექანიზმი და მაინც არც ერთი საქებარი სიტყვა არ დასცდენია. სახერხი ქარხანა ახლაც უმოქმედოდ იქნებოდა, ეს იდეა რომ არ მოსვლოდა.

რამდენჯერმე შეხედა მმართველს, ისიც მიუახლოვდა იმის გასაგებად, რა უნდოდა, მაგრამ არც ახლა უთქვამს რაიმე. შაგერსტრიომმა ჩურჩულით უთხრა მმართველს, კარგი გასამრჯელო მიეცა იმ კეთილი ადამიანებისთვის, რომლებმაც საკაცე ატარეს. მმართველი მიუხვდა სურვილს, თავი დაუქნია, შემდეგ კი ჰკითხა, სხვას ხომ არაფერს მიბრძანებთო.

შაგერსტრიომს თავად არ უნდოდა ამაზე ლაპარაკი, ხვდებოდა, რომ ეს მმართველს შეიძლება ბავშვურად მოსჩვენებოდა, მაგრამ სიტყვები ენას უდაგავდა და უნდა ეთქვა სათქმელი:

- ხომ მაინც ავამუშავე სახერხი ქარხანა.

- კი, აგრემც გიშველით ღმერთი, - თქვა მმართველმა, - რაღა თქმა უნდა, აამუშავეთ, ჰერ!

შაგერსტრიომს ეწყინა, რომ სწორედ ამ დროს ამოუშვა ტირილი გულაჩუყებულმა მმართველმა. ქარხნის მეპატრონე უფრო მჭევრმეტყველურ შექებას მოელოდა.

სულაც არ ესიამოვნებოდა ვაი-ვიშისა და ზლუქუნის მოსმენა და ამოიხავლა, მარტო დამტოვეთო; ეკონომი ქალი, მმართველი და მოსამსახურე გოგო წავიდნენ. მომვლელად მხოლოდ იუჰანსონი დარჩა.

სიჩუმემ შაგერსტრიომზე კარგად იმოქმედა, ოდნავ დამშვიდდა, ჭირვეულობას უკლო. „უმწეო ბავშვი ხომ არა ვარ, - ფიქრობდა, - ხალხი ჩემს ბრძანებას ასრულებს. წყნარად, სრულიად წყნარად, წოლას რომ არ მიშლიდნენ, ვერავითარ ტკივილს ვერ ვიგრძნობდი. ყოველ შემთხვევაში, ის კი შემიძლია, ვბრძანო, სიჩუმე იყოს“.

შაგერსტრიომისთვის ცხადი იყო, რომ მოკვდებოდა, მაგრამ გული სულაც არ სწყდებოდა. ის კი უნდოდა, სიკვდილი შეუმჩნევლად მოპარულიყო, უნდოდა, მშვიდად შეხვედროდა და ვაი-უშველებელი არ ატეხილიყო.

იუჰანსონს თვალით ანიშნა, მომიახლოვდიო. ახლაღა მიხვდა, რა ბედნიერება იყო, რომ შარლოტა შინ არ იყო. განა ის დაუშვებდა, რომ შაგერსტრიომი ასე მომკვდარიყო, ტანსაცმლით დივანზე წამოწოლილი.

ქარხნის მეპატრონემ ჩურჩულით უბრძანა იუჰანსონს, არამც და არამც არაფერი შეეტყობინებინათ შარლოტასთვის. არ შეიძლება მისი შეშინება, იუჰანსონმა უნდა გაგზავნოს ვინმეს ექიმისა და ნოტარიუსის მოსაყვანად, ქალბატონს კი ნურაფერს ეტყვითო. იუჰანსონმა ყურები ჩამოყარა, შაგერსტრიომი კი დიდად კმაყოფილი დარჩა. გუნებაში იღიმებოდა, თუმცა, სახეზე ძნელად შეატყობდა კაცი ამას. ხომ ლამაზად ჟღერს - ქალბატონის შეშინება არ შეიძლება! სიამაყით აღივსო, ისე მოეწონა შა-

გერსტრიომს თავისი ნათქვამი, ნუთუ მართლაც მოახერხებს შარლოტას მოტყუებას! ნუთუ მოასწრებს მოკვდეს მანამდე, სანამ ის ყოველივეს შეიტყობს!

ქარხნის მეპატრონემ გაიგონა, როგორ წავიდა საფოსტო კარეტა ექიმისა და ნოტარიუსის მოსაყვანად და მოპირდაპირე კედელზე დაკიდებულ საათს შეხედა. ოთხის ნახევარი იყო, სოფლამდე კი, მადლობა ღმერთს, კარგი ორი მილია გასავლელი. ლუნდმანი, რა თქმა უნდა, თავქუდმოგლეჯით გარეკავს, მაგრამ ოთხი საათი მაინც უნდა, სანამ ექიმი აქ გაჩნდება.

სიჩუმე, სრული სიჩუმე იმეფებს ლამის რვის ნახევრამდე!

შაგერსტრიომს ეგონა, ბავშვურმა ანცობამ მოუარა და ახლა რაღაც ოინის ჩადენას აპირებსო. თითქოს უპატიოსნება იქნებოდა, ისე მომკვდარიყო, რომ მკურნალობა არავისთვის ეცლია. ახლა არად აგდებდა ყველაფერს, მდიდარი ქარხნის მეპატრონე შაგერსტრიომი სადაცაა, სულს დალევდა და ახლა მაინც ხომ ჰქონდა უფლება, საკუთარი თავის სრული ბატონ-პატრონი ყოფილიყო?

შარლოტა, ალბათ, ნაწყენი დარჩება, მაგრამ არც ამას დაეძებდა. გარდა ამისა, თავში კარგა აზრმა გაუელვა: მთელ ქონებას შარლოტას დაუტოვებს. ამ ქონებას ცოლი იმის სანაცვლოდ მიიღებს, რომ არ მიეცა განკარგულებების გაცემისა და მბრძანებლობის საშუალება მაშინ, როდესაც მეუღლე სასიკვდილო სარეცელზე წევს.

შაგერსტრიომს უკვირდა, რომ არ ფიქრობდა რაიმე მნიშვნელოვანზე, ღირსშესანიშნავზე, იმ დროს, როდესაც რამდენიმე საათში სიცოცხლეს უნდა გამოსალმებოდა. არაფერზე არ უნდოდა ფიქრი, ეს იყო და ეს. მხოლოდ ის უნდოდა, როგორმე გაქცეოდა ტანჯვას, შეკითხვებს, თანაგრძნობას და სხვა უსიამოვნო ამბავს. სიმშვიდე სწყუროდა. იგი ჰგავდა პატარა

ბიჭს, რომელსაც სკოლაში სასჯელი ელოდებოდა და მხოლოდ იმასღა ნატრობდა, გაქცეულიყო და უზარმაზარი, უღრანი ტყისთვის შეეფარებინა თავი.

შაგერსტრიომს პირწმინდად ახსოვდა ყველაფერი, რაც დილას მოხდა, მაგრამ ახლა ეს აღარ აღელვებდა. მსგავსი სულიერი ტანჯვა ამჟამად სასაცილოდ ეჩვენებოდა. შარლოტას ნახვა არ უნდოდა, მაგრამ არა იმის გამო, რომ ამ დილით ისე ნაზად შეჰყურებდა კარლ-არტურს, არამედ იმიტომ, რომ შარლოტა იყო ის ერთადერთი ადამიანი, ვინც არაფრით დაემორჩილებოდა მას. იგი მოერეოდა მმართველს, ეკონომ ქალს, მაგრამ არა შარლოტას. ექიმის დაყოლიების იმედიც ჰქონდა, ხოლო შარლოტასი - არასოდეს. შარლოტა კი იმდენს შეძლებდა, რომ არ გამოეჩინა მისდამი არც სიბრალული და არც პატივისცემა.

რა თქმა უნდა, სულმოკლეობაა, კაცს ასე ეშინოდეს ტანჯვა--ტკივილისა, მაგრამ, აბა, რა აზრი აქვს ამდენ კამათს, თუ ბოლოს მაინც სიკვდილი არ ასცდება.

დაახლოებით რვის ნახევარზე მას ბორბლების ხმაური შემოესმა. სულაც არ მოსჩვენებია, რომ დრო ნელა გადიოდა, პირიქით, სინანულით ამოიოხრა იმის გამო, რომ ექიმი უკვე აქ იყო. მას ხომ იმის იმედი ჰქონდა, რომ მკურნალი სადმე სხვაგან იქნებოდა დაკავებული და მათთან ცხრა საათზე ადრე ვერ მოვიდოდა. ლუნდმანი, რაღა თქმა უნდა, სრულიად უმოწყალოდ მიერეკებოდა ცხენებს, რომ ექიმი დროზე მოეყვანა და პატრონისთვის დახმარება გაეწია. შეუძლებელია, დაარწმუნო ისინი, რომ სრულიადაც არ სურს ეს დახმარება.

იუჰანსონი ფეხაკრეფით გავიდა ოთახიდან, რათა ექიმს დახვედროდა. უბედურება მეტიღა იქნება? ექიმი დაუწყებს გასინჯვას, ხან აქ დაადებს ხელს, ხან იქ, სახსრებს ჩაუსწორებს. მწო-

ლიარეც კარგად ხედავს, რომ ფეხი ძლიერ აქვს ნაღრძობი: თითები დივნისკენაა მოქცეული, ქუსლი კი - ჭერისკენ. ახლა მისთვის სულერთია - ასეც კვდება და ისეც. ოღონდ ექიმი ნუ მიიჩნევს თავის მოვალეობად ნაღრძობი ფეხი ჩაუსწოროს, სანამ იგი ცოცხალია.

რომელიუსი ოთახში მტკიცე ნაბიჯით შემოვიდა, სარგადაყლაპულივით მოდიოდა. შაგერსტრიომს, რომელსაც ეგონა, ექიმი, ჩვეულებისამებრ, ნასვამი იქნებოდა, ცოტა არ იყოს, იმედი გაუცრუვდა.

„ვაი ჩემ დღეს! თუ ფხიზელია, ნამდვილად თავს მოვალედ ჩათვლის, რაიმე გააკეთოს“, - გაიფიქრა მან.

შაგერსტრიომმა სცადა, ექიმი დაერწმუნებინა, მისთვის თავი დაენებებინა.

- შენ, ძმაო, ალბათ, თვითონაც კარგად ხედავ, რომ არაფრის გაკეთება აღარ შეიძლება. რამდენიმე საათში მოგჭამ ჭირს.

ექიმი მისკენ დაიხარა. შაგერსტრიომმა დაინახა ჩასისხლიანებული თვალები, უაზრო მზერა, იგრძნო სპირტის ძლიერი სუნი. „ნამდვილად მთვრალია, როგორც ყოველთვის, - გაიფიქრა თავისთვის, - ახლა ჰგონია, რომ მომენტის სერიოზულობა მოითხოვს, ბარბაცი არავინ შეატყოს. არა, ეს ვერაფერს დამაკლებს“.

- დიახ, ძვირფასო შაგერსტრიომ, - გაიგონა ამ დროს ექიმის სიტყვები, - ჩანს, მართლი ხარ, ძმაო, აქ ბევრი ხლაფორთი არ დამჭირდება.

მაგრამ რომელიუსი მთლად გამოთაყვანებული არ იყო, ცდილობდა, ღირსება შეენარჩუნებინა და რაიმე ეღონა. ავადმყოფს მაჯა გაუსინჯა, გაგზავნა ლაქია ყინულიანი წყლისა და ბანდების მოსატანად, შუბლზე ცივი კომპრესის დასადებად; ძალიან ფრთხილად გადაუსვა ხელი ნაღრძობ ფეხზე და მხრები აიჩეჩა.

- ამრიგად, ჩვენ გვსურს მოსვენება, - თქვა მან, - ეგებ ასეც ჯობდეს, მაგრამ ხომ არ გირჩევნია, ძმაო, ლოგინში გადაგაწვინოთ? რაო? არც ეს გინდა? რა გაეწყობა, იყოს ისე, როგორც ინებებ.

რომელიუსი სავარძელში ჩაეშვა და რამდენიმე ხანს იჯდა ასე ფიქრმორეული, შემდეგ შაგერსტრიომთან მივიდა და საზეიმოდ განაცხადა.

- მე ამაღამ აქ დავრჩები, ვინიცობაა, ძვირფასმა ძამიკომ რამე გადაიფიქროს, გვერდზე ვეყოლები.

იგი კვლავ სავარძელში ჩაჯდა და, ალბათ, იმის გარკვევას ლამობდა, კიდევ რამის გაკეთება ხომ არ მომეთხოვებაო.

რამდენიმე ხნის შემდეგ რომელიუსი კვლავ მივიდა ავადმყოფის საწოლთან.

- წესად დავიდე, შაგერსტრიომ, და არც არასოდეს მინანია, არ გავაკეთო ამპუტაცია, თუ ავადმყოფი არ დამთანხმდება. დარწმუნებული ხარ, რომ არ გჭირდება ექიმის დახმარება?

- დიახ, დიახ, შეგიძლია სრულიად დამშვიდებული იყო, - მიუგო შაგერსტრიომმა.

საწყალი ექიმი, წეღანდელივით გაბღენძილი, ისევ სავარძლისკენ შებრუნდა და ზედ დაებერტყა.

შაგერსტრიომმა თვალი ჩაუკრა იუჰანსონს და იმან, როგორც ყოველთვის, გაუგო. ექიმი ძალად, მაგრამ ძალიან ზრდილობიანად, ოთახიდან გაიყვანეს. დაბრუნებულმა ლაქიამ შაგერსტრიომს უთხრა, რომელიუსი თქვენს კანტორაში მივიყვანე და კუთხეში მიდგმულ დივანზე მიიძინაო.

იუჰანსონი წეღანდელზე უფრო მოიქუფრა. ეგონა, ექიმი რომელიუსი სასწაულს მოახდენდა. შაგერსტრიომმა შვებით ამოისუნთქა, რადგან ოთახში კვლავ სიმშვიდემ და მდუმარებამ

დაისადგურა. მსახური თითქმის შეეცოდა, ისე ძალიან რომ იყო შეწუხებული.

„როგორ გავახარებდი ამ პატიოსან ადამიანს, იმ ლოთიფოთისთვის ჩემი გაჭრის უფლება რომ მიმეცა“, - გაიფიქრა მან.

რამდენიმე წუთის შემდეგ ფეხაკრეფით შემოვიდა ეკონომი ქალი, ფრუ სელბერგი, და ჩურჩულით ჰკითხა რაღაც იუჰანსონს, რომელიც მაშინვე მივიდა შაგერსტრიომთან.

- ფრუ სელბერგმა არ იცის, რა უთხრას ხალხს. ისინი სახლის წინ დგანან და თითქმის მთელი დღეა იცდიან: არ უნდათ წასვლა, სანამ არ გაიგებენ, რა თქვა ექიმმა.

შაგერსტრიომს ესმოდა, რომ ამ ადამიანებს, რომლებიც მისი წყალობით შოულობდნენ ლუკმაპურს, ეშინოდათ, არაფერი მოსვლოდა. გამოდის, ისინიც იმას უცდიდნენ, რომ ნება მიეცა ექიმისთვის, ეწამებინა.

- უთხარით ფრუ სელბერგს, თვითონ ჰკითხოს ექიმს, - უპასუხა ქარხნის მეპატრონემ.

ყველა ამ შემაწუხებელი ამბისგან იგი უარესად შეიქნა. დასახიჩრებულმა სხეულმა კვლავ ტეხა დაუწყო. მოზღვავებული სისხლი ჭრილობებს აწვებოდა და შმაგად ფეთქავდა. სუნთქვა უფრო და უფრო უძნელდებოდა, თავი საშინლად უხურდა.

„ალბათ, დასასრული მიახლოვდება“, - ფიქრობდა იგი. ისევ ბორბლების ხმაური გაიგონა და მიხვდა, რომ ამჯერად მოსამართლე და მისი მწერალი მობრძანდნენ.

ლაქიამ ორივენი ოთახში შემოიყვანა. მათ მაგიდაზე ქაღალდი და საწერი მოწყობილობა გადაშალეს და შეუდგნენ ანდერძის წერას, რომელსაც შაგერსტრიომი კარნახობდა.

ნოტარიუსი ქარხნის მეპატრონისკენ დაიხარა, რათა უკეთესად გაეგონა სიტყვები, რომელთაც ავადმყოფი ძლივს გასაგონად წარმოთქვამდა, შემდეგ მათ ხმამაღლა მდივანს უმეორებ-

და. შაგერსტრიომმა ცოლს დაუტოვა მთელი თავისი ქონება, აქ ორი აზრი არც იყო, მაგრამ კიდევ ქარხნის უამრავი მოსამსახურე და მრავალი ქვრივ-ობოლი იყვნენ, ვისაც გვერდს ვერ აუვლიდა.

უდიდესი დაძაბვის ფასად აზროვნებდა შაგერსტრიომი. გრძნობდა, როგორ ღვარად ჩამოსდიოდა სახეზე ოფლი. მაგრად დააჭირა კბილი კბილს, რომ ტკივილსა და სისუსტეს მორეოდა.

- ხომ არ შეგიძლია დავუტოვოთ ფრუ შაგერსტრიომს უფლება, გაიღოს საჭირო შეწირულებანი? - იკითხა სასამართლოს მოხელემ, რაკი მიხვდა, როგორ იტანჯებოდა შაგერსტრიომი.

ჰო, რა თქმა უნდა, თანახმაა. მაგრამ დასასრული კიდევ შორს იყო - რჩებოდნენ მისი მშობლები, და-ძმები. ხომ უნდა ჩანდეს, რომ არც ისინი დაივიწყა სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში.

ამაოდ იკრებდა ძალ-ღონეს, რომ გაეგებინებინა მოსამართლისთვის, რისი თქმაც უნდოდა, ბოლოს იძულებული გახდა, გაჩუმებულიყო, ისევ გული რომ არ წასვლოდა.

სასამართლოს მოხელეები ტექსტის შედგენას შეუდგნენ. შემდეგ, წესისამებრ, ხმამაღლა უნდა წაეკითხათ და მას უნდა განეცხადებინა მოწმეებისთვის, რომ ეს არის მისი უკანასკნელი ნება-სურვილი და ანდერძი. ეყოფა კი საამისოდ ძალა?

უკვე გვიანი იყო. დაბნელდა, ოთახში სანთლები შემოიტანეს, მაგრამ შაგერსტრიომს მოეჩვენა, რომ წყვდიადი სანთლებმა ვერ გაფანტა. მის სახეს სიკვდილის ჩრდილი გადაეფარა.

უკანასკნელად უნდა მოეკრიბა ძალ-ღონე შაგერსტრიომს და თავისი ვალი აღესრულებინა, შემდეგ უფლება ექნებოდა, წყნარად დალოდებოდა სიკვდილს. ყველაზე ცუდი, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო, არ მომხდარა - შარლოტა არ ჩამოვიდა.

მაგრამ განა კვლავ არ გაისმა ბორბლების ხმაური? განა სახლთან ეტლი არ გაჩერდა? განა ხმაურით არ გაიღო კარი, რის ნებასაც თავის თავს მხოლოდ ერთი ადამიანი მისცემდა დედამიწის ზურგზე? განა უცებ არ აივსო მთელი სახლი სიცოცხლითა და იმედით? განა არა გაისმა წკრიალა, მბრძანებლური ხმა, რომელიც მსახურთ ეკითხებოდა, თუ რა მოხდა?

ლაქია იუჰანსონმა თავი ასწია, თვალები გაუბრწყინდა, სასწრაფოდ კარისკენ გაემართა. ეკონომმა ქალმა შემოიხედა და გამოაცხადა ის, რაც უკვე მთელმა სახლმა იცოდა.

- ფრუ შარლოტა! - წაიჩურჩულა მან, - ფრუ შარლოტა ჩამოვიდა!

დიახ, ახლა არ უნდა შედრკეს. ახლა ყველაზე სასტიკი ბრძოლა მოელის.

როდესაც შარლოტა ოთახში შემოვიდა, ის, პირველ ყოვლისა, შაგერსტრიომთან უნდა მისულიყო და მოეკითხა, მაგრამ მსგავსიც არაფერი მომხდარა. ქალი მოსამართლეს მიუბრუნდა და მტკიცედ, მაგრამ ამავე დროს თავაზიანად სთხოვა, თავის მწერალთან ერთად დაუყოვნებლივ დაეტოვებინა ოთახი.

- ჩემი ქმარი უკვე რამდენიმე საათია ისე წევს, არავითარი დახმარება არ აღმოგიჩენიათ, - თქვა შარლოტამ, - სასწრაფოდ ჯერ ტანსაცმელი უნდა გავხადოთ, თქვენ, ჰერ მოსამართლევ, ალბათ, გესმით, რომ ყველაზე მთავარი ახლა ეს არის!

ნოტარიუსმა რაღაც თქვა ძალიან ჩუმად. ჩანს, აუწყა, ექიმ რომელიუსის თქმისა არ იყოს, შველა უკვე აღარ შეიძლებაო.

შარლოტა ჯერ ისევ თავს იკავებდა, მაგრამ შაგერსტრიომი მიხვდა, რომ იგი საშინლად განრისხებული იყო და იმედოვნებდა, მოსამართლე ვერ გაბედავდა მასთან კამათს.

- დამჭირდება თუ არა გავიმეორო ჩემი თხოვნა, რომ არ შემიშალოთ ხელი ქმარზე ზრუნვაში?

- კი მაგრამ, ფრუ შაგერსტრიომ, მომიტევეთ, ჩვენ ხომ აქ თქვენი ქმრის მოწვევით მოვედით, - შემდეგ თითქმის ჩურჩულით დასძინა, - თქვენ არ წააგებთ, ფრუ შაგერსტრიომ, თუ ეს ანდერძი დაიწერება.

ამ სიტყვებს მოჰყვა ქაღალდის გახევის ხმა. აჰა, შარლოტამ გადახია ანდერძი! დიახ, ჩანს, აუშვა თავისებურად აფრა!

- კი მაგრამ, ფრუ შაგერსტრიომ, ეს ხომ...

- თუ ანდერძი ჩემს სასარგებლოდაა შედგენილი, მისი დაწერა საჭირო არც იყო. მე მაინც არ ავიღებ არც ერთ სკილინგს.

- თუ ასეა...

შაგერსტრიომი მიხვდა, სასამართლოს მოხელე იმდენად შეურაცხყოფილი იყო, არაფერი ექნებოდა საწინააღმდეგო, თუ ფრუ შაგერსტრიომს ანდერძით არაფერი შეხვდებოდა. მან ქალი საკუთარ ბედს მიანდო და ოთახი დატოვა, მაგრამ შარლოტა არც ახლა მისულა იმ დივანთან, რომელზედაც შაგერსტრიომი იწვა. ამის მაგივრად მკაცრად უბრძანა ლაქიას:

- იუჰანსონ, ახლავე აქ მომგვარე ექიმი!

ლაქია წავიდა, შარლოტამ კი ჩურჩულით დაუწყო ლაპარაკი ფრუ სელბერგს. ქალმა აუწყა, რა სასოწარკვეთაში ჩავარდა თვითონაც და როგორ შეწუხდნენ შინაურებიც, როდესაც ქალბატონის მოსაყვანად კაცის გაგზავნა აუკრძალეს.

- ჩემმა დამ, მარია-ლუიზამ, მოირბინა პასტორის სახლში და მან გაგვაგებინა ყველაფერი, - თქვა შარლოტამ, - მე პასტორის ძველი ორთვალათი წამოვედი, რომელშიც ნორვეგიული პატარა ცხენი იყო შებმული.

შაგერსტრიომი ჩუმად იწვა. არ ინძრეოდა. იმას ვერ იტყოდა, რომ ტკივილმა ოდნავ მაინც შეუშვა კლანჭები მას შემდეგ, რაც შარლოტა შინ დაბრუნდა. არა, ტკივილი ძველებურად უტევდა, მაგრამ ახლა ნაკლებად აქცევდა ყურადღებას. ასე იყო ყოველ-

თვის: როდესაც შარლოტა ოთახში ტრიალებდა, მას მხოლოდ იმაზე შეეძლო ფიქრი, რასაც ცოლი იმჟამად აკეთებდა.

მოვიდა ექიმი და იმწამსვე, როგორც კი ზღურბლზე გამოჩნდა, შარლოტამ შეუყვირა:

- მაშ, ასე, ჩემო სიძევ, შენ ბედავ და იძინებ მაშინ, როდესაც ჩემი ქმარი სასიკვდილო სარეცელზე წევს?

„ბედშავო!“ - კინაღამ გადაიხარხარა შაგერსტრიომმა. ეს სიტყვა შარლოტამ იხმარა მასთან საუბარში, როდესაც პირველად მივიდა ქალის ხელის სათხოვნელად. ისე იწვა, რომ ცოლს ვერ ხედავდა, მაგრამ მისი სახის გამომეტყველება თვალწინ ედგა.

ექიმმა უპასუხა იმ ღირსებით აღსავსე კილოთი, რომლის შენარჩუნებასაც მუდამ ცდილობდა:

- გარწმუნებ, უძვირფასესო ცოლისდავ, რომ ოპერაციის და, მით უმეტეს, ამპუტაციის გაკეთება პაციენტის თანხმობის გარეშე ჩემს პრინციპებს ეწინააღმდეგება.

- იქნებ ინებო და მოგვეხმარო, ავადმყოფს ტანსაცმელი გავხადოთ.

რომელიუსმა, რაღა თქმა უნდა, არ ინება.

- მე და ძამიკო შაგერსტრიომს უკვე გვქონდა ამაზე საუბარი. მას არ უნდა, ვინმემ შეაწუხოს, და ჩემი აზრით, არც ცდება. ჩემი პრინციპებისდა თანახმად, ძვირფასო ცოლისდავ!

დაძაბულობისგან მუშტივით შეკრული შაგერსტრიომი ჩუმად იცდიდა. რას იზამს ახლა შარლოტა? სილას გააწნავს სიძეს თუ უბრძანებს, ცივი წყლით სავსე როფში ჩააგდონ?

- იუჰანსონ! - გაისმა შარლოტას ხმა, - მოიტანე ერთი ბოთლი შამპანური და ორი ჭიქა!

ლაქია შამპანურის მოსატანად გაიქცა, შარლოტამ კი სიძესთან საუბარი შეწყვიტა, მაგრამ შაგერსტრიომს ესმოდა, როგორ ეჩურჩულებოდა რაღაცას ფრუ სელბერგს.

იუჰანსონი დაბრუნდა. გაისმა საცობის ამოვარდნის ხმა და შამპანური ბოკალში აშუშხუნდა.

- ფრუ სელბერგ, წაბრძანდით და იუჰანსონთან ერთად ისე მოაწესრიგეთ ყველაფერი, როგორც შევთანხმდით, - თქვა შარლოტამ, - ახლა კი, ექიმო და სიძე-ჰერ, - მიუბრუნდა შარლოტა რომელიუსს, როდესაც მსახურები გავიდნენ, - გთავაზობთ გუსტავ ჰენრიკ შაგერსტრიომის სადღეგრძელოს. გარწმუნებთ, ნამდვილი პოლჰემია. ისე მოახერხა, რომ არა მარტო აამუშავა ძველი სახერხი ქარხანა „ტბის აგარაკზე“, თვითონაც დურთა შიგ თავი, თან არც ერთ ადამიანს არ შეჰპარვია იმაში ეჭვი, რომ ეს უბედური შემთხვევაა. მაშ, გაუმარჯოს გუსტავ ჰენრიკს!

შაგერსტრიომმა ამ სიტყვებს თითქოს ყურიც არ ათხოვა, არც შენძრეულა. „ეს ამბავი თვითონაც არ სჯერა, უბრალოდ, უნდა ეს ოხერი ექიმი დააშინოს“, - ფიქრობდა ქარხნის მეპატრონე.

მას ესმოდა, როგორი დიდი ყლუპებით შესვა ექიმმა ღვინო, ჭიქა დადგა, ჩაახველა და თქვა:

- ამას რას ამბობ, ძვირფასო ცოლისდავ? რატომ და რისი გულისთვის?

ექიმმა მკაფიოდ გამოთქვა ყოველი სიტყვა.

შაგერსტრიომმა კვლავ გაიგონა შამპანურის ჩუმი შიშინი და მიხვდა, რომ შარლოტამ ისევ შეუვსო სტუმარს ბოკალი.

- თქვენის ნებართვით, ძვირფასო სიძევ, - მიმართა შარლოტამ, - ამ ჭიქით ჩემი სადღეგრძელო შევსვათ. ამ დილით პასტორის ბაღში ჩემს ყოფილ საქმროს შევხვდი და შევიტყვე, რომ ისევ ძლიერ ვუყვარვარ, როგორც მე მიყვარდა ოდესღაც. გამიხარდა ამის მოსმენა. იქნებ ჩემი საქციელი არცაა მოსაწონი, მე

ხომ ახლა სხვასთან ვცხოვრობ ბედნიერი ცხოვრებით. თქვენ როგორ ფიქრობთ, სიძე-ბატონო? მაგრამ განა ეს ბუნებრივი არ არის იმ ადამიანისთვის, რომელიც ოდესღაც უარყვეს და მიატოვეს? და თუ იმას წარმოვიდგენთ, რომ ბაღში ჩასვლისას ჰენრიკმა დაგვინახა მე და კარლ-არტური, განა ჯერ ის არ უნდა ეკითხა, რა ვუპასუხე ჩემს პირველ შეყვარებულს, ვიდრე შინ წამოვიდოდა და ხერხს შეუვარდებოდა!

- რაღა თქმა უნდა, მართალი ხარ, ძვირფასო, - კვერი დაუკრა ექიმმა, - ახლა ამ საძაგელს ჩემთან ექნება საქმე... არა, იმის იმედიც კი ჰქონდა, რომ ჩემი დანის წვერს გაექცეოდა! შევსვათ შარლოტას სადღეგრძელო!

ექიმის ხმა სულ სხვაგვარად აჟღერდა, მასში ახალი ინტონაციები გაისმა. შაგერსტრიომს მღელვარებისგან სული ეხუთებოდა. ნუთუ შარლოტას დარჩება გამარჯვება?

ექიმის ჭიქა კვლავ შეივსო და შარლოტამ განაგრძო:

- ახლა გაუმარჯოს ექიმ რიკარდ რომელიუსს. მისი ცოლი ორ-ნახევარი წლის წინ სასიკვდილოდ იყო გადადებული, მისი სახლი გაჩანაგდა, ბავშვები კი ველური კვიცებივით ქუჩებში დარბოდნენ. ახლა ყველაფერი შეიცვალა, მაგრამ დღეს იგი უარს ამბობს...

შაგერსტრიომმა გაიგონა, როგორი ხმაურით დადგეს ჭიქა მაგიდაზე.

- დღეს, - გაისმა ექიმის ხმა, - დღეს რიკარდ რომელიუსი სიკვდილს გადაარჩენს ადამიანს, ვინც დაუბრუნა მას ცოლი და სახლი, ვინც ეხმარება მის შვილებს, - აღარ გინდათ შამპანური, ჩემო ცოლისდავ, მე გადავარჩენ, ეშმაკმა დალახვროს, ამ ადამიანს, გინდ თანახმა იყოს, გინდ არა!

ამის თქმაზე ის ოთახიდან გავარდა, ალბათ, თავისი საკვოიაჟის მოსატანად. შაგერსტრიომი მიხვდა, რომ შარლოტამ

და შამპანურმა გაიმარჯვეს. მას ოპერაციას გაუკეთებენ, როგორი წინააღმდეგობაც უნდა გაუწიოს.

ამ დროს შარლოტა მივიდა დივანთან, რომელზედაც მისი ქმარი იწვა, სასთუმალთან დადგა და მისკენ დაიხარა. შაგერსტრიომმა თვალები დახუჭა.

- ჰენრიკ, - დაუძახა შარლოტამ, - გესმის ჩემი? - ქუთუთოების ძლივს შესამჩნევი მოძრაობა, აი, პასუხი, რომელიც ქალმა მიიღო.

- მაშ, იცოდე, რომ დღეს, ნაშუადღევს, ორგანისტი სუნდლერი პასტორის სახლში მოვიდა საჩივლელად. ცოლს მისი მიტოვება განუზრახავს. საქმე ის არის, რომ კარლ-არტურს ახალი იდეა გაუჩნდა. მას აღარ უნდა სახელმწიფო ეკლესიის პასტორობა, არ უნდა ქადაგება, არც ერთ ეკლესიაში. სურვილი გაუჩნდა მისდიოს ქრისტეს აღთქმას და იხეტიალოს გზებზე მისი მოციქულების მსგავსად, უკვერთხოდ და უაბგოდ. იგი იქადაგებს სოფლის შარაგზებსა და ბაზრობებზე, ფუნდუკებში და საფოსტო სადგურებზე, თეა კი ტოვებს ქმარს და მიჰყვება კარლ-არტურს. ჩემო საწყალო მეგობარო, ახლა ხომ ხვდები, კარლ-არტური იმიტომ ჩავარდა ასეთ უკიდურესობაში, რომ ამ დილას მიიღო პასუხი ქალისგან, რომელიც უყვარს, და ამ პასუხმა სასოწარკვეთაში ჩააგდო!

შაგერსტრიომი არ ინძრეოდა. ეტყობა, ქალის სიტყვები არ მიეკარა მის გულს.

შარლოტამ მოუთმენლად ამოიოხრა.

- ისე, შენ მაინც პირუტყვი ხარ და მეტი არაფერი! - წამოიძახა შარლოტამ, - ნუთუ მაინცდამაინც უნდა მათქმევინო, რომ შენ მიყვარხარ, შენ, და სხვა არავინ?

შაგერსტრიომმა თვალები გაახილა. შარლოტას ანთებულმა მზერამ შემოანათა - ნაზმა, ცრემლებით დაბინდულმა. მის სულ-

ში განსაცვიფრებელი გარდატეხა მოხდა. ჭირვეულობა, სულ-მოკლეობა, ბავშვური სურვილები - ყველაფერი, რაც უბედური შემთხვევის შემდეგ დაუფლებოდა მის არსებას, სადღაც გაქრა. მას სიცოცხლის წყურვილი დაუბრუნდა. აღარ აშინებდა ტანჯვა--წამება. სიკვდილს აღარ ნატრობდა. ერთი სურვილით განიმ-სჭვალა - ეგრძნო მზრუნველი ხელის სალბუნი, თავისი გადარ-ჩენა მისთვის მიენდო.

ფროიკენ ჟაკეტა

ერთხელ, შუადღისას, ფროიკენ ჟაკეტა, როგორც ყოველთვის, ბუდუარში, კუთხის ფანჯარასთან იჯდა და დედას ძმის სტუდენტობისდროინდელ წერილებს უკითხავდა.

კითხულობდა ერთობ მკაფიოდ და დაკვირვებით და განგებ ხაზს უსვამდა ისეთ გამოთქმებს, როგორიცაა: „ჩემო სათაყვანებელო დედავ“, „ჩემო ძვირფასო მშობლებო“, „მიიღეთ თქვენი ვაჟიშვილის უღრმესი პატივისცემა და მადლობა“. მაგრამ ყველაზე მეტად მხოლოდ იმ სტრიქონებს გამოყოფდა, რომლებშიც კარლ-არტური აღტაცებას გამოთქვამდა პოლკოვნიკის ცოლის ნიჭსა და უნარზე, განსაკუთრებით მის მელექსეობაზე. მსგავს გამოთქმებს კვლავ და კვლავ უბრუნდებოდა, რადგან საკმარისი იყო, პოლკოვნიკის ცოლს შვილის აღტაცებული ქათინაურები მოესმინა, რომ ლოყები საყვარლად უფაკლდებოდა. უყურადღებობის ან დაღლილობის ნატამალსაც ვერ შეატყობდით ფროიკენ ჟაკეტას ხმას. მაგრამ ზოგჯერ მოაცილებდა ხოლმე მზერას ქაღალდს და აგრძელებდა გრძელი წერილების კითხვას ისე, რომ სულაც არ უყურებდა ხელნაწერ ტექსტს, თითქოს ზეპირად იცოდა ყველაფერი.

დროდადრო ჟაკეტა მდინარე კლარელვს გადაჰყურებდა; განიერი და ძლიერი მდინარე თავის ტალღებს იქვე, ბუდუარის ფანჯრებქვეშ მიაგორებდა. ჟაკეტა თვალს არ აშორებდა ხალხის ნაკადს, რომელიც უწყვეტად მიედინებოდა ვესტერბრუს ხიდზე. კარგი ვაჭრობით გულნაჯერი გრაველი და სტურაკილელი გლეხობა შინ ბრუნდებოდა. მოსწავლეები, რომელთაც ზურგზე თას-

მით შეკრული წიგნები გადაეკიდებინათ, სადილად შინ გარბოდნენ. ზოგჯერ ხიდზე საგუბერნიო ქალაქისკენ მიმავალი ფიცხი, ჩორთითი ცხენებშებმული ბატონთა კარეტა გამოჩნდებოდა, რომელთაც კოფოზე შემომჯდარი ტანადი მეეტლე მართავდა. იმ დღეს ფროიკენ ჟაკეტა ცუდ გუნებაზე იყო. აწუხებდა იმაზე ფიქრი, რომ ცხოვრება ერთფეროვნად მიდიოდა, რომ დალხინება და გაჭირვება, რაც თან სდევს ადამიანებს სისხლსავსე ცხოვრებაში, ალბათ, არ უწერია განიცადოს. რა თქმა უნდა, ესოდენ სევდიან ფიქრებს ჟაკეტა ყოველდღე არ ეძლეოდა, მაგრამ ზოგჯერ ვერაფერს უხერხებდა თავს და კაეშანი იპყრობდა თავისი უღიმღამო და მარტივი ცხოვრების შემხედვარეს.

პოლკოვნიკის ცოლი კითხვას თავაუწევლად უსმენდა, თვალს არ აშორებდა თავის საქსოვს, და ვერც კი ამჩნევდა, რომ მისი ქალიშვილი თვალებგაშტერებით შესცქეროდა ხალხის ნაკადს, რომელიც ხიდზე მიედინებოდა. ყველაფერი ძალიან კარგად მიდიოდა, სანამ ფროიკენ ჟაკეტამ არ დაკარგა კითხვის ძაფი. უცებ რაღაც შეეშალა და გააგრძელა კითხვა არა იმ წერილისა, რომელიც ხელში ეჭირა, შემოდგომის სემესტრიდან პირდაპირ გაზაფხულისაში გადახტა და რაკი წერილები ძალიან ჰგავდა ერთმანეთს, დიდი გულისყურით განაგრძო კითხვისას ცალკეული სიტყვების ოსტატურად ხაზგასმა, ვიდრე პოლკოვნიკის ცოლი არ ატირდა და განაცხადა, მე თვითონ გავაგრძელებ კითხვასო. ჟაკეტამ ხომ შვიდი-რვა წერილი გამოტოვა. არ უნდა, ამ წერილების კითხვით სიამოვნება განაცდევინოს პოლკოვნიკის ცოლს, სურს, თავი აარიდოს ხმამაღალ კითხვას. თუმცა, რა გასაკვირია, მას ხომ არასოდეს ჰყვარებია კარლ-არტური ნამდვილი სიყვარულით, ისევე, როგორც არ ჰყვარებიათ იგი, სხვათა შორის, არც ევასა და მის ქმარს არკერს და არც საკუთარ მამას.

პოლკოვნიკის ცოლი ოხრავდა და მწარედ დასტიროდა მთელი ოჯახის უსულგულობას, მაგრამ ჟაკეტამ არ შეიწუხა თავი არც საკუთარი თავისა და არც სხვების გამართლებით. დაურეკა მსახურ ქალს და უბრძანა, მოეტანათ მურაბა და ნამცხვარი, რამაც პოლკოვნიკის ცოლი ისე გაახარა, რომ წამსვე დაივიწყა თავისი საწუხარი, მაგრამ როგორც კი კოვზი გადადო, მაშინვე ჰკითხა ჟაკეტას, იქნებ გაახარო დედიკო და კარლ-არტურის რამდენიმე წერილი წამიკითხო. რა მშვენიერი წერილებია და რამდენი ხანია არც ერთი არ წამიკითხავსო.

მაშინ ფროიკენ ჟაკეტამ კვლავ ამოიღო წერილების დასტა და შეუდგა კითხვას მკაფიოდ და ჩვეული გულისყურით. პოლკოვნიკის ცოლი თავისი დახვეწილი მანერებითა და კეთილშობილური ტანადობით გვერდით ეჯდა და სასოებით ისმენდა სამი წლის განმავლობაში მრავალჯერ გადაკითხული ერთი და იმავე წერილების შინაარსს.

ქალს ფრიად გემოვნებით ეცვა და თმაც საუცხოოდ ჰქონდა დავარცხნილი, ფეხს, როგორც ყოველთვის, ფარჩის ფეხსაცმელი უმშვენებდა. მაგრამ თავად ახლა პატარა მოხუცად ქცეულიყო, - ფერი დაეკარგა, გამხდარიყო და დაჩიავებულიყო. მისი გარეგნობა მხოლოდ ბუნდოვნად თუ მიგანიშნებდათ ამ სახის ყოფილ მომხიბვლელობასა და მშვენიერი თვალების საამო ელვარებაზე. პოლკოვნიკის ცოლი ახლა დამჭკნარ ვარდს ჰგავდა, რომელსაც უკანასკნელი ფურცლები თუმცა შერჩენოდა, მაგრამ საკმარისი იყო, სიოს ოდნავი შემობერვა და ისინიც დასცვივდებოდა.

იმ დღეს მაინც ფროიკენ ჟაკეტა სრულიად უვარგისი მკითხველი გამოდგა. ის-ის იყო, პოლკოვნიკის ცოლი ფიქრით პოეტ ატერბუმის საჯარო კითხვას გადასწვდა და შეეცადა, რომანტიკოსების ფილოსოფიაში გარკვეულიყო, რომ შეამჩნია, ქალიშ-

ვილის გონება სხვაგან ქროდა და ყოველ სიტყვაზე ენას უკიდებდა. პოლკოვნიკის ცოლი ისევ განერვიულდა და ითხოვა, მისთვის გადაეცათ წერილები წასაკითხად, რადგან ჟაკეტას, ჩანს, სრულიად არ აინტერესებს ძმის წარმატებანი სწავლის პერიოდში და მხოლოდ იმის სურვილი აქვს, ვესტერბრუს ხიდზე მოხეტიალე ახალგაზრდა მამაკაცებს უცქიროს.

ჟაკეტა მართლაც არ აცილებდა თვალს ვესტერბრუს ხიდს, მაგრამ იგი სულაც არ უთვალთვალებდა ახალგაზრდა მამაკაცებს. მისი ყურადღება მიიპყრო დალეკარლიელმა ქალმა; მაღალმა, ტანადმა, რომელსაც ზურგზე შავი ტყავის ტომარა ეკიდა. აგერ უკვე მთელი საათი იდგა იგი ხიდის მოაჯირს დაყრდნობილი და წყალს დასჩერებოდა.

„არა, შეუძლებელია, - ფიქრობდა ფროიკენ ჟაკეტა, - ისევ ის ტანსაცმელი რომ აცვია? ნეტავ გაინძრეს და მოსცილდეს ამ მოაჯირს“.

დედის წუწუნის მიუხედავად, რომელიც დღევანდელ კითხვას უწუნებდა, ჟაკეტა თავს ვერ იკავებდა, არ შეეხედა ქალისთვის, რომელიც ხიდზე იდგა და თვალმოუშორებლად დასცქეროდა მდინარე კლარელვს. დიდი მდინარე, რომელმაც გაზაფხულის წყალდიდობისას ძალა მოიკრიბა, მთელი თავისი დიდებული მშვენიერებით მოედინებოდა ხიდის თაღქვეშ. მაგრამ ვინმეს თუ უნახავს ოდესმე, ღარიბი მოვაჭრე ქალი ტყუილუბრალოდ კარგავდეს დროს, საათობით იდგეს და ზვირთების თამაშით ტკბებოდეს?

„არა, არ მომწონს ეს ამბავი. ნეტავ ვინმე გამოელაპარაკოს მაინც და გაიგოს, ხიდზე რატომ დგას“, - ფიქრობდა ფროიკენ ჟაკეტა.

ახლა იმას ფიქრობდა, დედას ვთხოვ, იქნებ ნება დამრთოს, კითხვა შევწყვიტო და სასეირნოდ გამიშვას ამ მზიან გაზაფხუ-

ლის დღესო, მაგრამ თავი რომ ასწია, დაინახა, ქალი უკვე გამ-ქრალიყო.

უნებურად მზერა მდინარისკენ გააპარა, რათა დარწმუნებუ-ლიყო, ხომ არ ჩანს წყლის ზედაპირზე რაიმე წითელი და მწვა-ნეო. საბედნიეროდ, მსგავსი ვერაფერი შენიშნა და რამდენიმე წუთი წყნარად განაგრძობდა კითხვას, რითაც პოლკოვნიკის ცოლის უდიდესი კმაყოფილება გამოიწვია.

მაგრამ ვაი, რომ კვლავ ენის ბორძიკი დაიწყო. იმ დღეს ჟაკე-ტა სრულიად აუტანელი იყო.

ფროიკენ ჟაკეტას ყურადღება მართლაც სხვა რაღაცამ მიიპ-ყრო. იგი იჯდა და გაფაციცებით უგდებდა ყურს ხმებს, დაბლა სართულზე, ზუსტად პოლკოვნიკის ცოლის ბუდუარის ქვეშ მდე-ბარე კაბინეტიდან რომ ამოდიოდა.

სრულიად გარკვევით გაიგონა მამამისის ბუზღუნა ბანი. მოულოდნელად გაგებული ამბით იყო გამოწვეული, თუ განრის-ხებით, ვერ გეტყოდით, ერთი რამ კი აშკარა იყო, - პოლკოვნიკი ჩვეულებრივზე მეტად ბუზღუნებდა, თან ჟაკეტას ისიც მოეჩვენა, თითქოს მის ყურამდე აღწევდა ვიღაც ქალის ხმა, რომელიც უც-ნაურად უმაღლებდა და უდაბლებდა ხმას, რაც არაადგილობრივ კილოკავს ჰგავდა.

პოლკოვნიკის ცოლის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, რო-დესაც ჟაკეტამ ყოველგვარი ახსნა-განმარტებისა და მობოდიშე-ბის გარეშე შეწყვიტა თავისი ძმის დახვეწილად ნაწერი ამომწუ-რავი წერილების კითხვა. მან მსახური ქალი იხმო, სთხოვა, მცი-რე ხნით დედამისთან დარჩენილიყო და სასწრაფოდ გავიდა ოთახიდან.

წუთის შემდეგ ჟაკეტა უკვე პოლკოვნიკის კაბინეტში გაჩნდა, სადაც მამამისი გართული იყო თავის რძალთან, ყოფილ მოვაჭ-რე ანა სვერდთან საუბრით; ამ ქალის სახელის ხსენებას ეკენ-

სტედების სახლში ვერ ბედავდნენ იმ ავბედითი და ღირსსახსოვარი დღის შემდეგ. როდესაც დაასაფლავეს შობორგის ტაძრის წინამძღვრის მეუღლე, პოლკოვნიკი საწერ მაგიდასთან იჯდა, რძლისკენ ნახევრად მობრუნებული. მისი პოზა იმას მეტყველებდა, რომ ეს ვიზიტი არაფრად ეპიტნავებოდა. ანა სვერდი ოთახის შუაგულში იდგა ლამის პოლკოვნიკის ზურგს უკან და თასმებითა და ზონრებით შეკრული თავისი ტყავის ტომრის გახსნას ლამობდა. ჟაკეტას მისვლას მათთვის ხელი არ შეუშლია და საუბარი კვლავ განაგრძეს:

- ჯერ ის ვიფიქრე, პირდაპირ ჩემს სახლში წავსულიყავი, მედსტუბიუნში, - ამბობდა ანა სვერდი, - მაგრამ, ხომ იცი, რა არის ჩემთვის დედაჩემთან დაბრუნება ისე, რომ ჯიბეში ერთი სკილინგიც არ მეგდოს. ჰოდა, კარლსტადისკენ ვქენი პირი და ვთხოვე ვაჭარ ჰუვინგს, საქონელი ნისიად მოეცა, იმდენი, რომ ამ ტომარაში ჩამეტია. ვფიქრობდი, გამიკეთებდა ამას ძველ მეგობარს, მაგრამ არ ინება.

ფროიკენ ჟაკეტას ფიქრები ისევ ბუდუარის ფანჯრიდან დანახულ სურათს დაუბრუნდა, ის წერილიც გაახსენდა, რომელიც შუადღისას მოხუცი პასტორის ცოლისგან, ფრუ ფორსიუსისგან მიიღო კორსჩურკიდან. უდიდესი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა თავის რძალს. ის, რომ დღე-დღეზე მოსალოგინებელი იყო, აშკარად ეტყობოდა, მაგრამ მისი სიმაღლისა და ტანადობის პატრონს ეს მაინცდამაინც არ ამახინჯებდა. სახე წინანდებურად ლამაზი ჰქონდა, მაგრამ მოქურუხებულ, ერთ მთლიან შავ ხაზად გაერთიანებულ წარბებს ქვემოდან ურჩად, თითქმის ბოროტად უელავდა უძირო ლურჯი თვალები.

პოლკოვნიკმა რძალს არ გასცა პასუხი, ისე მიმართა ჟაკეტას:

- შენი რძალი, - თქვა მეტისმეტად ცივად, - ჩვენთან იმის სათქმელად გამოცხადდა, რომ მოჰბეზრდა შენი ძმის ცოლობა და გადაუწყვეტია თავის ძველ საქმეს დაუბრუნდეს.

ამასობაში ანა სვერდმა, როგორც იქნა, თავი გაართვა თავის თასმებსა და ზონრებს, ასწია ტომარა, რომელიც თივითა და ბზით ყოფილა გამოტენილი, და ზედ ცხვირთან მიუტანა პოლკოვნიკს.

- ხედავ, ტომარა სულ მთლად გამოცარიელებულია. ჰოდა, გზებზე ცარიელი ტომრით რომ არ მეხეტიალა, ავდექი და მთელი ძნა ბზა ჩავტენე შიგ.

პოლკოვნიკმა, რომელიც არც მალავდა უკიდურეს აღშფოთებასა და უკმაყოფილებას, თავი უკან გადასწია და ტომარას ხელი ჰკრა. მაშინ ანამ ჟაკეტას მიმართა:

- წინათ კარგად მექცეოდი, ჟაკეტა! ახლა ორიოდე სიტყვა მაინც შემაწიე მამაშენთან! მასესხოს ორასი რიქსდალერი. ფულს გაისად დავუბრუნებ, წმინდა მიქაელის დღეობის დღეს ბაზრობა რომ გაიმართება.

წეღან დედამისის ბუდუარში ყოფნისას ჟაკეტა გულდაწყვეტილი იყო, რა მარტივი და უაზროა ჩემი ცხოვრებაო, ახლა კი როდესაც ფხა უნდა გამოეჩინა და რძალს მიმხრობოდა, მეტად დაიბნა და სანამ ხმის ამოღებას მოახერხებდა, ლაპარაკი პოლკოვნიკმა დაასწრო:

- არ გირჩევ ამ საქმეში თავის გამოდებას! - შეუბღვირა მან, - კარგად გვესმის, ვინც გამოგგზავნათ აქ, - მიუბრუნდა იგი ანას, - თვითონ ვერ ბედავს აქ მობრძანებას და ამიტომ გვაქვს პატივი თქვენ გიხილოთ.

- კი მაგრამ, მამიკო...

ანა სვერდს წამოყენებული ბრალდება მაინცდამაინც არ სწყენია.

- კიდევ რას გვიბრძანებ? - თქვა მან, - შენ თვითონაც ვერ აიტანე ვაჟიშვილი და, აბა, სხვისთვის როგორი ასატანი იქნებოდა! ყელამდე ვარ მისი პატივისცემით!

- მამიკო, ამ დილით კორსჩურკელი პასტორის, ფორსიუსის ქვრივისგან წერილი მივიღე, სრული სიმართლეა, რომ ანა და კარლ-არტური მტრებად დასცილდნენ ერთმანეთს.

- ადვილი შესაძლებელია! - გამოეპასუხა პოლკოვნიკი, - მაგრამ მე არაფერი მემატება იმით, რომ ჩემი რძალი ზურგზე ფუთამოკიდებული გზებზე დადის.

- შენ რა, გგონია ვერა ვხვდები, რომ გულზე არ გეხატება ჩემი ხელობა? - წარმოთქვა ანამ, - მაგრამ თუ ისრე არ გინდა ჩემთვის ხელის გამართვა, როგორც მე გთხოვ, ეგებ თვითონ უკეთესი რამ მოიფიქრო! ეგებ დაგიჯდეს ჭკუაში, ჩემთვის სამი ათასი რიქსდალერის მოცემა; მაშინ არც ვაციებდი, არც ვაცხელებდი, ვიყიდდი პატარა კარ-მიდამოს და ვიყოლიებდი ცხენსა და ძროხას. ვიჯდებოდი ჩემს ჩვილთან ერთად სახლში და აღარ ვიქნებოდი შარაგზებზე გაკრული... ამაში არ შეგეკამათებოდი, არხეინად იყავი!

ამის თქმაზე ანა სვერდი მცირე ხნით დადუმდა, მაგრამ ამაოდ უცდიდა პასუხს.

- ჰა, არ დაგიჯდა ჭკუაში? - მაინც იმედს არ კარგავდა ანა.

- არა! - გაისმა პოლკოვნიკის პასუხი, - ასეთ რამეს ვერ ვიზამ.

- მაშ, თუ ასეა, - უთხრა რძალმა, - და არ გინდა, ხელი გამიმართო, ვინძლო სხვა ვინმე გამოჩნდეს და ფული მასესხოს, რომ ისევ ვაჭრობას მივყო ხელი. ავგუსტ ბუნანდერი აქვე, ქალაქშია, ვიცი ნამდვილად, აქამდე მასთან საქმე არ დამიჭერია, იმიტომ, რომ გაიძვერაა, ახლა კი რა გაეწყობა, უნდა მოვნახო!

ეტყობოდა, ანა ისევ პასუხს უცდიდა, მაგრამ, რაკი დაინახა, ხმას არავინ სცემდა, ისევ თავის ტომარას მიუბრუნდა და შეკვრა

დაუწყო. მისი თითები ელვისებურად მოძრაობდნენ, მაგრამ შესაკრავი მეტისმეტად ბევრი იყო, მაშინ კი მიხვდა ფროიკენ ჟაკეტა: მამის გულის მოსალბობად თუკი იტყოდა ან გააკეთებდა რაიმეს, საამისოდ დრო ჯერ კიდევ ჰქონდა.

მას კი უნდოდა, რძალს დახმარებოდა, მაგრამ მამამისს როგორ მისდგომოდა, არ იცოდა; ბევრი რამე უშლიდა ხელს.

პოლკოვნიკი ჯერ კიდევ ჯან-ღონით სავსე, წარმოსადეგი კაცი იყო. არ იყო მეუღლესავით დაჩიავებული და დაუძლურებული, მაგრამ უამრავ ღრმა ნაოჭს დაესერა შუბლი, თვალებში კი იმ შემმუსვრელი ცეცხლის ანარეკლი უკიაფებდა, რომელიც ჩაუქრობლად გიზგიზებდა მის გულში და სიცოცხლეს უმწარებდა. ზოგჯერ ჟაკეტას მამა უფრო ეცოდებოდა, ვიდრე დედა. მეხსიერება ბუნებისგან ნაბოძები უძვირფასესი საჩუქარია, მაგრამ ეგებ ჯობდეს, სულაც დაკარგო იგი, ვიდრე იცოდე, რომ მან შეიძლება ასაზრდოოს მძულვარება, რომელსაც არც შესუსტება და არც ჩაქრობა არ უწერია.

იყო მხოლოდ ერთი გასაღები, რომელიც პოლკოვნიკის გულს მოერგებოდა, და ჟაკეტამ, რა თქმა უნდა, იცოდა მისი არსებობა, მაგრამ როგორ ესარგებლა, არ უწყოდა.

ბოლოს, როგორც ჩანს, ჟაკეტას მოჰბეზრდა ეს ყველაფერი. მან ბედის ანაბარა მიატოვა ორივე მოწინააღმდეგე მხარე და წავიდა.

მაგრამ სწორედ იმ დროს, როდესაც ზურგზე ტომარამოკიდებული ანა წასასვლელად მობრუნდა, ზღურბლზე ისევ გამოჩნდა ფროიკენ ჟაკეტა, ამჯერად სალოპსა და ქუდში გამოწყობილი. იგი ჩქარი ნაბიჯით მიუახლოვდა მამამისს და ხელი გაუწოდა:

- ნახვამდის, მამიკო!

პოლკოვნიკმა თავი ანება ქაღალდებს და ქალიშვილს შეხედა.

- რა განიზრახე? საით გაგიწევია?

- მე ანას წავყვები, მამა!

- სრულ ჭკუაზე ხარ ახლა შენ?

- დიახ, მამა! ხომ გახსოვს, როდესაც გასულ თვეში ოცდაათი წელი შემისრულდა, თქვენ დიდი სიკეთე გამოიჩინეთ და თქვენი მშვენიერი სააგარაკო კარ-მიდამო კარლსტადთან მაჩუქეთ. მე ვიცი, თქვენი სურვილია, იქ დავსახლდე, როდესაც თქვენ აღარ იქნებით. იმ სახლში საამო სიმყუდროვეა, იატაკებიც კი გასანთლულ-გაპრიალებულია; საქონელიც არის იქ და ბაღიც, სადაც შეიძლება წაიმუშაო. ასე რომ, უკეთესს ვერც ინატრებს კაცი. მაგრამ ჩემს საცხოვრებელ ადგილს სხვაგანაც მოვნახავ, ასე რომ, თქვენის ნებართვით, მამა, განვიზრახე ეს კარ-მიდამო ჩემს რძალს ვაჩუქო. გადავწყვიტე, დაუყოვნებლივ წავიყვანო ანა იქ და პირველ ხანებში დავრჩე მასთან, ყოველ შემთხვევაში, იმ დრომდე, სანამ ბავშვი დაიბადება.

პოლკოვნიკი წამოხტა. მისი შესახედაობა კარგს არაფერს მოასწავებდა.

- არა, ვფიცავ...

პოლკოვნიკი და მისი ქალიშვილები ერთმანეთთან ყოველთვის მეგობრულად იყვნენ და ფროიკენ ჟაკეტას სულაც არ ეშინოდა მისი. იგი, უბრალოდ, ჩვეული არ იყო სხვის საქმეებში ჩარევას, გადაწყვეტილებების მიღებასა და მბრძანებლობას. მთელი სიცოცხლე მსგავსი რამ არ გაუკეთებია.

- თქვენ, მამა, მამული გადმომეცით კანონიერი ნაჩუქრობის ბარათით. ასე რომ, უკვე ვეღარ წამართმევთ, ანა კი ამ მამულს ჩემზე გაცილებით უკეთესად მოუვლის. თქვენ, ძვირფასო მამა, არასოდეს გვაძლევდით კარლ-არტურზე ლაპარაკის უფლებას, იმიტომაც არ იცით, როგორი მუყაითი დიასახლისია მისი ცოლი.

მე და ევას არაერთხელ მოგვსურვებია, დავმეგობრებოდით, მაგრამ თქვენ გამო ვერ ვბედავდით.

ჟაკეტა, რომელსაც უკვე ოდნავ შემჭკნარი ლოყები შეუფაკლდა, იდგა მამის წინ და გულწრფელი აღტაცებით აწყობდა გეგმას:

- და როდესაც გაზაფხულდება, თქვენ, მამიკო, რა თქმა უნდა, დედიკოსთან ერთად ნავით გვესტუმრებით ელვსნესში შვილიშვილის სანახავად. ოჰ, რა სასიამოვნო იქნება თქვენი იქ მიღება! დედიკო კვლავ გამოცოცხლდება!

პოლკოვნიკს სახე შეეცვალა. აქამდე არ უფიქრია იმაზე, რა ეშველებოდა მის მეუღლეს, თუ ჟაკეტა მშობლიურ სახლს მიატოვებდა.

- ასე დიდხანს აპირებ იქ ყოფნას? - ჰკითხა შვილს პოლკოვნიკმა, - კითხვით ვინ გაართობს მაშინ დედას?

- თქვენ, მამა, დაავალეთ ევას მოვიდეს აქ ყოველდღე და უკითხოს დედას რამდენიმე საათი სადილობამდე და სადილობის შემდეგ. ან იქნებ ფიქრობთ, რომ უკეთესია მომვლელი ქალის დაქირავება?

პოლკოვნიკმა ხელები ჟილეტის ჯიბეებში ჩაიყო და სტვენა დაიწყო. ფიქრით კი იმაზე ფიქრობდა, რა საშინელება იქნება, როდესაც ევა დედამისის გასართობად ხმამაღლა კითხვას დაიწყებსო. ისიც იცოდა, რომ ვერც ერთი მომვლელი ქალი დედამიწის ზურგზე ვერ გაუძლებდა ყოველდღიურად კარლ-არტურის სტუდენტობის დროინდელი წერილების ხმამაღლა კითხვას. ჟაკეტა იყო ერთადერთი ადამიანი, რომელსაც საამისოდ მოთმინება ჰყოფნიდა.

- მომისმინე, ჟაკეტა! - უთხრა პოლკოვნიკმა, - რა მოგცე, რომ ამ შენს ახირებაზე უარი თქვა?

- სამი ათასი რიქსდალერი, მამა!

პოლკოვნიკმა გამოსწია საწერი მაგიდის უჯრა, ერთიმეორის მიყოლებით ამოიღო ქაღალდის ფულის სამი სქელი დასტა და გადასცა ფროიკენ ჟაკეტას, მან კი ჯიბეში ჩაუდო დასტები რძალს და აკოცა.

- ძვირფასო ანა! - უთხრა ფროიკენ ჟაკეტამ, - ვხედავ, ვიღაცამ მწარედ გაწყენინა, მაგრამ, როდესაც შინ დაბრუნდები და მშვიდად იცხოვრებ მედსტუბიუნში, გაიხსენე ხოლმე, რომ შენ მაინც გერგო წილად, გაგეგო, როგორ ასაჩუქრებს ეს ცხოვრება ადამიანებს და როგორ ჩაგრავს.

შემდეგ რძალი პატარა ჭიშკრამდე მიაცილა. ჟაკეტას მოეჩვენა, რომ როდესაც ერთმანეთს ემშვიდობებოდნენ, ანას მზერა ოდნავ უფრო კეთილი და ნაზი გაუხდა.

შემდეგ ფროიკენ ჟაკეტამ მოიხადა სალოპი და ქუდი, ავიდა ზევით, დაჯდა ბუდუარის ფანჯარასთან დედამისის პირდაპირ, წერილების შეკვრა მუხლებზე დაიდო და ხმამაღლა კითხვას შეუდგა. კითხულობდა ლამაზად, ოსტატურად ხაზს უსვამდა ცალკეულ სიტყვას. ახლაც მოსდიოდა დროდადრო მარცხი, როდესაც ერთი წერილიდან მეორეზე გადახტებოდა ხოლმე, მაგრამ ამჯერად ფროიკენ ჟაკეტას დაბნეულობაში ვესტერბრუს ხიდზე მიმავალი ხალხის ნაკადს არ მიუძღოდა ბრალი. ახლა იჯდა და ეჩვენებოდა, თითქოს რძალთან ერთად თავის მამულში გადავიდა, თითქოს გაჩნდა მისი პატარა ძმისწული და მისი ცხოვრება და შრომა ახლა ეწირებოდა რაღაც ახალგაზრდას, მზარდსა და არა მოხუცსა და დამჭკნარს.

ანსტუ ლიზა

მართლაც, ალბათ, დიდი შთაბეჭდილება დატოვა ფროიკენ ჟაკეტას გულკეთილობამ მის უბედურ რძალზე. „ხომ ხედავ, ანა, - ალბათ, უთხრა თავის თავს, - ჯერ არ გადაშენებულა ამ ქვეყნიდან პატიოსნება და სამართლიანობა. და სულაც არ არის აუცილებელი, მედსტუბიუნამდე ირბინო კეთილი ხალხის მოსანახად“.

სიმართლე ითქვას, როდესაც კარგად აწონ-დაწონა ყველაფერი, თითქმის სულ გაუქრა სურვილი მშობლიურ მხარეში დაბრუნებისა, სადაც გაუთავებელი ქირდვა და დაცინვა ნამდვილად არ ასცდებოდა.

„განა არ გეუბნებოდით, სად ეგ და სად პასტორის ცოლობა!“ - შემოუძახებდნენ აქეთ-იქიდან, დაწყებული ლენსმანის ცოლით და დამთავრებული პატარა ბიჭებით, რომლებიც მნათე მედბერგის საკლასო ოთახის დიდ მაგიდასთან სწავლობდნენ წერა--კითხვას.

ამასთან, ანას ყოველთვის უყვარდა ფული და ახლა სამი ათასი რიქსდალერი, რომელიც ჯიბეში ედო, გაცილებით უადვილებდა მგზავრობას. აი, მასაც ხომ გაუჩნდა ისეთი რაღაც, რაზედაც ღირდა ტვინის განძრევა.

კაცმა რომ თქვას, ყოველთვის მოსწონდა ექიმის ბაღს ზემოთ პაწაწინა ქოხში ცხოვრება, და უცებ გაიფიქრა: მაშ, სისულელე არ არის პაწაწინა ქოხზე უარის თქმა? იქნებ აჯობოს, ვიყიდო რამდენიმე ქცევა სახნავი მიწა, დავდგა ბოსელი, ვიყოლიო საქონელი? ღვთის წყალობით, ისიც შესაძლებელია, რომ რამდე-

ნიმე წელიწადში კარგ კარ-მიდამოში მომიხდეს ხელგაშლით ცხოვრებაო.

ასეა თუ ისე, ანა არ წასულა ჩრდილოეთისკენ, მდინარე კლარელვის ხეობის გაყოლებით, სადაც გზა პირდაპირ მისი მშობლიური მხარისაკენ მიემართებოდა. იგი ვენერნის ტბის ნაპირს გაუყვა აღმოსავლეთისკენ მიმავალი შარაგზით, რათა, რაც შეიძლება, მალე მისულიყო კორსჩურკაში.

რაც შეეხება კარლ-არტურს, ანას წუთითაც არ ეპარებოდა ეჭვი, რომ ქმარი, როგორც ყოველთვის, საწერ მაგიდასთან, თავის ბატონკაცურად მოწყობილ ოთახში დახვდებოდა და სულაც არ ეგონა, თუ ქმარი წინააღმდეგი იქნებოდა მათი ცოლქმრული ცხოვრების განახლებისა.

„მას ხომ უნდა, ვინმემ სახლი მიულაგოს და საჭმელი გაუკეთოს. ჰოდა, სულერთი არ არის, ვის ეტყვის მადლობას - მე თუ სხვას“, - ფიქრობდა ანა.

როგორც ჩანს, გაზაფხულის პირზე სუფთა ჰაერზე სიარულმა, უფრო კი ჟაკეტას გულისხმიერებამ, ანაზე სასიკეთო გავლენა მოახდინა - დაწყნარდა, რწყილი კამეჩად აღარ ეჩვენებოდა, საგნებს და მოვლენებს ისეთებად ხედავდა, როგორიც სინამდვილეში იყო.

მრავალი მილი გაიარა კარლსტადიდან აღმოსავლეთისკენ და მრავალ ნაყოფიერ სავარგულს ჩაუარა. მის წინ გადაშლილ დაბლობზე საბატონო მამულები და სოფლები გადაშლილიყო, მინდვრები მიჯრით მისდევდნენ ერთმანეთს და არსად არ იკვეთებოდნენ მთათა ქედებით. ტყეები ჰორიზონტს ზედ მიტმასნოდნენ. ახლა, როდესაც ანას ჯიბეში სამი ათასი რიქსდალერი ეგულებოდა, სულ სხვა თვალით უყურებდა ირგვლივ ყველაფერს. „ეგება ჯობდეს აქ დავრჩე, - ფიქრობდა თავისთვის, - კიდევ სად ვნახავ ასეთ ბარაქიან სახნავ-სათეს მიწას?“

მერედა, როგორ გამომცდელად აკვირდებოდა ყოველ კარ--მიდამოს, რომელსაც ჩაუვლიდა! და ყველგან ამჩნევდა თითო რამეს, მისთვის სასარგებლოს, საგულისხმოსა და დასაფიქრებელს. ანას თვალები აეხილა და სულ სხვაგვარად დაინახა სამყარო, მისი ფიქრები აღარ ტრიალებდა მხოლოდ ათი ბავშვის, თეას, კარლ-არტურისა და სასჯელის წინაშე შიშის ირგვლივ.

გზაში, როდესაც ანამ ერთ-ერთ თეთრ ეკლესიას ჩაუარა, პირდაპირ პატარა ბაზრობაზე ამოყო თავი. აქაც თითქმის ყველა ის ვაჭარი იყო, იგივე საქონელი, კარვები და ქარისგან აფრიალებული ისევ ის აბრები, როგორც კორსჩურკაში ერთი კვირის წინ. მოსაღამოვდა და კარვებს შორის მოხეტიალე ხალხს უკვე მოესწრო თითო ჭიქის გადაკვრა და მხიარულება სულ უფრო აღვირახსნილი და უხეში ხდებოდა. ყოველი მხრიდან ლანძღვა და ყვირილი ისმოდა. განსაკუთრებით ქორვაჭრები და ბოშები ცხარობდნენ. ცოტაც და, საქმე შეიძლება საშინელი ცემა--ტყეპით დამთავრებულიყო. ანა სვერდმა, რომელსაც ბაზრობებზე ბევრჯერ ჰქონდა ასეთი ამბების წვენი ნაწვნევი, ნაბიჯს უმატა, რათა სასწრაფოდ, სანამ ჩხუბი ატყდებოდა, თავი დაეღწია ჭყლეტისგან.

მაგრამ მალე ისეთი რამ გაიგონა, რომ გაშეშდა და სმენად იქცა, ხალხის ყვირილში, არღნის ჭყვიტინში, საქონლის ღმუილში, ბორბლების ჭრიალში - ბაზრობის ამ ყურისწამღებ ხმაურში უცებ გაისმა ქალის ხმა: მან ფსალმუნის კითხვა წამოიწყო. ხმა თითქოს აწყვეტას ლამობსო, ზევით მიიწევდა - მაღალი, ახალგაზრდული, საოცრად სუფთა და მჟღერი, შორს ეფინებოდა არემარეს. ყველა, ვინც ამ ხმას ისმენდა, ალბათ, ეკითხებოდა თავს, ღვთით მოვლენილი სასწაული ხომ არ არის, რომ ზეციური გალობა უხეშად მოროხროხე ბაზრობის აურზაურში გაისმისო.

ბრბო მართლაც გაშრა გაოცებისგან. ყველაზე გაცხარებით მოკამათეებსაც კი სიტყვა გაუწყდათ პირში; ყველამ თავი დაანება აღებმიცემობას, ზოგი არყიანი შტოფით ხელში ისე გაშეშდა, რომ პირთან მიტანაც ვეღარ მოასწრო, ამაღლებულ ადგილად მომღერალს უბრალო ბოშური ფორანი გამოეყენებინა, რომელსაც არც დასაჯდომი ჰქონდა, არც სახურავი. ქალი დაბალი იყო, ჩასუქებული და უბრალო შავ სალოპში გამოწყობილი; სახის ნაკვთები უშნო ჰქონდა, წყალწყალა თვალები - გადმოკარკლული.

მას უკვე ბევრი მსმენელი შემოხვეოდა გარს, ცოტა არ იყოს, გულდაწყვეტილიც, რომ ამ ლამაზი ხმის პატრონი ასეთი მახინჯია. მაგრამ მისი სიმღერის მომხიბლაობა იმდენად დიდი იყო, რომ არავინ იძროდა და ყველა სულგანაბული უსმენდა.

„არა, ეს წარმოუდგენელია, - გაიფიქრა ანამ, - ალბათ, მეშლება“.

საკუთარი თვალებისა არა სჯეროდა, რადგან ამ ქალს, სანამ იგი მღეროდა, ასხივოსნებდა რაღაც მშვენიერი, სპეტაკი და წმინდა; იმისთვის კი, ვისაც მომღერალი ჰგავდა, ანას მსგავსი არაფერი შეუმჩნევია.

ფსალმუნი დამთავრდა, ქალი ჩამოვიდა ოთხთვალადან და მისი ადგილი დაიკავა მამაკაცმა, რომელიც მანამდე მსმენელებში იყო გარეული.

მას ეცვა უხეში შინნაქსოვი ტანსაცმელი, თავზე კი ფართოფარფლიანი ქუდი ეხურა. ქუდი იმწამსვე მოიგლიჯა და ოთხთვალაში შეაგდო, შემდეგ რამდენიმე წამით ლოცვად დადგა თვალდახუჭული. ქარი თმას უწეწავდა და შუბლზე აყრიდა, რაც უფრო შესამჩნევს ხდიდა მისი სახის უჩვეულო სიფერმკრთალეს. სანამ ეს კაცი ასე იდგა, უცებ მზემ გამოანათა და მის შუქზე ამ ადამიანის თხელი სახე თითქმის გამჭვირვალე გახდა, წუთით შარა-

ვანდედით შეიმოსა, გეგონებოდათ, მზეს ამ მინათებით უნდოდა მიეპყრო ხალხის ყურადღება ამ კაცისკენ.

ანა სვერდმა, რომელსაც, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა, თავისი ქმარი არ ეცნო, გაიფიქრა, არასოდეს მინახავს იგი ასეთი ლამაზიო. ხალხი, რომელიც სიმღერის დამთავრების შემდეგ, ის იყო, უკვე აპირებდა დაჰბრუნებოდა ვაჭრობას და არყის შტოფებს, გაშეშდა.

დიდხანს ცდა არ დასჭირვებიათ, კარლ-არტურმა ლაპარაკი დაიწყო. არ შენძრეულა, ისე გაახილა თავისი მუქი თვალები და ხალხს გადახედა. საბაზრო მოედანზე გამეფებულ სრულ სიჩუმეში მისი ხმა შორს გაისმოდა.

რა გასაკვირია, რომ ანას სისხლი თავში აუვარდა. იგი არ აღიქვამდა ქმრის ლაპარაკიდან არც ერთ სიტყვას. მხოლოდ თავის თავს ეკითხებოდა, რას ნიშნავს ყოველივე ეს, რა უნდოდათ ამ ბაზრობაზე თეასა და კარლ-არტურს?

მაგრამ ნელ-ნელა გონს მოვიდა და ჩასწვდა ზოგიერთი წინადადების შინაარსს. მან გაიგონა, როგორ უყვებოდა კარლ--არტური ხალხს, რომ იგი გაჰყვება ქრისტეს აღთქმას, ივლის გზებსა და ბილიკებზე, რათა იქადაგოს სახარება. ამიერიდან აღარ ილაპარაკებს ეკლესიის კათედრიდან, რადგანაც პასტორის წოდებიდან თავისი გადაყენება მოითხოვა.

ბრბო სულგანაბული უსმენდა ამ საოცარ ამბავს. სიჩუმეს მხოლოდ რომელიმე შფოთისთავი თუ დაარღვევდა, რომელიც ღრიალებდა, რომ მოჰბეზრდა ბოშურ ოთხთვალაზე წამომდგარი ამ ვიღაც ყბედის მოსმენა. ბაზრობაზე ხალხი იმისთვის მოდის, რომ გაერთოს და არა იმისთვის, რომ მომაბეზრებელი ქადაგებანი ისმინოს, მაგრამ ამ ჩხუბისთავებს ხმას აწყვეტინებდნენ, რადგანაც ახალი გამოცხადების მოსმენის მსურველები მეტნი იყვნენ.

მსმენელთაგან, ალბათ, ანა სვერდის გარდა არავინ განიცდიდა არც განრისხებას და არც ზიზღს. ქალი საშინლად აღელვებული იყო. ესე იგი, გამოდის, მისი ქმარი აღარ არის პასტორი? ნუთუ კარლ-არტურსა და თეას გადაწყვეტილი აქვთ, ბოშებივით იხეტიალონ აქეთ-იქით? მან, კარლ-არტურის ცოლმა, ალბათ, უნდა თქვას თავისი სიტყვა! აღარ შეეძლო თავის დაოკება. მზად იყო, გაერღვია ხალხი, მისულიყო მქადაგებელთან და ბოლო მოეღო მისი თვალთმაქცური სიტყვისთვის. ის ხომ გათხოვილი ქალია და არც მქადაგებელია უცოლო! გათახსირებულები არიან ორივენი - აი, ვინ არიან! თანაც წმინდანებად მოაქვთ თავი, ღვთის სიტყვას ქადაგებენ!

ის იყო, ანამ წასასვლელად გადადგა ნაბიჯი, რომ ვიღაცამ მხარზე დაადო ხელი. გვერდით ანსტუ ლიზა ამოსდგომოდა, ყველაზე ხანში შესული და ყველაზე სახელოვანი მოვაჭრე ქალთა შორის. იგი ძალიან მაღალი ქალი იყო, გამხდარი, სახე ავდრისა და ქარისგან ჩამუქებოდა და გაუხეშებოდა, თვალები ამღვრეული და ცივი ჰქონდა, რიყის ქვასავით მძიმე და უდრეკი იყო.

ანსტუ ლიზა განთქმული იყო თავისი ეშმაკობით და თამბაქოს, ყავისა და ბანქოს სიყვარულით; გარდა ამისა, ბებერს განგებისგან კიდევ ერთი მომადლებული ნიჭი ჰქონდა, რომელზედაც არ უყვარდათ ლაპარაკი. მაგრამ, ანას, რა თქმა უნდა, ესმოდა ხოლმე, როგორ ჩურჩულებდნენ ხალხში, რომ ანსტუ ლიზა გულთმისანი და ჯადოქარიაო. ამბობდნენ, თითქოს იმის უნარიც ჰქონდა, რაღაც მანქანებით ისე წარემართა საქმე, მუშტრები თავის ფარდულში მოეზიდა და მათაც შეუვაჭრებლად იმდენი გადაეხადათ საქონელში, რამდენსაც დაუფასებდა. ახლა, როდესაც ანამ მისი ხელის შეხება იგრძნო, მიხვდა, ანსტუ ლიზა ამას ტყუილუბრალოდ არ გააკეთებდა.

მოხუც ქალს სიტყვაც არ დასცდენია და ანას თავისუფლად შეეძლო მისი ხელი ჩამოეშორებინა, მაგრამ საოცარი ის იყო, რომ ეს არ გააკეთა, პირიქით, გაუნძრევლად იდგა და როგორც ყველა იქ მყოფი, მოქადაგეს უსმენდა.

ანას დღემდე მხოლოდ ერთხელ ჰქონდა მოსმენილი კარლ-არტურის ისეთი ლაპარაკი, როგორც ამ საღამოს ბაზრობაზე ლაპარაკობდა და ეს იყო ერთ კვირადღეს კორსჩურკაში, როდესაც მის ქადაგებაში აჟღერდა საოცარი სიტყვები სიყვარულზე.

ანას მშვენივრად ახსოვდა ყველაფერი, რაც იმ დღეს მოხდა, ახსოვდა, როგორ სასოებით იმედოვნებდა, რომ თეა არ მოვიდოდა ეკლესიაში და არ აუბნევდა კარლ-არტურს თავგზას თავისი ჯადოსნური თილისმებით; ახსოვდა, როგორ უბედურად იგრძნო თავი, როდესაც თეა მაინც გამოცხადდა და კარლ-არტურმა იმწამსვე დაკარგა ქადაგების ძაფი.

იმიტომაც მიხვდა ანა სვერდი, რა დიდი სიხარული უნდა განეცადა მის ქმარს, როდესაც მიხვდებოდა, რომ დიდებული ნიჭი კვლავ დაუბრუნდა.

ანა რომ ახლა ხალხს გამოეყოს და მისკენ წავიდეს, ნამდვილად დაიბნევა მაშინდელივით, ამაზე უარესი კი რაღა უნდა გაეკეთებინა კაცს მისთვის, ძნელი წარმოსადგენია. სანამ ანა სვერდი იმას ფიქრობდა, კარლ-არტური კია ღირსი, ერთი კარგად ვაწრუწუნოო, მოეჩვენა, თითქოს მის გვერდით ანსტუ ლიზა კი არა, მოხუცი პასტორის ცოლი, რეგინა ფორსიუსი იყო. და თითქოს დგას იგი უძრავად, მოკრძალებულად, მთელი თავისი იერით მიანიშნებს ანას, როგორ უნდა იქცეოდეს კორსჩურკელი პასტორის ცოლი, როდესაც მისი მეუღლე კათედრიდან ქადაგებას ამბობს.

მაშინ ანა ადგილიდან დაიძრა, მაგრამ არა იმისთვის, რომ ხალხი გაერღვია და კარლ-არტურთან მისულიყო, პირიქით, ახ-

ლა ცდილობდა, ბრბო გაერღვია, რათა ბაზრობიდან წასულიყო; ეს ძალიან ადვილად შეძლო ანსტუ ლიზას წყალობით, რომელიც წინ მიუძღოდა და გზას მიიკვლევდა.

მაგრამ, როგორც კი შარაგზაზე გავიდნენ, ანამ იგრძნო, რომ ბრაზი კვლავ მოერია. არც უცდია აღშფოთების დამალვა, განრისხებული ანსტუ ლიზას მიუბრუნდა და მიახალა:

- ერთი მითხარი, რა ეშმაკად დაგჭირდა ამ საქმეში ცხვირის ჩაყოფა? რატომ არ მაცალე, მეთქვა ორივესთვის, რა შვილებიც ბრძანდებიან?

- დავინახე, საცა იყო, ფათერაკს გადაეყრებოდი, - გამყივანი ხმით უპასუხა ქალმა, - და გადავწყვიტე, დაგხმარებოდი. ამ სამი წლის წინ, შემოდგომის პირას, ხომ იმიტომ წახვედი ბაზრობიდან, რომ ფეხებში არ გაგვბლანდოდი მე, რის კარინსა და სხვა ბედშავ მოვაჭრე ქალებს? დღეს კი შენ გჭირდებოდა მოშველება, რადგან სიმთვრალისგან ისედაც გადარეულ ხალხს შეგულიანებას უპირებდი; ეს რომ გაგეკეთებინა, ვინ იცის, აქ რა ცოდვის კითხვა დატრიალდებოდა.

ანა სვერდმა გაოცებით შეხედა მოხუცს. არასოდეს, არც ერთ სულიერთან არ წამოსცდენია, რომ მაშინ შემოდგომის ბაზრობა ამხანაგების გულისთვის მიატოვა.

- ახალშობილი ბალღივით უგუნური ყოფილხარ, - გააგრძელა მოხუცმა, - მალე სამი წელი გახდება, რაც მაგ კაცს ჩაჰბარდი და დღემდე ვერ გაგიგია, რომ თქვენი გზები იყრება, მისი და იმ ქალისა კი ერთდება. იმედი ნუ გექნება: რაც გიწერია, იმას ვერ გაექცევი.

როდესაც ანსტუ ლიზამ ეს თქვა, ანას გაახსენდა ძველი, დიდი ხნის მივიწყებული ამბავი, რომ სადღაც ზეცაში წინასწარ დასახულია ყველაფერი, რაც უნდა განიცადოს ადამიანმა მთელი სიცოცხლის განმავლობაში, და რაც წინასწარ დასახულია, ის

უეჭველად ახდება. არავის ამქვეყნად არ შეუძლია ამის შეცვლა, თვით მაღალ ღმერთსაც კი. ასე სწამდათ დედილო სვერდსა და იობს ერიკს, ასე სწამდათ მედსტიუბინელ გლეხებს. ამ რწმენით ცოცხლობდნენ და იხოცებოდნენ, მხნენი და სულმოლხენილნი.

ანა მიუბრუნდა მოხუც ქალს, რომელიც მდუმარედ, მშვიდი მოთმინებით ისევ გვერდით მიჰყვებოდა, და უთხრა:

- ახლა კი მადლობა მითქვამს, ლიზა, ყველაფრისთვის. არც ისეთი ხეპრე ვარ, გაიგე შენა, რომ იმას წინ აღვუდგე, რაც განგებას ჩემთვის დაუბედებია.

ანსტუ ლიზა მაშინვე გაჩერდა და ხელი გაუწოდა; ხელი გასაოცრად დიდი ჰქონდა, მაგრამ ჩამორთმევა ფრთხილი იცოდა.

- მაშ, კარგი, რაც არის, არის. ახლა წავალ... - თქვა შემდეგ.

მაგრამ სანამ გაიყრებოდნენ, ანა სვერდმა კიდევ ერთი რამ ჰკითხა მოხუც ქალს:

- თუ ასე კარგად იცი ყველაფერი, ეგებ მირჩიო, რა ვქნა და საით წავიდე?

პასუხისთვის ლოდინი არ დასჭირვებია.

- პირდაპირ ამ გზას უნდა დაადგე და რაც გაქვს დაბედებული, ამ საღამოსვე წინ შემოგხვდება.

ანსტუ ლიზა სასწრაფოდ უკან გაბრუნდა და კვლავ ბაზრისკენ გაემართა, ანა სვერდი კი დიდხანს იდგა გზაზე და თვალს არ აშორებდა. არცთუ პატარა სამსახური გაუწია მას ანსტუ ლიზამ, არანაკლები ფროიკენ ჟაკეტაზე.

გაზაფხულის მშვენიერი საღამო იდგა, როდესაც ანამ კვლავ გზა განაგრძო. მიდიოდა მოლოდინითა და ღრმა რწმენით აღსავსე, რომ რაღაც საამო და სასიხარულო მოელოდა.

დიდხანს იარა, სანამ ეს „რაღაც“ ახდებოდა. ბოლოს დაიღალა და მოშივდა კიდეც; ჩამოჯდა თხრილის პირას და სურსათიანი ჩანთა ამოიღო.

მაგრამ ამ დროს, თითქოს განგებ, როგორც კი პირთან კარაქწასმული პური მიიტანა, გზაზე ორი მათხოვარი ქალი გამოჩნდა; ამ ჭაღარა და ჭუჭყიან გლეხებს უკან მოჰყვებოდა მეტად გრძელი მწკრივი ასევე ჭუჭყიანი და ჩამოკონკილი ბავშვებისა.

„ამათ რომ ვუყურო, მზად არიან, პირიდან ლუკმა გამოაცალონ ადამიანს“, - გაიფიქრა ანამ.

მან ცოტათი უკან დაიწია და დიდ ლოდს ამოეფარა იმ იმედით, რომ მათხოვრების „დასი“ ჩაუვლიდა და ვერ შეამჩნევდა.

აღწერაც კი ძნელია იმისი, თუ რა ეცვათ და ეხურათ ამ ქალებსა და ბავშვებს. თავზე დაგლეჯილი ჭურჭლის სარეცხი ტილოები შემოეხვიათ, ქვედაკაბების და შარვლების, ბლუზებისა და ქურთუკების მაგივრობას ის ტომრები უწევდნენ, რომლებიც მთელი ზაფხულის განმავლობაში ბოსტნის საფრთხობელებს ამშვენებდნენ. ფეხზე ძველი არყის ხის ქერქებისგან ამოსხმული ფეხსაცმელი ეცვათ.

მაგრამ ამ ორ მათხოვარ ქალს, ჩანს, სრულებით არ აწუხებდა არც ჭუჭყი და არც ეს ძონძები. მათი ხმამაღალი სიცილი და ქაქანი შორს გაისმოდა.

- თავის დღეში არ ვიფიქრებდი, ასე საამო თუ იქნებოდა აქეთ-იქით ხეტიალი და მათხოვრობა, - თქვა ერთმა, - ნამდვილად არც დასიზმრებია არავის ისეთი ბედნიერება, შენ რომ კარს მოგადგა. გაგონილა, ათი ბავშვი სულ მუქთად მოგცეს!

ანა სვერდი დაეჭვდა, რაღაც მთლად კარგად ვერ იყო, მას ადრეც გაგონილი ჰქონდა, თითქოს ზოგჯერ ვერმლანდის ჩრდილოეთ სამრევლოებში გაზაფხულის ბოლოს, როდესაც ბეღლები დაცარიელდებოდა, შეძლებული გლეხის ქალები სამათხოვროდ მიდიოდნენ, რათა ეშოვათ მარცვლეული პურისთვის და სათესლედ. ამ ღვთის გლახებსაც კარგად გამოტენილი საზურგულები ჰქონდათ წამოკიდებული.

- ისე კი სახლიდან ძლიერ შორს წამოვედით, - თქვა პირველმა მათხოვარმა და გაიცინა, - ვნახოთ და, ფუნდუკში საფოსტო ცხენების ქირაობა დაგვჭირდეს ჩვენს ექსჰერადში წასასვლელად.

ეს თქვა თუ არა ქალმა, ანა წამოხტა, გამოვიდა საფრიდან და მათხოვარ ქალებს მიაშტერდა. ჭუჭყის სქელი ფენისა და თვალებზე ჩამოშლილი თმის ბუწუწების მიუხედავად, ანამ გაარჩია მათი სახის ნაკვთები და მაშინვე იცნო ორივე. ერთი ტყის ტორპზე ცხოვრობდა და მართლაც ისეთი ღატაკი იყო, რომ, ალბათ, იძულებული გახდა, ემათხოვრა. მეორე კი, როდესაც ანამ უკანასკნელად ნახა, მდიდარი ქვრივი იყო. მაშინ ანას ცერცვის ყავით გაუმასპინძლდა და მისგან სავარცხელი და აბრეშუმის კაბა იყიდა.

როგორც კი გლახებმა ანა დაინახეს, მაშინვე დაუწყეს მათხოვრობა:

- ტომარაში რაიმე ძველმანი ხომ არა გაქვთ? ეგებ მოგვცეთ ამ ბავშვებისთვის.

- განა შენ ნურვიკელი დიასახლისი არა ხარ? - ქირდვით შეეკითხა ანა ერთ-ერთს, - იმაზე მიგიდგა საქმე, რომ მათხოვრის გუდით გზებზე დახეტიალებ?

- სახლ-კარი დამეწვა, - უპასუხა ქალმა, - ძროხა დამეღუპა, მარცვალი დაიზრა...

მაგრამ მეტის თქმა ვეღარ მოასწრო, იმიტომ, რომ გაისმა ბავშვების გულამომჯდარი კივილი. ათი ბავშვი გამოეყო მათხოვრების გუნდს და წივილ-კივილით ანასთან მიიჭრა; ყველა ცდილობდა, რაც შეიძლება, მაგრად მოხვეოდა ანა სვერდს, რომელიც კინაღამ წაიქცა.

პირველად ანამ ბავშვებს ყურადღება არც მიაქცია, ქალთან მივიდა და მძიმედ დაადო მხარზე ხელი.

- აი, თურმე რაში ყოფილა საქმე, გამოდის, შენა ხარ ამათი ბიძის ცოლი, - უთხრა მან, - ახლავე ადგები და ლენსმანთან წამოხვალ, შინ კი პატიმრების ოთხთვალათი წაბრძანდები ბავშვებთან ერთად!

ამ სიტყვების გაგონებაზე მათხოვარმა საშინელი წივილი მორთო, ზურგიდან ჩამოიგლიჯა ჩანთა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოკურცხლა; მის მაგალითს მიჰბაძა მეორე გლახამ და იმ ბავშვებმა, რომლებიც მას ახლდნენ.

ანა სვერდი დარჩა შარაგზაზე თავისი შვილობილებით გარშემორტყმული; მის სულში სიხარულმა და სიმშვიდემ დაისადგურა.

მაგრამ, სანამ ბავშვებს დაელაპარაკებოდა და წვრილად გამოჰკითხავდა, როგორ ცხოვრობდნენ ბიძასთან, აზრად მოუვიდა, ალბათ, საჭიროა, მეც და ბავშვებმაც მადლობა შევწიროთ უფალს ჩვენი კვლავ ერთად შეყრისთვისო. ანამ სადაისო ფსალმუნი წამოიწყო, პირველი იმათგანი, რომელიც ამ პატარებს ასწავლა:

„დღე იწურება ღვთიური,
არ დაბრუნდება, მიდის,
მთვარე დაგვნათის მაღლიდან,
მფარველად ჩვენი ძილის“.

ნაწილი მესამე

ბოშათა ბარონი

რარიგ შეშფოთებული იყვნენ, ალბათ, ბატონები, რომლებიც მემკვიდრეობით ფლობდნენ ვიწრო ტბა ლიოვენის ნაპირების გასწვრივ მდებარე ძველებურ მამულებსა და ქარხნებს! ბატონები, რომლებიც ჯერ ისევ იხსენებდნენ „კავალრების“ დიდებულ საგმირო საქმეებზე მონაყოლ ამბებს, ბატონები, რომლებიც თავიანთ ადგილ-მამულებში ისე გამგებლობდნენ, როგორც თვითმპყრობელი მბრძანებლები და ყველა საკითხს სამრევლო კრებებზე წყვეტდნენ! ბატონები, რომლებიც თავიანთ დაბადების დღეებზე მეფურ პატივისცემას იმკიდნენ! როგორმა შიშმა შეიპყრო, ალბათ, ისინი, როდესაც ისეთი დროება დადგა, რომ არც ერთ კარ-მიდამოში არ დააგვირგვინა ღმერთმა ცოლქმრული ცხოვრება ვაჟიანობით! სხვა ყველაფერში ქმრების ერთგულმა ცოლებმა თითქოს პირი შეკრეს, გაეჩინათ მხოლოდ ქალიშვილები! იმ წლებში, როდესაც სიცოცხლე ებოძა მართლაც უამრავ ქალს, ეს ბატონები, ალბათ, ხშირად ჩაფიქრებულან წუთისოფლის გამოცანებსა და განგების გარდაუვალობაზე. საგონებელში ჩავარდნილნი იმასღა ფიქრობდნენ, ხომ არ გამოხატა უზენაესმა თავისი ცუდი განწყობა ადამიანებისადმი; ხომ არა აქვს გადაწყვეტილი, გაავსოს დედამიწა უამრავი ქალით და მოახდინოს მსოფლიო წარღვნა. მსგავსი წყალდიდობა, უდავოდ, ცოდ-

ვილთა უზარმაზარ ლაშქარს მოსპობდა ბევრად გამეტებით, ვიდრე ეს ნოეს დროს მოხდა.

რა თქმა უნდა, შეშფოთების მიზეზი არცთუ ისე პატარა იყო, მართალია, ზედმეტი იყო იმაზე ლაპარაკი, რომ იმ დროისთვის ადამიანთა მოდგმა მოისპობოდა, მაგრამ ბევრი ძველი საგვარეულოს არსებობას შეიძლებოდა საფრთხე დამუქრებოდა. ყველაფერ ამას შეიძლება გამოეწვია ძლევამოსილი ქარხნის მეპატრონეების, სინკლერების, გვარის მოსპობა ან ჰედენფელტების საგვარეულოში მაიორებისა და პოლკოვნიკების ამაყი მოდგმის გადაშენება. ამას შეიძლება მოჰყოლოდა იმ კეთილშობილ და ღრმად პატივცემულ პასტორთა გვარის გაქრობაც, რომელიც აგერ უკვე ას წელზე მეტხანს მართავდა პასტორის კარ-მიდამოს ბრუში, ან ხელი შეეშალა იმისთვის, რომ მოხუცი გერმანელი ორგანისტის, ფაბერის კიდევ ერთ რომელიმე ნაშიერს თავისი მოქნილი თითებით გაეგრძელებინა დაკვრა ვერმლანდის ძველებური ეკლესიების მქუხარე ორგანების კლავიშებზე.

ამგვარად, თუმცა, შეშფოთების მიზეზები აშკარა იყო, საეჭვოა მაინც იმდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონოდა, რომ ხელი შეეშალა ბრუს სამრეკლოს წარჩინებული ბატონებისთვის მშვიდად და აუღელვებლად დამტკბარიყვნენ ცხოვრებით, და მხოლოდ ერთი მათგანი იყო ისეთი ყაიდის კაცი, რომ ბოღმისგან გამწარებული დღესა და ღამეს ვაჟიშვილებზე ნატვრაში ასწორებდა. რაოდენ დიდი სიამოვნებით არჩევდა იგი, ყოფილიყო ერთი გუდამშიერი დღიური მუშა, ვიდრე ლიოვენშოლდების წარჩინებული გვარის ბარონი, რომელიც მთელ სიცოცხლეს იმის შიშში ატარებს, ჩემი მოდგმა არ გადაშენდესო.

ადრიან ლიოვენშოლდი, ჰედებიუს ეს მდიდარი მფლობელი, რომელიც დაუღალავად აწყობდა და ალამაზებდა თავის სახლსა და სამფლობელოებს, ეს სამართლიანი მეპატრონე, რომელიც

ყოველთვის ზრუნავდა თავის სამეურვეოთა ბედნიერებაზე, ვერასოდეს იშორებდა დანაშაულის გრძნობას სამშობლოს, წინაპრების, დაბოლოს, მთელი კაცობრიობის წინაშე იმის გამო, რომ ქვეყანას შესძინა ხუთი ქალიშვილი და არც ერთი ვაჟი! არც ერთი თავისი ვალისადმი ერთგული, მუყაითი გამრჯეთაგანი, რომლებიც უძველესი დროიდან ხელს უწყობდნენ შვედეთის დიდებასა და ძლევამოსილებას. რა თქმა უნდა, იგი სამართლიანობის მომხრე იყო და არც ცდილობდა დანაშაულის უდანაშაულოთა მხრებზე გადატანას; მაგრამ რას იზამ, როდესაც ცხოვრება გამწარებული გაქვს და იძულებული ხარ, იგი მხოლოდ ქალთა საზოგადოებაში უღიმღამოდ გაატარო. მას მშვენივრად ესმოდა, რომ არც მისი ცოლი, არც მოხუცი დედა, არც მისი ხუთი ქალიშვილი, არც მათი აღმზრდელი ქალი არ იყვნენ დამნაშავენი მის უბედურებაში. მიუხედავად ამისა, ყოველ ცისმარე დღეს სიხარულს უკლავდა ქალთა ვიწრო წრეს, რადგან თავს ზევით ძალა არ ჰქონდა და ვერ მოენელებინა, რომ ონავარი, ღორმუცელა ბიჭუკელების ჯარის ნაცვლად, გარს ეხვივნენ მორჩილი და უტყვი გოგონები და ქალები.

გამუდმებულმა დაუკმაყოფილებლობამ დროზე ადრე დააბერა ადრიან ლიოვენშოლდი. მართლაც, ნიშანწყალი აღარ დარჩენილიყო იმ ახალგაზრდა, გულმხიარული რაინდ „მზის შუქისგან“, რომელმაც ოდესღაც ლეგენდარული მზეთუნახავი მარიანა სინკლერი შეირთო. სიცოცხლისადმი ახალგაზრდული ტრფიალის დიდი ნაწილი, ალბათ, მაშინ დაკარგა, როდესაც ქორწილის დღიდან სულ ერთი წლის შემდეგ მარიანა გარდაიცვალა. მისი მეორე ქორწინება ჩიუმელსტელ მდიდარ ქალიშვილ ვახტჰაუზენზე ანგარებიანი იყო და ახალი მეუღლე დიახაც რომ ვერ შეძლებდა მისი კაეშნის განქარვებას, მაგრამ ძველებური გულმხურვალება უეჭველად მაინც დაუბრუნდებოდა, ვაჟი რომ

გასჩენოდა ოჯახში. მასთან ერთად წავიდოდა სანადიროდ, ანდა შორ-შორს სათევზაოდ. როგორც თავისი მხიარული ახალგაზრდობის დღეებში, ერთხელ კიდევ გაწირავდა თავს და რამდენიმე დღეს გაატარებდა გზაში მხოლოდ იმისთვის, რომ მერე ერთი ღამე ცეკვით გაეთეთრებინა, ახლა კი ფეხმოუცვლელად შინ იჯდა და დაეხეტებოდა ოთახებში, გადაქანცული მთელი ამ მორჩილებით, მოკრძალებულობით, ქალურობით, რომელსაც ყოველ ნაბიჯზე ხვდებოდა.

ბარონ ადრიანის გულს ნელ-ნელა სისასტიკე ეპარებოდა და სწორედ მაშინ მოხდა ისე, რომ მისი ძმა, იორანი, ეს ბედუკუღმართი, უღირსი მაწანწალა, რომელიც მთელ ნათესაობას გაურბოდა, მოადგა ჰედებიუს სადარბაზოს კარს.

ჰოი, გაუგონარო თავხედობავ! მართალია, ეს თავზე ხელაღებული, უცნაური ადამიანი, რომელიც ბოშებსა და ქორვაჭრებში ცხოვრობდა, და თავადაც ბოშა ქალი ჰყავდა ცოლად, ზოგჯერ ჩაუხტებოდა ხოლმე ამ არემარეში მდებარე სხვა ბატონთა მამულებს, მოგრიალდებოდა ძონძებით, ბავშვებითა და ათასგვარი აყროლებული ბოხჩით გამოტენილი ოთხთვალათი, რათა გადაეცვალა ცხენები, ანდა ეყიდა ძველმანები. მაგრამ ადრე არასოდეს გაუბედავს, კარს მისდგომოდა ძმას.

ძნელია იმის თქმა, რამდენად მიავიწყა წარსული იორან ლიოვენშოლდს იმ ცხოვრებამ, რომელსაც ახლა ეწეოდა.

უკვე რამდენიმე დღე იყო ჰედებიუში ქარბუქი მძვინვარებდა. სანამ იორანის პატარა ჩალისფერი ჯაგლაგი ბატონთა სახლისკენ მიმავალი, თოვლით დაფარული ხეივნის ნამქერებში გზას მიიკვლევდა, ეგებ ფიქრით კიდევაც გადაფრინდა ბედნავსი ბოშათა ბარონი თავისი ჭაბუკობის სხივსავსე დღეებში. ეგებ თავი ისევ პატარა ბიჭად წარმოიდგინა, რომელიც კარლსტადის სკოლიდან შინ მიიჩქარის, ანდა იქნებ ეგონა, კარის ზღურბლზე,

როგორც სასურველ სტუმარს, ხელგაშლილნი შეეგებებოდა მისი ლამაზი, წარმოსადეგი დედ-მამა, ეჩვენებოდა, თითქოს სახლიდან მის შესახვედრად სადაცაა გამოცვივდებოდნენ შინამოსამსახურეები, რომ სასწრაფოდ გაეძროთ ფეხებიდან ბეწვის ტომარა და გადაეხადათ მარხილის ფეხსათბუნი. ამაგდარი ხელები გახდიან ქურქს, მოხდიან ქუდს, გაუხსნიან ბოტფორტებს, დედა ჩქარობს, უნდა, რაც შეიძლება სწრაფად გახადოს ზედა ტანსაცმელი, რომ მოეხვიოს შვილს, შემდეგ მიიყვანს აგუზგუზებულ ღუმელთან, დაუსხამს ქაფქაფა ყავას, უსიტყვოდ მიუჯდება გვერდით, რომ როგორმე გაძღეს მისი ცქერით.

ყველამ იცის, რომ ზამთარში, ქარბუქიან დღეებში, როდესაც გზები მონამქრებულია და ვერც ერთი მგზავრი ვერ ბედავს გაგრძელებას, ქალაქგარე განმარტოებულ კარ-მიდამოთა სახლების ფანჯრებში ყოველთვის ჩანს ერთი-ორი ცნობისმოყვარე. რაღაც ახლის, აუხდენლის, ხშირად თვითონაც არ იციან, რის მოლოდინში, ისინი საათობით გასცქერიან ხეივანს.

ასეთ დღეს ბოშური მარხილის გამოჩენაც კი დიდი მოვლენაა და ეს ახალი ამბავი ოთახიდან ოთახში მიფრინავს. ვიდრე პატარა ჩალისფერი ჯაგლაგი ცხენი ხეივანში ნელ-ნელა მიფორხილებდა, ბარონ ადრიანს უკვე მოახსენეს, რა სტუმარიც ეწვია. ჰედებიუს მფლობელის სახე კარგს არაფერს მოასწავებდა, როდესაც თავისი სახლის ზღურბლზე გავიდა, რათა ძმას დახვედროდა ისე, რომ აღარ გაებედა არც სახუმარო ოინების მოწყობა და არც სიტყვის შებრუნება. მაგრამ ამ დროს ადრიანმა, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა, ძმა უკანვე გაებრუნებინა, დაინახა, რომ იორანს, ამ საძაგელ მუქთამჭამელს, ამ უძღებ შვილს, ძმის შემარცხვენელს, ამჯერად თან შავთვალა ბოშის ღლაპები და საზიზღარი მათხოვრები კი არ მოეყვანა, არამედ ის, რასაც ბარონი ადრიანი ამქვეყნად ყველაზე უფრო ნატრობ-

და, მაგრამ რაც მას, ასეთ უმწიკვლოსა და ერთგულს, არ ეღირსა. არსება, რომელიც ამ ჩამოგლეჯილ-ჩამოფლეთილმა, ბოროტმოქმედის გალეული სახის მქონე მათხოვარმა ბოშური მარხილის ძირზე დახვავებული ძონძებიდან გამოათრია, არ შეიძლებოდა მიგეღოთ უთვისტომო ბავშვად, იმდენად დიდი იყო მისი მსგავსება ბარონ ადრიანის მამასთან; სწორედ იმ პორტრეტთან, რომელიც განუყოფლად ბატონობდა დივნის თავზე ჰედებიუს სასტუმრო ოთახში. ადრიანმა იცნო ეს სათნო, დახვეწილი სახე, დიდი, მეოცნებე თვალები, რომელთა ცქერით ერთ დროს ესოდენ ხშირად ტკბებოდა. ძმას ჰყავდა ვაჟი, ეს ასე იყო! ამ პატარა მათხოვარს შეეძლო დაეკვეხა წინაპართაგან გამოყოლილი სილამაზით, რომელიც არ ერგო წილად ადრიანის არც ერთ ქალიშვილს!

იმ წუთებში ლიოვენშოლდების უკანასკნელ ნაშიერს არაფერში სჭირდებოდა ეს სილამაზე, როდესაც მამამ ბავშვი მარხილიდან ამოიყვანა, იგი თითქმის უგონოდ ჩამოეკიდა მკლავებზე. ბიჭმა თვალები გადაკარკლა, ლოყები და ხელები სიცივისგან გაულურჯდა.

ბარონ ადრიანის განზრახვა, ძმა გინებ-გინებით უკან გაებრუნებინა, მარცხით დამთავრდა. პირიქით, როდესაც იორანი ბავშვით ხელში სადარბაზო კართან მივიდა და ბარონმა ადრიანმა მის თვალებში გაუბედავი შეკითხვა ამოიკითხა, მაშინვე დაივიწყა ყველაფერი, რაც ძმის წყალობით გადაიტანა; დაივიწყა, რამდენი წყენა მიაყენა იორანმა განსვენებულ დედ-მამას და ფართოდ გაუღო მშობლიური სახლის კარი.

მაგრამ წინა ოთახის იქით იორან ლიოვენშოლდს ფეხი არ გადაუდგამს, როდესაც ძმამ დიდი დარბაზის კარი გაუღო და მან ბუხარში მოგუზგუზე ცეცხლი დაინახა, დაინახა ბავშვობიდან ნაცნობი ავეჯი და შპალერი, შეჩერდა და თავი გააქნია.

- არა! - თქვა მან, - ეს საჩემო საქმე არ არის! ამის იქით არ შემოვალ, მაგრამ ეგებ ბავშვს მიმიხედო?

უძვირფასესი განძივით ჩამოართვა ადრიანმა ძმას ბავშვი და გათოშილი სხეულის გასათბობად ხელის სმა და ზელა დაუწყო. თავისი ოჯახის არც ერთი ქალისთვის არ დაუძახია საშველად. თუმცა, იცოდა, რომ ამიერიდან მათ გარეშე არაფერი გამოუვიდოდა, მაგრამ ამ პირველ წუთებში უნდოდა ბავშვი განუყოფლად მისი ყოფილიყო. უცებ აჩქარებით, თითქოს რცხვენია თავისი სისუსტისო, ნაზად მიეკრა ჯაგრიანი ლოყით მათხოვარი ბავშვის ცივ და ჭუჭყიან ლოყას.

- როგორ ჰგავს მამას, - თქვა გულაჩუყებულმა, - ბედნიერი ხარ, იორან, რომ ვაჟი გყავს.

ბარონმა იორანმა რაკი დაინახა, როგორ ჩაიხუტა ძმამ ბავშვი, თითქოს უნდოდა მიხვედრილიყო, რომ ჰედებიუს პატრონი ამიერიდან მზად იქნებოდა, ერჩინა ძმა სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მხოლოდ იმიტომ, რომ მას წილად ხვდა ბედნიერება, ვაჟი ჰყოლოდა. ბარონი იორანი იმასაც უნდა მიმხვდარიყო, რომ ადრიანი ახლა ძალიან ლმობიერად შეხედავდა მის ოინებს, მის სიზარმაცეს, ბანქოთი გატაცებას და ლოთობას და არასოდეს არც ერთ სასაყვედურო სიტყვას არ ეტყოდა.

მიუხედავად ამისა, იორანს როგორც ეტყობა, არავითარი სურვილი არ ჰქონდა დარჩენისა და კარისკენ გაემართა.

- ალბათ, ხვდები, აქ არ მოვიდოდი, რომ არ გამჭირვებოდა, - უთხრა მან, - იმდენ ხანს ვიტრიალეთ ამ ქარბუქში, ბავშვი კინაღამ გაიყინა. სხვა გზა არ მქონდა, აქ უნდა მომეყვანა, არადა, ვერ გადარჩებოდა! პასტორის კარ-მიდამოში სამუშაო მელოდება, იქ უნდა წავიდე. ბავშვს წავიყვან, როგორც კი გამოიდარებს.

იორანმა ამ ლაპარაკში კარის სახელურს მოჰკიდა ხელი. ბარონი არ გამოეპასუხა. შეიძლება ვერც გაიგონა, რა უთხრა ძმამ, მთელი მისი ყურადღება ბავშვისკენ იყო მიპყრობილი,

- ყური მიგდე, იორან, - თქვა ბოლოს მან, - ხელები მთლად გაყინული აქვს! უნდა დავზილოთ, ცოტა თოვლს ხომ არ შემომიტან?

იორანმა რაღაც გაურკვევლად წაიჩურჩულა, მადლობის სიტყვები იყო ეს თუ გამოთხოვებისა, ვერ გაიგებდი, და კარი გააღო. ბარონს ეგონა, ძმა მისი თხოვნის შესასრულებლად წავიდა, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ ზანზალაკების ხმა გაიგონა, გაიხედა გარეთ და დაინახა, რომ იორანი გზას გასდგომოდა. ისე მიერეკებოდა ჩალისფერ ჯაგლაგს, რომ ცხენი ოთხით მიაჭენებდა და ირგვლივ თოვლის კორიანტელს აყენებდა.

ბარონმა ადრიანმა იცოდა, რომ ამ სახლთან იორანს ბევრი მტანჯველი მოგონება აკავშირებდა და მისი მოულოდნელი გაქცევა არ გაჰკვირვებია. მან თვითონ მოიტანა თოვლი ბავშვის დასაზელად და შეეცადა, სიცოცხლე შთაებერა პაწია გაყინულ სახესა და ხელებში; ამასობაში მომავლის გეგმებს აწყობდა. ლიოვენშოლდის უკანასკნელ ნაშიერს არასოდეს დაუბრუნებდა მამას და არ მისცემდა უფლებას, მის აღვირახსნილ მეგობრებში გაზრდილიყო.

რაზე ფიქრობდა იორან ლიოვენშოლდი, როდესაც ჰედებიუდან მიდიოდა, ძნელი სათქმელია. ეგებ რამდენიმე საათის შემდეგ უკან დაბრუნებას აპირებდა ბავშვის წასაყვანად და სეირის საყურებლად, როდესაც გააფთრებული ადრიანი მიხვდებოდა, რომ ძმამ კვლავ გააცუცურაკა. ჰედებიუს ჯერ კიდევ არც გასცდენოდა იორანი, რომ გულიანად ხარხარებდა იმის გახსენებაზე, როგორ მიეკრა ადრიანი მათხოვარი ბავშვის გაყი-

ნულ ლოყას და როგორი სიამაყით აიყვანა ხელში ახალგამოცხადებული პატარა ლიოვენშოლდი, ამ დიდებული გვარის გამგრძელებელი.

ასე იყო თუ ისე, ეს სიცილი მალევე პირზე შეაშრა. ახლა მდუმარედ იჯდა თავის მარხილში, თავზე შელახული ბეწვის ქუდი ჩამოეფხატა და მიდიოდა, თვითონაც არ იცოდა, სად. მძიმე და უჩვეულო ფიქრებმა ნელ-ნელა დაისადგურეს მის სულსა და გულში და ჩანაფიქრის დაუყოვნებლივ შესრულებისკენ ექაჩებოდნენ.

პასტორის კარ-მიდამოში, საითაც, იორანის თქმით, მისი გზა მიემართებოდა, არც წასულა; როდესაც დილით ჰედებიუდან გამოგზავნილი შიკრიკი ბრუში ჩავიდა იორანის ასავალ--დასავლის გასაგებად, იქ არავინ არაფერი იცოდა, მაგრამ შუადღემდე ჰედებიუში გლეხები მოვიდნენ; ისინი დილიდან გზის გადასათოვლად იყვნენ გასული. მათ შეატყობინეს ბარონს, თქვენი ძმა მკვდარი ვნახეთ თხრილში, შარაგზის პირას. სიბნელეში, ალბათ, გზას ასცდა, მარხილი გადაუბრუნდა და ღონე აღარ ეყო, წამოეწია, ეტყობა, ასევე ჩარჩა თხრილში და გაიყინაო.

არსად ისე ადვილად არ ასცდებოდა კაცი გზას, როგორც ბრუს ეკლესიასთან მდებარე ტრიალ მინდორზე ქარბუქიან ღამეში. ამიტომ ადვილი შესაძლებელია, იორან ლიოვენშოლდი - ბოშათა ბარონი - უბედურ შემთხვევას ემსხვერპლა.

ნუ ვიფიქრებთ, თითქოს იორანი განგებ ეძებდა სიკვდილს მხოლოდ იმიტომ, რომ ბავშვს ჰქონოდა საიმედო თავშესაფარი, რომელიც თვითონ გამოუძებნა მისთვის ჩვეული ბოროტი ოხუნჯობის სურვილით ატროვებულმა.

საერთოდ, იორან ლიოვენშოლდი, ასე ვთქვათ, თავის ჭკუაზე არ იყო და ამიტომ არც ისე ადვილია მის ქცევას ახსნა მოუძებნო. მაგრამ ხალხმა კი იცოდა, რომ მან უდიდესი სინაზე და სიყ-

ვარული აჩუქა თავის უმრწემეს შვილს. ამ ბავშვის სახეს ამშვენებდა ლიოვენშოლდებისთვის ჩვეული იერი და ამ საგვარეულო მსგავსებამ აფიქრებინა იორანს, რომ მასთან სულ სხვაგვარადაა დაკავშირებული, ვიდრე იმ შავთვალა ბოშა ბავშვების ჯგროსთან, რომელიც მის ირგვლივ იზრდებოდა. ამიტომ სრულიად შესაძლებელია, იორანს სიცოცხლე გაეწირა, რათა გადაერჩინა ეს ბავშვი სიღარიბისა და უბედურებისგან.

როდესაც ჰედებიუში მოვიდა, ალბათ, ფიქრადაც არ ჰქონია არაფერი, გარდა იმისა, რომ სასაცილო ოინი მოეწყო პატივცემული ძამიკოსთვის, რომელსაც სული სძვრებოდა ვაჟის ნატვრაში. მაგრამ ფეხი ძველ, მშობლიურ სახლში რომ შედგა და კვლავ შეიგრძნო ის რიგიანობა, კეთილგანწყობა, სანდოობა, რითაც ეს კედლები იყო გაჟღენთილი, უთხრა თავის თავს: ერთ-ერთი, რასაც ყველაზე უფრო ვინატრებდი ამ ქვეყანაზე, ჩემი უმრწემესი შვილი, ჩემი სისხლი და ხორცი დარჩეს ამ კედლებშიო. ახლა მისი საზრუნავი მხოლოდ ისღა იყო, ისე წასულიყო, ბავშვის წასაყვანად მობრუნება აღარ დასჭირვებოდა, მაგრამ ძეხორციელმა არ იცოდა, როგორ მოხდა ეს ყველაფერი სინამდვილეში. იორანისთვის სიცოცხლე არც ისე დიდი განძი გახლდათ, რომ დიდად დაფიქრებულიყო მასთან განშორებისას; ან იქნებ ეს დიდი ხნის ჩაფიქრებული სანუკვარი სურვილი იყო, რომელიც ახლა აისრულა?! ეგებ კიდევაც გაუხარდა, რომ ბოლოს და ბოლოს, მონახა საბაბი იმ საბედისწერო ნაბიჯის გადასადგმელად, რასაც აქამდე ვერ ბედავდა გულგრილობისა და უყურადღებობის გამო.

და ვინ იცის, შეიძლება სიკვდილის ჟამსაც იორანი ნიშნის მოგებით იღიმებოდა იმის გაფიქრებაზე, რომ კვლავ შეეძლო თავისი ერთადერთი ძმის აბუჩად აგდება, რომელიც ყოველთვის უმწიკვლოდ და წესიერად ცხოვრობდა. ეგებ იორანმა ვერ

თქვა უარი სიამოვნებაზე, უკანასკნელად გაეცურებინა ადრიანი, ღიმილი გაჰყვებოდა, ალბათ, მომაკვდავს, როდესაც გაიხსენებდა, რომ ბავშვი, რომელიც ძმას ხელიდან ხელში გადააწოდა, გოგო იყო. მხოლოდ ბიჭის ტანსაცმელმა გაუღო წინაპართა სახლის კარი უბედურ ბოშა გოგონას.

ბარონესა

იმ დღეს, როდესაც ბოშათა ბარონმა თავისი ბავშვი ჰედებიუში დატოვა, ბარონი ადრიანი სადილად შესანიშნავ გუნებაზე გამოვიდა. დღეს მაგიდასთან მასთან ერთად მხოლოდ ქალები არ ისხდებიან. სუფრას კიდევ ერთი ვაჟკაცი დაამშვენებს. ბარონ ადრიანს ეჩვენებოდა, თითქოს ოთახში ატმოსფეროც კი შეიცვალა, თავს ახალგაზრდულად, მხიარულად, ხალისიანად გრძნობდა. გადაწყვეტილი ჰქონდა, ცოლისთვის ეთქვა, რომ გაეცა განკარგულება ღვინის მოსატანად, რათა შეესვათ ოჯახის ახალი წევრის სადღეგრძელო.

ბარონი ადრიანი თავის ადგილზე, მრგვალ სასადილო მაგიდასთან დაჯდა, თან ხელები ერთმანეთს მიადო და თავჩაღუნული ყურს უგდებდა სადილისწინა ლოცვას, რომელსაც მისი უმცროსი ქალიშვილი კითხულობდა.

როდესაც ლოცვა დამთავრდა, მან გაბრწყინებული თვალები გადაავლო მაგიდას, რათა დაენახა, სად იჯდა მისი ძმისშვილი, ბევრს ეცადა, მაგრამ ვერა და ვერ იპოვა ქურთუკსა და შარვალში გამოწყობილი ვერც ერთი არსება. სუფრასთან, ისევე როგორც ყოველთვის, ქვედაკაბებისა და ვიწრო კორსეტების მეტი არაფერი ჭაჭანებდა.

ბარონმა უკმაყოფილოდ შეჭმუხნა ხშირი წარბები და ჩაიბუზღუნა. მან ძმისშვილი, რაღა თქმა უნდა, ბავშვების ოთახში ააყვანინა, რომ დაებანათ და მოწესრიგებინათ; ნუთუ ცოლმა ვერ მოიფიქრა, ბავშვი ახლა მაგიდასთან დაესვა? უდავოა, ეს ბოშა

ბიჭია და მოქცევაც ბოშური ექნება, მაგრამ ბარონ ადრიანის ხუთივე ზნეკეთილი გოგო იმ ბიჭის ნეკადაც არ ღირს.

ბარონმა ვერც კი მოასწრო უკმაყოფილების ხმამაღლა გამოხატვა, რომ ბარონესამ ხელის ოდნავ შესამჩნევი მოძრაობით მიუთითა კარგად ჩაცმულ და კოხტად დავარცხნილ გოგონაზე, რომელიც ბარონის გვერდით სკამზე იჯდა.

ადრიანმა სასწრაფოდ დათვალა ბავშვები და აღმოჩნდა, რომ იმ დღეს მაგიდას ექვსი პატარა გოგონა უჯდა. აჰა! ახლა მიხვდა, რომ ბიჭი მისი ერთ-ერთი ქალიშვილის ტანსაცმელში გამოეწყოთ. ამაში არაფერი იყო გასაკვირი. იმ ძონძებით, რითაც ბავშვი ჰედებიუში მოიყვანეს, მას მაგიდასთან ვერ დასვამდნენ, მთელ კარ-მიდამოში კი ქალის ტანსაცმლის გარდა სხვა ტანსაცმელი არ მოეძევებოდათ, კი, მაგრამ, თმა? ბიჭის ხუჭუჭა ოქროსფერი თმა რომ დაუწნავთ და ყურებს ზევით ორ კოკრად დაუმაგრებიათ, როგორც მის ქალიშვილებს ჰქონდათ, ეს რაღა საჭირო იყო?

- თქვენ რა, დროებით მაინც ვერ გამოართვით მოურავს ერთი შარვალი, რომ ეს ბიჭი საფრთხობელასავით არ გამოგეწყოთ?

- რა თქმა უნდა! - გამოეპასუხა ბარონესა მშვიდად, ისე, რომ მის ხმაში ოდნავი დაცინვა და ნიშნის მოგებაც კი არ გამოსჭვიოდა, - ამას კიდეც გავაკეთებდით, რომ დაგვჭირვებოდა, მაგრამ მას ხომ ისე აცვია, როგორც უნდა ეცვას.

ბარონმა ადრიანმა შეხედა ცოლს, შემდეგ გოგონას, შემდეგ მზერა ისევ ცოლზე გადაიტანა.

- ვფიქრობ, იორანმა ისევ რაღაც ოინი გიყო, - უთხრა ბარონესამ და არც მის ხმას და არც გამოხედვას კვლავ არ დასტყობია ის, რომ ამ საკითხზე სულ სხვა აზრისა იყო, ვიდრე მისი მეუღლე.

უფრო სწორად, საკუთარი აზრი არც ჰქონია, გრძნობდა, რომ იორანი უმსგავსად მოიქცა, რომ ჩვეულებისამებრ კვლავ გადმოანთხია საძაგელი ღვარძლი. და თუ ბარონესას გულში მაინც ჩაისახა მეუღლის საწინააღმდეგო აზრი, ეს სავსებით მისდა უნებურად მოხდა.

მაგრამ, თუ ადამიანი კართან დაგდებულ ნოხადაა ქცეული და მას ყოველდღე ფეხით თელავენ! ამ შემთხვევაში ვერაფერს იზამ, თუ ამ ფეხსაწმენდს ერთგვარი კმაყოფილების გრძნობა იპყრობს იმის გამო, რომ ის, ვინც ყველაზე ულმობლად თელავს და ვისი ჩექმებიც ყველაზე წვეტიანი რკინის ლურსმნებითაა დაჭედებული, უცბად ფეხს წამოჰკრავს და იატაკზე გაიშხლართება.

და როდესაც ბარონესამ დაინახა, როგორ შეკრა წარბი ქმარმა, როგორ თქვა უარი შემწვარ ხორცზე, რომელიც მოახლემ ჩამოატარა, თითქოს ამ შემთხვევის გამო მადა წართმეოდეს, სიცილისგან აცახცახდა, თუმცა, სახეზე არაფერი შესტყობია.

შემდგომში ბევრჯერ ეკითხებოდა ბარონესა საკუთარ თავს, რა მოუვიდოდა ან თვითონ მას, ან მოხუც დეიდას, ან აღმზრდელ ქალს, ან ექვს პატარა გოგონას, მისი ქმარი ლანძღვა-გინებით სკამიდან რომ არ წამომხტარიყო და ოთახიდან არ გავარდნილიყო. თვითონ ბარონესას კი წამითაც აღარ შეეძლო სერიოზულობის შენარჩუნება. მან თავისდა უნებურად გადაიხარხარა, სხვებმაც მიჰბაძეს, სკამის საზურგეებს მიყრდნობილნი ყველანი ისხდნენ და ხარხარებდნენ.

ხარხარებდნენ ხმამაღლა და თან თავს უხერხულად გრძნობდნენ. განა არ სცოდავდნენ იმით, რომ სასაცილოდ მიაჩნდათ მამის, მეუღლის, ოჯახის უფროსის ასეთი გამასხარავება! ყველა იქ მსხდომი უაღრესად მორჩილი და ზნეკეთილი იყო და გმობდა საკუთარ საქციელს, მაგრამ უნებურად ატეხილი სიცილის სურ-

ვილს ვერ იოკებდნენ, თავიც რომ შეეკავებინათ, ალბათ, სული შეეხუთებოდათ.

ეს იყო დიდი ამბოხება. რამდენიმე წუთში მოიხსნეს ტვირთი, რომელიც ამძიმებდათ და ახრჩობდათ, თავისუფლებისა და უპირატესობის გრძნობა გაუჩნდათ და ფიქრობდნენ, ამიერიდან აღარასოდეს იგრძნობდნენ თავს დაჩაგრულად და დაშინებულად, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ ეყოთ გამბედაობა და სიცილი დააყარეს მჩაგვრელს. სასაცილოდ აგდებულმა, დაკარგა თავისი შემაძრწუნებელი სიდიადის შარავანდედი და ისეთივე პატარა და შეუმჩნეველი გახდა, როგორიც თვით ისინი.

ბარონესამ კი, რომელიც წინათ ადრიანზე ყოველთვის ისე ლაპარაკობდა, როგორც საუკეთესო ქმარზე, თავის თავს კი უბედნიერეს მეუღლედ თვლიდა, ბარონესამ რომელიც უცხოს არავის, დეიდას და აღმზრდელ ქალსაც კი არ ათქმევინებდა აუგს თავისი ქმრის საქციელზე, იმავე ბარონესამ საკუთარ თავს აღთქმა მისცა, თუ სადმე იორან ლიოვენშოლდს შეხვდებოდა, რაიმე კეთილი საქმით სამაგიერო გადაეხადა ამ მხიარული წუთებისთვის.

მაგრამ, როდესაც მეორე დღეს ბოშათა ბარონი გაყინული იპოვეს თხრილში პასტორის მდელოზე და მშობლიურ სახლში, ჰედებიუში, მოასვენეს მისი უსულო, უძრავი გვამი, ბარონესას თითიც კი არ გაუნძრევია იმისთვის, რომ გამოეჩინა ის კეთილგანწყობა, რომელიც იორანმა დაიმსახურა მის თვალში იმ წუთიერი მხიარულების გამო. მან ქმარს მიანდო დაკრძალვის საქმის მოგვარება და არაფერში ჩარეულა.

ბარონმა ადრიანმა ხარჯი თვითონ იკისრა - შეუკვეთა სუდარა და კუბო, უბრძანა აგრეთვე გაეხსნათ საგვარეულო აკლდამა. იგი მოელაპარაკა ბრუს პასტორსა და მის ამალას დასაფლა-

ვების დღეზე და თვითონ, რამდენიმე მსახურის თანხლებით, წავიდა დაკრძალვაზე დასასწრებად.

მეტი არაფერი გაუკეთებია ძმისთვის. მან არ დართო ნება, ჰედებიუში თეთრი ზეწრები ჩამოეფარებინათ ფანჯრებზე, არ დააყრევინა გზაზე ნაძვის ტოტები, არ შემოსა ძაძებში ბარონესა და ქალიშვილები, არ დაპატიჟა სამრევლოს დიდკაცობა მიცვალებულის გასაცილებლად, არ შეუკვეთია კორკოტი და არ მოუწყვია თავის სახლში აღაპი.

ბრუს მთელ სამრევლოში არ მოიძებნებოდა ადამიანი, ვისაც იორან ლიოვენშოლდის სიკვდილი არ გახარებოდა. ამიერიდან აღარ აეკიდება პატივსაცემ ბატონებს ბრუს ბაზრობაზე, არ დაუწყებს მხარზე ხელის დარტყმას და ძმაბიჭურ ლაპარაკს, მხოლოდ იმიტომ, რომ ოდესღაც მათთან ერთად სწავლობდა კარლსტადის სკოლაში. ყველას სიამოვნებდა იმის გახსენება, რომ აღარასოდეს გაუჩნდება იორანს ახირებული სურვილი, გადაცვალოს თავისი მთლად დაჩეჩქვილი ვერცხლის საათი საუკეთესო ოქროს საათზე, ანდა ბებერი ჯაგლაგი - საუცხოო ოთხი წლის ფაშატზე. რა თქმა უნდა, კარგია, რომ იორანი აღარ არის. სანამ ცოცხალი იყო, წინასწარ ვერავინ მოიფიქრებდა, რა თხოვნით მიადგებოდა ადამიანს და როგორ გადაუხდიდა სამაგიეროს მისგან უარის მიღების გამო.

მაგრამ ახლა ბრუს მთელ სამრევლოში ყველა იმ აზრისა იყო, რომ ბარონი ადრიანი ისე იქცეოდა, როგორც შურისძიების წყურვილით შეპყრობილი ადამიანი. ამბობდნენ, რადგან იორანი უკვე მკვდარია, ძმამ უნდა დაივიწყოს ძველი შუღლი და მიცვალებული მიწას დიდი ღირსებითა და პატივისცემით მიაბარონო.

სიმართლე ითქვას, ბარონესას უფრო მეტად ჰკიცხავდნენ, ვიდრე მის მეუღლეს, რადგან ქალისგან მეტ გულმოწყალებას

მოელოდნენ. გაგონილა, ერთი ყვავილიც არ დაადო კუბოს! და ეს მაშინ, როცა უზარმაზარი დეკორატიული კალა, რომელიც ჰედებიუს სასადილო დარბაზს ამშვენებდა, სწორედ იმ დროს ყვაოდა, კალის ყვავილი კი სწორედ მიცვალებულს შეეფერება, როდესაც სასაფლაოსკენ მიაცილებენ. ყვავილიც არ გაიმეტა! რა უნდა თქვა ამის შემდეგ! ნამდვილად ადამიანობას მოკლებული საქციელია, დაგენანოს ერთი კალა მაზლისთვის. სხვები კი იმას ამბობდნენ, ქმრის სიკვდილი ცოლისთვის უნდა ეცნობებინათო, და ყველას უკვირდა, თუ რატომ არ გაახსენა ცოლმა ბარონ ადრიანს ეს ამბავი. ყოველ შემთხვევაში, გოგონასთვის, იორან ლიოვენშოლდის ყველაზე საყვარელი შვილისთვის, ნამდვილად უნდა შეეკერათ სამგლოვიარო შავი კაბა. ნუთუ ბარონესა ისე ძლიერ არის ქმარზე დამოკიდებული და დაშინებული, რომ ვერ გაბედა შინ მკერავის მოყვანა და ბავშვის შესაფერისად გამოწყობა!

ჰედებიუელი ბარონესა იმ მხარეში ფრიად ჭკვიან და დარბაისელ ქალად ითვლებოდა და მან, რა თქმა უნდა, იცოდა, რა წესისა და რიგის დაცვა იყო საჭირო, ამიტომ ვალდებულად უნდა ჩაეთვალა თავი და ქმრისთვის მიეთითებინა, თუ რამეში ცდებოდა.

ჭუჭყიანი ბოშური მარხილი თავისი ბოხჩებით, ძონძებით, საკალავი მოწყობილობით, არყიანი პატარა დოქითა და ბანქოს ბინძური დასტით, აგრეთვე ბოშური პატარა ბეხრეკი ცხენი, რომელიც თავისი პატრონის გაცივებულ გვამს დარაჯობდა, სანამ ხალხი მოვიდოდა და ნამქერიდან ამოიყვანდა, უკვე ჰედებიუში იყო. მარხილი ერთ-ერთ მინაშენში დადგეს, ცხენი საჯინიბოში შეიყვანეს, საკვები მისცეს და ბოშათა ბარონის მემკვიდრეობის ამ ნაწილზე ზრუნვა ამით დაამთავრეს. მაგრამ დასაფლავების მეორე დღეს ბარონმა ადრიანმა უბრძანა, ცხენი დაეჭედათ და

განსაკუთრებულ ულუფაზე გადაეყვანათ, რითაც დასტურდებოდა, რომ შორეული მგზავრობისთვის ამზადებდნენ.

იმ დროს ჰედებიუში მსახურობდა მმართველი, რომელიც დაიბადა და გაიზარდა ჩრდილოეთ ვერმლანდის ერთ-ერთ სამრევლოში, იქ, სადაც მოხეტიალე ბოშები ატარებდნენ ხოლმე ზამთარს. იგი იცნობდა ბოშათა იმ გვარეულობასაც, რომელსაც ქორწინების შემდეგ ბარონი იორანი დაუნათესავდა, მმართველმა იცოდა, სად შეიძლებოდა იორანის ცოლის ნათესავების ნახვა. სწორედ ამ მმართველს დაავალა ბარონმა ადრიანმა, მიეყვანა იორანის ცოლისთვის ჩალისფერი ჯაგლაგი, ჩაეტანა მარხილი თავისი ბარგი-ბარხანით და ქალისთვის ქმრის გარდაცვალების ამბავიც შეეტყობინებინა.

მაგრამ ბარონ ადრიანს განზრახული ჰქონდა ჩრდილოეთისკენ გაეგზავნა არა მარტო მარხილი, საკლავი მოწყობილობა, ბანქოს დასტები და სხვა ხარახურა, არა, მმართველს თან უნდა წაეყვანა ბარონ ადრიანის პატარა ძმისშვილიც. მას არავითარი უფლება არ ჰქონდა, დარჩენილიყო ჰედებიუში. გოგონა უკანვე უნდა წასულიყო თავის თვისტომებთან.

ამრიგად, დაკრძალვის მეორე დღეს ბარონმა ადრიანმა გააფრთხილა ცოლი, ხვალ დილით გოგონა შინ უნდა დაბრუნდესო. ისიც უთხრა, ბავშვისთვის ის ძონძები ჩაეცმიათ, რითიც ჰედებიუში მოიყვანეს და დაუმატა, ჩემი ფიქრით, ბარონესა კმაყოფილიც დამრჩება, რაკი სახლში ბოშათა მოდგმის ნიშანწყალი გაქრებაო.

ბარონესას ერთი სიტყვაც არ უთქვამს ქმრისთვის. არც იმის წინააღმდეგი იყო, ბავშვი ჰედებიუდან წაეყვანათ. იგი უსიტყვოდ ადგა და საბავშვო ოთახისკენ გაემართა, რათა გამდელისთვის ეს განკარგულება გადაეცა.

მაგრამ მთელი იმ დღის განმავლობაში ბარონესას ქცევას უჩვეულო აღელვება ეტყობოდა. ერთ ადგილას ვერ ჩერდებოდა, ხან ერთ საქმეს მოჰკიდებდა ხელს, ხან მეორეს. ტუჩებს განუწყვეტლივ ამოძრავებდა, თუმცა, ხმამაღლა არაფერს ამბობდა.

ჩვეულებრივზე უფრო ხშირად შედიოდა საბავშვო ოთახში, სადაც ასევე უხმოდ ჯდებოდა სკამზე და იქ ვერავის ხედავდა ბოშა გოგონას გარდა. ის კი ფანჯარასთან იდგა და სანამ ოთახში დღის სულ მცირე შუქი კიაფობდა, გაჰყურებდა ხეივნის ბინდბუნდს. ასე იდგა ბავშვი მთელი ამ დღეების განმავლობაში, იმ დროიდან მოყოლებული, რაც ჰედებიუში ჩამოვიდა. იდგა ფანჯარასთან და ელოდა მამას, რომელიც ჩამოვიდოდა და თან წაიყვანდა. გოგონა უფრთხოდა და გაურბოდა ხალხს, არც ბავშვებთან თამაში ეხალისებოდა. მას, რაღა თქმა უნდა, არც ეწყინებოდა, თუ სახლში გაგზავნიდნენ.

ღამით მეუღლის გვერდით ცოლქმრულ განიერ საწოლში ბარონესა კვლავინდებურად მოუსვენრობამ შეიპყრო. ვერაფრით დაიძინა; ბოლოს თავს უთხრა, უკიდურესობამდე ვარ მისული, დადგა დრო, როდესაც ქმარს უნდა შევერკინო, რაც ამ კაცმა ჩაიფიქრა, არ უნდა ახდესო.

ბარონესას სულაც არ ეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ ბარონმა იორანმა განზრახ გადაიყვანა ცხენი თხრილში და განზრახ გაიყინა, იმიტომ, რომ მისი გოგონა ჰედებიუში დარჩენილიყო. მას უყვარდა ეს ბავშვი, გაგიჟებით უნდოდა წესიერ ოჯახში გაზრდილიყო და ხალხში გასულიყო. ოცნებობდა, რომ გოგონას თავისი წოდების შესაფერისი აღზრდა მიეღო და ცოლად გაჰყოლოდა წარჩინებულ კაცს; არ ქცეულიყო ერთ ვიღაც ბოშა ქალად, რომელიც ლანძღვა-გინებითა და წივილ-კივილით დადის

გზებზე ოთხთვალათი და თან დაჰყავს მყვირალა და მაჩხუბარა ბავშვების მთელი ჯგრო.

იმისთვის, რომ ამ საწადელს სწეოდა, ბარონმა იორანმა სიცოცხლეც გაწირა, თუმცა კი ხვდებოდა, რომ მსხვერპლი ძვირი დაუჯდებოდა, მაგრამ ფასს არ შეუშინდა და სრულიად გადაიხადა.

ხვდებოდა კი მისი ქმარი, რა უნდოდა ძმას? ეგებ ხვდებოდა კიდეც, მაგრამ ახლა ის ჰგვრიდა სიამოვნებას, რომ უარს ეუბნებოდა იორანს იმაზე, რისი ყიდვაც სიცოცხლის ფასად ინება; ის კი, ბარონ ადრიანის მეუღლე, ახლა წინ უნდა აღუდგეს.

მან უნდა იპოვოს ისეთი სიტყვები, რომ ქმარი დაიყოლიოს. უნდა ილაპარაკოს გაბედულად, როგორც სრულუფლებიანმა დიასახლისმა. ადრიანმა არ უნდა გაუშვას ძმისშვილი სახლში. ეს უსამართლობა იქნებოდა. მას ესმოდა, რომ მათი ოჯახი ამისთვის შეიძლება სასტიკად დასჯილიყო. მართალია, დღემდე გაჩუმებული იყო, აცალა ქმარს დაკრძალვის ბოლომდე ისე მიტანა, როგორც უნდოდა. იგი ძალას ზოგავდა, მკვდარს მაინც ვერაფერს უშველიდა.

ბარონესამ გაიხსენა, როგორ ნახა უკანასკნელად მაზლი, როდესაც იგი წელში ძლიერ მოხრილი მარხილით გაუდგა გზას. შეეცადა, წარმოედგინა იორანის ის საშინელი, სიკვდილისწინა ფიქრები, როდესაც უგზო-უკვლოდ დაბორიალებდა ქარბუქში. წარმოუდგენელი იყო, რომ ასეთი კაცი საფლავში მოისვენებდა, თუ უარს ეტყოდნენ იმაზე, რისთვისაც ასეთი მსხვერპლი გაიღო. აქ, ჰედებიუში, კარგად იცოდნენ, რომ მკვდრებს შესწევთ ძალა შურისძიებისა.

ბარონესამ უნდა აიმაღლოს ხმა; უარი არ უნდა თქვას მკვდრის სურვილის შესრულებაზე. როგორიც უნდა ყოფილიყო

იორანი ცოცხალი, მკვდარმა კი იმის უფლება მოიპოვა, რომ იმ-ბრძანებლოს.

ბარონესამ მუშტები წაიშინა. რა მხდალია! რატომ არ გააღვი-ძა ქმარი? რატომ არ დაელაპარაკა დაუყოვნებლივ?

თავიდანვე მიუხვდა ქმარს და თავის მხრივ სცადა ზომების მიღება. სწორედ იმ დღეს, როდესაც იორანი თხრილში გაყინუ-ლი იპოვეს, ბარონესამ მის პატარა ქალიშვილთან ერთად მოინახულა ერთი ღარიბი ოჯახი, რომლის უბადრუკ ქოხშიც სა-მი ბავშვი იწვა წითელათი ავად. ბარონესას შვილებს წითელა მოხდილი ჰქონდათ, ხოლო გადაიტანა თუ არა ეს ავადმყოფობა ამ სხვისმა შვილმა, არ იცოდა; თუმცა, ფიქრობდა, არ ექნება გა-დატანილიო. იმ დღიდან თვალყურს ადევნებდა გოგონას, რომ არ გამოჰპარვოდა წითელას ნიშნები, მაგრამ ბავშვს არაფერი ეტყობოდა. საერთოდ, ბარონესას ახსოვდა, რომ ეს ავადმყო-ფობა მჟღავნდება არა უადრეს თერთმეტი დღისა, ახლა კი მხო-ლოდ მერვე დღე იყო.

ბარონესა ქმართან საუბარს შეძლებისდაგვარად აჭიანურებ-და, ფეხს ითრევდა. ახლა უკვე შიშმაც შეიპყრო, ვაითუ, ვერასო-დეს მოვიკრიბო ძალა მასთან სალაპარაკოდო.

რატომაა ასეთი მშიშარა? რა მოუვიდოდა, რომ გაებედა და ხმა ამოეღო? ბოლოს და ბოლოს, ხელს ხომ არ შემოჰკრავდა ქმარი! ამაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო.

მაგრამ, სამაგიეროდ, ბარონს ჩვეულება ჰქონდა, მზერა ისე აერიდებინა ცოლისთვის, თითქოს სრულიად არ ესმოდა მისი ლაპარაკი, ბარონესასთვის ქმართან საუბარი კი იგივე იყო, რაც ყინულის ლოდისთვის ქადაგების წაკითხვა.

კიდევ ერთი საზრუნავი აწუხებდა ქალს და გულს უმძიმებდა. საქმე ის იყო, რომ შარშან, საღამოს წვეულებაზე კარლსტადში, მისი ქმარი შეხვდა თავის შორეულ ნათესავს, შარლოტა

ლიოვენშოლდს, რომელიც ცოლად ჰყავდა კომერციის მრჩეველ შაგერსტრიომს. შარლოტა და ბარონი ადრიანი ძველი ნაცნობები იყვნენ, იმ დროიდან, როდესაც შარლოტა ბარონ ადრიანის ბიძაშვილთან, კარლ-არტურ ეკენსტედთან იყო დაწინდული; ერთხელ ჰედებიუშიც კი იყო საქმროსთან ერთად. ამ წვეულებაზე შარლოტამ და ბარონმა ადრიანმა გულითადად ისაუბრეს. ბარონმა შესჩივლა ქალს, რომ გოგონების მთელი გუნდი ჰყავს, ვაჟი კი არა, მაშინ შარლოტამ ჰკითხა, ხომ არ ისურვებდა ადრიანი და ერთ-ერთ ქალიშვილს გასაზრდელად მისცემდა, რადგან მის სახლში ბავშვი არც კი ჭაჭანებდა. მართალია, ჰყავდა ქალიშვილი, მაგრამ მოუკვდა.

ბუნებრივია, ბარონი მთელი სულითა და გულით მიესალმა შარლოტას წინადადებას; შარლოტამ დასძინა, მოველაპარაკები ქმარს და გავიგებ მის აზრს ჩემს გეგმაზეო. მალე ჰედებიუში უსტარი მოვიდა: ნამდვილად თანახმანი არიან თუ არა ბარონი და ბარონესა ლიოვენშოლდები, მისცენ ჰერ და ფრუ შაგერსტრიომებს ერთ-ერთი ქალიშვილი, რათა აღზარდონ ბავშვი როგორც თავიანთი ღვიძლი შვილი. ბარონმა დაუყოვნებლივ დასტურის წერილი გაგზავნა ისე, რომ თავი არც კი შეუწუხებია ცოლთან ამის თაობაზე მოლაპარაკებით. მისი ფიქრით, ცხადზე უცხადესი იყო, რომ მსგავს წინადადებას, რომელიც ვერმლანდში ყველაზე მდიდარი ოჯახისგან მომდინარეობდა, უარი არ ეთქმოდა. გოგონას პრინცესასავით გაზრდიდნენ, ის კი, ვინც ამ გავლენიან კაცს ასე მჭიდროდ დაუკავშირდებოდა, დიდ სარგებლობასაც ნახავდა.

ბარონესას აშკარად ურჩობა არ გაუწევია ქმრისთვის, მაგრამ შეეცადა, დრო მოეგო. შარლოტამ ჰედებიუში ჩამოსვლა მოისურვა, რათა ბავშვებში ის ამოერჩია, ვინც ყველაზე უფრო მოუვიდოდა თვალში; მაგრამ ჰედებიუში მის ჩამოსვლას აგერ

უკვე ექვსი თვე იყო, არ დაადგა საშველი და ეს უმეტესწილად ბარონესას ბრალი გახლდათ. პირველად შარლოტას მისწერა, რომ საკაბეს ქსოვას ეს-ეს არის შეუდგნენ, მინდა, ქსოვილიც მომზადდეს და კაბების შეკერვაც მოვასწრო, რათა თქვენი ჩამოსვლისთვის გოგონები კოხტად გამოვაწყოო. როდესაც მეორედ განიზრახა შარლოტამ ჩამოსვლა, ბავშვებს წითელა სჭირდათ და ვიზიტი კვლავ გადაიდო. ახლა კი დიდი ხანია შარლოტასგან არც ავი ისმოდა, არც კარგი; ბარონესას ფარული იმედიც კი გაუჩნდა, რომ ამ მდიდარ ქალს, რომელსაც იმდენი საზრუნავი აქვს თავის საკუთარ უზარმაზარ მეურნეობაში, ალბათ, გულიდან გადავარდნილი ექნება ჩემს ქალიშვილებზე ფიქრიო.

მაგრამ, როდესაც მოულოდნელად ბარონი იორანი გარდაიცვალა, ბარონესამ მისწერა შარლოტას და სთხოვა, ჩამოსულიყო. ამჯერად, ალბათ, ნამდვილად გადაწყვიტა, მიეცა შარლოტასთვის ერთ-ერთი ქალიშვილი. ეს იყო მსხვერპლი, რომელიც უნდა გაეღო და ქმრის სურვილს დაჰყოლოდა. ეგონა, თუ ამ სურვილს შეუსრულებდა ადრიანს, უფლება ექნებოდა, მოეთხოვა, რომ სხვისი შვილი მათ სახლში დარჩენილიყო.

მაგრამ მსხვერპლის გაღება ამაო გამოდგა. ქმარმა დაასწრო, ბავშვს არ შეჰყრია წითელა. შარლოტაც არა და არ ჩამოვიდა, ამ სხვის შვილს კი რამდენიმე საათში გზას გაუყენებდნენ.

ბარონესა იწვა ლოგინში და ანგარიშობდა, რამდენი დრო დასჭირდებოდა „ტბის აგარაკიდან“ ჰედებიუში ჩამოსვლას. მისი წერილი, ალბათ, ახლაღა ჩავიდოდა იქ. მაინც რა სიცივე დაიჭირა მას შემდეგ, რაც ქარბუქი ჩადგა! ფიქრიც ზედმეტია იმაზე, რომ ამისთანა ყინვაში შარლოტა მგზავრობას გაბედავს. მთელი ღამე ესმოდა ძილგატეხილ ბარონესას, როგორ ხმიანობდა ყინ-

ვისგან ძველი სახლი, თითქოს სქელ კედლებს ვიღაც კომბალს უკაკუნებსო.

შემდეგ გაიგონა, როგორ შეფრატუნდა ვიღაც სამზარეულოში, მზარეულმა ქალმა ქურაში ცეცხლი გააჩაღა და კარდალები აახმაურა. საბავშვო ოთახიდანაც გაისმა რაღაც ჩქამი. ალბათ, გადია ადგა, რომ პატარა ბოშა გოგონასთვის მისი კონკები ჩაეცმია.

ბარონესამ რამდენჯერმე წარმოთქვა ქმრის სახელი, წარმოთქვა არც ისე ხმამაღლა, მაგრამ საკმაოდ მკაფიოდ. ადრიანი ოდნავ შეინძრა და კვლავ ძილი განაგრძო. მას რომ გამოღვიძებოდა, ცოლი, შეიძლება კიდეც დალაპარაკებოდა, მაგრამ ბარონესას ძალას აღემატებოდა კიდევ ერთხელ ეცადა ქმრის გაღვიძება.

ამ დროს გაისმა სამზარეულოს კარის გაღების ხმა. გარეთ, ალბათ, საშინელი ყინვა მძვინვარებდა, იმიტომ, რომ მთელ სახლში გაისმა კარის ჭრიალი. ბარონესა მიხვდა, რომ მმართველი მოვიდა, რომელსაც გოგონა უნდა წაეყვანა. მალე საძინებლის კარი მოახლემ შემოაღო და იკითხა, ინებეს თუ არა გაღვიძება ბარონმა ან ბარონესამო.

ბარონი იმწამსვე წამოჯდა ლოგინში და იკითხა, რა მოხდაო.

- მმართველი მოვიდა, - მიუგო მოახლემ, - მთხოვა, აქ მოვსულიყავი და მეთქვა თქვენთვის, ჰერ, რომ დღეს ისე ყინავს, კაციშვილი ვერ გაბედავს მგზავრობას. მას თურმე კანი ასძრობია ხელებზე, როდესაც საჯინიბოს ბოქლომს ხსნიდა. შინ პური და კარაქიც კი გაჰყინვია, წყლიან კასრში კი ყინულის ფენა იმხელა ყოფილა, ნაჯახით გაუტეხია. კიდევ ისა თქვა, თუ აქ ასეთი ყინვაა, ჩრდილოეთში, საითაც მივემგზავრები, მთლად უარესი იქნებაო.

- აქ მოიტა ეგ ნამწვი, - უბრძანა ადრიანმა მოახლეს, - და საძინებელში სანთელი აანთე.

მოახლე ოთახში შევიდა და დაგრეხილი თაფლის სანთლით პატარა მაგიდაზე დადგმული ქონის სანთელი აანთო. ბარონი ლოგინიდან ადგა, ხალათი წამოისხა და ფანჯარასთან მივიდა თერმომეტრის სანახავად. მთელი ფანჯარა, როგორც რომელიღაც ბანჯგვლიანი მხეცის ტყავით, ისე იყო ჭირხლით დაფარული; მხოლოდ თერმომეტრთან ვიწრო ზოლად ჩანდა გამჭვირვალე მინა. ბარონმა ვერცხლისწყლის სვეტს შეხედა, მაგრამ ის მთლად დაბლა, ბურთულაში ჩამალულიყო.

ბარონმა სანთელი თერმომეტრს მიანათა.

- ყინვა, ალბათ, ორმოც გრადუსზე მეტია, - წაიჩურჩულა მან.

- მმართველი ამბობს, თვითონ კი გაუდგებოდა გზას, თუ თქვენ, ჰერ, უეჭველად გინდათ იმ მარხილის მოცილება, - თქვა მოახლემ, - მაგრამ ბალღის თან წაყვანისა ეშინია.

- ჯანდაბის იქითაც ჰქონია გზა! ასე გადაეცი! - დაიღრიალა ბარონმა, ისევ ჩაწვა ლოგინში და თავზე საბანი წაიხურა.

მოახლემ ფეხი ვერ მოიცვალა, ვერ მიმხვდარიყო, როგორ უნდა გაეგო ეს პასუხი, მაგრამ ბარონესამ განუმარტა ქმრის სიტყვები:

- პატივცემული ბარონი გიბრძანებს, - უთხრა მმართველს, - რომ შეუძლია, არ წავიდეს, სანამ არ დათბება. შეგიძლია აგრეთვე ახვიდე საბავშვო ოთახში და მარტას უთხრა, რომ ბავშვი არსად წავა.

ბარონესას ხმა ისევ ჟღერდა, როგორც ყოველთვის. მასში არ ისმოდა ის საოცარი შვება, რომელიც უცებ განიცადა.

ყინვა გაგრძელდა. არც იმ დღეს, არც მეორე დღეს ფიქრიც კი არ შეიძლებოდა ბავშვის გამგზავრებაზე, მაგრამ მესამე დღეს

ამინდი შეიცვალა და ბარონმა ბრძანა, მეორე დილით ბოშა გომბიოს სინსილა გამქრალიყო ამ სახლიდან.

ბარონესა ქმარს პირდაპირ არ შეპასუხებია, თუმცა, რამდენჯერმე სიტყვა გადაუკრა, ეს დღეები და დღესაც ბავშვი რაღაც უცნაურად გამოიყურება და ვშიშობ, ავად ხომ არ გახდა პატარაო.

ბარონმა ადრიანმა ცივად შეხედა ცოლს.

- მაგას არა აქვს მნიშვნელობა, - უთხრა მან, - ეს ბავშვი ვერ დარჩება ჩემს სახლში. გგონია, ისე ვირევი გოგოებზე, რომ სულ იმის ფიქრში ვარ, როგორმე კისერზე კიდევ ერთი დავისვა?

მაგრამ, როდესაც ვახშმობის შემდეგ ბარონესა საბავშვო ოთახში შევიდა, რომ შვილებისთვის შეეხედა, დაინახა, რომ უცხო გოგონა ლოგინში მთლად გაწითლებული, სიცხიანი იწვა და განუწყვეტლივ ახველებდა.

- იცით, ფრუ, ისე ჩანს, რომ ბავშვს წითელა შეჰყრია, - უთხრა გამდელმა.

ბარონესაც უნდა დათანხმებულიყო, რადგან, როდესაც შემოდგომაზე მის ქალიშვილებს წითელა შეხვდათ, ავადმყოფობა დაახლოებით ასე იწყებოდა.

- პირდაპირ საშინელებაა, - თქვა ბარონესამ, - ბარონმა ეს-- ესაა გასცა განკარგულება, რომ ხვალ ადრიანად გოგონა თავისიანებთან წაეყვანათ.

მცირე ხნის ფიქრის შემდეგ მან გამდელი ქმრის ამოსაყვანად გაგზავნა, რათა ბარონს თავად ენახა, რა შეემთხვა ბავშვს.

ბარონი მობრძანდა და თუმცა ავადმყოფობისა ბევრი არაფერი გაეგებოდა, უნდა ეღიარებინა, რომ ძმისშვილს რაღაც კარგი არ სჭირდა. რა თქმა უნდა, ეჭვიც არ შეჰპარვია, რომ გოგონას წითელა ჰქონდა. ისე ჩანდა, რომ ამ ბოშას ნაშიერს ვერაფრით მოიცილებდა თავიდან.

ეს მართლაც წითელა იყო. არავინ იცის, ხვდებოდა თუ არა ბარონი ადრიანი, რომ ამ საქმეში ბარონესას ხელი ერია, რომ თვითონ შეჰყარა ბავშვს იოლად მოსახდელი ავადმყოფობა, მაგრამ იძულებული გახდა, ერთი კვირით დაეტოვებინა პატარა თავის სახლში და დარდისაგან გული გაუსივდა - ოჯახის მყუდროებას ხიფათი ემუქრებოდა, მაგრამ, საბედნიეროდ, ჰედებიუში მალე წერილი მოვიდა, რომელიც დაეხმარა ბარონს, გადაეყარა გულს დაწოლილი ბოღმა. წერილი შარლოტა შაგერსტრიომისა იყო. იგი იუწყებოდა, თუ სამარხილე გზა არ გაფუჭდა, მათთან მარტის შუა რიცხვებში გამოემგზავრებოდა, ასე რომ, ჰედებიუში მისი მოლოდინი თექვსმეტ-ჩვიდმეტ რიცხვში უნდა ჰქონოდათ.

ყოველდღე შედიოდა ბარონი საბავშვო ოთახში და ამოწმებდა, კვლავ ლოგინში იწვა თუ არა ბოშა გოგონა, ამისდა მიხედვით განსაზღვრავდა, როგორ მოქცეულიყო. ბარონესა კი, რომელიც ხედავდა, რომ ბავშვმა ადვილად გადაიტანა ავადმყოფობა და კანი უკვე აღარ ექერცლებოდა, დიდი გაჭირვებით ახერხებდა გოგონას ლოგინში გაჩერებას. გამდელი დროდადრო იტყოდა ხოლმე, ავადმყოფს დიდი ხანია უკვე შეუძლია ჩაიცვას და ზევით ავიდესო. ბარონესამ ძლივძლივობით დაარწმუნა, რომ გოგონას კიდევ რამდენიმე დღე წოლა ესაჭიროებოდა.

შეუძლებელია იმის აღწერა, რა ტვირთი მოეხსნა ბარონესას გულს, როდესაც თექვსმეტ მარტს, ნასადილევს, დაინახა, რომ შარლოტას მარხილი ეზოში შემოსრიალდა. ოჯახის დიასახლისი ისეთი აღფრთოვანებით შეხვდა ნამგზავრ ქალს, ისე ეხვეოდა და კოცნიდა, რომ შარლოტა, ცოტა არ იყოს, კიდეც გააკვირვა ამ ამბავმა. ბარონესა ხომ გამუდმებით აჭიანურებდა აქ მისი ჩამოსვლის ვადას, შარლოტა დაეჭვდა კიდეც: ეჩვენებოდა, თით-

ქოს ბარონესა მას ქურდივით უყურებდა, რომელიც იმისთვის ჩამოვიდა ჰედებიუში, რომ ძვირფასი განძი მოსტაცოს.

ხუთ პატარა ფროიკენ ლიოვენშოლდს ისე გულმოდგინედ დაბანეს საპნით პირები, რომ სახეები უპრიალებდათ. თმა მაგრად გადაუჭიმეს; მერე დაუწნეს წვრილ ნაწნავებად და ყურებს ზევით პაწია რგოლებად დაუმაგრეს. ტანზე ჩააცვეს შინნაქსოვი და შინვე შეკერილი შალის კაბები, ფეხზე კი თვითნაკეთი კოხტა და მაგარი წაღები. ბარონესას თვალებში დედის ხალასი სიამაყე ციმციმებდა, როდესაც ქალიშვილები სასტუმრო ოთახში შეიყვანა. ეგონა, ასეთი მშვენიერი გოგონები დედამიწის ზურგზე არ მოიძევებაო. ჯანმრთელი, კარგი აგებულების, ზნეკეთილი ბავშვები იყვნენ, ამაში ბარონესა დარწმუნებული იყო; ამიტომაც ნათელი იმედით გაცისკროვნებული გამოვიდა სასტუმრო ოთახში თავისი პატარა ამქრის თანხლებით.

შარლოტამ სწრაფად აათვალიერ-ჩაათვალიერა გოგონები და არაფრით გამოუმჟღავნებია თავისი გრძნობები. გულითადობითა და მხიარულებით გაბრწყინებულმა გაუწოდა ხელი სათითაოდ ყველას და თითოეულ მათგანს ჰკითხა სახელი, რამდენი წლის იყო.

მაგრამ ეტყობა, შარლოტას მაინც არ გამოუჩენია ის უდიდესი აღტაცება, როგორსაც ბარონესა მოელოდა.

ეგებ პოლკოვნიკ ეკენსტედის ცოლის ნატიფი და ზეშთაგონებული სილამაზე დაუდგა თვალწინ, ეგებ თავისი და, მარია--ლუიზა, მოაგონდა, ან იქნებ სულაც საკუთარი პაწაწინა შვილიკო გაიხსენა... ყოველ შემთხვევაში, გაუჭირდა იმის დაჯერება, რომ ეს პატარა გოგონებიც ლიოვენშოლდის გვარს ატარებდნენ.

შარლოტამ, რა თქმა უნდა, იმწამსვე შეამჩნია, რომ ბავშვები კეთილი გულისანი იყვნენ, ჯანმრთელები, მხიარულები, და რომ

შესანიშნავ მანდილოსნებად და ოჯახის დიასახლისებად გადაიქცეოდნენ, სწორედ ისეთად, როგორიც ამათი დედა იყო, რომელსაც ვაშლი რომ გაჭრა, ისე დამსგავსებოდნენ. ბარონესასავით წითურთმიანი, ოდნავ ჩაფუნთუშებული გოგონებისთვის ღმერთს სიმაღლე არ მიეცა; ფართო ხელები და კოტიტა თითები გამოჰყოლოდათ. ხუთივე თითქოს ერთ ყალიბზე იყო მოჭრილი - მრგვალლოყება, ცხვირპაჭუა და ცისფერთვალება. ალბათ, როდესაც გაიზრდებოდნენ და ერთმანეთს სიმაღლეში დაეწეოდნენ, მათი გარჩევა მართლაც ძნელი გახდებოდა.

შარლოტა, რომელსაც იმხანად ოცდაათი წელი შეუსრულდა, ჯერ კიდევ თავისი სილამაზის გაფურჩქნის ხანაში იყო. ბარონესას ფიქრით, ახლა ბევრად ლამაზი იყო, ვიდრე ქალიშვილობაში, ჰედებიუში რომ ჩამოდიოდა. ამასთან, ელეგანტურიც იყო, ხალხში გამოსულიც. ბარონესას თითქოს ისიც მოეჩვენა, რომ მისი ქალიშვილები მთლად შესაფერისნი არ იყვნენ შარლოტასა და იმ საზოგადოებისთვის, სადაც იგი ახლა ტრიალებდა. მაგრამ ეს ფიქრი უკუაგდო. დარწმუნებული იყო, რა მდგომარეობაშიც უნდა აღმოჩენილიყვნენ ცხოვრებაში მისი გოგონები, თავს ღირსეულად დაიჭერდნენ.

შარლოტაც თითქმის ამასვე ფიქრობდა. იგი ეკითხებოდა საკუთარ თავს, შეურიგდება კი იმას, რომ მის გვერდიგვერდ პატარა გლეხის ქალმა იცხოვროს, ულამაზომ და ტლანქმა, თუგინდ იგი სათნოების ნამდვილ მაგალითს წარმოადგენდეს.

შარლოტა სულაც არ იყო ჭირვეული და ყოყოჩი ქალი. ღმერთმა დაიფაროს, ამაში ვერავინ დასდებდა ბრალს. მას ჰქონდა უნარი, ადამიანები ღირსების მიხედვით შეეფასებინა. უთხრა კიდეც თავის თავს, რომ თუ აიყვანს გასაზრდელად ამ კეთილ, წითურთმიან გოგონას და თავს შეაყვარებს, შეიძენს მეგობარს, რომელიც არასოდეს უღალატებს. ასეთი გოგონა არასოდეს

გახდება ეგოისტი, დარჩება დედობილთან და სიბერეში გაახარებს. გათხოვებას ხომ, ცხადზე უცხადესია, ვერასოდეს ეღირსება თავისი უშნო გარეგნობის პატრონი.

შარლოტამ მაშინვე მოიკრიბა გონება და ირწმუნა, რომ შვილობილად შეუხედავი ბავშვი ეყოლებოდა. ბედისწერა რა დიდი მოწყალებაა! შარლოტას ნება რომ ყოფილიყო, ალბათ, შვილობილს ლამაზ გოგონებში აირჩევდა, ის კი თავნება და ჭირვეული გაიზრდებოდა და მხოლოდ საკუთარ თავზე იფიქრებდა.

შარლოტა იმ ადამიანთა რიცხვს არ ეკუთვნოდა, რომელთაც უჭირთ მეგობრული ურთიერთობა თავის ტოლებთან ან ბავშვებთან; რამდენიმე წამის შემდეგ მან სავსებით მოინადირა ხუთივე პატარა ლიოვენშოლდის გული. ათი ცისფერი თვალი პირში შეჰყურებდა და ყოველ მის სიტყვას იჭერდა, ათი პაწაწა ხელი სულ იმის ცდაში იყო, მის ხელს მისწვდომოდა და შიგ მომწყვდეულიყო. შარლოტამ იგრძნო, რომ ის, რომელსაც ამ გოგონათაგან აღსაზრდელად აყვანას ინებებს, ხმის ამოუღებლად და დაუფიქრებლად გაჰყვებოდა.

ის მიმნდობლობა, რომლითაც ბავშვები მის შეკითხვებზე პასუხობდნენ, ძალიან მოეწონა შარლოტას. მათ საუკეთესო შთაბეჭდილება მოახდინეს. ნამდვილად კარგები იყვნენ, კარგები და საყვარლები.

ყველაფერი ზუსტად ისე მოხდა, როგორც უნდა მომხდარიყო. ბარონი ადრიანი მთელი საღამო სასტუმრო ოთახში იჯდა და თავს არ იზოგავდა, რაც შეიძლება მეტი თავაზიანობა რომ გამოეჩინა სტუმართან, ბარონესა კი ცდილობდა, მხიარულად ყოფილიყო. ცდილობდაო, ვამბობთ, რადგან ისე ეტყობოდა, შარლოტა თავისას გაიტანდა.

ხუთი პატარა ფროიკენი თავს არავის აბეზრებდა, მაგრამ სულ იმის ცდაში იყვნენ, რაც შეიძლება ახლოს ყოფილიყვნენ

შარლოტასთან. პირდაპირ თვალებით ჭამდნენ, მოთმინებით ელოდნენ, მათთვის როდის მოიცლიდა და ალერსიანად გაუღიმებდა.

შარლოტას უხაროდა ეს თაყვანისცემა, მაგრამ, საოცარია, სულ ვერ გრძნობდა მათთან ნათესაურ კავშირს.

როდესაც ვახშმად ისხდნენ და სტუმრის თვალწინ წინანდებურად ირხეოდა ხუთი ქერათმიანი პატარა თავი და ხუთი წყვილი ცისფერი თვალი მოუშორებლად კვლავ შეჰყურებდა, შარლოტა შიშმა შეიპყრო: აუტანელ ტვირთს ხომ არ ვიკიდებ, ვაითუ, ვერ გავუძლო! ვაითუ, იძულებული გავხდე, ბავშვი მშობლებთან დავაბრუნო მხოლოდ იმიტომ, რომ უშნოა! თუმცა, ეს შიში გაზვიადებული ეჩვენა, მაინც გადაწყვიტა, ყოველი შემთხვევისთვის, წინდახედული ყოფილიყო; არჩევანს პირველივე საღამოს კი არ გააკეთებდა, არამედ მეორე დღემდე დაიცდიდა.

სწორედ იმ დროს, როდესაც სასადილო ოთახში ვახშამი დასასრულს უახლოვდებოდა, ერთ-ერთ მეზობელ ოთახში ხარხარი ატყდა. ხარხარი არ წყდებოდა. შარლოტა, ცოტა არ იყოს, გაოცდა, ბარონესამ კი აუხსნა, ბარონმა ადრიანმა სამზარეულო მინაშენიდან დიდ სახლში გადმოიტანაო. ეს ბევრად მოსახერხებელი გამოდგა, მართალი, იქიდან ზოგჯერ სასადილო ოთახში ხმაური ისმის, მაგრამ ამას არაფერი ეშველებაო.

დაიწყო სჯა-ბაასი ამ ახალშემოღებულ წესზე და როდესაც ვახშამი დამთავრდა, ბარონმა ადრიანმა შარლოტას ხელი გაუწოდა, რათა ეჩვენებინა სტუმრისთვის, როგორ მოაწყო ყველაფერი და როგორ განმგებლობდა თავის სახლში.

პირველად საბუფეტეში შევიდნენ, ბარონმა აუხსნა შარლოტას, როგორ დაანგრია ერთი კედელი ერთ მხარეს და როგორ ააშენა მეორეგან. შარლოტა ინტერესით უსმენდა, იგი კარგად ერკვეოდა ასეთ საკითხებში.

სანამ საბუფეტეში იდგნენ, ხმაურმა სამზარეულოში უფრო და უფრო იმატა და ცნობისმოყვარეობის შეკავება უკვე შეუძლებელი გახდა. ფროიკენ ლიოვენშოლდები წინ გაიქცნენ და, სანამ ვინმე მათ გაჩერებას მოახერხებდა, ფართოდ გააღეს სამზარეულოს კარი.

დიდ სამზარეულო მაგიდაზე ოთხი წლის გოგონა იდგა პერანგისამარა, არც ქვედაკაბა ეცვა და არც წინდები, ხელში შოლტი ჩაებღუჯა, რომელიც მისთვის ჩამჩისა და ჯარის ფთილისგან გაეკეთებინათ, მის წინ იატაკზე ორი ჯარა იდგა, რომელთაც ენის წკლაპუნითა და შოლტის ქნევით მიერეკებოდა. ცხადი იყო, ჯარები წყვილად შებმულ ცხენებს განასახიერებდნენ.

ყველასთვის ნათელი იყო ისიც, რომ ეს სცენა გამოხატავდა ცხენების თავაწყვეტილ ჯირითს საბაზრო მოედანზე. ყვირილითა და შოლტის ტყლაშუნით წაქეზებული ცხენები თავბრუდამხვევი სისწრაფით წინ მიილტვოდნენ, ირგვლივ თავმოყრილი ადამიანები კი აქეთ-იქით იფანტებოდნენ.

- ეი, გასწი, გაქუსლე, პეი ულსა! გზა დამიცალე, სე გლეკუჭა!

- აი, ვის ალ ეშინია ალც ლესმანისა, ალც სამაზლო პოლიციის უფლოსისა!

- ეი, გზა, გზა ბოშათა ბალონს!

- ეი, ჰეი, ჰეი, დგეს ბაზლობაა ბლუში!

- ეი, ჰეი, ჰეი, კალგია ამქვეყნად ცქოვლება!

სამზარეულოს კედლები ზანზარებდნენ მხიარული ხარხარისგან. მაყურებლები თვალს ვერ აცილებდნენ გოგონას, რომელიც ლოყებაღაჟღაჟებული და თვალებგაბრწყინებული სამზარეულოს მაგიდაზე იდგა.

გოგონა ისე გაიტაცა თამაშმა, მაყურებლები თითქმის ცხადად ხედავდნენ, როგორ უწეწავდა ქარი ოქროსფერ კულუ-

ლებს; ეჩვენებოდათ, რომ სამზარეულოს მაგიდა მიქრის და მიარღვევს ბაზრობის მილეთ ხალხს, როგორც ბოშების ჯაყჯაყა ფორანი.

გოგონა მაგიდაზე ლარივით გაჭიმული იდგა, გალაღებული, სიცოცხლითა და სიხარულით სავსე. ყველა იქ მყოფი, დაწყებული ეკონომი ქალით და დამთავრებული მეჯინიბით, განცვიფრებულნი იყვნენ. ყველამ თავი დაანება საქმეს და გაფაციცებით შეჰყურებდა ბავშვის თავაშვებულ ჯირითს.

საბუფეტეს კარში გაჩერებულნიც ამ ყოფაში იყვნენ, თითქოს მონუსხულიყვნენ. ეჩვენებოდათ, რომ ბავშვი მაგიდაზე კი არა, მაღალ ფორანზე იდგა. თითქოს აშკარად ხედავდნენ ორად გაპობილ ზღვა ხალხს და ფაფარაშლილ ცხენებს: ოთხით მიქროდნენ ბაზრობის ფარდულებსა და ოთხთვალებში.

პირველად ბარონი გამოფხიზლდა. ჯერ კიდევ ადრე მოელაპარაკა ცოლს, შარლოტას თანდასწრებით არც კი ეხსენებინათ მისი ძმის ამბავი და პატარა ბოშა თვალითაც არ დაენახვებინათ სტუმრისთვის. ბარონესა, როგორც ყოველთვის, დაეთანხმა ქმარს და დასძინა, რადგან პატარა ჯერ კიდევ მთლად არ გამოკეთებულა წითელას შემდეგ, რა თქმა უნდა, საბავშვო ოთახში უნდა დარჩესო. ბარონმა ადრიანმა მტკიცედ გადადგა წინ ნაბიჯი და სამზარეულოს კარი მოხურა, შემდეგ ხელი გაუწოდა შარლოტას, რათა ბატონთა სავანისკენ გასძღოლოდა.

მაგრამ შარლოტა გაუნძრევლად იდგა, თითქოს ვერც ხედავდა მისკენ გამოწვდილ ხელს.

- ვისია ეს ბავშვი? - იკითხა მან, - ან ვის ჰგავს? თითქოს ჩვენი გვარისაა, ისეთი სახე აქვს!

მან მაგრად ჩასჭიდა ხელები ბარონის ხელს და როდესაც ლაპარაკი გააგრძელა, ყველას მოეჩვენა, თითქოს მის ხმაში ცრემლები გაისმა:

- ჩემო ბიძაშვილო, უნდა მითხრათ, ჩვენი მოდგმისა ხომ არ არის ეს გოგონა? მე ვგრძნობ, რომ მენათესავება.

ბარონს ხმა არ ამოუღია, ისე მიაბრუნა თავი, მაშინ ბარონესამ განუმარტა შარლოტას:

- ეს იორან ლიონვენშოლდის ქალიშვილია, წითელა ჰქონდა, გამდელს კი დაუკითხავად სამზარეულოში გამოუყვანია.

- ჩემო ბიძაშვილო, ალბათ, გაგიგონია ჩემი ძმა, ბოშათა ბარონი? - მკაცრად ჰკითხა სტუმარს ბარონმა ადრიანმა, - ჰოდა, ასე, ამ ბავშვის დედა ბოშა გომბიოა.

მაგრამ შარლოტა, თითქოს სიზმარშიაო, სამზარეულოს კარისკენ გაემართა, გამოაღო და ხელებგაწვდილი მიუახლოვდა მაგიდას.

მაგიდაზე მდგომმა ბავშვმა, რომელიც უკვე ჩარჩობანას თამაშობდა, შარლოტას შეხედა და პატარა ონავარმა, ალბათ, დაინახა ამ ქალში ისეთი რამ, რაც აშკარად მოეწონა. მან შორს მოისროლა შოლტი, ისკუპა და ერთი ნახტომით ყელზე შემოეჭდო შარლოტას.

შარლოტამ მაგრად ჩაიხუტა გულში და აკოცა.

- შენ წაგიყვან, - თქვა მან, - შენ, შენ და სხვას არავის!

ეს იყო ხსნა. შარლოტამ შვებით ამოისუნთქა.

შეუხედაობა, რომლისადმი ზიზღსაც მთელი საღამო ებრძოდა და თან ცდილობდა, მასში სარგებლობა და სიკეთე დაენახა, ჯანდაბის იქით ყოფილიყოს თავისი დადებითი მხარეებით. შარლოტამ არ იცოდა, რას ეტყოდნენ ბარონი და ბარონესა, მაგრამ ეს სწორედ ის ბავშვი იყო, რომლის გულისთვისაც აქ ჩამოვიდა.

უცებ უკან დაიხია, მისკენ მუშტებდაკუმშული ბარონი ადრიანი მოიწევდა: თვალები დასისხლიანებოდა „რქებმომარჯვებული ხარისგან ვერ გაარჩევ, საცაა ზედ წამოგაგებსო“, - გაიფიქრა შარლოტამ.

ამ დროს მათ შორის ბარონესა ჩადგა; მისი ხმა, როგორც ყოველთვის, წყნარი და უშფოთველი იყო, მაგრამ საკმაოდ მტკიცე:

- შენ თუ ამ ბავშვს წაიყვან, შარლოტა, ჩვენ, მეც და ჩემი ქმარიც, მთელი სულითა და გულით მადლობელი დაგრჩებით.

- მე - მადლობელი?! - დამცინავი ღიმილით შესძახა ბარონმა.

ბარონესა კი თბილი, გულში ჩამწვდომი ხმით განაგრძობდა:

- დიახ, მე მადლობელი ვიქნები შენი, შარლოტა, იმისთვის, რომ არ მომიწევს, შეველიო ერთ-ერთ ჩემს საყვარელ ქალიშვილს, ადრიანი კი უფრო მეტად იქნება შენგან დავალებული იმიტომ, რომ დაუშალე, ისეთი რამის ჩადენა, რაც სანანებლად ექნებოდა მთელი სიცოცხლე.

იქნებ სიმართლემ, რომელიც ცოლის სიტყვებში ენიშნა, ან იქნებ გაოცებამ, რომ ბარონესამ მის წინააღმდეგ გამოლაშქრება გაბედა, დაამუნჯა ბარონი ადრიანი. ასე იყო თუ ისე, პირი იბრუნა და უსიტყვოდ გავიდა სამზარეულოდან.

ბაზრობების მოციქული

განა რა შეიძლება იყოს იმაზე სანუკვარი, როცა დილით პაწია ფეხების ბაკიბუკი გაღვიძებს. ბავშვი ტუსტუსით მოჰყვება შორენკეცის ღუმლის დასანთებად შემოსულ მოახლეს. ქვეყანაზე რა შეიძლება იყოს უფრო სასიამოვნო? წევხარ გატრუნული, თვალებდახუჭული, მერე კი გრძნობ, რომ ნორჩი ქმნილება, რომელიც არაფრად აგდებს ჩურჩულით ნათქვამ გაფრთხილებას - არ შეაწუხოს მძინარე ადამიანი, ჯიუტად ქაჩავს საბანს, რომ ლოგინში შემოგიძვრეს. ანდა რა მხიარული, რა გამარჯვებული შეძახილი გაისმის, როდესაც ხელებს გაიწვდი და ეხმარები პატარა ონავარს, ამოცოცდეს ლოგინზე. ახლა, როდესაც დაგეძგერება და ცივ, ახალდაბანილ ხელებს ლოყებზე გიტყაპუნებს, გჩქმეტს, ტლინკაობს და გკოცნის? რა გინდა, რომ ქნა? მხოლოდ ის, რომ იცინო მასთან ერთად და ინეტარო! იწყებ ტიკტიკს ბავშვურად, ენამოჩლექით და თან იგონებ უამრავ უცნაურ მოსაფერებელ სახელს. სულაც არ არის საჭირო, მოახლემ ბოდიში გიხადოს, რომ ბავშვს ოთახში შემოსვლის ნება მისცა: მთელი დილა პატარა ერთ ამბავში იყო და სულ იმას ითხოვდა, შეეშვათ ლამაზ მანდილოსანთან, რომელიც გუშინ ნახა და სამაგიეროდ პირობას იძლეოდა, კარგად მოვიქცევი, თაგვივით გავიტრუნები და არავის შევუშლი ხელსო.

საძინებლიდან გასვლისას მოახლე ცდილობს, გაიყვანოს ბავშვიც, გაგიგონია! ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ცუგრუმელა, რომელსაც, ალბათ, ეშინია, გარეთ არ გამაგდონო, საბნის ქვეშ ძვრება და თავს იმძინარებს, მაგრამ საკმარისია, მოახლემ კარი

გაიხუროს, რომ გოგონა იღვიძებს და კვლავ ტიტინს იწყებს. რაღაცას ჰყვება მამამისზე, მაგრამ ისე არეულ-დარეულად, რომ შარლოტა ვერ მიმხვდარა, რისი თქმა უნდა. რა უჭირს მერე! ბავშვის ხმის სინაზე და მომხიბლაობაც საკმარისია იმისთვის, რომ დაიპყროს შარლოტას გული.

ცეცხლი მხიარულად გიზგიზებს ღუმელში, მოახლე კვლავ შემოდის და ლანგრით ყავა შემოაქვს. მას ოჯახის დიასახლისი მოჰყვება უკან, პატარა, ჩათქვირებული ბარონესა, რომელიც იმის გასაგებად მოვიდა, როგორ ეძინა სტუმარს. იგი ყავას ასხამს, ერთ ფინჯანს შარლოტას აწვდის, მეორეს თვითონ იღებს, ღუმელთან ჯდება და ბაასს იწყებს.

გოგონა მიყუჩდა, მაგრამ კვლავ იმის შიშით, გარეთ არ გამაგდონო, მაგრად ჰკიდებს შარლოტას ხელს. ბავშვი მალე მართლაც იძინებს, მისით აშკარად მოხიბლული შარლოტა წევს და ათვალიერებს მის ავარდისფრებულ სახეს. შარლოტას თავის თავზე ეცინება - როგორ შეძლო ამ პატარა ბოშა გოგომ ასე სწრაფად მისი, შარლოტას, შეყვარება და დამორჩილება. რაც შეეხება ბარონესას, მას უნდოდა ეთქვა შემდეგი: შარლოტა ნურც იფიქრებს უახლოეს დღეებში ჰედებიუდან წასვლას. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ თვით ბარონესას და ოჯახის სხვა წევრებსაც სულითა და გულით სურთ, სტუმარი მათთან დარჩეს და შეუმსუბუქოს მათ განმარტოებული ცხოვრება. და ნაწილობრივ იმიტომაც, რომ შარლოტამ ადროვოს ბარონესას, წასვლამდე შეუკვეთოს ბავშვს შესაფერისი ჩასაცმელ-დასახური. რაც უნდა იყოს, ის ხომ ფროიკენ ლიონვენშოლდია, და აუცილებლად ესაჭიროება რამდენიმე სამგლოვიარო კაბა, რამდენიმე წყვილი ქვედა საცვალი, რომ არც ისე ცუდად იყოს შემოსილი, როდესაც „ტბის აგარაკზე“ ჩავა.

განა ეს მომხიბლავი სიახლე არ არის, რომ დღეში რამდენ-ჯერმე გიხმობს საბავშვო ოთახში პატარა ტირანი, რომელსაც მოენატრე. ბავშვებს, ალბათ, გასაოცარი ალღო აქვთ. ამ პატა-რა გოგონამ იმთავითვე შეამჩნია, რომ შენც ცხენების ისეთივე ტრფიალი ხარ, როგორც თავად. ისიც შენიშნა, რომ შენსავით არავის ეხერხება გადაბრუნებულ პატარა სკამში შებმულს ჭენე-ბა, არავის ეხერხება სადავის ხელში ისე დაჭერა, რომ ოჩანი ცხენიც დაიმორჩილოს, არავინ ჩერდება მისი „ტპრუსა“ და ენის წრუპუნის გაგონებაზე ისე მორჩილად, როგორც შენ. სასაცი-ლოა და თან სევდის მომგვრელიც, რომ ასეთი პატარა გი-ზიარებს ბოშური მომთაბარე ცხოვრების საიდუმლოებებს, ერ-თობა თამაშით, რომელშიც ერთ სკამს ეკებიუ ეწოდება, მეორეს კი - ბიორნე. ის კი დადის ფორნით ამ სკამებს შორის, კითხუ-ლობს, სამუშაო ხომ არ არისო და პასუხად უხეშობასა და უარს იღებს?! მერე საქმის დიდი ცოდნით მსჯელობს, სად უფრო სარ-ფიანია სამუშაოს შოვნა!

მაგრამ ყველაზე დამატყვევებელი, ვგონებ, მაინც ის არის, ხედავდე, როგორ მიაგდებს თითის სიგრძე ბავშვი სადავეებს, როგორ უცებ მიანებებს თამაშს თავს, ფანჯარასთან დგება და ელოდება იმას, ვინც სამუდამოდ მიატოვა თავისი შვილი. ბავშვი ასე დგას საათობით, მამის ნახვის ნატვრით გამწარებულს არ ეყურება არც დაპირებები, არც დარიგება. თვალებზე ცრემლი გადგება იმის შემხედვარეს, როგორ მიჰკვრია ფანჯრის მინას, როგორ მიუფარებია პაწაწა ხელები სახეზე ისე, რომ არავინ დაინახოს. და ფიქრობ შენთვის, რა ნაკლიც უნდა ჰქონდეს ამ უბედურის შვილს, სიყვარული იცის, როგორიც უნდა, ეს უდა-ვოა. რა შეიძლება იყოს ამაზე უფრო მნიშვნელოვანი, თუკი დარწმუნებული ხარ ამაში!

იმის მიხედვით თუ იმსჯელებ, რა ნაირგვარ გასართობებსა და თამაშს იგონებს გოგონა, ის ჭკუა-გონებითაც უხვად უნდა იყოს დაჯილდოებული ბუნებისგან. და მართლაც, ეს მისი დამსახურებაა, რომ ჰედებიუში დღეები აღარ არის ისე გულისგამაწვრილებლად ერთფეროვანი და მოსაწყენი, რადგან, სიმართლე ითქვას, ამ ძველებურ კარ-მიდამოში დაღვრემილობა ხშირი სტუმარია.

ამის მიზეზი კი მხოლოდ და მხოლოდ ბარონი ადრიანია. იგი ჯუჯღუნა, მუდამ ყველასი და ყველაფრის უკმაყოფილოა, ეს ძალიან შემაწუხებელია მისი ოჯახისთვის და ამ სახლში უფრო საამო იქნებოდა ყოფნა მისი მუდამ მოღუშული პატრონის გარეშე.

ჰედებიუში შარლოტას ჩამოსვლის მეორე დღეს ბარონმა გამოუძახა სწორედ იმ მმართველს, რომელიც შინაურ კაცად ითვლებოდა ბოშათა სადგომებში ვერმლანდის ჩრდილოეთ სამრეველოებში. უბრძანა, შეება იორან ლიოვენშოლდის ჩალისფერი ჯაგლაგი ცხენი და ჩაბინძურებულ ბოშათა ფორანსა და მის შიგთავსთან ერთად ჩრდილოეთისკენ გამგზავრებულიყო. პირველ ყოვლისა, მმართველს უნდა მიეტანა ეს უბადრუკი მემკვიდრეობა ბარონ ადრიანის ძმის ქვრივთან; შემდეგ უნდა შეეტყობინებინა ქალისთვის, რომ მისი ქმარი, ბოშათა ბარონი, თხრილში გაიყინა და ბოლოს ისიც ეთქვა, რომ მისი გოგონა გასაზრდელად ნათესავებმა აიყვანეს.

რამდენიმე დღის შემდეგ შიკრიკი დაბრუნდა და ბარონმა უთხრა შარლოტას, როგორც ჩანს, მმართველმა შეატყო ბავშვის დედას, რომ კმაყოფილია გოგონას თავიდან მოშორებითო. ამიტომ იგი, ბარონი ადრიანი, ფიქრობს, რომ შარლოტას შეუძლია გოგონა თავისად ჩათვალოს, მაგრამ იმას კი ურჩევს ბიძაშვილს, ჯერჯერობით არ მიიღოს არავითარი ზომები და შემდგომ-

ში კანონიერად დაიმტკიცოს ბავშვი შვილად, თანაც არ უნდა დაივიწყოს, რომ ამ მათხოვარ ბავშვს ცუდი მემკვიდრეობა აქვს და შეიძლება ერთი თვის შემდეგ შარლოტა იძულებული გახდეს, გოგონა დედასთან დააბრუნოს.

ამრიგად, ამ საქმეში ბარონი ადრიანი სავსებით ზრდილობიანად იქცეოდა, თუმცა, მაინცდამაინც დიდად არ ცდილობდა, დაეფარა უკმაყოფილება. საბედნიეროდ, ბარონი ადრიანი მხოლოდ სასადილო მაგიდასთან გამოჩნდებოდა ხოლმე. მაგრამ მაშინაც კი არ იყო ადვილი, სასაუბრო თემის გამონახვა ისე, რომ არ გაეწყვიტა ლაპარაკის ძაფი დამცინავი სიცილით ან გამკილავი შენიშვნებით.

ვინც თვითონ უზომოდ ბედნიერია ცოლქმრულ ცხოვრებაში და ვისაც თანდაყოლილი მიდრეკილებაც აქვს, დაეხმაროს სხვებს და მშვიდობიანად მოაგვაროს ყველა საქმე, გაუჭირდება შეურიგდეს საქმის ამგვარ ვითარებას ისე, რომ ოდნავ მაინც არ შეეცადოს მის გამოსწორებას. მაგრამ ამჯერად ყველა ცდა ამაო გამოდგა. მეტისმეტად მწარე იყო ის ოინი, რომელიც იორან ლიოვენშოლდმა ძმას უყო უკანასკნელი შეხვედრისას. ბარონი ადრიანი ვერ urიგდებოდა იმას, რომ წაართვეს ოცნება შურისძიებაზე, რომელსაც ასე ესათუთებოდა.

მაგრამ რაც უფრო მეტად გრძნობდა შარლოტა თავის უძლურებას ბარონ ადრიანის წინაშე, მით უფრო დიდი მონდომებით ცდილობდა, შეემსუბუქებინა ის ტვირთი, რომელიც მის ცოლსა და მცირეწლოვან გოგონებს ლოდად აწვა. როგორც ჩანს, მარტო იმის გაფიქრება, რომ შარლოტა მათი სტუმარია, ძალასა და სიმშვიდეს მატებდა ბარონესას და ნელ-ნელა შარლოტამ იმდენს მიაღწია, რომ მაგიდასთან ხუმრობა და სიცილი გაისმოდა, საღამოს, ბუხართან კი ზღაპრებსა და სხვადასხვა საინტერესო ამბავს ჰყვებოდნენ. შარლოტა მოთავე გახდა გორაკიდან ციგე-

ბით სრიალისა, ეპატიჟებოდა ბარონესასა და მის ქალიშვილებს შორს სასეირნოდ მარხილით, რომელშიც მისი დასვენებული ცხენები შეებათ. შარლოტამ შეაგულიანა ბარონესა და გააბედვინა კლავესინზე ჰენდელისა და ბახის რამდენიმე პატარა ნაწარმოების შესრულება; ხოლო როცა სტუმარმა მიაკვლია, რომ ხუთივე წითურთმიან გოგონას სასიამოვნო ხმა ჰქონდა, იმდენი ქნა, რომ გულგამხნევებული ბავშვები ფორტეპიანოს ირგვლივ დადგნენ და ბარონესას აკომპანემენტით დააგუგუნეს: „მალე მოდი, გაზაფხულო, მხიარულო მაისო!“

ბოლოს ის დღეც დადგა, როდესაც გაირკვა, რომ ბოშა გოგონასთვის უკვე საკმარისად შეუკერავთ ნაირ-ნაირი კაბები, საცვლები, ქვედაკაბები და ბარონესასაც აღარ გაუწევია წინააღმდეგობა შარლოტას შინ გამგზავრებისთვის. მისი წასვლა სხვა მიზეზითაც იყო აუცილებელი - იმ დღიდან, როდესაც შარლოტა ჰედებიუში ჩამოვიდა, მშვენიერი მზიანი ამინდები იდგა. თოვლის უზარმაზარმა ნამქერმა დაიწია, იმ გზაზე კი, რომელიც ბრუს ეკლესიისკენ მიემართებოდა, აქა-იქ ლილო გაჩნდა. მართალია, ტბა ლიოვენი ჯერ კიდევ დაფარული იყო ყინულის სქელი და მაგარი ფენით, მაგრამ მის ზედაპირზე უკვე მოჩანდა წყლის გუბეები; მარხილთა კავების ნაკვალევი კი, სულ ახლახან ტბას ყველა მიმართულებით რომ კვეთდა, ერთბაშად გამქრალიყო, შარლოტას გამგზავრების გადადება აღარ შეიძლებოდა. იგი უნდა წასულიყო, სანამ სამარხილე გზა კიდევ არსებობდა.

წასვლის წინადღეს ბარონესამ შესთავაზა შარლოტას ბრუს სასაფლაოსკენ გასეირნება და იმ საგვარეულო აკლდამის დათვალიერება, რომელზედაც ამდენს ლაპარაკობდნენ. შარლოტაც მაშინვე დათანხმდა და ნასადილევს, რომელიც ჰედებიუში პირველის ნახევარზე იშლებოდა, გზას გაუდგნენ. გასავლელი მან-

ძილი დიდი არ იყო, მაგრამ გამდნარმა თოვლმა გზა გააფუჭა - ფეხი ცურავდა და სიარული ჭირდა. თუმცა, ეს უსიამოვნება აღარავის ახსოვდა, იმდენად საამო იყო გასეირნება მზით გაკაშკაშებულ არემარეში, იმდენად სანუკვარი იმის შეგრძნება, რომ გაზაფხულის თბილი სიო კვლავ ლოყებს ესალბუნებოდა, იმდენად სასიხარულო ტოროლების პირველი წკრიალა კრიმანჭულის გაგონება მაშინ, როდესაც ველ-მინდვრებს ჯერ კიდევ თოვლის საფარი მოსავდა.

გზად ბარონესამ ფრიად საჩოთირო თემაზე ჩამოაგდო სიტყვა, ლაპარაკი წამოიწყო კარლ-არტურ ეკენსტედზე. და თუმცა ბარონესამ დაინახა, რომ ამ სახელის ხსენებაზე შარლოტა შეცბა, მაინც ჯიუტად განაგრძო თავისი. იგი ცდილობდა, შარლოტაში სიბრალული გამოეწვია. შარლოტაში, რომელიც ასე მდიდარია და რომელსაც ქმარი არაფერზე უარს არ ეუბნება!

შარლოტამ ოდნავ მხრები აიჩეჩა. რა თქმა უნდა, ეს მართალია! იმაზე უკეთესი ქმარი, ვიდრე მას ჰყავს, არავის ეყოლება, მაგრამ სწორედ იმიტომ... პოლჰემის ძველი სახერხი მანქანა ჯერ კიდევ არსებობს „ტბის აგარაკზე“. შარლოტა უფრთხის ძველის გახსენებას. აგერ უკვე ოთხი წელიწადია არ მიუცია საკუთარი თავისთვის უფლება კარლ-არტურზე ფიქრისა, მით უმეტეს, მისთვის დახმარებისა. შარლოტა შეეცადა, ლაპარაკი სხვა საგანზე გადაეტანა.

ბარონესას, როგორც ყოველთვის, წინააღმდეგობა არ გაუწევია, მაგრამ, როდესაც საფლავის დიდი ქვის სარკოფაგს მიუახლოვდნენ, შემთხვევით ისარგებლა და შარლოტას ის ადგილი აჩვენა, საიდანაც მალვინა სპააკმა იმ ავბედითი ბეჭდის აკლდამაში ჩაშვება მოახერხა, და დასძინა:

- ხომ მართალია, რომ ის ქალი, რომელიც ახლა კარლ--არტურს დაჰყვება, სწორედ იმ მალვინა სპააკის ქალიშვილია?

- დიახ, რა თქმა უნდა, ის არის! - უპასუხა შარლოტამ, - იმიტომაც ენდო კარლ-არტური ასე უსაზღვროდ, მაგრამ ნუ ვილაპარაკებთ ამ ადამიანებზე! მათი გულისთვის მე ბევრი ჭირი გამოვიარე.

ბარონესა გაჩუმდა. შარლოტას უცებ გული აუჩუყდა: „მიყუროს კაცმა! - გაიფიქრა, - მე ხომ ახლა ისევე ვიქცევი, როგორც მისი ქმარი; არ ვაცლი ლაპარაკს“.

- ვხედავ, რაღაც გაქვს გულში და გინდა გამიზიარო, - უთხრა ბარონესას.

ქალმა იმწამსვე გააგრძელა ლაპარაკი. შარშან, შემოდგომაზე, ბრუბიუში იყო, ბაზრობაზე, რომელიც ერთ კვირას გრძელდება ხოლმე და რომელზედაც ათასობით ადამიანი ჩამოდის. ფარდულებს შორის სიარულისას გაიგონა, როგორ წამოიწყო ქალის ხმამ ფსალმუნი. იმდენად უცხოდ გაისმა ეს სიმღერა ბაზრობის აურზაურში, რომ უნებლიეთ შეჩერდა და სმენად იქცა. ხმა სულაც არ იყო ლამაზი, მაგრამ ისე ძლიერად ჟღერდა, რომ ყურთასმენა მიჰქონდა. რაკი არ იცოდა, ვინ იყო ეს მომღერალი, მალე მოსწყინდა არაკეთილხმოვანი სიმღერის მოსმენა და გადაწყვიტა, გზიდან გადაეხვია, მაგრამ ეს არც ისე ადვილი იყო.

სიმღერის გაგონებაზე ხალხი ამ ადგილისკენ გამოემართა. ადამიანები მორბოდნენ და თან იცინოდნენ, თითქოს ეს სიმღერა იყო შესავალი რაღაც უჩვეულოდ მიმზიდველი საბაზრო გასართობისა. მჭიდროდ შეჯგუფებული ხალხის შუაგულში ამოყო თავი და ვერაფრით მოახერხა იქიდან გამოსვლა, პირიქით, მუჯლუგუნებით წინ წასწიეს და მალე მომღერალი ქალის პირდაპირ აღმოჩნდა.

ქალი იდგა ჩვეულებრივ ბოშათა ოთხთვალაზე, რომელშიც ჭუჭყისგან გაშავებული ბოხჩების გროვა ეყარა. შეუხედავი იყო და უშნოდ ჩასუქებული; ვერ გაარკვევდით, ახალგაზრდა იყო თუ

ბებერი, რადგან ტანთ გრძელი, დაბამბული, დაკემსილ--დაკერებული და, ალბათ, ძალიან თბილი სალოპი ეცვა. თავზე დიდი უხეში შალი წამოეხურა, რომლის ბოლოები გადაეჯვარედინებინა და ზურგზე უზარმაზარ კვანძად შეეკრა. ქალი თავის ფარდულთან გაჩერებულ მემწვანილეს ჰგავდა. სულ არ ცდილობდა, ოდნავ მაინც კოხტად გამოჩენილიყო.

მსმენელებმა მომღერალს ფსალმუნი არ დაამთავრებინეს და შეუძახეს, კივილი შეწყვიტეო. რაკი ქალი არ გაჩერდა, რამდენიმე ონავარმა გამოჯავრება დაუწყო. მაშინ მომღერალი დადუმდა, ხალხს ზურგი შეაქცია და ოთხთვალაში ჩაყრილ ბოხჩებს შორის მოკალათდა. ასე იჯდა ჩუმად, თან აქეთ-იქით ქანაობდა და მომეჩვენა, რომ სიცივისა და შიშისგან კანკალებდა.

ამასობაში ოთხთვალაზე ვიღაც კაცი შეხტა და ლაპარაკი დაიწყო. იმ წუთიდან სულ გადამავიწყდა მომღერალი ქალი. კაცს გრძელი, ჭაღარაშერეული წვერი ჰქონდა და როდესაც შავი, ფართოფარფლებიანი ქუდი მოიხადა, დაინახა მისი მელოტი თავი; მაშინვე მიხვდა, რომ ეს კარლ-არტურ ეკენსტედი იყო. დიახ, კარლ-არტური, სწორედ ის გახლდათ. თუმცა კი ძალიან გამხდარი და ქანცგაწყვეტილი. ადრინდელი სილამაზის ნატამალიც არ შერჩენოდა, მაგრამ მაშინვე იცნო ხმით და იმ ჩვეული მოძრაობით, როცა მძიმე ქუთუთოები დაბლა დახარა. ესეც არ იყოს, ისედაც ხომ იცოდა, რომ კარლ-არტური სწორედ ასეთი დადიოდა ამ არემარეში და ყველგან, სადაც კი ხალხის თავყრილობა იმართებოდა, ქადაგებდა ხოლმე.

- მაგრამ არ იფიქრო, შარლოტა, - განაგრძო ბარონესამ, - რომ კარლ-არტური არიგებდა ან სერიოზულად ესაუბრებოდა ხალხს. ლაპარაკი ბიბლიიდან ამოღებული რამდენიმე გამონათქვამით დაიწყო, შემდეგ კი ლანძღვის მეტი არაფერი გაუკეთებია. იფიქრებდით, იმთავითვე საშინლად არის გაბრაზებუ-

ლიო. მქადაგებელი ყვიროდა და რაღაცაში ამტყუნებდა ყველას. გაცოფებული იყო, რომ ხალხი მისი ირგვლივ მხოლოდ იმისთვის შეიკრიბა, რომ ხარხარით გული ეჯერებინა. ვიღაც გლეხის ქალი მიწასთან გაასწორა მხოლოდ იმიტომ, რომ მეტისმეტად მდიდრულად ეცვა, შემდეგ პატარა ბიჭი ამოიჩემა და დატუქსა, რატომ ხარ ასე სქელი და ლოყებღაჟღაჟაო. ვერ გაიგებდი, რისი გულისთვის გესლავდა ხან ერთს და ხან მეორეს ამ მილეთ ხალხში, ჩანს, კაცთმოძულეობის ჩაუქრობელი ცეცხლი გიზგიზებდა მის სულში, ყველა და ყველაფერი ეზიზღებოდა.

კარლ-არტური იდგა მუშტებშეკუმშული და ისეთი ძალით ისროდა სიტყვებს, რომ მისი სიტყვები სეტყვასავით ურტყამდა ადამიანებს. ბარონესა, რა თქმა უნდა, ვერ უარყოფდა, რომ კარლ-არტურს თავისებური წარმატებაც სდევდა თან. მის ირგვლივ უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი და ორატორის ყოველი სიტყვა შეუკავებელ ხარხარს იწვევდა. ადამიანები თითქოს არაფრად აგდებდნენ იმას, რომ ყოფილი მღვდლის მიზანი სულაც არ იყო ქადაგებით მათი ახარხარება.

ბარონესასთვის, რომელიც კარლ-არტურს დიდი ხანია იცნობდა, ყველაზე გასაოცარი მაინც ის იყო, რომ მქადაგებელი ბოღმანარევი გესლით იხსენებდა სიღარიბეს - სწორედ იმ სიღარიბეს, რომელსაც უწინ ქება-დიდებას ასხამდა. გაშმაგებული უჩვენებდა მოსეულ ბრბოს საკერებლებს თავის დაკონკილ ტანსაცმელზე და წყევლიდა ყველას, ვინც ეს სიღარიბე თავს დაატეხა. განსაკუთრებით აუგად იხსენიებდა მამასა და დებს. გარდაცვლილი დედის მემკვიდრე ხომ ის უნდა გამხდარიყო და ახლა მდიდარი კაციც იქნებოდა, მაგრამ მამამ და ფარისეველმა, ხარბმა დებმა უკანონოდ ჩამოართვეს მისი წილი მემკვიდრეობა.

- ვერ დავიჯერებ ვერასოდეს! არ იქნებოდა კარლ-არტური, - შეაწყვეტინა სიტყვა შარლოტამ.

- კი მაგრამ, მამასა და დებს სულ სახელებით იხსენიებდა. სხვა ვინ უნდა ყოფილიყო?

- ჭკუიდან შეშლილა და ეგ არის.

- არა, ჭკუიდან არ შეშლილა. მის ნათქვამში სადღაც საღი გონების ნაპერწკალი მაინც ღვიოდა. მე ვიტყოდი, რომ კარლ--არტური სულ სხვა ადამიანი გახდა, სულ სხვა. ისიც კი დაიკვეხა, არ მოვინდომე, თორემ ეპისკოპოსი გავხდებოდიო. ამაზე რაღას იტყვი? ქვეყანაზე ჩემზე უკეთესი მქადაგებელი ძნელად მოიძებნებაო. ბოროტ ადამიანებს ჩემთვის ხელი რომ არ შეეშალათ, არქიეპისკოპოსადაც მაკურთხებდნენო. წარმოიდგინე, როგორი მხიარული აღტაცებით შეჰყურებდა უსაქმურთა ბრბო ამ ჩამოძონძილ, გაძვალტყავებულ კონკიაჟღარუნას, რომელიც ირწმუნებოდა, შემეძლო ეპისკოპოსი გავმხდარიყავიო. ერთი სიტყვით, ხალხი სიცილით იხოცებოდა, მე კი ერთი სული მქონდა, იქაურობას სასწრაფოდ გავცლოდი.

ბარონესა წუთით დადუმდა და შარლოტას მიაჩერდა. იგი შუბლშეჭმუხნილი, ოდნავ გვერდზე მიბრუნებული იდგა, თითქოს უკმაყოფილო, რომ დააძალეს ისეთი ამბის მოსმენა, რომელმაც ცუდ გუნებაზე დააყენა.

- იმასღა დავუმატებ, - ამოიოხრა ბარონესამ, - რომ, როდესაც კარლ-არტურმა აუწყა მსმენელთ, შვედეთის ეპისკოპოსობას სულ ცოტა მაკლდაო, მის ფერხთით ოთხთვალაში მჯდარმა ქალმა ჩაიქირქილა, მობრუნდა და მთელი თავისი მრისხანება ახლა ამ ქალისკენ მიმართა. ფეხი ძალუმად დაჰკრა ოთხთვალას ფიცრებს და შეეკითხა, როგორ გაბედე სიცილი მთელი ამ უბედურების წამომწყებმა და მიზეზმა; შენ, რომელმაც დამაცილე მშობელ დედასა და საცოლეს; შენ, ვისი მიზეზითაც პასტო-

რობიდან გადამაყენეს და ვის გამოც წამერთვა უფლება, ვიქა-
დაგო ეკლესიის თაღებქვეშ; შენ, ვინც კისერზე მაზიხარ და დღე-
ნიადაგ გველივით გესლს აწვეთებ ჩემს ჭრილობებს და, ალბათ,
მანამდე არ მომეშვები, სანამ დანას არ გაგიყრიო.

ბარონესა კვლავ გაჩუმდა, თითქოს იმის გასარკვევად, ამ
სიტყვებმა მაინც თუ გამოიწვიეს სტუმრის შეშფოთებაო, მაგრამ
შარლოტა არ განძრეულა. არც სიტყვით, არც მოძრაობით არ
გაუმჟღავნებია დაინტერესება მონაყოლისადმი და მისი გულ-
გრილობით გაგულისებულმა ბარონესამ სეტყვასავით დააყარა
სიტყვები:

- ბრალდებების ჩამოთვლისას კარლ-არტური მაღალფარ-
დოვნად ლაპარაკობდა; შენ კი იცნობ, რაც არის. ბრალდებულს,
ჩანს, არაფერი აღელვებდა, რადგან კარგა ხანს გაჩუმებული იჯ-
და. მერე, ეტყობა, რომელიღაც სიტყვა შიგ გულში მოხვდა და
პასუხიც არ დააყოვნა, ნამდვილი ჩხუბი გაიმართა. ენა არ მო-
მიბრუნდება, გავიმეორო ის უშვერი სიტყვები, რომლებითაც ერ-
თმანეთს ლანძღავდნენ! პირდაპირ საშინელება იყო! ყველა ინ-
ტიმური წვრილმანი სააშკარაოზე გამოიტანეს. ისეთი შთაბეჭდი-
ლება იქმნებოდა, რომ მზად იყვნენ, ცემა-ტყეპაზე გადასულიყ-
ვნენ. მართლაც შემეშინდა, ამის მოწმე არ შევიქნე-მეთქი. თავა-
დაც არ ვიცი, როგორ გავიკაფე გზა ხალხში, რომელიც არაფერს
დაეძებდა, ოღონდ კი ეცინა, და იქაურობას გავეცალე, მაგრამ
იმ დღიდან, ჩემო შარლოტა, იმ ორ საცოდავ, უბედურ ადამიანზე
ფიქრი მოსვენებას არ მაძლევს. ალბათ, ახლაც დაეხეტებიან
თავიანთი ფორნით. კარლ-არტურის მამა და დები კი ცოცხლები
არიან და შენც, შარლოტა...

- არაფერი მესმის, - სიტყვა გააწყვეტინა შარლოტამ. ხმაში
უკმაყოფილება ეტყობოდა, თითქოს იმის თქმა უნდოდა, მონა-
ყოლში ბევრ რამეს გაზვიადებად და მონაგონად ვთვლიო, - მე

ვნახე კარლ-არტური ამ ოთხიოდე წლის წინ - უხეშ მაუდში გამოწყობილი გადაცმულ უფლისწულს ჰგავდა მაინც. ოთხ წელიწადში ისე როგორ დაეცა ყოველნაირად, რომ თავის თავს აღარ ჰგავს!

- კი მაგრამ, ტანჯვას არ აგდებ სათვალავში, შარლოტა? განა დაგავიწყდა ყველა ის გაწბილება და დამცირება, რაც გადაიტანა? წარმოიდგინე, რაა მისთვის ამ ქალთან ცხოვრება! უიმედობა, საკუთარი თავისადმი მწარე საყვედურები. აბა, გაიხსენე ეს ყველაფერი! ისიც გაიხსენე, რომ კარლ-არტურ ეკენსტედი მთელი ცხოვრება ისეთივე ჭაპანს ეწეოდა, როგორსაც ჩემი მაზლი ბოშათა ბარონი! ბოლოს შეიძლება ადამიანიც შემოაკვდეს! თუკი ოდესმე გყვარებია...

- თუკი, - ჩუმი ხმით თქვა შარლოტამ, - თუკი ოდესმე...

უეცრად ნაბიჯს აუჩქარა, უკანმოუხედავად ჩაუარა სასაფლაოს, ჩავიდა დაბლა და დაადგა ჰედებიუსკენ მიმავალ გზას. ტუჩს კბილები დააჭირა, რომ არ ეყვირა, არა, როგორ ეგონა, რომ სამუდამოდ დაივიწყა ეს ადამიანი, ახლა კი, აი, კვლავ ამოტივტივდა - გაუბედურებული, დაჩაჩანაკებული, და კვლავ მოწყალების მისაღებად უხმობს თავისი მწარე ხვედრით არარადქმნილი.

ჰედებიუმდე გზა მანდილოსნებმა თითქმის ცალ-ცალკე გაიარეს. შარლოტა წინ მიდიოდა, მისი სტუმართმოყვარე დიასახლისი კი შორიახლო მიჰყვებოდა. არც ერთს სიტყვა არ დასცდენია.

მაგრამ სახლისკენ მიმავალი ხეივნის დასაწყისში შარლოტა შეჩერდა და ბარონესას მოუცადა. მან სევდიანად გაიღიმა, თავი გადააქნია და სულ სხვა რამეზე წამოიწყო საუბარი.

- იცი, - ოდნავ ნაძალადევი მხიარული კილოთი თქვა შარლოტამ, - ხომ ერთი საათიც არ იქნება, რაც სახლიდან წამოვედით და გული ამიჩქროლდა სიხარულისგან, რომ ისევ უკან

ვბრუნდებით. ახლა ხომ ხვდები, როგორ დაიპყრო ჩემი არსება ამ ღატაკმა ბოშა გოგონამ. ნამდვილად მენატრება მისი ნახვა.

ქალები ხეივანს მიჰყვებოდნენ. შარლოტა გაფაციცებით ადევნებდა თვალს ბავშვების ოთახის ფანჯარას და ცდილობდა, გაერჩია მინაზე მიკრული პაწაწა სახე. შევიდნენ თუ არა ეზოში, სულ იმის მოლოდინში იყო, საცაა ფართოდ გაიღება კარი, გამოვარდება პაწაწა გოგო, გამდნარი თოვლის გუბეებს ჭყაპაჭყუპს აუყენებს და ჩემკენ გამოქანდებაო.

მაგრამ შარლოტას მოლოდინი არ გაუმართლდა. სამაგიეროდ, მანდილოსნებს ბარონი ადრიანი გამოეგება. მას მგლის ტყავის ქურქი ეცვა, წელზე რამდენიმე წყებად გრძელი, ფერადი ქამარი ჰქონდა შემორტყმული. ისეთი მაღალყელიანი და განიერი სამგზავრო ჩექმები ეცვა, რომ კაცი იფიქრებდა, წინაპრის პორტრეტზე გამოსახული კაროლინურ ყაიდაზე გამოჭრილი ბოტფორტები აცვიაო. ბარონი აშკარად სამგზავროდ გამოწყობილიყო და ქალებისკენ მოიჩქაროდა, რომ ეს ამბავი შეეტყობინებინა. ბარონესა შიშმა შეიპყრო, მათ არყოფნაში სახლში უბედურება ხომ არ მომხდარაო, და შარლოტამ გაიგონა, როგორ აღმოხდა უნებლიეთ:

- აჰ, აჰ, რა მოხდა ნეტავ?!

მაგრამ ბარონმა ადრიანმა წარბები გახსნა და ისე ზრდილობიანად და ხალისიანად დაუწყო მათ ლაპარაკი, რომ, პირიქით, გაფიქრებინებდათ, სასიამოვნო ამბის მომტანი უნდა ყოფილიყო.

- იცით, რა მოხდა! - თქვა მან, - ახლავე მოგიყვებით! ნახევარი საათის წასულებიც არ იქნებოდით, რომ ჭიშკართან ბოშების ფორანი გაჩერდა. იგი ჩვეულებისამებრ გატენილი იყო ბინძური ფუთებით, რომლებზედაც მათი შესაფერისი მამაკაცი და ქალი წამოსკუპებულიყვნენ, ქალი მარხილში დარჩა, მამაკაცი კი კა-

ბინეტში გამომეცხადა და, როგორ გგონიათ, რისთვის? თურმე ნუ იტყვით, იმისთვის, რომ ჩემი ღრმად პატივცემული რძლისთვის ფულადი ანაზღაურება გამეღო, რადგან იგი დაგვთანხმდა, მის ქალიშვილზე მეურვეობა გვეკისრა.

- უყურე შენ! - სიტყვა გააწყვეტინა შარლოტამ, - თუმცა, ასეც იყო მოსალოდნელი!

- მოსალოდნელი იყო, აბა, რა! - დაეთანხმა ბარონი ადრიანი, - მაგრამ ჯერ სადა ხარ! კაცი, რომელიც ჩემთან მოსალაპარაკებლად ჩამოვიდა, ცუდად იყო ჩაცმული და ისე გამოიყურებოდა, როგორც მაწანწალებს შეეფერებოდა. მეც პირველად მოხეტიალე ბოშად შევიცანი, მაგრამ ხმა თითქოს ნაცნობი მომეჩვენა და სანამ ლაპარაკობდა, სულ თავს ვიმტვრევდი, ადრე სად შემხვედრია-მეთქი. მიხრა-მოხრაც სულ არ მიუგავდა ბოშისას.

- ღმერთო ჩემო!

- ვხედავ, მიხვდი, ჩემო ბიძაშვილო, ვინც იყო ის კაცი, მე კი გონებამძიმე გახლავარ და უცებ ვერ მოვიგონე, ვინ უნდა ყოფილიყო. ბრუს ბაზრობაზე რამდენ ბოშას შევხვედრივარ, ვინ იცის, მაგრამ ეს რომელი იყო, ვერაფრით გავიხსენე. ამასობაში აღშფოთებული ვლანძღავდი და ვთათხავდი, რომ ესოდენ უსირცხვილო წინადადებით გაბედა ჩემთან მოსვლა. არც გინება და არც წყევლა არ დამიკლია. ასეთი ყაიდის ხალხს სხვანაირად ლაპარაკი ხომ არ ესმის. ეს რომ ჩვეულებრივი მაწანწალა ყოფილიყო, ჩუმად აიტანდა ჩემს ლანძღვა-გინებას, რაც უნდა იყოს, ჩვენ, ბატონებს, პატივს გვცემენ. ამან კი ძაღლის ყბა გამოიბა და ყველაფერი ჩამოკაკლა, რასაც ჩემზე ლაპარაკობენ. თურმე ძმას ვუმუხთლე, მისი გარდაცვალების ამბავი რძალს არ შევატყობინე და კიდევ ბევრი რამ მაკადრა. ბოლოს ვეღარ მოვითმინე, მუშტი დავარტყი მაგიდას და ვუბრძანე არამკითხეს, გათრეულიყო გარეთ, მაგრამ ამაოდ.

- ის თუ უთხარით, ჩემო ბიძაშვილო, რომ...

- შენ, შარლოტა, ალბათ, გინდა შეიტყო, გავაგებინე თუ არა იმ კაცს, რომ მდიდარ ფრუ შაგერსტრიომს უნდა იშვილოს ბავშვი. არა, აქ კი თავი შევიკავე. ჩემი სტუმარი მაშინ თავს უფლებამოსილად ჩათვლიდა, უფრო მეტი მოეთხოვა ჩვენგან. ის კი არ ცხრებოდა, ლამის მიწასთან მასწორებდა, რაც თითქოს განსაკუთრებულ სიამოვნებას ანიჭებდა. როდესაც იმ ზომამდე მიმიყვანა, რომ ბრაზმორეული მზად ვიყავი კინწისკვრით გამეგდო, უკანასკნელი ფანდი იხმარა; უტიფრად გამომიცხადა, უკეთუ არ გსურს ბავშვის საფასური გადაიხადო, შენთან არც გავაჩერებო.

შარლოტა უსმენდა ყველაფერ ამას და შიში იპყრობდა. სასაფლაოდან ჰედებიუში გზად მომავალს მტკიცედ სწამდა, რომ კარლ-არტურისთვის აღარაფრის გაკეთება არ შეეძლო და რომ შესძლებოდა კიდევაც, არც უნდა გაეკეთებინა. ახლა ნუთუ თავიდან ეწყებოდა საკუთარ თავთან ჭიდილი?

- მაგრამ როგორც კი ამ კაცმა კარი გაიხურა, - განაგრძობდა ბარონი თხრობას, - იმწამსვე თითქოს გონება გამინათდა. მე ხომ ჩემს ბიძაშვილს, დიდად პატივცემულ კარლ-არტურ ეკენსტედს ველაპარაკებოდი! ის და ჩემი ძამიკო, რაღა თქმა უნდა, ბევრ დროს ატარებდნენ ერთად. ეკენსტედიც ხომ ბოშური ფორნით გადადიოდა ადგილიდან ადგილზე! ზამთარში კი, ალბათ, ჩრდილოეთში ცხოვრობს, იქ, სადაც ეს თავაშვებული ნაძირალები არიან დავანებულნი. სავსებით ბუნებრივია, რომ მან იკისრა ფულის გამოძალვა იმ ბოშა ქალის სასარგებლოდ, რომელიც ასე ხელაღებით ითხოვა ჩემმა ძამიკომ.

- რაკი მიხვდით, ვინ იყო თქვენი სტუმარი, ნუთუ ასე იოლად გაუშვით, ჩემო ჰერ?

- არამც და არამც; როგორც კი მივხვდი, ვისთან მქონდა საქმე, მაშინვე მომინდა დაწვრილებით მესაუბრა მასთან. გარეთ გამოვვარდი, მაგრამ მას უკვე მოესწრო მარხილში ჩაჯდომა და ეზოდან გადიოდა, რაც ძალი და ღონე მქონდა, ვიყვირე, კარლ--არტურ-მეთქი, მაგრამ ყურიც არ მათხოვა.

- ახლა გინდა დაეწიოთ?

- კი, დავედევნები, მაგრამ იცი, შარლოტა, შემდეგ რა მოხდა? ხეივნის შუამდე მისულმა კარლ-არტურმა უცებ სადავეს მოსწია. შორიახლო ჩვენი ძიძა გამოჩნდა ბავშვებთან ერთად, ალბათ, თქვენს შესახვედრად მოდიოდნენ. ფორანში მჯდარმა ქალმა იმწამსვე იცნო ჩემი ძმისშვილი და დაუძახა. როდესაც ბავშვი მიუახლოვდა, ქალმა ხელი სტაცა პატარას და მარხილში შეათრია. კარლ-არტურმა ცხენს მათრახი გადაუჭირა და გაქუსლა. ასე და ამგვარად, შეიძლება ითქვას, ჩემ თვალწინ გაიტაცეს ბავშვი და წავიდნენ.

- როგორ, ჩემი გოგონა აქ აღარ არის?

- ვიდექი სულელურ, უმწეო მდგომარეობაში და მაშინვე ვერ დავედევნე. ჩვენი ცხენები შორეული ტყიდან შეშას ეზიდებიან.

- ჩემი ცხენები ხომ აქ არიან?

- რაღა თქმა უნდა, მაშინვე გამახსენდა, რომ ეს ცხენებიც გვყავს, და რამდენადაც შენ ჩემზე ნაკლებად არა ხარ დაინტერესებული ამ საქმით, მეეტლეს ცხენების შებმა ვუბრძანე. სწორედ ამას ველოდებოდი, როდესაც შენ და ამელია შინისკენ მომავალნი დაგინახეთ. ნუ ღელავ! ბავშვი სულ მალე აქ გაჩნდება. ჰა, როგორც იქნა! აი, ცხენებიც!

ის იყო, ბარონი მარხილისკენ გაემართა, რომ შარლოტამ სახელოში ხელი წაავლო.

- მოიცა, ადრიან! თუ ნებას მომცემთ, მეც თქვენთან ერთად წამოვალ!

ბარონს სახე აუჭარხლდა, მაგრამ შარლოტას იმ წრფელი პირდაპირობით უპასუხა, რომელიც ასე ამშვიდებდა ახალგაზრდობაში.

- ნუ გეშინია, ბიძაშვილო. ბავშვს დავაბრუნებ, სიცოცხლის ფასადაც რომ დამიჯდეს! ეშმაკმა დალახვროს, მოსვენება დავკარგე, მთელი კვირა უაზროდ დავბორიალებდი, ვიტანჯებოდი! ხომ უნდა გადაგიხადო სამაგიერო, რომ მადლი მოისხი და გადამაფიქრებინე ამ საცოდავი ბავშვის უკან გაბრუნება.

- ეჰ, ჩემო ადრიან, მარტო ამ გოგონაში არ არის საქმე. ხასიათი მაქვს ასეთი - რაც უნდა ცუდი რამ მითხრან ადამიანზე, ვერ დავიჯერებ. მხოლოდ ახლა, როდესაც კარლ-არტურმა ბავშვის მოპარვა იკადრა, მივხვდი, როგორ დაცემულა. თან წამიყვანეთ, ბარონ ადრიან, კარლ-არტურ ეკენსტედისთვის ორიოდე სიტყვა მაქვს სათქმელი!

გამგზავრება...

სინამდვილეში, ლტოლვილთა ხელში ჩაგდება არც ისე იოლი გამოდგა, როგორც ბარონ ადრიანს ეგონა. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ დიდი მანძილით გაასწრეს მდევრებს, მეორეც - სამარხილო გზა, სრულიად მოულოდნელად, ძალიან გაფუჭებული აღმოჩნდა. შარლოტას ჩინებულ ცხენებს დიდი ჯაფა დაადგათ: იქ, სადაც გზას თოვლჭრელი ფარავდა, მძიმე მარხილს ნაბიჯით მიათრევდნენ. შარლოტას ეჩვენებოდა, რომ ადგილზეა მიჯაჭვული და გამწარებული თვალს არ აცილებდა ბოშური მარხილის ვიწრო კვალს, რომელიც თოვლიან გზის პირს მიჰყვებოდა. ზოგ ადგილას ისინი ჯერ კიდევ თოვლით დაფარულ მინდვრებში გადაუხვევდნენ ხოლმე.

მაგრამ, რაც უფრო სცილდებოდნენ ბრუს ეკლესიასთან მდებარე ფართო ველს, მით უფრო უმჯობესდებოდა სამარხილო გზა და შარლოტასაც იმედი ეძლეოდა, რომ მალე დაიბრუნებდა შვილობილს. გულს ისიც უკეთებდა, რომ სრულიად მოულოდნელად ის და ბარონი ადრიანი დამეგობრდნენ. თვითონაც ვერ გაიგო, როგორ მოხდა ეს. ალბათ, ანაზდად აღმოაჩინეს ერთმანეთში კეთილშობილება და პირდაპირობა. იქნებ ერთმანეთში შეიცნეს ოდნავ თავზე ხელაღებული, მაგრამ ღირსეული ადამიანი, რომელთანაც ურთიერთობა ერთ რამედ ღირს.

ბარონმა უთხრა კიდეც შარლოტას, კიდევ კარგი, იქამდე არ წახვედი ჰედებიუდან, სანამ ასე კარგად არ გაგიცნობდიო.

შარლოტას ასე აშკარად არ გამოუთქვამს თავისი აზრი, მაგრამ, რაკი იმედი არ ჰქონდა, რომ ქმარს დაიყოლიებდა კარლ--

არტურის დახმარებაზე, გადაწყვიტა, ბარონ ადრიანისთვის ეთხოვა ეს ამბავი.

ქალს ამაზე რამდენიმე სიტყვაც არ ჰქონდა ნათქვამი, რომ ბარონმა საუბარი გააწყვეტინა:

- არა, ჩემო ბიძაშვილო, ვერ მოგართვი! არ მსურს მსგავს ადამიანებთან საქმის დაჭერა! და, ღმერთია მოწმე, ყველაზე სწორი ის იქნებოდა, შენც ჩემი მაგალითისთვის მოგებაძა.

შარლოტა, ცოტა არ იყოს, გააკვირვა უხეშმა პასუხმა, მაგრამ მოეჩვენა, რომ მიხვდა ამის მიზეზს.

- თქვენ, ადრიან, ალბათ, აღმაშფოთებლად მიგაჩნიათ, რომ კარლ-არტური, ცოლიანი კაცი, ყველგან სხვის მეუღლესთან ერთად დადის?

- ჰა-ჰა-ჰა! ასეა საქმე? შენ რა, შარლოტა, ფეხადგმულ უმანკოებად მთვლი?! ამაზე სულაც არ მიფიქრია; მანდ სულ სხვა ამბავია. ვერ მივხვდი, რა ეშმაკი შეუჯდა კარლ-არტურს? ნუთუ ვერ ხვდება, რომ ასეთმა თანამგზავრმა შეიძლება ყველას შეაზიზღოს მისი ქადაგებანი?

- მეც მგონია, რომ უპირველესად ეგენი უნდა დავაშოროთ ერთმანეთს.

- დავაშოროთ ერთმანეთსო?! - ბარონი ადრიანი შარლოტას მოუბრუნდა და მხარზე მგლის ბეწვის დიდ, ბანჯგვლიან ხელთათმანში შემალული ხელი დაადო, - ჯალათის კუნძი ან სახრჩობელას ბორცვი თუ დააცილებს მაგათ!

დათვის ფეხსათბუნით შებოჭილი შარლოტა ამაოდ ცდილობდა, თანამგზავრისთვის სახეში შეეხედა.

- თქვენ, ჩემო ადრიან, ალბათ, ხუმრობთ?

ეს შეკითხვა ბარონმა უპასუხოდ დატოვა. მან ქალის მხარს ხელი მოაცილა, მოხერხებულად მიეყრდნო მარხილის ზურგს

და კვლავინდებური მსუბუქი, ნახევრად სარკასტული კილოთი განაგრძო:

- მინდა გკითხო, შარლოტა, თუ გსმენია, რომ ლიოვენშოლდების გვარს წყევლა სდევს თან?

- დიახ, მსმენია, ადრიან, მაგრამ გამოგიტყდებით, ზუსტად არ მახსოვს, რაში იყო საქმე.

- მაღალ საზოგადოებაში ტრიალებ, ჩემო კარგო, და, ალბათ, ფიქრობ, რომ ეს წმინდა წყლის ცრურწმენაა.

- უფრო მეტიც! საერთოდ არ მაინტერესებს ზებუნებრივი მოვლენები, პირწმინდად მოკლებული ვარ მსგავს მიდრეკილებას! ჩემი და კი, მარია-ლუიზა, პირიქით.

ბარონმა ადრიანმა გადაიხარხარა.

- ჰოდა, თუ ასეთისა არაფერი გწამს, მით უკეთესი. დიდი ხანია, მინდოდა მომეყოლა ეს ამბავი და შენს შეშინებას მოვერიდე.

- ფიქრი ნუ გაქვთ, ჩემო კარგო, არ შევშინდები!

- თუ ასეა, მომისმინე, - დაიწყო ბარონმა, მაგრამ უცებ თვითონვე შეწყვიტა ლაპარაკი და მეეტლისკენ გაიშვირა ხელი, რომელიც მის ყოველ სიტყვას გაიგონებდა, - მგონი, აჯობებს, სხვა დროისთვის გადავდოთ ეს საუბარი!

შარლოტა კვლავ შეეცადა, სახეში შეეხედა ბარონისთვის. მის ხმაში ისევ ისმოდა სარკასტული კილო, თითქოს ძველი ოჯახური თქმულება სასაცილოდაც არ ჰყოფნისო, მაგრამ, რაღა თქმა უნდა, მაინც არ სურდა, მეეტლეს მისი მონაყოლი გაეგონა. შარლოტამ მსწრაფლ გაფანტა ბარონის ეჭვები:

- ცუდად იცნობთ ჩემს ქმარს, ბარონ ადრიან, თუ ფიქრობთ, რომ მეეტლეს მანამ დაიქირავებს, სანამ არ დარწმუნდება, რომ მას ყურთ აკლია.

- კარგი მოგონებაა! უსათუოდ მივბაძავ მის მაგალითს. მაშ, ასე, აი, რა მინდოდა მეთქვა: ჩვენ, ლიოვენშოლდებს, ერთხანს მტერი გვყავდა, ვინმე მარიტ ერიკსდოტერი - უბირი გლეხის ქალი. მისი მამა, ბიძა და საქმრო უდანაშაულოდ იყვნენ ეჭვმიტანილნი იმაში, რომ ჩვენს წინაპრებს მოჰპარეს ბეჭედი. სამივე ჩამოახრჩვეს. ბუნებრივია, საბრალო ქალი ცდილობდა, შური ეძია და სწორედ ამ ბეჭდის მეშვეობით. სულ ცოტა დააკლდა, რომ მამაჩემი მისი პირველი მსხვერპლი გამხდარიყო, მაგრამ იგი მალვინა სპააკმა გადაარჩინა - მან მოახერხა მარიტ ერიკსდოტერის კეთილგანწყობის დამსახურება და მისი დახმარებით ბეჭდის დაბრუნება საგვარეულო აკლდამაში.

შარლოტამ მოუთმენლად შეაწყვეტინა ბარონს:

- თუ ღმერთი გწამთ, ნუ იფიქრებთ, რომ ასეთი უმეცარი ვარ, ლიოვენშოლდების ბეჭდის ამბავი მეც კარგად ვიცი.

- მაგრამ ერთი რამ მაინც არ იცი, შარლოტა, და აი, რა: როგორც კი მამაჩემი უკეთ გახდა იმ ნერვული შერყევის შემდეგ, ბებიასთან, ბარონესა ავგუსტა ლიოვენშოლდთან, უცებ გამოცხადდა მარიტ ერიკსდოტერი და მოითხოვა, რომ მის ვაჟს, ესე იგი, მამაჩემს, ფროიკენ სპააკი შეერთო. ირწმუნებოდა, რომ წინა საღამოს ბებიაჩემმა ქალიშვილს ამის პირობა მისცა და მხოლოდ ამ პირობით თქვა უარი შურისძიებაზე მარიტმა. ბებიამ უპასუხა, რომ ასეთ პირობას ვერავის მისცემდა, რადგან იცოდა, რომ მისი ვაჟი უკვე დანიშნული იყო. ბარონესა ავგუსტა მზად იყო, დაესაჩუქრებინა მალვინა სპააკი, რითაც კი მოისურვებდა. რაც შეეხება მარიტის მოთხოვნას, მისი შესრულება შეუძლებელი იყო.

- ახლა, როდესაც ამ ამბავს მიყვებით, ადრიან, - გააწყვეტინა ბარონს სიტყვა შარლოტამ, - ასე მგონია, მეც მსმენია რაღაც ამ-

დაგვარი. სავსებით ბუნებრივად მიმაჩნია, რომ მარიტი უსიტ-ყვოდ შეურიგდებოდა მოვლენათა ასეთ მსვლელობას.

- სწორედაც რომ არ შეურიგდა, ჩემო კარგო. იგი თავისას არ იშლიდა და მაშინ ბებიამ გასცა განკარგულება, დაეძახათ მალ-ვინა სპააკისთვის, რათა მას დაედასტურებინა, რომ ბარონესას არ მიუცია მისთვის პირობა, დაექორწინებინა თავის ვაჟზე. მალ-ვინამ დაადასტურა მისი ქალბატონის ყოველი სიტყვა და მაშინ საშინლად განრისხდა მარიტ ერიკსდოტერი. ალბათ, ინანა, რომ ასე უსარგებლოდ თქვა უარი შურისძიებაზე იმ უდიდესი უსამართლობისთვის, რომელსაც მისიანები შეეწირნენ და გა-ნუცხადა ბებიას, შურს კვლავ ვიძიებო.

„ჩემი სამი უახლოესი ადამიანი ტყუილუბრალოდ გამოასალ-მეს წუთისოფელს! - თქვა მან, - დაე, შენთვის ძვირფასი სამი ადამიანიც უეცრად გამოესალმოს სააქაოს, იმიტომ, რომ სიტყვა არ შეასრულე!“

- კი მაგრამ, ადრიან...

- ვიცი, რაც უნდა მითხრა, შარლოტა. ბებიაჩემი, ისევე რო-გორც ახლა შენ, ფიქრობდა, ამ საცოდავ ქალს აღარაფერი შე-უძლიაო. სულაც არ შეშინებულა და მშვიდად უპასუხია, მარიტ, უკვე საკმაოდ მოხუცი ხარ საიმისოდ, რომ სამ ბარონ ლიოვენ-შოლდს სიცოცხლე მოუსწრაფოო.

- დიახ, უკვე მოხუცი ვარ და ცალი ფეხი სამარეში მიდგას, - უთქვამს მარიტს, - მაგრამ სადაც უნდა ვიყო, ცოცხალი თუ მკვდარი, მაინც შევძლებ გამოვგზავნო ადამიანი, რომელიც შურს იძიებს.

მთელი ძალით მოისროლა შარლოტამ დათვის ტყავის ფეხ-სათბუნი და, როგორც იქნა, მოახერხა სახეში შეეხედა ბარონის-თვის.

- ის ხომ არ გინდა მითხრა, ბიძაშვილო, რომ საცოდავი, გაუნათლებელი გლეხის ქალის სიტყვებს შეიძლება რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს? - მედიდურად თქვა მან, - სხვათა შორის, ძალიან კარგად ვიცი მთელი ეს ამბავი. მახსენდება, ჩემი საყვარელი მეგობარი, პოლკოვნიკ ეკენსტედის მეუღლე, ჰყვებოდა ხოლმე ამ ძველ ამბავს იმის დასამტკიცებლად, თუ რაოდენ ნაკლები ყურადღება უნდა მივაქციოთ მსგავს წინასწარმეტყველებას. თვითონაც არაფრად აგდებდა მარიტის წყევლას.

- მტკიცედ არა ვარ დარწმუნებული, რომ დეიდა ამ შემთხვევაში მართალი იყო, - მიუგო ბარონმა და მარხილში წამოდგა, რათა გზისთვის გადაეხედა, - ჩანს, არც ისე მალე დავეწევით იმ ნაზ წყვილს, - განაგრძო მან და ისევ თავის ადგილზე მოკალათდა, - შენი ნებართვით, ბიძაშვილო, გავიხსენებ ერთ საოცარ შემთხვევას, რომელიც ჰედებიუში მოხდა ჩემი მშობლების სიცოცხლეში.

- გთხოვთ, ადრიან, ამასობაში დროც უფრო სწრაფად გავა!

- ეს იყო, მგონი, 1816 წელს, - დაიწყო ბარონმა, - დედაჩემის დღეობის აღსანიშნავად ჰედებიუში წვეულებისთვის ემზადებოდნენ. დღესასწაულამდე რამდენიმე დღით ადრე ჩემმა მშობლებმა, ჩვეულებისამებრ, დასახმარებლად სპააკი მოაყვანინეს. იმხანად უკვე გათხოვილი იყო და ტურბერგსონის გვარს ატარებდა, მაგრამ ჩვენთან ჰედებიუში ისევ ძველ სახელს ეძახდნენ, როგორც იმ თხუთმეტი წლის განმავლობაში, როდესაც აქაურ საოჯახო საქმეს განაგებდა. ვფიქრობ, მასაც ეს ძველი სახელი ერჩივნა. იმასაც ვფიქრობ, რომ ჰედებიუში ჩამოსვლა და დედაჩემისთვის დიდებული წვეულების მოწყობაში ან სხვა საქმეებში მიხმარება დიდი სიხარული იყო ფრუ მალვინასთვის. მისი ქმარი ერთი ღარიბი მოიჯარე იყო და საკუთარ სახლში მალვინას არ ჰქონდა საშუალება, ნაირ-ნაირი კერძების დამზადებით თა-

ვის გამოჩენისა. მხოლოდ ჰედებიუში გამოჩნდებოდა ხოლმე მისი ბრწყინვალე ოსტატობა.

- ეგებ სხვა რამეც ეწეოდა ჰედებიუსკენ? - იკითხა შარლოტამ, რომელსაც უცებ მოაგონდა ზოგიერთი რამ ლიოვენშოლდების საგვარეულოს ისტორიიდან.

- მართალი ხარ, შარლოტა. სწორედ ამის მოსაყოლად ვემზადებოდი. ფრუ მალვინას ძველი ბატონები - ბაბუაჩემი ბენგტ-- იორანი და ბებია ბარონესა ავგუსტა, რომელზედაც ახლა ვლაპარაკობდი, ამქვეყნად აღარ იყვნენ, ხოლო მამაჩემი, როგორც ყველამ იცოდა, მალვინა სპააკის ქალიშვილობისდროინდელი გატაცება გახლდათ. და თუმცა ახალგაზრდული ვნების ცეცხლი რახანია ჩამცხრალი იყო, ფრუ მალვინა სხვებში მაინც არჩევდა მას. ბავშვებს გვეჩვენებოდა, რომ ჩვენი მშობლები ნამდვილი მეგობრობის გრძნობით იყვნენ გამსჭვალულნი მალვინასადმი. გულწრფელი სიხარულით ხვდებოდნენ ხოლმე, თავიანთ მაგიდასთან სვამდნენ და გულახდილად უზიარებდნენ თავიანთ გაჭირვებასა და დალხინებას. ჩვენ აზრადაც არ მოგვდიოდა, გვეფიქრა, რომ ყველა ამ მეგობრული გრძნობის ფარული მიზეზი სინდისის ქენჯნა იყო.

- პოლკოვნიკ ეკენსტედის მეუღლე ყოველთვის ლაპარაკობდა იმ დიდ მეგობრობაზე, რომელიც მალვინა სპააკს მთელ ამ ოჯახთან აკავშირებდა, - დასძინა შარლოტამ.

- დიახ, ყოველთვის ჩვენი ერთგული მეგობარი იყო; ყოველ შემთხვევაში, სულ პატარა საბაბიც კი არ გვქონდა, სხვაგვარად გვეფიქრა. და ის სიყვარული, რომელსაც მალვინა ჩვენი მშობლებისადმი გრძნობდა, მან გადმოიტანა ვაჟიშვილებზეც - იორანსა და ჩემზე. ყოველთვის ჩვენს საყვარელ კერძებს აკეთებდა, ყოველთვის ცდილობდა, გადაენახა ჩვენთვის რაიმე ნუგბარი და გვიმასპინძლდებოდა, როდესაც მასთან სამზა-

რეულოში შევირბენდით ხოლმე, არასოდეს ბეზრდებოდა ჩვენთვის მოჩვენებებზე საშინელი ამბების მოყოლა. სიმართლე ითქვას, გამორჩეულად მაინც იორანი უყვარდა და ამის მიზეზი, ალბათ, მისი გარეგნობა იყო. მე ქერა და წითელლოყება ვიყავი - სოფლელ ბიჭს ვგავდი და საეჭვოა, მის გულში ნაზი მოგონებები აღძრულიყო ჩემი შეხედვისას. სულ სხვა იყო იორანი - ლამაზი, შავთვალება, და ყველა ამბობდა, პირწავარდნილი მამამისიაო. ამიტომ სავსებით შესაძლებელია, რომ, როდესაც იორანი სამზარეულოში შედიოდა, გაფუებული ცომის ან შემწვარი ხორცის თვალიერებით გართულ მალვინას ეჩვენებოდა, რომ ჟამთა სვლამ პირი იბრუნა და მისი ახალგაზრდობის უტკბესი მეგობარი კვლავ მოვიდა მასთან, რომ ჰკითხოს რჩევა, როგორ აიძულოს მიცვალებული, არ მიატოვოს თავისი საფლავი.

შარლოტას სახეზე ნაზმა სევდამ გადაუარა.

- ვიცნობ ამ თვალებს, - თითქოს საკუთარ თავს მოაგონა რაღაც.

- აი, ასეთი კეთილგანწყობა სუფევდა ჩვენსა და ფრუ მალვინას შორის 1816 წლამდე, - კვლავ განაგრძო თხრობა ბარონმა ადრიანმა, - მაგრამ ერთხელ მალვინამ ჰედებიუში თავისი ქალიშვილი, თეა მოიყვანა. გოგონას იმხანად ცამეტი წელი უსრულდებოდა, მე უკვე თვრამეტი წლის ჭაბუკი ვიყავი, იორანი - თექვსმეტისა და მასთან სათამაშოდ საკმაოდ დიდებად ვთვლიდით თავს. გოგონა ლამაზი და მიმზიდველი რომ ყოფილიყო, ეგებ დაგვევიწყებინა კიდეც ეს ასაკობრივი განსხვავება, მაგრამ საცოდავი ტლანქი იყო, ტანდაბალი, თვალები გადმოკარკლული ჰქონდა და თან ენასაც უკიდებდა. თეა შეგვზიზღდა და ყოველნაირად ვცდილობდით, მოვრიდებოდით, ფრუ მალვინა კი, რომელიც პატარა თეას არაჩვეულებრივად ნიჭიერ ბავშვად თვლიდა, თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა.

- აჰ, - ენის მოჩლექით დაიწყო შარლოტამ, - რას მოვესწარი ამას! ჩემი თანამგზავრი ბარონი ლიოვენშოლდია, შვილი იმ ბარონ ადრიან ლიოვენშოლდისა, რომელიც ჩემს დედიკოს უყვარდა და რომელმაც ჩემი აღზრდის ყველა ხარჯი იკისრა!

შარლოტამ უცებ შეწყვიტა სიტყვა.

- პატიებას ვითხოვ! სულ დამავიწყდა, რა დღეშია ის საცოდავი ახლა! უბედურებაში მყოფის დაცინვა სირცხვილია!

ბარონმა გადაიხარხარა.

- აფსუს, რა დროს იგრძენი სინდისის ქენჯნა! შენ, შარლოტა, ალბათ, გარდასახვის დიდი ნიჭი გაქვს. მომეჩვენა, თითქოს მარხილში ჩემ გვერდით პატარა თეა იჯდა. სანამ თხრობას გავაგრძელებდე, მინდა გკითხო, თავი ხომ არ მოგაბეზრე? ყოველდღე ხომ არ შეხვდები კაცი ჩვენი გვარიშვილს, და როდესაც ეს ხდება ხოლმე, თითქოს რაღაც სასწაულით ისევ ვახალგაზრდავდები, შორეული წარსული ცოცხლად წარმომიდგება თვალწინ. შენ ნამდვილად უფრო ლმობიერი იქნებოდი ჩვენდამი, ვიდრე საკუთარი მშობლები და მოგვიტევებდი, პატარა თეა ასე რომ ავითვალწუნეთ. დედამ, როგორც კი შეამჩნია, რომ ფრუ მალვინამ დაკარგა ჩვეული სულიერი სიმშვიდე, მაშინვე მიხვდა მიზეზს და უმკაცრესად გაგვაფრთხილა, რაც შეიძლება ზრდილობიანად მოვქცეოდით პატარა სტუმარს, მამამაც დაუმატა თავისი სათქმელი. დაჯერებას ჩვეულებმა რამდენჯერმე წავიყვანეთ გოგონა ნავით სასეირნოდ და ხეებიდან ვაშლს ვუბერტყავდით ხოლმე. ფრუ მალვინა, ეს კეთილი ადამიანი, კვლავ სიხარულით სახეგაბრწყინებული დადიოდა და ყველაფერი კარგად იყო დღესასწაულამდე.

- როგორ არ დაახრჩვეთ წყალში! - წამოიძახა შარლოტამ.

- მიხვდები, რასაც განვიცდიდით, - განაგრძობდა ბარონი, - ჩვენთან სტუმრად მთელი მაზრის წარჩინებული ხალხი ჩამოვი-

და, შევხვდით თანატოლ ბიჭებსა და გოგონებს, რომლებიც ბავშვობიდანვე გვიყვარდა და აზრადაც არ მოგვსვლია, რომ ასეთ დღეს კვლავ პატარა თეასადმი უნდა გამოგვეჩინა საგანგებო ყურადღება. დედამ განკარგულება გასცა, გოგონა დღესასწაულს დასწრებოდა, მაგონდება, რომ ის ამ დღისთვის შესაფერისად იყო გამოწყობილი. მაგრამ თეას არავინ იცნობდა, თანაც შეუხედავი იყო და ყურადღებას არავინ აქცევდა. ბაღში სათამაშოდ არ წაგვიყვანია, ცეკვები რომ დაიწყო, ის არავის გაუწვევია. საუბედუროდ, დედა გართული იყო სტუმრებთან საუბრით და დაავიწყდა, მიეხედა პატარა თეასთვის. მხოლოდ ვახშმობის დროს გაახსენდა მისი არსებობა, მაგრამ გვიანღა იყო. დედამ მოსამსახურე ქალისგან გაიგო, რომ დედამისთან სამზარეულოში იჯდა და ცხარე ცრემლით ტიროდა. მას არავინ არც კი დალაპარაკებია! არ წაიყვანეს არც სათამაშოდ და არც საცეკვაოდ! დედაჩემი შეაშფოთა ამ ამბავმა, მაგრამ სტუმრებს ხომ არ მიატოვებდა და ჭირვეული ბავშვის დასამშვიდებლად გაიქცეოდა. სიმართლე ითქვას, ახლა სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ დედაჩემსაც ისევე ეზიზღებოდა თეა, როგორც მე და იორანს.

- თეას ყოველთვის ჰქონდა საოცარი უნარი ადამიანებისთვის უსიამოვნების მიყენებისა, - შენიშნა შარლოტამ.

- ხომ მართალია? მაშ, ასე, მალვინა სპააკმა, რაღა თქმა უნდა, შეურაცხყოფად მიიღო საყვარელი ქალიშვილის ასე დაჩაგვრა. დილით, როგორც კი დედაჩემმა გაიღვიძა, საძინებელში მოახლემ მოახსენა, ფრუ მალვინას წასვლა სურს და სთხოვს ქალბატონს, გასცეს განკარგულება, მისთვის ეტლში ცხენები შეაბანო.

დედას ძალიან გაუკვირდა. ადრე ფრუ მალვინას მოელაპარაკა და დაითანხმა კიდეც, რამდენიმე დღე დარჩენილიყო, რა-

თა დაესვენა სადღესასწაულო ფუსფუსის შემდეგ. დედა მაშინვე მალვინასთან გავიდა და შეეცადა, გადაეთქმევინებინა წასვლა, მაგრამ ამაოდ; მაშინ დედამ ქმარი მოიშველია. მამაჩემმა უთხრა, გუშინ განუწყვეტლივ თვალყურს ვადევნებდი პატარა თეას და მიმაჩნია, რომ თავი ძალიან ღირსეულად ეჭირაო. ამის გაგონებაზე ფრუ მალვინამ განრისხება უმალვე მოწყალებად შეცვალა. წასვლა გადაიდო და ფრუ სპააკი იმაზედაც დაიყოლიეს, რომ კიდევ ერთი კვირა დარჩენილიყო ჰედებიუში, რათა ჩვენ, ბავშვებს, მოგვესწრო უფრო ახლოს გავცნობოდით ერთმანეთს და გავმხდარიყავით კეთილი მეგობრები.

- ეს კი ნამდვილად მეტისმეტი იყო, ჩემო ადრიან!

- ამრიგად, როდესაც საქმე მოგვარდა, მამამ დაგვიძახა ბიჭებს თავის კაბინეტში და გვკითხა, რა უფლებით გაბედეთ ჩემი ბრძანების უგულებელყოფაო და თითო სილა გვითავაზა. საერთოდ, ძალიან კეთილი და სათნო კაცი იყო. ჩვენ ვერაფრით ვხვდებოდით, რატომ წყალობდა ასე გამორჩევით პატარა თეას. იმ დილით მან ნათლად გვაგრძნობინა, დედამიწის ზურგზე არ არსებობდა ადამიანი, რომელსაც უფრო სათუთად უნდა მოვქცეოდით, ვიდრე თეას. გამოგვიცხადა, ჰედებიუში მთელი კვირა დარჩება, რათა თქვენ უფრო დაუმეგობრდეთო.

- და თქვენ, რა თქმა უნდა, ეს ვერ აიტანეთ?

- მე გავჩუმდი, მაგრამ იორანი, რომელიც უფრო ურჩი იყო, გასილაქებამ მთლად გააცეცხლა და საშინელი გაშმაგებით წამოიყვირა: „იმის გამო, რომ მამას მალვინა სპააკი უყვარდა, სულაც არა ვართ ვალდებულნი, ვგიჟდებოდეთ პატარა თეაზე!“ მე დარწმუნებული ვიყავი, რომ მამა იორანს კინწისკვრით გარეთ გააგდებდა, მაგრამ ყველაფერი სულ სხვაგვარად შემობრუნდა. მამამ განრისხება დაიოკა, დიდ სავარძელში ჩაჯდა და გვთხოვა, ახლოს მივსულიყავით. ჩვენ მის წინ გავჩერდით - მარცხენა და

მარჯვენა მხარეს. მამამ ჩვენი ხელები თავისაში მოიმწყვდია და გვითხრა, რომ დადგა დრო, როდესაც ჩვენც უნდა შევიტყოთ ოჯახის საიდუმლო. მისი ფიქრით, მალვინა სპააკს ფრიად უსამართლოდ მოექცნენ - მამა დარწმუნებული იყო, რომ ვიცოდით, რაზეც მიგვანიშნებდა, - ერთხელ, დიდი ხნის წინათ, მისი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა და მას ეჭვი ეპარება, რომ მაშინ დედამისმა, ბარონესა ავგუსტამ, პირდაპირ თუ არა, მინიშნებით მაინც, აგრძნობინა მალვინა სპააკს, რომ ბარონესას რძალი გახდებოდა, თუ ვაჟიშვილს გადაურჩენდა. ეს დაპირება, რა თქმა უნდა, ვერ შესრულდებოდა და მალვინამაც თავაზიანად არაფერი შეიმჩნია. მას შემდეგ მამას მისგან დავალებულად მიაჩნია თავი. ამიტომ მოითხოვს ჩვენგანაც, რაც შეიძლება ყურადღებით მოვექცეთ ფრუ მალვინასა და მის ქალიშვილს.

- დახეთ, რა კეთილშობილური მოთხოვნაა!

- საუბედუროდ, ჩვენ, ბიჭებს, ეს სასაცილოდ უფრო მოგვეჩვენა, ვიდრე გულის ამაჩუყებლად.

უცებ მეეტლე ლუნდმანი მგზავრებს მოუბრუნდა და შეჰყვირა, ერთ-ერთ ბორცვის ქიმზე, სულ ახლოს, ბოშათა ფორანი შევამჩნიეო.

ბარონი მარხილში წამოიმართა. მანაც დალანდა ფორანი, მაგრამ მისი ფიქრით, იქამდე, სულ ცოტა, მეოთხედი მილი მაინც იქნებოდა, თანაც, ძნელად თუ გაარჩევდი, ეს ის მარხილი იყო, რომელსაც მისდევდნენ, თუ სხვა. ადრიანმა ლუნდმანს მაინც სთხოვა, გაერეკა ცხენები რაც ძალი და ღონე ჰქონდა და სასწრაფოდ შეადგინა თავდასხმის გეგმა.

- როგორც კი იმათ მარხილს გავუსწორდებით, შენ, შარლოტა, სადავეებს მოჰკიდე ხელი, - უთხრა ბიძაშვილს, - ლუნდმანი კი გადახტება და აღვირში სწვდება ბოშების ცხენს. მე მივირბენ მარხილთან და ბავშვს მოვიტაცებ.

- ისე დავესხმებით თავს, როგორც ნამდვილი ყაჩაღები!

- რასაც დასთეს, იმასვე მოიმკიო!

ბარონმა თავი გაყო მარხილიდან, გზისთვის თვალყური რომ ედევნებინა. იგი ნადირობის ჟინმა შეიპყრო; სულ გადაავიწყდა ძველთაძველი ამბავი, რომელსაც ახლახან ასეთი გატაცებით ჰყვებოდა.

- ადრიან, ჩვენ ნამდვილად ნახევარი საათი მაინც გვაქვს, სანამ იმათ დავეწევით. იქნებ დაგვემთავრებინა იმ ამბის მოყოლა?

- რა თქმა უნდა, შარლოტა, უდიდესი სიამოვნებით დავასრულებ. დასასრული კი იმაში მდგომარეობს, რომ იორანმა, რომელსაც არ ძალუძდა კიდევ ერთი კვირის განმავლობაში თეას ყურება, სანთლის, ოქროს ფოლგისა და წითელი ლუქის წვეთისგან უზარმაზარი დამღიანი ბეჭედი გააკეთა. ბეჭედი გოგონას აჩვენა და დაარწმუნა, ეს სწორედ ის განთქმული ლიოვენშოლდების ბეჭედია, რომელიც სასაფლაოზე ვიპოვეო. ამრიგად, სულ მალე გარდაცვლილი გენერლის აჩრდილი დაიწყებს ჰედებიუში ბორიალს და მოითხოვს, რომ ბეჭედი დაუბრუნონო. პატარა თეა შეშინდა, ფრუ მალვინამ კვლავ მოინდომა წასვლა, სახლში კვლევა-ძიება დაიწყეს და იორანი იძულებული გახდა, გამომტყდარიყო - სანთლისგან გამოძერწილი ბეჭედი გამოეჩინა, მაშინ კი მამამ კარგად მიტყიპა კიდეც. ბიჭმა ვერ აიტანა გაროზგვა, ტყეში გაიქცა და გადაიკარგა - შინ აღარც დაბრუნებულა. აი, უკვე ოცდაექვსი წელიწადია. წლევანდელ ზამთრამდე არ გამოჩენილა ჰედებიუში და მოხეტიალე ცხოვრებას მისდევდა, რითაც უდიდეს მწუხარებას ჰგვრიდა ჩვენს მშობლებსა და ჩირქს სცხებდა მთელ საგვარეულოს.

- ო, ადრიან, მე არც კი ვიცოდი, რომ ეს შემთხვევა იყო მისი უბედურების მიზეზი.

- დიახ, შარლოტა, ყველაფერი სწორედ ასე დაიწყო. თუ კარგად დაფიქრდებით, გამოვა, რომ პატარა თეამ მიუსაჯა იორანს გზის პირას, თხრილში სიკვდილი და ამით ერთ-ერთ ჩვენგანზე შური იძია. აბა, გაიხედე, კვლავ გამოჩნდნენ.

ბარონი კვლავ წამოდგა მარხილიდან გასახედად, მაგრამ ფორანი უცებ თვალს მიეფარა, და ადრიანი შარლოტას მიუბრუნდა:

- აბა, რას იტყვი ახლა, შარლოტა? დამავიწყდა, რისთვის მოგიყევი მთელი ეს ამბავი. ჰო, მინდოდა გამეფრთხილებინე, რომ არც იფიქრო თეასა და კარლ-არტურის დაშორებაზე. მე ვფიქრობ, ჩემო ბიძაშვილო, დიახ, მე ვფიქრობ, რომ ფრუ მალვინას ქალიშვილს აკისრია გარკვეული მისია, რომლის შესახებაც თვითონ არაფერი იცის. აბა, გაიხსენე, როგორ დაგვემუქრა მარიტ ერიკსდოტერი, გამოვგზავნი ადამიანს, რომელიც ჩემ მაგიერ გადაგიხდით სამაგიეროს ლიოვენშოლდებსო?

ბარონი ადრიანი მსწრაფლ მოტრიალდა შარლოტასკენ და ჯიქურ შეხედა - ქალს მოეჩვენა, თითქოს მის გაშტერებულ თვალებში ავბედითმა შიშმა გაიელვა.

და მხოლოდ მაშინღა მიხვდა შარლოტა, რომ ეს მუდამ მოქუფრული ადამიანი, რომელსაც საკუთარ ოჯახში ერთი სულიერიც არ ჰყავდა, ვისაც მიენდობოდა, განმარტოების ნაღვლიან წუთებში ისევ და ისევ იხსენებდა ამ ძველთაძველ წყეულ ამბავს და ნელ-ნელა იმ დასკვნამდე მიდიოდა, რომ თეა სუნდლერი სწორედ ის ადამიანი იყო, ვინც მოწოდებულია, შური იძიოს.

შარლოტასაც მოაგონდა ის საბედისწერო ხანა, როდესაც მისი და კარლ-არტურის დაწინდვა ჩაშლის პირას აღმოჩნდა, და როდესაც თვითონაც ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს თეას მხარეზე იყო რაღაც მრისხანე და გარდაუვალი ძალა, რომელიც

ეწინააღმდეგებოდა მის ყველა ცდას, გადაერჩინა თავისი სატრფო. მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, არაფრით არ უნდოდა დასთანხმებოდა ბარონ ადრიანის აზრს, ამიტომაც ბარონის შიშნარევ მზერას კარგად გათამაშებული გაკვირვება შეაგება.

- არ მესმის, - თქვა მან, - რა კავშირი აქვს ყველაფერ ამას კარლ-არტურთან? ის ხომ ლიოვენშოლდი არ არის?!

- წინასწარმეტყველებაში არ იყო ნათქვამი, რომ სამივე მსხვერპლი უეჭველად ლიოვენშოლდი იქნება, ის მხოლოდ ბებიაჩემის ნაშიერი უნდა იყოს.

- და თქვენ, ადრიან, ფიქრობთ, რომ ამ უბადრუკი ძველი ზღაპრის გამო კარლ-არტურს არც დაველაპარაკები, თუკი ამ საღამოს შევხვდები? ან ვერ გავბედავ, თეას დავაშორო, ან საერთოდ ვიღონო რამე, რათა წესიერ ცხოვრებას დაუბრუნდეს?

ბარონი ადრიანი, ისევ შიშითა და მოლოდინით აღსავსე, შარლოტას სახეში ჩაშტერებოდა და უკიდურესი სასოწარკვეთისგან ხმაც კი უთრთოდა:

- მე არ გიკრძალავ, შარლოტა, ეცადო შენი, მე მხოლოდ ვამბობ, რომ ამ ცდას შედეგი მაინც არ მოჰყვება. კარლ-არტურს რამდენიმე საათის წინ შევხვდი და შემიძლია დაგარწმუნო, რომ მალე დაასრულებს სიცოცხლეს გზისპირა თხრილში ჩემს ძმასავით. ეს იქნება მოულოდნელი, შემაძრწუნებელი სიკვდილი სრული გაფურჩქნის ხანაში!

- არ მესმის, ადრიან, რატომ გინდათ შთააგონოთ საკუთარ თავს რაღაც სისულელეები?

ბარონი ადრიანი პირქუშად დუმდა.

- ეჰ, ჩემო ბიძაშვილო, აბა, რა გაგვეგება ჩვენ იმისა, რაც ბუნებაში ხდება? რატომ უმართლებს ცხოვრებაში ერთს და მეორეს - არა? და რამდენია ამქვეყნად მოუნანიებელი დანაშაული, გამოსყიდვას რომ ელოდება!

მიუხედავად თანაგრძნობისა ადრიანისადმი, შარლოტა მოთმინებას კარგავდა.

- ჰოდა, მას შემდეგ, რაც თეა კარლ-არტურს გაუმკლავდება, ალბათ, თქვენი ჯერიც დადგება, ბიძაშვილო, არა?

- ჰო, მერე მეც გამიმკლავდება, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს. გარწმუნებ, მე რომ ვაჟიშვილი მყავდეს, სიამოვნებით გავწირავდი სიცოცხლეს იმ ცოდვის გამოსასყიდად, რომელიც ლიოვენშოლდების გვარს აწევს. ჩემი შვილი ბედნიერი ცხოვრებით იცხოვრებდა და განადიდებდა ჩვენს გვარს. არაფერი დაუშლიდა, გამხდარიყო წარჩინებული და ყველასთვის პატივსაცემი ადამიანი. ჩვენ სამმა - ჩემმა ძმამ, კარლ-არტურმა და მე - ვერაფერს მივაღწიეთ, იმიტომ, რომ ჩვენს გვარს წყევლა სდევს თან, ჩემი შვილი კი თავისუფალი იქნებოდა ამ ტვირთისგან.

მეეტლე ლუნდმანი კვლავ მობრუნდა მათკენ, ასწია მათრახი და გზისკენ მიუთითა.

ბარონი ადრიანი არც შერხეულა. კუთხეში მიყუჟულიყო და ლტოლვილებისადმი ინტერესს აღარ ამჟღავნებდა. შარლოტა მხოლოდ მის პროფილს ხედავდა, მაგრამ მაინც მოეჩვენა, თითქოს ბარონმა ისევ ის გამომეტყველება მიიღო, რომელიც ამ ბოლო ხანს ჰქონდა - პირქუში, უკმაყოფილო და მკაცრი.

„რა ვქნა ახლა? - გაიფიქრა შარლოტამ, - ეს კაცი ისევ მელანქოლიამ შეიპყრო“.

დიდხანს მიდიოდნენ მდუმარედ. გზა, რომელზედაც მარხილი მისრიალებდა, მეტისმეტად ოღროჩოღრო და მიხვეულ--მოხვეული იყო, ხან ნაპირ-ნაპირ მიჰყვებოდა ტბა ლიოვენს, ხან ტყეში უხვევდა, ხან კი ერთმანეთზე მიკრულ პატარა სახლებს შორის მიიკლაკნებოდა. სივრცე არ იშლებოდა მათ თვალწინ. მარხილი, რომელსაც მისდევდნენ, ხან გაიელვებდა, ხან ისევ თვალს მიეფარებოდა.

მართალია, შარლოტას თითქმის არ სჯეროდა ბარონ ადრიანის უგუნური ფანტაზიებისა, მაგრამ სულ უფრო მეტად იმსჭვალებოდა მისდამი ღრმა თანაგრძნობით, და გადაწყვიტა, დაუყოვნებლივ მიემართა იმ ერთადერთი საშუალებისთვის, რომელიც მოიგონა ბარონის დასაშოშმინებლად. მართალია, წარმატების იმედი სულაც არ ჰქონდა, მაგრამ დაუოკებელმა სურვილმა შეიპყრო, რაიმე მაინც გაეკეთებინა.

- ბარონო ადრიან!

- რა გნებავს, შარლოტა?

- რაღაცაზე უნდა მოგელაპარაკო.

- დიახ, ბიძაშვილო! შენ ხომ ისეთი გასაოცარი მოთმინებით მოისმინე ჩემი სულელური ნაამბობი!

მისი კილო ცივი და ირონიული იყო, მაგრამ შარლოტა იმითაც კმაყოფილი დარჩა, ბარონი რომ გამოეპასუხა.

- ღმერთო, შემიწყალე, თუ ახლა ცუდად ვიქცევი, მაგრამ ერთ ამბავს უნდა მოვყვე. კაცმა, რომელიც თქვენ, ბიძაშვილო, ჩრდილოეთში გაგზავნეთ ბოშებთან, ჰედებიუში დაბრუნების შემდეგ ბარონესასთან პირისპირ საუბრის ნებართვა ითხოვა. მას უნდოდა, შეეტყობინებინა თქვენი მეუღლისთვის, რომ იორან ლიოვენშოლდს, თქვენს ძმას, ვაჟიშვილი დარჩა.

მგლის ბეწვის უზარმაზარ ხელთათმანში შემალული ხელი კვლავ მძიმედ დააწვა შარლოტას მხარს.

- შენ ამას იგონებ, შარლოტა?

- მხეცი უნდა იყო, რომ ასეთი რამ მოიტყუო. არა, ჩემო ბიძაშვილო, იქ, მთებში, მართლა იზრდება ბიჭი. ექვსი წლისაა, მოსულია და ტანადი. ისე ლამაზი არ არის, როგორიც მისი და, პორტრეტზე რომ მოხუცი ბენგტია, იმას ჰგავს. ჰოდა, სახლის მმართველს უნდოდა, პირველ ყოვლისა, ეკითხა ბარონესასთვის, შე-

იძლება თუ არა თქვენთვის ამ ამბის მოყოლა, მაგრამ ამ ბიჭს ზადი აქვს.

- ჭკუანაკლებია?

- არა, გონება უჭრის, არავის ჩამოუვარდება, მხიარულია და კეთილი, მაგრამ იგი...

შარლოტა ისე ღელავდა, რომ ხმამ უღალატა, ძალა არ ეყო, საჭირო სიტყვა წარმოეთქვა.

- ბრმაა, ადრიან, - ბოლოს წაიჩურჩულა შარლოტამ.

- როგორ?!

- ბრმაა! - გაიმეორა შარლოტამ და ამჯერად თითქმის წამოიყვირა ეს სიტყვა, - ამიტომ ვერ გითხრათ სახლის მმართველმა. ამელიამ კი სთხოვა, კვლავაც ჩუმად ყოფილიყო, თქვენი მეუღლის ფიქრით, ახლა არ იყო დრო, თქვენთვის ეს ამბავი მოეხსენებინათ. მას ყველაფრის თქმა მოგვიანებით უნდოდა, როდესაც ისევ კარგ გუნებაზე დადგებოდით.

- როგორი სულელიც იყო, ისეთ სულელად დარჩება!

- ბიჭი დაბადებით ბრმაა. მისი განკურნება შეუძლებელია.

ბარონმა შარლოტა ისე შეანჯანჯღარა, თითქოს ძალით უნდა მისგან სიმართლის ამოქაჩვაო.

- ეს მართალია? და შეგიძლია დაიფიცო, ბიძაშვილო, რომ იქ, მთებში, ნამდვილად ცხოვრობს ის ბიჭი?

- რა თქმა უნდა! სახელად კი ბენგტ-ადრიანი ჰქვია! პატარა გოგო ხშირად ახსენებს ძამიკოს, ალბათ, ამ ბიჭს გულისხმობს. რა დაგემართათ, ადრიან?

უზომო სიხარულით აღტაცებულმა ბარონმა ხელი მოხვია შარლოტას, დაუკოცნა ლოყები, ტუჩები, ახარხარდა, შემდეგ, როგორც იქნა, გაუშვა ხელი.

- მაპატიე, შარლოტა, მაგრამ ნამდვილი განძი ხარ. აზიზ--მაზიზი ქალი კი არა, ნამდვილი გაბედული ვაჟკაცი! კოჭებში

გეტყობა, რომ ჩვენი გვარისა ხარ! პირობას გაძლევ, შემდეგ ჩამოსვლაზე ჰედებიუს სულ სხვაგვარს დაგახვედრებ.

- მიხარია, ადრიან, უზომოდ მიხარია, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბიჭი ბრმა არის!

- ბრმაო! დარდი ნუ გაქვს, ხუთი გოგონა მყავს, სხვა რა საქმე ექნებათ: წაიყვან-წამოიყვანონ და თუ საჭირო იქნება, საჭმელიც აჭამონ. ამ საღამოსვე წავალ ჩრდილოეთში, მაგრამ ჯერ ეს გოგონა უნდა დავიბრუნოთ. ჰეი, ლუნდმან, არ გამოჩნდნენ?

- სულ ახლოს უნდა იყვნენ, ჰერ!

- მაშ, გარეკე, გარეკე, რაც ძალი და ღონე გაქვს! ვინძლო, მალე გავუსწროთ იმათ მარხილს. ღმერთო დიდებულო! რა თქვი, რაო? რა ჰქვიაო?

- ბენგტ-ადრიანი!

- ჩანს, რაღაც გრძნობა მაინც შერჩენია იორანს წარსულისადმი. მაშ, კარლ-არტურის საშველად ჩემგან რა დახმარება გჭირდება, შარლოტა?

- კი, მაგრამ, ის ხომ დაწყევლილია და უნდა დაიღუპოს!

- ეშმაკმა დალახვროს! ნუთუ მართლა გჯერა, ბიძაშვილო, იმ სულელური ფანტაზიისა, რომელსაც გიყვებოდა მელანქოლიურად განწყობილი ბარონი! უკაცრავად და, მიმიფურთხებია ყველა წყევლა-კრულვისთვის! იმედი გქონდეს, კარლ-არტურზე ვიზრუნებ, მაგრამ თეას რაღა ვუყოთ?

- მისი ქმარი ჯერ ცოცხალია, ჰერ, და ცოლი ენატრება.

- დავუბრუნებთ ქმარს თავის ცოლს, შარლოტა, კარლ--არტური კი ჰედებიუში წამოვა და ცოტა მოსუქდება. ამელია ხელს არ დააკლებს, ასეთი საქმისთვის არის გაჩენილი. აი, ისინიც! კიდევ ერთი ბორცვი და ჩვენს ხელთ იქნებიან!

შარლოტა და ბარონი წინ გადაიხარნენ, გზა რომ უკეთ დაენახათ. დევნილნი ბორცვის ფრიალო კალთას მიჰყვებოდ-

ნენ, რომელიც პირდაპირ ტბის ნაპირზე ეშვებოდა. შემდეგ მცირე მანძილზე გზა სწორი იყო, მერე კი ისევ აღმართი იწყებოდა, ბარონს უნდოდა, სწორედ ამ ბორცვზე დასწეოდა ფორანს.

კარლ-არტური მაინც დაწინაურდა. უკვე სწორ გზაზე მისრიალებდა, მაშინ, როდესაც შარლოტას ცხენები ბორცვის ციცაბო კალთაზე დაოთხილნი მიქროდნენ.

ამასობაში დევნილნი თითქოს მიხვდნენ, რომ მდევრები სწორედ იმ ბორცვზე დაეწეოდნენ, რომლის კალთაც მათ წინ აღიმართა, კარლ-არტურმა მკვეთრად მოსწია სადავეს, გზიდან გადაუხვია და მარხილი ტბის გაყინულ ზედაპირზე შეასრიალა.

- მით უკეთესი, - კმაყოფილებით აღმოხდა ბარონს, - უფრო ადვილად ჩავიგდებთ ხელში!

ლუნდმანიც კარლ-არტურს მიჰყვა. ყინული ტბაზე ჯერ კიდევ მაგარი ჩანდა, თუმცა კი მდნარი წყლითა და თოვლით იყო დაფარული.

სულ რამდენიმე საჟენიც კი არ ჰქონდათ გავლილი, რომ ბარონმა წამოიყვირა:

- მოიცა, ლუნდმან! მოსწი სადავეებს! რას ფიქრობს ის ვაჟბატონი?! იქ ხომ მდინარეა!

შარლოტას მარხილიდან, რომელიც საკმაოდ მაღალი იყო, უკვე აშკარად ჩანდა, რომ ყინული მათთან სულ ახლოს უცებ გამუქდა.

ეტყობა, ტყის ტევრიდან გამოსული პატარა აქაფებული მდინარე, რომელიც ამ ადგილას ტბას უერთდებოდა, ყინულს ალღობდა.

მარხილი გაჩერდა. ბარონი ადრიანი გადმოხტა, ხელისგულები რუპორივით მოიმარჯვა და მთელი ძალით შეუძახა დევნილებს. შარლოტამ რის ვაივაგლახით გაიხსნა დათვის ტყავის

ფეხსათბუნის ზონრები, ფეხები გაითავისუფლა და მარხილიდან გადმოვიდა.

რამდენიმე წამის შემდეგ ჩამტვრეული ყინულის ჭახანი გაისმა და კარლ-არტურის ცხენი ყინულღრუში გადაეშვა, მას მარხილიც მიჰყვა.

მაგრამ იმ დროს, როდესაც ყინული ჩატყდა, კარლ-არტური ელვის უსწრაფესად მარხილიდან გადახტა, მის მაგალითს გვერდით მჯდომმა ქალმაც მიჰბაძა. შარლოტას მარხილიდან ნათლად ჩანდა, როგორ იდგა საღ-სალამათი ეს ორი ადამიანი ყინულის კიდესთან.

ბარონი ადრიანი, მოსული და მძიმე, როგორც იყო თავის დიდ ბეწვის ქურქსა და უზარმაზარ სამგზავრო ჩექმებში, ისე გაქანდა ხახადაღებული ყინულღრუსკენ.

- ბავშვი! - ყვიროდა იგი, - ბავშვს მიხედეთ!

შარლოტა მოსწყდა ადგილიდან და ბარონს გამოეკიდა, მეეტლე ლუნდმანმა სადავეებს უშვა ხელი და ისიც მათ გამოედევნა. ბარონმა ორივეს გაასწრო. თითქმის მიაღწია ყინულღრუს, შარლოტას მოეჩვენა, თითქოს ადრიანმა დაიყვირა კიდეც, გოგონას ვხედავო, და ამ დროს ფეხქვეშ ყინული ჩაუტყდა.

შარლოტა ისე ახლოს იყო მასთან, რომ ყინულის საფრის ნასკდომებმა მის ფეხებამდე მოაღწია. ქალს ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია, წინ მიილტვოდა, უნდოდა, რაც შეიძლება სწრაფად მიშველებოდა ბარონსა და ბავშვს, მაგრამ ლუნდმანი წამოეწია და უკნიდან ხელი ჩაავლო:

- შეჩერდით, ფრუ შაგერსტრიომ! წინ არც ერთი ნაბიჯი არ გადადგათ. ცოცვით უნდა გადაადგილდეთ, ცოცვით, თუ ღმერთი გწამთ!

ორივენი ყინულზე გაწვნენ და მუხლებზე ხოხვით მიაღწიეს ყინულღრუს, მაგრამ შიგ ვერაფერი დაინახეს.

- აქ დინება ძლიერია, ასეა საქმე, - თქვა ლუნდმანმა, - წყალ-
მა ყინულქვეშ ჩაითრია საცოდავები.

დაბრუნება

შარლოტა ისევ გზაშია, გარეთ კი უკუნი ღამეა. ქალი განუწყვეტლივ ტირის და ოხრავს. ცხვირსახოცი, რომლითაც წამდაუწუმ ცრემლს იწმენდს, სულ დაუსველდა. ღამე სუსხიანია და ყინვისგან ცხვირსახოცი უფიჩხდება. შარლოტა ცხვირსახოცს ქურქქვეშ ინახავს გასალღობად, მაგრამ რასაც კი შარლოტა აკეთებს - ტირის, ცრემლს იმშრალებს თუ ცხვირსახოცს ინახავს - ყველაფერს ანგარიშმიუცემლად სჩადის. ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ პასუხს ელის იმ ლოცვაზე, რომელსაც განუწყვეტლივ იმეორებს.

წეღანდელივით მარხილში აღარ ჰყავს ბარონი ადრიანი, გვერდით აღარ ჰყავს არავინ, ვისაც შეუძლია დაეყრდნოს, ვინც ნუგეშსა სცემს, არავინ - გარდა მეეტლისა. ლუნდმანი და შარლოტა კარგი მეგობრები არიან და მეეტლეც თავს მოვალედ თვლის, დროდადრო შემობრუნდეს კოფოზე და თანაგრძნობით გამოესაუბროს თავის ქალბატონს.

- უნდა გითხრათ, ფრუ შაგერსტრიომ, ამაზე უარესი არაფერი მინახავს, - ალბათ, ასეა, მაგრამ შარლოტა არაფერს ამბობს. იგი სულ ერთსა და იმავე ლოცვას ჩურჩულებს და პასუხს ელოდება.

მარხილი უხმოდ მისრიალებს. ლუნდმანმა ცხენებს ეჟვნები მოხსნა და კოფოს ქვეშ, ყუთში ჩაყარა, გზის ოღროჩოღრო ადგილებში ეჟვნები ოდნავ ჟღარუნობენ, მაგრამ ეს ხმა ყრუ და სევდიანია - სწორედ ამ მგზავრობის შესაფერისი. სადღაა ცხენის კისერზე შებმული ამ ეჟვნების მხიარული წკარუნი!

ცხენებმა თითქოს იციან, რომ შინ ბრუნდებიან და ცდილობენ, სვლას უმატონ, მაგრამ ლუნდმანს ეს უადგილოდ მიაჩნია და აკავებს მათ. მარხილი ისე მიზოზინებს, როგორც სამგლოვიარო ეტლი.

- ჰაი დედასა! რა კაცი იყო ეს ბარონი ადრიანი! - ამბობს ლუნდმანი, - მამაცურადაც დაიღუპა!

მაგრამ არც ამ სიტყვებზე უპასუხია შარლოტას. ის სულ სხვა რამეს ფიქრობს, თავისთვის ლოცულობს, ლოცულობს შეუსვენებლივ და პასუხს ელოდება.

ლუნდმანი და შარლოტა მარხილში მარტო არ არიან. შარლოტას გვერდით უზარმაზარი ფუთა დევს, რომელშიც თითქოს ადამიანია შეხვეული. ეს, რა თქმა უნდა, არც დაღუპული ბარონი ადრიანია და არც საცოდავი გოგონა. ეს ცოცხალი ადამიანია. თუმცა, იქიდან, სადაც წევს, ჩქამიც არ ისმის, მაგრამ მარხილი ისე უხმოდ მისრიალებს და ირგვლივ ისეთი სამარისებური სიჩუმეა, რომ დროდადრო შარლოტას მაინც ესმის ამ ადამიანის ხრინწიანი სუნთქვა.

შარლოტა ცდილობს, იფიქროს ბარონ ადრიანსა და ბავშვზე. ეს შვებას მოუტანს. ისინი ცოცხლები აღარ არიან, იმ ქვეყანაში გადასახლდნენ. მათზე მოგონება ძრწოლას კი არა, მხოლოდ მწუხარებას იწვევს. თუმცა, შარლოტას სხვა რამეზე ფიქრის დრო არა აქვს ახლა, მან უნდა ილოცოს. ამ ლოცვამ რამენაირად უნდა გზა გაუკაფოს მაცხოვრის ტახტამდე. უნდა ილოცოს იმაზე, რომ ეს საშინელი უბედურება, რომელიც თავს დაატყდათ ამ საღამოს, გახდეს საწყისი ნეტარი, ბედნიერი მომავლისა.

როდესაც შარლოტამ და ლუნდმანმა, როგორც იქნა, ყინულღრუს მიაღწიეს და ამაოდ ცდილობდნენ მორევში რაიმე დაენახათ, მოესმათ, როგორ დაუძახა მათ კარლ-არტურმა, გავიქცევი

და ხალხს მოვუხმობ საშველადო. ასეც მოიქცა, თეაც მას გაჰ-ყვა. პატარა ლითონსადნობი ქარხნიდან, რომელსაც სწორედ ეს პატარა მდინარე ამუშავებდა, ხალხი გამოცვივდა, მოათრიეს გრძელი ბარჯები და გაჩხრიკეს ტბა ყინულქვეშ, მაგრამ ეს თავი-დანვე უიმედო ცდა იყო, რადგან ძლიერმა დინებამ შორს წაიღო დამხრჩვალნი. მათ მოსაძებნად, ალბათ, საჭირო იქნებოდა ყი-ნულის ამომტვრევა მთელ ტბაზე.

თეა სუნდლერი შარლოტას აღარ დაუნახავს, მაგრამ კარლ--არტური კი უკან დაბრუნდა. ყველაზე თავგამოდებით ის ეხმარე-ბოდა ხალხს და ბევრჯერ საფრთხეშიც ჩაიგდო სიცოცხლე. მთე-ლი ამ დროის განმავლობაში შარლოტას გაურბოდა და ცდი-ლობდა, ახლოსაც არ გაჰკარებოდა. მერე უკვე, როდესაც ყვე-ლაფერი დამთავრდა და ყველაზე მონდომებული მშველელებიც დაღონებულნი წამოლასლასდნენ ნაპირისკენ, კარლ-არტურმა გაბედა ქალთან მიახლოება.

ნელა მოდიოდა კარლ-არტური, გაუბედავად, თითქმის თვალმოხუჭული. სულ ახლოს მისულმა ოდნავ ასწია მძიმე ქუ-თუთოები, ისე, რომ მხოლოდ შარლოტას კაბასა და ქურქს ხე-დავდა. ქალს თვალს ვერ უსწორებდა. რამდენიმე სიტყვა ამო-ღერღა - ეს თანაგრძნობის გამოხატვა იყო თუ პატიების თხოვნა - ვერ გაიგებდა კაცი.

- დიახ, იორანს, ალბათ, თავისი გომბიოს თან წაყვანა უნდო-და და თანაც მადლობის გადახდა მდიდარი ძმისთვის ესოდენ ბრწყინვალე დაკრძალვის მოწყობისთვის.

- კარლ-არტურ!

მაშინ იკადრა კარლ-არტურმა თვალების ფართოდ გახელა და მის სახეზე უდიდესი შეშფოთება აღიბეჭდა. იგი აშკარად არ მოელოდა აქ შარლოტასთან შეხვედრას: ეგონა, ქალი, რომე-ლიც ბარონს ახლდა, მისი მეუღლე იყო.

კარლ-არტურს აღარც ერთი სიტყვა აღარ დასცდენია, იდგა ჩუმად და შარლოტას შესცქეროდა: ქალიც მდუმარედ შეჰყურებდა. მთელი სულიერი ტკივილი და შეძრწუნება, რომელსაც შარლოტა განიცდიდა კარლ-არტურის სულმდაბლობისა და უხეშობის შემხედვარე, სახეზე გამოეხატა, და მამაკაცმა უნებლიეთ ამოიკითხა ეს.

უცებ კარლ-არტურს სახე ისე შეეშალა, როგორც გულის შეტევის დროს არაერთხელ მოსვლია ხოლმე. თვალები უაზროდ გაუშტერდა, პირი ისე დააღო, თითქოს დაყვირებას ლამობსო, ხელები მაგრად მიიკრა გულზე.

წამით ასე იდგა, შემდეგ დაბარბაცდა და უეჭველად წაიქცეოდა, შარლოტას ორივე ხელი რომ არ შეეშველებინა.

რამდენიმე ხანს ასე ტორტმანებდა, მაგრამ შარლოტამ სასწრაფოდ ხალხი იხმო საშველად: რამდენიმე კაცი მოვარდა. კარლ-არტური ასწიეს, შარლოტას მარხილისკენ წაიღეს და როდესაც მარხილის სკამზე გადააწვინეს, იგი უკვე უგონოდ იყო.

შარლოტა კარლ-არტურს წაჰყვა და რამდენიმე საათი ნაპირზე მდებარე პატარა ლითონსადნობ ქარხანაში გაატარა. ავადმყოფს მოვლა ესაჭიროებოდა. ლუნდმანი და შარლოტა ყინულზე ცოცვისას მთლად დასველებულიყვნენ გამდნარ თოვლში, ტანსაცმელი უნდა გაეშროთ, ცხენებსაც დასვენება სჭირდებოდათ. მაგრამ არაფერი, რაც ამ რამდენიმე საათში მოხდა, შარლოტას არ დამახსოვრებია. მთელი იმ დროის განმავლობაში ის ლოცულობდა, ეხვეწებოდა ღმერთს, მოეცა მისთვის იმდენი ძალა, რომ გადაერჩინა კარლ-არტური, დაეშორებინა ქალთან, რომელმაც დაღუპვის პირამდე მიიყვანა.

კარლ-არტური გონს ვერ მოიყვანეს, მაგრამ აშკარად ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. შარლოტამ განკარგულება გასცა, გაეხვიათ ავადმყოფი დათვის ტყავში და კვლავ მარხილში დაეწვინათ.

წყნარი, ბურუსიანი ღამეა. ცაზე არც ერთი ვარსკვლავი არ კიაფობს. შარლოტა ოხრავს. ასეთი მგზნებარებით არასოდეს დალოდებია პასუხს თავის ვედრებაზე, მაგრამ ღამის სიჩუმით გარემოცული მაცხოვარი დუმდა.

ამ დროს შარლოტამ შეამჩნია, რომ აქამდე გონებადაკარგული კარლ-არტური ოდნავ შეირხა.

- კარლ-არტურ, - წაიჩურჩულა შარლოტამ, - როგორ გრძნობ თავს?

კარლ-არტური დუმს, მაგრამ ეტყობა, გონს მოდის. შარლოტა ისევ შიშმა შეიპყრო, რომ კარლ-არტური კვლავაც უხეშად და ბრაზიანად ილაპარაკებდა, როგორც იქ, ყინულზე. ქალმა არ უნდა დაივიწყოს, რომ მის წინ სულ სხვა ადამიანია.

მალე შარლოტამ გაიგონა, რომ კარლ-არტურმა სუსტი, ძლივს გასაგონი ხმით იკითხა:

- ვინ ზის ჩემ გვერდით მარხილში? შარლოტა?

- დიახ, - უპასუხა ქალმა, - დიახ, კარლ-არტურ! ეს მე ვარ, შარლოტა!

კარლ-არტურის ხმა კვლავ ძველებურად ჟღერს, ძალიან სუსტად, მაგრამ არა უხეშად. ისეთივე ლამაზია, როგორიც წინათ. ამავე დროს ამ ხმას რატომღაც სიყალბე ეტყობოდა, შემპარავი ჩანდა და ბავშვის ტიტინს უფრო ჰგავდა.

- ასეც ვფიქრობდი, რომ ეს შარლოტაა, - განაგრძო ავადმყოფმა, - შარლოტა პირდაპირ აფრქვევს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. მე მხოლოდ იმიტომ გამოვკეთდი, რომ შარლოტას გვერდით ვზივარ.

- ესე იგი, უკეთ ხარ?

- კარგად ვარ, შარლოტა, გული ახლა აღარ მტკივა. არაფერი მაწუხებს, რამდენი წელია, ასე ჯანმრთელად არ მიგრძნია თავი.

- ალბათ, ძალიან ავად იყავი, კარლ-არტურ?

- ჰო, შარლოტა, ძალიან.

რამდენიმე ხანს კარლ-არტური ხმას არ იღებდა, შარლოტაც ჩუმად იჯდა და უცდიდა.

მალე კარლ-არტურმა კვლავ წამოიწყო ლაპარაკი:

- იცი, შარლოტა, - გაისმა ისევ ის უწყინარი ტიტინი, - მე ვზივარ და იმით ვერთობი, რომ ჩემს საფლავზე წარმოსათქმელ სიტყვას ვთხზავ.

- აბა, რას ამბობ? რა სიტყვას?

- ჰო, სწორედ ასეა, შარლოტა! არასოდეს გიფიქრია იმაზე, რა სიტყვას წარმოთქვამს პასტორი შენს საფლავზე, როდესაც მოკვდები?

- ამაზე არასოდეს მიფიქრია, კარლ-არტურ. სიკვდილზე საერთოდ არ ვფიქრობ.

- ხომ არ სთხოვდი პასტორს, რომელიც ჩემს საფლავზე სიტყვის წარმოსათქმელად მოემზადება, მრევლს ასე მიმართოს: „აქ განისვენებს მდიდარი ახალგაზრდა, რომელიც მიჰყვა ქრისტეს მცნებებს, გაანიავა თავისი მამულები და მათხოვრად იქცა“.

- კარგი, კარგი, კარლ-არტურ, დაე, ასე იყოს, მაგრამ შენ ახლა არ მოკვდები!

- შეიძლება ახლა არა, შარლოტა! ახლა თავს ჯანმრთელად ვგრძნობ. შემდეგ, ოდესმე, ხომ ამისრულებ ამ თხოვნას? და კიდევ, მინდა, პასტორმა მოაგონოს მრევლს, რომ მე ვიყავი ის მოციქული, რომელიც დაადგა გზებსა და ბილიკებს, რათა მიეტანა სიტყვა ცათა სასუფევლის შესახებ ხალხისთვის პირდაპირ ყოველდღიურ ცხოვრებაში, თავშექცევასა და შრომაში.

შარლოტას არაფერი უპასუხია, იმას ფიქრობდა, მასხრად ხომ არ მიგდებს კარლ-არტურიო.

ის კი განაგრძობდა იმავე ყალბი კილოთი:

- ვფიქრობ, ურიგო არ იქნებოდა, პასტორს ცოტა რამ იმაზე-დაც ეთქვა, რომ მე, მსგავსად თვით იესო ქრისტესი, ვიჩენდი თავმდაბლობას, როდესაც ვჭამდი და ვსვამდი ღარიბ-ღატაკებსა და ცოდვილებთან ერთად.

- გაჩუმდი, თუ ღმერთი გწამს, კარლ-არტურ! სად შენ და სად იესო ქრისტე!.. ეს ხომ მკრეხელობაა!

კარგა ხანი გავიდა, ვიდრე კარლ-არტურმა ხმა ამოიღო:

- მე სულაც არ მომწონს ასეთი შეკამათება, - თქვა მან, - უკი-დურეს შემთხვევაში, შემიძლია შევურიგდე იმას, რომ არაფერი იქნება ნათქვამი ღარიბ-ღატაკებზე. ეს შეიძლება ვინმემ არას-წორად გაიგოს. ცოდვილების მოხსენიება კი, ვფიქრობ, აუცი-ლებელია იმისთვის, რომ ნათელი გახდეს, რატომ ვქადაგებდი შარაგზებზე, მოხეტიალე ხალხის წინაშე. სხვა სარბიელიც ხომ მქონდა?!

შარლოტა ჩუმად იჯდა მარხილში, ძრწოდა და მზად იყო, ეყ-ვირა. ნუთუ ეს ყველაფერი ცხადში ხდება? იქნებ იმიტომ ელაპა-რაკება კარლ-არტური ასე, რომ ქედმაღლობით მოახდინოს მას-ზე შთაბეჭდილება? ნუთუ მთლად დაკარგა ამ კაცმა საღად მსჯე-ლობის უნარი?

- ეგებ გახსოვს, შარლოტა, მე მყავდა მეგობარი, რომელიც მერე მისიონერი გახდა?

- პონტუს ფრიმანი?

- დიახ, სწორედ ის! წერილს წერილზე მიგზავნის, ცდილობს, დამიყოლიოს, მისიონერად ჩავიდე უცხო ტომებთან და მას მი-ვეხმარო. მე ძალიან მხიბლავს ეს წინადადება! როგორ მიყვარს მოგზაურობა! ენების შესწავლაც მომწონს. კარგი ათვისების უნარი ყოველთვის მქონდა. აბა, რას იტყვი, შარლოტა?

- სულ იმას ვფიქრობ, ხომ არ მამასხარავებ, კარლ-არტურ? თუ სერიოზულად მეკითხები, რა თქმა უნდა, კარგი საქმეა.

- მე გამასხარავებ? არა, მე ყოველთვის სიმართლეს ვამბობ და შენ, შარლოტა, ეს იმთავითვე უნდა გცოდნოდა, მაგრამ ჩანს, მართლაც ვერ მიგებ. ამას არ მოველოდი ამდენი ხნის განშორების შემდეგ. ვშიშობ, ეს შეხვედრა იმედს გაგვიცრუებს.

- ეს ძალიან გულდასაწყვეტი იქნება, კარლ-არტურ, - თქვა შარლოტამ, რომელიც სრულიად დააბნია ამ აუწერელმა ამპარტავნობამ და თვითკმაყოფილებამ.

- ვიცი, შარლოტა, რომ ძალიან მდიდარი ხარ, მდიდარი ადამიანი კი ზერელეა და გარეგნობით აფასებს ყველას. შენ არ გესმის, რომ მე ჩემი ნებით ავირჩიე სიღარიბე. მე ხომ ცოლი მყავს...

როდესაც კარლ-არტურმა ცოლი ახსენა, შარლოტა შეეცადა, ლაპარაკი იმ საგანზე გადაეტანა, რომელიც მას დააინტერესებდა:

- ახლა კი მე მომისმინე, კარლ-არტურ! ის თუ იცი, რომ დედაშენი თავისი ცხოვრების უკანასკნელ წლებში მოითხოვდა, მხოლოდ შენი სტუდენტობისდროინდელი წერილები წაეკითხათ მისთვის. ჟაკეტა ყოველ ცისმარე დღე უკითხავდა ამ წერილებს, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ჟაკეტას მოჰბეზრდა ეს და, იცი, რა გააკეთა? წავიდა კორსჩურკაში, იქ ანა სვერდი და შენი პატარა ვაჟიშვილი მონახა, ორივენი კარლსტადში წამოიყვანა და პოლკოვნიკის ცოლს ბავშვი ანახვა.

- არაჩვეულებრივად მშვენიერი და გულის ამაჩუყებელია!

- იმ დღიდან ჟაკეტას აღარ დასჭირვებია შენი წერილების კითხვა. დედაშენმა სურვილი გამოთქვა, ბავშვი მუდამ მასთან ყოფილიყო. იგი ეთამაშებოდა პატარას, აღტაცებული იყო მისით, სხვაზე არაფერზე ფიქრობდა. ბავშვის მოცილება მისთვის წარმოუდგენელი იყო და შენი ცოლი იძულებული გახდა, კარლსტადში გადმოსულიყო საცხოვრებლად. ახლა ანას ყველა,

დიდიცა და პატარაც, მოწყალე თვალით უყურებს, განსაკუთრებით კი მამაშენი. მას შემდეგ კი, რაც დედაშენი გარდაიცვალა, ანა ისევ დაბრუნდა კორსჩურკაში. ის და მისი შვილობილები სულ იმის ცდაში არიან, რაც შეიძლება უკეთ მოუარონ შენს ქოხს. ახლა ეს ოჯახი სხვებს არ ჩამოუვარდება. შენი შვილი კი, მგონი, უმეტეს დროს ჟაკეტასთანაა, რომელიც ახლა ელვსნესში ცხოვრობს. მშვენიერი ბავშვია. შვილის ნახვის სურვილი არა გაქვს, კარლ-არტურ?

- ო, მშვენივრად ვიცი, რომ ჩემს ცოლსაც და სხვა ნათესავებსაც ჩემს მოლოდინში გული გადაელიათ, მაგრამ იმათ მაგივრად შენ რომ ლაპარაკობ, ამისგან, აბა, რა ხეირი იქნება! მე თავისუფლება მიყვარს, შარაგზებზე ხეტიალი, თავგადასავლებითა და ფათერაკებით სავსე ცხოვრება.

„მის გულში სიკეთისთვის ადგილი აღარ დარჩენილა, - გაიფიქრა შარლოტამ, - ხელიდან მისხლტება, ვერაფრით ჩავეჭიდე“.

შარლოტამ კიდევ ერთხელ სცადა კარლ-არტურის გადმობირება:

- თითქოს ყველაფრით კმაყოფილი ხარ, კარლ-არტურ?

- კმაყოფილი როგორ არ ვიყო, როდესაც ისევ გიპოვე, შარლოტა!

- სრულებით არ ნანობ, კარლ-არტურ, რომ ბავშვი მოიტაცე? ამას ხომ ორი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა!

- ორი სიცოცხლე! - გაიმეორა კარლ-არტურმა, - ორი ადამიანის! შენ, შარლოტა, უცნაურად მსჯელობ. რაში მეკითხება ორი ადამიანის დაღუპვა! მე მძაგს ადამიანთა მოდგმა. ჩემთვის ყველაზე დიდი სიამოვნებაა, შევკრიბო ჩემ ირგვლივ ბრბო და მოურიდებლად ვლანძღო ადამიანები, დავუმტკიცო, რომ პირუტყვები არიან.

- გაჩუმდი, კარლ-არტურ, შესაზარი ხარ!

- შესაზარი? მე? სიმართლე გითხრა, არ მიკვირს, რომ ამას ამბობ. დაწუნებული ქალის შურისგება გალაპარაკებს. ყოველ შემთხვევაში, შენ, შარლოტა, უნდა აღიარო, რომ ის ადამიანი, რომელსაც შეუძლია საკუთარი თავისადმი ასეთი ერთგულება... იცი, რა მიკვირს, ამდენი ხანი როგორ ითმენს? სულ იმის მოლოდინში ვარ, რომ აქ გამოცხადდება და ხელიდან გამოგგლეჯს ჩემს თავს.

- გაჩუმდი თუ ღმერთი გწამს, კარლ-არტურ!

- კი მაგრამ, რატომ? მე ისე მიხარია შენთან ლაპარაკი, შარლოტა!

- შენ ხელს მიშლი. მე ვლოცულობ. მე ვლოცულობ გაუჩერებლად იმ წუთიდან, რაც აქ შეგხვდი.

- საქები საქციელია! და რას ევედრები ღმერთს?

- ვევედრები, მომცეს ძალა, რომ იმ ქალისგან გადაგარჩინო!

- იმ ქალისგან გადამარჩინო? ტყუილი ცდაა, შარლოტა! ამქვეყნად ვერავითარი ძალა ვერ შეარყევს მის ერთგულებას.

კარლ-არტური შარლოტასკენ გადაიხარა და ჩასჩურჩულა:

- მე თვითონაც ვცადე ყოველნაირად. ვერაფერი გადამარჩენს. ვერაფერი გადამარჩენს, სიკვდილის გარდა! Nemo nisi mors!

- მაშინ ღმერთს იმას შევევედრები, სიცოცხლეს გამოგასალმოს, კარლ-არტურ!

- შენ, შარლოტა, მუდამ მოსაბეზრებლად პირდაპირი იყავი. არც ისე სასიამოვნოა, ვიცოდე, რომ ღმერთს ჩემს სიკვდილს ეხვეწები, მაგრამ დაე, ასე იყოს, ხელს არ შეგიშლი.

საკმაო ხანს გზას მდუმარედ განაგრძობდნენ, როგორც მაშინ, როდესაც კარლ-არტური უგონოდ იყო. შარლოტა ცდი-

ლობდა, აზრი მოეკრიბა, გადაეწყვიტა, რა მოეხერხებინა იმ ადამიანისთვის, რომელიც ასე იყო განადგურებული.

მაგრამ ამ დროს ლუნდმანი მოუბრუნდა:

- გესმით, ფრუ შაგერსტრიომ, მოგვდევენ! ჩვენი მდევრები, ჩანს, სულ ახლოს არიან! თავქუდმოგლეჯილი მოაჭენებენ ცხენებს, ვერსად წაგვივლენო, ღრიალებენ, ერთმანეთს არ აცლიან! გინდათ, ფრუ შაგერსტრიომ, გავეცალოთ?

- არა, ლუნდმან, რა თქმა უნდა, არა! პირიქით, გავჩერდეთ. სწორედ დროული იქნება ჩვენი შეხვედრა.

რამდენიმე წამიც და, მდევრები დაეწეოდნენ. ღამის წყვდიადში შარლოტამ დაინახა მომცრო ბოშური ფორნები, რომლებიც მალე მის მარხილს გაუსწორდნენ და იქიდან შავი ლანდები გადმოცვივდნენ, ორმა კაცმა შარლოტას ცხენებს სადავეებში სტაცა ხელი. კაცი და ქალი კი მის მარხილთან მივიდნენ.

- ეს შარლოტაა? მაპატიეთ, ეს შაგერსტრიომის მეუღლეა? - გაისმა ხმა, - მე მხოლოდ ის მინდა გავიგო, ფრუ შაგერსტრიომ, ხომ არ შეგიძლიათ, მაცნობოთ, სად იმყოფება ამჟამად კარლ--არტური? სანამ კარლ-არტური კვლავ ტბისკენ გამოიქცეოდა, მოვილაპარაკეთ, რომ მჭედელთან შევხვდებოდით. მე რამდენიმე საათს ვუცადე სამჭედლოში. ბოლოს ვიკითხე ქარხნის კანტორაში და მითხრეს, კარლ-არტური ავად გახდაო, და თქვენ, ფრუ შაგერსტრიომ, თქვენს მარხილში ჩაგისვამთ და წაგიყვანიათ. რა თავაზიანობაა! როგორც იტყვიან: „სიყვარული ისა სჯობს, რაც ძველია“.

- ეს ამხელა ჯარი სად იშოვე, თეა? - სრულიად მშვიდად ჰკითხა შარლოტამ.

- ბედმა გამიღიმა და ჩვენი ორი საუკეთესო მეგობარი შემხვდა ამ საღამოს გზაზე თავიანთი მარხილებით. დამპირდნენ, მოგეხმარებით, კარლ-არტურის დაბრუნებაშიო. ოჰ, ფრუ შა-

გერსტრიომ, ვერც კი წარმოიდგენთ, როგორ კეთილ გავლენას ახდენდა კარლ-არტური ამ მოხეტიალე ბრბოზე და როგორ უყვარდა იგი ყველას. მათ გადაწყვეტილი აქვთ, უეჭველად დააბრუნონ კარლ-არტური თავიანთ ბანაკში.

- როგორც ვხვდები, ძალით აპირებ კარლ-არტურის წაყვანას, თუ ნებით არ გაგატანე.

- რატომ ძალით, ფრუ შაგერსტრიომ, ასეთი განზრახვა სულაც არ მქონია, მაგრამ ჩვენ გვინდა დავრწმუნდეთ, რომ კარლ-არტურის ნებაზეა დამოკიდებული, დაბრუნდება ჩვენთან თუ არა.

- რა სურს კარლ-არტურს, ოდნავადაც არ არის საეჭვო, თეა. თქვენთან შეხვედრამდე მთელი საათი თავაზიანად მესაუბრებოდა, მაგრამ, ჩანს, მოჰბეზრდა და ახლა ძალიან გახარებულია, რომ შენ გამოჩნდი. რა თქმა უნდა, მე არ ვაკავებ! ასე რომ, უთხარი შენს მეგობრებს, სულაც არ დასჭირდებათ დანები, ჩემ გარშემო ღამის წყვდიადში ასე რომ ელავენ. შეგიძლია წაიყვანო კარლ-არტური!

თეა სუნდლერი, რომელიც, როგორც ჩანს, მტკიცე წინააღმდეგობას მოელოდა, გაშრა და სიტყვაც ვერ დაძრა.

- წაიყვანე! - ხმამაღლა გაიმეორა შარლოტამ, - წაიყვანე და რაც გინდა, ის უყავი. მინდოდა, დავხმარებოდი, მაგრამ ვერ შევძელი. ეს კაცი ჭკუიდან გადასულია. სინდისზე ორი ადამიანის სიცოცხლე აწევს, ის კი ვერც ხვდება! წაეთრიოს! შორს! ასემც უქნია, ბოლომდე ჩაფლულა სიცრუეში, ბოროტმოქმედებასა და სიღარიბეში! ეგდოს ტალახში! მას მოსწონს. ის, რაც ამ საღამოს ჩაიდინა, შიშსაც კი არ ჰგვრის. არ სურს თავისი ცხოვრების შეცვლა. უნდა კვლავ ძველებურად იცხოვროს. წაეთრიოს!

შარლოტა დაიხარა კარლ-არტურისკენ, მოჰგლიჯა ფეხებიდან ბეწვის ტომარა და გადახადა დათვის ბეწვის ფეხსათბუნი, რომ ადვილად გადასულიყო მარხილიდან.

- გასწი, დაბრუნდი იმასთან, ვინც ასეთად გაქცია! ჩვენ შორის ყველაფერი გათავდა!

უსიტყვოდ მივიდა თეა სუნდლერი მარხილთან იმ მხარეს, საითაც კარლ-არტური იჯდა; ისიც წამოიწია, მაგრამ, როდესაც თეამ ხელი გაიწოდა, რომ მარხილიდან გადმოსვლაში მიხმარებოდა, კარლ-არტური უცებ მობრუნდა შარლოტასკენ და მის ფერხთით დაეცა.

- მიშველე, გადამარჩინე! - ხმამაღლა აღმოხდა საცოდავს. ხმაზე ეტყობოდა, არ ტყუოდა.

- გვიანღაა, ჩემო კარგო!

კარლ-არტური მუხლებზე შემოეხვია შარლოტას.

- გადამარჩინე ამ ქალს, შარლოტა! შენს მეტი ამას ვერავინ შეძლებს!

შარლოტა დაიხარა კარლ-არტურისკენ და ცდილობდა, მისთვის თვალებში შეეხედა.

- იცი, ეს რად დაგიჯდება? - ჩუმად, მაგრამ სერიოზულად ჰკითხა შარლოტამ.

- ვიცი, შარლოტა! - ასევე სერიოზულად უპასუხა კარლ--არტურმა და მტკიცე მზერა შეაგება.

- ლუნდმან! - უცებ მოვარდნილი სიხარულით წამოიძახა შარლოტამ, - აბა, მოიმარჯვე მათრახი და გარეკე!

მეეტლე ლუნდმანი კოფოზე წამოიწია, წვერიანი, დიდი და ძლიერი იყო, სწორედ ისეთი, როგორც ღირსეული ბატონის მეეტლეს შეეფერება. წამიც და, ღონივრად მოქნეული მათრახი აზუზუნდა, შავი ჩრდილები წყევლა-კრულვით აქეთ-იქით მიმოიფანტნენ, ცხენები ყალყზე შედგნენ.

რამდენიმე კაცი სადავეებს ჩამოეკონწიალა, მაგრამ მათრახი მათაც მისწვდა და იძულებულნი გახდნენ, გზიდან ჩამოსცილებოდნენ მარხილს. ცხენებმა ქარივით გააქროლეს შარლოტა და მისი თანამგზავრი ჰედებიუსკენ.

ნიშნობის ბეჭედი

განა რას წარმოადგენს ასეთს? რატომ უნდა ახსოვდეს ის, რაც სხვებმა უკვე დიდი ხანია დაივიწყეს? რატომ უნდა ფიქრობდეს დღენიადაგ იმაზე, თუ როგორ დაეხეტებოდა ეს კაცი ბაზრობებზე, მაწანწალასავით? რატომ უნდა ედგას მუდამ თვალწინ ქალი, ვინც თან ახლდა იმ დროს? მისიონერად 1842 წელს წავიდა, ახლა კი 1850 წელია. ესე იგი, რვა წელიწადიც კი არ გასულა მისი წასვლიდან. ხალხის აზრით, უკვე შეიძლება ყველაფრის დავიწყება და პატიება, მაგრამ მას, ამ კაცის ცოლს, ალბათ, თავისი აზრი ჰქონდა ამ საკითხზე.

წარმოიდგინეთ, იმ დღიდან, რაც ის კვლავ დაბრუნდა კორსჩურკაში და „ტბის აგარაკზე“ პოვა თავშესაფარი, მახლობელი სამრევლოდან ანასთან მეზობლებმა მოუხშირეს სიარულს და ეკითხებოდნენ, ხომ არ ემზადები ქმართან ერთად აფრიკაში გასამგზავრებლადო. აქ, სამხრეთში, ხალხია ასეთი - ზერელე და ქარაფშუტა, დალაყუნებენ აქეთ-იქით. ნუთუ მართლაც ასე აქვს საქმე, რომ უნდა გადაიხვეწოს სადღაც შორს, მაშინ, როდესაც ყველასგან პატივცემულია, დოვლათში ცხოვრობს და საკუთარი სახლის ბატონ-პატრონია? ნუთუ უნდა მიატოვოს აქაურობა მაშინ, როდესაც მისი შვილობილები დაიზარდნენ, თვითონ შოულობენ თავიანთთვის ლუკმაპურს, მას კი შეუძლია იცხოვროს არხეინად, თანაც წამოიყვანოს თავისთან დედილო სვერდი და სიბერეში პატივით აცხოვროს!

ანას ქმარი ჯერ არ ენახა, თუმცა, უკვე რამდენიმე დღეა კორსჩურკაში იყო ჩამოსული, იმდენი ჭკუა კი ეყო, რომ არც ცდილა

ანასთან შეხვედრას. ქალი ფიქრობდა, იქნებ აჯობებდა, წავსულიყავი დღეს ეკლესიაში და მომესმინა მისი ქადაგებაო. ეს ისე გამოვიდოდა, თითქოს თვით ანა ცდილობს მასთან შეხვედრას. ეკლესიაში მაინც წავიდა, მაგრამ თავისი ნებით - არა. ფრუ შაგერსტრიომმა გამოუარა და წაიყვანა; ფრუ შაგერსტრიომისთვის უარის თქმა კი არც ისე ადვილია.

ვითომ რატომ არ შეუძლია უკუაგდოს მოგონებები წარსულზე? ფრუ შაგერსტრიომმა უთხრა ანას, ამ ჩვენმა მისიონერმა ბევრი სიკეთე გაუკეთა აფრიკელ წარმართებსო. როგორც იქნა, იპოვა თავისი ადგილი ამ ცხოვრებაში. როგორც ნადირს, მანამდე დევნიდა ქრისტე ღმერთი, სანამ არ მოამწყვდია ისეთ ხაფანგში, სადაც ყველა გზა დახშული იყო, გარდა ერთისა, მერე კი აღმოჩნდა, რომ ეს იყო ერთადერთი სწორი გზა - გზა, რომელიც პირველი დღიდანვე უნდა აერჩია.

ფრუ შაგერსტრიომმა პირდაპირ კი არ უთხრა ანას, მიატოვე მთელი შენი ავლა-დიდება და ქმარს გაჰყევიო, არამედ სხვათა შორის შენიშნა, იქ, უცხო ტომთა შორის მამაკაცისთვის არც ისე ადვილია ცხოვრება და, კარგი იქნებოდა, თუ ლუკმის მიმწოდებელი მაინც ეყოლებოდა ვინმე. თვით შაგერსტრიომი კი, რომელიც დღემდე ფულით ეხმარებოდა მისიონერს, არც მისი თანაშემწისთვის დაიშურებდა დახმარებას, თუკი ასეთი ვინმე გამოჩნდებოდაო.

ფრუ შაგერსტრიომმა თქვა, მისიონერი მიხვდა, როგორ უნდა უყვარდეს მოყვასი, რაც დღემდე, ვაი, რომ არ იცოდაო. მას უყვარდა ქრისტე, დაამტკიცა, რომ მზადაა გაწიროს ამქვეყნად ყველაფერი, ოღონდ კი მისდიოს მის მცნებებს, მაგრამ მოყვასის ჭეშმარიტი სიყვარული არასოდეს ჰქონია, ადამიანი კი, რომელსაც არ უყვარს თავისი მოძმე და ქრისტეს სჯულს კი მიჰყვე-

ბა, უეჭველად საკუთარ თავსაც უბედურებაში ჩააგდებს და სხვასაცო.

ფრუ შაგერსტრიომმა ისიც უთხრა, თუ დამთანხმდები, ეკლესიაში წამომყვები და მოისმენ მქადაგებლის სიტყვას, თავად დაინახავ, რა უდიდესი გარდატეხა მოხდა მასში, დაინახავ, რომ ამ კაცმა გულით შეიყვარა ის შავკანიანები, რომლებსაც ქრისტიანობის მიღებისკენ მოუწოდებდა. ეს არის ის სიყვარული, რომელმაც სულ სხვა ადამიანად გადააქციაო.

ერთი სიტყვით, ასე იყო თუ ისე, ანა ეკლესიაში შეიტყუეს.

როდესაც მქადაგებელი კათედრაზე ავიდა, ანამ პირველად ვერც კი იცნო. გამელოტებულიყო და ღრმა ნაოჭებს დაეღარა მისი სახე - აღარ იყო ლამაზი. კათედრაზე ავიდა ჩუმად, მორიდებულად. ანას უცებ ტირილი მოუნდა, მქადაგებელი კი შეწუხებული სულაც არ ჩანდა. მის სახეს კეთილი ღიმილი დასთამაშებდა. ეს ღიმილი მთელ ეკლესიას აცისკროვნებდა.

არა, იმის თქმა სულაც არ უნდა, რომ ქადაგება იმ დღეს განსაკუთრებული იყო. მისი ფიქრით, ამ სიტყვას სახარებასთან სულაც არ ჰქონდა კავშირი. მქადაგებელი ჰყვებოდა, როგორ ცხოვრობს ხალხი აფრიკაში. ამ სიტყვას მისიონერის ანგარიში უფრო უნდა რქმეოდა, ვიდრე ქადაგება, მაგრამ ანა მიხვდა, რომ მას ნამდვილად შეჰყვარებოდა ეს აფრიკელი ტომები, შეჰგუებოდა იქაურ ცხოვრებას და ახლა იქით მიუწევდა გული. რაც უნდა მძიმე ყოფილიყო ანასა და მის თანასოფლელთა ცხოვრება მედსტუბიუნში, მაინც ბევრად ჯობდა იქაურს: შავკანიანებს თავიანთ ქოხებში არც იატაკი ჰქონიათ თურმე და არც ფანჯრები.

ანა შეჰყურებდა მქადაგებლის ნათელ ღიმილს, ესმოდა გულის სიღრმიდან ამოსული სიკეთით გამთბარი სიტყვები და უცებ გაახსენდა, რომ ბოშურ ფორანზე ამხედრებული ეს კაცი ოდეს-

ღაც მიწასთან ასწორებდა ბაზრობაზე შეკრებილ ხალხს, რის პასუხადაც დასცინოდნენ და ამასხარავებდნენ. ანასაც მოსვლია ასე. იგი კორსჩურკელი კი არა, მედსტუბიუნელი იყო, თანაც იობს ერიკის ძმისშვილი გახლდათ, ბიძამისივით ჯიუტი და ეჭვიანი.

როდესაც ანა ეკლესიიდან გამოდიოდა, დაინახა, რომ შესასვლელის წინ მაგიდა იდგა და ზედ ყულაბა იდო. ხალხი ყულაბაში მცირე შესაწირავს ყრიდა წარმართთა ქრისტიანულად მოქცევის ხელშესაწყობად.

ორი ადამიანი ჰყავდა მიჩენილი ყულაბას ყარაულად. ანას მოეჩვენა, რომ ორივემ ეჭვით გააყოლა თვალი. ფული თან წამოღებული არ ჰქონდა, რადგან ფიქრადაც არ მოსვლია, რომ მქადაგებელი თუნდაც ერთ ერეს გამოსტყუებდა, ამიტომ სწრაფად წაიძრო თითიდან ნიშნობის ბეჭედი და ყულაბაში ჩააგდო. ვინც მას ეს ბეჭედი აჩუქა, ახლა თამამად შეუძლია, უკანვე წაიღოს.

იჯდა ანა სამზარეულოში მარტო და ფიქრობდა, რა მოჰყვება ამ ამბავსო.

ხომ შეიძლებოდა, კარლ-არტურს ანას საქციელი ისე გაეგო, თითქოს თავის ქორწინებას დარღვეულად თვლიდა და ქმრის დანახვაც კი აღარ უნდოდა.

თუ ასე ახსნის მის მოქმედებას ქმარი - არ მოვა; ეს იცის ანამ. აქ არ მოვა და უყოყმანოდ უკანვე წავა.

მაგრამ ხომ შეიძლება ისიც იფიქროს, აქაოდა, ანას სურს გამახსენოს, რომ აქ, კორსჩურკაში, მყავს ცოლი, რომელიც ზის და მიცდისო.

დიახ, ახლა გამოჩნდება, როგორ გაიგებს ანას საქციელს, და ისიც, თუ რა უდევს გულში.

ჰოდა, თუ მიხვდება იმას, რომ ცოლი უცდის, და ანასთან მივა, რა უპასუხოს მაშინ?

რას წარმოიდგენს ასეთს? ანდა რა უნდა? იცის კი თვითონ, რა სურს?!

ქალს მღელვარებისგან გული ოდნავ უთრთოდა. დახეთ! ვერა და ვერ დაუვიწყებია, რომ ეს ის კაცია, ვისთანაც ფრთოსანთა გუნდს ატანდა ერთხანს სალამს!

ამ დროს ფანჯრის წინ ვიღაცამ გაიარა.

ნუთუ ის არის?! ის არის, ის!

აი, დერეფანში შემოვიდა, სახელურს ხელი მოჰკიდა. რა უპასუხოს ახლა?!